Проблема принятия инвестором инвестиционных решений непосредственно связана с оценкой рисков. В разработку теории рисков существенный вклад внесли следующие отечественные и зарубежные ученые, включая Х. Крамера, В. Севрука, Д. Гитмана, М. Джонка, В. Айгнера и т.д. Х. Крамер указывал, что «предметом теории рисков является математический анализ вероятностных колебаний в страховом бизнесе и создание различных средств защиты против непредсказуемых действий» [1]. В.Т. Севрук отмечал: «Риск - это ситуативная характеристика деятельности любого производителя, в том числе и банка, отображающая неопределенность ее исхода и возможные неблагоприятные последствия в случае неуспеха. Риск выражается вероятностью получения таких нежелательных результатов, как потери прибыли и возникновение убытков вследствие неплатежей по выданным кредитам, сокращения ресурсной базы, осуществления выплат по балансовым операциям и т. п.» [2, С.3].

Определение риска связано с решением двух проблем. К ним относятся оценка вероятности риска, связанного с непредсказуемостью результатов исходов событий, и обусловленных им издержек, и учетом риска, связанного с менеджментом, который обеспечивает действие, направленное на достижение баланса между рисками и потенциальной выгодой. Уровень риска определяют на основе вероятностных оценок, которые показывают степень возможного для инвестора ущерба в результате принятия решений, угрожающих реализации его интересов. Для его оценки применяются методики балльной оценки. Д. Гитман, М. Джонк под риском понимают вероятность отклонения величины

фактического инвестиционного дохода от величины ожидаемого результата деятельности, причем считают, что, чем изменчивее и шире шкала колебаний возможных доходов, тем выше риск и наоборот [3, С.10].

Х. Альбах проанализировал зависимость уровня риска от получаемой прибыли и ПИИ. Он установил, что развивающиеся страны относятся к группе государств, с высоким риском и низкой прибылью. Индустриально развитые страны характеризуются показателями низкого риска и высокой прибыли от иностранных инвестиций. Величина риска определяется на основе вероятностных оценок, которые показывают степень получения возможного инвестором убытка в результате принятия решений, которые угрожают реализации его интересов.

Риски инвестиционной деятельности будем подразделять на политические, экономические, коммерческие, банковские и моральные. Под политическим риском понимается неопределенность, возникающая с возможностью изменения политической системы страны, приходом к власти представителей с другой экономической стратегией. Экономический риск представляет степень неопределенности, возникающей и функционирующей как в целом в экономике, так и в отдельных отраслях. Снижение данного вида риска способствует более эффективной реализации инвестиционных решений. Возникновение коммерческого риска связано с изменением доходов от инвестиций. Это обусловлено спецификой выполнения инвестиционного проекта, возникновением ошибок при проектировании, планировании и исполнении работ. Коммерческий риск – это степень неопределенности, связанная с рисками конкретных условий предпринимательства в данной отрасли. Банковский риск позволяет оценить степень неопределенности функционирующей финансовой системы, риск изменения валютного курса страны, процентных ставок. Моральный риск используется для оценки степени неопределенности, связанной с возможностью нанесения морального убытка субъекту инвестиционной деятельности. Открытие финансового рынка для международной конкуренции, обеспечение высокого показателя капитализации банковской системы, бюджетная стабильность относятся к рекомендациям МВФ при получении инвестиционного кредита страной.

Высокая неопределенность затрудняет принятие инвестиционных решений. Величина риска рассчитывается на основе вероятностных оценок, которые отражают степень возможного нанесения инвестору ущерба в результате принятия решений, угрожающих реализации его интересов. Риск оценивается по сте-

пени отклонения действительного экономического результата при принятии инвестиционного решения от ожидаемой отдачи от инвестиций. Для инвестора представляет интерес установление величины возможного отклонения в случае низкой прибыли от инвестиций. Фактор неопределенности определяется, как на микроуровне, что выражается в различных ответных действиях инвесторов в процессе изменений в бизнес среде, так и на макроуровне, что реализуется в ответной реакции на проводимую государством экономическую политику. Принятие инвестиционного решения в условиях неопределенности связано с решением трех типов задач. Во-первых, принятие управленческих решений в условиях риска, во-вторых, принятие управленческих решений в условиях неопределенности, в-третьих, принятие управленческих решений в условиях конфликта — определяют решение в области инвестиционной политики.

Принятие управленческих решений в условиях риска основывается на прогнозе возможных исходов P_k . Для каждого исхода определяется вероятность P_k , причем

$$\sum_{k=1}^n P_k = 1, \quad (1) \quad k=1$$

где $k = 1, 2 \dots n$.

В качестве критерия при принятии инвестиционных решений выбирается максимизация математического ожидания $E(R)$ определенного экономического показателя (прибыли, дохода):

$$E(R) = \sum_{k=1}^n P_k \rightarrow \max(2) \quad k=1$$

В итоге определяется вариант, наиболее полно удовлетворяющий выбранному критерию. При решении данного рода задач основным критерием оценки оптимального варианта выступает максимизация математического ожидания. В случае более сложных ситуаций может применяться «метод построения дерева решений». Принятие управленческих решений в условиях неопределенности производится на основе применения критериев максимизации минимальной прибыли, минимизации максимальных потерь, максимизации максимальной прибыли.

Допустим, что функция полезности U зависит от переменной Z — дохода. В свою очередь Z является функцией от двух переменных: X — производимого количества продукции и Y — цен. В случае определенности X_0 известно, что существует только одно оптимальное решение Y^* для переменной Y , при котором обеспечивается максимизация прибыли в условиях определенности:

$$U[Z(X_0, Y)] \rightarrow \max Y^*. \quad (3)$$

При существовании неопределенности определим максимально ожидаемую полезность. Неопределен-

ность будем рассматривать относительно величины X , для которой функция плотности вероятности $f(x)$ задана. Будем считать ожидаемый доход — E неизменным, равным фиксированной величине X_0 в случае определенности. Тогда максимум функции в условиях неопределенности будет определяться выражением:

$$EU [Z(X_0, Y)] \rightarrow \max Y. \quad (4)$$

Оптимальное значение переменной, определяющей принятие решения при оценке Y , в случае неопределенности может быть меньше (равно или больше) оптимального значения Y^* в условиях определенности. Это будет иметь место, если функция полезности U будет меньше (равна или больше) нуля.

Решение задачи принятия управленческих решений в условиях конфликта относится к недостаточно разработанной проблеме. На практике неординарные случаи стараются свести к ранее рассмотренным вариантам или использовать неформализованные методы.

Для оценки риска при вложении средств в акции используется модель анализа колебаний цен (анализ бета-коэффициентов). Сравнение инвестиционных проектов производится на основе определения влияния рыночных флуктуаций на получаемую прибыль от инвестиций. Инвестиционный риск подразделяется на систематический (специфический) риск или несистематический риск. Систематический риск зависит от происходящих колебаний на рынке. На него влияют общие изменения в развитии экономики, рынка, рыночной цены акций. Данный вид риска относится к недиверсифицированному риску. Несистематический риск (диверсифицированный) относится к специфическому компоненту риска, который может быть нейтрализован или устранен в процессе проведения диверсификации при установлении цены портфеля ценных бумаг. Бета-коэффициент выражает ответную реакцию изменения ожидаемой отдачи от доходности капитала в процессе рыночных колебаний нормы прибыли. Он относится к показателю систематического риска, с помощью него определяется безопасность инвестиций. Бета-коэффициент рассчитывается на основе использования регрессионного анализа. В общем виде β -коэффициент рассчитывается на основе следующей формулы:

$$\beta = \frac{\text{Cov}(R_j, R_m)}{\text{Var}(R_m)}, \quad (5)$$

где β - бета-коэффициент инвестиций, определяет рискованность акции по сравнению со среднерыночным уровнем;

R_j - ожидаемая норма прибыльности от инвестиций; R_m - ожидаемая норма прибыли в среднем всего рынка; Cov - показатель ковариации; Var — показатель вариации.

Повышение ответственности кредиторов за предо-

ставление рискованных кредитов способствуют уменьшению риска. Совершенствование банковского надзора и контроль со стороны международных финансовых организаций за макроэкономической конъюнктурой в мире направлено на снижение величины систематического риска. Оценка возможного риска в условиях существования фактора неопределенности относится к сложнейшему типу задач. Для краткосрочного периода можно допустить, что форма кривой частоты распределения в будущем периоде будет сходна с соответствующей кривой предыдущего периода. В рассматриваемом случае функция риска определяется на основе оценки функции вероятностей в долгосрочном периоде.

При оценке рисков применяются разные методы. В качестве одного из методов используется опрос предпринимателей, который позволяет определить мотивы, на которых основываются инвестиционные решения. В. Айгнер провел оценку влияния фактора неопределенности при принятии инвестиционных решений путем проведения опроса инвесторов [3, С.16]. Исследование позволило определить мотивы выделения предпочтительных инвестиционных проектов. Общая величина ежегодной инвестиционной программы была принята за 100 %. При данном подходе под малыми проектами понимались такие, доля которых составляла половину такой программы, к крупным проектам были отнесены превышающие данный показатель. В процессе проведенной оценки возможных форм поведения фирм в зависимости от размеров инвестиционных проектов были получены следующие результаты. В случае принятия малых инвестиционных проектов 36,82 % опрошенных фирм стараются избежать риска, 33,66 % фирм готовы рисковать и одна треть фирм нейтрально относится к рискам. Различие между фирмами, избегающими риска и готовыми рисковать, возрастает в небольших фирмах. Фирмы с занятостью до 1000 рабочих являются нейтральными к рискам. Доля крупных фирм, предпочитающих не рисковать, составила 53,15 %, и, соответственно готовых рисковать, была равна 12,37 %. При принятии крупных инвестиционных решений приблизительно одна треть фирм относится нейтрально к рискам. Была установлена зависимость поведения фирм от изменения их размеров. Только 3,92 % крупных фирм были готовы рисковать, что составило 14 % фирм с занятостью менее 100 человек.

Решения по инвестиционному проекту могут также основываться на оценке высоко рискованных проектах, в которых при положительном исходе существует воз-

можность получения высокой прибыли от инвестиций. Инвестор готов отказаться от части ожидаемой прибыли для получения определенности. Оценка поданных к рассмотрению инвестиционных проектов показывает, что иностранные инвесторы предпочитают инвестировать финансовые средства в крупные промышленные центры, с развитой производственной и социальной сферами.

Управление рисками относится к фактору снижения неопределенности. Организация эффективного менеджмента компании предусматривает оценку вероятности совершения события, определение издержек, потерь, вызванных ими. Разработка экономической стратегии компании включает минимизацию влияния вероятностных событий на инвестиционную деятельность, учет их в совокупной стратегии принятия инвестиционных решений иностранных инвесторов в случае неординарных событий, связанных с фактором непредсказуемости. Для преодоления инвестиционных рисков инвестор должен четко определять инвестиционные цели с учетом получения прибыли и существования возможных рисков. Его деятельность должна быть направлена на учет всевозможных и минимизацию неучтенных рисков, сопоставление возможности получения прибыли с оставшимися рисками. Диверсификация применяется для устранения несистематических рисков инвестиционного портфеля. Систематический риск можно контролировать путем отбора акций, приводящих к изменению портфеля в допустимых пределах.

Использование разных методик оценки рисков при разработке политики привлечения иностранных инвестиций показывает, что политическая и экономическая стабилизация в стране способствуют снижению политического и экономического рисков. Оценка функции плотности вероятности инвестиционных рисков основывается на решении задач математического моделирования с учетом фактора неопределенности. Эффективное управление рисками будет направлено на снижение фактора неопределенности, принятию оптимальных инвестиционных решений.

ЛИТЕРАТУРА:

1. Cramer H. On the mathematical theory of risk. Festschrift Skand. 1855—1930. -Stockholm: Sweden, 1930.
2. Севрук В.Т. Банковские риски. - М: Дело Лтд., 1994. - 72 с.
3. Aigner B. The impact of uncertainty on the optimal decision of risk neutral firms // WIFO. - 1984. - № 4.

ეკონომიკური და კრეატიული ადამიანის მოვლთა კომპარატივისტიკული ანალიზი

გურამ ჯოლია,
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ვითარება ადამიანის, როგორც მომხმარებლის, ქცევის შეფასებას გვაიძულებს. ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური და კრეატიული ადამიანების ქცევითი მოდელების ურთიერთშედარება და მათ შორის უპირატესის წარმოჩენა.

საკვანძო სიტყვები: სოციუმი, კრეატიული, ინდივიდუალიზმი, რაციონალური, ანტაგონიზმი, ცივილიზაცია, ინტერნალიზაცია, ბიჰევიორიზმი.

COMPARATIVE ANALYSIS OF THE ECONOMIC AND CREATIVE HUMAN MODELS

Guram Jolia,
GTU Professor

RESUME

Modern developments in global societies necessitate that we consider a human being as a consumer. In this respect, it is important to compare and contrast behavioral models of Economic and Creative human beings and to reveal which of the two has more relevance and competitive advantage over the other in today's context.

Key words: society, creative, individualism, rational, antagonism, civilization, internalization, behaviorism.

შესავალი

ადამიანის ქცევის განსხვავებულობის შესახებ ეკონომიკურ თეორიაში, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში (მხედველობაშია ბიჰევიორიზმი) მრავალი მეცნიერული ნაშრომი არსებობს. განსხვავებული შეხედულებებია იმ სოციალურ ნორმებზეც, რომლებიც, ზოგადად, საზოგადოებაში ადამიანთა ქცევას არეგულირებს. თუმცა, ამ ნორმების, როგორც მექანიზმების, შედარება ნაკლებად გვხვდება.

თეორეტიკოსი მარკეტოლოგ-ფსიქოლოგები¹ თავიანთ პუბლიკაციებში ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკური ადამიანის² (Homo Economicus) ქცევის მოდელზე, რომელიც საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს. ასეთი მოდელით ბაზარზე ადამიანის ქცევის მიზნები და ეკონომიკური აქტივობის მოტივები მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას ბუნებრივად ვლინდება, რადგან ყოველი ინდივიდი, როგორც ბუნებით ანგარებიანი და ეგოისტი, არასტაბილურ ეკონომიკურ გარემოში თავის გადარჩენას ამ გზით ცდილობს, – პირად მოთხოვნებსა და ინტერესებს ცვალებად საბაზრო პირობებს მაქსიმალურად უსადაგებს. იგი წარმოგვიდგება „როგორც „მინდას“ სურვილის მატარებელი არსება, რომელიც მთლიანად ფლობს საკუთარ თავს და ყველა თავის ქცევას განსაზღვრავს ერთადერთი რამით – სარგებლიანობის საკუთარი ფუნქციით“³.

ეკონომიკური ადამიანის მოდელი ესაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისეთი სისტემა, რომელიც სოციუმში ადამიანის ქცევისა და სამომხმარებლო არჩევანის თავისუფლებას არკვევს. მაგრამ, ეს მოდელი წინააღმდეგობრივია, რადგან ინდივიდისა და საზოგადოების (სოციუმის) ინტერესები ერთმანეთთან კონფლიქტშია. აუცილებელია ისეთი მოდელი, რომლითაც არსებული წინააღმდეგობა დაიძლევა. ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ კრეატიული ადამიანის (Homo Sapiens Creativus) მოდელი, რომელიც

1 ჯ. ნეიმანი, ო. მორგენშტერნი, დ. კანემანი, ა. ტვერსკი, ჰ. შაიმონი, ჰ. ჰოსენი და მრავალი სხვა.

2 ზოგადი ცნება, წარმოდგენა ადამიანზე, როგორც რაციონალურად მოაზროვნე სუბიექტზე, რომელიც მაქსიმალური სარგებლიანობის მიღების პრინციპით მოქმედებს. რაციონალური ეკონომიკური ქცევა არის ინდივიდის სწრაფვა მინიმალური დანახარჯებით მიიღოს მაქსიმალური სარგებელი ან თავიდან აიცილოს დანაკარგები შეზღუდული რესურსების პირობებში. ესაა ადამიანი მაღალი ეკონომიკური ინტუიციითა და შემეცნებით, რომელიც რაიმეს შეძენისას მისთვის ეკონომიკურად უფრო ოპტიმალურ და ნაკლებად სარისკო ვარიანტს ირჩევს.

3 არჩვადე ი., ქურხული ლ. ეკონომიკური ფსიქოლოგია. „მერიდიანი“, თბ., 2010, გვ. 28.

ოპტიმისტური მომავლის შესაძლებლობებს ქმნის და რესურსების შეზღუდულობის პრობლემას აგვარებს.

ამოცანა მდგომარეობს შემდეგში:

- 1) ეკონომიკური ადამიანის მოდელის შესაძლებლობათა ამონურვის არგუმენტების წარმოჩენა;
- 2) სოციუმში კრეატიული ადამიანის მოდელის პერსპექტიულობის დასაბუთება.

პირითადი ტიპსტი

ა) ეკონომიკური ადამიანის (Homo Economicus) მოდელი

ეკონომიკურ ადამიანს ახასიათებს ღრმა ინდივიდუალიზმი, რაციონალურობა და მაქსიმალური სარგებლიანობისაკენ დაუოკებელი სწრაფვა. ასეთი ადამიანის ქცევა, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, შეზღუდული ბუნებრივი რესურსების პირობებში ვლინდება. ესაა სუბიექტი, რომელიც ყველგან და ყველგან თავისი უსაზღვრო მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად რაციონალური არჩევანის მეთოდს იყენებს. მასთან, მოსალოდნელ სარგებლიანობასთან შედარებით, დანაკარგების უპირატესობის ეფექტი უფრო მძლავრობს. იგი შინაგანი ნორმებით მოქმედებს და ინტერნალიზაციას⁴ უყურადღებოდ ტოვებს. იგი, როგორც რაციონალური ეგოისტი, სხვების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას იგნორირებას უკეთებს და ამით სოციალურ-იდეოლოგიურად უპირისპირდება კიდევ.

ეკონომიკური ადამიანის ქცევის მოდელი კაპიტალის მესაკუთრის ქცევითი მოდელის მსგავსია, რადგან ეს უკანასკნელი, მაქსიმალური მოგების მისაღებად, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირებას გამუდმებით ცდილობს, რისთვისაც მთელ ძალისხმევას შრომის ანაზღაურების შესამცირებლად წარმართავს. ამით ეკონომიკური ადამიანის თეორია და პრაქტიკა ადამიანთა შორის ანტაგონიზმის კულტივირებას ახდენს, რადგან კაპიტალის მესაკუთრეთა კეთილდღეობას ამაღლებს, ხოლო დანარჩენი მოსახლეობის ეკონომიკურ დეგრადაციას ინვესს. ფართო მასშტაბით, ადამიანთა ამგვარი ქცევა საზოგადოების პერსპექტიულ განვითარებას დიდად აფერხებს.

ეკონომიკური ადამიანის ქცევის საზოგადოებრივ ბუნებას საწარმოო რესურსების შეზღუდულობა წარმოშობს. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ეკონომიკური ადამიანი თავისი მზარდი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას არსებული რესურსების რაციონალური (ეფექტური) გამოყენებით ცდილობს. მაგრამ, ამგვარი ადამიანის ქცევა პრინციპულად წინააღმდეგობრივია, რადგან თუ მოხმარების მაქსიმიზაცია საზოგადოების მიზან-

4 გაშინაგანება, გათავისება; პროცესი, რომლის დროსაც სოციალური ღირებულებები, ნორმები და იდეები ინდივიდის მიერ აღიქმება როგორც ბუნებრივი და ნორმალური.

ნია, მაშინ საზოგადოების ყველა წევრის მაქსიმალური მოხმარება შეზღუდულ რესურსებთან მიმართებაში აშკარად დაპირისპირებაშია.

ბ) კრეატიული ადამიანის (Homo Sapiens Creativus) მოდელი

კრეატიული ადამიანი არის დემოკრატიული საზოგადოების ცენტრალური ფიგურა. იგი თვისებრივად სრულიად ახალი ტიპის ინდივიდია, რადგან შემოქმედებითი თვითრეალიზაცია მისი უმაღლესი ფასეულობაა. ესაა ადამიანი, რომელიც თავის სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობას ახალ იდეებსა და პროექტებს უკავშირებს. იგი მაღალმწარმოებლური ინდივიდია, რადგან ისეთ პროდუქციას (მომსახურებას) გენერირებს, რომელიც მის მიერ სიცოცხლის განმავლობაში მოხმარებულ სიკეთეს მრავალჯერ აღემატება.

თუ ეკონომიკური ადამიანი მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ზრუნავს, კრეატიული ადამიანი საზოგადოების განვითარებისთვის იღწვის, რადგან კრეატივი გაზიარების (ალიარების) გარეშე არაფერია. სხვა სიტყვებით: თუ ეკონომიკური ადამიანის ქცევის ვექტორი საკუთარი თავისკენაა მიმართული, კრეატიული ადამიანის, პირიქით, – სხვებისკენ ორიენტირებულია, თანაც, ამ სხვათა რაოდენობა დროსა და სივრცეში განუსაზღვრელია, რადგან მათთვის კრეატივი საყოველთაო საზოგადოებრივი სიკეთეა.

თანამედროვე ცივილური სამყარო სოციუმის წევრთა კრეატიულ განვითარებაზეა გათვალისწინებული. ამიტომ საგანმანათლებლო კომპლექსიც ადამიანთა კრეატიული აზროვნების ფორმირება-განვითარებაზეა ორიენტირებული. კრეატიული განათლება კი მოიცავს აღზრდის მთელ სისტემას: საბავშვო ბაღიდან დაწყებული, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებამდე და პრაქტიკულ საქმიანობამდე დამთავრებული. ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში კრეატიული პროფილის საწარმოები და ორგანიზაციები სჭარბობს. კრეატიულობა შეზღუდული რესურსების რაციონალური ათვისების, ხოლო ახლის შექმნის აუცილებელი ინსტრუმენტი ხდება, რაც საყოველთაო მოვლენად იქცევა.

კრეატიული ადამიანები საზოგადოებაში შემოქმედებით შრომას ფართოდ ავრცელებენ. ეკონომიკა განვითარების სრულიად ახალ თვისებრიობაში გადადის. ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა მხოლოდ კრეატიული ადამიანების განუსაზღვრელი შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებითა და გამოყენებით დაიძლევა. ეკონომიკური ადამიანი კრეატიული ადამიანით იცვლება. განუსაზღვრელი ინტელექტუალური რესურსებით კაცობრიობა უფრო პროგრესულ ცივილიზაციას ქმნის. საზოგადოების წევრთა მიზნები და ფასეულობები ტრანსფორმირდება, რადგან ეკონომიკურ ადამიანთა ინდივიდუალურ მიზნებს კრეატიული ადამიანების ზოგადსაკაცობრიო მიზნები ენაცვლება.

კრეატიული ადამიანების უმაღლესი მოთხოვნილებებით ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მა-

ტერიალურ და სულიერ სფეროებში ახალი იდეების გენერირება ხდება. მათი ეკონომიკური არჩევანი, უპირატესად, ინოვაციაზე კეთდება, რითაც საზოგადოების ყველა წევრის განვითარება და კეთილდღეობა მიიღწევა. კრეატიული ადამიანის შრომის ნაყოფიერება ეკონომიკური ადამიანის შრომის ნაყოფიერების დონეს დიდად აჭარბებს. საზოგადოება მისი წევრების მატერიალური კეთილდღეობის ამალღების ამოცანებს უფრო ეფექტურად უმკლავდება.

წინა ეპოქებში კრეატიული ადამიანის შრომის პროდუქტს, უპირატესად, ევოლუციური ხასიათი ჰქონდა. დღევანდელ პირობებში კი კრეატიულობა რევოლუციურ თვისებებს იძენს. როგორც ადრე, დღესაც კაცობრიობის ცივილური განვითარება კრეატიული ძალების განვითარების თვისებრივად ახალ დონეზეა დამოკიდებული. ნებისმიერი კრეატიული საქმიანობის მთავარი სუბიექტი თვით მისი შემოქმედია, მისი ახალი სოციალური სტატუსი და გარე სამყაროსთან ახალი ორგანული კავშირია. კრეატიულობაში ყველაზე მთავარი და საინტერესოა არა ნივთებთან, ოპერაციებთან ან იდეებთან, არამედ თვით ადამიანებთან ურთიერთობა. საბოლოო ანგარიშით, ერთნაირი ხარისხით, თვით კრეატიული პროვინება შემოქმედების როგორც სუბიექტად, ისე ობიექტად წარმოგვიდგება. კრეატიულობა ადამიანის სიცოცხლის არსად ყალიბდება. ფართო გაგებით, შემოქმედება ხომ „არყოფნიდან ყოფნაში გადასვლას“ ანუ სამყაროში ახლის, ადრე არარსებულის შემოტანას, „არაფრისგან რალაციის“ შექმნას ნიშნავს.

მართალია, ზოგადად, კრეატიულობა რაიმეს ცვლილებას გულისხმობს, მაგრამ არა ნებისმიერ ცვლილებას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც სოციალურ განვითარებას იწვევს, რადგან შემოქმედებითი საქმიანობით ახალი ფასეულობა იქმნება, რომელსაც სხვა ადამიანებისთვის რაიმე სიკეთე მოაქვს. ამით კრეატიული ადამიანი პრინციპულად განსხვავდება ეკონომიკური ადამიანისაგან, რომლის ქცევა პირადი მოთხოვნილებების რაციონალურ დაკმაყოფილებაზეა მთლიანად ორიენტირებული.

საზოგადოებრივ შრომაში კრეატიული ადამი-

ანების მასობრივად ჩართულობა ისეთ მაღალეფექტურ ეკონომიკას ქმნის, რომელშიც საზოგადოებრივი სიმდიდრე უფრო იზრდება. გარდა ამისა, დემოკრატიული ცივილიზაციის პირობებში, მილიონობით კრეატიული ადამიანების ერთობლივი შრომა ინოვაციური განვითარების პირობებს წარმოშობს, რითაც ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობის პრობლემა წყდება და მათი ინტელექტუალური უნარები სოციალურ განვითარების ეფექტურ რესურსებად იქცევა.

დასკვნა

1) ეკონომიკური ადამიანის მოდელი რესურსების შეზღუდულობის პრობლემას კი არ აგვარებს, პირიქით, კიდევ უფრო ამწვავებს და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პესიმისტურ პერსპექტივებს წარმოშობს;

2) კრეატიული ადამიანის მოდელით სრულიად ახალი და, თანაც, შეუზღუდავი ოდენობის ეკონომიკური რესურსები – კრეატიული ადამიანების ინტელექტუალური შესაძლებლობები ფორმირდება;

3) კრეატიული ადამიანის მოდელი მოითხოვს საზოგადოებაში ადამიანის ადგილისა და როლის სხვაგვარად შეფასებას, უპირველესად, საკუთრებით ურთიერთობათა სისტემის დემოკრატიზაციის მიმართულებით.

ლიტერატურა

1. არჩვაძე ი., ქურხული ლ. ეკონომიკური ფსიქოლოგია. „მერიდიანი“, თბ., 2010. 232 გვ.
2. Нейман Дж., Моргенштерн О. Теория игр и экономическое поведение. М.: Наука, 1970. 452 с.
3. Канеман Д., Словик П., Тверски А. Принятие решений в неопределенности: Правила и предубеждения. Харьков: Гуманитарный центр, 2005. 632 с.
4. Канеман Д., Тверски А. Рациональный выбор, ценности и фреймы // Психологический журнал. 2003. Т. 24. № 4. С. 31–42.

საჩუქარი, ღოვლათის განანიღების უნივერსალური ფორმა

დავით იაკობიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

РЕЗЬЮМЕ

Антропологи обратили внимание экономистов на древнейшую форму распределения продукции в форме подарка. Подарок, как акт добровольного выражения взаимоуважения между людьми, имеет экономическое содержание, которое можно рассмотреть как в микроэкономическом, так и в макроэкономическом аспекте исследования. Исходя из такого подхода, в данной статье обосновывается Подарок как экономическое явление, предшествующее натуральному обмену и способствующее формированию рыночного механизма обмена.

რეზიუმე

ანთროპოლოგებმა ეკონომისტების ყურადღება მიიქციეს პროდუქციის განანიღების უძველესი ნებაყოფლობითი აქტს საჩუქარს, როგორც ეკონომიკური შინაარსის მქონე საზოგადოებრივ მოვლენას. საჩუქარის ეკონომიკური შინაარსის კვლევისას ვლინდება მისი, როგორც მიკროეკონომიკური ასევე, მაკროეკონომიკური ასპექტები. გამომდინარე ასეთი მეთოდოლოგიური ნაწინამძვრიდან სტატიაში საბუთდება აზრი, რომ საჩუქარი, როგორც ეკონომიკური მოვლენა წინ უსწრებს ბროდუქციის ნატურალურ გაცვლას და განაპირობებს საფასო გაცვლისა და საბაზრო მექანიზმის წარმოშობას.

ძირითადი ტერმინები: საჩუქარი, გაცვლა, ანთროპოლოგია, მაკრო და მიკროეკონომიკა.

* * * *

საჩუქრის პრობლემა ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს და ყოველთვის აქვს ადამიანებს შორის გაბატუნებულ ურთიერთობათა სისტემიდან გამომდინარე ხასიათი. ანუ იგი ორგანულად ერთვება საზოგადოების მრავალმხრივ ურთიერთობათა რთულ ქსოვილში, როგორც მისი ერთერთი უჯრედი. საჩუქარი ადამიანების ცნობიერებაში უკავშირდება, როგორც ერთმანეთისადმი სიხარულის მინიჭებას, პატივისცემის გამოხატვას, ასევე ვალდებულებასაც. საჩუქრის მორალური ზეგავლენა პიროვნების ფორმირებაზე იმდენად ცხადად მიაჩნია ახალგაზრდობის აღზრდაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტებს, რომ ფართოდ იწერება სასწავლო დანესებულებებში ერთმანეთის დასაჩუქრების ტრადიციები. ზოგიერთ ქვეყანაში საჩუქრების დღეც არის კალენდარულად დანესებული და ადამიანები ცდილობენ ერთმანეთს ამ დღეს მცირედი სიხარული მოუტანონ.

ყველასათვის ცნობილია რამდენად სისხლბორცეულია საჩუქრის ტრადიცია ადამიანებში. ბევრ ქვეყანაში ქორწილებში, დაბადების დღეებზე, სახელის ხსენების დღეებში და სხვა სადღესასწაულო რიტულურ ღონისძიებებში საჩუქრების გარეშე წარმოუდგენელია. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს საჩუქარი ადამიანისათვის მძიმე, განსაკუთრებით ტრაგიკულ დღეებში. საჩუქრის მნიშვნელობა ადამინთა ურთიერთობების მონესრიგების და მათ შორის თანამშრომლობის ცივილიზებული ნორმების დამყარების საქმეში უდაოდ მნიშვნელოვანია. ამიტომ თვისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საჩუქარი უამრავი ფორმით გვხვდება და მუდმივად გამოდის საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესებში ერთგვარი სტიმულატორის როლში.

იქმნება გარემოებები, როდესაც საჩუქარი შესაძლებელია გადაიზარდოს თავის საპირისპირო, სავალდებულო საზოგადოებრივი ურთიერთობებში, გახდეს ადამიანურ დამოკიდებულებებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის განმსაზღვრელი. ამ თვალსაზრისით, ყურადსაღებია ემანუილ კანტის შენიშვნა, რომელსა ფართოდ მოუხმობენ ხოლმე მკვლევარები თავიანთი აზრის დასადასტურებლად, ადამიანს, რომელსაც არა აქვს შრომის უნარი, ან ნაწილობრივ შეზღუდულია მისი შესაძლებლობები გამოიმუშაოს მისთვის საჭირო საარსებო საშუალებები, ესაჭიროება დახმარება, რაც დამოკიდებულია დახმარების გამწვევი ადამიანების კეთილნებაზე, მათ გულმონაღობაზე, მაგრამ საზოგადოებამ საკმარისია შეიმუშაოს და მიიღოს საკანონმდებლო ნორმა, ასეთი ადამიანების მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ, რომ დახმარების მიღება, მათი უფლება გახდება. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ამ საკითხს უკავშირებს საზოგადოების სიმწიფეს. მისი აზრით განვითარებული საზოგადოება არ დაუშვებს, რომ არსებობის უფლების გარეშე დატოვოს ადამიანი. ამგვარად ის რაც არსებობდა საჩუქრის სახით და ქონდა ნებაყოფლობითი ხასიათი, საზოგადოების განვითარების კვალობაზე უნდა გახდეს ვალდებულება და მისი დაცვა განმტკიცდეს კანონმდებლობით. კანტის ეს მოსაზრება ბევრ რამეს გვიხსნის, კერძოდ საზოგადოება თუ სწორად ვთარდება და აღწევს გარკვეულ სრულყოფას, მაშინ ერთიანი სახელმწიფო ინსტიტუტები კანონმდებლობისა და მისი აღსრულების მექანიზმების სახით პასუხისმგებელი ხდება ადამიანებს შორის სამართლიანი, ჰუმანური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.

შესაძლებელია საჩუქარმა მიიღოს განვითარების

სხვა ფორმაც, იგი ნაცვლად იმისა, რომ კანონმორჩილი საზოგადოების ფორმირების საშუალება იყოს შეიძლება გადაიზარდოს კანონდარღვევითა მასტიმულირებელ მოვლენად, მოგვევლინოს საზოგადოებაში მახინჯი, ტრანსფორმირებული ურთიერთობების მექანიზმის სახით. მაგალითად შესაძლებელია საჩუქარი გახდეს ისეთი კორუფციული აქტის გამოვლენის ფორმა, რომელსაც ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში ქრთამს ეძახიან. ანდა, ნაცვალგებით განხორციელებული საჩუქარი გადაიქცეს ერთი პირის მიერ მეორის ექსპლოატაციის იარაღად. ამგვარად საჩუქარი გარდა იმისა, რომ იძლევა ადამიანებს შორის ჰარმონიული, მტკიცე ზნეობრივი ურთიერთობების დამყარების საშუალებას, იგი ერთგვარ საშიშროებასაც წარმოადგენს საზოგადოებისათვის. ამიტომ საჩუქარი, როგორც ადამიანებს შორის ზნეობრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საშუალება მრავალი სამეცნიერო დისციპლინის კვლევის საგანი გახდა. მას იკვლევენ ანთროპოლოგები, ფილოსოფოსები, ეთნოგრაფები, ლინგვისტები, იურისტები, მაგრამ ეკონომისტები ნაკლებად ირჩევენ შესასწავლად ამ, ისტორიულად მეტად მდგრად, საზოგადოებრივ მოვლენას.

უნდა იკვლევდნენ, თუ არა, ეკონომისტები საჩუქარს, როგორც ურთიერთობას რომელსაც ეკონომიკური შინაარსი აქვს, როგორც ეკონომიკურ მოვლენას? აქვე შევნიშნავთ, რომ ეკონომისტები საჩუქრის ცალკეულ ფორმებს, გრანტებს, ქველმოქმედების სხვადასხვა გამოვლინებებს, საერთაშორისო დახმარებებს, სოციალურ სარგოებს შეისწავლიან მათი მოქმედების მექანიზმებისა და წარმოშობის საერთო პირობებიდან გამომდინარე. მაგრამ ზოგადად, როგორ ურთიერთობათა გამოვლენის ფორმა, როგორც ეკონომიკური ცნება იგი შესწავლილი არ არის, არც ტერმინოლოგიაა დაზუსტებული. ამის მიზეზი კი ისაა, რომ საჩუქარს ეკონომისტები არ უკავშირებენ რესურსების ეფექტიანი გამოყენების კანონზომიერებებს და შესაბამისად არ მიიჩნევენ მას საკუთარი კვლევების ობიექტად. გამონაკლისია ის ეკონომისტები, რომლებიც შეისწავლიან ტრადიციულ ეკონომიკურ სისტემებს, სადაც საჩუქარი თავის გამოვლენის მრავალგვარი ფორმებით საზოგადოებაში ერთიანი დოვლათის განაწილების უმთავრეს ფორმას წარმოადგენს.

“ეკონომიკური იმპერიალიზმის” წარმომადგენლებიც კი, რომლებიც თვლიან რომ ეკონომიკა არა მხოლოდ კვლევის საგანია, არამედ მეთოდიცაა, საჩუქარს არ განიხილავენ, როგორც რაიმე საინტერსო მოვლენას. აგრეთვე, კორუფციის ისეთი ცნობილი სპეციალისტიც, როგორცაა სუზენ როუზ-აკერმანი ქრთამის ეკონომიკური შინაარსი დაადგინისას მას აკავშირებს არა საჩუქარს, არამედ ფასს და ფასწარმოქმნის პროცესს. მიუხედავად “საჩუქრისადმი” ეკონომისტების მიერ ასეთი “დემარშისა”, მისი კვლევა ეკონომიკის საგნის ფარგლებში აუცი-

ლებელია. ასეთი განცხადების საფუძველს მაძლევს ის გარემოება, რომ სხვა დარგის მეცნიერები ვინც საჩუქარს შეისწავლის ერთხმად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ იგი ეკონომიკური შინაარსის მატარებელია.

ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი ჟაკ დერიდე, სტალინური ეპოქის დახასიათების დროს, რუს ფილოსოფოსებთან საუბრისას შენიშნავს რომ, “ძღვენი და საჩუქარი ეს ვებერთელა პრობლემაა...” იგი რუს ფილოსოფოს ვიტტორ რიკლინს ტაქტიანად მიანიშნებს, რომ სტალინური ეპოქის შინაგანი ბუნების ახსნა საჩუქრის მეშვეობით შეუძლებელია.. და აგრძელებს, “რა თქმა უნდა ჰაიდეგერთან გვაქვს მცდელობა მოგვეცეს “ეს გიბიტ“-ის (არსებობა, მყოფობა გერმანულად) ახსნა, რომელიც ყოფიერების საკითხს მიღმა დგას, ან რომელიმე უღრმეს საფუძველს შეადგენს. ესაა (საჩუქარი დი.) კიდევ უფრო ფუნდამენტალური საკითხი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს “ეს გიბიტ”, რას ნიშნავს გებენ (გერმანულად მიცემა, მიწოდება, მნიშვნელობის მინიჭება). ვიღებ რა მხედველობაში ჰაიდეგერის ამ მცდელობას მინდა ვიპოვო გზა ძღვენის, საჩუქრის გაღების გააზრებისათვის. ... მე შევეცადე ჩუქების ცდის ფორმულირებას, თუკი საერთოდ არსებობს ის რასაც ჩუქება შეიძლება ვუნოდოთ, ის რაც ... განთავსდებოდა გაცვლის, ეკონომიკის მიღმა.”¹

შემდეგ, მსჯელობაში ჟაკ დერიდე ეყრდნობა ცნობილი ფრანგი ლინგვისტის ემილ ბენვენისტის კვლევებს და აღნიშნავს, რომ ბევრ სხვადასხვა ენაში მიცემა და აღება ერთი ძირიდან ნაწარმოები სუტყვებიაო. ფრანგი პროფესორის ამ თეზის ილუსტრაციას, ქართული ენის მაგალითზე, იქვე შენიშვნის სახით ახდენს მანანა კვაჭანტირაძე, მისი აზრით, გაღება-მიღება, ერთი ძირიდან “ილო” ნაწარმოები ზმნებია. ეს ლინგვისტური მოვლენა კი მონაშობს, რომ გაცემა და აღება ერთიდა იგივე მოვლენის მხარეებია. ჟაკ დერიდეს შეუძლებლად მიაჩნია საჩუქარი განიხილოს ეკონომიკის მიღმა. უფრო სწორად მისი მეთოდიან გამომდინარე მას არ მიაჩნია შესაძლებლად ძღვენისა და ჩუქების პრობლემას სხვა არა ეკონომიკური, გაცვლისგარეშე ლოგიკით განხილვა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ჟაკ დერიდე საჩუქარს განიხილავს ჩვენს დღევანდელობაში, პოზიციიდან “აქ” და “ახლა”, იგი მხოლოდ ცალკეული არგუმენტების სახით მოუხმობს ეთნოგრაფებისა და ანთროპოლოგების კვლევებს იმისათვის, რომ მისი დღევანდელი არსებობის სიღრმისეული მომენტები განიხილოს. მას მიაჩნია რომ საჩუქარს, მის ნებისმიერ ფორმაში ეკონომიკური შინაარსი აქვს და განვითარებული საბაზრო ურთიერთობების პირობებშიც ინარჩუნებს დამოუკიდებელ არსებობას. ადამიანებს შორის საბაზრო კავშირებმა მართალია, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემიდან გამოდევნა საჩუქარი, ჩაენაცვლა

1 იხ. ჟურნალი “სჯანი”, ფილოსოფია და ლიტერატურა, დიალოგი ჟაკ დერიდასთან, №10, 2008 “სჯანი”

მას, როგორც მისივე განვითარების მაღალი ფორმა, მაგრამ მთლიანად ვერ "გადაფარა" იგი და საჩუქარიც, როგორც ადამიანებს შორის წარმოქმნილ მორალურ ვალდებულებათა გამოვლენის მატერიალიზებული, ნივთიერი ფორმა, აგრძელებს არსებობას. ამ თვალსაზრისით, განვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობა გასაღები ხდება მისი განვითარებული ფორმების გაგებისათვის ისე, როგორც თავის დროზე სამართლიანად შენიშნა კარლ მარქსმა, ადამიანის ანატომია არის გასაღები მაიმუნის ანატომიის გაგებისათვის.

ფილოსოფიის სახელმძღვანელოებში² ხშირად მოყავთ მაგალითი თომას ჰობსის ბიოგრაფიიდან, რომელიც ცნობილი იყო მათხოვრებთან და მათხოვრობასთან თავისი შეურიგებელი დამოკიდებულებით. ერთჯერ თურმე ჰობსმა მათხოვარს ფული მისცა, იქვე მყოფმა მეგობარმა კითხა, რატომ მიეცი ფული, შენ ხომ არ მიგაჩნია სწორად, როდესაც კაცი მათხოვრობს და არც ის, როდესაც მათხოვრებს შეენევიანო. მან უპასუხა, ეს მე ჩემთვის გავაკეთე, მე გულს მიღონებს მისი ყოფა და ამიტომ თავიდან მოვიშორეო. აი, როგორც კი დაისვა მათხოვრობის კონკრეტული აქტისათვის, მოცემული შემთხვევისათვის მნიშვნელობის მინიჭების პრობლემა, მაშინვე იგი ჰობსმა ჩართო ეკონომიკიურ ღირებულებათა განხილვის სფეროში, ანუ გამოვიდა, რომ ჰობსი მათხოვარს უანგაროდ კი არ დაეხმარა, არამედ "იყიდა" მათხოვრისაგან, ერთგვარი კომფორტი. ქვეყნის ეკონომიკაზე პსუსხისმგებელი პირები, როგორც წესი, ასეთ მოვლენებს ანიჭებენ მნიშვნელობას და ცდილობენ შექმნან, ქალაქის თუ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობისათვის ასეთი კომფორტი, რომელიც ჰობსმა თვითონ გამოისყიდა ქუჩის მათხოვრისაგან.

გარდა იმისა, რომ საჩუქარს ჟაკ დერიდე და თომას ჰობსი ეკონომიკური შინაარსის საკითხად წარმოგვიდგენენ, არსებობს რეალური ეკონომიკური შინაარსის პრობლემებიც, რომლების შინაარსობლივი მახსიათებლების დადგენა საჩუქრის ცნებისა და მისი გამოვლენის მრავალგვარი ფორმების ანალიზის გარეშე შეუძლებელია. დღეისათვის, როდესაც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთობის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს განეული ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებები, ცხადად ჩანს, თუ რა ტენდენციებს აყალიბებს ამგვარი სისტემა მსოფლიოს მასშტაბით. ხშირად რომელიმე, განვითარებული და ძლიერი სახელმწიფოს წარმომადგენელისაგან, მეორე შედარებით სუსტი და განვითარებადი ქვეყნის მიმართ გამოთქმული სიტყვები: "ჩვენ მას დავეხმარებით", მოისმის, როგორც მუქარა სხვა ქვეყნების მიმართ, რაც ნიშნავს იმას, რომ მოცემული გეოპოლიტიკური არეალი, სადაც დახმარების მოსურნე ქვეყანა მდებარეობს, ამ ძლიერი და დიდი ქვეყნის

გავლენის სფეროში მოექცევა³. შესაძლებელია უამრავი მაგალითი მოვიყვანოთ ასეთი საჩუქრებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას განვითარებაში კი არ დაეხმარა, არამედ ჩართო შრომის დანაწილების ისეთ სისტემაში, რომლიდანაც თავის დაღწევა უდიდესი დანაკარგების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მე მხედველობაში მაქვს ჩვენს ქვეყანაში 1996-1994 წლებში განხორციელებული ინდუსტრიალური გარდაქმნები, როდესაც ეკონომიკა გამდიდრდა 22 ახალი საწარმოთი, მათ შორის ელმავალმშენებელი ქარხნით, და ისე ჩაერთო ერთიან სახალხო სამეურნეო კომპლექსში, რომ გამოსვლის შესაძლებლობები აღარ ქონდა.

მიუხედავად საკითხის სიცხადისა, ქვეყნები ხშირად იძულებულნი არიან, არა თუ თავი შეიკაონ ასეთი დახმარებისაგან პირიქით, ყოველგვარი დიპლომატიური და პოლიტიკური ღონე იხმარონ დახმარების მისაღებად. ვისაც ახსოვს 90-იანი წლების საქართველო მან კარგად იცის, რომ ევროკავშირის, აშს-ს, ნიდერლანდების და სხვა ქვეყნების ჰუმანიტარული დახმარების გარეშე ჩვენ უბრალოდ შიმშილი გველოდა. მაშინდელი ჰუმანიტარული დახმარება, ხორბალი, მარგარინი, ნავთობპროდუქტები იყო ის ერთადერთი სახსარი, რომელმაც შეგვანარჩუნებინა არა მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობა, არამედ საერთოდ გადაგვარჩინა ფიზიკურად. შემდეგში, როდესა შეიქმნა ჩვენი ქვეყნის რეალური პოლიტიკური კონტურები, მივიღეთ კონსტიტუცია, შევიმუშავეთ ქვეყნის ბიუჯეტი, შემოვიღეთ საკუთარი ფულადი ერთეული ლარი და სხვ. დახმარება არ შეწყვეტილა და დღესაც გრძელდება. თემურ ბასილიას მონაცემებით 1995-2015 წლებში საქართველომ მეგობარი ქვეყნებისაგან მიიღო ფინანსური დახმარება : ამერიკის შეერთებული შტატები 912 მილიონი აშშ დოლარი; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 118 მილიონი აშს დოლარი; ნიდერლანდების სამეფო 65 მილიონი აშშ დოლარი; იაპონია 40,9 მილიონი აშშ დოლარი; ჩინეთი 38 მილიონი აშშ დოლარი. ასევე სერიოზული ფინანსური დახმარება გაგვინია საერთაშორისო ორგანიზაციებმა: ევროკავშირი - 550 მილიონი აშს დოლარი; გლობალური ფონდი 56 მილიონი აშს დოლარი; მსოფლიოს ბანკი -22,3 მილიონი აშს დოლარი; გაეროს განვითარების პროგრამა 12,3 მილიონი აშშ დოლარი. საქართველოში მოქმედმა ტრანსეპროგრულმა კომპანიამ ბრიტიშ პეტროლიუმში 56 მილიონი აშშ დოლარი. ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ დახმარების გარეშე ჩვენ ვერ ვიქნებოდით განვითარების დონით იქ სადაც

3 დღეისათვის საქართველოში აქტუალურია მეზობელ დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხი. რომელიც ერთი მხრივ, ქვეყნის გეოპოლიტიკური როლიდან, ხოლო მეორეს მხრივ, გლობალიზაციის პროცესში აშშის, ევროკავშირის და სხვა დიდი სახელმწიფოების ინტერესებიდან გამომდინარეობს. ეს პრობლემა უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის და მას სპეციალური კვლევები ესაჭიროება.

2 იხ.ჯენი თეიჩმანი, ქეთრინ ევანსი, ფილოსოფია სახელმძღვანელო დამწყებთათვის, თბილისი. 2000. გვ. 90

ახლა ვართ და ჩვენი პოლიტიკური ორიენტაციაც არ იქნებოდა ისეთი, როგორც დღეს გვაქვს.

გარდა ასეთი საერთაშორისო ხასიათის დხმარებების შინაარსობლივი შესწავლისა, უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოსახლეობისადმი განეული სოციალური დახმარების შინაარსობლივი მახასიათებლების შესწავლა. ყველასათვის ცნობლია, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალურ დახმარებას იღებს მოსახლეობის 10 პოცენტზე მეტი. გარდა ამისა ქვეყანას არა აქვს საპენსიო სისტემა. პენსიების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტია, რითაც პენსია შინაარსით გაუთანაბრდა სოციალურ დახმარებას და მოწყდა თავის რეალურ შინაარსს. შესაბამისად ერთ "ქვაბში" აღმოჩნდა ყველა განურჩევლად, მიუხედავად პიროვნების წარსული დამსახურებისა საზოგადოების წინაშე და შრომითი ღვაწლისა. ეს პრობლემა ხლტქმნილია, იგი წარმოიშვა კახა ბენდუქიძის რეფორმების შედეგად, ხელისუფლება ვერ პოულობს გამოსავალს შექმნილი სიტუაციიდან, რადგან კონსტიტუციის ცნობილი 94 მუხლი მათ არ აძლევს საშუალებას იმოქმედონ ეფექტურად და საპენსიო რეფორმის მიმართულებით გადადგან ნაბიჯი. როგორც ზემოთ ემანუილ კანტის მოხმობისას აღვნიშნეთ ეს საკითხი საზოგადოების სიმწიფეს მის ზრდსრულობას უკავშირდება, ამიტომ გულისტკივილით მინდა შევნიშნო, რომ ჩვენი საზოგადოება, ამ მიმართულებით ინდიფერენტულია და არაფერს არ კეთებს საკუთარი სრულყოფისათვის. ამას ემატება ქუჩაში სამათხოვროდ გამოსულ ადამიანთა დიდი ჯგუფები, მართლმადიდებელ ეკლესიასთან თავმოყრილი მონყალების მომლოდინე ადამიანები, მედია საშუალებებით მუდმივი მონოდებები აღმოუჩინოთ დახმარება რომელიმე მოქალაქეს და ა.შ. ყოველივე მონმობს რომ ქვეყანაში ეროვნული პროდუქტის წარმოებასა განაწილების ერთიან პროცესში არსებითი ხარვეზებია, რომელთა დაძლევაც აუცილებელია. ამისათვის კი უამრავი სახვადასხვა ხერხი არსებობს, რომლების უმეტესობაც უკავშირდება ქვეყნის ეროვნული შემოსავლის გადანწილების წესებს და მექანიზმს. ამგვარად, ეკონომიკური შინაარსის გარეშე, ვერცერთი საჩუქართან დაკავშირებული პრობლემა, არა თუ გადაწყდება, ვერც განიხილება⁴.

4 ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თბილისის ქუჩებში დღეს ფართოდ გაშლილ სამათხოვრო ბიზნესის უკან არაჯანსაღი ზნეობრივი მრწამსის საფუძველზე ფორმირებული ლატენტური სოციალური ინსტიტუტი იმალება. ამას მონმობს მათხოვართა შორის ადგილების მკაცრი განაწილება, მათ მიერ, საკონტროლო ტერიტორიებზე მოქმედების ფორმები, მათი მეტყველება, ლექსიკა და სხვა ფაქტორები. მათთან ბევრჯერ მისაუბრია, ფარულად დამითვლია მათი შემოსავლები, რომლებიც დღიურად 50დან 70 ლარის ფარგლებში მერყეობს. ვიცნობ შორიასლო სავაჭრო დაწესებულებებში დასქმებული პირების, ვისაც გარემოებათა გამო მუდმივი კონტაქტი აქვთ მათხოვრებთან, შეხედულებებს ამ საკითხზე და ა.შ. მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი საზოგადოებრივი აზრის ფორმი-

მოტანილი არგუმენტები გვიჩვენებს, რომ საჩუქრის პრობლემა აქტუალურია და მისადმი გვმართებს დიდ ყურადღება გამოვიჩინოთ. მაგრამ არის სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც. მაგალითად საზოგადოებრივი ყურადღების საგანი გახდა, 2017 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ აუდიტორულ დასკვნა, ფონდ "იანანას" საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ. არ გასულა დიდი ხანი ამ დასკვნის გამოქვეყნებიდან და ყველანი მონმე გავხდით თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით გამართული საქველმოქმედო მატჩისა, ფეხბურთში. ასეთი ღონისძიებების გარდა ჩვენთვის ცნობილია ის დიდ წვლილი რასაც იღებენ ქართველი ბიზნესმენები ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა და ჩვენი ბუნების ფლორისა და ფაუნის შენარჩუნების მიმართულებით. მნიშვნელოვანია აგრეთვე საერთაშორისო ფონდების საქმიანობაც, რომელთა გრანტებითაც მრავალი ჩვენი მოქალაქე მივლინებულია საზღვარგარეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სამუშაოდ და სანავლებლად. აგრეთვე, ბევრი არაამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა ფინანსირდება უცხოური ფონდების და კერძო პირების გრანტებით.

საჩუქრისადმი ასეთი საყოველთაო მომხმარებლური დამოკიდებულება გადავიდა პოლიტიკის სფეროშიც. მიმდინარე 2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე ერთერთი პარტია მუდმივად პირდება ადამიანებს პენსიის მომატებას. ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ მათ გულწრფელად სჯერად, რომ დანაპირებს შესარულებენ, საჭიროა მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლა. ისეთ პირობებში, როდესაც საზოგადოებას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული რა რის პენსია, როგორი წყარო არსებობს მისი ფორმირებისა და რა მექანიზმებით ნაწილდება იგი, ამგვარი დაპირება ამომრჩეველთა მოსყიდვის მცდელობად ჩაითვლებოდა. ჩვენთან კი ყველას მიაჩნია, რომ ასეთი დაპირებები კანონიერია და პოლიტიკური სუბიექტებისათვის შესაძლებელი. ასეთივე პრობლემური საკითხია, ჩვენს ქვეყანაში, სახელფასო დანამატების არსებობა. რა არის ეს? ფინანსთა მინისტრის მოადგილის განმარტებით, რომელიც მან პარლამენტის კომისიასთან გააკეთა, საქართველოში საჯარო მოხელეთა ხელფასები დაბალია და მათი კომპენსაცია ხდება სახელფასო დანამატებით. ანუ საჩუქრებით რომელთა რაოდენობასაც თვით დასასაჩუქრებელი განსაზღვრავს. შრომის ანაზღაურების ასეთი მექანიზმი გაუგებარია საზოგადოებისათვის. სალი აზრი გვკარნახობს, თუ დაბალია ხელფასი მოუმატე კანონიერად, ნუ იყენებ მისი სრულყოფის ხელოვნურ მეთოდებს, რადგან ქვეყანაში მთავარია რებაზე მოქმედი ინსტიტუტების საქმიანობის შედეგია და ეს მავნე ტენდენცია უნდა მოისპოს. მით უფრო, რომ ისტორიულად საქართველოში მათხოვრები და სხვა უყოფაქცევო ლუმპენები ინოდებოდნენ, როგორც ლატაკები და ხოლო სიტყვა "ლატაკი" კი სულხან საბა ორბელიანის მიერ განმარტებულია როგორც უსინდისო უქონელი.

საფინანსო წესრიგი, მთავარია აღრიცხვა და ანგარიშგება დაექვემდებაროს ერთიან სტანდარტებს და არა მიმდინარე მომენტში, უცაბედად წარმოქმნილ სიტუაციურ თავისებურებებს.

საჩუქრის ეკონომიკური ანალიზის აუცილებლობის დასასაბუთებლად ჩვენს მიერ მოტანილი არგუმენტები ეკონომიკური პოლიტიკის და მაკროეკონომიკური განვითარების მექანიზმის სწორი ფუნქციონირების ამოცანებიდან გამომდინარეობს. მგრამ ისინი თავისი შინაარსით წარმოადგენენ დამოუკიდებელ საკითხებს, შესაბამისად ასეთი კითხვები ვერ განსაზღვრავენ საჩუქრის ადგილსა და როლს ეკონომიკურ თეორიაში. ეს შენიშვნა მისაღებია, მართლაც ასეა, პენსია იმდენად დიდი პრობლეა, რომ მისი გარკვევა საჩუქრის პოზიციიდან არ იქნებოდა სამართლიანი. არც საერთშორისო დახმარების პრობლემები აიხსნება მხოლოდ საჩუქრის პოზიციიდან. ეს მიდგომაც გასაგებია, მაგრამ ჩვენ არ ვამბობთ, რომ მხოლოდ საჩუქრის ეკონომიკური შინაარსის დადგენა შეგვაძლებინებს პასუხები გავცეთ დასმულ პრობლემებს. ჩვენ ვთვლით რომ საჩუქრის ეკონომიკურ შინაარსის დადგენით ჩვენ შევძლებთ უფრო ზუსტად გვმიჯნოთ სხვადასხვა ეკონომიკური მოვლენები ერთმანეთისაგან და დავადგინოთ ცალკეული ეკონომიკური პროცესების განვითარების ტენდენციები. ამიტომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ პრობლემის მიკროეკონომიკურ ანალიზს. ანუ იმის გარკვევას, თუ რას წარმოადგენს ეს მოვლენა ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით.

საჩუქრის მიკროეკონომიკური ხასიათი პირველად ანთოპოლოგებმა შენიშნეს. მათი კვლევები ამ მიმართულებით იმდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ მეოცე საუკუნის ბოლოსათვის გაჩნდა ახლი სამეცნიერო მიმართულება, რომელსაც ეკონომიკური ანთროპოლოგია ეწოდა. ამ ახლი სამეცნიერო მიმართულების წიაღში ბრონისლავ მალინოვსკის⁵ მცდელობით გაჩნდა მეცნიერებულის კვლევის

5 ბრონისლავ კასპარ მალინოვსკი, პოლონური წარმოშობის ბრიტანელი ანთროპოლოგი, რომელმაც შეისწავლა ოკეანეთის სხვადასხვა და ამერიკის ინდიელთა ტომები უშუალოდ ჩართულობის წესით (იგი მათთან ერთად ცხოვრობდა ითვისებდა მათ ცხორების წეს-ჩვეულებებს და ამით განსაკუთრებულად ფასეულს საველე მაალას მოიპოვებდა). ამ მასალაზე დაყრდნობით მან დაასკვნა, რომ კულტურა ხალხის განუყოფელი ნაწილია, იგი ანიჭებს ხალხს მთლიანობას და ამ თვალსაზრისით არ არსებობს "გადმონაშთები", პირიქით მათი საშუალებით ვლინდება, ამა თუ იმ ხალხის კულტურული თავისებურებები. ამიტომ მას მიიჩნევენ ანთროპოლოგიასა და სოცოლოგიაში ფუნქციონალური მიმართულების დამფუძნებლად, ლითაც იგი მეთოდოლოგიურად ახლოა ტორდენცენტულების ინსტიტუციონალიზმთან. აგრეთვე მან შექმნა სინტერესო თეორია, ამ ტომების ადებ მიცემობის წინააღმდეგ პერიოდის მორალურ და ეკონომიკური ვალდებულებების შესახებ. მის მონაცემებზე და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მარსელ მოსსმა და კარლ პოლანიმ შექმნეს საჩუქრის და მასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომი-

ახალი მიმართულება, რომლის კვლევის ერთერთ ობიექტს, სწორედ, საჩუქარი და პროდუქციის გაცვლა წარმოადგენდა პირველყოფილი ხალხებში.

ანთროპოლოგები, განვითარების საწყის საფეხურზე მყოფი კულტურებში, ყოფა-ცხოვრების ეთნოგრაფიული თავისებურებების კვლევისას, ამჩნევდნენ, რომ საქონელგაცვლის წარმოშობა და განვითარება საერთო, ზოგად კანონზომიერებებს ექვემდებარებოდა. კერძოდ, მეოცე საუკუნის დასაწყისში ფრანგმა ანთროპოლოგმა მარსელ მოსმა შენიშნა, რომ პირველყოფილ თემებში გაცვლს წინ უსწრებდა მატერიალური დოვლათის განაწილების ისეთი ფორმა, როგორიც იყო ჩუქება. შესაბამისად საჩუქარისა და ჩუქების მუდმივად გამეორებად აქტზე დაკვირვებით, მარსელ მოსი მივიდა დასკვნამდე, რომ ჩუქება თვით არის ერთგვარი გაცვლა, რომელიც უკავშირდება ადამიანებს შორის, ამ ჩუქების, საფუძველზე აღმოცენებულ მორალურ ვალდებულებებს. მოსმა ასეთი ვალდებულებების წარმოშობა დააკავშირა იმ ხალხის რელიგიურ მრწამსთან⁶ ვის წეს ჩვეულებებსაც იგი იკვლევდა და შენიშნა, რომ საკრალური და პროფანური დამოკიდებულებები ადამიანებს შორის, დოვლათის განაწილების თაობაზე, ერთიან საფუძველზე აღმოცენდებიან. საიდანაც გამომდინარეობდა დასკვნა, რომ გაცვლას აქვს თავისი საფუძველი და ეს საფუძველი არის ჩუქება. ჩუქება კი წარმოიშვება პირველყოფილი თემის შიგნით და თავისი შინაარ-

კური პროცესების საკუთარი კონცეფციები. ბრონისლავ მალინოვსკიმ თავის ნაშრომში "წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპიროს აარგონავტები" აღწერა საქონელგაცვლის განსაკუთრებული ინდიელთა ტომებისათვის დამახასიათებელი პროცესი "კულა", რომელიც თავისი გამოვლინებით, ზღვის ნიჟარებით სხვადასხვა ტომის ხალხის ერთმანეთის დასჩუქრებას წარმოადგენდა, მაგრამ შინაარსობრივად ეს ხალხი ყიდულობდა ერთმანეთისაგან კეთილგანწყობას, მშვიდობას, ურთიერთისადმი ნდობას.

6 მოსი საჩუქარს იკვლევდა ახალზელანდიელი, აბორიგენი ხალხის, მაურების, წესჩვეულებებზე დამყარებით, მან, მათი წმინდანების ტექსტების თარგმანებიდან ახსნა მოვლენის შინაარსი, ამიტომ ვერ შეძლო დაენახა ჩუქების, როგორც ზნეობრივი აქტის შინაგანი ბუნება და საკითხი მთლიანად, სასაჩუქრე ნივთისადმი მჩუქებლისა და საჩუქრის მიმღების დამოკიდებულებით ახსანა. ე.ი. მან პერსონალური ურთიერთობები კი არ დაინახა გაღება-მიღება აქტიში, არამედ ეს პერსონალური ურთიერთობები, ნივთის საკრალური თვისებებით ახსნა. კერძოდ, ის რწმენა, რომ თუ მჩუქებელს საჩუქარს არ დაუბრუნებ სახეს დაკარგავ, რადგან ის რაც გაჩუქეს, იმის ვინც გაჩუქა, სულიერების ნაწილია და შენზე იმოქმედებს შენი პირადობის წამშლელ ფაქტორად, ამიტომ თითქოს გაავაგებია, ის, რომ მოსი და მისი დრევეანდელი მიმდევრები, საჩუქარს განიხილავენ როგორც ერთგვარ ბაზარს, საბაზრო ურთიერთობების წარმოქმნამდე. განსაზღვრავს საჩუქრის დაბრუნების აუცილებლობას. ამისათვის მას აკრიტიკებდა ლევი-სტროსი და სხვები. მაგრამ მისი კრიტიკოსებიც ვერ წვდებიან პრობლემის სიღრმეს, რომელიც მაშინ იჩენს თავს, თუ საკითხს ნივთობრივ საბურველს მოვაშორებთ.

სით წარმოადგენს მორალურ აქტს. ასეთივე დასკვნებთან მივიდა ბრიტანელი მეცნიერიც ბრონისლავ მალინოვსკიც.

მარსელ მოსის ეს მოსაზრება, რომ პირველყოფილ ადამიანებში საჩუქარი, ჩუქება როგორც მორალური აქტი, ასრულებს მათ შორის ზნეობრივი ზემოქმედების საშუალების ფუნქციას, იგი გაცვლამდე აღმოცენდება და გარკვეულად მისი წინაპირობა ხდება, რადგან მხოლოდ საჩუქრის მიმღები, მხოლოდ სამაგიერო საჩუქრის "გადახდის" შემდეგ თავისუფლდება მჩუქებლის წინაშე წარმოქმნილი ვალდებულებისაგან, მისი მორალური გავლენისაგან, ანთროპოლოგიურ კვლევებში სერიოზული ყურადღების საგანი გახდა. მის ამ მოსაზრებას ზიგმუნდ ფროიდის მიერ ქვეცნობიერის აღმოჩენასაც ადარებენ. რადგან მარსელ მოსის მიერ საჩუქრის უმთავრეს მახასიათებლად ვალდებულების გამოყოფა (რაიმეს გაღება, მიღება და უკან დაბრუნება) მიაჩნია ჩუქების, როგორც საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფის სოციალური შინაარსის გამოვლენად⁷.

ამგვარად, მივედით იმ დასკვნამდე, რომ საქონელგაცვლას ისტორიულად წინ უსწრებს ჩუქება, აქტი რომლის შინაარსი ეკონომიკური ურთიერთობათა სფეროში მდებარეობს და რომლის მიზანიც ადამიანთა შორის მორალურ ვალდებულებების ფორმაში გამოვლინდება. ჩუქება, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამოვლენის მყარი, იდენტური და არსებითი ფორმა გასაგები ხდება გაცვლის შინაარსობრივი მახასიათებლების მეშვეობით. ამავ დროს, როდესაც დღეისთვის, განვითარებული საქონელგაცვლის პოზიციებიდან განვიხილავთ, საჩუქარს, და მის უამრავ სახესხვაობებს, მათ ერთიან საფუძველზე წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მას ორგანულად დავაკავშირებთ დოვლათის განაწილებასთან. მაგალითად თუ საჩუქრის პოზიციიდან განვიხილავთ, იმ მცირედ შესაწევარს, რასაც მათხოვარს უგდებენ მოხდილ ქუდში, ხედავ, რომ იგი ისეთი მოვლენაა, რომელიც არ მოითხოვს ნაცვალგებას. გაუგებარი იქნება ვინმემ მათხოვარს ფული მისცეს იმ აზრით, რომ ხვალ

7 იხ. თეა ქამუშაძე, მარსელ მოსის საჩუქრის თეორია და ქართული ეთნოგრაფიული მასალა.

ჩვენი როლები გაიცვლება, მის ადგილზე მე ვიქნები, ხოლო ის გამდიდრდება და შემეწევავო. ამიტომ ამ პრობლემას დოვლათის განაწილების პოზიციიდან არა აქვს ახსნა. როგორც კი მის ახსნას მოვინდომებთ, დოვლათის განაწილების არსებული საზოგადოებრივი სისტემის მეშვეობით, მაშინვე ჩნდება აუცილებლობა მივანიჭოთ მას გარკვეული აზრი, ანუ ფაქტი ვაქციოთ ინფორმაციად, რაც ხელმეორედ ჩართავს მას გაცვლის პროცესში, და ამ საჩუქარს ჩვეულებრივ პროზაულ ვალდებულებად აქცევს.

საჩუქრიდან გაცვლის "გამოყვანა", საჩუქრის ცნების ლოგიკური და ისტორიული პირველადობა გაცვლის პროცესისადმი საშუალებას გვაძლევს ახლებურად შევხედოთ საბაზრო ურთიერთობების ფორმირების მთელ ისტორიულ პროცესს და ახლი მეთოდოლოგიური ასპექტით განვიხილოთ საქონელგაცვლის, ფასისა და ფულის წარმოშობის საკითხები. ამასთან საჩუქრის საკითხის დაკავშირება ადამიანის მიერ რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხისადმი, რადგან მას ალტერნატიული ხასიათი აქვს, ახლებურად აგვიხსნის საბაზრო კონკურენციის პრობლემასაც და წარმოებული დოვლათის განაწილებისა და მითვისების დღევანდელ თავისებურებებსაც.

ბამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ემანუელ კანტი, წმინდა გონების კრიტიკა, შალვა პაპუაშვილის თარგმანი, რედაქტორი, გ.თევზაძე, თბილისი. 1978.
2. ჟაკ დერიდე, ჟურნალი "სჯანი", პროფესორ მანანა კვაჭანტირაძის თარგმანი და რედაქცია. 2012.
3. Конрад Лоренц, Восемь смертных грехов цивилизованного человечества. М. 2004 с. 12
4. იხ. Мюррей Ротбард, Государство и деньги: как государство завладело денежной системой общества. М. 1964
5. იხ. ჯენი თეიჩმანი, ქეთრინ ევანსი, ფილოსოფია სახელმძღვანელო დამწყებთათვის, თბილისი. 2000. გვ. 90
6. იხ. თეა ქამუშაძე, მარსელ მოსის საჩუქრის თეორია და ქართული ეთნოგრაფიული მასალა. თბილისი. 2015.

საქონური ეკონომიკური მოდელის
შემოღების საფრთხეები საქართველოში

შოთა ვეშაპიძე,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი

შოთა ყარალაშვილი,

თსუ, პირველი კურსის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ესტონეთი მისი პოლიტიკურ-ისტორიული კონტექსტის მიხედვით და გავლენებულია პარალელი საქართველოსთან. საუბარია ესტონეთის სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე, სოფლის მეურნეობის სექტორზე, ბიზნესგარემოსა და ეკონომიკურ პოლიტიკაზე, სტრუქტურულ რეფორმებზე. მოყვანილია საქართველოსა და ესტონეთის შედარებითი ანალიზი. ასევე სტატიას თან ახლავს კვლევის შედეგები რომელიც ჩატარდა მოქალაქეების მხრიდან ესტონური მოდელის ცოდნის, აღქმისა და დანერგვის შეფასებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ესტონური მოდელი, რეფორმა, საპენსიო სისტემა, პრივატიზაცია, ლიბერალური ეკონომიკა, კორუფცია.

THREATS OF ESTABLISHMENT OF ESTONIAN
ECONOMIC MODEL IN GEORGIA

Shota Veshapidze,

Doctor of Economics, Professor of Georgian Technical University,

Shota Karalashvili,

The student of First PhD Course, TSU

RESUME

The article has been reviewing Estonia according to its political-historical context and is influenced by parallel with Georgia. It concerns the social security system of Estonia, agriculture sector, business environment and economic policy and structural reforms. The article describes a comparative analysis of Georgia and Estonia. Also the article is accompanied by the results of the survey, which was conducted by the citizens in order to assess the knowledge, perception and implementation of the Estonian model.

Keywords: Estonian model, reform, pension system, privatization, liberal economics, corruption.

* * * *

ესტონეთის განვლილი გზა ძალიან ჰგავს საქართველოს ისტორიულ წარსულს და ყურადღებას იმ ფაქტი, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ სწორედ ესტონური მოდელი აირჩია საქართველოს მომავალი განვითარების ანბანად. საინტერესოა ის თუ რის საფუძველზე მოხდა მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, ეს არის მხოლოდ ქვეყ-

ანათა ისტორიული მსგავსებიდან გამომდინარე, თუ მოხდა სხვადასხვა მოდელების გაანალიზება და ქართული რეალობასთან ყველაზე მეტად ზემოაღნიშნული მოდელის თანხვედრა გამოვლინდა, ანდა იქნებ მხოლოდ პოლიტიკურ გათვლებთან გვაქვს საქმე და არსებულმა მმართველმა გუნდმა საკუთარ თავზე მოიგო საქართველოს განვითარების კურსი?! ამ ყველაფერზე რომ პასუხი მივიღოთ, მივყვეთ თანმიმდევრულად; 1938 წლის ესტონეთის კონსტიტუცია ითვალისწინებდა საპრეზიდენტო სახელმწიფოს მოდელს. პრეზიდენტი, როგორც ცალკე ინსტიტუცია, არ იყო მიჩნეული აუცილებლად და სახელმწიფოს წარმოადგენდა პარლამენტის თავმჯდომარე. დღევანდელი კონსტიტუციით, პრეზიდენტს სიმბოლურ ფუნქციებთან ერთად გააჩნია წარმომადგენლობითი ფუნქცია და ფორმალური საშინაო მოვალეობები. პარლამენტი კანონმდებლობის მიღებასთან ერთად ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და ირჩევს პრეზიდენტს. თუ გავავლებთ პარალელს საქართველოსთან, მაშინ ბევრ მსგავსებას დავინახავთ ამ ასპექტში; პრეზიდენტს დამოუკიდებელი საქართველოს მცირე ისტორიულ ორათეულწლოვან პერიოდში უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა ქვეყნისათვის, მაგრამ 2012 წლის არჩევნების შემდგომ ეს სურათი შეიცვალა და ამ ინსტიტუციას უფლებები შეეზღუდა, მაგრამ ერთი გარემოება მაინც უცვლელი რჩებოდა, რაც გულისხმობს პრეზიდენტის პირდაპირ არჩევითობას; აქაც ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ ესტონურ მოდელთან გარკვეული მსგავსებისკენ მივდივართ, რადგან აქტიური საჯარო მსჯელობა მიდის კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ, რომელიც გულისხმობს პრეზიდენტის პირდაპირი არჩევითობის წესის შეცვლას ე.წ. სამასი ხმოსანის მოდელით. რაც შეეხება მთავრობას საქართველოშიც და ესტონეთშიც სრულიად იდენტური მოდელია; მთავრობა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და იღებს გადაწყვეტილებებს მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით, რომელიც, ფაქტობრივად, სახელმწიფოს მეთაურია. ის პირდაპირ არ მართავს არც ერთ სამინისტროს, მაგრამ, კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის მუშაობის ზედამხედველია. ის მთავრობის შემადგენელი უდიდესი პარტიის მეთაურია. პრემიერ-მინისტრის მნიშვნელობა და როლი ხშირად დამოკიდებულია იმ პარტიის პოზიციაზე, რომელსაც ის მართავს კოალიციასთან მიმართებაში და პრემიერ-მინისტრის იმ

ზეგავლენაზე, რომელიც მას გააჩნია საკუთარ პარტიკულარში. მინისტრები ხელმძღვანელობენ სამინისტროებს იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიხედვით, რომლებიც მიღებულია მთავრობის მიერ. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხს ესტონეთში თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანო აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებს განეკუთვნება ისეთი საჯარო სერვისების მიწოდება, როგორებიცაა სასკოლო განათლება და სოციალური უზრუნველყოფის სფეროები.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ესტონეთში მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: პენსიები, ჯანმრთელობის დაზღვევა, უმუშევრობის დაზღვევა, სოციალური დახმარება უნარშეზღუდული ადამიანებისათვის და სახელმწიფო დახმარება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გახდნენ დანაშაულის მსხვერპლი. ესტონეთი არის ნევრი ევროპის სოციალური ქარტიისა, რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ სტანდარტებს ადამიანების სოციალური უფლებების დასაცავად. ასევე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსი, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების სოციალური უზრუნველყოფის სტანდარტებს კარნახობს შემდეგ სფეროებში: სამედიცინო მომსახურება, უმუშევართა დახმარება, უნარშეზღუდული ადამიანების დახმარება და მოწყვლადი ოჯახების დახმარება. ქვემოთ მოცემულია ძირითადი სფეროების მოკლე აღწერა.

საპენსიო სისტემა - ესტონეთის საპენსიო სისტემის მიზანია, დაეხმაროს პირს, შეინარჩუნოს შემოსავლები და ცხოვრების სტანდარტები საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგაც. ესტონეთის საპენსიო სისტემა შედგება სამი განსხვავებული საპენსიო პირველი განახლებული სახელმწიფო საპენსიო სქემა, მეორე — სავალდებულო დაფინანსებული საპენსიო სქემა და მესამე — ნებაყოფლობითი დამატებითი საპენსიო სქემა, რომელიც მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ საგადასახადო გამოქვითვების მეშვეობით.

პირველი : სახელმწიფო პენსიები - სახელმწიფო პენსიები დაფინანსებულია სოციალური გადასახადით, რომელსაც იხდის ყველა დამქირავებელი დასაქმებულების სახელით და თვითდასაქმებულები. სოციალური გადასახადის განაკვეთია მთლიანი შემოსავლის 33%. პენსიებისთვის გამოყოფილი სოციალური გადასახადის წილი 20%-ს შეადგენს (13% გამოიყოფა სოციალური დაზღვევისთვის). სახელმწიფო პენსია ეფუძნება გადანაწილების პრინციპს, რაც გულისხმობს შემდეგს: დღევანდელი დასაქმებულების მიერ გადახდილი სოციალური გადასახადით ფინანსდება დღევანდელი პენსიონრების პენსიები. სახელმწიფო პენსიები ორად იყოფა: დასაქმებულთა დასაქმებულ და მინიმალურ (ან ნაციონალურ) პენსიებად.

დასაქმებულთა დასაქმებულ დასაქმებულ პენსიები ანუ სტაჟის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული პენსიე-

ბი შეიცვალა სოციალური გადასახადის შენატანებზე დაფუძნებული სისტემით. მუშაობის ყოველი წელი 1999 წლამდე ჩაითვლება, როგორც მომსახურების თანაბარი შენატანი, ხოლო შენატანები, რომლებიც განხორციელებულია 1999 წლის შემდეგ, პენსიების სახით დაუბრუნდება იმ პიროვნებას, რომელმაც ეს შენატანი განახორციელა. მოხუცებულობის პენსიის მიღებისათვის პირს უნდა გააჩნდეს ესტონეთში მუშაობის მინიმუმ 15-წლიანი სტაჟი.

ესტონეთის საპენსიო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, პენსიაზე გავსლის ასაკი ადრინდელი 60,5-63 წლიდან (60,5 წელი - ქალები, 63 - კაცები) 2016 წლისთვის გათანაბრდა 63 წლამდე, 2026 წლიდან კი 65 წლამდე გაიზარდება. ამ გადაწყვეტილებასაც საფუძვლად სავსებით კონკრეტული გათვლები და პროგნოზები დაედო: 2030 წლისთვის ესტონეთში პენსიონერი-დასაქმებულის შეფარდება ქვეყნის მოსახლეობაში 1:4-დან 1:3-მდე შემცირდება. 50 წელიწადში კი ესტონეთის შრომისუნარიანი მოსახლეობა მესამედზე მეტით - 284 ათასი ადამიანით შემცირდება. თუ პირი მოხუცებულობის პენსიის მიღების შემდეგაც იმუშავებს, მიუხედავად მისი შემოსავლისა, მას მთლიანად გადაუხდებიან მოხუცებულობის პენსიას.

ეროვნული პენსია წარმოადგენს მინიმალური შემოსავლის გარანტიას იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ენიშნებათ დასაქმებასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის პენსია. ეროვნული პენსია ესტონეთის რეზიდენტების უფლებაა, რომლებმაც 63 წელს მიაღწიეს. ისინი იღებენ პენსიას მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წელი იმუშავეს, თუ ისინი ცხოვრობდნენ ესტონეთში ბოლო 5 წლის განმავლობაში და თუ სხვა სახელმწიფოდან არ იღებენ მოხუცებულობის პენსიას.

მეორე: სავალდებულო დაფინანსებული საპენსიო სქემა - დაფინანსებული პენსიები სახელმწიფოს მთავარი მხარდაჭერაა პენსიონრების დამატებითი შემოსავლით უზრუნველსაყოფად. ეს არის საპენსიო დანაზოგების გეგმა, სადაც პირი თავის პენსიას ინახავს ხელფასიდან 2%-ის საპენსიო ფონდში დარიცხვით. სახელმწიფო გამოყოფს დამატებით 4%-ს ხანდაზმულობის პენსიებისთვის სოციალური გადასახადიდან გამოყოფილი 20%-დან და იკავებს 16%-ს პირველი სვეტის პენსიონრებისათვის. სავალდებულო დაფინანსებულ საპენსიო სქემაში რეგისტრაცია სავალდებულოა იმ პირებისათვის, რომლებიც დაბადებულნი არიან 1983 წლის შემდეგ, ხოლო იმ პირებისათვის, რომლებიც 1983 წლამდე არიან დაბადებულნი, ამ სქემაში რეგისტრაცია ნებაყოფლობითია.

ნებისმიერ პირს შეუძლია, ერთი ფონდის ქვედანაყოფი მეორე ფონდის ქვედანაყოფზე გაცვალოს. დანაზოგები შენახულია პირის პირად საპენსიო ანგარიშზე და წარმოადგენს პირად მემკვიდრეობით აქტივებს. სოციალური გადასახადის შენატანები იგივე დარჩება, მიუხედავად იმისა, შეუერთდება თუ არა პირი მეორე სვეტს.

მესამე: ნებაყოფლობითი დამატებითი საპენსიო

სქემა - ნებაყოფლობითი დამატებითი საპენსიო სქემა დაფუძნებულია ინდივიდუალურ ნებაყოფლობითი საპენსიო შენატანებზე. მესამე სვეტი დაფუძნდა 1998 წლის შემდეგ, როდესაც საამისოდ აუცილებელი სამართლებრივი ჩარჩო ჩამოყალიბდა. ნებაყოფლობითი დამატებითი საპენსიო სქემაში მონაწილეობას აქვს ორი ფორმა: 1. კერძო კომპანიების მიერ შემოთავაზებული ლიცენზირებული სიცოცხლის დაზღვევის საპენსიო პოლისების შესყიდვა. 2. კერძო ფონდის მენეჯერების მიერ მართული ნებაყოფლობითი საპენსიო ფონდის პოლისის შესყიდვა.

ნებაყოფლობითი საპენსიო დაზღვევის მიზნით ესტონეთში მოქმედებს საგადასახადო შეღავათები იმ პირებისთვის, რომლებიც გადანაცვდნენ კერძო საპენსიო პოლისების შექმნას: 1. კერძო საპენსიო ფონდში გადახდილი შენატანები (საშუალო წლიური შემოსავლის მაქსიმუმ 15%-ის ოდენობით) გამოიქვითება დასაბეგრი შემოსავლებიდან; 2. შემოსავლები კერძო საპენსიო ფონდიდან, რომლის გადახდა მოხდება ერთჯერადად, დაიბეგრება 10%-იანი შეღავათიანი საშემოსავლო განაკვეთით, ნაცვლად 21%-იანი საშემოსავლო განაკვეთისა. თუ კერძო საპენსიო ფონდიდან საპენსიო ასაკში მიღებული შემოსავლები გადაიხდება ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურად, მაშინ ისინი გათავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისგან.

სოციალური შეღავათები ენიშნებათ ესტონეთში მუდმივად მცხოვრებ ზომიერი, მძიმე ან ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს. არსებობს სოციალური შეღავათების სხვადასხვა კატეგორიები და მათი განსაზღვრა ხდება სოციალური შეღავათების კურსის შესაბამისად. 2011 წლისათვის ეს კურსი 25,57 ევროს შეადგენს. უნარშეზღუდულ ადამიანებს 16 წლიდან საპენსიო ასაკამდე დახმარების სახით ყოველთვიურად ერიცხებათ გარკვეული რაოდენობის თანხა იმ დამატებითი ხარჯების დასაფარად, რაც მათი შეზღუდული შესაძლებლობებით არის გამოწვეული. 16 წლამდე უნარშეზღუდული ბავშვებისათვის დახმარების გადახდა ხდება ყოველთვიურად დამატებითი ხარჯების დასაფარად და სარეაბილიტაციო კურსით გათვალისწინებული მკურნალობის უზრუნველსაყოფად. ყოველთვიური დახმარება ეკუთვნით ასევე იმ უნარშეზღუდულ მშობლებს, რომლებსაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის შვილები.

უმუშევრობის დაზღვევა ითვალისწინებს შემოსავლების ნაწილობრივ კომპენსაციას, თუ უმუშევრობა გამოწვეულია სხვადასხვა გარემოებით. კანონი უმუშევრობის დაზღვევაზე ძალაში შევიდა 2002 წლის 1 იანვარს და უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა ხდება ესტონეთის უმუშევრობის ერთიანი ფონდიდან. უმუშევრობის დაზღვევის შენატანებს იხდიან როგორც დაქირავებულები, ისე დამქირავებლები.

ჯანდაცვის სისტემა - ჯანდაცვის დაზღვევის ფონდი ფარავს ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მომსახურების ხარჯებს ავადმყოფო-

ბის შემთხვევაში, მიუხედავად იმ ადამიანის მიერ შეტანილი სოციალური გადასახადისა, რომელსაც ეს ხარჯები ეხება. დაქირავებულები და თვით დასაქმებულები ესტონეთში იხდიან სოციალურ გადასახადს, რომელიც მიღებული შემოსავლების 33%-ს შეადგენს. აქედან შემოსავლების 20% მიემართება საპენსიო ფონდში (საპენსიო დაზღვევის პირველი სვეტი), ხოლო 13% — სამედიცინო დაზღვევის ფონდში.

სასწრაფო დახმარების საჭიროების შემთხვევაში პირს შეუძლია მიმართოს საგანგებო მიღებისთვის ან დაურეკოს სასწრაფო დახმარებას. პაციენტი ფულს იხდის განუვლი მომსახურებისთვის შემდეგ შემთხვევებში: 1. ამბულატორიული გამოკვლევა — ოჯახის ექიმის საფასური შეადგენს 3.2 ევრომდე. 2. სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება — საფასური 3.2 ევრომდე. 3. სასწრაფო დახმარებით სარგებლობა — უფასო. 4. ავადმყოფის საავადმყოფოში სამკურნალოდ მოთავსება — საფასური 1.6 ევრომდე დღეში 10 დღემდე, ყოველ ჰოსპიტალიზაციაზე. ოჯახის ექიმს გააჩნია მთავარი როლი ესტონეთის ჯანდაცვის სტრუქტურაში.

აქედან გამომდინარე, საქართველომ უნდა გააფართოვოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემები (უმუშევრობის დაზღვევა, ჯანდაცვა, ოჯახის დახმარებები, პენსიები), რადგან ეს არის სიღარიბესთან ბრძოლის წარმატებული მიდგომა. არსებობს უამრავი ფაქტი იმის დასადასტურებლად, რომ ჯანდაცვის, განათლებისა და ნაღდი ფულის გადარიცხვის სისტემებს საკმაოდ პოზიტიური სოციალური გავლენა აქვს განვითარების საფეხურზე მყოფ ქვეყნებში. „სოციალური უზრუნველყოფა არ არის სოციალური ხარჯი, არამედ, ეს არის ინვესტიცია სიღარიბისა და სოციალურად დაუცველი ფენის ზრდის თავიდან ასაცილებლად, სოციალური თანხმობისა და მშვიდობის, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, მთავარი საკითხი ის კი არ არის, რომ დაბალშემოსავლიან სახელმწიფოებს შეუძლიათ ჰქონდეთ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, არამედ ის, შეუძლიათ თუ არა მათ, რომ არ ჰქონდეთ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა.

შევვხვით საქართველოს საპენსიო სისტემას და იმას თუ რამდენად შეიძლება გამოყენებულ იქნას მსოფლიო მოდელები არსებული საპენსიო სისტემის დასახვეწად. თანამედროვე მსოფლიოს განვითარებულმა სახელმწიფოებმა დიდი ხანია გააცნობიერეს საპენსიო სისტემის რეფორმირების აუცილებლობა, რომელიც ადეკვატური იქნება ცივილიზებული სამყაროს წინაშე არსებული ფინანსური, დემოგრაფიული და ეკონომიკური გამოწვევებისა. მოსახლეობის მატებისა და დაბერების, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის, გახშირებული ფინანსური კრიზისებისა და შრომითი ძალის შემცირების ფონზე, გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან დღის წესრიგში დგება საპენსიო სისტემების გადაუდებელი რეფორმირების საკითხი. სწორედ აღნიშნულს ეხმიანება 1994 წელს, მსოფლიო ბანკის ეგიდით გამოქვეყნებული პირველი პუბლიკაცია. აღნიშნული

დოკუმენტით, მსოფლიო ბანკმა დაადასტურა, რომ პრობლემა რთულად სამართავია, საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები კომპლექსური, ხოლო არსებული სისტემის ახლით ჩანაცვლება გადაუდებლად აუცილებელი.

საქართველოს მთავრობის მიერ გაცხადებული ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ერთის მხრივ, იმგვარი ეკონომიკური რეფორმების გატარება, რომელიც შექმნის თანამედროვე, ინკლუზიურ და ლიბერალურ ეკონომიკურ გარემოს ქვეყანაში და მეორეს მხრივ, იქნება ადეკვატური საერთაშორისო დონეზე არსებული ეკონომიკური ძვრებისა და გახშირებული ფინანსური კრიზისების მიმართ. დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში, სწორედ ზემოაღნიშნულ მიზნებს ემსახურება.

საქართველოს დღევანდელი საპენსიო სისტემა ორი, არათანაბარი ნაწილისგან შედგება: 1. სახელმწიფო საპენსიო სისტემა - ფიქსირებული პენსიების გაცემას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ახდენს; 2. არასახელმწიფო (კერძო) საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა, რომელსაც მთლიანი ბაზრის უმნიშვნელო ნაწილი უკავია, არ გააჩნია აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა ოპერირებისთვის, მაგრამ რომც გააჩნდეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს იმ რაოდენობის შემოსავალი, რომ კერძო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაზე დაიწყოს ფიქრი და ამიტომ აღნიშნული საკითხი იმყოფება განვითარების საწყის სტადიაზე.

ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საბიუჯეტო პოლიტიკის პრიორიტეტები, აგრეთვე, დემოგრაფიული სურათის დინამიკა მიუთითებს, რომ სოციალური ვალდებულებები საქართველოს ეკონომიკისა და საბიუჯეტო სახსრებისათვის მძიმე ტვირთია. 2008-2015 წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბიუჯეტის მიმდინარე სოციალური ხარჯების წილი საკმაოდ მაღალია, თუმცა ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში. 2013-2015 წლებში სოციალური ხარჯები მთლიანი ხარჯების თითქმის მესამედს უტოლდება. ამასთან, 2015 წლის ბიუჯეტის სოციალური ხარჯების ყველაზე დიდი ნაწილი, 1 390 მლნ ლარი, საპენსიო უზრუნველყოფაზე მოდის.

რეფორმა, რომლის განხორციელებაც იგეგმება და რასაც ავალდებულებს ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს გულისხმობს, რომ დასაქმებული გადაიხდის 2 პროცენტს, დამქირავებელიც 2 პროცენტს და ასევე სახელმწიფო შევა კონტრიბუციის სახით 2 პროცენტით. მოხდება თანხების აკუმულირება და შემდგომ აღნიშნული ფონდიდან პენსიების გაცემა. საქართველოში საპენსიო რეფორმას ამძიმებს ის გარემოება, რომ ჩვენ არ გვაქვს სოციალური გადასახადი, რასაც, როგორც ესტონური მოდელის მაგალითზე ვხედავთ, ევროპის ქვეყნებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამ-

სახურის მიხედვით, 2015 წლისათვის შემცირდა მოსახლეობის რიცხოვნობა და საერთო რაოდენობაში გაიზარდა 65 წელს გადაცილებულ პირთა წილი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია კერძო სექტორთან თანამშრომლობა და რისკების დივერსიფიკაცია ყველა იმ მიმართულებით, სადაც ამის რეალური შესაძლებლობა არსებობს. ამდენად, საპენსიო რეფორმის განხორციელება არა მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური საფუძვლებით ნაკარნახევი, არამედ რეალურად დამდგარი აუცილებლობაა.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სფეროს ესტონეთში, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ეჭირა მნიშვნელოვანი როლი. ამ პერიოდში ესტონეთში წარმოებული რძის და ხორცის პროდუქციის თითქმის 30-50% ექსპორტზე გადიოდა. 1995 წელს ესტონეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება შეადგენდა ევროკავშირის მთლიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაახლოებით 0.13%-ს. 1996 წელს სოფლის მეურნეობის სექტორს მშპ-ში ეკავა 5.2% და ამ სექტორში დასაქმებული იყო სამუშაო ძალის 8.1%. გასათვალისწინებელია, რომ 1991 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი 18.4%-ს შეადგენდა.

1991 წლიდან 2000 წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორის წილი ეკონომიკაში თითქმის 80%-ით შემცირდა. სოფლის მეურნეობის სექტორის წილის შემცირება თვისთავად მოხდა და არა რაიმე ხელოვნური ჩარევის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა პროდუქტიულობა სხვა სექტორებში დასაქმებულთა საშუალო პროდუქტიულობასთან შედარებით დიდად არ განსხვავდებოდა ბალტიის სხვა ქვეყნების იგივე მაჩვენებლისგან.

სოფლის მეურნეობისა და მიწის მფლობელობასთან დაკავშირებული რეფორმები მიზნად ისახავდა დიდი ზომის კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფერმების დაყოფასა და საოჯახო ფერმების ჩამოყალიბებას. მიწის პრივატიზაციის ეს პროცესი მოითხოვდა მიწების დაბრუნების შესახებ საჩივრების განხილვას, მიწის გაყიდვასა და ზოგიერთ შემთხვევებში პრივატიზაციის ობლიგაციებიდან კომპენსაციების გადახდას. ფერმების რესტრუქტურისაციის შედეგად შეიქმნა საკმაოდ ბევრი 4 ჰექტარამდე პატარა ზომის გაერთიანება.

საქართველოშიც რეფორმის შემდგომი პერიოდის დრო და დრო აქტუალური ხდებოდა სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხი, პერიოდულად მოდიოდა სხვადასხვა ინიციატივების ტალღები, როგორებიცაა: სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, იაფი აგრო სესხი, სასოფლო სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფა, ფერმერთა გადამზადების პროგრამები და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა რეალური შედეგი ვერცერთმა ნამოწყებამ ვერ გამოიღო, რაც მოგვცემდა განვითარებულ სოფლის მეურნეობის სექტორს; ყოველწლიურად თავს იჩენდა არსებული მოსავლის გასაღების პრობლემა, ეს საკითხი საკმაოდ

მწვავედ იდგა კახეთის რეგიონში, როდესაც გლეხთა გარკვეულმა ნაწილმა ვენახები სხვა ნარგავებით ჩაანაცვლეს; ასევე აღსანიშნავია გურია-აჭარის რეგიონში ციტრუსის ჩაბარების პრობლემა, რამაც საკმაო ზარალი მიაყენა გლეხებს. ზემოაღნიშნული საკითხები ხშირად კავშირშია გასაღების ბაზრების არ ქონასთან, აქვე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და სტაბილური გარემო, ასევე საუბარია პროდუქციის ხარისხზე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ევროპულ მოთხოვნებს; მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად, რომ სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცევა აგრო სფეროს, როდესაც ქვეყანას ამხელა პოტენციალი აქვს და შეუძლია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ექსპორტიორი გახდეს.

რაც შეეხება ესტონეთის ეკონომიკას მისი მთავარი მახასიათებელი მოქნილობა და გახსნილობაა. ესტონეთის ეკონომიკა მიჩნეულია ერთ-ერთ ლიბერალურ ეკონომიკად მსოფლიოში. 2016 წლის მონაცემებით, 178 ქვეყანას შორის, ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით ესტონეთი მე-9 ადგილზეა, ხოლო საქართველო 23-ე. მსოფლიო ბანკის 2016 წლის მონაცემებით, 190 ქვეყანას შორის, ესტონეთი მე-12 ადგილზეა ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით და უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორებიცაა: გერმანია, შვეიცარია, საფრანგეთი, ნიდერლანდების სამეფო, კანადა. საქართველო რამდენადმე ჩამორჩება ესტონეთს და მე-16 ადგილს იკავებს, მაგრამ იგი ბევრ მასზე დიდ და განვითარებულ ქვეყანას უსწრებს აღნიშნული ინდექსის მიხედვით.

თანსპარენჯეც ინტერნაციონალ-ის მიერ 167 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც შეეხება კორუფციის აღქმის ინდექსს ესტონეთი 24-ე ადგილს იკავებს და უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორცაა საფრანგეთი და იტალია. კორუფციის აღქმის ინდექსი იმის მიხედვით ანიჭებს ქვეყანას ქულას და ახდენს მის რანგირებას, თუ რამდენად კორუმპირებულად აღიქმება საჯარო სექტორი ამ ქვეყანაში. ეს ინდექსი სხვადასხვა კვლევების კომბინაციაა. ამ კვლევებს დამოუკიდებელი და რესპექტაბელური ინსტიტუტები ახორციელებენ და გამოკითხავენ კორუფციის თემაზე მომუშავე ექსპერტებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს. კორუფციის აღქმის ინდექსი ასახავს მოსაზრებებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის იმ ექსპერტებისას, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ იმ ქვეყანაში/ტერიტორიაზე, რომელსაც ქულას ანიჭებენ. საქართველო ამავე რეიტინგში 48-ე ადგილს იკავებს და უკეთესი მაჩვენებელი აქვს ვიდრე იტალიას, უნგრეთს, ხორვატიას, რუმინეთს და სხვ.

კორუფციის პრობლემა სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის მხრივ ერთერთი უმთავრესი ფაქტორია. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კორუფცია სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემად იქცა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის განვითარებას, ვინაიდან აფერხებდა როგორც ქვეყნის

ეკონომიკურ ზრდას, ისე მოსახლეობის თანაცხოვრების საზოგადოებრივ ნორმებსა და ინსტიტუციონალურ მოწყობას.

როგორც ევროკავშირის ქვეყნები ასევე საქართველოც სისტემატიურად მუშაობს და ხვეწს ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიას, იღებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ვალდებულებებს და დიდ ყურადღებას უთმობს აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

საქართველომ არაერთი ძირეული და რთული რეფორმა განახორციელა კორუფციასთან ბრძოლის წინააღმდეგ. მინიმუმამდე არის დაყვანილი ბიზნესს, ბანკებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის კომუნიკაცია, რაც თავის მხრივ კორუფციული რისკების შემცირების საწინდარია. სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვა და ხარჯვა, საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, საბანკო და საბუღალტრო ოპერაციების წარმოება, სახელმწიფო ქონების განკარგვის საკითხები და სხვა, დღეის მდგომარეობით წარმოებს ელექტრონულად, ადამიანური ურთიერთობების გარეშე.

ანტიკორუფციული რეგულაციები მეტწილად გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მიხედვითაც დასჯადია კორუფციული გარიგების ძირითადი ტიპები. ამასთან, ამ კანონის რეგულირების მიღმა რჩება და არც ერთი სახელმწიფო დაწესებულების კომპეტენციას არ წარმოადგენს ისეთი საკითხების შესწავლა და გამოვლენა როგორცაა: საჯარო სამსახურიდან მოხელეთა უკანონო გათავისუფლება, სამსახურში თანამშრომელთა მისაღები კონკურსების დარღვევებით წარმართვა, თანამდებობის პირთა მიერ ოჯახის წევრების იმავე ან აღნიშნულ უწყებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმების ფაქტები და სხვა.

სწორედ კორუფცია და მასთან დაკავშირებული დომინოს ეფექტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ დაბრკოლებას ესტონური მოდელის დანერგვისათვის და არა მარტო, ზოგადად საქართველოს მომავლის ევროპულ რელსებზე გადასვლის პერსპექტივისათვის. კორუფციასთან დაკავშირებული სხვადასხვა კვლევების შედეგების ანალიზიდან გამომდინარე შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: მოქალაქეთა უმრავლესობისთვის ქრთამი წარმოადგენს კორუფციას, ხოლო კორუფციული გარიგებების სხვა ფორმები მათთვის უცნობია. სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმის გატარების ფაქტი დადებითად არის შეფასებული, მაგრამ აღსრულების დონე დაბალია, შესაბამისად კორუფციული გარიგებების ყველაზე მაღალი ალბათობის სფეროებად „სახელმწიფო შესყიდვები“ და „სამშენებლო ნებართვები“ გამოიკვეთა. თუ გადავხედავთ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ ნორმებს და პრაქტიკაში დანერგილ პროცესებს დავინახავთ, რომ ამ სფეროში სახელმწიფო საკმაოდ მაღალ სტანდარტებს აწესებს და უზრუნველყოფს პროცესების მაქსიმალურ გამჭვირვალობას, რასაც

ვერ ვიტყვიტ სამშენებლო ნებართვების სფეროსთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად მიჩნეულია არსებული რეგულაციების აღსრულების დონის გაზრდა.

სწორედ იმის გასარკვევად თუ როგორ აღიქმება საქართველოს მოქალაქეებში ზემოაღნიშნული რეიტინგების საკითხები, რა სურათს ხედავენ ისინი რეალობაში, რამდენად იზიარებენ მთავრობის ერთუზიანზმს ესტონური მოდელის დანერგვის შესახებ, ჩატარდა გამოკითხვა, რის შედეგადაც გამოიკითხა ორასი პირი რომელიც უფრო მეტად ერკვევა ესტონურ მოდელში და ასევე საქართველოში არსებული ვითარების კომპეტენტურად შეფასებისთვის მეტი ცოდნა გააჩნია.

გამოკითხულები დაიყო განათლების დონის მიხედვით, სადაც საერთო სურათიდან დოქტორის ხარისხის მქონე არის 1,5%, დოქტორანტი - 2%, მაგისტრი - 40,8%, მაგისტრანტურის სტუდენტი - 19,9%, ბაკალავრი - 33,2%, ბაკალავრიატის სტუდენტი - 1,5%, ხოლო საშუალო განათლების მქონე - 1%. მათ შეეძლოთ კითხვარში არსებული შეკითხვებისთვის არსებული პასუხებიდან ამოერჩიათ ერთ-ერთი ან თავად ჩაენერათ პასუხი. პირველ კითხვაზე, თუ რამდენად მისაღებია ესტონური მოდელი საქართველოსთვის, პასუხის გაცემა რომ გაადვილებოდათ გამოკითხულებს კითხვარს შესავლის სახით ახლავს ესტონური მოდელის მოკლე აღწერა; აღნიშნულ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: მისაღებია სრულად - 6,9%, მისაღებია ნაწილობრივ - 59,3%, არ არის მისაღები - 27,9%, არ მაქვს მოსაზრება - 2,5%, სხვა - 3,9%. მეორე კითხვაზე, არის თუ არა ქვეყანა მზად მსგავსი ტიპის ცვლილებებისათვის, შემდეგი სურათი შეიქმნა: გამოკითხულთა 6,4% ფიქრობს რომ ქვეყანა სრულიად მზად არის, 52%-ის აზრით მზად არის ნაწილობრივ, 34,8% თვლის, რომ არ არის მზად, 3,9%-ს არ აქვს მოსაზრება ამ საკითხზე, ხოლო 3,4%-მა განსხვავებული პასუხი დააფიქსირა. მესამე კითხვა შეეხება თავად გამოკითხულებს და ინტერესდება რას ფიქრობენ ისინი ან რა მოლოდინი აქვთ, როგორ იმოქმედებს პირადად მათ კეთილდღეობაზე ესტონურ ეკონომიკურ მოდელზე გადასვლა; პასუხების მიხედვით დადგინდა, რომ გამოკითხულთა 11,8%-ს დადებითი მოლოდინები აქვს, უარყოფით ზეგავლენას ელის 27%, 59,3% თვლის რომ მათთვის არანაირი ცვლილება არ იქნება, 2%-ს არ აქვს მოსაზრება, სხვა - 0,5%. მეოთხე კითხვა მდგომარეობს შემდეგში, თუ როგორ იმოქმედებს ესტონური მოდელი საქართველოს ეკონომიკაზე; უმრავლესობის აზრით (45,1%) არანაირი ზეგავლენა არ მოხდება, 12,3% ფიქრობს, რომ ქვეყნის ეკონომიკა გაიზრდება, 19,1% ეკონომიკის შემცირებას ვარაუდობს, ხოლო 22,5%-ს არ აქვს მოსაზრება. მეხუთე კითხვა აჩვენებს, თუ როგორ ხედავენ საქართველოს მოქალაქეები ქვეყანაში არსებულ უმუშევრობის პრობლემას და უმრავლესობის აზრით (67,2%) სახელმწიფოში უმუშევრობის დონე არის მაღალი, 23,1% თვლის, რომ საშუალო უმუშევრობის დონეა, მინიმალურად მიაჩნია 5,6%-ს,

ხოლო მოსაზრება არ აქვს 4,1%-ს. მეექვსე კითხვა გამოძახილია წინა კითხვის და არკვევს, თუ, რამდენად შესაძლებელია მიღებულ განათლებასთან შესაბამისი სამუშაო ადგილის პოვნა; გამოკითხულთა ხმები შემდეგნაირად გაიყო: 5,6%-ის აზრით შესაძლებელია ყოველთვის, უმრავლესობა (61,7%) ფიქრობს, რომ შესაძლებელია, მაგრამ იშვიათად, ეს შეუძლებლად მიაჩნია 30,1%-ს და არ აქვს მოსაზრება 2%-ს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი დართული აქვს კითხვარს და ამ ცხრილიდან გამომდინარე, რომელიც შედგენილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურისა და მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, დასმულია კითხვა, თუ რამდენად შესაძლებლად მიაჩნიათ გამოკითხულებს, რომ საქართველოში არსებული სურათი, რომელიც შეეხება დასაქმებულთა წილს სექტორების მიხედვით, ესტონური მოდელის დანერგვის შემდგომ მიუახლოვდეს ესტონეთში არსებულ დღევანდელ სურათს; ეს შეუძლებლად მიაჩნია 38,5%-ს, შესაძლებელია თვლის 23,6%, ხოლო მოსაზრება არ აქვს 36,9%-ს (იხ. ცხრილი 1).

შემდეგი კითხვა შეეხება მოლოდინებს, თუ რა ინფორმაციას ფლობს გამოკითხული, როგორია მის გარშემო მოლოდინები ესტონური მოდელის შემოღებასთან დაკავშირებით; 10,3%-ის ირგვლივ დადებითი მოლოდინები აქვთ მოქალაქეებს, 21,1%-ის გარემოცვა უარყოფით შედეგებს მოელოს, ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ 25%-ის გარშემო მყოფ ადამიანებს, ხოლო არანაირ ინფორმაციას არ ფლობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 43,6%. კითხვაზე, უცვლელად უნდა დაინერგოს ესტონური მოდელი თუ უნდა მოხდეს მისი ქართულ რეალობაზე მორგება, უმრავლესობამ (79,2%) ცალსახად გასცა პასუხი, რომ უნდა მოხდეს საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინება; 19,8% ფიქრობს, რომ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო 1%-ს არ აქვს მოსაზრება. ზემოთმოყვანილ კორუფციის აღქმის ინდექსის რეიტინგს სკეპტიკურად უყურებს საქართველოს მოსახლეობა, რადგან კითხვაზე არის თუ არა სახელმწიფოში კორუფცია, გამოკითხულთა 62,8%-მა დადებითი პასუხი გასცა, აქვე განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა 1%-მა და ისინი ფიქრობენ რომ არის ნაწილობრივ ან მინიმალურიზებულიად, 29,6% თვლის რომ არ არის ქვეყანაში კორუფცია, ხოლო 6,6%-ს არ აქვს მოსაზრება. რაც შეეხება ნეპოტიზმს, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (94,4%) ფიქრობს, რომ საქართველოში არის ნეპოტიზმის პრობლემა, 3,1%-ს მიაჩნია, რომ არ არის, 2,6%-ს არ აქვს მოსაზრება, ხოლო ერთი გამოკითხულის აზრით ეს პრობლემა ძირითადად ადგილობრივ თვითმმართველობებშია. კითხვაზე, საქართველოს ესტონურ მოდელზე გადასვლა შეცვლის თუ არა არსებულ სურათს კორუფციისა და ნეპოტიზმის კუთხით უკეთესობისკენ, დადებითი პასუხი გასცა 7,1%-მა, 41,3% თვლის, რომ არაფერი შეიცვლება, ნაწილობრივი გაუმჯობესების პროგნოზს აკეთებს 42,9%, ხოლო არ აქვს მოსაზრება 7,7%-ს.

კითხვარის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ

ცხრილი N1

	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (2015)	ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან	ურბანიზაცია	დასაქმებულთა წილი სექტორების მიხედვით			გზავნილების წილი ეკონომიკაში
				მომსახურება	მრეწველობა	სოფლის მეურნეობა	
1. ესტონეთი	28,600	9%	67%	68%	28%	4%	2%
2. ლიტვა	28,400	45%	67%	72%	20%	8%	3%
3. ლატვია	24,700	36%	67%	67%	24%	9%	5%
4. რუსეთი	25,400	9%	74%	63%	28%	9%	1%
5. ყაზახეთი	24,300	24%	53%	62%	12%	26%	0%
6. აზერბაიჯანი	18,000	20%	55%	50%	12%	38%	3%
7. ბელორუსი	17,700	48%	77%	58%	33%	9%	1%
8. თურქმენეთი	16,400	0%	50%	38%	14%	48%	0%
9. საქართველო	9,600	41%	54%	35%	9%	56%	9%
10. სომხეთი	8,500	49%	63%	44%	17%	39%	14%

წყარო: მსოფლიო ბანკი - <http://databank.worldbank.org>

მოლოდინები ესტონური მოდელის დანერგვასთან მიმართებით არც თუ ისე ოპტიმისტურია და არც სხვადასხვა ზემოაღნიშნულ ასპექტებში იზიარებენ გამოკითხულები არსებულ რეიტინგებში ასახულ სურათს. ეს შეიძლება აიხსნას ინფორმაციის ნაკლებობით შემფასებელი ორგანიზაციების მხრიდან ან გამოკითხულთა მიერ ზედმეტად კრიტიკული მიდგომით ქვეყანაში არსებული სიტუაციისადმი.

რეგულაციის შემდგომ საქართველოში საკმაოდ აქტუალური გახდა პრივატიზაციის საკითხი; რომელიც ესტონეთში ეკონომიკის ლიბერალიზაციის მოდელის საძირკვლიდან აღმოცენებულ ხეს ნააგავდა. ახალმა მთავრობამ ბიუჯეტის შევსებისა და ეკონომიკის გაცოცხლების მიზნით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციას მიჰყო ხელი; მართალია, იმ პერიოდისათვის დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია ამ საკითხმა საზოგადოების სხვადასხვა წრეებში, მაგრამ ხელისუფლება დაჟინებით მიჰყვებოდა არჩეულ კურსს, რამაც თუ მსოფლიო რეიტინგებს დავეყრდნობით მკაფიო შედეგი გამოიღო; საქართველო მონიშნავს ადგილებს იკავებდა ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსის მიხედვით, ასევე ქვეყანა აღიარებულ იქნა როგორც ლიდერი რეფორმატორი და სხვ. მაგრამ ყველაფერ ამასთან ერთად იყო ბევრი უხეში შეცდომა დაშვებული, რაც საქართველოსთვის უარყოფით შედეგებს მოასწავებდა გრძელვადიან პერიოდში, რის მაგალითებსაც არსებულ რეალობაში მრავლად ვხვდებით.

სრულიად ცალსახაა, რომ ამა თუ იმ მოდელის თუ მისი კომპონენტების გამოყენებისას სხვა ქვეყნის კონტექსტში ხდება მისი მოდიფიცირება და ადაპტირება, რამდენადაც სრულიად ანალოგიური გარემო ვერ იარსებებს. თუმცა, ეკონომიკური და პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე, ცხადია, იკვეთება თანხვედრისა თუ ცდომილების ის ზღვარი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ამა თუ იმ მოდელის თუ მისი კომპონენტების გამოყენების შესაძლებლობასა თუ მიზანშეწონილობაზე და სავარაუდო მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე ვისაუბროთ. ქვეყნების მოდელის

დახასიათება იძლევა საშუალებას, გამოტანილი ძირითადი დასკვნების საფუძველზე გარკვეული პარალელები გავავლოთ საქართველოსთან, დავინახოთ ქართული რეფორმების და ეკონომიკური კურსის წარმატება თუ წარუმატებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შერგელაშვილი თ., ხოკრიშვილი ე. (2012), სინგაპური, ესტონეთი, შვეიცარია: სამიზნე მოდელები ქართული ტრანსფორმაციისათვის?, ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი.
2. ვეშაპიძე შ., სიჭინავა ა. (2015), თანამედროვე ეკონომიკური მოდელები: ღირებულებები, მიღწევები, თავისებურებები, თბილისი.
3. ვეშაპიძე შ. (2013), ევროპული ღირებულებები საქართველოსთვის, თბილისი.
4. საჭიროა თუ არა საპენსიო რეფორმა? საპენსიო რეფორმა, გლობალური და ქართული პერსპექტივა, თბილისი, 2013.
http://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/sapensio%20reforma_WEB_2.pdf
5. Тимошина Т. (2008), Экономическая история зарубежных стран, Москва.
6. Laar M., *The Estonian Economic Miracle* - <http://www.heritage.org/research/reports/2007/08/the-estonian-economic-miracle>
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - www.mof.ge
8. 2016 index of economic freedom - <http://www.heritage.org/index/>
9. World economic forum - <http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/competitiveness-rankings/>
10. The world bank - <http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=2&series=NY.GDP.MKTP.KD.ZG&country;> <http://www.doingbusiness.org/rankings> Transparency international - <https://www.transparency.org/cpi2015/>

პროტექციონისტული საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის შეფასება

დემნა კვარაცხელია,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პროტექციონისტული საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის მოსალოდნელი ეფექტები, როგორც სტატიკური, აგრეთვე დინამიკური ნონასწორობის პირობებში.

დასაბუთებულია, რომ შედარებით გრძელვადიან პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია დინამიკური ნონასწორობა, პროტექციონისტული საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებამ შესაძლებელია გამოიწვიოს საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის სალდოს ამაღლება. კერძოდ, იმპორტის შემზღუდავი პოლიტიკის განხორციელება, შედარებით გრძელვადიან პერიოდისთვის ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოებისა და დანაზოგების ზრდას, რაც საბოლოო ანგარიშით განაპირობებს წმინდა ექსპორტის მოცულობის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: პროტექციონისტული პოლიტიკა, ექსპორტი, იმპორტი, წმინდა ექსპორტი, კაპიტალის მოძრაობის ანგარიში.

ASSESSMENT OF PROTECTIVE FOREIGN TRADE POLICY

Summary

The article considers the probable effects of the Protective Foreign Trade Policy in the conditions of both static and dynamic balances.

We have justified that in considerably long-term period characterized with dynamic balance the implementation of Protective Foreign Economic Policy may increase the account balance of the current payment operations, namely, Import Restriction Policy in considerably long-term period will support the local industry and increase savings that will eventually be followed by the growth in the net export.


პრობლემის არსი

პროტექციონისტული საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მიზანია იმპორტის შემზღუდავი ღონისძიებების (იმპორტზე გადასახადის გადიდება, რაოდენობრივი შეზღუდვების - კვოტების დადგენა, ფიტო-სანიტარული ნორმების შემოღება, აღნიშნულ ნორმებთან შეუსაბამო პროდუქციის შემოტანის აკრძალვა და ა.შ.) განხორციელების გზით სამამულო წარმოების, უპირველეს ყოვლისა კი, სამრეწველო და

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცვა უცხოური კონკურენციისაგან,

სამამულო წარმოების წასახალისებლად ასეთი პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის გატარებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს გავლენიანი ეკონომისტების დიდი ნაწილი. მათი მტკიცებით, მისი განხორციელების შედეგად არ აღინიშნება წმინდა ექსპორტის მოცულობისა და შესაბამისად საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშის სალდოს გადიდება.

ასე მაგალითად, ჰ. გრეგორი მენქიუს თანახმად, მთავრობის მიერ იმპორტის შემზღუდავი პოლიტიკის გატარება, საბოლოო ანგარიშით გამოიწვევს რეალური გაცვლითი კურსის ამაღლებას, ხოლო წმინდა ექსპორტის მოცულობა უცვლელი დარჩება (1, გვ. 314-316). აღნიშნული თვალსაზრისი გრაფიკული სახით გამოსახულია ნახ.1-ზე.



სადაც, **S** - საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში წარმოქმნილი ეროვნული დანაზოგებია;

I - ამავე პერიოდში ინვესტიციური დანახარჯების საერთო მოცულობაა;

NX - წმინდა ექსპორტია, ანუ მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის სალდოა;

S-I - კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის სალდოს შეზღუდვების სიდიდეა, ანუ დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობათა სხვაობაა;

ϵ - რეალური გაცვლითი კურსია.

რეალური გაცვლითი კურსის ამაღლება ϵ_1 -ის შესაბამის დონიდან ϵ_2 -ის შესაბამის დონემდე, რაც გამოწვეულია იმპორტის შემზღუდავი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებით, ანუ იმპორტის შემცირების შედეგად წმინდა ექსპორტის მრუდის გადაადგილებით $NX(\epsilon_1)$ - მდებარეობიდან $NX(\epsilon_2)$ -

მდებარეობაში, ინვეს სამამულო წარმოების პროდუქციის გაძვირებას უცხოურთან შედარებით. ეს კი განაპირობებს ექსპორტის მოცულობისა და შესაბამისად, წმინდა ექსპორტის შემცირებას, რაც აბათილებს პროტექციონისტული საგარეო-სავაჭრო პოლიტიკით გამოწვეულ წმინდა ექსპორტის თავდაპირველ ზრდას. როგორც მენქიუ მიუთითებს, მიმდინარე ანგარიშის სალდოს ცვლილებისათვის (ანუ წმინდა ექსპორტის გადიდებისათვის) აუცილებელია კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ცვლილება, რომელიც ასახავს ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის თანაფარდობას. ვინაიდან პროტექციონისტული პოლიტიკა არ შეხება ინვესტიციებსა და დანაზოგებს, ამიტომ მას არ შეუძლია ზემოქმედების მოხდენა არც კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის სალდოზე და არც მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის სალდოზე.

მენქიუ ასკვნის, რომ მიუხედავად კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის სალდოსა და მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის სალდოს მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულებისა, პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკა გავლენას ახდენს საგარეო ვაჭრობის მოცულობაზე. რამდენადაც წმინდა ექსპორტი რჩება უცვლელი, ამიტომ იმპორტის შემცირებასთან ერთად აღნიშნება ექსპორტის შემცირებაც, რაც გამოწვეულია რეალური გაცვლითი კურსის ამალღებით და დანაზოგების უცვლელიობით.

იმპორტის შემზღუდავი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები გრძელვადიან პერიოდში:

მენქიუს ანალიზი ჩვენი აზრით ცალმხრივია, ვინაიდან არ ითვალისწინებს დანაზოგების ზრდის შესაძლებლობას. იგი მოვლენების განვითარებას განიხილავს დროის მოცემულ მომენტში, ანუ სტატიკური წონასწორობის მდგომარეობაში და არა დროის პერიოდში, ანუ დინამიკური წონასწორობის პირობებში. იმპორტის შემზღუდავი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად იმპორტული საქონლის შემცირებისას, ადგილობრივ პროდუქციაზე მოთხოვნის ამალღება ხელს შეუწყობს სამამულო პროდუქციის წარმოებისა და შესაბამისად, დანაზოგების ზრდას.

ჩვენი დებულების დასამტკიცებლად გამოვიყენოთ ეროვნული ანგარიშთა იგივეობის განტოლება:

$$Y = C + I + G + NX \quad (1)$$

სადაც, Y - არის მთლიანი შიდა პროდუქტი, C - სამომხმარებლო დანახარჯები, I - ინვესტიციური დანახარჯები, G - სამთავრობო დანახარჯები, NX - წმინდა ექსპორტი.

მოცემული განტოლება გარდაქმნათ შემდეგი სახით:

$$Y - C - G = I + NX \quad (2)$$

$$S = Y - C - G - \text{არის ეროვნული დანაზოგები.}$$

$$\text{ე. ი. } S = I + NX \quad (3)$$


იმპორტის შემზღუდავი პოლიტიკის გატარების შედეგად, იმპორტის შემცირებისას წარმოიქმნება ორი ურთიერთსაპირისპირო მოვლენა:

1. $NX(E)_1$ - მრუდი გადაადგილდება $NX(E)_2$ - მდებარეობაში და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სალდო (წმინდა ექსპორტი), რეალური გაცვლითი კურსის სანყისი E_1 - დონის პირობებში, გადიდდება $(S-I)_1$ -წმინდა დანაზოგებთან შედარებით, რაც წარმოშობს რეალური გაცვლითი კურსის ამამალღებელ მოძრაობას. რეალური გაცვლითი კურსის ამალღება ახალი წონასწორობის E_2 დონემდე, ექსპორტის შემცირების ხარჯზე გამოიწვევს წმინდა ექსპორტის მოცულობის შესაბამის შემცირებას (იხ. ნახ.1). მოცემულ პუნქტში აღნიშნული ანალიზი სრულიად თანხმობაში მენქიუს თვალსაზრისთან.

2. ამავე დროს, იმპორტის შემცირებისას, (2) და (3) განტოლებების მარცხენა ნაწილში C და G - ცვლადებიდან გამოირიცხება იმპორტულ პროდუქციაზე დანახარჯები და წარმოიქმნება სასაქონლო დეფიციტი, რაც ამალღებს მოთხოვნას ადგილობრივ ნაწარმზე. დროის მოკლევადიან პერიოდში მისი დაკმაყოფილება ძირითადად მოსალოდნელია საქსპორტო დანიშნულების პროდუქციის ხარჯზე (შესაბამისად შემცირდება ექსპორტის მოცულობა). ამასთან ადგილობრივ პროდუქციაზე მოთხოვნის ამალღება ნაახალისებს სამამულო პროდუქციის წარმოებას და შედარებით გრძელვადიანი პერიოდისათვის ხელს შეუწყობს პროდუქციის გამოშვების ზრდას. პარალელურად გაიზრდება S - დანაზოგებიც. ე. ი. $(S-I)_1$ - მრუდი გადაადგილდება მარჯვნივ $(S-I)_2$ - მდებარეობაში (იხ.ნახ. 2).

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ იმპორტის შემზღუდავი ღონისძიებების შედეგად, მისი მოცულობის შემცირება, გამოიწვევს ერთობლივი ინვესტიციური მოთხოვნისა და შესაბამისად, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის მოცულობის შემცირებას, ვინაიდან იმპორტის შემცირებასთან ერთად შემცირდება მოთხოვნა უცხოურ ინვესტიციებზეც. პროცენტის ფიქსირებული მსოფლიო განაკვეთის პირობებში ინვესტიციების აღნიშნული შემცირება აუცილებლად გამოიწვევს S-I სხვაობის მნიშვნელობის ამალღებას. ე. ი. $(S-I)_1$ მრუდი ნებისმიერ შემთხვევაში გადაადგილდება მარჯვნივ - $(S-I)_2$ მდებარეობაში.

ჩვენი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეალური გაცვლითი კურსის ახალი მნიშვნელობა (E_2) თავდაპირველ მნიშვნელობას-



წმინდა ექსპორტი
ნახ. 2

თან (E_1) შედარებით მაღალი იქნება (E_2 -თან ახლოს აღმოჩნდება), მაგრამ არსებითი ისაა, რომ წმინდა ექსპორტის მოცულობაც გაიზრდება NX_1 -დან NX_2 -მდე. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ იზრდება სამამულო წარმოების მოცულობა.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკა ქვეყნის ახალგაზრდა და პრიორიტეტულ დარგებს იცავს ტოტალური უცხოური კონკურენციისაგან და ხელს უწყობს მათ სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, რაც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა. თავისუფალი ვაჭრობის მომხრეები ხაზს უსვამენ, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა მომგებიანია ქვეყანაში არსებული განსაზღვრული ჯგუფისათვის და საზიანოა დანარჩენი საზოგადოებისათვის. თუმცა ისიც ფაქტია, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა მაღალტექნოლოგიური და პროგრესული დარგობრივი სტრუქ-

ტურის უზრუნველყოფი წარმოების განვითარების გზით ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლებას გრძელვადიანი პერიოდისათვის.

დასკვნა:

ამრიგად, საგარეო-ეკონომიკურ სფეროში პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებას ქვეყნისათვის შეუძლია დადებითი შედეგების მოტანა. კერძოდ, იმპორტის შემზღუდავი პოლიტიკის განხორციელება შედარებით გრძელვადიანი პერიოდისთვის ხელს უწყობს ადგილობრივი წარმოებისა და დანაზოგების ზრდას, რაც იწვევს წმინდა ექსპორტის მოცულობის ამაღლებას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

Mankiw N. G. macroeconomics, 7th edition, 2009, p. 141-143.

დღევანდელი ეკონომიკური გამოწვევები საქართველოში

დავით იაკობიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

РЕЗЬЮМЕ

Переход международного мира в глобальный является главной характерной чертой современности. Процесс глобализации объективно отражает естественный динамизм (эволюцию) человечества, который ведет к созданию единой всемирной экономической системы. В рамках глобальной экономики новое содержание приобретают местные рынки, которые на основе единых критериев эффективности производства будут развиваться на собственной основе. Такой подход ставит новые задачи макроэкономическим системам. Все макроэкономики, в том числе и таких маленьких стран как Грузия, обязаны выработать собственные новые парадигмы развития экономики с учетом требований объективного процесса глобализации.

რეზიუმე

საერთაშორისო მსოფლიოს გადასვლა გლობალურ მსოფლიოში რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. მიუხედავად წინაარმდეგობრივი ხასიათისა გლობალიზაცია ობიექტური პროცესია, რომელიც გლობალური მსოფლიოს წარმოქმნით დასრულდება. ასეთი მეთოდოლოგიური პლატფორმებიდან გამომდინარე პატარა ქვეყნები დგებიან ახალი გამოწვევების წინაშე, რომელთა მიმართ სწორი პოლიტიკის შემუშავება მოითხოვს ახალბურთად გავიზრდოთ უძველესი პრობლემები.

ძირითადი ტერმინები: სამყაროს გლობალიზაცია, მსოფლიოს გლობალიზაცია, კონკურენცია, დივერგენცია, კონვერგენცია, ეკონომიკური ციკლები, ეკონომიკური განვითარება.

1. ზოგადი დებულებები

რესურსი რომელიც ადამიანს ესაჭიროება და რომლის გამოყენების გარეშე ვერ მოახდენს საკუთარი მიზანდასახულობების რეალიზაციის ბუნებაში რაოდენობრივად შეზღუდულია. ეს ნიშნავს, რომ იგი იმდენია, რამდენიც მოიძია და ხელმისაწვდომი გახდა ადამიანმა თავის განვითარების მოცემულ ეტაპზე. რესურს აქვთ კიდევ ერთი თვისება, იგი აკმაყოფილებს ადამიანის ალტერნატიულ მოთხოვნებს. ამიტომ ადამიანებს უხდებათ მისი მოპოვებისა და მითვისებისათვის მეტოქეობა, რასაც ეკონომიკურ მეცნიერებაში კონკურენცია ეწოდება.

რესურსი, რომელთა მოპოვებისა მითვისებისათვის ადამიანები მეტოქეობენ გაბნეულია მთელ სამყაროში და მის წარმოქმნასა და წარმოებაზე ზემოქმედებს მთელი კოსმოსი. განსაკუთრებით შესამჩნევია რესურსების გამოყენების პროცესზე ახლო კოსმოსის ზემოქმედება. მზე, ატმოსფერო, მთვა-

რე მნიშვნელოვან ზემოქმედება ახდენს ადამიანის საცხოვრებელი არეალზე და მისთვის ხელმისაწვდომი რესურსის გამოყენების ზოგად კანონზომიერებების ჩამოყალიბებაზე. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანების მეტოქეობა რესურსების მოპოვებასა და მითვისებაზე მთელ სამყაროში ხორციელდება, რაც ადასტურებს იმას, რომ რომ მათი სასიცოცხლო არეალს სწორედ ეს სამყარო წარმოადგენს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი "დამაგრებულია" გარკვეულ, ლოკალურ გეოგრაფიულ გარემოში, რომელიც წარმოადგენს მის უშუალო საცხოვრებელ არეალს, მთელი გლობალური სამყარო, მისი ევოლუციურ-დინამიური პროცესი, განსაზღვრავს ადამიანების სასიცოცხლო სივრცეს.

გლობალური სამყარო ზემოქმედებს ადამიანს საცხოვრებელ არეალზე, რომელსაც მოცემულ ეტაპზე მსოფლიო წარმოადგენს და ამიტომ დროთა განმავლობაში მსოფლიოში არსებულ რესურსი ხდება ადამიანების მეტოქეობის საგანი. ეკონომიკა ხდება ერთიანი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ადამიანებს უხდებათ ეძებონ ერთმანეთთან თანამშრომლობის გზები. მაშინაც კი, როდესაც ერთმანეთის არსებობის შესახებაც არაფერი იცოდნენ, ადამიანები საჭირო რესურსების ძიებაში პოულობდნენ ერთმანეთს და ამყარებდნენ ურთიერთობებს ამ რესურსის მოპოვების გამოყენებისა და მითვისების გამო. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიოს გლობალურ სამეურნეო სივრცე არსებითად, რესურსების გამოყენებისათვის ადამიანების მეტოქეობიდან, რასაც ამ რესურსების შეზღუდულობა და გამოყენების ალტერნატიული ხასიათი იწვევს, მომდინარეობს. შესაბამისად, გლობალური მსოფლიოს პოლიტიკური დოქტრინა მიმართულია რესურსების კონკურენტული გამოყენების მშვიდობიანი თანაარსებობის ერთიანი მსოფლიო სისტემის შესაქმნელად. ამგვარად, გამოდის, რომ სამყაროს გლობალურობა, მისი ერთიანობა ქმნის საფუძველს ასევე ერთიანი გლობალური მსოფლიოს ჩამოყალიბებისათვის, ამიტომ მსოფლიოს გლობალიზაციის პოლიტიკური დოქტრინა, სამყაროს გლობალურობის ობიექტურ საფუძველზე დგას. მას ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში ალტერნატივა არა აქვს.

თანამედროვე მსოფლიო დღეს იმყოფება საერთაშორისო მსოფლიოდან გლობალურ მსოფლიოზე გადასვლის სანყის პერიოდში. მსოფლიოში დღეს მიმდინარე ყველა კოფლიქტური დაპირისპირება, ყველა წინააღმდეგობა ასეთი გარდამავლობის შინაგანი წინააღმდეგობის გამოხატულებაა. წინააღმდეგობები დარჩება გლობალური მსოფლიოს დროსაც,

ადამიანების წინაშე ყოველთვის იარსებეს დაპირისპირებულთა ერთიანობის პრობლემა, დაპირისპირებულ ელემენტთა შეერთების რთული მექანიზმების შექმნის და წინააღმდეგობათა მოხსნის აუცილებლობის პრობლემები. მიუხედავად ამისა დღეს უკვე რსებობს რეალური წინამძღვრები გლობალური მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებისათვის.

დღეს მსოფლიო ერთიან ბაზარს წარმოადგენს და ადამიანის აქტიობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს. თანამედროვე ელექტრონული სისტემები და განსაკუთრებით ინტერნეტი მობილურ ტელეფონთან ერთად ქმნის პირობებს ბაზრის ნებისმიერი მონაწილე ონლაინ რეჟიმში (მიმდინარე დროში) ჩაერთოს ეკონომიკურ პროცესებში. ეს შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას ეკონომიკური თანამშრომლობის ერთიანი, მსოფლიო გარემო, სადაც მიმდინარე დროში განხორციელდება ნებისმიერი ეკონომიკური ოპერაციები, მიუხედავად მოქმედი სუბიექტების საცხოვრებელი ადგილებისა, მოქალაქეობის პოლიტიკური კუთვნილებისა, თუ რელიგიური მრწამსისა.

ტენდენცია ონლაინ რეჟიმში მოქმედი ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნისა და მისმა სწრაფად ცვლილებადმა პროცესმა განაპირობა საერთაშორისო სამეურნეო სუბიექტების წარმოშობისა და განვითარების აუცილებლობა. ახალ, გლობალურ მიზანდასახულებათა განხორციელებისათვის გაჩნდნენ მსოფლიო ბაზარზე მოქმედი სუბიექტები, რომელთა საქმიანობის არეალი გასცილდა ეროვნულ ეკონომიკურ სივრცეს და მათი საქმიანობის ეფექტიანობის კრიტერიუმებს განსაზღვრავს მსოფლიო ბაზრის კონკურენტული პირობები. ასეთ ეკონომიკურ სუბიექტებს წარმოადგენს ისეთი ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც თავიანთ მოქმედების არეალად მთელ მსოფლიოს იყენებენ და ერთიანი ცენტრიდან ანხორციელებენ პროდუქციის წარმოების და მომსახურების ორგანიზაციას, მენარმეთა შორის საბაზრო კავშირების ინტეგრაციას.

ასეთ პირობებში საერთაშორისო ორგანიზაციებს დაეკისროთ რიგი ფუნქციები, რომლებსაც ადრე დამოუკიდებლად ასრულებდნენ ცალკეული ქვეყნები. მაგრამ როგორც ვიცით, ყველა ქვეყნა ვითარდება ისტორიულად სააკუთარი კულტურული-ანთროპოლოგიურ საფუძველზე. მიუხედავად იმისა რამდენადაა ჩართული ქვეყნის ეკონომიკური სისტემა მსოფლიო ბაზარში მაინც ინარჩუნებს იგი სისტემურ დამოუკიდებლობას, რაც განაპირობებს ამ ქვეყნების გამოცალკევებულობას ერთმანეთისაგან და მათ შორის კონკურენტულ დამოკიდებულებას. შესაბამისად დგება ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების რეალური გზების ძიების ამოცანა.

2. გლობალური მსოფლიოს განვითარების წინააღმდეგობრივი ხასიათი

ის ფაქტი, რომ ერთიანი ბაზარი შეიქმნა და მსოფლიო ეკონომიკა იმართება ეკონომიკური ურთიერთობათა მაინტეგრირებელ მსოფლიო საბაზრო ცენტრების მეშვეობით, აყალიბებს გლობალური მეურნეობის, როგორც ერთი მთლიანის **კონვერგენციულ** ამოცანას. მაგრამ არსებობს მეორე ტენდენციაც, რომელიც ობიექტურად უბიძგებს ქვეყნებს **დივერგენციული** განვითარებისაკენ. ეს ორი ტენდენცია დღეისათვის თვალსაჩინოა ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში და ქმნის იმ წინააღმდეგობრივ არეალს, რომელშიაც ფუნქციონირებს ნებისმიერი მაკროეკონომიკური სტრუქტურა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ასეთი წინააღმდეგობრიობა ისეთ ქვეყნებში როგორც საქართველო. აქ მხედველობაში მისაღებია არა მისი შედარებით სიმცირე, არამედ მისი სოციალური სისტემის რთული ინკლუზიური სტრუქტურა, რაც ისტორიულად ჩამოყალიბდა და დღეს წარმოადგენს ქვეყნის უმთვერეს მამოძრავებელ ძალას.

რესურსების განთავსებისა და მითვისების მიღწეული მდგომარეობა, როგორც პარეტო ოპტიმუმის (ოპტიმალობა პარეტოს მიხედვით) პირველი თეორემა გვასწავლის, ნიშნავს, რომ არ არსებობს ამ რესურსების განთავსების სხვა ვარიანტი მათი გამოყენების მიხედვით, რომელიც ბაზრის ყველა მონაწილის პირობებს გააუმჯობესებს. მაშინ, ერთი მონაწილის პირობების გაუმჯობესება გამოიწვევდა მეორის პირობების გაუარესებას. ხოლო პარეტო ოპტიმუმის მეორე თეორემის მიხედვით, თუ რესურსების გამოყენებით არ ხდება ზრდადი უკუგება და მხოლოდ მეორეხარისხოვანი მოთხოვნები კმაყოფილდება, მაშინ ყოველი კონკრეტული მდგომარეობა კონკურენტულია და შეესაბამება არსებულ მყიდველობით უნარიანობას. შესაბამისად ნებისმიერ ბაზარს აქვს თავისი შეზღუდვები, როგორც სივრცეში ასევე დროში. ამიტომ საჭირო ხდება მასზე კონტროლის შესაძლებელი საზღვრების დადგენა.

ბაზრებზე ზემოქმედება ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვაკვირდებით მას და ვავლენთ მისი განვითარების, ევოლუციური გარდაქმნების კანონზომიერებებს. ამასთან წინსწარ, დაკვირვების საგნებს, პროცესებს, ვანიჭებთ სისტემის თვისებას, წარმოვიდგენთ როგორც ერთ ობიექტს;

- ჩვენს შემთხვევაში, როგორც წესი, დაკვირვების ობიექტი არის ეკონომიკა, აღებული სისტემურად მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- ეკონომიკური განვითარების ზოგადი კანონზომიერებების გამოსავლენად დაკვირვების ობიექტი ხდება იმ ქვეყნის ეკონომიკა, რომელიც აღწევს განვითარების უმაღლეს სტადიას.

ამავე დროს, ქვეყნის ეკონომიკა, რომელსაც ჩვენ წარმოვიდგენთ, როგორც ერთ ობიექტს არის შემავალი ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური სისტემისა, ნაწილია მისი და ხშირად ანალიზისას მაკროეკონო-

მიკური სისტემის ამ მნიშვნელოვან თავისებურებას ვკარგავთ, რადგან მსოფლიო ეკონომიკას წარმოვიდგენთ სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების ჯამის სახით. ეს კი იმიტომ ხდება, რომ მეტრული სისტემა, რომლითაც ჩვენ აღვწერდით მთელ მსოფლიო ეკონომიკას არ გვაქვს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობთ დაკვირვების ობიექტი, მაკროეკონომიკური სისტემა ან მთელი მსოფლიოს ეკონომიკა გამოვხატოთ ჩვენთვის მიღებული მეტრული სიტემით, იგი მუდმივად გვისხლტება ხელიდან და სხვადასხვაგვარი ფორმით ეძლევა დამკვირვებელს.

ამ წინააღმდეგობების დაძლევის მიზნით ჩვენ მივმართავთ ისეთ სისტემურ მიდგომას, რომელიც გამოიყენება ბიოლოგიაში.

✓ **ფონ ბერტალამფი** და სხვა მეცნიერები, რომლებიც სწავლობენ ბიოსიტემებს შენიშნავენ, რომ სისტემებს აქვთ საკუთარი სტრუქტურაფორმირების შინაგანი (იმანენტური) მახასიათებლები, რომლებიც რომლებიც განაპირობებენ მათ შინაარსს;

✓ ბიოსისტემებზე ზეგავლენას ახდენს აგრეთვე, გარემო არეალის აქტიური ზემოქმედებიდან მომდინარე (ემერჯენტული) ფაქტორები, ისინი რომლებიც მოქმედებენ მთლიანად სისტემაზე და არა რომელიმე მის ელემენტზე;

✓ ბიოორგანიზმების განვითარების სრული ციკლი (ჰომეოსტაზი) რეალობაში წრმოადგენს მის სისტემურ სტრუქტურაზე იმანენტურ და ემერჯენტულ ფაქტორთა ზემოქმედების ერთიანობის პროცესს;

✓ ჰომეოსტაზი მიმდინარეობს დადებითი უკუკავშირის პირობებში. ამიტომ აქ მსდებლობაშია მისაღები, რომ დადებითი უკუკავშირის შემთხვევაში დარღვეული წონასწორობა შეიძლება ზვავისებურად გაიზარდოს. დადებითი უკუკავშირის სპეციალური შემთხვევაა ის, რომ ერთი სახეობის ინდივიდები მუდმივად იმყოფებიან ერთმანეთთან შეჯიბრებაში, ერთგვარ მეტოქეობაში, რომლის ძალითაც მიმდინარეობს ძლიერის გამოვლენა. ასეთი შეჯიბრის შედეგად გამარჯვებულის გამოვლენა, რომელსაც ბიოლოგები შერჩევას უწოდებენ, სულ სხვაგვარად ხდება ვიდრე მაშინ, როდესაც შერჩევა გარემოპირობების ზემოქმედებით ხორციელდება, როდესაც საწყისი სახეობის განმსაზღვრელი მასალა იცვლება.

3. გლობალური კონკურენტული გარემო

ერთი სახის ინდივიდთა შორის არსებული შეჯიბრი, რომელსაც ჩვენ კონკურენციას ვეძახით, დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენაზე. "ადამიანებს შორის არსებული შეჯიბრის ზემოქმედებით უკვე თითქმის დავინწყებულა ყოველივე რაც კარგია და სასარგებლო მთლიანად კაცობრიობისათვის და ცალკეული ადამიანისათვის."¹ ადამიანების უმრავ-

ვლესობა კარგად (დადებითად) აღიქვამს ყოველივეს რაც მას საშუალებას აძლევს გადაასწროს სხვა ადამიანს კონკურენტულ ბრძოლაში. კონკურენცია ქმნის ისეთ გარემოებას სადაც ადამიანი იწყებს ყოველგვარი მარეგულირებელი მექანიზმის გარეშე მოქმედებას და ყველაფერი დამოკიდებული იმაზე, როგორი სისწრაფით მიიღებს გადაწყვეტილებას. იგი იმიტომ კი არ იღებს სწრაფ გადაწყვეტილებას, რომ ფიქრი ეზარება (როგორც კანემანი თვლის), არამედ იმიტომ, რომ ასეთი დაფიქრების დროს, მას არავინ არ უტოვებს, ხოლო განსაზღვრული ტემპიდან ჩამორჩენა, რა მიზეზითაც არ უნდა ხდებოდეს ეს, მისთვის დამლუპველია. ამიტომ, თუ გავყვებით დანიელ კანემანის ნაშრომის ლოგიკას, ადამიანის მიერ მიღებულ -გადაწყვეტილებთა უდიდესი ნაწილი არის ზერელე განსჯის შედეგი და ემყარება აზროვნების საწყის სისტემას, რომელშიც არ მონაწილეობს თვითკონტროლის მექანიზმი, მაშინ იგივე ლოგიკა შეიძლება გავარცხლოთ მის მიერ ჩამოყალიბებულ დასკვნაზეც, გამოვა, რომ კანემანის თეორიასაც, რამდენადმე, სიზარმაცის დაღი ასვია, რადგან მას, რომ განეხილა არა მარტო ქცევები, არამედ ქცევის პირობებიც და პირობები, რომელშიც განსაზღვრავდნენ ამ აქტივობებს, შეიძლება შეენიშნა, რომ არა სიზარმაცე, არამედ, **საკუთარ თავთან დაუცხრომელი შეჯიბრში მყოფი სუბიექტები მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ კითხვებზე სწრაფ რაგირებას, ვიდრე პასუხების სისწორეს და ამიტომ, მათი პასუხების ზედაპირულობა სუბიექტების მიზნობრივი განწყობიდან გამომდინარე მიიღება.** როგორც ყველა მთავარსარდალს არ აქვს შესაძლებლობა ბრძოლის წინ მოსალოდნელ შეტაკებაზე ბევრი და ხანგრძლივად იფიქროს, ისე ადამიანი, მისადმი დასმულ კითხვას პასუხობს მისი ცხოვრების განმსაზღვრელი რიტმის შესაბამისად. ბუნებრივი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეულ ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანის ბედი დამოკიდებულია მისი მოქმედების სისწრაფეზე, აქ გადაწყვეტილების მიღება და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული ქცევა ფიზიკურ დროში ერთმანეთს ემთხვევა, მის სინქრონულობაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედი. ეს კარგად ესმით პროფესიულად სპორტსმენებს და ხშირად სპორტული შეჯიბრების დროს ერთ ერთ მნიშვნელოვან ტაქტიკურ მეთოდად ითვლება მონინალმდეგეს თავს მოახვიო ქცევის ისეთი პირობები, როდესაც იგი ფიქრს იწყებს და მისი ქცევისა და გადაწყვეტილების მიღების სინქრონულობა ირღვევა.

სისტემური პროცესის ანალიზის სპეციალისტები მიიჩნევენ, ცოცხალ ორგანიზმებს **გარემო პირობებთან წონასწორობის შენარჩუნებისათვის ესაჭიროებათ რეგულირების ციკლი, ანუ უარყოფითი უკუკავშირი.** ეკონომიკაზე დაკვირვებისას ვხედავთ რომ იგი უწყვეტი პროცესია. ეკონომიკა განუწყვეტელი დეფორმირების მიუხედავად, რჩება უცვლელი. ასეთ შემთხვევაში კი როგორც ტოპოლო-

1 Конрад Лоренц. Восемь смертных грехов цивилизованного человека. М. с. 54

გია გვასნავლის, ერთი და იგივე სივრცე, რომელსაც ვაკვირდებით შესაძლებელია იყოს ფინჯანიც და კრენდელიც. ერთი და იგივე ეკონომიკა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სხვადასხავ ფორმით და განსხვავებული პარამეტრებით.

ამ თეორიის ერთ ერთი ფუძემდებელი რენე ტომი, ამბობს რომ, ის რასაც გვინდა სახელი ვინოდოთ, ანუ მნიშვნელობა მივანიჭოთ, გვეძლევა მხოლოდ **ინტროსპექციულად**², რადგანაც იგი გარდა იმისა, რომ არსებობს როგორც ფაქტი, ფსიქიკურ რეალობასაც წარმოადგენს. შესაბამისად ავტორის რეფლექსიისაგან არ არის თავისუფალი. ამიტომ გასაგები, რომ ერთი და იგივე სივრცე დამკვირვებლის ინტროსპექციიდან გამომდინარე, ან კრენდელია, ან კიდევ ფინჯანი.

სირთულე წარმოიქმნება იმის გამო, რომ ამ პროცესის მონაწილე გარეშე პირი არ არის, იგი თვით არის პროცესის მონაწილე და მისი რეფლექსია მნიშვნელოვან როლს თამაშობს არჩევანის მიღებაში. დამკვირვებელი ობიექტური მაშინ, როდესაც თვლის რომ ხელში ფინჯანი უჭირავს და მაშინაც როდესაც მიაჩნია, მის წინაშე კრენდელია. ოღონდ ეს სხვადასხვა დამკვირვებელია.

მიკრონაწილაკების ფიზიკაში ასეთი მოვლენა შენიშნულია და მას განუსაზღვრელობის პრინციპი ეწოდება. სხვანაირად მისი აღმომჩენის სახელით **ჰეიზენბერგის** პრინციპი მოიხსენიებენ. ამ გარემოებიდან გამოსავალს გვთავაზობს **შრედინგერი**, რომელიც გვეუბნება რომ დამკვირვებლის გარეშე არ არსებობს, რომელმე მდგომარეობა. დამკვირვებელი ვინ უნდა იყოს ეს დამოკიდებული მართვის არსებულ სისტემაზე აისახება. ამიტომ შეთანხმება ამ პოლიტიკურ ძალებს შორის შეუძლებელია. ხალხიც იმის და მიხედვით, როგორ აუცილებლობებს ხედავ თავის ქვეყანაში ხელისუფლებაში მოჰყავს ის ჯგუფი, რომლის გეგმებიც მისთვის მისაღებია.

4. მაკროეკონომიკური სისტემა გლობალურ გარემოში

ნებისმიერი ეკონომიკური პროცესების დაკვირვება გვიჩვენებს რომ მიუხედავად ქვეყნის მთავრობები ვალდებულნი არიან ეძებონ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელი, მუდმივად სრულყოფილი ეკონომიკის გაძღოლის არსებული სისტემა. ანუ, ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის საზრისს ქვეყნის განვითარების შესაბამისი მოდელის ძიება წარმოადგენს, რაც მუდმივი პროცესია. ამავე დროს ცხადია, რომ ეკონომიკა უმნიშვნელოვანესი სფეროა ადამიანთა თანაცხოვრების მთელ არეალში, მაგრამ მას, როდესაც განვიხილავთ ერთი, რომელიმე ქვეყნის თვალსაზრისით, გვასწავლის იან **ტინბერგერი**, მის წინაშე ნათლად დგება, **საზოგადოებაში არსებული სხვა, არა ეკონომიკური სოციალური-კულტურული კანონზომიერებების**

2 საკუთარ ფსიქიკურ პროცესებზე დაკვირვება ეტალონებისა და ინსტუმენტების გარეშე.

უზრუნველყოფის ამოცანა. ამიტომ ეკონომიკის გააზრება უნდა მოხდეს, ეროვნული საზოგადოების განვითარების მთელ ერთიანობაში და ხშირ შემთხვევაში იგი მეთოდის³ იქნება საზოგადოებრივი ტენდენციების აკარგვიანობის გარკვევისას.

რადგან ჩვენს წინაშე დგება ეკონომიკის მოდელირების ამოცანა ჩვენ ვინყებთ მისი ანალოგების ძიებას, ერთი და იგივე მასალის არსებობა კი გვაძლევს პარამეტრთა ისეთ დამოკიდებულებას, რომელისთვისაც არაა სულერთი თუ როგორ წარმოვიგენთ ჩვენ მს, ფინჯანია იგი თუ კრენდელი.

- -ეკონომიკა განიცდის მუდმივ ცვლილებას და მისი ზრდის აღწერა შესაძლებელია ექსპონენციალურად, ლოგისტიკური მრუდის მეშვეობით;

- -ასეთი აღწერის შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ პირობით სიდიდეების სიმრავლეს, რომელიც შესაძარისს ხდის სისტემებს ერთმანეთთან რაიმე ნიშნით, და სხვა განზომილებათა არ არსებობის გამო ის ხდება მოქმედების სახელმძღვანელო მიმართულება. მაგ.: მთლიანი შიდა პროდუქტი, ინდუსტრიალიზაციის დონე, გადამაუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი, ადამიანის განვითარების ინდექსი და ა.შ.

კატასტროფების თეორიიდან გამომდინარე, არსებობს ენტროპიის მაქსიმუმის პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ **შინაარსით ალბათურ**

3 იმ აზრიდან გამომდინარე, რომ მსოფლიოში ვერცერთმა ქვეყანამ, ბოლო 8-10 საუკუნის მანძილზე, ვერ მიაღწია სუვერენულ, დამოუკიდებელ განვითარებას, ვინც ვერ შეინარჩუნა საკუთარი აანტროპოლოგიური მახასიათებლები, საქართველოც ვალდებულია პირველრიგში შეეცადოს კულტურულ ისტორიული გზის გათვალისწინებით გააცნობიეროს საიდან მოდის, და რას თავაზობს გლობალურ მსოფლიოს. ის პირველობა, რომელიც დასტურდება ზეზვასა და მზიას ექსპონიციიდან გამომდინარე გვაგვალდებულებს, რომ ჩვენ აქტიურად უნდა ჩვერთოთ საკითხების განხილვაში, რომელიც უკავშირდება საერთო მსოფლიო გლობალურ დინამიზმს და მუდმივად უნდა ვახსენებდეთ მსოფლიოს, რომ ჩვენ ვართ: ღვინისა და ხორბლის სამშობლო, ოქროს მოპოვებისა და რკინის გამოდნობის პიონერები, ჩვენთნ ნაპოვნია უძველესი ქსოვილის ბოჭკო, გვაქვს ორგინალური ანბანი და ქართულად ვთარგმნეთ წმინდა წერილი. მიუხედავ საშინელი კულტურული დაპირისპირებისა მუსლიმანურ სამყაროსთან დაინრა ვეფხვისტყაოსანი, აშენდა სვტიცხოველი და შეიქმნა ორგინალური არქიტექტურა. დღისათვის ქართველი მეცნიერები მუშაობენ მსოფლიოს ყველა კუთხში. შვეიცარიის კოლოიდერში. ჩვენი მეცნიერების მიღწევები მნიშვნელოვანია მათმატიკაში, ფიზიკაში, ფიზიოლოგიაში, არქოლოგიაში, ენათმეცნიერებაში. თბილისი არის პოლიფონიური მუსიკის დედაქალაქი. ჩვენმა მომღერლებმა გახსნეს სეზონები მსოფლიოს 11 ოპერის თეატრში. ჩვენი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები ბრწყინავენ მსოფლიოს სპორტულ სარბიელზე. ვანარმოებთ უნიკალურ კვების პროდუქტებს: ქართული პური, ღვინო, ყველი ორგინალური კონსერვანტები, ნელა მაგრამ დამაჯრებლად იკავებენ საკუთარ ადგილს მსოფლიოს ბაზრებზე.

და განუსაზღვრელ გარემოში, მიმდინარე ცვლილებების მოსალოდნელი ხდომილებებისათვის, დამახასიათებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც წინასწარ მინიჭებული მნიშვნელობიდან გამომდინარე საზოგადოება არჩეული განუსაზღვრელობის მაქსიმუმიზაციას ახდენს. ამგვარად დგება აუცილებლობა მიმდინარე პროცესების ობიექტივიზაციის გარდა შემუშავებული იქნას სისტემის ელემენტებისათვის ისეთი მნიშვნელობები, რომლებიც არსებული მდგომარეობის მაქსიმუმიზაციას მოახდენს. შესაბამისად თუ ხელისუფლებაში პასუხისმგებლური ადამიანები არიან მათი გადაწყვეტილებები უკავშირდება იმ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებსაც მივყევართ რელური პროცესების განვითარებისაკენ.

როდესაც გვინდა რაიმეს მნიშვნელობა მივანიჭოთ უნდა გამოვიდეთ არსებული მდგომარეობიდან, კერძოდ იქედან თუ რას წარმოადგენს აქ და ახლა ჩვენი დაკვირვების ობიექტი. ამ პოზიციიდან გამომდინარე ჩვენ სისტემურად უნდა გავიაზროთ სინამდვილე და ეს სისტემურობა უნდა გვესმოდეს არა მხოლოდ როგორც ეს ფიზიკოსებისთვისაა მიღებული, არამედ როგორც სისტემურობა გაიზარა ბერტალამფომ. მაშინ ჩვენ კითხვს რატომ? ნაცვლად დვსვავთ კითხვას რისთვის?

5. გლობალური მსოფლიოს დღევანდელი გამოწვევები

დიდ ციკლების თეორიიდან⁴ გამომდინარე მსოფლიო ეკონომიკური განვითარება 2018 წლიდან აღმავალ ფაზაში შედის. გლობალური მსოფლიო ახალი აღმავალი ციკლისათვის მზადების პერიოდში იმყოფება. ქვეყანა, რომელიც ვერ შეხვდება მომზადებული ამ პერიოდს და ვერ შეძლებს საკუთარი ეკონომიკის ადაპტირებას ამ, ხანგრძლივი აღმავალი პროცესისადმი, განწირულია ჩამორჩენისათვის. იგი უკეთეს შემთხვევაში იძულებული იქნება დაელოდოს ახლ აღმავალ ციკლს, ანუ 10-15 წლით გადადოს ეროვნული ეკონომიკის არსებითი ზრდის პერიოდი. ასეთია დღევანდელი მსოფლიოში დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს წინაშე მდგარი მთავარი ამოცანა, რაც გამომდინარეობს განვითარების დღევანდელ, გლობალურ, მსოფლიოში მიმდინარე საერთო კანონზომიერებებიდან.

ქვეყნები, რომლებსაც საკუთარი ეკონომიკის მდგრადი⁵ განვითარების პირობების ახალ, აღმა-

ვალი ციკლის მოთხოვნებისადმი შესაბამისობაზე ზრუნავდნენ, დიდი ხანია ემზადებოდნენ ამ პერიოდისათვის. აშშ-ში ეს გამოიხატებოდა განვითარების ახალ ინდუსტრიულ პირობების ფორმირებაში, რუსეთში ცდილობდნენ შეემუშავებინათ ნავთობის და მისი პროდუქტების გამოყენების ალტერნატიული ტექნოლოგიური და რესურსული მიდგომები (ოქროს ნარმოების ზრდის ხარჯზე), ევროკავშირი აქტიურად ეძებდა ენერჯის ახალ წყაროებს და ა.შ. შესაბამისად მომზადდა და გამოიცადა მრავალი ტექნოლოგიური და ტექნიკური სიახლეები. პარალელურად არსებითად შეიცვალა მსოფლიო ბაზრის საერთო კონკურენტული გარემოც, რამაც გამოიწვია არსებულ ძალთა თანაფარდობებში ცვლილებები. შესაბამისად, ასეთი ძალისხმევების საფუძველზე შეიქმნა ახალი, ტექნოლოგიური გარღვევისათვის ხელსაყრელი პირობები.

განვითარებულ ქვეყნებს და ეკონომიკურ პროცესებზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების ძალისხმევით შეიცვალა მიდგომები მსოფლიოს ერთიანი ბაზრისადმი. კერძოდ, გლობალური ეკონომიკური პროცესების მსოფლიო ერთიანი ეკონომიკური ცენტრებში ინტეგრირებისა და მართვის ერთიანი მექანიზმის ნაცვლად, წინა პლანზე გამოვიდა ადგილობრივი ბაზრების განვითარების აუცილებლობის საკითხი. ადგილობრივი ბაზრები და ყველა ცალკე აღებული მაკროეკონომიკური სისტემა ვალდებული ხდება თვითონ, დამოუკიდებლად განსაზღვროს, გლობალურ გარემოში განვითარების საკუთარი მიდგომები და მეტი პასუხისმგებლობითა და დაფიქრებით (პრუდენციულად) შეიმუშაოს ეკონომიკური განვითარების პროგრამები⁶.

ცხადი გახდა რომ, ახალი ეკონომიკის აღმავლობის ციკლისათვის მზადება ბოლო, დამათავრებელ პერიოდში შევიდა, რაც იმაში გამოიხატება, რომ:

- შექმნილია საერთაშორისო ბაზარზე ლიბერალური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ტექნოლოგიური მიღწევების ტრანსნაციონალიზაციას და მსოფლიო ბაზარზე კაპიტალის შეუფერხებელ მოძრაობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ კაპიტალის მიგრაცია შესაძლებელი ხდება

ბრუტლანდის) დეფინიციის შესაბამისად. კერძოდ „მდგრადია ის ეკონომიკური სისტემა, რომელიც თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების დროს ითვალისწინებს მომავალი თაობათა ინტერესებს“.

6 მსოფლიოს ბაზარზე ეკონომიკურად დომინანტი ქვეყნების ასეთი დამოკიდებულება მომავალი რეალობებისადმი გასაგებია. დიდი ეკონომიკური ციკლის პერიოდში ისინი ცდილობდნენ მსოფლიო საბაზრო მექანიზმის საუბრებით ეკონომიკური დეპრესიის შედეგები გადანაწილებული ყოფილიყო მთელ მსოფლიოს მასშტაბით, რათა მისი ძირითადი დარტყმები თვიდან აეცილებინათ. ახლა როდესაც აღმავლობა იწყები მათი ამოცანა იცვლება, საპირისპირო ხდება. ახლა უკვე საჭიროა, რომ პროგრესის შედეგების კონცენტრაცია მოხდეს განვითარებულ ქვეყნებში, რომ კიდევ მეტად გაიზარდოს მათი მნიშვნელობა გლობალურ ეკონომიკურ გარემოში.

თავის სამივე ფორმაში და მისი სამეურნეო სივრცეში მოქცევა მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში, რაც განაპირობებებულია მსოფლიოს ერთიანი ფულადი სისტემით და კაპიტალის ინვესტირების ეფექტინობის ერთიანი კრიტერიუმებით.

- სამეცნიერო-ტექნოლოგიური შედეგები იძლევა ახალი მძლავრი წინსვლის შესაძლებლობებს. კერძოდ, აკუმულირებული ელექტროენერჯის გამოყენების ახალი ტექნოლოგია, ქარისა და მზის ენერჯის მიღების არსებითი გაიაფება, რაც ნავთობის გამოყენების რაოდენობის შემცირებისკენაა მიმართული, ქმნის ახალ ხელსაყრელ პირობებს. ამას ემატება დედამიწის ღრმა პალსტებიდან აირის მიწოდების ახალი ტექნოლოგიების ათვისება. ასეთმა მიდგომები მსოფლიო ენერჯეტიკულ ბაზარზე დიდ ცვლილებების საწინდარი ხდება.

- ასეთი სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცვლილებები ახლებურად ავლენს კაპიტალის კონცენტრაციის ტერიტორიალურ პრობლემებს, რაც გარკვეულ კორექტივებს მოითხოვს ერთიანი გლობალური მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ ნესრიგში. რის გამოვლინებების მოწმეც ვხდებით დღეს. კულტურების დაპირისპირება, რელიგიური წინააღმდეგობები, რეგიონალური კომფლიქტები, ეროვნული მკროეკონომიკური ცენტრების გაძლიერებისაკენ სწრაფვა და სხვ. არის ის გამოვლინებები, რომელითაც "საერთაშორისო მსოფლიო", "გლობალურ მსოფლიოს" უპირისპირდება.

გამომდინარე ამ ფუნდამენტალური მნიშვნელობის წინამძღვრებიდან, მსოფლიოს ერთიანი გლობალური ეკონომიკური სივრცის განვითარება აუცილებლად წინააღმდეგობრივი და ხშირ შემთხვევაში, კონფლიქტურ გარემოში განხორციელდება. სხელმნიფოთაშორის მიმდინარე დაძაბული კონკურენტული ბრძოლა სხვადასხვა პოლიტიკურ ფორმებს შეიძენს, რისი გათვალისწინება საკუთარი პოლიტიკის ფორმირებისას მოუწევს ყველა ქვეყანას. მათ შორის განსაკუთრებით რთულ პირობებში აღმოჩნდებიან მცირე, განუვითარებელი კაპიტალის მქონე ქვეყნები, რომელთაც ნაკლები შესაძლებლობები აქვთ, იმისათვის რომ, რაიმე შესამჩნევი წინააღმდე-

გობა გაუწიონ დიდ სახლმნიფოებს კონკურენტულ ბრძოლაში. მცირე ქვეყნებისათვის ასეთ, რთულ მომავალს ნათლად ხედავენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც და შესაბამისად ცდილობენ შეცვალონ თავიანთი მიდგომები ამგვარი ქვეყნებისათვის. ამის კონკრეტული მაგალითია საერთაშორისო მონეტარული ფონდისა და მსოფლიოს ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები მცირე სახელმნიფოებისადმი მათ დამოკიდებულებაში. კერძოდ,

- სპეციალურად, მცირე ქვეყნების ეკონომიკებისათვის შემუშავებული, მიმოქცევაში ფულის მასის კონტროლირებისა და ფულადი პოლიტიკის განმსაზღვრელ მანდელ-ფლემინგის მოდელს, რომელიც ემყარებოდა ერთდროულად "სამის (ფულის ფიქსირებული კურსი, ფულის თავისუფალი მცურავი (მოდრეიფე) კურსისა და ფულის თავისუფალი ტრანსაქციის) შეუძლებლობას", ჩაენაცვლა ამ მიმართულებით ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე პრუდენციული მიდგომა, რომელიც ზრდის ქვეყნის ხელისუფლების პსუხისმგებლობას მსოფლიო მონეტარული საზოგადოების წინაშე.

- მსოფლიო ფულადი სისტემის ფარგლებში თანამშრომლობის პრინციპების არსებითი ცვლილებებისა, საქართველოს ადამიანი კაპიტალის თავისუფალი ჩართვა ევროკავშირის ფარგლებში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მისი მიგრაციის ხელშემწყობი პირობების ჩამოყალიბება.

გლობალური ეკონომიკური პროცესების განმსაზღვრელი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პატარა ქვეყნებისადმი ასეთი დამოკიდებულება მიუთითებს იმაზე, რომ პარტნიორობის, თანამშრომლობის ახალი პირობები ყალიბდება და იზრდება თვითოეული მაკროეკონომიკური ერთეულის პასუხისმგებლობა მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე. საქართველოსათვის ეს დიდი და მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც მოწმობს, რომ პარტნიორები იმედოვნებენ, ჩვენ შგვიძლია დამოუკიდებლად ვიმოქმედოთ მსოფლიო ბაზარზე ისე, რომ ღირსეული პარტნიორობა გავუწიოთ, მათ მძაფრ კონკურენტულ ბრძოლაში.

თამარი დევიძე
სტუ ასოც. პროფესორი

GEORGIA'S ECONOMY YESTERDAY, TODAY,
TOMORROW

TAMAR DEVIDZE
Associate Professor of GTU

Summary

In the process of globalization, each Georgian should know what we have. Georgians and the whole world should know that Georgia is important not only from strategic, but above all from spiritual, national and material values point of view. Georgia as an economic subject is united in the world economy and in the process of relationship Georgia should defend its own interests and envisage international environment in the way not to miss its development strategy.

Keywords: Social, Economic, Commercial Priorities

საკვანძო სიტყვები: სოციალური, ეკონომიკური, კომერციული პრიორიტეტები.

„ძალიან ხშირად ვსაუბრობთ იმის შესახებ, რომ საქართველო და ქართველი ერთი მდიდარია თავისი ეროვნული ფასეულობით, სულიერი ფასეულობით. მოგეხსენებათ, ყოველი მონასტერი იყო არა მარტო მოღვაწეობის ადგილი, არამედ მეცნიერების ცენტრიც. ეს ახასიათებდა საქართველოს და ქართულ მონასტრებს. როცა გვეკითხებიან, მაინც რა ფასეულობა გაგვაჩნია ჩვენ? თითქმის ვერაფერს უპასუხებთ ხოლმე. ვიცით, რომ მდიდარია საქართველო თავისი სულიერებით, წმინდა მამებით, მონაშენებით. ვუნწყით, რომ მდიდარია ხელოვნებით, თავისი ლიტერატურით თუ ისტორიით და კონკრეტულად ვერაფერს ვასახელებთ. და აი, ამ გლობალიზაციის პროცესში ყოველმა ქართველმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რა გაგვაჩნია. ... კონკრეტულად ქართველმა ხალხმა და მთელმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ საქართველო არის მნიშვნელოვანი არა მარტო სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სულიერი, ეროვნული და მატერიალური ფასეულობით.“¹

უწმიდესი და უნეტარესი,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და
მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და
ცხუმ-აფხაზეთისა ილია II

ქართველები საოცარი ხალხიაო, -- ხმა გავრცელდა მთელს მსოფლიოში. მართალიც არის! ერთმა ისტორიკოსმა თქვა: საქართველოს სახურავი რომ დაახურო, ერთი დიდი, უნიკალური მუზეუმი გამოვაო... ამ პანანინა ქვეყნის ერთ ციდა მინაზე, თითქოს, მსოფლიო ცივილიზაციას მოუყრია თავი. იმიტომ, რომ ხალხი გამორჩეული იყო გული ეროდან. იბრძოდნენ, თავს იცავდნენ, ვერ ერეოდნენ. არც გარჯა აკლდათ. შრომა იცოდნენ: პური მოჰყავდათ, ღვინოს სწურავდნენ, წყალი, ღვინოს წყალობით, ბევრი ჰქონდათ. მომავლის იმედი ჰქონდათ.

დაახლოებით 34 საუკუნის წინათ იასონმა და არგონავტებმა კოლხეთიდან საბერძნეთში გაიტაცეს „ოქროს სანძისი“ და მედეა. „ოქროს სანძისი“ კი სიმბოლურად აღნიშნავს ცოდნას მეტალურგიისა და მეცნიერების მრავალი დარგის შესახებ. ოქროს, ბრინჯაოსა და რკინა-ფოლადის მოპოვება-დამუშავების სამშობლოდ საქართველო აღიარებული. კერძოდ, მის გამოგონებას კოლხურ ტომს ხალიდებს, იგივე ხალიდებს მიაწერენ, აღსანიშნავია, რომ დღემდე ბერძნები ფოლადს ხალიფს ეძახიან. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ცნობილი ევროპელი მეცნიერის რ. ფორბსის ნაშრომები, სადაც თავმოყრილია უცხოელი მეცნიერების შეხედულებანი ზემოთ აღნიშნული უძველესი ქართველური მოდემის ტომების როლის შესახებ სხვადასხვა ლითონის ნარმოების ხელოვნების აღმოჩენა-სრულყოფის საქმეში. სხვათა შორის, ლ. ეიჩისონი არც თვითონ უარყოფს იმას, რომ ლითონთა ნარმოების ისტორია ყველაზე საფუძვლიანად რ. ფორბსის ნაშრომებშია დამუშავებული. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ლ. ეიჩისონი სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ნარმოშობასთან დაკავშირებით აღძრული ზოგიერთი პრობლემატური საკითხის გადაჭრისას პირველ რიგში რ. ფორბსის გამოკვლევებს ეყრდნობა. არა მარტო სპილენძ-ბრინჯაოს, არამედ სხვა ფერადი და შავი ლითონების ნარმოების გზებსა და ხერხებზე რ. ფორბსის მიერ წამოყენებულ თეორიებს იგი ხშირად ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იზიარებს. მაგალითად, იგი სავსებით ეთანხმება რ. ფორბსს იმაში, რომ ვერცხლის მიღების ყველაზე რაციონალური ხერხი (რაც გულისხმობს ვერცხლოვანი ტყვიისაგან ამ ლითონის მიღების ტექნოლოგიას) პირველად ჩაისახა და განხორციელდა ხეთების იმპერიაში, პონტოს მკვიდრი მეტალურგი ტომების -- ხალიდების მიერ.²

საქართველოდან გაიტაცეს ცოდნა მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებაც. ფრანგებიცა და ბრიტანელებიც ერთხმად აღიარებენ საქართველოს

1 ჩვენი ღირსებანი. წიგნი I -- X. გამომცემლობა „წიგნიერი“. საქართველო. თბილისი, 2011-2017, გვ. 1.

2 კვირკველია გ. უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ. თბ., 1976, გვ. 3-5

ღვინის სამშობლოდ. მსოფლიოში ველური და კულტურული ვაზის 4000-მდე ჯიშია (უმეტესობა უფარვისია საღვინედ), აქედან 500 მარტო დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე ხარობს და 500-მდე საღვინეა. ბერძენმა არგონავტებმა ქართველ ერს მოსტაცეს რკინა-ფოლადის, ღვინისა და პურის საიდუმლო. არადა მსოფლიო დღეს რკინის ერაში ცხოვრობს. ამასთან, ერთადერთი სითხე, რომელიც ნირვისას მაცხოვრის სისხლად გადაიქცევა, ღვინოა, ხოლო ერთადერთი საკვები, რომელიც ნირვისას ქრისტეს ხორცად გადაიქცევა, პურია. საქართველო და ქართული მინა რომ არა, საინტერესოა, როგორ ეზიარებოდა კაცობრიობა მაცხოვარსა და, შესაბამისად, უკვდავებას? რომ არა რკინა, ვერ მოხდებოდა ვერც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ვერ შეიქმნებოდა ავტომობილი თუ ცათამბჯენი. რაც შეეხება კოლხ მედეას, სწორედ მან დაუდო სათავე მედიცინას, როგორც მეცნიერებას. სამწუხაროდ, არავის უნდა იმის გახსენება, რომ მედიცინა ქართველი ერის ნიაღში იშვა და ამ მეცნიერების კლასიკური ცოდნის საფუძველი ჩვენი მიწიდან გაიტაცეს ბერძენმა.

სტრაბონის ცნობით, ფაზისში დიდი მოცულობით ინარმოებოდა გემთსაშენი მასალა: ხე-ტყე, სელის ტილო, ქერელი, ფისი და ცვილი.

ძვ. წ. V საუკუნის ერთი უცხოური წყაროს თანახმად, აქ თავს იყრიდა სამოც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი. აქ გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც შორეულ ინდოეთიდან მოემართებოდა კასპიის ზღვამდე, ხოლო შემდგომ, ამიერკავასიის ქვეყნებზე გავლით (მდ. მტკვარი -- სურამის უღელტეხილი -- მდ. ყვირილა -- რიონი) აღწევდა შავ ზღვამდე დღევანდელ ფოთთან (ძველი ფაზისი). ამ გზის ცალკეული მონაკვეთები, რომელთაც თავდაპირველად ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდათ, ისახებოდა ჯერ კიდევ წინა ელინისტურ პერიოდში. ელინისტური ხანიდან კი, როდესაც ვაჭრობამ „მსოფლიო“ ხასიათი მიიღო, გაიმართა ერთიანი გზა ფაზისიდან ინდოეთამდე.

აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III საუკუნე) ცნობით, „კოლხებს შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები, წერილსვეტები, და იმ კირბებზე ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა“.

გერმანელი მკვლევარის კარლ რიტერის აზრით, „ეს ფირფიტები იყო პირველდანიყებითი რუკები და შესაძლოა ისინი ჰქონდა ჰეროდოტეს, როცა მან ჩამოთვალა ჩრდილოეთის ხალხების, ბოსფორისა და პონტოს სავაჭრო გზები“. მისივე აზრით -- „კარტოგრაფიული ხელოვნების პატივ-დიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. ეს ფირფიტები ბევრად უფრო ადრე გამოიყენებოდა კოლხ მოგზაურ-ვაჭართა მიერ“.³

3 შოშიტაშვილი თ. ევრაზიის დერეფანი და მომავლის პერსპექტივები. ეკონომიკის აქტუალური საკითხები. შამეცნიერო ნაშრომთა კრებული, VIII გამოცემა. თსუ. თბ; 2000 გვ. 108.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი რთული ინფორმაციის შეკრება და გადმოცემა კოლხებს ანბანის გარეშე მოეხერხებინათ. ამდენად, ზემოთ თქმული იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი წინაპრები არა მარტო თავისი დროის მონინავე საზღვაოსნო ცოდნას ფლობდნენ, არამედ საკმაოდ სრულყოფილ სადამწერლო სისტემასაც. ხოლო კოლხთა მაღალი სანაოსნო კულტურა ნათლად ჩანს არგონავტების მითშიც -- არგონავტებს სამი დღის მერე დადევნებულმა კოლხთა ფლოტმა გადაასწრო და შავი ზღვიდან გასასვლელი გადაუკეტა.

მონეტარული სისტემაც საქართველოდან და ქართული სამყაროდან იღებს სათავეს. პირველი ფულადი ნიშანი -- მონეტა ფრიგიის ქვემდებარე ტერიტორიებზე აღმოჩენილი და ძვ. წ. VII საუკუნეს განეკუთვნება. ფრიგიაში ამ დროს მუშქები ანუ მესხები დომინირებდნენ. ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება კოლხური თეთრი. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ გაჩნდა პირველი მონეტა საბერძნეთსა თუ სპარსეთში, რომის იმპერიაში კი ძვ. წ. V საუკუნეში გაცვლის ერთეულად პეკუნია ანუ ცხვარი გამოიყენებოდა.

საინტერესოა, როგორ იარსებებდა თანამედროვე სამყარო რომ არა მონეტარული სისტემა? ალბათ, აზრსა და მოტივაციას დაკარგავდა საქარავნო გზებიც, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიცა და საბანკო სისტემაც. რომ არა ქართველი ერი, მგზავრი ტაქსის მძღოლს მომსახურების საფასურად, ალბათ, ცხვარს გადაუხდიდა და ხურდაში ქათამს აიღებდა...

ერთიანი სახელმწიფოს არსებობა, როგორც ვიცით, უკავშირდება, არა მარტო გერბსა და დროშას, დროშას გორგასლიანს და დროშას დავითიანს, რომელიც, სამწუხაროდ, ისტორიამ არ შემოგვინახა, არამედ უკავშირდება სავაჭრო ერთეულს ანუ ფულს.⁴

თუ რატომ დაკარგა წინაპარმა ეს უპირატესობა, ამის ანალიზი შორს ნაგვიყვანს. ერთი მიზეზი იოანე-ზოსიმესეული ლაზარეს (ანუ ჩვენი ენის, ანუ ჩვენი ერის) გადაღლა და ხანგძლივი მიძინება უნდა იყოს.

ყველა მთავრობისათვის უმნიშვნელოვანეს საფიქრალს უნდა წარმოადგენდეს ისეთი პოლიტიკის შემუშავება რომელიც პირდაპირ იქნება მიმართული ქვეყანაში უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისაკენ. ხშირად სახელმწიფოს მთავრობებს არ გააჩნიათ მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და ისინი უბრალოდ გადმოიღებენ ხოლმე პოლიტიკას სხვა ქვეყნებიდან ან ბრმად მისდევენ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შედგენილ გეგმას. აქედან გამომდინარე, უმეტეს

4 შოშიტაშვილი თ. აღავსო ზღვა და ხმელეთი ქველის საქმემან მისმან (დავით აღმაშენებლის ეკონომიკური ხედვა). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. სპეცკურსები „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“. ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., 2009. გვ. 124

შემთხვევაში, ამგვარად შედგენილი სამოქმედო გეგმა უშედეგოა, არავითარი სარგებელი არ მოაქვს და მხოლოდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

დღეისათვის საქართველოს წინაშე უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა დგას, რომელთაგან უმწვავესია სიღარიბე, რაც ფართოდ გავრცელებული უმუშევრობითაა გამოწვეული. სიღარიბე ცხოვრების დონის გაუარესებაა, რაც თავის მხრივ ასოცირდება სამუშაოს შოვნის პრობლემასა და შემოსავლის მყარი და ღირსეული წყაროს არ არსებობასთან.

ხელისუფლების უპასუხისმგებლო და არაკომპეტენტურმა პოლიტიკამ ქვეყანა მიიყვანა უკიდურესად მძიმე მდგომარეობამდე ამ მდგომარეობიდან გამოსვლაზე დამოკიდებულია ჩვენი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნა. ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, უმძიმესი საფინანსო და საბიუჯეტო კრიზისი გადაუჭრელ დილემად იქცა, მოსახლეობის ცხოვრების დონე უკიდურესად დაეცა, ასეულ-ათასობით მოქალაქე სამუშაოს გარეშე დარჩა, მილიონზე მეტი ადამიანი ლუკმა-პურის საშოვნელად სამშობლოს გარეთ იმყოფება, კორუფციამ მოიცვა ცხოვრების ყველა სფერო, ვეხქვემ გაითელა პიროვნების ღირსება და პატივი, საქართველო რეალურად დგას ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

საქართველო, როგორც ეკონომიკური სუბიექტი, გაერთიანებულია მსოფლიო ეკონომიკაში და მასთან ურთიერთობისას საჭიროა დაიცვას საკუთარი (ეკონომიკური, სოციალური და კომერციული) ინტერესები და გაითვალისწინოს საერთაშორისო გარემო ისე, რომ არ ასცდეს საკუთარი განვითარების სტრატეგიას, რომელშიც უხდება განვითარება.

ამ პრობლემათა მოგვარება ერთიანობაში უნდა განხორციელდეს, რომლისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მოხდეს სამართლებრივი ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც დაეყრდნობა ქვეყნის განვითარების გენერალურ სტრატეგიას, ე. ი. უკვე დროა საქართველომ შექმნას ქვეყნის განვითარების საკუთარი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე იქნება მორგებული.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბ., 2005.
2. აბრალავა ა. ეროვნული მეურნეობის უსაფრთხო და მდგრადი განვითარება გლობალიზაციის ეპოქაში ჟურნ. „მაცნე“, №3. 2003.
3. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბ., 2014.
4. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2012.
5. კვიციანი გ. უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ. თბ., 1976.
6. მეტრეველი რ. კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში. თბ., 2007.
7. შოშიტაშვილი თ. „აბრეშუმის გზის“ ეკონომიკური საფუძვლები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრიორიტეტები, ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავისადმი. კონფერენციის მასალები. თსუ. თბ., 1998.
8. შოშიტაშვილი თ. საქართველო საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. პოსტსაბჭოური ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები საქართველოს მაგალითზე. აკადემიკოს ა. გუნიას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბ., 2002.
9. შოშიტაშვილი თ. ალავსო ზღვა და ხმელეთი ქვეყნის საქმემან მისმან (დავით აღმაშენებლის ეკონომიკური ხედვა). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიასთან არსებული საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. სპეცკურსები „საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკა“. ქრისტიანობა და ეკონომიკა. სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბ., 2009.
10. შოშიტაშვილი თ. ევრაზიის დერეფანი და მომავლის პერსპექტივები. ეკონომიკის აქტუალური საკითხები. სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, VIII გამოცემა. თსუ. თბ; 2000 გვ. 108.
11. ჩვენი ღირსებანი. წიგნი I - X. გამომცემლობა „წიგნი ერი“. საქართველო. თბილისი, 2011-2017.

სოციალური უსაფრთხოების ზღვრული ინდიკატორები და მათი უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში

კახაბერ ციმინტია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სოციალურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ადგილი და როლი ენიჭება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში, მისი მაჩვენებლები ახასიათებენ ქვეყნის სოციალურ მდგომარეობას, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და მუქარებისადმი მზაობას. საქართველოში სოციალური უსაფრთხოების წარმოდგენილი მაჩვენებლები (რომელთა არეალის ზრდაც შესაძლებელია), ნათლად ახასიათებენ ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონს. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლიდან შეჩერებულია მოსახლეობის გაღარიბების პროცესი, კვლავაც სახეზეა მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის დაბალი მაჩვენებლები. მიუხედავად შემოსავლების ზრდის პოზიტიური მიმართულებისა, მისი ზრდის ტემპი არ არის დამაკმაყოფილებელი საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის. ქვეყანაში მაღალია სიღარიბე და შემოსავლების მიხედვით დიფერენციაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ვექტორი სწორედ ამ პრობლემის მოგვარებისკენ უნდა იყოს მიმართული. სამუშაო ადგილების შექმნა, სამეცნიერო გარემოს გაუმჯობესება, საშუალო ფენის განვითარებისადმი ხელშეწყობა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ცნობილი და აპრობირებული მეთოდებია.

MARGINAL INDICATORS OF SOCIAL SECURITY AND THEIR PROVIDING PROBLEMS IN GEORGIA

Kakhaber Tsimintia

Associate Professor of Sokhumi State University

Resume

Social security has an important place and role in the economic security system, its indicators characterize the country's social situation, the challenges and threats in this direction. The marginal indicators of social security in Georgia (of which area can be increased) are clearly characterized by the social background in the country. Despite the fact that the population's poverty rate has been suspended since 2009, the level of living and quality of the population still remains high. Despite the positive growth of income, its growth rate is not satisfying for a country like Georgia. In the country there is a high poverty and differentiation by revenue. Therefore, the main vector of the economic policy of the state should be directed towards solving this problem. Developing jobs, improving entrepreneurial environment, promoting middle class development are known and proven methods of solving this problem.

საკვანძო სიტყვები: სოციალური უსაფრთხოება. ზღვრული ინდიკატორები. ცხოვრების დონე

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დახასიათებისათვის ხშირად გამოიყენება ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციონალური ინდიკატორების სისტემა, რომელიც მოიცავს: ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორებს; სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორებს; ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორებს; სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორებს.

სოციალურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ადგილი და როლი ენიჭება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში, მისი მაჩვენებლები ახასიათებენ ქვეყნის სოციალურ მდგომარეობას, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და მუქარებისადმი მზაობას. ალსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მიღებულია სოციალური უსაფრთხოების განხილვა არა როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ნაწილის, არამედ დამოუკიდებელი, ინტეგრალური მაჩვენებლის და ამ შემთხვევაში ეკონომიკური ასპექტების პარალელურად ყურადღება მახვილდება მოსახლეობის უფლებებსა და თავისუფლებასზე.

ყველაზე აღიარებულია სოციალური უსაფრთხოების შემდეგი კრიტერიუმები: მოსახლეობის რაოდენობა; მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი; მოსახლეობის საერთო რაოდენობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი; სიცოცხლის ხანგრძლივობა; მოსახლეობის ბუნებრივი მატება; შობადობა; სიკვდილიანობა. მათ შორის ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა; მიგრაციის საღდო; ჯანმრთელობაზე დანახარჯების წილი მშპ-ში; საარსებო მინიმუმი; საარსებო მინიმუმის ზრდის ტემპი. ჩვენს მიერ სოციალური უსაფრთხოების დასახასიათებლად შერჩეულ იქნა შემდეგი ფუნქციონალური ინდიკატორები: უმუშევრობის დონე, ხელფასის წილი მშპ-ში, შინამეურნეობების ხარჯების წილი მშპ-ში, ჯინის ინდექსი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი, საშუალო-თვითური შემოსავლის მიმართება შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ, დამნაშავეობის დონე, დეპოპულაციის დონე. აღნიშნული ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობის განსაზღვრის საფუძვლად გამოვიყენებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებულ გამოცდილებას, „კოპენჰაგენის კრიტერიუმებით“ დადგენილ და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ მნიშვნელობებს [1, გვ.129-133; 3, გვ.89-91; 4, გვ.77].

ამასთან, აღმოჩნდა, რომ სოციალური უსაფრთხოების მაჩვენებლების მხრივ საქართველო ნეგატი-

ური პარამეტრებით გამოირჩევა. ამ ჯგუფში შემავალი ინდიკატორებიდან უმრავლესობა ნეგატიური მნიშვნელობებით ხასიათდება. ამასთან, ზღვრულ დონეზე მაღლა დაფიქსირებული ინდიკატორების სტრუქტურის ანალიზი ავლენს მათ მიუღებლობას, ნეგატიურობას.

უმუშევრობის დონე. 2002-2012 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი გაუარესების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2002 წლისთვის ზღვრული 10 %-ის ნაცვლად იგი 12,6 %-ს შეადგენდა, ხოლო 2012 წლისთვის 15,0 %-ს. შემდგომ პერიოდში კი ადგილი აქვს უმნიშვნელო პოზიტიურ ცვლილებას და 2015 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 12,0 %-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა გამოკითხვებით საქართველოს მოსახლეობის 60% თავს უმუშევრად მიიჩნევს. ამასთანავე, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში მნიშვნელოვანია თვითდასაქმებულების წილი (56,5%). ასევე მაღალია სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მთლიანად დასაქმებულებში (55,3%), მაშინ როცა ამ სექტორში წარმოებული პროდუქციის წილი მშპ-ში 11%-ა. (შედარებისთვის: ვაჭრობის სფეროში დასაქმებულთა წილი შეადგენს 9,6%-ს, ხოლო ამ სფეროს პროდუქციის წილი მშპ-ში - 14%-ს).

უმუშევრობა ქვეყანაში კვლავაც ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამასთან, მისი უახლოეს პერიოდში მოგვარების პერსპექტივები არ არის გამოკვეთილი, რაც მოსახლეობის მკვეთრ ქონებრივ (შემოსავლების მიხედვითაც) დიფერენციაციასთან ერთად არსებითი ხასიათის მუქარად გვესახება საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის.

ხელფასის წილი მშპ-ში. აღნიშნული ინდიკატორი 2002 წელს არსებული 6,8 %-დან 2012 წლისთვის 56,3 %-მდე გაიზარდა, ხოლო 2015 წლისთვის გადალახა ზღვრული ნიშნული და 60,1 %-ს შეადგენს.

შინამეურნეობების ხარჯების წილი მშპ-ში. იგი პოზიტიური დინამიკით ხასიათდება და მისი მნიშვნელობა პასუხობს ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს. კერძოდ, 2002 წლისთვის 56,3 %-დან (ზღვრული ინდიკატორი 65-70 %) 2015 წლისთვის 72,3 %-მდე გაიზარდა. ამ მიმართულებით ნეგატიურად გვეჩვენება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის მცირე სხვაობა, რაც ზღუდავს მოსახლეობის მოთხოვნებს. ბოლო ათწლეულში მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო-თვიური შემოსავალი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, მაგრამ ხარჯებთან მისი მეტობა მხოლოდ 2009 წლისთვის იქნა მიღწეული. მიუხედავად ზრდის ტენდენციისა (2001 წ. 63 ლარიდან 2015

**ცხრილი 1.
სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორები საქართველოში**

№	მაჩვენებლის დასახელება	ზღვრული მნიშვნელობა	საქართველო					
			2002	2003	2005	2010	2012	2015
1	უმუშევრობის დონე (%)	10	12,6	11,5	13,8	16,3	15,0	12,0
2	ხელფასის წილი მშპ-ში (%)	60-70	6,8	32,0	36,8	56,3	56,3	60,1
3	შინამეურნეობების ხარჯების წილი მშპ-ში (%)	65-70	56,3	-	40,2	74,3	71,5	72,3
4	მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერჯის მოხმარება (კვტ.სთ წელიწადში)	2600	1700	1800	2000	-	-	-
5	ჯინის ინდექსი (ეკვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით)	0,24	0,37	0,38	0,39	0,43	0,41	0,39
6	სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი (%)	10	52,1	52,0	39,0	9,7	9,7	10,1
7	საშუალოთვიური ხელფასი პრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ (%)	100	90,5	96,3	213	445	471	554
8	დამნაშავეობის დონე 10000 კაცზე (რეგისტრარებული დანაშაულის მიხედვით)	500	38	40	100	78	78	
9	დეპოპულაციის დონე	100:100	100,4:100	100,2:100	108:100	130:100	116:100	

ნ. 284,5 ლარამდე) საშუალო-თვიური შემოსავლები კვლავაც დაბალია და იგი უმნიშვნელოდ აჭარბებს საშუალო-თვიურ ხარჯებს (279,6 ლარი);

ჯინის ინდექსი. ნაცვლად 0,24-სა, 2015 წლისთვის 0,39-ის დონეზეა დაფიქსირებული. რაც ადასტურებს შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის არათანაბარ განაწილებას. მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო პერიოდში ადგილი აქვს შემოსავლების მუდმივი ზრდისა და შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის პოზიტიურ ტენდენციას, სიღარიბე და უთანასწორობა კვლავაც მაღალია. კერძოდ, თუ 2003 წელს მოსახლეობის მხოლოდ 1,1%-ს ჰქონდა 1500 ლარზე მეტი თვიური შემოსავალი, 2013 წლისთვის კი — 13,4 %-ს. 2003 წელს 500 ლარამდე შემოსავალი ქონდა მოსახლეობის 85,6%-ს, ხოლო 2013 წელს — 37,3%-ს [5]. რაც ამკარად ადასტურებს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში შემოსავლების მიხედვით დიფერენციაცია რამდენადმე შემცირდა, თუმცა შემცირების ხარისხი ცხადია ჯერ კიდევ არ არის საკმარისი;

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი. იგი 2015 წელს არსებული 10,1 %-ის (ზღვრული 10 %) დონეზეა დაფიქსირებული. 2002 წელს კი 52,1 %-ს შეადგენდა. ამასთან, ამ მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარება არაა გამართლებული, რადგან სიტუაციის ასეთი არსებითი ცვლილება გამოწვეულია გამოთვლის მეთოდულ კამპანიაში განხორციელებული ცვლილებით;

საშუალო-თვიური ხელფასი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ. მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში იგი ზღვრულთან შედარებით პოზიტიურია. თუმცა ეს უფრო საარსებო მინიმუმის გამოთვლის მეთოდით არის განპირობებული. შრომისუნარიანი მამაკაცისთვის საარსებო მინიმუმის ღირებულება 2002 წელს არსებული 125,4 ლარიდან 2015 წლისთვის მხოლოდ 162,4 ლარამდე გაიზარდა (რაც ვერ ასახავს რეალურ სურათს), ხოლო საშუალო ხელფასი კი 113,5 ლარიდან (2002 წელი) 900,4 ლარამდე (2015 წელი). ამასთან, ოფიციალური საარსებო მინიმუმის არარეალურობასთან ერთად, ამ მაჩვენებლის ნეგატიურობას ამძიმებს დაქირავებით დასაქმების, შესაბამისად საშუალო ხელფასთან ხელმისაწვდომობის დაბალი დონე;

საანალიზო პერიოდისთვის ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა **დამნაშავეობისა და დეპოპულაციის დონეები** პოზიტიურია. 2012 წლისთვის - შესაბამისად 78 (ნაცვლად ზღვრული 500) და 116:100 (ნაცვლად ზღვრული 100:100). ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ წინა წელთან შედარებით 2015 წლისთვის ოფიციალური სტატისტიკით მოსახლეობის რიცხოვნობა, ძირითადად ემიგრაციის ხარჯზე, 776,8 ათასი კაცითაა შემცირებული. ამგვარად, ბოლო პერიოდში სულზე მონაცემების მნიშვნელოვანი ცვლილება აღნიშნულითაცაა განპირობებული. რაც შეეხება მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერჯის მოხმარებას, ჩვენს მიერ ამ მაჩვენებლის დაზუსტება

ვერ მოხერხდა, თუმცა ელექტროენერჯით მოსახლეობის მომარაგების არსებითი გაუმჯობესება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ იგი პასუხობს ზღვრული ინდიკატორის მოთხოვნებს.

ამგვარად, საქართველოში სოციალური უსაფრთხოების წარმოდგენილი მაჩვენებლები (რომელთა არეალის ზრდაც შესაძლებელია), ნათლად ახასიათებენ ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონს. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლიდან შეჩერებულია მოსახლეობის გაღარიბების პროცესი, კვლავაც სახეზეა მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის დაბალი მაჩვენებლები. საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორებში ასახულმა პოზიტიურმა პარამეტრებმა ვერ კიდევ ვერ მოახდინეს არსებითი ხასიათის გარდატეხა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიმართულებით. მიუხედავად შემოსავლების ზრდის პოზიტიური მიმართულებისა, მისი ზრდის ტემპი არ არის დამაკმაყოფილებელი საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის. ქვეყანაში მაღალია სიღარიბე და შემოსავლების მიხედვით დიფერენციაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ვექტორი სწორედ ამ პრობლემის მოგვარებისკენ უნდა იყოს მიმართული. სამუშაო ადგილების შექმნა, სამენარმეო გარემოს გაუმჯობესება, საშუალო ფენის განვითარებისადმი ხელშეწყობა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ცნობილი და აპრობირებული მეთოდებია. ცხადია, ასევე მნიშვნელოვანია დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებისა და მათი შემოსავლების ზრდის ღონისძიებების განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. ვ. მელქაძის სახ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების ს/კ ინსტიტუტი. თბილისი, 2003.
2. მეთოდური რეკომენდაციები ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის შესამუშავებლად. ვ. მელქაძის სახ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. შრომების კრებული, VII ტომი. თბილისი, 2003. (ქართულ ენაზე)
3. ციმინტია კ. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (ეკონომიკური უსაფრთხოების ასპექტები). თბილისი, 2009.
4. Сенчагов В.К. Экономическая безопасность: геополитика, глобализация, самосохранение и развитие. Книга четвертая. 2002.
5. WWW. GeoStat.ge.

в РФ рост ВВП составил 1,6 %. Промышленное производство выросло на 2, 8%. Дефицит федерального бюджета составил лишь 1,2% ВВП. Уровень инфляции 3,9%, а безработицы – 5,1%. По уровню жизни – производству ВВП на душу населения (8664, 06\$) – Россия поднялась лишь на одну ступеньку и занимает 72-е место из 187 стран мира. Однако рост ВВП, к сожалению, не означает, что процесс развития пошел, что стагнация экономики России сменилась ее ростом, по той причине, что ВВП снижался два года подряд и лишь в третьем квартале прошлого 2016 года остановился его спад и начался медленный рост. Примерно на 25% укрепился курс рубля. Но не наблюдается рост уровня жизни населения. Их Реальные доходы снизились на 1,4%. По данным за май месяц 2017 года этот показатель вроде бы перестали падать, но еще не начал расти, хотя потребительские расходы и увеличиваются. Например, оживилась покупка автомобилей, хотя половина этих продаж была осуществлена за счет кредитов.

Можно предполагать, что такой рост потребления повлечет за собой приток импорта, что вызовет инфляцию еще и потому, что в сентябре 2017 года снизили ключевую ставку Центробанка (с 9 до 8,5%), хотя и долго боялись рисков изменения цен на нефть и инфляционного тренда. Осталась и надежда на хороший урожай – ведь сельхозпродукция занимает большую часть потребительской корзины.

По модели развития экономики РФ приоритетом является рост добычи и экспорта нефти, газа и продуктов их переработки, что составляет 55% всего экспорта. Вместе же с другими сырьевыми товарами – металлами, химией и лесом это направление охватывает и все 75% вывоза. При том, что доля импорта продовольствия – стабильно не меньше 50% его потребления.

Оживление экономики РФ и вовсе может прекратиться, если растущая потребность в высокотехнологическом оборудовании и комплектующих ее товаров не будет удовлетворяться за счет роста собственного производства. И через 25-30 лет не предвидится улучшение без ухода этакой крупной экономики от ее униительной зависимости от сырья, хотя ограничительные экономические меры, введенные для нее западом не сильно действенные. Во-первых, – они в основном разрабатывались еще в 2014 году, когда нефть стоила свыше \$100 за баррель, а доллар и евро достигали 80 и 100 рублей. Компании, находящиеся под санкциями стали активнее занимать деньги и уменьшили силу финансовых санкций, но они остановили приток извне новых технологий, или так называемых прямых инвестиций. Сокращение притока капитала же вызывал рост разрыва в уровне развития экономик западных стран и России, усиливая риски последней. Они больше, чем риски уменьшения цен на энергоносители, которыми подпитывается экономика страны. За последние годы российская доля экспорта высокотехнологичных товаров в общем объеме их мирового экспорта составляет

лишь 0,3 – 0,4%, ибо из-за отсутствия конкуренции не получается и с прорывом в росте нано технологий. К тому же необъявленная государством война вынуждает прятаться в тени не только малый бизнес. Риски увеличивают и тот факт, что в результате уголовных дел против бизнесменов почти 90% из них теряют свое дело и пополняют ряды безработных. Многие из них вынуждены идти в ЧОПы (частное охранное предприятие) охранниками, пополняя 1,5 миллионную армию бездельников (на западных фирмах и в помине нет охранников без особой надобности), которые никак не могут улучшить качество охраняемого, но легко могут уменьшить его количество. А без развития малого бизнеса нет никаких иных волшебных рецептов поднятия переходной от социализма к капитализму постсоветской экономики. Рост экономики в лучшем случае может ограничиться в 1,5 – 2% в год, что не позволит стране преодолеть отставание от передовых стран мира, со средним ежегодным приростом в 3,5%, а значит, не повезет и другим постсоветским республикам, до сих пор сильно зависящим от экономически самой мощной из них.

Главная причина отставания России заключается в том, что демократические преобразования в экономике РФ, начавшиеся было в начале 90-х годов 20 века, так и не были доведены до логического конца. Распространилась так называемая экономика РОЗ – коррупционная модель развития. В ее основе лежат: Распил (порядка 20 – 30 %), Откат (10%) и Занос (2%). В итоге 32-42% средств предприниматель вынужден отчуждать в пользу посторонних лиц, «оберегающих» его бизнес. К тому же Россия угодила в демографическую яму. Население страны снова начало сокращаться. За январь-июнь 2017 года резко вырос показатель убыли населения – число родившихся за этот период составило 821 тыс. человек, а число умерших – 940,4 тыс. человек. Естественная убыль – 119, 4 тыс. человек, что почти в 4-раза больше прошлогоднего показателя (32, 2 тыс. человек). Этот отрицательный тренд вряд ли нивелируется за счет мигрантов – 80720 человек за 6 месяцев 2017 года против 115640 человек за аналогичный период прошлого года. Причем тенденция эта убывающая из года в год из-за падения курса рубля и небольшого оживления экономик других постсоветских республик. А примерно через 20 лет ожидается еще большая демографическая яма в уменьшении рождаемости из-за указанного сокращения численности населения. По данным опроса РАНХиГС (Российская академия народного хозяйства и государственной службы), в 27 регионах страны доля людей, считающих себя бедными, больше 30%, более 21% населения доходов едва хватает лишь на еду. В первом полугодии 2017 года люди смогли потратить на еду лишь на 1,8% меньше средств, чем в прошлом году. И молока, и свежих овощей продано – на 14% меньше, даже макароны с хлебом стали меньше брать. Больше стали надеяться на самые деше-

вые крупы и дачные участки, свою картошку. Зато народ откормлен рассказами о величии России, дающей лишь 1,5% мирового ВВП, занимая 1/9 часть суши.

По оценкам ОЭСР (Организация экономического сотрудничества и развития), по своей методике поставшей показатель производительности труда в 4-х десятках ведущих экономик мира, работник в России в час создает национальный продукт на \$25, 9. Это лучше, чем лишь в Мексике – \$19,5. И это не смотря на то, что каждый пятый работоспособный россиянин трудится не только на основной работе, но и подхалтурирует – где-то, что-то, и видимо как-то делает, перейдя в так называемую теневую экономику и получая от этого 10-30%, а то и все 100% своего дохода.

Пожилым людям же и вовсе нет места в России. В 2016 году средняя пенсия составляла около 12 тыс. рублей (примерно \$200). Поэтому 45% пенсионеров не могли позволить себе приобрести необходимые лекарства хотя бы раз в год, а треть из них сталкивается с этой проблемой регулярно. Хотя и хуже обстоят дела в других постсоветских республиках. Например, в Азербайджане пенсия составляет 120, в Армении – 85, а в Грузии 73 доллара США.

Растет количество тех, кто хочет эмигрировать из России в поисках лучшей жизни. Это в основном молодежь многие, из которых уже не верят, что вообще будет пенсия – государство будет в состоянии ее выплачивать. Понятно, что охота за скидками стала лучшей стратегией роста доходов россиян. По данным РОМИР (российский независимый холдинг, специализирующийся на маркетинговых, медиа и социально-экономических исследованиях), с июля 2016 по июль 2017 года доля охотников за скидками-акциями увеличилась с 26 до 36%. По-прежнему почти треть (31%) респондентов покупают более дешевые марки товаров.

Радость россиян находят в ином, нежели западные люди. У них как бы собственное счастье. Из ежегодного доклада WorldHappinessReport за 2017 год Россия заняла место в конце пятой десятки в рейтинге счастья из 155 стран. Ее обгоняет даже постсоветская республика Узбекистан (47-е) место. Самая счастливая же страна Норвегия, а несчастная – ЦАР. Как показал опрос ВЦИОМ (Всероссийский центр изучения общественного мнения), даже среди малообеспеченных россиян 61% счастливых людей, хотя их все-таки больше среди имеющих хороший достаток – 94%. Из-за безденежья здесь всего лишь 10% несчастных. В этом немалую роль играет не только память о лишениях, пережитых в ВО войне, но и то, что россияне (в основном русские) большее значение придают величии, возвращению стране пресловутого статуса сверхдержавы – главного приоритета своего государства. По данным ВЦИОМ, треть населения России считают ее уже великой, еще половина убеждена, что она станет ею, очень желая этого, что в немалой степени является результатом постоянной агитации и пропаганды через

СМИ, подконтрольной одной партии и несменяемому правительству, как в бытность СССР, что ни к чему хорошему не привело. К слову, Австрия не стремится к воссозданию былой империи, могущества Габсбургов, и занимает высокое 15-е место по уровню жизни (ВВП на душу населения) и 13-е в рейтинге счастья, а Россия соответственно – 72-е и 49-е места. Это же не пресловутое вставание с колен.

Похуже аналогичные показатели у Грузии, соответственно 110-е и 125-е места, хотя у нее иная, как в странах запада, направленная на возвеличение не своего мифического государства, а реального человека, модель экономического развития. Здесь другие, помимо одинакового «социалистического» прошлого, низкой исходной, но еще и с отсутствием энергоносителей, базы причины отставания от передовых стран.

По данным Национальной службы статистики, в последние годы экономика в Грузии развивалась хотя и не без недостатков, но быстрее, чем в России. Например, ВВП в 2016 году по сравнению с 2015 годом, по предварительным данным, вырос на 2,7% и составил 14332,8 млн. \$ США, а в первой половине 2017 года, по сравнению с аналогичным периодом 2016 года – на 3-4%. Оборот внешней торговли (без учета незадекларированной торговли) в прошлом году составил 11985 млн. \$ США, что на 21% больше, чем в 2015 году. Из них экспорт составил 2114 млн. (на 4% меньше), а импорт 9871 млн. (на 28%) больше. Дефицитное сальдо торгового баланса составило 7757 млн (65% всего объема торговли). В январе-июне 2017 года внешне-торговый оборот достиг 4829,9 млн., что на 13, 8% больше, чем в аналогичном периоде прошлого года. Экспорт составил 1249, 5 млн. (на 31,8% больше), импорт – 35803 млн. (на 8,6% больше), а сальдо торгового баланса все-таки отрицательное – 2330,8 млн. \$ США (на 1547,7 млн. или на 39,9% меньше, чем в среднем за предыдущий год). В этом же 2016 году по сравнению с 2015 годом уровень безработицы уменьшился лишь на 0,2% и составил 11,8%, но стал самым низким показателем за 13 лет.

Ориентированная на потребление модель развития экономики Грузии не так уж и хороша в условиях отставания производства, потому как потребление населения в значительной мере осуществляется приростом ее покупательной способности лишь поступлениями из-за рубежа. Ежегодно в размере миллиарда долларов, в том числе 2/3 из России, население получает от своих подрабатывающих в других странах родственников, что показывает на финансовую зависимость Грузии, особенно от большого соседа.

По мнению одних известных экономистов Грузии должна идти путем приоритетного развития сельского хозяйства и пищевой промышленности, гидроэнергетики и туризма. Долю промышленности предполагается довести до 50%, а сельского хозяйства, увеличив более чем в 3 раза, до 30%, что позволило бы в 2,5 раза

уменьшить уровень бедности. По мнению же иных ученых на этот процесс следует наложить и процесс приоритетного развития сферы услуг, что все более закрепляет за собой славу источника прироста современных западных экономик. Имеются в виду сервисные услуги, ориентированные и на производство, и на общество, и на домашнее хозяйство, и личностного характера. Конкретно это: деловые, строительные и связанные с ними инженерные, дистрибьюторские, образовательные, связанные с защитой окружающей среды, финансовые, услуги в области здравоохранения и социального обеспечения, туристические и связанные с ними, услуги по организации досуга, культурных и спортивных мероприятий, транспортные услуги, и прочие услуги. На долю сервисной экономики во многих странах и сегодня приходится больше половины ВВП. Истина посередине. Надо посчитать варианты.

Мы разделяем взгляд, что наиболее острой проблемой развития экономики Грузии следует считать обеспечение продовольственной безопасности республики. По расчетам проф. Н. Читанава в 2013 году по сравнению с 1990 годом потребление мяса и мясопродуктов в расчете на душу населения Грузии уменьшилось в 1,3 раза, молока и молочных продуктов – в 2,1 раза, яиц – в 1,3-раза. Невысок даже уровень потребления фруктов (48 кг на человека в год). Он выше даже у северных соседей – россиян – 64 кг в 2009 и 61 кг в 2015 году, что также не соответствует рациональным нормам их потребления. А потребление фруктов даже сильнее молока, не говоря о мясе, зависит от местного производства. Соотношение же производства и потребления молока и молочных продуктов в расчете на душу населения составляло 135 и 144 кг., а мяса и мясопродуктов – 11 и 27 кг. Всего импорт продуктов питания в Грузии достигает 70-80%. А по резолюции ООН от 1974 года, продовольственная безопасность страны находится под риском, если в страну импортируется более 20% продуктов питания. При этом сильно хромает и покупательная способность населения. Примерно 1 миллион человек, или 24,7% населения Грузии питается неудовлетворительно: этот показатель в мире в 2 раза ниже – 12,5% (См.1). Понятно, что грузинам приходится нарушать свои вековые традиции гостеприимства.

Исходя из того, что основой эффективного развития национальной экономики должен служить природно-ресурсный потенциал страны следует разработать стратегию приоритетного развития производства продовольствия. На это положение указывает и необходимость преодоления почти трехкратного превышения импорта над экспортом. Следует не только осуществить замещение импорта, но и перейти на экспортирование и некоторых других пищевых продуктов, решить вопросы более равномерного размещения трудовых ресурсов по территории республики, рассредоточения производительных сил из столицы, г. Тбилиси

на периферию страны. Заслуживает внимания необходимость регулярного анализа взаимосвязи производства и потребления по регионам различных таксономических рангов (край, район, село): как будет меняться доля вывоза из них продуктов питания. Так, например в 1980 году соотношение потребления и производства мяса и мясных продуктов в Грузинской ССР, Аджарской АССР и районе Самтредиа составляло 183, 145 и 44%, то есть с уменьшением ранга региона росла доля вывоза из нее этого продукта питания, что было верным направлением развития. Так можно устанавливать рациональные пропорции производства и потребления и по другим продуктам. Следует возобновить регулярные подсчеты среднедушевого потребления продуктов питания на душу населения республики. Осуществлять расчеты их балансов (См. 2). Достижению этих целей во многом будет способствовать формирование и развитие пищевого кластера Грузии, что станет насущным приоритетом развития ее экономики.

Работу, в этом направлении, следует начать с разработки «Программы развития пищевого кластера Грузии на период с 2021 по 2050 годы». Паспорт такой программы должен включать примерно следующие основные вопросы: 1. Характеристика пищевого кластера Грузии; 2. Цель и задачи пищевого кластера Грузии; 3. Основные направления развития пищевого кластера Грузии; 4. Ресурсно-инновационное и организационно-финансовое обеспечение программы развития пищевого кластера Грузии; 5. Оценка эффективности программы развития пищевого кластера Грузии; 6. Приложения и пояснения.

Таким образом, хотя бы к 2050 году, Грузия сможет реально выйти на передовые позиции во всемирном разделении труда, повышении жизненного уровня населения. Республика обязательно поднимется не то что с 126-ого на 125-е место рейтинга счастья, как это произошло в 2016-2017 годах, а гораздо выше, дабы навсегда вернуть себе почетное звание одной из самых гостеприимных стран мира.

ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Нодар Читанава. Почему резко упал уровень жизни в Грузии. Протокол <http://iverioni.com.ge/print.page,1,16365-ratom-daeca-mkvetrat-ckhovrebis-donesaqartveloshi.html>. С. 3.
2. Двалишвили Р.А. Анализ взаимосвязи производства и потребления региона. Автореферат на соискание ученой степени кандидата экономических наук. – М.: СОПС, 1984. – 19 с. С. 11.
3. <https://www.allnews.ge/ეკონომიკა/156004-რამდენია-პენსია-საქართველოს-მეზობელ-ქვეყნებში.html>

მცირე და საშუალო ბიზნესის როლი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში

მეგი ანანიძე

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი, სტუ

რეზიუმე

თანამედროვე პირობებში უდიდესი როლი ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. მცირე საწარმოებს უფრო დიდი პოტენციალი გააჩნიათ განვითარებისთვის და ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი როლი დასაქმების მიმართულებით. მსხვილი კომპანიები როგორც წესი გადადიან ავტომატიზირებულ ტექნიკა ტექნოლოგიებზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს ცოცხალი სამუშაო ძალის შემცირებას და უმუშევრობის ზრდას, ხოლო მცირე საწარმოების განვითარება ორიენტირებულია საშუალო ფენის დასაქმებაზე, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

THE ROLE OF GOVERNMENT SUPPORT FOR THE DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESSES AND SOLVING SOCIAL ECONOMIC PROBLEMS

Megi Ananidze - PHD

The development of small and medium business is a major role in the modern economy. Smaller enterprises have greater potential for development and are vitally important for their role in employment. Large companies typically move automated technology to technologies which in turn lead to decrease in work force, which in turn leads to a decrease in the job cuts and unemployment growth, While the average business is focused on the middle class employment which will have a positive effect on the country's economy.

Key words: Small and medium business, unemployment, country's economy.

საკვანძო სიტყვები : მცირე ბიზნესი, საწარმოო პოტენციალი, თანამედროვე ეკონომიკა.

პირითადი ნაწილი

ნებისმიერი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი ისეთი მცირე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ძალიან მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. აღნიშნულ ბიზნესს არ შესწევს ძალა მხოლოდ საკუთარი სახსრებით და შესაძლებლობებით განვითარდეს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური გუნდის მხარდაჭერა ამ მიმართულებით. დიდია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რადგან იგი უფრო მოქნილია და სტაბილური განვი-

თარები პირობაა. ხშირად მსხვილ კომპანიებს არ შესწევთ უნარი სწრაფი გადამწყვეტილებების მიღებისა, ერთი წარმოებიდან მეორეზე სწრაფი გადართვისა, რითაც მცირე საწარმოები გამოირჩევიან. ამასთან აღნიშნულ სეგმენტში ძალიან მაღალია კონკურენცია, რაც განაპირობებს სიახლეების ძიებას, პროცესების სრულყოფასა და დასაქმების ზრდას, რომელიც ასევე დადებითად აისახება ეკონომიკაზე. მცირე და საშუალო ბიზნესი ორიენტირებულია დიდი რაოდენობით მუშახელის დასაქმებაზე. მსხვილ კომპანიებს შესწევთ უნარი შეიძინონ თანამედროვე ტექნოლოგიები და სამუშაო ძალა ჩაანაცვლონ ტექნიკით, ხოლო მცირე ბიზნესი სრულად დამოკიდებულია სამუშაო ძალაზე, რაც, თავის მხრივ, ამცირებს უმუშევრობას ქვეყანაში და ზრდის მოსახლეობის შემოსავლის უნარიანობას. გარდა ზემო აღნიშნულისა, ისინი უშუალოდ მონაწილეობენ კომპანიასა და მომხმარებელს შორის ურთიერთობაში, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება მომსახურების ხარისხზე და ნდობაზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ბაზარზე ხშირად აწყდებიან სხვადასხვა სახის ისეთ პრობლემებს, როგორცაა გაყიდვებში გამოუცდელიობა. მოსახლეობა ნაკლებად ენდობა ახლად შექმნილ მცირე საწარმოს და მის მიერ პროდუქციის წარმოებას, ყოველთვის არის უნდობლობის მომენტი ახლად აღმოცენებული კომპანიის მიმართ, რაც ხელს უშლის კომპანიას გაყიდვებში. ამასთან აღნიშნულ სეგმენტში ძალიან მაღალია კონკურენცია და მათ ძალიან დიდი ბრძოლა უწევთ გადასარჩენად.

განვითარებად ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესს ძალიან უჭირს განვითარება, რადგან მათ არ ყოფნით საკუთარი სახსრები ბიზნესის განსავითარებლად და გასაფართოვებლად, ასევე სახელმწიფოს არ შესწევს ძალა დახმარებისა. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ასეთი ქვეყნები ორიენტირებული არიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. რაც თავის მხრივ ძალიან დადებითად აისახება როგორც მცირე და საშუალო ბიზნესზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

განვითარებად ქვეყნებში კი მთავრობა ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს აღნიშნულ სეგმენტს, უზრუნველყოფს მათთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზით, შეღავათებითა და დახმარებით, რადგან სწორედ ეს სფერო აფორმირებს საშუალო ფენას ქვეყანაში, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საწინდარია.

ევროპის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს,

რომ მცირე და საშუალო ბიზნესის როლი დღითიდღე იზრდება და მნიშვნელოვანია ამ სფეროში ქვეყნის ეკონომიკური გუნდის ჩართულობა. ევროპასა და ამერიკაში აღნიშნულ სანარმოებზე სადაც 20 ადამიანზე ნაკლებია დასაქმებული, მოდის მთელი დასაქმებული მოსახლეობის 2/3, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამასთან აღნიშნული სანარმოები ევროპასა და ამერიკაში ანარმოებენ მშპ-ის 50-70%-ს.

საქართველოში ამ ეტაპზე ნაკლებად არის განვითარებული ზემო აღნიშნული სანარმოები, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, რომელთაგან უმთავრესია საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილად არსებობა, ქვეყანაში არასახარბიელო ფისკალური და საკრედიტო პოლიტიკა, მთავრობის ნაკლებად ჩართულობა და ა.შ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ამ მხრივ საქართველოში ასეთი მონაცემები გვაქვს: 2014 წლის მონაცემებით სანარმოთა საერთო ბრუნვა 50.1 მლრდ. გარი შეადგინა, ხოლო პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 26.1 მლრდ. ლარი, რაც შემდეგნაირად ნაწილდება სანარმოების სიდიდის მიხედვით: მსხვილ ბიზნესზე მოდის -81.9 %, საშუალო ბიზნესზე - 8.7% და მცირე ბიზნესზე 9.4 %. აღნიშნული მონაცემები კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ვერა და ვერ ხერხდება საქართველოში აღნიშნული სეგმენტის განვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობა გააქტიურდა აღნიშნული მიმართულებით, დაიხვეწა საკანონმდებლო ბაზა, შემუშავდა ახალი პროექტები, მაინც პრობლემად რჩება საბანკო-საფინანსო სექტორში არასაკმარისი შეღავათები მენარმეებისათვის, დამწყები ბიზნესის დაფინანსება, გადასახადების შემცირება სახელმწიფოს მხრიდან ასეთი კომპანიებისათვის. ასევე ძალიან დიდ ზემოქმედებას აღნიშნულ ბიზნესზე ახდენს ქვეყნის არასტაბილური პოლიტიკა, ვალუტის კურსის ცვლი-

ლება, ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური კურსი და სხვადასხვა ფაქტორები.

სახელმწიფოს ეკონომიკური გუნდმა აუცილებელია შეიმუშაოს სპეციალიზებული პროგრამები, რომელიც განხილული იქნება უშუალოდ მცირე და საშუალო ბიზნესის ნარმომადგენლებთან. უნდა განხორციელდეს ინტენსიური შეხვედრები, განხილული უნდა იქნეს მათ წინაშე მდგარი ყველა სახის პრობლემები და მოძიებული უნდა იქნეს მათი გადაჭრის გზები. მხოლოდ აღნიშნული სეგმენტის ნარმომადგენლებს შეუძლიათ მოიძიონ მათი გადაჭრის გზები, რაშიც უკვე სახელმწიფო სტრუქტურების ჩართულობა დაეხმარებათ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად იცვლება საკანონმდებლო ბაზა, იქმნება პროგრამები, რომლებიც განხილულიც კი არ არის მენარმეებთან, რაც აისახება აღნიშნული ცვლილებების არაეფექტურობაში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ლომსაძე-კუჭავა, ხ. გიორგაძე - „მცირე ბიზნესი“, თბილისი, 2016 წ.
2. ა.სხირტლაძე, ჟ.ნიკლაური. ბიზნესი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის უმთავრესი პირობა, მისი აღრიცხვის, საგადასახადო რეგულირების თავისებურებანი. ჩგამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013 წ.
3. შ. გოგიაშვილი, კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნეს გარემო საქართველოში, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №1 2006წ.
4. თ. შენგელია, რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია და უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოში, თბილისი 2010წ.
5. ი. მესხია, გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №2 თბილისი 2009წ.

რეზიუმე

თანამედროვე ეპოქა ხასიათდება საზოგადოებაში და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების სირთულით, ადამიანის მნიშვნელობის და პერსონიფიცირებული ურთიერთობების ზრდით წარმოების სფეროში, მთელ რიგ ქვეყნებში ეკონომიკის სოციალიზაციის პროცესის დაჩქარებით, სახელმწიფოს როლის ზრდით საზოგადოებისა და ეკონომიკის რეგულირებაში. სოციალური თანხმობა, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტერესთა ბალანსი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილებაში, ცხოვრების ღირსეული დონის მიღწევა-საზოგადოების კონსოლიდაციის, ინვესტიციების ზრდის, ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობაა.

დღეს ეკონომიკის როგორც დამოუკიდებელი სფეროს, თავისი განსაკუთრებული კანონების მიხედვით მოქმედის და ცხოვრების სხვა სფეროდან გამოყოფით განხილვა შეუძლებელია. როგორც ჭფ. ფუკუიამა აღნიშნავს, ეკონომიკური საქმიანობის ფორმებს შორის შეუძლებელია არსებობდეს ისეთი, რომელშიც შევძლებთ გვერდი ავუაროთ სოციალურ ურთიერთქმედებას, ეს განაპირობებს საზოგადოების განვითარების სოციალური ასპექტების კვლევის აქტუალობას, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციალური კაპიტალის ფენომენს. ნაშრომში გამოკვლეულია სოციალური კაპიტალის არსი, მოცემულია მისი შედარებითი ანალიზი ფიზიკური და ადამიანურ კაპიტალთან.

საკვანძო სიტყვები: სოციალური კაპიტალი; ფიზიკური კაპიტალი; ადამიანური კაპიტალი, სოციალური ქსელები; ნდობა.

СУШНОСТЬ СОЦИАЛЬНОГО КАПИТАЛА

ნატო ჩიკვილაძე,
профессор Грузинского
Технического Университета

Резюме

Современный этап характеризуются усложнением процессов происходящих в обществе и экономике, повышением значимости человека и персонализированных отношений в сфере производства, ускорением процесса социализации экономики во многих странах, ростом роли государства в регулировании общества и экономики.

Социальное согласие, баланс интересов различных слоев населения по поводу распределения обществен-

ного продукта „достойный уровень жизни-условие консолидации общества, роста инвестиций, ускорения экономического развития. Сегодня невозможно рассматривать экономику как самостоятельную сферу, функционирующую по своим особым законам и отдельную от других сфер жизни общества. Это обуславливает актуальность исследования социальных аспектов развития общества среди которых особое место занимает феномен социального капитала.

В работе исследована сущность социального капитала, приведен ее сравнительный анализ с физическим и человеческим капиталом.

Ключевые слова: социальный капитал, физический капитал, человеческий капитал, социальные сети, доверие.

შესავალი

თანამედროვე ეპოქა ხასიათდება საზოგადოებაში და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების სირთულით, ადამიანის მნიშვნელობის და პერსონიფიცირებული ურთიერთობების ზრდით წარმოების სფეროში, მთელ რიგ ქვეყნებში ეკონომიკის სოციალიზაციის პროცესის დაჩქარებით, სახელმწიფოს როლის ზრდით საზოგადოებისა და ეკონომიკის რეგულირებაში. სოციალური თანხმობა, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტერესების ბალანსი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილებაში, ცხოვრების ღირსეული დონის მიღწევა-საზოგადოების კონსოლიდაციის, ინვესტიციების ზრდის, ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობაა.

დღეს ეკონომიკის როგორც დამოუკიდებელი სფეროს, თავისი განსაკუთრებული კანონების მიხედვით მოქმედის და ცხოვრების სხვა სფეროდან გამოყოფით განხილვა შეუძლებელია. როგორც ჭფ. ფუკუიამა აღნიშნავს, ეკონომიკური საქმიანობის ფორმებს შორის შეუძლებელია არსებობდეს ისეთი, რომელშიც შევძლებთ გვერდი ავუაროთ სოციალურ ურთიერთქმედებას, ეს განაპირობებს საზოგადოების განვითარების სოციალური ასპექტების კვლევის აქტუალობას, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციალური კაპიტალის ფენომენს.

ძირითადი ტექსტი

სოციალური კაპიტალის განმარტების ექსკლუზივი ჯ.ქოულმანს ეკუთვნის: ეს არის ურთიერთნდობისა და ურთიერთდახმარების პოტენციალი, რომელიც მიზანმიმართულად ყალიბდება პიროვნებათა შორის ურთიერთობებისას: მოვალეობა და მოლოდინი, ინფორმაციული არხები და სოციალური ნორმები.

პ. ბურდიე სოციალურ კაპიტალს ახასიათებს,

როგორც რეალურ და პოტენციურ რესურსების ერთობლიობას, დაკავშირებულს ნაცნობობის მეტნაკლებად ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობების მყარი ქსელის ფლობასთან. სტრუქტურული მიდგომა ეყრდნობა სოციალური ქსელების ცნებას, რაც განსხვავებული ქსელური კონფიგურაციის, ამა თუ იმ სოციალური კაპიტალის სტრუქტურული ცვლილებების დემონსტრირების, მყარი ქსელების განსხვავებული სახეობების ქსელური კავშირების სიძლიერის და სტაბილურობის გაზომვის საშუალებას იძლევა. ინსტიტუციურ მიდგომას საფუძვლად უდევს სოციალური კაპიტალის ფორმირებაში ნორმების განმსაზღვრელის როლის აღიარება. ამასთან მნიშვნელოვანია ინსტიტუციური გარემო, აგრეთვე სოციალური კაპიტალის დაგროვებისათვის ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების გავლენა. ფორმალური ინსტიტუტების შემთხვევაში ძირითადი აქცენტი კეთდება სახელმწიფოს როლის გამოკვლევაზე. სოციალური კაპიტალის კვლევისას ბევრი ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს ისეთ არაფორმალურ ინსტიტუტს, როგორცაა "ნდობა".

რ.პატენემი მას აფასებს, როგორც სოციალური კაპიტალის ელემენტს. ე.ლესერი აზრს გამოთქვამს იმის შესახებ, რომ "ნდობა" შეიძლება იყოს როგორც სოციალური კაპიტალის წყარო, ისე მისი შედეგი. ფ.ფუკუიამა "ნდობას" განიხილავს, როგორც განვითარებული საზოგადოების ძირითად მახასიათებელს, რომელიც ვლინდება როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ დონეზე (საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და მთლიანად სახელმწიფოს მიმართ ნდობა). სოციალურ კაპიტალს ის განსაზღვრავს როგორც ადამიანთა უნარს საერთო მიზნის მიღწევისათვის ერთად, ერთ კოლექტივში მუშაობის შესაძლებლობისა. თავის მხრივ, ასოცირების უნარი დამოკიდებულია ერთიანობის შიგნით ნორმებისა და ფასეულობების არსებობაზე, რომლებიც გაზიარებულია მათი წევრების მიერ და მზად არიან საკუთარი ინტერესები დაუქვემდებარონ ჯგუფის ინტერესებს, ასეთი საერთო ნორმებისა და ფასეულობების შედეგია ურთიერთგაგება.

ზოგი მეცნიერი სოციალურ კაპიტალს განიხილავს, როგორც ინდივიდუალური ისე ჯგუფური კეთილდღეობის საფუძველზე. პირველ შემთხვევაში სოციალური კაპიტალი განიხილება, როგორც ინდივიდის თვისება, ხოლო სხვა შემთხვევაში, როგორც ჯგუფის თვისება. ამ მიდგომების მკვეთრად გამოჯვანა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ თუ ვინ ღებულობს სიკეთეს: ჯგუფი თუ ინდივიდი. მაგალითად, მოსახლეობის მცირე ჯგუფების მობილიზაცია (ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით) არა იშვიათად დემოკრატიულ ინსტიტუტებს აყენებენ ეჭვქვეშ, რამდენადაც ასეთი ჯგუფებს ახასიათებთ პარტიკულარული მოთხოვნების წამოყენება, რომლებიც ყოველთვის არ პასუხობს მთელი საზოგადოების ინტერესებს, ამიტომ პრიორიტეტულს საზოგადოებისთვის წარმოადგენს სოციალური კაპიტალის

განვითარება, უზრუნველყოფს რა დამატებითი რესურსებს, რომელიც მისი ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია. არსებობს სოციალური კაპიტალის გაგების სამი კონცეფცია: "ვინრო", "უფრო ფართო" და "ყველაზე ფართო".

- პირველი მათგანი განიხილება, როგორც ადამიანთა შორის "ჰორიზონტალური კავშირების" კრებული. სოციალური კაპიტალი ამ გაგებით შედგება სოციალური ქსელებისაგან და მათთან დაკავშირებული ნორმებისაგან, რომელიც გავლენას ახდენს მთელი საზოგადოების პროდუქტიულობაზე.

- მეორე კონცეფციას სოციალური კაპიტალის შემადგენლობაში ჰორიზონტალურის გარდა ვერტიკალური ქსელები და ფორმებიც შეაქვს. ვერტიკალური ქსელები ხასიათდება იერარქიული ურთიერთობებით და მათ წევრებს შორის ძალაუფლების არათანაბარი განაწილებით.

- მესამე კონცეფციას სოციალურ კაპიტალში შეჰყავს სოციალური და პოლიტიკური გარემო, ისეთი ფორმალიზებული ურთიერთობა და სტრუქტურა, როგორცაა მთავრობა, პოლიტიკური რეჟიმი, კანონის ძალა, სასამართლო სისტემა, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური პრივილეგიები.

ასეთი შეხედულება სოციალურ კაპიტალთან დაკავშირებით გააჩნიათ დ.ნორტსა და მ.ოლსონს, რომლებიც ფიქრობენ რომ სახელმწიფო და პოლიტიკური დანესებულება, საკანონმდებლო სისტემა და სხვა ინსტიტუციური სტრუქტურები გავლენას ახდენენ სოციალური კაპიტალის არსზე, ავტორები გვთავაზობენ განვიხილოთ სოციალური კაპიტალი, როგორც რესურსი, ისე ინსტიტუციური გარემო. შესაბამისად:

- სოციალური კაპიტალი, როგორც რესურსი-ეს არის რეალური და პოტენციური რესურსების ერთობლიობა, დაკავშირებული ურთიერთნაცნობობის და აღიარების მყარი ურთიერთობის ქსელის არსებობასთან, რომელიც უზრუნველყოფს თავის წევრების დასაყრდენს კოლექტიური კაპიტალის სახით;

- სოციალური კაპიტალი, როგორც ინსტიტუციური გარემო-ეს ფორმალური და არაფორმალური ნორმების (ნესები) და ორგანიზაციების ერთობლიობაა, რომელიც საშუალებას აძლევს სოციალურ ჯგუფებსა საზოგადოებას ერთად გაუწიონ ორგანიზაცია თავიანთ წევრებს საერთო ეკონომიკური (რესურსების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე) და სოციალური (სოციალური სამართლიანობის საფუძველზე) ამოცანების გადაწვევისათვის.

სოციალური კაპიტალის ასეთი გაგება საშუალებას იძლევა, აღვნიშნოთ, რომ ეს არის რესურსი, როგორც კაპიტალის სხვა სახეობა, მაგრამ ამავე დროს სოციალური კაპიტალის როგორც ინსტიტუციური გარემოს განსაზღვრა, გვაძლევს საშუალებას ყურადღება მივაქციოთ ამ კაპიტალის განსაკუთრებულ როლს, იმდენად რამდენადაც კაპიტალის სხვა სახეობა მოქმედებს განსაზღვრული ინსტიტუციურ გარემოში და სოციალურ კაპიტალზეა დამოკიდებული მათი გამოყენების ეფექტიანობა.

სოციალური კაპიტალის არსის განმარტებისათვის მნიშვნელოვანია მისი შედარებითი ანალიზი ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალთან (ფიზიკურ კაპიტალში ავტორი გულისხმობს მატერიალურ აქტივებს, რომელიც გამოიყენება საქონლის სანარმოებლად და მომსახურების გასანევადად, რომლის ექსპლუატაციის ვადა 1 წელს აღემატება. ხოლო ადამიანური კაპიტალის ქვეშ - იგულისხმება ცოდნისა და და უნარების მარაგი, რომელიც თავმოყრილია ადამიანში, რომლის გაზრდა შესაძლებელია ინვესტიციებით განათლებაში, ჯანდაცვაში, ასევე სხვა ადამიანური შესაძლებლობები, რომლებიც ხელს უწყობენ მათ მფლობელს შემოსავლების მიღებაში).

სოციალური კაპიტალი:

- წარმოადგენს წარმოების ფაქტორს, რომელიც ფიზიკური და ადამიანურ კაპიტალთან ერთად უზრუნველყოფს ზედმეტი ღირებულების შექმნას, უზრუნველყოფს მატერიალური წარმოების პროდუქტულობის ამაღლებას და დასახული მიზნების მიღწევას, რომლის მიღწევაც მისი არ არსებობის შემთხვევაში შეუძლებელია (ეს უკანასკნელი ეხება, უპირველეს ყოვლისა ამოცანებს, რომლის მიღწევისათვის აუცილებელია ადამიანური კაპიტალის კონსოლიდაცია);

- წარმოადგენს საზოგადოებრივ სიკეთეს, რომელიც იყოფა ჯგუფების მიერ და უფრო მეტწილად

ასახავს ურთიერთობას, ვიდრე თითოეული ადამიანის საკუთრებას;

- იქმნება ინვესტიციების დახმარებით, მაგრამ არა, ისეთი უშუალო ფორმით, ისე როგორც ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის შემთხვევაში ხდება (ამ ინვესტიციების შეფასება და მისი უკუგების განსაზღვრა საკმაოდ რთულია);

- ადამიანური კაპიტალის მსგავსად იზრდება გამოყენების პროცესში და მცირდება არგამოყენების შემთხვევაში;

- არის შეზღუდული რესურსი, რომლის დეფიციტი ამცირებს ცალკეული ადამიანების, ჯგუფებისა და საზოგადოების ეკონომიკურ შესაძლებლობებს;

- ლიკვიდურია და შეუძლია კაპიტალის სხვა სახეებთან კონვერტირება;

- მისი არათანაბარი განაწილება გავლენას ახდენს საზოგადოების სტრატეგიკაციაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Коулман Дж. Капитал социальный и человеческий. „Общественные науки и современность“ №2001
2. Бурдые П. Формы капитала. „Экономическая социология“ Т.3, №5 2000
3. Фукуяма Ф. Доверие: социальные добродетели и путь к процветанию. М. Издательство АСТ. ЗАО НПП „Ермак“, 2004

საოჯახო მეურნეობების როლი ეკონომიკაში - რეგიონული კონტექსტი

ნიკო ჩიხლაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ოთარ გოგიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ქართულ-ევროპული
უმაღლესი სასწავლებლის ასისტენტი

THE ROLE OF HOUSEHOLDS IN THE ECONOMY - THE REGIONAL CONTEXT

Niko Chikhladze - Doctor of Economics,
Professor of Akaki Tsereteli State University

Otar Gogiashvili - Doctor of Economics,
Assistant of Georgian-European
Higher Education Institution

ABSTRACT

In the regions of Georgia households are the key element of human capital formation. Despite the growth of macroeconomic indicators, the living standards of the population are still low. The same applies to the remuneration of labor, as well as the regional differentiation of income and the income polarization of the population. Developing and implementing measures for the formation of quantitative and qualitative labor potential should become the priority in strategic policy of development in the regions of Georgia. More attention should be paid to the implementation of social policy in the context of households. In this regard, one of the effective ways is using taxation policies (e.g., in many European countries the constitutional principles of social state are implemented through real estate and property taxes).

Keywords: household, circulation, human capital, region, income

* * * * *

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ეროვნულ ეკონომიკაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს საოჯახო მეურნეობები (ჭაუსპოლდები).¹

საოჯახო მეურნეობა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედია, რომლის ფარგლებში მთელს საზოგადოებას უხდება ცხოვრება. მათი რაოდენობისა და შემადგენლობის ცვლილება დამოკიდებულია დემოგრაფიულ პროცესებზე (შობადობა, ქორწინება და განქორწინება, სიკვდილიანობა) და ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტზე.

თანამედროვე ეკონომიკური ლექსიკონი საოჯახო მეურნეობის შემდეგ დეფინიციას გვთავაზობს: „საო-

1 ცხრილები N1,3,4,5 შედგენილია ჩვენს მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალებზე დაყრდნობით.

ჯახო მეურნეობა სახელმწიფოსა და საწარმოებთან ერთად ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სუბიექტია. მოიცავს ეკონომიკურ ობიექტებსა და პროცესებს იქ, სადაც მუდმივად ცხოვრობს ადამიანი, ოჯახი“. [1, გვ.89]

ს.ბრიუ და კ. მაკკონელის მიხედვით საოჯახო მეურნეობები ეროვნული მეურნეობის ძირითადი მხარჯველი ფაქტორი და რესურსების ძირითადი მიმწოდებელია. [2]

გრ. მენქიუ საოჯახო მეურნეობებს ფირმებთან ერთად გადანყვეტილების მიმღებთა ჯგუფში განიხილავს. ისინი ფლობენ საწარმოო ფაქტორებს და მოიხმარენ ყველა იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელთაც ფირმები აწარმოებენ. [3]

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი შინამეურნეობებს ასე განსაზღვრავს: „შინამეურნეობა არის ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისგანაც)“. [4]

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი სამართლიანად მიიჩნევს, რომ „ოჯახი უფრო დემოგრაფიულ-სოციოლოგიური კატეგორიაა, შინამეურნეობა კი დემოგრაფიულ-ეკონომიკური. შინამეურნეობის წევრი კი შეიძლება იყოს ოჯახის არანეკრი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ოჯახში“. [5]

წარმოადგენენ რა ეკონომიკური აგენტს, საოჯახო მეურნეობები უზრუნველყოფენ ადამიანური კაპიტალის წარმოებასა და კვლავწარმოებას. როგორც წარმოების რომელიმე ფაქტორის (შრომა, მიწა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი) მესაკუთრე, საოჯახო მეურნეობა ცდილობს მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა შეზღუდული რესურსების პირობებში და უზრუნველყოს ეკონომიკური დოვლათის წარმოების პირობები. [6]


საოჯახო მეურნეობები სხვადასხვა რანგში გამოდიან ორივე სახის (პროდუქტებისა და რესურსების) ბაზრებზე და როგორც რესურსების მფლობელები, ბაზარს აწვდიან რესურსებს. პროდუქტების ბაზარზე იცვლება მათი როლი და აქ უკვე მომხმარებლები, ანუ მოთხოვნის წარმომქმნელები ხდებიან (იხ. ნახ. 1).

საოჯახო მეურნეობები შემოსავლის გადანაწილებას ახდენენ ორი მეთოდით:

ა. ფუნქციონალური გადანაწილებისას შემოსავლის მიღება ცალკეული ფუნქციების შესრულების სანაცვლოდ (მაგ. ხელფასი სამუშაო ძალის მიწოდებისათვის). ბ. პირადი გადანაწილება კი გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება საზოგადოების ერთობლივი შემოსავალი ცალკეულ შინამეურნეობებს შორის. [7]

საბჭოთა პერიოდში შინამეურნეობების კვლევას „ოჯახის ბიუჯეტების“ კვლევას უწოდებდნენ და მას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სტატისტიკურ პრაქტიკაში დაინერგა ეროვნულ ანგარიშთა ახალი სისტემა.

ნახაზი 1
საოჯახო მეურნეობები საქონლისა და მომსახურების წრებრუნვის მოდელში



ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შინამეურნეობების შემოსავლები აღირიცხება გადანაწილების პროცესის ეტაპების მიხედვით:

- პირველადი შემოსავლები;
- განკარგულებაში არსებული შემოსავლები;
- განკარგულებაში არსებული კორექტირებული შემოსავლები; [8]

როგორც აღვნიშნეთ, საოჯახო მეურნეობები ეროვნულ მეურნეობაში საქონლისა და მომსახურების ძირითადი მომხმარებელი და მხარჯველი ფაქტორია. ამიტომ, ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ერთობლივი მოთხოვნის ფორმირებაზე და შესაბამისად, ერთობლივ მიწოდებაზე, ფასებსა და კონკურენციაზე. სწორედ მათ მოთხოვნაზე აკეთებენ ძირითადად ორიენტაციას მწარმოებლები მთავარი საბაზრო ტრიადის „რა, რამდენი და ვისთვის ვანარმოოთ?“ საპასუხოდ.

2015 წლის მონაცემებით, ევროკავშირში 218,9 მლნ. ჰაუსჰოლდი აღირიცხა. მათ შორის გერმანიაში 40,2 მლნ. ერთეული, ესპანეთში 18,3 მლნ. ერთეული, ესტონეთში 0,6 მლნ. ერთეული, ლატვიაში 0,8 მლნ. ერთეული, პოლონეთში 14,1 მლნ. ერთეული, გაერთიანებულ სამეფოში 28,2 მლნ. ერთეული. [9] საქართველოში ეს მაჩვენებელი 1 109 130 ერთეულს შეადგენს.

შინამეურნეობები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის მშპ-ს ფორმირებაში, რომლის ზრდა უზრუნველყოფს მთელი სისტემის დინამიურ განვითარებას. ჩვენი გათვლებით, საქართველოში 2014 წელს მოსახლეობის მთლიანმა ხარჯებმა 11678,4 მლნ.ლარი

შეადგინა, ხოლო 2015 წელს 12264 მლნ. ლარი, რაც შესაბამისად, მშპ-ს 40% და 38,6%-ია.

მეორე მხრივ, საოჯახო მეურნეობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წმინდა დანახარჯების ფორმირებაში, რომელიც შეიძლება ინვესტიციის წყაროდ განვიხილოთ. საქართველოში ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი 3 მლრდ. ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს 10%-ია. ევროკავშირის ქვეყნებში საოჯახო მეურნეობების ჯამური დანახარჯი მშპ-თან მიმართებით 3%-დან (პოლონეთი) 16%-მდე მერყეობს. [10]

ცხრილი 1
საბოლოო მოხმარებაზე დანახარჯების ხვედრითი წილი საქართველოს მშპ-ში 2010-2015 წლებში (%) [11]


მაჩვენებელი	2010	2011	2012	2013	2014	2015
დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე	96.2	92.4	90.7	88.2	87.7	87.8
მ.შ. შინამეურნეობების დანახარჯები	72.3	70.5	69.6	69.4	69.0	65.9

ეროვნულ ეკონომიკაში შინამეურნეობების როლის შესაფასებლად ასევე მნიშვნელოვანია გავანალიზოთ დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე. ეს არის შინამეურნეობების დანახარჯები სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციულ ორგანიზაციათა (შმაკო) დანახარჯები ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე. 2010-2015 წლებში ეს მაჩვენებელი დანახარჯების საშუალოდ 90%-ს შეადგენდა. 2015 წელს მან საერთო დანახარჯების 87,8% შეადგინა. მისი უდიდესი ნაწილი (65,9%) სწორედ შინამეურნეობათა დანახარჯებზე მოდის (იხ. ცხრ. 1).

პოზიტიურ მომენტად უნდა ჩაითვალოს საშუალოთვიური ხარჯების ზრდის დინამიკა ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით. ბოლო 8 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 1,86-ჯერ გაიზარდა და 2016 წელს 1026,3 ლარი შეადგინა (იხ.ნახ.2). თუმცა ქალაქი-სოფლისა და რეგიონების მიხედვით ქვეყანაში მაინც მკვეთრი დიფერენციაცია შეიმჩნევა.

მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს საოჯახო მეურნეობათა ზომას. საქართველოში ეს მაჩვენებელი 3,3 კაცს შეადგენს. ევროპის ქვეყნებში კი იგი 2-3 კაცის ფარგლებში მერყეობს (იხ. ცხრ.2).

ნახაზი 2
საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე 2008-2016 წლების მიხედვით (ლარი)




თავის მხრივ, ზომას მრავალი დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთა განხილვას წინემდებარე სტატიაში აღარ შევუდგებით.

ცხრილი 2
საოჯახო მეურნეობათა საშუალო ზომა 2014 წელს (კაცი) [12]

ქვეყანა	ზომა
შვეიცია, გერმანია, დანია, ფინეთი	2,00-2,10
ბელგია, ლიტვა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესტონეთი, ჰოლანდია, ავსტრია	2,2-2,3
რუსეთი, ირლანდია, კვიპროსი	2,6-2,7
ხორვატია, სლოვაკეთი, პოლონეთი, რუმინეთი	2,8-2,9
საქართველო	3,3

ჩატარებული ანალიზით გამოვლინდა, რომ 2016 წელს ერთ შინამეურნეობაზე ყველაზე დიდი ხარჯები (64,1%) სამომხმარებლო ფულად ხარჯებზე მოდის. როდესაც საგარეო სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის ხვედრითი წილი 77,5%-ია, სამწუხაროდ, სამომხმარებლო ფულადი ხარჯების დიდი ნაწილი იმპორტს ასტიმულირებს. არასამომხმარებლო ხარჯების ხვედრითი წილი 27,7%-ია, ხოლო არაფულადი ხარჯები 8,2%-ს შეადგენს (იხ.ნახ.3).

ნახაზი 3
საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურა ერთ შინამეურნეობაზე 2016 წელს (%)



საინტერესოა ასევე საკითხი, თუ როგორ ანაწილდებიან საოჯახო მეურნეობები ხარჯებს. როგორც მოსალოდნელი იყო მათი უმთავრესი ნაწილი (28,3%) სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე, ფეხსაცმელზე, ტანსაცმელზე და საოჯახო მოხმარების საქონელზე მოდის. დაზოგვაზე ან გასესხებაზე ერთი შინამეურნეობა 183,2 ლარს ხარჯავს, რაც მსიდიდით მეორეა და საერთო ხარჯების 17,8%-ს მოიცავს (იხ. ცხრ. 3).

ცხრილი 3
საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე 2016 წელს (ლარი)

მაჩვენებელი	2016	%-ად ჯამთან
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	235,9	23,0
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	26,8	2,6
საოჯახო მოხმარების საქონელზე	28,0	2,7
ჯანმრთელობის დაცვაზე	94,9	9,2
სათბობსა და ელექტროენერგიაზე	81,7	8,0
ტრანსპორტზე	68,7	6,7
განათლებაზე	22,7	2,2
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	28,8	2,8
ტრანსფერტებზე	40,0	3,9
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	183,2	17,8
ქონების შეძენაზე	32,5	3,2
სხვა ხარჯები	183,2	17,9
ხარჯები, სულ	1 026,3	100

რეგიონულ ქრისტილში საკითხის განხილვამ ცხადყო, რომ ისინი განსხვავდებიან შინამეურნეობათა რიცხოვნობით და გარკვეულწილად, საშუალო სიდიდითაც (იხ. ცხრ.4).

ცხრილი 4
საოჯახო მეურნეობათა რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით

რეგიონი	შინამეურნეობები		გადახრა საშუალოდან
	რაოდ.	სიდიდე	
საქართველო	1 109 130	3,3	-
ქ. თბილისი	339 304	3,3	-
აჭარის არ	83 782	4,0	+0,7
გურია	34 931	3,2	-0,1
იმერეთი	169 016	3,1	-0,2
კახეთი	98 975	3,2	-0,1
მცხეთა-მთიანეთი	29 863	3,1	-0,2

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	12 902	2,5	-0,8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	101 507	3,3	-
სამცხე-ჯავახეთი	43 981	3,6	+0,3
ქვემო ქართლი	114 579	3,7	+0,4
შიდა ქართლი	80 290	3,3	-

ჩვენს ანალიზში აუცილებელია გავითვალისწინოთ და ჩავრთოთ ისეთი მნიშვნელოვანი რეგიონული მაჩვენებელი, როგორცაა რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულება. იგი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია და განსაზღვრავს რეგიონის ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობას.

ჩვენი გათვლებით, მოსახლეობის საერთო შემოსავლების ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი რეგიონში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში გამოვლინდა კახეთში (74%) და იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონების დამატებულ ღირებულებაში (72%). მინიმალურია იგი თბილისში, სადაც ხვედრითი წილის მნიშვნელობა 29,7%-ს შეადგენს (იხ.ნახ.4). ის უკანასკნელი სრულიად არ აკნინებს შინამეურნეობათა მნიშვნელობას თბილისისათვის და დედაქალაქში წარმოებული დამატებული ღირებულების მაღალი სიდიდითაა განპირობებული (თბილისში შექმნილი დამატებული ღირებულება - 13,5 მლრდ. ლარი 2,4 მლრდ. ლარით მეტია ვიდრე კახეთის, ქვემო ქართლის, აჭარის არ-ის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის ერთად აღებული მაჩვენებელი).

შინამეურნეობების შემოსავლებში დამახასიათებელია მკვეთრი დიფერენციაცია, რასაც მოწმობს ჩვენს მიერ შედგენილი ანალიტიკური ცხრილი. ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ქ. თბილისში (22,4%-ით), აჭარის არ-ში (5,1%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (7,5%). ყველა სხვა რეგიონში შეინიშნება საშუალო მაჩვენებლიდან გადახრა (იხ.ცხრ.5). ეს გადახრა ყველაზე მკვეთრია

ნახაზი 4. მოსახლეობის საერთო შემოსავლების ხვ. წილი ზოგიერთი რეგიონის დამატებულ ღირებულებაში (%-ად, 2015 წ.)



ქვემო ქართლში (17,5%) და საქართველოს იმ რეგიონებში (მცხეთა-მთიანეთი, გურია, სამცხე ჯავახეთი), რომელიც ცხრილში არ არის მოტანილი (15,8%)

საქართველოს რეგიონების საოჯახო მეურნეობათა ძირითადი მაჩვენებლების (შემოსავლების დონე და მათი დიფერენციაცია, სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურა და სხვა) დინამიკა საქართველოში მიმდინარე რეფორმების ეფექტიანობის უმთავრესი ინდიკატორია.

ცხრილი 5
მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება რეგიონების მიხედვით, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)

რეგიონი	შემოსავ. (ლარი)	გადახრა საშუალოდან	
		ლარი	%
საქართველო	1042,2	0	0
ქ. თბილისი	1275,8	233,6	22,4
აჭარის არ	1095,4	53,2	5,1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	922,6	-119,6	-11,5
კახეთი	964,3	-77,9	-7,5
შიდა ქართლი	901,6	-140,6	-13,5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1120,6	78,4	7,5
ქვემო ქართლი	858,5	-183,7	-17,6
დანარჩენი რეგიონები	877,6	-164,6	-15,8

საქართველოში ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება წარმოუდგენელი იქნება ეროვნული მეურნეობის კვლავწარმოების პროცესში ეკონომიკური სისტემის ყველა აგენტის, უპირველესად, საოჯახო მეურნეობების ჩართვის გარეშე. მათ შეუძლიათ როგორც ეკონომიკური ზრდის ნახალისება, ისე საზოგადოების სოციალური ამოცანების გადაჭრა.

დასკვნები

1. საქართველოს რეგიონებში საოჯახო მეურნეობები ადმინისტრაციული ერთეულების ფორმირების ძირითადი ელემენტია. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის ცხოვრების დონე ისევ დაბალია. იგივე ითქმის შრომის ანაზღაურებზე, აგრეთვე შემოსავლების რეგიონულ დიფერენციალზე და მოსახლეობის შემოსავლების პოლარიზაციაზე;

2. საქართველოს რეგიონებში განვითარების სტრატეგიული პოლიტიკის პრიორიტეტად უნდა იქცეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი შრომითი პოტენციალის ფორმირებისათვის ღონისძიებათა შემუშავება და გატარება.

3. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური პოლიტიკის რეალიზებას საოჯახო მეურნეობათა კონტექსტში. ამ მხრივ ერთ-ერთი ეფექტიანი იქნება დაბეგვრის პოლიტიკის გამოყენება (მაგ., ევროპის ბევრ ქვეყანაში საშემოსავლო და ქონების გადასახადების მეშვეობით ხორციელდება სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების რეალიზაცია);

4. სახელმწიფომ შეიძლება განიხილოს მოსაზრება საზღვარგარეთ სამუშაოთ მყოფი ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხების უფრო ეფექტიანად გამოყენების შესახებ (მიზნობრივი ფონდის ფორმირება, ფასიანი ქაღალდების გამოშვება და სხვა). ეს დაზოგვის ზრდისა და ინვესტირების სტიმულირების საშუალებას მოგვცემს და იმპორტის ნაცვლად ორიენტაცია ეროვნული წარმოების სტიმულირებაზე გაკეთდება.

ბამოყენებული ლიტერატურა

დაწყობები:

1. **Райзберг Б., Лозовский Л., Стародубцева Е.**, «Современный экономический словарь» М., «Инфра-М», 1996. გვ. 89.
2. **Макконнелл К., Брю С.** Экономикс. М., «Инфра-М», 2000. გვ. 81.
3. **მენქიუ გრ.**, ეკონომიკის პრინციპები. თბ., „დიოგენე“, 2008. გვ. 22.
4. „საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2016“. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. გვ. 47. www.geostat.ge.
5. **ხაჩიძე ნ., არჩვაძე ი.**, პოლიტეკონომიური საუბრები. თბ., „ივერიონი“, 2017. გვ. 13.
6. **Марганова О., Бурдейный А.**, Вклад домашних хозяйств в региональную экономику. Журн. «Региональная экономика: теория и практика». №36, 2010, ст. 63
7. **ჩიხლაძე ნ.**, ზოგადი ეკონომიკის. ქუთაისი, 2008. გვ. 62.
8. **გაბიძაშვილი ბ., ვირსალაძე ნ.** სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2003. გვ. 119.
9. [http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Private_households_by_household_composition,_2006-2015_\(number_of_households_in_1_000_and_%25_of_household_types\)_new.png](http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Private_households_by_household_composition,_2006-2015_(number_of_households_in_1_000_and_%25_of_household_types)_new.png).
10. Россия и страны - члены Европейского союза 2015 (статистический сборник). გვ. 89 http://www.gks.ru/free_doc/doc_2015/rus_es.pdf.
11. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით www.geostat.ge.
12. Eurostat Database. <http://epp.eurostat.ec.europa.eu/>; <http://geostat.ge>

საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები და მისი სტატისტიკური ანალიზი რეგიონულ კრილში

ნონა ახვლედიანი

ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ნაირა ვირსალაძე

ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

დემოგრაფიული პრობლემები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად არის აღიარებული თანამედროვე საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემათა შორის. საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ყველაზე მრავალრიცხოვანი მე-XIII საუკუნის პირველ ნახევარში იყო. ამ დროს ჩატარებული აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონ კაცს აღწევდა. ეს იყო შედეგი იმ უძლიერესი მე-12-ე საუკუნის, რომელსაც დავითისა და თამარის მეფობის ხანას უწოდებენ. გამუდმებული შემოსევების შედეგად მე-18 საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონიდან 761 ათასამდე შემცირდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი ქვეყანაში შავი ჭირის გავრცელების გამო მოსახლეობა თითქმის განახევრდა და 400 ათას კაცს შეადგენდა. ასეთი მცირე რაოდენობით მოსახლეობა საქართველოში მთელი მისი ისტორიის განმავლობაში არასოდეს ყოფილა, ხოლო მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთის საყოველთაო აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა იმდროინდელ საზღვრებში 2 მილიონზე მეტს შეადგენდა, ანუ ერთ საუკუნეში 5-ჯერ გაიზარდა. უკანასკნელ წლებში, საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი 1989-1992 წლებში იყო და 5 მილიონ 400 ათასს შეადგენდა. ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობა განუხრელად მცირდება და ბოლო მონაცემებით, 4 მილიონ ნახევარს არ აღემატება. პატრიარქის ინიციატივა გახდა ერთადერთი მიზეზი საქართველოში მობადლობის გაზრდის. მიუხედავად ბოლო წლებში მობა-

დობის მცირედი ზრდისა, საქართველოში ბუნებრივი მატება არ შეინიშნება. პირიქით, საქართველოში დემოგრაფიული პრობლემები დღითიდღე მწვავედება. არსებული მონაცემების მიხედვით საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა – 104 ათასი. 1960-1990 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 93 ათასი ბავშვი იზადებოდა, ხოლო 1991-2010 წლებში კი – 55 ათასი. მობადლობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 135 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო 2006-2010 წლებში ეს მაჩვენებელი 58 ათასამდე შემცირდა. მობადობის აბსოლუტური მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა. კერძოდ, 2000-2009 წლებში საქართველოში 502 296 ბავშვი დაიბადა, მაშინ, როდესაც 1960-1969 წლებში ეს მაჩვენებელი 850 908 ბავშვს უდრიდა. ამ პერიოდში გარდაცვლილთა რაოდენობა 276 034 კაციდან 448 712 კაცამდე გაიზარდა. შესაბამისად, წინა წლებთან შედარებით, ბოლო წლებში საქართველოში ბუნებრივი მატება 10-ჯერ შემცირდა. 2010 წელს გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდმა საქართველოში ჩაატარა კვლევები, რის მიხედვითაც 2050 წლისთვის საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება (დიაგრამა 1.), ქვეყნის მოსახლეობა 28%-ით, ანუ 1 170 000 კაცით მცირდება. 232 ქვეყანას შორის საქართველო მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ტემპით მე-16-ე ადგილზეა, მო-

ცხრილი 1. წყარო: *geostat.ge*

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები											
(ათასი კაცი)	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის	4 394.7	4 382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5	3 713.7	3 720.4	3 718.2
მათ შორის:											
საქალაქო დასახლება	2 308.9	2 303.8	2 309.1	2 350.5	2 371.3	2 391.7	2 410.8	2 410.8	2 122.9	2 128.5	2 128.6
სასოფლო დასახლება	2 085.8	2 078.3	2 076.3	2 085.9	2 097.9	2 105.9	2 073.0	2 078.8	1 590.8	1 591.9	1 589.6
ცოცხლად დაბადებ. რიცხოვნობა	49 287	56 565	63 377	62 585	58 014	57 031	57 878	60 635	59 249	56 569	
გარდაცვლილთა რიცხოვნობა	41 178	43 011	46 625	47 864	49 818	49 348	48 553	49 087	49 121	50 771	
მათ შორის:											
ქორწინებათა რიცხვი	24 891	31 414	31 752	34 675	30 863	30 412	34 693	31 526	29 157	25 101	
განქორწინებათა რიცხვი	2 325	3 189	4 030	4 726	5 850	7 136	8 089	9 119	9 112	9 539	

ცხრილი 2. 2017 წლის I-VI თვის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

	ცოცხლად დაბადება	გარდაცვალება	ქორწინება	განქორწინება
საქართველო	25,543	25,954	10,680	5,031
თბილისი	9,435	7,117	2,779	1,880
აფხაზეთის არ	-	-	-	-
აჭარის არ	2,714	2,144	1,200	323
გურია	577	929	249	119
იმერეთი	3,352	4,700	1,881	820
კახეთი	1,874	2,402	732	376
მცხეთა-მთიანეთი	464	705	229	115
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	114	345	74	35
სამეგ-ზემო სვანე	1,889	2,569	1,131	386
სამცხე-ჯავახეთი	855	917	522	104
ქვემო ქართლი	2,681	2,345	1,213	510
შიდა ქართლი	1,588	1,781	670	363

წყარო: geostat.ge

ბადობით – 174-ზე. გაიზარდა დეპოპულაცია და მისი მასშტაბები; დეპოპულაციურმა პროცესებმა უფრო მეტად მოიცვა ქართველი მოსახლეობა, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის ქართველი ერის ფიზიკური უწყვეტობის უზრუნველყოფას. სწრაფად მიმდინარეობს დემოგრაფიული დაბერების პროცესი, რომელიც ერის აღწარმოების პოტენციალს საფრთხის წინაშე აყენებს.


საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით. ყველაზე მძიმე მდგომარეობაა რაჭა-ლეჩხუმში, შემდეგ გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, მცხეთა-მთიანეთში, იმერეთსა და კახეთში. სპეციალისტების ცნობით, თუ საგანგებო ზომები არ იქნა მიღებული, უახლოეს 15 წელიწადში რაჭა მთლიანად გაუკაცრიელდება. სხვა რეგიონებთან შედარებით, უმძიმესი მდგომარეობაა ასევე გურიაშიც.

საქართველოს დემოგრაფიულ პრობლემებში მთავარი ადგილი უჭირავს შიდა და გარე მიგრაციას. შიდა მიგრაცია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, ხოლო 90-იანი წლებიდან, ანუ ბოლო 20 წლის მანძილზე, მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა და დღეს საქართველოს მთას უმძიმესი დემოგრაფიული პრობლემები უდგას. მოსახლეობისგან იცლება მთიანი რეგიონები.

2002 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 164 სოფელი მთლიანად დაცლილია, ანუ აღარ არსებობს, ხოლო 152 სოფელში 10 და ნაკლები კომლი ცხოვრობს. სავარაუდოდ, ამ 152 სოფლიდან 2002 წლის შემდეგ კიდევ რამდენიმე გაუკაცრიელდა. დემოგრაფიული პრობლემა დღესდღეობით ჩვენი ყველაზე დიდი ეროვნული პრობლემაა. ძლიერი დემოგრაფიული პოლიტიკით უნდა შევძლოთ მოსახლეობის 28%-იანი კლების საგრძნობი შემცირება. განსაკუთრებით რაჭაში დღეს ყველაზე რთული დე-

მოგრაფიული ვითარებაა, თუ 1966 წელს მოსწავლეთა რაოდენობა ამბროლაურსა და ონში 8 200 შეადგენდა, 2013 წელს მხოლოდ 1831-ია, ანუ სკოლების რაოდენობა 91- დან 31-მდე შემცირდა. 1989 წლის მონაცემებით, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ცხოვრობდა 66.740 კაცი, ხოლო 2013 წელს – 46 300. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს სხვა მთიან რეგიონებშიც. რაც შეეხება შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი უმუშევრობაა (ცხრილი 3.), რომელიც საქართველოში დღემდე სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. ამიტომაცაა ქართველ ემიგრანტთა რიცხვი ასეთი დიდი, რომელიც მიახლოებული მონაცემებით 2 მილიონს უტოლდება თუმცა ძალიან ბევრი ემიგრანტი მათ რიცხვში ვერ მოხვდა რადგან ისინი არალეგალურად ცხოვრობენ. 2001 წლიდან დღემდე ქვეყნის შიგნით დაიბადა 630 000 ბავშვი, მაშინ, როდესაც უცხოეთში გაჩნდა 200 000 ქართველი. ყველაზე დიდი ნეგატიური გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობასა და დაბერების საერთო ტენდენციაზე, ემიგრაციამ იქონია.

დიაგრამა 1.



ცხრილი 3. დასაქმება და უმუშევრობა

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
კონომ.აქტიური მოსახლეობა, ათასი კაცი	2023.9	2021.8	1965.3	1917.8	1991.8	1944.9	1959.3	2029.1	2003.9	1991.1	2021.5	1998.3
დასაქმებული, ათასი კაცი	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0	1712.1	1745.2	1779.9	1763.3
უმუშევარი, ათასი კაცი	279.3	274.5	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1	291.8	246.0	241.6	235.1
უმუშევრობის დონე, %	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15.0	14.6	12.4	12.0	11.8

წყარო: geostat.ge


სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყნიდან გასულთა 85 პროცენტი შრომისუნარიანი ასაკისაა, მაშინ როცა ამ ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 2/5-ს არ აღემატება. აღნიშნულ პროცესს განსაკუთრებულ დრამატულობას სძენს ის გარემოება, რომ ბოლო წლებში იზრდება გენდერული უთანასწორობა. საქართველოდან გასულ ახალგაზრდებში უფრო მეტი ქალია, ვიდრე კაცი, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემები. გამოკვლევით დადგინდა, რომ ქალები დასაქმებულნი არიან მომსახურების სექტორში მომვლელებად (33,1 პროცენტი), აღმზრდელებად (9,2 პროცენტი), ოფიციანტებად (4,8 პროცენტი), დამლაგებლებად (9,2 პროცენტი), გამყიდველებად (5,5 პროცენტი) და ა.შ. ქალთა შრომითი მიგრაცია გამოწვეულია ოჯახების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ოჯახის განვითარებაზე. იმათი წილი, ვისაც ქმარი და შვილები საქართველოში ჰყავთ, მთელ მიგრაციულ ნაკადში შეადგენს 27 %ს, აქედან, შვილიანი კი 37 %. აღნიშნულ პროცესებს ხელი შეუწყო ასევე ვიზალიბერალიზაციამ, რის საფუძველზეც უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები უკვე კიდევ უფრო ადვილად მთლიანად მიდის საქართველოდან თავის გადასარჩენად.

დემოგრაფები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის მხოლოდ მარტივი კვლავნარმოების შენარჩუნებისათ-

ვის აუცილებელია სამი და მეტშვილიანი ოჯახები შეადგენდნენ საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს. მოსახლეობის დაბალმა შემოსავლებმა, შეზღუდულმა ფისკალურმა რესურსებმა და განუვითარებელმა საბაზრო ინსტიტუტებმა, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ეკონომიკის დარგობრივმა კრიზისებმა და მოუწყობელმა საგარეო ურთიერთობებმა ხელი შეუწყვეს დასაქმების შემცირებას, რაც პირდაპირი პორციულ კავშირშია შობადობის შემცირებასთან.

საქართველოში 800 ათასამდე {3}ადამიანი ლატაკია. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა არ გააჩნია. “საქსტატის” წინასწარი მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 21,3% აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფია, რაც ქვეყნის მოსახლეობიდან 792 000 ადამიანს შეადგენს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეს მონაცემი საკმაოდ რეალური და იმავდროულად სამწუხაროა. წინასწარი მონაცემებით, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილია და 21.3% შეადგენს (დიგრამა 2.), შარშან ეს მაჩვენებელი 20.8%-ს შეადგენდა. გამოდის, რომ ქვეყანაში ამ მხრივ ვითარება უარესდება. დღეს მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ ძალიან უჭირთ, განსაკუთრებით მცირე ერებს, ეროვნული ადათ-წესებისა და ტრადიციების შენარჩუნება, რაც ჩვენს პატარა ერების ეროვნულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც მწვავედ აისახება. ყოველივე ამაზე მეტყველებს საფრანგეთის დემოგრაფიული კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელ-

დიაგრამა 2. სიღარიბის აბსოლუტური ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი %*



წყარო: geostat.ge

თა კვლევები, რომლის საფუძველზე 2050 წლისთვის დედამიწაზე მოსახლეობა მესამედით გაიზრდება და 10 მილიარდს მიაღწევს. დღეს დღეობით დედამიწაზე დაახლოებით 7,5 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. სპეციალისტები მოსახლეობის რეკორდულ ზრდას აფრიკის კონტინენტზე ვარაუდობენ, მათი პროგნოზით იქ მცხოვრებლების რიცხვი გაორმაგდება. ამჟამად პლანეტის ერთი მეექვსედი ნაწილი სწორედ აფრიკაში ცხოვრობს, მაშინ როდესაც ჩვენი ქართული მოსახლეობა დღითი დღე მცირდება. აღნიშნულის საფუძველზე სასურველია საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, უზრუნველყოს გლობალიზაციისა და ეროვნული ინტერესების შესამება. ამრიგად, თანამედროვე დემოგრაფიულ სიტუაციას აქვს სისტემური კრიზისის ხასიათი. ამ სისტემის შემადგენელი ნაწილებია: შობადობის კრიზისულ ზღვრამდე შემცირება, სიკვდილიანობის ზრდა, ზოგიერთ რეგიონში – მოსახლეობის შემცირებული გამრავლება, ანუ როდესაც მომდევნო თაობა წინა თაობაზე ნაკლებია, დეფორმირებული სქესობრივ ასაკობრივი სტრუქტურა, ჯანმრთელობის გაუარესება, გარე და შიდა მიგრაციის ფართო მასშტაბები. უნდა შემუშავდეს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი დემოგრაფიული პროგრამები, სადაც მთავარი აქცენტი მიმართული იქნება შობადობის გაზრდაზე და ორიენტირი იქნება, პირველ რიგში, მინიმუმ სამბავშვიანი ოჯახი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბიძაშვილი ბ. ს. „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“ თბილისი, 2013
2. კბილაძე დ; აბესაძე ნ; მეტრეველი შ, „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ თბილისი, „უნივერსალი“ 2008 წ.
3. არჩვაძე ს. „ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში გამო-მუშავებულ თანხებს მთლიანად შთანთქავს შეძლებული ფენა“ **საკანგაშო სტატისტიკა: ქვეყანაში 800 000 ლატაკია!**
4. www. Geostat. ge

ДЕМОГРАФИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИИ И СТАТИСТИЧЕСКИЙ АНАЛИЗ В РЕГИОНАЛЬНОМ МАСШТАБЕ

Нона Ахвледиани - Ассоциированный профессор
департамента экономики
Государственного Университета Акакия Церетели
Наира Вирсаладзе - Ассоциированный профессор
департамента экономики Государственного Уни-
верситета Акакия Церетели

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены самые болезненные - демографические проблемы. усиление указанной проблемы помогает низкий материальный доход населения, ограниченные фискальные ресурсы, незатронутые рыночные институты, политическая нестабильность, отраслевые кризисы экономики, нестабильная внешняя политика. Сегодня в мире процесс глобализации происходит так быстро, очень трудно сохранить национальные традиции особенно национальном меньшинству. Что резко отражается на национальные демографические данные малых нации. Государство разработала концепцию национальной безопасности. Стране следует разработать концепцию демографической безопасности, Обеспечить интеграцию глобализации и национальных интересов, осуществление важных мероприятий и проектов. по мере увеличения однополовых семей снижается не только рождаемость, но и создается очень прочная почва, которая ломает наш национальный дух, дегра-дацию грузинского духовного мира. Современная демографическая ситуация носит характер системного кризиса. Составные части этой системы: Снижение рождаемости до уровня кризиса, увеличение смертно-сти в некоторых регионах– Деформированная половая возрастная структура, ухудшение состояния здоровья, обширная внешняя и внешняя миграция и, как прави-ло, сложные социально-экономические условия.

Ключевые слова: демография, депопуляция, миграция, эмиграция.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფია, დეპოპულა-ცია, მიგრაცია, ემიგრაცია.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი –
საენარგო მოტილიზაციის ეფექტიური ფორმა

პაატა კოღუაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ნიკო ჩიხლაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

AGRICULTURAL COOPERATIVE -
EFFECTIVE FORM
OF ENTREPRENEURIAL MOBILIZATION

Paata Koghuashvili –Professor of
Georgian Technical University, the real member of
Georgian Academy of Agricultural Sciences
Niko Chikhladze – Professor of Akaki Tsereteli
State University

Abstract

The authors emphasizes that the program expectations are not implemented, the program of agricultural cooperatives investment due to unacceptable norms. It has been developed an opinion that the agricultural sector cooperation and integration of new agro-industrial development, promoting reforms, a focus of intense and adequate measures in this case, and the rich experience of successful countries, refraining from setting will cause serious problems.

Along with the private ownership of land, public property is also inviolable, that is, a concern for the community's property, as well as for the private one, is the responsibility of each member of the community, and the primary duty of the community as a whole.

Keywords: the state program, rehabilitation, co-operative, integration, reform, natural resource.

* * * *

სადღეისოდ საქართველოში ერთერთი მთავარი და აქტუალური პრობლემა, რომელიც მთავრობის მხრიდან მოითხოვს დაუყოვნებელ რეაგირებას, მდგომარეობს იმაში, რომ ცალსახად და კატეგორიულად განისაზღვროს - რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის უფრო ახლოს აგრარულ სექტორში სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ მისიასთან და შესაბამისად რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო ხელშეწყობის თვალსაზრისით.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარ-

მოებლებს ფაქტიურად ხელოვნურად აქვთ შეზღუდული სარეალიზაციო ბაზრებზე უშუალო წვდომის და დამატებითი ღირებულების შექმნის შესაძლებლობები, რაც მათი სამეწარმეო განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. მათი პროდუქციის შესყიდვა ძირითადად ხდება ერთი მხრივ - შუამავალი, გადაწყიდველი პირებისა და კომპანიების, მეორე მხრივ - შპს-ს ტიპის გადამამუშავებელი საწარმოების მიერ, რომლებიც საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით ახდენენ მოსახლეობიდან პროდუქციის (ნედლეული) შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასით, რომელიც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაზღაურებს ამ პროდუქციის წარმოებაზე განეულ დანახარჯებსაც კი. ისინი პრაქტიკულად გადაიქცნენ ბარიერად გლეხობასა და თავისუფალ ბაზარს შორის.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები, სუსტი და დაუცველი პოზიციების გამო იძულებული არიან დათანხმდნენ შესყიდვის დისკრიმინაციულ ფასებს, რაც ავტომატურად ინვესს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციის დაკნინებას და სამეწარმეო განვითარების პერსპექტივის მოშლას. საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის 25-წლიანი ისტორია აშკარას ხდის, რომ ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი ერთი მხრივ - სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციის და მეორე მხრივ - აგრარული წარმოების პარალიზების. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ შპს-ს ტიპის გადამამუშავებელი და სხვა შუალედური საწარმოების დაფინანსება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში არის მხოლოდ უკუშედეგის მომტანი. ერთადერთი სამეწარმეო ფორმა, რომლის ფარგლებში შესაძლებელია პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მისი გადამამუშავების ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნა, სადაც ფერმერი დაინტერესებულია საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მნიშვნელოვნად გაზრდილი დამატებითი ღირებულებით, არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ამიტომ საქართველოს მთავრობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სიღრმისეულ და თვისობრივ კორექტირებას საჭიროებს ის მიდგომები, რომლითაც „შელავათიანი აგროკრედიტის“ და „ანარმოე საქართველოში“ პროგრამების ფარგლებში ძირითადად ფინანსდებიან შპს-ს ტიპის გადამამუშავებელი საწარმოები, სადაც სუბსიდიების და შელავათიანი კრედიტების სახით უკვე მილიარდ ლარზე მეტია გაცემული და რაზედაც კომერციული ბანკებისთვის

მიუღებელი პირობების გამო ხელი არ მიუწვდებათ კოოპერატივებს.

იგივე შეიძლება ითქვას ჩაის ინდუსტრიის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რადგან მასში ჩადებული პირობების გამო კოოპერატივებმა ვერ მიიღეს მონაწილეობა და იზადება სერიოზული ეჭვი, რომ პროგრამა იმთავითვე გათვლილი იყო მხოლოდ შპს-ების დასახმარებლად. ამჟამად საპარტნიორო ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს მასშტაბური პროექტი, რომელიც გულისხმობს ჩაის სექტორში ჩინური კომპანიების მიერ 500 მლნ დოლარის ინვესტირებას, რაც მოხმარდება 11 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას. არც ამ შემთხვევაში იყო გათვალისწინებული კოოპერატივებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი დარგში ჩართვის შესაძლებლობები.

არსებულ ეტაპზე საქართველოში შექმნილია 1700-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელთა მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში. სახელმწიფო პროგრამებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს ევროკავშირის პროგრამა ENPARD. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ღონისძიებები ამკარად არ არის საკმარისი და ადეკვატური იმ გამოწვევების მიმართ, რასაც მოითხოვს ქვეყნის მასშტაბით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესის განვითარება. კოოპერაციის პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს კოოპერატივების ფინანსური მხარდამჭერი სპეციალიზირებული საინვესტიციო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ამ კუთხით განვითარებული არაერთი ქვეყნის მსგავსად, სადაც კოოპერატივების ფინანსური ხელშეწყობის და ინვესტირების ინსტიტუციონალური მოწყობის პრაქტიკა არაერთ ათეულ წელიწადს ითვლის.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა ENPARD-ს მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია ISET-ს მიერ განხორციელდა ENPARD-ს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 200 კოოპერატივის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა და მომზადდა დასკვნა, სადაც ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აღნიშნული 200 კოოპერატივის წმინდა მოგების საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 40%, აქედან 7 კოოპერატივის წმინდა მოგებამ 100%-საც გადააჭარბა.

თუნდაც მხოლოდ ამ კვლევის შედეგებით არის შესაძლებელი უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება, რომ კოოპერაციის პროცესში ჩართულობამ ფერმერები გაიყვანა მოგების ისეთ მაჩვენებელზე, რასაც ისინი დამოუკიდებლად ვერანაირად ვერ მიღწევდნენ; რომ კოოპერაციის პროცესის აქტიური ხელშეწყობა არის ის მთავარი მიმართულება, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ინტენსიურ ზრდას და შექმნის ადეკვატურ ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეალ-

ურ პერსპექტივებს.

მიგვანინია, რომ მარკეტინგული კოოპერატივების შექმნით დიდი სარგებლის მოპოვება შეიძლება ბაზარზე. კერძოდ, ასეთი კოოპერატივები გაზრდის იმ შემოსავალს, რომელსაც ვლელბობით არსებული საბაზრო სისტემით. წარმატების მისაღწევად კოოპერატივებმა უნდა გაითავისონ ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმი და ამისათვის საჭიროა, რომ მონაწილე ფერმერებმა გააკეთონ შესაძლებლობის მაქსიმუმი, რათა უზრუნველყონ კოოპერატივების მხრიდან ბაზარზე უვნებელი და ხარისხიანი პროდუქციის გატანა.

კოოპერატივში გაერთიანება ფერმერისთვის ნიშნავს მრავალი სარგებლის მიღების შესაძლებლობას, მარკეტინგული თვალსაზრით. ეს მოიცავს: ტრანსპორტირების პრობლემას, გასაღების პრობლემას, შენახვას, ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯების შემცირებას, პროდუქციის საზღვრებს გარეთ გატანას და ა.შ.

საქართველოში ყველა საჭირო წინაპირობა არსებობს მარკეტინგული კოოპერატივების განვითარებისა სოფლად დასპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნისთვის, რაც უპირველესყოვლისა, აისახება ფერმერთა წარმატებულ საქმიანობაზე, ხოლო შემდგომ ქვეყნის ეკონომიკის, კერძოდ, კი აგრარული სექტორის აღორძინებაზე.

მარკეტინგული კოოპერატივი არის ბიზნეს – ორგანიზაცია, რომელსაც ფლობს ფერმერთა ჯგუფი პროდუქციის კოლექტიურად გაყიდვის მიზნით. ეს საშუალებას აძლევს აგრომწარმოებლებს ერთობლივად შეასრულონ ის ფუნქციები, რისი შესრულებაც მათ მარტო არ შეუძლიათ. ძალიან ბევრ სოფლის მეურნეს აქვს შედარებით ნაკლები შესაძლებლობა ზეგავლენა მოახდინოს აგრობიზნესსა და საკვების მწარმოებელ დიდ კომპანიებზე, რომლებიც ყიდულობენ მათ საქონელს. მწარმოებელთა გაერთიანებამ კოოპერატივს შეიძლება უფრო მეტი შესაძლებლობა შეუქმნას ბაზარზე. ამასთან, კოოპერატივი აძლევს მწარმოებელს მისსავე პროდუქტზე მეტი კონტროლის საშუალებას, რადგან ის თავადვე ირჩევს კლიენტთან მისასვლელ გზას. ასეთ შემთხვევაში ფერმერები უფრო მეტ მოგებას ნახულობენ.

როგორც ცნობილია, მარკეტინგული კოოპერატივების შექმნა და ფუნქციონირება გულისხმობს დამფუძნებელთა მატერიალურ-ფინანსურ საშუალებათა გაერთიანებას საერთო მიზნის მისაღწევად. ეს პრინციპი განსაკუთრებით ღირებულია დღეს, რადგან საქართველოში არსებულ პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები მოკლებულნი არიან ასეთ საშუალებებს.

სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგული კოოპერატივი ითავსებს ბევრ ფუნქციას. მას შეუძლიათავი მოუყაროს რამდენიმე მწარმოებლის პროდუქციას ერთ დიდ ჯგუფად, დაახარისხოს და გაამზადოს ბაზარზე გასატანად, რათა შემდეგ ეფექტიანად ივაჭროს და განახორციელოს კონკურენტუნარიანი გაყიდვები. ზოგიერთი კოოპერატივი ახორციელებს

პირველ ეტაპს, მაგალითად, ხორბლის, სიმინდის მარცვლის განმენდასა და თხილისთვის ჩენჩოს გაცლას, როცა სხვები ვერტიკალურად ინტეგრირდებიან ინდუსტრიული მარკეტინგისათვის (B2B) პროდუქციის დამუშავების გზით.

მარკეტინგული კოოპერატივების საძირკვლევად საძირკვეს მწარმოებლებს:

- 1) გამოასწორონ ბაზრის ჩავარდნა იქ, სადაც ფასები ძალიან დაბალია ან მყიდველებმა ბაზარში სიარული შეწყვიტეს;
- 2) უზრუნველყონ იმ მომსახურებით სარგებლობა, რაც სხვაგან ხელმიუწვდომელია;
- 3) მოიპოვონ საბაზრო ძალა გაცილებით უფრო დიდი მყიდველების წინაშე;
- 4) უზრუნველყონ რისკისა და დანახარჯების გადანაწილება;
- 5) ჰქონდეთ საკმარისი პოტენციალი პროდუქციის ეფექტიანი გადამუშავებისთვის ან მყიდველთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სპეციალიზებული საგარანტიო ფონდი. იგი მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით მოახდენს სანარმოო რისკების შეფასებას და ახორციელებს კრედიტის გარკვეული ნაწილის საგარანტიო უზრუნველყოფას. მნიშვნელოვანია, რომ სამეწარმეო საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის ასეთი მოდელი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დამახასიათებელი მიგასანარმოო ურთიერთობები წარმოადგენს სამეურნეო რისკების მინიმუმამდე დაყვანისა და საბოლოო ჯამში მდგრადი სიცოცხლისუნარიანობის საფუძველს შემდეგი მოტივების გამო:

1. კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფის ობიექტს მნიშვნელოვანწილად თვით ამ კრედიტით შეძენილი ძირითადი საშუალებები წარმოადგენს;
2. კოოპერატივის ფარგლებში ერთი მხრივ - ერთიანი სანარმოო ციკლის შექმნა, სადაც პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები დაინტერესებული იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგებით;
3. კოოპერაციული სისტემისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური თვითმმართველობა (თვითანაზღაურება, თვითრეგულირება, თვითკონტროლი);
4. კონსულტირება, მონიტორინგი და აუდიტი დაფინანსების (საგარანტიო უზრუნველყოფის, სადაზღვევო პროდუქტის) გამცემის და/ან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანიზაციის მხრიდან.

აღნიშნული საკითხის სისტემური გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ამ სექტორში მეურნეობრიობისთვის საჭირო პირობების შექმნას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რაც, საბოლოო ანგარიშით შექმნის მყარ გარანტიებს, ერთი მხრივ - ძლიერი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებისა და მეორე მხრივ - სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრისთვის.

ამკარად ცხადია, რომ მიმდინარე პერიოდში აგრარული სფეროს განვითარების ეფექტური მოდელის შექმნისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი, უალრესად მნიშვნელოვანი ინიციატივების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის კუთხით, სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და სპეციალიზირებულ კოოპერაციულ საინვესტიციო ინსტიტუტებს განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს. ჩვენს მიერ შემუშავებულია კოოპერაციის ფინანსური მხარდაჭერის ინსტიტუციონალური მოწყობის მოდელი.

აღნიშნული საკითხის სისტემური გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ძლიერი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებას, მოსახლეობის აქტივობის ამაღლებას, სამეურნეო საქმიანობაში მათ მასობრივ ჩართულობას და აღწარმოების მასშტაბების გადიდებას, რაც საბოლოო ანგარიშით შექმნის მყარ გარანტიებს სასოფლო რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრისათვის.

საკითხი ეხება აგრარულ სექტორში მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათის მქონე ახალი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებას და ამიტომ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ არასაკმარისი გაცნობიერება იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ადექვატური მხარდაჭერა სახელმწიფო რეფორმებისა და გარდაქმნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და თავის შეკავება ამკუთხით ქმედითი ღონისძიებების გატარებისაგან, ქმნის პრობლემებს, რაც ნეგატიურად აისახება მთავრობის მიერ გატარებული მასშტაბური ღონისძიებების ეფექტურობაზე და დაგეგმილ სისტემურ-სინერგიულ ეფექტზე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. **კოლუაშვილი პ.**, კოოპერაციის პროცესის სტიმულირებისთვის საჭიროა კოოპერატივების შიდა სანარმოო ურთიერთობების რეგულირება. *ჟურნ. "ეკონომიკა"*, N9-10, 2013.
2. **კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ.**, ეკოლოგიური ეკონომიკის განვითარების აქტუალური საკითხები. ქუთაისის უნივერსიტეტი. სსპკ "სოციალურ-ეკონომიკური ანვითარების და ინფორმაციზაციის თანამედროვე პრობლემები: ახალი გამოწვევები და პერსპექტივები" შრ. კრებული. ქუთაისი, 2013.
3. **კოლუაშვილი პ.**, ხსნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია! გაზ. „რეზონანსი“ (30.10.2015) http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_art=26835
4. **კოლუაშვილი პ., ზარდიაშვილი დ.**, ქართული სოფლის სტატუსის შესახებ. *ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა — XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“*, №5, 2016 წ.
5. ევროკავშირი და საქართველო. სოფლისა და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ხელშეწყობა. <http://enpard.ge>

TRANSFORMATION OF THE GLOBAL PRODUCTION SYSTEM AND FOUR INDUSTRIAL REVOLUTIONS

Tsitsino Dzotsenidze

*PhD in Economics, Economic Department,
Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

SUMMARY

The digital opportunities in products are often not translated into just higher prices or lower costs but also into fundamental change of the business model. This is driven by end-to-end approach, from service acquisition to delivery. These combination-based business models illustrate the extent of the distribution that occurs when digital assets and interesting combinations of existing digital platforms are used to reorganize relationships with physical assets. The focus is to built on a superior experience combined with reduced transaction and friction costs. These companies match demand and supply in a rapid and convenient manner which side steps the business models of incumbents. Fast moving competitors provoke a disaggregation of the more traditional industry silos and value chains and also disintermediate the existing relationship between businesses and their customers. In almost all industries, digital technologies have created new, disruptive ways of combining products and services and in the process have dissolved the traditional boundaries between industries.

* * * * *

Technologies are amplifying each other in a fusion of technologies across the physical digital and biological worlds. We are witnessing profound shifts across all industries market by the emergence of new business models, the disruption of incumbents and the reshaping of production, consumption, transportation and delivery systems. On the social front a paradigm shift is underway in how we work and communicate, as well as how we express, inform, and entertain our self. Decision makers are too often caught in traditional linear (non-disruptive) thinking or too absorbed by immediate concerns to think strategically about the forces of disruption and innovation shaping our future.

The digitization of products, big data and cloud computing make it easier to understand and meet individual customer needs more accurately.

We are at an inflection point: The rules from the industrial era of mass production are giving way to a digital era of individualization and optimization. Could we see the end of economies of scale?

Technology-driven transformation is giving rise to new questions and challenges that neither the public nor the private sector can tackle in isolation. For example, Will technology-driven automation ultimately eliminate jobs and slow economic growth, or will the labor force evolve and ultimately catch up with technological change?

What should be done to bridge the growing skill gap in the global workforce? What is the meaning of privacy and security in a world of greater transparency? How will we collaborate to build the regulatory frameworks and standards rapidly enough to fuel the growth and adoption of new technologies?

88% of automotive strategy officers agree that by 2030 at least one major automaker will earn more revenue from selling data and mobility services than from selling cars and auto parts.

70% of professional services strategy officers agree that by 2025, digital solutions will generate more revenue for professional services firms than services delivered by people

Typical characteristics of this industrial revolution:

Velocity: This revolution is evolving at an exponential rather than a linear pace. It leads to unprecedented paradigm shifts in economy, business, society and individually. It is changing the “what”, the “how” of doing things but also “who” we are.

System impact: It involves the transformation of entire systems across (and within) countries, companies and society as a whole.

Impact on power . By enabling smart factories, the fourth industrial revolution creates a world in which virtual and physical systems of manufacturing globally cooperate with each other in a flexible way. This enables the absolute customization of products and the creation of new operating models. Digital businesses have marginal costs that tends towards zero.

Additionally, the reality of the digital age is that many new businesses provide “informational goods” with storage, transportation and replication costs that are virtual nil. Our devices will become an increasing part of our personal ecosystem, listening to us, anticipating our needs and helping us when required, even if not asked.

The challenges created by the fourth industrial revolution appear to be mostly on the supply side, in the world of work and production. As a result, the great beneficiaries are the providers of intellectual or physical capital, the innovators of intellectual or physical capital, the innovators, the investors and the shareholders which explains the rising gap in wealth between those who depends on their labour and those who own capital. The concentration of benefits and value in just a small percentage of people is also exacerbated by the so-called platform effect, in which digitally-driven organisations create networks that match buyers and sellers of a wide variety of products and services and thereby enjoy increasing returns to scale.

The consequence of the platform effect is a concentration of few but powerful platforms which dominate their markets Drivers/impact. The digital revolution is creating radically new approaches that revolutionize the way in which individuals and institutions engage and collaborate. Blockchain is an example of “ distributive ledger”. **Technology based platforms** make possible what is now called the on-demand economy. These platforms, which are easy to use on a smart phone, convene people, assets and data, creating entirely new ways of consuming goods and services.

Uber shows the disruptive power of these technology platforms. All platforms have one thing in common: matching supply and demand in a very accessible (low cost) way, by providing consumers with diverse goods, and buy allowing both parties to interact and give feedback, these platforms therefore seed trust. In addition, when using digital platforms, the marginal cost of producing each additional product, good or service tends towards zero.

We are still at the beginning of the fourth industrial revolution, and it will require entirely new economic and organizational structures to grasp its full value. The competitive rules will be different. To remain competitive, companies must be at the frontier of innovation in all its forms, which means the strategies which primarily focus on reducing costs will be less effective than those which are based on offering products and services in more innovative ways.

Established companies are being put under extreme pressure by emerging disruptors and innovators from other industries and countries. The reason why the new technology revolution will provoke more upheaval are: speed, breath and depth and the complete transformation of entire systems. Organisations has to operate and organize with speed and agility.

Multiple sources of disruption trigger different forms of business impact. In the supply chain new technologies create entirely new ways of serving existing needs and significantly disrupt existing value chains, e.g. 3-D printing will make distributed manufacturing and spare-part maintenance easier and cheaper.

Real time information and intelligence will provide unique insights on customers and asset performance that will amplify other technological trends. Digitization also enables large incumbents to cross industries boundaries by leveraging their customer base, infrastructure or technology.

Major shifts on the demand side are also disrupting business. Increasing transparency, customer engagement and new patterns of consumer behaviour (build on mobile access) force companies to adapt the way they design, market and deliver existing and new product and services. This is forcing all companies to re-examine the way they do business and takes different forms. Disruption will affect both the demand and supply sides of the business.

Major impacts. -customer expectations are shifting -products are being enhanced by data, which improves

asset productivity -new partnerships are being formed as companies learn the importance of new forms of collaboration and -operating models are being transformed into new digital models.

Customers (BtoB and BtoC) are increasingly at the centre of the digital economy, which is all about how they are served. Customer expectations are being redefined into experiences. Customers can be identified based on their willingness to share data and interact. The world is moving much more to peer-to-peer sharing and user-generated content.

This is a nowworld, which requires companies to respond in real time wherever they are or their customers or clients may be. Products and services are enhanced with digital capabilities that increase their value (like tesla). Data and analytics are also transforming the role of maintenance. No longer look for specific faults but it is more about performance benchmarks (supplied by sensors) New business models can be based on services like asset performance or actual performance. The combination of sensors and analytics enables tire companies to monitor driver performance, fuel consumption and tire wear to offer a complete end-to-end service.

Collaboration is more important than ever, companies need to go well beyond marketing and sales agreements to understand how to adopt comprehensive collaborative approaches.

Rethink operating models means that platforms enabled by the network effects of digitalization are important. In a global world these platforms intimately connect to the physical world. Platform strategies combined with the need to be more customer-centric and to enhance products with data, are shifting many industries from a focus on selling products to delivering services.

Frugal business models use the opportunities afforded by the interaction of digital, physical and human realms to open up new forms of optimization such as efforts by Michelin to provide high-quality services at low cost. To be competitive in the future the nature of organizational structures will have to be rethought. Flexible hierarchies, new ways of measuring (process based accountability instead of outcome based accountability) and new rewarding systems to attract skilled talent. Organizations will shift from hierarchical structures to more networked and collaborative models. Organisations will become increasingly organized around distributed teams.

The digital opportunities in products are often not translated into just higher prices or lower costs but also into fundamental change of the business model. This is driven by end-to-end approach, from service acquisition to delivery. These combination-based business models illustrate the extent of the distribution that occurs when digital assets and interesting combinations of existing digital platforms are used to reorganize relationships with physical assets. The focus is to built on a superior experience combined with reduced transaction and friction costs. These compa-

nies match demand and supply in a rapid and convenient manner which side steps the business models of incumbents. Fast moving competitors provoke a disaggregation of the more traditional industry silos and value chains and also disintermediate the existing relationship between businesses and their customers. In almost all industries, digital technologies have created new, disruptive ways of combining products and services and in the process have dissolved the traditional boundaries between industries.

The level of disruption is different in the various industries, but in a world characterized by uncertainty the ability to adapt is critical. If a company is unable to move up the curve it may be pushed off it.

The companies that survive or thrive will need to maintain and continually sharpen their innovative edge. Small and medium sized enterprises will have the advantages of speed and agility needed to deal with disruption and innovation. Large organizations by contrast will survive by leveraging their scale advantages and investing in their ecosystem of start-ups and SMEs by acquiring and partnering with smaller and more innovative businesses.

In all moments of major technological change, people, companies and institutions feel the depth of the change, but they are often overwhelmed by it, out of sheer ignorance of its effects.

REFERENCES

1. Beckström, R. (2008): "The Economics Of Networks And Cybersecurity," nscs, https://www.unibw.de/infosecur/documents/published_documents/beckstroem_economics
2. Bosch (2013): "Industry 4.0 – Technology for the Fourth Industrial Revolution," http://www.acatech.de/fileadmin/user_upload/Baumstruktur_nach_Website/Acatech/root/de/Material_fuer_Sonderseiten/First_German-Indian_Workshop/Ferber_Indo-German_Workshop_2013-03.pdf
3. German Federal Ministry of Education and Research (2013): "Project of the Future: Industry 4.0," <http://www.bmbf.de/en/19955.php>
4. GreenMonk (2014): "Internet of Things connected Philips Hue bulbs review," <http://greenmonk.net/2014/02/20/internet-things-connected-philips-hue-bulbs-review/>
5. Harvard Business School (2014): "Technology and Operations Management (tom)," <http://www.hbs.edu/faculty/units/tom/Pages/default.aspx>
6. McKinsey Quarterly (2010): "The Internet of Things," http://www.mckinsey.com/insights/high_tech_telecoms_internet/the_internet_of_things
7. McKinsey Quarterly (2013) The Internet of Things and the future of manufacturing http://www.mckinsey.com/insights/business_technology/the_internet_of_things_and_the_future_of_manufacturing
8. Murphy, R.R. (2000): "Introduction to ai Robotics," <http://newplans.net/rdb/Introduction%20to%20ai%20Robotics%20-%20Murphy%20R.R.pdf>

საქართველოსა და ევროკავშირის ზოგადი
ქვეყნის ანტიკორუფციული რეგულაციები

ქეთევან კრავეიშვილი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

რეზიუმე

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. 21-ე საუკუნის დასაწყისში კორუფციის მოსპობა ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესების სინონიმი იყო. დღეის მდგომარეობით მსოფლიო მასშტაბით არაერთი ანტიკორუფციული მექანიზმი იქნა შემუშავებული და პრაქტიკაში დანერგული.

მიუხედავად იმის, რომ როგორც ევროკავშირის ქვეყნებში ასევე საქართველოში საკმაოდ დაიხვეწა ანტიკორუფციული კანონმდებლობა, პრობლემა რჩება მის აღსრულებაში. ასეთი უმოქმედობა კი სტიმულია კორუფციული გარიგებების არსებობისათვის.

წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მიხედვით შერჩეული ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის (დანისის, საფრანგეთისა და და ლიტვის) და საქართველოს ანტიკორუფციული რეგულაციები.

საკვანძო სიტყვები: კორუფცია, ანტიკორუფციული რეგულაციები, კორუფციის აღქმის ინდექსი.

ANTI-CORRUPTION REGULATIONS OF
GEORGIA AND SOME OF THE EU COUNTRIES

Ketevan Kraveishvili

Resume

Fight against corruption is the world's most important challenge. In the beginning of the 21st century corruption was synonymous of improvement of business climate. As of today, many anti-corruption mechanisms have been developed and practiced in the world.

Despite the fact that in the EU countries and in Georgia the anti-corruption legislation has been improved, but problems in its execution still remains. Such inactivity is a stimulus for the existence of corruptions.

In this paper is given an anti-corruption regulations of Georgia and some of EU countries which were selected by the Corruption Perception Index (CPI) data.

ძირითადი ტექსტი

კორუფციის პრობლემა სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის მხრივ ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. კორუფცია პირდაპირ გავლენას ახდენს ინვესტიციების მოზიდვაზე. შესაბამისად ინვესტორებს სჭირდებათ ერთიანი საინფორმაციო ბაზა, საიდანაც მიიღებენ ინფორმაციას ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული კორუფციის დონის შესახებ. ასეთი მაჩვენებელია კორუფციის აღქმის ინდექსი.

კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) გაანგარიშება 1994 წლიდან დაიწყო. მასში თავდაპირველად ჩართული იყო მსოფლიოს 45 ქვეყანა, ხოლო დღეის მდგომარეობით კვლევაში უკვე 176 ქვეყანა/რეგიონი მონაწილეობს.

ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ანტიკორუფციული რეგულაციების დასადგენად სწორედ ამ ინდექსის 2016 წლის მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდა საკვლევი ქვეყნების შერჩევა, კერძოდ:

- დანია 90 ქულით, რომელსაც საერთო სიაში უკავია პირველი ადგილი ახალზელანდიასთან ერთად;
- საფრანგეთი 70 ქულით, რომელსაც საერთო სიაში უკავია 23-ე ადგილი;
- ლიტვა 61 ქულით, რომელსაც საერთო სიაში უკავია 38-ე ადგილი.

როგორც უკვე ავლინებენ კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მიხედვით მსოფლიოში დანია ითვლება ყველაზე არაკორუმპირებულ ქვეყნად. შესაბამისად აქ კორუფციული გარიგებების არსებობის რისკი არ წარმოადგენს ბიზნესისათვის საშიშროებას.


დანისის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯადია კორუფციის ყველა ფორმა. კორუფციული გარიგებებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებაში წესებსა და რეგულაციებზე უფრო დიდ როლს თამაშობს დანისის მოსახლეობის მენტალიტეტი და ინსტიტუციონალური მექანიზმები.

კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მიხედვით დანია ფილანდიასა და ახალ ზელანდიასთან ერთად წლებია იღებს უმაღლეს შეფასებას, კერძოდ: დანიაში ასეთი დაბალი კორუფციული რისკების მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციებს ხშირად უწევთ კრიტიკა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გაუმჭვირვალობის გამო.

დანიაში სასამართლოები ითვლება ყველაზე ნაკლებ კორუმპირებულ სისტემად, შესაბამისად მას აქვს კარგი რეპუტაცია როგორც საზოგადოებაში ასევე ბიზნესში.

დანის მთავალითზე კორუფციასთან ბრძოლაში ხაზგასასმელია — საპოლიციო სისტემა, სახელმ-

კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI)



შენიშვნა: შედგენილია ჩემს მიერ კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მონაცემებზე დაყრდნობით

ნიფო სერვისები, გამჭირვალე ნორმები და რეგულაციები, საკუთრებისა და ადამიანის უფლების დაცვა, გადასახადების ადმინისტრირების სისტემა და თავისუფალი მედია სივრცე.

მიუხედავად იმისა, რომ დანიის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები საეკონომიკურ სექტორში იმისთვის, რომ ამ სფეროსთან დაკავშირებული პროცედურები იყოს მიუკერძოებელი და გამჭირვალე, მაინც შეიმჩნევა კორუფციის ძალიან დაბალი რისკი. სახელმწიფო შესყიდვებთან მიმართებაში ადგილი აქვს მმართველობის სისუსტეებს და რეგულაციების დარღვევის ფაქტებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანიაში შემსყიდველი ორგანიზაციების ერთერთ დამცავ მექანიზმს წარმოადგენს ის გარემოება, რომ კორუფციული გარიგებების ფაქტზე დაჭერილ კომპანიებს ეკრძალებათ ტენდერებში მონაწილეობის მიღება.

დანისაგან განსხვავებით კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მიხედვით საფრანგეთი არ იკავებს სიის საპრიზო ადგილებს. აქ კორუფცია ზომიერად გამოხატულია, მაგრამ ის ხელს არ უშლის ბიზნესის განვითარებას. საფრანგეთში კორუფციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პოლიტიკოსების და ბიზნესმენების ინტერესები იკვეთება. მიუხედავად აღნიშნულია ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის დადგენილია მკაცრი საკანონმდებლო რეგულაციები.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯადია ყველა ტიპის კორუფციული ქმედება, კერძოდ კორუფციულ გარიგებებში მონაწილე ისჯება როგორც თავისუფლების აღკვეთით 10 წლამდე ვადით, ასევე ჯარიმით — ფიზიკური პირებისათვის 150.0 ათასი ევროს, ხოლო იურიდიული პირებისათვის 750.0 ათასი ევროს ოდენობით.

საფრანგეთში კორუფციის ელემენტები შეიმჩნევა წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსების დროს. აღნიშნულის კარგ მაგალითს წარმოადგენს საფრანგეთის სასამართლოში არსებული საქმე 2007 წელს ნიკოლაზ სარკოზის მიერ ლიბის ყოფილი დიქტა-

ტორის — მუამარ გადაფისგან და საფრანგეთის ყველაზე მდიდარი ქალბატონის, ლორეალის მემკვიდრის — ლილიან ბეტენკაურტისგან მიღებული წინასაარჩევნო დაფინანსებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად საფრანგეთში არსებული კორუფციული რისკებისა და ერთეული გამოჩვეულებისა აქ სასამართლო სისტემა მაინც თავისუფალია და მოსამართლეთა საქმიანობა დამოუკიდებელი.

საფრანგეთში კორუფციის რისკები შეიმჩნევა პოლიციასთან მიმართებაშიც. მართალია საფრანგეთის პოლიცია დაკომპლექტებულია მარალკვალ-იფიციური კადრით, მაგრამ მოსახლეობა მაინც საუბრობს მათი მხრიდან უფლებამოსილების გადაჭარბებასა და მათი მოსყიდვის ფაქტებზე. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად 2014 წელს საფრანგეთში შეიქმნა ცხელი ხაზი სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია დააფიქსიროს პოლიციელთა მხრიდან ჩადენილი გადაცდომის ფაქტები.

დღეის მდგომარეობით საფრანგეთში ყველაზე კორუმპირებულ მიმართულებად ითვლება სამშენებლო ბიზნესი და სახელმწიფო შესყიდვები.

საფრანგეთში ყველასათვის ცნობილია, რომ სამშენებლო ბიზნესში თითქმის შეუძლებელია მშენებლობის ნებართვის მიღება ქრთამის მიცემის გარეშე. რაც შეეხება სახელმწიფო შესყიდვებს, მიუხედავად 2000-2006 წლებში განხორციელებული ცვლილებებისა, რის შედეგადაც კანონმდებლობაში აისახა კორუფციული გარიგებების თავის არიდების მექანიზმები, საფრანგეთში ამ სფეროში მაინც ყველაზე ხშირად შევხვდებით კორუფციულ ელემენტებს.

კორუფციის რისკები ასევე არსებობს საფრანგეთის საჯარო სერვისების სფეროშიც, რაც გამოიხატება კანონით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დანესებაში. რთული სახელმწიფო რეგულაციები და არაეფექტური ბიუროკრატიული წყობა უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ კონკურენციაზე.

საფრანგეთში კორუფციული ელემენტები შეიმჩნევა საგადასახადო სისტემასთან მიმართებაშიც.

აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ქვეყანაში დაწესებული გადასახადები საკმაოდ მაღალია და შეიძლება ითქვას, რომ ახრჩობს ფრანგულ ბიზნესს. კერძოდ: საფრანგეთში დღგ შეადგენს 20%-ს, ხოლო მოგების გადასახადი კი - 33%-ს. ამ გადასახდების მოცულობების მიხედვით მსოფლიოს ქვეყნებს შორის საფრანგეთი კამერონის, არგენტინის, ბრაზილიისა და ბელგიის შემდგომ გადასახდების სიდიდით მე-5 ადგილზე დგას.

გადასახადებისაგან განსხვავებით კორუფციის რისკებს ადგილი არ აქვს საფრანგეთის საბაჟო სისტემაში. აქ საკმაოდ ეფექტური და კომპანიებისათვის ხელსაყრელი რეგულაციებია. მხოლოდ ერთი საბუთია საჭირო საქონლის საფრანგეთის ტერიტორიაზე/ტერიტორიიდან იმპორტ/ექსპორტისათვის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სარანგეთში მედეა სივრცე თავისუფალია.

რაც შეეხება ლიტვას აქ ვხვდებით რეგულაციათა სიმრავლეს, ხისტ მიდგომებსა და არაეფექტურ ბიუროკრატიას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში იწვევს კორუფციული რისკების ზრდას. მიუხედავად აღნიშნულისა ლიტვაში კორუფცია არ წარმოადგენს ბიზნესისათვის ძირითად შემაფერხებელ გარემოებას.

ლიტვაში ყველაზე კორუფციული მიმართულებებია სახელმწიფო შეყიდვები და სახელმწიფო სერვისები. ამ დარგების საქმიანობა არ არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი, შესაბამისად ასეთი დამოკიდებულებით ჯანსაღი კონკურენციული გარემოს არსებობას თავად სახელმწიფო უშლის ხელს.

ლიტვის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დასჯადია კორუფციის ფორმები, სადაც ადგილი აქვს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, ფულის გათვრებას და თაღლითობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლიტვაში ანტიკორუფციული კანონმდებლობა ხშირად აღსრულებაში არ მოდის, შესაბამისად ასეთი უმოქმედობა სტიმულია კორუფციული გარიგებების არსებობისათვის. ლიტვაში დაუსჯელობის სინდრომის გამო პოლიტიკური კორუფცია ჭარბობს.

ლიტვის სასამართლო სისტემაშიც აღინიშნება კორუფციული ელემენტები, რაც გამოწვეულია ლიტვის

საკანონმდებლო სივრცის ორაზროვნებითა და ბუნდოვანობით.

ლიტვაში კორუფციულ გარიგებებთან ასევე ასოცირდება საგადასახადო სისტემაც. აქ ადგილი აქვს აქტიური საქონლის კონტრაბანდას, გადასახადების გადაუხდელობასა და შემოსავლების დამალვას.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო ბიზნესი ყველაზე მომხიბვლელია კორუფციული გარიგებებისთვის და მის ცდუნებას დანიის მსგავსი ქვეყნებიც კი ბოლომდე ვერ არიდნენ თავს, სხვა მიმართულებებთან შედარებით ლიტვაში აქ უფრო დაბალი კორუფციული რისკები შეიმჩნევა.

ლიტვასთან მიმართებაში ხაზგასასმელია საპოლიციო სისტემა და საბაჟო საქმიანობა. როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ამ სფეროებში კორუფციის ალბათობა თითქმის არ არსებობს. სახელმწიფოს შექმნილი აქვს კარგი რეგულაციები.


სიტყვის თავისუფლება და მედიის დამოუკიდებლობა დაცულია ლიტვის კონსტიტუციით. აღნიშნული მხოლოდ ფურცელზე არ არის პრაქტიკაშიც ასეა.

საინვესტიციო გარემოს მაძიებელი ინვესტორებისათვის კორუფცია საქართველოშიც არ წარმოადგენს საშიშროებას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს კორუფციული რისკები მას კარგი წარსული გააჩნია კორუფციის დონის შემცირების კუთხით. აქ არაერთი ძირეული და რთული რეფორმა განხორციელდა სახელმწიფო საქმიანობის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის მისაღწევად. აღნიშნული რეფორმების შედეგია, რომ დღეს საქართველოში ძალზედ ადვილია ბიზნესის დაწყება და ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვება.

კორუფციასთან ბრძოლის ელემენტები განერილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და წარმოადგენს კარგ შეზღუდვას კორუფციული გარიგებებისათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთი მიმართულება აღსრულების თვალსაზრისით ჯერ კიდევ მოიკოჭლებს.

2016 წლის კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მონაცემების მიხედვით საქართველო 176 ქვეყანას შორის 44-ე ადგილს იკავებს.

საქართველო



შენიშვნა: შედგენილია ჩემს მიერ კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მონაცემებზე დაყრდნობით

ქვემოთ მოცემულია საქართველოს კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მონაცემი წლების მიხედვით:

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ საკმაოდ დიდი შრომა განია სასმართლო სისტემის კორუფციისაგან დასახსნელად. მიუხედავად აღნიშნულისა ჯერ კიდევ დიდ პრობლემას წარმოადგენს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა.

საქართველოში ხშირად ისმის თანამდებობის პირებისა და გავლენიანი ბიზნესმენების მოსამართლეებზე ზეგავლენის შესახებ, მაგრამ ამ დრომდე ოფიციალურად დადასტურებული ფაქტი არ არსებობს.

საქართველოსთან მიმართებაში ხაზგასამელია საპოლიციო, საგადასახადო და საბაჟო რეფორმები, ასევე სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო სერვისების სფეროში გადადგმული ნაბიჯები, რომლებმაც დახვეწა, გაამარტივა და გამჭვირვალე გახადა ყველა ამ სფეროს საქმიანობა.

მიუხედავად ასეთი ძირეული რეფორმებისა საქართველოში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფავორიტიზმისა და პატრონაჟის ნიშნებს, განსაკუთრებით კი ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებასთან მიმართებაში. დღეს მოქმედი რეგულაციებით არც პატრონაჟი და არც ფავორიტიზმი საქართველოში დასჯადი არ არის, უფრო მეტიც არ არსებობს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო ვისი კომპეტენციაც იქნება მსგავსი ფაქტების გამოვლენა და აღმოფხვრა.

ასევე კორუფციული ელემენტებისაგან ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი სამშენებლო ბიზნესიც. აღნიშნულის კარგ მაგალითს წარმოადგენს გაურკვევ-

ელი და მოსახლეობისათვის საზიანოდ გაცემული სამშენებლო ნებართვები.

საქართველოში სიტყვის თავისუფლება დაცულია კონსტიტუციით და მედეა სივრცე დამოუკიდებელია, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს ბრალდებები მთავრობის მხრიდან მათ საქმიანობაში ჩარევის მცდელობის თაობაზე.

წინამდებარე ნაშრომიდან კარგად ჩანს, რომ კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) საშუალოზე მაღალი შეფასების მქონე ქვეყნებს (მ.შ. საქართველოს) გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი, დახვეწილი და კარგად ჩამოყალიბებული საკანონმდებლო რეგულაციები, მაგრამ რჩება მათ აღსრულების პრობლემა. ასეთი უმოქმედობა კი სტიმულია კორუფციული გარიგებების არსებობისათვის. შესაბამისად საქართველომ კიდევ არაერთი ძირეული და რთული რეფორმა უნდა განახორციელოს კორუფციული რისკების სრულად აღმოსაფხვრელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.transparency.org/>
2. <https://www.theguardian.com/world/2012/mar/12/gaddafi-contributed-sarkozy-2007-election>
3. დანიის კანონმდებლობა;
4. საფრანგეთის კანონმდებლობა
5. ლიტვის კანონმდებლობა;
6. საქართველოს კანონმდებლობა.

გაეროს „ადამიანის განვითარების ინდექსი“
და მისი დინამიკა საქართველოში

ხათუნა თოდუა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

GEORGIA'S HUMAN
DEVELOPMENT INDEX TRENDS
Khatuna Todua

RESUME

The HDI is an average measure of basic human development achievements in a country. It is a summary measure for assessing long-term progress in three basic dimensions of human development - a long and healthy life, access to knowledge and a decent standard of living.

Georgia's value for 2015 was 0,769, which put the country in the high human development category - positioning it at 70 out 188 countries and territories, although the analyses shows that Georgia is among the leading countries in the region with inequality evident in income and wealth. This gap between the poor and the rich can be direct consequence of the inequality of opportunities. It means that most people have a low income and a few people are very rich. It would be impossible to raise the standard of living in the country without solving the above mentioned problem.

Keywords: Human Development Index, Georgia.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის განვითარების ინდექსი, საქართველო.

ადამიანის (ჰუმანური, საზოგადოებრივი) განვითარების ინდექსი (ინგლ. - Human Development Index - HDI) მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის წარმოადგენს მისი განვითარების ინდიკატორს. მას „გაეროს განვითარების პროგრამა“ თავის ყოველწლიურ ანგარიშში იყენებს 1998 წლიდან.

ადამიანის განვითარების ინდექსის ძველი მეთოდოლოგიით გაანგარიშებისას გამოიყენებოდა 3 ძირითადი მაჩვენებელი:

1. დაბადებულთათვის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა;
2. მოსახლეობის განათლების დონე;
3. მშპ-ს ღირებულება ერთ მოსახლეზე.

ხოლო 2010 წლიდან მოხდა ამ ინდექსის მნიშვნელოვანი კორექტირება. „კერძოდ, ადამიანის განვითარების ინდექსის ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებისას სწავლების საშუალო ხანგრძლივობა იზომება არა 15, არამედ 25 და ზევით ასაკის პირთა მიმართ. მეორე მაჩვენებელი - სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზომება სკოლაში შესვლის ოფიციალურად დადგენილი ასაკიდან სიცოცხლის

ბოლომდე, თუ ქვეყანაში შენარჩუნდება განათლების მიღების გავრცელებული ტენდენციები, ახალი მეთოდოლოგიით შემოსავლების დონე იზომება არა მშპ-ში, არამედ მშპ-ის საშუალებით ერთ სულ მოსახლეზე. ცვლილება ადამიანის განვითარების ინდექსის გამოთვლისას საშუალო არითმეტიკულის ნაცვლად საშუალო გეომეტრიულის გამოყენებაც.

უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსების აზრით, ა გ ი - ს მიშვნელობა გადაჭარბებულია, კრიტიკოსთა არგუმენტები შემდეგია: ა გ ი შემოსაზღვრულია 0-სა და 1-ს შორის, რის გამოც მდიდარ ქვეყნებს საშუალება აღარ ეძლევათ, რეიტინგი გაიუმჯობესონ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამის რეზერვები გააჩნიათ, გარდა ამისა, ის ართულებს დინამიკაში ქვეყნების რეალური პროგრესისა და რეგრესის დადგენას, რადგან დამოკიდებულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე. ინდექსის ნაკლოვანებად მიიჩნევა ის ფაქტიც, რომ მასში არ არის გათვალისწინებული სულიერი და მორალური ფასეულობები. გარდა ამისა, ინდექსის სამივე კომპონენტი - განათლება, ჯანმრთელობა და შემოსავალი თანაბარი წილით არის წარმოდგენილი, მაგრამ ინდექსის ავტორების მიერ ადეკვატურად არ არის დასაბუთებული, თუ რატომ ხდება კომპონენტების თანაბარი წილით წარმოდგენა, რატომ არის სამივე კომპონენტი თანაბარმნიშვნელოვანი. ასევე, გამოთვლის ამ წესის მიხედვით, რომელიმე კომპონენტის მნიშვნელობის შემცირების ეფექტი, ინდექსის საბოლოო მნიშვნელობისათვის, შესაძლოა გადაფაროს სხვა კომპონენტების მნიშვნელობის ზრდამ, მაგალითად, ცხოვრების ხანგრძლივობის შემცირება შესაძლებელია გადაიფაროს განათლების ხელმისაწვდომობის ზრდით.

მაგრამ, მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, ა გ ი განვითარების ამსახველი მეტად მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელიც გვიჩვენებს, თავისი პოტენციალის რა ნაწილის რეალიზება შესძლო საზოგადოებამ და რა შესაძლებლობები აქვთ მოცემულ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს განვითარებისათვის. ამას გარდა, საქართველოსათვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა გ ი-ს გამოყენება როგორც ცხოვრების ხარისხზე ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების შეფასებისათვის, ისე სამომავლო განვითარების პერსპექტივების გასაანალიზებლადაც.

მაშ ასე, საქართველოს 2015 წლის ჰუმანური განვითარების ზოგადი მაჩვენებელი აღემატება მსოფლიოს კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელს - 0,694-ს, და შეადგენს 0,769-ს, რაც შეესაბამება მაღალი ჰუმანური განვითარების ქვეყნების ჯგუფისას. ა გ ი

-ს სუბინდექსების მნიშვნელობები 2015 წლისათვის მოცემულია ცხრილში № 1.

ცხრილი N1. ა გ ი -ს სუბინდექსების მნიშვნელობები საქართველოში (2015 წ.).

მაჩვენებლები	საქართველო
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წელი)	75
სწავლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	12,1
სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა (წელი)	13,9
მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ მოსახლეზე (მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით, აშშ დოლარი)	8 856

2000-2015 წლებში საქართველოს მაჩვენებელი გაიზარდა 0,673-დან 0,769-მდე, მთლიანმა ზრდამ შეადგინა 14,3 %.

1990-2015 წელს, დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზარდა საქართველოში 4,7 წლით, 'სწავლის ხანგრძლივობა 0,5 წლით, ხოლო სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 1,5 წლით. მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე (...) გაიზარდა 17,1%-ით.

საქართველო 70-ე ადგილზეა 188 ქვეყანას შორის, საქართველოს წინ არის ირანი, რომლის კოეფიციენტიცა 0,774, ხოლო საქართველოს შემდეგ - თურქეთი, კოეფიციენტით - 0,767.

რაც შეეხება პირველ ადგილს, მას ნორვეგია 'იკავებს, რომლის კოეფიციენტიც 0,949-ს ს უტოლდება, ბოლო ადგილზეა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა - 0, 352.

ა გ ი-თ საქართველო მის მეზობელ ქვეყნებს უსწრებს, მაგრამ სხვადასხვა კომპონენტში ჩამორჩება

ცხრილი N 2. ადამიანის განვითარების ინდექსის დინამიკა საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში (2000-2015 წ.წ.).

სარეიტინგო პოზიცია	წელი	ადამიანის განვითარების ინდექსი							სარეიტინგო პოზიციის ცვლილება	აგ-ს საშუალო წლიური ზრდა (%)
		2000	2010	2011	2012	2013	2014	2015		
		ქვეყანა								
70	საქართველო	0,673	0,742	0,749	0,755	0,759	0,768	0,769	5	0,72
78	აზერბაიჯანი	0,642	0,741	0,742	0,745	0,752	0,758	0,759	-2	0,48
85	სომხეთი	0,644	0,729	0,732	0,736	0,739	0,741	0,743	1	0,39

წყარო: Human Development Report 2016

მათ. ცხრილში № 2 ნაჩვენებია ადამიანის განვითარების ინდექსის დინამიკა 'საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში 2000-2015 წლებში.

გარდა ამისა, საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსის გადათვლისას უთანასწორობის ფაქტორის გათვალისწინებით, ქვეყნის ზოგადი მაჩვენებელი იკლებს 12,2 %-ით და შეადგენს 0,672-ს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში რესურსების განაწილება არ ხდება ოპტიმალურად, საინტერესოა, რომ სომხეთის უთანასწორობის კოეფიციენტი ბევრად ნაკლებია და შეადგენს 9,3%-ს, ხოლო უთანასწორობის ფაქტორის გათვალისწინებით გამოთვლილი ა გ ი სომხეთისთვის 0,674-ია, რაც საქართველოსაზე უკეთესი შედეგია

ცხრილი N 3. ადამიანის განვითარების ინდექსის დინამიკა საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში (2015 წ.).

	ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯები მშპ-სთან მიმართებით (%)	განათლებაზე მთლიანი დანახარჯები მშპ-სთან მიმართებით (%)	მშპ ერთ სულ მოსახ. (აშშ \$)
საქართველო	1,6	2,0	9 109
აზერბაიჯანი	1,2	2,5	16 695
სომხეთი	1,9	2,2	7 899

წყარო: Human Development Report 2016.

საინტერესოა ასევე დამატებითი ინდექსების ანალიზი, 'განსაკუთრებით კი ის, თუ რამდენად კმაყოფილი არიან ადამიანები თავიანთი ცხოვრების დონით, როგორც ცხრილიდან № 4 ირკვევა, ცხოვრების სტანდარტით კმაყოფილი მოსახლეობის წილი ყველაზე დაბალია საქართველოში.

ცხრილი N 4. „დამხმარე ინდიკატორები: კეთილდღეობის აღქმა საქართველოში,“ აზერბაიჯანსა და სომხეთში (2015 წ.).

	განათლების ხარისხით კმაყოფილი მოსახლ. (%)	ჯანდაცვის ხარისხით კმაყოფილი მოსახლ. (%)	ცხოვრების სტანდარტით კმაყოფილი მოსახლ. (%)
საქართველო	66	59	24
აზერბაიჯანი	54	38	53
სომხეთი	52	39	27

წყარო: Human Development Report 2016.

აქედანაც ჩანს, რომ შემოსავლების გადანაწილება უთანაბრობა, შემოსავლების განაწილების უთანაბრობაზე მეტყველებს ჯინის კოეფიციენტიც, რომელიც სომხეთში 31,1-ს, აზერბაიჯანში 33,7-ს, საქართველოში კი 40-ს შეადგენს.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოში საზოგადოების უდიდესი ნაწილის წვდომა ერთობლივ სიკეთეზე ძალიან შეზღუდულია.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოსათვის ყველაზე დიდ გამოწვევად სახელდება გაეროს პროგრამაში.

საქართველოსათვის მთავარ ამოცანას იმ პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება წარმოადგენს,

რაც მას ადამიანური კაპიტალის სახით აქვს, ხოლო ამ ამოცანის შესრულება, რაც საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდისა და უკეთესი ცხოვრების პირობების სანინდარი გახდება, შესაძლებელია მხოლოდ უთანასწორობის მაღალი დონის პრობლემის დაძლევის პირობებში. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შესაძლებელია განათლების დონის ამაღლებით, აგრეთვე დასაქმების დონის ამაღლებით კერძო ბიზნესის ნახალისების გზით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდით.

ლიტერატურა:

1. ნ. ბენდელიანი, განათლებისა და განვითარების პროგრამა, ადამიანის განვითარების ინდექსის მიღმა: ადამიანზე ორიენტირებული განვითარების შეფასება საქართველოში, 2012 წ.
2. მ ბლიაძე, გლობალური ინდექსები - გლობალური სამყაროს საზომები.
3. Milorad Kovacevic, Review of HDI Criticues and Potential Improvements.
4. United Nations Development Program, Human Development Reports, Research Paper 2010/33, February 2011.
5. Human Development Report, UNDP, 2016.
6. Atkinson, A.B., e. Marlier, Human Development and Indicators of Poverty and Social Exclusion as Part of the Policy Progress, Indian Journal of Human Development, 5, 293-320, 2011.

შემოსავლების განაწილების პრობლემა ეკონომიკაში

მეგი გორგასლიძე,
ასოცირებული პროფესორი.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

INCOME DISTRIBUTION PROBLEMS IN ECONOMY

Megi Gorgaslidze
Associate professor of
Akaki Tsereteli State University

„იდეალურ საზოგადოებაში უმ-
დიდრესი ადამიანის შემოსავალი არ
უნდა აღემატებოდეს უღარიბესი ადა-
მიანის ოთხმაგ შემოსავალს“

პლატონი.

RESUME

Income distribution problem is a common trend for the market economy. As far as the country's wealth is not available for everyone it leads to economic inequality between people. Inequality is a feature of free market system and the received reimbursement by the individual is an adequate of his ability, his risks and labor, in contrast, economically full equality kills motivation that's economic outcomes are well known for the post-Soviet society.

There are a number of factors affecting the unequal income distribution, like: hereditary property, entrepreneurial skills, education level and quality, labor habits, length of service, experience, profession and etc.,

The definition of economic inequality is caused by a number of problems, first of all, it should be determined the quantitative parameters of inequality in the country, in particular, poverty limit and level in specific time period.

The state should ensure the fairness of income distribution with the proper functioning of its economic and social policy, the level of socio-economic development of society, with human development, self-awareness and culture is also decisive.

Solving the problems related to the fair distribution of income is the main paradigm of modern civilized society. There are approved methods in the economy, poverty reduction programs that are more or less soften serious results of the inequalities between the members of society.

Key words: Income distribution, economic inequality, poverty limit and level, assistance programs for the poor, social policy.

საკვანძო სიტყვები: შემოსავლების განაწილება, ეკონომიკური უთანასწორობა, სიღარიბის ზღვარი და დონე, ღარიბთა დასახმარებელი პროგრამები, სოციალური პოლიტიკა.

შემოსავლების განაწილების პრობლემა საბაზრო ეკონომიკისათვის ჩვეული ტენდენციაა. ქვეყანაში შექმნილი დოვლათი ყველასათვის ხელმისაწვდომი არაა, ამიტომ ინვესტორს ეს ეკონომიკური ანუ შემოსავლების უთანასწორო განაწილების ზრდას. უთანასწორობა თავისუფალი საბაზრო სისტემისთვისაა და ადამიანის მიერ იღებული ანაზღაურება მისი შესაძლებლობების, მის მიერ განეული რისკისა და შრომის ადეკვატურია, ანუ რაც უფრო მეტს შრომობს ადამიანი, მით მეტი ანაზღაურება აქვს. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ყველა ადამიანი თანასწორი ვერ იქნება. ეკონომიკურად სრული თანასწორობა, ცხადია კლავს მოტივაციას, რომლის ეკონომიკური შედეგები პოსტსაბჭოთა საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი მოსახლეობის შემოსავალი რაოდენობრივი თვალსაზრისით, საკმაოდ უთანაბროა, რამაც განაპირობა სიმდიდრის არათანაბარი დაგროვება და მოსახლეობის ქონებრივი დიფერენცირება. შემოსავლების უთანაბრო განაწილება განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთაგან აღსანიშნავია - **მემკვიდრეობითი საკუთრება**, რომელიც მოსახლეობის ერთ ნაწილს სტაბილურ შემოსავლებს აძლევს; **მენარმეობრივი უნარი**, რაც განპირობებულია ინდივიდუალური მენარმის ინტუიციით, მოქმედონ საკუთარი თავი ბიზნესში; **დარგის სახელმწიფოებრივი დანიშნულება**, რომლის მიხედვითაც მენარმე ღებულობს განსხვავებულ შემოსავლებს. ფირმები ჩაბმულია მძაფრ კონკურენტულ ბრძოლაში ე.წ. საზოგადოებრივი საზოგადოებრივი საქონლის წარმოების უფლებისათვის, რომელსაც აფინანსებს სახელმწიფო; **განათლების დონე და ხარისხი**, **შრომითი ჩვევები**, **სტაჟი**. **პროფესიული გამოცდილება** და ა.შ., რომლის მიხედვითაც მაღალ შემოსავლებს ღებულობენ პირები, რომელთაც შეუძლიათ ყველაფერი ეს შეიძინონ მაღალი დანახარჯების ფასად. რაც სხვებისათვის მიუწვდომელია; შემოსავლის უთანაბრობას ინვესტორს ასევე შემოსავლის შემდეგი სახეები - **დივიდენდი**, **სარგებელი**, **მოგება**, **ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული სარგებელი**.

შემოსავლების განაწილების სამართლიანობას უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფო თავისი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სწორი ფუნქციონირებით. ასევე გადამწყვეტია საზოგადოე-

ბის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე ადამიანთა განვითარებისა და კულტურის დონესთან ერთად. ამ ფუნქციების შესაბამისად მოქმედებენ შემოსავლების განაწილების ძირითადი ინსტრუმენტები - ფასები, ხელფასების სისტემა, მენარმის შემოსავლის (მოგების), პროცენტის, რენტის ჩამოყალიბების წესი, საგადასახადო სისტემა, სახელმწიფო პოლიტიკა და სამართლებრივი ნორმები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა შემოსავლების განაწილებაზე ზემოქმედებისათვის.

შემოსავლების განაწილების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნევენ უმდიდრესთა კალათიდან უღარიბესთა კალათაში სიმდიდრის გადანაცვლებას, ასევე პროგრესულ საგადასახადო სისტემის შემოღებას. ეს ღონისძიება, ერთის მხრივ, სასარგებლოა ღარიბებისათვის, მაგრამ მეორეს მხრივ, უარყოფითად მოქმედებს მდიდართა მატერიალურ დაინტერესებაზე, რაც საბოლოოდ იწვევს წარმოების მოცულობის შემცირებას. მდიდართა შემოსავლებზე ასეთი ზემოქმედება უარყოფითად მოქმედებს მათ მიერ საბაზრო სისტემაში სწორი ორიენტაციის არჩევაზე, სარისკო ტექნოლოგიებში ფულადი კაპიტალის დაბანდების დაინტერესებაზე. შეიძლება ითქვას, გადამანაწილებელი პროგრამების განხორციელება მთელი რიგი სირთულეების წინაშე აყენებს საზოგადოებას და თავისი მოქმედებით არაეფექტურია.

ეკონომიკური უთანასწორობის განსაზღვრა მთელი რიგი პრობლემებით არის გამოწვეული. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ქვეყანაში რამდენად დიდია უთანასწორობა საზოგადოების სოციალურ ფენებს შორის; ღარიბთა რაოდენობის და სიღარიბის ზღვარის ანუ დონის დადგენა. სიღარიბის დონეს ჯინის კოეფიციენტით ანგარიშობენ, რომელიც საქართველოსათვის 2017 წლის მონაცემებით 0,40-ის ტოლია, ამ ინდექსის მიხედვით ყველაზე ნაკლები უთანაბრობა შევადეთია (0.23), ხოლო ყველაზე მეტი - ნამიბიაში (0.7). (1)

ჩვენს ქვეყანაში მეტისმეტად არათანაბრად ნაწილდება შემოსავლები, რაც აისახება ეკონომიკის განვითარების არახელსაყრელ მდგომარეობაზე. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში დიდი დარღვევებით ჩატარდა პრივატიზაციის პროცესი, რომლის შედეგად ქონებას დაეუფლა საზოგადოების მცირე ნაწილი, ხოლო მოსახლეობის დიდი ნაწილი დარჩა შემოსავლებისა და ქონების გრეშე. ბოლო პერიოდშიც პრივატიზაცია ემსახურება ქვეყნის ხაზინის შევსებას, იზრდება უმუშევრობა და ინფლაცია, ღარიბდება ადამიანები, რომელთა რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტია. მთავრობის გატარებულ ღონისძიებებს სიღარიბის დაძლევის პროგრამების სახით მაღალი ეფექტი არ მოჰყოლია. ამის შედეგად საქართველოს ტოვებს შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდ ნაწილი, რაც თავის მხრივ, შემდგომ პერიოდში გამოწვევს შეუქცევად პროცესებს ერის დაბერების სახით, როცა პენსიონერთა რაოდენობა უფრო მეტი იქნება, ვიდრე ახალგაზრდა

თაობა. კარგი იქნებოდა გვეფიქრა მომავალ თაობაზე და მათთვის შეგვექმნა შესაბამისი პირობები. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითია ნორვეგია, სადაც მიიღეს კანონი ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში, კერძოდ ნავთობის სახელმწიფო საკუთრებად გამოსცხადების შესახებ, რომლის თანახმადაც შეიქმნა ქვეყანაში „მომავალი თაობების ფონდი“, რომელშიც თავს იყრის ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების დიდ ნაწილი. ისინი თვლიან, რომ ეს სიმდიდრე ეკუთვნის დღევანდელის გარდა, მომავალ თაობასაც და ამ დანაზოგმა უკვე სოლიდური სახე მიიღო. 2005 წლისათვის 182 მლრდ დოლარი შეადგინა, რამაც ქვეყანაში განაპირობა მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი. (2)

სახელმწიფოს ერთე-ერთი მექანიზმი შემოსავლების უთანაბრობის დაძლევის საკითხში არის საგადასახადო მექანიზმის დახვეწა, რაზეც დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკა და საზოგადოებრივი ყოფიერება.

საქართველოსათვის ფისკალური კრიზისი განპირობებულია გადასახადების მაღალი ზომით, საგადასახადო ტვირთის უთანაბრო განაწილებით, მხედველობაში გვაქვს მინიმალური ხელასის 150-ლარის დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადით, რაც კიდევ უფრო აღარბებს ადამიანებს; დიდი შემოსავლების მქონე ფიზიკური პირების მიერ შემოსავლების შენიღბვა, რაც მათ ათავისუფლებს მაღალი გადასახადების გადახდისაგან, გადასახადებით რეგულირება საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი. ამ პროცესის სწორად წარმართვა საქმიანი აქტიურობის გამოცოცხლებისა და სამამულო წარმოების არა მხოლოდ გაზრდის, არამედ მისი კონკურენტუნარიანობის საწინდარია.

საგადასახადო ტვირთის სამართლიანი განაწილება გაზრდის ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებელს ქვეყანაში, რაც ხელს შეუწყობს დანაზოგების მაღალ დონეს. ეს კი თავის მხრივ გამოიწვევს საინვესტიციო რესურსების გადიდებას, შრომის მწარობლობისა და შემოსავლების ზრდას. მოსახლეობა თავისი შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს გამოიყენებს დაგროვებისათვის, რაც საბოლოო ანგარიშით, უზრუნველყოფს ცხოვრების დონის ამაღლებას.

შემოსავლების სამართლიანი განაწილებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების მთავარი პარადიგმაა. არსებობს ეკონომიკაში აპრობირებული მეთოდები, რომლებიც მეტნაკლებად არბილებენ უთანაბრობის მწვავე შედეგებს საზოგადოების წევრებს შორის. ასეთ მეთოდებს მიკუთვნება **ნატურალური დახმარება**, როდესაც ხდება ღარიბთა უშუალოდ უზრუნველყოფა საქონლით და მომსახურებით; **მინიმალური ხელფასის დაწესება**, რომლის გადახდა შეუძლიათ უშუალოდ დამქირავებლებს, **სოციალური დაზღვევა**, რომლის მიზანია სხვადასხვა შეღავათების განწევა ღარიბთათვის, **უარყოფითი**

საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოადგენს საგადასახადო სისტემას, როდესაც შემოსავალი ტრანსფერის სახით მაღალშემოსავლიანიდან დაბალშემოსავლიან საოჯახო მეურნეობებში გადაინაცვლებს.

ეკონომიკურ უთასანორობაზე მსჯელობის დროს, უნდა გვახსოვდეს რომ - ადამიანები სხვადასხვა ალტერნატივების წინაშე დგანან. პოლიტიკა, რომელიც არახელსაყრელ პირობებში აყენებს იმას, ვინც წარმატებას აღწევს, ხოლო იმას კი, ვინც წარმატებას ვერ აღწევს, ეხმარება, ამცირებს მისთვის წარმატების მიღწევის სტიმულს. ასე რომ, პოლიტიკოსები დგანან თასანორობასა და ეფექტიანობას შორის ალტერნატივების წინაშე. რაც უფრო თანაბრად არის განაწილებული ეკონომიკური ნამცხვარი, მით უფრო ნაკლებია მისი ზომები. ეს შემოსავლების განაწილებასთან დაკავშირებული ერთადერთი დასკვნაა, რომელსაც თითქმის ყველა ეთანხმება. (3)

ილემბული ეკონომიკური ნამცხვარი, მით უფრო ნაკლებია მისი ზომები. ეს შემოსავლების განაწილებასთან დაკავშირებული ერთადერთი დასკვნაა, რომელსაც თითქმის ყველა ეთანხმება. (3)

ბამოყენებული ლიტერატურა

1. <http://geostat.ge>
2. რ. ასათიანი. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. გამომცემლობა „სიახლე“. თბ. 2014 წ.
3. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. დიოგენე. თბ. 2000 წ.
4. www.mof.ge.

სოციოკულტურული გარემოს ასპექტები საქართველოში

მანანა ბერუაშვილი,
სტუ-ს ასისტენტ პროფესორი
მარინა ბალათურია
სტუ-ს ასისტენტ პროფესორი

რეზიუმე

სოციოკულტურული გარემოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს - უთანასწორობა, სიღარიბე, დასაქმება, უმუშევრობა და ა.შ. დღეს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის პირობებში, საქართველოს წინააღმდეგ ახალ ვითარებასთან შეგუებისა და სწორი ორიენტაციის საკითხი, რომელიც გლობალურ სამყაროსა და გლობალურ ეკონომიკაში ჩართვის აუცილებლობას მოითხოვს.

ABSTRACT

Inequality, poverty, employment, unemployment, and etc. is one of the most important aspects in Socio-cultural environment.

Today, under the existence of an independent state Georgia stands the issue of correcting the new situation and correct orientation, Which requires to need to involve the global world and the global economy.

* * * *

კულტურათა ტიპოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს მისი კომუნიკაციურობის ხარისხი. იგი განსაზღვრავს ცივილიზაციის დინამიკურობას ან ადინამიკურობას. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მახასიათებელი სხვადასხვა დროსა და რეგიონში სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ერთი და იგივე კულტურა შეიძლება სხვადასხვა პერიოდში კომუნიკაციისთვის მზაობას (ლიაობას) ან დახშულობას ამჟღავნებდეს. ეს რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ასევე, კულტურა ერთსა და იმავე პერიოდში შეიძლება შერჩევითად კომუნიკაციური იყოს, ანუ ღია - რომელიც კულტურასთან ურთიერთობისათვის და დახშული -- სხვებისათვის.

ცნობილია მეცნიერთა აზრი, ქართველთა ინდივიდუალისტობის შესახებ, მაგრამ, საქართველო წარმოადგენს კლასიკურ მცირეჯგუფოვან „კოლექტივისტურ კულტურას“, სადაც ძირითად სოციალურ ერთეულს შეადგენს ნათესაობა, სამეგობრო, ნაცნობთა წრე და ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავს სწორედ ამ ჯგუფებში არსებული ნორმები. საზოგადოების წევრთა ასეთი ნორმები საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა.

დღეს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის პირობებში, საქართველოს წინაშე დგას ახალ ვითარებასთან შეგუებისა და სწორი ორიენტაციის საკითხი, რომელიც გლობალურ სამყაროსა და გლობალურ ეკონომიკაში ჩართვის აუცილებლობას მოითხოვს.

გლობალიზაციის სოციოკულტურული გარემოს სოციალურ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს - უთანასწორობა, პოლარიზაცია, სიღარიბე, სიღატაკე, დასაქმება, უმუშევრობა და ა.შ. განვიხილოთ პოსტკომუნისტურ საქართველოში არსებული ზოგიერთი მათგანი.

სიღარიბის პარამეტრებისა და დაქმების მაკროეკონომიკური ასპექტების შეფასებისას აუცილებელია, უპირატესად, ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შრომის ბაზრის ფორმირების პროცესის, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების ხარისხის, შრომის ფასისა და შრომაზე ფასწარმოქმნის მექანიზმის და ა.შ. შესწავლა, რაც პოსტკომუნისტურ საქართველოში დღეს დასაქმების აქტუალურ პრობლემად მოიაზრება.

შრომის ბაზართან მიმართებაში ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საქართველოს ჯერ კიდევ არ გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, შრომის ბაზრის ფორმირება გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონის პირობებში და ამ უკანასკნელის აქტიური ზემოქმედების ქვეშ, დაძაბული სოციალური ფონის პირობებში მიმდინარეობს.

უნდა ითქვას, რომ შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელ თავისებურებას სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების დისბალანსი წარმოადგენს. ეკონომიკური კრიზისის საწყის ეტაპზე (1992-1994) საქართველოში მასიურად გაჩერდა ძველი საწარმოები და ვერ მოხერხდა მათი მოდერნიზაცია. შედეგად დასაქმებულთა დიდი ნაწილი უმუშევარი დარჩა - შეიქმნა ჭარბი მიწოდების სიტუაცია, დაიძაბა ფსიქოლოგიური ფონი, დაიწყო საშტატო ერთეულების დაყოფა ნახევარშტატებად, სამუშაო ადგილების რაოდენობა გაიზარდა ხელოვნურად, ლეგალურ უმუშევრობასთან ერთად გაჩნდა ფარული უმუშევრობა. უმუშევრად დარჩენილთა შორის აღმოჩნდნენ: ინჟინრები, ფიზიკოსები ექიმები და სხვა პროფესიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც გაუჭირდათ იმ რეალობასთან შეგუება, რომ უნდა ემუშავათ ისეთ თანამდებობებზე, რომელთა დაკავებასაც უმაღლესი განათლება არ სჭირდებოდა.

უმძიმესი სოციალური ფონის გამომწვევ მიზეზთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჭარბი მიწოდება, რომლის გადასალახავად და ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად დაიწყო აქტიური სამთავრობო ქმედებები. ქვეყანაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახ-

მარებით დაიწყო ეკონომიკის სტაბილიზაციის ხელშეწყობა ლონისძიებათა გატარება. 1994 წლის პირველი მონვევის პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი კანონთა პაკეტი, განხორციელდა ფულად-საკრედიტო სისტემის რეფორმა და გააქტიურდა საგარეო ეკონომიკური კავშირები. ამის შემდეგ გაჩნდა მოთხოვნა ტერიტორიულ მობილურობაზე, რაც ეკონომიკის რეფორმირების კვლადაკვალ კიდევ უფრო გაიზარდა.

2003-2007 წლებში შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, რისი დასტურიც იყო გამოცხადებული ვაკანსიები, რაც თავის მხრივ მოთხოვნის მინოდებაზე და მოთხოვნა-მინოდების დისბალანსზე მეტყველებს. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გაზრდის მნიშვნელოვან მიმართულებად აღიარებულია მენარმეობის განვითარება, მცირე სანარმოთა შექმნა და მათი ფუნქციონირების ნახალისება, ანაზღაურებადი საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება და შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანთა დასაქმება.

მინოდების ფორმირებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამუშაო ძალის მოთხოვნის შესაბამისი პროფესიულ-კვალიფიციური დონე. სწორედ ეს პრობლემა დადგა ძალზე მტიკივნიულად საქართველოს წინაშე ეკონომიკური კრიზისის დაწყებისთანავე, როცა მოქმედი სანარმოების უმეტესობა გაჩერდა და გაქრა მოთხოვნა ამა თუ იმ პროფესიებზე. საჭირო გახდა არსებული კადრების – პედაგოგების, პოლიციელებისა და სხვა სპეციალისტების – სერიოზული პროფესიული გადამზადება, პარალელურად გაჩნდა ახალი პროფესიებიც.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მინოდების ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს თვითდასაქმება, რომელიც საქართველოში სულ ახლახანს, 15-17 წლის წინათ გაჩნდა. თვითდასაქმების ხელშეწყობა ლონისძიებათა შორის აღსანიშნავია შეღავათიანი კრედიტები და საგადასახადო შეღავათები. აქედან გამომდინარე, საქართველოში თვითდასაქმებულთა რიცხვი დღითიდღე მატულობს და ბევრად სჭარბობს დაქირავებით მომუშავეთა რაოდენობას.

თანამედროვე საქართველოს სამუშაო ძალის მინოდების ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით მიგრაციული პროცესების რეგულირება. ეკონომიკური კრიზისის საწყის და შემდგომ ეტაპზე უამრავი საქართველოს მოქალაქე გაემგზავრა უცხოეთში (ლეგალურად და არალეგალურად) სამუშაოდ. გარე მიგრაციის რაოდენობის დიდი მაჩვენებელი სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მინოდების დისბალანსის კიდევ ერთი მაჩვენებელია.

რაც შეეხება შრომის ფასს და შრომაზე ფასწარმოქმნის მექანიზმს საქართველოში, ისინი ძალიან შორს არიან სრულფასოვნებისაგან – ხელფასი ვერ ასრულებს მის ვერც კვლავწარმოებით, ვერც სოციალურ და ვერც მასტიმულირებელ ფუნქციას.

მოქმედი ხელფასები დისკრიმინაციულ გარემოს ქმნიან შრომის ბაზარზე. შრომის ბაზრის ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერებები დარღვეულია ხელფასების მათი მინიმალური სიდიდის საარსებო მინიმუმზე გაცილებით ნაკლებობის გამო.

ეკონომიკურ კრიზისზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ხელფასი ვერ ასრულებს ქვეყანაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მინოდების დამაბალანსებელ ფუნქციას და შრომის ბაზარზე იგი არსებული ძალების გარკვეული კომპრომისის შედეგს წარმოადგენს.

სიღარიბე წარმოადგენს ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის ეკონომიკურ მახასიათებელს, რომლის დროსაც მათ არ შეუძლიათ აუცილებელი მინიმუმით საკუთარი თავის უზრუნველყოფა. სიღარიბე წარმოადგენს ფარდობით ცნებას და დამოკიდებულია მოცემულ საზოგადოებაში ცხოვრების დონის საერთო სტანდარტზე. მსოფლიო პრაქტიკაში სიღარიბის განსაზღვრის სამი მთავარი კონცეფცია არსებობს:

- სიღარიბის აბსოლუტური კონცეფცია;
- სიღარიბის ფარდობითი კონცეფცია;
- სიღარიბის სუბიექტური კონცეფცია.

თანამედროვე მეცნიერთა აზრით, სიღარიბის აბსოლუტური კონცეფცია ეფუძნება ძირითადი მოთხოვნილებების მინიმალურ ჩამონათვალს (საარსებო მინიმუმი) და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსების მოცულობის დადგენას. სიღარიბის აბსოლუტური კონცეფცია XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში წარმოიშვა. მისი აბსოლუტური კონცეფციის შესასწავლად საჭიროა ორი ამოცანის გადაწყვეტა: 1. ისეთი მაჩვენებლის შემუშავება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სიღარიბის საზღვრად და 2. სიღარიბის ზღვართან შესადარებელი მაჩვენებლების სისტემის დადგენა.

აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, სიღარიბე განიხილება როგორც მდგომარეობა, რომლის დროსაც ეკონომიკური რესურსების ნაკლებობის გამო მოცემული საზოგადოების უმეტესი წევრებისათვის ჩვეული ცხოვრების წესის განხორციელება შეუძლებელს წარმოადგენს. სიღარიბის პარამეტრების ჩამონათვალი საქართველოში მოიცავს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა: კვება, ტანსაცმელი, საცხოვრებელი პირობები, ჯანდაცვა, განათლება, შემოსავლები, ხარჯები და საარსებო მინიმუმი, საცხოვრებელი გარემოს ადგილმდებარეობა და მდგომარეობა, შრომის პირობები და ხასიათი და ა.შ.

ადრე საქართველოში არ არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც არ გააჩნდათ საცხოვრებელი სახლები, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა, რადგან საომარი მოქმედებებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავი მოიყარა თბილისში. დაიწყო მათი განთავსება სასტუმროებში, საერთო საცხოვრებლებსა და სხვა დროებით თავისუფალ

შენობა-ნაგებობებში. გარდა ამისა, შეჩერდა ყოველგვარი მშენებლობები, რასაც დაემატა უშუქობა, უგაზობა, უტრანსპორტობა, უმუშევრობა, უფულობა და უკიდურესად გამწვავებული სოციალური და ფსიქოლოგიური ფონი. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობისათვის, რომელთა ძირითადი ნაწილიც ლარიბი აღმოჩნდა, მატერიალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა შეიძინა საცხოვრებელი სახლების მასიურმა პრივატიზებამ. რის შემდეგაც თანდათან მოგვარდა დანარჩენი პრობლემებიც.

დიდი ხნის წინ აღიარებულ იქნა კავშირი ადამიანის ჯანმრთელობასა და მის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს შორის. მდიდარ ქვეყნებთან შედარებით მცირე-შემოსავლიანი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ჯანმრთელობის დაბალი მაჩვენებლები. მისი მიზეზები კომპლექსურია (ჯანდაცვის მართვისა და ორგანიზაციის დაბალი დონე, არასრულფასოვანი კვება, პოლიტიკური არასტაბილურობა, განათლების დაბალი დონე, ჯანმრთელობის სისტემების ხელმისაწვდომობა...).

მიზეზობრივი ურთიერთობა არის ორივე მიმართულებაში: სიღარიბე წარმოშობს ავადმყოფობას,

და ავადმყოფობა აღარიბებს ხალხს. სხვადასხვა ქვეყნებში სიღარიბის აღმოფხვრის პროგრამების უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ჯანმრთელობის გაუმჯობესება. აქედან გამომდინარე, ჯანმრთელი მოსახლეობა ეკონომიკურად უფრო პროდუქტიულია ვიდრე არაჯანმრთელი.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. შენგელია თ. მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“ 2015
2. „საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თსუ, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი, თბ., 2011
3. ნათელაური ი., „გლობალიზაციის სოციოკულტურული გარემოს ასპექტები საქართველოში“, „საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო“ – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბ., 2011

თამარ აბუაშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
გონა ქუბაბრია
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ყველა მოწინავე ქვეყნის ეკონომიკა დაფუძნებულია ახალ ცოდნაზე, ახალ ხედვებზე, ახალ ტექნოლოგიებზე. მომავალი მხოლოდ იმ ქვეყანას აქვს, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას განავითარებს. თუმცა მთავარი ის არის რომ ინოვაციური ეკონომიკის შექმნის იდეა სახელმწიფო რანგში უნდა იქნეს აყვანილი. ახლახან გამოქვეყნებულ გაეროს კვლევაში საქართველო, ადამიანური რესურსების მხრივ, განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება. ჩვენი მეცნიერები თითქმის ყველა ქვეყანაში მუშაობენ და დიდ წარმატებებს აღწევენ. საქართველოს ნამდვილად აქვს რესურსი, ინოვაციური ეკონომიკის გზას დაადგეს.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, ნოუ ჰაუ, ეკონომიკური განვითარება, განათლება, მეცნიერება, ტექნოლოგიები.

Keywords: innovations, know-how, economic development, education, science, technologies.

THE ROLE OF INNOVATIONS
IN THE ECONOMY

Resume

The economy of all the advanced countries is based on new knowledge, new visions, new technologies. The future is the only country that develops the knowledge-based economy. But the main thing is that the idea of creating an innovative economy should be in the state rank. In the United Nations research which was recently released, Georgia is among the highest level of development in terms of human resources. Our scientists work in almost every country and achieve great success. Georgia really has the resources for innovative economy.

* * * *

ყველა ქვეყანა, განვითარების დონის მიუხედავად, თანამედროვე პირობებში უნდა ცდილობდეს საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ეფექტიანი ინოვაციური სისტემა შექმნას. უპირველეს ყოვლისა, მთავრობამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბოს ინო-

ვაციური განვითარების სამართლებრივი ბაზა.

ინოვაციებს ადგილი ჰქონდა უხსოვარი დროიდან, მაგრამ ინოვაციიდან ინოვაციამდე დროის პერიოდი ძალიან დიდი იყო. ათასწლეულები იყო საჭირო შემდეგი ინოვაციის დადგომამდე. პერიოდის სიდიდე თანდათან მცირდებოდა და ათასწლეულებიდან იგი რამდენიმე წელიწადამდე დავიდა. ამ მხრივ აღსანიშნავია, ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომი პერიოდი – პოსტინდუსტრიული საზოგადოება. ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მაღალი განვითარებული საბაზრო ეკონომიკა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უდიდესი დონე. იგი ეფუძნება: ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, ინსტიტუციების, ადამიანისეული კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციის და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ინოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს.

განვითარებული ქვეყნების ამოცანას წარმოადგენს ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა. ეს პროცესი საკმაოდ რთულია, რადგან მოითხოვს ძირეული, სიღრმისეული თვისებრივი ცვლილებების განხორციელებას, მაღალი დონის სამეცნიერო პოტენციალის, განვითარებული ტექნოლოგიების, მეცნიერებასა და წარმოებას შორის უწყვეტი და ძლიერი კავშირების არსებობას, რაც ეკონომიკური განვითარების გარკვეულ დონეზე მიიღწევა. ამ პროცესის დაჩქარებაში მთავრობის როლი ძალიან დიდია.

საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი „ინოვაციების შესახებ“, რომლის მიხედვითაც ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობ ინფრასტრუქტურას წარმოადგენს: სამეცნიერო/ტექნიკური პარკები, ბიზნეს ინკუბატორები, ბიზნეს ამარქარებლები, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრები, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები და ინოვაციების ლაბორატორიები. აუცილებელია მიღებულ იქნას „საქართველოს ინოვაციური განვითარების სტრატეგია და პროგრამა“ და „საქართველოში მეცნიერებისა და განათლების განვითარების პროგრამა“, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს არსებული ინოვაციური სისტემისა და ინფრასტრუქტურის გაძლიერება და ეფექტური ფუნქციონირება. ეროვნული ინოვაციური სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მთელი ინოვაციური ციკლის შეუფერხებელ განხორციელებას, სადაც მთავარი როლი უნდა ითამაშოს ბაზარმა და სადაც სახელმწიფოს უდიდესი მოვალეობა ეკისრება. სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით ხელი შეუწყოს ინოვაციუ-

რი ეკონომიკის ფორმირებას ქვეყანაში, სახელმწიფო უნდა გამოდიოდეს ინოვაციური პროცესებისა და ეკონომიკის "მესაჭის" როლში.

ინტელექტუალური შრომის შედეგად მიიღება ინოვაციური პროდუქტი, რომელსაც მიეკუთვნება მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქცია: იდეები, ჰიპოთეზები, თეორიები, აღმოჩენები, გამოგონებები, ნოუ-ჰაუ, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებები, პროექტები, უახლესი ტექნიკის საცდელი ნიმუშები, ახალი ნაწარმი რომელიც არსებითად განსხვავდება ტრადიციულისაგან, ინფორმატიული პროდუქცია, მრავალფეროვანი რადიო და ტელეპროგრამები და სხვა. [1] ერთი სიტყვით, ინოვაცია არის პროცესი, რომელშიც ინტელექტუალური საქონელი-გამოგონება, ინფორმაცია, ნოუ-ჰაუ ან იდეა იძენს ეკონომიკურ მინაარსს.

ინოვაციური ეკონომიკის განვითარება გულისხმობს ადამიანთა განათლების დონის ზრდას, მეცნიერებატევადი დარგების დაჩქარებულ განვითარებას. მეცნიერებატევადობის სისტემური ზრდა და განვითარება ინოვაციური პროცესებისათვის გადამწყვეტი მასტიმულირებელი ძალაა, რადგან იგი ხელს უწყობს ახალი ნაწარმის ათვისებას, სრულყოფილი ტექნოლოგიების დანერგვას, კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებას.

მსოფლიოს განვითარების მთავარ ეტაპზე განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გამოიხატება არა მარტო საფინანსო რესურსების მოცულობით, არამედ დაგროვილი ცოდნის უკმარისობით, ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცოდნის დონით.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფო რეგულირების გამოცდილების შესწავლა და მათი პრაქტიკული გამოყენება წარმოადგენს ძლიერ ფაქტორს საინოვაციო კრიზისის დაძლევის საქმეში.

საინტერესოა სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის უცხოური გამოცდილება, კერძოდ აშშ-ში ეს საქმიანობა ეყრდნობა ორ მსხვილ უწყებათაშორის ორგანოს – ამერიკის სამეცნიერო ფონდს, რომელიც კოორდინაციას უწევს ფუნდამენტურ კვლევებს და ამერიკის სამეცნიერო საბჭოს, რომელიც წარმოადგენს მრეწველობისა და ინსტიტუტების ინტერესებს სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკაში.

იაპონიაში საინოვაციო პოლიტიკის მართვის საკითხით დაკავებულია სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები და აგრეთვე მსხვილი კერძო კორპორაციების წარმომადგენლები. ეს საბჭო განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხებს საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებთან დაკავშირებით, ხოლო პრაქტიკულად ახორციელებს მეცნიერებისა და ტექნიკის სამართველო. ამ ფონზე ოპერატიულად მიმდინარეობს საკმაოდ ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომელშიც ჩაბმულნი არიან ქვეყნის

უნივერსიტეტების წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები. [2]

საქართველოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის ამოქმედება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დაფინანსებაზე, რომელთა მოძიება დღესდღეისობით საკმაოდ რთულია. ამ მიზნით მიზანშეწონილია ქვეყანაში არსებობდეს ცალკე, გამოკვეთილი საბანკო პოზიცია სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლის დაფინანსებასა და დაკრედიტებისათვის. ეს პროცესი სტიმულს მისცემს ძირითადი კაპიტალის განახლებას და ხელს შეუწყობს მსოფლიო დონესთან შედარებით ტექნოლოგიებში არსებული ჩამორჩენის დაძლევას. ინოვაციური პროცესების მაღალ შედეგებზე დიდი გავლენა აქვს ფინანსურ ბაზრებზე ვენჩურული კაპიტალის არსებობას. მართალია ეს საქმიანობა დიდ რისკთანაა დაკავშირებული, მაგრამ ვენჩურული ბიზნესის განვითარება დიდ აუცილებლობას წარმოადგენს. განსაკუთრებით „ბიზნესანგელოზები“ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ახალი პროდუქციის წარმოებაში, რადგან გაცილებით უფრო მცირე თანხით შედიან ბიზნესში, ვიდრე ვენჩურული ფონდები, მაგრამ უშუალოდ მონაწილეობენ ბიზნესის დაწყების, ინკუბაციისა და გაფართოების ეტაპებზე.

განათლებისა და მეცნიერების მოკრძალებული დაფინანსების პირობებში ძნელია საქართველოში ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. „მეცნიერება ძირითადად ენთუზიაზმზე არსებობს, რაც სრულიად შეუფერებელია ცივილიზებული საზოგადოებისათვის. არ შეიძლება გასავალი ჰქონდეს პრიმიტიულ მსჯელობას, რომ საქართველოს მეცნიერება არ სჭირდება. დაუშვებელია არსებული მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდეს, იგი ქვეყნისა და ეკონომიკის სტაგნაციამდე და უიმედო ჩამორჩენამდე მიგვიყვანს“. [3] მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებაში დაბანდებული სახსრები კომერციული თვალსაზრისით უკუგებას ხანგრძლივი დროის შედეგად იძლევა, საბოლოო თვალსაზრისით ეს საქმიანობა ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელ პროცესს წარმოადგენს.

2016 წლისათვის საქართველოში მეცნიერების ხელშეწყობაზე ბიუჯეტიდან გამოყოფილია 66,7 მლნ ლარი, მშპ-ს მიმართ იგი შეადგენს 0,2%-ს [4], რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს. სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე მსოფლიოში ყოველწლიურად იხარჯება მშპ-ს 1,7%, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებში 2,3%, განვითარებად ქვეყნებში 1,0%, აშშ-ში 2,6%, ევროპაში 1,6%. [5]

განსაკუთრებით მეოცე საუკუნის შუა პერიოდიდან ინოვაციებმა მსოფლიო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში გააძლიერა რწმენა იმისა, რომ ინოვაცია ეკონომიკური ზრდის გასაღებია როგორც ეკონომიკის, ასევე ინდივიდუალური ფირმებისთვისაც. გასული საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში სადაც სასიცოცხლო ციკ-

ლი შემცირდა, მუდმივი ინოვაცია არსებითი გახდა. გერმანული დიდი ელექტრონული კომპანიის სიმენსის პროდუქციის 70% ხუთ წელს არ აღემატებოდა. ფირმა მუდმივ ინოვაციაში თუ არ იქნებოდა, ბაზრის წილს დაკარგავდა. [6]

საწარმოს ინოვაციურობის საზომად ევროკავშირის კრიტერიუმად შემოღებული აქვს კვლევისა და შემუშავებაზე ხარჯები და კონკურენტუნარიანობა ევროკავშირის ბაზარზე. ევროკავშირის განმარტებით, საწარმო ინოვაციურია თუ ბოლო სამი წლიდან ერთ-ერთი წლის დანახარჯები კვლევასა და შემუშავებაზე აღემატება ბრუნვის 15% და გარდა ამისა, შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ უნდა დაადგინოს, რომ საწარმოს პროდუქცია და მიმართულება კონკურენტუნარიანია ევროპის ბაზარზე. ახალგაზრდად ითვლება 6 წლამდე ასაკის საწარმო. [7]

თანამედროვე ეტაპზე ინოვაციები წარმოადგენს ძირითად რგოლს საზოგადოების განვითარების სფეროში. დღეს „ინოვაციების“ ცნება გამოიყენება პრაქტიკულად ყველგან, ეკონომიკის ყველა სფეროში. ის წარმოადგენს საუბრის თემას პროფესიულ და სახელმწიფო მეთაურთა და საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე. [8]

ინოვაციების როლი ეკონომიკაში ვლინდება მისი ფუნქციებით, რომელიც მრავალეროვანია: ეკონომიკის ზრდა ხანგრძლივ პერიოდში; ეკონომიკაში ახალი დარგების შექმნა; წარმოების დანახარჯების შემცირება; კვალიფიციური კადრების რაოდენობის ზრდა; პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დროის დაზოგვა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება; საკანონმდებლო ბაზის განვითარება და სრულყოფა პიროვნების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. [9]

საქართველო ინოვაციების ათვისების მხრივ მეტად დაბალ დონეზეა. ამას ადასტურებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული 2014-2015 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის შეფასების მასალები, სადაც კონკურენტუნარიანობის 119 კრიტერიუმი 12 თემატურ ჯგუფში არის გადანაწილებული. ამ ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ინოვაციებში – 144 ქვეყნიდან 121-ადგილი. [10]

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020, სადაც განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები. აქ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად აღიარებულია ინოვაციების დანერგვა და ტექნოლოგიების განვითარება.

2014 წლის 8 სექტემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, როგორც მთავარი მაკოორდინებელი ორ-

განო ინოვაციების ხელშემწყობი გარემო სისტემის (ინსტიტუტების) ფორმირების ფარგლებში. ინოვაციების ხელშემწყობის საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯია 2015 წლის ბოლოსათვის საქართველოში პირველი ტექნოპარკი.

ტექნოლოგიური პარკი უზრუნველყოფს სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებასა და განვითარებას, კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას, ასევე ხელს შეუწყობს სრული ციკლის წარმოებას იდეიდან პროდუქტამდე.

ტექნოპარკი უზრუნველყოფს ღია დაშვებას თანამედროვე ტექნოლოგიებთან, ცოდნასა და განვითარების პერსპექტივასთან. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა მიიღოს დამხმარება იდეის დამუშავებიდან პროტოტიპის ჩამოყალიბებამდე და მის ბიზნესად განვითარებაში. ტექნოლოგიური პარკის საშუალებით სახელმწიფო წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოღინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვაა.

გამოყოფილია „ფაბლაბის“ სივრცე, რომელიც არის ტექნოლოგიური პლატფორმა სწავლებისა და ინოვაციებისათვის. „ფაბლაბი“ ნიშნავს, დააკავშიროს და ერთ სივრცეში მოაქციოს მსოფლიოს განმანათლებლები, ტექნოლოგიები, გამომგონებლები და ნოვატორები. ცოდნის გაზიარების ეს ქსელი მოიცავს 50 ქვეყანას. [11]

განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური პროცესების და ინოვაციების ერთ-ერთ მძლავრ იარაღად აღიარებულია ინოვაციური მცირე ბიზნესი, რომლებიც ტექნოპარკებში ყალიბდება და შემდგომ ხდება მათი დიფუზირება ეკონომიკაში. ამითაც არის განპირობებული ის რომ განვითარებული ქვეყნები დიდ სახელმწიფო მხარდაჭერას უწევენ მცირე ბიზნესს.

მსოფლიო ეკონომიკისათვის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემისათვის, პრიორიტეტულია ინოვაციური საქმიანობის შემდეგი მიმართულებები: სამედიცინო ტექნოლოგიები; ენერგოეფექტურობის გაზრდა; ბირთვული ტექნოლოგიები; ტელეკომუნიკაციები და კოსმოსის სფერო; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები და პროგრამული უზრუნველყოფა.

საქართველო არ არის გამორჩეული რაიმე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსით, ამიტომ ქვეყნის განვითარება უნდა დაეფუძნოს ინოვაციური ეკონომიკის მოდელს. ეს მიდგომა საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის განვითარების პროცესი იმდენად სწრაფად მიდის წინ რომ რომელიმე ქვეყანა თუ დროულად არ ჩაება ამ ფერხულში, გაუჭირდება შემდგომ თავისი ადგილის მონახვა განვითარებული ქვეყნების გვერდით. აქ მთავარია ქვეყნის არა მხოლოდ ტექნიკურ-რესურ-

სულის დონე, არამედ ის დაგროვილი ცოდნა, რომელიც წლების გამოცდილებით მიიღება.

ინოვაციური, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა – ეს არის ცივილიზაციის ახალი ეტაპი, რომელშიც კაცობრიობა თანდათანობით შედის სულ უფრო მზარდი ტემპით. მისი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ცოდნის გადაქცევა კაცობრიობის მთავარ სიმდიდრედ და ძირითად წარმოებრივ რესურსად.

ყველა მოწინავე ქვეყნის ეკონომიკა დაფუძნებულია ახალ ცოდნაზე, ახალ ხედვებზე, ახალ ტექნოლოგიებზე. მომავალი მხოლოდ იმ ქვეყანას აქვს, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას განავითარებს. თუმცა მთავარი ის არის რომ ინოვაციური ეკონომიკის შექმნის იდეა სახელმწიფო რანგში უნდა იქნეს აყვანილი. ეს გზა აირჩია ყველა ქვეყანამ, რომელთა მიღწევებიც შთამბეჭდავია, მათ შორის, ომის შემდგომმა იაპონიამ და კონსერვატიულმა ინგლისმაც. რაც უფრო ადრე დაიწყება ინოვაციური ეკონომიკის რელსებზე გადასვლა, მით უკეთესი იქნება. ახლახან გამოქვეყნებულ გაეროს კვლევაში საქართველო, ადამიანური რესურსების მხრივ, განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება. ქვეყნიდან უამრავი ნიჭიერი, პერსპექტიული ადამიანი წავიდა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის ინტელექტუალური შესაძლებლობები გაეროში აღიარეს. ჩვენი მეცნიერები თითქმის ყველა ქვეყანაში მუშაობენ და დიდ წარმატებებს აღწევენ. საქართველოს ნამდვილად აქვს რესურსი, ინოვაციური ეკონომიკის გზას დაადგეს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“ 2002 და 2006.
2. ინოვაციების მენეჯმენტი. ევგენი ბარათშვილი, ვახტანგ დათიაშვილი, გურამ ნაკაიძე, რუსუდან ქუთათელაძე. თბილისი, საგამომცემლო „ევროპული უნივერსიტეტი“ 2008.
3. გიორგი მალაშხია. საქართველოს ეკონომიკა. (საუკუნოვანი პანორამის შტრიხები). თბილისი. 2002
4. www.geostat.ge
5. საქართველოს ეკონომიკა. ავტორთა კოლექტივი. მთ. რედაქტორი როზეტა ასათიანი. თბილისი. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“ 2012.
6. დ. ნიდლი, ბიზნესის კონტექსტში (ინგლისურიდან თარგმანი) თბ, ბიზნეს კომუნიკაციის ცენტრი.
7. თ. ვაშაკიძე, ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში.
8. ზ. ნიქორიძე. საქართველოს ეკონომიკისათვის პრიორიტეტული დარგების შერჩევის შესახებ. თბ 2011.
9. www.gita.gov.ge
10. გ. ლავთაძე, ს. გირგვლიანი, ინოვაციური პოლიტიკა, როგორც თანამედროვე ბიზნესის განვითარების მთავარი ფაქტორი.
11. www.marketer.ge

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში ინსტიტუტების როლის და მნიშვნელობის კვლევა სულ უფრო აქტუალური ხდება. რატომ არის ზოგიერთ ქვეყანაში კეთილდღეობის დონე მაღალი, ხოლო ქვეყნების ნაწილი კი საუკუნეების განმავლობაში სიღარიბეში ცხოვრობს. არიან ქვეყნები, სადაც ინსტიტუტების ფუნქციონირება ხელს უწყობს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, ეკონომიკის მდგრად განვითარებას და ქვეყნები, სადაც არსებული ინსტიტუტები ვერ უზრუნველყოფენ ვერც პოლიტიკურ სტაბილურობას და ვერც ეკონომიკურ განვითარებას. ცალკეულ ქვეყნების წარმატება იქ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკასა და ინსტიტუტების ეფექტიან მუშაობაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება საქართველოს და აქ მოქმედ ეკონომიკურ ინსტიტუტებს, საქართველოში ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული სტაბილური ინსტიტუციონალური გარემო და სტაბილური ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფენ.

საკვანძო სიტყვები: წესები, ინსტიტუცია, ინსტიტუტები, ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური განვითარება, მდგრადი განვითარება.

INSTITUTIONS AND THEIR FUNCTIONS IN THE ECONOMY

Shorena Khalvashi

RESUME

Researching the role and importance of institutions in economic growth and development of the countries becomes more actually. Why do some countries have a high level of prosperity, while some of the countries have lived in poverty for centuries? There are countries where the functioning of institutions promotes economic and political stability, sustainable economic development, and the countries where existing institutions can not afford political stability or economic development. The success of individual countries depends on economic policies and the effective operation of institutions. As for Georgia and the economic institutions here, Georgia does not have a stable institutional environment and stable economic institutions that ensure sustainable economic development.

Keywords: Rules, Institution, Institutions, Economic Policy, Economic Development, Sustainable Development.

ინსტიტუტებზე საუბარისას პირველ რიგში გვახსენდება სიტყვა - წესი (ნორმა). წესები - ეს არის ქცევის მოდელები ან ნიმუშები, რომლებიც გვეუბნებიან როგორ უნდა მოვიქცეთ ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში. [5, გვ. 36] წესების და ნორმების მრავალფეროვნებაში გამოიყოფა ორი დიდი კატეგორია: წესები, რომლების შესასრულებლად არ არის საჭირო გარე მექანიზმების ჩართვა (ანუ საუბარია ჩვევებზე) და წესები, რომელთა დასაცავად საჭიროა გარე მექანიზმების შემუშავება. ადამიანები ცხოვრობენ გარკვეული ღირებულებების, წარმოდგენების, დამკვიდრებული წესების და ტრადიციების გარემოცვაში. სწორედ ეს ფორმირებული წესები, ქცევები და მათი დაცვის მექანიზმები არის ინსტიტუტები და ინსტიტუციები.

სიტყვა „ინსტიტუტი“ ეკონომიკურ მეცნიერებაში გამოიყენა ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებელმა თ. ვებლენმა ნაშრომში: „წარმატებული კლასის თეორია“ [4, გვ. 28]. თანამედროვე ლიტერატურაში ყველაზე ხშირად გამოიყენება დ. ნორტის და ო. უილიამსონის განმარტებები. თუ უილიამსონი განმარტავს ინსტიტუტებს როგორც მართვის მეთოდებს (საშუალებებს) [5, გვ. 24], დ. ნორტი მათ განმარტავს როგორც საზოგადოებაში „თამაშის წესებს“, ანუ ადამიანის მიერ შექმნილ ჩარჩოებს, რომლებიც ორგანიზებას უწევენ ადამიანთა ურთიერთობებს [2, გვ. 17]. ეს განსაზღვრება თანაბრად ეხება როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს და არ ანსხვავებს ერთმანეთისგან ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს.

ინსტიტუტის არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანთა ქმედებები დამოკიდებულია და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. მათ აქვთ შედეგები (ექსტერნალიები, გარე ეფექტები) სხვა ადამიანებისთვის და თვითონ მოქმედებაში მყოფი ეკონომიკური აგენტებისთვისაც. ამასთან, ერთიდაიგივე ქმედება შეიძლება იყოს როგორც რაციონალური არჩევანის, აგრეთვე ჩვევის და სოციალური ინსტიტუტის მოქმედების შედეგი. [3, გვ. 24]

სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა სამეურნეო ოპერაციის - ხელშეკრულებების გაფორმების, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, გადასახადების გადახდის, სამეურნეო სუბიექტის მიერ სარეკლამო კამპანიის წარმოების და ა. შ. - განხორციელების წესებს, უშუალოდ ახდენენ გავლენას როგორც დანახარჯების სტრუქტურასა და დონეზე, ისე სანარმოთა საქმიანობის ეფექტიანობასა და შედეგებზე. [3, გვ. 26] ასე მაგალითად: 1. საგადასახადო შეღავათების დაწესება ვენჩურულ კაპიტალზე

ასტიმულირებს სარისკო ინვესტიციებს ინოვაციურ პროცესებში, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის თანამედროვე ეკონომიკაში; 2. თავისუფალი ეკონომიკური ზონებში ეკონომიკური საქმიანობისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნა ხელს უწყობს აღნიშნულ ზონებში სამენარმეო აქტივობის ზრდასა და ინვესტიციების მოზიდვას; 3. საგადასახადო შეღავათების დანესება ცალკეულ რეგიონებში ეკონომიკის სპეციფიკური დარგების განვითარების მიზნით, განაპირობებს აღნიშნულ რეგიონების შესაბამის დარგებში სამენარმეო სექტორის წარმომადგენელთა საქმიანობის ნახალისებას.

ასეთი სახის რეგულაციები წარმოადგენენ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმებს, ანუ ეს არის სახელმწიფოს ცალკეული ორგანოების შეგნებული ქმედება, რომელიც მიმართულია ეკონომიკური აგენტების ქცევის შეცვლისკენ. სხვადასხვა ინსტიტუტების ეკონომიკური როლის განსაკუთრებული მნიშვნელობის დამაჯერებელ მტკიცებულებებს შეიცავს მონაცემები, რომლებიც მიღებულია XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევებიდან, სადაც გამოყენებულ იქნა ეკონომეტრიკული ანალიზი გარკვეული ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების გავლენის გასაზომად. ეს არის სტატისტიკურად შედარებით სანდო ინფორმაცია, რომელიც გვიჩვენებს დადებით კავშირს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და მათში ფუნქციონირებად ინსტიტუტების „ხარისხს“ შორის. რაც უფრო მაღალია ამ უკანასკნელის ინდიკატორი, მით მდგრადია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები და პირიქით. [3, გვ. 28-29].

ინსტიტუტების მნიშვნელობის და მათი ეკონომიკურ ზრდაზე და ეკონომიკის ეფექტიანობაზე ზემოქმედების საკითხი არაერთგზის აქვთ განხილული ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლებს თავიანთ კლასიკურ ნაშრომებში. დ. ნორტის წიგნში „ინსტიტუტები, ინსტიტუციონალური ცვლილებები და ეკონომიკის ფუნქციონირება“, მოყვანილია ისტორიული მაგალითები, რომლებიც ასეთი ზემოქმედების ხასიათს და მასშტაბებს თვალნათლივ გვიჩვენებენ. [5, გვ.29] ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ინსტიტუტების ზეგავლენის კლასიკურ მაგალითად მოყვანილია დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის განსხვავებული გზით განვითარება XVI-XVII საუკუნეებში. ეს ქვეყნები დიდი ხნის მანძილზე ეკონომიკის განვითარების დაახლოებით თანაბარი დონით ხასიათდებოდნენ. მდიდარი კოლონიებიდან ორივე ქვეყანა უზარმაზარ შემოსავლებს იღებდა. ინგლისში, პარლამენტის გადანყვეტილებით, სამეფო ხელისუფლებას არ ჰქონდა უფლება დიდგვაროვანთათვის დიდი გადასახადები დაეკისრებინა, მაშინ როცა სხვაგვარი იყო სიტუაცია ესპანეთში, სადაც არ იყო არანაირი შეზღუდვა სამეფო კარის მხრიდან დიდგვაროვანთა დაბეგვრაზე. შედეგად, ინგლისში დიდგვაროვანთა აქტიურ ნაწილს შეეძლო უშიშრად

და თავისუფლად განეხორციელებინა ეფექტური გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებები. ესპანეთში კოლონიებიდან მიღებული შემოსავლების და ქონების ამოღება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისგან დაუბრკოლებლად ხდებოდა მეფის სასარგებლოდ და იხარჯებოდა მოხმარებაში და არა ეკონომიკურ განვითარებაში. დროთა განმავლობაში მოცემულ ქვეყნების საბაზო ინსტიტუტებს შორის ასეთი მკვეთრი განსხვავების გამო ბრიტანეთი გადაიქცა მსოფლიოში წამყვან ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, ხოლო ესპანეთი დღესაც ერთ-ერთი ყველაზე სუსტი სახელმწიფოა ევროკავშირის ქვეყნებს შორის. [2, გვ. 145-149] აქვე შეიძლება ამ კუთხით ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის, კომუნისტური და დღევანდელი ჩინეთის მაგალითის მოყვანა. საქართველოს უახლეს ისტორიაშიც 1921-1991 წლები შეიძლება დახასიათდეს როგორც ათწლეულები, როდესაც ხდებოდა ეკონომიკური ინიციატივების არა მარტო ირიბად, არამედ ფორმალურად და იურიდიულად ჩახშობა. საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ვრცელდებოდა საქართველოშიც, კერძო მენარმეობა განმარტებული იყო როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. [5, გვ. 29-30].

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ინსტიტუტების მნიშვნელობის შესაფასებლად განვიხილოთ აშშ-ს და მექსიკის მაგალითი. ამ ორ ქვეყანას შორის განსხვავება თვალნათლივ გვიჩვენებს განსხვავებას იმ ორ გზას შორის, რომლებიც გაიარეს ამერიკელმა მილიარდერმა ბილ გეიტსმა და მექსიკელმა მაგნატმა კარლოს სლიმმა. პირველი არის ამერიკული ინსტიტუტების „პროდუქტი“, ხოლო მეორე - მექსიკის. ბილ გეიტსის და „microsoft“-ის წარმატების ისტორია, ისევე როგორც მარკ ცუკერბერგის და „facebook“-ის ყველასთვის ცნობილია. ამ ადამიანებმა წარმატებას მიაღწიეს საკუთარი გამოგონებების, ნიჭის და უნარების რეალიზების წყალობით. [1, გვ. 47-48]

ინსტიტუტები ზემოქმედებენ ადამიანთა ქმედებებზე და სტიმულებზე. პირადი ნიჭი მნიშვნელოვანია საზოგადოების ნებისმიერ საფეხურზე, თუმცაღა რეალიზებისთვის საჭიროებს ინსტიტუციონალური პირობების შექმნას. [1, გვ. 52] ბილ გეიტსის, სტივ ჯობსის, მარკ ცუკერბერგის და სხვა ლეგენდარული ფიგურების წარმატებაში ეკონომიკურ ინსტიტუტებს დიდი როლი აკისრიათ. სწორედ მათი წყალობით მოახერხეს ამ ადამიანებმა საკუთარი კომპანიების დაფუძნება; პირველადი დაფინანსების მიღება; ამასთან, ამერიკულმა შრომის ბაზარმა მათ საშუალება მისცა დაექირავებინათ კვალიფიციური კადრები; კონკუტენტულმა გარემომ კი საშუალება მისცა ეწარმოებინათ პროდუქცია და მიეტანათ მომხმარებელამდე. ეკონომიკური ინსტიტუტები კი, რომლებმაც აქციეს მექსიკელი მაგნატი კარლოს სლიმი, მსოფლიოში უმდიდრეს ადამიანად, სრულიად განსხვავდებიან აშშ-ის ეკონომიკური ინსტიტუტებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მექსიკელი

ბიზნესმენის კუთვნილი კომპანია „Telmex“, 1997 წელს მექსიკის კონკურენციის კომისიამ მონოპოლისტად ცნო ერთ-ერთი კონკურენტი კომპანიის საჩივრის საფუძველზე, კომპანიამ გამოიყენა შუამდგომლობა ამპაროზე (recurso de amparo), რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს დაცვას, პატრონობას და წარმოადგენს სასამართლოს განსაკუთრებულ გადწყვეტილებას, რომელიც მიუთითებს, რომ ესა თუ ის კანონი არ უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულად თქვენს შემთხვევაში. ამან შესაძლებლობა მისცა კომპანიას დარჩენილიყო მონოპოლისტად ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მაგრამ როცა მსგავსი პრეტენზიები გაჩნდა აშშ-ში „micrisoft“-ის მიმართ, ამერიკული სასამართლოს გადწყვეტილებით სრულიად სხვა შედეგი დადგა. ასევე, როცა კომპანია „Telmex“-მა სცადა აშშ-ის ბაზარზე შესვლა, დაარღვია ქვეყანაში მოქმედი კონკურენციის კანონი, მას დაეკისრა ჯარიმა 454 მილიონი დოლარის ოდენობით. როგორც პროცესის შემდეგ მომჩივანი კომპანიის ადვოკატმა განაცხადა, „ამ განაჩენის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე გლობალური ეკონომიკის პირობებში კომპანიებმა პატივი უნდა სცენ აშშ-ის კანონებს, თუ მათ შემდგომში სურთ მუშაობა აშშ-ში“. როცა კარლოს სლიმი შეეჯახა აშშ-ში მოქმედ ინსტიტუტებს, ის იძულებული გახდა ემოქმედა ამ ინსტიტუტების მიერ დადგენილი წესებით, რადგან ფულის კეთების სხვა მეთოდები აქ არ მუშაობდნენ. [1, გვ. 49-50]

ამერიკის კონტინენტზე ყველაზე მდიდარი სახელმწიფოები არიან აშშ და კანადა. ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან: ჩილე, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ურუგვაი, ვენესუელა. შემდეგ მოდიან: კოლუმბია, დომინიკის რესპუბლიკა, ეკვადორი, პერუ, ბოლივია, გვატემალა, პარაგვაი. თუ გადავხედავთ 50 წლის წინანდელ მონაცემებს, დავინახავთ რომ სიტუაცია მაშინაც იგივე იყო. უფრო მეტიც, მდგომარეობა ზუსტად იგივე იყო 100 და 150 წლის წინათაც კი. [1, გვ. 57].

რითი შეიძლება აიხსნას ეს უზარმაზარი განსხვავება ქვეყნებს შორის? რატომ დაიწყეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა და მათმა კოლონიებმა, რომლებიც დასახლებული იყვნენ ევროპელებით, სწრაფი ზრდა XIX საუკუნის დასაწყისში და უკან ჩამოიტოვეს სხვა ქვეყნები? რატომ ვერ შეძლეს ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის ქვეყნებმა ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება მაშინ, როცა აზიის ქვეყნების დიდმა ნაწილმა განვითარების თავბრუდამხვევ ტემპებს მიაღწია?

არსებობს რამდენიმე მოსაზრება აღნიშნულის მიზეზებთან დაკავშირებით. ე.წ. „გეოგრაფიული თეორია“, რომლის თანახმადაც მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავება მათი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარეობს, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის და შრომისთვის არათანაბარ პირობებს ქმნის სხვა ქვეყნებთან შედარებით. მაგრამ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის მაგალითი ეჭვქვეშ აყენებს ამ თეორიას. ფრანგი

ფილისიფოსის შარლ დე მონტესკიეს აზრით ტროპიკულ ქვეყნებში ადამიანები უფრო ზარმაცები და უმეცრები არიან, აქვთ მიდრეკილება მბრძანებლობისკენ, დიქტატურისკენ. თუმცა მაღალიზიის, სინგაპურის მაგალითი საპირისპიროს მეტყველებს. [1, გვ. 59-68] მეორე მოსაზრება კულტურულ ფაქტორებთანაა დაკავშირებული. რელიგია, ეთიკური პრინციპები, ღირებულებები - ეს არაფორმალური ინსტიტუტები, რატომ უნდა, გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედი ფორმალურ ინსტიტუტების ხასიათზე და ფუნქციონირებაზე, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია კულტურის სხვა ასპექტები, როგორცაა: საზოგადოების ნდობის დონე; საზოგადოების წევრების მიდრეკილება ერთმანეთთან ურთიერთთანამშრომლობისკენ. გერმანელი ფილოსოფოსი მარკ ვებერი თვლიდა, რომ რეფორმაციასა და პროტესტანტულ ეთიკაშია დასავლეთ ევროპის სწრაფი განვითარების გასაღები [1, გვ. 68-75] რასაც, ასევე ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ.

ქვეყნებს შორის არსებულ სხვაობას ასევე ხსნიან ე.წ. „თეორიით უმეცრებაზე“, რომელიც ამტკიცებს, რომ ღარიბი ქვეყნების მაცხოვრებლებმა და მმართველებმა უზრალოდ არ იციან როგორ გაამდიდრონ ქვეყანა. ეს მოსაზრება ახლოსაა იმ ეკონომისტების მსოფლმხედველობასთან, რომლებიც იზიარებენ ინგლისელი ეკონომისტის ლაიონელ რობინსის ცნობილ განმარტებას, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკას, როგორც მეცნიერებას, რომელიც სწავლობს ადამიანის ქმედებებს, როგორც დამოკიდებულებას მიზნებსა და შეზღუდულ რესურსებს შორის, რომელთაც აქვთ ალტერნატიული გამოყენება [1, გვ. 76-81].

ეკონომისტების და ეკონომიკური მრჩეველების უმრავლესობა, როგორც წესი, კონცენტრირებულია იმაზე, რომ გააკეთონ „ყველაფერი სწორად“, მაგრამ რაც მართლა მნიშვნელოვანია, არის იმის გაგება, თუ რატომ აკეთებენ ღარიბი ქვეყნები „ყველაფერს არასწორად“. ხშირ შემთხვევაში ეს ხდება არა გეოგრაფიული ფაქტორების ან კულტურულ-რელიგიური მოსაზრებების გავლენით, არამედ შეგნებულად და გამიზნულად. რომ გავიგოთ ასე რატომ ხდება, უნდა გავცდეთ ეკონომიკური მეცნიერების ჩარჩოებს და გავიგოთ რატომ იღებენ ისეთ გადწყვეტილებებს, როგორსაც იღებენ სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფალნი. პრაქტიკამ არაერთგზის აჩვენა, რომ მსოფლიოში ეკონომიკური უთანასწორობის ახსნის გასაღები არის იმის გაგებაში თუ როგორ მუშაობს პოლიტიკური სისტემა. ეკონომიკური აღმავლობისკენ მიმავალი გზა საბაზო პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაზე გადის.

საქართველოს ეკონომიკაში არსებული პრობლემების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი რიგი ინსტიტუტების არარსებობა, ან არსებული ინსტიტუტების სათანადო დონეზე განუვითარებლობა, რაც განპირობებულია პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე ეკონო-

მიკუური რეფორმების განხორციელებით “შოკური თერაპიის” კონცეფციის საფუძველზე. აღნიშნული რეფორმების ფარგლებში ინსტიტუციურ ცვლილებებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა მენარმეობის, ფასებისა და საგარეო ვაჭრობის სწრაფ ლიბერალიზაციას. აღნიშნულმა პოლიტიკამ გამოიწვია ინსტიტუტების მიმართ ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. პროცესი დღესაც გრძელდება, რასაც ადასტურებს მთელი რიგი საჭირობო ინსტიტუტების არარსებობა და/ან გაუმართაობა. შესაბამისად აუცილებელია საკანონმდებლო მუშაობის გაძლიერება, თანამედროვე პირობებში ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუციონალური გარემოს ჩამოსაყალიბებლად.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Daron Acemoglu James A. Robinson, Why Nations Fail: The Origins of Power, Prosperity and Poverty;
2. Норт Д. К. Институты, институциональные изменения и функционирование экономики. — М.: Фонд экономической книги «Начала», 1997 (Institutions, Institutional Change and Economic Performance)
3. Институциональная экономика, : Новая институциональная экономическая теория; Под редакцией А. А. Аузана, учебник, М.: ИНФРА-М, 2006;
4. Торстейн Веблен, Теория праздного класса; Прогресс; Москва; 1984.
5. Институциональная экономика; Учебное пособие. Под общей редакцией Г. Н. Макаровой, В. А. Рудякова, Иркутск Издательство БГУЭП2014.

სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთობა ეკონომიკური კრიზისის პერიოდში

თამარ ლომიძე
სტუ-ს დოქტორანტი

STATE AND BUSINESS RELATIONS DURING THE ECONOMIC CRISIS

Tamar Lomidze,
Doctoral student Of GTU

SUMMARY

The attitude of the government towards small and medium businesses is an important aspect of the economic crisis. Thus, the role of the state during the crisis and post-crisis is the objective necessity of the economic process.

Besides, the strengthening of the economic role of the state should not mean, neither direct interference in the economic processes, nor limiting private businesses and private initiatives, but it should be understood as a fiscal macroeconomic environment stimulated by the state, appropriate financial-economic, organizational-administrative and legal leverage.

Keywords: Economic crisis, Business crisis, State and business relations.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური კრიზისი, ბიზნესის კრიზისი, სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა.

სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა განსაკუთრებულად აქტიურდება ეკონომიკური კრიზისის დროს. საჭიროა ყველა სახელმწიფომ სწორად განსაზღვროს, თუ როგორ უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, როგორ გადალახოს ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული პრობლემები, როგორ დაიძლიოს და შექმნას ქვეყნის განვითარების ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებას.

ეკონომიკური კრიზისი კიდევ ერთი მძიმე გაკვეთილია იმისა, თუ რამხელა ზარალის მიყენება შეუძლია ეკონომიკური პროცესების, ტენდენციების არასწორად შეფასებას.

ეკონომიკური კრიზისი არის ეკონომიკური ციკლის შემადგენელი ფაზა, ეკონომიკური კრიზისის წარმოშობა ობიექტური კანონზომიერებაა და გვერდის ავლა ეკონომიკური კვლავწარმოების პირობებში თითქმის შეუძლებელია. ეკონომიკური კრიზისი საბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელი თვისებაა და, შეუძლია ითქვას, რომ აუცილებელი ატრიბუტია.

ეკონომიკურ კრიზისს ზოგჯერ პოზიტიური

ეფექტიც აქვს. ესენია: ეკონომიკური გაჯანსაღება, მაკროეკონომიკური მართვის ახალი მეთოდების შემუშავება, ინოვაციური პროცესების დაჩქარება, თავისუფალი ფასწარმოქმნისა და კონკურენციის ხელშემწყობი პირობა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის მიმართ. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკურ პირობებში თითოეული ქვეყანა, რომელიც მოიცავს ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულებას ექსპორტ-იმპორტზე, ტრანსნაციონალური კომპანიების არსებობას, მეზობელ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის არსებული დონისა და სტადიის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლებია: მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპი, ინფლაციისა და უმუშევრობის დონე, საფინანსო-საბანკო სისტემის ნდობა, ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობა და მისგან მიღებული პროცენტი, განათლების დონე, სახელმწიფო ვალდებულების შესრულების ხარისხი და სხვა.

ბიზნესს არ შეუძლია მწვავეკრიზისიდან თავის დაღწევა სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მხარდაჭერის გარეშე. კრიზისის პირობებში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი გააქტიურება და ბიზნესისადმი აქტიური მხარდაჭერა არ შეიძლება აღქმული იქნას, როგორც ცალსახად დადებითი მოვლენა. აუცილებელია, დავინახოთ რიგი პრობლემები და საფრთხეები, რომლებიც ამ პროცესთანაა დაკავშირებული.¹

რამდენიმე პრობლემაზე უფრო დანვრილებით შევჩერდით. ერთ-ერთი მათგანია ლობიზმის გაძლიერების საფრთხე. ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კრიზისისა და პოსტ-კრიზისულ პერიოდში აშშ-ს მთავრობა ლობისტთა ძლიერი ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოყვანილი იქნა შემდეგი გაქტი: აშშ-ს საავტომობილო გაერთიანებულმა კომიტეტმა განაცხადა, რომ თუ მთავრობა ფინანსურად არ დაეთანხმებოდა ამ დარგს, ეს გამოიწვევდა ქვეყნის მასშტაბით 14 მლნ სამუშაო ადგილის დაკარგვას. ამავე დროს ექსპორტის გაანგარიშებით სამუშაო ადგილების დანაკარგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო 2 მლნ-ზე მეტი.

შემდეგი პრობლემა დაკავშირებულია ე.წ. "არაკეთილსინდისიერ ქცევის ეფექტის" წარმოშობასთან, მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: სახელმწიფო, როდესაც საკუთარ თავზე იღებს კომპანიების

1 თემურ მიმინოშვილი, სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მექანიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები, თბილისი, 2014

გადაჭარბებულად რისკიანი ოპერაციების შედეგად მიღებულ ზარალს, ამით კომპანიებს უჩინს მსგავსი მოქმედების განმეორების სურვილს. ისინი იმედოვნებენ, რომ სახელმწიფო ყოველთვის აანაზღაურებს მათ დანაკარგებს. დამნაშავეს მიერ ზარალის ანაზღაურების არსებული წესი კიდევ უფრო აღრმავებს ამ წინააღმდეგობას. კერძოდ, ზარალის ნებისმიერი სიდიდე, რომელიც ეკონომიკური აგენტის ქონებაზე მეტია, მისთვის მხოლოდ ვირტუალური ცნებაა. ლეალურად იგი ვერასდროს გადაიხდის იმაზე მეტს, რა ქონებაც გააჩნია. შესაბამისად, საკუთარი გადახდისუნარიანობის მიღმა, მისი აქტივობა ხშირად არ არის ფიზიკური, მოზომილი და რისკებსაც ნაკლები ყურადღება ეთმობა, როდესაც გარკვეულ მომენტში, ბაზარზე დგება “განკითხვის ჟამი”, კრიზისის სახით, ეკონომიკური აგენტები სასონარკვეთაში ცვივდებიან, სახელმწიფოსაკენ იშვერენ ხელს და მისი დაშანტაჟების მცდელობასაც არ ერიდებიან. ასეთ შემთხვევებში ეკონომიკური აგენტების ქცევის მექანიზმს უნდა განსაზღვრავდეს ფინანსური ბაზრის ცალკეულ პროდუქტებზე შეუზღუდავი კონტრაქტების კანონით აკრძალვა.

კრიზისის დროს ქვეყნის მთავრობები უპირატესად ეხმარებიან მსხვილ კომპანიებს, სწორედ იმის გამო, რომ ისინი მეტისმეტად დიდები არიან იმისათვის, რომ გაკოტრდნენ. აქ სიდიდის ქვეშ იგულისხმება, არა მხოლოდ მათი მოცულობა, არამედ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ან განეული მომსახურების ხასიათი, მნიშვნელობა და მათი დახურვით გამონეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად რთული წინააღმდეგობრივი და მნიშვნელოვანია კრიზისიდან გამოსვლისა და პოსტ-კრიზისულ სანაყის პერიოდში სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა. პოსტკრიზისული განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ ახალი, უფრო ეფექტიანი ფორმების ფუნქციონირებას, არამედ ძველის შედარებით ჩამორჩენილისა და

არაეფექტურის ასპარეზიდან გაქრობას. თუკი ამ უკანასკნელთა მიმართ სახელმწიფო მხრიდან გაგრძელდება ძველი პოლიტიკა, ანუ ისინი კვლავ მიიღებენ უხვ ფინანსურ დახმარებას, შესაძლებელი გახდება მათი არსებობის ხელოვნური შენარჩუნება, რაც შეასუსტებს ჯანსაღ კონკურენციას და ხელს შეუშლის ეკონომიკურ პროგრესს.

ამჟამად, საქართველო იმყოფება ეკონომიკურ კრიზისში. საქართველოს ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ეს საკითხიც მოითხოვს სერიოზულ დაფიქრებას. დღეისათვის, არსებობს აზრი, რომ უცხოურის ნაცვლად, ვფიქრობთ ადგილობრივ ინვესტიციებზე, რადგან ეს უკანასკნელი ორგანულად უკავშირდება ადგილობრივ ინტერესებს და გამორიცხავს უცხოური ინვესტიციების თანმხლებ უარყოფით შედეგებს:

ა) ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი

სისტემური გადინების გზით აღმოჩნდება სხვა ქვეყნის ხელში.

ბ) უცხოური კაპიტალის უკონტროლო მასობრივი შემოშვება გამოიწვევს დონორი ქვეყნების ეკონომიკასთან მიბმას.

გ) ასეთ შემთხვევაში ქვეყანავერ მიაღწევს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.²

ეკონომიკური კრიზისის დაძლევა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკის რეალური სექტორის გამოცოცხლება, რომელიც თეორიულად ადვილი სათქმელია, ხოლო პრაქტიკულად ძნელი გასახორციელებელი. ძნელია იმდენად, რამდენადაც წინათ არსებული ეკონომიკური კავშირები, როგორც ცნობილია, გადაწყვეტილია. საჭიროა, ალტერნატიული კავშირების მოძებნა და უკვე არსებულის განვითარება. ასე უნდა მივუდგეთ ეკონომიკის, ისეთ დარგებს, როგორებიცაა მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და სხვა.

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მენარმეობას და მიზნად ისახავს სამენარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდასა და განვითარებას.

კერძო სექტორის განვითარებასა და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ასევე ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში.

საქართველოს მთავრობა საგანგებო ყურადღებას უთმობს კენძო სექტორის და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების (რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა დაყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება(DCFTA)).

DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია და მათი შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. შესაბამისად, გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ DCFTA-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

სისტემური ეკონომიკური კრიზისის ჩამოყალიბებაში, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოური პერიოდისაგან შემკვიდრებით მიღებულმა წარმოების დაბალმა ეფექტიანობამ და პროდუქციის დაბალმა კონკურენტუნარიანობამ, აგრეთვე ათწლეულობით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირების რღვევამ და სხვა ეკონომიკურმა მიზეზებმა, მაგრამ მათ ნა-

2 სოლომონ პავლიაშვილი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო 2011

ცვლად, ვერ მივიჩნევთ პოსტსაბჭოურ სივრცეში არ-
ნახული მასშტაბის კრიზისის ფორმირების ძირითად
ფაქტორებად.

ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე ორიენ-
ტირებული პრიორიტეტებიდან ყურადღება ძირით-
ადად გვინდა გავამახვილოთ სახელმწიფო მომსახ-
ურების გაუმჯობესება და საჯარო მმართველობის
გამჭვირვალობის ზრდაზე.

ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებას სახელმწი-
ფოს მიერ მინოდებულ სხვადასხვა მომსახურებაზე
ხელმისაწვდომობის ზრდა და ასევე ადმინისტრაცი-
ულ პროცედურებზე განეული დროითი დანახარ-
ჯების შემცირება განაპირობებს. ამ მიზნით საქა-
რთველოს მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო
ინსტიტუტების მიერ განეული მომსახურების გაუმ-
ჯობესებას.

გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გაიზარდა
საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, გაღრ-
მავდა დიალოგი სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის,
რამაც უნდა უზრუნველყოს ბიზნესის ჩამოყალიბება
ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში
. ამ მიზნით, გაზიარებული იქნა სახელმწიფოსა და
ბიზნესს შორის თანამშრომლობის საუკეთესო პრაქ-
ტიკა.

სახელმწიფოს მიზანია, მიაღწიოს ბიზნესის იმგ-
ვარ რეგულირებას, რომელიც ხელს შეუწყობს თა-
ვისუფალი ბაზრისა და მენარმეობის განვითარე-
ბას. არსებულმა და მომავალმა რეგულაციებმა არ
უნდა შეუზღუდოს ბიზნესს საქმიანობა, მისთვის
დამატებითი პრობლემის შექმნით, ამისათვის საქა-
რთველოს მთავრობა დახვეწს რეგულირების გავლე-
ნის შეფასების სისტემას, რომლის მიზანს, როგორც
ახალი საკანონმდებლო ინიციატივების, ასევე, არ-
სებული საკანონმდებლო აქტების ბიზნესგარემოზე
გავლენის შეფასება წარმოადგენს.³

რთული ამოცანების გადაჭრა შეუძლიამხოლოდ
ძლიერ კომპეტენტურ და დიდ პოლიტიკური ნების
მქონე ხელისუფლებას. ასეთმა ხელისუფლებამ უნდა
შეასრულოს ლოკომოტივის როლი და დაეხმაროს
ბიზნესმენებს წინასწარ მათ მიერ დასახული გეგ-
მების განხორციელებაში. შწორედ ასე ეხმარებოდა
ჩერმანია, იაპონია, სამხრეთ კორეა და საფრანგეთი
თავის ბიზნესმენებს. ეს იმისთვის დასჭირდა, რომ
საჭირო იყო ძალიან დანინაურებული ამერიკისა და
ინგლისის დანევა თავის

ნებაზე მიშვებული ეკონომიკა კი ბევრად უფრო
ნაკლები ტემპით განვითარდება. ეკონომიკის განვი-
თარებაში უმთავრესია ეკონომიკის განვითარების
ტემპები, თორემ თავისით და ნელ-ნელა კენია და
უგანდაც კი ვითარდება, რადგანაც მეცნიერულ-ტე-
ქნიკურ პროგრესს ისედაც მოაქვს გარკვეულდონეზე
ეკონომიკის განვითარება და კეთილდღეობის ზრდა,
სულ რომ არაფერი აკეთოს ხელისუფლებამ.

ამგვარად, საქართველოს უნდა ჰქონდეს მკაფ-

3 ოთარ შავიშვილი, გაზეთი რეზონანსი "ეკონომი-
კური კრიზისის დაძლევის გზები" თბილისი 2013

იოდ ჩამოყალიბებული ანტიკრიზისული პროგრამა,
როგორც პრევენცია, მოსალოდნელი კრიზისებისა
და, აქედან გამომდინარე, მისინეგატიური შედეგების
თავიდან ასაცილებლად. ანტიკრიზისულ პროგრამა-
ში მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს ეროვნული წარ-
მოების განვითარებას და იმპორტული პროდუქციის
ჩანაცვლებას ადგილობრივი საქონლით. აუცილებე-
ლია შემუშავებული იქნას ისეთი ფულად-საკრედიტო
პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს მინიმალური
საბანკო საპროცენტო ტარიფების არსებობას, რათა
სტიმული მიეცეს ბიზნესის განვითარებას და შესა-
ბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. საჭ-
იროა შემუშავდეს ისეთი ეკონომიკური უსაფრთხოე-
ბის სტრატეგია, პროგრამა,

ლონისძიებათა ნუსხა, როელიც გაითვალისწინებს,
როგორც არსებულ რეალობებს, ისე მოსალოდნელ
ეკონომიკურ პროცესებს, როგორც რეგიონალურ
ჭრილში, ასევე მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში.

საქართველოს უნდა გააჩნდეს ანტიკრიზისული
მართვის შემუშავებული მოდელი, რომლის მთავარი
დანიშნულება უნდა იყოს ეკონომიკური კრიზისების
თავიდა აცილება, ხოლო მისი არსებობისას, რაც შეი-
ძლება სწრაფად და მცირე სოციალური დანაკარგე-
ბით დაძლევა. იგი ყოველთვის სტრუქტურული, ინ-
ვესტიციური, ინოვაციური, მენეჯმენტის ლონისძიე-
ბებთან ინტეგრალურად უნდა ხორციელდებოდეს.

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი
სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს, ეკონომიკის მართ-
ვის ძირეული ტრანსფორმაცია. არ უნდა დაგვავი-
წყდეს, რომ ეკონომიკის მოდერნიზაცია პირველ
რიგში სახელმწიფო მართვისა და საწარმოების მართ-
ვის ეფექტიანობას გულისხმობს. ძალზე მნიშვნელო-
ვანია განხორციელდეს ეკონომიკის კომპლექსური
მართვა, რომელიც გულისხმობს მაკროეკონომიკური
და მიკროეკონომიკური მართვის ინტეგრაციას. სამო-
მავლო მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალის-
წინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თემურ მიმინოშვილი, სახელმწიფოსა და ბიზნე-
სის ურთიერთობის მექანიზმი და მისი განვითარების
პერსპექტივები, თბილისი 2014
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გან-
ვითარების სტრატეგია, საქართველო 2020
3. http://www.for.ge/view.php?for_id=4095&cat=3,
სოლომონ პავლიაშვილი, მსოფლიო ეკონომიკური
კრიზისი და საქართველო, 2011
4. http://www.for.ge/view.php?for_id=29818&cat=1
დემნა კვარაცხელია, საქართველოს ეკონომიკური
განვითარების პერსპექტივები, 2014
5. ოთარ შავიშვილი, გაზეთი რეზონანსი "ეკონმი-
კური კრიზისის დაძლევის გზები" საქართველო 2013

საქართველო ინოვაციური განვითარების
საერთაშორისო რეიტინგები

ირაკლი ჯანგავაძე
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ინოვაცია და კრეატიულობა აუცილებელი პირობაა ქვეყნის მდგრადი ზრდისა და განვითარებისათვის. 2000 წლიდან მოყოლებული გლობალური ეკონომიკა ყოველწლიურად 3.2%-ით იზრდება, რომლის მთავარი გასაღები ინოვაციებია.

ანალიზის საფუძველზე ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა: **კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანისული კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა**, რაც მძიმე დაღს ასვამს ქართული ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებას. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის ზოგიერთი მაჩვენებელი და შედარებულია ჩვენი მეზობელი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, ინოვაციური ეკონომიკა, ინოვაციური განვითარება, ადამიანისული კაპიტალი, ინტელექტუალური საკუთრება, პატენტი.

GEORGIA IN INTERNATIONAL RANKINGS
OF INNOVATIVE DEVELOPMENT

Irakli Jangavadze
Doctoral at GTU

RESUME

Innovation and creativity are a necessary condition for sustainable growth and development of the country. Since 2000, the global economy is growing by 3.2% annually, the key to which is innovation.

On the basis of the analysis, critical issues were identified: low competitiveness of private sector, poorly developed human capital and limited availability of finances.

Here is the analysis of the innovative development indicators of Georgia.

Keywords: Innovations, innovative economics, innovative development, human capital, intellectual property, patent.

ძირითადი ტექსტი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება განისაზღვრა. ნიშანდობლივია, ის რომ საქართველომ 1992 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის პირველმა შექმნა და აამოქმედა ეროვნული საპატენტო სამსახური „საქპატენტი“, რომელიც შემდგომ გარდაიქმნა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრად.¹ 2012 წლის საპატენტო აქტივობის მონაცემებით უპირობოდ ლიდერობენ ჩინეთი და აშშ (500 000-ზე მეტი განაცხადით). საქართველო კი 64 პოზიციას იკავებს 398 განაცხადით და მეზობელი ქვეყნებიდან ჩამორჩება რუსეთსა და თურქეთს, რაც ლოგიკურია აღნიშნული ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით (ცხრლ. 1).

2014 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობის მიხედვით ლიდერობენ აშშ და ჩინეთი, ხოლო საქართველო ამ მხრივ საკმაოდ მოკრძალებულ 86 პოზიციას იკავებს (117.6) და სამწუხაროდ ყველა ჩვენს მეზობელს ჩამორჩება (იხ. ცხრლ. 2)

დადგენილია, რომ **სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ეკონომიკური კანონის თანახმად მეცნიერების განვითარებაზე მშპ-ის 3-3.5% უნდა დაიხარჯოს**. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით ლიდერობს ისრაელი (4.3%). საქართველო (0.2%) მეზობელი ქვეყნებიდან საგრძნობლად ჩამორჩება რუსეთსა და თურქეთს, ხოლო უმნიშვნელოდ სომხეთსა და აზერბაიჯანს (ცხრლ.3). ჩვენი ვარაუდით, მეცნიერების განვითარებაზე უახლოეს მომავალში მშპ-ის 1.2-1.5% მაინც უნდა დაიხარჯოს, რაც მინიმალურად შეინარჩუნებს არსებულ სამეცნიერო პოტენციალს.

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოში ეროვნული სიმდიდრე 40%-ით შემცირდა, ხოლო ადამიანისული კაპიტალის ღირებულება ეროვნული სიმდიდრის 30% შეადგინა (46-დან 30%-მდე იკლო). აღნიშნული მაჩვენებელი აშშ-ისთვის 77%-ია, ხოლო რუსეთისთვის — 50%.უმეტესი ქვეყნებისათვის ადამიანისული კაპიტალი აღემატება ეროვნული სიმდიდრის ნახევარს.² საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანისული კაპიტალის შედარებით დაბალი მაჩვენებელი, შეიძლება აიხსნას არა ბუნებრივი რესურსების სიუხვით, არამედ ეკონომიკაში შექმნილი სირთულეებით და ყველაზე

1 <http://www.sakpatenti.org.ge/ka/page/18/>

2 ჯულაყიძე მ., ადამიანისული კაპიტალის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე-[http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=27606]

ცხრლ. 1 საპატენტო განაცხადების რაოდენობა 2012 წ.

	ქვეყანა	განაცხადების ჯამი	რეზიდენტების განაცხადები	არარეზიდენტების განაცხადები
1	ჩინეთი	526 412	415 829	110 583
2	აშშ	503 582	247 750	255 832
3	იაპონია	342 610	287 580	55 030
4	კორეის რესპუბლიკა	178 924	138 034	40 890
5	გერმანია	59 444	46 986	12 458
	მეზობელი ქვეყნები			
7	რუსეთის ფედერაცია	41 414	26 495	14 919
26	თურქეთი	4 113	3885	228
64	საქართველო	398	138	260
76	აზერბაიჯანი	205	193	12
80	სომხეთი	140	121	19

<http://gtmarket.ru/ratings/rating-countries-patents/info#georgia>

ცხრლ. 2 ქვეყნების რეიტინგი სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობის მიხედვით

№	ქვეყანა	პუბლიკაციების რაოდ.
	მსოფლიო	827 704.9
1	აშშ	212 394.2
2	ჩინეთი	89 894.4
3	იაპონია	47 105.7
4	გერმანია	46 258.8
5	დიდი ბრიტანეთი	46 035.4
	მეზობელი ქვეყნები	
15	რუსეთის ფედერაცია	14 150.9
19	თურქეთი	8 328.4
75	სომხეთი	184.6
80	აზერბაიჯანი	148.7
86	საქართველო	117.6

ცხრლ.3 ქვეყნების რეიტინგი კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული დანახარჯებით

№	ქვეყანა	მშპ-ის %
1	ისრაელი	4.3
2	კორეის რესპ.	4.3
3	იაპონია	3.4
4	ფინეთი	3.2
5	შვედეთი	3.1
	მეზობელი ქვეყნები	
	რუსეთის ფედერაცია	1.1
	თურქეთი	1
	სომხეთი	0.2
	აზერბაიჯანი	0.2
	საქართველო	0.2

ცხრლ.4 ადამიანისული კაპიტალის ინდექსი (HCI 2013)

№	ქვეყანა	ინდექსი
1	შვეიცარია	1.445
2	ფინეთი	1.406
3	სინგაპური	1.232
4	ნიდერლანდი	1.161
5	შვედეთი	1.111
	მეზობელი ქვეყნები	
51	რუსეთის ფედერაცია	0.010
60	თურქეთი	-0.065
64	აზერბაიჯანი	-0.157
73	სომხეთი	-0.218
77	საქართველო	-0.258

ცხრლ.5 ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI 2016)

№	ქვეყანა	ინდექსი (0-1)
1	ნორვეგია	0.949
2	ავსტრალია	0.939
3	შვეიცარია	0.939
4	გერმანია	0.926
5	დანია	0.925
	მეზობელი ქვეყნები	
49	რუსეთის ფედერაცია	0.804
70	საქართველო	0.769
71	თურქეთი	0.767
78	აზერბაიჯანი	0.759
84	სომხეთი	0.743

კვალიფიციურ-რეპროდუქციული უნარის მქონე სამუშაო ძალის ქვეყნიდან ინტენსიური გადინებით. ადამიანისული კაპიტალის 2013 წლის მონაცემებით საქართველო სამსუხაროდ 77 ადგილზეა (-0.258) და ყველა მეზობელს ჩამორჩება (ცხრლ. 4).

2016 წლის მონაცემებით საქართველოში ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი შეადგენს

0.769 (განვითარების მაღალი დონე) და 70 პოზიციაზე ვიმყოფებით, მაშინ როდესაც 2013-2014 წლებში 79 ადგილზე ვიმყოფებოდით 0.744 ინდექსით. აღნიშნული ინდიკატორით რეგიონში საქართველო მხოლოდ რუსეთის ფედერაციას ჩამორჩება (იხ. ცხრლ. 5).

საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში უკვე დიდი ხანია დაინყეს ეკონომიკურ ზრდასა და განათლებას

შორის დამოკიდებულების შესწავლა. „კაპიტალის-ტური განვითარების დინამიური ძალების“ ავტორის, ართურ მედისონის მიერ დადგენილია, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიციების 1%-ით ზრდა ინვესტ მშპ-ის 0.35%-ით ზრდას, ხოლო OECD შეგროვილი ფაქტების ანალიზზე დაყრდნობით ასკვნის, რომ სწავლების საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობის ზრდა 1 წლით, ინვესტ შესაბამისი ქვეყნის მშპ-ის ზრდას 3-6%-ით. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით მთელს მსოფლიოში უმაღლესი განათლება აქვს შრომისუნარიანი მოსახლეობის 32%-ს, თუმცა მეტი წილი ე.წ. „დიპლომიანი ადამიანებისა“ მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. ისინი დამაჯერებლად ლიდერობენ ასევე მშპ-ში განათლების პროცენტული მაჩვენებლით (5.75%) და უმაღლეს განათლებაზე განუვლი ხარჯის მიხედვით (საშუალოდ \$10 655 ერთ სტუდენტზე ერთი წლის განმავლობაში, საქართველოში კი დაახლოებით — 200-300\$-ია)³. აღნიშნული ფაქტების საფუძველზე მართებულია დავასკვნათ, რომ რაც მეტია განათლებული ხალხის სვედრითი წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში, მით მაღალია ეკონომიკური დონე მოცემულ ქვეყნებში. საქართველოში კი განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება როგორც დსთ-ს, ასევე ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების წილი 2014 წლის მონაცემებით მშპ-ის 3.2%-ია (119 პოზიცია), რაც დაბალია მსგავსი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებთან შედარებით. თუმცა, საქართველოს მეზობელი სახელმწიფოებიდან უსწრებს მხოლოდ რუსეთის ფედერაცია (იხ. ცხრლ. 6)

ცხრლ. 6 ქვეყნების რეიტინგი განათლებაზე განუვლი დანახარჯების მიხედვით მშპ-ში⁴

	ქვეყანა	დანახარჯები (მშპ-ის%)
1	ტიმორ ლესტი	14
2	ლესოტო	13
3	კუბა	12.9
4	ბურუნდი	9.2
5	მოლდოვა	9.1
მეზობელი ქვეყნები		
98	რუსეთის ფედერაცია	4.1
119	საქართველო	3.2
120	აზერბაიჯანი	3.2
121	სომხეთი	3.2
132	თურქეთი	2.9

3 ხურცია ლ., ცერცვაძე ვ., ინვესტიცია ინტელექტში — გლობალური გამოწვევა განვითარებადი ქვეყნებისათვის. #2(18), 2008; -[http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=18&rubr=6&mas=615]

4 The World Bank: World Development Indicators 2014

ქვეყნები რომელთა სახელმწიფო დანახარჯები საქართველოსას უტოლდება საშუალოდ 2-ჯერ მეტს ხარჯავენ განათლებაზე. მაგ: ლატვიასა და ესტონეთში, სადაც სახელმწიფო დანახარჯები საქართველოსას უტოლდება (29-31%), განათლებაზე დანახარჯების წილი მშპ-სთან მიმართებაში 5.7%-ია, ხოლო საქართველოში — 3.2%.⁵

აღსანიშნავია, რომ როგორც ინოვაციების გლობალური ინდექსის (GII), ასევე გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) მიხედვით უკანასკნელ წლებში უცვლელად ლიდერობს შვეიცარია. ინოვაციების ინდექსის 2016 წლის მონაცემებით საქართველო 64 პოზიციას იკავებს და რეგიონში უსწრებს მხოლოდ აზერბაიჯანს (85 ადგილი). საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2013-2014 წლებთან შედარებით საქართველოს პოზიცია 10 ერთეულით გაუმჯობესდა, თუმცა ინდექსის მიხედვით აშკარა კლება შეინიშნება (33.86 - ნაცვლად 34.5-ის), რაც მიუთითებს იმ ფაქტზე რომ ჩვენი რეიტინგული წინსვლა მეტწილად განპირობებულია სხვა ქვეყნების პასიურობით აღნიშნული კუთხით (ცხრ. 7).

ცხრლ 7 გლობალური ინოვაციების ინდექსი (GII 2016)

№	ქვეყანა	ინდექსი (0-100)
1	შვეიცარია	66.28
2	შვედეთი	63.57
3	გაერთიანებული სამეფო	61.93
4	აშშ	61.40
5	ფინეთი	59.90
მეზობელი ქვეყნები		
42	თურქეთი	39.03
43	რუსეთის ფედერაცია	38.50
60	სომხეთი	35.14
64	საქართველო	33.86
85	აზერბაიჯანი	29.64

2016 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით საქართველო აშკარად პროგრესირებს — 59 პოზიცია (ინდექსი 4.32), 69-ს ნაცვლად (ინდექსი 4.2) 2013-2014 წ. თუმცა აღნიშნული მაჩვენებლით მეზობელი ქვეყნებიდან უსწრებს მხოლოდ სომხეთს - 79 ადგილი (ცხრლ.8).

2013-2014 წლებში სხვადასხვა ინოვაციური ინ-

5 განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ცხრილ 8 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI 2016)

№	ქვეყანა	ინდექსი (1-7)
1	შვეიცარია	5.81
2	სინგაპური	5.72
3	აშშ	5.70
4	ნიდერლანდი	5.57
5	გერმანია	5.57
	მეზობელი ქვეყნები	
37	აზერბაიჯანი	4.55
43	რუსეთის ფედერაცია	4.51
55	თურქეთი	4.39
59	საქართველო	4.32
79	სომხეთი	4.07

დიკატორების მიხედვით საქართველო შემდეგ პოზიციებს იკავებს: ინოვაციების განხორციელების შესაძლებლობები 118-ე ადგილი; კომპანიების დანახარჯები სამეცნიერო კვლევა დამუშავებებზე 128-ე ადგილი; უახლეს ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა მე-100-ე ადგილი; ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ 117-ე ადგილი.

დასკვნა

დღესდღეობით, საქართველოში ინოვაციების დონე ჯერ კიდევ არაა დამაკმაყოფილებელია და არ შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს. სამენარმეო სფეროში ქვეყანას აქვს ინოვაციურობის დაბალი მაჩვენებელი, დაბალი როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები ინოვაციებზე.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს დამაბრკოლებელ ფაქტორს **დაფინანსებასთან შეზღუდული წვდომა წარმოადგენს**. ამასთანავე აღსანიშნავია **ადამიანი-სეული კაპიტალის დაბალი კონკურენტუნარიანობა** ინოვაციების მიმართულებით — ქვეყანა განიცდის ინოვაციური მენეჯერების ნაკლებობას. არასაკმარისადაა განვითარებული კერძო და ვენჩურული კაპიტალის ბაზრები შესაბამისი საფინანსო ინფრასტრუქტურის და ბიზნესპრაქტიკის არარსებობის გამო, რაც საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევათაგანია.

ჩამოთვლილი პრობლემების მიუხედავად საქართველოს ინოვაციური განვითარების კურსი იმედის მომცემია — დინამიკაში აშკარად შეინიშნება წინსვლა, რაც ინოვაციური განვითარების საერთაშორისო რეიტინგებშიც მეტნაკლებად აისახა. „ინოვაციური

საქართველო 2020“ სტრატეგიით მთავრობამ გამოხატა ნება, რომ ხელი შეუწყოს ქვეყანაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებას.

ჩვენი ქვეყნის ინოვაციური და ტექნოლოგიური დონის ასამაღლებლად შედარებით მოკლე დროში აუცილებელია: თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; ინოვაციებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ინტენსიური მშენებლობა; ინოვაციურ მენეჯმენტში კვალიფიციური კადრების მომზადება; დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გამარტივება და კომერციალიზაციის ხელშეწყობა; სახელმწიფომ ნახალისოს გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და „მწვანე ეკონომიკის“ განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ადამიანური კაპიტალის განვითარების მიხედვით საქართველო ყველა მეზობელს ჩამორჩება“ – [https://bpn.ge/ekonomika/2903-adamianuri-kapitalis-ganvitharebis-mikhedvith-saqarthvelo-yvela-mezobels-chamorcheba.html?lang=ka-GE];
2. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
3. ინოვაციური საქართველო 2020 — საქართველოს ინოვაციების სტრატეგია 2016-2020. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA);
4. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბ., 2006 „სიახლე“;
5. ხურცია ლ., ცერცვაძე ვ., ინვესტიცია ინტელექტში — გლობალური გამოწვევა განვითარებადი ქვეყნებისათვის. #2(18), 2008; -[http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=18&rubr=6&mas=615];
6. ჯოლია გ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, სტუ., თბ., 2015;
7. ჯულაყიძე მ., ადამიანისეული კაპიტალის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე -[http://www.resourcedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=27606];
8. Human Development Report 2016 – UNDP;
9. The Global Innovation Index 2015 – Insead, Wipo;
10. The Global Innovation Index 2016 – Insead, Wipo;
11. The Global Competitiveness Index (GCI) 2016-2017 – World Economic Forum;
12. The Human Capital Report 2013 – World Economic Forum;
13. http://www.sakpatenti.org.ge/ka/page/18/;
14. [http://uis.unesco.org/apps/visualisations/researchand-development-spending/]
15. [www.gita.ge];
16. The World Bank: World Development Indicators 2014

ეკონომიკური ზრდა კეთილდღეობის ზრდის კონტექსტში

ირინე ჭანტურიძე

დოქტორანტი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ECONOMIC GROWTH IN THE CONTEXT OF THE INCREASE IN WELFARE

Irine Chanturidze

PhD student, Department of Economics, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

At the beginning of the XXI century, the world's most important strategy is to reduce poverty and improve the economic situation of all people, ie the most important strategy of all international organizations is to achieve economic growth at a global level.

Economic growth and well-being are especially relevant for Georgia in the modern stage, when Georgia is leading to democratic development and market relations. It is the subject of acute debate between politicians and economists - economic growth is the basis for democratic development.

The goal of the research is to assess the growth of national production in Georgia and to determine its future trends and ways of improvement. The goal of the research is to analyze the data of the economic growth in the past years, to differentiate the activity of different sectors, different regions of Georgia, the causes and problems of certain economic activity in each region. As a result of the research, recommendations for faster development of the economy of the country.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, კეთილდღეობის ზრდა, სიღარიბის შემცირება, მთლიანი ეროვნული შემოსავალი, მთლიანი შიდა პროდუქტი

* * * * *

XXI საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა სიღარიბის შემცირება და ყველა ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ანუ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი სტრატეგია გლობალურ დონეზე ეკონომიკური ზრდის მიღწევაა.

ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად, ეკონომისტები იყენებენ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს "მთლიანი ეროვნულ შემოსავალს" (მეშ), რომელიც შემდეგნაირად განიმარტება: მთლიანი ეროვნული შემოსავალი წარმოადგენს საბაზრო ღირებულებათა ჯამს ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურებისა, რომელიც ინარმოება მოცემული ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დროის განსაზღვრულ პერიოდში (როგორც წესი ერთ წელიწადში).

საქართველოსათვის იგი იოლად შეგვიძლია მივიღოთ მშპ-დან, თუ მას დაეუმატებთ საანგარიშო წელს საქართველოს წმინდა ფაქტორულ შემოსავალს, ანუ საქართველოს მოქალაქეთა მიერ უცხოეთში გამომუშავებული ფაქტორული შემოსავლების ჯამურ ღირებულებას და გამოვაკლებთ ამავე წელს უცხოელთა მიერ მათი კუთვნილი ფაქტორებიდან საქართველოში გამომუშავებული ფაქტორული შემოსავლების ჯამურ ღირებულებას.

განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა საქართველოსათვის დღეს, როცა საქართველო დემოკრატიული განვითარებისა და საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების გზას ადგას, რომლის გარანტიც ეკონომიკური კეთილდღეობა უნდა გახდეს.

მსოფლიო ბანკი ქვეყნების ეკონომიკის კლასიფიცირებას მთლიანი ეროვნული შემოსავლის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (GNI per capital-Atlas Method) ახდენს. ამ ინდიკატორის მიხედვით იგი ქვეყნებს ოთხ ჯგუფად ჰყოფს: დაბალი შემოსავლის (low-income) მქონე ქვეყნები - მეშ-ი ერთ სულ მოსახლეზე 1,035 \$ ან ნაკლები უნდა იყოს: (ბანგლადეში, კამბოჯა, უგანდა, ჰაიტი და ა.შ); დაბალ-საშუალო შემოსავლის (lower-middle-income) მქონე ქვეყნები - 1,036\$ - 4,085\$: (სომხეთი, ინდოეთი, მოლდოვა, მაროკო და ა.შ); ზედა-საშუალო შემოსავლის (upper-middle-income) ქვეყნები - 4,086\$-12,615\$: (აზერბაიჯანი, ბრაზილია, ტაილანდი, ბულგარეთი და ა.შ) და მაღალი შემოსავლის (highincome) მქონე ქვეყნები-12,616\$ და მეტი: (რუსეთი, ავსტრალია, სინგაპური, იტალია და ა.შ). აქედან, დაბალ და დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს განვითარებად ქვეყნებს უწოდებენ.

რაც შეეხება საქართველოს, მსოფლიო ბანკის 2 016 წლის მონაცემების მიხედვით, იგი მეშ-ის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 3.908\$-იანი მაჩვენებლით, სომხეთთან ერთად დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნება.

იმისთვის, რომ საქართველომ დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფიდან უფრო მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფში მოკლე დროში გადაინაცვლოს, ამისთვის მისი მეშ-ის მაღალი რეალური ზრდის ტემპია საჭირო.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხი არის ის, თუ რამდენად ასახავს გაზომილი შედეგი ქვეყნის კეთილდღეობას. ცხოვრების სტანდარტების კარგმა საზომმა უნდა აღრიცხოს ბევრი ფაქტორი, მაგრამ მათი უმეტესობა ძნელი გასაზომია. მეცნიერებმა უამრავი მეთოდი და მიდგომა შეიმუშავეს ეკონომიკური კეთილდღეობისა თუ ზრდის გასაზომად და

შესაფასებლად. მათგან რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ყველაზე ხშირად გამოიყენება ინდიკატორი იყო.

პრაქტიკაში მრავალი სოციალური და ადამიანური განვითარების მაჩვენებელი გამოიყენება (დაბადებიდან სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა (წელი); ბავშვების ხვედრითი წონა, რომლებიც დაიბადნენ არასაკმარისი ფიზიკური წონით (%); სასმელი წყლით უზრუნველყოფა (%); სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურებით უზრუნველყოფა (%); ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (%); და სხვ.

ამ მაჩვენებლებს იყენებს მსოფლიო ბანკი, იუნესკო, გაერო, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია.

ასევე, მეცნიერები მიჯნავენ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ეკონომიკის შესწავლას, რომელიც, თავის თავში მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე ეკონომიკური ზრდაა.

განვითარების ეკონომიკა სხვადასხვა ინდიკატორებით ისეთი გაუმჯობესებების შესწავლაა, როგორცაა განათლების დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა და სიღარიბის დონე. მემ არის ეკონომიკური კეთილდღეობის სპეციფიკური საზომი, რომელიც არ ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა თავისუფალი დრო, გარემოს მდგომარეობა, თავისუფლება ან სოციალური სამართლიანობა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს ეკონომიკური განვითარება.

“ეკონომიკური განვითარება” ან “განვითარება” არის ტერმინი, რომელსაც ხშირად იყენებენ ეკონომისტები, პოლიტიკოსები და მკვლევარები 20 საუკუნის განმავლობაში. კონცეფცია მომდინარეობს დასავლეთის ქვეყნებიდან. ეკონომიკურ განვითარებაზე საუბრისას პარალელური მნიშვნელობით ასევე იყენებენ ტერმინებს “მოდერნიზაცია” და “ინდუსტრიალიზაცია”.

ეკონომიკური განვითარების საგნის ბუნება ასევე იკვლევს საყურადღებო განსხვავებებს ინდუსტრიულ-ეკონომიკურ ზრდასა და საერთაშორისო განვითარებას შორის. იგი ეძებს პასუხებს ისეთ კითხვებზე, მაგალითად როგორცაა: რატომ არის, რომ წმინდა უცხოური ინვესტიციების და შრომის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად მაღალია ზოგ ქვეყანაში სხვებთან შედარებით?

XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკის საგანი გახდა ეკონომიკური ზრდის ნახალისება, რომელიც, რა თქმა უნდა, კუმულაციური ეფექტის მქონე იყო. ამ პოლიტიკის გატარების ეფექტიანობის შესაფასებლად აუცილებელი იყო მისი გაზომვა, ანუ შესაბამისი გაზომვადი სიდიდეების შემოღება. სწორედ ამან განაპირობა ეკონომეტრიკის მნიშვნელობის გაზრდა და ისეთი სფეროების გაფართოება, რომლებიც ქმნიდა გაზომვის შესაძლებლობებს. ინდიკატორები “უმუშევრობის დონე”, “მთლიანი შიდა პროდუქტი” “მთლიანი ეროვნული პროდუქტი”, “მთლიანი ეროვნული შემოსავალი” და “ინფლაციის დონე”,

სწორედ ცვლილებების საზომია ეკონომიკაში.

ეკონომიკაში ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანთა საშუალო ცხოვრების სტანდარტის შესაფასებლად ხშირად გამოიყენება რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე. ეკონომიკური ზრდა ასევე ხშირად განიხილება ცხოვრების სტანდარტის ზრდის კონტექსტში, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს საერთო ეფექტი მშპ-ს ზრდაში, მაგრამ დაბალი ცხოვრების სტანდარტები ჰქონდეს ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობას, რადგან ეს ზრდა მოსახლეობის უმცირესი ნაწილის შემოსავლების გაზრდით წარმოიშვა.

ქვეყნის კეთილდღეობის დონის ობიექტურად შეფასების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია ერთ-ერთი უახლესი და საკმაოდ დახვეწილი მეთოდი, რომელიც ეკუთვნის გაეროს ე.წ. ადამიანის განვითარების ინდექსის ოფისს. ამავე სახელს ატარებს კეთილდღეობის დონის შესატყვისი ინდექსიც: «ადამიანის განვითარების ინდექსი», შემოკლებით **HDI (HDI=Human Development Index)**. გაეროს ჰუმანური განვითარების ინდექსი არის მცდელობა, შეიქმნას კომპოზიციური, ცხოვრების სტანდარტების ამსახველი ინდექსი.

ამრიგად, განვითარების ეკონომიკა სხვადასხვა ინდიკატორებით ისეთი გაუმჯობესებების შესწავლაა, როგორცაა განათლების დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა და სიღარიბის დონე. მემ არის ეკონომიკური კეთილდღეობის სპეციფიკური საზომი, რომელიც არ ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა თავისუფალი დრო, გარემოს მდგომარეობა, თავისუფლება ან სოციალური სამართლიანობა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს ეკონომიკური განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯ. კენსი. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. თბ., 1995.
2. თ. არნანია-კეპულაძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, სასწავლო-მეთოდური კომპლექსი, პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. 2009.-209 გვ.
3. ვ.პაპავა, საქართველოს ეკონომიკა-რეფორმები და ფსევდორეფორმები, თბილისი. გამომცემლობა „ინტელექტი“, 2015, -238 გვ.
4. გ. ადეიშვილი, რ. ასათიანი „ეკონომიკური თეორია“ თბ. 1998
5. რ. ბასარია, ი. მესხია „ეკონომიკური თეორიის საფუძვლები“ თბ., 1996
6. ლ. ჩიქავა. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი თბ.,
7. Deadows D, Randers J, “Limits to Growth” Chelea Green Publishing Company, White River Junction, Vermont, 2004;
8. Economic indicators, Making Sense of Indicators, Sixth Edition, Bloombing Press, Vew York, The Economist ISBN-13; 973-1-57660-240-9

ფინანსური ბაზრის როლი საქართველოს
ეკონომიკურ განვითარებაში

კახაბერ კუპატაძე
სტუ-ს დოქტორანტი,
რევაზ შენგელია
სტუ-ს პროფესორი

THE ROLE OF THE FINANCIAL MARKET IN
GEORGIA'S ECONOMIC DEVELOPMENT

Kakhaber Kupatadze

RESUME

The basis for the development of any society is the continuous repairs process requiring large financial resources that require different enterprises, firms, organizations and companies to expand their activities. Financial resources also need a state. The financial market allows the economy to attract financial resources and capital, increase business assets, investments and liquidity in the economy. In Georgia there are a number of normative acts regulating the issuance and circulation of stocks and securities, but nowadays the purchase and sale of stocks and securities in our country remains a problematic issue. The Georgia's only stock exchange does not functioning properly, the secondary markets is in a stressed situation because new securities are not issued. All these decreases a chance to attract cheap financial resources and boost financial investments. Also the derivatives are used in a very small scale in the country, which decreases the possibility of hedging the financial risks and increases an uncertainty for the economy.

Key words: Financial market; Stock; Bond Security, Stock Exchange, Capital

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ბაზარი; აქცია; ობლიგაცია; ფასიანი ქაღალდი; ბირჟა; კაპიტალი.

* * * *

ფინანსური ბაზარი შეიძლება წარმოვიდგინოთ, ერთი მხრივ, ფასიანი ქაღალდების ბაზრად, ხოლო, მეორე მხრივ, საბანკო სესხების ბაზრად. თავის მხრივ, ფასიანი ქაღალდების ბაზარი მოიცავს აქციების, ობლიგაციებისა და სხვადასხვა ფინანსური დერივატივების ბაზრებს.

ნებისმიერი საზოგადოების განვითარების საფუძველია უწყვეტი კვლავწარმოების პროცესი, რომელიც დიდ ფინანსურ სახსრებს მოითხოვს სხვადასხვა საწარმოების, ფირმების, ორგანიზაციების, კომპანიების საქმიანობის გასაფართოვებლად. თავისუფალი სახსრები სჭირდება, აგრეთვე, სახელმწიფოსაც. სწორედ ამან განაპირობა საფინანსო ბაზრის წარმოშობის აუცილებლობა, სადაც არსებობს, ერთის

მხრივ, ფინანსური სახსრების მომწოდებელი და, მეორეს მხრივ, ამ სახსრების მომხმარებელი. შესაბამისად, ფინანსური ბაზარი ეკონომიკური აქტივობისთვის აუცილებელი ფინანსური სახსრების მოზიდვის საშუალებას იძლევა. დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირება, განაწილება და გადანაწილება, რასაც ფინანსური ბაზარი უზრუნველყოფს, ხელს უწყობს ეკონომიკაში საქმიანი აქტივების, კაპიტალისა და ლიკვიდობის ზრდას, ინვესტირების გაზრდას და მოგების მაქსიმიზაციას [2,3].

საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას გატარდა ეკონომიკის განუყოფელი ელემენტის - ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი. მიღებული იქნა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის მარეგულირებელი რიგი ნორმატიული აქტები, თუმცა დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ჯერ ისევ პრობლემატურ გამოუკვლევ საკითხად რჩება. ქვეყანაში ნორმალურად არ ფუნქციონირებს ფასიანი ქაღალდების არც პირველადი და არც მეორადი ბაზარი.

საქართველოში მეორადი ბაზრის ფორმირება-განვითარება პრობლემების თანხლებით მიმდინარეობს. დაბალია წარმოების ზრდის ტემპი, ეროვნული ეკონომიკა ნაკლებად ემორჩილება საბაზრო ურთიერთობათა კანონზომიერებებს, ფაქტობრივად მოდუნებულ მდგომარეობაშია ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი, ნაკლებია ახალი ემისიები. ყოველივე ამის გამო მცირეა კაპიტალის ბაზარი, რომელიც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნილებებს. ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარების პროცესში აუცილებელია ქვეყანაში განხორციელდეს ახალი ფასიანი ქაღალდების ემისია, რათა ჩამოყალიბდეს ლიკვიდური საფონდო ბაზარი.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებლობა განპირობებულია რამდენიმე მთავარი ფაქტორით. პირველ ფაქტორს მიეკუთვნება არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული სფეროს სრულფასოვან რეგულირებასა და მისი განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობის შექმნას. მეორე ძირითად ფაქტორს კი მიეკუთვნება არასრულფასოვანი საფონდო ბირჟა.

მთელ მსოფლიოში ფინანსური სისტემის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საფონდო ბირ-

ჟა. საფონდო ბირჟა არის ორგანიზებული ბაზარი, რომელიც მისი წევრი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით უზრუნველყოფს სავაჭრო სისტემაში დაშვებულ ფასიან ქალაქებზე ვაჭრობისა და დადებული გარიგებების შესრულების ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას. მოკლედ რომ განვმარტოთ, საფონდო ბირჟა არის ადგილი, სადაც ხდება ფინანსური ინსტრუმენტებითა და აქტივებით ვაჭრობა. ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის ეკონომიკაში საფონდო ბირჟას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს და ხშირ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესაც განსაზღვრავს, თავად საფონდო ბირჟის ინდექსი კი ქვეყნის ეკონომიკის სიჯანსაღისა და ზრდის ტემპის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად ითვლება. ბევრ ქვეყანაში სწორედ გამართული საფონდო ბირჟა გახდა ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარების წინაპირობა.

საქართველოში მოქმედი ერთადერთი ლიცენზირებული საფონდო ბირჟა. სსბ დაფუძნდა 1999 წლის 12 იანვარს წამყვანი საბროკერო კომპანიების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების ინიციატივით. სსბ-ის წესები, პროცედურები და სისტემები შემუშავდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით, წამყვანი ამერიკელი სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე. 2000 წლის 14 იანვარს ფასიანი ქალაქების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელმა ორგანომ განახორციელა სსბ-ის ლიცენზირება და იმავდროულად მიანიჭა მას საქართველოში პირველი თვითრეგულირებადი ორგანიზაციის სტატუსი. 2000 წლის 23 მარტიდან სსბ-ზე მიმდინარეობს რეგულარული საბირჟო ვაჭრობები. 2000 წლის 15 სექტემბერიდან ის არის ევრაზიის საფონდო ფედერაციის (FEAS) წამდგენილი წევრი. 2010 წლიდან სსბ-ზე სავაჭროდ დაშვებული 10 კომპანიის ჯამური საბაზრო კაპიტალიზაციის საფუძველზე იანგარიშება საქართველოს საფონდო ბირჟის ჩGSX ინდექსი. საქართველოს საფონდო ბირჟა არის სააქციო საზოგადოების წესით მონყობილი ორგანო და საქართველოს ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ კანონის მიხედვით აღიარებულია თვითრეგულირებად ორგანიზაციად, რაც იმას ნიშნავს, რომ ბირჟას შემუშავებული აქვს თავისი წესები და შინაგანანწესი, რომლებითაც არეგულირებს ბირჟის წევრ აქციონერთა საქმიანობას [5,4].

საქართველოს საფონდო ბირჟაზე სულ 6 საბროკერო კომპანიაა წარმოდგენილი. ესენი მსხვილი ქართული ბანკების საბროკერო კომპანიები არიან და მათი საქმიანობა ძალზე შეზღუდულია. ბირჟაზე ბოლო მონაცემით სულ 112 კომპანიაა წარმოდგენილი. დღიური ვაჭრობის მოცულობა საშუალოდ 1,5

მილიონ ლარს შეადგენს და 50 გარიგებას მოიცავს. ობლიგაციების ბაზარი კი, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში საერთოდ არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით სახელმწიფოს მიერ ემისირებულ შიდა ობლიგაციებს[5].

ზემოთაღნიშნულიდან კარგად ჩანს, თუ 18 წლიანი ფუნქციონირების შემდეგაც კი როგორ მცირე მაშტაბებს მოიცავს არის წარმოდგენილი საქართველოს ერთადერთი საფონდო ბირჟა. აღნიშნული მაშტაბები ნამდვილად არ იძლება სამომავლოდ ფასიანი ქალაქების სწრაფი განვითარების საფუძველს. ქართული კომპანიების უმეტესობა არც კი განიხილავს საქართველოს საფონდო ბირჟაზე რაიმე სახის საქმიანობის განხორციელებას- უმსხვილეს ქართულ ბანკებსაც კი აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქვთ განთავსებული.

ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარებისთვის აუცილებელია საბროკერო და სადილინგო კომპანიების არსებობა და აქტიურობა. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული საბროკერო კომპანიები ძალზე მცირე მოცულობით საქმიანობენ, ხოლო სადილინგო კომპანიები პრაქტიკულად არც კი არსებობს. ასევე არ ხორციელდება ღონისძიებები, რომ მიმართული იქნება საფონდო ბირჟის უკეთ გასაცნობად საზოგადოებისთვის და სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური ბაზრებიდან დღესდღეობით საქართველოში სრულფასოვნად მხოლოდ საბანკო სესხების ბაზარი ფუნქციონირებს, რაც სახვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტებს დაფინანსების მოპოვების ალტერნატივის გარეშე ტოვებს. დღესდღეობით ქართული კომპანიები ფინანსური რესურსებისა და დამატებითი კაპიტალის მისაღებად იძულებულნი არიან მიმართონ ბანკს ან თავად პიდაპირი მეთოდით ეძებონ ახალი პარტნიორი, რომელიც განახორციელებს კაპიტალდაბანდებას. აღნიშნული სახით კაპიტალის მოძიება დაკავშირებულია დროსთან და რისკებთან, ვინაიდან ახალი პარტნიორი კომპანიის ახალ მენილეს ნიშნავს, რამაც შესაძლოა შეცვალოს კომპანიის მართველობითი სტრუქტურა. საბანკო სესხები კი საქართველოში საკმაოდ მაღალ პროცენტშია რაც ასევე არასახარბიელო პოზიციაში აყენებს მსესხებელს.

ფასიანი ქალაქების ბაზრის სიმცირეს ასევე არაკონკურენტულ პოზიციაში გამოჰყავს ინვესტორი, რომელსაც ფინანსური ინვესტიციის განხორციელება სურს. პრაქტიკულად ფინანსური ინვესტიციის განხორციელების ერთადერთ გზას სწორედ საბანკო ანაბარი წარმოადგენს, რომლის პროცენტი ინფლაციის დონისა და რისკების გათვალისწინებით არცთუ მაღალია.

საქართველოში დღესდღეობით საშუალო საბანკო სესხის პროცენტი დოლარში 8-11%, ლარში კი 13-16% მერყეობს. ანაბრების საპროცენტო განაკვეთი

კი ბევრად დაბალია. შესაბამისად, კომპანიებს შეუძლიათ გამოუშვან ობლიგაციები ან პრივილეგირებული აქციები, რომელიც არ შეამცირებს აქციონერების ხმათა ოდენობას კომპანიაში და რომლის განაკვეთიც ამავდროულად საბანკო ანაბრის განაკვეთზე მაღალი და საბანკო სესხის პროცენტზე დაბალი იქნება. მსგავსი ფასიანი ქაღალდი მომგებიანი იქნება როგორც ინვესტორისთვის, ასევე მსესხებელი კომპანიისთვის [6].

საქართველოში სრულყოფილი ფასიანი ქაღალდების არსებობის შემთხვევაში საბანკო სესხებს გამოუჩნდებოდა კონკურენტი რაც შეამცირებდა საპროცენტო განაკვეთებს, ხოლო კომპანიებს დაფინანსების ახალი წყაროების მოძიების შესაძლებლობას მისცემდა. ასევე, ინვესტორებს საფონდო ბირჟის მეშვეობით შეეძლებოდათ ფინანსური ინვესტიციების განხორციელება. ყოველივე ზემოთაღნიშნული გააიანფერბდა დამატებითი კაპიტალის მოძიებას, გაზრდიდა ლიკვიდობასა და შიდა ინვესტიციების მოცულობას და საბოლოო ჯამში გაზრდიდა კომპანიების ეკონომიკურ აქტივობას.

გარდა აქციების და ობლიგაციების ბაზრისა, საქართველოში ძალზე მცირე მოცულობისაა ორგანიზებული (საბირჟო) და არაორგანიზებული (ბირჟის გარეშე) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ბაზარიც. აღნიშნულ ბაზრებს მიეკუთვნება ფორვარ-

დების, ოფციონების, ფიუჩერების, ვარანტებისა და სვოპების ბაზრები. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების მთავარ ფუნქციას არა ფინანსური წყაროების მოძიება არამედ სავალუტო, ფასთაშორისი და საპროცენტო რისკების ჰეჯირება წარმოადგენს. ზოგიერთი აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება საერთოდ საფონდო ბირჟის გარეშეცაა შესაძლებელი, რაც კიდევ უფრო ამცირებს დანახარჯებსა და დროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **გარდაფხაძე ლ., ილაშვილი გ., ილაშვილი რ.**, ფინანსური ბაზარი და საერთაშორის სავალუტო საკრედირო ურთიერთობები. თბ. 2008.
2. **ბახტაძე ლ.**, ფინანსური ბაზარი. თბ. 2007.
3. **ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე ლ.**, საჯარო ფინანსები. თბ. 2009.
4. https://en.wikipedia.org/wiki/Georgian_Stock_Exchange.
5. <http://gse.ge>.
6. <https://login.bog.ge/ibank/?lang=ge>.

ნეოკეისიანური ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიო პრაქტიკაში

კობა აბლოთია
სტუ დოქტორანტი, ასისტენტი
მაია სოსელია,
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში გადმოცემულია კეისიანური ეკონომიკური პოლიტიკის რეალური ქმედებები და შედეგები აშშ-ში და დანარჩენ მსოფლიოში 30-იანი წლებიდან თანამედროვეობამდე. მოკლედ განხილულია აშშ-ის, იაპონიის, სამხ. კორეის, ევროპული ქვეყნების და სხვა ქვეყნების მაგალითები.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა, კეისიანური, რუზველტიზმი, რეიგანომიკა, სახელმწიფო, ბიუჯეტი, ინვესტიცია, გრადუალიზმი, შოკური თერაპია.

НЕОКЕЙНСИАНСКОЕ ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА В МИРОВОЙ ПРАКТИКЕ

РЕЗЮМЕ: В статье передается реальные действия и результаты кейнсианской экономической политики в США и в остальном мире, с 30-их годов до современности. В кратце обсуждаются примеры США, Японии, Юж. Кореи, ряда Европейских стран и др.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: экономическая политика, кейнсианская, рузвельтизм, реиганомика, государство, бюджет, инвестиция, градуализм, шоковая терапия.

აშშ - ეს ქვეყანა არის კეისიანური ეკონომიკური პოლიტიკის პირველი გამტარებელი, ხოლო პრეზიდენტი რუზველტი - პოლიტიკოსი რომელმაც პირველმა „გაბედა“ ეკონომიკაში ჩარევა. საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მისმა ეკონომიკურმა გუნდმა შეიმუშავა პირველი რეალური ეკონომიკური (მაკროეკონომიკა) სახელმწიფო პროგრამა „ახალი კურსი“, რომელმაც გამოიყვანა ქვეყანა კრიზისიდან. ამ პოლიტიკას მოგვიანებით „რუზველტიზმი“ დაერქვა.

70-იანი წლების კრიზისამდე, არავის არ მოსვლია თავში აზრად, ეჭვი შეეტანა ამ მიდგომაში, თუმცა ესეც მოხდა. ჩაითვალა რომ მონეტარისტებმა გაიმარჯვეს - უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარიზმი არის კეისიანური ანუ სახელმწიფო ჩარევის ერთერთი გამოვლინება. ძალიან საინტერესოა მოგვიანებით 1980 წლის შემოდგომაში მიდგომარეობა, რომელსაც მოგვიანებით რეიგანომიკა დაერქვა. მისი ეკონომიკური პლატფორმა ეფუძნებოდა „ერთობლივი მიზნების“ მომენტს, რომლის მამამთავარი იყო მისი ეკონომიკური მრჩეველი ლეფერი. ამ თეორიის არსი

მდგომარეობა იმაში, რომ უნდა მომხდარიყო ე.წ. განსაშუალოებული გადასახადების დაწევა, რომელსაც უნდა გამოეწვია წარმოების სტიმულირება და დასაქმების ზრდა. რეიგანი ითვლებოდა, როგორც „სუფთა“ კაპიტალიზმის მატარებელი, თავისუფალ ბაზარში, რომელიც ნეოლიბერალურ მონეტარიზმს ეფუძნებოდა. ეს იდეა შემოგდებულ იქნა როგორც ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ მრავანლიანი კეისიანური მიდგომის შემდეგ, თითქოს ძველი განახლებულის დაბრუნება. სინამდვილეში ეს იყო უფრო პოლიტიკური პიარტექნოლოგია, რადგან სახელმწიფოს ჩარევა არსად არ წასულა, გადასახადების დაწევა, ამავე დროს კეისიანური მიდგომის ერთ-ერთი მეთოდია, როგორც ინვესტიციის წყარო, რომელიც ინვესტს წარმოების ზრდას, შესაბამისად დასაქმების ზრდას. როგორც რუსი მეცნიერი დენკინი წერს: ეს იყო ლიბერალიზმის კეისიანური სახე. ცხოვრებამ აჩვენა, რომ მოლოდინები არ ასრულდა. რეიგანმა ნაწილობრივ შეასრულა დანაპირები, სახელმწიფო ხარჯებთან დაკავშირებით - შეამცირა სამოქალაქო ხარჯები, გაზარდა სამხედრო ხარჯები 134 მლრდ-დან 1980 წელს, 300 მლრდ -დე 1989წ. შესაბამისად ვერ იქნებოდა ასრულებული დანაპირები შეემცირებინა საბიუჯეტო ხარჯების ხვედრითი წილი მშპ-ში, პირიქით ის გაიზარდა 20 %-იდან 1979წ 23,5 %-მდე 1983წელს. მონაცემები გვიჩვენებენ: რეიგანის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები, მთლიანად ემთხვევა კეისიანური ანტიკრიზისული პოლიტიკის მოქმედებებს. რეიგანომიკა ფაქტობრივად იყო კეისიანური კურსი. ლიბერალიზმი იყო ჩაფიქრებული, მაგრამ აღსრულებისას გამოვიდა კეისიანური. ეკონომიკური ეფექტი მისი პრეზიდენტობის დროს ვერ მიიღეს, რადგან საჭირო იყო დრო -ეფექტი მას ჰქონდა 10-12 წლის მერე. მიუხედავად ყველაფრისა რეიგანომიკას დღესაც ახსენებენ.

კეისიანურიზმი გაგრძელდა კლინტონის და ბუშის ადმინისტრაციის დროს. (კლინტონმა ბუში-მამისგან განსხვავებით გაზარდა ფედერალური გადასახადები, შეამცირა ფედერალური ხარჯები (შეამცირა აპარატი...)), გაგრძელდა ობამას დროსაც. თუმცა დენკინის აზრით „ყველაფერი სიტყვების თამაშია, ლიბერალური ეკონომიკა სინამდვილეში არეულია ლიბეტასთან (თავისუფლება). ყველაფერს ლიბერალურს წაუმატებენ ხოლმე, ბუნებით არ არსებობს თავისუფალი ეკონომიკა და არც იარსებებს,

ეკონომიკურ პოლიტიკაში სახელმწიფოს ჩარევა ხდება მაქსიმალურად დასაშვებ ნორმებში, თავისუფ-

ფლებს პირობებში, ისე რომ ისინი თანამშრომლობენ და ურთერთინააგმდეგობაში არ მოდიან. იმიტომ, რომ ისინი მონოდებულები არიან ჰარმონიული მოქმედებისათვის ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ხოლო ყველაზე დიდი თეორიული საფუძველი აშშ-ს ეკონომიკური პოლიტიკისა, გამოცდილებიდან გამომდინარე ეს არის პრაგმატიზმი“.

საფრანგეთი

საფრანგეთში კეისიანაზმის მიმდევარი იყო - ფრანსუა პერრე. მისი ინიციატივით შემოღებულ იქნა ე.წ. ინდიკატორული დაგეგმარება, ის ითვალისწინებდა, უფრო სახელმწიფო სექტორის და იმ ფირმების ნახალისებას, სადაც სახელმწიფოს წილი დიდი იყო. საფრანგეთში ე.წ. პროგნოზირება -დაგეგმარებაში სამი ეტაპი განვლო. 1) 1946-60 დირექტიული დაგეგმარება, 2) 1960-იანი წლების შუახნიდან- გადასვლა ინდიკატურ დაგეგმვაზე, რომელიც ითვალისწინებდა როგორც სახელმწიფო ისე კერძო ინტერესებს, 3) 1990-იან წლებიდან- სტრატეგიული დაგეგმარება-გათვალისწინებულია სხვადასხვა პრიორიტეტები და იმის მიხედვით ხდება ნახალისება, სტიმულირება და ა.შ.

საბიუჯეტო და ფულად საკრედიტო ინსტრუმენტები და ინსტიტუციონალური პოლიტიკა მიმართული ეკონომიკური სტრუქტურული გარდაქმნისკენ, ეს მიდგომები გამოიყენება ყველგან დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, იტალიაში... კეისიანური სახელმწიფო მიდგომის თანამედროვე თვალსაჩინო მაგალითია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ჭრილში - ირლანდია და ფინეთი.

80-იანი წლების დასაწყისში ირლანდია არ იყო სამრეწველო განვითარებულ ქვეყანათა რიგში. მშპ ერთ სულზე იყო 60% ევკავშირის საშუალო მაჩვენებლისა, ექსპორტი-10,5 მლრდ \$ (50% მშპ-თი). ინფლაცია -11 %.სახელმწიფოს ქმედითი ჩარევის შედეგად, რომელიც 1987 წლიდან დაიწყო მოხდა -სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირება, ერთდროულად გამოცხადდა სვადასახადო ამნისტია, რომლის შემდეგ გადასახადების აკრეფა გაიზარდა. ეკონომიკური პოლიტიკა 3 მიმართულებით წარიმართა: I ფისკალური სტაბილიზაცია; II ღია ვაჭრობა და ინვესტიციების მოზიდვა ანუ ღია ეკონომიკა და III აქტიური სტრუქტურული ცვლილებები. შედეგად 1990-იანი წლების ბოლოს მივიღეთ: ექსპორტი გაიზარდა 81,2 მლრდ-მდე (70% მშპ) მშპ ერთ სულზე გაიზარდა 90% მლრდ ევროკავშირის მაჩვენებელი, დაინია ინფლაციამ. მშპ საშუალო ზრდის ტემპი -8% იყო ,1993-2000 წლებში მაღალი ტექნოლოგიების სექტორს 1/3 უჭირავს მთელ ექსპორტში.

ფინეთი - ბოლო 40-50 წლის მანძილზე ქვეყანა ძალიან განვითარდა, სახელმწიფოს „მზრუნველობით“ ქვეყანა ახერხებს იყოს მიმზიდველი ინვესტორებისათვის, ადრე ეკონომიკის მთავარი მიმართულება იყო ხე-ტყის მრეწველობა, ბოლო ათწლეულებში, ძალიან განვითარდა მაღალი ტექნოლოგიები - ეს

გამონვეულია იმით, რომ სახელმწიფომ დიდი ფული დააბანდა განათლებაში და მეცნიერებაში. ბოლო 15-20 წლის მანძილზე განათლებაში, მაღალტექნოლოგიურ ნაწილში ინვესტიციების ხვედრითი წილი ფინეთში უფრო მაღალია ვიდრე დანარჩენ ევროპაში. ამასთან უცხოური კაპიტალის წილი, საკმაოდ დაბალია. ფინეთი საკუთარი ტექნოლოგიებით გადის ექსპორტზე, თვითონ კორპორაციები დიდ ფულს დებენ იქ. ხოლო სახელმწიფო კი უზრუნველყოფს მაღალი რანგის ინფრასტრუქტურულ, სოციალურ ეკონომიკურ პირობებს - წარმოებასა და მის განვითარებისთვის საბოლოოდ ფინეთის ეკონომიკა უზრუნველყოფს მოსახლეობის მაღალ კომფორტს.

შვედეთი

მიიჩნევა, რომ შვედეთში სახელმწიფო ჩარევა ყველაზე მეტია ის ამას ბიუჯეტიდან ახორციელებს და საკმაოდ ეფექტიანია. უზრუნველყოფს თითქმის სრულ დასაქმებას და მაღალ მწარმოებლურ გარემოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს საკუთრების წილი მხოლოდ 15%-ია, მაგრამ იქ დასაქმებულია დასაქმებულთა 50%, 85% კერძო სექტორია ,მაგრამ უშვებს 90% პროდუქციას.

შვედეთის მთავრობა ამას ახერხებს, კარგი ეკონომიკური კლიმატის შექმნით და მძლავრი ხარჯებით:

- შვედეთს აქვს სამხედრო-სამრეწველო-კომპლექსი (იარაღის გაყიდვით მე-7 ადგილზეა მსოფლიოში 2010-11წ).
- დიდი ფული იდება ინოვაციურ ეკონომიკაში. 2011 წელს II ადგილზეა მსოფლიოში.
- ვითარდება მაღალი ტექნოლოგიები-მათი ხვედრითი წილი მთელ ექსპორტში 95%-ია.
- შვედეთი ხარჯავს სამეცნიერო-სამრეწველო-კვლევებზე მშპ-ს 3,6 %.
- ლიდერია ბიო მედიცინაში.
- უდეფიციტო ბიუჯეტი აქვს. სტაბილური საფინანსო სისტემა.
- საერთო განაკვეთში დამატებით ღირებულებაზე -25%.
- სამრეწველო გადასახადი 26,3 %.
- ორიენტირებულია ექსპორტზე. მშპ-53% - ექსპორტია. მისი ვალუტა კრონი-სტაბილურია, ის ითვლება ერთ-ერთ სტაბილურ ვალუტად მსოფლიოში.

ღანია

სახელმწიფო ბოლო ათწლეულებში პრიორიტეტს ანიჭებს „ეკონომიკის სუფთა წარმოებას დანაკარგების გარეშე“ - წარმოების ტექნოლოგიებს; წარჩენების უტილიზაციის ტექნოლოგიებს.

ჩვენ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ, თუ როგორ მოქმედებს სახელმწიფო. შევნიშნეთ, რომ მთავარია დივერსიფიკაცია და პრიორიტეტები, სტრუქტურული რეორგანიზაცია.

იგივე ხდებოდა და ხდება იაპონიასა და სამხრეთ

კორეის ეკონომიკაში II მსოფლიო ომიდან მოყოლებული.

იაპონიაში ომის შემდგომ მთავრობის მიზანი იყო ეკონომიკის აღდგენა. მათი პირველი პრიორიტეტი იყო შავი მეტალურგიის აღდგენა-განვითარება, ინვესტიციები ამ მხარეზე იქნა მოზიდული. 1955-წლიდან ინვესტიციების ნაკადი გადაუშვეს მანქანათმშენებლობაში და მოგვიანებით ელექტრონული პროდუქციის წარმოებაში. იაპონიაში სახელმწიფო თანამშრომლობდა ბიზნესთან, იქმნებოდა საკონსულტაციო საბჭოები, სადაც სახელმწიფო წარმომადგენლები და ბიზნესის წარმომადგენლები ერთად იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ასევე იყო სამხრეთ კორეაში. 1997 წელს კრიზისის მერე სახელმწიფომ და დიდმა ბიზნესმა დადეს ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობდა დიდი კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებას.

უფრო ადრე სამხრეთ კორეაში იყენებდნენ ცენტრალიზებულ დაგეგმარებას - 5 წლიანი გეგმების ფარგლებში მითითებული იყო პრიორიტეტული დარგები, რომლებიც უფრო მიმზიდველი უნდა ყოფილიყო უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციებისათვის. ზოგჯერ იმდენად მიმზიდველი იყო, რომ მთავრობა კვობებს ადგენდა უცხოური ინვესტიციებზე (70-იანი წლები) უპირატესობა ერთობლივ პროექტებს ეძლეოდა 50%-50% (დიდ მოზღვავებასი საშიშროებას ხედავდნენ). 1980 წლიდან ეს მოიხსნა

სამხრეთ კორეაში მთავრობა ხელს უწყობდა დიდ და საშუალო ფირმებს გაერთიანებისაკენ, ზოგჯერ აძალბებდა კიდევ- იქმნებოდა ე.წ. „ჩუბლები“. სახელმწიფო „შეღავათებმა“ გააძლიერეს ფირმები და მათი (30 დიდი ფირმა) წილი გადამამუშავებელ ეკონომიკაში 1/3 გახდა. ქვეყანამ არნახულ წარმატებებს მიაღწია, თუმცა მოგვიანებით ეს შეწყვიტეს და უფრო თავისუფალ დინებაზე მიუშვეს ეკონომიკა.

განვითარებადი ქვეყნებიდან ყველაზე საინტერესოა ინდოეთის მაგალითი: დამოუკიდებლობის მიღების მერე (1947წ.) ინდოეთის წინაშე დადგა ამოცანა, როგორ განვითარდნენ? პირველი პრიორიტეტები შემდეგნაირად განისაზღვრა, ანუ ის რაც საფუძველი და აუცილებელია: სოფლის მეურნეობის განვითარება, ენერგეტიკა და ტრანსპორტი ანუ ინფრასტრუქტურა. ეს იყო პირველი ხუთწლიანი 1951-56წ.წ., მეორე ხუთწლიანი 1956-61წ.-მძიმე მრეწველობის განვითარება, 1960-70 წლებში მოხდა სტრატეგიული დარგების ნაციონალიზაცია (ენერგეტიკა, ბანკები, დაზღვევა) -ამან კი გამოიწვია სახელმწიფო სექტორის ზრდა -შესაბამისი გართულებით, რომელმაც 1980-იან წლებში კრიზისი გამოიწვია. 1991 წლიდან დაიწყო საგარეო ვაჭრობის და კაპიტალის ბაზის ლიბერალიზაცია. პრიორიტეტები გახდა ინვესტიციების მოზიდვა ენერგეტიკაში, კავშირგაბმულობაში, ყველა სახის მანქანათმშენებლობაში, ქიმიურ მრეწველობაში, ფარმაცევტიკაში...

სწორედ სახელმწიფოს ხილული ხელით იქნენ კრიზისიდან გამოყვანილი 80-იან 90-იანი წლებში

ლათინური ამერიკის ქვეყნები, მაგალითად არგენტინა, პერუ, ბრაზილია, ჩილე ...

უპირიანი იქნება აქვე მოვიყვანოთ ჩინეთის მაგალითი, რომელიც სულაც არ იყო საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა, მაგრამ ეს კარგი მაგალითია იმისა, რომ ვაჩვენოთ სახელმწიფოს 100% „ჩარევიდან“ ეკონომიკაში, როგორც ხდება მისი „ჩარევის“ შემცირება და როგორ წარმატებებს აღწევს ქვეყანა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითი პირიქით იყო, ჩინეთმაც პირველი რაც გააკეთა დაუშვა კერძო ინიციატივა. მერე დასახა 3 ეტაპიანი პროგრამა: I ეტაპი -1990 წლამდე ეს იყო მოსახლეობის უზრუნველყოფა პროდუქტითა და სხვა პირველადი მოთხოვნის პროდუქტით, ანუ დაგეგმა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას პრიორიტეტული განვითარება, რაც შესრულდა. II ეტაპი (1991-2000) მშპ გაორმაგება-უნდა ჩამოყალიბებულიყო საშუალო ფენა (მშპ გაზარდა 6 ჯერ). III ეტაპი 2050 წლამდე უნდა მოხდეს ჩინეთის გათანაბრება მშპ-მაჩვენებლით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დონეზე.

მოკლედ შევხვით ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გარდამავალ ეკონომიკას, სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ დგება საკითხი, როგორ გადავიდეთ კაპიტალიზმზე.

როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, მაშინ გამოიკვეთ 2 მიდგომა: გრადუალისტური და შოკური თერაპია. ბუნებრივია ყველაფერი უნდა ეტვირთა და გაეკეთებინა ახალ მთავრობებს. შოკური თერაპია ანუ „დიდი დარტყმა“ გულისხმობს უმოკლეს დროში რადიკალური გარდაქმნების რიცხვის მაქსიმიზებას, რომელთა შორის უმთავრესი გამიზნულია უზრუნველყოს ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია და მკაცრი ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. ნომინალური ფულის მსის ან ვალუტის გაცვლითი კურსის დაფიქსირების პირობებში.

გრადუალისტები გამოდიან თანდათანობით, ეტაპობრივი გარდაქმნების მომხრეებად.

შოკური თერაპიის კლასიკური მაგალითია ამჭრილში პოლონეთი და სხვა ევროპული ყოფილი სოციალური ქვეყნები, ბულგარეთი, რუმინეთი ჩეხოსლოვაკია და სხვა, ხოლო გრადუალიზმის მაგალითია უნგრეთი.

კიდევ უფრო მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. იმ ქვეყნებს სუფთა ეკონომიკური პრობლემები ქონდათ, ხოლო ყოფილ სსრკ-ის ქვეყნებს, დამოუკიდებლად არსებობს სინდრომი დავინყებული ჰქონდათ, წარმოიქმნა დიდი ქაოსები, ომები (საქართველო, ტაჯიკეთი, მოლდავა. სომხეთი, აზერბაიჯანი) გარდა ამისა ამ ქვეყნებს საკუთარი ფულიც კი არ ჰქონდათ (გარდა რუსეთისა) ამ ქვეყნებმაც აღნიშნული ომი მიდგომა გამოიყენეს, ძირითადად შოკური თერაპია, ვთქვათ რუსეთში, საქართველოში, უკრაინაში, ხოლო გრადუალიზმის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ-ბელორუსია, უზბეკეთი ან თურქმენეთი.

ერთი სიტყვით, გარდამავალ ეტაპზე სახელმ-

ნივთი აიღო ხელში ყველაფერი, მოხდა ეროვნული ვალუტების შემოღება, პრივატიზაცია მოხდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, მოხდა ფასების განთავისუფლება, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, ინფლაციის მოთოკვა.... კაპიტალისტურ რელსებზე გადასვლას დასჭირდა წლები, პირველი გარდამავალი ეტაპი სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვა ხანგრძლივობის იყო მაგალითად: რუსეთისთვის ეს აითვლება 1991-98წ....

დღევანდელ დღეს შეიძლება ვუნოდოთ პოსტ-გარდამავალი პერიოდი, ყველა ზემოთ აღნიშნული სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკა, თუ ეს ქვეყნები ორიენტირებული არიან დემოკრატიისკენ, რასაც არ უნდა ეძახდნენ, ყველა არის კეინსიანური მიდგომის შედეგი, სახელმწიფო ასრულებს ძირითად როლს, ყველგან და ყველაფერში, მით უმეტეს რომ მიუხედავად პრივატიზაციისა, ამ ქვეყნებში კერძო სექტორი საკმაოდ სუსტია, მათ არ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა სახელმწიფო მქანაზე, პირიქით ისინი ძალიან დამოკიდებულნი არიან მასზე. სახელმწიფო წარმართავს ქვეყნის ეკონომიკას. ისინი არეგულირებენ ინვესტიციების ნაკადებს. არჩევენ პრიორიტეტებს. ყოფილი სოც. ქვეყნებიდან წარმატებულნი არიან პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, ისინი უკვე არიან ევროკავშირის წევრები, ყოფილი სსრკ-დან წარმატებულად, ისიც მეტ-ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ისინიც ევროკავშირის წევრები არიან 2003 წლიდან. დანარჩენი 12 ქვეყნის წარმატება მეტ-ნაკლებია, და პერმანენტული, რასაც ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური, მენტალური თუ სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები აქვს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ.
2. პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა თბ. 2015წ.
3. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკა თბ 2011წ.
4. Автономов В. Истор. Эკ.учений, М.ИНФ
5. Блауг М. Эконом. мысль в ретроспективе М. «Дело ЛТД»- 1994г.
6. Гелбрейт Дж.К. экономические теории и цели общества, М. прогресс 1979г.
7. Денкин А.И. «Кеинсианское лицо либеральной экономики США» 2011г.
8. Кеинс Дж. М. «общая теория занятости, процента и денег». Антология экономической классики, М. Эконов 1993 г.
9. Классика Кеинсианство (Р.Харрод; Э.Хансен) в 2-х. т. М Экономика, 1997г.
10. КондратьевН.Д. Избр. Соч. М. Экономика 1993 г.
11. Леонтьев В.В. Экономическое Эссе, теория исследования, факты и политика М. полит издательство 1990
12. Стиглиц Дж. Ю Альтернативные подходы к макроэкономике: методологические проблемы и некеинсианство Мировая экономика и международные отношения 1997г. №5.6.7.
13. Хаиек Ф.А. Дорога к рабству/перевод с англ. М-1992г.
14. Эклунд Эффективная эк. Шведская модель М.-1991г.
15. Papava V. Georgia's Macroeconomic situation before and after – the rose revolution- #4. 2005
16. Bimple P. Who owned Georgia 2003-12. Tbilisi 2012.

საჯარო სამსახურის სისტემის სრულყოფის მექანიზმები

ლაშა მგელაძე

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ქვეყნის განვითარების, მისი სიძლიერის, სტატია ეხება საჯარო სამსახურის სისტემის მოწყობის თემატიკას. ქვეყნის განვითარების, მისი სიძლიერის, მსოფლიოს ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს სახელმწიფო/საჯარო სამსახური წარმოადგენს. ამიტომ, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს გამართული/ეფექტური სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუციური მოდელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიაში განხილულია, თუ რა გამოწვევების წინაშე იდგა ქვეყნის საჯარო სამსახურის სისტემა დამუკიდებლობის მიღებიდან პირველ ათწლეულში, რა ტიპის რეფორმები გატარდა სისტემის სრულყოფის მიზნით და რა შედეგები მოიტანა გატარებულმა ღონისძიებებმა. ბოლოს წარმოდგენილია ავტორის ხედვა, როგორ პრინციპებზე უნდა იქნას აგებული საჯარო სამსახურის სისტემა, ეფექტური, მოქნილი და კვალიფიციური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისათვის ავტორი გვთავაზობს საჯარო სამსახურის მოწყობის ჰიბრიდულ/მერეულ მოდელს (კარიერული და ღია/საკონტრაქტო სისტემის ნაზავი), რომელიც უფრო მეტად ღირსებაზე დაფუძნებული და ღია საჯარო სამსახურის მოდელის პრინციპებით იქნება გაჯერებული.

საკვანძო სიტყვები: საჯარო სამსახური, რეფორმა, საჯარო სამსახურის მოდელი, საჯარო სამსახურის სრულყოფა, საქართველოს საჯარო სამსახური.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოს ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს სახელმწიფო/საჯარო სექტორი/სამსახური წარმოადგენს. ამიტომ, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს გამართული/ეფექტური სახელმწიფო სამსახურის ინსტიტუციური მოდელი, რომელიც დაეყრდნობა კვალიფიციურ სახელმწიფო მოსამსახურეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: მაინც როგორი საჯარო სამსახური ჭირდება ქვეყანას და რა პრინციპებზე (პოსტულატებზე) დაყრდნობით უნდა იყოს აგებული იგი?

საკითხის განხილვას მივყვით ეტაპობრივად: დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ, პირველ ეტაპზე, მთელი რიგი მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა მეტ-ნაკლებად ეფექტური საჯარო სამსახურის სისტემის ჩამოყალიბება. ქვეყანაში, დასაწყისში, არ არსებობდა სახელმწიფოებრივი მოწყობის და მართვის გამოცდილება. შესაბამისად, ინერციით მოხდა საბჭოური მემკვიდრეობის გადმოღება; ხშირ შემთხვევაში,

კოპირება. სისტემა ხასიათდებოდა არამდგრადობით, არასისტემურობით, კორუფციის ძალიან მაღალი დონით სისტემის ყველა შტოსა და მართვის სხვადასხვა დონეზე; მთელი რიგი ჭარბი და არაეფექტური რეგულირებებით; უწყებებს შორის ფუნქციების დუბლირებით, დაბალი მოტივაცია; დიდი სახელფასო დავალიანებითა და ფინანსური არამდგრადობით; ქვეყნის განვითარების დოკუმენტების სიმრავლით (პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების სიმრავლე და მრავალგვარობა - არ იყო ქვეყნის განვითარების ერთიანი ხედვა, პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები შეიცავდნენ განვითარების სხვადასხვაგვარ მიმართულებებს); ბიუჯეტის ხარჯვის გაუმჭვირვალობითა და თანხების განაწილების არამიზანმიმართულობით; სამსახურში აყვანისა და დათხოვნის პროცესის გაუმჭვირვალობითა და არაეფექტურობით; საჯარო სამსახურებისა და კადრების სიმრავლით. შესაბამისად, საჯარო სამსახურის აპარატის მოუქნელობითა და არაეფექტურობით.

ქვეყანაში საჯარო სამსახურის რეფორმის/დახვეწის კუთხით მასშტაბური და ყოვლისმომცველი რეფორმები 2003 წლიდან დაიწყო. კერძოდ:

- **განხორციელდა ინსტიტუციური ცვლილებები** - რეფორმის ფარგლებში, იმ პერიოდში არსებული 18 სამინისტროს ნაცვლად, ჩამოყალიბდა 13 სამინისტრო. განხორციელდა 18 სახელმწიფო დეპარტამენტის რეორგანიზაცია. ისინი გარდაქმნა საქვეუწყებო დაწესებულებებად და დაექვემდებარა შესაბამის სამინისტროებს. ასევე, განხორციელდა შიდა უწყებრივი კონსოლიდაცია და საქვეუწყებო დაწესებულებათა რაოდენობა 52-დან 34-მდე შემცირდა;

- **საჯარო მოხელეთა რიცხოვნობის ოპტიმიზაცია** - რეფორმების შედეგად, სამინისტროების თანამშრომელთა რაოდენობა (2004-2005 წლებში) 102 571-დან 66 615-მდე (35%-ით) შემცირდა; ხოლო თანამშრომელთა რაოდენობა საქვეუწყებო დაწესებულებებში 23 769-დან 8 237-მდე (65%-ით) შემცირდა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, მოხდა კადრების სრული განახლება. ხელახლა მოხდა საპატრულო პოლიციის, სურსათის უვნებლობის სააგენტოს და სხვა ორგანიზაციების კადრებით დაკომპლექტება;

- **მოტივაციის გაზრდა** - გატარებულმა რეფორმებმა გამოიწვია საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრი ზრდა, ხოლო სტრუქტურულმა ცვლილებებმა განაპირობა საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი ეკონომია. შედეგად, შესაძლებელი გახდა სახელმწიფო მოხელეებისათვის ხელფასის მომატე-

ბა. საჯარო სამსახურში საშუალო ხელფასი (2004-2005 წლებში) 15-ჯერ გაიზარდა. გასტუმრებული იქნა ყველა ძველი სახელფასო დავალიანება;

• **ქვეყნის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების სრულყოფა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის დახვეწა** - შემოღებული იქნა ბიუჯეტის ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის (MTEF) პროცედურა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბიუჯეტო თანხების ხარჯვის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის ამაღლებას.

ამასთან, შემუშავდა მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგიის დოკუმენტი, მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგიის საფუძველზე განხორციელდა სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება.

მთავრობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ინტეგრირებული იქნა ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD). აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ხდება ბიუჯეტის საშუალოვადიანი ხარჯვის პოლიტიკის (MTEF) დაგეგმვა. შესაბამისად, გატარებული რეფორმის შედეგად, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა უშუალო კავშირში მოექცა მთავრობის პრიორიტეტებთან;

• **ანტიკორუფციული ღონისძიებები** - შემუშავდა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სტრატეგიის განხორციელების ახალი სამოქმედო გეგმა. გეგმით განისაზღვრა ყველა ის რეფორმა, ღონისძიება, რომელიც აუცილებელი იყო კორუფციული გარიგებების მაქსიმალურად შესამცირებლად და ამავე დროს, რეალური იყო მათი შესრულება.

ქვეყანამ წარმატებით შეასრულა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოთა ჯგუფთან“ (GRECO) მოლაპარაკებების პირველი რაუნდით განსაზღვრული 21 რეკომენდაცია და გადავიდა მოლაპარაკებების მეორე რაუნდზე. აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, მიმდინარეობს მოლაპარაკებების მე-4 რაუნდი.

ზემოაღნიშნულ რეფორმებთან ერთად, პარალელურ რეჟიმში ქვეყანაში მიმდინარეობდა ფართომასშტაბიანი, რადიკალური რეფორმები სხვა მიმართულებებითაც. ამ პერიოდში განხორციელდა ლიცენზიებისა და ნებართვების, ტექნიკური რეგულირების, საბაჟო და საგადასახადო, ენერგეტიკის სისტემების, განათლების სფეროს, სამეწარმეო სფეროს, საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული, საგზაო პოლიციის და ა. შ. რეფორმები.

განხორციელებულმა რეფორმებმა შედეგი რომ გამოიღო ამაზე, 2003-2007 წლების, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის სტატისტიკაც მეტყველებს. ქვეყნის მშპ 2003 წელს 8.564 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო 2007 წელს უკვე თითქმის ორჯერ იყო გაზრდილი და 16.994 მლნ. ლარს შეადგენდა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის მერე აქტიური რეფორმები საჯარო სამსახურის დახვეწის/გაუმჯობესების კუთხით არ განხორციელებულა.

იმისათვის, რომ ქვეყნის საჯარო სამსახური გახდეს უფრო სრულყოფილი მოქნილი და ეფექტიანი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საჯარო სამსახურის სისტემა აიგოს შემდეგ პრინციპებზე:

1) კერძოსთან მიახლოებული მოტივაციის შექმნა საჯარო სამსახურის მენეჯერებში - მიზანშეწონილად მიგვაჩნია: ეგრეთწოდებულ პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლა; ასევე, მკაფიოდ განისაზღვროს უწყებების ფუნქციები და მენეჯერს მიეცეს კონკრეტული შესასრულებელი სამოქმედო გეგმა და დრო (რა თქმა უნდა, საჭირო რესურსიც);

2) ინსტიტუციური სტრუქტურა - საჯარო სამსახურის ინსტიტუციური სტრუქტურა უნდა გაიყოს პოლიტიკური და აღმასრულებელი ნიშნით;

3) შრომითი ურთიერთობები - შრომითი საქმიანობა საჯარო სამსახურში, ძირითადად, დაფუძნებული უნდა იქნას საკონტრაქტო სისტემაზე. სისტემა გახდება უფრო მოქნილი, ღია და ეფექტური, დივერსიფიცირებული რისკებისა და ამოცანების მიხედვით;

4) **ანაზღაურების სისტემა** - უწყებებს უნდა განესაზღვროთ ამოცანები, გადაეცეთ განსაზღვრული ოდენობის სახელფასო ფონდი, შემდგომ ეტაპზე კი უწყების ხელმძღვანელებს მიეცეთ მაქსიმალური თავისუფლება ამოცანის შესასრულებლად; საჯარო სამსახურში, ბენეფიტები (გარდა პოლიტიკური თანმდებლობის პირებისა) უნდა იყოს „მონეტიზებული“ (ანუ ხელფასის ნაწილს უნდა შეადგენდეს. ფულად ნომინალში უნდა იყოს ასახული);

5) **საჯარო სამსახურში მიღება** - საჯარო სამსახურში მიღება უნდა ხდებოდეს: პირდაპირი დანიშნით ან არჩევით კანონმდებლობის შესაბამისად და კონკურსის საფუძველზე (დიფერენცირება უნდა მოხდეს პოლიტიკური და აღმასრულებელი თანამდებობების მიხედვით);

6) **შეფასების სისტემა** - ატესტაციის სისტემა ჩვენი აზრით არაეფექტურია. არსებობს შეფასების ძირითადად აპრობირებული ორი მოდელი ეგრეთწოდებული „360 გრადუსიანი“ მოდელი (სადაც ყველა ყველას აფასებს, მათ შორის უმაღლესი რანგის მენეჯერებს) და „შეფასება მიზნების (შესასრულებელი სამუშაოს) მიხედვით“. თავადაპირველ ეტაპზე კარგი იქნება, თუ „360 გრადუსიანი“ სისტემა დაინერგება. შემდგომ ეტაპზე, როცა ინსტიტუციური სისტემა გაიმართება, მართებულია „მიზნების მიხედვით“ შეფასების სისტემის დანერგვა.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეფექტური, მოქნილი და კვალიფიციური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია დაინერგოს საჯარო სამსახურის მოწყობის ჰიბრიდული/მერეული მოდელი (კარიერული და ღია/საკონტრაქტო სისტემის ნაზავი), რომელიც უფრო მეტად ღირსებაზე (პროფესიონალიზმზე) დაფუძნებული და ღია საჯარო სამსახურის მოდელის პრინციპებით იქნება გაჯერებული.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. „საჯარო სამსახურის რეფორმის ხედვა, პროექტი განხილვისათვის“, რეფორმების კორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი - 2007წ;

„sajaro samsxuris biuroს 2016 წლის ანგარიში“ <http://csb.gov.ge/uploads/slide/book-22.pdf>;

„საჯარო სამსახურის დაყოფა პოლიტიკურ და აღმასრულებელ ნაწილებად როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბების წინაპირობა (შედარებითი ანალიზი)“ სსიპ. საჯარო სამსახურის ბიურო, 2013 წელი, თბილისი. http://csb.gov.ge/uploads/kvleva_sajaro_samsaxurshi.pdf;

„საჯარო სამსახურის რეფორმების კვლევა აშშ-ში, შვედეთში, ახალ ზელანდიაში, ესტონეთსა და გაერთიანებულ სამეფოში“ სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო, 2011წ. http://www.csb.gov.ge/uploads/RESEARCH_ON_NEW_PUBLIC_MANAGEMENT_09_09_09.pdf;

ლაშა მგელაძე, „საჯარო სამსახურის რეფორმა“, სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „თემიდა“ 2008 წ. №1(3);

ლაშა მგელაძე, მოხსენება - „საქართველოს კორუფციასთან ბრძოლის ინსტიტუციური და სტრატეგიული სტრუქტურის დახასიათება“. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ 2007 წლის 14-15 მაისს ყაზახეთში ორგანიზებული ანტიკორუფციული სემინარი;

ლაშა მგელაძე, „Вызовы Грузии в борьбе с коррупцией“ (რუსულენოვანი სტატია) ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერი“. სტატია ჩაშვებულია და გამოვა 2017 წლის მე-3 კვარტლის ჟურნალში (2017წ. №3).

МЕХАНИЗМЫ УСОВЕРШЕНСТВОВАНИЯ СИСТЕМЫ ГОСУДАРСТВЕННОЙ СЛУЖБЫ

Статья касается тематики устройства государственной службы. Одним из важнейших факторов развития страны, ее силы, формирования в качестве достойного члена мира является государственная/публичная служба. Поэтому необходимо, чтобы в стране существовала налаженная/эффективная институциональная модель государственной службы.

Исходя из вышесказанного, в статье рассмотрено, перед какими вызовами стояла система государственной

службы страны в первое десятилетия после получения независимости, какого типа реформы были проведены с целью усовершенствования системы и какие результаты принесли проведенные мероприятия. В конце представлено видение автора, на каких принципах должна основываться система государственной службы, чтобы была как усовершенствована институциональная модель системы, так и были улучшены механизмы управления. Соответственно, предложена такая система, которая, по мнению автора, лучше обеспечивает развитие страны.

Для формирования эффективной, гибкой и квалифицированной государственной службы автор предлагает гибридную/смешанную модель устройства государственной службы (смесь карьерной и открытой/контрактной системы), которая будет в большей степени основана на достоинстве и принципах модели открытой государственной службы.

CIVIL SERVICE SYSTEM IMPROVEMENT MECHANISMS

The article deals with the topic of civil service system arrangement. The state/public service is one of the key factors in the country's development, its strength, and in developing the dignified membership of the world. Therefore, it is necessary to have an institutional model of proper/effective state service in the country.

Based on the above, the article discusses the challenges faced by the country's public service system in the first decade of its independence, what kind of reforms have been implemented with the purpose of improving the system and what results the undertaken activities have brought. At the end of the article the author's vision is presented - on what principles the public service should be built in order to improve the system as an institutional model as well as the management mechanisms. Consequently, offered is a system, which, in the opinion of the author, is better suited to the development of the country.

For the effective, flexible and qualified public service, the author offers a hybrid/mixed model of public service arrangement (a mixture of career and open/contract system), which will mostly be based on principles of dignity and open public model.

Keywords: Public Service, Reform, Public Service Models, Improvement of Public Service, Public Service of Georgia.

მარიამ თავზარაშვილი
დოქტორანტი

МОДЕЛИ НЕМЕЦКО-ЭСТОНСКОЙ
ЭКОНОМИКИ И ГРУЗИЯ

Мариам Тавзარашвили

Все страны, стремящиеся к экономическому прогрессу, наблюдают за моделями развитых стран и стараются перенять приемлимые для себя модели. Очень важно отношение Грузии к этому вопросу, поскольку за последние годы идет активная работа над различными моделями. Поэтому предпочла рассмотреть экономические модели Германии и Эстонии, те основные факторы, которые способствовали их развитию и затем провести параллели с нашей страной. В тексте хорошо отражается как они пришли к теперешнему уровню своего развития путем спланированных экономических расчетов. Эстонская модель задействована в Грузии с 1 января 2017 года. Что касается немецкой дуальной системы образования, то она пока только в процессе планирования.

Ключевые слова: экономическая модель, система двойного образования, эстонская модель.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური მოდელი, დუალური განათლების სისტემა, ესტონური მოდელი.

* * * *

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკამ განვითარება იწყო მე-20 საუკუნის ბოლოს, როდესაც სოციალისტურმა სისტემამ ნგრევა დაიწყო, რამაც ათეულობით დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნა განაპირობა. ჩვარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოიშვა პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის პრობლემები, რეაგირება და მოგვარება მთავარი ამოცანა გახდა ქვეყნებისათვის. ლამოდენიმე მათგანმა სწრაფად ჩამოაყალიბა გეგმა, როგორ შეძლებდა საკუთარი ქვეყნის კრიზისების მართვას, შემდეგი ფაქტორების დახმარებით: ქვეყნებში უნდა ყოფილიყო თავისუფალი ბაზარი, საკუთრება-კერძო და დაცული, ინფლაცია-დაბალი, ვაჭრობა-განუსაზღვრელი, ეს კი აუცილებელია იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას ფასების ლიბერალიზაცია, მთავრობა არ ჩაერიოს კერძო კომპანიათა მართვაში, შეწყვიტოს მათი სუბსიდირება, უზრუნველჰყოს კონტრაქტების შესრულება, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა, ბიუჯეტის დაბალანსება და სავაჭრო ბარიერების მოხსნა, მთავარი აქცენტები კი გააკეთოს განათლებაზე. რალა თქმა უნდა, ზემოთ ჩა-

მოთვლილი ღონისძიებების რეალიზაცია, პირდაპირ-პროპორციულად გულისხმობს ეკონომიკურ ზრდას მოკლევადიან პერიოდში.

იყვნენ ქვეყნები, რომლებმაც წარმატებით დაგეგმეს და განახორციელეს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები, სრულად თუ არა ნაწილობრივ და მიიღეს დადებითი შედეგი ეკონომიკური თვალსაზრისით, სწორედ ამიტომ, რომ დღეს, ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ცდილობს განვითარდეს აკვირდება უკვე წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებს და ცდილობს იპოვოს მისთვის მისაღები მოდელი, რომელმაც აღიარება მოუტანა ამა თუ იმ სახელმწიფოს. რა საკვირველია არ არსებობს მოდელი, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების სრულყოფილებას ქადაგებს, ვერც ყველა ქვეყანას მოერგება იდენტურად, ამიტომ საჭიროა კვლევა, დაკვირვება, ბევრი ფაქტორის გათვალისწინება. ჩვადავწყვიტე ვისაუბროთ ორი წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნის ისტორიაზე, რომლებმაც დაიწყეს ფაქტიურად ნულიდან და სწრაფი ნაბიჯებით მოახერხეს, მიზნემდე მისვლა. დღეს კი, უკვე მსოფლიოში წამყვან ადგილებს იკავებენ საკუთარი განვითარების დონით. ,საინტერესოა, რა გზა განვლეს მათ?! შესაძლებელია თუ არა მათი მაგალითებით სწავლა, ან თუნდაც გამოცდილების მიღება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ეკონომიკა ფაქტიურად განადგურებულია, 1936 წლიდან 12 წლის განმავლობაში ხალხი ცხოვრობს საფასო კონტროლის პირობებში რაც ინვესს ინფლაცას კოლოსალურად მაღალი მაჩვენებლით. საკვებზე ფასების კონტროლი ქმნის დეფიციტს, ადამიანები ვაჭრობენ ბარტერის წესით, მოჰყავთ პროდუქტები მცირე რაოდენობით, თუმცა არასაკმარისი რესურსი, ქვეყანას შიმშილობისკენ მიაქანებს.

1947 წლიდან ქვეყანაში იწყება რეფორმების გატარება, პირველი რაც მაშინდელმა მთავრობამ გააკეთა, ეს იყო ფულადი რეფორმა, არსებული ვალუტა ჩანაცვლდა უფრო მცირე ლეგალური ვალუტით, კერძოდ გერმანული მარკით. კონტროლირებადი ფასების პირობებშიც კი, ვალუტის შეცვლას შემდეგ ფულის მიმოქცევა მორგებული იქნებოდა პროდუქტის რაოდენობაზე, რაც შეამცირებდა არსებულ დეფიციტს. უზამრავ ადამიანს, რომელსაც შეეხო რეფორმა შეუმცირდა წმინდა აქტივები. საერთო მაშტაბით ფულის მიწოდება 93%-ით შემცირდა. ამ ფაქტს კი მალევე საფასო კონტროლის გაუქმებაც დაერთო.

მაღალი განაკვეთების რეპრესიული ეფექტის გასაქრობად მთავრობამ გადასახადების დიდი ნაწილი გააუქმა, ბიზნესისთვის გადასახადი 65%-დან 50%-

მდე შეამცირა. 1948 წელს საშუალოშემოსავლიანი გერმანელი 85%-იანი საშემოსავლო გადასახადით იბეგრებოდა, 1950 წელს ეს მაჩვენებელი 18%-მდე შემცირდა. რეფორმებმა სწრაფად დააბრუნეს ფულის გადახდის უპირატესი საშუალების ფუნქცია და ადამიანებსაც მუშაობის მოტივაცია გაუჩნდათ. სულ რამოდენიმე თვეში ინდუსტრიული პროდუქცია 50%-ით გაიზარდა. სამრეწველო წარმოების მაჩვენებელი, 1958 წელს უკვე 4-ჯერ აჭარბებდა 1848 წლისას.

ეკონომიკურ წარმატებასთან ასოცირებული ერთ-ერთი ფაქტორი გახდა დუალური განათლება, რაც გულისხმობს პრაქტიკულ და თეორიულ სწავლებას სინთეზში. ეს მოდელი პროფესიულ განათლებას შრომის ბაზართან აახლოებს. ქვეყანაში დაიწყო კადრების მასიური გადამზადება, გამოცხადდა უფასო სასწავლო კურსები და დაახლოებით 10 წელიწადში, თითქმის მოსახლეობის 70% უკვე უმაღლეს განათლება მიღებული იყო.

დღეს გერმანული მოდელი მისაბაძია ბევრი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნისათვის. ამ შემთხვევაში გამოჩნდის არც საქართველოა, ბოლო პერიოდში აქტიურად მიდის მსჯელობა, იმის შესახებ, რომ დუალური განათლება უნდა დაინერგოს ჩვენს ქვეყანაში. უნივერსიტეტები სტუდენტებს შესთავაზებენ არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ განათლებასაც სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურების დახმარებით. ამის შედეგად გვეყოლება ბევრი კონკურენტუნარიანი კადრი საჭირო ცოდნითა და გამოცდილებით, რაც ყველაზე მეტად სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას, რეალურად ეს ძალიან დიდი პრობლემაა, რადგან სტუდენტი, რომელიც ასრულებენ სწავლას და აქვთ უმაღლესი განათლების დიპლომი მხოლოდ თეორიული ცოდნით, უჭირთ პრაქტიკული საქმიანობა. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ორიენტირებულია განვითარებაზე, უდიდეს ყურადღებას აქცევს კადრების სწორად აღზრდას, სწორი განათლების მიცემას. ვფიქრობ, ერუდირებულ თაობას შეუძლია ქვეყანა გამოიყვანოს იმ კრიზისებიდან, რაც ხშირად ხდება შემაფერხებელი ჩვენი ეკონომიკური წინსვლისთვის.

შემდეგი ქვეყანა ესტონეთია, რომელსაც საკმაოდ საინტერესო წარსული აქვს. ეს ქვეყანა საქართველოსთან ისტორიული კავშირითაც გამოირჩევა, ჩვენს მსგავსად ისიც საბჭოთა ქვეყანას წარმოადგენს, თუმცა ერთი განსხვავებით, ესტონეთი უკვე ევროკავშირის წევრი ქვეყანაა. ქვეყანაში კომუნიზმის დასასრულს სრული ქაოსი მოჰყვა, დაცარიელებული დახლებს ემატებოდა ისიც, რომ რუსულ რუბლს ფასი აღარ ჰქონდა და მოსახლეობა შიმშილის ზღვარზე იდგა.

1992 წლისთვის ქვეყანაში სამრეწველო პროდუქციამ 30%-ით იკლო. რეალურმა ხელფასებმა შემცირება დაიწყო და სულ რამოდენიმე თვეში 45%-იანი კლება იყო, მაშინ როდესაც ინფლაცია 1 000%

აღწევდა, საწვავის ფასმა კი 10 000%-ით მოიმატა. რეფორმები გარდაუვალი გახდა და პირველი რაც ესტონეთმა გააკეთა, გერმანიის მსგავსად, ფულადი რეფორმა გაატარა, რაც გულისხმობდა ესტონური კრონის გერმანული მარკით გამყარებას. სატარიფო ბარიერები შეამცირა, საექსპორტო შეზღუდვა გააუქმა, რითიც თავისუფალ ზონად იქცა. მმთავრობა მაქსიმალურად ცდილობდა კონკურენტისათვის ხელშეწყობას, რაზეც მეტყველებს ბევრი ახალი დამოუკიდებელი კომპანია ბაზარზე. ესტონეთმა დაიწყო უცხოური ინვესტიციების მოზიდვაც, რაც თავისთავად ქმნიდა ახალ სამუშაო ადგილებს და მაინც მთავარი გარდამტეხი ესტონეთის ეკონომიკისთვის გადასახადების შემცირება და ახალი ტექნოლოგიური განვითარების პროცესები გახდა.

მთავარი მიზანი იყო, გადასახადები ყოფილიყო მარტივად გასაგები, იაფი და გამჭვირვალე. წრფივი საშემოსავლო გადასახადი, კი საუკეთესო ვარიანტი აღმოჩნდა. 1994 წელს ესტონეთი სრულად გადადის ახალ საგადასახადო სისტემაზე. დამოკიდებულება საოცარი სისწრაფით შეიცვალა, ათასობით მცირე და საშუალო საწარმო, რესტორანი, მაღაზია თუ სასტუმრო გაიხსნა. 1992 წლისათვის ესტონეთის 2 000-მდე სასტუმრო ჰქონდა 1994 წლის ბოლოსთვის ეს რიცხვი 70 000-მდე გაიზარდა. ესტონეთი მუშათა კლასის ქვეყნიდან მენარმეთა ქვეყნად იქცა საკუთარ მომავალზე ზრუნვის სტიმულმა, ესტონელებს მასიური უმუშევრობა აარიდა. დღეს ევროკავშირის ახალ წევრებს შორის ესტონეთს, თითქმის ყველა სტანდარტის მიხედვით, ყველაზე კონკურენტუნარიანი ეკონომიკა აქვს.

2017 წლის 1 იანვრიდან ესტონური მოდელი ძალაში შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა- განვითარების ყველაზე სანდო და პოპულარულ ინდიკატორად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი განიხილება, სწორედ მშპ-ს ტემპის დასაჩქარებლად შემოიღეს ეს სისტემა.

საგადასახადო რეფორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მენარმეები არ გადაიხდიან მოგების გადასახადს, თუ კომპანია მოგების ინვესტირებას ბიზნესში განახორციელებს, არ დახარჯავს ფულს სამენარმეო საქმიანობის მიღმა. გრძელვადიან პერიოდში ეს ყველაფერი ბიზნესის სიძლიერეზე აისახება, რაც თავისთავად ბევრი სამუშაო ადგილის შექმნას შეუწყობს ხელს.

ამ ორი ქვეყნის მაგალითებზე დაყრდნობით, ძალიან ბევრი მსჯელობაა შესაძლებელი, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი, ესაა განათლებაზე და გადასახადების სიმარტივეზე დამყარებული პოლიტიკა, რომელსაც საბოლოო ჯამში მივყავართ ჩვენს სასურველ მიზანთან.

ძალიან ბევრი მაგალითი გვაქვს იმის, თუ როგორ გახდა წარმატებული მცირე დროში ქვეყანა, რომელ-

მაც საკუთარი რესურსი კადრების გადამზადებას, სწავლას მოახმარა, განათლება უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ქვეყნის ეკონომიკისა და თუნდაც სოციალური განვითარებისათვის. განათლების როლზე საქართველოს, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასებაში ძალიან საინტერესო ინფორმაციას იძლევა კონკურენტუნარიანობის ინდექსი. ამ ინდექსის თანახმად, საქართველო განათლებისადმი ძირითადი მოთხოვნებით, მე-13-ე ადგილზეა, თუმცა ინოვაციისა და განვითარების ფაქტორით 120-ე ადგილზე. ეს კვლევა ცხადჰყოფს, რომ საქართველო ვერ ეწევა მსოფლიოს განვითარებას და, მცირდება მისი კონკურენტუნარიანობა ამ კუთხით. დღეს განათლების დაფინანსების წილი მშპ-ში 3,2%-ია, საერთაშორისო გამოცდილება კი აჩვენებს, რომ განვითარებული ქვეყნები, რომლებიც ორიენტირებული არიან განათლების მაღალი ხარისხის მოპოვებაზე, მშპ-ს მინიმუმ 4% ხარჯავენ. ამიტომ ვფიქრობდროულია ის გერმანული მოდელი რაც ეტაპობრივად დაინერგება ქვეყანაში.

ასევე მნიშვნელოვანია გადასახადები, რომელიც მორგებული უნდა იყოს თითოეულ მოქალაქეზე, საშუალო თუ მცირე ბიზნესზე. გადასახადების სიმარტივე ეხმარება მწარმოებელს, შექმნას და გააფართოვოს საკუთარი ბიზნესი და დაასაქმოს ბევრი მოქალაქე თავისთან. საქართველოში ბიზნესის დანყება ძალიან მარტივია, რასაც მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში, მონინავე პოზიციები უკავია ბოლო წლებში, ჯერძო საკუთრების დარეგ-

ისტრიების სიმარტივით საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა და მხოლოდ შაუდის არაბეთს ჩამორჩება. ბიზნესის დანყებისთვის პროცედურა ჩვენთან 3 დღეს იკავებს, როდესაც იგივე პროცედურას შეერთებულ შტატებში 7 დღე, ხოლო რუსეთში 30 სჭირდება, თუმცა ამის მიუხედავად ეკონომიკური ზრდა არც თუ ისე სწრაფია, ამიტომ ახალი ესტონური მოდელი ხელს შეუწყობს, ერთის მხრივ, რეინვესტირების განხორციელებას და მეორეს მხრივ, თავად საწარმოო პროცესის მდგრადობას რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ეკონომიკურ ზრდასთან. ვფიქრობ ორივე მოდელი, რომელიც მიესადაგა ჩვენს ქვეყანას, მოკლევადიან პერიოდში მოგვცემს დადებით შედეგს ჩვენი კეთილდღეობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://forbes.ge/news/1875/estonuri-modelis-detale-bi-da-misi-gavlana-ekonomikur-zrdaze>
2. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.12&d=HASH01a734a661ee-b01aece45d23.5>
3. http://bakurasgermany.blogspot.com/p/blog-page_150.html
4. <http://www.econlib.org/library/Enc/GermanEconomicMiracle.html>

ტერიტორიული წარმონაქმნების ბიუჯეტები, საქართველოს გამოწვლილება

ნატო ქათამაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-3 კურსის
(საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი, სპეციალობა, ეკონომიკა) დოქტორანტი

ABSTRACT

The article discusses topical issues of state territorial formations, municipalities and budgets in Georgia. In the introductory part the general decentralization topic is described. Problems related to the separation of functions and competences between the central, local and self-government levels and the budget of territorial formations. The practice and experience existing in Georgia from the nearest history to nowadays is discussed. The article analyzes the importance of fiscal decentralization, and its necessity for the purpose of effective integration into the world community is substantiated. The relevant recommendations are proposed as a conclusion.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სახელმწიფოს ტერიტორიული წარმონაქმნების, მუნიციპალიტეტების, ბიუჯეტების აქტუალური საკითხები საქართველოს მაგალითზე. შესავალ ნაწილში აღწერილია ზოგადად დეცენტრალიზაციის თემატიკა. ხელისუფლების ცენტრალურ, ადგილობრივ და თვითმმართველობის დონეებს შორის ფუნქციებისა და კომპეტენციების გამიჯვნის და ტერიტორიული წარმონაქმნების ბიუჯეტის პრობლემური საკითხები. განხილულია საქართველოში უახლოესი ისტორიიდან დღემდე არსებული პრაქტიკა და გამოცდილება. სტატიაში გაანალიზებულია ფისკალური დეცენტრალიზაციის მნიშვნელობა, დასაბუთებულია მისი აუცილებლობა მსოფლიო თანამეგობრობაში ეფექტიანი ინტეგრაციის მიზნებიდან გამომდინარე. დასკვნის სახით შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: დეცენტრალიზაცია, ფისკალური, ბიუჯეტი, ეკონომიკა, რეგიონალური, ხარჯების კლასიფიკაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, საბიუჯეტო სისტემა.

შესავალი

ნებისმიერი სახელმწიფოსათვის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომლის განხორციელების დროსაც აუცილებელია ადეკვატურად იქნეს აღქმული ქვეყნის წინაშე მდგომი რეალური სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები ყველა დონეზე და განხორციელდეს ობიექტური ღონისძიებები, მათი სრულყოფილად გადანაცვებისათვის. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში შეინიშნება ეკონომიკური და სოციალური პროცესების უპირატესი რეგიონალიზაცია, იცვლება ტერიტორიული ერთეულების სამეურნეო ფუნქციები, განვითარების კრიტერიუმები, მიზნები, მათი ადგილი რესურსების განაწილების სისტემაში, ძლიერდება რესურსების მობილურობა.

საბიუჯეტო ურთიერთობათა მონესრიგება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნებში, სადაც თანდათანობით მკვიდრდება საბაზრო ურთიერთობები. ასეთ ქვეყნებში ცენტრისა და რეგიონის საბიუჯეტო ურთიერთობების სრულყოფილებას მთლიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებთან ერთად როგორც წესი, განსაზღვრავს მოქმედი საგადასახადო სისტემის მოქნილობა და ეფექტიანობა, რომლის უმთავრესი ინდიკატორიც არის საბიუჯეტო შემოსავლების განაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის. ეს საკითხი საქართველოშიც მწვავე დისკუსიის საგანია წლების მანძილზე.

საქართველოში არსებული ზოგადი ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა მთლიანობაში ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიუჯეტების შევსებას იმ ოდენობის ფინანსური რესურსებით, რაც საშუალებას მისცემს რეგიონებს წარმატებით გადაჭრან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. არსებული რეალობა გვიჩვენებს, რომ საბიუჯეტო ურთიერთობებში ადგილობრივი ინტერესების გაუთვალისწინებლობა იწვევს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლების გეგმის არასრულყოფილად შესრულებას და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებას, ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად ფინანსური რესურსების უკმარისობას და აქედან გამომდინარე, ხარჯების დაფინანსებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების განხორციელებას.

საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ახალ ეკონომიკურ პირობებთან ადაპტაციის პროცესი, რომელიც, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებას, ასევე ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს რთული პრობლემების წინაშე აყენებს. ეს პრობლემები კიდევ უფრო მწვავედება ეკონომიკის დაბალი განვითარების ტემპების, მზარდი უმუშევრობის, მიმდევარ სოციალური ფონის და რაც მთავარია, ქვეყნის სტაბილური წინსვლისთვის აუცილებელი ფინანსური პოტენციალის სიმწირის პირობებში.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს არ გააჩნია თვითმმართველობის არსებობის დიდი ტრადიცია, ის მხოლოდ ჩანასახის ფორმით არსებობდა 1918-1921 და 1991-1994 წლებში. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამედროვე სახით ჩამოყალიბებამდე საქართველოში მრავალი რეფორმა განხორციელდა. საქართველოს უახლეს

ისტორიაში თანამედროვე სახით თვითმმართველობის ინსტიტუტმა ფუნქციონირება დაიწყო 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ თუმცა მასში უამრავი ცვლილება განხორციელდა და ამჟამადაც აქტიურად მიმდინარეობს ცვლილებების პროცესი.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე საბიუჯეტო ურთიერთობების სრულყოფის პრობლემა არ შეიძლება დამდგარიყო, რადგან ფინანსების მართვა მთლიანად ხორციელდებოდა ცენტრიდან, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტები ცენტრალური ბიუჯეტის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდნენ. პრობლემა წარმოიშვა რეგიონული ბიუჯეტების დამოუკიდებელ რგოლად გამოყოფის შემდეგ, როდესაც აუცილებელი გახდა ადგილობრივი ბიუჯეტების უზრუნველყოფა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსებით.

პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მიღებული იქნა 1993 წლის 30 მარტის კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“, რომელმაც საბიუჯეტო სისტემაში ცენტრალიზმის პრინციპი გააუქმა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრა ცენტრალური ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შედგენის განხილვის, დამტკიცებისა და საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები. ამ კანონის მთავარი ხარვეზი იყო უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენა, რაც თავისთავად იმას მოწმობდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული ჩვეული მიდგომები საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობაში და ვერ ხდებოდა საბაზრო მოთხოვნების სრულფასოვნად გათავისება. ასევე არ იყო გათვალისწინებული ხარჯების კლასიფიკაციის ოპტიმალობა, კონტროლის ხასიათი და ამ საქმიანობაში პასუხისმგებელ მუშაკთა სამართლებრივი ვალდებულებები. ეს ნაკლოვანებები აისახებოდა საბიუჯეტო რეგულირებაზეც, რომელიც, როგორც წესი, ხორციელდებოდა სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო შემოსავლის წყაროების განაწილებით. სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილების განსაზღვრული წესის თანახმად ცენტრალურ ბიუჯეტში თითქმის მთლიანად ირიცხებოდა გადასახადები, რომლებზეც მოდიოდა შემოსავლების სოლიდური ნაწილი (დღგ, აქციზი, საბაჟო) და არასაგადასახადო შემოსავლების „ეფექტიანი“ სახეები, ასევე ადვილად აკუმულირებადი გადასახდელები (მოსაკრებლები ნებართვების, ლიცენზიების გაცემიდან და სხვა სახელმწიფო მომსახურების განვიდან). რეგიონების ბიუჯეტებისათვის განსაზღვრული იყო შედარებით ძნელად ამოსაღები და ნაკლებშემოსავლიანი გადასახადების სახეები. ასეთი ვითარების შედეგად მართვის ადგილობრივი ორგანოები არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდნენ. 2011-2014 წლების საბიუჯეტო განაცხადში წინა წლებისგან განსხვავებით ასახვა ჰპოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულმა ახალმა საბიუჯეტო კლასიფიკ-

აციამ, რომელშიც მოხდა გადასახდელების დეტალიზაცია აღრიცხვის გაუმჯობესების სრულყოფისა გამჭვირვალობის მიზნით.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს საბიუჯეტო პროცესში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, რის შედეგადაც დაიწყო ბიუჯეტების დანერგვა MTEF -ის პრინციპების მიხედვით, საბიუჯეტო კლასიფიკაცია გადავიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის GFS-2001 კლასიფიკაციაზე, შემუშავდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, რომელმაც ერთიან სისტემაში მოაქცია და გაამარტივა ქვეყნის საბიუჯეტო პროცესი. რეფორმის შედეგად ასევე გაუმჯობესდა საბიუჯეტო სახსრების აღრიცხვა და ანგარიშგება. დაიწყო სახელმწიფო სექტორში აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) და ინტეგრირებული სახელ-მწიფო ფინანსური საინფორმაციო სისტემის (PFMS) დანერგვის მიმართულებით.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს ათასზე მეტი ადგილობრივი მმართველობის ორგანო, რომელთა დამოუკიდებლობის ხარისხი თვითმმართველობის ეფექტიანად განხორციელების თვალსაზრისით, საკმაოდ დაბალია. მათი საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, „საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მრავალფეროვანი სამართლებრივი ჩარჩოების არსებობის პირობებში, საკმაოდ რთულია საბიუჯეტო უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობათა დიფერენციაცია მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის. სადაო საკითხები უმრავლეს შემთხვევაში წყდება ადმინისტრაციული მითითებებით, რაც ზღუდავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფისკალურ დამოუკიდებლობას, დაბრკოლებებს უქმნის მათ საკუთარი ფუნქციების შესრულებაში და ამცირებს შესაძლებლობებს სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში სახელმწიფო ფუნქციების ზრდის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცენტრალიზებული მართვის მეთოდები არაეფექტიანია და საჯარო ფინანსების ახალი ინსტრუმენტებით შეცვლას მოითხოვს. ცენტრალიზაციამ ნეგატიურად იმოქმედა მიკროეკონომიკურ პარამეტრებზე და ადგილობრივი თვითმმართველობების სტიმულზე, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებელი და ეფექტიანი პოლიტიკის გასატარებლად. თანამედროვე პირობებში საბიუჯეტო სისტემების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემას თითქმის ყოველთვის განიხილავენ ფისკალური დეცენტრალიზაციის ჩრილში, ეს პრობლემა განსაკუთრებით სიმწვავეთ იჩენს თავს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რამდენადაც მათში ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებული პროცესები ფაქ-

ტობრივად ერთდროულად მიმდინარეობს.

საქართველოში მართალია 2013 წელს მიღებული ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ დეცენტრალიზაციით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა უმწვავეს პრობლემად კვლავ რჩება ტერიტორიული ერთეულების მიზნებისა და საერთო სახელმწიფო-ბრივი ინტერესების გათვალისწინება, შეთანხმება ჰარმონიზაცია

როგორც ვიცით დეცენტრალიზაცია, თავისი შინაარსით არის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ, ადგილობრივ და თვითმმართველობის დონეებს შორის ფუნქციებისა და კომპეტენციების გამიჯვნა საბიუჯეტო და ქონებრივი დამოკიდებულების პრინციპების ჩამოყალიბება, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პროცესის, სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების სტრუქტურების თანამშრომლობის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს დეცენტრალიზაციის ერთიანი უნივერსალური მეთოდი, ვინაიდან დეცენტრალიზაცია არის ურთიერთდამოკიდებულების სისტემა სახელმწიფოსა და ადგილობრივ ტერიტორიულ ორგანოებს შორის, ხოლო ყველა ქვეყანას თვითმმართველობის ჩამოყალიბების განვითარების საკუთარი ისტორია, ტრადიციები და სპეციფიკა აქვს.

დეცენტრალიზაცია შეიძლება დავყოთ 4 ძირითად შემადგენელ ნაწილად

1. პოლიტიკური კომპონენტი
2. ადმინისტრაციული კომპონენტი
3. ფისკალური კომპონენტი
4. ეკონომიკური კომპონენტი

მართალია ოთხივე კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია და წარმოუდგენელია რომელიმე ერთის სრულფასოვანი არსებობა დანარჩენი სამის გარეშე მაგრამ დეცენტრალიზაციის ფისკალური ელემენტი მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი სირთულის გამო .ამასთან საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს დეცენტრალიზაციის პროცესში ყველაზე ხშირად შეცდომების დაშვება სწორედ ფისკალური საკითხების მოწყობისას ხდება.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი რგოლია და იცავს საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის, ყოვლისმომცველობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, დამოუკიდებლობის და უნივერსალურობის პრინციპებს, ამიტომ გატარებული რეფორმების მიუხედავად საქართველოს საბიუჯეტო პროცესი შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას კვლავ საჭიროებს.

დასკვნა

სტატიაზე მუშაობის პერიოდში შესწავლილი მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ რომ საქართველოში მოქმედი თვითმმართველობის კოდექსის ამჟამინდელი მოდელი მიუხედავად იმისა რომ რამოდენიმე ცვლილება და შესწორება განხორციელ-

და ფისკალური დეცენტრალიზაციის კუთხით მაინც დახვეწას საჭიროებს.

საერთაშორისო გამოცდილებით, ქვეყნის სიძლიერე ძლიერი ქალაქი, ძლიერი რაიონი და ძლიერი სოფელია. ამისათვის კი პირველ რიგში საჭიროა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც გამიჯნავს ერთმანეთისგან ცენტრალურ და რეგიონალურ უფლებებს, მოახდენს ცენტრის მინიმალურ ჩარევას ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის საკითხებს, ანუ მოახდენს როგორც მართვის, ისე ფინანსურ და ქონებრივ დეცენტრალიზაციას. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში შეინიშნება ეკონომიკური და სოციალური პროცესების უპირატესი რეგიონალიზაცია, იცვლება ტერიტორიული ერთეულების სამეურნეო ფუნქციები, განვითარების კრიტერიუმები, მიზნები, მათი ადგილი რესურსების განაწილების სისტემაში, ძლიერდება რესურსების მობილურობა, ამიტომ მთავარი მიზანი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის სწრაფი რეფორმა. მიზანშეწონილია საქართველოშიც გადაიხედოს ურთიერთობები რეგიონებთან მიმართებაში. ტერიტორიული საწყისის გაძლიერების მიზნით აუცილებელია ეკონომიკის რეგულირების საბიუჯეტო მეთოდების გაფართოება. ამ მიმართულებით, ჩვენს ქვეყანაში უნდა განხორციელდეს საგადასახადო საბიუჯეტო ურთიერთობების რეგლამენტირება, რაც პირველ რიგში ადგილობრივი ბიუჯეტების როლის ამაღლებაში უნდა გამოიხატოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ვანიშვილი, ი. ბადაგაძე - „მუნიციპალური საბიუჯეტო სისტემა და ფინანსური მენეჯმენტი“
2. ნ. ხადური - „საბიუჯეტო ფედერალიზმი და დეცენტრალიზაცია. რესპუბლიკური სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „გამჭვირვალე ადგილობრივი ბიუჯეტი“ შრომათა კრებული.
3. ი. მესხია. - “რეგიონული საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემების თანამედროვე პრობლემები”.
4. გამსახურდია გ. ჩხაიძე ი. საბიუჯეტო ფედერალიზმის როლი ცენტრსა და რეგიონებს შორის ბიუჯეტმორისი ურთიერთობების მოწესრიგებაში. ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს—ინჟინერინგი“.
5. გიგა გველესიანი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სადისერტაციო ნაშრომი „ფისკალური დეცენტრალიზაციის პრობლემები პოსკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე). 2009 წ.
6. ბორის ჭიჭინაძე - აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2014 წლის სადისერტაციო ნაშრომი.
7. ირაკლი ჩხაიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში 2013 წელს დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

საინოვაციო-საინვესტიციო საქმიანობის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში

შორენა მჟავანაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიურ-ინოვაციური პროცესები ცხადყოფს, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა პირდაპირპროპორციულ კავშირშია ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკის განვითარებასთან. გლობალური ეკონომიკის უახლესი ტენდენციები და მზარდი მოთხოვნები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელს ხდის ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას.

მნიშვნელოვანია მსოფლიოში ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნების გაკეთება. ცნობილ კორპორაციათა უმეტესობამ სწორედ ინოვაციურ პროგრამებში დაბანდებული ინვესტიციებით მიაღწიეს განვითარების უდიდეს მასშტაბებს და თავიანთი სიძლიერე ინოვაციებში რადიკალური ინვესტიციების საფუძველზე მოიპოვეს. ამის ნათელი მაგალითია: იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, აშშ-ს და სხვა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების წარმატებული კომპანიები, ამიტომ ინოვაციების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ინვესტიციურმა კომპონენტმა.

იქიდან გამომდინარე, რომ ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის საქართველოს არ გააჩნია საკმარისი შიდა ფინანსური რესურსი, ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. თუმცა ინვესტიციების მოძიებისას მნიშვნელოვანია ინვესტორთა ლუსტრირება, ვინაიდან უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამორჩილების ეფექტურ იარაღს წარმოადგენს, რითაც თავისთავად იზრდება ეკონომიკური უსაფრთხოების რისკი.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური პოლიტიკა, ინვესტიცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ადგილობრივი შიდა ინვესტიციები, საინვესტიციო და საინოვაციო გარემო (კლიმატი), ეკონომიკური ზრდა.

THE ROLE OF INNOVATIVE-INVESTMENT ACTIVITY IN SOCIAL-ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY

Shorena Mzhavanadze
Georgian Technical University PHD student

SUMMARY

Social economic and innovative technological process show, that any country economic competitiveness is proportionally related to developing innovative economy. Newest tendencies and increasing demands of the global economy makes essential to increase innovations for economic growth of our country.

It is important to make logical conclusions based on examples of developing countries. Most famous corporations who reached the top and broad scope of the development did that by investing in innovations and achieved the strength with radical innovative investment. The examples are companies from Japan, Germany, USA and developed countries; that is why important part in structure of the innovations became investment component.

Given Georgia's scarce financial resources for innovations, international investments are very important to us. However, while searching for investment, investors must be lustrated. Foreign investment is the important weapon of economic and political conquest, and thus increases risk of economic safety.

Keywords: Innovation, innovation policy, Investment, Economic safety, foreign direct investment, Local Investments, Investment and innovation environment (climate), Economic Growth.

ძირითადი ტექსტი

ოცდამეერთე საუკუნემ ნათლად დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანწილად სწორედ ინოვაციური სფეროს განვითარებაში მიღწეული დონე და დინამიზმი ქმნის ეკონომიკური ზრდის მყარ ბაზას, ვინაიდან ინოვაციები ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ძალაა. არცერთ ქვეყანას არ შეუძლია მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ინოვაციების გარეშე.

ქვეყნისთვის ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას, რადგან მისი წარმატებით განხორციელება განაპირობებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემების ფართო სპექტრის გადაწყვეტას, და

რაც მთავარია, ის ქმედითი საშუალებაა, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს ბაზრის შევსება საკუთარი წარმოების სხვადასხვა სახის კონკურენტუნარიანი პროდუქციით.

ასაქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის და ევროინტეგრაციისათვის უმნიშვნელოვანესია საინოვაციო სისტემის განვითარების უზარმაზარი, რაც დასტურდება სხვა ქვეყნების გამოცდილებით. ევროპაში ეკონომიკური ზრდა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და რეგიონის ჩამორჩენის აღმოფხვრა, ძირითადად საინოვაციო პოლიტიკის გატარებითაა უზრუნველყოფილი.

თანამედროვე მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური და მაღალი ტექნოლოგიური განვითარების ფონზე საქართველოს ჩამორჩენა საინოვაციო კუთხით მკვეთრად იკვეთება, ვინაიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ძალიან სწრაფად ხდება ინოვაციების შემოღება-დანერგვა, რასაც ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს, რადგან ქვეყანაში არ არსებობს საინოვაციო კლიმატი.

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის 19 თებერვალს საქართველოში შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო, დღეისათვის საქართველოში ინოვაციური კლიმატი მაინც არასახარბიელოა. ფაქტიურად არ არსებობს ერთიანი ინოვაციური სახელმწიფო პოლიტიკა, სუსტია ინოვაციური ინფრასტრუქტურა, შეზღუდულია ინოვაციის ბაზარი და ამ პროცესების მართვის ნორმალური ეკონომიკური სტიმულირების საშუალება.

საქართველოში ინოვაციური პოლიტიკის გატარება შეუძლებელია ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციური ცენტრების, ლაბორატორიებისა და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის გარეშე.

ტექნოლოგიების საუკუნედ წოდებულ თანამედროვე დროში და დაჩქარებული გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს (მდგრადობას) ეფექტური ინოვაციური პოლიტიკის გატარება განაპირობებს, რაც თავის მხრივ მოიაზრებს ინოვაციური საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემების არსებობას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციების გარეშე არ არსებობს ხანგრძლივი და მძლავრი აღმავლობა. ინოვაცია და კრეატიულობა აუცილებელი პირობაა ქვეყნის მდგრადი ზრდისა და განვითარებისათვის. ინოვაციური პროექტების დაგეგმვა და ინოვაციის დანერგვა კი თავის მხრივ დაკავშირებულია დიდ ინვესტიციებთან, ამიტომ ინოვაციურ პროცესებში მარკეტინგთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ინვესტიციურმა კომპონენტმა. სათანადო მოცულობით ინვესტიციების გამოყოფის გარეშე ყოველგვარი ინოვაციური იდეა რაოდენ შთამბეჭდავიც არ უნდა იყოს იგი, განუხორციელებელ ოცნებად დარჩება.

ინოვაციებში ჩადებული ინვესტიციის ძირითადი მახასიათებელი რისკისა და შემოსავლის შეფარდება

ხდება. რისკი ერთმნიშვნელოვნად მაღალია. რაც შეეხება შემოსავლიანობას, ინოვაციის დანერგვას შეუძლია დიდი მოგების მოტანა, მაგრამ სანყის ეტაპზე საჭიროა დიდი ინვესტიციები, ხოლო მოგების მიღება შეიძლება დროში გაინელოს. სწორედ ამიტომ ინოვაციურ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვა გართულებულია დაბანდებათა გრძელვადიანი ხასიათისა და პირველ ეტაპზე უკუგების არარსებობის გამო, აგრეთვე იმის რისკით, რომ ეს ინვესტიციები შეიძლება საერთოდ უშედეგო აღმოჩნდეს. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ინვესტიციები ინოვაციებში უაღრესად აქტუალური პრობლემაა, ამიტომაც ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაში უმეტესად სახელმწიფო უნდა ასრულებდეს მთავარ როლს. იგი თავად უნდა გვევლინებოდეს უმსხვილეს ინვესტორად ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა ხდებოდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე პრიორიტეტული სფეროების დაფინანსება. მაგ: განათლება, თავდაცვა, ენერჯეტიკა, მედიცინა, ეკოლოგია და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანია საკუთარი წარმოების აღორძინება, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის ეს შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. სამწუხაროდ ამჟამად საქართველოსაც არ აქვს იმის ფუფუნება, რომ უცხოური კაპიტალის გარეშე უზრუნველყოს ეკონომიკის წინსვლა, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას. ინვესტიციები ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარებას. ნაახალისებს როგორც ახალ ისე კრიზისში მყოფ საწარმოებს, უზრუნველყოფს ქვეყნის ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვას.

ეკონომიკის საბაზრო სისტემის, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნის განვითარების სასურველი პარამეტრების უზრუნველყოფის, არსებული ეროვნული, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების საქმეში ინვესტიციებს, რაციონალურ საინვესტიციო გარემოს და შესაბამისად ინვესტიციურ აქტიურობას არსებითი როლის შესრულება შეუძლია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასოცირდება არა მარტო ფინანსური კაპიტალის შემოდინებასთან, არამედ განიხილება, როგორც ინსტრუმენტი, რომელსაც მიმღებ ქვეყანაში შემოაქვს ცოდნა, მართვის თანამედროვე პრაქტიკა, ხარისხის მახასიათებლები, ბრენდი, პროდუქციის მარკეტინგის საერთაშორისო არხები და ა.შ. რაც შესაბამისად, ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის გლობალური წარმოების ქსელში ინტეგრაციას, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეფექტიანობის ამაღლებას, ეკონომიკურ ზრდას. ეს ყველაფერი კი ნელ-ნელა თავის დადებით ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დამოუკი-

დებელი საქართველოს ისტორიაში თითქმის ყველა მთავრობის მთავარი სამოქმედო გეგმის მიხედვით ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება, თუმცა დღემდე ვერ მოხერხდა სახელმწიფოს მიერ მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და შესაბამისად ქვეყნისთვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვა.

როგორც აღვნიშნეთ, უცხოური ინვესტიციები უაღრესად დადებით ზეგავლენას ახდენენ რეციფიენტი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა ინვესტირებისას უარყოფით შედეგებსაც ექნება ადგილი, მაგრამ მთავარია იგი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის ინსტრუმენტების სისტემის დახმარებით შევამციროთ და მაქსიმალურად გავზარდოთ პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე ეკონომიკური უსაფრთხოების რისკის დონის გაზრდის გარეშე.

ასევე აუცილებელია ქვეყანამ დაიცვას ის აუცილებელი ზღვარი, რომელიც გადის უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხაზზე. საერთოდ ცნობილი ფაქტია, რომ უცხოელი ინვესტორი კაპიტალს არ დააბანდებს ისეთ ქვეყანაში, სადაც შიდა ინვესტიციური პრაქტიკა მოშლილია. გამომდინარე აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ინვესტიციური კრიზისის დაძლევის კატალიზატორად შეიძლება მივიჩნიოთ შიდა საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება, გამოცოცხლება.

საინვესტიციო გარემო ხელსაყრელი უნდა იყოს არამარტო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, არამედ, შიდა კერძო ინვესტიციებისათვისაც. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ორივე მხარის უფლებების დაცვა და ორივე მათგანისთვის საუკეთესო ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა. სახელმწიფომ უნდა შეძლოს უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებს შორის იმ ბალანსის შენარჩუნება, რაც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის. მას კი განაპირობებს სწორად შექმნილი და მუდმივად კონტროლირებადი საინვესტიციო გარემო, რომელიც ადაპტირებული უნდა იყოს როგორც ქვეყნის პოტენციალთან, ასევე გარე ფაქტორებთან.

საქართველოში არსებული საინვესტიციო რესურსების შეზღუდულობის პირობებში აუცილებელია ინვესტირების მიმართულებების ოპტიმალური შერჩევა. პრიორიტეტული მიმართილების შერჩევა კი სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მხარეა. რასაკვირველია პრიორიტეტი იმ დარგებში უნდა მიიღონ, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ და იმ სანარმოებშიც, რომლებსაც ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აუცილებელია ინვესტირება ინოვაციებში, ვინაიდან სწორი ინოვაციური პოლიტიკა თანამედროვე ბიზნესის წარმატების საწინდარია.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გა-

მომდინარე შეიძლება შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ თემის აქტუალურობა გამომდინარეობს საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური ვითარებიდან. კერძოდ, საქართველო დღესდღეობით არის თითქმის კრიზისულ სიტუაციაში, ამიტომ საჭიროა სწრაფი და მოქნილი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება ინვესტიციების მოსაზიდად, განსაკუთრებით ინოვაციურ საქმიანობაში, რადგან სხვა ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეკონომიკური კრიზისის დროს სწორედ ის სანარმოები აღწევენ წარმატებას, სადაც ინოვაციური საქმიანობა და ახალი პროდუქტის დანერგვა მართვის უწყვეტ პროცესს წარმოადგენს. დღესდღეობით საქართველოში შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, კომპანიათა უმრავლესობა ძირითად ფინანსურ რესურსებს მიმართავს წარმოების მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად და ნაკლებად აქვს შესაძლებლობა, რომ გამოიყენოს ისინი ინოვაციური პროექტების განხორციელებისათვის, ქართული კომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს სიახლე შესთავაზოს მომხმარებლებს, დახვეწოს და გააუმჯობესოს არსებული პროდუქცია. მართალია, მაღალი ტექნოლოგიები, ინოვაციები, ტექნოლოგიური სტარტაპები და ა.შ. საქართველოს დღევანდელი რეალობისთვის არც ისე ორგანულია, მაგრამ მაშინ, როდესაც გლობალიზაცია ასე ყოველსმომცველი ხდება, საჭიროა დღესვე გადავდგათ ნაბიჯები მიმზიდველი საინვესტიციო-საინოვაციო საქმიანობის გააქტიურებისთვის, ვინაიდან ინვესტიციების დაბალი დონე, ინვესტიციურ-ინოვაციური პროცესების რეგიონული რეგულირების არ არსებობა შეიძლება მივაკუთვნოთ რეგიონის ეკონომიკის უსაფრთხოების განვითარების მაღალი ხარისხის ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბესიკ ალადაშვილი - ეკონომიკური უსაფრთხოება (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა), (თბილისი 2011 წ);
2. ა. აბრალავა-ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები (თბილისი- 2014წ).
3. რევაზ შენგელია, ჟუჟუნა ნიკლაური, ნათია შენგელია - ინვესტიციები და მათი როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში (თბილისი- 2013 წ);
4. ლეო ჩიქავა — ინოვაციური ეკონომიკა (თბილისი-2006 წ);
5. ჟურნალი “ეკონომიკა”- 2016 წ - №5-6 (გვ. 16-28), №7-8 (გვ. 205-215);
6. ჟურნალი “ბიზნეს-ინჟინირინგი”- 2016 წ -№4 (გვ. 91-95);
7. <http://www.economy.ge>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების უსივალეობის დადებითი გავლენა ეკონომიკაზე

ნინო ანანიაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

შესავალი

საქართველო ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი დასაქმების პრობლემაა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს 3.720.400¹ ადამიანს, საიდანაც დასაქმებულია 1.779.900² პირი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქმედუნარიან ადამიანთა დასაქმება და მათი სამუშაო ძალად აღიარება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის მარტის აღრიცხვის მიხედვით 118.651 (ქვეყნის მოსახლეობის 3%) შეზღუდული შესაძლებლობის პირია რეგისტრირებული, რომელიც იღებს სოციალურ დახმარებას.

მსოფლიოში ერთი კონკრეტული განმარტება არ არსებობს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“-ს ტერმინის, თუმცა მოიაზრება ადამიანი, რომელსაც გააჩნია ფიზიკური ან მენტალური პრობლემა, იქნება ეს გარეგანი დეფექტი, რომელიც გადაადგილებაში უშლის ხელს თუ გონებრივი განვითარების შეფერხება. ასეთი პრობლემა შეიძლება იყოს შექმნილი, თანდაყოლილი ან გამოწვეული ასაკის მატებით.

შინაარსი³

საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სურვილი, რომ იყვნენ დასაქმებულნი, თუმცა ბარიერად ბევრი ფაქტორი გვევლინება, როგორცაა გარემოს არამზაობა, კერძოდ — საზოგადოების ნაკლებჩართულობა, სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი ხელშეწყობა და კერძო და საჯარო სექტორების დაბალი ინტერესი.

შშმ პირის დასაქმება საზოგადოების და სახელმწიფოს მორალური და სოციალური ვალდებულებაა, საჭიროა, კეთილი ნება მოდიოდეს დამსაქმებლის მხრიდანაც, რომელიც დაინახავს სპეციალური საჭიროების მქონე პირის დასაქმებით მიღებულ „სარგებელს“. არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ შშმ პირის დასაქმება „გადაახალისებს“ სამუშაო გარემოს მრავალფეროვნებით, ინვესტაციის ამალგებას თანამშრომლებში ორი მიმართულებით - „თუ მას შეუძლია, მეც შემიძლია“; „რადგან მოვიპოვე სამუშაო, ესე იგი შემიძლება მეტი“, ისინი არიან

სტაბილური თანამშრომლები და მათი დასაქმება ამცირებს სამუშაო დღის გაცდენებს, რადგან რთულად მოპოვებული ადგილის დაკარგვა ყველაზე ნაკლებსასურველია დასაქმებული შშმ პირისთვის, არიან განსაკუთრებით მონდომებული თანამშრომლები, რომ დაარღვიონ სტიგმა, რომელიც მათ მთელი ცხოვრება თან სდევთ; და ბოლოს - კომპანიის იმიჯი, რომელიც საგრძნობლად დადებითად იზრდება შშმ პირების დასაქმებით.

გარდა იმისა, რომ შშმ პირის დასაქმება მნიშვნელოვანია თავად ამ ადამიანისთვის, ასევე სახელმწიფოს ეკონომიკაზეც დადებით გავლენას მოახდენს მონყვლად ჯგუფში უმუშევრობის შემცირება, რადგან შემოსავლის მქონე ადამიანი გადაიხდის გადასახადებს, იქნება დამოუკიდებელი, წვლილს შეიტანს წარმოებაში და თავად ექნება სრული პასუხისმგებლობა საკუთარ ცხოვრებაზე ფინანსური კუთხით, ანუ „ტვირთად აღარ აწევს“ სახელმწიფოს.

ქართულ რეალობაში შშმ პირების დასაქმების ეკონომიკური ეფექტიანობის ნათელი მაგალითია ზესტაფონში „საქართველოს უსინათლოთა კავშირი“-ს⁴ მიერ დაარსებული პოლიეთილენის მწარმოებელი საწარმო, სადაც დასაქმებულნი იყვნენ უსინათლო თანამშრომლები რაიონული მასშტაბით. მწარმო გააძაჭრებით ასრულებდა გეგმასდა 1980-იანი წლების დასაწყისში შრომის ნაყოფიერება 29%-ით გაიზარდა და მოგება 3-ჯერმეტი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად დაიხურა ეს საწარმოც. ამავე ორგანიზაციამ საკუთარი სახსრებით ააგო და გადასცა სახელმწიფოს რესპუბლიკური თვალის სნეულებათა კლინიკა, მცირემხედველ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატი და სხვა დაწესებულებები.

ბრიტანეთში არსებობს სპეციალური კომპანია „Remploy“, რომელმაც შექმნა 100.000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შშმ პირთათვის, ააშენა სპეციალური ქარხნები (1946 წელს გახსნა პირველი ქარხანა ვილსში და შემდგომ უკვე 83 ქარხანა მთელი ბრიტანეთის მასშტაბით), სადაც ეს ხალხი დასაქმდა და ბოლო ათწლეულის მანძილზე დააარსა დასაქმების სერვისები, რის შედეგადაც 10.000-ზე მეტი შშმ პირი ოფისის თანამშრომელია.

1 საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის 2016 წლის მონაცემი

2 საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის 2015 წლის მონაცემი

3 საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, 2009

4 „საქართველოს უსინათლოთა კავშირი“ - ჰტტპ://გბუ.გე/

დასკვნა

იმისთვის, რომ უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის გზები მოვიპოვოთ, აუცილებელია გადმოვცეთ ერთიანი სურათი და გამოვკვეთოთ პრიორიტეტები; ვითანამშრომლოთ საქართველოს ეროვნული სტატისტიკის, სახალხო დამცველის აპარატის და სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენლებთან სანდო ციფრული მონაცემებისთვის; ვითანამშრომლოთ სახელმწიფოსთან, გავეცნოთ დაგეგმილ პროგრამებს შშმ პირების დასაქმების კუთხით, განვიხილოთ განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების წარმატებული მაგალითები; შევიმუშაოთ რეკომენდაციები, ჩამოვაყალიბოთ სტრატეგიები და გამოვკვეთოთ ყველაზე შესაფერისი სახელმწიფოსთვის.

ქართული რეალობისთვის შესაფერისია ქვოტირების სისტემა, როგორც ბიზნესისთვის დამაინტერესებელი შეთავაზება, რომლის შედეგადაც სახელმწიფოც, დამსაქმებელიც და დასაქმებულიც მოგებაშია ურთიერთთანამშრომლობით. თუმცა, იმისთვის, რომ შემუშავებული რეკომენდაცია შევთავაზოთ სახელმწიფოს, საჭიროა დეტალურად განვიხილოთ მისი შესაძლო დანერგვა, რისკები, დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ამის მაგალითია ავსტრალია, სადაც ყველა ორგანიზაცია ვალდებულია ყოველ 25 დასაქმებულ არაშშმ პირზე დაასაქმოს ერთი შშმ ქმედუნარიანი ადამიანი. ქმედუნარიან შშმ ადამიანის არდასაქმების შემთხვევა შიჯარიმის სახით გადაიხდის 238 ევროს, დასაქმების შემთხვევაში თითოეულ შშმ პირზე კომპანიას სახელმწიფოსგან იღებს იგივე რაოდენობის თანხას.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. David Braddock, Lynn Bachelder. (1994). The Glass Ceiling and Persons With Disabilities. Chicago: U.S. Department of Labor.
2. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები: შეხედულებები და პერსპექტივები“ — საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი (IPS), თბილისი, 2009
3. „შშმ პირთა უფლებების ადვოკატირება“, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2013
4. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები - საზოგადოების განუყოფელი და პატივსაცემი ნაწილი“, თამარ ზაალიშვილი, 2014
5. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა“, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, თბილისი, 2015
6. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების პერსპექტივები: კვლევის შედეგები და რეკომენდაციები“, ნანა სუმბაძე, თბილისი, 2015
7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია დოკუმენტის ნომერი: 14/25 მიმღები: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი
8. საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ დოკუმენტის ნომერი: 756 მიმღები: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი
9. საქართველოს შრომის კოდექსი მიმღები: საქართველოს პარლამენტი
10. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური:
http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo
http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo
11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკა
<https://www.disabled-world.com/disability/statistics/>

THE ISSUES OF GUARANTEES OF INVESTMENT
ACTIVITIES AND LIMITATIONS

Ia Kolbaia
GTU Doctoral student

SUMMARY

From the viewpoint of stimulation foreign investments in the Georgian economy, provision of clear guarantees for foreign investors represents one of important issues, which implies protection of rights and interests of foreign investors. Protection of investors against possible expropriation and nationalization of property can be considered as the key component of the system of state guarantees to them.

On the basis of the analysis of the international experience and the Georgian legal base, the system of state guarantees and limitations for foreign investors can be considered, one the one hand, as the factor stimulating foreign investments, and on the other – as the mechanism for creation of a solid mechanism of the country’s economic security. It should be fairly pointed out that, in spite of the legislation corresponding to the international requirements, attraction of the sufficient amount of foreign investments in Georgia does not take place. This problem, first of all, is related to formation of a favorable investment climate in the country.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო საქმიანობა, უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო გარემო, უცხოელი ინვესტორი, საინვესტიციო დავა, სახელმწიფო გარანტია, საინვესტიციო ხელშეკრულებები.

keywords: Investment Activities, Foreign Investments, Investment Environment, Foreign Investor, Investment Dispute, State Guarantee, Investment Contracts.

* * * * *

წარმატებული საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირების თვალსაზრისით, ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს უცხოელი ინვესტორების უფლებებისა და ინტერესების დაცვა. ზოგადადა ღიარებულია, რომ მიმდებმა ქვეყანამ უნდა შექმნას მიმზიდველი, მოქნილი საინვესტიციო გარემო და საქმიანობის განხორციელების ხელსაყრელი პირობები. ჩვენს ქვეყანაშიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს უცხოელ ინვესტორთათვის გარკვეული გარანტიების უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული გარანტიები, როგორც წესი, ასახულია რეციპიენტი ქვეყნის ნორმატიულ აქტებში.

პრაქტიკაში განასხვავებენ სახელმწიფო გარანტიების შემდეგ ფორმებს:

- უცხოელ ინვესტორთათვის არადისკრიმი-

ნაციული, როგორც წესი, ეროვნული რეჟიმის უზრუნველყოფა;

- უცხოელი ინვესტორთა დაცვა შესაძლო ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციისაგან;
- მოგებისა და სხვა შემოსავლების შეუფერხებელი გადაგზავნის შესაძლებლობა საზღვარგარეთ;
- უცხოელი ინვესტორისათვის გარანტიების უზრუნველყოფა, მოქმედი კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ინვესტორს;
- საინვესტიციო პროექტში უცხოელი ინვესტორის მონაწილეობის შემთხვევაში დავის განხილვის წესის განსაზღვრა.

ეროვნული რეჟიმის მოქმედება გულისხმობს უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის მოქმედების თანაბარი პირობების უზრუნველყოფას. იგი წარმოადგენს ინვესტიციების რეგულირების საფუძველს მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში.

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, "საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა," (მაგალითად, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ან არჩევნების შემთხვევაში).

საგულისხმოა, რომ საქართველოში პირველი კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ მიღებულ იქნა 1991 წლის 25 ივლისს. აღსანიშნავია, რომ ამ კანონმა ვერ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში, რაც ძირითადად, ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და მძიმე კრიმინოგენულმა მდგომარეობამ განაპირობა. საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იყო 1995 წლის 30 ივნისის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი "უცხოური ინვესტიციების შესახებ". აღნიშნულმა კანონმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახელმწიფო ფინანსური რესურსების ზრდას.

ზემოაღნიშნულ კანონში განსაზღვრული იყო საქართველოში უცხოური ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივი რეჟიმი დაგარანტიები. კანონის მიზანი იყო მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონთა და სხვა კანონებთან ერთად შეექმნა უცხოური კაპიტალის მოზიდვის, დაბანდებისა და კაპიტალბრუნვისათვის ხელსაყრელი პირობები.

კანონის თანახმად უცხოელი ინვესტორები შეიძლება ყოფილიყვნენ:

- უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები;
- საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეო-

ბის არმქონე პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოს საზღვრებს გარეთ;

- უცხოური სახელმწიფოები, ინვესტირების განმახორციელებელ ორგანოთა სახით;
- საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ნებისმიერი სანარმოები, იურიდიული პირები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საქართველოს საზღვრებს გარეთ;
- საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ის სანარმოები, იურიდიული პირები და სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ ან აკონტროლებენ ზემოთ ჩამოთვლილი პირები (პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობად და გაკონტროლებად ითვლება უცხოელი ინვესტორის ან ინვესტორების მიერ ნებისმიერი გადანაცვების მიღებისათვის საჭირო ხმათა პაკეტის ფლობა);

- სამეურნეო საქმიანობის სხვა უცხო სუბიექტები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს როგორც ასეთებს.

აღნიშნულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ინვესტირებაშიძღვება განეხორციელებინათ მატერიალური და ინტელექტუალური ფასეულობების ნებისმიერი სახით, რომლებიც ჩადებული იქნებოდა სამეწარმეო და ყველა სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში (გარდა კანონით აკრძალული საქმიანობისა და ობიექტებისა, როგორებიცაა — თავდაცვა, უშიშროება, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების დამზადება და რეალიზაცია და სხვა) მოგების მიღების მიზნით ან სოციალური ეფექტის მისაღწევად.

საქართველოში უცხოურ ინვესტიციათა განხორციელება რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებების განსაზღვრული წესით, ხოლო მათ შორის წინააღმდეგობის წარმოქმნის შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული დებულებები.

1995 წლის 30 ივნისის კანონმა თავისი დანიშნულება შეასრულა. მან ხელი შეუწყო უცხოეთიდან საქართველოში ინვესტიციების შემოდინებას. 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", რომელიც დღემდე ძალაშია და მან ყველა წინა, მასთან წინააღმდეგობაში მყოფი კანონი და კანონქვემდებარე აქტი ძალადაკარგულად ჩათვალია. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ამ კანონის პროგრესულობა მანამდე მოქმედ კანონთან შედარებით. კერძოდ, უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები ერთნაირ პირობებში ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას. დღესდღეისობით, მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედი საინვესტიციო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შეღავათებს უცხოელი ინვესტორების მიმართ, ადგილობრივი ინვესტორები კი უპირატესობებით სარგებლობენდა პირიქით, არიან

ქვეყნები სადაც უცხოელ ინვესტორებს გარკვეული შეღავათები ენიჭებათ, ვიდრე ადგილობრივებს.

უუცხოელი ინვესტორების სახელმწიფო გარანტიის სისტემის ცენტრალურ კომპონენტად შეიძლება ჩაითვალოს მათი დაცვა ქონების შესაძლო ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციისაგან. აღნიშნული ნორმა, როგორც წესი, ასახულია ეროვნულ კონსტიტუციებში, ან უცხოური ინვესტიციების შესახებ სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში.

საგულისხმოა, რომ აშშ-ს კონსტიტუციის მე-5 შესწორების თანახმად, რომელიც 1791 წლის დეკემბერშია რატიფიცირებული, დაშვებულია საკუთრების ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების მესაკუთრის თანხმობის გარეშე. ე. ი. აღიარებულია ექსპროპრიაციის უფლება. ამასთან, ფედერალური ხელისუფლებების უფლებები ამ თვალსაზრისით, ერთობმზღუდულია. "არავის შეიძლება ჩამოერთვას სახელმწიფოებრივი სარგებლობისათვის კერძო საკუთრება, სათანადო კომპენსაციის გარეშე".¹ ამასთან, აღსანიშნავია, რომ აშშ-ს კანონმდებლობა ზედმინევენით განსაზღვრავს ქონების ჩამორთმევის პროცედურას.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“ აღნიშნული საკონსტიტუციო ნორმა ვრცელდება როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

ცალკეულ ქვეყნებში უცხოელ ინვესტორთა უფლებების მკაცრი დაცვა, პოლიტიკურ ზომებთან შედარებით, შეიძლება მივიჩნიოთ უსაფრთხოების უფრო მეტ გარანტიად. უცხოელ ინვესტორს შეუძლია თავისი უფლებები დაიცვას მიმღები ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად. ზემოაღნიშნული გარანტიების გარდა, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს:

- კრედიტორების უფლებების დაცვა, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ფირმის რეორგანიზაცია, თუ ფირმა არ იხდის პროცენტს ან არ ასრულებს სხვა ნაკისრ ვალდებულებებს;
- აქციონერთა უფლებების დაცვა კომპანიის საქმიანობის ძირითად საკითხებზე კენჭისყრის დროს, აგრეთვე, დირექტორთა საბჭოს წევრების არჩევისას;
- ყველა ინვესტორის უფლების დაცვა კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოთხოვნისას. ამგვარი კანონზომიერება განპირობებულია იმით, რომ, მაგალითად, თუ კრედიტორი არ ფლობს ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის თაობაზე, იგი ვერ გაიგებს დარღვეულია თუ არა მისი უფლებები.

სხვადასხვა ქვეყანაში ინვესტორთა სამართლე-

1 აშშ-ს კონსტიტუცია – "კომპრომისის ხელოვნება", სამეცნიერო რედაქტორი მ. უგრეხელიძე, გამომც. "ჯი-სი-ი", 19976.

ბირივი დაცვის ფორმები განსხვავდებიან მოქმედი სამართლებრივი სისტემის შესაბამისად. ერთნაირი სამართლის მქონე ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, აფრიკის ბევრი სახელმწიფო, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია) ინვესტორების უფლებები დაცულია შედარებით მკაცრად, ვიდრე საფრანგეთში, ესპანეთში და მათ ყოფილ კოლონიებში, რომლებიც სამოქალაქო სამართლის ფრანგულ სისტემაში ერთიანდებიან. შუალედური მდგომარეობა უკავია ორ განსხვავებულ ჯგუფს — სამოქალაქო სამართლის გერმანულ სისტემას (გერმანია, ქვეყნები რომლებიც შედიან რომანულ-გერმანულ ენობრივ ჯგუფში, აღმოსავლეთ აზიის ცალკეული ქვეყნები) და სკანდინავიური სამოქალაქო სამართლის სისტემას. ამასთან, არსებობს განსხვავება ამ სისტემებს შორისაც. კერძოდ, გერმანულ ჯგუფში შედარებით მკაცრადაა დაცული კრედიტორთა უფლებები აქციონერთა უფლებებთან შედარებით.²

უცხოელ ინვესტორთათვის გარანტიების უზრუნველყოფის კიდევ ერთ ფორმას წარმოადგენს მოგებისა და სხვა შემოსავლების საზღვარგარეთ შეუფერხებელი გადაგზავნა. თუმცა, საგანგებო სიტუაციებში (მაგალითად, საგადასახდელი ბალანსის ქრონიკული დეფიციტი) განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ დროებით შეზღუდონ უცხოელთა შემოსავლების გადაგზავნა დონორ ქვეყნებში. ამგვარი სიტუაცია, როგორც წესი, რეგულირდება უცხოური ინვესტიციების დაცვისა და ნახალისების შესახებ ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად უცხოელ ინვესტორს, გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლების გადახდის შემდეგ, აქვს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საქართველოს საბანკო დანესებულებებში საბაზრო კურსით კონვერსიისა და საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრაციის უფლება.

ასეთი სახსრები შეიძლება იყოს: 1. ნებისმიერი შენატანი უცხოური ინვესტიციით შექმნილი ობიექტის კაპიტალში; 2. ნებისმიერი მოგება და დივიდენდი, ისევე, როგორც უცხოური ინვესტიციის მთლიანი ან ნაწილობრივი გაყიდვით ან ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი სახსრები; 3. სახელშეკრულებო, მათ შორის სასახო ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდები; 4. ქონების სარგებლობის უფლების გადასახადი, რომელიც წინასწარ განისაზღვრება, როგორც სხვისი ქონება, მათ შორის ბუნებრივი რესურსების, საავტორო უფლებების, პატენტის გამოყენებით მიღებული შემოსავლის პროცენტი (სა-როიალთო გადახდა), აგრეთვე მმართველობითი და სხვა ქირის გადახდა.

აღსანიშნავია აგრეთვე საზღვარგარეთელი ინვესტორების სახელმწიფო გარანტიების ისეთი ფორმა, როგორიცაა დავის განხილვის წესის განსაზღვრა. დავის წარმოქმნის შემთხვევაში, როგორც წესი, მხარეები მიმართავენ მოლაპარაკებებს. მათი უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ისინი მიმართავენ რეციპიენტი ქვეყნის საარბიტრაჟო სასამართლოს. შესაძლებელია, აგრეთვე დამოუკიდებელ საერთაშორისო სასამართლო ორგანოებში მიმართვა. არსებობს საინვესტიციო დავების განხილვის კიდევ ერთი შესაძლებლობა – ინვესტიციური დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრში მიმართვა, რომელიც ფუნქციონირებს 1965 წელს ვაშინგტონში ხელმოწერილი კონვენციის ფარგლებში. ცენტრი შედის მსოფლიო ბანკის ჯგუფში. მისი ნორმები ვრცელდება მოდავე მხარეებზე იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე მაინც წარმოადგენს კონვენციის მიერთებულ ქვეყანას.

უცხოელ ინვესტორსა და საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოს შორის წამოჭრილი დავა (თუ მისი გადაწყვეტის წესი განსაზღვრული არ არის მათი შეთანხმებით) გადაწყვეტილი იქნება საქართველოს სასამართლოში ან საინვესტიციო დავის საერთაშორისო ცენტრში (International Center for the Resolution of Investment Disputes). თუ დავა არ იქნება განხილული ამ უკანასკნელში, მაშინ უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს მიმართოს ცენტრის დამატებით ინსტიტუტს დავის გადასაჭრელად, ან ნებისმიერ საარბიტრაჟო ორგანოს, რომელიც დაარსებულია გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ (United Nations Commission for International Trade Law – Uncitral) საარბიტრაჟო და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესების შესაბამისად. ხოლო აღნიშნული საარბიტრაჟო ორგანოების გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

პირველი მნიშვნელოვანი მრავალმხრივი შეთანხმება, რომელიც ინვესტიციების საკითხს არეგულირებს, ეს არის ვაშინგტონის კონვენცია, რომელიც ხელმოწერილი იქნა 1965 წელს და ძალაში შევიდა 1966 წლის 14 ოქტომბერს. დღესდღეისობით ინვესტიციებთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვან მრავალმხრივ შეთანხმებას წარმოადგენს სეულის 1985 წლის კონვენცია (ძალაში შევიდა 1988 წლის 12 აპრილს). საქართველო ამ კონვენციას 1992 წლის 20 თებერვლიდან შეუერთდა. ამ კონვენციის მიხედვით სახელმწიფო და კერძო დაზღვევის სისტემას ემატება უცხოური ინვესტიციების დაზღვევის საერთაშორისო მრავალმხრივი სისტემა. ამ კონვენციის საფუძველზე შეიქმნა ინვესტიციების გარანტიის მრავალმხრივი სააგენტო MIGA (Multilateral Investment Guarantee Agency), რომლის დანიშნულებაცაა იმ ქვეყნების კომერციული რისკების დაზღვევა და დაზღვევის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმება, რომლებიც არიან კონვენციის მონაწილეები. სააგენტომ შესაძლებელია მიიღოს დამატებითი ასიგნებები თავისი საქმიანობის გასაფორმებლად, კონვენციის

2 Междунароное частное право (современные проблемы), под. ред. Богусловского. М.:IPGLAW – 2014.

ნევრ განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციების მოსაზიდად.

მრავალმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებთან ერთად ქვეყნები აფორმებენ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებს, ე.წ. BIT-L (Bilateral Investment Treaty), რომელთა გაფორმების ძირითადი მიზანია მასში მონაწილე ქვეყნების ინვესტიციების დაზღვევა. BIT-ი მიჩნეულია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს განმსაზღვრელ ფაქტორად და ამიტომ მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება. დღემდე გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმებების უმეტესი ნაწილი შემდეგ მოდელს ეფუძნება: 1. ORCD-ს მოდელი, რომელიც განვითარებულ ქვეყნებს შორის ხელშეკრულებების გაფორმებისას გამოიყენება და 2. UN-ს მოდელი, რომელიც განვითარებადი ქვეყნების პრაქტიკაში არის დანერგილი.

უცხოელი ფიზიკური პირის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. უცხოელი ინვესტორი, აპირებს რა განახორციელოს კაპიტალდაბანდები ამა თუ იმ ქვეყანაში, ცდილობს, უწინარეს ყოვლისა, შეისწავლოს, თუ რა შეზღუდვები და გარანტიები გააჩნია მას რეციპიენტი ქვეყნის კანონმდებლობით.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის შეზღუდვები, რომლებიც შესაბამისი ნორმატიული აქტებითაა განსაზღვრული და არეგულირებენ უცხოელ ინვესტორთა მოქმედების სფეროს. ამთვალსაზრისით "უცხოელთა სამართლის ცნებაში"³ უნდა ვიგულისხმოთ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც ზღუდავს უცხოელთა უფლებებს. შეზღუდვები, ძირითადად, ეხება გადაადგილებას, განსაზღვრული საქმიანობის უფლებას, უძრავი ქონების შექმნის უფლებას და ა.შ. უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში შემზღუდველი ზომების კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

- ადგილობრივი საწარმოების სანესტებო კაპიტალში უცხოურ საკუთრებაზე პროცენტული შეზღუდვების დანესება;
- პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე სალი-

3 იგულისხმება იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას (მაგალითად, I.Frowein, J.Wolf, A uslan-dische recht in Internationalen vergleich, Heidelberg).

ცენზო ნესის მოქმედება;

- კაპიტალისა და მოგების საზღვარგარეთ გადაგზავნის შეზღუდვა;
- წარმოების მოცულობის შეზღუდვა;
- ტექნოლოგიების გადაცემისას განსაზღვრული მოთხოვნების დანესება;
- წარმოებული პროდუქციის გარკვეული ნაწილის ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვაზე მოთხოვნები;
- მოთხოვნები ვაჭრობის ბალანსირებულობაზე;
- საქონლის ექსპორტის გაფართოებაზე მოთხოვნები;
- საქონლის იმპორტის ჩანაცვლებაზე მოთხოვნები.

ამრიგად, ზემოაღნიშნული საერთაშორისო ბაზის ანალიზის საფუძველზე, უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო გარანტიებისა და შეზღუდვების სისტემა შეიძლება განვიხილოთ, ერთის მხრივ, როგორც უცხოური ინვესტირების სტიმულირების, ხოლო, მეორეს მხრივ, როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მყარი გარანტიების ჩამომყალიბებელი მექანიზმი.ამავე დროს, ობიექტურად უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დამუშავებული კანონმდებლობისა, საქართველოში უცხოური ინვესტიციების საჭირო ოდენობით მოზიდვა მაინც ვერ ხერხდება. ეს პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებასთან, რომელიც ჩვენი აზრით განსაკუთრებულ გაანალიზებას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია – <https://matsne.gov.ge>;
2. აშშ-ს კონსტიტუცია – “კომპრომისის ხელოვნება”, სამეცნიერო რედაქტორი მ. უგრეხელიძე, გამომც. “ჯისიაი”, 1997წ.
3. Международное частное право (современные проблемы), под. ред. Богусловского. М.:IPGLAW – 2014;
4. World Investment Report – unctad.org 2016.

სექცია 2. უძრავი ქონების ეკონომიკა, ფინანსები და საბანკო აქტი, აუდიტი

უძრავი ქონების შეფასება-ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქსიომა

ალექსანდრე სიჭინავა
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია უძრავი ქონების შეფასების მნიშვნელობა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის, განსაკუთრებით კი ისეთი განვითარებადი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო. ეკონომიკის განვითარების პერსპექტიული დაგეგმვისათვის აუცილებელია ქვეყნის უძრავი ქონების ღირებულების ცოდნა. უძრავი ქონების შეფასების გზით უნდა მოხდეს მიკრო და მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფა. ხაზგასმულია უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლებაზე. ნაშრომში ასევე განხილულია უძრავ ქონებაზე ჩასატარებელი სამართლებრივი საქმიანობა. განხილულია მინის რეფორმები, რომლებიც საქართველომ განახორციელა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. დასაბუთებულია უძრავი ქონების შეფასებისას სინერჯის პრინციპის გამოყენების საკითხი.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკის მდგრადი განვითარება, უძრავი ქონება, უძრავი ქონების შეფასება, საკუთრების უფლება მინაზე, ინვესტირება უძრავ ქონებაში. იპოთეკური დაკრედიტება, მინის რეფორმა, სინერჯის პრინციპი.

REAL ESTATE ASSESSMENT - AXIOM OF THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF ECONOMY

Alexander Sichinava
GTU Professor

RESUME

The paper deals with the importance of real estate valuation for sustainable development of the economy. Especially for the developing country, such as Georgia. For the prospective planning of economic development, knowledge of the real estate value of the country is essential. Improvement of micro and macro economic indicators should be achieved through assessment of real estate. It emphasizes the right to property ownership. The paper also deals with legal activities to be realized on real estate, land reforms, which Georgia has done after declaring independence. The issue of using the principle of synergy during the evaluation of real estate is justified.

Key words: Sustainable Development Of Economy, Real Estate, Real Estate Assessment, Property Rights On Land, Invest In Real Estate, Mortgage Lending, Principle Of Synergy.

ეკონომიკის მდგრადი განვითარება თანამედროვე ქვეყნების განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ისეთ ქვეყნისათვის როგორცაა საქართველო ანუ განვითარებადი ქვეყნისათვის კი უპირველესი ამოცანაა. დიდი ნიკო ნიკოლაძე 1908 წელს აღნიშნავდა: „ქვეყნის პროგრესისა და მისი გავლენის მოსაპოვებლად აუცილებელია, რომ უძრავი ქონების ეკონომიკა საბოლოოდ იძლეოდეს დადებით და არა უაროვით შედეგებს. ის ქვეყნები, რომელთა უძრავი ქონება წამგებიანი ხდება, არა მხოლოდ ეკონომიკურად ზარალდება, არამედ პოლიტიკური დაცემისა და მონობისაკენ მიექანება...“¹ ჩვენ წამდვილად არ ვიცით რასთან გვაქვს საქმე, რადგანაც ქონება შეფასებული არა გვაქვს.

უძრავი ქონების შეფასება წარმოებითი ურთიერთობებისა და ეკონომიკური კანონების მოქმედების სტიმულატორია. იგი ხელს უწყობს კვლავწარმოების პროცესის სრულყოფას. მიკრო და მაკრო ეკონომიკური განვითარების სრულყოფილ ანალიზს. ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გავაანალიზოთ უძრავი ქონების შეფასების მიზნები და ფუნქციები. შეფასება- ეს არის შემფასებლის მეთოდური დასკვნა უძრავი ქონების ფასის შესახებ. მისი კომპეტენტური ფორმულირება შესაძლებელს გახდის სწორად განისაზღვროს და

შეირჩეს შეფასების საჭირო მეთოდები. უძრავი ქონების შეფასებით შეიძლება დაინტერესებული იყვენენ სხვადასხვა მხარეები: გამყიდველები და მყიდველები; სხვადასხვა დანიშნულების უძრავი ქონების ობიექტების მფლობელები; ინვესტორები; საკრედიტო ორგანიზაციები; სახელმწიფო სტრუქტურები; მუნიციპალური სტრუქტურები; სადაზღვევო კომპანიები და სხვ. თითოეულ მათგანს თავიანთი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის მიზნით შეუძლიათ შეუკვეთონ უძრავი ქონების შესაფასებლად და, ამასთან, გახდნენ შემკვეთები. უნდა აღინიშნოს, რომ შეფასებაში მესაკუთრის მოთხოვნა შეიძლება გახდეს მესამე მხარის მოთხოვნის შედეგი. სინამდვილეში მესამე მხარეს შეუძლია გამოვიდეს თვითონ როგორც შემკვეთი, მაგალითად: სადაზღვევო კომპანიებს სურთ გაიგონ რისკის სიდიდე, რომელსაც ისინი თავიანთ თავზე იღებენ, ან დაადას-

1 ნ. ნიკოლაძე, ფოთი, 1908 წელი

ტურონ ხელშეკრულების დაცვა დამზღვევესა და მზღვეველს შორის რისკის განაწილებაზე; საკრედიტო ინსტიტუტებს სურთ გაიგონ, რამდენი შეუძლიათ მათ უსაფრთხოდ გასცენ კრედიტი უძრავი ქონების ობიექტებზე და მიიღონ უკან მსესხებლის გაკოტრების შემთხვევაში; სახელმწიფო სააგენტოებს სურთ გაიგონ ჩამოყალიბებული საბაზრო ღირებულება უძრავი ქონების შეძენისას სახელმწიფო საკუთრებაში; მესამე მხარედ შეუძლიათ გამოვიდნენ მწარმოებლები და შუამავლები (დილერები და ბროკერები), მყიდველები და გამყიდველები, საკადასტრო შემფასებლები და მზღვეველები, კრედიტორები და სასამართლოები, მეიჯარეები და მოიჯარეები, ბუღალტრები და მმართველები, ადვოკატები და კონსულტანტები, საფინანსო და სალიზინგო კომპანიები, პარტნიორები და მეუღლეები.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ მესაკუთრეს (შეფასების შემკვეთს) შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მიზეზი შეფასების ჩატარებისათვის. მაგალითად, მესაკუთრეს სურს განსაზღვროს სადაზღვევო ღირებულება დაზღვევის გასაფორმებლად ხანძრის შემთხვევაში და სალიკვიდაციო ღირებულება კრედიტის მისაღებად საიპოთეკო ბანკში. ასეთი სიტუაცია სრულიად შესაძლებელია და ამ შემთხვევაში შეფასება წარმოადგენს მრავალმიზნობრივს.²

ამგვარად, უძრავი ქონების შეფასების მიზანი შეიძლება დადგინდეს შემფასებლის, მესაკუთრის ან მესამე, მაგალითად, ბანკის ან სახელმწიფო სააგენტოს მიერ. უძრავი ქონების შემფასებისას არსებობს ერთადერთი მიზანი, კერძოდ კი - დაადგინოს ღირებულების მოთხოვნილი სიდიდე და მოუშალოს შემკვეთს პასუხი ამა თუ იმ სახის ღირებულებაზე. თუმცა, მანამდე ვიდრე ნებისმიერი შეფასება შეიძენს რაიმე აზრს ან შედეგის მნიშვნელობას მისი შინაარსის თვალსაზრისით, მას უნდა ჰქონდეს შესრულებისათვის მიზეზი, ანუ შემკვეთის ფორმულირებული მიზანი. ძირითადი მიზეზი, რომელიც აღუძრავს სურვლს კლიენტს, შეუკვეთოს ანგარიშის მომზადება შეფასებაზე, - ეს არის უძრავი ქონების მესაკუთრის ღირებულების შეფასებაში საქმიანი ან პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილება ქონების დასაშვები სარგებლობის მიზნებისათვის.

ამგვარად, შეფასების მიზანს წარმოადგენს: შეფასების ობიექტის ღირებულების განსაზღვრა, რომლის სახე განისაზღვრება შეფასების დავალებაში, ხოლო შეფასების შედეგს წარმოადგენს შეფასების ობიექტის ღირებულების საბოლოო სიდიდე. შეფასების შედეგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხარეთა მიერ ფასის განსაზღვრისას გარიგების დადებისათვის ან შეფასების ობიექტზე სხვაგვარი მოქმედებით. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ განახორციელონ მათი კუთვნილი უძრავი ქონების ობიექტების შეფასება. მოცემული უფლება წარმოადგენს

უპირობოს და არ არის დამოკიდებული სახელმწიფო სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვიანობასა და ანგარიშსწორების შედეგებზე.

შეფასების ჩატარება წარმოადგენს სავალდებულო უძრავი ქონების ობიექტების გარიგებაში მონაწილეობის შემთხვევაში, სახელმწიფოს ან მუნიციპალურ წარმონაქმნებს. უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის აუცილებლობა წარმოიშობა: პრივატიზაციისას; მინდობილობით მართვაში გადაცემისას ან იჯარაში გადაცემისას; უძრავი ქონების ობიექტების გაყიდვის ან მათი სხვაგვარად განკარგვისას; სავალდებულების სხვებზე დათმობისას; უძრავი ქონების ობიექტების გადაცემისას სანესდებო კაპიტალში ან იურიდიული პირების ფონდებში შენატანის სახით; უძრავი ქონების ობიექტის შეფასების დროს ღირებულების თაობაზე დავის წარმოშობისას, ქონების ნაციონალიზაციისას, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ იპოთეკური დაკრედიტებისას, საქონლით კონტრაქტის შედგენისას და განქორწინებული მეუღლეების ქონების განაწილებისას, გამოსყიდვისას ან ქონების სხვაგვარად ამოღებისას მესაკუთრისაგან სახელმწიფო ან მუნიციპალური საჭიროებისამებრ, აგრეთვე გადასახადების სწორად გადახდისა და საგადასახადო დაბეგვრის დარიცხვის ბაზის კონტროლის მიზნებისათვის. უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შეფასების ეს აუცილებელი შემთხვევები მიეკუთვნება შეფასების ობიექტებს, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ფორმაში გამოხატულ სახელმწიფო საკუთრებას. ყველა მიზეზის სრული ჩამონათვალი, რომლის გამოც აუცილებელია უძრავი ქონების შეფასება, საკმაოდ ვრცელია და რთულია.

საერთაშორისო პრაქტიკაში შეფასების მიზნების ამგვარი დაზუსტება არის არა მხოლოდ მართებული, არამედ ასევე უზრუნველყოფენ კიდევ ზოგიერთ გარანტიას შეფასების შესახებ ანგარიშის არასწორი სარგებლობის საპირისპიროდ.

შეიძლება ვაჩვენოთ, რომ შეფასებითი პრინციპების ერთობლიობა წარმოადგენს შეფასების აქსიომების სისტემას, ფუნდამენტალური პოსტულატების სისტემას, რომლებიც არ საჭიროებენ დამტკიცებას, რამდენადაც ცნება „სისტემის“ განსაზღვრასთან შესაბამისობაში შეიძლება გამოიყოს მათი ჯგუფური თვისებები, რომელთაც აქვთ ურთიერთკავშირი პრინციპების ჯგუფებსა და ფუნქციონირების არსებულ ზოგად მიზანს შორის.

შეფასების პრინციპების სისტემის საფუძველზე ფორმირდება საბაზო კონცეფციები, რომლებიც შეადგენენ შეფასების მიდგომებისა და მეთოდების იდეურ პლატფორმას. ისინი ასევე ხდიან შესაძლებელს, მიეცეს განსაზღვრა შეფასების თეორიის ფუნდამენტალურ ცნებას და აღწეროს მათი ნიშან-თვისებები, აგრეთვე გამოავლინოს ურთიერთკავშირი მათ შორის. ამგვარად, წარმოადგენს რა ეკონომიკური თეორიის ზოგადი კანონების ამსახველს, შეფასებითი პრინციპები წარმოადგენენ ისეთ

2 ა. სიჭინავა, პ. კოლუაშვილი, დ. ეგიაშვილი, ა. მესხიშვილი. უძრავი ეკონომიკა. სახელმძღვანელო. სტუდენტთა გამოცემლობა. თბ., 2013. გვ. 345

ასახვას და მათ ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც უშვებს საკუთარი ამოცანების ეფექტიან გადამწყვეტას, რომელიც წარმოიშობა შეფასებით საქმიანობაში. ამაში მდგომარეობს კიდევაც შეფასებითი პრინციპების ფუნქციონირების ზოგადი მიზანი.

შეფასებითი პრინციპების ზოგიერთი კომპლექტი, გაგებულ როგორც ეკონომიკური თეორიის პოსტულატები, დევს ასევე ამა თუ იმ სახის უძრავი ქონების ობიექტების ღირებულების შეფასების საფუძველში, მათ რიცხვში მინის ნაკვეთებისაც. ისინი განსაზღვრავენ შეფასებითი პროცედურების თავისებურებებს და შესაძლებელს ხდიან დასაბუთებულ იქნას უძრავი ქონების შეფასების გამოსაყენებელი მიდგომები და მეთოდები.

ობიექტურ რეალობაში მათი ერთობლიობა ზემოქმედებს უძრავი ქონების ობიექტის ფუნქციონირების ხასიათზე, და ამიტომ შეფასების ჩატარებისას ყველა უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუმცა რეალურ ცხოვრებაში არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ მათი მოქმედების დამახინჯება (მაგალითად, სახელმწიფო ჩარევა, მუნიციპალური აქტების არასრულყოფილება), ამის გამო ისინი ასახავენ მხოლოდ ძირითად ეკონომიკურ კანონზომიერებას, საბაზრო ურთიერთობის სუბიექტების ეკონომიკური ქცევის ტენდენციებს, მაგრამ არ გარანტირებენ მათ განსაზღვრულ ქცევას. ამასთან ერთად, საბაზრო ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების თვალსაზრისით შეფასების ობიექტური პრინციპების მოქმედება უნდა გაძლიერდეს. მეორეს მხრივ, ქვეყნის გადასვლით ახალ ეკონომიკურ წყობაზე, ჩვენს შემთხვევაში საბაზრო ეკონომიკაზე, პრინციპების შინაარსი შეიძლება შეიცვალოს, ხოლო რაოდენობა კი - გაიზარდოს. უკვე ახლა შეიძლება საუბარი სინერჯის პრინციპის შემოღების აუცილებლობაზე.

გარდა ამისა, უძრავი ქონება ხშირად იწვევს მფლობელისათვის სიამაყის შეგრძნებას, ანუ სარგებლიანობა მრავალმხრივია (შედარებითია), მაგრამ შემოსავლის მომტანი უძრავი ქონებისათვის სარგებლიანობა გაიზომება მისგან შემოსავლის მიღების ოდენობით.

უძრავი ქონების შეფასებისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახის პრინციპები. ესენია: სინერჯის პრინციპი; უფლებების ეკონომიკური დანაწილების პრინციპი; საბაზრო გარემოს შექმნის პრინციპი; დამოუკიდებლობის პრინციპი; შესაბამისობის პრინციპი; მოთხოვნისა და შეთავაზების პრინციპი; კონკურენციის პრინციპი; ცვლილებების პრინციპები; შედარებით ეფექტიანი სარგებლობის პრინციპი;

განვიხილოთ მათგან კონკურენციის პრინციპი და შედარებით ეფექტიანი სარგებლობის პრინციპი.

კონკურენციის პრინციპი. თუკი თავისუფალი კაპიტალის მფლობელები იგრძნობენ გადაჭარბებულ ან მონოპოლიურ მოგებას უძრავი ქონების ბაზარზე, ისინი შეეცდებიან შეაღწიონ ამ ბაზარზე. შევნიშნავთ,

რომ მონოპოლიური მოგება- ეს არის სიდიდე, რომელიც აღემატება სამეწარმეო საქმიანობის კომპენსაციისათვის აუცილებელ გონივრულობის ფარგლებს. უფრო მაღალი, ვიდრე ჩვეულებრივი მოგება, ასტიმულირებს კონკურენციის გამწვავებას.

კონკურენციის პრინციპი ასახავს საბაზრო მექანიზმებით რეგულირებულ მოქმედებას: როცა მოგება ბაზარზე აჭარბებს სანარმოო ფაქტორების გადახდისათვის აუცილებელ დონეს, მოცემულ ბაზარზე მწვავდება კონკურენცია, რაც, თავის მხრივ, იწვევს შემოსავლების საშუალო დონის შემცირებას. ბაზრის განვითარების მოცემულ ეტაპზე ზემოგებამ შეიძლება ითამაშოს მასტიმულირებელი როლი კაპიტალის მოზიდვისათვის ბაზრის ამ სექტორში და შექმნას მასზე კონკურენტული პირობები. მაგრამ მონოპოლიზმთან შეთავსებაში მას მივყავართ დამანგრეველ კონკურენციასთან, რომელიც საბაზრო ობიექტების რეალური ღირებულების შერყვნით ძირს უთხრის ბაზარს.

Между NOPLAT и EBIT x (1 – t) существует историческая разница. Показатель NOPLAT был придуман, когда нормы бухгалтерского учета США (US GAAP) позволяли амортизировать гудвилл, который представляет собой разницу между рыночной и бухгалтерской стоимостью активов, приобретаемых в ходе покупки компаний. Если при определении EBIT учитывалась вся амортизация, в том числе материальных и нематериальных активов (*Depreciation and Amortization - DA*), то при расчете NOPLAT не учитывался гудвилл. В настоящее время само понятие «гудвилл» и его амортизация в бухучете практически не применяются, поэтому **разница между NOPLAT и EBIT x (1 – t) исчезла**, хотя в финансовой литературе успели прижиться оба термина.

Таким образом, многообразие трактовок понятийного аппарата, используемого в Доходном подходе, зависит от различий:

- 1) *страновых и континентальных* (Америка, страны Западной Европы);
 - 2) в *стандартах отчетности* (стандарты учета США, России, Международные стандарты финансовой отчетности - МСФО);
 - 3) в *профессиональных областях* (научных сферах) (профессиональная стоимостная оценка - ПСО, инвестиционно-финансовая оценка - ИФО);
- в позициях научных школ и крупнейших консалтинговых компаний (таких как Stern Stewart & Co, McKinsey или L.E.K. Consulting и др.).

Разберемся в особенностях применения терминов из представленного их разнообразия.

2. Сравнение терминологии стандартов отчетности, используемых в стоимостной оценке при формировании денежного потока

Страновые различия в терминологии стоимостного подхода и компонентах, участвующих в расчете показателей, берут начало в национальных стандартах финансовой отчетности [8]. Они наиболее выражены в системах стандартов и принципах финансового учета, используемых в

- США (*Generally Accepted Accounting Principles – GAAP*),
- Великобритании (*GAAP UK*),
- Международных стандартах финансовой отчетности (*International Financial Reporting Standards – IFRS*)³ и

3 МСФО приняты как обязательные в нескольких странах Европы.

Таблица 1 - Сравнение терминов, используемых при формировании основных показателей, являющихся информационной базой оценки в различных стандартах отчетности

Название термина	Стандарт отчетности		
	US GAAP/	РСБУ	МСФО ¹
<i>Выручка</i>	Net Sales / Sales, Revenue (Sal)	Выручка (доходные значения, полученные в результате обычных видов деятельности)	Revenue (доход)
<i>Себестоимость продаж</i>	Cost of good's sold (COGS)	Себестоимость продаж	Cost / Cost Of Sales
<i>Валовая прибыль (убыток)</i>	Gross Profit (GP), margin	Валовая прибыль (убыток) от обычной деятельности	Gross Profit
<i>Коммерческие расходы</i>	Selling, General and Administrative expenses (SG&A)	Коммерческие расходы	Selling and distribution expenses
<i>Управленческие расходы</i>		Управленческие расходы	General and administrative expenses
<i>Амортизация материальных и нематериальных активов</i>	Depreciation, depletion (обесценение) and amortization	-	Depreciation and amortization
<i>Доход / убыток от прочей операционной деятельности</i>		*2	Other operating income, net
<i>Прибыль убыток от продаж</i>	Sales Margin, Operating Profit	Прибыль (убыток) от продаж	Operating profit (income)
<i>Доходы от участия в других организациях</i>		Доходы от участия в других организациях	
<i>Проценты к получению</i>		Проценты к получению	
<i>Проценты к уплате</i>	Interest	Проценты к уплате	Borrowing costs
<i>Финансовые доходы³</i>	Finance income		Finance income
<i>Финансовые расходы</i>	Finance costs		Finance costs
<i>Прочие доходы</i>	Other Income (OI)	Прочие доходы	Other Comprehensive Income (OCI) / Gains
<i>Прочие расходы</i>	Other Expenses (OE)	Прочие расходы	Other expenses
<i>(Убыток) прибыль по курсовым разницам, нетто</i>		-	Foreign exchange (loss)/ gain, net
<i>Прибыль (убыток) до налогообложения</i>	Income Before Income Tax Expense	Прибыль (убыток) до налогообложения	Profit Before Income Tax
<i>Текущий налог на прибыль</i>	Income Tax Expense	Текущий налог на прибыль	Income Tax
-	-	Изменение отложенных налоговых активов	-
<i>Прочее</i>		Прочее	
<i>Чистая прибыль (убыток)</i>	Net Income	Чистая прибыль (убыток)	Profit for the period

1 В соответствии с МСФО (IAS) 1 «Представление финансовой отчетности».

2 Прочий операционный доход по РСБУ учитывается в *Выручке*.

3 Финансовые доходы и расходы компании могут включать следующие виды: проценты к получению по займам выданным; процентный доход по банковским депозитам; доходы в форме дивидендов; убытки от обесценения и восстановленные суммы убытков от обесценения по финансовым инструментам; реализованные прибыли и убытки от выбытия финансовых активов, имеющихся в наличии для продажи; проценты за пользование заемными средствами; проценты к уплате по облигационному займу; проценты по договорам финансовой аренды; проценты по пенсионным обязательствам; процентные доходы и расходы, признаваемые в отношении дебиторской задолженности, кредиторской задолженности и займов, оцениваемых в дисконтированной сумме (дисконт и амортизация/высвобождение дисконта); расходы по финансовым гарантиям; положительные и отрицательные курсовые разницы (по материалам «Отчетность по МСФО плюс трансформация» <https://www.audit-it.ru/ifrs/terms/items/finansovye-dokhody-i-raskhody.html>).

Non-GAAP Financial measures («Показатели, не являющиеся финансовыми величинами по стандартам US GAAP» [3])			
Прибыль до уплаты налогов, процентов, амортизации	EBITDA - Earnings Before Interest, Taxes, Depreciation and Amortization или EBDIT	EBITDA (по РСБУ) = Выручка – Себестоимость – коммерческие расходы – управленческие расходы + амортизация	
Прибыль до уплаты налогов, процентов	EBIT - Earnings Before Interest, Taxes		
Прибыль (убыток) до налогообложения	EBT - Earnings Before Taxes		
Чистая прибыль (убыток)	EBIT(1-T) - Net income [5], Net Profit,		
Чистая операционная прибыль после налогообложения	NOPAT [10] - Net Operating Profit after taxes; (NOPLAT [6] - Net Operating Profit Less Adjusted Tax)		

Источник: составлено автором по материалам [2; 3; 11].

- российской практике бухгалтерского учета (РПБУ) (существуют Российские стандарты бухгалтерского учета – РСБУ).

Кроме страновых различий в трактовке одного и того же понятия (выручка - *Sales, Revenue*), в разных источниках используется ряд терминов, изначально сформировавшихся в рамках теории финансового анализа какой-то одной страны, но утративших первоначальную историческую разницу и употребляемых в современной литературе как синонимы.

Сравнение показателей доходов и расходов, а также прибыли (по формам отчетности - «Отчет о финансовых результатах»⁴; «Отчет о совокупном доходе»⁵), используемых при построении денежного потока, представлено в табл. 1.

МСФО и US GAAP демонстрируют в вопросе по-

4 Форма бухгалтерского Отчета о финансовых результатах (код формы по ОКУД 0710002) утверждена приказом Министерства Финансов России от 2 июля 2010 г. № 66н "О формах бухгалтерской отчетности организаций" в редакции Приказов Минфина РФ от 05.10.2011 № 124н, от 06.04.2015 № 57н.

5 Общего требования в US GAAP о классификации расходов нет. Тем не менее, компании, отчитывающиеся по US GAAP, должны предоставлять свои **Отчеты о прибылях и убытках** в соответствии с Правилom S-X, которое дает список статей, которые следует в него включить. Заметим, что Отчет о прибылях и убытках в РПБУ с 2014 года заменен на **Отчет о финансовых результатах**.

6 **Отчет о совокупном доходе** (*Statement of comprehensive income*) – это документ, в котором отражается величина прибылей, убытков и изменений прочего совокупного дохода за отчетный период. Его составление и представление регулируется МСФО (IAS) 1 «Представление финансовой отчетности». Отчет о совокупном доходе состоит из двух разделов: отчета о прибылях и убытках; отчета о прочем совокупном доходе (т.е. о статьях, влияющих на нераспределенную прибыль, но не отраженных в отчете о прибылях и убытках, например – объявленные дивиденды, изменение резерва переоценки и т.п.).

строения различных форм и моделей финансовых отчетов большую гибкость, чем РСБУ [2]. Различия в правилах формирования финансовой отчетности требуют дополнительной информации из других отчетов или документов.

Рассмотрим это на примере расчета показателя EBITDA.

Так, для того чтобы рассчитать показатель EBITDA на базе российского отчета, необходимо предварительно очистить от амортизации статьи себестоимости, управленческие расходы и другие статьи, в которых она может содержаться. Поэтому первый подход расчета EBITDA основан на отчетности, составленной по международным стандартам МСФО. Расчет EBITDA согласно МСФО, является трудоемким, однако дает более точные результаты.

Оригинальная формула расчета:

EBITDA = Чистая прибыль + Налоги на прибыль – Возврат по налогу на прибыль + Чрезвычайные расходы – Чрезвычайные доходы + Выплаченные проценты – Полученные проценты + Амортизация – Переоценка активов⁷.

В соответствии с § 87 IAS 1 организация не вправе представлять какие-либо статьи доходов и расходов в качестве *чрезвычайных статей* ни в Отчете о совокупном доходе, ни в отдельном Отчете о прибылях и убытках, ни в примечаниях⁸.

Действующая формула расчета:

EBITDA = Чистая прибыль + Налоги на прибыль – Возврат по налогу на прибыль + Выплаченные проценты – Полученные проценты + Амортизация – Переоценка активов.

Недостаток этого подхода - в несоответствии показателей российским стандартам, поскольку часть из этих показателей либо вообще не включена в отчет-

7 Источник: <http://moneymakerfactory.ru/spravochnik/EBITDA/>.

8 В действующей редакции российского Отчета о финансовых результатах отсутствует раздел «Чрезвычайные доходы и расходы».

ность, либо рассчитываются иначе и требуют отдельных корректировок. Поэтому на основании отчётности по РСБУ показатель рассчитать сложно. Соответственно в России используется *второй подход*, адаптированный к показателям, формируемым по стандартам РСБУ.

Применяют и *упрощенную формулу* расчета:

ЕВITDA = Прибыль (убыток) от продаж + Амортизационные отчисления

или в расширенном варианте:

ЕВITDA = Чистая прибыль + Налоговые отчисления + Проценты по кредитам и займам к уплате + Амортизационные отчисления⁹.

Расчет по второму подходу не такой трудоемкий и сложный, но он и не дает таких точных результатов, как первый метод.

ВЫВОДЫ

В настоящее время построение денежных потоков в различных исследованиях по финансам происходит с использованием *различных показателей прибыли*, базой расчета которых является отчетность МСФО и US GAAP, которые отличаются от бухгалтерских показателей по РСБУ. Причина этого в том, что в настоящее время имеются существенные различия между международными стандартами финансовой отчетности и российскими стандартами бухгалтерского учета, которые оказывают существенное влияние на информационную базу при формировании денежных потоков компании, в частности, внешними пользователями (инвесторами). Отличия могут оказать существенное влияние на результаты стоимостной оценки и на решения по управлению компанией, которые принимаются на основе *DCF-анализа*. Рассмотренная проблема составляет ощутимое препятствие к внедрению концепции VBM в практику функционирования российских корпораций, в особенности, непубличных.

9 Прибыль от продаж это строка № 2200, чистая прибыль – строка № 2400, проценты к уплате – строка № 2330, налоговые отчисления – строки № 2410, 2421 и 2450 Отчета о финансовых результатах (форма № 2), а амортизационные отчисления это таблица 3 приложения к балансу (форма № 5).

СПИСОК ЛИТЕРАТУРЫ

1. Волков Д.Л. Теория ценностно-ориентированного менеджмента: финансовый и бухгалтерские аспекты. – 2-е изд. – СПб. Изд-во: «Высшая школа менеджмента. – Издат. дом С.-Петерб. Гос. Ун-та, 2008. – 320 с.
2. Грачева М.Е. Более детально по материалу «Проблемы формирования и анализа показателей отчета о совокупном доходе и отчета об изменениях в собственном капитале» / Реформирование отчетности, № 11 (143), 2010.
3. Золотухина Т.В. Показатели ЕВIT и ЕВITDA: особенности вычисления по данным МСФО-отчетности. Корпоративная финансовая отчетность. Международные стандарты. Журнал и практические разработки по МСФО и управленческому учету, № 5, 2015.
4. Касьяненко Т.Г., Тарасова Ж.Н. Современные подходы к стоимостной оценке: сходства и различия. Second International Valuation Conference «International Valuation Practices». Tbilisi, Georgia, 22-23 June 2017.
5. Козырь Ю.В. Особенности расчетов денежных потоков и их отражение в оценке стоимости акций / http://www.labrate.ru/kozyr/kozyr_article_2009-2.pdf.
6. Коупленд Т., Колер Т., Муррин Дж. Стоимость компаний: оценка и управление. 2-е изд. / Пер. с англ. М.: ЗАО «Олимп-Бизнес», 2000.
7. Мартин Джон Д., Петти Дж. Вильям. VBM – управление, основанное на стоимости. Пер. с англ. О.В. Теплых / Под науч. ред. О.Б. Максимовой, И.Ю. Шариповой // Днепропетровск: Баланс Бизнес Букс, 2006. – 272 с.
8. Сравнительный анализ МСФО, ГААП США и российских принципов бухгалтерского учета. Ernst and Young, http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/IFRS_Book_R/%24File/IFRS_book_R.pdf.
9. Rappaport A. Creating shareholder value: a guide for managers and investors. — Rev. and updated ed. - New York: Free Press, 1998. — 205 p.
10. Stewart B. The Quest for Value: A Guide for Senior Managers, Hardcover, Published by Harper Business, 1999. - 800 p.
11. Чирикова Е., Как оценить бизнес по аналогии. Методологическое пособие по использованию сравнительных рыночных коэффициентов при оценке бизнеса и ценных бумаг. - Изд-во «Альпина Бизнес-Букс», 2005 г. http://gaap.ru/articles/dokhodnye_finansovye_multiplikatory_sravnenie_pokazateley_osnovannykh_na_rossiyskom_uchete_i_us_gaap.

კომერციული ბანკების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის თეორიული საფუძვლების პრობლემები

გიორგი ცაავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რატი ბურდიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ანოტაცია

სტატიაში აღნიშნულია, რომ კომერციული ბანკების საქმიანობის მართვაში ეკონომიკურ ანალიზს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება და რომ კომერციული ბანკების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიაში, მეთოდიკაში და ორგანიზაციაში მრავალი პრობლემა არსებობს, რომლებიც თავის გადაწყვეტილებას ელოდებიან. სწორედ ამიტომ კომერციული ბანკების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის თეორიული პრობლემების კვლევა აქტუალურს წარმოადგენს. ასევე ხაზგასმულია, რომ საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის საგანის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი მეშვეობით ღირებულების განსაკუთრებული სახეობის გაზომვისა და ფორმირების უზრუნველყოფა ხორციელდება, რომელსაც შეიძლება ბუღალტრული ანუ სააღრიცხვო ღირებულება ეწოდოს, რომელიც ჩვენი მოსაზრებით, ასევე ფაქტიურ, შეთანხმებულ და სამართლიან ღირებულებასაც წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ანალიზი, ბუღალტრული აღრიცხვა, კომერციული ბანკი, გამოცდილება, გამოცხადება.

PROBLEMS OF THEORETICAL BASES OF THE ECONOMIC ANALYSIS OF ACTIVITY OF COMMERCIAL BANKS AND BANK ACCOUNTING

Prof. Tsaava G. Prof. Burdiashvili R.

1. It is noted that the economic analysis in the management of the activities of commercial banks has a particularly significant role, since without it the formation of an effective, economically sound management decision can not objectively assess the activities of the bank.

2. It is emphasized that in the models, methods and organizations of economic analysis of commercial banks, there are currently many problems that await their resolution.

3. Attention is drawn to the fact that the peculiarity of the subject of bank accounting is that it helps to measure and form a special type of value, which can be called accounting or accounting value, which, in our opinion, is also used: actual, agreed and fair values.

Key words: Economic Analysis, Accounting, Commercial Bank, experience, announce.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე სტატიაზე მუშაობისას ავტორებმა შეისწავლეს ეკონომიკური ანალიზისა და ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლების პრობლემებთან და განვითარებასთან დაკავშირებით მსოფლიოში ცნობილი მეცნიერ-მკვლევარების ნაშრომები, კერძოდ, ეკონომიკურ ანალიზთან მიმართებაში, როგორებიცაა: ტატურა ს.კ., ბაჟენოვა მ.ი., შერემეტი ა.დ., სავიჩევი პ.ი., კარაკოზი ი.ი., დემბინსკი ნ.ვ., მაიდანჩიკი ვ.ი., სტრაჟევი ვ.ი., საბუროვი ა.პ., შერბაკოვა გ.ნ. და სხვები; ბუღალტრულ აღრიცხვასთან მიმართებაში, როგორებიცაა: ბაკანოვი ა.ს., ბეზრუკიხი პ.ს., ბუტინეცი ფ.ფ., კირიანოვა ზ.ვ., კუტერი მ.ი., მაკაროვი ვ.გ., მალიუგა ნ.მ., პალიი ვ.ფ., სოკოლოვი ია. ვ., ანდერსონი ხ., ბეტგე ი., ვუდი ფ., კოლდუელი დ., მეტიუსი მ.რ., ნიდლზი ბ., პერერა მ.ხ., პანკოვი დ.ა., სტეფანოვიჩი ლ.ი. და სხვები; ასევე საქართველოში ორივე პრობლემატიკაზე მომუშავე მეცნიერები, როგორებიცაა: გოგინაიშვილი ფ., ქოიავა ნ., ჩანტლაძე ვ., გუგუშვილი პ., გამსახურდია გ., მელქაძე ვ., მესხია ი., ხელაია გ., კაკულია რ., კოვზანაძე ი., იაკობიძე დ., ქისტაური შ., შათირიშვილი ჯ., გრიგალაშვილი ლ., ჯალაღონის დ., ნანუაშვილი გ., სახოკია გ., ლიპარტია ზ., სიჭინავა ა., ბურდიაშვილი რ., ასათიანი ვლ., ცაავა გ. და სხვები.

კომერციული ბანკების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიის, მეთოდიკისა და ორგანიზაციის განვითარებისა და სრულყოფის გზებთან მიმართებაში ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა აუცილებელია, რომლის არსში გარკვეული სახის შესაბამისი სამუშაოები უნდა იქნას ჩატარებული და მათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნას მიკუთვნებული [1, გვ. 14-40]:

• ეკონომიკური ანალიზის თეორიული დებულებების ფორმირება და განვითარება, რომლებიც ეკონომიკური ანალიზის ყველა დონის მართვის რგოლისა და მიმართულებების, მესაკუთრეებისა და მენეჯერების მკაფიო გააზრებას უზრუნველყოფენ როგორც მართვის თეორიულ საფუძვლებში, ასევე პრაქტიკულ მმართველობით საქმიანობაშიც;

• კომერციული ბანკების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის სისტემის დამუშავება, რომელიც არა მარტო ბანკების მესაკუთრეებს, მენეჯერებს, სპეციალისტებს, არამედ კორპორაციული ურთიერთობების სხვა მონაწილეებსაც ეხება;

• კომერციული ბანკისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კომპლექსური ეკონო-

მიკუური ანალიზის სანიმუშო მეთოდოლოგიის დამუშავება;

- კომერციული ბანკის საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის მეთოდების, მათ შორის ფინანსური ანალიზის მეთოდების შემდგომი სრულყოფა;

- კომერციულ ბანკში ეკონომიკური ანალიზის ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;

- კომერციული ბანკის საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ჩატარების ორგანიზაციული ფორმების სრულყოფა;

- პროგრამული პროდუქტების დამუშავება როგორც ანალიზის ლოგიკური ამოცანების გადწყვეტისათვის, ასევე კომერციული ბანკის საქმიანობის კომპლექსური ეკონომიკური ანალიზის უზრუნველყოფისათვისაც.

უშუალოდ კომერციული ბანკების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის თეორიული საფუძვლების პრობლემებთან და განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში, ჩამოყალიბებულია მოსაზრებები, რომელთა არსი მდგომარეობს შემდეგში [4, გვ. 1-24; 5, გვ. 193-205]:

1. ეკონომიკური ანალიზი (თეორიული პოზიციიდან) - წარმოადგენს კორპორაციული მართვის ობიექტურ აუცილებელ ელემენტს, მართვის პრინციპების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების განუყოფელ შემადგენელს, თავისთავად მართვის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მმართველობითი საქმიანობის სახეობას, მართვის სხვა ფუნქციების რეალიზაციის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტს, მთლიანობაში ორგანიზაციის საქმიანობის შეფასებისა და მისი მენეჯმენტის სისტემის ხარისხს, მმართველობითი განწყვეტილებების მიღების ერთ-ერთ პროცედურას ან ოპერაციას და პირობას, ადრე მიღებული გადწყვეტილებების შედეგების შემდგომ შეფასებას.

2. ფინანსური ანალიზი (როგორც მთლიანობაში ეკონომიკური ანალიზის ნაირსახეობა) - ფინანსური მენეჯმენტის მთავარი ინსტრუმენტია. მართვაში ეკონომიკური ანალიზის როლისა და მნიშვნელობის თეორიული პოზიციებიდან ბოლომდე შეუფასებლობა და როგორც შედეგი, მისი პრაქტიკაში მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის სახით არასაკმარისად გამოყენება, მართვის ბოლომდე შეუფასებლობის ტოლფასია, აქედან გამომდინარე ყველა ნეგატიური შედეგებით.

3. თანამედროვე პირობებში სულ უფრო გაართულებადი ტექნოლოგიების, საზოგადოებრივ წარმოებაში და ფინანსურ სექტორში ორგანიზაციული ურთიერთობების ფორმირების პირობებში სისტემური, სიღრმისეული და ყოველმხრივი ეკონომიკური ანალიზის გარეშე ნებისმიერი ორგანიზაციის, მათ შორის კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტური მართვის უზრუნველყოფა შეუძლებელია.

4. ეკონომიკური ანალიზი საბანკო სპეციალისტების უმეტესობისათვის და არა მხოლოდ მენეჯერებისათვის პრაქტიკული საქმიანობის სავალ-

დებულო სფერო უნდა გახდეს.

5. საქართველოს კომერციულ ბანკებს დღეს საკმაოდ კარგი თეორიული საფუძველი და საწარმოების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის მეთოდების ანალოგები გააჩნიათ, რომლებიც შეიძლება ბანკის ეკონომიკური ანალიზის მეთოდების საფუძველში ყოფილიყო ჩადებული, მაგრამ სამწუხაროდ, დღევანდელი საბანკო სისტემისათვის ისინი გამოუყენებადებია და რომ ქვეყნის კომერციული ბანკების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების გამოუყენებელი შესაძლებლობები ახლებურად უნდა იქნას შეფასებული.

6. კომერციულ ბანკებში ეკონომიკური ანალიზისადმი არასაკმარისი ყურადღების ძირითად მიზეზებს წარმოადგენენ: კომერციული ბანკების მესაკუთრეების მიერ კაპიტალის საკუთრებაში შექმნისა და ფორმირების სპეციფიურობა ანუ არალეგალური ხერხების გამოყენების შესაძლებლობა; ქვეყნის ძირითად კომერციული ბანკების შედარებით „სითბურ“ პირობებში არსებობა, რის შედეგად ისინი დამატებითი სიძნელების გარეშე მაღალ პროცენტულ მარჟას და საკომისიოებს ღებულობენ.

7. კომერციული ბანკების, ეკონომიკური ანალიზის საკითხისადმი სათანადო ყურადღების გარეშე, ხარისხიანი მართვა და მათი საქმიანობის შესაბამისი ეფექტიანობის უზრუნველყოფა, აქედან გამომდინარე კი, ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტიკის შემადგენელი საიმედო და მდგრადი საბანკო სისტემის არსებობა, შეუძლებელია.

რაც შეეხება საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის პრობლემებსა და განვითარების საკითხებს, შეიძლება აღინიშნოს, რომ ცნობილი მეცნიერების თითქმის არც ერთ ნაშრომში საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის არსებობის შესახებ არ არის საუბარი. ჩვენი მოსაზრებით, ისეთი თეორიის დამუშავება, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის საერთო თეორიებისა და საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდისას შორის შემაკავშირებელი იქნებოდა, მეტად აქტუალურად გვესახება [2, გვ. 25-28].

ჩვენი მოსაზრებით საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის საგანის განსაზღვრაში ეკონომიკის განსაკუთრებული სპეციფიკური სფერო უნდა არსებობდეს, რომელიც მხოლოდ სააღრიცხვო ფუნქციისათვის არის დამახასიათებელი. მეცნიერებას ისევე, როგორც პრაქტიკასაც, მიზნად საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მოვლენების სამართლიანი ღირებულების გაზომვა აქვს დასახული. შემოთავაზებულია საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის საგანის ავტორისეული შემდეგი სახის განმარტება: საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის საგანს სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს, რომელიც საბანკო სამართალურთიერთობების მონაწილეებს შორის ფულადი სახსრების მოზიდვის, განთავსებისა და ანგარიშსწორებების ჩატარების პროცესში საბანკო

საქმიანობის განხორციელებისას აღრიცხვის ობიექტების შეფასებისათვის ფორმირდება, განისაზღვრება და გამოიყენება.

რაც შეეხება საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდს, უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო საქმიანობის სპეციფიკა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი საბანკო აღრიცხვის განსაკუთრებული პრინციპის არსებობის შესახებ საუბრის შესაძლებლობას იძლევა, ისეთის როგორიცაა „ყოველდღიური ბალანსის პრინციპი“ ან შეიძლება ვუნოდოთ „საანგარიშგებო პერიოდის (ერთი დღის) იდენტიფიკაციის პრინციპი“. ანუ შეიძლება აღინიშნოს, რომ საბანკო დანესებულება ერთადერთია მსოფლიოში, რომელსაც - ყოველდღიური ბალანსი გააჩნია, იგი ძირითადად სხვისი სახსრების ხარჯზე მუშაობს და კლიენტების სახსრებს მათთვის დაუკითხავად საკუთარი რესურსებით იყენებს. ძირითადი სტანდარტები, რომლებიც ანგარიშგების ფორმირებისა და წარდგენის პერიოდულობას განსაზღვრავენ, საბანკო საქმიანობის სპეციფიკას არ ითვალისწინებენ და არ აღწერენ, რომლის საფუძველს, ძირითადი საბანკო ოპერაციების შესრულების მიზნით - აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯების, გარესაბალანსო მოთხოვნებისა და ვალდებულებების მდგომარეობის შესახებ მთლიანი ფინანსური ინფორმაციის ყოველდღიურად ფლობის აუცილებლობა შეადგენს. შეთავაზებულია საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ავტორისეული განმარტება, რომ საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი - არის ელემენტების (ინსტრუმენტების) სისტემა, რომელთა გამოყენება საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის საგანის გათვითცნობიერების შესაძლებლობას იძლევა.

საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტებთან მიმართებაში, მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოსაზრებით საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტებს - საბანკო საქმიანობის განხორციელების პროცესში ჩამოყალიბებადი პროცესების ერთობლობა (ბანკის აქტივები, პასივები და საბანკო ოპერაციები და სხვები) წარმოადგენენ.

საბანკო საქმიანობის განხორციელებისას, შესრულებად ფუნქციონალურ პროცესებთან მიმართებაში, შეიძლება ობიექტების კლასიფიკაცია წარმოვიდგინოთ შემდეგი ათი ძირითადი ჯგუფის სახით: 1. ობიექტები, რომლებიც ფულადი სახსრების - ბანკის აქტივების განთავსებას ასახავენ; 2. ობიექტები, რომლებიც ფულადი სახსრების - ბანკის ვალდებულებების (ანუ პასივების) მოზიდვას ასახავენ; 3. ობიექტები, რომლებიც ბანკის საკუთარ კაპიტალს ასახავენ; 4. ობიექტები, რომლებსაც ბანკის საქმიანობის და მისი კაპიტალის ფინანსური შედეგების-შემოსავლების გადიდებისაკენ მივყავართ; 5. ობიექტები, რომლებსაც ბანკის საქმიანობის და მისი კაპიტალის ფინანსური შედეგების- ხარჯების შემცირებისაკენ მივყავართ; 6. ობიექტები, რომლებიც ბანკის გარესაბალანსო მოთხოვნებს ასახავენ; 7. ობიექტები, რომლებიც ბანკის გარესაბალანსო ვალ-

დებულებებს ასახავენ; 8. ობიექტები, რომლებიც ბანკში საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის და შენახვაზე არსებულ ფასეულობებსა და დოკუმენტებს ასახავენ; 9. ობიექტები, რომლებიც სხვა საბანკო საქმიანობის-საბანკო ოპერაციების განხორციელებას უზრუნველყოფენ; 10. ობიექტები, რომლებიც საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელ რისკებს ასახავენ.

საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის საგანისადმი, მეთოდისადმი და ობიექტებისადმი დამახასიათებელი ზემოთ აღნიშნული სპეციფიკური თავისებურებების შედეგი წარმოადგენს სახელმწიფოს საბანკო სისტემაში აღრიცხვის ადმინისტრირების, ნორმატიულ-სამართლებრივი და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური რეგულირების პრაქტიკის სრულად განსაკუთრებულ სისტემას.

ჩატარებული კვლევებისა და ავტორების პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული გვაქვს შემდეგი სახის მოსაზრებები, როგორებიცაა:

1. პრაქტიკულად ბუღალტრული აღრიცხვის საერთო თეორიის მიხედვით ყველა ავტორი კატეგორიების ერთიანი ნაკრებით (ბუღალტრული აღრიცხვის საგანი, მეთოდი, ობიექტი) ოპერირებენ, რომლებიც ერთობლობაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთოთეორიულ სისტემას შეადგენენ. ამასთან ერთად ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ მეცნიერების საკვანძო თეორიული მდგომარეობის გაგებაზე მეცნიერების შეხედულებებში, როგორც მისი არსისა და შემადგენლობის, საგანსა და ობიექტის, მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის განსაზღვრაში განსხვავებებია გამოვლენილი, რაც ბუღალტრული აღრიცხვის პერსონიფიცირებული თეორიების არსებობის შესახებ საუბრის შესაძლებლობას იძლევა.

2. საერთო თეორიების მიხედვით, მეცნიერთა ნაშრომები საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის თეორიების არსის შესახებ ინფორმაციებს არ მოიცავენ. ამასთან ერთად, საგანის, მეთოდისა და ობიექტის ყველა განსაზღვრა სანარმოს სამენარმო საქმიანობისადმი გამოყენებაში შეისწავლება; მეთოდის ელემენტები და მათი დახასიათება სანარმოს საქმიანობის სპეციფიკას გამოხატავენ (ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმა სანარმოებისათვის, ანგარიშგება სანარმოებისათვის, ქონების ინვენტარიზაცია სანარმოებში, დანახარჯების კალკულაცია სანარმოებისათვის და ა.შ.); ობიექტების აღრიცხვის კლასიფიკაცია სანარმოების საქმიანობის გათვალისწინებითაა წარმოდგენილი.

3. ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ სასწავლო ლიტერატურის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბანკების თავისებურებებისადმი გამოყენებით ყველაზე დამუშავებულებად შეიძლება ჩაითვალოს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ელემენტები, ისეთები როგორიცაა: ანგარიშების გეგმა, ანგარიშგება, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები. კატეგორიის ერთიანი მთლიანი სისტემის შესახებ, რომე-

ლიც საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის ჩამოყალიბებული სისტემის არსებობის შესახებ მტკიცების შესაძლებლობას მოგვცემდა, არ არსებობს.

4. შემოთავაზებულია საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის თანამედროვე თეორიის შექმნის საკითხი, რომელიც, ჩვენი მოსაზრებით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთო თეორიის კატეგორიის სისტემასა და საბანკო საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდის შორის შემაკავშირებელი რგოლი იქნებოდა, რაც ბანკებში აღრიცხვის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულების სახით მისი განხილვისათვის მეტად აქტუალურად გვესახება. საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის საფუძველს აღრიცხვის საგანი, მეთოდი და ობიექტები შეადგენენ. თეორიის ფუძემდებლური კატეგორიის (აღრიცხვის საგანის, მეთოდის, ობიექტების) განსაზღვრებები, ასევე საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდისა და ობიექტების ელემენტების კლასიფიკაცია სტატისის ტექსტშია მოყვანილი.

კომერციული ბანკების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ნათლად გამოხატული სპეციფიკა საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის საგანის, ობიექტებისა და მეთოდების შესაბამის სპეციფიკურებას განაპირობებენ, რომლებიც ერთი მხრივ, ბუღალტრული აღრიცხვის როგორც საერთო, ასევე კერძო თეორიის ატრიბუტებს წარმოადგენენ, ხოლო მეორე მხრივ, მხოლოდ ბანკების საქმიანობისათვის დამახასიათებელი შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნიათ [3, გვ. 454-456].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულების გათვალისწინებით შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. აღნიშნულია, რომ ეკონომიკურ ანალიზს კომერციული ბანკების საქმიანობის მართვაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება, რამდენადაც მის გარეშე ეფექტური, ეკონომიკურად დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების, ბანკის საქმიანობის ობიექტური შეფასება შეუძლებელია.

2. ხაზგასმულია, რომ კომერციული ბანკების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიაში, მეთოდიკაში და ორგანიზაციაში ამჟამად მრავალი პრობლემა არსებობს, რომლებიც გადაჭრას ელოდებიან.

3. ყურადღება გამახვილებულია, რომ საბანკო ბუღალტრული აღრიცხვის საგანის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი მეშვეობით ღირებულების განსაკუთრებული სახეობის გაზომვისა და ფორმირების უზრუნველყოფა ხორციელდება, რომელსაც შეიძლება ბუღალტრული ანუ სააღრიცხვო ღირებულება ეწოდოს, რომელიც ჩვენი მოსაზრებით, ასევე ფაქტიურ, შეთანხმებულ და სამართლიან ღირებულებასაც წარმოადგენენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ვლ., ცაავა გ. კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. 500 გვ.

2. ბურდიაშვილი რ. ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში. თბილისი, გამომცემლობა „პოლიგრაფისტი“, 2013. 400 გვ.

3. ცაავა გ., სიჭინავა ა., ხანთაძე გ. კორპორაციული ფინანსები (ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია), სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016. 724 გვ.

4. Шербакова Г.Н. Теоретические основы экономического анализа деятельности коммерческих банков. Москва, журнал «Аудит и финансовый анализ», 2016. С. 24.

5. Панков Д.О., Стефанович Л.И. Теория банковского бухгалтерского учета: проблемы и развитие. Беларусь. (Электронный ресурс) / ООО «ЮрСпектр». Минск, 2016. 193 – 205 с.

სახელმწიფო მართვის მექანიზმების სრულყოფის საკითხები უძრავი ქონების ბაზრის ბიზნესის განვითარებისათვის

გრიგორ ხოფერია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
მურმან ბაქრაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

1. ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე სტატიის მიზანია გამოიკვლიოს საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის (შემდგომში – უ.ქ.ბ.¹) განვითარების პროცესი, განსაზღვროს ძირითადი მიმართულებები, სადაც სახელმწიფო რეგულირება უ.ქ.ბ.-ს ფუნქციონირების პროცესში იქნება ყველაზე ეფექტური. ამ მიზნის მიღწევისათვის კვლევის პროცესში დაისვა შემდეგი ამოცანები:

- გამოგვევლინა სახელმწიფო რეგულირების ყველა ძირითადი მექანიზმები მოქმედი უძრავი ქონების ბაზარზე და გაგვეკეთებინა მათი სისტემატიზაცია ცალკეული მიმართულებების მიხედვით;
- დაგვედგინა სახელმწიფოს ფუნქციები და ამოცანები უ.ქ.ბ.-ზე;
- დაგვედგინა სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების არსებობის აუცილებლობა მიმდინარე პერიოდში და დაგვეახსნა სახელმწიფოს წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრის გზები უახლოეს პერიოდში.

2. სახელმწიფო რეგულირების როლი და ფუნქციები უძრავი ქონების ბაზარზე

უ.ქ.ბ.-ს სახელმწიფო რეგულირების სისტემა შედგება ორი ელემენტისაგან:

- 1) სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები და ორგანიზაციები;
- 2) სახელმწიფო და სხვა ნორმატიული აქტები; ორგანიზაციულად უ.ქ.ბ.-ს სახელმწიფო რეგულირების სისტემა გვევლინება ორი სახით:
 - 1). პირდაპირი ჩარევის ფორმით, ანუ ადმინისტრირების ფორმით;
 - 2). ირიბი ზემოქმედების, ანუ ეკონომიკური მართვის მეთოდებით.

პირდაპირი **ადმინისტრირების ფორმით** მმართველობა გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის შექმნას — კანონების, დადგენილებების, ინსტრუქციების, წესების, დებულებების, ბრძანებების გამოშვებას, რომლებიც არეგულირებენ უძრავი ქონების ბაზარს ცენტრში და რეგიონებში;
- სტატუსის მინიჭებას უძრავი ქონების ბაზრის პროფესიული მონაწილესათვის (აკრედიტირება, ლიცენზირება);
- უძრავი ქონების სხვადასხვა სახის საქმიანობის შინაარსის და ხარისხის მიმართ აუცილებელი მოთხოვნების ჩამოყალიბებას;
- უ.ქ.ბ.-ს მონაწილეებზე დადგენილი წესებისა

1 უ.ქ.ბ. - უძრავი ქონების ბაზარი

და ნორმების დაცვის მიზნით კონტროლის განხორციელებას;

- აკრძალვებისა და სანქციების დაწესებას მოთხოვნებიდან გარიგების დროს გადახვევის და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში;
 - ნებისმიერი უძრავი ქონების ობიექტის გამოსყიდვას სახელმწიფოს საკუთრებაში საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში.
 - სახელმწიფო ხელისუფლების ძალაზე ადმინისტრაციული მართვის დაფუძნებას, რაც მოიცავს აკრძალვას, იძულებას და ნების მიცემას. უძრავი ქონების მართვა ითვალისწინებს ქმედებების განხორციელებას შემდეგი ეკონომიკური მეთოდებით:
 - ქონების დაბეგვრის და შეღავათების სისტემის ჩამოყალიბების ხარჯზე (დაბეგვრის განაკვეთები და მათგან განთავისუფლება);
 - საალრიცხვო განაკვეთის რეგულირებით;
 - აქციების, ობლიგაციების, საბინაო სერტიფიკატების გამოშვებით და ბრუნვაში გაშვებით;
 - სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების რეალიზებით, მათ შორის, სუბსიდიების გაცემით ბინების არ მქონე მოქალაქეებისათვის;
 - საამორტიზაციო პოლიტიკით;
 - საგარეო ეკონომიკური საქმიანობით;
 - საფინანსო-საკრედიტო სფეროს საქმიანობის რეგულირების პოლიტიკით, სადაც მსგავსი პოლიტიკით რეგულირების მთავარ მიზანს წარმოადგენს უძრავი ქონების ბაზრის ორგანიზებული განვითარების პროცესებისადმი ხელშეწყობა, კერძო ინვესტიციების მოზიდვის ან უძრავი ქონების ობიექტის გირაოს ქვეშ დაბანდების გზით. მსგავსი სისტემის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენენ იპოთეკური დაკრედიტების განვითარებული ბაზარი და ასევე სახელმწიფო სტიმულირებისა და მხარდაჭერის ეფექტური მექანიზმი უძრავ ქონებაში ინვესტირების პროცესში.
- ამგვარად, აქტუალური ხდება უ.ქ.ბ.-ს სახელმწიფო ორგანიზაციული რეგულირების მექანიზმების კომპლექსური და დაბალანსებული განვითარება, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს ინტენსიური საბაზრო გარდაქმნების მხარდაჭერას, ასევე უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების მართვას.

3. უძრავი ქონების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების სისტემატიზაცია

უძრავი ქონების ობიექტის საბაზრო ღირებულება არის ღირებულებითი შეფასება უძრავი ქონების ობიექტისათვის სრულყოფილი ბაზრის პირობებში, ამასთან იგულისხმება, რომ ობიექტის სარგებლობის მიმართულება არის ყველაზე საუკეთესო და ეფექტური. იგულისხმება, რომ გარიგებაში ჩართული მონაწილეები მოქმედებენ გონივრულად და კომპეტენტურად, რადგანაც მათ ამისთვის გააჩნიათ საკმარისი დრო.

მსგავსი მიდგომების გამოყენების შედეგები წარმოადგენენ აქტუალურ სფეროებს სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი ზემოქმედების მექანიზმების შემოღებისათვის, რომლებიც მიზანმიმართული არიან ბაზრის განვითარებისკენ.

უძრავი ქონების ბაზარზე სახელმწიფო მართვის მექანიზმების სისტემატიზაცია, რაც განისაზღვრება შინაარსით და ზეგავლენის მეთოდებით, შეიძლება გავყოთ შემდეგ ორ ჯგუფად:

I. საორგანიზაციო-სამართლებრივი მექანიზმების ჯგუფი, სადაც უნდა განხორციელდეს ქმედებები შემდეგი მიმართულებებით:

- საბაზრო მექანიზმების მხარდასაჭერად საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზების ზოგადი გეგმიური განვითარება;
- სახელმწიფო საკუთრების ობიექტების გამოჯვანა სხვადასხვა დონის რეგიონალური და მუნიციპალური საკუთრების ობიექტებისაგან;
- სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებს შორის ურთიერთმოქმედების და ფუნქციების გაყოფის პირობების ჩამოყალიბება;
- უძრავი ქონების ობიექტების აღრიცხვა (ტექნიკური ინვენტარიზაცია, საკადასტრო სისტემა და სხვა). ბაზრის მონაწილეების და პროფესიონალების სტატისტიკური და სხვა საინფორმაციო — ანალიტიკური მაჩვენებლებით უზრუნველყოფა;
- პროფესიული საქმიანობის აკრედიტირება უძრავი ქონების ბაზარზე და ყველაზე ზარალიანი და ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დარგების ლიცენზირება;
- პროფესიული განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების სტანდარტების და პროგრამების შემოღება;
- პროფესიული საქმიანობის სტანდარტების შემოღება;
- ბაზარზე მომსახურეობის ხარისხის კონტროლის და სანქციების დანერგვა;
- პროფესიული საქმიანობის აუცილებელი დაზღვევის სისტემის შემოღება.

II. საორგანიზაციო — ეკონომიკური მექანიზმების ჯგუფი, სადაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონების ობიექტების ეფექტური მართვის პრობლემის აღმოფხვრა სხვადასხვა შემდეგი მიმართულებებით:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, შემოსავ-

ლის მქონე უძრავი ქონების ობიექტებისათვის, საპრივატიზაციო პროგრამების ჩამოყალიბება, საპრივატიზაციო პროცესების ფინანსურ — ეკონომიკური პირობების ჩართვით;

- სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი იჯარით გასაცემი ობიექტებისათვის სასტარტო ფასების წესის ჩამოყალიბება და მათ საიჯარო ხელშეკრულებების ფინანსურ-ეკონომიკური პირობების (საფასურის გადახედვა და ინდექსაცია, ასევე ფასის სიდიდის დადგენა იჯარით გაცემული უძრავი ქონების გამოსყიდვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით);
- შეფასების მეთოდების სტანდარტის შემოღება, მათ შორის სახელმწიფო მესაკუთრისათვის განხორციელებული გარიგების შემთხვევებისათვის, ასევე საარბიტრაჟო პროცედურებთან და დაბეგვრასთან დაკავშირებით, გაკოტრებასთან და იძულებით გამოსყიდვასთან დაკავშირებით და სხვა;
- აუქციონის და საინვესტიციო კონკურსების ჩატარებისათვის აუცილებელი ფინანსურ — ეკონომიკური და საორგანიზაციო პირობების ჩამოყალიბება (ლოტის შემადგენლობა და სტრუქტურა, გაყიდვის სასტარტო ფასის დადგენა, ვაჭრობის ჩატარების წესები და გამარჯვებულის გამოვლენა, ინვესტირების წესები) და ა.შ.

4. უძრავი ქონების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა (დასკვნების მაგიერ).

ჩატარებული კვლევის მიხედვით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

დღესდღეობით ეროვნული უ.ქ.ბ.-ს ჩამოყალიბებასა და განვითარებას თან ახლავს, როგორც რიგი პოზიტიური, ასევე ნეგატიური ფაქტორების ზეგავლენა. რიგი პოზიტიური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ უძრავი ქონების ბაზრის მართვას წარმოადგენენ შემდეგი ფაქტორები:

- უძრავი ქონების ობიექტებზე კერძო საკუთრების უფლების შემოღება;
- უძრავი ქონების ობიექტების მასიური პრივატიზების ჩატარება;
- უძრავი ქონების ობიექტების მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმება;
- საბაზრო ფასწარმოქმნის ღირებულების მექანიზმის შემოღება;

აქ ჩამოთვლილმა ყველა ფაქტორებმა შექმნა სასტარტო წინაპირობები უ.ქ.ბ.-ს ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარებისათვის, თუმცა, რიგი დადებითი პოზიტიური მიღწევების მიუხედავად უ.ქ.ბ.-ს განვითარება მიმდინარეობს უსისტემოდ და შეუდარებლად ნელი ტემპებით.

ჩატარებული კვლევის შედეგებმა დაგვანახა, რომ სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების არსებობა საქართველოს უ.ქ.ბ.-ზე დღესაც რჩება აქტუალური. ჯერჯერობით არ არის უზრუნველყოფილი ყველა მექანიზმების ჩართულობა ბაზრის მდგრადი განვითარებისა და წინსვლისთვის.

საქართველოში უ.ქ.ბ.-ს განვითარებისათვის მოკ-

ლევადიან პერიოდში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი მექანიზმების ჩართულობა, როგორცაა: ორგანიზაციულ — სამართლებრივი მიმართულებით:

- უ.ქ.ბ.-ზე შემფასებლობითი საქმიანობის ლეგალურად არსებობის საკითხი, საქართველოში შემფასებლობითი საქმიანობის წარმოებისა და რეგულირების საკანონმდებლო აქტის მომზადებისა და მიღების გზით;

- უ.ქ.ბ.-ზე სერვეინგური საქმიანობის შემოღებისა და ლეგალურად არსებობისათვის საკანონმდებლო აქტების პაკეტის მიღება, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაზრო კონიუნქტურიდან და უძრავი ქონების ობიექტების მდგომარეობიდან და პოტენციალიდან გამომდინარე, შეურჩევნ ხერხს, რომელიც შესაძლებელს გახდის მაქსიმალური სარგებლის მიღებას გასაყიდი ან გასაქირავებელი უძრავი ქონების ობიექტებისგან;

- და ბოლოს სასწრაფო აუცილებლობას წარმოადგენს, უ.ქ.ბ.-ს შესახებ კანონის მიღება, რომელშიც უნდა იყოს განსაზღვრული მკაფიოდ და ყველა მონაწილეებისათვის გასაგები განმარტებები და ტერმინები, ასევე უძრავი ქონების ბაზარზე გასატანად გამზადებულ ობიექტს მისი ტექნიკური პარამეტრებისა და სამომხმარებლო თვისებების სტანდარტი. აქვე უნდა იყოს ჩამოყალიბებული ბაზრის ყველა პროფესიული მონაწილის ან ბიზნესის საქმიანობა და ქცევის (ეთიკის) კოდექსი, ასევე უ.ქ.ბ.-ს სახელმწიფო და არასამთავრობო საზოგადოებრივი რეგულირების ჩარჩოები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Grigori Khoveria. "Real Estate Valuation Textbook". Tbilisi, Ministry of Education and Science of Georgia (e-version), 2015.
2. N.V. Bulanova. Real Estate Market: Current Situation and Development Prospects. Moscow, International Academy of Business Valuation and Consulting, 2004
3. V. Borovkova, V. Borovkova, V. Mokin, O. Pirogova. "Real Estate Economics", St. Petersburg, 2007
4. S.N. Maksimov. "Real Estate Economics Tutorial". St. Petersburg, Saint Petersburg State University, 2006
5. E. I. Tarasevich. "Real Estate Valuation", Moscow, MKS Publishing House, 2007
6. N. M. Rozanova. "Sectoral Markets Theory". Part 1. Academic Baccalaureate Textbook. Moscow, UWrite, 2017
7. "Real Estate Economics and Management". Textbook for institutions of higher education/Edited by G. Grabovsky. Moscow, ACS, 2008

ISSUES OF IMPROVEMENT OF STATE CONTROL MECHANISMS FOR REAL ESTATE MARKET IN GEORGIA, AIMED AT ENHANCED DEVELOPMENT OF BUSINESS TECHNOLOGIES

Georgian Technical University,
Prof. Murman Bakradze, Ph.D
Georgian Technical University,
Prof. Grigori Khoveria, Ph.D

The authors of the paper have studied the processes of formation and development of the real estate market in Georgia and identified the main directions where the state regulation of the real estate functioning process is deemed to be most effective. The investigation of the real estate market implied defining the role and functions the state regulation will be given in this sector of the national economy. The conclusions indicative of the necessity of the continuation of exercising state regulation have been drawn based on systematization of the set of regulation mechanisms, study of their content and directing their favorable impact at further development of business technologies.

ВОПРОСЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ ГОСУДАРСТВЕННЫХ МЕХАНИЗМОВ УПРАВЛЕНИЯ РЫНКА НЕДВИЖИМОСТИ В ГРУЗИИ ДЛЯ РАЗВИТИЯ ТЕХНОЛОГИЙ БИЗНЕСА

Мурман Бакрадзе
Грузинский технический университет, профессор
Григорий Хоперия
Грузинский технический университет, профессор

Авторы статьи исследовали процессы становления и развития рынка недвижимости в Грузии, определив основные направления, где государственное регулирование процесса функционирования рынка недвижимости будет наиболее эффективным. Исследование рынка недвижимости проводилось с установления роли и функций государственного регулирования этой отрасли экономики. Выводы о необходимости продолжения государственного регулирования основаны на систематизации группы механизмов регулирования и изучении их содержания и направления воздействия на развитие технологий бизнеса.

ფინანსური მენეჯერის როლი ბიზნესში

ელგუჯა კონჯარია

ეკონომიკის დოქტორი. ასოცირებული პროფესორი. ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი.

რეზიუმე

ფინანსური საქმიანობის სფერო ერთ-ერთი რთული და, ამასთან, ძალიან ფაქიზი სფეროა იმისათვის, რომ წარმატებებით მართო ფინანსურ ურთიერთობათა სისტემა, მათ შორის საწარმოს დონეზე, ფინანსისტი და საერთოდ, მენეჯერი კარგად უნდა ერკვეოდეს მის მიერ შერჩეული სფეროს საქმიანობაში, იცოდეს მისი სპეციფიკა, შეეძლოს სწორედ გამოიყენოს ფინანსური ბერკეტები მეურნეობის მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად.

ფინანსური მენეჯერი პასუხისმგებელია ფულად საშუალებებზე, სალაროს ანგარიშებზე, რეგისტრაციის გადასახადზე, ბიუჯეტის შექმნასა და დაგეგმვაზე, ფინანსური უწყისების მომზადებაზე, საარქივო დოკუმენტაციის დახარისხებასა და ორგანიზებაზე. მან უნდა უზრუნველყოს აქციონერებისათვის მიღებული სარგებლის – დივიდენდის გაცემა, ინვესტირებულ კაპიტალთან შესაბამისობაში. კვარტი ფინანსური მენეჯერი არის მონესრიგებული, თანმიმდევრული და საიმედო.

საკვანძო სიტყვები. მენეჯმენტი, ფინანსები, კაპიტალი, მოგება, ინვესტიცია.

FINANCIAL MANAGER'S ROLE IN BUSINESS

Elguja Konjaria

Financial activities sphere is the most difficult and the most delicate at the same time for ruling financial communicative system, in enterprises and financial sphere.

Manager must know its own job and should be able to use level to get success.

Financial manager is responsible in financial abilities, in accountant, fees of registration, to create and plan budget.

He must ensure stockholders', archives' documents sorting and organizing.

Good manager is organized, consistent and hopeful.

keywords. Management, Finance, Capital, Profit, Investment.

* * * *

მსოფლიო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კერძო სექტორის როლის ზრდასთან ერთად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საწარმოო მენეჯმენტი. საწარმოს მართვა და საწარმოს ფინანსების სწორი გამოყენება ზოგადად, საწარმოს წარმატებული ფუნქციონირების საწინდარია.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ სწორი საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაზე შესაძლებელია ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა და მისი შემდგომი აღმავლობა. ფინანსები ვერ ეგუება დილეთანტობას. ნებისმიერ საწარმოს პრესტიჟიც საბოლოო ჯამში განისაზღვრება არა მომუშავეთა რიცხოვნობითა და წარმოებული პროდუქციის მოცულობით, არამედ მისი ფინანსური სტაბილურობით.

საწარმოს ფინანსური მართვა მიეკუთვნება საწარმოების საქმიანობისა და კონტროლის უზრუნველყოფის შინაგან საშუალებას.

ნებისმიერი ფირმის, საწარმოს ფულადი ურთიერთობების მართვა გულისხმობს მათი საქმიანობის საწარმო და ფინანსური მიმართულებების შეფასებას, მატერიალური და ფულადი რესურსების მოძიებისა და მობილიზაციის, მათ სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის ურთულესი პროცესების შესწავლას.

ფინანსური მენეჯმენტის მიზანია, ხელი შეუწყოს და მიაღწიოს კომპანიის მფლობელთა კეთილდღეობის ამაღლებას ან კაპიტალის გაზრდას, რომელიც ჩადებული აქვთ მფლობელებს. ფინანსური მენეჯმენტის მიზნებს წარმოადგენს, აგრეთვე მოგების მაქსიმიზაცია, ხელმძღვანელი მუშაკების შემოსავლების გაზრდა, სხვა მთელი რიგი სოციალური ამოცანების შესრულება. ინვესტიციურ გადაწყვეტილებათა მიღების და მათი ფინანსირების წყაროების შერჩევის დროს ფინანსური მენეჯმენტის ამოცანაა პრიორიტეტების განსაზღვრა და კომპრომისის პოვნა ამ საკითხების და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების ოპტიმალური თანაფარდობის მისაღწევად.

ფინანსური მენეჯმენტის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მენეჯერებისა და ბიზნესმენებისათვის, განსაკუთრებით დღეს, როდესაც საბაზისო ეკონომიკაზე გადასვლამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

ცნობილია, რომ ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილება ცვლის საწარმოს მდგომარეობას ფინანსურ ბაზარზე. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფინანსური მენეჯერი, რომელსაც მაღალი კვალიფიკაცია, შემოქმედებითი აზროვნება და ზუსტად ურთიერთმოქმედებს სხვა ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ ფიგურას წარმოადგენს ფირმაში, მის მიერ შესრულებული ფუნქციები მეტად რთული, შრომატევადი და მრავალმნიშვნელოვანია. ფინანსური მენეჯერი, როგორც ანალიტიკოსი და ერთუდიტი, პასუხს აგებს ფირმაში მიღებულ მნიშვნელოვან ტექნიკურ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე.

საწარმოს ფინანსური მენეჯერის წინაშე დგას ორი მთავარი ამოცანა.

1. საწარმომ რა თანხა უნდა გაილოს საინვესტიციოდ და რა სახის აქტივებზე?

2. როგორ შევძლოთ ინვესტიციისათვის აუცილებელი ფულადი საშუალებების მიღება.

ჭეფინასური მენეჯერი ცდილობს ეს ამოცანები გადაჭრას ისე, რომ მაქსიმალურად გაუმჯობესოს აქციონერთა ფინანსური მდგომარეობა.

წარმატების კრიტერიუმად ხშირად გამოდის ღირებულება. ნებისმიერი გადანყვეტლება რომელიც გაზრდის საწარმოს აქციონერთა წილის ღირებულებას, შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულ გადანყვეტლებად. ჭეფინასურმა მენეჯერმა უნდა იცოდეს რომ ფინანსური მართვის წარმატების საიდუმლოება მდგომარეობს ღირებულების გადიდებაში. ე.ი. აუცილებელია „ვიყიდოთ იაფად გავყიდოთ ძვირად“. იმისათვის რომ დაძლეულ იქნეს ეს პრობლემა, საჭიროა და აუცილებელი ფინანსების ოპტიმალური მართვის უზრუნველყოფა, რომლებიც ფინანსურ მენეჯერს მიიყვანს ფინანსურ წარმატებაში.

შეგვიძლია გამოვყოთ ფინანსური მენეჯერის ძირითადი ფუნქციები:

ფინანსური ანალიზი და დაგეგმვა ფინანსური ანგარიშების მაჩვენებლების საფუძველებზე, ბუღალტრული ანგარიშის მონაცემების შეკრება ფინანსების შიდა მართვისთვის და გარე სარგებლობისთვის;

ხანგრძლივადიანი ინვესტიციური გადანყვეტლებების მიღება; აქტივების ყველაზე უფრო ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა, მათი შეცვლის, ლიკვიდაციის და სხვა გადანყვეტლებების მიღება; ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვა;

ხანგრძლივადიანი გადანყვეტლებების მიღება ფინანსირების წყაროების არჩევანის და კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის ფორმირების შესახებ, კომპანიისთვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებში კაპიტალის მოზიდვის და საკუთარი და ნასესხები სახსრების ყველაზე ეფექტიანი თანაფარდობის პოლიტიკის შემუშავება;

დივიდენდების გაცემის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავება,

ფირმის საბრუნავი აქტივების მართვა (ფულადი დებიტორები, მატერიალურ საწარმო გარემოში);

კომერციულ ბანკებთან, ინვესტიციურ კომპანიებთან საფონდო მირაჟებთან და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის ოპტიმალური მოდელის ფორმირება;

ფირმის მდგომარეობის სისტემატური შესწავლა ბაზარზე და მისი პერსპექტიული და ოპერატიული მართვა,

ფირმის მყარი შემოსავლების და მენარმობის რისკის შემცირების უზრუნველყოფა;

მთელი რიგი სხვა ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების დაცვასთან (დაზღვევა), გადასახადების გადანდევინებასთან, კონსულტირებასთან, შინაგანი კონტროლის და ინფორმაციული

უზრუნველყოფის სისტემის შექმნასთან, კომპანიის რეორგანიზაციასთან და სხვა.

ჭეფინასური მენეჯერი მნიშვნელოვანი ფიგურაა ფირმაში. სტრუქტურული იერარქიის მიხედვით მას ექვემდებარება საზინადარი და კონტროლიორი, პრაქტიკული გაგებით, ფინანსური მენეჯმენტი გაგებულია უფრო ფართოდ, ვიდრე საკითხების ფინანსური ბლოკი.

ჭეფინასური მენეჯერის როლი და საქმიანობა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ.

ფულადი საშუალებების მოძრაობა ინვესტიციებიდან ფირმისაკენ და პირიქით, ფირმიდან ინვესტორებისაკენ. ჭეფული მიემართება რეალური აქტივების შესასყიდად, რომელთაც საწარმოს საქმიანობისათვის გამოიყენებენ. შემდეგ კი თუ ფირმა წარმატებით საქმიანობს, რეალური აქტივები იძლევა ფულადი სახსრების უფრო მეტი ოდენობით მიზიდვის საშუალებას. დაუშვათ ფირმას გადაყვეტილი აქვს წარმოების გაფართოების პროგრამის დაფინანსება ობლიგაციის ემისიით. ჭეფინასურმა მენეჯერმა უნდა განიხილოს ობლიგაციის არა მარტო გამოშვების პირობები. არამედ უნდა დარწმუნდეს მისი დასაბუთებული ფასის დაწესებაში. ამასთან მან უნდა გაითვალისწინოს ერთი მომენტი. აქციონერები ამ ოპერაციით ე.ი. დამატებითი რეალური აქტივების შექმნითა და სამეურნეო მოქცევით უფრო მდიდრები თუ ღარიბები გახდებიან, რადგან ფინანსური მენეჯერის გული საქმიანობა მიმართულია საწარმოში აქციონერთა ინვესტიციების ღირებულების გადიდებისაკენ.

ამრიგად, ფირმაში თუ საწარმოში ფინანსურმა მენეჯერმა უნდა გადაჭრას ორი ძირითადი პრობლემა:

1. თუ როგორ მოახდინოს საწარმოს ღირებულების ზრდა ფინანსური გადანყვეტლებების მეშვეობით და
2. საინვესტიციო გადანყვეტლებების შეფასებისას როგორ მოახდინოს საწარმოს კაპიტალის სტრუქტურის გათვალისწინება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. რ. კაკულია, გ. ხელაია, ფულის მიმოქცევის და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ.2003
2. დ. გადელია, ფინანსური მენეჯმენტი, თბ. 2006
3. მ. თეთრუაშვილი, ი. თეთრუაშვილი ფინანსური მენეჯმენტი, გორი 2007
4. ნ. ქიქოძე, თ გუგუშაშვილი ფინანსური მენეჯმენტი ქუთაისი 2007წ
5. რ. გოგოხია საბაზისო ეკონომიკა, თბ. 1996

აუდიტორები საჯარო სექტორის შესყიდვებთან ურთიერთობისას ტენდერის პირობების მათ კრიტიკიკითა და მოკვების პრაქტიკას უნდა განვიხილოთ

მურად ნარსია

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სერთიფიცირებული აუდიტორი, ქონების სერთიფიცირებული შემფასებელი, აუდიტორული კომპანია „პრიმა აუდიტი“-ს პარტნიორი

მ.ნარსიას აუდიტორული შემონმების მომსახურებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვების პროცესზე დაკვირვების შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე გაკეთებული აქვს დასკვნები ამ სეგმენტში არსებულ სიტუაციაზე, რომლებიც გახდა ავტორის მიერ რეკომენდაციების შემუშავების საფუძველი. არსებითია, რომ ავტორის კვლევის შედეგები გაითვალისწინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა და გამოსცა რეკომენდაციები აუდიტორულ ბაზარზე დასაქმებული კომპანიებისა და სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების საყურადღებოდ.

საკვანძო სიტყვები:

- ტენდერი აუდიტორული შემონმების მომსახურებაზე;
- დემპინგური ფასის შეთავაზება აუდიტორული შემონმების მომსახურებაზე;
- პირდაპირ დამოკიდებულებაშია აუდიტორული შემონმების განმარტოვებული აუდიტორული კომპანიის საქმიანობის დამოუკიდებლობასთან;
- „ფასის დაგდება“;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა გამოსცა შესაბამისი რეკომენდაციები;
- კურიოზული იყო SPA170000181 ტენდერის მენეჯმენტის მოქმედება;

SOME SUBSTANTIAL ASPECTS RELATED TO PROCUREMENT OF AUDIT SERVICES IN THE PUBLIC SECTOR

Murad Narsia

M. Narsia has made conclusions on the situation in the segment, which has become the basis for the recommendations of the author, based on analysis and evaluation of the results of the public procurement related to the audit inspection service. It is essential that the results of the author's research were taken into consideration by the Accounting, Accounting and Audit Office of the Ministry of Finance of Georgia and issued recommendations for the attention of companies and public procurement organizations employed on the audit market.

Keywords:

- Tender on audit inspection services;
- Offering Demanding Price for Audit Checking Services;
- It is directly dependent on the independence of the audit company's activities to audit the audit;
- "Pricing";
- The Ministry of Finance of Georgia accounting, reporting and audit supervision service issued relevant recommendations;
- Curiosity was with the SPA170000181 tender management;

* * * * *

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ ახალმა (2016 წლის 8 ივნისს მიღებული) კანონმა კვალიფიციური და გამოცდილი აუდიტორების უმეტესობა პროფესიისაკენ შემოაბრუნა. გაიზარდა მოთხოვნილება აუდიტორულ მომსახურებაზე, რადგანაც მრავალჭირგამოვლილ ბიზნესს უკვე აღარ აქვს შემოსავლების ტოტალურად დამალვისა და გაურკვეველ გარემოსა და რისკების ზონაში საქმიანობის სურვილი. გარდა ამისა, ამ კანონმა ახალი ვალდებულებები წარმოშვა აუდიტორული შემონმების მომსახურების მიმღებთა მიმართ და ისინი აქტიურად მიმართავენ კვალიფიციური აუდიტორული მომსახურების მიღების პრაქტიკას. ამ პროცესს მხარი აუბეს აუდიტორული საქმიანობის პროფილის პროფესიულმა ორგანიზაციებმა, აუდიტორულმა კომპანიებმა და აუდიტორებმა. საზოგადოდ, აუდიტორულ ბაზარზე პროფესიული ნორმების, პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის ამკარად გამოკვეთილი ფაქტები არ შეინიშნება, თუმცა, საჯარო სექტორში აუდიტორული შემონმების მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით, კვლავ რჩება სერიოზული პრობლემები, რომელიც მთელი რიგი გარემოებებითაა განპირობებული.

დაახ, სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების (სსიპ-ები, ა(ა)იპ-ები, შპს-ები) საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სერიოზულ გადაცდომებს უშვებს აუდიტორული შემონმების მომსახურების მიღების მიზნით ორგანიზებული ტენდერის ყველა სტადიაზე. ჩვენი დაკვირვებით, საჯარო დაწესებულებების მხრიდან ამ მომსახურების შესყიდვისას,

გამოვლენილი განუკითხაობისა და ზოგჯერ თვით-ნებობის ფაქტები განპირობებულია: 1. შემსყიდველების არაკომპეტენტურობითა და ამ შესყიდვის ობიექტის მიმართ ზერელე დამოკიდებულებით; 2. შემსყიდველების მხრიდან მათთვის სასურველი აუდიტორული კომპანიის შერჩევისა და მისი გამარჯვების უზრუნველყოფელი კომფორტული „დერეფნის“ მომზადების მიზნით ისეთი არაადექვატური ტექნიკური დავალების ჩამოყალიბებით, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს შესაბამის ტენდერზე კვალიფიციური პრეტენდენტების მონაწილეობის შესაძლებლობას, მკვეთრად ამცირებს კონკურენციას და ზოგჯერ ისეთ დონეზეც კი, რომ ტენდერში მონაწილეობას ახერხებს მხოლოდ ერთადერთი აუდიტორული კომპანია, რადგან შემსყიდველის მიერ ტექნიკურ დავალებაში მოცემული შერჩევის კრიტერიუმები სრულ შესაბამისობაშია (მორგებულია) იმ ერთადერთ მონაწილე პრეტენდენტის მონაცემებთან.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემაში განთავსებულმა შემდეგმა ტენდერებმა: SPA170002435; SPA170001541; SPA170000181; SPA160026763; SPA160027289; SPA1700009575; SPA170000556; SPA160026304. დაკვირვების პროცესში ამ შემსყიდველებს, სისტემის მეშვეობით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, ვუსვამდით კითხვებს და ვაფასებდით რეაგირებას, ვთხოვდით კორექტირების შეტანას სატენდერო დოკუმენტაციაში. ამ თვალსაზრისით ყველაზე კუროზული იყო SPA170000181 ტენდერის მენეჯმენტის მოქმედება, სადაც ჩვენს მიერ დასმულ იქნა 17(15) შეკითხვა, რომელთა შორის ვფიქრობ საყურადღებოა მე-17 შეკითხვა: „ 17. ხომ არ ემსახურება ტექნიკური დავალების 4.1; 4.2 და მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული მოთხოვნები მომწოდებელთა მკვეთრად შემცირებასა და სასურველი პრეტენდენტის მონაცემებთან მორგებას? კითხვა იქედან გამომდინარეობდა, რომ წინასწარ იყო შესაძლებელი იმ აუდიტორული კომპანიის დასახელება ვისთვისაც ამზადებდა შემსყიდველი „კორიდორს“, მაგრამ დასახელებისაგან თავს შევიკავებთ, რადგან ის აუდიტორულ ბაზარზე კეთილსინდისიერი მოთამაშეა. როცა ასე იქცევა კანონით გამყარებული მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხის მქონე სსიპ-ი, ვფიქრობთ ის არ შეიძლება არ იქცევდეს ყურადღებას. რაც შეეხება აღნიშნული ტენდერის შედეგს, ჩვენს მიერ სისტემაში განთავსებული ვარაუდი დოკუმენტურად დადასტურდა.

ზემოაღნიშნული ტენდერებიდან ყურადღება კიდევ ერთმა გარემოებამ მიიპყრო. ჩვენი ზოგიერთი კოლეგა დემინგურ ფასს სთავაზობს შესყიდვის იმ ობიექტებს, რომლებისთვისაც ხარისხიანი აუდიტორული მომსახურების მიწოდება ითხოვს მაღალი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და რეპუტაციის აუდიტორების ჩართულობას. ასე მაგალითად, SPA170000957 ტენდერზე შემსყიდველს ორი (2015-

2016) წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების მომსახურება სჭირდებოდა, რომელიც მოიცავდა ფინანსური ანგარიშგებისა და საგადასახადო აუდიტის მომსახურებას და ანგარიშების ინგლისურად გამოცემას, სადაც მონაწილეობა მიიღეს ისეთმა აუდიტორულმა კომპანიებმა, როგორებიცაა ბიდიო, ბეიკელ ტილი ჯორჯია, გრანთორტონ ახვლედიანი. ამ შემსყიდველის ორივე წლის ბრუნვა შეადგენდა თითქმის 1,2 მლრდ ლარს. ზოგიერთმა კომპანიამ ამ მომსახურების მიწოდება (80 ათასი ლარის სავარაუდო ფასის პირობებში) შეთავაზეს 9,9 ათას ლარად და 10 ათას ლარად (?!). დიახ, 9,9 ათას და 10 ათას ლარად. ამ ტენდერს წინ უსწრებდა ამავა შემსყიდველის მიერ იგივე სახეობაზე გამოცხადებული SPA160027339 ტენდერი, რომელიც ეხებოდა მხოლოდ 2015 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და საგადასახადო აუდიტორული შემოწმების მომსახურების მიწოდებას, 600 მლნ. ლარის წლიური ბრუნვის პირობებში. იმ ეტაპზე, იგივე აუდიტორულმა კომპანიებმა (რომლებიც მაშინ მარტო აღმოჩნდნენ მიწოდებელ პრეტენდენტებს შორის) ამ მომსახურების მიწოდება შემსყიდველს შეთავაზეს 19 997 ლარად და 16 700 ლარად, ხოლო როცა მეორედ ერთდროულად ორი წლის აუდიტორული შემოწმების მომსახურების მიწოდებაზე გამოაცხადა შემსყიდველმა ტენდერი, თითქმის გაორმაგებული ბრუნვის პირობებში (სულ თითქმის 1200 მლნ. ლარის ბრუნვა), ამ პრეტენდენტებმა შემსყიდველს შეთავაზეს აუდიტორული შემოწმების მომსახურება გაცილებით ნაკლებ(!) ფასად, ვიდრე პირველ შემთხვევაში. ასეთი ქცევით ილახება, უფასურდება მაღალი ხარისხის აუდიტორული შემოწმებისა და აუდიტორული მომსახურების განმარტოვებული აუდიტორების/აუდიტორული კომპანიების უნიკალური აქტივი-ავტორიტეტი და პრესტიჟი, ნდობა პროფესიის მიმართ ანუ ის აქტივები, რომლებზეც დგას ეს პროფესია მთელს მსოფლიოში. ამ შემთხვევაში (ეს ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა) შემსყიდველმა SPA160027339 ტენდერის ორგანიზების პროცესში იგრძნო (გააცნობიერა) რა, რომ ტენდერზე მონაწილეობა მიიღეს პროფესიული თვითმეფასების დეფიციტის მქონე პრეტენდენტებმა (რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა სხვა გართულებები შემსყიდველის პარტნიორთან და დონორებთან), თავი დაიზღვია სავარაუდო რისკებისაგან, რომლებიც შესაძლოა დამდგარიყო უხარისხო აუდიტორული შემოწმების შედეგად და შეწყვიტა ტენდერი მიზეზის განუმარტავად.

ისმის კითხვა, თუ როგორ მოიქცეს ანალოგიურ შემთხვევაში შემსყიდველი? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია - შემსყიდველმა უნდა გაითვალისწინოს შესყიდვის ობიექტის სპეციფიკა (აუდიტორული შემოწმების მომსახურების თავისებურებები, საამისო კონსულტაციები მიიღოს ამ დარგის მაღალკვალიფიციური ექსპერტებისა და აუდიტორული პროფილის პროფესიული ორგანიზაციებისაგან), ფასთა გამოკითხვის პროცედურებში მონაწილეობის მიღების შეს-

აძლებლობა მისცეს კვალიფიციურ აუდიტორულ კომპანიებს და რაც მთავარია, „შეისმინოს“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ადგილობრივი და ევროპული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული და შემსყიდველების საყურადღებოდ გამოცემული რეკომენდაციები (იხ. „რეკომენდაცია კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით“), რომელსაც ძალიან ხშირად იგნორირებას უკეთებენ საჯარო სექტორის შემსყიდველები.

აუდიტორული შემონმების განმახორციელებელი აუდიტორული კომპანიის შერჩევისას არ შეიძლება შემსყიდველმა პრეტენდენტი შეაფასოს (გაზომოს) იმ ინდიკატორით (კრიტერიუმით), რომლითაც ზომავს ინფრასტრუქტურული პროექტების განმახორციელებელი (მიმწოდებელი) სამშენებლო კომპანიის ფინანსურ და ტექნიკურ შესაძლებლობებს.

აუდიტორული შემონმების მომსახურების სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისა და სანარმოების მენეჯმენტი, არც თუ ისე იშვიათად აჭარბებს მის უფლებამოსილებებს და ამ მომსახურებაზე ტენდერის გამოცხადებითა და აუდიტორული კომპანიის არჩევით მისი დამფუძნებლის (სამინისტროს, მერიის, გამგებობის) ფუნქციებს ითავსებს, რომლითაც არღვევს: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის (სსიპ-ებთან და ა(ა)იპ-ებთან მიმართებაში) და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9^ა მუხლის მე-5 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს (შპს-ებთან მიმართებაში, რომლის მიხედვით შპს-ს პარტნიორთა კრება უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას აუდიტორის არჩევაზე და არა კომპანიის დირექტორი. ეს არსებითია იმის გამო, რომ პირდაპირ დამოკიდებულებაშია აუდიტორული შემონმების განმახორციელებელი აუდიტორული კომპანიის საქმიანობის დამოუკიდებლობასთან და შემონმების შედეგების შეფასებაზე პროფესიული აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან. ასეთი ფაქტები ჩვენს მიერ განხორციელებული დაკვირვების პერიოდშიც დაფიქსირდა (იხ. SPA170002435, NAT160003506, SPA170001541; SPA150006896; SPA170000957 და სხვ), რომელიც ქმნის ინტერესთა კონფლიქტისათვის საკმაოდ ნაყოფიერ ნიადაგს.

ამ პროცესზე ჩვენი დაკვირვების ანალიზისა და შეფასების შედეგები ჩვენ გადავუგზავნეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, რომელმაც მისი მხრიდან განხორციელებული მოკვლევის შედეგად გამოსცა შესაბამისი რეკომენდაციები და განათავსა მის საიტზე და შესყიდვების სააგენტოს საიტზე, რომელიც უდავოდ პოზიტიური მოვლენაა.

გარდა ამისა, ვფიქრობ, აუდიტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ძალიან დაბალი (დემპინგური) ფასის შეთავაზება (ანუ „ფასის დაგდება“) პირადი ანგარების, აგრეთვე აუდიტორული ფირმის/აუდიტორის დამოუკიდებლობის დაკარგვის მაღალი რისკის შემცველია (მით უფრო სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დღეს არსებულ გამჭვირვალობის პირობებში - დიახ, დაკვირვებული თვალით ყველაფერი ჩანს ამ სისტემის პრიზმაში). ჩემს კოლეგებს აქვთ რა ვალდებულება დაიცვან პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები, აუდიტორებს/აუდიტორულ კომპანიებს არა აქვთ უფლება მათი პროფესიული საქმიანობის პროცესში ქმნიდნენ პროფესიის დისკრედიტაციის არეალს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლი რომ საჯარო სექტორში აუდიტორული შემონმების მომსახურების სახელმწიფო შემსყიდველების ქმედებები უფრო განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვის კანონმდებლობის ხარვეზებით (მათ შორის შემსყიდველის პასუხისმგებლობების საკითხებში).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები;
3. პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსი;
4. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ფინანსური მენეჯმენტი და ეფექტიანი მართვის პრობლემები

ვალერი მოსიაშვილი

ასოცირებული პროფესორი, საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო.

ეთერი მამაცაშვილი

დოქტორანტი, საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო.

FINANCIAL MANAGEMENT AND EFFECTIVE MANAGEMENT PROBLEMS

Mosiashvili Valeri - Associate Professor, Department of Financial and Banking Technologies, Georgian Technical University. Tbilisi, Georgia.

Mamatsashvili Eteri - PhD student, Department of Financial and Banking Technologies, Georgian Technical University. Tbilisi, Georgia

RESUME

Formation of an effective and adequate system of financial management in the commercial banking sector, must be constructed on the specific framework of the development and formation of the national banking system, which ignoring could cause serious crisis events in the banking sector of country. At the same time, it is impossible the inevitability of entering the country at global financial community not be considered, which is based on the quality of the international standards of quality and, first of all, the quality of corporate governance. The fact is that the foreign financial system differs substantially from the Georgian credit-banking system. The fact is that the foreign financial system is substantially different from the Georgian credit-banking system. Accordingly, spreading of experience of the financial management of the banking system of developing countries in Georgia requires diligent and not easy adaptation.

Rapidly rising inflation, strengthening competitive struggle, deregulation processes in bank management accompanying increased riskiness led to a more aggressive strategy. One of the features of financial management in the commercial bank is the absence of unified technology of economic processes management in the credit organization, in the framework of credit-banking system. The main feature of the financial management of the commercial bank is due to the fact that, commercial bank is the only economic subject that systemically manages all the functions of money.

Keywords: own capital, liquidity, financial management, bank management, financial risk, financial management.

საკვანძო სიტყვები: საკუთარი კაპიტალი, ლიკვიდობა, ფინანსური მენეჯმენტი, საბანკო მენეჯმენტი, ფინანსური რისკი, ფინანსური მართვა.

როგორც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების დღევანდელი რეალობა აჩვენებს, საბანკო-საკრედიტო სფერო ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ, ურთულეს და აუცილებელ სექტორს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანობაში ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. შორეულ წარსულში, როდესაც საბანკო ბიზნესი შედარებით „მარტივი“ და უსაფრთხო იყო, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასთან მიმართებაში მკაცრი რეგულირება მენეჯერების შესაძლებლობებს ზღუდავდა. საბაზრო ურთიერთობები განვითარებული ფულად-საკრედიტო სისტემის გარეშე წარმოუდგენელია, იგი უშუალო ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროზე, განსაზღვრავს მის მიმართულებებს და ტრაექტორიებს. ამავდროს, საბანკო სისტემა გარკვეული აზრით, ცალკე ავტონომიური „სამყაროა“, რომელსაც განვითარების საკუთარი, სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს.

სწრაფად მზარდმა ინფლაციამ, კონკურენტული ბრძოლის გაძლიერებამ და საბანკო საქმიანობის დერეგულირების პროცესებმა საბანკო მენეჯმენტში მნიშვნელოვნად უფრო აგრესიული სტრატეგიის ფორმირება განაპირობეს, რომელსაც თანამალაქებულის რისკიანობა ახლავს. ამიტომ რისკის ფაქტორების გათვალისწინება და მათი მართვა სულ უფრო მნიშვნელოვნად რთული ხდება, აქტივების სტრუქტურა უარესდება, ოპერაციების ეფექტიანობა მცირდება, და საბოლოო ჯამში შეიძლება არ არის გამოორიცხული კრიზისული სიტუაცია გამოიწვიოს.

თანამედროვე ეტაპზე, თითოეული ბანკის მიერ გადასაწყვეტი რისკების გამოვლენისა და მართვის ადექვატური მეთოდების მოძიება და კვლევა რთულ პრობლემას წარმოადგენს. მენეჯმენტის წინაშე, მენაბრებების სახსრების შენარჩუნებითა და ბანკის სიცოცხლისუნარიანობის მხარდაჭერისათვის საკმარისი შემოსავლების უზრუნველყოფით, რისკების მინიმიზირების ამოცანაა აქტუალური. საბანკო მენეჯმენტი - საკრედიტო რესურსების უწყვეტი და თავისდროული მოძრაობის უზრუნველყოფელი შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების მიერ, მიკრო- და მაკროეკონომიკური უპირატესობების მიღწევის მიზნით, განხორციელებადი მმართველობითი ზემოქმედების სისტემაა.

მართვის განსაკუთრებული სფერო - საბანკო მენეჯმენტი, მხოლოდ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოიშობა. საბანკო ოპერაციების წრის განვითარებულ ქვეყნებში მიღებულ დონემდე გაფართოებისას, აღნიშნულ მომსახურებაში ჩართული უნდა იქნეს ოპერაციები - ფასიან ქალაქდებთან, საკრედიტო ბარათებთან, ვალუტასთან, სხვა ბანკებისა და კომერციული სტრუქტურების აქციების გავრცელებაში დახმარებასთან, კლიენტებისათვის საკუთარი სახსრების რაციონალურ დაბანდებაში დახმარებასთან, საინვესტიციო პროექტების შეფასებასთან, ლიზინგთან, ფაქტორინგთან და სხვა მომსახურებებთან. გარდა ამისა, ბანკის სანესდებო კაპიტალი შეიძლება სხვა კომერციული ბანკებისათვის სარეზერვი ფონდი გახდეს. თანამედროვე პირობებში საბაზრო ეკონომიკა საბანკო მენეჯმენტის გარეშე შეუძლებელია, რომელიც დაფუძნებული უნა იყოს - ფინანსურ ბაზარზე საკრედიტო დაწესებულებებს შორის რეალურ კონკურენციაზე, ინფლაციის გამომწვევი საწარმოების სახელმწიფოებრივი დაფინანსების შეცვლაზე, ახალი სასაქონლო მასის შექმნაზე ორიენტირებული კონკრეტული საინვესტიციო პროექტებისა და ბიზნეს-გეგმების დაკრედიტების საბაზრო მექანიზმზე.

წარმოდგენილ სტატიაში ჩვენ დეტალურად განვიხილავთ ბანკის ფინანსურ მენეჯმენტს როგორც საბანკო მენეჯმენტის საფუძველს წარმოადგენს. ცნება „ფინანსურ მენეჯმენტს“ მრავალრიცხოვანი განმარტება გააჩნია. მაგრამ მთლიანობაში სპეციალისტები თანმხედებიან ერთში - იმაში, რომ ფინანსური მენეჯმენტი - ფულადი სახსრების ფორმირებასთან და გამოყენებასთან მიმართებაში ურთიერთობების მართვაა. მნიშვნელოვნად ნაკლები ხარისხითაა ავტორების მიერ ფინანსური მენეჯმენტი კომერციულ ბანკებში, ვიდრე საერთო ფინანსური მენეჯმენტი. მიზეზი კომერციული ბანკის საქმიანობის როგორც ფულადი ნაკადების მართვასთან მიმართებაში ფინანსური შუამავლის სპეციფიკაშია, რომელთათვისაც ფულის ფუნქციების მთლიანი ერთობლიობაა დამახასიათებელი. აღნიშნული პრობლემის გაშუქებისადმი ავტორებმთლიანობაში საბანკო სისტემის ლიკვიდობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნებისა და ნორმატივების დაცვის პოზიციიდან უდგებიან. კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის საქმიანობის ობიექტია - ბანკის ფინანსური ოპერაციების კვლებისა და საბანკო კლიენტურის ფულადი სახსრების ნაკადების მართვის პროცესები. კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის საქმიანობის საგანია - ფინანსური ოპერაციების (ფულადი სახსრების მოზიდვისა და განთავსების პროცესები) რაციონალური დაგეგმვისა და რეალიზაციის დამუშავება და გამოყენება.

როგორც წესი კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის მიზანია - კომერციული ბანკის სტაბილურობისა და მდგრადობის შენარჩუნებისას, ბანკ-

ის ფინანსური ოპერაციების დაგეგმვისა და რეალიზაციის და დასახული პარამეტრებისას საკუთარი კაპიტალის (აქციონერთა კაპიტალის) და/ან მოგების ნაზარდზე მიმართული, მისი მდგრადობის მხარდამჭერის უზრუნველყოფელი, ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურების აგების რაციონალური მოთხოვნებისა და მეთოდოლოგიური საფუძვლების და ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური სისტემების მუშაობის რეჟიმების განსაზღვრა. ბანკში ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციებია:

1. აქტივებისა და პასივების მართვა.
2. ლიკვიდობის მართვა.
3. საკუთარი კაპიტალის მართვა.
4. ნასესხები კაპიტალის მართვა.
5. საბანკო რისკების მართვა.
6. საკრედიტო პროტფელის მართვა.
7. შიდასაბანკო კონტროლის ორგანიზაცია.

ფინანსური მენეჯმენტის ხერხებს მიეკუთვნებიან:

- ფულადი სახსრების გადრიცხვა: საკრედიტო ბარათები; დებიტური ბარათები; სმარტ-ბარათები; საგადასახადო დავალებები; საგადასახადო მოთხოვნა-დავალებები; აკრედიტივები; ანგარიშსწორება ჩეკებით; საბანკო გადარიცხვები; ანგარიშსწორებები ლია ანგარიშით; ინკასო; ტრანზფერტი.

- კაპიტალის გადაადგილება მისი ნაზარდისათვის: დეპოზიტი; ანაბრები; მიმდინარე არენდა; რენტა; ლიზინგი; სელენგი; ტრასტი; ინჟინირინგი; ფრანჩაიზინგი; ეკაუტინგი; ბენჩმარკინგი; ფინანსური კრედიტი; რეინჟინერინგი; ფაქტორინგი; ფორფიტირება; კრედიტი ლია ანგარიშის მიხედვით; თამასუქური კრედიტი; აქცეპტური კრედიტი; ოვერდრაფტი; თვითდაკრედიტება.

- სპეკულაციური ოპერაციები: რეპორტი; დეპორტი; ოპერაციები საკურსო სხვაობებთან; ოპერაციები სვოპი; სავალუტო არბიტრაჟი; პროცენტული არბიტრაჟი; სავალუტო სპეკულაცია.

- კაპიტალის მაღალი შემოსავლის მოტანის შესაძლებლობის შენარჩუნება: დაზღვევა; ჰეჯირება; გირაო; იპოთეკა; დივერსიფიკაცია; ლიმიტირება, დამატებითი ინფორმაციის შექმნა; თვითდაზღვევა.

ქვეყანის საბანკო სექტორში ბანკის ფინანსური მართვის „არც თუ ისე მაღალი“ დონე შეიმჩნევა. უმეტესი ხარისხით აღნიშნული დაკავშირებულია შემდეგ პრობლემებთან

- თითოეული ბანკისათვის საკუთარი დასაბუთებული განვითარებისა და მართვის კონცეფციის არსებობის საჭიროების იგნორირება, ან ასეთი მოთხოვნების რეალიზების უუნარობა;

- ბანკის ქვედანაყოფებს შორის, ასევე ბანკებს შორის ჰორიზონტალური სტრუქტურული კავშირების არასაკმარისი განვითარება, რასაც მუშაობაში შეუთანხმებლობისაკენ, ურთიერთ პროფესიონალურსაქმიანობაში ჩაუხედავობისაკენ და აღნიშნულის საფუძველზე - გაუმართლებელი გადაწყვეტილებების მიღებისაკენ მივყავართ;

• ცენტრალური ბანკის ნორმატიული საბუთებით რეგულირებადი შიდა კონტროლის ორგანიზაციის არაეფექტური სისტემა, რომელიც ძირითადად ფრაგმენტალურ ხასიათს ატარებს, და ჯერ-ჯერობით რიგორც მეცნიერული, ასევე პრაქტიკული რეალიზების თვალსაზრისითაც არასაკმარისადაა გააზრებული;

• ბანკის ხელმძღვანელი რგოლისა და თანამშრომლების არასაკმარისი კვალიფიკაცია მთლიანად საბანკო საქმიანობის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლიდან გამომდინარე;

• უმეტეს საკრედიტო ორგანიზაციებში მართვის პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემის არ არსებობა;

• მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის თანმიმდევრულ ეტაპებს - ანალიზს, დაგეგმვას, რეგულირებას, კონტროლს შორის (რეგულირება - დაგეგმვაზე, ხოლო დაგეგმვა - ანალიტიკურ მუშაობაზე არ არის დაფუძნებული) ლოგიკური ურთიერთკავშირის დაუცავობა;

• ქვედანაყოფებისადმი ან სამსახურებისადმი არასაკმარისი ყურადღება, რომლებიც სისტემურ ანალიზს, ბანკის მთლიანი საქმიანობის დიაგნოსტიკას და პროგნოზირებას ახორციელებენ, რაც საკრედიტო ორგანიზაციის ეფექტური მართვის მექანიზმების, მისი ფორმირების პროცესის სერიოზული ანალიზის ტექნოლოგიების არ გამოყენებას ნიშნავს;

• რისკებზე მართვისა და კონტროლის სუსტი სისტემა, რომელიც მისაღები რისკების დონისა და საბაზრო სიტუაციების ყოველთვის ადექვატური არ არის;

• საბანკო პრაქტიკაში კაპიტალიზაციის მართვის მეთოდებისა და ტექნოლოგიების სტრატეგიის განვითარება საკმაოდ დაბალ დონეზე იმყოფება;

• ბანკის საქმიანობაზე ფინანსური მონიტორინგის ბოლომდე დაუმუშავებელი სისტემა.

კომერციულ საბანკო სექტორში ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანი და ადექვატური სისტემის ფორმირება ეროვნული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების სპეციფიკურ ჩარჩოებზე უნდა იქნეს აგებული, რომელთა იგნორირება ქვეყნის საბანკო სექტორში სერიოზული კრიზისული მოვლენების გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს. ამავე დროს, შეუძლებელია ქვეყნის მსოფლიო ფინანსურ თანამეგობრობაში შესვლის გარდაუვალობა არ იქნეს გათვალისწინებული, რომელიც თავისი საქმიანობის საფუძველში ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს და, პირველ რიგში კორპორატიული მართვის ხარისხზეა დაფუძნებული.

ფაქტია, რომ უცხოეთის ფინანსური სისტემა საქართველოს საკრედიტო-საბანკო სისტემისაგან არსებითად განსხვავდება. მაგალითად, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის გამოცდილების საქართველოში გავრცელება გულმოდგინე არაიოლ ადაპტაციას მოითხოვს, რამდენადაც ეროვნული საბანკო

სისტემა, აშშ-ის სისტემისაგან განსხვავებით, ტერიტორიული პრინციპის მიხედვით არის აგებული და იგი ცენტრალური ბანკის მონოპოლურ მდგომარეობაზეა, და არა ქვეყნის სუბიექტებისა და ეკონომიკის ეკონომიკურ რაიონირებაზეა დაფუძნებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ:

➤ ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, სწრაფად მზარდმა ინფლაციამ, საბანკო საქმიანობაში კონკურენტული ბრძოლის გაძლიერებამ და დერეგულირების პროცესებმა ამაღლებული რისკიანობის თანმხლებ საბანკო მენეჯმენტში მნიშვნელოვნად უფრო აგრესიული სტრატეგიის ფორმირება განაპირობეს.

➤ თანამედროვე პირობებში კომერციულ ბანკში ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთი თავისებურებაა - არსებული საკრედიტო-საბანკო სისტემის ჩარჩოებში საკრედიტო ორგანიზაციაში ეკონომიკური პროცესების მართვის ერთიანი ტექნოლოგიის არარსებობა.

➤ კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის მთავარი განსაკუთრებულობა თანამედროვე პირობებში განპირობებულია იმით, რომ კომერციული ბანკი - ერთადერთი ეკონომიკური სუბიექტია, რომელიც სისტემურად მართავს ფულის ყველა ფუნქციებს და აღნიშნულიდან გამომდინარე საბაზრო ეკონომიკის პირველად რგოლს წარმოადგენს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ცაავა გ., სიჭინავა ა., ხანთაძე გ., - კორპორატიული ფინანსები (ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია) სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016. — 724 გვ.
2. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2015/ - 800 გვ.
3. Вяткин, В.Н. Риск-менеджмент: учебник / В.Н. Вяткин, В.А. Гамза, Ф.В. Маевский. — Люберцы: Юрайт, 2016. — 353 с.
4. Ермасова, Н.Б. Риск-менеджмент организации: Учебно-практическое пособие / Н.Б. Ермасова. — М.: ИТК Дашков и К, 2014. — 380 с..
5. <http://ecsocman.hse.ru/text/19194447/>
6. http://berezkin.info/wp-content/uploads/2015/03/Berezkin-Yu.M.-Aleksseev-D.A.-Finansovyy-menedjment.-2015.UMO_.pdf
7. <https://biblio-online.ru/viewer/ADCD-9CA2-38E1-437F-BDBA-3895F749F900#/>
8. http://www.knorus.ru/upload/knorus_new/pdf/9110.pdf
9. <http://www.finlib.biz> — Финансово-экономическая библиотека.
10. <https://sibac.info/conf/econom/x/26801>

„შეფასებლობითი საქმიანობის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხები საქართველოში“

ელინა ქრისტესიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,

გრიგორ ხოპერია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

AGENDA OF PERFECTION OF LEGISLATIVE BASIS OF VALUATION ACTIVITIES IN GEORGIA

Elina Kristesiashvili

Georgian Technical University, Professor ,

Grigor Khoperia

Georgian Technical University, Professor

The evaluation organization system consists of a set of interrelated elements: subjects of appraisal activity, government authorities, enterprises and institutions that form the infrastructure of the valuation market. Interrelations between the elements of the system can arise regarding the allocation of roles in the process of organizing appraisal activity, determining the requirements for the qualifications of professional appraisers and their activities in the market. In different countries, the systems for organizing appraisal activity differ significantly what is due to the level of economic development, the specifics of the real estate market and its infrastructure, and the specifics of legal and regulatory field of valuation activities.

ВОПРОСЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ ЗАКОНО- ДАТЕЛЬНОЙ БАЗЫ ОЦЕНОЧНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ В ГРУЗИИ

Элина Кристесиашвили

Грузинский технический университет, профессор,

Григорий Хоперия

Грузинский технический университет, профессор

Система организации оценочной деятельности состоит из ряда взаимосвязанных элементов: субъекты оценочной деятельности, правительственные органы, предприятия и организации, которые образуют инфраструктуру оценочного рынка. Взаимоотношения между элементами этой системы могут зависеть проистекать из распределения ролей в процессе организации оценочной деятельности, определения требований к квалификации профессиональных оценщиков и в связи с другими видами деятельности на рынке. Созданные в разных странах системы организации оценочной деятельности значительно разнятся друг от друга, что объясняется уровнем их экономического развития, спецификой рынка недвижимости и его инфраструктуры, а также особенностями законодательной и регулятивной базы оценочной деятельности.

2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ “ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” №5386-III კანონის მიღებამ შესაძლებელი გახადა, “საქართველოში შემფასებლობითი საქმიანობის წარმოების და რეგულირების შესახებ” კანონპროექტის მომზადებასა და მიღებასთან დაკავშირებული პროცედურების დაწყება. აღნიშნულზე მიუთითებს №5386-III-ის კანონის გარდამავალი დებულების მე-8 მუხლი, სადაც განმარტებულია, რომ “აუდიტორული და საშემფასებლო პროფესიების გამიჯვნის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 31 დეკემბრამდე შეიმუშაოს საშემფასებლო დაინტერესებული შესახებ საკანონმდებლო აქტი”.

შეფასების ორგანიზების სისტემა შედგება ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან: შემფასებლობითი საქმიანობის სუბიექტები, სახელმწიფო მართვის ორგანოები, სხვადასხვა დაინტერესებული ორგანიზაციები, სანარმოები, დანესებულებები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ შემფასებლობითი საქმიანობის ბაზრის ჩამოყალიბებაში და ფუნქციონირებაში. აქედან გამომდინარე, ურთიერთდაკავშირები სისტემის ამ ელემენტებს შორის არის შესწავლისა და ანალიზის ძირითადი საგანი. შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირების პროცესში სისტემის ელემენტებს შორის წარმოიქმნება ურთიერთდაკავშირები როლების განაწილების გამო, ასევე ყალიბდება პროფესიული შემფასებლების კვალიფიკაციისა და შეფასების აუცილებელი შესაძლო შემთხვევების ჩამონათვალთან დაკავშირებული მოთხოვნები.

შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირების საკითხებზე რიგი ეკონომისტების მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფო ინსტიტუტების როლს ნაციონალური ეკონომიკის განვითარებაში. მათში იკვეთება არჩევანის აუცილებლობა ეკონომიკურ მოუწესრიგებულობასა და ეკონომიკაში სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურ ფუნქციონირებას შორის, რაც უზრუნველყოფს საუკეთესო ბალანსს თავისუფლებასა და წესრიგს შორის ეკონომიკაში, ანუ, ეს პროცესი ხელს უწყობს სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების ოპტიმალურ ურთიერთთავსებადობას ეკონომიკის რეგულირების პროცესში. ამავე ნაშრომებში მოყვანილია მტიცეზულებები სახელმწიფოს წამყვან როლზე სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების განვითარებაში, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში.

აღნიშნული ნაშრომების ავტორებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების ჩარევა შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირებაში უნდა იყოს ყოვლისმომცველი და მასშტაბური.

რიგი ეკონომისტების ნაწილი (მაგალითად: აკადემიკოსი ვ. პოლტეროვიჩი და მისი მიმდევრები) სამეცნიერო ნაშრომებში აღნიშნავენ და ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში გატარებულმა სტანდარტულმა ღონისძიებებმა ეკონომიკური განვითარების არსებული დონიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა შედეგი მოიტანოს, კერძოდ ერთი და იგივე სახელმწიფო პოლიტიკამ შეიძლება ხელი შეუწყოს ან დაამუხრუჭოს ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა.

დიდი გამოცდილების მქონე მაღალგანვითარებული ქვეყნების პრაქტიკა უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს ჩარევის მინიმალურ მექანიზმებს. მოცემულ ქვეყნებში სახელმწიფოს როლი შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირებაში ატარებს პირობით ხასიათს. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემფასებლის პროფესიულ უნარებს, მის რეპუტაციას, ასევე მის ჩართულობას პროფესიულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში (როგორც აუცილებელი პირობა).

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირება მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული ცალკეული ქვეყნების რეგიონალურ თავისებურებებზე, მართვის ტრადიციებსა და საბაზრო ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ყველა ამ ფაქტორების გათვალისწინებით და მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირებას აწარმოებენ ან სახელმწიფო ორგანოები (სახელმწიფო რეგულირება) ან პროფესიული საზოგადოებრივი გაერთიანებები (თვითრეგულირება), ან ერთობლივად (შერეული (ჰიბრიდული) რეგულირება). შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირების მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ რეგულირების შემდეგი მოდელები:

1. **ლიბერალური მოდელი.** ეს მოდელი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ მინიმალურ ჩარევას შემფასებლობით საქმიანობაში და ამასთან, შემფასებლების ძლიერი საზოგადოებრივი ინსტიტუტების არსებობას. მსგავსი მოდელი აღიქმება ლიბერალური ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების არსებობასთან, რომლებთაც გააჩნიათ თავისუფალი, კონკურენტუნარიანი ბაზრები და სახელმწიფო ვალდებულებები დაყვანილია მინიმუმამდე. ასეთი სახელმწიფოების რიცხვს მიეკუთვნება ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, დიდი ბრიტანეთი, რუმინეთი, ახალი ზელანდია, ჩეხეთი;

2. **პატერნალისტული მოდელი.** ეს მოდელი ითვალისწინებს ძლიერ სახელმწიფოებრივ ჩარევას შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირებაში შემფასებელთა სუსტი საზოგადოებრივი

გაერთიანებების არსებობასთან ერთად. მსგავსი მოდელი ასოცირდება ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებიც ეფუძნებიან სახელმწიფოს ტოტალურ ჩარევაზე ეკონომიკის განვითარებაში და სახელმწიფოს დომინირებაზე სოციალურ სფეროებში. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება სნგ-ს უმეტესი ქვეყნები.

3. **ჰიბრიდული მოდელი.** ეს მოდელი აღიქმება სოციალურ-დემოკრატიული მოდელის მქონე სახელმწიფოებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ თავიანთი მოქალაქეების ცხოვრების მაღალ დონეს. ესპანეთში, იტალიაში, იაპონიაში სახელმწიფო ჩარევა საშემფასებლო საქმიანობაში რეგლამენტით არის განსაზღვრული, ხოლო გერმანიასა და შვედეთში მოქმედებს სპეციალური კანონმდებლობა შეფასების სფეროში, სადაც სახელმწიფო როლი მკაფიოდ არის განსაზღვრული.

საქართველოში შემფასებლობითი საქმიანობის ჩამოყალიბება დაიწყო მინის ნაკვეთებთან დაკავშირებული საკადასტრო სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად, რაშიც საქართველოს დიდად დაეხმარა გერმანიის სახელმწიფო (საარბრუკენის მთავრობის სახით), ტექნიკური დახმარების პროექტის “მინის მენეჯმენტი” 1998-2002წწ. ჩარჩოებში. პროექტი მოიცავდა სხვადასხვა ქვეპროექტებს, მათ შორის შემფასებლობითი საქმიანობის ჩამოყალიბებას საქართველოში. ამისათვის შეიქმნა მუშა ჯგუფი, შემდგარი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მონვეული წევრებისაგან. აღნიშნულმა ჯგუფმა 2000 წელს მოამზადა კანონპროექტი “საქართველოში საშემფასებლო საქმიანობის შესახებ”. ჯარალეულ რეჟიმში ჯგუფიდან გამორჩეული წევრებისათვის “უძრავი ქონების შემფასებელი მასწავლებლების” მომზადების მიზნით ჩატარდა კურსები. სულ საქართველოდან მომზადდა 5 მსმენელი, მათ შორის ამ სტატიის ავტორებიც, რომლებმაც ჩააბარეს ორ საფეხურიანი გამოცდები გერმანიაში არსებული კანონმდებლობის მიხედვით და მიენიჭათ უძრავი ქონების შეფასების მასწავლებლის კვალიფიკაცია. ჯგუფის მიერ 2000 წელს მომზადებული კანონპროექტი განიხილა საქართველოს მთავრობამ და პრეზიდენტის ხელმოწერით გაიგზავნა პარლამენტის ეკონომიკური რეფორმების და მდგრადი განვითარების კომიტეტში მისი შემდგომი განხილვისა და მიღებისათვის, სადაც, იურიდიული და დარგობრივ კომიტეტებში გასვლის შემდეგ შეჩერდა კანონპროექტის მიღების პროცესი. აქ არ შევჩერდებით კანონპროექტის მიუღებლობის მიზეზებზე, მხოლოდ ავლნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ამ კანონპროექტში შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირებისათვის (გერმანელ სპეციალისტებთან ერთად) შეირჩა ჰიბრიდული მოდელი, სადაც სახელმწიფო მონაწილეობდა შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირების პროცესში საბჭოს სახით, რომელშიც უნდა გაერთიანებულიყო სხვადასხვა დაინტერესებული დარგობრივი კომისიები და თვითრეგულირებადი შემფასე-

ბლების მძლავრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. იმ მომენტისათვის გერმანული მხარის მხარდაჭერით და დაფინანსებით საქართველოში კავშირის სახით ჩამოყალიბდა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია — “უძრავი ქონების შეფასების კავკასიური აკადემია”, რომლის ძირითადი მიზანი იყო გერმანიაში მომზადებული მასწავლებლების მეშვეობით მოემზადებინა სპეციალისტები თვითრეგულირებადი ორგანიზაციისათვის. კანონპროექტში მკაფიოდ იყო განერილი სახელმწიფოს, ასევე შემფასებელთა თვით რეგულირებადი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფუნქციები შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირებაში.

კანონპროექტის არმიღების შემდგომ ერთობლივმა ქართულ-გერმანულმა კავშირმა „უძრავი ქონების შეფასების კავკასიურმა აკადემიამ“-მ გააგებლა თავისი ფუნქციონირება და საქართველოში მოამზადა 167 მსმენელი. შესაბამისი გამოცდების ჩაბარების შემდეგ მათ მიენიჭა უძრავი ქონების შემფასებლის კვალიფიკაცია. აქედან 11 მსმენელმა დამატებით გაიარა “მოძრავი ქონების შეფასების” სრული კურსი და მათ დამატებით მიენიჭათ მოძრავი ქონების შეფასებლის კვალიფიკაცია. ეს მომზადებული ძირითადი ბირთვი ახორციელებს შემფასებლობით პრაქტიკას საქართველოში შესაბამისი საკანონმდებლო სივრცის არქონის პირობებში. ისინი ეწევიან შემფასებლობით პრაქტიკას როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სფეროებში. დღესდღეობით საქართველოში ეკონომიკური განვითარების დონისა და მასშტაბებიდან გამომდინარე კიდევ უფრო მეტად მომნიჭდა შემფასებლობითი საქმიანობის სფეროში კანონპროექტის შექმნისა და მიღების საკითხი. სტატიის ავტორებმა კიდევ ერთხელ გავაანალიზეთ ამ სფეროში მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკები, რათა მინიმუმამდე დაყვავანოთ მოსალოდნელი შეცდომები

შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებული კონონპროექტის მომზადებასა და მიღების პროცესში. ავტორები კვლავაც შემფასებლობითი საქმიანობის რეგულირებისათვის ჰიბრიდულ მოდელას ანიჭებენ უპირატესობას, როგორც ყველაზე მდგრად მოდელს, სადაც სახელმწიფოს და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის როლები ზედმინვენით, მკაცრად არის განაწილებული დროში და ფუნქციების მიხედვით. ჩვენ ვთვლით, რომ მსგავსი მოდელი სწრაფად და ხარისხიანად დააკმაყოფილებს შეფასებით დაინტერესებულ მომხმარებლებს. პროფესიონალი შემფასებლებით დააკომპლექტება საქართველოს ცალკეული რაიონები, სოფლები, თემები, რაც რეგიონების რეალურ თვითმართველობაზე გადასვლისას ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ განვითარებასა და ადგილობრივი უძრავი ქონების ბაზრების სრულფასოვან აღძინებას.

საკვანძო სიტყვები: შემფასებლობითი საქმიანობა; კანონმდებლობა; რეგულირების მოდელი; ლიბერალური; პატერნალისტური; ჰიბრიდული; უძრავი ქონება; მოძრავი ქონება..

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Georgian Law (Draft) on Valuation Activity. Tbilisi, 2000. Archives of the Caucasian Academy of Real Estate.
2. A. I. Polyansli, M.M. Solovyev. Regulation of the Real Estate Management Domain by the State Trade Unions.
3. Brief outlines concerning V. Polterevich’s work “Why Reforms Do Not Work”.
4. Aghion P.M., Howitt P.W. Endogenous growth theory. Cambridge, MA, MIT Press, 1998.

კომპანიის ექსპრეს-ანალიზი და მისი ღირებულების მართვა

ირინე მამალაძე,
სტუ. ასოცირებული პროფესორი
ნატო გეგენავა
სტუ. მოწვეული ასოცირებული პროფესორი

რ ა ზ ი უ მ ე

კომპანიის ნორმალურ ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მისი ფინანსების გონივრული მართვა, კაპიტალის სტრუქტურის შესწავლა, საკუთარ და ნასესხებ სახსრებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრა და ა.შ. ამ ბოლო ხანს კომპანიის მენეჯმენტს სულ უფრო ხშირად აინტერესებს ბიზნესის ეფექტიანობის კომპლექსური მართვის მეთოდები. ეს საკითხი ძალიან მჭიდრო კავშირშია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე განხორციელებულ ისეთ შეფასებასთან, რომ იგი მომავალშიც მონაწილეობდეს კომპანიის რეგულარულ ანალიზში.

კომპანიის ღირებულების ექსპრეს-ანალიზისათვის ორი მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ: გორდონის მოდელი და წმინდა აქტივების ანალიზი. ასეთ შეფასება სრულყოფილად არ შეიძლება ჩავთვალოთ, რის გამოც შესაძლებელია რომ ცოტა ხანში არა კომპანიის მფლობელებმა. არამედ უკვე მისმა მენეჯმენტმა დასვას უფრო სრულყოფილი მეთოდების გამოყენების საკითხი.

კომპანიის ღირებულებაზე მოქმედებს მენეჯმენტის ერთ-ერთი სტრატეგიული გადაწყვეტილება — კაპიტალის სტრუქტურის შერჩევა დადგენილია, რომ განვითარებად ბაზრებზე კაპიტალის სტრუქტურაზე მოქმედი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის აქტივების სტრუქტურა, კომპანიის სიდიდე და მისი კაპიტალის შემოსავლიანობა.

საკვანძო სიტყვები: კომპანიის ღირებულება, კაპიტალის სტრუქტურა, ექსპრეს-ანალიზი, კაპიტალის სტრუქტურა.

ЭКСПРЕСС-АНАЛИЗ КОМПАНИИ И УПРАВЛЕНИЕ ЕЕ СТОИМОСТЬЮ

Р Е З Ю М Е

ключевые слова: стоимость компании, структура капитала, экспресс-анализ, детерминанты структуры капитала.

Для нормального функционирования компании необходимо разумное управление ее финансами, изучение структуры капитала, определение оптимального соотношения между собственными и заемными средствами и т. д. В последнее время менеджмент компании всё чаще интересуется методами комплексного управления эффективностью бизнеса. Этот вопрос очень тесно связан с ее оценкой на основе финансового отчета компании так, чтобы такая оценка и в дальнейшем

шем участвовала в регулярном анализе компании.

Для экспресс-оценки стоимости компании можно пользоваться двумя методами: моделью Гордона и анализом чистых активов. Такая оценка нельзя считать полноценной. С учетом этого вполне возможно, что через короткий промежуток времени, уже не владельцы, а менеджмент компании поставили вопрос об использовании более совершенных методов.

На стоимость компании влияет одно из стратегических решения ее менеджмента - выбор структуры капитала. Установлено, что на развивающихся рынках наиболее значительными факторами, влияющими на структуру капитала, являются структура активов компании, размер компании и доходность капитала компании.

* * * *

კომპანიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მისი ფინანსების გონივრული მართვა, კაპიტალის სტრუქტურის შესწავლა, საკუთარი და ნასესხები სახსრების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა და ა.შ. ამ საკითხების შესწავლა შესაძლებელია კომპანიის საქმიანობის მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია.

კომპანიების მენეჯმენტს ბოლო დროს სულ უფრო ხშირად აინტერესებს ბიზნესის ეფექტიანობის კომპლექსურად მართვის მეთოდები. ეს საკითხი ძალიან მჭიდრო კავშირშია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე განხორციელებულ მის ისეთ შეფასებასთან, რომ ეს შეფასება შემდგომში კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივ რეგულარულ ანალიზში იყოს ჩართული. ვფიქრობთ, ეს არა მარტო შესაძლებელია, არამედ სრულიად ბუნებრივიცაა. მართლაც, თუ გავიხსენებთ საფონდო ბაზრის ფუნდამენტურ ანალიზს, იგი სწორედ საგარეო ანგარიშგების გამოყენებას ეყრდნობა. ამდენად, ბუღალტრული ბალანსი, თუ იგი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისადაა მომზადებული, პრაქტიკულად გამოსაყენებელი სისტემური მოდელია.

ამასთან, როგორც ცნობილია, „ფინანსური ანალიზი, რომელიც მხოლოდ ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემებს ემყარება, ექსპრეს-ანალიზის თვისებებს იძენს, ე.ი. ისეთი ანალიზის თვისებებს, რომელიც ცარდება სანარმოს ფარგლებს გარეთ მისი დაინტერესებული კონტრაგენტების, მესაკუთრეების ან სახელმწიფო ორგანოების მიერ. ასეთი ანალიზის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია შეზღუდულია. ამავე დროს ფინანსური ანგარიშგების გარე მომხ-

მარეზლებს ეძლევათ საშუალება ობიექტურად შეაფასონ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა“ [1].

ბიზნესის ღირებულების ექსპრეს შეფასებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ: შემოსავლიანობაზე დაფუძნებული მიდგომებიდან – გორდონის მოდელი და აქტივებზე დაფუძნებული მიდგომებიდან – ნმინდა აქტივების ანალიზი.

გორდონის მოდელი ზოგადი სახით ასე გამოიყურება:

$$\text{კომპანიის ღირებულება} = \frac{\text{მოგება}}{d - g}$$

სადაც d დისკონტირების განაკვეთია კომპანიისთვის, g — ბიზნესის ზრდის ტემპი.

ეს მოდელი რამდენადმე გამარტივებულია მომავალი გაყიდვების ნულოვანი ზრდიდან გამომდინარე, რადგან ამ ტემპების განსაზღვრა ამოცანას ართულებს. გამარტივება საფრთხეს არ შეი-ცავს, რაკი აქ გამოყენებული სხვა მეთოდებიც მიახლოებითია. ასე, რომ გვრჩება უფრო მარტივი ამოხსნა.

$$\text{კომპანიის ღირებულება} = \frac{\text{მოგება}}{d}$$

ანუ დისკონტირების კოეფიციენტის გათვალისწინებით:

$$\text{კომპანიის ღირებულება} = \frac{\text{მოგება}}{WACC}$$

აქ WACC კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებაა, რომელსაც ანგარიშობენ ფორმულით:

$$WACC = R_{\text{მესაკ}} \times k_{\text{მესაკ}} + R_{\text{ნას}} \times k_{\text{ნას}}$$

სადაც $R_{\text{მესაკ}}$ აქციონერული კაპიტალის ის შემოსავლიანობაა, რომელსაც მესაკუთრეები ითხოვენ; k – მისი ხვედრითი წილი კომპანიის დაფინანსების წყაროებში; $k_{\text{ნას}}$ - ნასესხები სახსრების ღირებულება და $k_{\text{ნას}}$ - მათი წილი დაფინანსები მთლიან მოცულობაში.

თუ ამ მეთოდის სხვა დეტალებს არ გამოვედევნებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცვლელი აქციონერული კაპიტალისათვის, ე.ი. თუ ბიზნესის მფლობელი ამ მომენტში დამატებით სახსრებს არ აბანდებს, შესაძლებელია კომპანიის მთლიანი ღირებულებიდან აქციების ღირებულებაზე გადასვლა. მას გავიანგარიშებთ ფორმულით:

$$\text{ღირებულება} = \frac{ROE}{WACC}$$

სადაც ROE აქციონერული კაპიტალის რენტაბელობაა. [2]

ბიზნესის ღირებულების ამ შეფასების ცვლილებების დინამიკას ორი ძირითადი ფინანსური მაჩვენებელი დაარეგულირებს:

1. აქციონერული კაპიტალის რენაბელობა, ROE და

2. ფინანსური ბერკეტი (ნასესხები და საკუთარი კაპიტალების თანაფარდობა).

რაც შეეხება ბიზნესის შეფასებას შემოსავლიანობაზე დაფუძნებული მეთოდით, შეგვიძლია დავეყრდნოთ სულ ორი, კარგად ნაცნობი ფინანსური მაჩვენებლის ანალიზს. მათგან ნმინდა აქტივები სტანდარტული ბალანსის საფუძველზე შეგვიძლია ვიანგარიშოთ.

ამ მოდელის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ იგი პრაქტიკულად მაშინვე შეგვიძლია დავნერგოთ კომპანიაში და მისი მოქმედება კომპანიის შემდგომ მუშაობაზე გავავრცელოთ. მოდელისთვის საწყისი მონაცემებია ჩვეულებრივი კვარტალური ანგარიშგების ინფორმაცია მის საფუძველზე ვანგარიშობთ რამდენიმე ძირითად ფინანსურ მაჩვენებელს:

- ✓ ROE-ს ;
- ✓ ფინანსურ ბერკეტს;
- ✓ კომპანიის ნ მინდა აქტივებს.

შეჩუქული მაჩვენებლების საფუძველზე კომპანიის ღირებულება ორი მეთოდით განისაზღვრება. შედეგობრივი მაჩვენებელი შეგვიძლია შევირჩიოთ როგორც მათ შორის საშუალო; შეიძლება არც გადავიდეთ ერთ კრიტერიუმზე და ორივე მაჩვენებლით ვისარგებლოთ.

ბიზნესის მართვის წინაშე დასაყენებელი მოთხოვნები ასე შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ:

კომპანიის ღირებულების ზრდა ლიკვიდობისა და კაპიტალის სტრუქტურის სასურველ დონეზე შენარჩუნებით.

ახალი ამაში არაფერია, რადგან ეს ღირებულების საფუძველზე განხორციელებული ჩვეულებრივი მართვაა. და მაინც, იმ რთული მეთოდიდან, რომელიც მენეჯერების ფსიქოლოგიურსა და მეთოდურ მზადყოფნას მოითხოვს და რომელზეც ყველა კომპანიას არ მოუწევდა ხელი, ჩვენ უბრალო ინტერპრეტაციებზე გადავივართ, რომლებიც არავითარ სერიოზულ დანახარჯებს არ მოითხოვს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ მენეჯმენტზე და მესაკუთრის მიზნებზე ახალი შეხედულების დანერგვის დროს თითქმის ნულამდე მცირდება წინააღმდეგობა; მეორეც, ასეთი გადაწყვეტით კომპანია იმ სწორ ფინანსურ ენას სწავლობს, რომელზეც მფლობელს უნდა ესაუბროს იგი. გასაკვირი არ იქნება, რომ რარაც მცირე დროის შემდეგ უკვე კომპანიის მესაკუთრეები კი არა, მენეჯმენტი დააყენებს უფრო დახვეწილი მეთოდების გამოყენების საკითხს და მზად იქნება თავის თავზე აიღოს მათი დანერგვის ხარჯები და სირთულები.

ცხადია, კომპანიის მიმდინარე საქმიანობის ანალიზში ღირებულებით მიდგომის დანერგვის ასეთი ექსპრეს-მეთოდი შეუძლებელია სრულყოფილად ჩავთვალოთ. მით უმეტეს, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ეს გადაწყვეტა მთელ რიგ შემთხვევებში მართვის განვითარების ადრეულ ეტაპებზეა ხოლმე ყველაზე ეფექტიანი. ეს ის კომპანიებია, რომლებსაც შემდეგი მახასიათებლები აქვთ:

1. ყოფილი სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც კერძო ხელში გადავიდნენ;

2. წინათ დამოუკიდებელი კომპანიები, რომლებიც დღეს ჰოლდინგების შვილობილი საწარმოები გახდნენ და

3. ის კომპანიები, რომელთა საკონტროლო პაკეტიც სახელმწიფოს ეკუთვნის.

როგორც ვხედავთ, ეს ის კომპანიებია, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული მფლობელი და მმართველი, ღირებულების მართვის კულტურა კი არ არსებობს და მისი დანერგვა დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

კომპანიის ღირებულებაზე გავლენას ახდენს მისი მენეჯმენტის ერთ-ერთი საკვანძო სტრატეგიული გადაწყვეტილება — კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის შერჩევა იმ ფაქტორებისა და მოტივების გამოვლენა, რომლებიც კომპანიების კაპიტალის სტრუქტურის შერჩევას განაპირობებენ, სამი საკითხის მოგვარებას უწყობს ხელს.

ა) ამ სტრუქტურის მართვის ინსტრუმენტების პოვნას;

ბ) არასწორი ფინანსური ბერკეტის შერჩევის მიზეზით კომპანიების კაპიტალიზაციის „დეფიციტის“ დადგენას და

გ) ნასესხები სახსრების იმ კრიტიკული დონის განსაზღვრას, რომელიც კომპანიების ღირებულების მაქსიმიზირებას ინვესტს.

განვითარებადი ბაზრების კორპორაციული ფინანსების კვლევებით გამოვლენილია, რომ კაპიტალის სტრუქტურაზე მოქმედი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია განვითარებული ქვეყნებისათვის ტრადიციული ისეთი დეტერმინანტები, როგორებიცაა:

- კომპანიის აქტივების სტრუქტურა;
- კაპიტალის ზომა;
- კომპანიის კაპიტალის შემოსავლიანობა.

აღმოჩნდა, რომ კაპიტალის სტრუქტურის დეტერმინანტებში ქვეყნებს შორის განსხვავებები არ არსებობს, თუმცა განსხვავებულია ამ ქვეყნებში კაპიტალის სტრუქტურის ფორმირების მოტივები. კვლევებში აქცენტი გაკეთებული იყო სტატიკური კომპრომისული თეორიისა და დაფინანსების წესის თეორიის შედარებით ანალიზზე. ჩაატარეს კაპიტალის სტრუქტურის დინამიკური კომპრომისული კონცეფციის საპილოტე აპრობაციაც. რომელმაც გამოავლინა ამ მოდელის მნიშვნელობა კომპანიის ვალისა და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობის ოპტიმალობის დადგენაში. მიღებულმა შედეგებმა შესაძლებელი გახადა შემდეგი ჰიპოთეზების ჩამოყალიბება. [3]

1. განვითარებულ ბაზრებზე კომპანიების კაპიტალის სტრუქტურის ფორმირება შესაძლებელია აღწეროთ დინამიკური კომპრომისული კონცეფციით.

დინამიკური მოდელი სტატიკური კომპრომისული თეორიის ერთ-ერთი „გაფართოება“ სტანდარტულ ფაქტორებთან ერთად (აქტივების რენტაბელობა,

ფირმის სიდიდე, აქტივების სტრუქტურა, ზრდის შესაძლებლობები და სხვა) იგი მოიცავს კიდევ ერთ კომპონენტს – შეგუება-ადაპტირების ხარჯებს, რომლებიც ხელს უშლიან ოპტომალურ დონემდე ფინანსური ბერკეტის მყისიერ მიყვანას. ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია ისეთი კვლევები რომლებშიც გაანალიზებულია როგორც შეგუების ხარჯები, ისე კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის დეტერმინანტები. მათში გამოყენებულია ლინდერტის მოდელი, რომელიც კაპიტალის სტრუქტურის შესწავლისთვისაა მოდიფიცირებული.

$$L_t - L_{t-1} = a_0 + \delta(L_t - L_{t-1}) + a_1 Z + \eta$$

სადაც L ფინანსური ბერკეტის მაჩვენებელია, TL — ოპტიმალური ფინანსური ბერკეტი, Z მიმდინარე და წარსული ინვესტიციებისა და შემოსავლების ვექტორი [4]

ამ მოდელის სირთულეა მიზნობრივი ფინანსური ბერკეტის TL -ის განსაზღვრის აუცილებლობა. მეცნიერთა ერთი ნაწილი [5] ამისათვის საშუალო ისტორიულ მნიშვნელობას იყენებს, სხვები, მაგალითად, ესპანელი მეცნიერები — არელანო-ბონდის ეკონომეტრიკულ მეთოდს, რომელიც იძლევა კოეფიციენტების შეფასების შესაძლებლობას ლაგური დამოკიდებული ცვლადის მქონე პანელურ რეგრესიებში [6] ეს უკანასკნელი მოგვიანებით სხვა რამდენიმე ნაშრომში გამოიყენეს. მათში ადაპტაციის სისწრაფე და მიზნობრივი ბერკეტი ფაქტორთა ნაკრებზე დამოკიდებულ ცვლადად გვევლინებოდა. არაერთ კვლევაში (ბულგარეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, რუმინეთი და ესტონეთი) გამოვლინდა ოპტომალურ ფინანსურ ბერკეტზე ფირმის მახასიათებლების გავლენა ამა თუ იმ ქვეყნის ვითარებაზე დამოკიდებული, მაგრამ რენტაბელობისა და კომპანიების ასაკის მაჩვენებლები ყველგან უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. გარდა ამისა, აქტივების სტრუქტურა, რომელიც მთლიან აქტივებში ფიქსირებული დანახარჯების ხვედრით წილს ასახავს, უფრო დადებითი დამოკიდებულების ტენდენციას ატარებს, რაც შეესაბამება სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების შედეგებს. ეს იძლევა კაპიტალის მიზნობრივი სტრუქტურის დეტერმინანტებთან დაკავშირებული შემდეგი ფიპოთეზის ფორმულირების შესაძლებლობას.

2. სავალლო „დატვირთვის“ მიზნობრივი დონე კომპანიების ისეთ სპეციფიკურ მახასიათებლებზეა დამოკიდებული როგორცაა საგადასახადო სარგებელი (როგორც ვალის დაფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებული, ისე დანარჩენი), კომპანიის მოსალოდნელი ზრდა, მისი აქტივების სიდიდე და სტრუქტურა და კაპიტალის შემოსავლიანობა.

ადაპტირების ხარჯების არსებობის გამო კომპანიებს არ შეუძლიათ მყისიერად მიიყვანონ თავიანთი ფინანსური ბერკეტი მიზნობრივ დონემდე. ამასთან, ადაპტირების ხარჯების სიდიდე ქვეყნების მიხედვით

განსხვავებულია და მათში მოქმედ ინსტიტუციურსა და მაკროეკონომიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

ადაპტირების სისწრაფე ისეთ ცვლადად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომელიც ენდოგენურდაა დამოკიდებული ფირმის მახასიათებლებზე, ოღონდ მისი დეტერმინანტების შემადგენლობაში ინსტიტუციური და მაკროეკონომიკური ცვლადები. აშშ-სა და ევროპის ქვეყნების შედარებით ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ ადაპტირების სისწრაფეზე დადებითად მოქმედებს ფინანსების ეროვნული ბაზრის განვითარება, საკანონმდებლო სისტემის ეფექტიანობა და აქციონერთა დაცვა, ეკონომიკური ზრდა და ინფლაცია. აქციების ფასის და საფონდო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების დონეები ხელს უშლიან ფინანსური ბერკეტის მიყვანას ოპტიმალურ დონემდე, რადგანაც ჩნდება მოცემულ მომენტში დაფინანსების შედარებით უფრო იაფი წყაროების გამოყენების სარგებელი [7].

ზემოთმოყვანილი ლოგიკით, შესაბამისად მართლზომიერი იქნება შემდეგი ორი ჰიპოთეზა.

3. კაპიტალის განვითარებად ბაზრებზე ფუნქციონირებად კომპანიებს ადაპტაციის ნულოვანი დანახარჯები აქვთ.

4. ადაპტაციის ხარჯები დამოკიდებულია კრედიტების ხელმისაწვდომობაზე, ეკონომიკურ ზრდაზე, ინფლაციაზე, ქვეყანაში საფონდო ბაზრის განვითარებაზე.

2008-2009 წლების კრიზისი შეუძლებელია არ ასახულიყო მენეჯმენტის მიერ კაპიტალის სტრუქტურის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რასაც გავლენა უნდა მოეხდინა როგორც გარე ინ-

სტიტუციურ და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ისე ფირმის შიდა მაჩვენებლებზეც (ზრდის შესაძლებლობები, აქტივების რენტაბელობა). აქედან, მეხუთე ჰიპოთეზა.

კრიზისულმა პერიოდმა უდიდესი მნიშვნელობა იქონია ფირმების მიერ ფინანსურ გადაწყვეტილებათა მიღებაზე.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ჩეჩელაშვილი, 2013
2. А. Сенов, Семионова Е., Смирнова И. - Компромиссные теории структуры капитала – Электронный журнал 2003.
3. Ивашковская, Кокорева Ивашковская Кокорева Пономарева – Финансовая архитектура фирмы – Электронный журнал 2003
4. Fama, French, 2002
5. Jalilvand, Harris, 1984
6. Moguel, Pindado
7. Wanzenried, 2006
8. ჯეიმს ს. ვან ჰონრი, ჯონ მ.ვაჰოვიჩი, უმც. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, მეორე მეთე გამოცემა, „საქართველოს მაცნე“ 2009;
9. Роберт В Колб Рикардо Дж Родригес – Финансовый Менедмент М 2001
10. Роберт С Хигинс Финансовый анализ-Инструменты для принятия визнес-решений 8-е издание Москва 2007

თბილისში მიწის ფასი კვლავ არააღქვამურად დაბალი იქნება, როგორც ქვეყნის მიწის პრივატიზაციის მორატორიუმის გამოცხადების აუსილავლოვას

მურად ნარსია

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სერთიფიცირებული აუდიტორი, ქონების სერთიფიცირებული შემფასებელი, აუდიტორული კომპანია „პრიმა აუდიტი“-ს პარტნიორი

თბილისის უძრავი ქონების საშემფასებლო ბაზარზე მიწის შეფასების მომსახურების განვითარების პრაქტიკიდან გამომდინარე მ.ნარსია აქტუალურად თვლის იმ პრობლემის წარმოჩენას, რომელსაც პროფესიონალი ქონების შემფასებლები მიწის ნაკვეთების შეფასებისას აწყდებიან. პრობლემა დანახულია ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან მიმართებაში და წამოწეულია გენერალური გეგმის შემუშავებისას მთელი რიგი ასპექტების გათვალისწინების აუცილებლობის საკითხი. იმ მიზნით, რათა პროფესიონალ შემფასებლებს მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასის განსაზღვრისას მიეცეთ შესაფასებელი ნაკვეთების საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენების მონაცემების გაითვალისწინების შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები:

- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა;
- მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი;
- მიწის ნაკვეთების საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენება;
- ქალაქის მჭიდროდ დასახლებული უბნების განტვირთვა;
- მიწის შეფასება;

STILL THE PRICE OF LAND IN TBILISI REMAINS INADEQUATELY LOW, WHICH CREATES THE NECESSITY FOR ANNOUNCING MORATORIUM FOR PRIVATIZATION OF LAND

Murad Narsia

Based on the practice of land management assessment on Tbilisi Real Estate Valuation Market M. Narsia is sensitive to the problem that the assessment of professional property assessors is found in assessing the land plot. The problem is in relation to the general plan of land use in Tbilisi and the necessity of considering a number of aspects in the development of a general plan. In order to ensure professional assessment of the market price of the land plot, it is possible to take into account the best and most efficient use of valuable parcels.

Keywords:

- Master Plan for using land;
- Market price of and plot;
- Using and plots effectively;
- Discharge of the city in tensely populated areas;
- Evaluation of land;

ამ სტატიის სათაური შემთხვევით არ არის შერჩეული, რადგან თბილისში საკმაოდ მწირი მიწის რესურსების პირობებში მიწის ფასი კვლავ არაადექვატურად, დაბალი რომ იქნება ამაში დამარწმუნა ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალების შესანავლამ და ანალიზმა.

2009 წლიდან დღემდე, როგორც პროფესიონალი სერთიფიცირებული შემფასებელი, ვსაქმიანობ რა ქონების შეფასების ბაზარზე, ძალიან ხშირად ვაწყდები პრობლემებს ქალაქ თბილისის (არა მარტო ქალაქ თბილისის) მიწის ნაკვეთებისა და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობების შეფასებისას, რადგან, შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მაქვს რა ვალდებულება მიწის ნაკვეთისა და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საბაზრო ფასის დადგენისას დავეყრდნო ამ ქონების საუკეთესოდ და ეფექტიანი გამოყენების და სარგებლიანობის პრინციპებს, რომელსაც თითქმის ვერ ვახერხებ იმის გამო, რომ დღემდე მოქმედი ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გენერალური გეგმა (მგგ) არ იძლევა ამ კრიტერიუმების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელ ინფორმაციას. ამ პრობლემის გამო, ცხადია მქონდა მოლოდინი, რომ თბილისის ახალი მიწათსარგებლობის გეგმა გამოასწორებდა ამ არსებითი ხასიათის ხარვეზებს, თუმცა, როგორც ამ გენგემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, ფუჭია ეს მოლოდინი შემდეგი გარემოებების გამო:

1. დღეს ქალაქ თბილისში საზოგადოდ, მათ შორის ქალაქ თბილისის მერიის მიერ, მიწის ნაკვეთები იყიდება არარეალურად დაბალ ანუ არაადექვატურ ფასად არა იმიტომ, რომ ასე უნდა ქალაქ თბილისის მერიას, არამედ იმიტომ რომ ქონების შემფასებლებს, რომლებიც ქალაქის სსიპ “ქონების მართვის სააგენტოს” აწვდიან ქონების შეფასების მომსახურებას, არა აქვთ ინფორმაცია გასაყიდი მიწის ნაკვეთის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებასა და სარგებლიანობაზე, რომელსაც ისინი უნდა ლებულობდნენ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. სწორედ ამიტომ, კონტრაქტით აყვანილი ქონების შემფასებლები, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი ითვალისწინებს ამ მომსახურების მიწოდებას შეფასების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებზე დაყრდნობით, საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთების (რომელიც თავისი შინაარსით არის მუდ-

მივი და უნიკალური აქტივი) შეფასებისას ძირითადად იყენებენ შედარებითი ანალიზის მეთოდს, რომელიც ცხადია (მით უფრო იმის გამოც, რომ ქალაქში და ქვეყანაში არ არსებობს მინის ნაკვეთების ინსტიტუციონალურად გამართული ბაზარი) არ იძლევა მომავალ განვითარებაზე გათვალისწინებული (ორიენტირებული) უნიკალური აქტივის-მინის ნაკვეთის ადექვატური საბაზრო ღირებულების სიდიდის დადგენის საფუძველს;

2. იმისათვის, რომ სერტიფიცირებულმა შემფასებელმა ქალაქ თბილისის მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების ადექვატური სიდიდე დაადგინოს, შეფასების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით არის აუცილებლობა ამ შემფასებელმა შესაფასებელ მინის ნაკვეთზე მოიპოვოს მომავალში მისი საუკეთესოდ, ეფექტიანად და სარგებლიანად გამოყენების მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი/ინფორმაცია. ასეთ დოკუმენტი/ინფორმაცია თბილისის მინათსარგებლობის გენერალურ გეგმასა და თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (ამ გეგმას საერთოდ ვერ ვპოულობთ), როგორც ჩანს, საერთოდ არ არის გათვალისწინებული. მინის შეფასების მიზნებისათვის მინა მიიჩნევა მუდმივ უნიკალურ აქტივად მისი გაუმჯობესების (განვითარების) ჩათვლით. სწორედ მინის უნიკალური მახასიათებლები განსაზღვრავს მის ოპტიმალურ სარგებლიანობას და ამის გამო შემფასებელს აქვს ვალდებულება განახორციელოს შეფასება როგორც მინის, ასევე მისი გაუმჯობესების (განვითარების) ერთობლივი კომბინაციით;

3. მინის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის მისი სარგებლიანობა. შეფასების პროცესში შემფასებლის მიერ გამოსაყენებელი პროცედურების საერთო მიზანია შესაფასებელი ქონების (მინის) გამოყენებისა და სარგებლიანობის ხარისხის განსაზღვრა და რაოდენობრივად გამოსახვა. მაგალითად, როცა არსებობს მინის ნაკვეთზე მშენებლობის შესაძლებლობა, მისი პროდუქტიულობა იმის მიხედვით გაიზომება, თუ რამდენად პროდუქტიული იქნება მისი საცხოვრებელი, კომერციული, ინდუსტრიული ან შერეული გამოყენება. შედეგად, მინის ღირებულება განისაზღვრება მისი გამოყენების იურიდიული, ფიზიკური, ფუნქციური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინებით, რადგან აღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავს მის პროდუქტიულობას (სარგებლიანობას).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალაქ თბილისის მინის პროფესიონალი შემფასებლისათვის არსებითია, თბილისის მინათსარგებლობის გეგმა განსაზღვრავდეს ქალაქ თბილისის, მისი ცალკეული ტერიტორიის მინათსარგებლობას, განვითარების სტრატეგიასა და შესაძლო განვითარებას, აგრეთვე ქალაქში მინათსარგებლობის პრინციპებს. შემფასებელს უნდა ჰქონდეს მინის ნაკვეთის განვითარების პარამეტრების განჭვრეტის და სწორედ მათი გათვალისწინებით

მინის საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობა. თუმცა, როგორც ჩანს, შესაძლოა იმიტომ, რომ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა (გეგმასთან დაკავშირებული მასალები) არ ეყრდნობა შესაბამის კვლევებს (რომლებიც საკმაოდ ძვირადღირებულია) და ქალაქს პრაქტიკულად არ გააჩნია ქალაქის განვითარების სტრატეგიული გეგმა, შემფასებლებს, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს არ ექნებათ თავიანთი პროფესიული მოვალეობის სრულ ფორმატში შესრულების შესაძლებლობა. ამასობაში კი იწურება მინის ნაკვეთების რესურსი, იაფი მინის ნაკვეთების შემძენები, რომლებსაც ამოძრავებთ მაღალი მოგების მიღება, გვერდით გვიშენებენ მაღალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებს, რითაც უარესდება თბილისში, განსაკუთრებით ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა პირობები.

ცხადია, ქ. თბილისში დღის წესრიგში მთელი სიმწვავეთ დგას მჭიდროდ დასახლებული უბნების განტვირთვის ობიექტური აუცილებლობა, რომლის ერთ-ერთი გზა მისი აქტუალობიდან გამომდინარე, არის „მინისქვეშა ურბანისტიკის“ განვითარების შესაძლებლობის გამოყენება, თუმცა, როგორც თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა (იხ.გვ.1 თემატური რუკები და სქემები. „მინის ურბანისტიკის“ არეალის სქემა) „არ არსებობს ზუსტი გეო-რადირების მონაცემები, რომელთა გარეშე, ამ ეტაპზე, შეუძლებელია მინისქვეშა სივრცეების დაგეგმარება“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ იარსებებს მინისქვეშა სივრცეების ათვისების სტრატეგია. ეს იმიტომ ხდება, რომ ქალაქ თბილისის არ გააჩნია ქალაქ თბილისის მინისქვეშა სივრცითი ათვისებისა და მინისქვეშა ურბანიზაციის განვითარების ძირითადი მიმართულებების კონცეფცია, შესაბამისი ტექნიკური და ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების ერთიანი საქალაქო სისტემა და ამის შედეგად არ არსებობს შესაბამისად რეგლამენტირებული მოთხოვნები იმ კომპანიების მიმართაც, რომლებმაც უკვე ააშენეს, ახლაც აშენებენ და მომავალშიც დააპროექტებენ და ააშენებენ ობიექტებს მთელს ქალაქში, მათ შორის მჭიდროდ დასახლებულ უბნებში. არადა მსოფლიოში არსებული პრაქტიკის მიხედვით, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობების მენაშენებს ავალდებულებენ დაპროექტებისას გაითვალისწინონ მინისქვეშა სივრცეების ათვისების შესაძლებლობა (მინისქვეშა ნაგებობების 20-25 % წილი შენობის საერთო ფართის მიმართ). ვნუხვართ, რომ დაკარგული დრო, უმოქმედობა და გულგრილობა შლის ქალაქის მინისქვეშა ურბანიზაციის შესაძლებლობების გამოყენების შანსებს. მოვიყვან ერთ მაგალითს, ვთქვათ, ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ ცენტრში ქალაქის მერიას ან მოქალაქეს აქვს მისი 3000 კვ. მ მინის ნაკვეთის (სადაც შესაძლოა ძველი უკვე ამორტიზებული ნაგებობებიცაა განთავსებული, რომელებიც

დემონტაჟს უნდა დაექვემდებარეოს) პოტენციურ ინვესტორზე გასხვისების განზრახვა (იმ მიზნით, რომ ვთქვათ ინვესტორმა მოაწყოს გასართობი კლუბი, მინის ქვეშა პარკირების სერვისი, პროდუქციის სადისტრიბუციო და სასაწყობო მეურნეობა) ან მერია მიიღოს გადაწყვეტილება საქვეითო გადასასვლელის ორგანიზებაზე. ეს მოქალაქე ან მერია, როცა მინის სერტიფიცირებულ ქონების შემფასებელს ამ მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების განსაზღვრავად მიმართავს, როგორ უნდა გასწიოს მან ეს შეფასების მომსახურება, თუ არ ექნება მინის ნაკვეთის ქვეშ არსებულ გეო-რადირების მონაცემების შესახებ ინფორმაცია (ანუ მინის ქვეშ არსებულ სივრცითი განვითარების პარამეტრებზე, მათ შორის კომუნიკაციების მარშრუტების შეცვლასთან/გადატანასთან დაკავშირებულ ოპერაციებსა და სხვა საჭირო შესაბამის ინფორმაციაზე)? როგორ უნდა განსაზღვროს შესაფასებელმა აღნიშნული მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, როცა შეუძლებელი იქნება პროდუქტიულობასთან დაკავშირებული ფაქტორებზე ინფორმაციის მოპოვება მინათსარგებლობის გეგმის მასალებსა და ქალაქის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში? ამ შემთხვევაში გამყიდველიც (მერია/მოქალაქე) და შემფასებელიც ხომ მოკლებული იქნება მოსალოდნელ გაუმჯობესებათა სარგებლიანობისა და მისი პარამეტრების გათვალისწინების შესაძლებლობა? ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემფასებელიც და გამყიდველიც მინის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას დაეყრდნობა მხოლოდ მინის ნორმატიულ ფასს, გაყიდვების შედარებითი ანალიზის მეთოდს, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მინის ნაკვეთის საბაზრო ფასის არაადექვატურად დაბალი სიდიდის ჩამოყალიბებას. არაადექვატურად დაბალი ფასის ფორმირება კი ხელს უწყობს არაადექვატურ საბიუჯეტო შემოსავლებს და ქალაქ თბილისის მინის ბაზრის არასწორად ფორმირებას, იაფად შეძენილი მინის ნაკვეთებით სპეკულაციას, რომელსაც კავშირი არ აქვს დედაქალაქის გააზრებულ და ქალაქის საჭიროებაზე ორიენტირებულ სივრცით განვითარებასთან. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ დედაქალაქის არასასოფლო სამეურნეო მიწასთან დაკავშირებით დღემდე არსებული სიტუაცია, მათ შორის მოქმედი რეგლამენტაციები ქმნის ქალაქმშენებლობასა და სივრცით მოწყობაში ქაოსისა და განუკითხაობის ატმოსფეროს, აქედან გამომდინარე შედეგებით, რომელიც არავის არ აწყობს, მათ შორის არც ქალაქის მენეჯმენტს და არც ამ ქალაქში მაცხოვრებელთ. ამ სფეროში დავინახე მთელი რიგი აუცილებელი კვლევებისა და მათ საფუძველზე შესაქმნელი შეს-

აბამისი ადექვატური რეგლამენტაციების შექმნისა, დამტკიცების, შემდგომ მათი განხორციელების აუცილებლობა.

ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ თბილისის მინათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის მასალები პროფესიონალ ქონების შემფასებლებს კვლავ არ აძლევს თბილისის მინის ნაკვეთის ადექვატური საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესაძლებლობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისში მინის ფასი კვლავ არაადექვატური დაბალი იქნება. ასეთი მდგომარეობა ქმნის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მართვაში არსებული ისედაც მწირი მინის ნაკვეთების რეზერვების მთლიანად ამოიწურვის წინაპირობებს. იმ ზომამდეც კი, რომ ქალაქს მომავალში არ დარჩეს (ქალაქს კი აუცილებლად უნდა ჰქონდეს მინის რესურსებისა და ინვესტორებისათვის შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტილებების რეზერვი) სერიოზული საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი პოტენციური ინვესტორებისათვის მინის ნაკვეთების, ქალაქისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი შესაბამისი საინვესტიციო პროექტების, შეთავაზების შესაძლებლობა.

იმის გამო, რომ თბილისში მინის ფასი კვლავ არაადექვატურად დაბალი იქნება, მიზანშეწონილად ვთვლით მინის პრივატიზაციაზე მორატორიუმის (დროებით მაინც) გამოცხადების აუცილებლობას, რადგან ამ მოქმედების ნეგატიური შედეგი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ის ზიანი, რომელიც თბილისის ტერიტორიაზე მინის ნაკვეთების დღემდე არსებული პრაქტიკით, სისტემითა და ფორმით რეალიზაციამ (პრივატიზაციის ფორმით) ქვეყანასა და ქალაქს შეიძლება მოუტანოს. დიახ, სჯობია გაეჩერდე, დაფიქრდე, დავძლიოთ ამ მეტად არსებითი საკითხის მიმართ გულგრილობის სინდრომი, შევქმნათ ქალაქ თბილისის მომავალზე ორიენტირებული, თუნდაც ძვირადღირებულ კვლევებზე დაფუძნებული, მინათსარგებლობის გენ-გეგმა და თბილისის განვითარების სტრატეგია და ვიმოქმედოთ გააზრებულად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის მასალები (<http://tas.ge/?p=content&type=3&news=78402>);
2. საქართველოს საერთაშორისო სტანდარტების მეცხრე გამოცემა (შსს 2013);

სისტემური რეგისტრაცია - გზა მიწის კალასტრის საბოლოო მოწესრიგებისაკენ

ზეინაბ ახალაძე
აწსუ-ს ასოც. პროფესორი
მანანა შალამბერიძე
აწსუ-ს ასოც. პროფესორი

რეზიუმე

მიწის რეფორმა სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის, როგორც ტრადიციულად აგრარული მიმართულების სახელმწიფოსთვის. დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში მიწის რამდენიმე რეფორმა განხორციელდა, მაგრამ მიუხედავად ამისა დღეისათვის ქვეყანაში მიწის მხოლოდ 25 %-ია რეგისტრირებული. მეორეს მხრივ, უკვე დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი ხელახალ რეგისტრაციას საჭიროებს, რაც მიწების რეგისტრაციის დროს არსებულ ხარვეზებს უკავშირდება.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის სრულყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაცია. მიღებული კანონის თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა. მოიხსნა ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდა. ახალი კანონი უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული.

საკვანძო სიტყვები: მიწის რეფორმა; სასოფლო-სამეურნეო მიწა; სისტემური რეგისტრაცია; რეგისტრაციის ხარვეზები.

SYSTEM REGISTRATION - PATH OF LAND CADASTRE TO ULTIMATE SETTLEMENT

Zeinab Akhaladze

asoc. prof. of Akaki Tsereteli State University

Manana Shalamberidze

asoc. prof. of Akaki Tsereteli State University

RESUME

Land Reform is a serious challenge for our country as a traditionally agricultural state. Several reforms have been implemented in the aftermath of independence, but still only 25% of the country's land is registered. On the other hand, most of the already registered land plots need re-registration, which is related to faults during registration.

In order to improve the agricultural and non-agricul-

tural land cadastre and registration of the whole territory of Georgia, the Government of Georgia has made a decision to implement the systemic registration of the land plots. Under the adopted law, the registration procedure of the land plots was simplified. The barriers were lifted and the registration procedure was encouraged. The new law is oriented on simplification of real estate registration procedures and protection of owners' rights.

Keywords: Land reform; Agricultural land; Systemic registration; Flaws To register.

* * * *

მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანს უდაოდ მიწის რეფორმა წარმოადგენს, რაც სერიოზული გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისათვის, როგორც ტრადიციულად აგრარული მიმართულების სახელმწიფოსთვის. მიწის ბაზარზე არსებული პრობლემები აფერხებს ინვესტიციების შემოდინებას სოფლის მეურნეობის სექტორში და მთლიანად ქვეყანაში, ზღუდავს კონკურენციას და კიდევ უფრო ამცირებს მიწის ფასსა და ხარისხს. ინვესტიციებისთვის მნიშვნელოვანია გარანტირებული საკუთრების უფლება, მაღალი ნდობის ფაქტორი, როდესაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის მიმართ უცყუარობის პრეზუმცია ექვემდებარება. რაც უფრო მალე დასრულდება რეფორმა და გაიზრდება მიწაზე წვდომა ადგილობრივი და უცხოელი ინვესტიციებისთვის, უფრო მეტად შეეწყობა ხელი სოფლის მეურნეობის, საქართველოს პრიორიტეტული ეკონომიკური დარგის განვითარებას.

დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში მიწის რამდენიმე რეფორმა განხორციელდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეისთვის მიწის ნაკვეთების ძალზედ მცირე რაოდენობაა რეგისტრირებული. მეორეს მხრივ, კი უკვე დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი ხელახალ რეგისტრაციას საჭიროებს, რაც მიწების რეგისტრაციის დროს არსებულ ხარვეზებს უკავშირდება. ზოგ დოკუმენტს ხელმოწერა აკლია, ზოგიერთს კიდევ ბეჭედი. მთავარი კი იმაში მდგომარეობს, რომ დღეს საჯარო რეესტრი რეგისტრაციას ახორციელებს უფლების დამდგენი დოკუმენტისა და აზომვითი ნახაზის საფუძველზე. შეიძლება პირმა წარმოადგინოს უფლების დამდგენი დოკუმენტი, მაგრამ აზომვითი ნახაზი არ ასახავდეს

მასში მოცემულ ფაქტობრივ მდგომარეობას. ხშირად საკადასტრო ნახაზები განსხვავდება ნაკვეთების რეალური ზომისა და კონფიგურაციისაგან და ხდება გადაფარვები. ეს ხარვეზები დოკუმენტის უტყუარობის თვალსაზრისით ეჭვებს აჩენს და განიხილება მინის რეგისტრაციის დამაბრკოლებელ ფაქტორად.

სულ ახლახანს მინის რეფორმის კიდევ ერთი ტალღა დაიწყო. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის კადასტრისა და რეგისტრაციის სრულყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს მინის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა. შესაბამისად მომზადდა სპეციალური პროექტი და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ - ასე ეწოდება ახალ კანონს, რომლის მიზანს საქართველოში არსებული მიწების სრული რეგისტრაცია შეადგენს.

კანონის თანახმად, სახელმწიფო პროექტი წარმოადგენს იმ საჯარო მმართველობითი ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემურ რეგისტრაციას გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის, დოკუმენტაციის ანალიზისა და მინის ნაკვეთების მდებარეობის უტყუარად დადგენის საფუძველზე. კანონის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო საკუთარი ინიციატივით განახორციელებს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მოძიებას, სისტემატიზაციას, მინის ნაკვეთების საკადასტრო აღწერას, შესრულებული სამუშაოს შედეგების დოკუმენტირებას და სხვა უფლებამოსილებებს.

პროექტის ფარგლებში გატარებული ცვლილებების შედეგად ამზომველების საქმიანობა სერტიფიცირებას დაექვემდებარა. დამტკიცდა აზომვითი ნახაზის ერთიანი სტანდარტი და დადგინდა მომსახურების საფასური (ნიხრები). ამზომველსა და მოქალაქეს შორის გაიმიჯნა პასუხისმგებლობა. კერძოდ, უძრავი ნივთის ადგილმდებარეობასა და საზღვრის იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელია მესაკუთრე, ხოლო აზომვითი სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასა და ნახაზის სისწორეზე კი-ამზომველი. ახალი სტანდარტები უფრო მეტად დაცულს ხდის როგორც მინის მესაკუთრეების, ისე ამზომველების უფლებებს. ამზომველს ეცოდინება, როგორ აზომოს მინის ნაკვეთი ცდომილების გარეშე, რაც მინიმუმამდე დაიყვანს „გადაფარვებისა“ და მესაკუთრეებს შორის სამომავლო დავების წარმოშობის რისკს.

ახალი კანონის თანახმად, საჯარო რეესტრი რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდა. დოკუმენტების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის

მოძიებაში მოქალაქეს საჯარო რეესტრი ეხმარება. ქონების რეგისტრაციაზე უარის მიზეზი მხოლოდ დოკუმენტებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობა შეიძლება იყოს. უმნიშვნელო ხარვეზი აღარაა მინის რეგისტრაციის ხელისშემშლელი. მედიატორების, მათ შორის სანოტარო მედიაციის, მეშვეობით, სახელმწიფო მოქალაქეებს საკუთრებაზე წარმოქმნილი დავების მარტივად, სასამართლო დავის გარეშე, მოგვარებაში ეხმარება. სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები (დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება, მედიაცია, თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია) უსასყიდლოდ სრულდება.

მინის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმა 2016 წლის 1 აგვისტოს დაიწყო და 2018 წლის 1 ივლისამდე გაგრძელდება. იგი ორ ეტაპად ხორციელდება. რეფორმის პირველი ეტაპი-სპორადული რეგისტრაცია, რომლის ფარგლებში საჯარო რეესტრი დოკუმენტაციის მოძიებას და სარეგისტრაციო წარმოებას მოქალაქეთა ინდივიდუალური მომართვის შემდეგ იწყებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. რეფორმის მეორე ეტაპის—სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის ფარგლებში კი მიწები წინასწარ შერჩეულ ტერიტორიებზე, სისტემურად და პროაქტიულად მოპოვებული და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე დარეგისტრირდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისტემური რეგისტრაციების საპილოტო პროექტი მინის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის მეორე ეტაპია, რომლის ფარგლებში, წინასწარ შერჩეულ გეორგაფიულ არეალებში სრულად დარეგისტრირდება კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთები. თუმცა, საპილოტო პროექტის ფარგლებში რეგისტრაცია არ ზღუდავს მოქალაქეებს ინდივიდუალურად, განცხადებით მიმართონ საჯარო რეესტრს და ნაკვეთები თავად დაირეგისტრირონ.

მთავრობის დადგენილებით, საპილოტო პროექტისთვის, გეოგრაფიული მრავალფეროვნების გათვალისწინებით, 12 დასახლება შეირჩა (ცხრ..№1). ეს ის დასახლებებია, სადაც, საპილოტო პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეები საკუთრების უფლების რეგისტრაციას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მარტივად და უფასოდ შეძლებენ. მოცემული არეალები შერჩეულ იქნა საჯარო რეესტრის და მისი პარტნიორი ექსპერტების მიერ, რადგან ჩაითვალა, რომ ეს არეალები წარმოადგენს დასახლებული ტერიტორიების ისეთ ნიმუშებს, რომლებშიც თავმოყრილია საკუთრების უფლების რეგისტრაციის კუთხით საქართველოში არსებული სხვადასხვა სახის პრობლემა. პილოტური პროექტის


ცხრ..№1 პილოტური პროექტის არეალების გეოგრაფიული მდებარეობა

№	მუნიციპალიტეტი	პილოტური პროექტის ჩატარების ადგილი
1	დედოფლისწყარო	არბოშიკი
2	დედოფლისწყარო	არხილოს კალო
3	გორი	კარალეთი
4	გურჯაანი, საგარეჯო	ჯიმითი, მზისგული (ბოგდანოვკა)
5	მარტვილი	ვედიკარი
6	მესტია	ლახამულა
7	მცხეთა	საგურამო
8	შუახევი	დაბა შუახევი
9	თეთრიწყარო	დაბა მანგლისი
10	თიანეთი	ზარიძეები
11	ვანი	სალხინო


შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილია მთელი ქვეყნის მასშტაბით სისტემური რეგისტრაციის განხორციელება.

ამ ეტაპზე რეფორმის ფარგლებში წარმატებულად დასრულებული სარეგისტრაციო განცხადებების ოდენობა 249342 შეადგენს. დამატებითი დოკუმენტაციის მოძიება სხვა უწყებებში 72438 განცხადებაზე მიმდინარეობს, აღიარების კომისია კი მუშაობს 17209 განცხადებაზე (სურ.1). ამასთანავე, ქალაქებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციების ოდენობა მნიშვნელოვნად

აჭარბებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციების რაოდენობას. სასოფლო ტერიტორიებზე არსებული მიწის რეგისტრაციის შედარებით დაბალი სიხშირე შეშფოთების საფუძველს იძლევა, რადგან ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მიწათსარგებლობა, იურიდიული თვალსაზრისით, არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი. რაც შეეხება სტატისტიკას რეგიონების მიხედვით, ლიდერობენ: საჩხერე (16073)—6.4%; ზესტაფონი (11957)—4.8%; თერჯოლა (11563)—4.6%; გორი (10650)—4.3% და ჭიათურა (9279)—3.7% (სურ. 2).



სურ. 1 რეფორმის ფარგლებში წარმატებით დასრულებული სარეგისტრაციო განცხადებები



სურ. 2 სტატისტიკა თარიღის მიხედვით

ასეთია მიმდინარე ეტაპზე მინის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის სურათი. როგორც ვხედავთ, მინების რეგისტრაციის ტემპი გარკვეულად გაიზარდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დასრულდეს პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ მინის რეფორმის ნარმატებით განხორციელება მეტად მნიშვნელოვანია, მათ შორის სახელმწიფო მმართველობის კუთხითაც. იგი შესაძლებლობას მისცემს საქართველოს მთავრობას შეიმუშაოს მინის ადმინისტრირებისა და მინათსარგებლობის ეფექტიანი პოლიტიკა; ხელს შეუწყობს არსებული ბუნებრივი რესურსების ბაზისა და დაცული ტერიტორიების დაცვასა და შენახვას; მთავრობას მიეცემა თანმიმდევრული და სათანადო საგადასახადო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა, რომელიც დაფუძნებული იქნება მინის რეალურ მესაკუთრეებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მინის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის სამართლებრივი სტრატეგია. USAID Governing for Growth (G4G) in Georgia;
2. მინის რეგისტრაციისა და პილოტურ არეალებში საკადასტრო მონაცემების სრულყოფის სტრატეგია. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
3. ინტერნეტრესურსები

კონკრეტული პოლიტიკის სრულყოფის მიმართულება საქართველოს საბანკო ბაზარზე

ხათუნა შალამბერიძე

ეად., აწსუ ასოც. პროფესორი

THE TRENDS OF IMPROVEMENT OF COMPETITIVE POLITICS IN THE GEORGIAN BANKING MARKET

Khatuna Shalamberidze -
Academic Doctor of Economics
of Akaki Tsereteli State University;
Associate Professor

SUMMARY

Development of competition in the Georgian banking sector and increasing the competitiveness of commercial banks represents a very acute problem. Development of the banking system of the country depends on the regulation of banking activities that would provide civilized competition in this field. Good competition ensures not only the development of the banking sector, but also the economic stability of the country.

Banking market credit institutions as a result of competitive forces to be banking on the demand and supply balance, which stimulates commercial banks by pooled financial resources and set up an effective cycle of economic entities and population and the current investment needs meet.

Thus, the development of the banking sector of Georgia must be in good condition in the competition when every commercial bank will be able to freely enter and exit from this market.

Key words: “Banking Competition” and “Interbank Competition”; Regulation of antimonopoly policy in the banking sector; Concentration in the banking sector; Target vision of competition.

საკვანძო სიტყვები: „საბანკო კონკურენცია“ და „ბანკთაშორისი კონკურენცია“; ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეგულირება საბანკო სექტორში; საბანკო სექტორში კონცენტრაცია; კონკურენციის მიზნობრივი ხედვები.

* * * *

საქართველოს საბანკო სექტორში კონკურენციის განვითარება და კომერციული ბანკების კონკურენტუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს საკმაოდ მწვავე პრობლემას. ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარება დამოკიდებულია საბანკო საქმიანობის ისეთ რეგულირებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა ცივილიზებულ კონკურენციას ამ სფეროში. კეთილსინდისიერი კონკურენცია განაპირობებს არა მხოლოდ საბანკო სექტორის განვითარებას, არამედ

უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას.

საბანკო ბაზარზე საკრედიტო ორგანიზაციებს შორის კონკურენტული ძალების მოქმედების შედეგად უნდა მოხდეს საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნისა და მიწოდების განონასწორება, რომლის დროსაც სტიმულირდება კომერციული ბანკების მიერ აკუმულირებული ფინანსური რესურსების ეფექტიანი წრებრუნვა და იქმნება ეკონომიკის სუბიექტებისა და მოსახლეობის მიმდინარე და საინვესტიციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საქართველოში, საბანკო ბაზრის კონკურენცია, რეგულირებაში მოექცა 2012 წელს მიღებული საქართველოს კანონის “კონკურენციის შესახებ” ნორმების ფარგლებში. საბანკო ბაზარზე კონკურენცია ატარებს გარკვეულ სპეციფიკურ ნიშნებს, რითაც იგი განსხვავდება სხვა ბაზარზე არსებული კონკურენციებისაგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საბანკო ბაზარი ოპერირებს ფულით, აბსოლუტური ლიკვიდურობის მქონე საქონლით, რომლის ჩანაცვლება სხვა საქონლით შეუძლებელია. მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან შინაარსით გაემიჯნოთ ტერმინები: „საბანკო კონკურენცია“ და „ბანკთაშორისი კონკურენცია.“ ამ ფორმით საკითხის შესწავლა, ანალიზი და შეფასება სასურველ შედეგს უზრუნველყოფს.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკის კონკურენტულ რეგულირებას, ჯერ-ჯერობით კონკურენციის სააგენტოს არ აქვს შემუშავებული ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემატიზირებული გეგმა და მისი რეალიზაციის ზომები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში კონკურენციის განვითარება და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სრულყოფა. შემუშავებულ უნდა იქნას საერთო გეგმა, რომელიც მიმართული იქნება ისეთი ფუნქციების განხორციელებაზე, რომელიც განავითარებს კონკურენციას, შეამცირებს სახელნიფოს მონაწილეობას ეკონომიკურ საქმიანობაში და გამოიყენებს საუკეთესო პრაქტიკას.

ბანკთაშორისი კონკურენციის განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია შეიქმნას მიზნობრივი ხედვა, რომელიც უზრუნველყოფს საბანკო სექტორში კონკურენციის განვითარებას. მიზნობრივი ხედვის ფარგლებში უნდა განისაზღვროს ბანკთაშორისი კონკურენციის მარეგულირებელი სისტემა, რომლითაც მკაცრად განისაზღვრება პასუხისმგებელი ორგანოები, მიზნები და დავალებები, რეგულირების მექანიზმები, ვადები და რეგულირების შედეგები.

ბანკთაშორისი კონკურენციის განვითარების

მიზნობრივი ხედვა სახელმწიფო დონეზე უნდა შემუშავდეს კონკურენციის სააგენტოს, ეროვნული ბანკის (როგორც მეგა რეგულატორი), კომერციული ბანკებისა და საბანკო ასოციაციებისა და კავშირების მიერ ეკონომიკის რეალური სექტორის გათვალისწინებით.

საქართველოს საბანკო სექტორში შეინიშნება მსხვილი ბანკების კონცენტრაციის ზრდის ტენდენცია. პერიოდულად ხორციელდება ბანკების შერწყმის პროცესი, რაც ისედაც კონცენტრირებულ ბაზარს უფრო მეტად ხდის კონცენტრირებულს და იზრდება მხოლოდ რამოდენიმე ბანკის დომინირება, ყოველივე აღნიშნული კი აუცილებლად მოითხოვს ეფექტური რეგულირების მექანიზმის შემუშავებას.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული და მხარდაჭერილი თავისუფალი მენარმოებისა და კონკურენციის განვითარება, მაგრამ რეალიზების გზები ანუ კონკურენციის დაცვის მექანიზმებზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრა ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება, სწორედ ასეთ დარგს მიეკუთვნება საბანკო სექტორი. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია საბანკო კონკურენციაზე ზედამხედველობის ორგანო - ეროვნული ბანკი, მაგრამ „კონკურენციის სააგენტოს შესახებ“ კანონითა და კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის სააგენტოს მიერ დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებებით“ საბანკო სექტორში კონკურენციაზე ზედამხედველობას ახორციელებს კონკურენციის სააგენტო. ამასთანავე ცნობილია, რომ კონკურენციის სააგენტომ შეიძლება იკისროს გარკვეულწილად დამხმარის ფუნქცია და სხვადასხვა ორგანოებს გაუწიოს კონსულტაციები. ყოველივე აღნიშნული, რომელიც არსებობს საკანონმდებლო დონეზე საჭიროებს დაზუსტებას.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონში უნდა ჩაინეროს რომ, საბანკო სექტორში კონკურენციაზე ზედამხედველობას ახორციელებს ეროვნული ბანკი კონკურენციის სააგენტოსთან ერთად ან უფრო ადეკვატური იქნება გაფორმდეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი კონკურენციის სააგენტოსა და ეროვნულ ბანკს შორის.

ევროკავშირთან დაახლოების გზაზე, როგორც აღნიშნეთ მნიშვნელოვანია გარკვეული ინსტიტუტების დაახლოება ევროსტანდარტთან. ჩვენთვის ორიენტირი უნდა იყოს ევროკავშირში შემავალი საქართველოს მსგავსი გეოგრაფიული და პროდუქციული საზღვრების მქონე ქვეყნების საფინანსო სექტორთან შესაბამისობა. ევროპის ცენტრალური ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებს ევროკავშირში შემავალი ქვეყნების საბანკო სისტემის შეფასებას, მათ შორის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსისა და N-სტატისტიკ მისხედით, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმაც მხედველობაში მიიღოს ასეთი პრაქტიკა და თავის ყოველწლიურ ანგარიშში შეიტანოს და განსაზღვროს საბანკო სექტორში კონცენტრაცია აღნიშნული ინდექსის გა-

მოყენებით. რაც, უკეთ გამოავლენს საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ ტენდენციებსა და საჭიროებებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 3 მაისის ბრძანებით, კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა 12 მილიონი ლარიდან 50 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

უნყების განმარტებით, აღნიშნული ცვლილების მიზანია დაბალი კაპიტალიზაციის მქონე რისკის გაზრდის მოტივაციის შეზღუდვა და სისტემაში ფინანსურად მდგრადი ინსტიტუტების შემოსვლა, რამაც საბანკო სისტემის ფინანსურ სტაბილურობის განმტკიცებას უნდა შეუწყოს ხელი.

საქართველოს გარდა, კომერციული ბანკების მიერ არასაბანკო საქმიანობაში ჩართვის მონიტორინგს სხვადასხვა ქვეყნები წლებია ახორციელებენ და სხვადასხვა შეზღუდვებსაც უწესებენ მათ. ეს საკითხი, არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც აქტუალურ თემას წარმოადგენს. მსოფლიო ბანკმა 2012 წელს „ბანკის რეგულირების და ზედამხედველობის კვლევა“ ჩაატარა, სადაც ერთ-ერთი თემა სწორედ კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობის საკითხი იყო.

საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ აღნიშნულია, რომ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ გარკვეულ პროცენტობით ფლობდნენ წილს ისეთ საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია საბანკო საქმიანობასთან, ხოლო არასაბანკო საქმიანობაში წილი არ უნდა აღემატებოდეს 15 პროცენტს. ასევე კომერციულ ბანკს არ ეკრძალება საბროკერო კომპანიის შექმნა, რომელიც ახორციელებს „ფასიანი ქალაქების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას.

მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ცვლილება ისე შემუშავდეს და ამოქმედდეს, რომ საქართველოში საბანკო ბაზარი ოლიგოპოლიურ ბაზრად არ ჩამოყალიბდეს. იგულისხმება, მსხვილი ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობა: სადაზღვევო, სამშენებლო, სალიზინგო, ფარმაცევტულ სფეროებში. სწორედ, ეს შეიძლება იყოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შედეგიც, რადგან კომერციული ბანკები ახდენენ შვილობილი კომპანიებისათვის იაფი რესურსის მიწოდებას - კრედიტის სახით, ხოლო სხვა საწარმოებისათვის კი საპროცენტო განაკვეთი შეიძლება განსხვავებული იყოს.

კომერციული ბანკების საქმიანობა საქართველოში ითვლება როგორც ყველაზე წარმატებული და რენტაბელური, ამიტომ მათთვის მკაცრად უნდა განისაზღვროს და გაკონტროლდეს საქმიანობის ის სფეროები, რომელშიც მათ ნებადართული აქვთ საქმიანობა. საბანკო სექტორის მხრიდან ხდება უზურპაცია ეკონომიკის გარკვეული სექტორების, რაც მიუღებელია, როგორც საზოგადოებისათვის, ასევე თავისუფალი მენარმოებისა და კონკურენცი-

ის განვითარებისათვის. შესაბამისად, კომერციული ბანკების შესახებ კანონში ზუსტად უნდა ჩაინეროს ის სფეროები, რომელშიც ბანკებს შეუძლიათ ოპერირება, რადგან კანონში არსებული ჩანაწერი „ბანკს შეუძლია განახორციელოს საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული საქმიანობა“ ბუნდოვანია და განმარტების ფართო საშუალებას გვაძლევს. ყოველივე აღნიშნული ხელს შეუწყობს ბანკების ორიენტირებას მხოლოდ საკუთარ, საბანკო საქმიანობაზე და მივიღებთ შედარებით უფრო კონკურენტულ ბაზარს.

საინტერესოა მდგომარეობა კაპიტალის ბაზარზე. კაპიტალის ბაზარი საბანკო დაკრედიტების პარალელურად განიხილება ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტიან საშუალებად. განვითარებული კაპიტალის ბაზარი ქმნის კონკურენტულ გარემოს, ხელს უწყობს დანაზოგების უფრო ეფექტიან გადახანძვას, როდესაც საბანკო დაკრედიტება იზღუდება, ობლიგაციების ბაზარი შესაძლოა ასრულებდეს დამატებულ როლს. კაპიტალის ბაზარი არის მოსახლეობისათვის დანაზოგების განთავსების დამატებითი ინსტრუმენტი, ხოლო კომპანიებისათვის ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი საშუალება. განვითარებული (ლრმა, გამჭვირვალე და კარგად რეგულირებული) კაპიტალის ბაზრები ხელს უწყობს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. საქართველოში კი როგორც აღინიშნა აქტივების მიხედვით ფინანსური სექტორის უდიდესი ნაწილი მოდის კომერციულ ბანკებზე. ხოლო საქართველოს საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგების 70%-ზე მეტში კომერციული ბანკები ან მათი შვილობილი კომპანიები მონაწილეობენ.

კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის შედეგებზე მსჯელობა ნაადრევია, რადგან, რეალური მოქმედებებს ვერ-ჯერობით ვერ ვხედავთ. საჭიროა უფრო მეტი ჩართულობა და ფინანსური განათლების ამაღლება როგორც საზოგადოების, ასევე მენარმეების. რეალურად საბანკო სექტორი „გარე“ კონკურენტებისაგან თავისუფალია, ხოლო ბანკთაშორისი ბაზარი ოლიგოპოლიურია, რაც არათუ სახარბიელო, არამედ საზიანოა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის და საჭიროებს უფრო ქმედით ნაბიჯებს სახელმწიფოსაგან.

ამრიგად, საქართველოს საბანკო სექტორის განვითარება თავისთავად უნდა მოხდეს კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობებში, როდესაც ყოველ კომერციულ ბანკს შესაძლებლობა ექნება თავისუ-

ფლად შევიდეს და გამოვიდეს აღნიშნული ბაზრიდან.

საქართველოს საბანკო ბაზარი გაჯერებულია უცხოელი მფლობელებით და უცხოური ბანკების შვილობილი კომპანიებით, შედეგად, საბანკო კონკურენციის პრობლემები ფულად და საფინანსო ბაზრებზე წარმოადგენს პრიორიტეტულს და იმავდროულად პროცესების შემაფერხებელს. დღეისათვის ეს ის ფაქტორია, რომელმაც საქართველოს საბანკო ბაზრის მონაწილეებს უნდა უბიძგოს შექმნან ისეთი ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც სტიმულს მისცემს კონკურენციას საბანკო სექტორში.

ბაზარზე საკრედიტო ორგანიზაციებს შორის კონკურენტული ძალების მოქმედების შედეგად უნდა მოხდეს საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნისა და მიწოდების განონასწორება, რომლის დროსაც სტიმულირდება კომერციული ბანკების მიერ აკუმულირებული ფინანსური რესურსების ეფექტიანი წრებრუნვა და იქმნება ეკონომიკის სუბიექტებისა და მოსახლეობის მიმდინარე და საინვესტიციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

დროულად უნდა განისაზღვროს კონკურენციის განვითარების თავისებურებები და ძირითადი პირობები საქართველოს საბანკო მომსახურების ბაზარზე, რაც დადებითად მიიღწევა საბანკო კონკურენციის ინტენსივობის ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014 წ.
2. ქოქიაური ლ.,- საბანკო საქმიანობა, თბილისი, 2012 წ.
3. ცაავა გ.,- საბანკო საქმე, თბილისი, 2005
4. ბერიძე რ.,- „საბანკო მენეჯმენტი“, თბილისი-2009 წელი;
5. ლომაძე ი., „კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის მართვის სრულყოფის თავისებურებანი საქართველოში“ თბ. 2016წ.
6. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“.
7. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“.
8. დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“.

სავაჭრო სანარმოების ხარჯების ეფექტიანობის
ძირითადი ანალიზური საკითხები

მედია ლომინაშვილი-ფრუიძე

ეკონომიკის დოქტორი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

THE BASIC ANALYTICAL ISSUES OF
THE EFFECTIVENESS IN COMMERCIAL
ENTERPRISES EXPENSES

Medea Lominashvili-Pruidze

Associated Professor,
Department of Business Administration
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

SUMMARY

The commercial enterprises takes one of the main place in marketing economic circumstances, because they present linking circle between processing industry and sphere of consumption, so the function of circulation-redistribution material resources is provided between industry and sphere of consumption. The main place is given to forming the consumer's marketing, competition reinforcement from the production realization point of view.

From the specifics of commercial enterprises it follows, that basically the task of effectiveness is researching the originalities of forming expenses and difficulties. As it is impossible to initial the production on the commercial enterprise level, the solving of circulation expenses issue stands in front of them. The commercial enterprises define registration politics from the beginning, they choose methods of registration expenses. According to realized production registration of expenses makes clearer of selling specific species of production by period. It also gives opportunity of defining properly the corresponding expenses by period of income.

Keywords: Trading Enterprise, Circulating Expenses, Production Costs, Average Percentage, Financial Stability Of The Enterprise, Cost Accounting.

საკვანძო სიტყვები: სავაჭრო სანარმო, მიმოქცევის ხარჯები, მიწოდების ხარჯები, საშუალო პროცენტული ხარჯის მეთოდი, ხარჯების აღრიცხვა რეალიზებული პროდუქციის მიხედვით, სანარმოს ფინანსური მდგრადობა და ეფექტიანობა.

კონკურენტული ბაზრის პირობებში ეკონომიკურ სტაბილურობა სამეურნეო პროცესების კომპლექსური მახასიათებელია, რომლის მიღმაც მოიაზრება სანარმოს ფინანსური სტაბილურობა და ეფექტიანობა. სანარმოებს შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ და დანერგონ ოპტიმალური მართვის მეთოდები, რადგან ყველა ელემენტი ურთიერთდამოკიდებულია მათ უნდა გაიაზრონ საკუთარი ეკონომიკური და სანარმო-მეურნეობრივი როლის მნიშვნელობა, აილონ სწორება იმ მეთოდების დანერგვაზე, რომლებიც უზრუნველყოფს უდანაკარგო და ეფექტიან ფინანსურ მმართველობას.

საქართველოს ეკონომიკაში სავაჭრო სანარმოების როლი ერთ-ერთი წამყვანია, რაც ამ სფეროს სანარმოების ფუნქციონირების და მართვის მეთოდების სრულყოფის და კვლევის აუცილებლობაზე მიუთითებს. საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, მაგალითად 2015 წლის მდგომარეობით სულ 586 297 ერთეული რეგისტრირებული სანარმოდან, ვაჭრობის სფეროზე (ვაჭრობა; ავტომობილების საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი) მოდიოდა 128 674 ერთეული¹ რეგისტრირებული სანარმო, რაც მთლიანი რაოდენობის 21.95% და იკავებდნენ პირველ ადგილს. გარდა ამისა 2015 წლის მიხედვით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით სულ გამოშვებული 29 993.9 მილიონი ლარიდან ვაჭრობის სფეროზე მოდიოდა 4.998.4 მილიონი ლარი, ანუ მთელი ბრუნვის 16.7%, რითაც მესამე ადგილს იკავებს (ეკონომიკური საქმიანობის 12 სახეობის მიხედვით) მრეწველობისა და მშენებლობის სექტორების შემდეგ. 2016 წლის მდგომარეობით ვაჭრობის სფეროს მიხედვით ფიქსირდება უმნიშვნელო, მაგრამ მზარდი აქტივობა, და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი გაიზარდა 17.07% - დ ე. 2015 წლის მდგომარეობით ვაჭრობის სფერო იკავებდა ლიდერ, პირველ პოზიციას დასაქმების მიხედვით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სავაჭრო სანარმოები წარმოადგენენ მაკავშირებელ რგოლს გადაამაშუშავებელ ნარმოებასა და მოხმარების სფეროს შორის. რითაც უზრუნველყოფენ მატერიალურ

1 http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/Mewarmeoba%20sakqrtveloshi%202015.pdf

(უნდა დავაზუსტოთ, რომ ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, მხოლოდ ვაჭრობის სფეროს მონაცემები სტატისტიკურ პუბლიკაციაში არ ფიქსირდება).

რესურსების მიმოქცევა-გადანაწილების ფუნქციას წარმოების და მოხმარების სფეროებს შორის. ანუ, განმსაზღვრელი ადგილი ენიჭებათ სამომხმარებლო ბაზრის ფორმირება, კონკურენციის გაძლიერება, პროდუქციის რეალიზაციის თვალსაზრისით.

გადამამუშავებელი წარმოების განვითარება პირდაპირი წესით დაკავშირებულია ვაჭრობის და მომსახურების სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობასთან. სავაჭრო სანარმოები, შუალედური-მასტიმულირებელი ფუნქციის შესრულებისთვის საჭიროებენ ასორტიმენტის მიხედვით სასაქონლო მარაგების ფორმირება-დასაწყობების, ბაზრის მოთხოვნების, რეალიზაციის სტიმულირების, დანახარჯების ოპტიმიზაციის და სხვათა ეფექტიანობის კვლევას, ოპტიმიზაციის გზების ძებნას საქმიანობის სრულყოფის მიზნით. ეფექტიანად ფუნქციონირებადი სავაჭრო სანარმო ქმნის მრეწველობისთვის სამომხმარებლო საჭიროებების შესახებ ინფორმაციულ ბაზას, რაც თავის მხრივ არის დაზუსტებული ინფორმაცია წარმოებისთვის. რის გათვალისწინებითაც ისინი ახდენენ საქმიანობის სტიმულირებას, ბაზარზე საქონლის პოპულარიზაცია - დამკვიდრების, პროდუქციის რეალიზაციის ზრდის მიზნით.

სავაჭრო სანარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე ძირითადად ეფექტიანობის ამალგების ამოცანებად გვესახება დანახარჯების ფორმირების თავისებურებების და სირთულეების კვლევა. მიუხედავად იმისა რომ სავაჭრო სანარმოები არ ახდენენ ახალი პროდუქციის შექმნას, მიმოქცევის სფეროში წარმოიქმნება დამატებითი ხარჯები პროდუქციის რეალიზაციის, მომხმარებლამდე მიტანის პროცესში. რომლებიც, მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენებასთან, მომარაგება-მიწოდებასთან, შეფუთვა - დაფასობასთან და სხვა ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯებია.

რადგან სავაჭრო სანარმოების დონეზე შეუძლებელია პროდუქციის საწყისი, წარმოების დონის დანახარჯების ოპტიმიზაცია, მათ წინაშე დგება სწორედ მიმოქცევის ხარჯების ეფექტიანობის უზრუნველყოფის საკითხი. ვახდენთ რა, იმ რიგი ფაქტორების შეფასებას, რომლებიც ყველაზე მეტად განსაზღვრავენ სავაჭრო სანარმოებში მიმოქცევის ხარჯებს, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ დანახარჯების მრავალპუნქტიანი ნომენკლატურის მიუხედავად, ყველაზე დიდი წილი მოდის პროდუქციის მიწოდების/ტრანსპორტირების ხარჯებზე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვუგულებელვყოფთ თანამშრომლების სახელფასო დანახარჯების; ძირითადი ფონდების ექსპლუატაციის; სასაწყობო და სხვა ხარჯების კვლევის და ოპტიმიზაციის საჭიროებას, აქ ხდება მხოლოდ არსებითი და ამ სფეროსთვის სენსიტიური ხარჯების მნიშვნელობის ხაზგასმა.

მიწოდების ხარჯების დონის ცვლილება შეიძლება მიღწეულ იქნეს რიგი ფაქტორების ოპტიმიზაციის შედეგად. შედარებითი ანალიზის საფუძველზე მათი აბსოლუტური ეფექტიანობის შეფასება იძლევა

ხარჯების ოპტიმიზაციის შესაძლებლობას, ასეთ ფაქტორებად განიხილავენ:

1. საქონელბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებას;
2. გადაზიდვების ხვედრითი წილის ცვლილებას სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით;
3. გასავლელი გზის შემოკლების შესაძლებლობას;
4. ტარიფის ოპტიმიზაციის შესაძლებლობას.

არ არსებობს მუდმივა/კონსტანტა, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული კონკრეტულ სარეკომენდაციო კრიტერიუმად პროდუქციის მიწოდების ხარჯების ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, მიწოდებული საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე ეს ხარჯებიც მნიშვნელოვნად, დიამეტრალურად განსხვავებულია სხვადასხვა სანარმოებისთვის. მაგალითად, კომპიუტერული მიკროჩიპების ზომისა და წონის გათვალისწინებით მიდგომა სრულიად განსხვავებულია, ვიდრე მძიმეწონიანი მოცულობითი პროდუქციის ტრანსპორტირების შემთხვევაში. ჩიპების მიწოდებისას ათეული ჩიპით ნაკლები იქნება ტრანსპორტირებული თუ მეტი, არსებით გავლენას არ ახდენს ტრანსპორტირების ხარჯებზე. მაშინ როდესაც დიდწონიანი პროდუქციის ტრანსპორტირებისას აუცილებელია განისაზღვროს ტვირთის ოპტიმალური მოცულობა, რომლითაც მაქსიმალურად დაკომპლექტდება გადამზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

არასრულად დატვირთული გადამზიდი საშუალებებით ტვირთის ტრანსპორტირება სავაჭრო სანარმოებს უზრდის ტრანსპორტირების ხარჯებს და შესაბამისად აყალიბებს არაკონკურენტულ სარეალიზაციო ფასს. ანუ, რაც მეტია საქონლის წონასა და ზომას შორის ვარირება, მით მეტია ხარჯების ვარირების მაჩვენებელიც ტრანსპორტირებაზე. რაც საბოლოოდ აძვირებს მათი პროდუქციის სარეალიზაციო ფასს. მნიშვნელოვანია პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯების ოპტიმიზაცია განსაკუთრებით ისეთი სანარმოებისთვის, რომელთა პროდუქციით უზრუნველყოფაც არ ხდება დისტრიბუციის წესით, რაც მათი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაკარგვის მიზეზიც შეიძლება გახდეს.

მაგალითად, თუ ლოკალურ ბაზარზე შეინიშნება გარკვეული სახეობის პროდუქციაზე ფასის გაძვირების ზოგადი ტენდენცია, მუშაობას იწყებს ალტერნატიული პროდუქტის თეორია, ხშირად სავაჭრო სანარმოების დონეზე ამის მიზეზი სწორედ მიმოქცევის ხარჯების არასწორი პოლიტიკაა.

პროდუქტზე მაღალი ფასის შემთხვევაში მომხმარებელი იწყებს ალტერნატიული საქონლის ძებნას. აღნიშნული თეორია არჩიან ალტერნის ეფექტით² არის ცნობილი. რომლის თანახმადაც ორ მსგავს საქონელთან მიმართებაში, რომელთაგან ერთი არის დაბალი, ხოლო მეორე მაღალი ხარისხის, ფასის ერთ-

² Alchian, Amen Albert. Exchange & production: competition & control – Belmont, CA: Wadsworth Pub.Co 1983-ISBN

მანეთთან მიახლოებისას ჩნდება ალტერნატიული შენაძენის გაკეთების შესაძლებლობა. მომხარებელი ირჩევს უკეთესი ხარისხის საქონელს, რადგან ერთეულ საქონელზე ფასის ზრდა იწვევს მაღალხარისხიან საქონელზე ფასის კლებას დაბალხარისხიანი საქონლის ფასთან შეფარდებით.

მაგალითად წარმოებულია ორი სხვადასხვა ხარისხის ღვინო მაღალი და დაბალი ხარისხის. მაღალი ხარისხის ღვინის ფასია 20 ლარი და დაბალი ხარისხის 10 ლარი, ანუ ფასებს შორის თანაფარდობა არის 2/1. როდესაც ერთეული საქონლის ფასს დაემატება ტრანსპორტირების ხარჯი მიმართებით. სხვაობა სხვადასხვა ხარისხის საქონლის ფასს შორის მცირდება. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯის გადანაწილებისას თუ ერთეული ბოთლის ღირებულება გაიზრდება 5 ლარით, ღვინის ფასებს შორის შეფარდებითი დამოკიდებულება ორჯერ მეტი აღარ იქნება და ხდება 5/3 (დაბალი ხარისხის ფასია 25ლ, მაღალი ხარისხის 15ლ). საუკეთესო ხარისხის ღვინის შეფარდებითი ფასი 100% იანი თანაფარდობიდან ეცემა 100% - 66% დამოკიდებულებამდე, თვალშისაცემია ფასთასხვაობის კლება. რაც მეტი იქნება ერთეული პროდუქციის სატრანსპორტო ხარჯი, მით მეტად შემცირდება ამ ღვინოებს შორის ფასთა სხვაობა. შედეგად პრიორიტეტული ხდება საუკეთესო ხარისხის ღვინის შექმნა.

შესაბამისად, შედარებით დაბალი ხარისხის საქონელზე, რომელიც რეალურად მნიშვნელოვნად იაფი უნდა ღირდეს მაღალ ხარისხიანზე, მოთხოვნა იკლებს. განვითარებადი ქვეყნებისთვის ხშირად არის დამახასიათებელი შეცდომები ხარჯების გადანაწილებისას. მსგავსი შედეგების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია სავაჭრო სანარმოები მკაცრად არეგულირებდნენ ტრანსპორტირების ხარჯების გადანაწილებას. ასევე გასათვალისწინებელია სხვადასხვა ხარისხის პროდუქციაზე ხარჯების გადანაწილების პოლიტიკის განსაზღვრა, ალტერნატიული ფასის „ეფექტის“ თავიდან აცილების მიზნით.

მიწოდების ხარჯების თვითღირებულებაში ასახვის დროს მნიშვნელოვანია ფასში მათი ასახვა საშუალო პროცენტული ხარჯის მეთოდის საფუძველზე. რაც გამოორიცხავს სარეალიზაციო პროდუქციაზე ფასის ხელოვნურად ზრდას.

საშუალო პროცენტი = (თვის დასაწყისისათვის საწყისი არსებული პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები + მიმდინარე თვეში განეული ტრანსპორტირების ხარჯები / მიმდინარე თვეში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება + არარეალიზებული პროდუქციის ნაშთი თვის ბოლოს) * 100.

სავაჭრო სანარმოებს შეუძლიათ პირდაპირ ასახონ ტრანსპორტირების ხარჯები შექმნილი საქონლის ღირებულებაში. შესაბამისად ეს ხარჯი მიკუთვნებული იქნება ამ კონკრეტულ პერიოდზე მთლიანად, რაც იწვევს ერთეული პროდუქციის თვითღირებულების ხელოვნურად ზრდას. თუ მიწოდების ხარჯი პირდა-

პირი ხარჯების სახით მთლიანად არ იქნება შეტანილი შექმნილი საქონლის ღირებულებაში, მოხდება მათი განაწილება რეალიზებულ და არარეალიზებულ პროდუქციას შორის - საშუალო პროცენტის მეთოდზე დაყრდნობით. კერძოდ, საშუალო პროცენტის მეთოდით თვითღირებულებაში ასახება მხოლოდ რეალურად რეალიზებული პროდუქციის სატრანსპორტო დანახარჯები პერიოდის მთლიანი სატრანსპორტო ხარჯების ნაცვლად.

დაუშვათ, 01/08/2017 მდგომარეობით სავაჭრო სანარმოს დარჩა 2000 ლარის არარეალიზებული ბავშვის ქურთუკი, რომლის მიწოდების ხარჯის ჯამი პერიოდის დასაწყისში შეადგენდა 220 ლარს. მიმდინარე თვეში შექმნილი იყო 6000 ლარის ღირებულების ბავშვის ქურთუკი (მიწოდების ხარჯის გარეშე ღირებულება), ტრანსპორტირების ხარჯმა შეადგინა 840 ლარი, ხოლო რეალიზაციამ შეადგინა 4000 ლარი. თვის ბოლოს არარეალიზებული იყო 5500 ლარის ღირებულების პროდუქცია.

არარეალიზებული ბავშვების ლაბადებზე ხარჯების განაწილების საშუალო პროცენტის მეთოდის მიხედვით მიწოდების ხარჯები კონკრეტული პერიოდის მიხედვით შეადგენს საშუალოდ

$$11.2\% \left(\frac{220 + 840}{4000 + 5500} \times 100 \right).$$

შესაბამისად პერიოდის მიხედვით არარეალიზებული ბავშვის ლაბადებზე ჩამოწმდება არ დაექვემდებარება 616 ლარი (5500 X 11.2%), რომელმაც „ვერ ჰპოვა“ ასახვა ერთეული პროდუქციის სარეალიზაციო ფასში და არ გააძვირა ის. მაგალითიდან კარგად ჩანს როგორია კონკრეტული სახეობის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა პერიოდისთვის, რაც სავაჭრო სანარმოს აძლევს საქონელზე არსებული მოთხოვნის ანალიზის და შემდგომი პერიოდის მარაგების ასორტიმენტის და ნომენკლატურის ოპტიმალურად დაგეგმვის შესაძლებლობას. ანალოგიურად განისაზღვრება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებების მიხედვით ჩამოსაწერი ტრანსპორტირების ხარჯების ჯამური ოდენობა საშუალო პროცენტის მეთოდით.

თვითღირებულებაში ტრანსპორტირების ხარჯების ასახვისას ასევე გასათვალისწინებელია პარტიის საქონლის სახეობები. მაგალითად თუ ცნობილია სხვადასხვა საქონლით დაკომპლექტებული პარტიის ტრანსპორტირების საერთო ხარჯები, საჭიროა განისაზღვროს ცალკეულ სახეობაზე ტრანსპორტირების ხარჯის ოდენობა, რომელიც დაიყვანება შემდეგ ამ სახეობის პროდუქციის ერთეულის ოდენობამდე.

პარტიიდან კონკრეტული სახეობის პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები = აღნიშნული სახეობის პროდუქციის ღირებულება / პარტიის მთლიან ღირებულებასთან ხ პარტიის მიწოდების (ტრანსპორტირების) ხარჯთან.

მაგალითად, მონოდებული პარტიის ღირებულება სულ შეადგინა 10 000 ლარი, ხოლო ტრანსპორტირებაზე დაიხარჯა 800 ლარი. პარტიაში წარმოდგენილი იყო სულ ორი სახეობის პროდუქცია: ბავშვის ლაბადა 6 000 ლარის (10 ცალი, ღირებულება - 60 ლარი) და მამაკაცის ქურთუკი 4 000 ლარის (5 ცალი, ერთეულის ღირებულებით 80 ლარი). ჩვენი ამოცანაა განვსაზღვროთ ერთეული ბავშვის ლაბადაზე ტრანსპორტირების ხარჯების ოდენობა და შემდეგ მისი ერთეულის სარეალიზაციო თვითღირებულება.

ბავშვის ლაბადების ტრანსპორტირების ხარჯი იქნება:

$6\ 000 : 10\ 000 \times 800 = 480$ ლარის ოდენობის (სულ 800 ლარის ხარჯიდან)

ხოლო ერთეული ლაბადის თვითღირებულებაში შედის ტრანსპორტირების ხარჯი 48 ლარის (480 ლარი : 10 ცალი) ოდენობით. ტრანსპორტირების ხარჯის ნაწილი 320 ლარი (800-480) გადანაწილდება მამაკაცის ქურთუკების რაოდენობის გათვალისწინებით მათ სარეალიზაციო ფასში.

რომელიც აღიარებული იქნება მიმდინარე პერიოდის პირდაპირ ხარჯად კონკრეტული სახეობის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გათვალ-

ისწინებით, საშუალო პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო სანარმოები თავიდანვე საზღვრავენ სააღრიცხვო პოლიტიკას, ირჩევენ ხარჯების აღრიცხვის მეთოდებს. კონკურენტული ეკონომიკის პირობებში მსგავსი გაანგარიშებები მნიშვნელოვანია ცალკეული სახეობის პროდუქციიდან მიღებული ამონაგებისა და რეალიზაციის მოცულობის მონიტორინგისთვის, რეალიზაციის დონის და ხარჯების ტრანსპარანტულობის, საქმიანობის ეფექტიანობის ზრდისთვის რითაც ხდება სანარმოს ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Alchian, Amen Albert. Exchange & production: competition & control – Belmont, CA: Wadsworth Pub.Co 1983-ISBN.
2. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo
3. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/Mewarmeoba%20sakqrtveloshi%202015.pdf

შიდა აუდიტის სისტემა და მისი სრულყოფის გზები

ლია კვარაცხელია,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,
მარინა პრიხოდეკო
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ყველაზე უფრო ეფექტიან და საერთაშორისო დონეზე აპრობირებულ ფორმად მიჩნეულია აუდიტი და მისი ცალკეული სახეობები. საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკაში გამოიყოფა აუდიტორთა სამი ძირითად ჯგუფი: შიდა აუდიტი, გარე აუდიტი და სახელმწიფო სექტორის აუდიტი. შიდა აუდიტი 60 წლის განმავლობაში აღიარებულია როგორც თვითრეგულირებადი პროფესია, რომელშიც მოღვაწეობენ 165-ზე მეტ ქვეყანაში მცხოვრები პრაქტიკოსები. ორგანიზაციები, სადაც შიდა აუდიტორები საქმიანობენ, და გარემო, რომლებშიც ეს ორგანიზაციები არსებობენ, სულ უფრო კომპლექსური ხდება. შესაბამისად, შიდა აუდიტის საქმიანობა სულ უფრო და უფრო მაღალ სტატუსსა და მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო სექტორებში.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, სახელმწიფო აუდიტი, გარე აუდიტი, სახელმწიფო კონტროლი, ფინანსური რისკი.

INTERNAL AUDIT SYSTEM AND WAYS TO IMPROVE IT

Lia Kvaratskhelia,
Marina Prikhodko

ABSTRACT

Internal audit is internal control mechanism, which has an important and necessary role for successful functioning of the organization. It's goal is risk assessment, analysis, and the elimination of the corresponding controls. The analysis and studies implemented for assessing real situations in public sector's control (the outer-interviewed the State Audit Office and others. Public services, internal auditors) have shown that the public sector needs development and improvement of the internal audit, as the qualification, as well as a structural point of view. It is necessary to create an internal audit structural unit of the facilities and the standards or the laws relevant implementation in the public sector. The objectivity and independence principles protecting is which must be determined as the internal auditors of a risk-based audit recommendations issued assessment if benefits can be determined. It is essential to give right information to the auditing about the audit, as well as constant and direct communication with external audit.

This will reduce the negative attitudes, which directly affects the effectiveness of the activities implemented by the internal audit. Research methodology: The basic research methodology represents as general scientific as economic research methods. Namely functional analysis and synthesis, abstraction, comparison, the systematic and logical approaches, survey, assessment, economic –mathematical, economic- statistical and other Results and implications: The article deals with problems of internal audit in Georgia. Particularly the accent is done on problems of public sector internal audit. The issue has been selected for its relevance and importance, because of developing this field in our country that requires a number of ways to solve problems. In this paper according to research we have presented the problems and set goals of resolving them. Conclusion: The internal control system application and development plays a key role of the country's management system. The internal control is detected as an internal audit forms in the public sectors which evaluates and improves risk management with systematic and disciplined approaches. To control and governance process effectiveness is directed towards the full implementation of the institution's objectives. While audit will be implemented completely and according to standards in the public sector, audit organizations will be able to reduce the risks to a minimum, which will achieve the goals and the organization's valuable resources management systems, processes and people-related processes in an efficient and rational planning - implementation.

Keywords: Internal Audit, State Audit, External Audit, State Control, Financial Risk.

* * * *

შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა, ისევე როგორც შიდა აუდიტის წლიური გეგმა, უნდა შემუშავდეს აუდიტის რისკის შეფასების შედეგების საფუძველზე, ადრინდელი აუდიტის გამოცდილების, არსებული რესურსების (დროის და ადამიანური) გათვალისწინებით. შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი აუდიტის სუბიექტის უფროსს ეხმარება ისეთი საკითხების განსაზღვრაში, როგორიცაა:

- ადამიანური რესურსის განაწილება აუდიტის სხვადასხვა სფეროზე _თანამშრომლების ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მიხედვით განაწილება რთული და მაღალი რისკის ოპერაციების/

სისტემების და შედარებით ნაკლები ტექნიკური ცოდნით განსახორციელებელ აუდიტებზე;

- როგორ განხორციელდება აუდიტის პროცესის მართვა და ზედამხედველობა;

- ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება და სხვა. შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმის შემუშავების შემდეგ უნდა შემუშავდეს შიდა აუდიტის წლიური გეგმა. შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა შემუშავდება ერთხელ, თუმცა მისი გადასინჯვა აუცილებელია პერიოდულად (ორ წელიწადში ერთხელ მაინც).

შიდა აუდიტის წლიური გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი წლის ბოლოს, ახალი ფინანსური წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას, ისევე როგორც შიდა აუდიტის წლიურ გეგმას, დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს. შიდა აუდიტის წლიური გეგმა უფრო დეტალურია, ვიდრე შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა. შიდა აუდიტის წლიურ გეგმაში, პირველ რიგში, აისახება რისკის შეფასების შედეგების ანალიზი, ხოლო შემდეგ – აუდიტის დანარჩენი პროცედურების განხორციელების გეგმები. აღნიშნული მოიცავს როგორც აუდიტის პროცედურის ხასიათს, ისე აუდიტის მოქმედების სფეროს და თითოეული აუდიტის განხორციელების ვადებს. შიდა აუდიტის წლიურ გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს (წარსული გამოცდილების საფუძველზე) გარკვეული თავისუფალი დრო (სხვადასხვა გამოცდილების, ცოდნის და უნარჩვევების მქონე თანამშრომლების არა გეგმიური აუდიტის ჩასატარებლად დაწესებულების ხელმძღვანელის მოთხოვნის ან გადაცდომის ეჭვის საფუძველზე).

შიდა აუდიტების უმეტესობის განხორციელების პირველი ნაბიჯია იმსტრუქტურის/დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/სისტემის ორგანოს ხელმძღვანელობის ინფორმირება აუდიტის ჩატარების შესახებ, რომელშიც აუდიტის განხორციელება არის დაგეგმილი. ეს ხორციელდება ოფიციალური წერილის მეშვეობით, რომლითაც აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობას ოფიციალურად ეცნობება დაგეგმილი აუდიტის შესახებ. აღნიშნულ წერილში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის არის დაგეგმილი აუდიტის ჩატარება, ვინ ჩაატარებს აუდიტს და რატომ ტარდება აუდიტი (მიმდინარე, გეგმიური, ხელმძღვანელობის მოთხოვნა და სხვ.).

აღნიშნული ოფიციალური წერილი, აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის გარდა, უნდა გაეგზავნოს უშუალო ხელმძღვანელსაც და მასში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია: ა) აუდიტის მიზნები და მოქმედების სფერო;

- ბ) აუდიტის დაწყების თარიღი და ხანგრძლივობა;

- გ) აუდიტის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირების (მინიმუმ ჯგუფის ხელმძღვანელის) სახელი და გვარი.

აუდიტის ობიექტისაგან წინასწარ უნდა იქნეს მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგება, სტატისტი-

კური ანგარიშები და კონკრეტული აუდიტის მიზნის სხვა შესაბამისი ანგარიშები, რაც აუდიტორებს დაეხმარება არსებული მდგომარეობის უკეთ აღქმასა და ტენდენციების დადგენაში.

არსებობს შემთხვევები, როდესაც აუდიტის ობიექტს არ ეგზავნება აუდიტის დაწყების შესახებ ოფიციალური წერილი, მაგალითად, როდესაც გადაცდომასთან დაკავშირებით მოულოდნელად ტარდება აუდიტი და მის შესახებ მხოლოდ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა შეიძლება იცოდნენ. თუმცა გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ არაგეგმიური აუდიტის ჩატარება არღვევს აუდიტის ობიექტის მუშაობის ჩვეულებრივ რიტმს და ქმნის სირთულეებს მათ მიერ დაკისრებულ მოვალეობათა სრულ ფასოვნად შესრულებას თან დაკავშირებით. ამიტომ არაგეგმიური აუდიტის ჩატარება უმჯობესია მხოლოდ აუცილებელ, უკიდურეს შემთხვევებში. ამას თან, არაგეგმიური აუდიტის ხშირად ჩატარებამ შეიძლება შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ და გეგმილი, შიდა აუდიტის წლიურ გეგმაში ასახული აუდიტების განხორციელება და აყენოს საფრთხის წინაშე. შიდა აუდიტის ფარგლებში განხორციელებული ობიექტის გამოკვლევა აღნიშნულ გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს აუდიტორული ძალისხმევის მიმართულებით, კონკრეტული სფეროსა და მასშტაბის დასადგენად; ეს არის პირველი ეტაპი, რომელიც ხორციელდება აუდიტის ჩატარების ადგილზე. დაუშვებელია შიდა აუდიტორმა კონკრეტული მიზნის ან ამოცანების გარეშე დაიწყოს დოკუმენტების აუდიტორული შემოწმება და საქმიანობაზე დაკვირვების განხორციელება. ობიექტზე გამოკვლევის ჩატარება აუდიტორებს შესაძლებლობას აძლევს:

- ა) გაეცნონ სხვადასხვა სისტემას;

- ბ) შეაფასონ აუდიტორული შემოწმების სფეროებში შემავალი სხვადასხვა სისტემის კონტროლის სტრუქტურა და კონტროლის რისკი.

იმ შემთხვევაში, თუ აუდიტის ჯგუფის წევრებისათვის უცნობია აუდიტორული შემოწმების ობიექტის ადგილი და მისი ხელმძღვანელობა, აუცილებელია მათი გაცნობა, ამას თან, აუდიტის დაწყების შესახებ წერილში წარდგენილი ნებისმიერი შეკითხვის დაზუსტება. ამავე დროს, ჯგუფის ხელმძღვანელმა აუდიტორმა უნდა შეიმუშაოს მოთხოვნები დაგეგმილი გასაუბრებისათვის და შეადგინოს გრაფიკი.

ობიექტზე გამოკვლევის განხორციელებისას აუდიტორებმა უნდა გადაამოწმონ დაწესებულების სტრუქტურა, მათ შორის, სწორად არის თუ არა მითითებული კონკრეტულ აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი თანამშრომლების სახელები და გვარები. აუდიტორი უნდა გაეცნოს ფუნქციურ პასუხისმგებლობებს და საქმიანობის მონაწილე ძირითად პირებს. ხშირად დაწესებულების სტრუქტურაში მითითებული თანამდებობების დასახელებები არ ასახავს მოცემული თანამდებობის რეალურ ფუნქციებს. შესაბამის დროს მოთხოვნილ უნდა იქნეს ოფიციალური თანამდებობრივი მოვალეობების აღწერილობები. იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ სტრუქტურულ

ქვედანაყოფს (ერთეულს) ან/და დანესებულებისადმი დაქვემდებარებულ ერთეულს არ გააჩნია ფუნქციური განაწილება, აუდიტორმა უნდა შეადგინოს ორგანიზაციული სტრუქტურის სავარაუდო მონახაზი და თავისი ვარაუდი განიხილოს იმ სტრუქტურის ხელმძღვანელობასთან, რომლის აუდიტორული შემოწმებაც მიმდინარეობს.

შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების სახელმძღვანელოების ასლებისა და საჭირო მონაცემების მიღება აუდიტორის სამუშაო დოკუმენტებისათვის შესაძლოა ონლაინ რეჟიმში, რისთვისაც მოპოვებულ უნდა იქნეს მათზე შესაბამისი დაშვება. შესწავლილ უნდა იქნეს შესაბამისი კანონები და მარეგულირებელი წესები, ასევე ხელმძღვანელობის დირექტივები, რომლებიც უნდა შესრულდეს. აუდიტის საერთო ამოცანებიდან გამომდინარე, საჭიროა კორესპონდენციის ასლების განხილვაც შესაბამისი მასალის გასაცნობად.

საჭიროა გაანალიზდეს შესაბამისი ანგარიშები (ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი) და შეხვედრათა ჩანაწერები, რომლებიც დაკავშირებულია განსახორციელებელ აუდიტთან, როგორცაა ბიუჯეტის შედგენა, ოპერაციები, ხარჯების ანალიზი და პერსონალთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ნებისმიერი გარე აუდიტის შედეგები ან ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული მიმოხილვა, ასევე შესრულებული ღონისძიებები. მაგალითები შესაძლოა მოიცავდეს ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტურობის შესახებ ანგარიშებს ან საქართველოს კონტროლის პალატის მიერ შედგენილ დასკვნას. ამგვარმა ანარიშებმა აუდიტორს შესაძლოა მისცეს რაიმე მინიშნება, ასევე მასში წარდგენილ იქნება არსებული პრობლემების რეზიუმე, შეთავაზებული რეკომენდაციები და მათი განხორციელების შემთხვევაში მიღწეული შედეგები.

ობიექტის დათვალიერება შიდა აუდიტორებს შესაძლებლობას აძლევს, გაეცნონ მოცემულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთეულს) ან/და დანესებულებისადმი დაქვემდებარებულ ერთეულს, მის ძირითად საქმიანობასა და თანამშრომლებს. ეს ასევე შესაძლებლობას აძლევს აუდიტის ჯგუფს, დასვას შეკითხვები და დააკვირდეს ერთეულის საქმიანობას. აუდიტორებს ხშირად საყვედურობენ, რომ ისინი მთელ თავიანთ დროს ბუღალტრულ აღრიცხვაში ან ადმინისტრაციულ ოფისში ატარებენ და აუდიტს ისე ახორციელებენ, რომ ცხადი წარმოდგენა არ აქვთ იმ საქმიანობის შესახებ, რომელთან

დაკავშირებითაც ხორციელდება აუდიტორული შემოწმება. ამის გამო, შესაძლოა მნიშვნელოვანი საკითხი იქნეს გამოტოვებული აუდიტორის მიერ წარდგენილ საბოლოო ნაშრომში. აღნიშნული დათვალიერების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები უნდა აისახოს აუდიტორის სამუშაო დოკუმენტებში. სავალდებულოა აგრეთვე აუდიტის ობიექტის პროცედურების შესრულებაზე დაკვირვების განხორციელება და აღნიშნულის დოკუმენტირება.

დისკუსია კონკრეტულ აუდიტთან დაკავშირებულ თანამშრომლებთან დისკუსიების გამართვა იმ

სფეროში მომუშავე თანამშრომლებთან, რომლის აუდიტორული შემოწმებაც მიმდინარეობს, გამოსადეგია, რათა დადგინდეს ნებისმიერი პრობლემატური საკითხი, სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან/და დანესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის საქმიანობის შედეგები და დაგეგმილი ცვლილებები ან რეორგანიზაცია. შეკითხვები უნდა დაისვას წინასწარ განხილული მონაცემების ან ობიექტის დათვალიერების დროს განხორციელებული დაკვირვებების საფუძველზე.

ობიექტზე გამოკვლევა არის პირველი შეხება აუდიტს დაქვემდებარებულ სუბიექტთან ნებისმიერი სახის მიმოხილვის ჩატარების მიზნით; ამ დროს ხელმძღვანელობა ხვდება აუდიტის ჯგუფს და მოცემული აუდიტის შესასრულებლად გამოყოფილ აუდიტორებს პირველი შეხება აქვთ შესამოწმებელ სტრუქტურულ ქვედანაყოფთან (ერთეულთან) ან/და დანესებულებისადმი დაქვემდებარებულ ერთეულთან. შესაძლებელია, რომ ამ ეტაპზე წარმოიშვას პრობლემები ან გაუგებრობა. თუმცა სასურველია, რომ ეს საკითხები აუდიტის დაწყების შესახებ წერილის წარდგენის დროს გადაიჭრას. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა შესაძლოა ყოველთვის არ იცოდეს, რა აინტერესებთ შიდა აუდიტორებს, ან შესაძლოა შიდა აუდიტორებს სწორი წარმოდგენა არ ჰქონდეთ სტრუქტურული ერთეულის შესახებ, წინასწარ განხორციელებული დაგეგმვის მიუხედავად.

შესაბამისად, შესაძლოა საჭირო გახდეს დაგეგმილი მიმოხილვის, აუდიტორული პროცედურების ან მთლიანად აუდიტის მოქმედების სფეროს შეცვლა ცი. ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელი აუდიტორი უნდა დაუკავშირდეს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს მითითებების მისაღებად.

მთლიანად შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების რაოდენობისა და აუდიტის დაწყების შესახებ წერილის შინაარსის გათვალისწინებით, მიმოხილვა შესაძლოა ჩაატაროს ერთმა ან რამდენიმე შიდა აუდიტორმა. ერთ-ერთი მათგანი შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის მიერ ყოველთვის დასახელებულ უნდა იქნეს შიდა აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელ აუდიტორად, რომლის პასუხისმგებლობა გულისხმობს ადგილზე აუდიტორულ გადაწყვეტილებათა მიღებას. ჩვეულებისამებრ, ხელმძღვანელი აუდიტორის პასუხისმგებლობა ეკისრება მთავარ აუდიტორს აუდიტორთა შემადგენლობიდან, მაგრამ ეს პასუხისმგებლობა როტაციის პრინციპით უნდა დაეკისროთ სხვა აუდიტორებსაც, რათა ნაკლებად გამოცდილ აუდიტორებს მიეცეთ აუდიტის პროცესის ხელმძღვანელობის გამოცდილება.

ჩვეულებისამებრ, ობიექტზე (შიდა აუდიტის ობიექტის ტერიტორიაზე) გამოკვლევას თავდაპირველად ერთი ან ორი დღე ეთმობა. უფრო ფართო მიმოხილვის შემთხვევაში გამოკვლევა შესაძლოა განხორციელდეს ცალკე, წინასწარი ვიზიტის დროს, იმდრომდე, სანამ აუდიტორი განახორციელებს ძირითად პროცედურებს და ჩაატარებს ანალიტიკურ სამუშაოს. ორივე შემთხვევაში განხორციელებული სამუშაო, აგრეთვე მონაცემების რეზიუმეები, რომ-

ლებიც შეგროვდება ობიექტზე გამოკვლევის დროს, უნდა აისახოს აუდიტორის სამუშაო დოკუმენტებში. მოპოვებულ უნდა იქნეს ძირითადი ანგარიშებისა და არსებული წერილობითი სახით ჩამოყალიბებული პროცედურების ასლები, ჩანაწერების რეზიუმე და ყველა გასაუბრებისა და ობიექტის დათვალიერების დროს განხორციელებული დაკვირვებები, რომლებიც დოკუმენტირებულ იქნა. ამასთან, ყველა სისტემის ან პროცესისათვის უნდა მომზადდეს დიაგრამები.

ობიექტზე განხორციელებული გამოკვლევა ასევე არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ახალი და ინოვაციური მიდგომების განსაზღვრა აუდიტის ჩასატარებლად. მსგავსი ახალი მეთოდები გათვალისწინებულ უნდა იქნეს შეცვლილი პროცედურების ან სამუშაო პირობების ფონზე. მაგალითად, რომელიმე ფუნქცია, რომლის შესრულებაც წარსულში არაავტომატიზებულიად ხდებოდა, ახლა უკვე ავტომატიზებულია (ხორციელდება გარკვეული ტექნოლოგიური ინოვაციების მეშვეობით). საჭიროა სტემების შედგენა ძირითადი პროცესების, საკონტროლო რისკებისა და შიდა კონტროლის მექანიზმების აღწერასათვის. ოპერაციათა სერიებისა და მონაცემების შემაჯამებელი გრაფიკული გამოხატულების მეშვეობით დიაგრამები ასახავს რთულ სისტემებს, პროცესებსა და კონტროლის მექანიზმებს.

მრავალი მიდგომა არსებობს დიაგრამების შესამუშავებლად, მაგრამ დიაგრამებში აუცილებლად უნდა აისახოს სხვადასხვა საოპერაციო კომპონენტებს შორის არსებული კავშირი და კონტროლის ის მექანიზმები, რომლებიც პროცესში არსებობს. მათზე მუშაობის დასრულების შემდეგ დიაგრამები აუდიტორის მუდმივი სამუშაო დოკუმენტის ნაწილი ხდება მოცემული სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან/და დანესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულისათვის. ეს ასევე ხელს შეუწყობს იმ მოთხოვნების შესრულებას, რომელთა მიხედვითაც დანესებულებებმა უნდა აწარმოონ დოკუმენტაცია და ასახონ შიდა კონტროლის მექანიზმები. მრავალ შემთხვევაში შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომელს შესაძლოა დიაგრამები მომზადებული ჰქონდეს წინა მიმოხილვის ფარგლებში და მხოლოდ განახლება იყოს საჭირო. ზოგჯერ თვითონ დანესებულებას აქვს მომზადებული შიდა დიაგრამები პროცედურების დოკუმენტირების ან სხვა რაიმე მიზნით. ეს დიაგრამები, რა თქმა უნდა, გამოყენებულ უნდა იქნეს, მაგრამ აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ ისინი სწორი და განახლებულია.

შიდა აუდიტის ფარგლებში ობიექტზე გამოკვლევის განხორციელების მიზანია იმ მოსაზრებების რეალურობის გადამოწმება, რომლებიც აუდიტის წინასწარი დაგეგმვის დროს გაკეთდა. ამას თან, აუცილებელია ძირითადი სისტემებისა და პროცესების შესწავლა, რადგან ის ინფორმაცია, რომელსაც აუდიტის წინასწარი დაგეგმვა ეფუძნება, ხშირად არ არის სრულყოფილი. ეს არის მნიშვნელოვანი ეტაპი, როდესაც მოცემული აუდიტის შესასრულებლად გა-

მოყოფილი აუდიტის ჯგუფს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს მის მიერ დაგეგმილი აუდიტის მასშტაბსა და ამოცანებში.

უფრო მასშტაბური აუდიტორული შემონმებების დროს ხშირად უმჯობესია, რომ აუდიტის სუბიექტის უფროსი ენვიოს ჯგუფს, რომელიც ობიექტზე ახორციელებს გამოკვლევას და განიხილოს მიღებული შედეგები. ამ გზით შესაძლებელი იქნება ყველა იმ ცვლილების შეტანა აუდიტის მოქმედების სფეროში, რომლებიც ხელმძღვანელობის თანხმობას მოითხოვს. ობიექტზე ყოფნის შედეგად შესაძლებელია პასუხი გაეცეს პოტენციურ შეკითხვებს, რომლებიც შესაძლოა შემდგომ წამოიჭრას. შიდა აუდიტორი შესაძლოა აღმოჩნდეს ისეთ სიტუაციაში, როდესაც ობიექტზე განხორციელებული გამოკვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აუდიტის ჯგუფმა შესაძლოა განახორციელოს წინასწარ დაგეგმილი აუდიტის მოქმედების სფეროს კორექტირება ან კონკრეტული აუდიტის სამუშაოს მთლიანად გაუქმება. ზოგჯერ წინასწარ დაგეგმვის მონაწილე აუდიტის ჯგუფი შესაძლოა დაუკავშირდეს შემონმების ობიექტს, რომელიც დიდი მანძილით არის დაშორებული და მიიღოს ინფორმაცია აუდიტორისათვის საინტერესო სფეროში ცვლილებების არარსებობის შესახებ. აუდიტის ჯგუფის ადგილზე მისვლის შემდეგ, ობიექტზე განხორციელებული გამოკვლევის შედეგად შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოვლინდეს, მაგალითად, როგორცაა ახალი საინფორმაციო სისტემის დანერგვა, რაც მთლიანად ცვლის კონტროლის გარემოს და შესაძლოა საჭირო იყოს, რომ შიდა აუდიტის ჯგუფმა კიდევ ერთი სპეციალისტი გამოეყოს პროექტზე სამუშაოდ, რაც განაპირობებს კორექტირებას როგორც პერსონალით დაკომპლექტებაში, ისე აუდიტორული ტესტირების სტრატეგიაში. სხვა შემთხვევაში აუდიტის ჯგუფმა შესაძლოა დაადგინოს, რომ მომხდარი ცვლილებები უმნიშვნელოა და დაგეგმილი აუდიტი უნდა გაუქმდეს ან გადაიდოს. თუმცა უმეტესწილად ობიექტზე განხორციელებული გამოკვლევა აუდიტის ჯგუფს დამატებით მონაცემებს აძლევს, რაც დაეხმარება მას, ცვლილებები შეიტანოს დაგეგმილ პროცედურებში. შიდა აუდიტის ფარგლებში ობიექტზე განხორციელებული გამოკვლევა გამოყენებულ უნდა იქნეს დოკუმენტირების მიზნით ან მუდმივი სამუშაო ფაილის გასაახლებლად. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტზე არ იმყოფება აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელობა, გამოკვლევის შედეგები წერილობითი ფორმით უნდა შეჯამდეს და ელექტრონული ფოსტით გაეგზავნოს ობიექტის უფროსს, რა შემთხვევაშიც იგულისხმება, რომ უფროსი გაეცნო მოცემულ დასკვნას.

აუდიტი ორგანიზებული და განხორციელებული უნდა იქნეს თანმიმდევრულად, თვითნებური ან არასაჭირო პროცედურების მინიმუმამდე შემცირების მიზნით. დახმარებისა და მითითებების მისაცემად შიდა აუდიტორებმა უნდა გამოიყენონ ე.წ. აუდიტის პროგრამები, რათა აუდიტის პროცედურები შეასრულონ თანმიმდევრულად და ეფექტიანად.

სივრცითი ეკონომიკის ფინანსური რეგულირების სახელმწიფო სტანდარტები

მარინა ტაბატაძე

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია სამეურნეო სფეროში დემოკრატიული ურთიერთობების დამკვიდრების თანამედროვე ტენდენციები, მისი სპეციფიკა და ინსტიტუციური საფუძვლები, გაანალიზებულია სამეურნეო ორგანიზების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფორმის, სივრცითი ეკონომიკის კონცეპტუალური საკითხები. შესწავლილია, რომ სივრცითი ეკონომიკური ურთიერთობები აუცილებლად განიცდის ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეთნოკულტურული ფაქტორების გავლენას, დეცენტრალიზაციის მექანიზმების შერჩევის დროს მათთან ერთად, საჭიროა იმ პრობლემების გათვალისწინებაც, რომლებიც ყველაზე უკეთ განსაზღვრავენ თვითმმართველობის რაციონალურ ფორმას და ხარისხს, ტერიტორიული ერთეულების მასშტაბებს, მათი ბიუჯეტის შემოსავლების აკუმულირებისა და ხარჯვის მექანიზმებს. სტატიაში განხილულია მმართველობითი დეცენტრალიზაციის უპირატესობები, ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის გატარებასთან შესაბამისობაში, ნაჩვენებია, თუ როგორ პირობებშია შესაძლებელი ამ ტენდენციების განვითარება და რომელ ფაქტორებს შეუძლია მათი მოქმედების შეზღუდვა.

საკვანძო სიტყვები: სივრცითი ეკონომიკა, სახელმწიფო სტრატეგია, მართვის სისტემების ლიბერალიზაცია, დემოკრატიული საზოგადოება, თვითმმართველობის ინსტიტუციური სტრუქტურა, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუცია.

* * * *

მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნების ინტეგრირების მნიშვნელოვანი წინაპირობა მართვის სისტემების ლიბერალიზაციაა, ეს პროცესი ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების დამკვიდრებას და საზოგადოების ეფექტური თანაცხოვრების მსოფლიოში არსებულ გამოცდილებას ემყარება. სისტემური ცვლილებების თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკა ცივილიზებულ სამყაროში ადაპტირებული სამართლებრივი ნორმების გამოყენებას, კანონის უზენაესობის, თანასწორუფლებიანობის და არადისკრიმინაციული სისტემის პრინციპების დამკვიდრებას ითვალისწინებს.

დემოკრატიული საზოგადოება აუცილებლად გულისხმობს მმართველობის დეცენტრალიზაციას

და თვითმმართველობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას. განვითარების უნივერსალური პრობლემაა ის, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას და ვის ინტერესებს ემსახურება იგი, რამდენად პროფესიული, კვალიფიციური სამართლიანი, ინტელექტუალურია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, რომელიც თავისი გადაწყვეტილებებით უნდა ატარებდეს სახელმწიფოს ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ, რეგიონულ, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ, ეკისტიკურ, კონფესიურ პოლიტიკას და უზრუნველყოფდეს ადგილობრივი ინტერესების პრიორიტეტულ დაცვას.

ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ქვეყნებში აუცილებლად ფუნქციონირებს რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუცია, დელეგირებული შესაბამისი უფლებამოსილებებით, ქონებითა და ბიუჯეტით. უნიტარული მმართველობის ქვეყნებშიც კი, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოებისათვის დამახასიათებელია გარკვეული დონის დამოუკიდებლობა შემოსავლების წყაროების განსაზღვრის, ბიუჯეტის ხარჯების ალოკაციის თვალსაზრისით და სხვა მექანიზმებთან მიმართებაში. საკითხი შეეხება ეკონომიკური ურთიერთკავშირის რთულ სისტემას სხვადასხვა დონის ხელისუფლებას შორის, რომლის დარეგულირება და რაციონალური მონყოების გზების განსაზღვრა შესაძლებელია სწორედ, მხოლოდ სახელმწიფო მართვის ეფექტური დეცენტრალიზაციის პოლიტიკის პირობებში.

მართვის დეცენტრალიზაცია ქვეყნის დემოკრატიზაციის ხარისხის ძირითადი მახასიათებელია, იგი ითვალისწინებს უფლებათა დელეგირებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალიზაციას, საჯარო სამსახურის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას, მის ინფორმირებულობას, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობას. ყოველივე ეს მმართველობით დონეებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნას, ამ პროცესების ლიბერალიზაციას და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციების გაფართოებას მოითხოვს.

ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა დემოკრატიული ხელისუფლების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მმართველობის სისტემას. ესაა ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება და შესაძლებლობა რეგლამენტაცია გაუკეთოს სახელმწიფო საკითხების მნიშვნელოვან ნაწილს და მართოს იგი კანონის ფარგლებში, საკუთარი პასუხისმგებლო-

ბითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად [1].

ადგილობრივი ხელისუფლება სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი ელემენტია, იგი მმართვეის დეცენტრალიზებული ფორმაა, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება არჩევითი ორგანოების სისტემით, ადმინისტრაციული აპარატით, შესაბამისი უფლებამოსილებით და მუნიციპალურ საკუთრებად ჩამოყალიბებული მატერიალური ბაზის მეშვეობით ანხორციელებს [2, გვ.675].

ადგილობრივი თვითმმართველობა ის ინსტიტუციაა, რომელიც, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის ადგილზე გატარებას და, მეორე მხრივ, საფუძველს ქმნის მართვის პროცესებში მოსახლეობის თანამონაწილეობისათვის. პრობლემა, რომელიც მმართველობითი ინსტიტუციის იერარქიზაციას ახლავს, ქვეყნის მართვის სისტემის ცალკეულ დონეს შორის გადანყვეტილებათა მიღების ფუნქციის ოპტიმალურ განაწილებაში მდგომარეობს, გასათვალისწინებელია ის უპირატესობები, რაც დეცენტრალიზებულ სისტემას ახასიათებს, კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობის პრეფერენციების მიმართ უფრო მგრძობიარეა, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება, ლოგიკურია, რომ, რაც უფრო მეტი პრეფერენციაა ერთ სივრცით არეალში, მით უფრო მასშტაბურია დეცენტრალიზებული გადანყვეტილების შედეგი. აღსანიშნავია, რომ სრულიად დეცენტრალიზებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს სოციალური კეთილდღეობის მაქსიმიზაციას, ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მთელი ქვეყნისათვის თანაბრად მნიშვნელოვანი გადანყვეტილებები სახელმწიფო დონეზე მიიღებოდეს, ლოკალური კი, - ადგილობრივი მართვის დონეზე. ამასთან, იმ გარემოებათა განსაზღვრა, რომლის დროსაც ადგილობრივთან შედარებით, უპირატესი ძალა ცენტრალური ხელისუფლების გადანყვეტილებას ექნება, საკმაოდ რთულია პოლიტიკური და ეთიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მართვის დეცენტრალიზებული სისტემის მოსალოდნელი უარყოფითი მხარეების კვლევა, პირველ რიგში, ეს რესურსების შესაძლო არაეფექტიან განაწილებას შეეხება, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება ტერიტორიული ერთეულების განვითარების გამოთანაბრებითი პოლიტიკის გატარების პირობებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოში. თვითმმართველობა, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი დონე, კონსტიტუციით განისაზღვრა, საკანონმდებლო აქტებით დარეგულირდა თვითმმართველობის ქონებრივი და ფინანსური კომპეტენციები და ხელისუფლების სხვა ორგანოებთან ურთიერთობის ჩარჩო-სტანდარტები. არსებითი ცვლილებები ტარდება პოლიტიკური მმართველობის სისტემისა და

დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების, სახელმწიფო სივრცითი პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და მისი ადმინისტრირების გაუმჯობესების თვალსაზრისით. დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობისა და ადგილობრივი დემოკრატიის დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია ის ტექნიკური დახმარებები, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია უწევს საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის სრულყოფის მიზნით /ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო - **USAID**, უზრუნველი ინსტიტუტი **The Urban Institute** და სხვა/. ერთობლივი პროექტების მიზანია ხელი შეუწყოს რეფორმების განხორციელებას საკანონმდებლო და ადგილობრივ დონეზე, საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემის ქმედუნარიანობის ამაღლებას, დღევანდელი რეალობისა და ქვეყნის პერსპექტივების შესაბამისი მუნიციპალური მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ადგილობრივი ორგანოების ფუნქციონირების სტრატეგიული მექანიზმების შემუშავებას [3].

განვითარებული საზოგადოება განათლებულ, მაღალპროფესიულ, პასუხისმგებლიან ხელისუფლებას მოითხოვს, ხელმძღვანელობის მიერ სწრაფი ადაპტირების, რეაგირებისა და გატანადანყვეტილების მიღების უნარი საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების საშუალებას. ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა ხელისუფლების ცალკეულ ინსტიტუციას შორის, მართვის დონეებს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მმართველობის დემოკრატიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი და განვითარების თანამედროვე პროცესების ძირითადი ტენდენციაა. ეს საკითხები მოითხოვს ადგილობრივი ინსტიტუციების პროფესიული კომპეტენციების ამაღლებას, მმართველობითი დეცენტრალიზაციის პროცესის საჯაროობას, მოსახლეობისათვის მისი კონსტიტუციური უფლებების გაცნობას და ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურებას, ადგილობრივი ინსტიტუტების მიერ განვითარების სტრატეგიის განსაზღვრის მეთოდის ათვისებას, მათი ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზებას, საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, მართვის პროცესებში მათ მონაწილეობას და ამ გზით, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას.

კრიზისი, როგორც ეკონომიკის ციკლური განვითარების ერთ-ერთი ნიშანი, განსაკუთრებულ სიმწვავეს ტერიტორიული ერთეულების დონეზე იძენს, აქ მას თავისი სპეციფიკა გააჩნია, - როგორც წესი, ადგილობრივი თვითმმართველობის კრიზისი წარმოიშობა არა მუნიციპალური მენეჯმენტის არაეფექტურობით, არამედ მაკრო და რეგიონულ დონეზე მიმდინარე სხვადასხვა კრიზისების გავლენით, ასეთი დამოკიდებულება ტრანზიციული მაკროეკონომიკის პირობებში მუნიციპალურ ეკონომიკას არამდგრად სისტემად აქცევს, შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის სამეურნეო აქტივობა, უპირველეს ყოვლისა, მაკროდონეზე ეკონომიკური რყევების დარეგულირებას და სივრცითი

ეკონომიკის განვითარების დინამიკის სრულყოფას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს სამეურნეო სუბიექტებთან ურთიერთობა არანონასწორულ გარემოში, პირველ რიგში კი, კვლევის საგანი ხდება მუნიციპალური საწარმოების გამართული ფუნქციონირება და მათთან ადგილობრივი ხელისუფლების სწორი კოორდინირება.

თანამედროვე პირობებში უპირატესობა მუნიციპალური საწარმოების მართვის კორპორატიულ მეთოდს ენიჭება, რაც უნიტარული საწარმოებისათვის დამახასიათებელი მართვის ადმინისტრირების საბაზრო-კონკურენტულ მექანიზმებთან სინთეზირების საშუალებას იძლევა, პოპულარული ხდება ასეთი კრებსითი ტიპის კლასტერული მუნიციპალური საწარმოები, მისი იდეა საწარმოო, მარკეტინგული, ტექნოლოგიური, სატრანსპორტო და სხვა სახის რესურსების ერთობლივი გამოყენების საფუძველზე მიღებულ სინერგიულ ეფექტში მდგომარეობს. კლასტერული საწარმო მუნიციპალური და სხვა ფორმის საწარმოების სტრუქტურულად ქსელს წარმოადგენს, რომლებიც ადგილობრივი ეკონომიკის განსაზღვრულ სფეროში ერთიანი სტრატეგიული მიზნისათვის ანხორციელებენ ურთიერთკოორდინირებულ საქმიანობას. საწარმოო სიმძლავრეების ასეთი კოოპერირება შეიძლება ორიენტირებული იყოს ან კონკრეტული მუნიციპალური ამოცანის შესრულებაზე, ან კომერციული მოგების მიღებაზე, არამდგრადი ეკონომიკის პირობებში მათ შეიძლება მასტაბილიზებული ფუნქციაც შეასრულონ, რაც პარტნიორებისათვის ტექნოლოგიურ პროცესებში ცენტრალიზებული დახმარების განვითარებით მიიღწევა. სპეციფიკა, რაც მუნიციპალურ კლასტერებს კომერციულისაგან განასხვავებს, მათი პასუხისმგებლობის ხარისხში მდგომარეობს, ისინი საკუთარი საწარმოს ეკონომიკური ეფექტურობის გარდა, პასუხისმგებლები არიან მუნიციპალურ ერთეულში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზეც, სტრუქტურულად კოოპერირებული ასეთი კლასტერის საქმიანობის შეფასებისათვის, წმინდა ეკონომიკურთან ერთად, კომპლექსური მაჩვენებლებიც გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმების სახით.

კლასტერი სივრცითი ეკონომიკის ყველაზე პოპულარული და პერსპექტიული ინსტიტუტია, მასში ბირთვს მუნიციპალური საწარმოები წარმოადგენს, რაც ადგილობრივი ორგანოების მხრიდან მათ მართვადობას უზრუნველყოფს, ეს კი, თავის მხრივ, ამარტივებს ფინანსური და ორგანიზაციული დახმარების განვითარების პროცესს. მსხვილი მუნიციპალური საწარმოო კლასტერების შექმნა სერიოზული საინვესტიციო პროექტების განხორციელებას უზრუნველყოფს მოცემულ ტერიტორიაზე, ხოლო, რამდენადაც კლასტერში ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობა, ეს ზრდის მის ნდობას კლასტერების მიმართ და, შესაბამისად, აფართოებს მოსახლეობის კაპიტალის საინვესტიციო აქტივობას. მუნიციპალური კლასტერების ეს პოზიტიური მხარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრატეგიული ინვესტიციების დეფიცისთვის პირობებში. საწყის ეტაპზე ინვესტიციების გარანტიად მუნიციპალიტეტი გა-

მოდის, შემდგომში კი, მისი პროტექციონისტული პოლიტიკა კლასტერისათვის კონკურენტული უპირატესობის შექმნაში შეიძლება გამოვლინდეს - მუნიციპალური შეკვეთები, ბაზრებზე პროდუქციის შესვლის მხარდაჭერა, შეღავათები ადგილობრივ გადასახადებზე და სხვა. ეს ხელს უწყობს ტერიტორიული ერთეულების მუნიციპალურ ინსტიტუტებში ეკონომიკის მდგრად განვითარებას და სხვა პოზიტიურ ცვლილებებს. ამასთან, რამდენადაც ბიზნესისადმი შეღავათების განვითარების შესაძლებლობები მუნიციპალიტეტისათვის საკმაოდ შეზღუდულია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, დიდი ყურადღებით მოეკიდონ თითოეული სამეურნეო რგოლის ეკონომიკური აქტივობის საკითხს, პირველ რიგში, მათი რესურსული უზრუნველყოფის და საშეღავათო პოლიტიკის საკითხებს: მინის ფართობის გამოყოფა, საგადასახადო შეღავათები, საკომუნიკაციო და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობაში შერბილებული სტანდარტების შემოღება. ყურადღება უნდა მიექცეს მუნიციპალური ორგანოების და კერძო ფირმების ინტერესთა არათანხვდობა-ლობას, კერძოდ, თუკი ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია აქცენტს ექსტენსიურ ფაქტორებზე და ამ გზით ადგილობრივი გადასახადების გადიდებით, ტერიტორიული ბიუჯეტის შემოსავლის ზრდაზე აკეთებს, საბაზრო სუბიექტები რესურსების ეფექტური გამოყენების გზით, ეკონომიკის ინტენსიური გაძლიერების სისტემებზე არიან ორიენტირებული, ინტერესთა ამგვარი რადიკალიზაცია დამატებით მოთხოვნებს უყენებს ადგილობრივ ინსტიტუტებს და ზრდის მათ მოვალეობებს.

არამდგრადი ეკონომიკისათვის მუნიციპალური ბაზრის სასაქონლო ასორტიმენტით უზრუნველყოფის დიდი ამპლიტუდით რყევას დამახასიათებელი. ამ გზით გაჩენილი საბაზრო ნიშების გამოიყენება საკუთარი საქონლის პოზიციონირებისათვის მაღალი მობილობის მქონე ფირმებს შეუძლიათ, ამასთან, რეალურია მუნიციპალური სესხების ან სხვა სახის მხარდაჭერის მიღება ადგილობრივი ორგანოებიდან. ამ ორი ინსტიტუტის თანამშრომლობის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას მიზნობრივი საწარმოო პროგრამების ერთობლივი განხორციელება წარმოადგენს, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიული ერთეულების განვითარების კომპლექსური პროგრამების შემუშავების დროს.

ადგილობრივი წარმოება ვინრო პროფილირებულია და ხშირად ეკონომიკური თვალსაზრისით, არაეფექტური, მთავარ პრობლემას ინვესტიციების დეფიცეტი და, შესაბამისად, ინოვაციური ტექნოლოგიების სიმწირე განაპირობებს. მემკვიდრეობით მიღებული ვინრო-ტექნოლოგიური სპეციალიზაცია არ აძლევს საწარმოებს ახალი, მათთვის არატრადიციული საქონლის დამოუკიდებლად წარმოების საშუალებას, ამ შემთხვევაში სწორედ მუნიციპალიტეტი ასრულებს ინვესტირებთან ფირმების დამაკავშირებელ ორგანიზაციულ ფუნქციას. ადგილობრივ ორგანოებს განსაკუთრებული აქტიურობით შეუძლიათ მონაწილეობის მიღება სწრაფად უკუგებად ინვესტიციურ პროექტებში, ამ მიზ-

ნით საჭიროა კონვერსიული სანარმოს მიერ შიდა რეორგანიზაციის გატარება, რაც პრობლემური რგოლების დახურვას და ამგვარი ლოკალიზაციის გზით, ეფექტურად სტრუქტურულიზებული ერთობლივი მუნიციპალურ-სანარმოო რგოლის შექმნას ითვალისწინებს. სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სუბიექტების ამგვარი კოორპერაცია სანარმოების რეორგანიზაციას და მათ მოდერნიზაციას ედება საუძველად, ერთობლივი პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების რისკებზე პასუხისმგებლობასაც სამეურნეო და მუნიციპალური სანარმოები ერთობლივად იღებენ საკუთარ თავზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებისათვის აუცილებელია მისი ეკონომიკური საფუძვლების სრულყოფა. ტერიტორიული ერთეულების საკუთარი შემოსავლები საკმაოდ მწირია და სახელმწიფო ხელისუფლება მას სატრანსფერო პოლიტიკის საშუალებით ავსებს, მიზანშეწონილია შეღავათების ნაწილის გაუქმება ქონების გადასახდზე, რაც ამცირებს დაბეგვრის ბაზას და უკუ-სტიმულს წარმოადგენს ეკონომიკისათვის. დასახვეწია გამოთანაბრებითი ტრანსფერის მუნიციპალიტეტებს შორის განაწილების მექანიზმი. აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე გამოთანაბრებითი ტრანსფერის ამოცანად განისაზღვროს შემოსავლების გამოთანაბრება და არა სახელმწიფო სახსრების განაწილება მუნიციპალიტეტებს შორის. ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულაში ასევე უნდა ჩაერთოს ყველა ის სერვისი, რომლის მიწოდების უფლებამოსილებაც თვითმმართველობის კომპეტენციაა. საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მექანიზმები. აუცილებელია მოხდეს იმ სერვისების განფასება, რომლის დაფინანსებაც ეს ტრანსფერები ემსახურება [4, გვ. 29].

რამდენადაც თვითმმართველობის ინსტიტუტი საზოგადოებრივი ურთიერთობების პროგრესის მაჩვენებელი და სოციუმის უდიდესი მიღწევაა, მის ფორმირებას ხანგრძლივი პერიოდთან ერთად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები სჭირდება შესაბამისი საკადრო და მენეჯერული პოტენციალის უზრუნველყოფით. სახელმწიფო მართვის სფეროში მიმდინარე თანამედროვე კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება, სწორედ, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ინსტიტუციური სისტემის, ეკონომიკური სისტემის რეგულირების, კოორდინაციისა და მართვის პრობლემებისადმი დამოკიდებულებას ეთმობა. მომავალში კვლევის კონცენტრირება უნდა მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მიმდინარე ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმირების ძირითად მიმართულებებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტერიტორიული ერთეულების განვითარების კომპლექსური პროგრამების შედგენას, მისი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების შესწავლას, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფინანსური ბაზის ფორმირების ეფექტური მეთოდების და ხერხების შემუშავებას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია : - /მუხლი 3, პ. 1/, თბილისი, ფონდი Alpe, 2005.
2. კოპალეიშვილი მ. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალური (სამართლებრივი მონესრიგების) საფუძველი – ალმანახი № 10, (სახელმწიფო სამართალი)- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; ქსე, ტ. 4, სტ. თვითმმართველობა.
3. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია.
4. ხმალაძე ი., პეტრიაშვილი ვ., ადგილობრივი თვითმმართველობა: ეკონომიკური საფუძვლები და განვითარების პერსპექტივები, PPMCGroup, თბილისი, 2010.
5. საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ”, თბილისი, 2010.
6. საქართველოს კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ”, თბილისი 2005.
7. თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ოფიციალური ვებსაიტი: www.oecd.org

STATE STATEMENTS OF FINANCIAL REGULATION TO SPATIAL ECONOMY

Marina Tabatadze
Ivane Javakhishvili Tbilis State University

ABSTRACTE

The article discusses the scientific approaches of decentralization-as modern form of establishing democratic relations; its specificity and institutional basis. It also Analyzes the conceptual issues of spatial economy which is the one of the most current forms of organizing economy. The article notes that spatial economic relations are essentially influenced by historical, geographical, political and ethno-cultural factors. While selecting mechanisms of decentralization, they need to take into account the problems that best reflect the idea of self-government rational forms and defining of quality, scales of territorial units, accumulation and expenditure mechanisms for their budget revenues. The article reviews advantages of management decentralization which should serve to implement an overall state strategy. There is mentioned in which conditions can be developed this trends and which factors can restrict their action

Key Words: Managing Decentralization; Spatial economic; State strategy; Liberalization of the management system; Democratic society; Institutional structure of self-governance; Regional and Local Government Institution.

იპოთეკური დაკრედიტება, როგორც უძრავი ქონების
ბაზრის განვითარების და ინვესტირების წყარო

ნინო კუტიბაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია იპოთეკური დაკრედიტების არსი. განვითარების ისტორია და მახასიათებლები. საუბარი ეხება იპოთეკური დაკრედიტების გავლენას ეკონომიკურ პროცესებზე, კერძოდ კი - უძრავი ქონების ბაზარზე. ჩგანხილულია იპოთეკური დაკრედიტების სისტემაში შემავალი ეკონომიკურ სუბიექტები, მათი ურთერთკავშირი. იპოთეკური სესხების ვადები, საპროცენტო განაკვეთების და დაფარვის გრაფიკების თავისებურებები.

საკვანძო სიტყვები: იპოთეკური დაკრედიტება. უძრავი ქონების ბაზარი, ეკონომიკური პროცესები, სისტემა, საპროცენტო განაკვეთი, დაფარვის გრაფიკი.

ANOTATION

The article deals with the essence of mortgage lending, development of history and characteristics. The talk deals with the impact of mortgage lending on economic processes, namely the real estate market. Economic subjects included in the mortgage lending system, their interdependence, mortgage loan terms, peculiarities of interest rates and repayment schedules.

Keywords: Mortgage Lending. Real Estate Market, Economic Processes, System, Interest Rate, Coverage Schedule.

* * * *

უძრავი ქონება, საბაზრო ეკონომიკის პირობებში იმ კატეგორიის საქონელს მიეკუთვნება, რომელთანაც ბაზრის მოთამაშეთა უზარმაზარი ფინანსური რესურსია დაკავშირებული. ამის გამო, საინვესტიციო სისტემის განვითარებას უძრავი ქონების ბაზარზე უდიდესი როლი ეკისრება, ვინაიდან, საცხოვრებელი ბინები შენდება, მოქალაქეთა სოციალური მხარე უმჯობესდება და ინვესტორთა ინტერესების დაკმაყოფილება ხდება სწორედ ფულადი რესურსების მოზიდვის ხარჯზე.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში იპოთეკური კრედიტი ბინის შესაძენი, მისი მშენებლობის, ან რემონტისთვის გაცემული სესხია. მისი გაცემით, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს, ბაზრის ამ სეგმენტზე მოთამაშეთა ურთიერთდამოკიდებულება, სისტემა და თანამშრომლობაც იკვეთება.

იპოთეკური სესხების გაცემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა დაკრედიტებაში. საქართველოში ეს არის სესხი საცხოვრებელი ბინების ყიდვის, მშენებლობისა და რემონტისთვის და ქვეყნის საერთო სასესხო პორტფელის მნიშვნელოვანი წილიც უკავია.

განვითარებულ ქვეყნებში კრედიტის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები წარმოადგენს. თუმცა, იპოთეკური სესხები საერთო პორტფელში ერთ-ერთი მსხვილი მიმართულებაა და საცხოვრებელი ბინის შეძენისა და მშენებლობის გარდა, კომერციული და არასაცხოვრებელი საწარმოო ფართების მშენებლობისთვისაცაა გამიზნული.

იპოთეკური კრედიტი წარმოადგენს კრედიტის ერთ-ერთ ყველაზე ძველ სახეს. მის წარმოშობასა და განვითარებას საფუძველად უდევს მინის ნაკვეთზე და სხვა უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრების გამოჩენა. შესაძლებლობა, ქონება დაგირავებულიყო სესხის მიღების მიზნით, ხოლო თავად უძრავი ქონება, იმ დროიდან დღემდე ითვლება სესხის უზრუნველყოფის ყველაზე სანდო სახედ.

„სიტყვა „იპოთეკა“ პირველად თავის კანონმდებლობაში სოლონმა (ათენელი პოეტი, მხედართმთავრი, რეფორმატორი და კანონმდებელი ძვ.წ.638-ძვ.წ. 558) გამოიყენა. იგი მოვალის მიწაზე ჩასობილი ბოძებით აღნიშნავდა მინის ამ ნაკვეთზე სესხის გაცემით მიღებულ უფლებას. ამ მეთოდს, როგორც უზრუნველყოფის ერთ-ერთ ფორმას, ძველ რომშიც იცნობდნენ. ის აღმოსავლური ძველევგვიპტური სამართლის გავლენით წარმოიშვა და ისე, როგორც დღეს, უზრუნველყოფის საგანი მოვალის საკუთრებასა და მფლობელობაში რჩებოდა. კრედიტორს კი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლება ეძლეოდა, გამოეთხოვა ეს ნივთი მისი ნებისმიერი, იმდროინდელი მფლობელისაგან, გაეყიდა იგი და მიღებული თანხით დაეფარა მოთხოვნა.“¹

როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს² „უძრავი ნივთი შეიძლება იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორთან შედარებით, პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით, ან მისი საკუთრებაში გადაცემის გზით“. ე.ი „იპოთეკა არის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც კრედი-

1 <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3417>

2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 286, 26.06.1997 წ.

ტორს იმის გარანტიას აძლევს, რომ დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნას. ამასთან, იპოთეკა შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამომავლო, ან პირობით მოთხოვნებთან დაკავშირებით, თუკი, იპოთეკის დადგენის მომენტისთვის შესაძლებელია ამ მოთხოვნის დადგენა. მაშასადამე, იპოთეკის დადგენისათვის, აუცილებელი არ არის მოთხოვნის იმავდროული არსებობა, თუმცა, ეს მოთხოვნა ფიქტიური არ უნდა იყოს და უნდა არსებობდეს იმის გარანტია, რომ იგი, მომავალში ნამდვილად წარმოიშობა. ეს პატარა ნიუანსი უფრო მეტ მოქნილობას ანიჭებს იპოთეკას. ასევე შესაძლებელია იმ ზღვრული თანხის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც უძრავი ნივთიდან მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა მოხდეს. იპოთეკა მდგომარეობს იმაში, რომ უძრავი ქონება ემსახურება ვალის გადახდის უზრუნველყოფას მოვალის მიერ ამ ქონების დაუკარგავად. იგი უძრავი ქონების მესაკუთრეს შესაძლებლობას აძლევს დაადგინოს მასზე ერთი, ან რამდენიმე იპოთეკა, მიიღოს კრედიტი იმ ფარგლებში, რომელიც შეესატყვისება ამ ნივთის მთლიან, ან ნაწილობრივ ღირებულებას, თანაც ისე, რომ არ დაკარგოს არც სარგებლობის და არც განკარგვის უფლება ამ უკანასკნელზე³.

ჩვენ დროში ამ სახის სესხების გაცემის განვითარების მასშტაბებზე მოწმობს ის ფაქტი, რომ აშშ-ში, წლის განმავლობაში მოსახლეობაზე უძრავი ქონების შესაძენად გაცემული კრედიტების საერთო რაოდენობა აღემატება 800 მილიარდ დოლარს. საქართველოში კი საცხოვრებელი ბინების აშენების ან შექმნის მსურველთა 80% ამას იპოთეკური კრედიტის ალებით აკეთებს.

იპოთეკა მსოფლიოს უძრავლეს ქვეყანაში დიდი ხანია ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია. საქართველოში 2016 წლის 1 იანვრის მონაცემებით, იპოთეკური სესხის სასესხო პორტფელმა 15,86 მლრდ ლარი შეადგინა. მოცულობიდან გამომდინარე, საჭირო ხდება, დეტალურად იქნას შესწავლილი რას წარმოადგენს აღნიშნული პროდუქტი, რა როლს არულებს ეკონომიკურ თუ სოციალურ პროცესებში და რას მოიტანს ის მომავალში.

იპოთეკური კრედიტის მისაღებად სესხის უზრუნველყოფად (გირაოდ) წარმოდგენილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა ხდება. ეს აძლევს გამსესხებელს უფლებას, ქონება დაიტოვოს სარგებლობაში, ხოლო ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში უზრუნველყოფის ობიექტის რეალიზაციიდან მოახდინოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

უნდა აღინიშნოს, რომ იპოთეკური კრედიტის არსი მდგომარეობს მის მიზნობრივ სარგებლობაში - უძრავი ქონების შექმნაში, რეკონსტრუქციასა და მშენებლობაში. ე.ი უძრავი ქონების ბაზარზე მის ოპერირებაში და გარკვეული ამინდის შექმნაში.

ინვესტირების მიზნებიდან გამომდინარე, უძრავი ქონება შეიძლება დავყოთ კატეგორიებად:

- უძრავი ქონება, რომელსაც მფლობელი იყენებს სამენარმეო საქმიანობისათვის;

- საინვესტიციო უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება ამჟამინდელი ან მომავალი საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის მოცულობის სტაბილურობისა და გაზრდისათვის;

- უძრავი ქონება, რომელის ათვისება ხდება შემდგომი განვითარებისათვის.

იპოთეკური კრედიტი წარმოადგენს სასესხო კაპიტალის მოძრაობას უძრავი ქონების სფეროში, რომელიც დაკავშირებულია ფულადი რესურსების გაცემის, დაბრუნების, ვადიანობის და გადახდის კონკრეტულ პირობებთან და წარმოადგენს პროცესის მონაწილე ეკონომიკურ სუბიექტებს შორის მნიშვნელოვან ურთიერთობას, სისტემურ კავშირს კერძო პირებს, კომპანიებს, საფინანსო ინსტიტუტებს, სამშენებლო და დეველოპერული კომპანიებს, სახელმწიფო დაწესებულებებს შორის.

იპოთეკური კრედიტი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, იპოთეკის წარმომოხდა ხდება მამინ, როცა უძრავ ქონებაზე არსებობს საკუთრების უფლება; იპოთეკა არსებობს განსაზღვრული ვადით და მოთხოვნის განსაზღვრული მოცულობით; იპოთეკური სესხი გრძელვადიანია (კრედიტი გაცივმა, საქართველოში 5-15 წლით, ევროპასა და ამერიკაში 15 წელზე მეტი ვადით); სესხის მოცულობა იპოთეკის ობიექტის საბაზრო ღირებულებასთან შედარებით მცირეა. როგორც წესი, 70-80%-მდე ფარგლებში (დარჩენილი ნაწილი განსაზღვრულია სასამართლო დანახარჯების და კრედიტის სხვა ხარჯების დასაფარად, თუკი მოთხოვნა (საკრედიტო ხელშეკრულების პირობები) არ იქნება შესრულებული და საჭიროა გახდება იპოთეკის ობიექტის რეალიზაცია; თვითონ უზრუნველყოფა (იპოთეკით დატვირთული ქონება) რჩება მოვალის ხელში საკრედიტო ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე.

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე, გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა ტიპის სესხებზე. საქართველოში, მაგალითად, 2016 წლის პირველი იანვრის მონაცემებით უცხოურ ვალუტაში დენომინირებული იპოთეკური სესხების (65,6 პროცენტის დოლარიზაციის მაჩვენებლის ფონზე) საშუალო შენონილი პროცენტი 10,5%ის ტოლი იყო და ტენდენცია 2017 წელსაც გავრცელდა.⁴

იურიდიული თვალსაზრისით, იპოთეკური დაკრედიტების სისტემაში მონაწილე სუბიექტებში იულისხმება უძრავი ქონების მიმოქცევის მარეგულირებელი კანონმდებლობა და ამ მიმოქცევაში ჩართული რეგისტრაციის ინსტიტუციები. საქართველოში წარმოადგენს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო.

იპოთეკური დაკრედიტების სისტემის მონაწილე სუბიექტებად შესაძლოა მოგვევლინონ კომერციული ბანკები; მიკროსაფინანსო ორგანიზაციები; სახელმ-

3 <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3417>

4 <http://sab.ge/ge/activitiesresearch/535-ipotekuri-sesxis-mimoxilva-mimdinare-akciebi>

ნიფო საკანონმდებლო ორგანოები, ჩვენ შემთხვევაში ეროვნული ბანკი. სადაზღვევო კომპანიები; სამშენებლო კომპანიები; ინვესტორები;

სისტემაში მთავარი ადგილი კომერციულ ბანკებს უკავიათ. ისინი სესხებს გასცემენ უძრავი ქონების შესაძენად, უკვე არსებული უძრავი ქონების უზრუნველყოფით, ან შესაძენი უძრავი ქონების უზრუნველყოფით, თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში.

იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებული სისტემის შემდეგი სუბიექტია უძრავი ქონების სააგენტო (რეელტორული კომპანიები). მათი ფუნქცია მდგომარეობს უძრავი ქონების ობიექტების შერჩევასა და მახასიათებლების მიხედვით კატალოგების შემუშავებაში. შესაძლოა, სააგენტოებმა უძრავი ქონების ობიექტების შეფასებაც მოახდინონ.

ამავე სისტემას მიეკუთვნება სამშენებლო კომპანიებიც. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთში ისინი იპოთეკური დაკრედიტების ბაზარზე პირდაპირ გავლენას არ ახდენენ, ისინი ქმნიან უძრავი ქონების ბაზრის და იპოთეკური კრედიტის პოტენციურ ობიექტებს, საქართველოში სამშენებლო კომპანიები დაინტერესებულნი არიან იპოთეკური დაკრედიტების სხვადასხვაგვარი სქემების შემუშავებასა და დანერგვაში, თუმცა, ძირითადად იყენებენ გადახდის განვადებით გაყიდვების პრაქტიკას. ისინი მჭიდროდ ურთიერთობენ კომერციულ ბანკებთან და აფორმებენ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც უზრუნველყოფს გაყიდვების ზრდას. სადაზღვევო კომპანიები წარმოადგენენ უძრავი ქონების მიმოქცევაში მონაწილე ინსტიტუტებს. ისინი აზღვევენ როგორც თავად იპოთეკურ სესხებს, ასევე უზრუნველყოფის ობიექტებსაც, რითაც ამცირებენ გამსესხებლის რისკს და შესაბამისად, ცვლიან აღნიშნული სესხის საპროცენტო განაკვეთსაც.

საქართველოში, გარიგების ნებისმიერი ობიექტი, მათ შორის, მიწა, რეგისტრირდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეესტრში, სადაც ატვირთულია მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, სატელიტური ფოტო, ნაკვეთის ზომები, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საიდენტიფიკაციო მონაცემები, იპოთეკასა და გირავნობასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებები, ადრე გაცემული და შესრულებული იპოთეკები.

იპოთეკური კრედიტის ბაზარზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინვესტორები. ისინი შეიძლება იყვნენ როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები. მათი საქმიანობის სფერო-მეორადი ბაზარია, სადაც ისინი ყიდულობენ იპოთეკური კრედიტების უზრუნველმყოფ ქონებას, ფასიან ქალაქებს, დეპოზიტებს და იღებენ მცირე, მაგრამ სტაბილურ და საიმედო შემოსავალს. სახსრები, რომლებსაც ამოიღებენ ინვესტირების მეშვეობით, შემდგომ კვლავ მიმართავენ კრედიტების გაცემაზე.⁵

დაფინანსების სირთულეები ხშირად უკავშირდება

ისეთ ფაქტორებს, როგორცაა კრედიტის ვადა, პროცენტის გაანგარიშების მეთოდი, აგრეთვე მონაწილე მხარეთა ქონებრივი ინტერესები და თანადაფინანსების თავისებურებები.

საცხოვრებელი ბინის შესაძენი იპოთეკური სესხები განსხვავდება:

1. ვადის მიხედვით. სხვადასხვა ქვეყანაში კრედიტების კლასიფიკაცია ვადების მიხედვით განსხვავებულია, აშშ-ში მოკლევადიანს მიეკუთვნება კრედიტები 1 წლამდე, საშუალოვადიანს- 1-10 წლამდე, გრძელვადიანს- 10 წელს მეტი ხნით. დიდ ბრიტანეთში მოკლევადიანად ითვლება კრედიტი 3 წლამდე, საშუალოვადიანი - 3-დან 10 წლამდე, გრძელვადიანად- 10 წელზე მეტი ხნის საქართველოში მოკლევადიან კრედიტებს მიაკუთვნებენ კრედიტებს 1 წლამდე, საშუალოვადიანს- 1-დან 3 წლამდე, ხოლო გრძელვადიანს 3 დან 15 მდე;

2. კრედიტის დაფარვის სქემის მიხედვით შესაძლოა, გადახდის გრაფიკი შედგეს თანაბარი გადახდებით, საშელავათო პერიოდით, ანუ ერთიანი გადახდით ან ინდივიდუალური დაფარვით.

4. საპროცენტო განაკვეთის მიხედვით არსებობს კრედიტი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, კრედიტი ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. როდესაც სესხის პროცენტი დაკავშირებულია რომელიმე ინდექსის ცვლილებასთან. მაგალითად, საქართველოში, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ცვლადი პროცენტი დამოკიდებულია ლონდონის ბანკთაშორის ბირჟაზე ჩამოყალიბებულ შეთავაზების ინდექსზე (LIBOR). რაც შეეხება ლარის სესხებს, საპროცენტო განაკვეთს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი. შესაძლოა, სესხი გაიცეს ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის კომბინაციით.

სესხები უზრუნველყოფის სახის მიხედვით არის უძრავი ქონების უზრუნველყოფით, ან დეპოზიტით და უძრავი ქონებით კომბინირებული უზრუნველყოფით.

იპოთეკური დაკრედიტების მოცულობის ზრდა ქვეყნის ეკონომიკურ პროცესებზე ახდენს გავლენას. ხდება სასესხო კაპიტალის გადანაწილება ეკონომიკურ სუბიექტებს შორის. სასესხო კაპიტალი მიისწრაფის იმ სეგმენტისკენ, რომელიც იმ მომენტისთვის განიცდის კრედიტის საჭიროებას და გამსესხებლის, როგორც ეკონომიკური სუბიექტის მოგებას უზრუნველყოფს. ხდება, აგრეთვე, დროებით თავისუფალი სახსრების დაგროვება და მათი მიმართვა ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის - მშენებლობის, რემონტის, უძრავი ქონების შესაძენად. ადგილი აქვს სასესხო კაპიტალის მიმოქცევის დროის ეკონომიას რაც მოცემულ სფეროში ზრდის კაპიტალის მწარმოებლური ფუნქციონირების დროს, მშენებლობასა და დეველოპმენტში მოგების გაზრდას, წარმოების გაფართოების ხარჯზე.⁶

5 Касьяненко Т.Г. Оценка недвижимости. М., 2016.

6 Касьяненко Т.Г. Оценка недвижимости. М. 2016.

ხდება კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია - იპოთეკური სესხის თანადაფინანსების რესურსისათვის მიმდინარეობს დანაზოგების მოცულობის ზრდა, ახალი საკრედიტო ორგანიზაციების, სამშენებლო ორგანიზაციებისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციების გაჩენა, რომლებიც მოცემულ სფეროში იწყებენ მოქმედებას. შესაძლებლობა იქმნება სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად - საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა. სხვა ტიპის კრედიტებთან ერთად იპოთეკური კრედიტი მონაწილეობს ეკონომიკის რეგულირებაში ფულად-სარედიტო სისტემის მეშვეობით.

საიპოთეკო ოპერაციები მჭიდროდაა დაკავშირებული საკუთრების საბაზო ურთიერებებთან რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკური კავშირების მექანიზმს საზოგადოებაში. ამიტომაც ქონების იპოთეკის სისტემის ცოდნა აუცილებელია არა მხოლოდ ეკონომისტებისა და იურისტებისათვის, არამედ ყოველი მენარმისათვის, სახელმწიფო მოხელისა თუ უბრალოდ მოქალაქისათვის.⁷

იპოთეკური დაკრედიტება წარმოადგენს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძლიერ ინსტიტუტს. იპოთეკური ბიზნესის ჩამოყალიბება პოზიტიურად აისახება ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე (მშენებლობის ზრდა, წარმოების მოდერნიზაცია და სხვ.), დადებით გავლენას ახდენს სოციალური არასტაბილურობის დაძლევაზე (უმუშევრობის შემცირება, შრომითი რესურსების მობილობა, საცხოვრებელ ბინებზე მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება), მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბანკო და მთლიანობაში, ქვეყნის საკრედიტო სისტემის ეფექტიანობისა და სტაბილურობაში.

განვითარებული იპოთეკური დაკრედიტების სისტემის ეკონომიკაზე დადებითი ზემოქმედების განხილვისას, არ შეიძლება უგულვებლყოფით ფაქტი, რომ იპოთეკური კრედიტი, საფინანსო ბაზრის სხვა ინსტრუმენტების მსგავსად, ბაზრის მოთამაშეთა ხელში შეიძლება იქცეს გამორჩენისა და სპეკულაციის იარაღად. განსაკუთრებით ეს აქტუალურია დღეს, როცა ფინანსურ ბაზარზე მიმდინარეობს მნიშვნელოვანი მოგების მომტანი ყველა რესურსის კლება. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს არაუზრუნველყოფილი რეალური აქტივების გადაცემას (უძრავი ქონების გირავნობით კრედიტებისა და ფიქტიური კაპიტალის გავრცელება), იპოთეკური დაკრედიტების განვითარება შესაძლოა თამაშობდეს ნეგატიურ როლს ეკონომიკაში, ასუსტებდეს სოციალურ მდგომარეობას და ხელს უწყობდეს ბაზრის იმ მოთამაშეთა გამდიდრებას, რომელთაც მხოლოდ სპეკულაციური ინტერესები ამოძრავებთ. აღნიშნული ტენდენციები უკვე შეიმჩნევა საქართველოს დღევანდელობაში. საქმე ეხება კერძო იპოთეკური სესხების გამცემ პირებს (მევახშეებს) და მიკროსა-

ფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც იპოთეკური კრედიტებს გაცემენ ყოველგვარი დადასტურებული შემოსავლების გარეშე, მხოლოდ უძრავი ქონების უზრუნველყოფით და საბაზრო განაკვეთთან შედარებით საკმაოდ მაღალი პროცენტით. მნიშვნელოვანია, რომ ამ ორგანიზაციების წილი ბაზარზე არც თუ ისე მცირეა. მაგალითად, 2016 წლის იანვრის მონაცემებით დასაკუთრებული უძრავი ქონების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, მისი 55% სწორედ მევახშეებზე მოდის, მაშინ როცა ბანკების წილი 26%, ხოლო მიკროსაფინანსოების - 19%ია.⁸

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. სიჭინავა ა. უძრავი ქონების ეკონომიკა. ლექციების კურსი. ელ. ვერსია. თბილისი 2010.
2. Касьяненко Т.Г. — Оценка Недвижимости 2016.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 26.06.1997
4. Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი - საქართველოს საპარლამენტო ბიბლიოთეკის ელექტრონული ვერსია www.nplg.gov.ge (გადამოწმდა 26.09.17)
5. საზოგადოება და ბანკები - „დასაკუთრებული უძრავი ქონების მიმოხილვა“ — <http://sab.ge/ge/activitiesresearch/537-dasakutrebuli-uzravi-konebis-mimoxilva> - გადამოწმდა 27.09.17.
6. საზოგადოება და ბანკები - „იპოთეკური სესხების მიმოხილვა“ - <http://sab.ge/ge/activitiesresearch/535-ipotekuri-sesxebis-mimoxilva-mimdinare-akciebi> გადამოწმდა 28.09.17
7. ბაქრაძე დავითი - იპოთეკის ცნების ზოგადი მიმოხილვა თანამედროვე სამოქალაქო სამართალში.// ალმანახი N8 სისხლის სამართალი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

7 სიჭინავა ა. უძრავი ქონების ეკონომიკა. ლექციების კურსი, ელ. ვერსია. თბილისი 2010.

8 <http://sab.ge/ge/activitiesresearch/537-dasakutrebuli-uzravi-konebis-mimoxilva>

უძრავი ქონების – სამდინარო ნაგებობების შეფასების პრობლემები

დავით ახოძაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

დღესდღეობით საქართველოში, პრაქტიკულად არ არსებობს ერთიანი სისტემა და საკანონმდებლო ბაზა, რაც დაარეგულირებდა ჰიდროტექნიკური სამდინარო ნაგებობების შეფასების მეთოდებს, აგრეთვე ნებისმიერი ასეთი ნაგებობის როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პროცესს, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის შემოსავლებზე, ბიუჯეტზე, ეკონომიკასა და ეკოლოგიაზე. აღნიშნული პრობლემის მოგვარება პრიორიტეტული უნდა იყოს საქართველოსთვის, რაც ჩვენს ეკონომიკას მნიშვნელოვნად განავითარებს.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონება, უძრავი ქონების შეფასება, სამდინარო ნაგებობები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, კაშხალები და დამბები.

PROBLEMS OF REAL ESTATE - RIVER BUILDINGS ASSESSMENT RESUME

Today, there is practically no general system and legal framework in Georgia that regulates the methods of assessing river hydro technical structures, as well as their construction, the exploitation process, which negatively affects the revenues, budget, economy and ecology of Georgia. The solution of the above-mentioned problem should become a priority for Georgia, which will bring significant development to the Georgian economy.

keywords: Real Estate, property valuation, river structures, hydraulic structures, dams and dams.

* * * *

სამდინარო ნაგებობების შეფასების პრობლემები ჩვენი ქვეყნისათვის აქტუალურია, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომელიც დაარეგულირებდა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესებს, რამაც შეიძლება საქართველოს ეკონომიკასა და მოსახლეობას დიდი ზიანი მიაყენოს. საქართველოში “უპატრონოდ” დარჩენილი ჰიდროტექნიკური ნაგებობები (კაშხლები, გვირაბები, დამბები და ა. შ.), რომელზეც პასუხისმგებელი პირი არ არსებობს, სხვადასხვა ბუნებრივმა მოვლენებმა და სტიქიამ (მაგ. გაზაფხულზე წყალდიდობამ) შეიძლება დააზიანოს და ქვევანას მიაყენოს დიდი ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალი. ჰესების მშენებლობის დროს, დიდი ზიანი ადგება

როგორც მიწებს ასევე ირგვლივ მყოფ ტყეებს, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებს და მთლიანად გარემოს, რაც ცვლის ადგილობრივ ეკონომიკას და შესაბამისად ეს მოქმედებს ეკონომიკასა და მოსახლეობაზე.

უძრავი ქონების ბაზარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საქმეში. ერთი მხრივ, უძრავი ქონების კარგად განვითარებული ბაზარი განაპირობებს მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს, მეორე მხრის კი, ფინანსებთან ურთიერთდამოკიდებულების ხარჯზე ქვეყნის ბიუჯეტის შევსების წყაროა. უნდა, აღვნიშნოთ, რომ საქართველოში უამრავ მდინარეზე არსებობს სამდინარო ნაგებობა, რომელიც რეალურად არ არის შეფასებული.

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრებს შორის, პირველობა წყალსა და წყალთან დაკავშირებულ რესურსებს ეკუთვნის. საქართველო ჰიდროენერგეტიკული პოტენციალით (მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ჭაობები) მისი ფართობის გათვალისწინებით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. საქართველოს ტერიტორიაზე დათვლილია 26 060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძეა დაახლოებით 58 987 კილომეტრი. საქართველოს მტკნარი წყლის საერთო მარაგი, რომელიც შედგება მყინვარების, ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან, შეადგენს 95 კმ³-ს.

ჰესების გარდა, საქართველოს მდინარეებზე აშენებულია უამრავი ჰიდროტექნიკური ნაგებობა, მათ შორის დამბები, კაშხლები, გვირაბები, არხები და ასე შემდეგ. ასევე მინა, რომელზეც არის განლაგებული ზემოთ აღნიშნული ნაგებობები. ეს ყველაფერი ერთად წარმოადგენს ქვეყნის უძრავი ქონების ნაწილს.

უძრავი ქონება---მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შემადგენელი ნაწილია. რამდენადაც მაღალი არ უნდა იყოს ამა თუ იმ ქვეყნის ინდუსტრიული და ინტელექტუალური განვითარების დონე, მინა ყველგან და ყოველთვის შეადგენს ეროვნული სიმდიდრის ყველაზე წონად ნაწილს. მსოფლიოს სიმდიდრის 50%-ზე მეტი მთლიანად უძრავი ქონების ნილად მოდის. ამასთან, უძრავი ქონება, გამოდის რა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსის სახით, თამაშობს ნებისმიერი საზოგადოების ეკონომიკური და სოცოიკულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ყველა იმ გარემოში, სადაც ადამიანი ახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას.

უძრავი ქონების ბაზარი, როგორც საბაზრო ურთიერთობის განსაკუთრებული სფერო, წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელს, რომელიც ეფუძნება კერძო საკუთრებისა შექმნას და საბაზრო მექანიზმე-

ბის თვითრეგულირებას, ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებას. უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბებასთან ერთად შეიქმნა სამეწარმეო და პროფესიონალური საქმიანობის განსაკუთრებული სფერო — საქმიანობა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საბაზრო ბრუნვაში მოზიდული უძრავი ქონების ობიექტების წრის გაფართოება, უძრავი ქონების ბაზარზე შესრულებული ოპერაციების სპექტრის გაართულება, ამ ოპერაციების შესრულებით სამეწარმეო აქტივობების ახალი სახეების გამოჩენა - ყველაფერი ეს მოწმობს, რომ უძრავი ქონების საქართველოს ბაზარი გადადის თავისი სტრუქტურის ფორმირების ახალ საფეხურზე — ბაზრის განვითარების საფეხურზე. ეს უკანასკნელი კი დამახასიათებელია ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

განვითარებული ბაზრის ფორმირების ეტაპზე სრულიად ბუნებრივად წარმოიშობა უძრავი ქონების ბაზრის ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებების, ფაქტორების კომპლექსური ცოდნის მოთხოვნილება, რომლების განსაზღვრავენ ამ ბაზარზე მოთხოვნას და შეთავაზებას, ინვესტირების პრობლემებს, დაფინანსებას, უძრავი ქონების გადასახადით დაბეგვრას, უძრავი ქონების მართვის მეთოდებს და ა.შ.

უძრავი ქონების შეფასება — უძრავი ქონების ბაზარზე პროფესიონალური საქმიანობის განსაკუთრებული სფეროა და ამავე დროს უძრავ ქონებასთან პრაქტიკულად დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის აუცილებელი ელემენტი, იქნება იგი უძრავი ქონების ობიექტის ყიდვა-გაყიდვა თუ იჯარით გადაცემა. შეფასება აუცილებელია უძრავი ქონების ობიექტების რეკონსტრუქციისა თუ მშენებლობის პროექტების რეალიზაციის შესახებ გადანიშნული მძღვლებისას, სამეწარმეო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში უძრავი ქონების ობიექტების შეტანისას, უძრავი ქონების ობიექტების გამოსყიდვისას და ა.შ.

ტერმინი “უძრავი ქონება” დამუშავებული იქნა ჯერ კიდევ ძველი რომის სამართალში. თუკი მოძრავ ქონებას მიეკუთვნებოდა ყველა ნივთი, რომელთა გადაადგილება სივრცეში შესაძლებელი იყო, უძრავი ქონება — ეს იყო, უპირველეს ყოვლისა მიწა, მიუხედავად მისი მდგომარეობისა დამუშავებული იქნებოდა თუ არა და ყველაფერი ის, რაც განუყოფელად დაკავშირებულია მასთან.

ამერიკულ კანონმდებლობაში უძრავი ქონება — ეს არის მიწის ნაკვეთი და სხვა ბუნებრივი ნიაღისეული, ასევე ყოველგვარი სხვა ნივთები, რომლებიც მყუარადაა დაკავშირებული მიწის ნაკვეთებთან და შეუძლებელი მისგან მოცილება (შენობები, სამდინარო ნაგებობები, ქარხნები და მისთ.) გარდა ნაკვეთის განსაზღვრული მონაკვეთისა, უძრავ ქონებას შეადგენს ამ ტერიტორიაზე არსებული საჭირო სივრცე და წყალი, აგრეთვე მიწისქვეშა ბუნებრივი რესურსები ე.ი. უძრავ ქონებას აქვს სამი დონე და მოიცავს სახმელეთო ზედაპირს, მის ქვემოთ და ზემოთ არსე-

ბულ სივრცეს (და მოიცავს, ამასთან წყლის, საკანალიზაციო და გათბობის სისტემებს) ყველაფერი რაც აღმართულია მიწაზე, მის ზემოთ და ქვემოთ, იქცევა უძრავ ქონებად. უძრავი ქონების ნებისმიერი ასეთი დონე შესაძლოა გაიყიდოს ან იქნეს შეძენილი სხვებისგან დამოუკიდებლად. დაწყებული მიწის ზედაპირიდან, გადაკვეთილი დედამიწის ზედაპირზე კონტურის მონაკვეთით და მის ბირთვამდე გადაჭიმული, უძრავი ქონების კონუსი დედამიწის ცენტრში წვეროში წარმოშობს უფლებათა ერთობლიობას, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს ფიზიკურ პირს, ფიზიკურ პირთა ჯგუფს, იურიდიულ პირს, სახელმწიფოს.

უცხოურ ლიტერატურაში ადგილი აქვს “უძრავი ნივთების, უძრავი ქონების” (real estate) და “უძრავი ქონების საკუთრების” (real property) ცნებებზე დაყოფას. ამასთან, პირველი შეადგენს მატერიალურად, ფიზიკურად ხელშესახები უძრავი ქონების ცნების არსს, როგორც ყველა სუბიექტის ქონებრივი უფლებების ერთობლიობას (პაკეტს), რომელთაც მოცემულ ნივთებთან აქვთ ურთიერთობა. ამასთან მატერიალური შემადგენლობის არსში შედის: მიწის ნაკვეთები, ნიაღისეული, განცალკევებული წყლის ობიექტები, ტყეები, მრავალწლიანი ნარგავები, შენობები, ნაგებობები, საინჟინრო კომუნიკაციები, ანუ ყველაფერი ის, რაც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და რომელთა გადაადგილება შეუძლებელია. ე.ი. უძრავი ქონება (ფიზიკურად ფიზიკურად გადაუადგილებელი) წარმოგვიდგება ორი კომპონენტის სახით.” მიწები (land) და “გაუმჯობესებები” (on-site improvement)

ფიზიკურ ასპექტში სხვადასხვა სახის აღრიცხვის მიზნებისათვის (საკადასტრო, საინვენტარიზაციო და სხვა) და შესწავლისათვის (შეფასება, მართვა და სხვა) ცნება “უძრავი ქონება” უშვებს ტერმინის უძრავი ქონების ობიექტების გამოყენებას, რომელიც ტრადიციულად გაიგება როგორც მიწის ნაკვეთისა და მისი გაუმჯობესებების ერთობლიობა. მიწის ნაკვეთის გაუმჯობესებები ეწოდება ყოველივე იმას, რაც განუყოფელადაა დაკავშირებული მიწის ნაკვეთთან, რაც შექმნილია ადამიანის ხელით და რასაც დასჭირდა ადამიანის შრომის გამოყენება და დახარჯული რესურსების დაბანდება.

ჩაუმჯობესებებს მიეკუთვნება სხვადასხვა დანიშნულების შენობები, ნაგებობები და სამდინარო ნაგებობები ყოველივე იმასთან ერთად რაც აუცილებელია უძრავი ნივთების ფუნქციონირებისათვის მთლიანობაში, კონკრეტულად მისი გამოყენებადობის შესაბამისად, აგრეთვე ადამიანის მიერ მიწის ნაკვეთის ფარგლებში ნიადაგის ფენის დამუშავება. ამასთან თეორიაში მიღებულია, რომ საკუთრივ გაუმჯობესება არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც უძრავი ქონების ობიექტი ცალკე მიწის ნაკვეთიდან, რამდენადაც რჩება როგორც უძრავი ქონება და ახორციელებს თავის დანიშნულებას მხოლოდ იმ პირობებში და იმ დროს, როცა მყარადაა დაკავშირებული მიწასთან. მაგრამ უძრავი ქონების ობიექტის მიზნებისათვის ეს არის უძრავი ქონება,

რომელმაც გაიარა სახელმწიფო რეგისტრაცია როგორც ერთიანმა ობიექტმა. სახელდობრ, ამისათვის წარმოიშვა ისეთი “უძრავი ქონების ობიექტები” (და, შესაბამისად, მათი ბაზრებიც), როგორცაა ბინები, ოთახები და ჩაშენებული სათავსოები. ამხანაგობების სისტემის განვითარება თანდათანობით აღმოფხვრის ამ ცნებით “კაზუსს” და უძრავი ქონების ყოველ ობიექტს როგორცაა ეს დასაშვებიცაა, თავის შემადგენლობაში ექნება ესა თუ ის მიწის ნაკვეთი ან მიწი ნილი.

უძრავი ქონების შეფასების სამი მეთოდი (მიდგომა) არსებობს:

1. ხარჯვით მიდგომა უძრავი ქონების შეფასებაში უპირველეს ყოვლისა, უნდა გავეცნოთ ხარჯვითი მიდგომის არსს, მის ადგილს შეფასებით პრაქტიკაში, მისი გამოყენების სფეროს და შეზღუდვებს სარგებლობაში ხარჯვით მიდგომა (The Cost Approach) წარმოადგენს ერთ-ერთს სამი ძირითადი მიდგომიდან უძრავი ქონების შეფასებაში. ხარჯვითი მიდგომის გამოყენებისას უძრავი ქონების ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ღირებულების (თავისუფალი) შეშეჯამებით, მიწის ნაკვეთისა და მეაღნაგის (დრვრლოპერის) სრულს დანახარჯით მის კეთილდღეობაზე და მასზე უძრავი ქონების ობიექტის გაუმჯობესების მშენებლობით შეფასების თარიღისათვის. ამ შემთხვევაში გაითვალისწინება (დაემატება) ინვესტორის (მეაღნაგის) სამეწარმეო მოგება და გამოაკლდება დაგროვებულს ექსპლუატაციის პერიოდში გაუმჯობესების ერთობლივი ცვეთა. ხარჯვით მიდგომას საფუძვლად უდევს ჩანაცვლების პრინციპი, რომლის თანახმადაც უძრავი ქონების ობიექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს უმცირესი ფასით, რომელიც შეიძლება შეძენილი იქნეს ექვივალენტური სარგებლის უძრავი ქონების სხვა ობიექტი. ჩარდა ამისა, ხარჯვით მიდგომაში გამოიყენება მოთხოვნისა და შეთანხმების პრინციპი (გათვალისწინებული, კერძოდ, ინფლაციის ზემოქმედება, ზონირება დემოგრაფიული ცვლილებები და სხვა ფაქტორები).

2. შედარების მიდგომა წარმოადგენს ერთ-ერთს უძრავი ქონების შეფასებაზე და წარმოადგენს მასში პირდაპირი შედარების გაყიდვის ანალიზის მეთოდით (Sales Comparison Approach) ან, მოკლედ შედარების გაყიდვის მეთოდით. ორი სხვა მიდგომა, შემოსავლის და დანახარჯების, ასევე მნიშვნელოვანი სახით იყენებენ ბაზრის ინფორმაციას. შემოსავლის მიდგომაში, გამომდინარე ბაზრის მონაცემებიდან, განისაზ-

ღვრება კაპიტალიზაციის კოეფიციენტები, დისკონტირების განაკვეთები;

3. შემოსავლების მიდგომა (Income Approach) სამიდან ერთ-ერთი ცნობილი მიდგომა უძრავი ქონების შეფასებასადმი – წარმოადგენს შეფასების მეთოდის ერთობლიობას, რომელიც ეფუძნება შეფასების ობიექტიდან მოსალოდნელი შემოსავლების კაპიტალიზაციას ანუ ყველა მომავალ სარგებელს, რომელსაც როგორც მოსალოდნელია, მოიტანს უძრავი ქონების ექსპლუატაცია და მომავალში შესაძლო გაყიდვა.

ინვესტორები აბანდებენ თავიანთ კაპიტალს უძრავი ქონების ობიექტებში იმისათვის, რომ მათ უზრუნველყონ მისგან მომლოდინე შემოსავლების დონე. ამიტომ უძრავი ქონების ობიექტის შეძენისას, ინვესტორი უნდა დაეყრდნოს შეფასების ამ სამი მიდგომის მიხედვით მიღებულ შედეგებს, ობიექტის შეძენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

ჰიდროტექნიკური სამდინარო ნაგებობების, უძრავი ქონების შეფასება საქართველოში უნდა მოხდეს ხარჯვითი მეთოდის გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Александров В. Т., Касьяненко Т. Г. Ценообразование в строительстве. СПб., 2000.
2. Ампилов Ю.П. Стоимостная оценка недр. М., 2003.
3. Булгаков С.Н. Наназашвили И.Х. и др. Система экспертиз и оценка объектов недвижимости. М., 2007.
4. Грибовский С.В. Оценка стоимости недвижимости. М., 2009.
5. Европейские стандарты оценки 2009. 6-ое изд.: пер. с англ. М., 2010.
6. Иванова Е.Н. Оценка стоимости недвижимости. М., 2010.
7. Каминский А., Страхов Ю., Трейгер Е. Анализ практики оценки недвижимости. М., 2010.
8. Касьяненко Т.Г. Махавикова Г.А., Есипов В.Е. и др. Оценка недвижимости. М., 2010.
9. Касьяненко Т.Г., Бузова И.А. Ипотечно - инвестиционный анализ при ипотечном кредитовании: учеб. Пособие. СПб., 2001.

«РЕАЛИИ ЗЕМЕЛЬНОЙ РЕФОРМЫ В ГРУЗИИ»

Кахабер Чумбашвили

докторант

РЕЗЮМЕ

На сегодня в Грузии, в следствии приватизации сельско-хозяйственной земли, появилось огромное количество малых частных земельных участков, в результате чего ограничивается активная фермерская деятельность. Также существуют трудности с регистрацией земли.

Данная статья ставит целью показать начавшиеся в прошлых десятилетиях и текущие земельные реформы в Грузии.

В статье кратко описаны основные этапы осуществления земляных реформ роль государства в совершенстве земельного кадастра страны, методы регулировки процесса приватизации и регистрации земельных участков.

Отдельно выделены те проблемы, которые возникли в течении реформы, а также причины их возникновения.

Ключевые слова: Земельная реформа, земля, собственности.

* * * *

მინის საკუთრებისა და უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაციის საკანონმდებლო რეფორმები საქართველოში 1992 წლიდან დაიწყო. კანონმა მოქალაქეთა სარგებლობაში არსებული მინის ნაკვეთები, რომლებზეც მათი ე.წ. „კერძო სახლები“ იყო განთავსებული საკუთრებად დაუმტკიცდა, რაზეც შესაბამისი პირველი მიღება-ჩაბარების აქტებიც გაიცა.

1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული უფლების ნამდვილობის პრეზუმფციის დადგენის მიზნით, ახალი ინსტიტუტი - საჯარო რეესტრი შემოიღო, რომელსაც იმ დროისათვის მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი აწარმოებდა. 1998 წელს მიღებულ იქნა კანონი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“, რომელმაც მოქალაქეების მართლზომიერ სარგებლობაში არსებული მიწები მათ საკუთრებად გამოაცხადა. 1999 წელს საქართველოს კანონი „მინის რეგისტრაციის შესახებ“ მიიღეს, რომელმაც უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაციის პროცედურები და საფასური განსაზღვრა, ამავე აქტით მინის მართვის დეპარტამენტის საქმიანობა მოწესრიგდა. 2004 წელს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შექმნასა და ინსტიტუციურ რეფორმასთან ერთად რეგისტრაციის პროცედურის მომწესრიგებელი, უნიფიცირებული საკანონმდებლო აქტი - „უძრავი ნივთების უფლება-

თა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი იქნა მიღებული. მან მოაწესრიგა სარეგისტრაციო პროცედურები და გაამარტივა ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოქალაქეებს შორის არსებული ურთიერთობები. „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში, სარეგისტრაციო წარმოების პროცესში შემუშავებული პრაქტიკის ნორმატიული რეგლამენტაციისათვის იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქცია.

საკანონმდებლო რეფორმამ უზრუნველყო საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების საჯაროობა და გამჭვირვალობა. შეზღუდვები სხვის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე გაუქმდა, საჯარო რეესტრიდან მიღებული ამონაწერი უვადო გახდა, უძრავ ნივთზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები ერთ ამონაწერში გაერთიანდა. რეგისტრატორის ხელმოწერისა და სააგენტოს ბეჭდის გარეშე გაცემულ ელექტრონულ ამონაწერსა თუ მის ამონაბეჭდს იურიდიული ძალა მიენიჭა. მათი ნამდვილობის გადამოწმება ნებისმიერ ადმინისტრაციულ თუ კერძო უწყებას სააგენტოს ვებგვერდზე შეეძლო.

საკანონმდებლო რეფორმამ ახალი საკადასტრო სტანდარტი დაადგინა. სავალდებულო გახდა მინის ნაკვეთზე უფლების რეგისტრაციისათვის საკადასტრო აზომვითი ნახაზის წარმოდგენა, რომელიც თანამედროვე კოორდინატთა სისტემაში - WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში უნდა ყოფილიყო შესრულებული. შედეგად მივიღეთ რეგისტრირებული მინის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა.

2008 წელს დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონი მიიღეს, რომელმაც მკაფიოდ და დეტალურად მოაწესრიგა მარეგისტრირებელი ორგანოს წინაშე მდგარი თანამედროვე გამოწვევები. მოგვიანებით კი, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქცია“ დამტკიცდა, რომელიც საკანონმდებლო რეფორმის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო.

განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმის შედეგად სააგენტო გახდა პირველი ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც საქართველოში ელექტრონული მმართველობის პრინციპები დანერგა. რეგულაციურ ცვლილებას წარმოადგენდა ელექტრონულ ამონაწერზე ბეჭდისა და ხელმოწერის გაუქმება, დოკუმენტაციის ასლებისა და სააგენტოს გადამწვეტილებების ვებგვერდის მეშვეობით ხელმისაწვდომობა და კანონმდებლობით ამ სიახლის ლეგიტიმაცია.¹

სასოფლო-სამეურნეო მინის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესის დაგვირგვინებად ერთიანი საკა-

1 napr.gov.ge/p/145

დასტრო სისტემის ჩამოყალიბების დაწყება უნდა მივიჩნიოთ, რომელიც საჯარო რეესტრში გერმანიის საერთაშორისო განვითარების ბანკის მეშვეობით 2008 წელს დაიწყო². დონორმა ორგანიზაციამ საჯარო რეესტრი შესაბამისი პროგრამული პაკეტით უზრუნველყო. უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბდა რეგისტრაციისათვის აუცილებელი პროცედურების ნუსხა. საკუთრების ფორმალური უფლების მაძიებლებს შეეძლოთ კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციისა და საკადასტრო ნახაზის წარდგენის შემდგომ მიეღოთ სრულფასოვანი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელზედაც მითითებული იქნებოდა მესაკუთრის რეკვიზიტები და მიწის ნაკვეთის მკაფიოდ განსაზღვრული კოორდინატები. ამავე დროს მესაკუთრეს და ყველა დაინტერესებულ პირს ეძლეოდა შესაძლებლობა საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში ონლაინ რეჟიმში მოეძია შესაბამისი საკუთრების მონომბა.

რეფორმის საწყის ეტაპზე სახელმწიფომ შეინარჩუნა კონტროლი მრავალწლოვან სათიბ-საძოვრებზე. ამავე დროს, დაიწყო სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი მიწის ფონდის იჯარით გაცემის პროცესი. იჯარით გაიცა მიწის დიდი მასივები, რომელთა ფაქტობრივი მფლობელნი სავარაუდოდ სოფლისა და ქალაქის შედარებით შეძლებული მაცხოვრებლები შეიქნენ და ეს პროცესი, სავარაუდოდ გარკვეულწილად გაუმჭვირვალედ, დარღვევებით მიმდინარეობდა.

საბოლოოდ, თავდაპირველად სახელმწიფომ რეფორმის ფარგლებში დაახლოებით 760 ათასი ჰექტარი მიწა მოსახლეობას გადასცა, ხოლო მის ხელთ დარჩენილი დახლოებით 460 ათასი ჰექტარის დიდი ნაწილი იჯარით გაიცა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ და სოფლად მუდმივად მცხოვრებ პირებს გამოეყოთ 1.25 ჰექტრამდე ფართობი, ხოლო იმავე კატეგორიის მაღალმთიან ზონაში მაცხოვრებელ მოქალაქეებს - 5 ჰექტრამდე. არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულ და სოფლად მუდმივად მცხოვრებ პირებს გამოეყოთ 0.75 ჰექტრამდე ფართობი, ხოლო იმავე კატეგორიის მაღალმთიან ზონაში მაცხოვრებელ მოქალაქეებს - 5 ჰექტრამდე. ქალაქის მაცხოვრებლებს, რომელთაც სოფლად გააჩნდათ სამოსახლო ან სურდათ მისი შექმნა, საქალაქო დასახლებების მიმდებარე ზონებში 0.15 ჰექტრის მიღება შეეძლოთ, დაბლობ ზონებში - 0.25 ჰექტრამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში - ერთ ჰექტრამდე. რაიონული ცენტრებისა და დაბების იმ მაცხოვრებლებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში იყვნენ ჩაბმული, 0.75 ჰექტარი გამოეყოთ, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულ იგივე კატეგორიის მოქალაქეებს - 0.5 ჰექტრამდე.³

ამრიგად, მიწის რეფორმის შედეგად უკიდურესად დანაწევრდა მიწის ნაკვეთები და მათი დიდი ნაწილი კომერციული (ვერმერული საქმიანობის) წარმოების

საშუალებას პრაქტიკულად არ იძლევა.

2011 წელს სახელმწიფომ შეაჩერა გრძელვადიანი იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთებით მოსარგებლებთან დადებული იჯარის ხელშეკრულებები. მფლობელებს მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლათ შესყიდვის უპირატესი უფლებით და გამოესყიდათ მათ სარგებლობაში არსებული მიწები. შესყიდვის უპირატესი უფლების გამოყენებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სახელმწიფო უკან იბრუნებდა მიწას, რომლის შესყიდვა აუქციონის წესით ახლა უკვე ყველა მსურველს შეეძლო.⁴

2015 წელს საქართველოს პარლამენტმა განსახილველად მიიღო მთავრობის ინიცირებული კანონპროექტი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. აღნიშნული კანონპროექტის განმარტებითი ბარათის შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილების მიზნად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შესახებ სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემების შექმნის უზრუნველყოფა და ამ გზით უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა განისაზღვრა.

მიუხედავად იმისა რომ მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, მთავრობის მიერ წარმოდგენილი შემდგომი ინიციატივამ კერძო საკუთრების ხელყოფის, მიწის ბაზრის განვითარებისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საფრთხე შექმნა. კერძოდ, სახელმწიფომ შესაძლოა საკუთრებად ყველა იმ მიწის ნაკვეთი დაირეგისტრიროს, რომელზეც საჯარო რეესტრის მონაცემებით სხვა პირის უფლება (სხვადასხვა პირადი მონაცემების შეუსაბამობის გამო) არ დგინდება. სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან ერთად სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის განკარგვისა და სარგებლობაში გადაცემის აკრძალვა. მსგავსი შეზღუდვის დაწესების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს ექნებათ ერთნაირი ვადა, იმისათვის რომ მოითხოვონ სახელმწიფოს საკუთრების გაუქმება და კონკრეტულ მიწის ნაკვეთებზე მათი უფლების რეგისტრაცია. ერთნაირი ვადის ამონაწერის შემდეგ, ქონების ეროვნული სააგენტოს ენიჭება უფლებამოსილება განკარგოს (მათ შორის გაასხვისოს) სახელმწიფოს სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

პრობლემატურია, რომ სადღეისოდ, საქართველოს ურბანული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ სასოფლო-სამეურნეო მიწების უმეტესობა არ არის რეგისტრირებული. საიმედო სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო, ამ ეტაპზე რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების (პირველადი რეგისტრაცია) სავარაუდო ოდენობა დაახლოებით 20%-30%. საშუალო გათვლებით 1.2-1.4 მილიონი ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არ არის რეგისტრირებული.

2 Economic Prosperity Initiative. Agriculture Sector Policy Environment Assessment Report. 2011

3 Terra Institute, LTD for USAID: Georgia Land Market Development Project Final Report, October, 2005.

4 მიწის ბაზრის არსებული მდგომარეობა ანალიზი და რეკომენდაციები.

მინების რეგისტრაციის აქტივობის დაბალი მაჩვენებელი შეიძლება გამოწვეული იყოს სარეგისტრაციო პროცედურისათვის არასაკმარისი ფინანსური რესურსების არსებობით (1 ჰა მიწის ნაკვეთისათვის საშუალოდ 300 ლარს შეადგენს), სათანადო დოკუმენტაციის არ ქონით, არასწორად გაფორმებული ან/და ხარვეზიანი დოკუმენტების არსებობით. არასაკმარისი ინფორმაციის ფლობა საკუთრების რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების დაზუსტების მნიშვნელობის შესახებ.⁵

მიუხედავად განეული სამუშაოს, საქართველოში ჯერ კიდევ რთულია იმის გარკვევა თუ რა მოცულობის მიწა ეკუთვნით კერძო სექტორს, რამდენია ამ ნაკვეთების ჯამური ფართობი და რაოდენობა. თუ სად მდებარეობს ესა თუ ის ნაკვეთი, რომელიც შესაძლოა ეკონომიკური თვალსაზრისით საინტერესო იყოს. უფრო მეტიც, თავად სახელმწიფო ორგანოებსაც კი უჭირთ ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის რა ფართობი რჩება მის საკუთრებაში. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ არსებობს მიწის ნაკვეთების მნიშვნელოვანი ფართობები ეგრეთ წოდებულ „რუხ ზონაში.“ ეს მიწის იმ ფონდს ეხება, რომელიც შესაძლოა არც სახელმწიფოს და არც კერძო სექტორის მფლობელობაში იყოს, ან იყოს სადაო კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის.

ამჟამად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში ჭარბობს არაინტენსიური გამოყენების სავარგულები. მოსალოდნელია, რომ მიწის ბაზრის შემდგომი განვითარების კვალობაზე, აღნიშნული სტრუქტურა გაუმჯობესდება, ინტენსიური გამოყენების სავარგულების წილის ზრდის მიმართულებით.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი, კვლავაც სახელმწიფო საკუთრებაშია და მათი უმეტესობა არ არის ჩართული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ამგვარად, საქართველოს მიწის რესურსების, კონკრეტულად კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ანალიზისას იკვეთება შემდეგი ტენდენციები:

- პრობლემა არა მცირემნიშვნელობა, არამედ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არაეფექტიან გამოყენებაშია;
- დაუმუშავებელი და შესაბამისად გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილი;
- დაბალია მოსავლიანობა.

ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანი გამოყენების ზრდისათვის მიზანშეწონილია პრივატიზების დაჩქარება და მიწების დამუშავების სტიმულირება.

დღესდღეობით მოქალაქე მიწის რეგისტრაციისას ვალდებულია, მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინოს სრული დოკუმენტაცია, რაც მიწაზე მის საკუთრებას დაადასტურებს; დოკუმენტებში ხარვეზების არსებობის შემთხვევებში კი, საჯარო რე-

ესტრი უარს ამბობს ქონების რეგისტრაციაზე. დოკუმენტების ხელახლა შეგროვება და დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორება მიწის მესაკუთრის ვალდებულებაა – სხვაგვარად მისი საკუთრება ვერ დარეგისტრირდება.

მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილებების თანახმად, საჯარო რეესტრი რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდება. დოკუმენტების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის, მოძიებაში მოქალაქეს საჯარო რეესტრი დაეხმარება. იზრდება იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალიც, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მიწის რეგისტრაცია.

ცვლილებების თანახმად, ქონების რეგისტრაციაზე უარის მიზეზი მხოლოდ დოკუმენტებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობა გახდება. უმნიშვნელო ხარვეზი – მფლობელის სახელის, გვარის შეუსაბამობა-უზუსტობა ასოებში; არასწორი დანერილობა და სხვა – ვეღარ შეუშლის ხელს მიწის რეგისტრაციას, თუკი პიროვნების სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (მაგალითად, პირადი ნომერი, საცხოვრებელი მისამართი და ა. შ.) ერთმანეთს შეესაბამება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურად მიწის ბაზრის ჩამოყალიბების საკითხი საქართველოში დასრულებულია, თუმცა ამავე დროს აუცილებელია გასულ ათწლეულებში მთავრობისა და დონორების ძალისხმევით დაწყებული პროცესების ლოგიკურ დაბოლოებაზე მიყვანა, კერძოდ მიწების პირველადი რეგისტრაციის პროცესის დასრულება, რაც მიწის ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიწის ბაზრის არსებული მდგომარეობა ანალიზი და რეკომენდაციები 2013წ.
2. საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტო. საკანონმდებლო რეფორმა;
3. საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტო. საკუთრების უფლების რეგისტრაციამართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებით;
4. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ 09 თებერვალი 2016;
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
6. Economic Prosperity Initiative. Agriculture Sector Policy Environment Assessment Report. 2011;
7. Terra Institute, LTD for USAID: Georgia Land Market Development Project Final Report, October, 2005.
8. მიწის ბაზრის არსებული მდგომარეობა, ანალიზი და რეკომენდაციები.

⁵ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო. 9 თებერვალი 2016წ. (www.transparency.ge/ge/blog/mtavrobis-akhali..)

პროკურემენტის როლი ინოვაციური კონკურენციის პირობებში

*ნინო ქიტუაშვილი,
სტუ დოქტორანტი*

რეზიუმე

ქვეყნის ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი სახელმწიფო შეკვეთებისა და შესყიდვების სისტემაა. ბიუჯეტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო შესყიდვებზე იხარჯება, რის გამოც ეს უკანასკნელი ეკონომიკის მართვის ქმედით ინსტრუმენტად გვევლინება.

სახელმწიფო შესყიდვისა და შეკვეთების სუბიექტებისათვის საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების მიწოდების წესებს, ასევე, მართვის ეფექტურობის, ფინანსური ნაკადების გამჭვირვალობისა და კორუფციის თავიდან აცილების უზრუნველყოფის საშუალებას პროკურემენტი წარმოადგენს. პროკურემენტი თავის თავში აერთიანებს როგორც სამართლებრივი ბუნების ასევე ეკონომიკური ხასიათის ელემენტებს, რომლებიც მაქსიმალურად სამართლიანი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების შემთხვევაში, პროგრესული მექანიზმების გამოყენებით, ინოვაციური პროდუქციის შესყიდვის შესაძლებლობას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შეკვეთა; სახელმწიფო შესყიდვა; პროკურემენტი; ინოვაციური პროდუქცია; ტენდერი; კონკურსი; ხელშეკრულება; კორუფცია.

PROCUREMENT ROLE IN THE CONDITIONS OF THE INNOVATIVE COMPETITION

ARTICLE

Innovative activities take the important place in economy of developed leading world powers. The system of public administration performs generally stimulating and regulating functions. Public administration is a basis of upgrade and scientific and technological up-dating of economy since public financing of applied researches and development can be carried out in the form of the state order. It is necessary that contracts were concluded on the basis of open, correctly organized competitive auction. Laws of Georgia, 'About government procurement', 'About state ownership', etc. set identical rules and procedures of placing orders for delivery of goods, performance of work and rendering services and also on development, production and delivery of a difficult technique or technical systems, execution of research and development. In recent years procedures of development of the state orders were repeatedly

revised, but instruments of planning, regulation and execution of the state order for innovative products are almost not developed. Thus, it is possible to claim that the modern innovative activities need state regulation, development of innovative procurement.

Keywords: State order; Government procurement; Procurement; Innovative production; Tender; Competition; Contract; Corruption.

* * * *

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახელმწიფოს ფუნქციები მრეწველობაში. ქვეყნის ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ერთ-ერთი მთავარ ბერკეტს სახელმწიფო შეკვეთებისა და შესყიდვების სისტემა წარმოადგენს. ბიუჯეტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო შესყიდვებზე იხარჯება, რის გამოც ეს უკანასკნელი ეკონომიკის მართვის ქმედით ინსტრუმენტად გვევლინება. სახელმწიფო შესყიდვები მიმართულია მისაღებ ფასად იმ ხარისხისა და რაოდენობის საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების მისაღებად, რაც სახელმწიფო შეკვეთებისა და შესყიდვების სუბიექტების მოთხოვნილებების მაქსიმალურად ეფექტურად დასაკმაყოფილებლადაა აუცილებელი.

შესყიდვები საქართველოში რეგულირდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა წარმოადგენს კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას, რომელიც ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და რელიგიური გაერთიანებებისა) სახსრებით, აგრეთვე იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგი-

ლობრივი თვითმმართველობის ორგანო [1].

სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით სახელმწიფო მმართველობის ორგანოები სახელმწიფო შეკვეთას ახორციელებენ.

სახელმწიფო შეკვეთა წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე სახელმწიფოს მიერ დადებული ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების ერთობლიობას საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების მიწოდების მიზნით.

ტენდერებისა და კონკურსების ჩატარების ძირითადი მიზანი პრეტენდენტების მოზიდვის გზით კონკურენციის ამაღლებაა. ამასთანავე, კონკურენციის ზრდის წინაპირობას ხელშეკრულებების მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შეთავაზება წარმოადგენს. პრეტენდენტების მაქსიმალური რაოდენობა, ერთი მხრივ, კონკურენციის აუცილებელი პირობაა, მაგრამ არა ერთადერთი. ეფექტურ კონკურენტულ გარემოს იმ პროცედურების სისტემა ქმნის, რომელიც პრაქტიკაში პროკურემენტის სახელითაა ცნობილი [2; 89].

პროკურემენტი (ინგლ. procurement - შესყიდვა, მიწოდება, მომარაგება), წარმოადგენს იმ პრაქტიკული მეთოდების სისტემას, რომლებიც საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო შეკვეთების განთავსებისა და სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესში შემსყიდველი სუბიექტების მოთხოვნილებების მაქსიმალურად ეფექტურად დაკმაყოფილების მიზნით გამოიყენება.

სახელმწიფო პროკურემენტი - პროკურემენტის ნილობრივად ყველაზე მოცულობითი ნაწილია, რომელიც სახელმწიფო შეკვეთისა და შესყიდვის სუბიექტებისათვის აწესებს საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების მიწოდების წესებს, ასევე, სახელმწიფო ქონების რეალიზაციის პროცესში მართვის ეფექტურობის, ფინანსური ნაკადების გამჭვირვალობისა და კორუფციის თავიდან აცილების მიზნებს უზრუნველყოფს.

სახელმწიფო პროკურემენტი აქტიურად გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში (ძირითადი ნორმატიული აქტი Communiti lav) და ამერიკის შეერთებულ შტატებში (Federal Acquisition Regulation). საქართველოში სახელმწიფო პროკურემენტის პროცედურების ნორმატიულ აქტებს წარმოადგენს: საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ და ა. შ.

ვინაიდან სახელმწიფო შეკვეთებისა და შესყიდვების პროცესში სუბიექტთა ინტერესების დაკმაყოფილება ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვის (კონკურსის, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული ტენდერის) ორგანიზების ძირითად მიზანს წარმოადგენს, პროკურემენტი ამ მიზნების განხორციელების პროცედურად გვევლინება.

პროკურემენტის პროცედურების განხორციელებისას მხედველობაშია მისაღები, რომ ყველა პროექტი და კონტრაქტი, მიუხედავად მათი პროცედურების, ერთი შეხედვით, იდენტურობისა უნიკალურია. ყველა კონტრაქტს აქვს თავისებურება და სპეციფიკა, რომელთა გაუთვალისწინებლობა გარდაუვალ დანაკარგებს იწვევს. იმისთვის, რომ სახელმწიფო შესყიდვებისა და შეკვეთების პროცედურების საშუალებით მიღწეულ იქნას დასახული მიზნების შესრულება, საქართველოს პირობებში პროკურემენტი იყენებს შემდეგ პრინციპებს: რაციონალური ხარჯვა, ჯანსაღი კონკურენცია, არადიკრიმინაციულობა და თანასწორობა, საჯაროობა, ერთიანი სისტემისადმი ნდობა [1].

ჩამოთვლილი პრინციპების რეალიზაციისას მნიშვნელოვანია კომპლექსურობის დაცვა. რომელიმე მათგანისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება შეკვეთებისა და შესყიდვების პროცედურებში დისჰარმონიას და გარდაუვალ დანაკარგებს იწვევს. სამწუხაროდ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საფუძველზე განხორციელებული პროცედურებით პრიორიტეტი მინიჭებული აქვს ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის პრინციპს, უფრო ნაკლები - ეფექტურობას.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო შეკვეთისას პროკურემენტი წარმოადგენს შემკვეთის, ესე იგი სახელმწიფოს ინტერესების უზრუნველყოფის პროცედურას და ამ საქმიანობის შედეგს სახელმწიფო შეკვეთების ფორმირების, განთავსებისა და შესრულების ორგანიზების პროგრესული მექანიზმების გამოყენებით ინოვაციური პროდუქციის შესყიდვა წარმოადგენს, პროკურემენტი ინოვაციურად წარმოგვიდგება (ინოვაციური პროკურემენტი) [3,92].

უმნიშვნელოვანესი ინოვაციური პროექტებისა და პროგრამების, ისევე როგორც ნებისმიერი სახელმწიფო კონტრაქტების, დაფინანსება ხორციელდება ტენდერების (კონკურსების) და აუცილებელი საექსპერტო შეფასების საფუძველზე. მათი შერჩევის ძირითად კრიტერიუმს მოსალოდნელი საბიუჯეტო და სამეცნიერო-ტექნიკური ეფექტურობა წარმოადგენს. საბიუჯეტო ეფექტურობა, პირველ რიგში, განისაზღვრება პროექტის დასაფინანსებელი საბიუჯეტო დანახარჯებისა და მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული საგადასახადო შემოსავლების შეფარდებით. სამეცნიერო-ტექნიკური ეფექტურობა, თავის მხრივ, განისაზღვრება სამეცნიერო და ტექნიკური გადანაცვლებების ინოვაციურობით და მისი სამეურნეო, სამხედრო და სხვა სფეროებში გამოყენების შესაძლებლობით, რაც უნდა დასტურდებოდეს ექსპერტიზის დასკვნებით [4,43]

ინოვაციურ პროდუქციაზე შეკვეთების მარ-

თვა, დანყებული შეკვეთის ყველა ელემენტის აუცილებლობის დასაბუთებიდან და სახელმწიფო კონტრაქტის (ხელშეკრულების) შესრულების ყველა ეტაპის კონტროლით დამთავრებული, უნდა ხორციელდებოდეს რთული საინვესტიციო პროექტების მართვის ანალოგიურად.

ამასთან დაკავშირებით აქტუალურია ინოვაციური პროდუქციის სახელმწიფო შეკვეთების პროგრამულ-მიზნობრივი მართვა, რა დროსაც საბიუჯეტო რესურსების სწორი და დროული გადამისამართება საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.

პროგრამულ-მიზნობრივი მართვის ძირითად დოკუმენტს ისეთი უწყებრივი პროგრამა უნდა წარმოადგენდეს, რომელიც რიგი უპირატესობებით გამოირჩევა. მათ შორის: ფუნქციონალური და უწყებრივი ურთიერთკავშირის ხარჯზე, დაგეგმარებისა და ანგარიშგების პროცედურების სიმარტივე; მოქმედებებზე და მიღებულ შედეგებზე პასუხისმგებელი ერთი სუბიექტი და ა. შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროკურემენტი წარმოადგენს იმ ინსტრუმენტებისა და ხერხების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფო შეკვეთების პროცესში და მაქსიმალურად უზრუნველყოფს შემსყიდველის ინტერესებს. პროკურემენტი თავის თავში აერთიანებს როგორც სამართლებრივი ბუნების (რადგან ტენდერებისა და კონკურსების ორგანიზებისა და შეკვეთების განთავსების პირობები კანონითაა გათვალისწინებული), ასევე ეკონომიკური ხასიათის ელემენტებს, რომლებიც მაქსიმალურად სამართლიანი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. „შედეგზე ორიენტირებული მართვის“ მიდგომის შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შედეგს, რომელიც პროცედურების

ორგანიზების ჩამოყალიბებული პროცესის შემწეობით დაგეგმარების, განთავსების, შესრულებისა და კონტროლის ეტაპებზე მიიღება. ამ თვალსაზრისით ინოვაციური პროდუქციის შესყიდვა პროკურემენტის ინოვაციურობაზე მიუთითებს.

სახელმწიფო კონკურსის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც წინასწარი, ასევე ფაქტობრივი მონაცემების გათვალისწინებით. სახელმწიფო ორგანიზაციებისა და სამენარმეო სტრუქტურების ურთიერთობების ინტეგრალური შედეგი მოცემულ პერიოდში სახელმწიფო შეკვეთებისა და შესყიდვების პროცესის ყველა მონაწილის ურთიერთშეთანხმებული მოქმედებების დამატებითი ეფექტის სახით შეიძლება გაიზომოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252>.
2. Турсунова Ю. С. Прокьюремент как специальная учебная дисциплина // Владивосток: Изд-во ВГУЭС, 2003. С. 89.
3. Каранатова Л. Г. Формирование эффективного механизма управления государственными заказами: вопросы теории и практики: монография. – СПб.: Изд-во СЗАГС, 2010.
4. Киселев Ю. М. Оценка финансового инновационного потенциала промышленных предприятий // ЭКО. 2001. № 3. С. 43.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მათი საკრედიტო პოლიტიკა

გიორგი განერელია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

მიკროკრედიტი - მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული ფულადი თანხა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სესხს ყოველთვის უფრო მაღალ პროცენტში გასცემენ, ვიდრე კომერციული ბანკები. ამასთან, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მომხმარებელი პროცენტის სახით მხოლოდ ფიქსირებულ პროცენტს იხდის და არა კლებადს. მაღალი საპროცენტო განაკვეთი კი გაპრობლემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის განსხვავებულია წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის 2017 წელს ამოქმედებული ცვლილების თანახმად, სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100 პროცენტს, ხოლო თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150 პროცენტს.

საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით გაცემულ სესხებზე სავალდებულო წესით უნდა დაწესდეს ე.წ ანუიტეტური გადახდის გრაფიკი და მოხდეს სესხების გაცემის დროს რისკების შეფასების სისტემის სრულყოფა და გამკაცრება.

საკვანძო სიტყვები: მიკროდაფინანსება; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; ; საკრედიტო სისტემა; ; მიკრობიზნესის დაფინანსება; სამომხმარებლო სესხი; საბანკო სისტემა; ბიზნესის დაკრედიტება; მიკროსაფინანსო სექტორი.

MICROFINANCE ORGANIZATIONS AND THEIR CREDIT POLICY

A doctorate student of faculty of Business Technologies of Georgian Technical University
George Gatsrelia

Micro credit is an amount of money given to a loan debtor or a group of loan debtors by a microfinance organization subject to the conditions of the agreement which provides the terms of a credit, its return terms, price and

its objective.

Microfinance organizations always charge a higher interest rate than commercial banks do. A customer of a microfinance organization pays the fixed interest rate and not the decreasing one. The high interest rate is one of the significant factors that cause problems.

The annual interest rate for the microfinance organizations in Georgia is different. According to the amendment (initiated in 2017) to the 625 article of the Georgian Civil Code the annual effective interest rate must not exceed 100% while the forfeit per each day or an amount of any form of a financial sanction must not exceed in total the annual 150% of the remaining principal balance of the credit.

In order to perfect the credit policy an annuity payment mandatory schedule must be allotted to the credits given by the microfinance organizations which function in Georgia; also, the system of risk evaluation in giving the credits must be perfected and become more precise.

Key words: Micro financing; micro finance organization; credit system; micro business financing; consumer credit; business crediting; banking system; specialized banking establishments; the accrual of funds; micro finance sector.

შესავალი

საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის თანახმად - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით.

ეკონომიკურ თეორიაში, მიკროდაფინანსება გულისხმობს სპეციფიკურ საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობებს ფინანსურ ორგანიზაციებსა და მენარმეობის მცირე ფორმებს შორის ტერიტორიული სიახლოვის და პირად ურთიერთობების პირობებში, რომლებიც ითვალისწინებენ ფინანსურ რესურსების დაგროვებას და მათი გამარტივებული წესით მიწოდებას მენარმეობის განვითარებისათვის სარგებლიანობის, მოკლევადიანობის, დაბრუნებადობის, ნდობის და მიზნობრივი გამოყენების პრინციპებზე.

ძირითადი ტექსტი

მიკროდაფინანსება (ინგლისურიდან microfinance) არის ერთგვარი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ მომსახურებასთან, როგორც წესი, მცირე ბიზნესის სუბიექტებისათვის და გულისხმობს მცირე სანარმოებისათვის დაფინანსების წყაროებზე მარტივად ხელმისაწვდომობას.

მიკროკრედიტი - მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული ფულადი თანხა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50000 (ორმოცდაათი ათას) ლარს. (საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, 2006 წლის 18 ივლისი, მუხლი 5.1)

მიკროსაფინანსოები სესხს ყოველთვის უფრო მაღალ პროცენტში გასცემენ, ვიდრე კომერციული ბანკები. ასევე მათ ერთმანეთისგან ის განასხვავებს, რომ მომხმარებელი პროცენტის სახით მხოლოდ ფიქსირებულ პროცენტს იხდის და არა კლებადს. მაღალი საპროცენტო განაკვეთი კი გაპრობლემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ფაქტია, რომ მიკროსაფინანსოები, ერთი მხრივ ბიზნესის განვითარებისთვის კარგია, მაგრამ ისინი ძირითადად სესხებს დაბალშემოსავლიან ადამიანებზე გასცემენ და ამიტომ მაღალია გაპრობლემების შემთხვევები. სესხის მიღების შანსი აქვთ მათაც, ვინც ბანკისგან სესხის გაცემაზე უარი მიიღო, ან უფრო მეტიც, „შავ სიაში“ არიან და ერთგვარად „ურჩ გადამხდელებსაც“ მიეკუთვნებიან. ხშირ შემთხვევაში ისინი მათ საბანკო ისტორიებს და შემოსავლებს არ ამონებენ და „ზეპირი ფორმით“ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გასცემენ სესხებს.

ადამიანისეული კაპიტალი არის ის ცოდნა და უნარი, რომელსაც ინდივიდი იძენს განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების გზით და იყენებს წარმოების პროცესში. ადამიანისეული კაპიტალის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია განათლება. განათლებულ ადამიანს მეტი შესაძლებლობები აქვს ისეთი ინოვაციური იდეების შესამუშავებლად, რომელიც მიმართული იქნება როგორც ტექნოლოგიის სრულყოფის, ისე მართვისა და ორგანიზაციის ახალი მეთოდების შემუშავებისაკენ. ამიტომაც, რომ ქვეყნისათვის მეტად არასასურველია ე.წ. „ტვინების გადინება“ - მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გასვლა ქვეყნიდან ცხოვრების უკეთესი პირობების საძებნელად.

ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალზე შეიძლება განვიხილოთ როგორც დანახარჯები, განუვლი: აღზრდაზე, განათლებაზე, თვითგანვითარებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, მეცნიერების განვითარებაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და ინტელექტუალურ საქმიანობაზე, მენარმეობრივი უნარის ზრდასა და ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებაზე, შრომის ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, მოქალაქეთა და ბიზნესის უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ თავისუფლებაზე, კულტურაზე, ხელოვნებაზე და სხვ.

ადამიანისეული კაპიტალი დაუშვებელია განვიხილოთ ეკონომიკისგან, ტექნიკური პროგრესისაგან

მონყვევით. ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები საჭიროა შეესაბამებოდეს ეკონომიკის განვითარების ინტერესებს.

ინოვაცია, როგორც ტერმინი, ეკონომიკურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად განიმარტება, თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი არ საჭიროებს განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. თავისი შინაარსით ინოვაცია არის ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში (უმთავრესად წარმოებაში) სიახლის დანერგვის პროცესი, რომელსაც მოჰყვება პროგრესული ცვლილებები. ინოვაციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში არის კონკურენციაში გამარჯვების საშუალება. მაგრამ, მან თანამედროვე ეტაპზე გაცილებით უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. იგი არის გლობალური პრობლემების (ეკოლოგიური, სიღარიბის, სასურსათო და სხვ.) გადაჭრის უმთავრესი საშუალება. ინოვაციური ეკონომიკა ეფუძნება ცოდნას, ინოვაციების ნაკადს, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, ინსტიტუციების, ადამიანისეული კაპიტალის, წარმოების ორგანიზაციის, პროდუქციისა და ა.შ. გამუდმებულ სრულყოფას, მეცნიერთა და ნოვატორთა ინტელექტუალურ შრომას და არა უბრალოდ კაპიტალს. მეცნიერება, გამოგონება, ინოვაცია ასეთ ეკონომიკაში განვითარების ერთიან ორგანულ ფაქტორს წარმოადგენს.

მეცნიერება-გამოგონება-ინოვაციის ჯაჭვში განათლების პროცესს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან თითოეულ ამ რგოლს მაღალგანვითარებული მუშაკები (მეცნიერები, გამოგონებლები, მენარმეები) ესაჭიროება. განათლება ეკონომიკაზე გავლენას ახდენს, როგორც მეცნიერების განვითარების წინაპირობა და სამუშაო ძალის მწარმოებლურობის ამაღლების უმთავრესი საშუალება. მაგრამ, მისი გავლენა ეკონომიკაზე ამით არ ამოიწურება. განათლება ასევე ზემოქმედებს მომხმარებელზეც, ზრდის რა მათ გემოვნებასა და მოთხოვნილებებს, რაც, თავის მხრივ, სრულყოფს და აფართოებს ბაზარს.

განათლება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, არის მომსახურების დარგი, სადაც ხდება ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფა. განათლებაზე განეული ხარჯები განიხილება როგორც ამ კაპიტალის შექმნაზე განეული ინვესტიციები. განათლება ასევე შეიძლება დავახასიათოთ როგორც პროცესი, რომლის დროსაც პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, იძენს ცოდნას და მასთან ერთად სრულყოფს თავის ადამიანისეულ მახასიათებლებს (უნარ-ჩვევები, კულტურა, ეთიკა, ესთეტიკა, მსოფლმხედველობა, სულიერება და ა.შ.)

განათლება შესაძლებელია აგრეთვე ჩაითვალოს როგორც განსაკუთრებული სახის პროდუქტი, რომელიც ინარმოება განათლების პროცესში როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეთა (სტუდენტების) მიერ და მოიხმარება შემსწავლელთა მიერ თავიანთი

ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფისათვის.

საგანმანათლებლო დაწესებულება გამოდის როგორც განსაკუთრებული სახის სანარმო, სადაც შრომობს როგორც მწარმოებელი (მასწავლებელი), ისე მომხმარებელი (მოსწავლე), ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალის გადიდების მიზნით. დანახარჯებს ამ კაპიტალის შესაქმნელად იღებს ან თვით მომხმარებელი, ან საზოგადოება. განათლების მიღება არასდროს არის უფასო. ძირითადად მოთხოვნას განათლების დარგს ეკონომიკა უყენებს. ამდენად, იგი ეკონომიკის განვითარების საჭიროებებს უნდა პასუხობდეს. ეკონომიკური განვითარებისათვის განათლებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ის ვითარდებოდა ეკონომიკის სრულყოფასთან ერთად. თუ საუკუნეების განმავლობაში (ტრადიციული ეკონომიკის პირობებში) კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადება არ ხდებოდა საზოგადოებრივად ორგანიზებული გზით, თანამედროვე პირობებში, ეკონომიკის მაღალი ტექნიკურ-ორგანიზაციული დონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკმაოდ რთული განათლების სისტემა ჩამოყალიბდა. ამასთან, უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, მისი განვითარების მხოლოდ საბაზრო ძალებისადმი მინდობა დაუშვებელია. აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემის სახელმწიფო ორგანიზაცია, ბუნებრივია, საბაზრო ურთიერთობათა გამოყენებით.

განათლების საკითხებისადმი ზერეულ მიდგომამ შესაძლებელია გაგვაკეთებინოს მცდარი დასკვნა, რომ თითქოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორი განათლების რაოდენობრივი ზრდაა, რაც უფრო მეტი იქნება უმაღლესდამთავრებულთა რიცხვი, მით უფრო დაჩქარდება ეკონომიკური განვითარების პროცესი. თავის დროზე, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება მთელი მოსახლეობის განათლების დონის ამაღლების შესახებ. ამ პროგრამაზე მილიარდობით დოლარი დაიხარჯა, მაგრამ ათეული წლების გასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას შესაბამისი შედეგი არ მოჰყოლია. აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა [5].

განათლების ეკონომიკის ამოცანა არის სწორედ იმის განსაზღვრა, თუ რა რაოდენობის სახსრები უნდა გამოყოს ქვეყანამ განათლებისათვის და რამდენად ეფექტიანად იხარჯება იგი შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად.

განათლების ეფექტიანობის შეფასების არა ერთი თეორია არსებობს [1,2,3], რომელთა გათვალისწინება, რასაკვირველია, სასარგებლოა, მაგრამ მათი სიზუსტე ძალზე მიახლოებითია, თვით ამოცანის სირთულის გამო. ჩვენ, ამასთან დაკავშირებით, მთლიანად ვემხრობით **ა. მარშალის** მოსაზრებას, რომ საზოგადოებრივი და კერძო დანახარჯები განათლებაზე არ შეიძლება გაიზომოს მისგან პირდა-

პირ მიღებული ნაყოფის მიხედვით. იგი არის ხანგრძლივმოქმედი საინვესტიციო რესურსი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ხალხის მასებს, მიიღოს სარგებელი. ერთი ინდუსტრიული გენიის ეკონომიკური ღირებულება საკმარისია იმისათვის, რომ დაიფაროს განათლებაზე მთელი ქალაქის ხარჯები. უმაღლეს განათლებაზე წლების განმავლობაში განეული დანახარჯები კარგად იქნება ანაზღაურებული მაშინ, როდესაც გამოვლინდება კიდევ ერთი ნიუტონი ან დარვინი, ან შექსპირი [4].

განათლების ეფექტიანობის შეფასების ყველაზე დიდი კრიტერიუმი საჭიროა იყოს ცოდნა - განათლებამიღებულ პიროვნებას სამუშაოს შოვნაში ხელს არ უნდა უშლიდეს შესაბამისი ცოდნის უქონლობა. ადამიანისეული კაპიტალის შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი კი აუცილებელია იყოს შრომის ანაზღაურება. უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკს საჭიროა მეტი შემოსავალი ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირღვევა განათლების ეკონომიკური არსი. რიგ შემთხვევაში ჩნდება მიდრეკილება დიპლომებზე გამოდევნებისა და არა რეალური ცოდნის მიღებისა. ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია არასრულყოფილი საბაზრო მექანიზმის არსებობის პირობებში და იგი აღმოიფხვრება საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფის შესაბამისად.

როგორც ყველა სახეობის ინვესტიცია, ისე ინვეს-

ტიცია ადამიანისეულ კაპიტალშიც დაკავშირებულია რისკთან, რასაც განაპირობებს ინოვაციები ეკონომიკაში და რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი თვით განათლებაა. ამდენად, განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა მაქსიმალურად შეუსაბამოს სპეციალობები და პროგრამები ეკონომიკის არსებულ და პერსპექტიულ მოთხოვნებს. ეს კი დაკავშირებული არის მიმდინარე და სტრატეგიული დაგეგმვის სწორ ორგანიზაციასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Becker Gary S. Human Capital: A Theoretical and Empirical Analysis, with Special Reference to Education. Chicago, University of Chicago press. 1964.
2. Schultz T.W. The Economic Value of Education. New York, Columbia, 1963.
3. Комаров Д.И. Экономическая эффективность образования. „Вопросы экономики“, №9,1977.
4. Маршалл А. Принципы политической экономии, т.1, М., „Прогресс“, 1983.
5. Уайт Л. Избранное: Эволюция культуры. – М.: „РОССПЭН“, 2004.

ორგანიზაციაში ცვლილებების მართვის პრინციპები და მეთოდები

ლუარა გვაჯაია
სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში ხაზგასმულია თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი კომპანიის მართვაში ცვლილებების მუდმივად გატარების აუცილებლობაზე, რაც გამოდინარეობს მსოფლიოში მიმდინარე ინოვაციური გარდაქმნიდან, საზოგადოების კულტურული და სოციალური მობილობიდან. თუ კი ადრე პროგრესული საწარმოების უდავო ღირსებად ითვლებოდა მდგრადი ორგანიზაციული სტრუქტურა და პროცესები, დღეს ისინი შეიძლება ჩათვალოს ნაკლოვანებად, ვინაიდან მეტისმეტად ინერტული ორგანიზაცია არ იძლევა ბაზრის მოთხოვნათა ცვლილებებზე დროული რეაგირების საშუალებას.

განხილულია ცვლილებების მართვის პრინციპები და მათი რეალიზაციის მეთოდები მენეჯმენტში “პროცესული” და „სისტემური“ მიდგომების გამოყენებით. აქვე განხილულია ბიზნეს-ინჟინერინგი, როგორც კომპანიის მართვის ტექნოლოგია მისი ბიზნეს-მოდელის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: მართვა, ცვლილებები, მართვის პრინციპები, რეინჟინერინგი, ბიზნეს-ინჟინერინგი, პროცესული მოდელი, პროცესული მიდგომები, სისტემური მიდგომები, ბიზნეს-მოდელი, სტრატეგია, ტექნოლოგია, ინფორმაცია, მოდელირება.

THE PRINCIPLES AND TECHNIQUES OF IMPLEMENTATION OF CHANGE MANAGEMENT IN ORGANIZATION

LuaraGvajaia - Professor of GTU

ABSTRACT

The article underlines a necessity of constant changes of management of any organization at the current stage. The reasons for this are innovational transformations of the world and a cultural or social mobility of a society. If in the past sustainable organizational design and processes were considered as a clear dignity of any progressive entrepreneurship, nowadays they may be regarded as disadvantages, because too inert organization has no opportunity to timely react to changes of market demands.

The article considers the principles and techniques of implementation of change management by means of “progressive” and “systemic” attitudes. It also considers a business engineering as a technology of company management on the basis of a business model.

Keywords: Management, Changes, Principles Of Management, Reengineering, Business Engineering, Processual Model, Processual Attitudes, Systemic Attitudes, Business Model, Strategy, Technology, Information, Simulation.

ძირითადი ტექსტი

როგორც ცნობილია, თანამედროვე ორგანიზაციის მართვის მთავარი მახასიათებელია ცვლილებები, განპირობებული პირველ რიგში გარემოს ცვლილებებით, რომელიც მეტისმეტად დინამიური გახდა. მაღალი ტექნოლოგიების წნეხი, საზოგადოების კულტურული და სოციალური მობილობა და ა.შ. აუცილებელს ხდის მართვის პროცესში ცვლილებების შეტანას. ადრე პროგრესული საწარმოების უდავო ღირსებად ითვლებოდა მდგრადი ორგანიზაციული სტრუქტურა და პროცესები, დღეს კი ასეთი ტიპის ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ბაზრის მოთხოვნათა ცვლილებებზე დროულ რეაგირებას და კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების მიღწევას.

მეტისმეტად წინასწარი კომპანიები თვითონ უკეთებენ პროვოცირებას ამ მობილობას, ნერგავენ რა მუდმივად ინოვაციებს. „ყველაზე წარმატებული სტრატეგიაა - შექმნა უპირატესობები, რომლის კოპირება შეუძლებელია“ - ასე აღნიშნავს ცნობილი მეცნიერი მარკუს ბაკინგემი. მეორე ასპექტი ამ სტრატეგიისა - “წინსწრებაა”, “პროაქტიული მიდგომაა” - გარემოს (ბაზრის) ფორმირება და ამ გარემოში სასურველი სიტუაციის შექმნა.

თუ კი კომპანია თავისთავში ვერ გრძნობს ძალებს ბაზრის ფორმირებისათვის, როგორც მინიმუმი, მან უნდა მოახდინოს მასთან ადაპტირება („რეაქტიული მიდგომა“ - გარემოს მიმდინარე ან სამომავლო ცვლილებებზე რეაქცია). მაგრამ კომპანიის შიგნით მიმდინარე ცვლილებების სიჩქარე არ უნდა ჩამორჩეს მის გარეთ მიმდინარე ცვლილებებს, სხვა მხრივ დამარცხება გარდაუვალი იქნება.

ამრიგად თანამედროვე ბიზნესში ცვლილებები უნდა იქცეს ცხოვრების სახედ ნებისმიერი საწარმოსათვის. ამასთან, საქმე ეხება არა მარტო ბიზნესის კონკრეტული ეფექტიანობის მიღწევას, არამედ გადარჩენასაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. “მომავალში იქნება ორი სახის კომპანიები - “სწრაფები და “მომაკვდავები” - უსაფუძვლოდ არ აცხადებს დევიდ ვაისი- კომპანია ნორტონ ტელეკომ-ის ხელმძღვანელი; კომპანია მუშაობს ყველაზე უფრო დინამიურ ბაზრებზე - მობილური კავშირების ბაზარზე, რომელსაც აღნიშნული ტენდენციები შეეხო უწინარესად.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ფორმულირებული იქნეს შედეგი თეზა; “მართვა დღეს-ეს არის ცვლილებების მართვა”. ამ მტკიცებულებაზე აიგება სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფციამეთოდოლოგიების ერთობლიობა, რომელიც სა-

შუალეხას მისცემს ორგანიზაციას მიაღწიოს თავის მიზნებს დინამიური, ცვალებადი და განუსაზღვრელი გარემოს პირობებში.

რეფორმამდელ პერიოდში საქართველოს საწარმოების საქმიანობაში ჭარბობდა მართვის ევოლუციურად განვითარებადი სქემა, (რაც მნიშვნელოვანწილად დღემდე გრძელდება), იგი დაფუძნებული იყო ერთობლივი მუშაობის ხანგრძლივ პრაქტიკაზე და არა გამჭვირვალე ანალიზისა და ფორმალური მოდელებისა და რეგლამენტების სრულყოფაზე. მაგრამ თუ კი საქმიანობის აღწერილობის ძველი მეთოდები მისაღები იყო სტატიკურ გარემოში, როდესაც ყველაფერი მიდიოდა ჩვეულებისამებრ და არ იცვლებოდა წლებისა და ათწლეულების მიხედვით, განვითარების დინამიკის, უწყვეტი ცვლილებების ფაქტორმა მკვეთრად შეცვალა სიტუაცია და წინა პლანზე წამოსწია მართვის ცვლილებების, მისი გამჭვირვალობის მოთხოვნა. საკითხი ეხება უშუალოდ “ცვლილებების მართვის” პრინციპებს და მათი რეალიზაციის მეთოდებს. ამასთანავე მიგვაჩნია, რომ ბიზნეს-მოდელების ინსტრუმენტულ საშუალებებს, როგორც სისტემის გასაღებს, შეუძლიათ და უნდა აღნუსხონ ორგანიზაციის არაფორმალური სტრუქტურებიც. უფრო მეტიც, ყველა თანამედროვე მმართველობითი მიდგომები ცვლილებების რეალიზაციასთან ურთიერთკავშირშია და ცალკეული მმართველობითი ტექნოლოგიები კი არ ცვლიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.

პირველ რიგში ყურადღება უნდა გამახვილდეს პრინციპებზე, რომელიც ეხება მთლიანად ორგანიზაციას, სახელდობრ, ურთერთქმედებათა სტრუქტურას და ფორმებს, ადამიანების ეფექტიან შრომაში ჩართვის პრინციპებს და მექანიზმებს ანუ ზოგადად ადმინისტრაციული მენეჯმენტის პრინციპებს, რომელიც გამოხატავს იმ ადამიანთა პროფესიონალური საქმიანობის სახეს, რომლებიც დაკავებული არიან საწარმოს მიზნის მიღწევისათვის ყველა სახის პროცესის ორგანიზაციითა და კოორდინაციით.

აღნიშნული ითვალისწინებს პროცესულ და სისტემურ მიდგომებს მართვაში. ნამდვილად სასურველი რეზულტატი მიიღწევა უფრო ეფექტიანად, როდესაც საჭირო რესურსებს და საქმიანობის სახეებს ხელმძღვანელობენ, როგორც პროცესებს; თვით პროცესზე, როგორც გამოყოფილი მართვის ობიექტზე გადასვლის ფაქტი, უკვე ითვალისწინებს მისი დანიშნულების და მომხმარებლის განსაზღვრას ანუ პროცესი თავიდანვე ორიენტირებულია რეზულტატზე. პროცესები ადრეც არსებობდა და ახლაც მიმდინარეობს საწარმოებში, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი არ ითვლებოდა მართვის ობიექტად. პრიორიტეტი ეძლეოდა საწარმოს აღწერილობის ფორმატებს, რომლებიც დაფუძნებულია ფუნქციონალურ სპეციალიზაციაზე და ფუნქციების დეპარტამენტალიზაციაზე.

სისტემური მიდგომა ითვალისწინებს მუდმივ ანალიზს პროცესის სისტემის თანხვედრისა ორგანი-

ზაციის მიზნებთან და სტრატეგიასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე საქმიანობის გარდაქმნის ტექნოლოგიამ, რომელიც ცვლის ცალკეულ პროცესებს, უნდა მოგვცეს საშუალება პროცესების მთელი სისტემის დანახვისა, ამისათვის პროცესების სისტემა დაფიქსირებული უნდა იყოს კომპანიის საქმიანობის ელექტრონულ ბიზნეს-მოდელებში. გადასვლა კომპანიის მართვის თანამედროვე მოდელებზე, რომელიც დაფუძნებულია პროცესულ და სისტემურ მიდგომებზე, იმეორებს კომპანიის მართვის პარადიგმების ცვლას, რომელიც წარმოადგენს ხარისხის მენეჯმენტის სტანდარტების საფუძველს.

თანამედროვე კომპანიის პროცესულ მოდელებზე გადასვლის ძირითადი სტრატეგიებია:

1 - კომპანიის საქმიანობის საწყისი სტრუქტურირება მატრიცული მოდელების საფუძველზე; პროცესები იდენტიფიცირდება „ფუნქციების“ სახით, განაწილებულია პასუხისმგებლობა მათ შესრულებაზე;

2 - „საკვანძო“ პროცესების (პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის და საბაზო მმართველობითი პროცესების) ჰორიზონტალური აღწერა, ამ პროცესების გარდაქმნა მართვის სტანდარტიზირებული სისტემის გამოყენების მიზნით;

3 - კომპანიის მისიის და სტრატეგიის შემუშავება; გადასვლა დინამიურად ცვალებადი სტრუქტურის და პროცესების მართვაზე სტრატეგიული ჩანაფიქრის შესაბამისად.

საწარმოს პროცესების სისტემის თანმიმდევრული განვითარების ტიპიური სტადიები ეყრდნობა მუდმივი სრულყოფის იდეოლოგიას. ამ გზით მოძრაობის ინდიკატორად შეიძლება გამოყენებული იქნეს კომპანიის პროცესების “სიმნიფის შკალა” ან კომპანიის განვითარების დონის შეფასების უფრო გავცრელებული შეფასებები. უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ყოველთვის უნდა ხდებოდეს საწარმოო, ტექნოლოგიური პროცესების დაზუსტება და დოკუმენტირება, შემდგომ პროცესების ევოლუციის მომდევნო ეტაპზე” პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის“ მართვის პროცესები უნდა მოიცავდეს საწარმოს დაკვეთის, მომარაგების და პროდუქტის განაწილების ფორმირებას, რაც ითვალისწინებს სტანდარტული მეთოდოლოგიების თანმიმდევრულ დანერგვას. მაგრამ მწარმოებლებისათვის უკვე ნათელია, რომ ბიზნესის წარმატება დევს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ და საწარმოო სფეროში (სადაც აუცილებელია ხელმძღვანელობდნენ ზემოთაღნიშნული სტანდარტებით), არამედ ძირითადად იგი დამოკიდებულია სტრატეგიული მართვისა და მარკეტინგის ეფექტიანობაზე. როგორც მეცნიერი ტ.კოლოლიოპულოსი აღნიშნავს, “ცენტრალური როლი დამატებითი ფასეულობის შექმნაში საწარმოო საამქროებიდან გადადის კომპანიის ოფისში, ასევე მომხმარებელთან უშუალო კონტაქტების სფეროში”, თუმცა აქაც შესაძლოა ზოგიერთი მეთოდოლოგიური სტანდარტების და საშუალებების გამოყენება, სახელდობრ, მასში შერწყმულია საწარმოს კონკურენტული უპირატესო-

ბით შექმნილი უნიკალური პროცესები. სწორედ აქ ცალკეული კომპანიის სპეციფიკური პროცესებისათვის შესაძლოა ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის გამოყენება, ასევე ბიზნეს-პროცესების ფუნდამენტური ახლებური გააზრება და რადიკალური გადაპროექტება კომპანიის ძირითადი მაჩვენებლების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

თანამედროვე კომპანიებში პროცესების მოდელირების ამოცანა დგება არამარტო მართვის ახალ კომპიუტერიზებულ სტანდარტებზე გადასვლის რეალიზაციისა ან ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვისას. ასეთი პროდუქტების რეალიზაციის შემდეგაც სწრაფად ცვალებად ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მიღების სურვილი კომპანიას აიძულებს მუდმივად გარდაქმნას თავისი საქმიანობა. მიზეზი შეიძლება იყოს ბაზარზე ახალი პროდუქტების და მომსახურების გაყვანა, რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს ახალი ქვედანაყოფების შექმნა, ასეთივე ამოცანა დგება სხვა რეგიონებში ახალ ბაზარზე გასვლისას, ახალი გასაღების წერტილების შექმნისას პროცესების გარდაქმნა შეიძლება ინიცირებული იყოს თვით კლიენტებისაგან, კონკურენტების საქმიანობასთან საკუთარი რეზულტატების შედარებისას და ხარისხის მენეჯმენტის ჩარჩოებში პროცესების ანალიზისას.

ასე რომ საწარმოებში უწყვეტად მიმდინარეობს პროცესების ცვლილებები, ამიტომ “ბიზნეს-ინჟინერინგი” შეიძლება განხილული იქნეს არა როგორც ტექნოლოგიის აღწერილობა და ბიზნეს-პროცესების ერთჯერადი გარდაქმნა ინფორმაციული სისტემის დანერგვაზე კომპანიის მომზადებისას, არამედ როგორც კომპანიის რეგულარული მართვის ტექნოლოგია მისი ბიზნეს-მოდელის საფუძველზე. ბიზნეს-ინჟინერინგის ტექნოლოგია შეიძლება იქცეს მენეჯმენტის სხვა ქვესისტემის ინტეგრაციის გარემოდ.

სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს პრაქტიკაში დანერგოს მართვის ხვალისდელი დღის ტექნოლოგიები. მართვა სტრუქტურების გარდაქმნისა და პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობს ამჟამად საწარმოებში, უნდა იქცეს მასობრივ სპეციალობად. საწარმოთა მოდელები უნდა იქცეს საწარმოს ინფორმაციული სისტემის განუყოფელ ნაწილად, რათა მენეჯერებს შეეძლოთ აწარმოონ დაკვირვება ბიზნესის ორგანიზაციის, ასევე მისი გარდაქმნის სურათზე. ასე რომ მოდელირების ტექნოლოგია, პროგრამული საშუალებების გამოყენება, როგორც მართვის პრაქტიკული ინსტრუმენტისა, გათვლილი უნდა იყოს „საშუალო“ მენეჯერზე და არა მარტო მეცნიერებზე, რომლებიც დაკავებული არიან სისტემური ინტეგრაციით. გარდა ამისა მოდელირების რეზულტატები და პროცესების რეალიზაციის ახალი წესები ხელშესახები და გასაგები უნდა იყოს პერსონალისათვის. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანისათვის, რომელიც ასრულებს განსაზღვრულ როლს პროცესში, ცნობილია და გასაგები არა მარტო მისი მოვალეობის შინაარსი, არამედ არსი მთელი პროცესისა, მისი განხორციელების წესები,

ასევე მისი ამოცანის კავშირი ორგანიზაციის ამოცანებთან და მიზნებთან, ნათელია მისი როლი საქმიანობის სისტემაში, რასაც ასრულებს მთელი კოლექტივი.

ამ საკითხების გადანყვეტის აუცილებლობა მოითხოვს ბიზნეს-მოდელირების სისტემიდან პროცესების აღწერილობათა წარდგენას მარტივი და გასაგები საშუალებებით, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს დოკუმენტირებული პროცედურების და სამუშაო ინსტრუმენტების ხარისხში, რომლებშიც ასახულია მიმდინარე პერიოდისათვის აქტუალური ბიზნეს-წესები.

თანამედროვე მენეჯმენტში შეიმჩნევა მართვის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების შესაძლებლობის ძლიერი დამოკიდებულება მათი ინფორმაციული მხარდაჭერის ადექვატური საშუალებების არსებობაზე. კონკურენტულ სფეროში ინფორმაციის მოგროვების და დამუშავების საშუალებების ათვისების შემდეგ საწარმო იღებს თავის განკარგულებაში რესურსების ახალ სახეობას - „ინფორმაციულს“

ამ რესურსების ხარისხი პირდაპირ დამოკიდებულებაშია ინფორმაციის “ორგანიზაციის” ხარისხთან, რომელიც იძლევა საჭირო მონაცემების ეფექტიანად მოპოვების, ასევე მათი სხვადასხვა სახით გამოყენების საშუალებას. აღსანიშნავია, რომ არსებულ ინფორმაციულ სისტემებში, რომლებიც საწარმოს მართვას ეხება, ძირითადად განთავსებულია რაოდენობრივი ინფორმაცია მატერიალურ, ფინანსურ და ადამიანურ (კადრების აღრიცხვა) რესურსებზე. გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა თვით საქმიანობის ორგანიზაციაზე ინფორმაციას. ასე მაგალითად, საქართველოში არსებული რამდენიმე მსხვილ სამრეწველო და საფინანსო ორგანიზაციებში (სს „კოკა-კოლა“, სს „ყაზბეგი“, სს „ზედაზენი“, სს „თიბისი-ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“ და სხვა) მიმდინარე პროცესები მართვის ახალი მოდელების, პროცესული სისტემის დანერგვაზე სპეციალისტებისათვის, მეცნიერ-მუშაკებისათვის უცნობია, ვინიდან არ ხდება ამ სახელების შესახებ სათანადო მასალების გამოქვეყნება, არც ელექტრონული ინფორმაციის და არც ბეჭდური ინფორმაციის მეშვეობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. С. Горелик. Бизнес-инжиниринг и управление организационным развитием.
2. www.big.spb.ru/publications/busegorg.shtml
3. www.bog.spb.ru. Сравнительный анализ инструментальных средств бизнес-инжиниринга.
4. В.Г.Медынский. Инновационный менеджмент. Москва. 2008.
5. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. 2015 წ.
6. რ. ქუთათელაძე, ლ. გვაჯაია. ბიზნეს-ინჟინერინგი - ბიზნეს-პროცესების მართვის საშუალება. ჟ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“. 2012 წ. №2-3.

პერსონალის შერჩევის თავისებურებები ბიზნესის უსაფრთხოების კონტექსტში

რამაზ ოთინაშვილი
სტუ-ს პროფესორი

SUMMARY

Ramaz Otinashvili

Professor of Georgian Technical University

In the article "Peculiarities of Personnel Selection in Business Security Context" states that in the advanced countries, the correct selection and disposition of staff are given greater attention. An incapable employee can be considered as a peculiar guilty, especially if he is in the leading and responsible position. The success of the business-site depends greatly on the qualification and moral qualities of the employee. The selection of reliable personnel has an ancient history. The following common criteria of selection are secluded: Professional data: qualification and experience; Psychological data: characteristic peculiarities in work and behaviours; moral data: honesty, loyalty to the country, family and "chef". The commercial structure should have an organizational structure of strictly defined management proved by the authorities. To ensure high quality of study, each candidate passes through a thorough examination of the following stages: 1. Collection of official information and formal examination; 2. Complex psychological study; 3. Non-formal inspection and collection of subjective information; 4. Interview. Also the company should have an effective financial stimulus system. In selecting personnel in Georgia, the importance is given to proximity: relatives, friends, neighbours, etc. If there is no proximity bribe is often used. This is due to the weakness of market principles in the country and the low level of competition. This is one of the reasons for less effective business in Georgia.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, უსაფრთხოება, ეკონომიკა, პერსონალი, ინფორმაცია, ადამიანისეული კაპიტალი, კვალიფიკაცია.

* * * *

ცნობილია, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების მთავარი რესურსი არის ადამიანისეული კაპიტალი, რომელიც შეადგენს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 70-80%-ს. აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება მიკრო ეკონომიკურ, განსაკუთრებით კერძო ბიზნესის დონეზე. ბიზნეს-ობიექტის პერსონალი, როგორც უმთავრესი სამენარმეო რესურსი, სხვადასხვა გარემოებების გამო, შეიძლება გახდეს კომპანიისათვის მსხვილი დანაკარგების წყარო. პრაქტიკაში ცნობილია უამრავი შემთხვევა, როცა პერსონალის არაპროფესიონალიზმის, უყურადღებობისა თუ ანგარებითი ინტერესე-

ბის გამო, ფირმამ მეტი ზარალი ნახა ვიდრე ქურდობისა და მძარცველობისაგან.

ექსპერტების აზრით, კომერციული ინფორმაციის გადინების აღბათობა თანამშრომლის მოსყიდვისა და გადაბირების გზით შეადგენს 43%-ს, ხოლო გამოტყუების გზით 24%. იგივე წყაროს მონაცემებით ფირმის კომერციული საიდუმლოების დაცვა 80%-ით დამოკიდებულია კადრების სწორ შერჩევა-სა, განლაგებასა და აღზრდაზე. თუ თანამშრომელი მზადაა ანგარებითი თუ სხვა მოტივის გამო გასცეს ინფორმაცია, მას წინ ვერ აღუდგება ვერანაირი ძვირადღირებული დაცვის საშუალებები. ინტერპოლის მონაცემებით, თანამშრომლების 25% თა-ნახმაა გაყიდოს კომპანიის საიდუმლოება ნებისმიერ დროს. 50% ამაზე სხვა-დასხვა გარემოებების (ძირითადად ანგარების) გამო მიდის და მხოლოდ 25% არის აღნიშნული კომპანიის პატრიოტი. მოწინავე ქვეყნებში, კადრების სწორად შერჩევისა და განლაგების პრობლემას უდიდესი ყურადღება ექცევა, ამ კუთხით ლიდერობს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც შესაბამისი კადრების შერჩევის სისტემები ჩამოყალიბებულია 515 პროფესიისათვის.

აშშ შრომის სამინისტროს დასაქმების დეპარტამენტის მონაცემებით, უუნარო თანამშრომლები-საგან ქვეყნის კერძო სექტორისათვის მიყენებული ზარალი წელიწადში 80 მლრდ. დოლარს შეადგენს, რაც ოთხჯერ აღემატება ამერიკის კერძო ბიზნესისათვის სამრეწველო შპიონაჟით მიყენებულ ზარალს. უუნარო თანამშრომელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებური დამნაშავე, განსაკუთრებით თუ ის დასაქმებულია ხელმძღვანელ და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. იგივე სამინისტროს მიხედვით, კანდიდატის შერჩევისას სხვა მე-თოდებთან შედარებით ყველაზე კარგ შედეგს იძლევა შერჩევა მონაცემების საფუძველზე. კერძოდ, იგი ეფექტურია: გამოსაცდელი ვადით შერჩევაზე 20%-ით, ანკეტური მონაცემებით შერჩევაზე 40%-ით, რეკომენდაციებით შერჩევაზე 2-ჯერ, წინა სამუშაოს გამოცდილების საფუძველზე 2,9-ჯერ; უბრალო გასაუბრე-ბაზე 3,8-ჯერ; სასწავლებელში აკადემიური შედეგების მიხედვით შერჩევაზე 4,8-ჯერ.

საქართველოში პერსონალის შერჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ახლობლობას: ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს და ა.შ. თუ „შინაური“ არაა ხშირად გამოიყენება ქრთამიც. აღნიშნული განპირობებულია ქვეყანაში საბაზრო პრინციპების სისუსტით და კონკურენციის დაბალი დონით. სწორედ ამაშია საქართველოში ბიზნესის ნაკლებად ეფექტურობის ერთ-ერთი მიზეზი. ევროპის კავშირის მონაცემებით თაღლითობისა და თანამდებობის ბორო-

ტად გამოყენების შემთხვევების 72% ხდება ნათესავებისა და ახლობლების მიერ.

ბიზნეს-ობიექტის უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული თანამშრომლების კვალიფიკაციაზე და მათ მორალურ-ზნეობრივ თვისებებზე. საიმედო კადრების შერჩევას უძველესი ისტორია აქვს. აღნიშნული პრობლემა წარმოიშვა მაშინ, როცა გაჩნდნენ პირველი დაქირავებული მუშები. აქედან მომდინარე კადრების შერჩევის მეთოდებმა მრავალი ცვლილება და სრულყოფა განიცადეს. ბოლო დრომდის აქცენტი კეთდებოდა კადრების პროფესიონალურ მომზადებაზე და განისაზღვრებოდა ისეთი ფორმალური ნიშნებით, როგორიცაა განათლება, მუშაობის სტაჟი, სპეციალობა, კვალიფიკაცია და ა.შ. მსხვილი სამრეწველო წარმოების, მაღალი ინტენსივობისა და კონცენტრაციის პირობებში ასეთი მიდგომა გარკვეულწილად გამართლებული იყო. მომუშავეს ევალებოდა კარგად ემუშავა თავის სამუშაო ადგილზე და შეესრულებინა დადგენილი გეგმა. მაგრამ კერძო ბიზნესის პირობებში, სადაც სულ უფრო მწვავედა კონკურენციული ბრძოლა, თანამშრომელს ხშირად უნევს იმ სახის კომერციულ საიდუმლოებასთან შეხება, რომელიც შეიძლება კონკურენტი ფირმების ინტერესს წარმოადგენდეს. ასეთ პირობებში მნიშვნელოვნად მატულობს თანამშრომლების პირადი თვისებების მიმართ ნაყენებული მოთხოვნები. აღნიშნულმა ხელი შეუწყო, კერძო ბიზნესის საკადრო შერჩევას მიემართა მეცნიერული ფსიქოლოგიის მეთოდებისადმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოკლე დროში საიმედოდ შეფასდეს კანდიდატის პირადი თვისებები. კომპანიის მაღალი დონის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კადრების სწორად შერჩევის, შემონმების, მათი გადამზადებისა და განლაგების სპეციალური ღონისძიებების კომპლექსს. სპეციალისტები გამოყოფდნენ პერსონალის შერჩევის შემდეგ საერთო კრიტერიუმებს:

- პროფესიონალური მონაცემები: კვალიფიკაცია და გამოცდილება;

- ფსიქოლოგიური მონაცემები: ხასიათის თავისებურებები მუშაობასა და ქცევაში;

- მორალური მონაცემები: კეთილსინდისიერება, ერთგულება ქვეყნის, ოჯახისა და „შევის“ წინაშე.

თვითოველ კომერციულ სტრუქტურას უნდა გააჩნდეს ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული, მკაცრად განსაზღვრული მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. ყველაზე გავრცელებულია ორგანიზაციული სქემების (ნახაზის სახით) შედგენის მეთოდიკა, რომელშიც გრაფიკულადაა გამოსახული სამუშაო ადგილი, შესაბამისი ფუნქციებით. მეტი კონკრეტიზაციისათვის თვითოველი თანამდებობოსათვის დგება პროფესიოგრამა - კვალიფიციური და პირადი თვისებების ჩამონათვალი, რომლებიც წაყენება კანდიდატს. დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში ჩამოყალიბებულია ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები პიროვნების კომპლექსური შემონმების, აპრო-

ბირებული მეთოდოლოგია. აღნიშნულ სამუშაოებს კადრების განყოფილებასთან ერთად ახორციელებს ფირმის უსაფრთხოების სამსახური, იურიდიული განყოფილება, სამედიცინო განყოფილება. საჭირო ცნობების შეგროვებისა და გადამონმების მიზნით აუცილებელია აგრეთვე გარე უწყებებთან კოორდინაცია. შესწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად თვითოველი კანდიდატი გადის დანვრილებით, სკურპულოზურ შემონმებას, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

1. ოფიციალური ინფორმაციის შეგროვება და ფორმალური შემონმება, ინყება სპეციალურად შედგენილი ანკეტის შეესებით. ხდება წარმოდგენილი საბუთების: პასპორტის, შრომის ნიგნაკის, სამხედრო ბილეთის, განათლების დიპლომის და ა.შ. ჭეშმარიტების დადგენა. მათში მოცემული ინფორმაციის შედარება საანკეტო მონაცემებთან. წარმოებს ოფიციალური არხებიდან (რეკომენდაციები სასწავლებლიდან, გამომხმარებები წინა სამუშაო ადგილიდან) ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი.

შემონმება ხდება:

- პოლიციური კუთხით, ხომ არ ყოფილა გასამართლებელი, ადმინისტრაციული სასჯელი ხომ არ მიუღია, პასპორტი ხომ არ დაუკარგავს, ძებნაში ხომ არ ყოფილა;

- წინა სამუშაო ადგილების მიხედვით რეკომენდაციების (ოფიციალური და არაოფიციალური) გადამონმება;

- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის გადამონმება;

- კრიმინალურ სამყაროსთან კავშირების (მათ შორის ნათესავების მხრიდან) გადამონმება;

- უძრავი და მოძრავი ქონების შემოსავლების არსებობა, შედარება დეკლარირებულთან;

- წარმოდგენილი დოკუმენტების (პასპორტის, დიპლომის) ჭეშმარიტების დადგენა.

ამ ეტაპზე ასევე უნდა შემონმდეს კანდიდატის ჯანმრთელობის მდგომარეობა. აღნიშნული ეტაპის შემდეგ, კანდიდატების 10-30%, ფორმალური ნიშნების შეუსაბამობის გამო, გამოირიცხება.

2. კომპლექსურ-ფსიქოლოგიური შესწავლა, მიმდინარეობს ძირითადად სპეციალური ფსიქოლოგიური ტესტების გამოყენებით. ტესტირება შეიძლება ჩატარდეს ღიად ან ფარულად მაგალითად ანკეტირებისას, რაიმე საბაბით, მასში შეტანილია ისეთი კითხვები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კანდიდატის ხასიათის კონკრეტული მომენტები.

3. არაფორმალური შემონმება და სუბიექტური ინფორმაციის შეგროვება. აღნიშნული ეტაპი საკმაოდ შრომატევადი და ძვირადღირებულია, ამიტომ ხშირად პიროვნების მხოლოდ ხელმძღვანელ, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე შერჩევის დროს გამოიყენება. ასეთ თანამდებობებს განეკუთვნება: გამგეობის წევრები, მთავარი ბუღალტერი, უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახურის უფროსი, კომპიუტერული ცენტრის ხელმძღვანელი, მდივან-რეფერენტი და ა.შ.

გარკვეული დროის განმავლობაში წარმოებს კანდიდატზე დაკვირვება შეისწავლება, მისი ცხოვრების წესი, ახლო გარემოცვა. ხელოვნურად იქმნება ისეთი სიტუაციები (ოპერატიული ექსპერიმენტი), სადაც ვლინდება პიროვნების ხასიათის თავისებურებები. შემდეგ ხდება დადგენილი შედეგების შედარება მის მიერ ოფიციალურ დონეზე დეკლარირებულ იდეებთან და პრინციპებთან. შესაძლებლობების და მიხედვით ხდება ნაცნობებთან, მეზობლებთან, ყოფილ თანამშრომლებთან გასაუბრება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კანდიდატის დანაშაულებრივი კავშირების არსებობას. წინა სამსახურში ან წარსულში მის მხრიდან თუ ჰქონია ადგილი ქურდობის, მლიქვნელობის შემთხვევებს. მიღებული შედეგების საფუძველზე ანალიზდება თუ როგორ მოიქცევა კანდიდატი ჩრდილოვანი საქმიანობისათვის კეთილსასურველი გარემოებების შექმნის, მაგალითად, სახსრების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების, კონფიდენციალური ინფორმაციის განკარგვის შემთხვევაში;

4. გასაუბრება. ჩვეულებრივ მიმართავენ რამდენიმე გასაუბრებას. ხშირად პირველი გასაუბრება გაცნობის მიზნით, ტარდება შემომწმების პირველი ეტაპის დროს, როდესაც ხდება ოფიციალური ინფორმაციის შეგროვება და ფორმალური შემოწმება. ყურადღება ექცევა ოფიციალური საბუთებიდან მიღებული მონაცემების სიზუსტეს. კანდიდატის საუბრის შინაარსს, მის სიღრმეს, პიროვნულ ემოციურობას, თავდაჯერებულობას და ა.შ.

მეორე გასაუბრებისას ზუსტდება განსხვავებები (თუ ასეთს აქვს ადგილი) სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემებს შორის. საუბრისას, რჩევის მიღების საბაზით, კანდიდატს დაუსვავენ პრობლემატურ კითხვებს, მისი პროფესიული მომზადების დონის განსაზღვრის მიზნით. გასაუბრება უნდა წარმართოს გამოცდილმა სპეციალისტმა. გასაუბრებას არ უნდა ჰქონდეს დაკითხვის ფორმა, არ უყუროთ კანდიდატს ზემოდან, არ შეპირდეთ წინასწარ არაფერს. პასუხებში ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ მომენტებს:

- საუბარში სისტემატიურობის არქონა;
- განხილული პრობლემების ზედაპირული ანალიზი;
- დაუსაბუთებელი დასკვნები, რომლებიც არ გამოდინარეობს ადრე განხილული საკითხებიდან;
- დასკვნებში გამოხატული პრიმიტიულობა და აბსურდულობა;
- ადრე გამოთქმულ მოსაზრებებთან და არგუმენტებთან წინააღმდეგობაში მოსვლა;
- დაუსაბუთებელი კატეგორიული მტკიცებები ან უარყოფები;
- ხუმრობების, გადატანით ნათქვამი სიტყვების, ანდაზების გაუგებრობა;
- მცირე პრობლემებზე მოჭარბებული კონფლიქტურობა ან განაწყენება;
- ამბიციურობა, სიჯიუტე, საკუთარ თავზე განსა-

კუთრებული წარმოდგენა.

ხშირად (თუ არის ამის საშუალება) საუბარი ფარულად ინერება მაგნიტოფონზე ან ვიდეოფირზე, შემდგომი დანვრისთვის ანალიზის მიზნით. საუბრისას მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ე.წ. ვიზუალური ფსიქოლოგიის არა-ვერბალური მეთოდების გამოყენება: დაკვირვება მოსაუბრის ქცევის თავისებურებებისადმი, მისი გამოხედვა (გიყურებთ თუ არა საუბრისას თვალეში), მიმიკა, ჟესტები, პოზები, ხმის თავისებურება და ა.შ. პირველადი შთაბეჭდილების 55% დამოკიდებულია მის ვიზუალურ შეხედულებაზე, 38% საუბრის მანერაზე და მხოლოდ 7% თუ რას ლაპარაკობს იგი.

ვიზუალური ფსიქოლოგიის პროფესიონალი სპეციალისტი ბაგეების მოძრაობითაც იგებს საუბრის შინაარსს. პროფესიონალურ ენაზე ასეთი მონაცემების შესწავლას ჰქვია ვიზუალური ფსიქოლინგვისტიკის საშუალებით კრიმინალურად საჭირო ინფორმაციის მიღება. არავერბალური კონტაქტის დროს პიროვნების უმეტესი ქცევები ქვეცნობიერია, ამიტომ მათი გაყალბება შედარებით რთულია. აღნიშნული დარგის ექსპერტების აზრით, ადამიანებს შორის ურთიერთობისას ინფორმაციის 60-80% გადაეცემა არავერბალური მეთოდებით, ხოლო მიღებული ინფორმაციის სიზუსტე 80-90% შეადგენს.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება ჩატარდეს ფარული გასაუბრებაც, იგი ტარდება ფირმის ტერიტორიის გარეთ. საუბარს ატარებს ცრუმაგიერი (შენაცვლებითი) პირი. ამკარავდება კანდიდატის რეალური მიზნები. მაგალითად მას სთავაზობენ სხვა კომპანიაში მსგავს თანამდებობაზე აყვანას და ა.შ.

მიღებული შედეგების საფუძველზე ხდება შესასწავლ კანდიდატების დაჯგუფება:

- პირები, რომლებიც თავისი პროფესიონალური და ფსიქოლოგიური მახასიათებლებით ამკარად არ შეესაბამება არსებულ ვაკანსიას;
- პირები, რომელთა მახასიათებლები არ ეწინააღმდეგება წაყენებულ მოთხოვნებს, თუმცა მათი პროფესიონალური დონე ჯერ არაა სათანადოდ ფორმირებული;
- პირები, რომელთა მონაცემები მთლიანად (ან ნაწილობრივ) შეესაბამება მოთხოვნებს (რა თქმა უნდა იდეალური კანდიდატი მხოლოდ თეორიულად არსებობს).

ბუნებრივია პირველ ჯგუფში მოხვედრილი კანდიდატები გამოირიცხებიან კონკურსიდან. მეორე ჯგუფის ნაწილთან (ფირმის ხელმძღვანელობისა და პოლიტიკის შესაბამისად) შეიძლება გაგრძელდეს შემდგომი მუშაობა. მესამე ჯგუფში მოხვედრილ კანდიდატებთან გრძელდება მუშაობა.

ბოლოს ხდება შემაჯამებელი გასაუბრება, უმეტესად მას ატარებს კომპანიის ხელმძღვანელი, რომელიც გაცნობილია რა წინა ეტაპების რეზულტატებს. კანდიდატის წინაშე დაისმება კონკრეტული პრობლემები და ზუსტდება მისი პროფესიონალიზმი გამო-

სადეგობის მიზნით. ასევე ხდება მრავალი გარემოების საბოლოოდ დაზუსტება. კომპანიაში სამსახურის დაწყების ძირითადი მოტივი, განისაზღვრება თუ რა არის კანდიდატის პერსპექტიული გეგმები (მატერიალური ფაქტორი, კვალიფიკაციის ამაღლება, პირადი და საქმიანი კავშირების გაფართოება, უცხო ენისა თუ კომპიუტერის შესწავლა და ა.შ.). დგინდება წინა სამსახურში პირადი და საქმიანი კავშირების (ხელმძღვანელობასთან და თანამშრომლებთან) ხასიათი და ა.შ. კვლავ ექცევა ყურადღება საუბრის მანერას, არგუმენტაციას. ჩვეულებრივად ასეთი საუბარი ატარებს ოფიციალურ ხასიათს, მაგრამ კარგია თუ მიმდინარეობს უშუალოდ მეგობრულ ვითარებაში.

მხოლოდ ზემოთჩამოთვლილი ეტაპების წარმატებით გავლის შემდეგ პიროვნებასთან იდება კონტრაქტი. მაგრამ თუ ეჭვი ეპარებათ მის რომელიმე მონაცემში, ხშირად კონტრაქტს დებენ გამოსაცდელი ვადით. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგაც თანამშრომელი უნდა იყოს მუდმივი კონტროლის ქვეშ, პირად საქმეში უნდა არსებობდეს ოპერატიული ინფორმაცია მასზე.

საპასუხისმგებლო ეტაპია კადრების დათხოვნის პროცესი. სამსახურად ამ გარემოებასაც ჩვენთან ნაკლები ყურადღება ექცევა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს რა მიზეზითაც არ უნდა წავიდეს თანამშრომელი ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ მან არ დატოვოს ორგანიზაცია გალიზიანებულმა, შურისძიების სურვილით. თუ წასვლა ხდება თანამშრომლის ინიციატივით, უნდა გაირკვეს შემდეგი მომენტები: ამ პიროვნების კოლეგებთან ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. ხომ არა აქვს ადგილი პირად თუ სამსახურეობრივ კონფლიქტს? მისი პროფესიონალური მომზადების დონე. თუ ჰქონია მას კომერციულ საიდუმლოებებთან შეხება? დამოკიდებულება სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისადმი, ხომ არ ქონია სხვა (უფრო მაღალ) თანამდებობაზე მუშაობის პრეტენზია? ადრე თუ გამოუთქვამს სურვილი სხვა სამსახურში გადასვლაზე? სად აპირებს მუშაობის დაწყებას და ა.შ.

წასვლის რეალური მიზეზის დადგენის შემდეგ მასთან ტარდება გასაუბრება. კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, საუბარს შეძლება ოფიციალური ან მეგობრული ტონი ჰქონდეს. მაგრამ როგორი გეგმებიც არ უნდა გაგაჩნდეთ თანამშრომლის მიმართ საუბარი უნდა წარიმართოს ისე, რომ მან თავი ღირსეულად არ იგრძნოს. თუ პიროვნებას ჰქონდა შეხება ფირმის კომერციულ საიდუმლოებასთან, მიზანშეწონილია ასეთი კადრი დროებით გადაიყვანოთ ნაკლებად საიდუმლო თანამდებობაზე, ან სხვადასხვა საბაზით გააჭიანუროთ მისი გაშვება, სანამ

კომერციული ინფორმაცია არ დაკარგავს აქტუალურობას. მაგრამ თუ მაინც მოხდა ასეთი თანამშრომლის წასვლა ფორმდება ოფიციალური შეთანხმება საიდუმლოებების შენახვაზე. კარგია თუ აღნიშნულის თაობაზე მოხდება „ჯენტილმენური“ გარიგებაც. ყოველ შემთხვევისათვის მაინც ტარდება შემდგომი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები, მომდევნო სამუშაო ადგილისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მაშასადამე პერსონალს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა ფირმის წარმატებებში. იგი იწყება კადრების გონივრული შერჩევით. მაგრამ საჭიროა მათთან მუდმივი მუშაობა. კომპანიაში უნდა არსებობდეს ფინანსური სტიმულირების ქმედითი სისტემა; თანამშრომლებთან დამოკიდებულება უნდა იყოს, როგორც დამოუკიდებელ ინდივიდთან; უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანამშრომლის მონაწილეობა მოგებაში; უნდა არსებობდეს დანაწილებისა და წახალისების ქმედითი სისტემა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივში კეთილსასურველი მორალური კლიმატის არსებობას. ამერიკელი ექსპერტების მონაცემებით, მაღალი კორპორაციული კულტურა 80%-ით ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ბიზნესის ეროვნული სკოლის პრეზიდენტის კლაუს ედვარდის აზრით, „მომავალი კონკურენცია არაა მხოლოდ შრომისა და ფასების შეჯიბრება, მომავლის შეჯიბრება გამოვლინდება ფირმის ორგანიზაციული კულტურის მდგომარეობით.“

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოთინაშვილი რ., ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბ.: სტუ2005.-440გვ.
2. ოთინაშვილი რამაზ, მახვილადე კახაბერ, ბიზნეს-პროც.-ის რეინჟინერინგი, მონოგრაფია, თბილისი2016170გვ.
3. Бадыров П., Спирин Н., Проблемы работы с кадрами работающими в сфере охраны, М, 2000.-306с.
4. А. Ковров, Обман, как его определить в деловом общении./ ж. Мир и безопасность, 2000 №5, ст. 15-19.
5. Крылов А., Роль кадровой службы в обеспечении безопасности бизнеса, М, 1995.-244с.
6. Крысин А., Проблемы безопасности коммерческих структур в работе с кадрами, 1999.-356с.
7. Москвин Л. Б., Новые социальные измерения в современном мире, / Ж. Общественные науки и современность, 1999, #3, ст. 24-32.
8. Нежданов И.Ю., Мошенничество персонала. WWW. itrb. ru.

თანამედროვე უნივერსიტეტის ახალი მისია და როლი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში

დალი სეხნიაშვილი

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განალიზებულია თანამედროვე უნივერსიტეტი, როგორც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ნაჩვენებია, რომ უნივერსიტეტი 3.0 ეროვნული ეკონომიკის და ზე-სახელმწიფოებრივი გაერთიანებების გლობალური კონკურენტუნარიანობის საფუძველია. ნაჩვენებია, რომ მისი სამენარმეო ეკოსისტემა ქმნის ახალ, სწრაფადმზარდ დარგებს, მონიავე ტექნოლოგიების ბაზრებსა და ეკონომიკურად ეფექტურ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სივრცეს.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტი 3.0, განათლების ეკონომიკა, ცოდნის კომერციალიზაცია, ინოვაცია.

NEW MISSION AND ROLE OF THE MODERN UNIVERSITY IN THE SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF SOCIETY

Dali Sekhniashvili

Associate Professor of GTU

RESUME

The article analyzes modern university as one of the key factors of economic growth. It is shown that University 3.0 is the basis for global competitiveness of national economies and superpowers. It is shown how the entrepreneurial ecosystem generates new fast-growing industries, advanced technology markets and cost-efficient administrative territories.

Keywords: University 3.0, Economics of Education, Commercialization of Knowledge, Innovation.

* * * *

განვითარებული ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემებში რადიკალური ტრანსფორმაცია მიმდინარეობს: არსებითად იცვლება უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია. მისი ტრადიციული მისიების — საგანმანათლებლო და სამეცნიერო — გვერდით ჩნდება ეკონომიკური აქტივობის სწრაფადმზარდი სფერო. ამ უკანასკნელში შედის ტექნოლოგიების შემუშავება და ტრანსფერი, მეცნიერული პროდუქტების კომერციალიზაცია, ახალი ბიზნესების შექმნა, ინტელექტუალური საკუთრების მართვა მოგების მიღების მიზნით.

აშშ-ში 1980 წელს ბეი-დოლის აქტის (Bayh—Dole Act of 1980) მიღების შემდეგ რამდენიმე წელში უნივერსიტეტებმა 2 ათასზე მეტი კომპანია შექმნეს (260 ათასი სამუშაო ადგილი), რომლებიც ტექნოლო-

გიების კომერციალიზაციას ეწეოდნენ. აქტის მიღებამდე ამერიკული უნივერსიტეტები დაახლოებით 250 პატენტს არეგისტრირებდნენ წელიწადში, 1982 წელს კი მათი რიცხვი 1500, 2010 წელს კი — 4500 იყო. თუ 1989-1990 წლებში უნივერსიტეტები იღებდნენ 82 მლნ დოლ. სალიცენზიო შემოსავალს, 2009 წელს ამ მაჩვენებელმა 1.5 მლრდ დოლ. შეადგინა. ბეი-დოლის აქტმა, მოახდინა სამენარმეო უნივერსიტეტის მოდელის ფაქტობრივი ინსტიტუციონალიზაცია.

ჯ. კოული თვლის, რომ „აშშ-ს წამყვანი დარგების მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაძლოა 80%-ზე მეტი, წარმოიშვა იმ აღმოჩენების გამო, რომლებიც ამერიკულმა უნივერსიტეტებმა შექმნეს“ [1, გვ.4]. თანამედროვე პირობებში აშშ-ში უნივერსიტეტები ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის მოდელიდან გადადიან პარტნიორობის განაწილების სქემაზე, რომელშიც გადამწყვეტ როლს უნივერსიტეტი ასრულებს. აშშ-ში სტუდენტების ინოვაციური და სამენარმეო აქტივობა გახდა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების კონკურენტუნარიანობის გადამწყვეტი ფაქტორი.

ახალი ათასწლეულის დასაწყისში ევროპაში ცოდნის საზოგადოების დამკვიდრებაში ძირითადი როლი უნივერსიტეტებს ეკუთვნოდა, რამდენადაც სწორედ აქ თავს იყრია სამეცნიერო კვლევები, განათლება და ინოვაციები. ქსელური უპირატესობის შექმნის კონცეფციის EN (excellence networks) საფუძველი კი არის იდეა, რომ უნივერსიტეტების სამეცნიერო სფერო ქსელურ სტრუქტურებში უნდა გაერთიანდეს გლობალურ დონეზე და გამოიყენონ მათი მონაწილეების ძლიერი მხარეები [2]. 2005 წელს ჰემპტონ კორტში გამართულ შეხვედრაზე უნივერსიტეტები ევროპული კონკურენტუნარიანობის საფუძვლად იქნა დასახელებული [3]. კემბრიჯის უნივერსიტეტმა კემბრიჯშირის საგრაფო ინოვაციურ კლასტერად გადააქცია, სადაც „გაიზარდა“ მილიარდიანი კაპიტალიზაციის მქონე ათი კომპანია.

უნივერსიტეტებს, რომლებიც პოზიციონირებას ახდენენ როგორც ცოდნის ეკონომიკის კორპორაციული სუბიექტები, დღეს უწოდებენ „უნივერსიტეტი 3.0“, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის სამი მისიის არსებობას, კერძოდ: 1.0 — საგანმანათლებლო, 2.0 — სწავლება და კვლევა, ხოლო 3.0 — სწავლება, კვლევა და ცოდნის კომერციალიზაცია. 3.0 ტიპის უმაღლესი განათლების აღმოცენება აშშ-ში დაკავშირებულია მულტიკამპუსური უნივერსიტეტების განვითარებასთან [4, გვ. 3-26].

ჩვენი აზრით, საქართველოსთვის დღეს უნივერსიტეტი 3.0 — ს არსებობა მეტად მწვავე სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე საკითხია, რამდენადაც სწორედ ასეთი უნივერსიტეტი თა-

მაშობს დღეს მნიშვნელოვან როლს საზოგადოების მოდერნიზაციასა და ეკონომიკის ტრანსფორმაციაში.

2012 წელს მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული ცოდნის ეკონომიკის ინდექსში საქართველო 68 ადგილს იკავებს 146 ქვეყანას შორის [5]. მას უსწრებს მალტა, ჩილე, ბარბადოსი, ბახრეინი, ომანი, მალაიზია, კუვეიტი, პანამა. 2016 წელს „სტარტაპ საქართველო“ პროგრამის ფარგლებში 146 სტარტაპი დარეგისტრირდა, [6], მაშინ, როდესაც აშშ-ში იგივე პერიოდში 33 797 დარეგისტრირებული სტარტაპია.

საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, შრომის ანაზღაურების ზრდის საბაზით, სასწავლო დატვირთვის გაზრდა ლექტორებისთვის, ჩვენი აზრით, ხელს შეუშლის უნივერსიტეტის არა მარტო ინოვაციურ და სამეწარმეო საქმიანობას, არამედ, სამეცნიერო შრომასაც, როგორც ასეთი. უნივერსიტეტებში სამეცნიერო კვლევებისთვის გამოყოფილი თანხის ზრდის კვალობაზე, შესაძლოა, მეცნიებადამატრული მაჩვენებელი გაიზარდოს, მაგრამ გაიზარდება სამეცნიერო მუშაობის სუროგატული ნე-სებით წარმართვის (პლაგიატი, სხვისი იდეების მითვისება და სხვ.) ფაქტები, რაც სრულებით არ უწყობს ხელს ინოვაციური აქტივობის ზრდას. პირიქით, „მეცნიერების“ ასეთი სახით ორგანიზებით უნივერსიტეტი კვლევებიდან, შემუშავებებიდან და ცოდნის კომერციალიზაციის პროექტებიდან უფრო მეტად „პროდუქტიული მეცნიერების“ საქმიანობას „დაჯილდოვებად“ პროექტებსა და სტატუსურ პუბლიკაციებზე გადართავს.

ჩვენი აზრით, საქართველოში 3.0 ტიპის უნივერსიტეტის დამკვიდრების პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, შეუძლია თუ არა უნივერსიტეტს იყოს ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების სუბიექტი. ამისთვის კი საჭიროა განისაზღვოს უნივერსიტეტების მომავალი მოდელი და მეცნიერულად დასაბუთდეს ის.

საზღვარგარეთის გამოცდილება. მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან უმაღლესმა განათლებამ დაკარგა ელიტარული სტატუსი და გახდა მასობრივი. ამასთან უმაღლესი განათლება საზოგადოების განვითარებაზე პასუხისმგებელიც შეიქმნა. ცნობილია, რომ განათლების მასობრიობა ის ფუნდამენტური რესურსია, რომელიც შესაძლოა მეტად ეფექტურად იქნას გამოყენებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. კერძოდ, კი საზოგადოებისთვის სამეწარმეო კომპეტენციებისა და ტექნოლოგიური კულტურის გადაცემისათვის.

1990-ან წლებში განათლების სოციალურ-ეკონომიკური როლის ცვლილებამ, რაც დაკავშირებული იყო ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების განვითარებასთან, სტიმული მისცა უნივერსიტეტის მისიების დაყოფას და უნივერსიტეტის ინსტიტუციური ბაზის დივერსიფიკაციას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს როგორც სახელმწიფო, აგრეთვე, კერძო დაფინანსების წყაროების მოზიდვას. უნივერსი-

ტეტები ერთვებიან ევროკავშირის სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო პროგრამებში (1984), აგრეთვე ბოლონიის პროცესში (1999). „ახალი სახელმწიფო მენეჯმენტის“ (New Public Management, NPM) მოდელის მიხედვით, განათლების სექტორი განიხილება საბაზრო რეფორმების ობიექტად, განათლება იღებს მომსახურების სტატუსს, ხოლო სტუდენტი — მომხმარებლის. იგულისხმება, რომ უმაღლესი სასწავლებელი ერთმანეთთან კონკურენციაში არიან ჩართული და იბრძვიან სტუდენტისთვის, ხოლო სტუდენტი „ყიდულობს“ განათლებას და ამ პროცესში მისთვის ორიენტირს წარმოადგენს ეკონომიკურ შემოსავალზე ორიენტაცია და კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულის მდგომარეობა, მისი რეიტინგი, აგრეთვე ფასი, რის გადახდაც მას შეუძლია.

NPM მოდელის მიხედვით, სამეცნიერო კვლევები არის კონკურენტუნარიანობის ინსტრუმენტი და საბაზრო ურთიერთობების სისტემის ნაწილი [7, გვ. 434-440]. ითვლება, რომ კონკურენცია ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას. უმაღლესი სასწავლებელი მოიაზრება, როგორც სანარმო, სადაც შრომის ანაზღაურება დაკავშირებულია სტუდენტების რიცხოვნებაზე, ხოლო მათი რიცხვის ზრდა ითვლება შრომის ნაყოფიერების ზრდად.

უნივერსიტეტების მართვის მეორე მოდელი „ქსელური მართვა“ (Network Governance, NG) [8, გვ. 1-20] ხასიათდება ქსელური პარტნიორობის განვითარებით როგორც უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს შორის, აგრეთვე საგანმანათლებლო კლასტერებსა და სოციალური ინსტიტუტების ფართო სპექტრს შორის. აღნიშნული მოდელი ქსელის განვითარებისათვის ემყარება შიდა მექანიზმებს და მართვის ინსტრუმენტებს, პროცესების თვითრეგულაციას, პრობლემების ერთობლივად გადაჭრას, სწავლების ეფექტური მოდელის გავრცელებას და ადაპტაციას (ბენჩმარკინგი), ინტელექტუალური რესურსების კონცენტრაციასა და განაწილებას [8].

კონცეფცია „ქსელური უნივერსიტეტი“ მოიცავს: სამეცნიერო-საგანმანათლებლო პარტნიორობას, ინტერდისციპლინარული კვლევით თანამშრომლობას, ქსელურ სასწავლო პროგრამებს, ვირტუალური სასწავლო გარემოს, დისტანციურ სასწავლო პრაქტიკას, აკადემიურ მობილობას, მართვის მატრიცულ სტრუქტურას და ა.შ.

დღეს, ასეთი პარტნიორობა ქმნის მაღალეფექტურ ინოვაციურ გარემოს საფუძველს, რაც ინსტიტუციურ საფუძველს წარმოადგენს ცოდნის საზოგადოების განვითარებისათვის. საუნივერსიტეტო პარტნიორობის მიზნებია: ცოდნის გაცვლის ეფექტური სქემების შექმნა; სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე კომპანიების ხელმისაწვდომობის გაფართოება; ინვესტიციების ინტენსიფიკაცია ტექნოლოგიების კვლევაში, საინჟინრო დამუშავებებისა და ცოდნის კომერციალიზაციის პროცესში; ტექნოლოგიური

მიღწევების საფუძველზე ჩამოყალიბებული ახალი ბაზრების ფორმირება; ახალი სასწავლო პროგრამების განვითარება. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ინოვაციური სტრატეგია ითვალისწინებს ცოდნის გადაცემის პარტნიორობის სწრაფ ზრდას (knowledge transfer partnerships); ეს უკანასკნელი დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ და ბრიტანულ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების მიერ დაგროვილი ცოდნა [9, გვ. 16-21]. განზოგადებული ინტელექტუალური რესურსების შექმნა ევროპული საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება ხდება.

პარტნიორობის სპეციალიზებული ქსელები აძლევს საგანმანათლებლო ორგანიზაციას თავისებური ეკოსისტემის სახეს. მ. კერლი და პ. ფორმიკი ეკოსისტემას უწოდებენ „ურთიერთდამოკიდებული ორგანიზაციების ან ადამიანების ქსელს კონკრეტულ გარემოში ნაწილობრივ საერთო პერსპექტივებით, რესურსებით, მიზნებითა და მართვით» [10, გვ. 1-12], რომელთა კოორდინირება უნდა მოახდინოს უნივერსიტეტმა. ამავე დროს, შემოქმედებითი პარტნიორული ქსელი საშუალებას იძლევა რეალიზდეს სწავლების მრავალფეროვნების პრინციპი, სწავლების პროცესში ჩართული იქნას გარე სპეციალისტები, აგრეთვე, სტუდენტებს აძლევს საშუალებას, გავიდნენ კონკრეტული დისციპლინების ჩარჩოებს მიღმა. ასეთი ქსელის მეშვეობით იქმნება სამეცნიერო-კვლევითი კლასტერები, სადაც ცოდნის სხვადასხვა სფეროს მასწავლებელი და სპეციალისტი თანამშრომლობს.. ამგვარად, ის ადამიანების ინტერდისციპლინურ განვითარებას უწყობს ხელს (EUA, 2007).

ცოდნის გაცვლა უნდა დაექვემდებაროს სიმდიდრის სოციალური ჩართულობით შექმნის პრინციპს. ეს უკანასკნელი გულისხმობს ეკონომიკური სარგებლის მიღებას საგანმანათლებლო პარტნიორობის საქმიანობაში ინდივიდების, თემების, ბიზნესის მონაწილეების მაქსიმალურ რაოდენობის ჩართვით, რაც ხელს უწყობს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ყველასათვის.

თანამედროვე უნივერსიტეტი, რომელიც ქმნის თავის შემეცნებით სივრცეს, როგორც ქსელური ტიპის სასწავლო-საგანმანათლებლო პარტნიორობის სისტემას და მისი განვითარებისთვის იყენებს ღია ინოვაციების კონცეფციას, გლობალური საკომუნიკაციო რგოლი ხდება ცოდნის ეკონომიკაში. მასთან პარტნიორული ურთიერთობებით სანარმოო სტრუქტურებს შეუძლიათ არა მარტო ახალი იდეებით, ტექნოლოგიებით და მოწყობილობებით აღიჭურვონ, არამედ აქტიურად მოიზიდონ შემოქმედებითი თანამშრომლები.

შემოქმედებითი უნივერსიტეტი

თანამედროვე უნივერსიტეტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად

დი ძალა ხდება, რადგან ის ზრდის პიროვნებას, რომლის შემოქმედებითი უნარია ცოდნის წარმოების სისტემისა და გლობალური ეკონომიკური ზრდის საფუძველი. განათლება ეკონომიკასა და შემოქმედებას შორის კავშირის ცენტრშია. „შემოქმედებითი უნივერსიტეტი“ არის შემოქმედებითი სივრცე, ტალანტების მოზიდვისა და კონცენტრაციის გარემო. კრეატიულობა ხელს უწყობს მენარმეობას, ინოვაციებსა და ეკონომიკურ ზრდას. საუბარია არა მარტო კულტურული პროდუქციის შექმნაზე, არამედ სამეცნიერო გამოგონებებსა და ტექნოლოგიურ ინოვაციებზე.

სამეცნიერო წრეებში თანამედროვე უნივერსიტეტების შემოქმედებითი სივრცის განმარტების, აღწერისა და დიზაინისადმი სამგვარი მიდგომა ჩამოყალიბდა. პირველი მიდგომის ფარგლებში, შემოქმედებითი სივრცე წარმოდგენილია როგორც გარემო, რომელიც მოიცავს სწავლების და შემოქმედებითი საქმიანობის პროცესებს. მეორე მიდგომით, ეს არის შემოქმედებითი შემეცნებითი პროცესის მოდელი. მესამე - ინტეგრირებული მიდგომაა, რომლის მიხედვით, სივრცე და აზროვნება ურთიერთდაკავშირებულია და ამ ურთიერთობის გაგებისთვის საჭიროა სოციალური და სივრცითი პრაქტიკის კონკრეტული ნაკრების გამოკვლევა შესაბამის კონტექსტში.

ინოვაციური და სამენარმეო უნივერსიტეტი

თანამედროვე უნივერსიტეტები ეკოსისტემების ჩამოყალიბების გზით მიდის. ეს უკანასკნელი შემოქმედებით სივრცეებს ქმნის ექსპერიმენტებზე ორიენტირებული მიდგომებისა და ინოვაციებზე ორიენტირებული სანარმოებისათვის. ამ გზაზე ხდება სამენარმეო უნივერსიტეტების ჩამოყალიბება, რაც განპირობებულია იმით, რომ უნივერსიტეტის ეკოსისტემა ხელს უწყობს ინტერდისციპლინარული სივრცის ორგანიზებას, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, აკადემიური და ბიზნეს პარტნიორობის დაკავშირებს ერთმანეთთან. აქ, ცოდნა შემოქმედების მეშვეობით გადაიქცევა ინოვაციად, ხოლო ახალი კომერციული, სოციალური, პოლიტიკური წამონყებები გადის აკადემიური გარემოს საზღვრების მიღმა.

ამგვარად, უნივერსიტეტების მისია ფართოვდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევებთან ერთად, მათი ამოცანა ხდება საზოგადოების გარდამქმნელი სოციალური და ეკონომიკური ინიციატივები. სამენარმეო უნივერსიტეტის განვითარება ხელს უწყობს ჰარმონიულ კავშირს სამეცნიერო კვლევებსა და აკადემიურ მენარმეობას შორის, ხოლო მის ეკოსისტემას კი შეუძლია, ისე გაზარდოს კომერციული პოტენციალის მქონე სამეცნიერო აღმოჩენების რესურსი, რომ ის იქნება მეტად სიცოცხლისუნარიანი ბიზნესი [10, გვ. 13-23].

ინოვაციური და სამენარმეო უნივერსიტეტი წინასწარ უნდა საზღვრავდეს და მისდევდეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში არსებულ ეკონომიკურად მნიშვნელოვან ნოვა-

ციას, რათა სწრაფად და მოქნილად შეცვალოს სამე-
წარმეო საქმიანობის სფეროები და მოახდინოს მათი
დივერსიფიკაცია, ანუ მუდმივად იმყოფებოდეს დი-
ნამიური თვითგანახლების მდგომარეობაშია. ასეთი
უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანესი თვისება არის
**სტუდენტების კომპეტენციების გაფართოება რო-
გორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ სფეროში და
მათი ჩართვა უშუალო ეკონომიკურ საქმიანობა-
ში.**

უნივერსიტეტი 3.0 მოდელზე გადასვლის სტრა-
ტეგიაში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი კომპონენ-
ტები: **1) სოციალურ-აკადემიური** - უნივერსიტეტის
სტრუქტურის ტრანსფორმაცია; (ცვლილებები აკა-
დემიურ გარემოში, საგანმანათლებლო პროცესსა
და პედაგოგიურ საქმიანობაში; **2) სამეცნიერო-ინ-
ოვაციური** - კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრე-
ბის ფორმირება, ღია ინოვაციების სისტემის განვი-
თარება, „უნივერსიტეტი ინოვაციურ-სამეწარმეო
ეკოსისტემის ცენტრში“ კონცეფციის რეალიზაცია; **3) ეკონომიკური** - შრომის ბაზარის მოთხოვნებზე
სწრაფი და მოქნილი რეაგირება, ქსელური ეკონო-
მიკის პრინციპებზე ორიენტაცია, ინტელექტუალური
საკუთრების მართვა.

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვი-
თარებას უნივერსიტეტი 3.0 არა მარტო კადრებით ან
სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციით უწყობს ხელს,
არამედ მისი როლი უფრო მეტად ინოვაციური ტიპის
სპეციალისტების აღზრდაში მდგომარეობს, რომ-
ლებსაც აქვთ კომპეტენცია კვლევადან უშუალოდ
დამუშავებასა და შემდგომ კი, კომერციალიზაციაზე
გადავიდნენ.

უნივერსიტეტის 3.0 სოციალური როლი გულისხ-
მობს ცოდნის საზოგადოების საბაზისო სტრუქ-
ტურების შექმნას. უნივერსიტეტი 3.0 ხდება ეროვნუ-
ლი ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანო-
ბის საფუძველი, ხოლო მისი სამეწარმეო ეკოსისტემა
ქმნის ახალ, მრეწველობის სწრაფადმზარდ დარგებს,
პერსპექტიულ ტექნოლოგიურ ბაზრებს, ეკონომი-
კურად წამყვან ადმინისტრაციულ და ტერიტორიულ
სივრცეებს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Cole J.R. (2010). The great American university: Its rise to preeminence, its indispensable nation role, why it must be protected. N. Y.: Public Affairs. Dutta
2. EUA (2003). Response to the communication from the Commission “The role of the universities in the Europe of knowledge”. Brussels: European University Association
3. CEC (2006). Delivering on the modernisation agenda for universities: Education, research and innovation. Brussels: Commission of the European Communities
4. Lane J. E. (2013). Higher education system 3.0: Adding value to states and institutions. In: J. E. Lane, D. B. Johnstone (eds.). Higher education system 3.0: Harnessing systemness, delivering performance. Albany, NY: SUNY Press
5. (Индекс экономики знаний. Гуманитарная энциклопедия [Электронный ресурс] // Центр гуманитарных технологий, 2006–2017 (последняя редакция: 30.09.2017). URL: <http://gtmarket.ru/ratings/knowledge-economy-index/knowledge-economy-index-info>)
6. “startup saqarTvelos” 20 gamarjvebuli startapi, <https://www.marketer.ge/startup-georgia-winners-2016/>
7. Карпов А. О. (2014). «Товаризация» образования против общества знаний // Вестник Российской академии наук. Т. 84. № 5; Карпов А. О. (2017) Современный университет как драйвер экономического роста: модели и миссии, Вопросы экономики.. № 3
8. Ferlie E., Musselin C., Andresani G. (2009). The governance of higher education systems: A public management perspective. In: C. Paradeise, E. Reale, I. Bleiklie, E. Ferlie (eds.). University governance: Western European comparative perspectives
9. Скотт Р. (2009). Инновационная стратегия Великобритании // Форсайт. Т. 3. № 4. С. 16—21. [Scott R. (2009). Innovative strategy in the Great Britain. Foresight, Vol. 3, No. 4
10. Curley M., Formica P. (2013b). Introduction. In: M. Curley, P. Formica (eds.). The experimental nature of new venture creation: Capitalizing on open innovation 2.0. N. Y.: Springer.

განათლება - ქვეყნის საინვესტიციო
მიზიდველობის უნივერსალური ფაქტორი

რევაზ შენგელია,
ემდ, სტუ პროფესორი
ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია,
ემდ, სტუ პროფესორი;
ნათია შენგელია,
ედ, სტუ ასოცირებული
პროფესორი, ოქსფორდის უნივერსიტეტის
ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

EDUCATION-THE SIGNIFICANT FACTOR
FOR INVESTMENT ATTRACTIVENESS OF A
COUNTRY

Revaz Shengelia, PhD, GTU, Professor,
Jujuna Tsiklauri-Shengelia, PhD, GTU, Professor,
Natia Shengelia, PhD, GTU Associate Professor
Oxford Brookes University Graduate, Business Faculty

RESUME

In a rapidly changing competition, the country needs to develop faster in order to become attractive for investment. Truly, there exist some hindering factors that can not be solved in the short term. But there are some problems that can be eradicated in a short time. Among such factors, the education plays a decisive role. Therefore, it is necessary in this area the followings: to carry out reforms; to create an innovative atmosphere for the implementation of the continuing education system that should ensure to update constantly the knowledge received in educational institutions, to increase the overall level of education in the country. For this, there should be many private initiatives, less regulations from the state and spending finances reasonably, in the right direction, like targeted expenditure etc.

Key words: Investment, Attractive investment environment, Investment policy, Continuing education, Human Capital.

* * * *

საინვესტიციო მიზიდველობა საკმაოდ სუბიექტური ცნებაა. ამიტომაც საჭიროა ვიცოდეთ რა ხდის ქვეყანას ინვესტირებისათვის მიმზიდველად, უნდა გაირკვეს თუ რა აინტერესებს უცხოელ ინვესტორებს, რა შეუძლია ჩვენს ქვეყანას და რა გვაქვს გასაკეთებელი.

ისმება კითხვა-რატომ უნდა გავხადოთ საქართველო ინვესტირებისათვის ყველაზე მიმზიდველ ქვეყნად?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თუ გვინდა ქვეყანა წინ წავიდეს, განვითარდეს, აუცილებელია იგი გახდეს

მიმზიდველი, უწინარეს ყოვლისა, ინვესტირებისათვის, ბიზნესის კეთებისათვის. და ეს ყველაფერი უნდა მოხდეს უმოკლეს დროში, რადგან დროის ფაქტორი ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ხშირად ამბობენ, რომ იბერია ერთ დროს გაბრწყინდებო, მაგრამ ამას შეიძლება ათასი, ორი ათასი წელი დასჭირდეს. სწორედ ამიტომ საჭიროა ქვეყნის სწრაფი განვითარება. სხვა გზა სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში უბრალოდ არა გვაქვს;

მეორე, ბიზნესისათვის, ინვესტირებისათვის მიმზიდველი გარემო ზოგადად რომ ვთქვათ, ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკა ვითარდება სწრაფად, სამუშაო ადგილები იქმნება, უპირველეს ყოვლისა, კერძო სექტორში, ანუ ბიზნესში და არა სახელმწიფო სექტორში. სხვანაირად რომ ვთქვათ, სამუშაო ადგილების ზრდა ბიზნეს სექტორში უფრო სწრაფად უნდა ხდებოდეს, ვიდრე სახელმწიფო სექტორში;

მესამე, საქართველო ინვესტირებისათვის ყველაზე მიმზიდველი იმიტომ უნდა გახდეს, რომ ჩვენ ვართ ღარიბი ქვეყანა. სიღარიბის გამო არ იქმნება კაპიტალი, რომელიც საკმარისი იქნება საინვესტიციო საქმიანობისათვის. მოსახლეობის არსებული შემოსავლები კი თითქმის მთლიანად იხარჯება მიმდინარე საჭიროებებზე და ვერ ხერხდება რაღაც ნაწილის გადადება, დაზოგვა მომავლისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ღარიბი ქვეყანა ვართ, ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის საჭიროა სხვა მდიდარ ქვეყნებში უცხო ადამიანების მიერ გაკეთებული დანაზოგები მოვიზიდოთ, მაგალითად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით. ე.ი. ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის გადამწყვეტი ფაქტორი დროა: შეგვიძლია განვითარდეთ სწრაფად და გავხდეთ განვითარებული ქვეყანა ცხოვრების იმ დონით როგორც ჩვენ გვსურს, ან განვითარდეთ იმ ტემპით, როგორც დღეს არის (2.5-4.5 %), რაც არაფერს არ ნიშნავს. ამ ტემპით ეკონომიკური ზრდისას საქართველოს დასჭირდება საუკუნე მიაღწიოს ევროპის განვითარებული ქვეყნების დონეს და ადვილი წარმოსადგენია საუკუნის შემდეგ ევროპის ეს ქვეყნები რა დონეზე იქნებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ დაბალი ეკონომიკური ზრდა აქვთ.

მართალია, არსებობს შემაფერხებელი ფაქტორებიც, რომელთა გადაჭრა მოკლევადიან პერსპექტივაში შეუძლებელია. მაგრამ არსებობს ისეთი პრობლემებიც, რომელთა აღმოფხვრაც მოკლე დროშიც შესაძლებელია. მაგალითად: ინფრასტრუქტურის შედარებით მოკლე დროში განვითარება; სახელმწიფო ბიუროკრატის შენახვაზე ნაკლები ფულის ხარჯვა და ეკონომიკისათვის მეტი ფულის დატოვება; ნაკლები ვალების აღება; მიმოქცევაში სანდო ფულის არსებობა; სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ქონების (მინა, უძრავი ქონება და ა.შ.) პრივატიზაცია; ეკონომიკის დეკრიმინალიზაცია; სოციალური დახმარების ეფექტიანი სისტემა; მუშაკის კვალიფიკაციის, საერთოდ, **განათლების დონის** ამაღლება, ე.ი., ადამიანისეული კაპიტალის განვითარების ხარისხობრივი დონე და ა.შ.

ზემოაღნიშნული თითოეული ფაქტორი, რსაკვირველია, საინვესტიციო მიზიდველობისათვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ფაქტორებს შორის, როგორც ამას მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, მაინც უმნიშვნელოვანესია და გადამწყვეტი როლი ენიჭება **განათლებას** (ნებისმიერ ინვესტორს ურჩევნია ფული დააბანდოს ისეთ ქვეყანაში, სადაც სამუშაო ძალა უფრო კვალიფიციურია, კონკურენტუპირატესობის მატარებელია, მისი დაქირავება უფრო იოლია იმ საქმის შესასრულებლად, რა საქმის გაკეთებაც ინვესტორს ადვილზე სურს. ამ მხრივ კი ჩვენში პრობლემებია, თუმცა რაღაც ვადებში გამოსწორებადი). აუცილებელია ამ სფეროში **რეფორმა**, ინოვაციური ატმოსფეროს შექმნა უწყვეტი განათლების სისტემის დასაწინააღმდეგებლად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნის გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება. ამისათვის კი საჭიროა ბევრი კერძო ინიციატივები, ნაკლები რეგულაციები სახელმწიფოს მხრიდან და ფინანსების სწორი მიმართულებით, მიზნობრივი ხარჯვა და ა.შ.

განათლების სფეროში პრობლემა იმაშია, რომ აქ არ არის ნამდვილი კონკურენცია. არადა კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა მიმართულებით უნდა არსებობდეს. ფაქტიურად კონკურენცია არსებობს კერძო და საჯარო სკოლებს, სასწავლებლებს, ინსტიტუტებს შორის, მაშინ როცა **კონკურენცია სინამდვილეში უნდა იყოს სახელმძღვანელოებს, მასწავლებლებს, სასწავლო პროგრამებს, სწავლების მიდგომებსა და მეთოდებს შორის**. სამწუხაროდ ასეთი კონკურენციის ნაკლებობა სახელმწიფო რეგულაციების სიჭარბის გამო. ფაქტიურად განათლების სისტემა ზოგჯერ წააგავს საბჭოთა სისტემას ოდნავი ცვლილებებით. სკოლებში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მსჯელობა იგივე პრობლემებზე, რაც იყო სსრკ-ის დროს.

ეს იმაზე მიუთითებს, რომ განათლებაზე დახარჯული ფულით ვერ ვალწვეთ იმ მიზანს, რა მიზანსაც ვისახავდით. საშუალო განათლება ნაკლებად უშვებს სკოლიდან გონებაგახსნილ, ახალი კრიტიკული, კრეატიული აზროვნების უნარიან ახალგაზრდებს. უმაღლესი განათლების სისტემაც ნაკლებად ამზადებს კადრებს, რომლებიც აღჭურვილი არიან ისეთი ცოდნითა და უნარებით, რომელიც მათ საშუალებას მისცემს საზოგადოებაში იარსებონ, დასაქმდნენ თავისუფლად, იყვნენ კონკურენტუნარიანობის მატარებელი მუშაკები ქვეყანაში და საერთაშორისო მასშტაბით, ასეთი კადრები კი ნაკლებად შექმნის ახალს, ხოლო ვინც არ ქმნის რაიმე ახალს, ის მხოლოდ სხვის მიერ შექმნილს იმეორებს და/ან მოიხმარს [3. გვ. 9.]. ყოველივე ამის გამო ჩვენ ვამდიდრებთ იმ “სხვას”, ამით, ნებისთი თუ უნებლიედ ხელს ვუწყობთ ჩვენი ქვეყნის სულ უფრო ჩამორჩენას და გაღარიბებას. როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე თავის დროზე აღნიშნავდა, “ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არ ყავს”. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ შემოქმედ, მცოდნე, არატრადიციულ, არასტანდარტულ, ახლებური აზროვნების, უფრო სწორად კრეატიული კონკურენტუნარიანი ცოდნის მატარებელ მუშაკს შეუძლია უშუალოდ შექმნას ახალი, სხვისგან განსხვავებული პროდუქტი [4. გვ. 18.].

ასეთი დონის კონკურენტუნარიანი ცოდნა განსაკუთრებით საჭიროა საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას, მაშინ, როცა საკითხი ინვესტიციების მიმართულებების განსაზღვრას ეხება, რა დონეზეც არ უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების მიღება. ყოველგვარი ინვესტიცია როგორ შეიძლება ეკონომიკური და სოციალური შედეგების მომტანი იყოს; ინვესტირებისას გამორიცხული არ არის სერიოზული ხარვეზებიც. ფირმამ (თუ პიროვნებამ), სახელმწიფო დაწესებულებამ ინვესტიციების მიმართულებების განსაზღვრისას შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვას, მაგალითად, დააფინანსოს ისეთი უპერსპექტივო ტექნოლოგია (თუნდაც ისეთი, რომელიც შეიძლება ეკონომიკურად არ იყოს ნამგებიანი, მაგრამ სოციალური შედეგიანობის - ეკოლოგიური, უსაფრთხოების თვალსაზრისით- იმიჯის შემლახველი), საქმიანობა, რომელიც მოგების მატების ნაცვლად ინვესტორს გააკოტრებს, იმიჯს დაუკარგავს. ყოველივე ამის მიზეზია გადაწყვეტილების მიმღების არაკომპეტენტურობა, ან არასწორი ინფორმაცია ეკონომიკის, დარგის თუ კონკრეტულად ამა თუ იმ საქმიანობის შესახებ, მაგ., ტექნოლოგიის ნამდვილ სარგებლიანობაზე, ალტერნატიულ შესაძლებლობებზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, მას არ აღმოაჩნდა ადამიანისეული კაპიტალისათვის აუცილებელი **ცოდნა და უნარი**, რომელიც საჭიროა კომპეტენტური გადაწყვეტილების მისაღებად. შეცდომით გაცემული ინ-

ვესტიციები კი სოციალურ-ეკონომიკური მომგებიანობის საწინააღმდეგო მოვლენაა, ეს ფაქტობრივად რესურსების უაზრო ხარჯვაა. ასე, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას-ახალ ტექნოლოგიებზე, სამეურნეო კონიუნქტურის პერსპექტივებზე, მოთხოვნის მომავალ ცვლილებებზე და ა.შ., უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფისათვის. ეს ეხება როგორც უშუალოდ კომპანიის ხელმძღვანელობას, ასევე მასში მომუშავე მთელ პერსონალს: რაც უფრო კვალიფიციური და ახალი ტექნიკის ათვისებისათვის მომზადებული, კომპეტენტური სამუშაო ძალა იქნება მოზიდული ფირმაში, მით უფრო გარანტირებული და მყარი იქნება: სიახლეების სწორად (მედეგიანად) კრეატიულად გამოყენება და არა სხვის მიერ უკვე შექმნილის ავტომატურად გადმოღება, მექანიკურად განმეორება; შრომის მწარმოებლურობის ზრდა და წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი, შესაბამისად, ფირმის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური წარმატებები, იმიჯი [5.გვ.37-38].

ამრიგად, სწრაფცვალებად კონკურენციის პირობებში ქვეყანა რომ ვაქციოთ ინვესტირებისათვის მიმზიდველად, აუცილებელია შეიქმნას ინოვაციური, კრეატიული ატმოსფერო უწყვეტი განათლების სისტემის დასაწერგად, რომელმაც უნდა უზრუნვე-

ლყოს საგანმანათლებლო დანესებულებებში მიღებული ცოდნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის კვალდაკვალ გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება. ყოველივე ამისათვის საჭიროა ბევრი კერძო ინიციატივები, ნაკლები რეგულაციები სახელმწიფოს მხრიდან და ფინანსების სწორი მიმართულებით, მიზნობრივი ხარჯვა. ე.ი. საბოლოო ჯამში, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის მიზანია განათლება როგორც ბიზნესი ნაკლებად პრიორიტეტული იყოს და იგი უფრო მეტად გახდეს საზოგადოებრივი სიკეთე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა., კერესელიძე დ. ინვესტიციების ზოგიერთი აქტუალური საკითხი საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა“, № 9-10, 2011;
2. ჟურნალი „ეკონომიკა“, №3-4, 2016წ.;
3. გ. ჯოლია. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ., 2015წ.;
4. ჟურნალი „ეკონომიკა“, №5-6, 2014წ.;
5. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №3, 2016წ.;
6. Guenter Faltin, Kopf Schlaegt Kapital, Carl Hanser Verlag, Munchen, 2008.

სამკანონო ინჟინერიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებისადმი მიღბოვის თანაგვაროვნე ასაქმება

მაია გრძელიძე
ნანა თხელიძე

THE MODERN ASPECTS OF APPROACH TO EDUCATIONAL PROGRAMS OF INDUSTRIAL ENGINEERING DIRECTION

Maia Grdzeldze,
Nana Tkheldze

The article is about the searching of the ways to preserve educational programs of industrial engineering, which are now implemented in regional universities but turned into diminishing ones. The purpose is to be able to save highly profitable fields, which are vital for the country, using the intellectual potential of the regions.

Keyword: Industrial Engineering, Financing Education Programs, Intellectual Potential.

საკვანძო სიტყვები: სამრეწველო ინჟინერია, ფინანსირებადი საგანმანათლებლო პროგრამები, ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენება.

ქვეყანაში აღინიშნება სოციალური, ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების აღმავლობა, რაც საგრძნობლად გვაახლოებს მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებთან. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა წინაპირობა იქნება მაღალ-განვითარებულ ქვეყნებთან ინტეგრაციის დაჩქარების პროცესში. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა ხალხის დასაქმება და შესაბამისად მათი კეთილდღეობის ამაღლება. როგორც ცნობილია ადამიანთა დასაქმების საუკეთესო საშუალება ქვეყანაში სამრეწველო წარმოების განვითარება და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაა.

მომხმარებელი სამართლიანად უყენებს სერიოზულ პრეტენზიებს ადგილობრივ სამრეწველო წარმოების დარგებს. არაკეთილხარისხოვანი, თანამედროვე დონისათვის შეუფერებელი დაბალი ხარისხის ნაწარმის გამოშვება სახალხო მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს. სამწუხაროა, რომ საწარმოებში ადგილი აქვს ტექნიკური პირობების და სტანდარტების დარღვევას, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, ანალიზი არ უკეთდება დეფექტების გამომწვევ მიზეზებს.

პროდუქციის ხარისხის ამაღლება ეკონომიკური ძლიერების შემდგომი ზრდის მძლავრი რეზერვია. ხარისხის მაჩვენებლები იცვლება საზოგადოების პროგრესთან ერთად. ამიტომ პროდუქციაზე ხდება მიმდინარე, პერსპექტიული, საერთო და სპეციფიკური მოთხოვნების ჩამოყალიბება. ყველა სახის მოთხოვნების დაკმაყოფილება უზრუნველყოფს გამომწვევული პროდუქციის საიმედოობას, მოხერხებულობას ექსპლუატაციის პროცესში, რემონტის შესაძლებლობას და სიმარტივეს. ესთეტიკური, ჰიგიენური, სოციალური, ფუნქციური, ერგონომიკური (ანთროპო-

მეტრიული, ფიზიოლოგიური, ფსიქოფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ჰიგიენური მოთხოვნები), ტექნოლოგიური, ეკონომიკური მოთხოვნები და საქონლის ხანგამძლეობა მუდმივ კონტროლს საჭიროებს.

საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების რეალურ ბერკეტს წარმოადგენს მის მიერ სრულყოფილი პროდუქციის, მისი ხარისხის კონტროლის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა. ხარისხის და კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემა საკვანძო ხდება ქვეყნის საწარმოებისათვის, რომლებსაც აქვს ბიზნესის სტრატეგიული საკითხებისადმი და ხარისხის პრობლემებისადმი ინტერესების ზრდის უნარი. ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების მთავარი გარანტი მომხმარებელი ქვეყნიდან მწარმოებელ ქვეყნად გარდაქმნაა, იმპორტს უნდა ჭარბობდეს ექსპორტი, მოგებას უნდა ტოვებდეს წარმოება და არა მხოლოდ ვაჭრობა.

დღეს, 1990 წელთან შედარებით სამრეწველო საწარმოების (ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ტექსტილის წარმოება) სიმძლავრეები 10-ჯერ და მეტად შემცირდა (მაგალითად: ფეხსაცმლის წარმოება წელიწადში 17,5 მლნ წყვილიდან 1,6 მლნ წყვილამდე შემცირდა). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მცირე საწარმოთა ჩამოყალიბების შემდეგ ქვეყანაში დამზადებული ფეხსაცმლის 75% ქუთაისში მზადდება. მსუბუქი მრეწველობის, განსაკუთრებით ფეხსაცმლის წარმოების განვითარებისათვის ქვეყანაში ტყავენდლეულის დიდი რესურსია, რომელიც მიზერულ თანხად გაედინება ქვეყნის გარეთ. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამ დარგის გადარჩენაზე, მით უმეტეს, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე მსუბუქი და კვების მრეწველობის ხვედრითი წილი ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში 37,5% იყო, და ამ საწარმოებში დასაქმებული იყო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ქვეყანაში ჯერ კიდევ ფუნქციონირებს ასეულობით ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და ტექსტილის მცირე და საშუალო სიმძლავრის წარმოება, რომელთა მიერ მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე ყოველწლიურად იზრდება, რადგან წარმოების მიერ ორიენტაციის აღება ნაწარმის ხარისხისადმი თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხოურ ბაზარზე გასვლისათვის.

ფეხსაცმელი და ტანსაცმელი პირადი მოხმარების ნაკეთობებს შორის ყველაზე მოთხოვნადი და ადამიანის ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ნაკეთობაა [1, 2], რომლის ხარისხს და ვარგისიანობას განაპირობებს თვისებების კომპლექსი, რომელიც ამ დარგის სპეციალისტების წინაშე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გარდა მაღალკვალიფიციურ თეორიულ ცოდნას მოითხოვს. ამ მიზნის მიღწევა კი კვალიფიციური სპეციალისტის გარეშე შეუძლებელია. შედეგზე ორიენტირებული ცოდნის მიცემის სისტემის შექმნა და პრაქტიკული რეალიზაცია დამოკიდებულია დარ-

გის სპეციალისტების კვალიფიკაციაზე და მუდმივი სწავლის და შემოქმედებითი უნარის სრულყოფის ნიჭზე, მათ მიერ პროდუქციის ხარისხის პრობლემის გადაჭრის საქმეში რეალურ (მეცნიერული მიღწევებით) ჩაბმაზე. დარგში მიმდინარე ტექნოლოგიური, კონსტრუქტორული, ესთეტიურ-უტილიტარული და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ კადრების ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლებისათვის პრაქტიკული, მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული ცოდნის გაზიარება აუცილებელი მექანიზმია, რათა მათ მიერ შექმნილი პროდუქცია გაუთანაბრდეს ევროპულ სტანდარტებს და მიმზიდველი გახდეს უცხოელი მომხმარებლისათვის. ამასთან, კავშირების გაფართოება მოწინავე ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან და წარმატებულ ბიზნესმენებთან – პოტენციულ ინვესტორებთან – ამ დარგის აღორძინების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ცნობილია, რომ ქვეყნის ბაზრები გაჯერებულია იმპორტირებული, მდარე ხარისხის პროდუქციით, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა დამზადებულია არაჰიგიენური მასალებისაგან, ამასთან, ქართველი მოსახლეობის ანატომიურ-მორფოლოგიური აგებულების სრული იგნორირებით, რომლის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე საგანგაშოდ უარყოფითია [1, 2]. ქვეყანაში არ ხდება შემოტანილი ნაკეთობების ხარისხობრივი - კონსტრუქტორულ-ტექნოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა - პროფესიონალ ექსპერტ-სპეციალისტთა და ექსპრეტიზისათვის საჭირო სპეცლაბორატორიის არარსებობის გამო.

თუ დღეისათვის ადგილზე შევძლებთ ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებით, მივიღებთ ყოველდღიური მოხმარებისათვის სრულყოფილ, ოპტიმალურ ნაკეთობას, ასევე საუკეთესო სპეცეკიპირებას ქართველი ჯარისკაცებისათვის და სხვა სპეციალური საჭიროებისა და მოთხოვნილების მქონე მომხმარებლებისათვის, მოხდება მრავალი ადამიანის დასაქმება, შემცირდება ქვეყნიდან ვალუტის გადინება, განვითარდება ამ წარმოებების თანმდევი ინფრასტრუქტურა (ტყავის, რეზინის, ლითონური და საფეიქრო ფურნიტურის, სხვადასხვა სახის ნებოების წარმოებები), განვითარდება მეცნიერება, გაუმჯობესდება სასწავლო პროცესი, საგრძობლად გაიზრდება ქალაქის ბიუჯეტი და სხვა. ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების სფეროში დიდია საზღვარგარეთელ ინვესტორთა და მწარმეთა ინტერესი და აქტიურობა რეგიონებში ერთობლივი წარმოებების დაფუძნების მიმართ. ადგილზე წარმოებული პროდუქციით მარაგდება არა მარტო საქართველოს, არამედ ახლო საზღვარგარეთის ბაზრებიც.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე აუცილებელია მეცნიერთა და ტექნიკური დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ერთობლივი თანამშრომლობა, ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის შესაქმნელად, რათა საქართველოში შესაძლებელი გახდეს მეცნიერული კვლევებისა და საცდელი ექსპლუატაციის ანალიზის შედეგებზე დაყრდ-

ნობით შემუშავებული ოპტიმალური სამრეწველო ნაწარმის (მოთხოვნის მიხედვით) წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების ადგილზე დანერგვა და ლაბორატორიული ბაზის სრულყოფა. რის შედეგად დამზადებული პროდუქცია თავისი ხარისხით, ტექნიკური და სამომხმარებლო მახასიათებლებით იქნება საზღვარგარეთელი ანალოგების დონის და ღირებულებით მათზე გაცილებით დაბალი ფასის. ქ. ქუთაისში უნდა მოხდეს ხელშეწყობა და შესაბამისი გარემოს შექმნა სხვადასხვა დანიშნულების მაღალხარისხოვანი სამრეწველო ნაწარმის დამზადებისათვის, რომლის განხორციელების ინტელექტუალური პოტენციალი ჩვენს უნივერსიტეტში არსებობს გამოცდილი და პროფესიონალი სპეციალისტების სახით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმებმა, ბოლონის პროცესში ჩართულობამ, ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესებმა საქართველოს უნივერსიტეტებისა და მათ მიერ განხორციელებადი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები გამოიწვია. კიდევ უფრო აქტიურად დაისვა საკითხი შედეგზე ორიენტირებული გარემოსა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების შესახებ.

თანამედროვე ეტაპზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, რადგან უახლესი რეფორმებისა და განვითარების შესაბამისად ქვეყანას თანაბარნილად ესაჭიროება ყველა დარგის მაღალკვალიფიციური კადრი.

2016-2017 სასწავლო წლის მონაცემებით საქართველოში 74 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა (უსდ), მათ შორის 54 კერძო უსდ [4]. არსებული მონაცემების მიხედვით, საჯარო უნივერსიტეტები ახორციელებენ საშუალოდ 4ჯერ მეტ საგანმანათლებლო პროგრამას კერძო უსდებთან შედარებით. კერძო უსდები უფრო „პოპულარულ“ სპეციალობებზე აკეთებენ ფოკუსირებას და არა პროგრამების მრავალფეროვნებაზე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც სწორედ პროგრამების ასეთი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

2012 წლიდან სახელმწიფოს მიერ „პრიორიტეტული“ საბაკალავრო პროგრამების სრული დაფინანსების შედეგად გაიზარდა ახალგაზრდების დაინტერესება მხოლოდ ფინანსირებადი დარგების საბაკალავრო პროგრამების მიმართ. უნივერსიტეტები (განსაკუთრებით დედაქალაქში არსებული საჯარო უსდები) ყოველწლიურად ზრდიან სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსირებადი სპეციალობების მისაღებ კონტიგენტს, რითაც შეიქმნა არაკონკურენტუნარიანი გარემო საბაკალავრო პროგრამებს შორის. მოსახლეობის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, აბიტურიენტების მიერ არჩევანი ძირითადად უფასო სპეციალობებზე კეთდება. შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა არაფინანსირებადი სპეციალობებით სტუდენტთა დაინტერესება და შესაბამის

საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა. არაფინანსირებად საინჟინრო სპეციალობებზე ირიცხება მცირე რაოდენობით სტუდენტები დაბალი საკონკურსო ქულებით, რაც წლების მიხედვით უფრო და უფრო კლებულობს. ყოველივე ზემოთ ნათქვამი ხელს უშლის ქვეყანაში სამრეწველო ინჟინერიის დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების სამომავლოდ მომზადების პროცესს.

რეგიონულ უნივერსიტეტებში სტუდენტთა რაოდენობის შემცირებას დამატებით ხელს უწყობს ორი ფაქტორი: 1. ქვეყანაში მოსწავლეთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება (ცხრილი 1, სურ. 1-ა); 2. უკანასკნელ წლებში გააქტიურებული ურბანიზაციის პროცესი (ურბანიზაცია, არა ზოგადად ქალაქებისაკენ, არამედ მხოლოდ დედაქალაქისაკენ მოსახლეობის აქტიური მიგრაციით, რაც მკვეთრად ამცირებს რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობას (ცხრილი 2, სურ. 1-ბ).

ურბანიზაციის სავალალო შედეგია რეგიონებიდან აბიტურიენტთა და შესაბამისად, სპეციალისტთა თბილისში მიგრაცია და მათი იქ დამკვიდრება. რეალობა გვიჩვენებს, რომ თბილისში სასწავლებლად ნასული ახალგაზრდა რეგიონს აღარ უბრუნდება

დასაქმების პერსპექტივის და დანარჩენი ქალაქებისა და დაბების არასიციოცხლისუნარიანობის გამო, რაც დამატებით უწყობს ხელს რეგიონების კვდობას.



წლების განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ განსხვავებულმა მიდგომებმა, ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებათა დარგების მიმართ განსაკუთრებულმა ყურადღებამ და ამ სპეციალობებზე მისაღები ადგილების დაუსაბუთებლად გაზრდამ, გაქრობის პირას დააყენა სამრეწველო ინჟინერიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც საქართველოს მასშტაბით მხოლოდ ქუთაისში ფუნქციონირებს. ამის ნათელი მაგალითია „მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც ათეული წელია მხოლოდ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს და შესაბამისად, ქვეყანაში ტყავის, სამკერვალო და ტექსტილის ნაკეთობათა ტექნოლოგიის ყველა მეცნიერებათა და აკადემიური დოქტორი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს. ამავე უნივერსიტეტშია საქართველოში ყველაზე სრულყოფილი მატერიალური და სასწავლო-მეთოდური ბაზა, მაღალ დონეზე მიმდინარეობს სამეცნიერ-

ცხრილი 1. საქართველოში მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობა.


წლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ათასი	568.5	559.4	553.0	554.0	553.9	564.7
სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ათასი	95.1	109.5	117.7	124.2	132.9	140.3

ცხრილი 2. საქართველოში სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა.

წელი	სოფლის მოსახლეობა (ათასი კაცი)	სოფლის მოსახლეობა მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში (%)	წელი	სოფლის მოსახლეობა (ათასი კაცი)	სოფლის მოსახლეობა მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში (%)
2001 წ	2121	48,2	2008 წ	2078	47,4
2002 წ	2087	47,7	2009 წ	2076	47,3
2003 წ	2076	47,8	2010 წ	2086	47
2004 წ	2063	47,8	2011 წ	2098	46,9
2005 წ	2064	47,8	2012 წ	2106	46,8
2006 წ	2091	47,5	2013 წ	2073	46,2
2007 წ	2086	47,5	2014 წ	2079	46,3



სურ. 1. საქართველოში მოსწავლეთა (ა) და სოფლის მოსახლეობის (ბ) რაოდენობა.



სურ. 2. სტუდენტთა რაოდენობა წლების მიხედვით.

რო-კვლევითი მუშაობა, რასაც ადასტურებს მრავალრიცხოვანი მოპოვებული სამეცნიერო გრანტები, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პატენტები. დღეს არსებული რეალობა კი ხელს უწყობს სპეციალისტების დეკვალიფიკაციას, ამ მიმართულების სპეციალისტთა საზოგადოების კვალიფიციური ფენა განიცდის დაბერებას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა დასახოს სწორი პოლიტიკა რეგიონალური უნივერსიტეტებისა და იმ საინჟინრო დარგების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ მაღალრენტაბელურ დარგებს და შესაბამისად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისათვის (ისე, როგორც წლების წინ გაკეთდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში).

აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალი მდგომარეობს სასწავლო პროცესებისადმი და რეგიონებში არსებული რეალობისადმი გონივრულ მიდგომაში, რეგიონების გადარჩენაზე ზრუნვაში, ფინანსირებადი სპეციალობების შერჩევასა და დაფინანსების წესის ოპტიმიზაციაში, სახელმწიფოებრივი აზროვნების მობილიზებაში, გაქრობამდე მისული სამრეწველო დარგების შენარჩუნებასა და აღორძინებაში. რეგიონულ უნივერსიტეტებს უნდა მიეცეს ფინანსირებადი ადგილების ქვოტა. უნივერსიტეტმა, რეგიონის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, უნდა გადაანალიზოს დაფინანსებადი ადგილები, არა ე.წ. „პოპულარულ“, არამედ ქვეყნისთვის და რეგიონისთვის საჭირო მიმართულებით. არ შეიძლება პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის დაუსაბუთებელი გაზრდა, რაც წლების შემდეგ დაუსაქმებელი კურსდამთავრებულების სიჭარბეს იწვევს. გონივრულად ფორმირებული კონტიგენტით საგანმანათლებლო პროგრამები აღმოჩნდებიან თანაბარ კონკურენტულ

პირობებში, პროგრამებზე გაიზრდება კონკურენცია აბიტურიენტებს შორის, რაც ხელს შეუწყობს მაღალი საკონკურსო ქულების აბიტურიენტთა თანაბარ განაწილებას პროგრამებს შორის.


ამისათვის აუცილებლად უნდა მოხდეს სკოლის კურსდამთავრებულთა და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები კონტიგენტის დაბალანსება ქვეყნის მასშტაბით. ასევე უნდა დაბალანსდეს მისაღები კონტიგენტი თბილისსა და რეგიონებს შორის. რითაც დაიწყება დეურბანიზაციის პროცესი და არა ახალგაზრდების დედაქალაქში მასიური მიგრაციის ხელოვნური ხელშეწყობა, რასაც თან ახლავს ახალგაზრდების მიერ რეგიონების სრული უარყოფა.

მდგომარეობა პარადოქსალურია, როდესაც ქვეყანაში მოსწავლეთა რაოდენობა კლებულობს (ცხრ.1, სურ.1), ხოლო სტუდენტთა რაოდენობა მატულობს (ცხრ. 1. სურ. 3), ამასთან, სტუდენტების თითქმის ნახევარი ვერ ასრულებს სწავლას და რჩება კვალიფიკაციის გარეშე (სურ. 4). ანუ, ასტრონომიული თანხა იხარჯება არამიზნობრივად, უშედეგოდ, მაშინ, როცა შეიძლებოდა რამდენიმე, ქვეყნისათვის მაღალმოთხოვნადი დარგი განადგურების ნაცლად აღორძინებულიყო.

ვიტოვებთ უდიდეს იმედებს, რომ სტატიაში მოყვანილი პრობლემები მხოლოდ სტატის ავტორების გულისტკივილს არ ასახავს და ოდესმე მიღებული იქნება მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნობრივად სწორი და გონივრული გადაწყვეტილება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება უმაღლესი განათლების სისტემაში დამკვიდრებულ არაკონკურენტულ გარემოში, მიღევადა რეჟიმში გადასული და ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მაღალრენტაბელური სამრეწველო დარგების გადარჩენა.

ლიტერატურა:

1. M. Grdzelidze. The problem of dimensional typology of the foot for the normal functioning of the musculoskeletal system. The Scientific journal: Norwegian Journal of development of the International Science. 2017. Pp. 90-94.
2. M. Grdzelidze. The research of trauma correction of sportsmen foot and means of prevention of it. Scientific Enquiry in the Contemporary World: Theoretical Basics and Innovative Approach. San Francisco, California. 2017. Pp. 120-124.
3. <http://www.geostat.ge/?action=news&lang=geo&nid=1116>



სურ. 4. საქართველოში სტუდენტთა მიღება და კურსდამთავრებულთა რაოდენობა.

რეზიუმე

სტრატეგიის არჩევა ინოვაციური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელმძღვანელისთვის მხოლოდ კარგი პროდუქციის ფლობა არ კმარა. ის ყურადღებით უნდა ადევნებდეს თვალს ახალი ტექნოლოგიების გაჩენას ბაზარზე და გეგმავდეს მათ დანერგვას თავის ფირმაში, რათა არ ჩამორჩეს კონკურენტებს.

სულ უფრო მეტი ფირმა აღიარებს სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობას და აქტიურად ნერგავს მას თავის საქმიანობაში. ეს მზარდი კონკურენტით არის განპირობებული. არ შეიძლება ვიცხოვროთ მხოლოდ დღევანდელი დღით, საჭიროა ცვლილებების განჭვრეტა და შესაბამისად დაგეგმვა, რათა კონკურენტული ბრძოლის პირობებში თავი გავიტანოთ და ეს ბრძოლა მოვიგოთ კიდევ. სტრატეგიის არჩევანთანაა დაკავშირებული კვლევების ჩატარების გეგმის შემუშავება და ინოვაციური საქმიანობის სხვა ფორმების დაგეგმვა.

MEANING OF INNOVATIVE STRATEGY AND DEVELOPMENT

Ketevan Kitsmarishvili
Associate Professor of GTU

Summary

Choosing a strategy is the most important component of innovative management. In the conditions of market economics, only owning good production for the manager is not enough. He has to watch carefully appearance of new technologies on the market and plan their introduction in his firm, so as not to lag competitors. More and more firms recognize necessity of strategic planning and actively introduce it in business activities. This is due to the growing competition. We cannot live only for today, we have to foresight changes and plan appropriately, so as in the competitive conditions in order to fight this battle to win it. To the strategy choice is related working out the plan of making researches and introduction of other forms of innovative activities too.

ინოვაციური საქმიანობის წარმატების საწინდარი სტრატეგიის სწორი არჩევანია. თუ ფირმა წინასწარ ვერ განსჭვრეტს მოსალოდნელ ცვლილებებს და ვერ მოახდენს მათზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებას, ის შესაძლოა კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდეს.

სტრატეგიის არჩევა ინოვაციური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელმძღვანელისთვის მხოლოდ კარგი პროდუქციის ფლობა არ კმარა. ის ყურადღებით უნდა ადევნებდეს თვალს ახალი ტექნოლოგიების გაჩენას ბაზარზე და გეგმავდეს მათ დანერგვას თავის ფირმაში, რათა არ ჩამორჩეს კონკურენტებს.

სტრატეგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც გადანყვეტილებათა მიღების პროცესი. ორივე შემთხვევაში გვაქვს მიზნები (ობიექტები) და საშუალებები, რომელთა საფუძველზე და მეშვეობით მიიღწევა დასახული მიზანი (მიიღება გადანყვეტილება).

სტრატეგია ეს არის კონკრეტული საწარმოს (ფირმის) სიცოცხლისუნარიანობის გაზრდისკენ გადადგმული, ლოგიკურ ერთიანობაში მოყვანილი გარკვეული ნაბიჯების ერთობლიობა.¹ ეს არის ყოველმხრივ დასახული მიზნების მისაღწევად კომპლექსური დეტალური გეგმა.

სულ უფრო მეტი ფირმა აღიარებს სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობას და აქტიურად ნერგავს მას თავის საქმიანობაში. ეს მზარდი კონკურენტით არის განპირობებული. არ შეიძლება ვიცხოვროთ მხოლოდ დღევანდელი დღით, საჭიროა ცვლილებების განჭვრეტა და შესაბამისად დაგეგმვა, რათა კონკურენტული ბრძოლის პირობებში თავი გავიტანოთ და ეს ბრძოლა მოვიგოთ კიდევ. სტრატეგიის არჩევანთანაა დაკავშირებული კვლევების ჩატარების გეგმის შემუშავება და ინოვაციური საქმიანობის სხვა ფორმების დაგეგმვა.

სტრატეგიული დაგეგმვა ორ ძირითად მიზანს ისახავს:

1. **რესურსების ეფექტური განაწილება და გამოყენება.** ეს არის ე. წ. შიდა სტრატეგია. ასეთ დროს იგეგმება შეზღუდული რესურსების გამოყენება (მაგალითად, კაპიტალის, ტექნოლოგიის, პერსონალის). გარდა ამისა ხორციელდება საწარმოთა შეძენა სხვა ახალ დარგებში, ხდება საწარმოთა ეფექტური „პორტფელის“ ფორმირება.

2. **გარემოსთან ადაპტაცია.** იგი მიზნად ისახავს გარე ფაქტორების ცვლილებებისადმი ეფექტურ შეთანაწყობას. იგულისხმება ეკონომიკური ცვლილებები, პოლიტიკური და დემოგრაფიული სიტუაცია და სხვა.

¹ პირტახია ი., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2013, გვ. 5.

სტრატეგიული დაგეგმვა ემყარება მთელი რიგი კვლევების ჩატარებას, მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, რათა არსებობდეს ბაზრის მუდმივი კონტროლის შესაძლებლობა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიოში სიტუაცია ელვისებური სისწრაფით იცვლება. შესაბამისად, სტრატეგია ისე უნდა შემუშავდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ის ჩანაცვლდეს მეორეთი.

სტრატეგიის შემუშავება იწყება ორგანიზაციის საერთო მიზნების ჩამოყალიბებით, რაც ცხადი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის. მიზნების დასახვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარე გარემოსთან, ბაზართან და მომხმარებლებთან ფირმის კავშირურთიერთობაში.

ორგანიზაციის ზოგადი მიზნები ითვალისწინებს:

- ფირმის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
 - მუშაობის პრინციპებს გარე ფაქტორებთან მიმართებაში (ვაჭრობის პრინციპები, მომხმარებელთან დამოკიდებულება, საქმიანი კავშირების წარმართვა);
 - ორგანიზაციის ტრადიციებს, კულტურას, სამუშაო კლიმატს.
- მიზნის დასახვის დროს საჭიროა ორი ასპექტის გათვალისწინება: ვინ არიან ფირმის კლიენტები და მათი რა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია ფირმას.
- ზოგადი მიზნების (მიზნის) დასახვის შემდეგ იწყება მეორე ეტაპი – მიზნების დაკონკრეტება. შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი მიზნები:
- **პირველი მიზანი** – მოგების მიღება — მიმდინარე წელს მიღწეულ იქნას წმინდა მოგება 5 მლნ ფულადი ერთეული.
 - **მეორე მიზანი** – ბაზრების ათვისება — ბაზრის წილი გახდეს 20% ან გაყიდვების მოცულობა გაიზარდოს 40 ათას ერთეულამდე.
 - **მესამე მიზანი** – მწარმოებლურობის ზრდა – ერთ თანამშრომელზე საშუალოდ ერთ საათში უნდა იწარმოებოდეს 8 ერთეული პროდუქცია.
 - **მეოთხე მიზანი** – პროდუქცია (გამოშვების მთლიანი მოცულობის ზრდა, ახალი პროდუქციის წარმოება ან ზოგიერთი მოდელის წარმოებიდან ამოღება და სხვ.).
 - **მეხუთე მიზანი** – ფინანსური რესურსები (კაპიტალის ზრდა და მასში საკუთარი და სასესხო კაპიტალის თანაფარდობის შეცვლა, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის დაჩქარება და სხვა).
 - **მექვსე მიზანი** წარმოების სიმძლავრის მატება (მაგალითად, ახალი სასაწყობო ნაგებობის აშენება მთლიანი ფართობით 4000 მ²).
 - **მეშვიდე მიზანი** – სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-კონსტრუქტორული სამუშაოები და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა (ძირითადი მაჩვენებლები, ტექნოლოგიური მახასიათებლები, ღირებულება, დანერგვის ვადები).
 - **მერვე მიზანი** – ცვლილებები ორგანიზაცი-

ის სტრუქტურასა და საქმიანობაში (მაგალითად, ფირმის წარმომადგენლობის გახსნა განსაზღვრულ რეგიონში).

➤ **მეცხრე მიზანი** – ადამიანური რესურსის მართვის ხარისხის ამაღლება (გამოყენება, მობილობა, მოძრაობა, სწავლება და ა. შ.).

➤ **მეათე მიზანი** – სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება (მაგალითად, გამოიყოს გარკვეული ფინანსები თანამშრომელთა ბავშვებისთვის საბავშვო ბაღის მოსაწყობად).

დასახული მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი მოთხოვნები:

- მიზნის ზუსტი და კონკრეტული ფორულირება, რომელიც კონკრეტულ საზომ ერთეულში (ფულადი, ნატურალური ან შრომითი) იქნება გამოხატული.
 - დროში შეზღუდვა, დათქმული ვადების დაცვა (მაგ.: ახალი მოდელის სერიული წარმოების გამართვა მესამე კვარტალის ბოლოს).
- მიზნები შესაძლებელია იყოს გრძელვადიანი (10 წლამდე), საშუალო ვადიანი (5 წ-მდე) და მოკლე ვადიანი (ერთ წლამდე).² სიტუაციისა და კონტროლის შედეგების მიხედვით მიზნები იხვეწება და კონკრეტდება; მიზანი უნდა იყოს მიღწევადი და რამდენიმე მიზნის არსებობისას ისინი არ უნდა იყონ ურთიერთგამომრიცხავი.

სტრატეგიული დაგეგმვა ემყარება ფირმის შიდა და გარე ფაქტორების დანვრილებით ანალიზს:

- ხორციელდება ყველა მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილების შეფასება დაგეგმვის პერიოდში;
- გამოიკვეთება ყველა ფაქტორი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ფირმის საქმიანობას;
- ხდება ფირმისთვის კეთილსასურველი ფაქტორების შესწავლა.

გარე გარემოში მიმდინარე ცვლილებები და პროცესები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ფირმისთვის. გარე გარემოს ძირითადი ფაქტორებია: ეკონომიკა, პოლიტიკა, ბაზარი, ტექნოლოგია, კონკურენცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს კონკურენცია წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია ძირითადი კონკურენტების გამოვლენა და ბაზარზე მათი პოზიციების (ბაზრის წილი, გაყიდვების მოცულობა) გარკვევა. მიზანშეწონილია გამოკვლევის ჩატარება შემდეგი მიმართულებებით:

- კონკურენტთა მიმდინარე სტრატეგიის შეფასება (მათი ქმედება ბაზარზე; საქონლის წინწანევის მეთოდების გაცნობა და ა. შ.).
- კონკურენტებზე გარემო ფაქტორთა ზეგავლენის შესწავლა;
- კონკურენტების მიერ სამეცნიერო-ტექნიკური მუშაობის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, კონკურენტთა სამომავლო მოქმედებების პროგნოზის გაკეთება და კონტრმოქმედებების გეგმის შედგენა.

კონკურენტული ბრძოლის სტრატეგიის

2 ჩოხელი ე., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2013, გვ. 77-78.

შემუშავებას ხელს უწყობს კონკურენტთა ძლიერი და სუსტი მხარეების დანვრილებითი შესწავლა და მათი შედეგების საკუთართან შედარება.


გარე ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია სოციალურ-ქცევითი და ეკოლოგიური ფაქტორები. ფირმამ უნდა გაითვალისწინოს ასევე ცვლილებები დემოგრაფიული სიტუაციაში, საგანმანათლებლო სფეროში და სხვა. მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკის მთავარი მომზადების მოთხოვნილებამ 1990-იან წლებში ქვეყანაში გაზარდა მენეჯმენტისა და მარკეტინგის სახელმძღვანელოთა ბაზრები.

სტრატეგია წარმოადგენს თეორიული და ემპირული გამოკვლევების სანყის პუნქტს. ორგანიზაციები


ერთმანეთისგან შეიძლება იმით განსხვავდებოდნენ, თუ რამდენად იყენებენ მათი ხელმძღვანელები სიახლეების დანერგვის სტრატეგიას. იმ შემთხვევაში, როცა უმაღლესი ხელისუფლება ცდილობს მხარი დაუჭიროს სიახლეების რეალიზებას, იმის ალბათობა, რომ ის მიღებულ იქნება ორგანიზაციაში დასაწერგად, საგრძობლად იზრდება. გადწყვეტილებათა მიღების პროცესში უმაღლესი ხელისუფლების ჩართულობის შესაბამისად იზრდება სტრატეგიული და ფინანსური მიზნების მნიშვნელობა. შემუშავება ხდება ქვემოთ მოყვანილი ნახაზის მიხედვით (ნახაზი 1.):

ფაზა „ა“ ყველაზე უფრო რთულია. მისი რეალიზების მექანიზმი წარმოადგენილია ნახაზზე 2.

ნახაზი 1. სტრატეგიული დაგეგმვის ფაზები



ნახაზი 2. სტრატეგიის რეალიზების მექანიზმი



სოციალური ქსელის ინფორმაციული დაცვის იმიტაციური მოდელი

ელენე კამკამიძე

პროფესორი საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი

ეკატერინე გვარამია

ასოც. პროფესორი საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

შემუშავებულია იმიტაციური მოდელები, რომელიც საშუალებას იძლევა მისაღებ დროში მივიღოთ აკრძალული ინფორმაციის გავრცელების მოდელირების შედეგები საინფორმაციო ქსელებში განაწილებული გამომთვლელი რესურსების გამოყენებით. შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით ჩატარებული იყო ექსპერიმენტალური კვლევა, რომლის ამოცანაა სოციალურ ქსელში კვანძების ძიების ავტომატიზაცია, რომლებიც წარმოადგენენ აკრძალული ინფორმაციის პოტენციურ გამავრცელებლებს.

ИММИТАЦИОННЫЕ МОДЕЛИ ИНФОРМАЦИОННОЙ ЗАЩИТЫ СОЦИАЛЬНОЙ СЕТИ

Резюме

Разработаны имитационные модели, позволяющие моделировать процесс распространения запрещенной информации в социальных сетях с использованием вычислительных ресурсов распределенной информационной сети. Проведено экспериментальное исследование с использованием разработанного специального программного обеспечения с целью автоматизации поиска в социальной сети узлов, представляющих потенциальную угрозу распространения запрещенной информации.

* * * *

საინფორმაციო ქსელებში აკრძალული ინფორმაციის გავრცელების მოდელირება წარმოადგენს შრომატევად ამოცანას. მისი ამოხსნა მისაღებ ვადებში და აქტუალური შედეგების მიღება შესაძლებელია მხოლოდ განაწილებული გამოთვლითი რესურსების გამოყენებით. აკრძალული ინფორმაციის ექსპერიმენტალური გამოკვლევა საინფორმაციო ქსელებში ხორციელდება იმიტაციური მოდელის საფუძველზე. იმიტაციური მოდელი რეალიზირებულია და მუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის სახით. გრაფზე პარალელური გამოთვლის რეალიზაციისთვის გამოყენებული იყო ბიბლიოთეკა Parallel Boost Graph Library. ბიბლიოთეკა არის თავისუფლად

გავრცელებადი და თავისი ფუნქციონალური საშუალებებით არ გააჩნია ალტერნატივა. Parallel Boost Graph Library (PBGL) წარმოადგენს გრაფის კონცეფციის დრეკად და ეფექტურ რეალიზაციას. გამოთვლითი კვანძების ჯგუფები: (4კვანძი, 2 პროცესორი, RAM 2Gb Hdd 160 Gb), short (14 კვანძი, 2 პროცესორი RAM 2Gb Hdd 160 Gb), Long (14 კვანძი, ორი პროცესორი RAM 2Gb Hdd 160 Gb), Work (32 კვანძი, 2 პროცესორი RAM 2Gb Hdd 160 Gb). ყველა კვანძი დაკავშირებულია ერთმანეთთან ორი დამოუკიდებელი ქსელით: სისტემური ქსელი: Infini Band DDR (Fat Tree: 6x12 პორტი; ლატენცურობა MPI-ს დონეზე : 1,3-1,95მკ/წმ; გავლის სიჩქარე MPI-ს დონეზე: 1540 მეგა ბაიტი/წმ) და დამხმარე/მმართველი ქსელი: Gigabit Ethernet (2x(44+4x10G)). დამუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა დაწერილია Microsoft Visual Studio 2008-ის გარემოში. გრაფის წარმოდგენისთვის გამოთვლითი სისტემის მეხსიერებაში გამოიყენებოდა განაწილებული მიდგომა Parallel Boost Graph Library ბიბლიოთეკის გამოყენებით. შემავალი მონაცემების ფორმატი - ტექნიკური ფაილი, რომელშიც ყველა სტრიქონში ჩანერილია კვანძის იდენტიფიკატორი. გამომავალ ფაილში ფიქსირდება აკრძალული ინფორმაციის დინამიკის მონაცემები, რომელიც წარმოდგენილია შემტვეი და დაცული კვანძების სიაში ყოველი დროის კვანძში. ქსელში არსებობს სამი სახის კვანძები. პირველი - შემტვეი კვანძები, მეორე - დაცული კვანძები, ეს კვანძები ხასიათდება იმით, რომ არასდროს არ ლეზულობენ მონაწილეობას აკრძალული ინფორმაციის გავრცელებაში. მესამე - პოტენციურად დაუცველი. ასეთი ტიპის კვანძები არ მონაწილეობენ საშიშროების გავრცელებაში, მაგრამ შეიძლება დაექვემდებარონ ნეგატიურ ზემოქმედებას შემტვეი კვანძების მხრიდან და შეუძლიათ გაავრცელონ აკრძალული ინფორმაცია.


განვიხილოთ ამოცანა. მოცემულია N - კვანძების რაოდენობა, რომელიც ტოლია ქსელში აბონენტების რაოდენობის, Io - აბონენტების რაოდენობა, რომლებიც არიან დასაწყისი შემტვეი ზემოქმედების, γ - პარამეტრი, რომელიც ასახავს საშიშროების უკუქმედების ხარისხს. φ - ტოპოლოგიურად ქსელის დაუცველობის კოეფიციენტი, რომელიც ასახავს საინფორმაციო ქსელების შინაგან თვისებებს, რომელიც დაფუძნებულია მისი ტოპოლოგიის ხასიათზე და შესაძლებელს ხდის გაავრცელოს აკრძალული ინფორმაცია, t - პროცესის დრო. ანალიტიკური მოდ-

ელეების დამუშავების მეთოდის შეიცავს შემდეგი მოქმედებების მიმდევრობას: ბიჯი 1. აკრძალული ინფორმაციის გავრცელების ინიცირებას აკეთებს რომელიც აბონენტი - ბოროტმზრახველი, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას მისი საკონტაქტო სიიდან. შეტევა შეიძლება დაიწყოს ერთმა ბოროტმზრახველმა ან ჯგუფმა. ბიჯი 2. მიმღები აბონენტები, რომლებმაც მიიღეს შეტყობინება, კითხულობენ მას და ერთვებიან შეტევის პროცესში, რომელსაც ავრცელებენ მას თავის კონტაქტების სიაში ან იგნორირებას უკეთებენ ან საერთოდ იშორებს ინფორმაციას. შეტევის პროცესი მიმდინარეობს ჩვეულებრივ ზვავისებურად. შემტევი აბონენტები არ ამთავრებენ შეტევას. შეტევის ფანჯარა, როგორც წესი გრძელდება დროის დიდ მონაკვეთში და დამოკიდებულია მონოდების ტიპზე. ბიჯი 3. აბონენტებს შეუძლიათ შეწყვიტონ აღთქმა და შესაბამისად გაავრცელონ, გამომდინარე დაცვის მექანიზმის ზემოქმედებით, ამიტომ შეტყობინება შემტევი აბონენტებიდან იქნება მუდმივად უკუგდებული. ბიჯი 4. პროცესი გრ-


ძელდება მანამდე, სანამ ქსელში იქნება აბონენტი ბოროტმზრახველი, ან არის პოტენციურად დაუცველი კვანძები.

აღწერილი ალგორითმის საფუძველზე შემუშავდა საინფორმაციო ქსელებში აკრძალული ინფორმაციის გავრცელების იმიტაციური მოდელი, რომელიც შედგება ModelGraph დამუშავებული პროგრამისგან და მონაცემებით, რომლებიც შეიძლება იყვნენ გენერირებული აკრძალული ინფორმაციის საშუალებით. კვანძები შეტევის მიდრეკილებით (S_0) განისაზღვრება: $S_0=N-I_0-R_0$, N არის ქსელში კვანძების საერთო რაოდენობა. ჩატარებული მოდელირების შედეგების გრაფიკები, რომელიც ეხება აკრძალული ინფორმაციის გავრცელებას ჭაცებოვ სოციალურ ქსელში ტოპოლოგიურ ფრაგმენტებში, მოცემულია ნახაზებზე.


ექსპერიმენტიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: უკვე ერთ შემტევ კვანძს შეუძლია გამოიწვიოს „აფეთქება“ ქსელში დაცვის დიდი ალბათობის შემთხვევაშიც; საწყისი დაცული კვანძების რიცხვის ზრდისას, შემტევი კვანძების მაქსიმალური რაოდენობა ეცემა.



ნახ.1.ექსპერიმენტი 1. $\varphi=200, \beta=0.2, \gamma=0.8, I_0=1, R_0=0$.



ნახ.2. ექსპერიმენტი 2. $\varphi=200, \beta=0.2, \gamma=0.8, I_0=1, R_0=0.25$.



ნახ.3.ექსპერიმენტი 3. $\varphi=200, \beta=0.2, \gamma=0.8, I_0=1, R_0=0.75 N$.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კონსტანტინე კამკამიძე, მიხეილ დვალისვილი, ელენე კამკამიძე. ტელეკომუნიკაციური ქსელის პარამეტრების კვლევის ანალიტიკური მოდელის ფორმირება. შრომები მართვის ავტომატიზებული სისტემები. N1 (21), 2016, 25-30გვ.
2. ელენე კამკამიძე, ირინა ხომერიკი. ტელეკომუნიკაციური ქსელის ტოპოლოგიის სრული გრაფის აგების ალგორითმი. შრომები მართვის ავტომატიზებული სისტემები. N1 (21), 2016, 31-37გვ.
3. Брейр, В.В. Стохастические модели социальных сетей / В.В. Брейр; Управление большими системами, № 27. – 2014. - С. 169-204.

„ჯგუფური აზროვნების“ შემცირებისა და ჯგუფური გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლების გზები

ემზარ ჯულაკიძე

ეკონომიკის აკად. დოქტორი, პროფესორი

ელიზბარ ბარბაკაძე

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

რეზიუმე

მენეჯმენტის თანამედროვე პრაქტიკაში, მმართველობითი გადაწყვეტილების ევოლუციის პროცესი ჯგუფური შემუშავების ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ფაქტია, რომ გადაწყვეტილების ჯგუფური მიღება უკეთესია გადაწყვეტილების ინდივიდუალურად მიღებასთან შედარებით. თუმცა, გადაწყვეტილების ჯგუფური მიღებაც ხასიათდება მთელი რიგი ნაკლოვანებებით, რომლებიც შეიძლება გავაერთიანოთ ტერმინში - „ჯგუფური აზროვნება“. ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ რაც უფრო ნაკლებია ჯგუფში წევრთა რაოდენობა, მით უფრო პასუხისმგებლობით ეკიდებიან ისინი ყველა გადაწყვეტილების შეფასებას.

საკვანძო სიტყვები: მიკერძოებული და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება; ჯგუფურ აზროვნება; ალტერნატივების შეფასება; სამოქმედო კურსი; მოტივირებული მენეჯერი.

**THE QUALITY IMPROVEMENT WAYS OF
“GROUP THINKING” REDUCTION AND GROUP
DECISION MAKING**

Emzar Julakidze

Doctor of Economics, Professor

Elizbar Barbakadze

*Ph.D student in Business Administration,
Akaki Tsereteli State University*

Summary: In modern practice of management, evolution process of managerial decision making is characterized by growth of the group workout trend. This is the fact that group decision making is better than individual decision making process. However, group decision making process is characterized by a number of defects that can be combined in the term “group thinking”. Studies have shown that the less members in the group, the more responsible they are to evaluate all decisions.

Key words: Subjective and objective decision making; Group thinking; Evaluation of alternatives; Course of action; A motivated manager.

მენეჯმენტის თანამედროვე პრაქტიკაში, მმართველობითი გადაწყვეტილების ევოლუციის პროცესი მისი ჯგუფური შემუშავების ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მას საფუძველი დაუდო ერთი მხრივ, მართვაში დემოკრატიზაციის განვითარებამ და მეორის მხრივ, გადასაჭრელი პრობლემების გართულებამ.

არანორი იქნება არ დავეთანხმოთ იმას, რომ გადაწყვეტილებათა ჯგუფური მიღება უკეთესია გადაწყვეტილების ინდივიდუალურად მიღებასთან შედარებით. საქმე იმაშია, რომ როცა მენეჯერები, გარკვეულ პრობლემათა მოსაგვარებლად, გუნდურად მუშაობენ ამა თუ იმ გადაწყვეტილების შემუშავებაზე, გაცილებით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მათ მიერ შერჩეული ალტერნატივა იქნება არაობიექტური ან მცდარი. ჯერ ერთი, მათ საშუალება აქვთ გამოიყენონ ერთმანეთის უნარ-ჩვევები, ცოდნა და კომპეტენციები. მეორის მხრივ, გადაწყვეტილებების ჯგუფური მიღება საშუალებას აძლევს მათ გადაამუშაონ უფრო მეტი ინფორმაცია და შეუსწორონ ერთმანეთს შეცდომები. მესამეც - გადაწყვეტილების წარმატებით განხორციელების ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება, როცა სპეციალისტთა გარკვეული ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას, იმის საპირისპიროდ, როცა ერთი ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას და თავს ახვევს მის აზრს ყველა დაქვემდებარებულს.

თუმცა, გადაწყვეტილების ჯგუფურ მიღებასაც აქვს თავისი ნაკლოვანებები. მათ შორის ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჯგუფი ხშირად გაცილებით მეტ დროს ანდომებს გადაწყვეტილების მიღებას, ვიდრე ერთი პიროვნება. თუმცა, გადაწყვეტილების ჯგუფური მიღების უფრო დიდი პრობლემაა - ე.წ. „აბილინის პარადოქსი“, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფის წევრებმა შეიძლება მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც ფაქტიურად არ იზიარებს მისი არც ერთი წევრი. საქმე იმაშია, რომ თუ ჯგუფის თითოეულ წევრს მიაჩნია, რომ მისი აზრი ეწინააღმდეგება მთლიანი ჯგუფის აზრს, ის შეგნებულად მიდის დათმობაზე. საბოლოოდ კი, მათი წინათგრძნობა მართლდება, ყოველი წევრი იმედგაცრუებულია და ერთმანეთს აბრალებს მიღებულ შედეგს. ეს მოვლენა პირველად აღწერა ჯერი ჰარვიმ, ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორმა. როდესაც ის, მეუღლესთან ერთ-

თად, ტეხასში, მშობლებთან იმყოფებოდა, უეცრად მამამ თქვა: „აბილინში, როგორც ამბობენ, კარგი სასადილოაო.“ არადა, ქალაქი აბილინი ჯერის მშობლების სახლისგან 170 კმ-ითაა დაშორებული. „საინტერესოა“ - თქვა ჯერის მეუღლემ. „დედა, იმე-დია, უარს არ იტყვი“ - თქვა ჯერიმ. „ცხადია არა, აბი-ლინში საუკუნეა აღარ ვყოფილვარ“. შედეგად, ჯერის ოჯახი სადილზე აბილინში გაემგზავრა. გზა გრძელი, მტვრიანი და ცხელი აღმოჩნდა, საჭმელი კი — უგემური. ჯერის ოჯახი დაღლილი დაბრუნდა შინ. უც-ნაური რაღაა? — იკითხავთ ალბათ. უცნაური ისაა, რომ, როგორც ეს ჯერიმ დაბრუნებისას აღმოაჩინა, არც ერთ მათგანს აბილინში წასვლა არ უნდოდა, მა-გრამ ერთმანეთის ხათრით, ამის თქმა ვერ გაბედა [4].

ჯგუფის მიერ გადანყვეტილების მიკერძოე-ბით მიღებას (ნებით თუ უნებლიეთ) მენეჯმენტის მეცნიერებაში „ჯგუფურ აზროვნებას“ უწოდებენ. იგი ყველაზე მეტად თავს იჩენს იმ ჯგუფების საქმი-ანობაში, რომელთა წევრებიც ცდილობენ მიაღწიონ შეთანხმებას გადანყვეტილებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სათანადოდ არშეფასების შემთხვევა-შიც კი. ზოგადად კი, ჯგუფური გადანყვეტილების ნაკლოვანი მხარეები შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ [3, გვ. 127]:

- კომპრომისული გადანყვეტილებები შეიძლე-ბა არასდროს არ იყოს მიღწეული;
- ჯგუფური მსჯელობის დროს გამოითქმება ძალიან ბევრი განსხვავებული, მათ შორის საკმაოდ ბევრი არარეალური შეხედულება და აზრი;
- კოლექტიური სწრაფვა გაანადგუროს ყველა მოსაზრება, რომელიც ჯგუფური აზრის საწინააღმ-დეგოა;
- ფაქტიურად არ არსებობს გადანყვეტილება-ზე პასუხისმგებელი პირი.

კონკრეტულად, რთული სათქმელია რა არის ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის ადამიანებს ერთობლივ აზროვნებაში. ზოგჯერ ეს განხილვისათვის წინასწარი მოუმზადებლობის ბრალია, რის გამოც განსახილველი საკითხის ირგვლივ ფიქრი მხოლოდ განხილვაზე იწყება, მაშინ როცა რთული პრობლე-მების გადაჭრა ამ გზით თითქმის შეუძლებელია; ასევე ხშირად ხდება, რომ განხილვას წინ არ უძღვის შეხვედრის მიზნის მკაფიო განსაზღვრა და დიალოგ-იც, ფაქტიურად, მიმართულების გარეშე მიედინე-ბა; ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა აგრეთვე - პიროვნების თავდაცვის ინსტიქტი, რომ-ლის მიხედვით ხშირად ადამიანები ერიდებიან თავ-იანთი მოსაზრებების ბოლომდე გამოთქმას და შეს-აბამისად, მათ მიერ მიღებული გადანყვეტილებების ხარისხიც დაბალია; გასათვალისწინებელია ასევე ადამიანების სიამაყეც, რომელსაც ისინი საკუთარი მოსაზრების დაცვის მიზნით უსაგნო კამათამდე მი-ჰყავს ხოლმე.

აღნიშნული პრობლემების შესწავლის მიზნით, ჩვენს მიერ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლო-ბითი საბჭოს (სენატის) წევრებში; ბიზნესის, სამარ-თლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრებსა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალში ჩავატარეთ ანონიმური გამოკითხვა გადანყვეტილების ჯგუ-ფური მიღების დადებით და უარყოფით მხარეებზე. გამოკითხული იყო 100-მდე რესპოდენტი. მიღებული შედეგების საფუძველზე განვსაზღვრეთ თითოეული ჯგუფის „ჯგუფური აზროვნების“ საშუალო მაჩვენ-ებელი. მათი ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ რაც უფრო ნაკლებია ჯგუფში წევრთა რაოდენობა, მით უფრო პასუხისმგებლობით ეკიდებიან ისინი ყვე-ლა გადანყვეტილების შეფასებას.

ჩვენი აზრით, „ჯგუფური აზროვნების“ შემცირე-ბა და ჯგუფური გადანყვეტილებების ხარისხის ამა-ღლება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორი კონტიგენტით იქნება დაკომპლექტებუ-ლი ჯგუფი. თითქოს უხერხული შედარებაა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფის წევრებს შორის არსე-ბობს ისეთივე დამოკიდებულება, როგორც ბიზნესში მონათესავე საქონლებს შორის. როგორც ცნობილია, მონათესავე საქონელი შეიძლება იყოს ორი სახის - ურთიერთშემცვლელი და ურთიერთშემამავსებელი. ანალოგიურად, „ურთიერთშემცვლელი“ ჯგუფის ის წევრებია, რომლებიც არ ერიდებიან ხელმძღ-ვანელის მხრიდან გაჟღერებული არასწორი აზრის კრიტიკას (მათაც თავისუფლად შეუძლიათ დაიკაოს ხელმძღვანელის თანამდებობა და არანაკლები შედე-გებით მართონ ეს ორგანიზაცია), ხოლო „ურთიერთ-შემამავსებელი“ კი არიან ისინი, რომელთა ყოფნა ამ ჯგუფში და საერთოდ, მისი სტატუსი და პრესტიჟი ხელმძღვანელზეა ჩამოკიდებული. შესაბამისად, რაც უფრო მეტად იქნება ჯგუფი „ურთიერთშემცვლელი“ პიროვნებებით დაკომპლექტებული, მით მეტია საღი გადანყვეტილების გამარჯვების შანსი.

ბუნებრივია, აქ უნდა მიგვეთითებინა ასევე ე.წ. „ნეიტრალურ“ პიროვნებებზე, რომელიც ზემოაღ-ნიშნულ ორ კატეგორიას არ მიეკუთვნება. თუმცა, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ჯერ ერთი იშვია-თია, რომ ასეთი („საეჭვო“) ადამიანი მოხვდეს ჯგუფ-ში და მეორე და უფრო მნიშვნელოვანი - საბოლოო ანგარიშით, ის ერთი ან მეორე „მხარის“ რეალური წევრი ხდება.

როცა გადანყვეტილების მისაღებად „ჯგუფურ აზროვნებას“ მიმართავენ, ჯგუფი (პირველ რიგში - „ურთიერთშემამავსებელი“ წევრები), როგორც წესი, ერთიანდება პირველი ხელმძღვანელის ირგვლივ და მხარს უჭერს მისთვის მისაღებ სამოქმედო კურსს. ანუ, ჯგუფის ასეთი წევრები, ფაქტიურად, ბრმად უჭერენ მხარს შემოთავაზებულ სამოქმედო კურსს

და არ აფასებენ მის ღირსებებსა და ნაკლოვანებებს. ეს მხარდაჭერა ხშირად ემოციებს უფრო ემყარება, ვიდრე ოპტიმალური სამოქმედო კურსის ობიექტურ შეფასებას. როდესაც სახეზეა „ჯგუფური აზროვნება“, ჯგუფში ჰარმონიისა და შეთანხმების მისაღწევად არსებული ზეწოლა თავისდაუნებურად გავლენას ახდენს ჯგუფის დანარჩენ წევრებზე და მათ ხალისს უკარგავს ნამოჭრან ისეთი საკითხები, რომლებიც წინააღმდეგობაშია უმრავლესობის აზრთან.

“ჯგუფური აზროვნების” (თანამოაზროების) თავიდან ასაცილებლად, მენეჯერმა (ბუნებრივია, თუ ის მოტივირებულია წარმატებაზე) უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს გარკვეული წინააღმდეგობების გამოვლინებას. ამისათვის მან უნდა მოისმინოს მრავალი აზრი არსებულ პრობლემაზე,

მოისმინოს უმცირესობის აზრიც, ხშირად დაიკავოს ნეიტრალური პოზიცია და დაიცვას მიუკერძოებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მექვაბიძე რ. გადანყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014 წ. - 379 გვ. <ftp://files.gu.edu.ge>
2. მსჯელობა და გადანყვეტილების მიღება. ელსახელმძღვანელო. <https://pragenti.wordpress.com/author/pragenti/>
3. თევდორაძე მ., ნასყიდაშვილი ნ., ლოლაშვილი ნ. და სხვ. მენეჯმენტი, თბ., სტუ, 2009 წ.-140გვ.
4. ჯგუფური აზროვნება. <https://iwaminda.wordpress.com>

**ადამიანური რესურსის შერჩევის პრობლემები
პარტიის მოქმედების
და ინოვაციების შესაძლებლობების ასაგაღწეად
შპს „ჯორჯიან უოთერ ანდ พาวერ“ და სს „თელასის“ მაგალითზე**

*ციალა ლომაია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელეონორა ლაგვილავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
უფროსი მასწავლებელი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*

**PROBLEMS OF SELECTING HUMAN
RESOURCES FOR THE PURPOSE OF
RAISING FLEXIBILITY AND INNOVATIVE
CAPACITIES OF MANAGEMENT BASED ON THE
EXAMPLE OF GEORGIAN WATER AND POWER
LLC AND TELASI JSC**

რეზიუმე

Lomaia Tsiala, Associated Professor
of International Caucasian University
and Georgian Technical University
Lagvilava Eleonora, Senior Tutor of Georgian
Technical University,
Doctor of Business Administration

SUMMARY

Human factor is the most important source of competitive privilege of modern organizations, including, Georgian Water and Power LLC and Telasi JSC. Organizational results of those objects mostly depend on their optimal and maximum utilization. Attraction, selection and development of human resources plays an important role in high technological management system being in the process of formation throughout the world, as far as it implies efficient use of human resources in order to achieve various goals at the organization. The thesis focuses on comprehensive goal of attracting and selecting human resources at the research objects in order to purchase employees with minimum expenses in a quantity and quality satisfying company's demand with human resources.

The article entails approaches of human resource management that are based on scientific- methodological basics, analyzes ways of selecting human resources, raising qualification and ways of proper rotation considering peculiarities of Georgian mentality and defines modern technologies of career planning, growth and development.

Key Words: Human factor, career planning, peculiarities of Georgian mentality, human capital, human capacities, career analyzes.

ადამიანური ფაქტორი თანამედროვე ორგანიზაციების, მათ შორის შპს „ჯორჯიან უოთერ ანდ พาวერ“ და სს „თელასის“ კონკურენტული უპირატესობის უმნიშვნელოვანესი წყაროა. მის ოპტიმალურ და მაქსიმალურ გამოყენებაზე დიდადა დამოკიდებული აღნიშნული ობიექტების ორგანიზაციული შედეგები. ადამიანური რესურსების მონვევას, შერჩევასა და ზრდა-განვითარებას მსოფლიოში ფორმირებადი მაღალტექნოლოგიური მენეჯმენტის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რამდენადაც იგი გულისხმობს სწორედ ადამიანური შესაძლებლობების მწარმოებლურად გამოყენებას ორგანიზაციაში სხვადასხვა მიზნის განხორციელებისათვის. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საკვლევ ორგანიზაციებში ადამიანური რესურსის მონვევისა და შერჩევის პროცესების ყოვლისმომცველ მიზანზე, უმცირესი დანახარჯებით შეიძინოს დაქირავებულთა ის რაოდენობა და ხარისხი, რომლებიც დააკმაყოფილებენ კომპანიების მოთხოვნილებას ადამიანური რესურსებით.

სტატიაში მოცემულია ადამიანური რესურსების მართვის ის მიდგომები, რომლებიც ეყრდნობა სამეცნიერო-მეთოდურ საფუძვლებს, გაანალიზებულია ადამიანური რესურსების შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, სწორი გადაადგილების გზები ქართული მენტალური თავისებურებების გათვალისწინებით და განსაზღვრულია კარიერის დაგეგმვის, ზრდისა და განვითარების თანამედროვე ტექნოლოგიები.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური ფაქტორი, კარიერის დაგეგმვა, ქართული მენტალური თავისებურებები, ადამიანური კაპიტალი, ადამიანური შესაძლებლობები, კარიერის ანალიზი.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ბევრი საკითხი მსოფლიო მეცნიერების მიერ კვლევის სტადიაშია, მაგრამ ისეთი ახალი მექანიზმის ცოდნა, როგორცაა ადამიანური რესურსის შერჩევა და დაოსტატება საქართველოში, საბაზრო ეკონომიკის ახალგაზრდა ქვეყანაში მოქმედი ორგანიზაციების მაგალითზე და მათი შესწავლის შედეგების პრაქტიკული გამოყენება, აქტუალური პრიორიტეტია იმის გასარკვევად, თუ როგორ შევძლოთ სამსახურში ვიყოლიოთ ადამიანები, რომლებიც დააკმაყოფილებენ არა მხოლოდ დღევანდელ, არამედ მომავალ მოთხოვნებსაც. ამ მიზნით აუცილებელია მოქნილი მართვა და პირობები ინოვაციური შესაძლებლობების ასამაღლებლად.

ნებისმიერი ფირმის ძირითადი ფასეულობა — ეს არის მუშაკების შრომის წარმატება, მისი ადამიანური რესურსების ხარისხი. ადამიანური რესურსების შერჩევის პროცესი საკვლევ ობიექტებზე განხილულია, როგორც საკადრო მომსახურების ფუნქცია. მითითებულია, რომ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ წამყვანი კომპანიაა საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე, რომლის მიზანია ხარისხიანი, უსაფრთხო და საიმედო წყალმომარაგებით თბილისისა და მისი შემოგარენის უზრუნველყოფა. რაც შეეხება სს „თელასს“, საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელური ენერგეტიკული კომპანიაა, რომელიც ახორციელებს ელექტროენერჯის განაწილებასა და გასაღებას.

ორივე კომპანია ცდილობს საკუთარი სპეციალისტები უზრუნველყოს შრომის მიმზიდველი პირობებით. გარდა ამისა, ჩვენი საკვლევი ობიექტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას, ადამიანური კაპიტალის განვითარების საკითხს, თანამშრომელთა მოტივაციას. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიების სტრატეგიის პრიორიტეტულ ნაწილს წარმოადგენს ადამიანური რესურსების სწორად მართვა და საკადრო პოლიტიკის ეფექტურად დაგეგმვა. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ და სს „თელასს“ დანერგილია ადამიანური რესურსების შერჩევის თანამედროვე პროცედურები, რაც მოიცავს კანდიდატების ძებნას, შეფასებას, განსაზღვრასა და ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნას.

საკვლევი ობიექტებზე არსებული ადამიანური რესურსების მოქმედების ანალიზი და ზრდა-განვითარება მოგვითხრობს ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და ზრდა-განვითარების მიზნით კარიერის მართვის პროცესის სწორად წარმართვაზე, რომელიც შედგება კარიერის დაგეგმვისა და ხელმძღვანელთა მემკვიდრეობის პროცესებისაგან. კარიერის ანალიზის განხილვისას ვეხებით სამუშაო საფეხურებსა და მონათესავე პროფესიების მახასიათებლებს. კარიერის განვითარების განსაზღვრა შესაძლებელია იმ კომპეტენციების მიხედვით, რაც აუცილებელია ადამიანისათვის სამუშაოს შესასრულებლად.

ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე

მეთოდებისა და სტანდარტების შესაბამისად, საკვლევი კომპანიები საკადრო პოლიტიკას ახორციელებენ შრომითი შინაგანაწესის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის რეგულირების, ადამიანური რესურსების შერჩევის, თანამშრომელთა სწავლების, განვითარების, შრომითი ანაზღაურების, ნახალისებისა და სხვა ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. დიდი ყურადღება ექცევა ცოდნის, კომპეტენციისა და უნარ-ჩვევების განვითარებას ორივე კომპანიის ბიზნესგეგმების ხარისხიანად შესრულების მიზნით, ცოდნის განვითარების, გამოყენებისა და გაცვლის პროცესისადმი ისეთი მიდგომის კულტურის ფორმირებას შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ და სს „თელასსში“, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესპროცესების მუდმივ გაუმჯობესებას, ყველა თანამშრომლის სწავლებასა და თვითგაუმჯობესებას, განვითარებას მრავალმხრივი შესაძლებლობის პირობებში.

ადამიანური რესურსის განვითარების თანამედროვე კონცეფციის რეალიზაცია გულისხმობს სწავლების სისტემის მოქნილობას, ამაღლებას, მუშაობის ჯგუფურ ფორმას, სასწავლო ლექციების წამკითხავი პირების შეცვლას კონსულტანტებით.

აღსანიშნავია, რომ კადრების დენადობის მაჩვენებელი ორივე საკვლევი კომპანიაში საკმაოდ მცირეა, რაც მიუთითებს დანესებულებაში ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის არსებობასა და თანამშრომელთა კმაყოფილებაზე. საკვლევი ობიექტებზე წინასწარ ადგენენ ადამიანური რესურსების ზრდა-განვითარების მიზანს. გამომდინარე ორგანიზაციის სპეციფიკიდან, ძირითადად მუშაობენ ტექნიკური უნარ-ჩვევების ადამიანები, რომელთა მოძიება საქართველოს ბაზარზე საკმაოდ რთულია. კომპანიების ხელმძღვანელობა ცდილობს მოიძიოს გამოცდილების მქონე მუშაკები და სწავლების შედეგად შეაიარაღოს ისეთი უნარ-ჩვევებით, როგორცაა ორგანიზაციული კულტურა, ბიზნესკომუნიკაცია, ასწავლოს თანამედროვე პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ ზრდას და ამავდროულად ორგანიზაცია შეძლებს თანამედროვე ტექნოლოგიებით მართვით საფეხურზე გადასვლას.

საკვლევი ობიექტებზე შერჩევის სტრატეგია ძალიან საინტერესოდ წარმართება. პირველ რიგში, ადამიანური რესურსების შერჩევა ხორციელდება პერსონალის საჭიროების იდენტიფიცირების საფუძველზე. ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში კომპანია უპირატესობას ანიჭებს უკვე არსებული თანამშრომლის კანდიდატურის განხილვას, თუ მისი კვალიფიკაცია და პიროვნული მონაცემები შეესაბამება მოთხოვნებს. კომპანიები ასევე ორგანიზაციის უტარებენ საკუთარი დასაქმების ფორუმებს და იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა დასაქმების ფორუმში, საიდანაც მოპოვებულ კანდიდატთა ბაზას აქტიურად იყენებენ დასაქმების პროცესში.

ადამიანური რესურსების მართვის მთავარი მი-

ზანია სანარმოთა დაკომპლექტება სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე მუშაკებით და მათი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია. ორივე კომპანიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია საქმიანი კარიერის მართვას. იგი იწყება პიროვნების ინტერესების, მიდრეკილებების, შესაძლებლობებისა და ჩვევების განსაზღვრით. კარიერის მართვისას მომუშავეთა მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა ტექნიკურ-ფუნქციურ, მმართველობით კომპეტენტურობას, შემოქმედებითობას და ინიციატივობას, ავტონომიასა და დამოუკიდებლობას, უსაფრთხოებას. ასევე წინა პლანზეა წამოწეული მოსამსახურეებისადმი დახმარება თვითრეალიზაციაში. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ და სს „თელასში“ საქმიანი კარიერის მართვა ხორციელდება ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ და მიმართულია მომუშავეთა თანამდებობრივი ზრდის, დაგეგმვის, ორგანიზაციის მოტივაციისა და კონტროლისაკენ, გამომდინარე ორგანიზაციის მოთხოვნილებებიდან და სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან.

საკვლევ ობიექტებზე, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ და სს „თელასში“, ჩატარდა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა. გამოიკითხა 241 რესპონდენტი ანკეტური გამოკითხვით. იმავე რესპონდენტებთან ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები. ყოველწლიური დაკვირვების და პირველადი დოკუმენტაციის ანალიზმა მოგვცა საშუალება შეგვემუშავებინა ადამიანური რესურსის საერთო კონცეფცია ორივე კომპანიაში.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსში“ დასაქმებულია 2300 თანამშრომელი, რომლებიც ემსახურებიან დედაქალაქის წყალმომარაგებასა და წყალარინებას. ქალაქის მასშტაბით კომპანია ემსახურება 467300 აბონენტს. ორგანიზაციის მიზნებისთვის იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომელთა მაღალ პროფესიონალიზმს, კვალიფიციური და კომპეტენტური კადრების არსებობას, მართვის სისტემების სრულყოფას.

მმართველი მენეჯმენტისა და თანამშრომელთა რაოდენობა 2014-2016 წლებში გადანაწილებული გახლდათ ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.¹

ცხრილი 1

მმართველი მენეჯმენტისა და თანამშრომელთა რაოდენობა 2014-2016წწ.

წელი	მმართველი რგოლი	თანამშრ.	სულ ჯამი
2014	63	1758	1821
2015	76	2135	2211
2016	83	1842	1925

¹ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ პირველადი დოკუმენტები და წლიური ანგარიშები (2014, 2015, 2016 წწ.).

ცხრილი 2
ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია განათლების მიხედვით 2014-2016წწ.

წელი	უმაღლესი	პროფესიული	საშუალო	სულ ჯამი
2014	833	443	545	1821
2015	1005	613	593	2211
2016	986	365	574	1925

კონკურსანტს აუცილებლად უტარებენ გასაუბრებას ღია და დახურული კითხვებით. სპეციალურად იწერება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კონკრეტული სატრენინგო პროგრამები. სწავლება ტარდება ლექციისა და ტრენინგის ფორმატში. თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეები წერენ სპეციალურად მათთვის შემუშავებულ ტესტს, რაც მათ საშუალებას აძლევთ შეაფასონ, თუ რამდენად გაიზარდა ტრენინგის მონაწილე თანამშრომელთა პროფესიული დონე.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსში“ წინასწარ ადგენენ ადამიანური რესურსების ზრდა-განვითარების მიზანს. გამომდინარე ორგანიზაციის სპეციფიკიდან, ორგანიზაციაში ძირითადად მუშაობენ ტექნიკური უნარ-ჩვევების მქონე ადამიანები, რომელთა მოძიება საქართველოს ბაზარზე საკმაოდ რთულია.

ორგანიზაციაში, ბოლო ოთხი წელია, დაინერგა საზაფხულო სტაჟირების პროგრამა. პროგრამის ფარგლებში ხდება კონკრეტული მიმართულებების პროგრამების განერა. სტაჟირებისთვის არჩევენ წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების ბოლო კურსის სტუდენტებსა და მაგისტრანტებს. საუკეთესო სტუდენტებს ეძლევათ საშუალება დასაქმდნენ კომპანიაში. კონკრეტული ვაკანსიის არარსებობის შემთხვევაში ინახავენ სტაჟირების მონაცემებს ორგანიზაციის სარეზერვო ბაზაში და ვაკანსიის გაჩენისთანავე პრიორიტეტს ანიჭებენ მათთან სტაჟირებაგავლილ სტუდენტს.

სს „თელასი“ საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელური ენერგეტიკული კომპანიაა, რომელიც ახორციელებს ელექტროენერჯის განაწილებას-გასაღებას და რომლის მიზანია ქ. თბილისში მომხმარებელთა საიმედო და ხარისხიანი ენერგომომარაგება. მისი საქმიანობის ძირითადი სახეებია: ელექტროენერჯის შესყიდვა და გაყიდვა, ელექტროული ქსელების მომსახურება და ექსპლუატაცია, ელექტროენერჯის სატრანზიტო მომსახურება, აბონენტთა ტექნიკური მომსახურება, ქ. თბილისში ელექტრომომარაგების, წყალმომარაგებისა და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირება. მომხ-

მარებელთა მომსახურება და ელექტრული ქსელების ექსპლუატაცია ხორციელდება 10 ბიზნესცენტრში, რომლებიც განთავსებულია ქალაქის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში.

სს „თელასის“ საქმიანობა მაქსიმალურად გახსნილი და გამჭვირვალეა აქციონერთათვის, ინვესტორებისათვის, ბიზნესპარტნიორებისა და საზოგადოებისათვის. მისი საქმიანობა მიმართულია კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებაზე, მართვის სისტემების სრულყოფაზე, თანამედროვე მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზე, მომხმარებელთა მომსახურების განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაზე.

ამჟამად „თელასი“ ახორციელებს სამუშაოებს ელექტროქსელის ტექნიკური გადაიარაღებისა და მოდერნიზაციის მიზნით. პრიორიტეტული ამოცანაა ტექნიკური ინციდენტების რიცხვის მინიმუმამდე დაყვანა და ელექტროენერჯის დანაკარგების საერთო დონის მნიშვნელოვანი შემცირება. კომპანიაში მუშაობს 2100 ადამიანზე მეტი. როგორც აქტიურად განვითარებად ორგანიზაციას, „თელასს“ სხვადასხვა პროფილის პროფესიონალები სჭირდება, რომლებიც დაეხმარებიან დასახული სტრატეგიული ამოცანების შესრულებაში. „თელასი“ ცდილობს საკუთარი სპეციალისტები უზრუნველყოს შრომის მიმზიდველი პირობებით. გარდა ამისა, კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას. საკუთარ თანამშრომლებთან ურთიერთობის დამყარებისას „თელასი“ ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ კომპანიისა და მისი მუშაკების თანამშრომლობა ყველასათვის მაქსიმალურად კომფორტული და ხელსაყრელი უნდა იყოს.

როგორც შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“, ასევე სს „თელასის“ საქმიანობა მიმართულია კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებაზე, მართვის სისტემების სრულყოფაზე, თანამედროვე მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზე, მომხმარებელთა მომსახურების განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაზე. აღნიშნული კომპანიები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ კორპორაციულ კულტურას, რომლის მთავარ ფასეულობად მიაჩნიათ მაღალი პროფესიონალიზმი, მართვის სისტემის მოქნილობა, თანამშრომლების დისციპლინისა და შემოქმედების ეფექტური შერწყმა. ორივე კომპანია ქმნის პროფესიონალების გუნდს, მუდმივად ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მათ სოციალურ დაცვაზე. კომპანიებში შექმნილ გუნდებს ახასიათებს სწრაფვა ეფექტური მუშაობისკენ და კორპორაციული ფასეულობებისადმი ერთგულება.

მომუშავემ ორივე საკვლევ ობიექტზე წინასწარ იცის არა მარტო პერსპექტივები გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდში, არამედ ისიც, თუ როგორ მაჩვენებლებს უნდა მიაღწიოს, რომ შეძლოს სამსახურებრივი დანინაურება.

მომუშავის კარიერული ზრდის პროცესი შპს

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ მისი დაქირავებისთანავე იწყება, ხოლო სს „თელასში“ — სამუშაოზე მიღებიდან სამ თვეში. პირველ ეტაპზე მომუშავეისათვის აუცილებელია განსაზღვროს მისი განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივები მოცემულ ორგანიზაციაში. მეორე ეტაპზე ადგილი აქვს კარიერული ზრდის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას.

უნდა აღინიშნოს, რომ კარიერა ორგანიზაციაში არ გულისხმობს მაინცდამაინც მუდმივ მოძრაობას ზევით თანამდებობრივ კიბეზე. იგი შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსა“ და სს „თელასში“ გულისხმობს ჰორიზონტალურ გადაადგილებებსაც ერთი სტრუქტურული ქვეგანყოფილებიდან მეორეში. ამიტომ ამ ეტაპზე ადგილი აქვს მომუშავეის შესაძლებლობების შედარებას იმ მოთხოვნებთან, რომლებიც მოცემული თანამდებობის დასაკავებლად წაეყენება კანდიდატს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ობიექტურად შეფასდეს კანდიდატის შესაძლებლობები, მისი უპირატესობები და ნაკლოვანებები.

ორივე საკვლევ ობიექტზე რესპონდენტებმა დასმულ კითხვებზე პასუხით გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ადამიანური რესურსების შერჩევის, ზრდა-განვითარებისა და კარიერის მართვის საკითხზე.²

გამოკითხვის შედეგები განთავსებულია №3 და №4 ცხრილებში.

ცხრილი 3

გამოკითხულთა რაოდენობა და სტრუქტურა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსა“ და სს „თელასში“

გამოკითხულთა რაოდენობა	%	
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	83	34.4
ს.ს. „თელასი“	158	65.6
სულ	241	100.0

ცხრილი.4

სქესი (გამოკითხულთა რაოდენობა სქესის მიხედვით)

	გამოკითხულთა რაოდენობა	%
ქალი	46	19.1
კაცი	195	80.9
სულ	241	100.0

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გამოხატულია საკვლევ ობიექტების საკადრო პოლიტიკა.

² ანკეტური გამოკითხვის შედეგები და ავტორის კონცეპტუალური მოსაზრებები

ცხრილი 5
საკვლევო ობიექტების საკადრო პოლიტიკა

	Count	Column N %
1. ადამიანურ რესურსებთან მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრა	195	80.9%
2. შეხედულებების, მოთხოვნილებების, ნორმებისა და პრინციპების სისტემა	169	70.1%
3. შეზღუდვების სისტემა	29	12.0%

როგორც ცხრილი 5-დან ჩანს, გამოკითხულთა 80,9% უპირატესობას ანიჭებს პერსონალთან მუშაობის ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრას, ხოლო 70,1% — შეხედულებების, მოთხოვნილებების, ნორმებისა და პრინციპების სისტემას. ბოლო ადგილზე გამოკითხულთა 12,0% შეზღუდვების სისტემას ანიჭებს უპირატესობას.

ცხრილი 6
ანკეტური გამოკითხვის შედეგები ადამიანური რესურსების მართვის შესახებ

	Column N %	Column N %	Column N %	Column N %	Column N %
1. ადამიანური რესურსების დაგეგმვა	77.2%	7.5%	5.4%	9.1%	0.0%
2. დასაქმების მხარდაჭერა	10.8%	12.0%	7.1%	10.0%	59.3%
3. სწავლების ორგანიზაცია	5.8%	60.6%	13.3%	7.9%	11.6%
4. ხელმძღვანელობის სტილი, მეთოდები	5.4%	9.5%	67.6%	9.5%	7.1%
5. სტიმულირება და სოციალური პრობლემების გადანაცვლება	0.0%	9.5%	5.8%	62.7%	21.2%
99. მიჭირს პასუხის გაცემა	0.8%	0.8%	0.8%	0.8%	0.8%

ცხრილი 6-ის პირველ სვეტში ჩანს, ჩვენი საკვლევო ობიექტების თანამშრომლები რომელ მაჩვენებელს ანიჭებენ უპირატესობას. გამოკითხულთა 77,2%-მა ადამიანური რესურსების დაგეგმვას მიანიჭა უპირატესობა, 10,8%-მა — დასაქმების მხარდაჭერა,

ერას, 5,8%-მა — სწავლების ორგანიზაციას, 0,8%-ს უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო სტიმულირებასა და სოციალურ პრობლემებს არც ერთმა თანამშრომელმა არ დაუჭირა მხარი.

ცხრილი 7
ანალიზის მეთოდების გამოკითხვის შედეგები

	Column N %
1. დაკვირვების მეთოდი	75.1%
2. გასაუბრება	31.5%
3. კითხვარები	13.7%
4. არც ერთი	10.0%

ცხრილი 7-ის მიხედვით, გამოკითხულთა 75,1% უპირატესობას ანიჭებს დაკვირვების მეთოდს, 31,5% ირჩევს გასაუბრების მეთოდს, კითხვარებს — 13,7%, ხოლო 10% არც ერთ მეთოდს არ ანიჭებს უპირატესობას.

ცხრილი 8
ადამიანური რესურსების შერჩევის თანმიმდევრობის კვლევის შედეგები

	Column N %	Column N %	Column N %	Column N %	Column N %
1. წინასწარი საუბარი, განცხადებისა და ანკეტის შევსება	78.8%	2.5%	13.3%	5.4%	0.0%
2. დაქირავების დარგის მენეჯერთან გასაუბრება	1.7%	72.2%	15.4%	9.1%	1.7%
3. ტესტირება	10.0%	13.7%	68.0%	7.5%	0.8%
4. რეკომენდაციებისა და გამოცდილების შემოწმება	8.7%	11.6%	2.1%	75.9%	1.7%
5. სამედიცინო შემოწმება	0.8%	0.0%	1.2%	2.1%	95.9%

ადამიანური რესურსების შერჩევის თანმიმდევრობის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესობამ უპირატესობა მიანიჭა წინასწარ საუბარს, განცხადებისა და ანკეტის შევსებას (78.8%), 10.0%-მა არჩია ტესტირება, 8.7%-მა — რეკომენდაციებისა და გამოცდილების შემოწმება, ხოლო

უმცირესობას (0.8%) სწორად მიაჩნია სამედიცინო შემოწმება.

დასკვნა

ცხრილი 9
კონკრეტულ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის პროცესის სამუშაოების კვლევის შედეგები

	Column N %	Column N %	Column N %	Column N %	Column N %	Column N %
1. ტესტები ფიზიკურ შესაძლებლობებზე	7.1%	75.9%	0.0%	7.5%	9.5%	0.0%
2. ტესტები გონებრივ შესაძლებლობებზე	4.1%	10.0%	65.6%	15.8%	4.6%	0.0%
3. იმიტაციური ტესტები	1.7%	2.5%	19.5%	67.2%	9.1%	0.0%
4. კომპლექსური ტესტები	2.5%	10.0%	9.1%	6.2%	72.6%	0.0%
5. ერთ თანამდებობაზე მსურველ კანდიდატთა საქმიანი თვისებების შედარება და საუკეთესოს არჩევა	66.0%	1.7%	5.8%	3.3%	3.3%	19.9%
6. თანამდებობაზე დანიშვნა და შრომითი ხელშეკრულების დადება	18.7%	0.0%	0.0%	0.0%	0.8%	80.1%

კონკრეტულ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის პროცესის სამუშაოების კვლევამ აჩვენა შემდეგი შედეგები (ცხრილი 3.3.13): ერთ თანამდებობაზე მსურველ კანდიდატთა საქმიანი თვისებების შედარება და საუკეთესოს არჩევა — 66.0%, თანამდებობაზე დანიშვნა და შრომითი ხელშეკრულების დადება — 18.7%, ტესტები ფიზიკურ შესაძლებლობებზე — 7.1%, ტესტები გონებრივ შესაძლებლობებზე — 4.1%, კომპლექსური ტესტები — 2.5%, იმიტაციური ტესტები — 1.7%.

ადამიანური რესურსის შერჩევასა და განვითარებას შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსა“ და სს „თელასის“ ადამიანური რესურსების მართვისა და მენეჯმენტის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი გულისხმობს ადამიანური შესაძლებლობების მწარმოებლურ გამოყენებას აღნიშნული კომპანიების სხვადასხვა მიზნის განხორციელებისათვის. ადამიანური რესურსების დაქირავება და განვითარება, მათი სწავლების მეთოდები და ეფექტიანობის შეფასება, ძლიერი კომპანიის წარმატების გარანტია.

ადამიანური რესურსების ფორმირების მიზნით მნიშვნელოვანია სწორად წარიმართოს შერჩევის პროცესი. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ვასკვნით:

- შერჩევის პროცესის ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელია მომუშავეთა დასაქმება;
 - ორგანიზაციაში სამუშაო ადგილები უნდა დაკომპლექტდეს მუშაობის მაღალი კულტურის მქონე მომუშავეებით;
 - ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების შერჩევის ეფექტიანი სისტემის ფორმირებისათვის აუცილებელია განისაზღვროს მისი ადგილი ორგანიზაციის ადამიანური რესურსის მენეჯმენტში;
 - ადამიანური რესურსების შერჩევის პროცესის ყოვლისმომცველი მიზანია უმცირესი დანახარჯებით შეიძინოს დაქირავებულთა ის რაოდენობა და ხარისხი, რომელიც დააკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნილებას ადამიანური რესურსების მიმართ;
 - შერჩევის პროცესში კომპეტენციების მეთოდების გამოყენებით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსა“ და სს „თელასის“ უნდა შეძლონ იმ ძირითადი მახასიათებლების დადგენა, რომლებიც გამოყენებულ იქნება შერჩევის საფუძვლად;
 - ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის გასაუმჯობესებლად ყურადღება უნდა მიექცეს საქმიანობის ისეთ მიმართულებებს, როგორცაა: რესურსების დაგეგმვა, ადამიანური რესურსების შერჩევა, პერსონალის გადარჩევა, ხელფასისა და კომპენსაციების განსაზღვრა, სწავლება, შრომითი საქმიანობის შეფასება, დანიშნულება, დაქვეითება, გადაყვანა, დათხოვნა; ხელმძღვანელი კადრების მომზადება; სამსახურებრივი დანიშნულების მართვა; დასაქმება და შრომითი რესურსების მართვის სფეროში სტრატეგიის ერთობლივი შემუშავება.
- შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსა“ და სს „თელასის“ ადამიანური რესურსების შერჩევისა და განვითარების საკითხის შესწავლისა და ანალიზის შედეგად ჩანს, რომ აღნიშნულ კომპანიებში დიდი ყურადღება ექცევა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებას, ადამიანური რესურსების მოზიდვის წყაროების (გარე და შიდა) ფართოდ გამოყენებას, დასახული მიზნების მისაღწევად გააზრებული მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებას

და რეალიზაციას საქართველოში ელექტროენერჯითა და წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიმართულებით. კვალიფიკაციის ამაღლების კონკრეტულმა მიმართულებებმა ჩვენს საკვლევ კომპანიებში შესაძლებელი გახადა:

- ახალი ამოცანების ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფა;
- მართვის მოქნილობისა და ინოვაციების შესაძლებლობათა ამაღლება;
- თანამდებობრივი დანინაურებისთვის ან ჰორიზონტალური გადაადგილებისთვის მომზადება;
- ახალ პროფესიათა ათვისება;
- უფრო მაღალი საკვალიფიკაციო თანრიგის მიღება ან ადაპტაცია ახალი ტექნიკისადმი;
- შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალი ფორმების შესწავლა.

ამრიგად, ადამიანური რესურსების შეფასების თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ადამიანური რესურსების შეფასების, კარიერის მართვისა და ადამიანური რესურსის ზრდა-განვითარების პროგრამის შემუშავება და მისი ინოვაციური რეალიზაცია ადამიანური რესურსის მართვაში ნარმატების სანინდარია, რაც კონკურენტულ უპირატესობაში დიდ ხვედრით წილს იკავებს.

ბამოქვეყნებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., მარიდაშვილი მ., მახარაშვილი ი., „თანამედროვე მენეჯმენტის კრიტერიუმების საკითხისათვის“, ჟურნ. „ეკონომიკური პროფილი“, №13, ქუთ., 2013, გვ. 38-43;
2. ლომია ც., „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, თბ., 2014;
3. ლომია ც., „მენეჯერული ეკონომიკა“, ნაწილი 1, თბ., 2006;
4. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისა“ და სს „თელასის“ პირველადი დოკუმენტები და წლიური ანგარიშები;
5. ჯიქია ქ., „ადამიანური რესურსების ინოვაციური მართვა“, სადისერტაციო ნაშრომი, სტუ, თბ., 2017;
6. ლომია ც., ლაგვილავა ე., „პერსონალის შერჩევის საზღვარგარეთული გამოცდილება“, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2016წ., №3-4, გვ. 114-119;
7. ლომია ც., ლაგვილავა ე., „პერსონალის სწავლების და ზრდა-განვითარების ორგანიზება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსა“ და სს „თელასში“, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2017წ., №1;
8. ლომია ც., ლაგვილავა ე., „პერსონალის შერჩევისა და სწავლების ორგანიზება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსა“ და სს „თელასში“, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2017წ., №1;
9. Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. 10-е издание;
10. „Human Resource Management“ Alan Proce, Gengage Learning EMEA 2011 Y;
11. Kay, J., The Business of Economics, Oxford University press, Oxford, 1996;

ინოვაციური ურთიერთობების განვითარება საქართველოში ევროკავშირში არსებული სტანდარტების გათვალისწინებით

თინათინ გუგეშაშვილი

ასოცირებული პროფესორი, ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

THE DEVELOPMENT OF INNOVATIVE RELATIONS IN GEORGIA WITH THE EU STANDARDS

Tinatin Gugeshashvili

Associated Professor, Business administration department, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

SUMMARY

Presented work is an original research study dedicated to the development of competitive relations in the EU and its actual and practical issues. Based on the latest literary sources and rich factual material in the article, the issues related to the development of competitive relations in the European Union and Sakrelo are consistently researched.

Georgia is trying to establish a decent place among developed countries, especially the European Union. All active economic agents of the country - private sector companies, state structures, civil and academic communities and the majority of citizens hope that the country will become part of European economic integration sooner or later. At the same time everyone understands that there are a number of acute issues in the agenda that can not make this integration impossible. Among these issues is one of the most pressing issues in compliance with national products as the main requirements of the European Free Market, as well as the global global market conditions.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, ევროკავშირი, სტანდარტები, ინოვაციური ეკონომიკა.

* * * *

საქართველოს სტრატეგიები, ინსტიტუტები და საბაზრო ნორმები ეტაპობრივად უახლოვდება ევროკავშირის სტანდარტებს. საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს მტკიცე, ურთიერთსასარგებლო პარტნიორობის ჩამოყალიბებას ჩვენი რეგიონის ქვეყნებთან და მის ფარგლებს გარეთ.

ამრიგად, კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიით საქართველოს მთავრობა გამოხატავს პოლიტიკურ ნებას, ჩამოაყალიბოს თანამედროვე კონკურენციის პოლიტიკა, მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა საუკეთესო საერ-

თაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში. უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სტრატეგია და სამოქმედო პროგრამა შესაბამის სამინისტროებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. ზემოთაღნიშნული ზომების გატარების შედეგად მოსალოდნელია: ეკონომიკური ზრდის სტიმულირება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება: მოკლევადიან პერსპექტივაში მშპ-ს ზრდა 1,7%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში 4,3%-ით; მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9%-ით, იმპორტის 4,4%-ით, გრძელვადიან პერსპექტივაში კი ექსპორტის 12 %-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდა.

ყოველივე ამის შედეგად საქართველოში იქნება ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ასევე, ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას.

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ ითვალისწინებს ევროკავშირში განევრიანებას, თუმცა, შეთანხმება ევროკავშირთან და მის კანონმდებლობასთან (აცქუს) დაახლოვების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის მომავალი ურთიერთობისთვის გრძელვადიან საფუძველს ქმნის. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პრეამბულაში ნათქვამია, რომ მხარეთა საერთო სურვილია, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააღრმავონ ურთიერთობები ამბიციური და ინოვაციური გზით; „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ შეზღუდავს და ღიას დატოვებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სამომავლო პროგრესული განვითარების გზას.

საბაჟო სფეროში რეგულაციები დაუახლოვდა ევროკავშირის პროგრესულ რეგულაციებს. წარმატებით დაინერგა ესტონეთის საგადასახადო სისტემის მოდელი საქართველოში, განხორციელდა მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის, რაც

ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის შორის ექსპორტ/იმპორტის პროცედურების გამარტივებას, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი გარემოს შექმნას.

ამრიგად, მდგრადი განვითარების მისაღწევად საქართველოს კერძო სექტორმა უნდა გაიზიაროს სტანდარტების ღირებულება და მახასიათებლები დარგების, პროდუქტების მიხედვით და ეცადოს, დააკმაყოფილოს გლობალური მოთხოვნები. ეს იოლი საქმე არ იქნება. ის კომპანიებიც კი, ვინც უკვე გაიზარა საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელობა, ბოლომდე ვერ ახერხებენ მათ სრულფასოვან გამოყენებას. თუმცა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ფინანსური რესურსების ნაკლებობაში მდგომარეობს, რაც სტანდარტიზაციისათვის აუცილებელი დანახარჯების განვივის საშუალებას არ აძლევს კერძო სექტორს. უნდა აღინიშნოს, რომ ასოცირების შეთანხმება გულისხმობს ინდივიდუალურ გარდამავალ პერიოდებს სხვადასხვა სექტორებისათვის და ქართული ბიზნესი დროის ამ ინტერვალებში თანდათანობით მოახერხებს ევროსტანდარტთან მიახლოებას. თუ საქართველოს სურს, რომ მომხმარებლის სტატუსიდან ამაღლდეს მწარმოებლის სტატუსამდე, ბიზნეს სექტორმა დროულად უნდა განახორციელოს გარდამავალი ეტაპით გათვალისწინებული ღონისძიებები, რაშიც ქართველ სპეციალისტებთან ერთად ევროკავშირის ექსპერტებიც გაუწევენ კონსულტირებას. ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ევროკავშირის საბაზრო სივრცეში და საქართველო აამოქმედებს ჩემპ+ ით გათვალისწინებული შეღავათების ათვისებას.

სტანდარტები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის განვითარების ყველა ასპექტს, განსაკუთრებით კერძო სექტორის მცდელობას, დააკმაყოფილოს მოთხოვნა მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე მუდმივად მზარდი ხარისხის საქონელსა და მომსახურებაზე. ზოგადად, სტანდარტების შემუშავება მიზნად ისახავს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და მისი უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მოხსნას, პროდუქციის უვნებლობისა და მისი ტექნიკური შეთავსებადობის უზრუნველყოფას.

ევროკომისიის და მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით საქართველოს ხელისუფლებამ 2005 წლის 27 დეკემბერს მიიღო კანონი სურსათის უვნებლობის შესახებ, რომელიც თითქმის მთელ აგრობიზნესის სექტორს ავალდებულებს დანერგოს და განახორციელოს საკვების უვნებლობის სტანდარტები.

ცნობილია, რომ ინსტიტუტები განსაზღვრავენ როგორც მთელი საზოგადოების, ასევე მისი ეკონომიკური ბაზისის, ანუ საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების პირობებს, ამიტომ მათი

დეფორმაცია და გავლენის ცალკეული ჯგუფების ინტერესებზე მორგება განაპირობებს ინფორმაციის ასიმეტრიულობას, ბაზრების არასრულყოფილებას, მონოპოლიური ურთიერთობების გაბატონებასა და ალტერნატიულ მიმართულებებს შორის რესურსების არაეფექტიან განაწილებას, რაც აფერხებს საზოგადოების ფართო ფენების აქტიურობას, მათი ნიჭისა და უნარის გამოვლენა—გამოყენებას, ახშობს მათ აქტიურობას ინვესტიციების, ინოვაციებისა და სოციალური მოღვაწეობის სფეროებში, ეს ხელს უშლის ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას. თანამედროვე მკვლევარები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ინსტიტუტების ხასიათს ინოვაციებისადმი დამოკიდებულების კონტექსტში. შესაბამისად, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური წარმატების (ან წარუმატებლობის) მიზეზად მიიჩნევენ ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების არსებობას (ან არარსებობას), რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენლის მიერ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა—გამოყენების ნახალისებას, თითოეული ინდივიდის ძალისხმევისა და ინოვაციების ნამახალისებელი სტიმულების შექმნას.

მათი აზრით, მხოლოდ ინკლუზიური ინსტიტუტები უზრუნველყოფენ სტიმულებს ეკონომიკურ აქტივობაში საზოგადოების ყველა ფენის ჩასართავად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბების მიზნით საჭიროა სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის ინსტიტუტების განვითარება და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა-დახვეწა. მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ნორმების რეალიზაციის ქმედითი მექანიზმების ფორმირება, ასეთი მექანიზმების არარსებობისას თვით ყველაზე სასარგებლო ინსტიტუტების ეფექტიანობაც კი მცირდება. ინსტიტუტების ჩამოყალიბებისას კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინკლუზიურ ინსტიტუტებს, რადგან სწორედ ასეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბება შეუწყობს ხელს: ბაზრების ეფექტიანობის ამაღლებას, კონკურენტციული ურთიერთობების გაღრმავებას, ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებას, საზოგადოების წევრებსა და ეკონომიკის სუბიექტებს შორის ცივილური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, შესაძლებლობებისა და შედეგების შედარებით სამართლიან განაწილებას, რაც ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების აუცილებელი პირობაა.

საქართველოს სტრატეგიები, ინსტიტუტები და საბაზრო ნორმები ეტაპობრივად უახლოვდება ევროკავშირის სტანდარტებს. საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს მტკიცე, ურთიერთსასარგებლო პარტნიორობის ჩამოყალიბებას ჩვენი რეგიონის ქვეყნებთან

და მის ფარგლებს გარეთ.

ამრიგად, კონკურენციის პოლიტიკის ყოვლის-მომცველი სტრატეგიით საქართველოს მთავრობა გამოხატავს პოლიტიკურ ნებას, ჩამოაყალიბოს თანამედროვე კონკურენციის პოლიტიკა, მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში. უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სტრატეგია და სამოქმედო პროგრამა შესაბამის სამინისტროებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. ზემოთაღნიშნული ზომების გატარების შედეგად მოსალოდნელია: ეკონომიკური ზრდის სტიმულირება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება: მოკლევადიან პერსპექტივაში მშპ-ს ზრდა 1,7%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში 4,3%-ით; მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9%-ით, იმპორტის 4,4%-ით, გრძელვადიან პერსპექტივაში კი ექსპორტის 12 %-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდა.

ყოველივე ამის შედეგად საქართველოში იქნება ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ასევე, ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. დ. კვარაცხელია, „ინსტიტუტები და ეკონომიკური განვითარება“, 2014, 185.
2. “Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova”, ECORYS და CASE-ის კვლევა, 2012.
3. <http://www.smr.gov.ge/docs/doc204.pdf> 2016
4. <http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=20> 2017

პროდუქციის ხარისხის კონტროლის როლი წარმოების ოპტიმალური მენეჯმენტისათვის

ნანა თხელიძე
მაია გრძელიძე

The role of production quality control for the optimal management of the manufacturing Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Tkheldidze H.H.
Grdzeldidze M.G.

The methods of technical control of industrial manufacturing products is discussed in the article, which is aimed at preventing arising deviations from the requirements put in a claim to the production process and product quality. This supports the prevention of defects and the detection of them in the early stages of technological process. Eradication of defects with the minimal loss of resources will condition the improvement of quality of released products and the effectiveness of manufacturing.

საკვანძო სიტყვები: ტექნიკური კონტროლი, ნუნე, პროდუქციის ხარისხი, ქსოვილის ხარისხი, ფეხსაცმელის ხარისხი, მზა ნაწარმი.

Keywords: Technical Control, Wing, Product Quality, Tissue Quality, Shoes Quality, Ready-Made Products.

* * * *

დღეისათვის მნიშვნელოვანია პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება საბაზრო პირობებში. მწარმოებლის წარმატებას ბაზარზე განსზღვრავს პროდუქციის ხარისხი, ამიტომაც აუცილებელია ხარისხის როლის გაძლიერება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში. დღეს საქართველოში, როგორც შიდა ასევე გარე ბაზარზე მომხმარებლისათვის ბრძოლა მოითხოვს ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებას.

საბაზრო ეკონომიკის დროს უდიდესი ყურადღება ეთმობა კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობით განპირობებულ ხარისხის პრობლემას.


ხარისხის უზრუნველყოფის საერთო გეგმის შემუშავებისას მთავარია მისი კონტროლის ორგანიზება.

დიდი ხნის განმავლობაში ორგანიზაციებში ხარისხზე პასუხს აგებდა ხარისხის მართვის განყოფილება. სამრეწველო საწარმოებში ხარისხის მართვის მთავარი იარაღი იყო დეფექტების და შეცდომების აღმოჩენისთვის ჩატარებული შემოწმებები. მასობრივი წარმოების სისტემებში, რომელთა ხანგრძლივი შეჩერება ეკონომიკურად წამგებიანია, ამგვარი შემოწმებები ტარდებოდა საწარმოო პროცესის დასრულების შემდეგ, რის გამოც დეფექტთა უმრავ-

ლესობის თავიდან აცილება ვერ ხერხდებოდა.

ხარისხის მართვის თანამედროვე მიდგომა ეფუძნება არა დეფექტების აღმოჩენას და გამოსწორებას, არამედ მათ პრევენციას. ეს ხორციელდება პროცესების, ნაკეთობების, მომსახურების ყოველმხრივ და გულდასმით შემოწმების ფონზე. ხშირად ტესტირება ტარდება არა წუნის გამოსავლენად, არამედ იმის დასადასტურებლად, რომ საქონელი ხარისხიანია. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფა არ არის ერთი სტრუქტურული ერთეულის პრეოგატივა და ის მთელი ორგანიზაციის საზრუნავად იქცა. უხარისხო პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული დანაკარგები აღმოჩენის ფაქტიდან გამომდინარე ორ გჯუფად - შიდა და გარე დანაკარგებად შეიძლება დაიყოს. თუ წუნი საწარმოო პროცესის დროს დაფიქსირდა, წარმოებას ექნება მხოლოდ შიდა დანაკარგები, მომხმარებლის მიერ დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში კი მას ემატება გარე დანაკარგებიც. (სურ.1)

თანამედროვე მიდგომის კომპლექსტში მცირდება, როგორც შიდა, ასევე გარე დანახარჯებთან დაკავშირებული დანახარჯები, თუმცა ჩნდება ორი ახალი ტიპის ხარჯების განევის აუცილებლობა, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯამურად იმდენად მცირეა ადრე არსებულ დანაკარგებთან შედარებით, რომ მათი მიზანშეწონილობა ეჭვქვეშ არ დგას. ესაა შემოწმებასთან და პრევენციასთან დაკავშირებული დანახარჯები. [4].



სურ.1 ხარისხთან დაკავშირებული დანახარჯები

პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდები სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და საშუალებას იძლევა ხარისხის მაჩვენებლების მაღალ სტაბილურობას მივაღწიოთ მინიმალური დანახარჯებით. კონტროლის ეფექტური სისტემა საშუალებას იძლევა განხორციელდეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის დონეზე დროული და მიზან-

მიმართული ზემოქმედება, თავიდან იქნეს აცილებული ყველა შესაძლო ნაკლოვანება და შეფერხება მუშაობაში და რესურსების უმცირესი დანახარჯებით უზრუნველყოფილი იქნას ოპერატიული ზემოქმედება და წუნების ლიკვიდაცია. ხარისხის მოქმედი კონტროლის დადებითი შედეგები რაოდენობრივად შეიძლება განისაზღვროს პროდუქციის დამუშავების, წარმოების, ექსპლუატაციის (მომხმარებლის) და აღდგენის (შეკეთების) სტადიაზე [1, 2].

მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის წუნის ექსპერტიზა ნაკეთობის სახეების მიხედვით განსხვავებულია. მასალების ხარისხის ექსპერტიზა დამოკიდებულია გამოყენებული მასალების სახეებზე [2, 3]. საერთო საჯარიმო ქულები მიიღება ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლების, გარეგანი და ადგილობრივი წუნების ქულების ჯამით. გავრცელებულია წუნი, რომელიც მასალის მთელ ფართობზე გავრცელებული, ხოლო ადგილობრივი მხოლოდ განსაზღვრულ მონაკვეთში. მაგალითად, ქსოვილების შემთხვევაში: I ხარისხის ქსოვილებში შესამჩნევი წუნები არ დაიშვება. II ხარისხის ქსოვილებში დასაშვებია არაუმეტეს ერთი გავრცელებული წუნისა. ადგილობრივი წუნისათვის საჯარიმო ქულების რაოდენობას ითვლიან პირობით სიგრძეზე [2]:

$$B_f = \sum B \frac{L_g}{L}$$

სადაც: $\sum B$ -საჯარიმო ქულების ჯამია, გარეგანი სახის წუნისათვის L სიგრძის მასალაში;

L_g - ქსოვილის პირობითი სიგრძე (ქსოვილის განის მიხედვით).

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში გამოყენებული მასალებისათვის წუნების დასაშვები რაოდენობა განისაზღვრება სტანდარტით. მაგალითად, ქსოვილებისათვის წუნის რაოდენობა 3 მ2 პირობით ფართობზე იანგარიშება შემდეგი სახით:

$$n_f = n_a \frac{3 \cdot 10^3}{LS}$$

სადაც: n_a - ფაქტიური წუნის რაოდენობა;

L - სიგრძე;

S - ქსოვილის ფართობია,


მზა ნაწარმის ხარისხის განსაზღვრა ხდება სამი მეთოდით — გარეგანი დათვალიერებით, ხაზობრივი ზომების გაზომვით და ლაბორატორიული გამოკვლევით [2, 3]. გარეგანი დათვალიერება წარმოებს ზედაპირის ან სარჩულის მხრიდან, რისთვისაც ახდენენ წყვილი დეტალების შედარებას, ცალკეული დეტალების გაზომვასა და გვირისტის სიხშირის განსაზღვრას ცალკეულ მონაკვეთზე მისი რაოდენობის დათვლით.

ფეხსაცმლის ხარისხის შეფასებისას, მის სირთულეს განაპირობებს დეტალების სიმრავლე და ნაკეთობის აკრების რთული და მრავალგვარი ტექნოლოგია. საფეხსაცმელე მასალები განსხვავებულია

ნაკეთობაში მისი განლაგების და დანიშნულების მიხედვით. ნაკეთობის აკრების პროცესი განსხვავებულია გამოყენებული მეთოდებისა და საშუალებების მიხედვით და დამოკიდებულია ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების ნორმატივების სიზუსტეზე. ამიტომ ფეხსაცმლის ხარისხის შეფასება და კონტროლი ყველა ეტაპზე უნდა მიმდინარეობდეს - მასალის მიღებიდან მზა პროდუქციის მიღებამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნამზადის დეტალების და ნამზადთან ძირის დაკავშირების ხარისხი, რადგან მათზე პირდაპირ არის დაკავშირებული ნაკეთობის მთლიანობის შენარჩუნება ექსპლუატაციის პროცესში.

ლაბორატორიული გამოკვლევით ხარისხის განსაზღვრისათვის ნიმუშის შერჩევა წარმოებს უშუალოდ ექსპერტის მიერ, ნაკეთობის სხვადასხვა ადგილებიდან და ნიმუშების რაოდენობა დამოკიდებულია საქონლის პარტიის სიდიდეზე. კონტროლს ექვემდებარება: წარმოებაში შემოტანილი ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები, ნ/ფაბრიკატები, მაკომპლექტებელი ნაკეთობები; წარმოებული ნაკეთობები, დეტალები, ასაკრები ერთეულები; მზა ნაწარმი; მოწყობილობები, აღჭურვილობა, პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიური პროცესები.

მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ხარისხის შეფასებისათვის ჩატარებული კვლევების დროს (აქ განხილულია ტანსაცმლის ხარისხის კვლევის შედეგები) წუნის სახეების მიხედვით შედარების შედეგი ნაჩვენებია ცხრილში 1, ხოლო სამომხმარებლო თვისებების მიხედვით წუნის განაწილება ნაჩვენებია ცხრილში 2, რომელთა საფუძველზეც აგებულ იქნა განაწილების დიაგრამები (სურ. 2). ცხრილი 1. წუნის სახეები



სქემა 2. მზა ნაწარმის წუნის სახეები.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მზა ნაწარმში გარეგანი წუნები დიდი წილით არის წარმოდგენილი, რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ნაწარმის სამომხმარებლო თვისებების და ვიზუალური ხარისხ-

ცხრილი 1. წუნის სახეები

#	მზა ნაწარმის წუნის სახე	წუნის რაოდენობა a	მზარდი ჯამი $\sum n_i$	$\Delta I = n_i / \sum n_i * 100\%$	მზარდი ჯამი $\sum n_i \%$
1	გარეგნული წუნის სახეები	32	32	47	47
2	ნიმუშ-მეტალონთან შეუსაბამობა	1	33	2	49
Mirroring the range of views on sustainable development there is also a number of different views on sustainable tourism. One perspective on the meaning of sustainable tourism is that of a sustainable industry of tourism (Coccosis and Papairis, 1996). In this view of sustainable tourism, the development of tourism is one alternative and seen as more acceptable than other more environmentally damaging activities such as logging or mining (Holden, 2000). However, little allowance is made in this view for the cumulative impacts of tourism on the environment (Hunter, 1996). Hunter (1996) suggested a number of other perspectives in which the environment is more, or less, central in concepts of sustainable tourism.

Much of the preceding discussion has not made explicit that statements on sustainable tourism need to be related to value judgements. Hence, the interpretation of the term sustainable tourism is very closely related to the political context in which the term is being applied. Butler and Hall (1998) argued strongly that it is actually impossible to separate concepts of sustainable tourism from the value system and political context in which these are being used.

If in early definitions of sustainable tourism the environment was central, then during the late 1980s and early 1990s socio-cultural factors were linked closely to the concept. By the last decade of the twentieth century, sustainability was usually assumed to refer to the specifically environmental and cultural aspects of the visitor destination area. However, it is possible to suggest that it is rather artificial to consider only these aspects from the total of all elements that make up the tourism experience. Hence, tourism sustainability has an economic and organizational dimension as well as socio-cultural and environmental aspects.

Innskeep (1991) suggested that, in relation to practical applications of concepts of sustainable tourism, there are a number of assumptions that underpin these concepts.

Discussion on sustainable tourism, so far has concentrated, largely, on the impacts of tourism itself and how tourism can become more sustainable in terms of, for example, the environment or local communities. However, this ignores the fact that tourism like many other human activities is affected by events beyond the control of those directly involved in it, (such as tourists, host communities and even members of the tourism industry). In other words, tourism is subject to important external forces, both natural and man-made.

However, much thinking in tourism planning and management has ignored external factors. If these are ignored, then it is relatively easy to believe that tourism activities are the result of known factors and are generally predictable. The assumption that causal relationships can be discerned easily and hence that events are predictable is based on a view of the world that is often described as reductionist (Capra, 1982). In this view, which is largely influenced by the ideas of scientists such as Galileo and Newton, objects and events can be understood in terms of their constituent

parts and these parts fit together like cogs in a machine and hence every event is determined by initial conditions that are, in principle, predictable (Faulkner and Russell, 1997). This view has held sway in the natural sciences until the early part of the twentieth century and has also been greatly influential in the social sciences, including tourism studies until very recently.

However, particularly in the second half of the twentieth century, the ideas of Einstein on relativity and Heisenberg's uncertainty principle, meant a revolution in scientific thinking in which it was accepted that the universe is more complex and chaotic than originally conceived. Faulkner and Russell (1997) have applied the idea of chaos to the social sciences and specifically to tourism studies. They suggested that in science, the language used involving linear concepts and machine analogies is now being replaced by a world of non-linearity, spontaneity and surprise and these concepts are being set alongside attributes normally associated with living organisms, such as adaptation, coherence and organization (Faulkner and Russell, 1997).

In terms of tourism, Faulkner and Russell put forward a number of key ideas based on the application of the notions of chaos and complexity.

However, it is not indicated that natural events can greatly influence tourism. For example the eruption of a dormant volcano on the Caribbean island of Montserrat in 1997, severely disrupted the tourism economy, not only because of the perception created, that the island was a dangerous place to visit, but because it actually permanently covered some of the island's tourism resources in lava and ash. Storms, floods and tsunamis are other natural events that can cause major disruptions to tourism activities. Although it is generally known when these might occur and even where, the specifics of force of individual events, precisely when and exactly where they will occur is still not possible to accurately predict. Hence, such events do not fit neatly into the scientific linear conceptualization of tourism activities.

It has been argued that if we accept that we live in an increasingly complex world then, the type of natural or man-made disasters referred to above will become more common (Faulkner, 2001). However, the impacts of disasters on tourism activities (and hence by implication their relevance for tourism planning and management) have been little researched. Faulkner, in attempting to create an agenda for this type of research, tried to distinguish between disasters and crises. He indicated that it is commonly accepted that crises tend to be associated with on-going change that an organisation has failed to respond to and not adapted, while a disaster is the result of a sudden event (or events) that an organization has failed to respond to at all.

Nevertheless, both crises and disasters may have very similar features and, in particular, generate similar impacts (Faulkner, 2001). Fink (1986) attempted to distil the main

ingredients of disasters and crises and came up with the following aspects:

- There is usually a triggering event, which is so major that it challenges existing structures, routines and even survival of an organization.
- They are characterized by fluid dynamic situations.
- There is an element of surprise with a high threat and short decision time.
- For at least part of the event, a feeling of an inability to cope.

A turning point, when a decisive change will happen which may have both negative and positive dimensions, to the extent that even if the event is well managed, the organization will experience great change that may be irreversible.

In the early part of the twenty-first century, despite the general belief that life on earth is becoming more complex, there is as yet insufficient evidence to indicate whether crises and disasters are becoming more common, than in earlier epochs. Neither is it clear, yet, the effect that such events may have on tourism and the various attempts to make the activity more sustainable. Nevertheless, chaos theory provides important perspectives on tourism planning and management. A number of important events that have occurred in the early part of the twenty-first century, and in particular, global terrorism we discuss in relation to global complexity and chaos.

Sustainability is a term that is used often in relation to tourism planning and management. Concepts of sustainable tourism have been derived from concerns with sustainable development. A number of statements on sustainable development appeared in the 1980s. The first major statement on sustainable tourism appeared in 1990. Since then the concept has developed and changed. Early ideas on sustainable tourism usually focused on environmental sus-

tainability. More recent statements have been concerned with socio-cultural and economic factors. The role of host communities has also featured significantly in recent comments on sustainable tourism. It is possible to subdivide comments on sustainable tourism into groupings such as 'technocentric' or 'ecocentric'. It is very likely that concepts of sustainable tourism will continue to evolve over the next decade, and that tourism planning and management will reflect these changing notions.

REFERENCES

1. Jenkins, J. (1993). Tourism policy in rural New South Wales – policy and research. *Geojournal*, **29**, 281–90.
2. Jenkins, P. (1997). *Tourism Policy and Planning: Case Studies from the Caribbean*. New York, Cognizant Communications Corporation.
3. Jurowski, C. (1996). Tourism means more than money to the host community. *Parks and Recreation*, **31**, 110–18.
4. Knudson, D. M., Cable, T. T. and Beck, L. (1995). *Interpretation of Natural and Cultural Resources*. State College, Pennsylvania, Venture Publishing.
5. Kotler, P., Haider, D. and Rein, I. (1993). *Marketing Places: Attracting Investment, Industry and Tourism to Cities, States and Nations*. New York, Free Press.
6. Krippendorf, J. (1987). *The Holiday Makers*, London, Heinemann.
7. Lang, R. (1985). Planning for integrated development. Paper presented at *Conference on Integrated Development Beyond the City*, 14–16 June, Rural
8. Tourism and Small Town Research and Studies Programme, Mount Allison University, Sackville, New Brunswick, Canada.
9. Lasswell, H. (1936). *Who gets What, When and How*. New York, McGraw Hill.

ნანი მამფორია
სტუ ასოც. პროფესორი,
პაატა კოგუაშვილი
სტუ პროფესორი

THE KVEVRI WINE – ROAD TO EUROPE

Nani Mamporia – GTU Associate professor
Paata Koguashvili - GTU Full professor

ABSTRACT

The monument of the Georgian agricultural culture – kvevri and Georgian tradition of winemaking in kvevri, which has come down from the millennial depths, is an important monument of human intangible culture. In recent years, both in Georgia and overseas, the kvevri and kvevri wine have come to a great interest.

During wine making in kvevri the most important process is fermentation. The kvevri not only keeps the wine well, but also participates in fermentation. The tradition of wine making in qevri in Georgia is reviving and the demand on kvevri-wine increases, the sectoral knowledge is far behind. A quality product can only be created when the practical work is accompanied by appropriate knowledge and experience.

Key words: Kvevri, wine, vine, export, intangible culture monument, world market, value.

აბსტრაქტი

ათასწლეულების სიღრმიდან ჩვენამდე მოღწეული ქართული სამეურნეო კულტურის ძეგლი ქვევრი და მასში ღვინის ქართულად დაყენების წესი, საკაცობრიო არამატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, ბოლო პერიოდში, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთშიც, ქვევრი და ქვევრის ღვინო განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა.

ქვევრში ღვინის დაყენების დროს ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია მასში ღვინის დადუღება-დავარგება. ქვევრი, არამარტო ღვინოს კარგად ინახავს, არამედ მონაწილეობს კიდევც დუღილისა და თუ დაღვინება-დავარგების პროცესში.

საქართველოში ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიცია ახალ სიცოცხლეს იკრებს და ქვევრის ღვინოზე მოთხოვნილება იზრდება, მაგრამ ამ პროცესს დარგობრივი ცოდნა ნამდვილად ჩამორჩება. არადა ხარისხიანი პროდუქტის შექმნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც პრაქტიკულ საქმეს შესაბამისი ცოდნა-გამოცდილება ახლავს.

საკვანძო სიტყვები: ქვევრი, ღვინო, ვაზი, ექსპორტი, არამატერიალური კულტურის ძეგლი, მსოფლიო ბაზარი, ღირებულება.

ქართველური მოდგმა ქვევრში ღვინოს 8 ათასი წელია აყენებს. ღვინის დაყენების ამ არქაული და ორიგინალური წესის გავრცელება ყველა მიმართულებით თანამდევით უნდა იყოს ვაზის გაკულტურების (პარადომესტიკაციის) გავრცელებისა დროსა და სივრცეში. თიხის ჭურჭელში ღვინოს სამხრეთ კავკასიასა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონებშიც აყენებდნენ, მაგრამ ქვევრში ღვინის დაყენების ეს უძველესი წესი მხოლოდ ჩვენში შემოგვრჩა, რადგანაც საქართველოს ტერიტორია ქვევრისა და ქვევრში ღვინის დაყენების ამ უძველესი წესისათვის ადგილის დედაა... რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ევროპელებს და დანარჩენ მსოფლიოსაც 2000 წელზე მეტი დასჭირდათ ქვევრში ღვინის დაყენების ქართული წესის აღმოსაჩენად და შესაცნობად. [1]

მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ის გარემოება, თუ როგორი ბუნებისა და შინაარსის ღვინოს აყენებდნენ ძველად, როცა ქართული ღვინო იმდროინდელი ტრანსპორტით — ურმით, ცხენითა და აქლემით სპარსეთამდე და სხვა შორ გზებზე მოგზაურობას კარგად იტანდა. ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საექსპორტო ღვინო სათანადოდ მოვლილი უნდა ყოფილიყო, ამასთანავე, აუცილებლად საკმაოდ ალკოჰოლიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში შორ გზაზე მისი ხარისხი დაეცემოდა და იგი თავის თვისებებს დაკარგავდა, თუმცა გაკვირვებას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოში თერმოსის ტიპის ქვევრები არსებობდა და შესაძლოა მათი მეშვეობითაც ხდებოდა მსგავსი ტიპის ექსპორტიზაციაც.

ქვევრი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობაა. მისგან ბევრს ელიან და მიაჩნიათ, რომ ქვევრის ღვინო თანამედროვე ერთფეროვან ბაზარს გაამრავალფეროვნებს. ეს უძველესი საღვინე ჭურჭელი ახლა მრავალი ქვეყნის მეცნიერთა შესწავლის საგანია, რასაც თან ახლავს დასკვნები ქვევრის ღვინის საუკეთესო თვისებების შესახებ. უცხოელი მეღვინეები ქვევრს თანდათან საპატიო ადგილს უთმობენ თავიანთ მარანში. დისტრიბუტორები კი საქართველოდან ქვევრის ნატურალური ღვინოების ექსპორტს ზრდიან. ქვევრის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე უცხოელმა სპეციალისტებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ახლანდელ პრეტენზიულ მსოფლიო ბაზარზე ქართულ ღვინოს წარმატებას, პირველ რიგში, ქვევრი მოუტანს.

ქვევრში ღვინის დაყენების ქართული მეთოდი ღვინოს სძენს განსაკუთრებულ გემო-თვისებებს. ჩვენ ვიცით, რომ სხვადასხვა მეთოდი არსებობს საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში იყო ჭაჭა კლერტზე გრძელვადიანად დადუღება და დავარგება, ხოლო

დასავლეთ საქართველოში იყო ჭაჭის გარეშე დაყენება. ორივე შემთხვევაში ქვევრს სხვადასხვა დადებითი თვისება აქვს, იგივე დუღილის დროს ძალიან კარგ ტემპერატურის რეჟიმს ქმნის გრძელვადიანი დაფარგებისთვის. ეს ყველაფერი ხელს უწყობს იმას, რომ ქვევრის გამოყენება ჩაითვალოს იდეალურ ჭურჭელად. დაყენების მეთოდი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უბრალოდ ჭურჭელი.

ქვევრის ღვინის დამზადება უნიკალური ხელოვნებაა, რომელიც საქართველოში ტრადიციას წარმოადგენს და იგი სხვადასხვა გამორჩეული ელემენტის კომბინაციას ეყრდნობა, რის შედეგადაც, ღვინის სპეციფიკური სახეობა და გემო იქმნება. ეს ფაქტი გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ იქნა აღიარებული. 2013 წლის დეკემბერში, ბაქოში გამართულ მე-8 სესიაზე აღნიშნულმა ორგანიზაციამ ქვევრის ღვინოს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

UNESCO-ს დოკუმენტში ქვევრის ღვინო შემდეგნაირად არის აღწერილი: „მარტივი ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც ყურძნის სანახელოში დაწურვისგან, ყურძნის ტკბილის, კანის, ყუნწების და ნიჰნის ქვევრში ჩასხმისგან, ქვევრის დალუქვისგან და ამ ნაერთის 5-6 თვის განმავლობაში დაძველებისგან შედგება“. [2]

ქვევრი სათანადოდ დღემდე არავის უკვლევია. რაც შეეხება ღვინოს, ის მრავალმხრივია გამოკვლევულ-შესწავლილი, ამიტომ ფართოდაა ცნობილი ყველა ის მოთხოვნა, რომლებსაც ღვინო ჭურჭელს უყენებს. ღვინო ითხოვს, რომ მის სუნსა და გემოს ჭურჭელი არ შეეხოს, არც გაუმჯობესების და არც გაუარესების კუთხით, რადგან ორივე შემთხვევაში ღვინო ბუნებრიობას (ნატურალობას) კარგავს. ღვინო ითხოვს, რომ დაფარგების პროცესში მუდმივი დაბალი ტემპერატურა ჰქონდეს და ნორმით მარაგდებოდეს ჟანგბადით. შპშპრ(ი) ღვინის ამ მოთხოვნას დღემდე სრულად აკმაყოფილებს. [3]

31 ივლისს, საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში - Cité des Civilisations Du Vin - გაიხსნა ძალიან მნიშვნელოვანი გამოფენა „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“, რომელიც 4 თვეს გაგრძელდება. ღვინის ცივილიზაციის ცენტრში მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლი გახსნა საქართველომ და ის ღვინის ცივილიზაციის მუზეუმის საპატიო მასპინძელი გახლავთ. [4]

ქართული გამოფენის ფარგლებში, ღვინის ცივილიზაციის ცენტრის ცენტრალურ შესასვლელში განთავსდა დიდი ზომის ქვევრი, რომელიც ალავერდის ეპარქიაში ახლადგახსნილი თანამედროვე ქვევრის სკოლის ბაზაზე სპეციალურად ამ გამოფენისთვის დამზადდა. ქვევრი დარჩება მუდმივ ექსპოზიციაში და იუნესკოს მიერ მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდის“ აღიარებას მიეძღვნება.

აი რას ნერს გამოფენის ორგანიზატორი იზაბელ ლეჟერონი: „ქართული ღვინოები, განსაკუთრებით კი ქვევრის ღვინოები, სულ უფრო მეტ პოპულარულ-

ლარობას იძენს დიდ ბრიტანეთში და ჩემი აზრით, მთელ მსოფლიოში, რადგან დიდი ინტერესია განსხვავებული და დიდი ისტორიის მქონე ღვინოების მიმართ. საქართველო კი მსოფლიოში უძველესი ღვინის მწამობელი ქვეყანაა და 8000 რთველს ითვლის. მას ბევრი რამის შემოთავაზება შეუძლია როგორც სომელიეების, ასევე რესტორნებისთვის, რადგან ქართული ღვინის საკვებთან შეხამება მარტივია. ქართული ღვინის ინდუსტრიისთვის ხელსაყრელი დროა, მწარმოებლები აქცენტს აკეთებენ ღვინის დაყენების უძველეს ტექნოლოგიებზე. ბაზარი იზრდება და თქვენც შეგიძლიათ იხილოთ, რომ ქართული ღვინის სტენდთან ყოველთვის ბევრი ხალხია და ისინი ამ ღვინის გასინჯვის შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებენ. სულ უფრო მეტი ადამიანი მიდის საქართველოში და ხვდება მევენახეებს ქართული ქვევრის ღვინისა და თავად ქვევრის დამზადების ხელოვნების გასაცნობად. ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ქართული ღვინო პოპულარული გახდა პარიზში, ნიუ-იორკში, ლონდონში და ა.შ.“ [5]

ამ ვრცელი და ამაყი შესავლის შემდეგ რა დასაძაბულია და არც თუ ისე იშვიათია ისეთი ფაქტები, როდესაც ქართული ქვევრის ღვინო არ არის ღირსეული ხარისხისა.

უმთავრეს პრობლემად ალბათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ამ დრომდე ვაზისა და ღვინის ქართულ კანონში ქვევრზე, ქვევრის ღვინოზე და მარნებზე არაფერი ეწერა, რამაც ამ დარგის განვითარებას გარკვეულწილად ხელი შეუშალა. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვაზისა და ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივა კანონის ცვლილებებთან დაკავშირებით ნამდვილად მისასალმებელია, რადგან კანონში „ვაზისა და ღვინის შესახებ“ პირველად იქნება საუბარი ხსენებულ პრობლემაზე. [6]

ჩვენმა ბრძენმა წინაპარმა, ყოველგვარი მეცნიერული საფუძვლების გარეშე იცოდა, რომ ღვინის დუღილი „თანაბრად, საშუალო ტემპერატურაზე“ უნდა განხორციელებულიყო და ქვევრის მინაში მოთავსების ტრადიციაც სავარუდოდ ამ მიზეზით წარმოიშვა. უფრო მეტიც, ქართველი კაცი ქვევრებს შორის 2-3 მეტრს მაინც იცავდა და ერთმანეთთან ახლოს მინაში არ ათავსებდა, რადგან თბოცვლას ხელი არ შეშლოდა, მინას ქვევრი გაეგრილებინა და დუღილის დროს წარმოქმნილი ტემპერატურით „ქვევრებს ერთმანეთი არ გაეთბო“. დღეს ქვევრის ღვინის მწარმოებლებმა დაივიწყეს ეს ტრადიცია და ხშირად მარნებში ქვევრები ერთმანეთთან ზედმეტად ახლოს არის ჩაყრილი და დუღილის დროს იზრდება მადულარი მასის ტემპერატურა, მინას ალარ ძალუძს ქვევრების გაგრილება.

გამოყენებამდე ქვევრის გარეცხვა და განმენდა აუცილებელია. ონკანის წყალი, ხშირ შემთხვევაში, არ არის საკმარისი მიკრობული ინფექციების მოსაშორებლად. კირიანი წყლის (3-5 კგ. კირი 10-15 ლიტრ წყალში) გამოყენება ტრადიციული მეთოდია და, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საკმაოდ ეფექტიანია. [2]

რთველის წინ ჩვენი წინაპარი საგულდაგულოდ, გულმოდგინედ რეცხავდა ქვევრს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქვევრის სარეცხი იარაღების ნაირ-

სახეობა იყო წარმოდგენილი. ჩგარდა ამისა, დურდოს მოთავსებამდე ქვევრს გოგირდის პატრუქებსაც უბოლებდნენ. რატომ უფრო ვითარდება დაავადება ქვევრის ღვინოებში? ქვევრის კედლები ხასიათდება ფოროვანი სტრუქტურით. ფორში ბაქტერია იზუდებს და შემდეგ ქვევრში ჩასხმულ სითხეში გადაინაცვლებს, მრავლდება და იწყებს ცხოველქმედებას. ზოგჯერ ქვევრის გარეცხვა არაა საკმარისი იმისათვის, რომ მომავალი ღვინო დავიცვათ ბაქტერიების ცხოველქმედებისაგან და აუცილებელია ანტიმიკრობული მოქმედების (ხსნარების/გოგირდის პატრუქების) გამოყენება, რათა სრულყოფილად „გაენმინდოთ“ ფორები მიკროორგანიზმებისაგან. თუ ადამიანს შესაბამისი ცოდნა-გამოცდილება არა აქვს და იგი არ იცავს ჰიგიენის წესებს, მაშინ მას ქვევრი ვერაფერში დაეხმარება.

მნიშვნელობა აქვს ქვევრის წარმომავლობას. კარგი მექვევრე იმითაც გამოირჩევა, რომ მან ზუსტად იცის საიდან მოიტანოს თიხა და როგორი უნდა იყოს ის. ამას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ისტორიულად რამდენიმე ადგილია საქართველოში, სადაც განსაკუთრებულად კარგი ქვევრის თიხა იყო. ქვევრისთვის საჭირო თიხა-კირქვას და მცირე რაოდენობით ძვირფას ლითონებს – ოქროს, ვერცხლსა და სპილენძს შეიცავს. კირი, რომელიც ღვინის მჟავასთან რეაქციაში შედის, ერთი მხრივ, ამაგრებს ქვევრის კედლებს, მეორე მხრივ, ბუნებრივი ანტისეპტიკის როლს ასრულებს, რაც მეღვინეობაში, სადაც 400-მდე სახის ბაქტერიაა ცნობილი, მეტად მნიშვნელოვანია. [5]

როცა პრობლემებზე ვსაუბრობთ, არ უნდა გამოგვჩხეს უმთავრესი რამ: ქართული მეღვინეობის ყველაზე სუსტი წერტილი არის ცუდად მოვლილი ვენახები. ვენახების ცუდად მოვლა კი საქართველოში იწყება იმით, რომ ადამიანი როდესაც აშენებს ვენახს, თითქმის არასოდეს აკეთებს ნიადაგის ანალიზს, რადგან ვენახის გამშენებელთა დიდ ნაწილს არა აქვს სათანადო ცოდნა, თუ რა საფეხურები უსწრებს წინ ვენახის გაშენებას. უბრალოდ, ყიდულობენ ნერგს, რგავენ, აკეთებენ პლანტაჟს და ჰგონიათ – ვენახი უკვე გაშენებულია. არადა, სათანადო შესწავლისა და ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესების გარეშე (ვენახის მოთხოვნებთან შესაბამისობაში რომ მოვიდეს) ვენახის გაშენება უბრალოდ არასწორია. მით უმეტეს, ამის გაკეთების შანსი მევენახეს აქვს ერთადერთხელ — ვენახის გაშენების წინ. წლების მერე, როდესაც ადამიანი აღმოაჩენს პრობლემებს, ხვდება – თურმე ნიადაგში რალაცა არ არის წესრიგში, მაგრამ ყველაფერი უკვე გვიანი იქნება.

მოკლედ, ქვევრის ღვინის ღირებულებათა ჯაჭვი ექვსი ელემენტის მიხედვით არის კლასიფიცირებული:

- ქვევრის დასამზადებლად გამოყენებული თიხის და თავად ქვევრების შემადგენელი ელემენტები და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები;
- ქვევრის დამზადების რეჟიმი;
- ყურძნის მოყვანა და ვენახის მართვის თავისებურებები;
- ქვევრის მოვლა და ჰიგიენის წესები;
- ღვინის წარმოება და ქვევრის ღვინის დუღილის

მახასიათებლები;

- ქვევრის ღვინის კლასიფიკაცია და მახასიათებლები PAR-ის მიხედვით. [2]

უდავოა, ქვევრის ღვინის აღორძინების პროცესი დანაშაულია, თუმცა ჯერ-ჯერობით ისეთი ღვინო, რომელიც ღირსეულად წარდგება უცხოეთის ბაზარზე, ნამდვილად ძალზე ცოტაა. საკითხს ისიც ართულებს, რომ ქვევრის ღვინის დაყენებას არ შეიძლება მიეცეს მასობრივი ხასიათი და იგი არ უნდა იქცეს ინდუსტრიულ ღვინოდ, რაგინდ დიდი იყოს მასზე მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი, როგორც უნიკალური პროდუქტის ღირსებაც და ფასიც დაეცემა. ამიტომ ქვევრში ღვინის დაყენება მარნების საქმეა და არა ქარხნებისა! ქვევრში ღვინის ქართულად დაყენების მეთოდით მიღებული პროდუქტი ის ნიშპროდუქტია, რომელიც ადგილის მოცილებდ არ მოეკვლინება ჩვეულებრივ, ინდუსტრიულ ღვინოს მსოფლიო ბაზარზე და ეს ორი განსხვავებული პროდუქტი ერთმანეთის კონკურენტი არასოდეს იქნება. [6]

ქართული ქვევრის ბოლოდროინდელი არნახული პოპულარიზაციის წყალობით, ყოველ წელს, ევროპულ ბიო-მეღვინეებს საქართველოდან მიაქვთ ქართველი მეთუნეების მიერ წარმოებული ქვევრები და მათ მიერ ევროპაში წარმოებულ ღვინის ეტიკეტზე მიითებულობა, რომ ისინი დაყენებულია ქართულ თიხის ჭურჭელში სახელწოდებით — **ქვევრი**. ეს ტენდენცია გასახარია, მაგრამ თუკი დღეს ევროპელი მეღვინეები ქვევრს ღვინის ქართულ ჭურჭლად აღიარებენ, სათანადო კანონმდებლობის არარსებობის გამო არ არის გამოორიცხული, რომ მომავალში ქვევრის ქართულობის მითითება ევროპელებს აღარ დასჭირდეთ (ან დაავიწყდეთ), ამიტომ ქართულ ქვევრს უპირველესად ევროპაში სჭირდება დაპატენტება.

ყველა რისკ-ფაქტორის გათვალისწინებისა და ტექნოლოგიის დაცვის შემთხვევაში, ქვევრის ღვინის ხარისხიც გარანტირებული იქნება და მომხმარებელსაც აღარ გაუკვირდება ის მაღალი ფასი, რაც დღეს მაღაზიებში ქვევრის ღვინოებს ადევს.

ქართული ქვევრის ღვინის ცნობადობა და მოთხოვნილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სულ უფრო მოიმატებს. საქართველოს მეღვინეობის ორიენტირი ქვევრი და მარანში დაყენებული ქვევრის ღვინო უნდა იყოს. ეს უკანასკნელი კი უდავოდ გახდება ზოგადად ქართული ღვინის გზამკვლევი მსოფლიო ღვინის ურთულეს ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლლონტი თ., კოლუაშვილი პ. „ქვევრის ღვინო-ეროვნული საგანძური!“ თბ., 2014
2. მერცი უ., ბიტარიშვილი ი., და სხვ. „ქვევრის ღვინის იდენტობა“, თბ., 2017
3. გაბრიჭიძე ე. „ქვევრი კი არ სუნთქავს, ქვევრში ღვინო სუნთქავს“. „ახალი აგრარული საქართველო“, №5 (73) 2017
4. <https://www.marketer.ge/ghvinis-civilizaciis-centri/>
5. <http://georgianwine.gov.ge>
6. ბარისაშვილი გ., „ახალი აგრარული საქართველო“ 06 (38) 2014.

ქვევრის მინერალური შედგენილობა

ნოდარ ფოფორაძე

სტუ-ს პროფესორი

ოლღა სესკურია

სტუ-ს ასისტენტი-პროფესორი

MINERAL COMPOSITION OF QVEVRI

**Nodar Poporadze,
Olga Seskuria**

Earthen-ceramic ware represents one of the significant historical material monuments of Georgia. Qvevri occupy a special place among them and still have a functional load. The production of the Qvevri strongly depends upon the quality of the required material, its pre-treatment and the processes of its drying and sintering.

Fine-grained polymineral mixture represents the raw material for making Qvevri. It forms a more or less plastic mass when interacting with water that retains the given shape after drying and becomes strong as a stone after sintering. The main constituent minerals of the raw material are alumino and aluminum silicates.

Applying complex laboratory methods there have been researched the Qvevri from the Armazcikhe-Bagineti and Armaziskhevi wine-cellars located on the territory of Mtskheta and the earthen raw material used for making Qvevri found in various regions of Georgia.

The analyses of the results of the carried out complex studies showed that the samples of the Qvevri from the Armazcikhe-Bagineti and Armaziskhevi wine-cellars differ greatly from each other and they are made of material of diverse mineral and chemical composition applying diverse technologies. Presumably they are sintered in various stoves at various temperatures.

Keywords: Qvevri, feldspar, clay, mineral

საკვანძო სიტყვები: ქვევრი, მინდვრის შპატი, თიხა, მინერალი.

* * * *

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ სიძლიერეს ამჟამად, უმთავრესად, მადნეული და არამადნეული სასარგებლო წიაღისეულის ექსპორტი განაპირობებს, თუმცა ბოლო პერიოდში ექსპორტის ერთ-ერთ მზარდ პროდუქტს ქართული ღვინოც წარმოადგენს. საერთაშორისო ბაზარზე განსაკუთრებული კონკურენტუნარიანობით ქვევრის ღვინო გამოირჩევა. ქვევრის დამზადების ტრადიცია ჩვენს ქვეყანაში 8000 წლით თარიღდება, რაც ქართული კულტურული იდენტობის განუყოფელი ნაწილია.

თიხა-კერამიკული ჭურჭელი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მთავარ მატერიალურ ძეგლს წარმოადგენს. ჭურჭელს შორის ქვევრებს გამორჩეუ-

ლი ადგილი უჭირავს. საამაყო, ის ფაქტიც, რომ 7 ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა. წელს საფრანგეთში ბორდოს მუზეუმ La Cite Du Vin-ის შენობის წინ ქართული ქვევრის მონუმენტი გაიხსნა, რომელიც მუდმივად იქ დარჩება. საქართველოსთვის, როგორც სუვერენული ქვეყნისთვის, უდიდეს მნიშვნელობას იძენს ქვევრის ღვინის ექსპორტი, შესაბამისად, იზრდება ხარისხიან ქვევრებზე მოთხოვნა.

საქართველოში ქვევრის ღვინის მე-4 საერთაშორისო სიმპოზიუმზე მკაფიოდ დაისვა საკითხი ქვევრისა და მისი შემადგენელი ნედლეულის კომპლექსური შესწავლის აუცილებლობაზე. აღსანიშნავია, რომ ამჟამად საქართველოში ქვევრებს ამზადებენ, ძირითადად, 4 რეგიონში, სადაც განსხვავებული მინერალური შედგენილობის ნედლეულია. ეს ადგილებია: ზემო იმერეთში - სოფელი ტყემლოვანა, ქვემო იმერეთში - სოფელი შროშა, გურიაში - სოფელი აცანა და კახეთში - სოფელი ვარდისუბანი.

ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ქვევრის დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის (თიხის) ხარისხს, მისი დამუშავებისა და ქვევრების დამზადების ტექნოლოგიის ზუსტ დაცვას. ქვევრების ნედლეული ე.წ. თიხა წვრილმარცვლოვანი პოლიმინერალური ნარევიანია, რომელიც წყალთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნის მეტ-ნაკლებად პლასტიკურ მასას, რომელიც გაშრობის შემდეგ ინარჩუნებს მინიჭებულ ფორმას და გამოწვის შემდეგ ქვასავით მაგარი ხდება.

ქვევრის დამზადებისათვის საჭირო ნედლეული, ძირითადად, კაოლინიტის, ჰალუაზიტის, მონტმორილონიტის, მინდვრის შპატების ჯგუფის მინერალებითაა წარმოდგენილი. ნედლეულის თვისებებზე დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე მასში არსებული მექანიკური მინარევეები: კვარცი, რკინის ჟანგეულები და ჰიდროჟანგეულები, პიროქსენები, კარბონატები, სულფატები, ქარსები, ორგანული მინარევეები. კვარცი ამცირებს თიხის პლასტიკურობას, ნაწილაკების ურთიერთშეწებების უნარს, თუმცა, ხელს უშლის ნაკეთობის ჩაჯდომას შრობისა და გამოწვის დროს. ქვევრის ნედლეულში მეტად მავნე მინარევეებია Ca-ის და Mg-ის კარბონატები (0,25% -ზე მეტი რაოდენობით 0,5-1 მმ ზომის მქონე ასეთმა ჩანარებმა შესაძლოა ნაკეთობის რღვევა გამოიწვიოს). წვრილდისპერსიული კარბონატები ზრდის ნაკეთობის ფორიანობა, შეცხოების ინტერვალს, ამცირებს სიმტკიცესა და ცეცხლმდეგობას. ნედლეულის ხარისხს ამცირებს ნახშირბადის შემცველობაც, რომელიც ორგანული და არაორგანული წარმოშობისაა. არაორგანული

ნახშირბადის შემცველობა მიუთითებს კარბონატული ნაერთების არსებობაზე.

პირობითად, თიხები ხასიათდება მაღალი, საშუალო და დაბალი პლასტიკურობით. რაც უფრო მეტია ნედლეულში წმინდა ნაწილაკების (კაოლინიტის ჯგუფი, შალუაზიტის ჯგუფი, მონტმორილონიტის ჯგუფი) რაოდენობა და ნაკლებია მექანიკური მინარევები (კვარცი, პლაგიოკლაზები, ქარსები და სხვა), მით უფრო პლასტიკურია იგი, თუმცა დაუშვებელია მექანიკური მინარევების გარეშე ნედლეულის გამოყენება. მაღალხარისხოვანი თიხა-კერამიკული ნაკეთობების დასამზადებლად თიხის ხარისხის გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაკეთობის ფორმირების ტექნოლოგიურ რეჟიმს.

საქვევრე ნედლეულს დანიშნულებისამებრ წინასწარ ამუშავებენ. დამუშავება ითვალისწინებს მის გასუფთავებას, გამჭლევებას, დაღობასა და დახმალვა-დაქუსვლას, შრობას, გამონვას. ზოგჯერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გათვალისწინებული იყო მოპოვებული ნედლეულის თვისებების ხელოვნური გაუმჯობესება ისეთი პროცედურების საშუალებით, როგორც არის მასალის დამატება, ნედლეულის დაყოვნება და გამოყინვა.

საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ქვევრის დამზადების ტრადიციები. ბოლო პერიოდში ინტენსიურად დაიწყო ქვევრების დამზადება, ნაწილი ქვევრების ექსპორტიც წარმატებით ხორციელდება, თუმცა აუცილებელია ქვევრის სტანდარტის შემუშავება.

წინა წლებში ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ქვევრების ნედლეულზე, თანამედროვე (კახეთსა და იმერეთში) და ძველ (მცხეთის ტერიტორიაზე არსებული არმაზციხე-ბაგინეთისა და არმაზის ხევის მარნების ქვევრები) ქვევრებზე და მეღვინეებთან ურთიერთობამ დაგვანახა, რომ ზოგიერთი ახალი დამზადებული ქვევრი ხშირად აზიანებს მასში ჩასხმულ ღვინოს, ამიტომ გადავწყვიტეთ დეტალურად შევისწავლოთ ქვევრების დამზადებისათვის გამოყენებული ნედლეული, ქვევრების მინერალური და ქიმიური შედგენილობა და ქვევრების დამზადების ტექნოლოგია. პარალელურ რეჟიმში დავიწყეთ არსებული ინფორმაციის მოძიება. არსებული მონაცემების საფუძველზე, თვალნათლივ ჩანს, რომ

ქვევრისა და მისი შემადგენელი მასალის დეტალური მინერალოგიური, პეტროგრაფიული, რენტგენოფაზური, ქიმიური კვლევები დღემდე არ ჩატარებულა, თუ არ ჩავთვლით ფრაგმენტულ ნაშრომებს, რომლებიც ცალკეულ კონკრეტულ საკითხებს ეხება. ფაქტია, რომ ცუდი ნედლეულითა და არასწორი ტექნოლოგიით დამზადებული ქვევრი ხშირ შემთხვევაში ღვინის დაზიანების მიზეზი ხდება. ამდენად, დღეს მეტად აქტუალურია ქვევრის დამზადებისათვის საჭირო ნედლეულის საბადოების თიხებისა და მათგან დამზადებული ქვევრების შესწავლა და სტანდარტის შემუშავება.

ამ ნაშრომის ფარგლებში გამოკვლეულია მცხეთის ტერიტორიაზე არსებული არმაზციხე-ბაგინეთისა და არმაზის ხევის მარნების ქვევრები, იმერეთში, კახეთში დამზადებული ახალი ქვევრები. წარმოდგენილია მათი მინერალოგიური, პეტროგრაფიული, ქიმიური და რენტგენოფაზური ანალიზის კვლევის შედეგები.

არმაზციხე-ბაგინეთის მარანში არსებული ქვევრების ნაწილი ფიზიკურად დაზიანებულია, ზოგიც მთელია, ხოლო არმაზის ხევის მარანში ქვევრების უმეტესობა დაზიანებულია. ისინი საშუალო ზომის ქვევრებს წარმოადგენს.

ქვევრების მინერალური შედგენილობის (კვარცი, მინდვრის შპატები, ქარსები, პიროქსენები, ამფიბოლები) და მათი შემაკავშირებელი მასალის (თიხა მინერალები, რკინის ჟანგები, ჰიდროჟანგები) დასადგენად და ფრაქციულ-გრანულომეტრიული ზომის განსაზღვრისთვის გამოვიყენეთ პოლარიზაციული მიკროსკოპი (AMSCOP 600T). ქვევრების შემადგენელი ცალკეული მინერალური ფაზების რაოდენობისა და რაობის დასადგენად გამოვიყენეთ რენტგენოფაზური ანალიზი (DRON-3), ხოლო ქვევრების საერთო ქიმიური შედგენილობის დასადგენად ვისარგებლეთ რენტგენოფლოორესცენციული ანალიზით.

მაკროსკოპულად არმაზციხე-ბაგინეთის მარნის ქვევრის ნატეხების ნიმუშები ერთმორიანია (სურ. 1), მონითალო ფერის. მარილმჟავაზე აქტიურად რეაგირებს. ლუპით დაკვირვებისას ფოროვანია, თუმცა წყალს აქტიურად არ იწოვს.

მიკროსკოპში შემკვრელი (ძირითადი) მასა თიხოვანი შედგენილობისაა, მთლიანად გადასულია ამორფულ, მინისებრ მასაში, რომელიც შეფერილია



სურ.1. არმაზციხე-ბაგინეთის მარნის ქვევრების ფრაგმენტი



სურ.2. არმაზის ხევის მარნის ქვევრის სამშრიანი ფრაგმენტი

ამორფული რკინის ჟანგებით. შემკვრელ მასაში არის საკმაოდ დიდი რაოდენობით კარბონატი, ძირითადად, მცირე გროვების ან ზოგჯერ ძარღვების სახით. შემავსებელი მასალა (მექანიკური მასალა) წვრილმარცვლოვანია, წარმოდგენილია როგორც ცალკეული მინერალებით, ასევე ქანის ნატეხებით. ცალკეული მინერალები წარმოდგენილია კვარცითა და მინდვრის შპატებით - პლაგიოკლაზებით. პლაგიოკლაზები ზოგჯერ პოლისინთეტური მრჩობლებით ხასიათდება (ალბიტის კანონით). გვხვდება მადნეული მინერალებიც. ქანის ნატეხები მცირე რაოდენობითაა და ძირითადად, კვარც-მინდვრის შპატიანი წვრილმარცვლოვანი ქანებითაა (ქვიშაქვა) წარმოდგენილი. გვხვდება კაჟის ნატეხებიც.

მაკროსკოპულად არმაზის ხევის მარნის ქვევრის ნატეხების ნიმუშები, ძირითადად, სამშრიანია (სურ. 2), წვრილმარცვლოვანი, მარილმჟავაზე არ რეაგირებს.

მიკროსკოპში ძირითადი მასა თიხოვან (მონტ-მორილონიტური)-რკინის ჟანგია. თიხა ბოლომდე არ არის გადასული ამორფულ მასაში, რაც ქვევრის დამზადების ტექნოლოგიის პროცესში გამონვის ტემპერატურის საკმარის დონემდე არ მიყვანის შედეგია. შემავსებელ მასაში გვხვდება ეფუზიური ქანის ნატეხები დიბაზური სტრუქტურით. კვარცისა და პოლისინთეტურად შემრჩობლებული პლაგიოკლაზის ჩანართები, კვარცის ცალკეული გროვები. გვხვდება პორფირული გამონაყოფებიც. პლაგიოკლაზები წარმოდგენილია Ca-Na სახესხვაობებით, მათ შორის ზონალური სტრუქტურით, სავარაუდოდ, ანდეზიტებით. გვხვდება მადნეული ჩანართებიც. რენტგენოფაზური ანალიზით არმაზციხე-ბაგინეთის მარნის ქვევრების ნიმუშები შემდეგი მინერალური ფაზებითაა წარმოდგენილი: კვარცი 15-25 %; Ca-Na მინდვრის შპატები 10-15%; კალციტი 15-20%; დანარჩენი დისპერსიული რენტგენომორფული ფაზა (თიხების გარდაქმნის პროდუქტი), რკინის რენტგენომორფული ფაზა. მცირე რაოდენობით შეინიშნება - Fe₂O₃ (ჰემატიტი).

რკინის ჟანგების არსებობა განაპირობებს ქვევრების მოვარდისფრო შეფერილობას გამონვის შემდეგ.

რენტგენოფაზური ანალიზით არმაზის ხევის მარნის ქვევრების ნიმუშები შემდეგი მინერალური ფაზებითაა წარმოდგენილი: კვარცი 30%; Ca-Na მინდვრის შპატები 10-15%; გამონვის შედეგად დარჩენილი თიხური მინერალები (გარკვეულ დონეზე გარდაქმნილი) და რკინის ჟანგის რენტგენომორფული ფაზა. კალციტის ფაზა კვალის დონეზეც არ ფიქსირდება.

არმაზციხე-ბაგინეთისა და არმაზის ხევის მარნების ქვევრების ნიმუშების ქიმიური შედგენილობა (რენტგენოფლოროესცენტული ანალიზით) რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებას არ გვაძლევს.

ჩატარებული კომპლექსური კვლევების შედეგების გაანალიზებით არმაზციხე-ბაგინეთისა და არმაზის ხევის მარნის ქვევრების ნიმუშები რადიკალურადაა განსხვავებული ერთმანეთისგან, ისინი

დამზადებულია განსხვავებული მინერალური შედგენილობის ნედლეულითა და განსხვავებული ტექნოლოგიით, სავარაუდოდ ისინი სხვადასხვა ქურამშია გამომწვარი.

არმაზციხე-ბაგინეთის მარნის ქვევრები ბოლომდეა გამომწვარი, ხოლო არმაზის ხევის ქვევრების შემთხვევაში გამონვის პროცესი ბოლომდე არ არის მიყვანილი. ბოლომდე გამოწვავი ქვევრის ნატეხის ნიმუშზე ვიზუალურადაც ხშირად დაიკვირვება სამშრიანი ფენა - ორი ყავისფერი, რომელთა შუაშიც გვაქვს არათანაბარი სისქის მუქი ნაცრისფერი ფენა. ამ უკანასკნელში ხშირად თვალნათლივ შეიმჩნევა თეთრი ფერის მინერალების ჩანართები.

ქვევრის ნიმუშები, რომლებსაც გამონვის პროცესი სრულად და ტექნოლოგიის დაცვით აქვს ჩატარებული, უმეტესად ერთი ფერისაა (ჩვენს შემთხვევაში - ყავისფერი).

არმაზციხე-ბაგინეთის ქვევრების ნედლეულად, ვფიქრობთ, ძირითადად, არკოზული ქვიშაქვების გამოფიტული ნედლეულია გამოყენებული, რომელსაც შეიძლება დამატებული ჰქონდეს მტკვრის ქვიშა. ქვევრების გამონვის ტემპერატურა შეესაბამება, დაახლოებით, 900-1000°C. ამ ტემპერატურაზე სანყისი თიხამინერალები მთლიანად გადასულია რენტგენომორფულ ფაზაში. გაკვირვებას იწვევს კალციტის (CaCO₃) არსებობა ქვევრების ნიმუშებში. ამ ტემპერატურაზე გამომწვარი ქვევრის კედლებში კარბონატები მთლიანად დაშლილი უნდა იყოს. ვფიქრობთ, რომ კალციტი, ქვევრების მინაში ყოფნისას, იქ მიმდინარე პროცესების შედეგად არის შესული. მითუმეტეს, რომ ქვევრის ნატეხის ზედაპირზე ვიზუალურად თეთრი ფერის ფენა ჩანს. მიკროსკოპშიც კალციტების მეორადი ბუნება დაიკვირვება.

არმაზის ხევის მარნის ქვევრების ნიმუშების ვიზუალური და ლაბორატორიული კვლევებით დადგინდა, რომ მათი დამზადების ტექნოლოგია სრულყოფილად არაა დაცული. ვიზუალურად ჩანს, რომ მათი გამონვის პროცესი არ არის დასრულებული, მითუმეტეს, ქვევრის კედლის ნიმუშშიც ხშირად სამშრიანია. თიხამინერალები ბოლომდე არ არის ამორფულ ფაზაში გადასული. მათი ნიმუშები განსხვავებულია არმაზციხე-ბაგინეთის ქვევრების ნიმუშებისაგან. ვფიქრობთ, რომ მათ ნედლეულად, ძირითადად, გამოყენებულია ვულკანოგენური (ეფუზიური) ქანების გამოფიტული მასალა.

ჩვენ მიერ გამოკვლეულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული კარიერების თიხა-კერამიკული ნედლეულის ფრაქციული ზომები, პეტროგრაფიული და მინერალური შედგენილობა, მინერალური ფაზების რაობა და რაოდენობა, ქიმიური შედგენილობა (მთავარი და მინარევი ელემენტები). კერძოდ, შევისწავლეთ იმერეთის რამდენიმე კარიერის (მაქათუბანი, შროშა, სანაბლეთი, ტყემლოვანა), გურიის (აცანის), კახეთი (თელავის ვარდისუბნის) ნედლეული და მათგან დამზადებული თანამედროვე ქვევრები.

ქვევრის გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს ღვინის დაყენება სწორი ტექნოლოგიით და მისი შენახვა, რისთვისაც აუცილებელია ქვევრის შემადგენელი გამომწვარი თიხა-კერამიკული მასალა არ შედიოდეს ღვინოსთან რეაქციაში. ქვევრის შემადგენელი მასალის ქიმიური და მექანიკური მდგრადობა (არდაშლა), გამოფიტვის პროცესისადმი მედეგობა, შესაბამისად, ქვევრის შემადგენელი თიხა-კერამიკული მასალის შემადგენელი ქიმიური ელემენტების არგადასვლა ღვინოში. ღვინის დაყენებისა და შესაბამისად გამოყენებული ქვევრები სრულიად უვნებელი და უსაფრთხო უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ქვევრის შემადგენელი მინერალების მდგრადობა, გრანულომეტრიული ზომები, წყლის შთანთქმის ზომიერება განაპირობებს ქვევრში ღვინის დაღვინების ნორმალურ პროცესს.

აუცილებელია შენარჩუნდეს ქვევრების წარმოე-

ბის ქართული ტრადიცია, ტექნოლოგიები, მეთუნის ოსტატობა და ცოდნა გადაეცეს თაობიდან თაობას, რომელიც მათასწლიან გამოცდილებას ეფუძნება, თუმცა, საჭიროა გათვალისწინებული იქნას თიხა-კერამიკული წარმოების თანამედროვე მიღწევები და ტექნოლოგიები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფოფორაძე ნ., საქართველოს მინერალები და ქანები. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2012 წ;
2. ნიკოლაიშვილი ვ., ისტორიული დიდი მცხეთა და არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ზონები. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, 2016 წ.

**ინფორმაცია - სოციალური პროცესების სტატისტიკური აღქმის
მნიშვნელოვანი წყარო**

ნაირა ვირსალაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შოთა ლომინაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

დიდი ხნის მანძილზე ჩვენში მთავარი ყურადღება მოვლენების ეკონომიკურ ასპექტს ექცეოდა, სოციალური კი გამოკვლევის მიღმა რჩებოდა. **ბ**ოლო ხანებში ეს სურათი შეიცვალა — სოციალური მოვლენების შესწავლა უპირველეს საქმედ მიიჩნის, ვინაიდან სოციალურ სფეროში ხდება ისეთი ეკონომიკური საქმიანობის შედეგების რეალიზაცია, რომლებიც მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს ეხება.

საზოგადოებაში, კერძოდ სოციალურ სფეროში, მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შემეცნების აუცილებელ პირობას ინფორმაციის არსებობა წარმოადგენს. შეუძლებელია მაღალკვალიფიცირებული მმართველობითი საქმიანობა განხორციელდეს ინფორმაციული ბაზის გარეშე, რამდენადაც ის გამოდის, როგორც ადამიანის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის, შესაძლებლობის რეალობაში გადასვლის მექანიზმის გახსნის საფუძველი.

სოციალური ინფორმაცია ცოდნის მრავალი დონის მომცველია, რომელიც მთლიანობაში ახასიათებს საზოგადოებრივ პროცესებს (ეკონომიურს, პოლიტიკურს და ა.შ.), საზოგადოების სხვადასხვა ელემენტებში მიმდინარე კონკრეტულ პროცესებს (საწარმოო, საოჯახო და ა.შ.), ასევე სხვადასხვა სოციალური, პროფესიული, ტერიტორიული ჯგუფების ადამიანთა ინტერესებს (ახალგაზრდებს, პენსიონერებს და ა.შ.).

სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სოციალურ სფეროში არსებული პრობლემების კვლევას, გამოიყენოს ინფორმაციის ყველა წყარო და უზრუნველყოს ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების ობიექტური, კომპლექსური დახასიათება, რაც ხელს შეუწყობს არსებული რეალობის აღქმას და საჭირო საკითხების დროულ მოგვარებას.

საკვანძო სიტყვები: სოციალური პრობლემები, სოციალური ინფორმაცია, ინფორმაციის ტიპები, ინფორმაციის წყაროები

**INFORMATION- THE VITAL SOURCE FOR
STATISTIC COMPREHENSION OF SOCIAL
PROCESSES**

Naira Virsaladze

Academic Doctor of Economics

Associated Professor of Akaki Tsereteli State University

Shota Iominashvili

Academic Doctor of Economics

Associated Professor of Akaki Tsereteli State University

SUMMARY

For a long time the main attention was attracted to the economic aspect, and social one was left beyond the research. In recent years this picture has been changed. Studying of social occurrences became the first as in the social field there are realized such results of economic activity that touches upon vital interests of the workers.

In the society, especially in the social field, the requirement of cognition of the current occurrences and processes is existence of information. It's impossible to implement skilled governing activity without information base, to the extent that it is the basis of opening the transition mechanism of theoretical and practical activity and ability of the human to reality.

Social information covers many educational levels that characterizes social processes (economic, political and etc.), specific processes in various elements of the society (industrial, family and etc.), as well as interests of various social, professional, territorial group of persons (youth, pensioners, etc.).

In the article there are discussed types and sources of social information, there are talked about that on the basis of social information the state should pay attention to the research of problems in the social field, it should apply all source and provide objective and complex characterization of current occurrences that will support perception of reality and timely settlement of the matter.

Key words: social problems; Social information; Types of information; Sources of information.

შინაარსი

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საზოგადოებაში როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური ურთიერთობების ფორმები. ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ეს პროცესი მტკივნეულად წარიმართა გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლები, გაუარესდა ცხოვრების დონე, მოხდა საზოგადოების მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია, შეფერხდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და გამწვავდა სოციალური დაძაბულობა.

დიდი ხნის მანძილზე ჩვენში მთავარი ყურადღება მოვლენების ეკონომიკურ ასპექტს ექცეოდა, სოციალური კი გამოკვლევის მიღმა რჩებოდა. ბოლო ხანებში შეიცვალა ეს სურათი — სოციალური მოვლენების შესწავლა უპირველეს საქმედ მიიჩნეს, ვინაიდან სოციალურ სფეროში ხდება ისეთი ეკონომიკური საქმიანობის შედეგების რეალიზაცია, რომლებიც მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს ეხება. ამდენად, დაინყო საზოგადოებრივი მოვლენების კომპლექსური სტატისტიკური შესწავლა, რასაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

საზოგადოებაში, კერძოდ სოციალურ სფეროში, მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შემეცნების აუცილებელ პირობას ინფორმაციის არსებობა წარმოადგენს. შეუძლებელია მაღალკვალიფიცირებული მმართველობითი საქმიანობა განხორციელდეს ინფორმაციული ბაზის გარეშე, რამდენადაც ის გამოდის, როგორც ადამიანის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის შესაძლებლობის რეალობაში გადასვლის მექანიზმის გახსნის საფუძველი.

ინფორმაცია- (ლათ. *Informatio* ცნობა, განმარტება, გადმოცემა) სხვადასხვა სფეროში ინფორმაციის ცნების გაგება სხვადასხვა გვარია. ჩანს სხვაგვარულია მათი მნიშვნელობაც. ზოგადად ინფორმაცია არის ცოდნა, რომელსაც ადამიანი იღებს გარემოსამყაროსთან უშუალო ურთიერთკავშირის შედეგად.¹

ინფორმაცია მრავალფეროვანია. იგი შეიძლება დავყოთ: 1. ჩამოკვლევის სფეროს მიხედვით: სამეცნიერო, საზოგადოებრივი; 2. ინფორმაციის მატარებლების მიხედვით: ზეპირი, წერილობითი, ტელე-რადიო, საგაზეთო და სხვა; 3. შინაარსის მიხედვით: სოციალური, ეკონომიკური, ტექნიკური; 4. ხასიათის მიხედვით: ოფიციალური, არაოფიციალური; 5. ინფორმაციის გამოყენების სფეროების მიხედვით: უნივერსალური, სპეციალური; 6. ინფორმაციის გამოყენების ხასიათის მიხედვით: პირობით-მუდმივი და ცვალებადი.

სტატისტიკა, საზოგადოებაში მიმდინარე სო-

ციალური მოვლენებისა და პროცესების დახასიათების მიზნით იყენებს სოციალურ ინფორმაციას. „სოციალური ინფორმაცია“ ინფორმაციის რთული სახეა, ის დაკავშირებულია ადამიანის საქმიანობასთან. მისი შინაარსი ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებს, მოვლენებსა და პროცესებს. ოცი ცოდნის, ცნობების, მონაცემებისა და შეტყობინების ერთობლიობაა, რომელიც საზოგადოებაში ყალიბდება, კვლავ ინარჩუნება და გამოიყენება ინდივიდების, კლასების, ორგანიზაციების, ჯგუფების, სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების მიერ სოციალური ზემოქმედების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, აგრეთვე ადამიანებს შორის ურთიერთობების რეგულირებისათვის.²

ინსტიტუტების მიერ სოციალური ზემოქმედების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, აგრეთვე ადამიანებს შორის ურთიერთობების რეგულირებისათვის.³

სოციალური ინფორმაცია ცოდნის მრავალი დონის მომცველია, რომელიც მთლიანობაში ახასიათებს საზოგადოებრივ პროცესებს (ეკონომიურ, პოლიტიკურ და ა.შ.), საზოგადოების სხვადასხვა ელემენტებში მიმდინარე კონკრეტულ პროცესებს (საწარმოო, საოჯახო და ა.შ.), ასევე სხვადასხვა სოციალური, პროფესიული, ტერიტორიული ჯგუფების ადამიანთა ინტერესებს (ახალგაზრდებს, პენსიონერებს და ა.შ.).

სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური ინფორმაციის სოციალურისაგან განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ იგი მოიცავს ადამიანთა შეხედულების, განწყობის, აქტივობისა და ქცევის შესახებ სუბიექტურ მონაცემებს. სოციალური ინფორმაცია საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს უნდა ასახავდეს ადექვატურად, ობიექტურად, კომპლექსურად (სხვა მოვლენებთან კავშირში) და გამჭირვალედ. იგი წარმოადგენს საზოგადოებაში სხვადასხვა მდგომარეობის მქონე ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებულ (ან შესაძლო) ურთიერთობათა შესახებ ინფორმაციას.

სოციალური ინფორმაცია ხასიათდება რიგი თავისებურებებით, რაც განპირობებულია იმ განსხვავებებით, რომელიც არსებობს: 1. სოციალური (სოციოლოგიური) ინფორმაციის წყაროებში, 2. ემპირიული ინდიკატორების ხასიათში, 3. სხვადასხვა სახის ობიექტთა ანალიზის არსებობაში, 4. ანალიზისათვის ამოსავალი მონაცემების ფორმებში (ანალიზისათვის როგორი მონაცემები იქნეს გამოყენებული), 5. ინფორმაციის მიღების ტექნიკაში, 6. ანალიზის მეთოდებში, 7. მიზნებში (რისთვის ვიყენებთ ინფორმაციას).

სოციალური ინფორმაცია შეიძლება ასეთ ტიპებად დავაჯგუფოთ: სახელმწიფო სტატისტიკის მო-

1 სიმონ გელაშვილი, ზამირა შონია, რუსუდან ქინქლაძე „სოციალურისტატისტიკა“ თბ., 2013. გვ., 22.

2 1 Краткий словарь по социологии. М., 1988, с. 101

3 1 Краткий словарь по социологии. М., 1988, с. 101

ოფა, რათა ცალკეული ჯგუფებიდან გამოკვლევისათვის საჭირო ერთი ან რამდენიმე ობიექტი შეირჩეს. ინფორმაციის არსებობის ფორმები კი არის ვარიაციული და დინამიკური მწკრივები.

„მარტივი“ სტრუქტურის ანკეტებიდან მიღებული მონაცემების მოპოვება ხდება მკაცრად ფორმალიზებული გამოკითხვის საფუძველზე და მიიღება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად. ისინი, როგორც წესი, ატარებს აღწერილობით ხასიათს. ანკეტა მკაცრად ფორმალიზებულია და შეიცავს მარტივ და მოკლე კითხვებს, რადგან გათვლილია რესპოდენტთა არაერთგვაროვან ერთობლიობაზე (განათლების, ასაკის და ა.შ. მიხედვით). ინფორმაციის არსებობის ფორმებია ვარიაციული მწკრივები, ორი ემპირიული ინდიკატორის დამაკავშირებელი ცხრილები, მატრიცები, სადაც ობიექტი არის რესპოდენტები, ნიშანი – ანკეტის კითხვები (ემპირიული ინდიკატორები). ანალიზის ობიექტს ინფორმაციის ამ ტიპის ფარგლებში წარმოადგენს საზოგადოებრივი ერთობები, საზოგადოებრივი აზრის ხვადასხვა პრობლემათა შესახებ.

„რთული“ სტრუქტურის ანკეტებიდან მიღებული მონაცემები მიიღება ანალიტიკური ხასიათის გამოკვლევების საფუძველზე, სადაც მისი მოხდენის მიზეზებიცაა მოცემული. ასეთ გამოკვლევებში მონაცემთა მოპოვების საშუალებები შედგება რამდენიმე ნაწილისაგან. მონაცემთა მოპოვებისათვის გამოიყენება სპეციფიკური, საკმაოდ რთული წესები, მეთოდები და ტექნიკა. ანკეტირებასთან ერთად შეიძლება ტესტების გამოყენებაც. ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენენ ინდივიდები, ინფორმაციის არსებობის ფორმებს – ვარიაციული მწკრივები; მატრიცები და ურთიერთდამოკიდებულების ცხრილები. ინფორმაციის ეს ტიპი გამოიყენება მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზისათვის.

დროის ბიუჯეტის შესახებ არსებული მონაცემები ახასიათებს ადამიანთა რეალურ ქცევას (თუ რაში ხარჯავს იგი დროს – სამუშაოსთვის, დასვენებისთვის, სწავლისთვის და ა.შ.). ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს დროის გარკვეული პერიოდისათვის (ორი, სამი დღე, კვირა) ცალკე აღებული ინდივიდები. მიუხედავად იმისა, რომ დროის ბიუჯეტის გამოყენების კვლევის შედეგად მიიღება უნიკალური ინფორმაცია, ისინი ნაკლებად ტარდება, რადგან მათი ჩატარება რთული და შრომატევადია, როგორც ინფორმაციის მოპოვების, ისე ანალიზის ჩატარების თვალსაზრისით. ანალიზის ობიექტებია გამოკვლევაში მონაწილე ცალკე აღებული რესპოდენტების, საზოგადოებრივი ერთობებისა და ჯგუფების მიერ დროის გამოყენების სტრუქტურა, საქმიანობის სახეები და სხვა.

ტექსტური მინაცემები ძირითადად მოიცავს დოკუმენტურ ტექსტებს. იგი შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი წყაროებიდან: ანკეტებში არსებულ ლია

კითხვათა სამუშაო ტექსტები; ინდივიდუალური და ჯგუფური არაფორმალიზებული სახის ინტერვიუს ტექსტები; ავტობიოგრაფიათა ტექსტები; საარქივო მასალათა ტექსტები. მისი გამოყენება შეიძლება სამართლებრივ სტატისტიკაში. ტექსტების ანალიზის ერთეული შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც კი მისგან შეიძლება ავიღოთ მეორადი ანალიზისათვის. იგი მრავალჯერადი გამოყენების უნიკალურ საშუალებას იძლევა, რისთვისაც მისგან ეტაპობრივად ხდება აუცილებელი ინფორმაციის ამოღება.

ინფორმაცია, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური ასპექტების რაოდენობრივ მხარეს, წარმოადგენს სოციალურ-სტატისტიკურ ინფორმაციას. იგი ყალიბდება მოსახლეობის აღწერებისა და მიმდინარე აღრიცხვის, სპეციალური სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევებისა და სხვათა ბაზაზე. სტატისტიკური ინფორმაციის ძირითადი თვისებებია მასობრივობა და სტაბილურობა. ჰპირველი დაკავშირებულია სტატისტიკის, როგორც მეცნიერების საგნის თავისებურებებთან, მეორე კი ნიშნავს, რომ ერთხელ შეგროვებული ინფორმაცია არ იცვლება და შესაბამისად გააჩნია მოძველების თვისება. ამიტომ მოვლენის მდგომარეობისა და განვითარების შედეგები, რომელიც წლების წინ მოპოვებული და შენახული ინფორმაციის ანალიზის შედაგადაა მიღებული შეიძლება იყოს არასრული და ამასთან არასწორი.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ მრავალი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დააყენა აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა. სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობამ და პრივატიზაციამ სტატისტიკური აღრიცხვის ძირეული შეცვლა და საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკასთან მიახლოება მოითხოვა. გეგმიური ეკონომიკის პირობებში სტატისტიკური აღრიცხვა სახელმწიფოს მიერ მკაცრად კონტროლდებოდა და სტატისტიკური ანგარიშგებითი ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებს განსაზღვრულ ვადებში წარედგინებოდა, ინფორმაციის მინოდება ზედმეტად ცენტრალიზებული იყო, იგი აკმაყოფილებდა საგეგმო ორგანოების ინტერესებს და სრულყოფილად ვერ ითვალისწინებდა ეკონომიკის რეგულირების მოთხოვნებს. საბაზრო ურთიერთობების პირობებში ძირეულად შეიცვალა მდგომარეობა – ცალკეულ ორგანიზაციებს ძირითადად თვითონ უხდებოდა მათთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება და ამ მიზნით სპეციალურად ორგანიზებული დაკვირვების ჩატარება.

სტატისტიკური ინფორმაცია პირველადი სტატისტიკური მასალაა, რომლის ფორმირება ხორციელდება სტატისტიკური დაკვირვების პროცესში. შემდეგ კი ხდება მისი სისტემატიზაციაში მოიყვანა, დაჯგუფება, დამუშავება, გაანალიზება, განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვის ღონისძიებათა შემუშავება.

სოციალური სფეროს საქმიანობის სტატისტიკური ინფორმაცია გარკვეული კუთხით ეკონომიკური ხასიათისაა, ამიტომ იგი საჭიროა ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად. ეფექტიანი მენეჯერული საქმიანობისათვის აუცილებელია მრავალფეროვანი ინფორმაცია, რომელიც უნდა იყოს ახალი და ობიექტური. აქ გათვალისწინებულ უნდა იქნას კომერციული საიდუმლოების პრობლემის არსებობაც, რის გამოც სოციალური ინფორმაციის მოპოვება გართულებულია.

თანამედროვე პირობებში, როცა კარდინალურად შეიცვალა ცენტრალური სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების როლი და გავლენა, საჭიროა ინფორმაციის მოპოვების ახალი პოლიტიკის შემუშავება. რაც საშუალებას მოგვცემს აუცილებელი ინფორმაციით უზრუნველყოთ არა მარტო სახელმწიფო და მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციები, არამედ კერძო სექტორში შემავალი ფირმებიც. ეს სისტემა მოამარაგებს ორგანიზაციებს (ფირმებს) თავიანთი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელი ინფორმაციით. ამასთან, საჭირო ინფორმაციის დაგროვების მიზნით და საინფორმაციო ბანკის შესაქმნელად გამოიყენებს ისეთ ინფორმაციულ წყაროებს, როგორიცაა: სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების ანგარიშგება, შერჩევითი გამოკვლევის შედეგები, მოქმედი კანონებისა და

ნორმატიული აქტების შესახებ არსებული ინფორმაცია, არასახელმწიფო ინფორმაციული წყაროების ინფორმაცია, სარეკლამო ინფორმაცია, კერძო სტრუქტურის ინფორმაცია და სხვა.

გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა ახალი გამწვევების წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყნის აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა. თუ კი ჩვენს სახელმწიფოს აქვს იმის პრეტენზია, რომ მონინავე ქვეყნის კოჰორტას შეუერთდეს, მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სოციალურ სფეროში არსებული პრობლემების კვლევას, გამოიყენოს ინფორმაციის ყველა წყარო და უზრუნველყოს ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების ობიექტური, კომპლექსური დახასიათება, რაც ხელს შეუწყობს არსებული რეალობის აღქმას და საჭირო საკითხების დროულ მოგვარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ბ. ვირსალაძე ნ. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა, ქუთაისი, 2003.
2. სიმონგელაშვილი, ზამირა შონია, რუსუდან ქინქლაძე, სოციალური სტატისტიკა, ლექციების კურსი, თსუ, 2013.
3. <http://www.geostat.ge/>

ნანა ბენიძე
აწსუ ასოც. პროფესორი
ჯამბულ ბინაძე
აწსუ ასოც. პროფესორი

რეზიუმე

საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შედეგად დადგა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საკითხი. ავტომობილის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სისტემის შემოღება ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი ვალდებულება იქნება. ამ დასახული მიზნის შესასრულებლად აუცილებელია, ავტომობილების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური დათვალიერების სრულად ამოქმედდეს. საქართველოს მთავრობის განცხადებით 2018 წლიდან საქართველოში ავტომობილების დაზღვევა სავალდებულო გახდება. პარლამენტი უკვე მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებებზე, რის შემდეგაც დამტკიცდება საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. ჩატარდა კვლევა და აჩვენა, რომ სავალდებულო ავტოდაზღვევის შემოღება ქართველი მძღოლების უმრავლესობისთვის არ არის მისაღები, ხოლო კერძო ავტოდაზღვევა სადაზღვევო პაკეტის სიძვირის გამო რესპოდენტთა უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელია. აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებულ უნდა იქნას. სავალდებულო ავტოდაზღვევის შემოღების შემთხვევაში

სადაზღვევო ტარიფის დანესებისას. სავალდებულო ავტოდაზღვევის სადაზღვევო შენატანი, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი უნდა იყოს. სავალდებულო ავტოდაზღვევის შემოღების შემთხვევაში მომხმარებელს უნდა ჰქონდეს სადაზღვევო კომპანიების თავისუფალი არჩევანის უფლება, რაც გამორიცხავს სავალდებულო ავტოდაზღვევის ბაზარზე სახელმწიფოს მხრიდან ერთი მზღვეველის მონოპოლიის ხელშეწყობას.

საკვანძო სიტყვები: ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, სავალდებულო დაზღვევა, ავტომობილების ტექნიკური დათვალიერება. საავაჭრო ცენტრების სავალდებულო დაზღვევა.

INNOVATIONS IN THE INSURANCE MARKET

Nana Benidze - ATSU associated professor
Jambul Bitsadze - ATSU associated professor

RESUME

As a result of signing the Association Agreement by Georgia with the European Union the issue of harmonization of Georgian legislation with EU legislation has come. Civil responsibility introduction of compulsory insurance system by the owner of the cars would be one of the obligations of the Association Agreement with Europe. In order to accomplish this objective goal, cars mandatory technical inspections will be fully operated. According to the statement of Georgian Government for 2018 the insurance of cars will be mandatory . Parliament is already working on legislative changes , after that the package of legislative amendments will be approved . Research was conducted and showed that introduction of mandatory auto insurance is not acceptable for the majority of Georgian drivers, and private auto insurance for majority of respondents are unavailable due to the cost of insurance package. This fact should be taken into consideration in case of introduction of mandatory auto insurance tariff. The fee of Compulsory Auto Insurance must be appropriate to difficult economic situation in the country. In case of introduction of obligatory auto insurance, customers must have the right to free choice of insurance companies, which excludes the monopoly promotion by the government of one insurer in the obligatory auto insurance market.

* * * *

MTPL-ის (Motor Third Party Liability Insurance) - ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო უნდა გახდეს ყველა ტიპის სატრანზიტო ავტომობილებისათვის. ამ კანონპროექტის მიზანია, დააზღვიოს საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება ზიანისგან, რომელიც შესაძლოა, მათ მიაყენოს სატრანზიტო ავტომობილის მძღოლმა. დაზღვევა სავალდებულო უნდა გახდეს აგრეთვე, საქართველოში რეგისტრირებული ავტომფლობელებისთვისაც, რასაც ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს საქართველოს. იმ ფონზე, რომ საქართველოში დაზღვევა ზოგადად არ არის პოპულარული, და ავტომფლობელთა მხოლოდ

მცირე ნაწილს (5%-მდე) აქვს პასუხისმგებლობა დაზღვეული, დაზღვევის "სავალდებულობა" ერთის მხრივ, სადაზღვევო ბაზარს უფრო მიმზიდველს გახდის ინვესტორებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს მოქალაქეები უფრო დაცულები იქნებიან. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა კოტე სულამანიძემ eugeorgia.info-ს განუცხადა, რომ პირველ დირექტივაზე (2009/103/EC) მუშაობა მიმდინარეობს ორი მიმართულებით. პირველ ეტაპზე MTPL (ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა) სავალდებულო გახდება სატრანზიტო ავტომფლობელებისთვის. პარალელურად მუშავდება კანონპროექტი, რომლითაც MTPL სავალდებულო გახდება საქართველოს მოქალაქეებისთვისაც. „ტრანზიტის მიმართულებით უახლოეს მომავალში ვგეგმავთ, რომ ეს ყველაფერი ნარვადგინოთ კონსტიტუციის შესაბამისად და დავამტკიცოთ პარლამენტში“ - განაცხადა კოტე სულამანიძე.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ მეორე დირექტივას, რომელიც Solvency II-ის სახელით არის ცნობილი, სულამანიძის განმარტებით Solvency I (Solvency II-ის წინა დირექტივა, რომელიც ევროკავშირში მოქმედებდა 2016 წლის 1 იანვრამდე) უკვე დანერგილია და სადაზღვევო კომპანიები უკვე გადავიდნენ ახალ სტანდარტზე, ისინი ანგარიშსწორებასა და რეპორტირებას ახორციელებენ ამ დირექტივის შესაბამისად. 2016 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირი გადავიდა Solvency II-ზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობაში 2020 წელს უნდა აისახოს. მისი მთავარი მოთხოვნაა სადაზღვევო კომპანიებს ჰქონდეთ საკმარისი ფინანსური რესურსები და მყარი გარანტიები. იგი ასევე ადგენს მართვისა და ზედამხედველობის წესებს. ამ დირექტივის მიხედვით სადაზღვევო კომპანიებს მოეთხოვებათ ორი ტიპის კაპიტალი:-მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა (Minimum Capital Requirement): კაპიტალის ის მინიმალური ოდენობა, რომლის ქვემოთაც პოლისის მფლობელები დაუცველები იქნებიან მაღალი რისკისგან.-გადახდისუნარიანობის კაპიტალის მოთხოვნები (Solvency Capital Requirement): კაპიტალის ის მოცულობა, რომელიც სადაზღვევო კომპანიებს სჭირდებათ იმ შემთხვევებისთვის, როცა მნიშვნელოვან დანაკარგებს აქვს ადგილი.

„სადაზღვევო კომპანიებმა უნდა შემოიტანონ ადეკვატური და გამჭირვალე მმართველობის სისტემა პასუხისმგებლობების ზუსტი განაწილებით. მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ადმინისტრაციული რესურსები იმისათვის, რომ უზრუნველყონ რისკების მართვა, კანონმდებლობასთან თავსებადობა და შიდა აუდიტი“ - აღნიშნულია დირექტივა.

მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა	საქართველო	ევროკავშირი
არასიცოცხლის დაზღვევა	2000 0ლარი	2 200ევრო
სიცოცხლის დაზღვევა	2 200 0ლარი	3 200 ევრო
გადაზღვევა	2 200 ლარი	3 200 0ევრო

როგორც მოგეხსენებათ, გასულ წელს მოხდა ცვლილება კანონში და ზღვრები 1,8 მლნ ლარიდან გაიზარდა 2,2 მლნ ლარამდე. მოთხოვნებიც გამკაცრდა, რაც გულისხმობს იმას, რომ მინიმალური კაპიტალის მოცულობა მთლიანად ნაღდი ფულით განისაზღვრა, მაშინ, როდესაც გასულ წელს ამ თანხის მხოლოდ 80% მოითხოვებოდა ნაღდი ფულის სახით. მოსალოდნელია კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების კიდევ უფრო გამკაცრება იმისათვის, რომ სადაზღვევო ბაზარი იყოს უფრო სტაბილური:სავალდებულო დაზღვევის შემოღებასთან ერთად სამომავლოდაც გაიზრდება მინიმალური კაპიტალის ზღვრები. როცა სავალდებულო დაზღვევაა ქვეყანაში თავისთავად კაპიტალის უფრო მაღალი მოთხოვნები უნდა გვექონდეს იმისათვის, რომ კომპანიებს ჰქონდეთ საკმარისი რესურსები

დღესდღობით ბაზარზე 14 სადაზღვევო კომპანია ფუნქციონირებს. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება 18,86 მლნ ლარი შეადგინა. ხოლო მოზიდულმა პრემიამ - 393,04 მლნ ლარი, რომელიც 9%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. დაზღვევის სახეობებიდან მოზიდული პრემიების მიხედვით ყველაზე დიდი წილი სამედიცინო დაზღვევაზე მოდის (44,61%). სადაზღვევო სექტორის განვითარების კვალდაკვალ, სახეზე გვაქვს პენეტრაციის დაბალი დონე, რაც ერთი მხრივ შესაძლოა აიხსნას როგორც შემოსავლების სიმცირით, ისე დაბალი სადაზღვევო კულტურით. მოსახლეობის შემოსავლები ქვეყანაში საკმაოდ დაბალია და ხალხს არ აქვს შესაძლებლობა განიოს დამატებითი ხარჯი დაზღვევაზე. მოქალაქეები რეალურად ვერ აფასებენ რისკებს, რის წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდნენ ან უბრალოდ არის აღქმა იმისა, რომ დაზღვევა ზედმეტი ხარჯია და სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო კომპანიები მაინც არ აუნაზღაურებენ ზარალს.

საქართველოში სადაზღვევო სექტორის წილი (insurance penetration rate), რაც გამოიხატება მთლიანი სადაზღვევო პრემიის ფარდობით მთლიან შიდა პროდუქტთან, არის 1,16%, მაშინ როდესაც ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 7-8%-ია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პენეტრაციის დონის ზრდა უკავშირდება სავალდებულო დაზღვევის შემოღებას, რომელიც ნარმატებით განხორციელდა პოლონეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და ბულგარეთში. 2016 წლის მდგომარეობით სამედიცინო დაზღვევით სარგებლობს საქართველოს მოსახლეობის 14,6%, ხოლო ავტომფლობელთა მხოლოდ 4,3%-ს აქვს დაზღვეული საკუთარი ავტომობილი (51,551 ავტომობილი).

საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე 2016 წლის მონაცემებით დაზღვევაზე 105 ლარი დაიხარჯა, რომლის 45% ჯანმრთელობის დაზღვევაზე მოდის. ხოლო სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის

(MTPL) დაზღვევაზე მოზიდული პრემია მთლიანი პრემიის მხოლოდ 2%-ს შეადგენს. და შესაბამისად MTPL-ის დაზღვევაზე დახარჯული თანხა ერთ სულ მოსახლეზე 2,5 ლარია მაშინ, როცა ევროკავშირში წელიწადში ამ ტიპის დაზღვევაში მოქალაქეები 221 ევროს იხდიან.

თუ ავტოსაგზაო შემთხვევათა სტატისტიკას დავაკვირდებით მივხვდებით, რაოდენ მნიშვნელოვანია ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში. 2015 წელს 6432 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 7,3%-ით აღემატება, დაზარალებულთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო ამავე წელს - 9187 (7,6%-ით მეტი 2014 წლის მაჩვენებელზე). 2015 წელს ავტოსაგზაო შემთხვევებს 602 ადამიანი ემსხვერპლა, რაც ასევე გაზრდილია 2014 წელთან შედარებით (511). მსს-ს ინფორმაციით საქართველოს ავტოპარკი 2015 წელს 8,23%-ით გაიზარდა და 1,1 მილიონს გადააჭარბა. 2016 წელს კი საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა 1,2 მლნ-ზე მეტია, რომლის მხოლოდ 4,3%-ია დაზღვეული. MTPL-ის დაზღვევის "სავალდებულობა" იქნება ერთგვარი სოციალური ეფექტის მატარებელი, რადგან მოქალაქეთა ჯანმრთელობა და ქონება იქნება დაცული.

ამას გარდა, სავალდებულო დაზღვევის შემოღება ქმნის ახალ ბაზარს სადაზღვევო კომპანიებისთვის, ვინაიდან როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად საქართველოში სადაზღვევო ბაზრის წილი არის ძალიან დაბალი (PENETRATION RATE) და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ წილებს, შესაბამისად, დაზღვევის სავალდებულობა გაზრდის ამ წილს, რაც გამოიწვევს უცხოური სადაზღვევო კომპანიების შემოსვლას ბაზარზე, რაც თავის მხრივ ინვესტიციების ზრდას გულისხმობს. ამ დაზღვევის სავალდებულობისას პოლისის ღირებულება რამდენი იქნება ვერ გეტყვით, მაგრამ მე მგონი განვადების მექანიზმის ჩადება პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. თუ ავიღებთ პირობითად 100 ლარს, 120 მლნ-ით გაიზრდება ბაზარი ანუ 2016 წელს მოზიდული პრემიის 30%-ზე მეტი ემატება ბაზარს. რა თქმა უნდა სადაზღვევო კომპანიები დიდი მოლოდინით არიან ჩასაფრებულები. შესაბამისად, ბაზარიც გაიზრდება და მოთამაშეთა რაოდენობაც"- აღნიშნა გიორგი გიგოლაშვილმა.

მოზიდული პრემიების მიხედვით MTPL-ის დაზღვევით "აღდაგი" და "ჯიპიაი ჰოლდინგი" ლიდერობენ. "ჯიპიაი ჰოლდინგის" მარკეტინგისა და კომუნიკაციების ხელმძღვანელის თინათინ სტამბოლიშვილის ინფორმაციით, მიუხედავად ამ პროდუქტის ხელმისაწვდომობისა ავტომფლობელთა ძალიან მცირე ნაწილს აქვს შეძენილი MTPL-ის დაზღვევა: "პროდუქტი ძირითადად გვაქვს დასტანდარტებული და მიბმულია ანაზღაურების ლიმიტზე, მაგალითად 5 ათას ლარიანი ლიმიტი წელიწადში ღირს 60 ლარი. მოთხოვნა ამ პროდუქტზე ამ მომენტში ძალიან დაბალია. შემოძლია გითხრათ, რომ საქართველოში

რეგისტრირებული მანქანებიდან მხოლოდ 5%-მდეა დაზღვეული დღეს და პასუხისმგებლობის დაზღვევა, ანუ MTPL ძირითადად იმას აქვს ვინც თავის მანქანას აზღვევს"- განაცხადა თინათინ სტამბოლიშვილმა. MTPL-ის თემა აქტუალურია გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ან სავალდებულოა ამ ტიპის დაზღვევა ან მოსახლეობის მოცვა იმდენად მაღალია, რომ არ საჭიროებს სავალდებულობას.

ვფიქრობ აუცილებელია, რომ კანონში უნდა ჩაინეროს სადაზღვევო ლიმიტები ცალ-ცალკე სხვადასხვა ზიანის დადგომის შემთხვევაში. ასეთია სხვა ქვეყნების გამოცდილება. ლიმიტები უნდა იყოს მაღალი, რომ აზრი ჰქონდეს დაზღვევის ყიდვას. ახლა ჩვენი MTPL-ის პორტფელი პატარაა ძალიან, თუმცა საცალოზე წელიწადში 60 ლარი არ არის ძვირი, საყოველთაო როდესაც გახდება პორტფელიც გაიზრდება და ფასიც შესაბამისად ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება. თუმცა გასათვალისწინებელია დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა.

თუმცა, MTPL-ის სავალდებულო დაზღვევის შემოღება მნიშვნელოვანია როგორც სოციალური მიზნებისთვის, ისე სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იქნებიან უფრო დაცულები და აღმოიფხვრება მთელი რიგი პრობლემები, რაც ზარალის ანაზღაურებასთან არის დაკავშირებული. აქ მნიშვნელოვანია, რომ ანაზღაურების ლიმიტები იყოს სწორად შერჩეული და განსაზღვრული თითოეული რისკის (ჯანმრთელობის, სიცოცხლის და ქონების დაზიანება) შემთხვევაში. გარდა ამისა, გაიზრდება სადაზღვევო მოცვა და გაზრდილი ბაზრით უცხოური სადაზღვევო კომპანიები მეტად დაინტერესდებიან. ბუნებრივია, სადაზღვევო ბაზრის განვითარების კვალდაკვალ გაიზრდება მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები, რისი შესრულებაც აგრეთვე ასოცირების შეთანხმების ნაწილია და შესაბამისად გულისხმობს სადაზღვევო სექტორის მეტ სტაბილურობასა და მყარ გარანტიებს.

არსებობს კიდევ ერთი სიახლე ქართულ სადაზღვევო ბაზარზე-გიორგი კვირიკაშვილის თქმით, „მთავრობას ამ ნაბიჯის გადადგმისკენ ბოლო პერიოდში მომხდარმა ხანძრის შემთხვევებმა უბიძგა. სახელმწიფო შეადგენს ამ ობიექტების ნუსხას, რის შემდეგაც მათ დაზღვევის ვალდებულება გაუჩნდებათ.“ ბოლო პერიოდში განვითარებულმა რამდენიმე ხანძარმა საკმაო ზარალი მიაყენა სავაჭრო ცენტრებს, მათ მომხმარებლებს, მის ფინქციონირებად მცირე და საშუალო ბიზნესს და თვითონ ამ ცენტრების მფლობელებს, ამიტომ ჩვენ შემოგვაქვს ცვლილება: სახელმწიფო შეადგენს ნუსხას და ამ ნუსხაში გათვალისწინებულ ობიექტებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და მათ მფლობელებს ექნებათ სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნა, რათა მესამე პირების მხრივ სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონების ნაწილში მიყენებული ზიანი იქნას აუცილებელი წესით დაზღვეული.

ამ დასახული მიზნის შესასრულებლად აუცილებელია, ავტომობილების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური დათვალიერების სრულად ამოქმედდეს. 2017 წლის ბოლომდე საქართველოს ყველა რეგიონში პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა სრულად გაიმართება, ხოლო ინსპექტირების ნორმები, კანონით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. როგორც ეკონომიკის მინისტრი ამბობს, წინასწარი გათვლებით, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმაში დაახლოებით 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება, ხოლო შესაბამისი ინფრასტრუქტურის ამოქმედება შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს. მისი თქმით, წინასწარი შეფასებით, აღნიშნულ პროცესში 1000-მდე სპეციალისტი მომზადდება და დასაქმდება.

ამრიგად, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკური მონაცემებით, 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა 56 %-ით გაიზარდა, საავიაციო პასუხისმგებლობის დაზღვევა - 41 %-ით. 2016 წელს დაზღვევის ამ პროდუქტით მოზიდული პრემიის ოდენობამ 175 316 207 ლარი შეადგინა. მოზიდული პრემიის ოდენობით მეორე ადგილზეა ქონების დაზღვევა - 17 %. შესაბამისად, მოზიდული პრემია შეადგენს 65 373 030 ლარს. 59 705 032 ლარი მოიზიდეს კომპანიებმა ავტოდაზღვევიდან. სადაზღვევო ბაზრის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს სიცოცხლის დაზღვევა, მოზიდული პრემიების 7 % სწორედ დაზღვევის ამ სახეობაზე მოდის, პრემიის მოცულობა კი 2016 წელს 25 374 505 ლარი იყო. პროდუქტების

ხუთეულში შედის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელსაც ბაზრის წილის 6 % უკავია და მოზიდული პრემიის მოცულობა 25 189 538 ლარს შეადგენს. ამავე მონაცემებით, მოზიდული პრემიის ოდენობით პირველ ადგილზეა „ჯიპიაი ჰოლდინგი“ - 88 883 773 ლარი. ხუთეულში შედიან ასევე „ალდაგი“ - 77 902 354 ლარი, „იმედი ელი“ - 67 620 359, „არდი“ - 31 528 057, „პე ეს პე დაზღვევა“ - 31 467 460. 2017 წლის I კვარტალში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობაში მოზიდული პრემია და ბაზრის წილი კომპანიების მიხედვით სულ 3,95 მლ. ლ. ალდაგი 50%. ჯიპიაი 18%. ინისონი 16%. ირაო 6%. არდი 5%. სხვა 5%.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინტერვიუ სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილთან. ჟურნალი „თბილისელები“, 26.05.2015
2. კოტორაშვილი თამარ. რას გულისხმობს სავალდებულო ავტოდაზღვევა? სააგენტო ici.ge. 09.05.2014. <http://ici.ge/news/ras-gulisxmobs-savaldebulo-avtodazrveva.html>
3. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მონაცემები. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. 2017წ.
4. დევი ხეჩინაშვილი. „ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის სისტემაში მხოლოდ გამოცდილ კომპანიებს დავუშვებთ“. საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია. 09.05.2017.

გარემოსდაცვითი განათლება, როგორც ტურიზმის მდგრადი განვითარების საფუძველი

მარინა მეტრეველი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

დღეს საქართველო გარემოს მიმართ დიდი გამოწვევების წინაშე დგას, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნისა და მისი მოსახლეობის გრძელვადიან კეთილდღეობას. ცხადია, საჭიროა მდგრადი განვითარების პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი განათლების ჩათვლით, იმგვარად, რომ „დაბალანსებული იყოს ეკონომიკური ზრდა, გარემოს დაცვა და სოციალური განვითარება“.

ეკოლოგიური განათლება წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ სწავლებას, რომელიც აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს, რომლის საშუალებითაც ადამიანი და მთლიანად საზოგადოება მონაწილეობს გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში. მომავალი თაობების მომზადება და აღჭურვა შესაბამისი გარემოსდაცვითი ცოდნით, უნარ-ჩვევებით და მდგრადი გარემოსდაცვითი დამოკიდებულებებით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი განათლების მდგრადობის ანალიზი; მათი განვითარების მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავება. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე ჩვენს მიერ **დასახულია შემდეგი ამოცანების გადაჭრა**: ქვეყნის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისა და ასაკობრივი ჯგუფებისთვის გარემოსდაცვითი განათლების ძირითადი მიმართულებების კვლევა; გარემოსდაცვითი განათლების, ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და სახელმწიფო პოლიტიკისადმი სისტემური მიდგომა და მათი ურთიერთქმედების მოდელის შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი ტურიზმი, გარემოსდაცვითი განათლება, დაცული ტერიტორიები, ადგილობრივი თემები, სახელმწიფო პოლიტიკა.

* * * *

გასული საუკუნის 70-იან წლებში, საერთაშორისო საზოგადოებამ დაიწყო კვლევა განათლების შესაძლო როლის შესახებ გადაუდებელი გარემოსდაცვითი და განვითარების გამოწვევების აღმოფხვრის საკითხში. საერთაშორისო ხედვა გარემოსდაცვითი განათლებისათვის (EE) პირველად აღწერილ იქნა ბელგრადის 1975 წლის ქარტიში, რომელშიც ჩამოყ-

ალიბდა მიზნები, ამოცანები, პრინციპები და გარემოსდაცვითი განათლების სამიზნე აუდიტორია (UNESCO-UNEP, 1975).

საქართველოში ამ მოსაზრებების შემდგომი განვითარება მოხდა 1977 წელს, კერძოდ, თბილისში გამართულ სამთავრობო-საერთაშორისო კონფერენციაზე გარემოსდაცვითი განათლების შესახებ (ICEE). კონფერენციაზე მომზადდა თბილისის დეკლარაცია, რომელშიც ჩამოყალიბდა ფორმალური და არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლების სისტემის სტრუქტურა, როგორც ადგილობრივი, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. ასევე, ნათლად განისაზღვრა გარემოსდაცვითი განათლება, როგორც „სასწავლო პროცესი, რომელიც იწვევს ადამიანების ცოდნისა და ცნობიერების დონის ამაღლებას გარემოსთან და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, ავითარებს აუცილებელ უნარებს და ექსპერტულ ცოდნას გამოწვევების გადასაჭრელად სტიმულირებას უწევს მიდგომებს, მოტივაციებს და ნაკისრ ვალდებულებებს, რათა მიღებულ იქნეს კარგად არგუმენტირებული გადაწყვეტილებები და განხორციელდეს საპასუხისმგებლო ქმედებები“ (UNESCO-UNEP, 1978).

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მოხდა გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების კონცეფციის შერწყმა, რაც აღინიშნება ტერმინით „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ (ESD). გაერთიანებული ერების ეკონომიკური კომისიის (UNECE) თანახმად, განათლება მდგრადი განვითარებისათვის „აფართოებს“ გარემოსდაცვით განათლებას მისი ინტეგრირებით სხვა სფეროებთან იმ მიზნით, რომ შეიქმნას „ყოველსმომცველი კონცეფცია რომელიც მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალური საკითხებს“ (UNECE, 2005). დღეისათვის, საერთაშორისო დონეზე „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ აღიარებულია, როგორც მდგრადი განვითარების ფუნდამენტური სტრატეგია.

„განათლება მდგრადი განვითარებისათვის“, როგორც განვითარების პრიორიტეტის სტიმულირებისათვის, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2005 - 2014 წლები გამოაცხადა „განათლება მდგრადი განვითარების დეკადად“ (DESD) (UNESCO, 2005). შედეგად, მრავალმა საერთაშორისო და ეროვნულმა ორგანიზაციამ შეიმუშავა შესაბამისი სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, მოცემული დოკუმენტის მეშვეობით უნდა შეძლოს საფუძველი ჩაუყაროს საქართველოში „განათლებას მდგრადი განვითარებისთვის“. დოკუმენტი ითვალისწინებს რა საქართველოში არსებულ რეალობას, ამავდროულად შესაბამისობაშია „განათლება მდგრადი განვითარებისთვის დეკადის“ (DESD) ხედვასა და მიზნებთან და „გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ (UNECE ESD) სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან.

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის სახელმძღვანელო პრინციპები, როგორც შინაარსობრივად, ასევე, მისგან გამომდინარე დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების თვალსაზრისით ვერ პასუხობს საქართველოს მდგრადი ტურიზმის განვითარების თანამედროვე გამოწვევებს და გრძელვადიან პერიოდში მისი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს.

გარემოს დაცვის, ადგილობრივი თემებისა და მდგრადი მოგზაურობის ინტერესების გაერთიანების საუკეთესო საშუალებაა, როგორც ტურისტთა, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის განათლება გარემოს დაცვის საკითხებში (TIES, The International Ecotourism Society, 2016). აღნიშნული ტენდენცია აუცილებელს ხდის ქვეყნის ხელისუფლების მიერ გარემოს დაცვის საკითხებისა და გარემოს დაცვითი განათლებისადმი მიმართული ღონისძიებების გააქტიურებას.

ეკოლოგიური განათლება წარმოადგენს მულტი-დისციპლინარულ სწავლებას, რომელიც აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს, რომლის საშუალებითაც ადამიანი და მთლიანად საზოგადოება მონაწილეობს გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში. მომავალი

თაობების მომზადება და აღჭურვა შესაბამისი გარემოსდაცვითი ცოდნით, უნარ-ჩვევებით და მდგრადი გარემოსდაცვითი დამოკიდებულებებით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ეკოლოგიური განათლება ეხმარება ქვეყნის მოსახლეობას გარემოსდაცვითი და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მდგრადი განვითარების პრობლემების გამოვლენაში, ამ პრობლემების შესწავლაში და მათი გადაჭრის აუცილებელი გზების მოძიებაში (საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს წლიური ანგარიშები, 2015).

საყურადღებოა, რომ ყველაზე მწირი განათლება არსებობს სასოფლო-სამეურნეო დასახლებების მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი მათ შორის ვინც ეროვნულ პარკებთან სიახლოვეს ცხოვრობს (სკოლის ასაკიდან დაწყებული ყველა ასაკისა და სოციალური კუთვნილების მოსახლეობისთვის). ამისათვის საჭიროა მათ ადრეული ასაკიდან მიეწოდოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია, ვინაიდან მათ, როგორც ეროვნული მემკვიდრეობის ბატონ-პატრონთ, მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ ამ ტერიტორიების დაცვასა და მოვლაში.


შესაბამისად, საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს გარემოსდაცვითი განათლება ადგილობრივ მოსახლეობასთან. გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ტარდება: შეხვედრები, ლექცია-სემინარები, ტრენინგები, ღონისძიებები მწვანე კალენდრის მიხედვით, ეკოგაკვეთილები ველზე, მწვანე აქციები, ეკოტურები და სხვა სახის გარემოსდაცვითი აქტივობები.

დიაგრამაზე 1.-ზე ასახულია 2006-2016წწ-ში, დაცულ ტერიტორიებთან სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის გარემოსდაცვით განათლებაში ჩართვის ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ 2006 წლიდან 2016 წლამდე ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია საშუალოდ 39%-ით. კერძოდ, 2007 წელს 2006 წელთან შედარებით გაზრდილია - 65,08%-ით, 2008წელს 2007წელთან შედარებით 12,43%-ით, შესაბამისად, 2009-2010 -ზრდა არის 22,29%, 2010-2011წწ ზრდა - 158%, 2011-2012წწ - 46,33%, 2012-2013წწ კი კლება, შესაბამისად -9,83%-ია, 2013-2014წწ - 2,28%, 2014-2015წწ - 29,96%.

2015 წლის მდგომარეობით ლექცია-სემინარი გარემოს დაცვისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით ჩაუტარდა 85 814-მდე მოსწავლეს, 3 652 სტუდენტს, ჩრთული იყო 2283-მდე პედაგოგი. მოენყო 4 667 ეკო-ტური, 840 ლექცია-სემინარი, 679 მოსახლეობასთან შეხვედრა, 120 მწვანე აქცია, 165 დასუფთავების აქცია.

2016 წლის 9 თვის განმავლობაში ლექცია-სემინარი გარემოს დაცვისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით ჩაუტარდა 70 143-მდე

დიაგრამა 1. გარემოსდაცვით განათლებაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობის დინამიკა 2006-2016 წ.წ.



მოსწავლესა და სტუდენტს, ჩართული იყო 3 835-მდე პედაგოგი და ჩატარდა შეხვედრა 10 252 ადგილობრივ მოსახლესთან. ჩატარდა 529 ლექცია სემინარი და 440 მოსახლეობასთან შეხვედრა. მოენყო 55 კვირეული, 103 მწვანე აქცია, 2 695 ეკო ტური და 151 დასუფთავების აქცია.

გარდა დაცული ტერიტორიების სააგენტოსი, ქვეყნის მასშტაბით გარემოსდაცვითი განათლების აქტივობებს ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. იგი დაარსდა 2013 წელს. ცენტრის ერთ-ერთ ძირითად მიზანსა და ამოცანას წარმოადგენს: 1. „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ ხელშეწყობა (მათ შორის, ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, სემინარების ორგანიზების, პროფესიული კურსების შემუშავების გზით); 2. გარემოსდაცვითი განათლების (ფორმალური და არაფორმალური) ხელშეწყობა და ა.შ.

ცენტრმა 2014-2016 წწ-ში გადაამზადა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 906 თანამშრომელი, სხვადასხვა უნივერსიტეტის 32 სტუდენტი და სხვადასხვა სკოლის 60 მოსწავლე; ლექცია-სემინარები მოისმინა 2828-მა მოსწავლემ და 759-მა სტუდენტმა; სულ გარემოსდაცვის საკითხებზე ცოდნა აღიმაღლა 4585-მა ადამიანმა.

2015 წელს, საქართველოში შიდა მოგზაურების რაოდენობა (12,4 მლნ ტურისტი) დაახლოებით 2-ჯერ აღემატებოდა ქვეყანაში შემოსული უცხოელი ტურისტების რაოდენობას (5,9 მლნ). შიდა მოგზაურების 2,1% ანიჭებდა უპირატესობას ლანდშაფტებისა და დაცული ტერიტორიების მონახულებას (საქართვე-


ლოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2015).

იმის გამო, რომ წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა დაცულ ტერიტორიებზე მოგზაურობს, მდგრადი ტურიზმის განვითარებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი მათ უნდა ჰქონდეს სისტემატური და მრავალფეროვანი ინფორმაცია. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებებში, სკოლებში და უნივერსიტეტებში შეტანილია სპეციალური საგნები გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით, მატერიალური რესურსი და სასწავლო მეთოდოლოგიური მასალა არ არის საკმარისი გარემოსა და მდგრადი განვითარების შესახებ ტრენინგებისა და განათლების სრულყოფილად ჩასატარებლად. ამაზე მეტყველებს ის მწირი დაფინანსება, რომელიც სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს აქვს გამოყოფილი 2017 წლის ბიუჯეტით (100 ათ ლარი).

საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია „ტურიზმის სტრატეგია 2025“ ითვალისწინებდეს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- საქართველოში დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის, ეკოტურიზმის განვითარების და ტურისტების მოზიდვა-დაინტერესების მიზნით დაცული ტერიტორიების სარეკლამო და სააგიტაციო ღონისძიებების ჩატარება;
- ეკოლოგიური განათლების, ცნობიერების ამაღლების და საზოგადოების ცალკეული ჯგუფების გარემოსდაცვითი ქცევის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება;
- ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ

სურათი 1. გარემოსდაცვითი განათლების, ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვისადმი სისტემური მიდგომის მთლიანი



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით.

„გარემო და მდგრადი განვითარების“ სწავლების სისტემატიზებისთვის კი საჭიროა შემუშავდეს და ცნობიერება აიმაღლოს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით (რომლებიც აუცილებელია საქართველოს მოქალაქეთა ყველა ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდეს უწყვეტად):

- მდგრადი განვითარების კონცეფცია;
- მდგრადი ტურიზმისა და გარემოს ურთიერთობა და ეკოტურიზმის მნიშვნელობა;
- გლობალური გარემო და მისი საფრთხეები - ჰაერის დაბინძურება, ნიადაგის დაბინძურება, ეროზია, წყლის დაბინძურება, რესურსების ნაკლებობა, ნარჩენები, კლიმატის ცვლილება, სახეობები და ეკოსისტემები, გარემოს დეგრადაციის საკითხები (გაუდაბნობა, ტყეების დაკარგვა, კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა);
- განახლებადი ენერგორესურსები;
- გარემოსდაცვითი ინსტრუმენტები;
- სამართლებრივი ინსტრუმენტები - საერთაშორისო კონვენციები, დეკლარაციები და შეთანხმებები, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საფუძვლები.

ზემოაღნიშნული ფაქტორები შეიძლება ჩამოვყალიბოთ, მოდელის სახით, როგორც გარემოსდაცვითი განათლების, ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და სახელმწიფო პოლიტიკის ურთიერთქმედებისადმი სისტემური მიდგომა (სურათი 1.)

გარემოსდაცვითი საკითხების ბავშვობიდან მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა სწორედ ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში, როგორც გარემოს დაცვას, ასევე მდგრადი ტურიზმის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ., (2004). ტურიზმი და გარემოს დაცვა — ეკოტურიზმის საფუძვლები, ფორმა, თბილისი
2. მეტრეველი მ., (2007). კახეთი — ვამლოვანი-სა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები, ჯი ეი თი, თბილისი
3. მეტრეველი მ., (2011). გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, ფავოროტი პრინტი, თბილისი
4. პეპანაშვილი ნ., კლიმიაშვილი ლ. (2010). გარემო და მდგრადი განვითარება, თბილისი
5. ქაჯაია გ., (2002). გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები, თბილისი Georgian Tourism Statistics – 2015. თბილისი
6. Georgia Tourism Strategy 2025, Volume 1: Situation Analysis, Tbilisi, Georgia, May 2015, p. 108
7. McClintock, E. (2011). Education for sustainable development strategy: *Draft recommendations*. Unpublished] Georgian Ministry of Environmental Protection and U.S. Peace Corps, Tbilisi.
8. National Biodiversity Strategy and Action Plan of Georgia 2014 – 2020, Tbilisi, 2014
9. <http://web.archive.nationalarchives.gov.uk/20080305115859/http://www.defra.gov.uk/environment/sustainable/educpanel/1998ar/ann4.htm>
10. <http://apa.gov.ge/en/saagento>
11. <http://resources.spaces3.com/a30712b7-da01-43c2-9ff0-b66e85b8c428.pdf>
12. <http://www.apa.gov.ge/ge/angariSebi>
13. http://www.gdrc.org/uem/ee/EE-Tbilisi_1977.pdf
14. <http://www.moe.gov.ge/en/about-ministry/ssip/garemosdacviti-informaciisa-da-ganatilebis-centri>
15. <http://www.uia.org/s/or/en/1100055846>

რეზიუმე

საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმის მდგრადი განვითარება წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს, რომელიც მხოლოდ დეკლარირებითა და საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ში, რამდენიმე სიტყვითაა დადასტურებული. მსოფლიოს ქვეყნებში, ბოლო ათწლეულის მანძილზე გარემოს დაცვასა და განათლებისადმი ყურადღების ზრდის ფონზე, საჭიროა ქვეყანაში გარემოსდაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გააქტიურება.

კვლევიდან გამოიკვეთა, რომ საქართველოში დანერგულია ყველა ასაკობრივი ჯგუფსა და სოციალური კუთვნილების მოსახლეობაში გარემოსდაცვითი განათლებისადმი სისტემური მიდგომა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, არ არის საკმარისი მისი მხოლოდ დეკლარირება. საჭიროა, როგორც გარემოს დაცვის, ასევე ტურიზმის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტებთან და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ იქნეს გარემოსდაცვითი განათლებისა და სწავლების გააქტიურების მექანიზმები ქვეყანაში ტურიზმის მდგრადი განვითარების მიმართულებით.

ნაშრომში, ქვეყნის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისა და ასაკობრივი ჯგუფებისთვის გარემოსდაცვითი განათლების ძირითადი მიმართულებების კვლევიდან გამომდინარე შემუშავებულ იქნა გარემოსდაცვითი განათლების, ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და სახელმწიფო პოლიტიკისადმი სისტემური მიდგომა და მათი ურთიერთქმედების მოდელი.

აღნიშნული მოდელიდან გამომდინარე სისტემური მიდგომის განხორციელება (მექანიზმი) დაეხმარება საქართველოს ახლანდელ და მომავალ თაობებს შეიძინონ არა მხოლოდ გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების თეორიული ცოდნა, არამედ სათანადოდ აღიჭურვონ პრაქტიკული უნარების გამოყენების შესაძლებლობებით ტურიზმის მდგრადი განვითარების მიმართულებით.

ENVIRONMENTAL EDUCATION AS THE BASIS FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT OF TOURISM

Marina Metreveli

Doctor of Economics,
Professor, Georgian Technical University

RESUME

Sustainable development of tourism by the Government of Georgia is one of the main priorities of economic development, confirmed in brief through declaration solely in the Tourism Strategy of Georgia for 2025. Against the background of increased attention to environmental protection and education worldwide during the recent decades, environment-related measures shall be intensified in the country.

The survey revealed that system approach to the environmental education has started towards the population of Georgia attributed to all age groups and social strata. Despite of the hereof fact, declaration solely of the strategy is not enough. The Strategic Documents for environmental protection and tourism development, as well as respective legislative acts shall envisage the mechanisms for intensification of environmental education and training in terms of sustainable development of tourism in the country.

The Paper, deriving from the study of main directions of the environmental education for the population of the country of various social layers and age groups, provides the developed system approach to the environmental education, sustainable development of tourism and state policy and the model of inter-relation thereof.

Deriving from the hereof model, application (mechanisms) of the system approach will facilitate the current and future generations of Georgia to obtain not only the theoretical knowledge of environmental protection and sustainable development but to be equipped with capacity of application of practical skills in terms of sustainable development of tourism.

საქართველოს აგრარული სექტორის სანარმოო-ეკონომიკური პოტენციალი
პოტენციური საბაზრო ეკონომიკის პირობებში

დალი სილაგაძე,

ბიზნესის მართვის დოქტორი ასოც. პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში გაშუქებულია საქართველოს აგრარული სექტორის სანარმოო-ეკონომიკური პოტენციალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რამდენადაც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება აუცილებელია ეკონომიკის განვითარებისთვის.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა სანარმოო-ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა. სანარმოო პოტენციალი შეიძლება განისაზღვროს ცალკე ფერმერული მეურნეობებისათვის და ცალკე დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო სანარმოებისათვის, რომელთა დაჯგუფებაც ამჟამად წარმოებს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. მაგრამ, რადგან რეალურად, დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 80-100 პროცენტს აწარმოებენ პირველ ჯგუფში, ანუ წვრილ, ფერმერულ მეურნეობებში, შესაძლებელია ამ დარგის სანარმოო პოტენციალი გავაიგივოთ (გაუტოლოთ) მთლიანად აგრარული სექტორის სანარმოო პოტენციალთან და ისე განვიხილოთ.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ რესურსი სანარმოო პოტენციალად იქცევა მაშინ, როდესაც მატერიალური დოვლათის წარმოების წყაროდ გახდება და პროდუქციის შექმნაში აქტიურად მიიღებს მონაწილეობას. ამდენად, აგრობიზნესის სანარმოო პოტენციალი არის ტექნოლოგიურად დაბალანსებული რესურსების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც კონკრეტულ დროსა და სირცხვიში შესაძლებელია დიდი რაოდენობით მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება.

საკვანძო სიტყვები: სანარმოო - ეკონომიკური პოტენციალი, რესურსული პოტენციალი, აგრობიზნესის სანარმოო პოტენციალი.

INDUSTRIAL AND ECONOMIC POTENTIAL
OF AGRARIAN SECTOR OF GEORGIA UNDER
MARKET ECONOMICS

Dali Silagadze,

Doctor of Business Management, Ass. Professor
Akaki Tsereteli State University

SUMMARY

In the article there is highlighted industrial and economic potential of agrarian sector of Georgia under the market condition as development of agriculture is essential for development of economics.

Our goal is to study industrial and economic potential.

Industrial potential can be determined for separate farming and agricultural enterprises which are grouping by Statistics State Department. As for today, 80-100 percent of agricultural product is produced in the first group or small farming. It's possible to identify (equalize) industrial potential with the industrial potential of agrarian sector.

In conclusion we'd like to mention that the resource can be made as the industrial potential when it becomes the source of production of material wealth and will take part in the production. Therefore, industrial potential of agribusiness is the unity of technologically balanced resources by which high standard and competitive production can be made in specific time and space.

Key words: industrial and economic potential, resource potential, agribusiness industrial potential.

* * * *

აგრობიზნესის წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რესურსების ეფექტურ გამოყენებას. აგრობიზნესმენის ხელში იმყოფება მიწის, კაპიტალის, ფულადი და ადამიანური რესურსების გარკვეული, ზღვრული რაოდენობა, მარაგი. რესურსების შეზღუდულობით გამოირჩევიან მომხმარებლებიც და მწარმოებლებიც. ამიტომ, მათ წინაშე ყოველთვის დგება ეკონომიკური არჩევანის პრობლემა, მუდმივად წარმოიქმნება ალტერნატიული არჩევანის შესაძლებლობა. ამდენად, ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია შეზღუდული რესურსების პირობებში სწორი არჩევანის გაკეთებაზე. სასოფლო სამეურნეო წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე, აქ განსახვავებულია პოტენციალის ფორმირება-განვითარების პროცესი. მისი ჩამოყალიბება შიდა და გარე ფაქტორების გავლენით ხდება. შინაგანს მიეკუთვნება მიწა, შრომითი და მატერიალური რესურსები. შინაგანი ფაქტორები მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი ხშირად უძლურია გარეგანი ფაქტორების გავლენის წინაშე, რადგან სოფლის მეურნეობაში გარეგანი ფაქტორად ხომ ცვალებადი ბუნებრივ-კლიმატური პირობები იგულისხმება. აგრარულ რესურსულ პოტენციალზე დიდ გავლენას ახდენს თვით რესურსების სტრუქტურა. მისი ცვლილება ასახავს განვითარების კანონზომიერებებს. როცა შემადგენლობაში იზრდება ყველაზე არსებითი ელემენტის ხვედრითი წილი, აუცილებლად დაცული უნდა იყოს პირობა, რომ მისმა ზრდამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნას დანარჩენი ელემენტების განვითარებასაც.

ისეთი რთული, მრავალსპექტიანი კატეგორიის არსი, შედეგნილობა და სტრუქტურა, როგორცაა აგრარული სექტორი და მისი საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალი, ჯერჯერობით, ნაკლებადაა გამოკვლეული, ხოლო არსებულ ნაშრომებში წარმოდგენილი მასალა არ ქმნის იმ მყარ თეორიულ და მეთოდურ ფუნდამენტს, რომლის საშუალებითაც შეიძლება აგროსექტორის ფორმირებაში წარმოების განვითარების მრავალი ამოცანის მეცნიერულად გადანწყვეტა.

ტერმინ „პოტენციალის“ ცნება მრავალნახნაგაა და მოიცავს მატერიალურ წყაროებს, როგორცაა საშუალებები, მარაგები (რომელთა მოქმედებაში მოყვანა ადამიანის მიერაა შესაძლებელი და გამოიყენება რაიმე ამოცანის გადასაწყვეტად), ასევე გულისხმობს იმ ადამიანებს, მათ სულიერ ღირსებებს, მენარმოების უნარს, სურვილს, კვალიფიკაციას, რომლებიც ჩართულები არიან წარმოების პროცესში, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმებს და თვით წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს დროში და სივრცეში. ასე რომ, როცა ვსაუბრობთ ეკონომიკური საქმიანობის რაიმე სფეროს პოტენციალზე, საჭიროა ვიცოდეთ, რომ იგი შეიცავს როგორც რესურსულ, ისე საწარმოო პოტენციალს.

მეცნიერულ ლიტერატურაში გამოყოფენ: 1. ეკონომიკურ პოტენციალს, რომელშიც იგულისხმება საწარმოებში თავმოყრილი რესურსების: მიწის, წყლის, შრომითი რესურსები, კაპიტალი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, ბიოლოგიური აქტივები, ძირითადი და საბრუნავი საშუალებები. 2. რესურსული პოტენციალი, ეს რთული და მრავალმხრივია. მისი ერთი ნაწილი შედის ეკონომიკურ პოტენციალში, მეორე საწარმოო პოტენციალში, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ათვისებული და გამოყენებული, რესურსულ პოტენციალს შეადგენს.

რესურსული პოტენციალი გულისხმობს იმ ბუნებრივი და მატერიალური რესურსების ერთობლიობას, რომლის გამოყენება ადამიანს შეუძლია წარმოების პროცესში. ამ პოტენციალში შედის თვით ადამიანი შრომითი რესურსის სახით, რომელიც აგრეთვე ექვემდებარება ბუნებრივ კვლავწარმოებას.

რესურსები წარმოადგენს წარმოების მატერიალურ საფუძველს. ისინი საწარმოო პროცესის საწყისი ნერტილებია და პროცესში შედის ურთიერთშორის სხვადასხვანაირი თანაფარდობით, თვით პროცესის ხასიათისაგან დამოკიდებულებით და უზრუნველყოფენ შრომის სხვადასხვანაირ საბოლოო შედეგებს. უნდა გვახსოვდეს, რომ რესურსები წარმოადგენენ წარმოების პროცესში დასახარჯ ნაწილს და ახასიათებს მხოლოდ იმას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს და არა იმას, რომლის მიღებაც შეიძლება საწარმოო პროცესის განხორციელების შედეგად.

რესურსები ყოველთვის სტატიკურ მდგომარეობაშია. მათ წარმოების პროცესში მხოლოდ შრომა გააცოცხლებს. ასე რომ, რესურსების, როგორც ცალკეული სახე, ისე მათი ჯამი, წარმოადგენს სხვა

არაფერს, თუ არა გარკვეულ რესურსულ პოტენციალს, რომლის ჩართვაც შეიძლება წარმოების პროცესში. რესურსების ერთი და იგივე სახე სხვადასხვანაირად მონაწილეობს წარმოების სხვადასხვა საბოლოო შედეგებამდე.

აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: რესურსული და საწარმოო პოტენციალის ერთობლიობა არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მათი საშუალებით წარმოების პროცესში ერთნაირი შედეგების მიღწევას. რესურსული პოტენციალის გაიგივება საწარმოო პოტენციალთან, დაუშვებელია. პირველი - წარმოადგენს მეორის აუცილებელ პირობას, მის მატერიალურ ბაზას.

საწარმოო პოტენციალში შედის თვით წარმოების საწარმოო, ორგანიზაციული, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და მეცხოველეობის დარგების, დამხმარე საწარმოებისა და წარმოების საბოლოო შედეგების (პროდუქციის სახეების) სტრუქტურები, ნატურალურ და ფულად გამოსახულებაში და მთელი წარმოებული პროდუქცია, შემოსავალი და მოგებაც, მაშინ გამოდის, რომ იგი სრულად (მთლიანად) აისახება ეკონომიკურ კატეგორიაში.

საწარმოო პოტენციალი მოიცავს: რესურსული პოტენციალს, როგორც სტატიკურ ელემენტს, თვით საწარმოო პროცესს, როგორც დინამიურ ელემენტს და საწარმოო პროცესის საბოლოო შედეგს საბოლოო პროდუქტის სახით. უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო შედეგს მიეკუთვნება არა მარტო ეს უკანასკნელი, არამედ მისი მიღწევის ფასიც, ანუ მთლიანად საწარმოო პროცესის ეკონომიკური ეფექტიანობის დონე. საწარმოო პოტენციალი ყოველთვის უნდა განვიხილოთ წარმოების პროცესის საშედეგო ნაწილის მიხედვით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების რესურსულ პოტენციალში, იგულისხმება მიწის ფონდები, ძირითადი საწარმოო აქტივები, შრომითი რესურსები ან სამივე ერთად ფულად გამოსახულებაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების საწარმოო პოტენციალში იგულისხმება პროდუქციის ის სახეები და მოცულობა, რომელიც იქნა მიღებული ამა თუ იმ რესურსის გამოყენებით, ანუ რა თანხის მთლიანი პროდუქტია წარმოებული სოფლის მეურნეობაში მათი გამოყენების საშუალებით.

როგორც ცნობილია, ოპტიმალური დაგეგმვის თეორიიდან წარმოების ყველაზე მაღალი ეფექტიანობა მიიღწევა არა მხოლოდ რესურსებით უზრუნველყოფით, არამედ მათი ოპტიმალური შეთანაწყობით. ერთ-ერთი მათგანის უკმარისობით (ლიმიტირებული ფაქტორი) ფერხდება წარმოების მთელი პროცესი. თავის მხრივ, რომელიმე რესურსის ჭარბი მარაგი ვერ უზრუნველყოფს მაქსიმალური მოგების მიღებას.

აქედან გამომდინარე, მცირე საწარმოო პოტენციალის მქონე, მაგრამ რესურსების უკეთესი შეთანაწყობის საწარმოში შედეგი, რომელიც გამოისახება საბოლოო პროდუქციის კონკრეტული სახეებით და ეფექტიანობის მაჩვენებლებით, შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე მაღალი საწარმოო პოტენცია-

ლის მქონე, მაგრამ დისბალანსებული რესურსების მქონე საწარმოში.

შეიძლება ითქვას, რომ ნორმატიულ-რესურსული, ინდიკატორი პროგნოზის მეთოდი არ შეესაბამება დღეს დამკვიდრებულ საბაზრო ეკონომიკურ სისტემას. ამიტომ, იგი პრაქტიკაში ვერ დაინერგა.

ეკონომისტ-აგარარკოსების ნაწილი აგრარული სექტორის მთელ სისტემაში საწარმოო პოტენციალის საკითხების განხილვისას, არ ეხება მასში ინტეგრირებულ პროდუქციის გადამმუშავებელ საწარმოებს და მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სფეროს გულისხმობს. არადა, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ არა მარტო ნედლეულის წარმოება, არამედ მისი ტრანსპორტირება, გადამმუშავება, შენახვა და მზა, საბოლოო პროდუქციის რეალიზაცია.

ჩვენი აზრით, აგრარული სექტორის საწარმოთა დაგეგმვისა (პროგნოზირების) და მართვის სრულყოფისათვის საჭირო ანალიზის დროს უნდა მოვიცვათ საწარმოო პოტენციალის ყველა შემადგენელი ელემენტი. ამავე მიზნით, რესურსული პოტენციალის გამოყენებისას, საჭიროა ყურადღების გამახვილება არა იმდენად მისი ერთობლივი მნიშვნელობის განსაზღვრაზე, რამდენადაც თითოეული კონკრეტული სახის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, შუალედური და საბოლოო პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო რესურსების ოპტიმალური შეთანხმების დადგენაზე, ისეთი პირობების შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების პროცესის განხორციელებას ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიით. მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება უზრუნველყოფით წარმოების მაღალი ეფექტიანობა, განვსაზღვროთ აგრარული სექტორის საწარმოთა რეალური საწარმოო პოტენციალი.

აგრარული სექტორის საწარმოს შეიძლება ჰქონდეს საწარმოო პოტენციალის ორი ძირითადი ფორმა. პირველი - ფაქტიურად რეალიზებული საწარმოო პოტენციალი, რომელშიც იგულისხმება საწარმოს განვითარების მაქსიმალურად მიღწეული საბოლოო შედეგი დროის გარკვეულ პერიოდში, რომელიც შეიძლება გამოისახოს ერთი განზოგადებული ან ეკონომიკურ მაჩვენებელთა მთელი სისტემით. მეორე - საანგარიშო საწარმოო პოტენციალი, რომლის ქვეშ იგულისხმება მაქსიმალურად დასაშვები შედეგი, რომლის მიღწევაც შეიძლება იმავე პერიოდში.

აგრობიზნესის საწარმოთა საწარმოო პოტენციალის უკეთ გამოყენების პრობლემა დაკავშირებულია რიგი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების გადაჭრასთან.

თუ გავაიგივებთ რესურსული და საწარმოო პოტენციალის ცნებებს, გამოვა, რომ რესურსების ზრდა აუცილებლად გამოიწვევს საწარმოო პოტენციალის ზრდას, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ხშირად, რიგი გარემოებების გამო, საწარმო იძენს ან არა იმ ტექნიკას, რომელიც მას სჭირდება სინამდვილეში,

ან ზედმეტს (მარაგის შექმნის მიზნით). ამ დროს იზრდება რესურსული და არა საწარმოო პოტენციალი. საწარმოო პოტენციალის ზრდამდე მივყავართ არა რესურსების ყოველგვარ გადიდებას, არამედ ისეთის, რომელიც დაკავშირებულია წარმოების ვინრო ადგილის ლიკვიდაციასთან ან ბალანსირებული რესურსების კომპლექსის ერთობლივ გაზრდასთან. ზოგჯერ სულ მცირე დაბანდებაც კი უზრუნველყოფს საწარმოო პოტენციალის მნიშვნელოვან ზრდას, თუ იგი ხელს უწყობს საწარმოში ფაქტიურად არსებული რესურსების ბალანსირებას. თუ რესურსი არ მონაწილეობს წარმოების პროცესში, იგი არ ზრდის საწარმოო პოტენციალს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავეთანხმოთ ვ. სვობოდინის განმარტებას: „სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საწარმოო პოტენციალი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ტექნოლოგიურად დაბალანსებული რესურსების ერთობლიობა, რომლის დახმარებით შეიძლება ვანარმოთ პროდუქციის გარკვეული მოცულობა“. ყოველ კონკრეტულ საწარმოო პოტენციალს შეესაბამება სიმძლავრის გარკვეული ნორმატიული დონე. საწარმოო სიმძლავრე - ესაა მოცემული პროდუქციის მაქსიმალურად შესაძლებელი გამოშვება ხელთარსებული რესურსების სრული გამოყენებისას, რომელიც ეყრდნობა მონიწივე ტექნოლოგიებს, წარმოების და შრომის ორგანიზაციის უახლოეს ფორმებს.

საწარმოო პოტენციალის სრულყოფა და განვითარება ხორციელდება ინტენსიფიკაციის პროცესით, რომელიც მისი ზრდის ბაზას წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ინტენსიფიკაციაში იგულისხმება შრომისა და წარმოების სხვა საშუალებების ზრდის პროცესი ფართობის ერთეულზე. მაგრამ, როგორც რესურსებზე ითქვა, თუ ისინი დაბალანსებული არაა სხვა ფაქტორებთან, არავითარი ინტენსიფიკაცია და ზრდა არ იქნება. ასე რომ, ინტენსიფიკაცია მარტო ფართობის ერთეულზე განეული ხარჯების ზრდა კი არა, იმ დანახარჯების ზრდაცაა, რომელიც დაკავშირებულია მთლიანად მიწათმოქმედების სისტემის სრულყოფასთან.

საწარმოო პოტენციალის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს წარმოების ფაქტორების ტექნოლოგიური ბალანსირება სოფლის მეურნეობის გაძღოლის ზონალური სისტემის შესაბამისად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული - ზონალური სქემა, რომელიც ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკურ პირობებს, დამუშავებულია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ომარ ქეშელაშვილის მიერ. ამ სქემით გამოყოფილია 13 ზონა და 8 ქვეზონა.

სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ახალ ზონალობას საფუძვლად დაედო ბუნებრივი პირობები, ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემო, დარგობრივი სტრუქტურა, განვითარების სტრატეგიული და პრიორიტეტული ამოცანები, სამეურნეო

რისკ-ფაქტორები და მარკეტინგული მოტივაციები.

საწარმოო პოტენციალი შეიძლება განისაზღვროს ცალკე ფერმერული მეურნეობებისათვის და ცალკე დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის, რომელთა დაჯგუფებაც ამჟამად წარმოებს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ და საჭირო ინფორმაციაც ამ ჯგუფების მიხედვით გვაქვს. მაგრამ, რადგან რეალურად, დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 80-100 პროცენტს აწარმოებენ პირველ ჯგუფში, ანუ წვრილ, ფერმერულ მეურნეობებში, შესაძლებელია ამ დარგის საწარმოო პოტენციალი გავაიგივოთ (გავუტოლოთ) მთლიანად აგრარული სექტორის საწარმოო პოტენციალთან და ისე განვიხილოთ.

რესურსების რაციონალური, ეფექტიანი გამოყენებისათვის, საჭიროა უზრუნველვყოთ მათი ოპტიმალური შეთანხმება. დღეს ამ პრობლემის გადაწყვეტა წარმოებს აგრობიზნესის საწარმოთა საწარმოო სტრუქტურის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის აღწერით და გარკვეული კრიტერიუმით მომარჯვებით.

თეორიულ ასპექტში საჭიროა განვასხვაოთ სამი სახის საწარმოო პოტენციალი: 1) ფაქტიური, რომელიც წარმოადგენს ტექნოლოგიურად დაბალანსებულ ფაქტიურ (ხელთარსებულ) რესურსების ერთობლიობას; 2) საჭირო, რომელიც ახასიათებს იმ ნორმატიული რესურსების ერთობლიობას, რომელმაც უნდა უზრუნველყო დღეისათვის დაგეგმილი პროდუქციის წარმოება. ფაქტიური და ნორმატიული საწარმოო პოტენციალების შედარება გვიჩვენებს გარკვეული სახის რესურსების ნაკლებობას ან სიჭარბეს და მათი გამოყენების ხარისხს; 3) პერსპექტიული საწარმოო პოტენციალი, რომელიც ახასიათებს რესურსების ნორმატიულ უზრუნველყოფას პროგნოზირებული პროდუქციის წარმოებას პერსპექტივისათვის, როცა ათვისებული იქნება საწარმოს გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა მთლიანად.

რადგან სოფლის მეურნეობის წარმოებაში მონაწილეობს ხარისხობრივად სხვადასხვა სახის საწარმოო რესურსი, შეუძლებელია მათი პირდაპირ დაჯამება. ამიტომ, საწარმოო პოტენციალის სიდიდეს განსაზღვრავენ მინის, შრომითი და სხვა მატერიალური რესურსების შეფასებით ღირებულებით ფორმაში და ისე დაჯამებით. ეს, მართალია, მარტივია, მაგრამ მეთოდურად ბოლომდე არაა დასაბუთებული, რადგან მინისა და შრომითი რესურსების ღირებულებით შეფასებისას, იძულებული ვართ დავთანხმდეთ ზოგიერთ პირობითობაზე და წავიდეთ გარკვეულ დაშვებებზე. ამასთან, ასეთი გაანგარიშებისას, განისაზღვრება სასურსათო და არა საწარმოო პოტენციალი, არ გვეძლევა საშუალება გამოვავლინოთ წარმოებაში ვინრო ადგილი, რესურსების დეფიციტურობა და ინტენსიფიკაციის მიმართულება.

ასეთივე შედეგს იძლევა საწარმოო პოტენციალის სიდიდის გაანგარიშების მეორე წესიც, ე.წ. ინდექსური ანალიზის მეთოდი, რადგან ვღებულობთ ამ

მაჩვენებლის მხოლოდ შეფარდებით სიდიდეს.

საწარმოო პოტენციალის გაანგარიშების მესამე წესი დამყარებულია მათემატიკური სტატისტიკის მეთოდზე. ამ მეთოდით განსაზღვრავენ მის ე.წ. იმ თეორიულ სიდიდეს, რომელსაც საკვლევი ობიექტი უნდა აღწევდეს ხელთარსებული რესურსების გამოყენებით. მიღებული სიდიდით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად ეფექტიანად იყენებს საწარმოო რესურსებს ობიექტი.

ამდენად, რესურსი საწარმოო პოტენციალად იქცევა მაშინ, როდესაც მატერიალური დოვლათის წარმოების წყაროდ გახდება და პროდუქციის შექმნაში აქტიურად მიიღებს მონაწილეობას. რადგანაც აგრობიზნესის საწარმოო პოტენციალი არის ტექნოლოგიურად დაბალანსებული რესურსების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც კონკრეტულ დროსა და სირვეცეში შესაძლებელია დიდი რაოდენობით მაღალხარისხოვანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Глебов А. Использование производственного потенциала. ж. «АПК: Экономика, управление». №2-1990.
2. Вершинин А. Эффективность использования ресурсного потенциала. ж. «АПК: Экономика, управление». №11-1991.
3. Кованов С.Н. Свободин В.А. Экономические показатели деятельности сельскохозяйственных предприятий. «Агропромиздат». М. 1991. с. 47-49.
4. Луканов И. и др. Аграрный потенциал: исчисление и использование. ж. «Вопросы экономики». №1-1988.
5. Добринин В.А. Экономическая эффективность сельскохозяйственного производства в условиях перехода к рыночным отношениям. изд.МСХА. М. 1994. с. 22-34.
6. Свободин В. Вопросы определения эффективности производственного потенциала. ж. «АПК: Экономика, управление». №3-1991.
7. ქველაშვილი ო. საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის განახლებული ზონალური სქემა. „არეალი“. თბ. 2009.
8. Уникович А.В. Методы оценки ресурсного потенциала. Ж. «Экономикасельскохозяйственного производства». №4-1994.
9. 30. მელქაძე მ. „ეკონომიკური პალიტრა“. №47.49-2009.
10. Серова Е.В. Экономика сельскохозяйственного производства с основами сельского предпринимательства. «Тандем». М. 1999. с.181-202.

კლიმატის ცვლილება და ემისიებით ვაჭრობის ტენდენციები

მაკა გუდიაშვილი
 სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,
ალექსანდრე გაგუა
 სტუ-ის დოქტორანტი

CLIMATE CHANGE AND EMISSIONS TRADING TENDENCIES

Maka Gudiashvili, Alexandre Gagua

RESUME

The world community has recognized climate change as a serious problem. Clean Development Mechanism projects aims to the greenhouse emission reduction and adaptation to climate change of the country's dangerous effects. In particular, permitted emission quotas trade and the country can earn money depending on what will be the market price of emission reduction units. For Georgia emission coefficient depend on the ratio of heat and hydro power plants ratio and computed in accordance with the Clean Development Mechanism methodologies. Georgia can be involved in emissions trading and can take certain revenue by selling of reduced emissions certificates (CER) from the sale of electricity generated by hydro power plants.

Key words: climate change, reduced emissions certificate.

ПРОБЛЕМА ИЗМЕНЕНИЕ КЛИМАТА И ТЕНДЕНЦИИ ТОРГОВЛИ ВЫБРОСОВ

М.Гудиашвили, А.Гагуа

РЕЗЮМЕ

Мировое сообщество признало изменение климата в качестве серьезной проблемы. Механизм чистого развития проектов направлена на сокращения выбросов парниковых газов к адаптации опасных последствий изменения климата. В частности, допустимо торговля квотами выбросов и страна может заработать деньги в зависимости от того, какой будет рыночная цена единицы сокращения выбросов. Коэффициент эмисии зависит от соотношения тепла и гидроэлектростанций и вычисляется в соответствии с методиками механизма чистого развития. Грузия может участвовать в торговле выбросами и может принимать определенный доход от продажи уменьшения сертифицированных выбросов от продажи электроэнергии, вырабатываемой гидроэлектростанциями.

Ключевые слова: изменение климата, сертификат снижение выбросов.

რეზიუმე

მსოფლიო საზოგადოებამ კლიმატის ცვლილება სერიოზულ პრობლემად აღიარა. სუფთა განვითარების მექანიზმის პროექტების დანერგვა ემსახურება სათბურის ემისიის შემცირებას და ქვეყნის ადაპტირებას კლიმატის ცვლილების საშიშ ფეხქვეშთან. კერძოდ, დასაშვებია ემისიის კვოტებით ვაჭრობა და ქვეყანამ შეიძლება გამოიმუშაოს თანხა იმის მიხედვით, თუ რა იქნება ერთეული ემისიის შემცირების საბაზრო ფასი. საქართველოსთვის ემისიის კოეფიციენტი დამოკიდებულია ქვეყნის თბო და ელექტროსადგურების თანაფარდობაზე და გამოთვლილია სუფთა განვითარების მექანიზმის მეთოდოლოგიების შესაბამისად. საქართველო შესაძლებელია ჩაერთოს ემისიების კვოტებით ვაჭრობაში და დაზოგილი ემისიის სერტიფიკატის (CER) -ის გაყიდვით მიიღოს გარკვეული შემოსავალი ჰესების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობის შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები კლიმატის ცვლილება, დაზოგილი ემისიის სერტიფიკატი.

შესავალი

მსოფლიო საზოგადოებამ კლიმატის ცვლილება სერიოზულ პრობლემად აღიარა, სახეზეა მყინვარების დნობა, მდინარეების და ტბების დაგვიანებული გაყინვა და ყინულის საფარის ნაადრევი რღვევა, ხეების ნაადრევი ყვავილობა და ა.შ. ი. ფურიემ სათბურის ეფექტი 1824 წელს აღმოაჩინა, რომელიც გულისხმობს ინფრანითელი გამოსხივების დაჭერის შედეგად დედამიწის ზედაპირის გათბობის პროცესს. გამოსხივებული ინფრანითელი ფოტონების უდიდეს ნაწილს ატმოსფეროში არსებული სათბურის აირები და ღრუბლები იჭერს, გამთბარი ატმოსფეროს გამოსხივების ნაწილი კვლავ დედამიწის ზედაპირს უბრუნდება და უფრო მეტად ათბობს მას. სათბურის ეფექტი ინვეს დედამიწის ზედაპირის და ატმოსფეროს დათბობას, რაც საფრთხის მატარებელია ბუნებრივი ეკოსისტემებისა და კაცობრიობისათვის. მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ (მმო) და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამამ, 1988 წელს დააარსეს კლიმატის ცვლილების ექსპერტთა სამთავრობათაშორისო ჯგუფი (Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC)), რომელიც ღიაა გაეროს და მმო-ს წევრი ყველა ქვეყნისთვის, ამჟამად 194 ქვეყანაა IPCC-ის წევრი. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გაიმართა მთელი რიგი სამთავრობათაშორისო კონფერენციები, რომელთა საბოლოო მიზანია მიაღწიოს ატმოსფეროში სათბურის

გაზების კონცენტრაციების სტაბილიზაციას იმ დონეზე, რომელიც არ დაუშვებს დედამიწაზე საშიშ ანთროპოგენურ ზემოქმედებას (გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მე-3 მუხლი). კონვენციის უმაღლესი ორგანოა მხარეთა კონფერენცია, რომლის სხდომები იმართება ყოველი წლის ბოლოს. საქართველომ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა 1994 წელს [1].

ძირითადი ნაწილი

მსოფლიოს მასშტაბით, სათბურის აირების ემისიის დაახლოებით 57% მოდის ელექტროენერჯის წარმოებაზე, ტრანსპორტზე, შენობებსა და მრეწველობაში ნიაღვრული საწვავის წვაზე, ხოლო ენერგეტიკასთან დაკავშირებულ ემისიის დაახლოებით ნახევარი მოდის ელექტროენერჯის და სითბოს გენერაციიდან. სათბურის აირების ემისიის ჯამური ოდენობიდან, რომელიც ზემოქმედებს კლიმატზე, დაახლოებით 77% მოდის ნახშირორჟანგის ემისიაზე [1]. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში შეინიშნება ეკონომიკური ზრდისა და ენერგომომხმარების განცალკევების საქმეში პროგრესი და უფრო დაბალი ემისიით გამორჩეული ენერჯის წყაროებზე გადასვლა, გლობალური წარმოების მოცულობაში ზრდა მსოფლიოს იმ განვითარებად რეგიონებშია მოსალოდნელი, რომლებსაც ქვანახშირის დიდი რესურსები გააჩნიათ - აღნიშნული განსაკუთრებით ჩინეთსა და ინდოეთს შეეხება. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (IEA, 2010) იუწყება, რომ 2008 წელს მსოფლიოში ნახშირორჟანგის ყველაზე დიდი გამაფრქვეველი იყო ჩინეთი. აგრეთვე გამოანგარიშებულია, რომ 2030 წლისათვის მოსალოდნელი ემისიის ზრდის ნახევარი იმ ახალ ელექტროსადგურების ხარჯზეა, რომლებიც ძირითადად ქვანახშირს მოიხმარენ და მდებარეობენ ჩინეთსა და ინდოეთში. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებით აიხსნება ის, თუ რატომ არის ასეთი მძლავრი აქცენტი ენერგოსექტორში კლიმატზე მიმართულ პოლიტიკაზე და ზოგადად ელექტროენერჯის წარმოებაზე, აგრეთვე ისიც, თუ რატომ არის განსაკუთრებულ მიზანში მოქცეული სწორედ ნახშირორჟანგის ემისია. გასული საუკუნის ეკონომიკური ზრდის უდიდესი წილი სტიმულირებული იყო ნიაღვრული ენერგორესურსის მზარდი მოხმარებით. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) ანალიზის თანახმად, 2030 წლისათვის მსოფლიოს ენერგომომხმარებას გააჩნია 50%-იანი ზრდის რეალური პერსპექტივა, რა შემთხვევაშიც ზრდის მაჩვენებლის თითქმის ნახევარი, ერთად აღებულ ჩინეთსა და ინდოეთზე მოდის. ენერჯიასთან დაკავშირებულ ნახშირორჟანგის ემისიის უწყვეტ ზრდასთან ერთად, ამ ტენდენციების შედეგია მრავალი ქვეყნისათვის ენერჯის მზარდი იმპორტი. აღსანიშნავია, რომ ნიაღვრული სათბობის რესურსი მსოფლიოს ირგვლივ თანაბრად გადანაწილებული არ არის. მრავალ რეგიონს გააჩნია დიდი მოცულობის ქვანახშირის საბადო, თუმცა ნავთობი

და გაზი გეოგრაფიულად უფრო კონცენტრირებულია. მაგალითად, ძირითადი რესურსი კონცენტრირებულია შუა აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ ამერიკასა და რუსეთში. დიდი ხნის მანძილზე, ენერგეტიკა წარმოადგენდა იმ სექტორს, რომელშიც საერთაშორისო ვაჭრობა ნორმად იყო ქცეული, თუმცა ნებისმიერი რეგიონიდან იმპორტზე და ენერჯიაზე დიდი ეროვნული დამოკიდებულება ყოველთვის მაღალი პოლიტიკური ხასიათის საზრუნავს წარმოადგენდა, რასაც თან სდევდა მომარაგების შეწყვეტის საშიშროება და ეკონომიკური საქმიანობისათვის შესაბამისი არაპირდაპირი შედეგები. მაგალითად, ევროკავშირი, საკუთარი ენერგეტიკული მოთხოვნილების დაახლოებით 50%-ის იმპორტს ახორციელებს ფინეთის, ესტონეთის და ლატვიისგან, რომლებიც სრულად დამოკიდებულნი არიან შიგა გამოყენებისათვის რუსეთიდან აირით მომარაგებაზე. ეს დამოკიდებულება იზრდება, ვინაიდან ჩრდილოეთის ზღვის რესურსი იფიტება, ხოლო მოთხოვნა სულ უფრო იზრდება. აღნიშნული საგარეო დამოკიდებულება ევროკავშირისთვის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ფიზიკური რისკების მატარებელია. აღნიშნულმა გამოიწვია ენერგოუსაფრთხოებისადმი მზარდი პოლიტიკური ხასიათის საზრუნავი. საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და პოლიტიკის ასპექტები ერთობლივად ქმნიან პარამეტრებს, რომლებსაც „მდგრადი ენერგეტიკის საკანონმდებლო ჩარჩოს“ უწოდებენ. ძირითადი მათ შორის არის 1992 წლის გაერთიანებული ერების ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ (UNFCCC) და მასთან დაკავშირებული „კიოტოს ოქმი“, რომელიც მოითხოვს სათბურის აირების ემისიის სტაბილიზაციას გლობალური მასშტაბით 1990-იანი წლების დონეზე. „კიოტოს ოქმი“ მიღებული იქნა იაპონიის ქალაქ კიოტოში 1997 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 2005 წელს. ოქმის განხორციელების დეტალური წესები მიღებულ იქნა მაროკოში კლიმატის ცვლილების მხარეთა კონფერენციის მე-7 სესიაზე და ცნობილია „მარაკეშის შეთანხმების“ სახელით. „კიოტოს ოქმი“ წარმოადგენს კლიმატის ცვლილების კონვენციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელსაც საქართველო 1999 წლის ივნისში შეუერთდა. კიოტოს ოქმის მთავარი თავისებურება ისაა, რომ ოქმი ადგენს ინდუსტრიული ქვეყნებისათვის სათბურის გაზების შემცირების სავალდებულო მიზნებს. „კიოტოს ოქმი“ საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების გამოყენების საშუალებას იძლევა, კერძოდ, დასაშვებია ემისიის კვოტებით ვაჭრობა. „კიოტოს ოქმი“ საშუალებას იძლევა, განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყნებმა, ატმოსფეროში სათბურის გაზების გამონაბოლქვების შემცირების მიზნით, ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე განახორციელონ ერთობლივი პროექტები, შემდეგ ერთმანეთს „გადასცენ“ მიღებული „გამონაბოლქვის შემცირების ერ-

თეულები“ და „გაიკონ“ მიღებული ეფექტი. სუფთა განვითარების მექანიზმის (Clear Development Mechanism, CDM) პროექტების დანერგვა ემსახურება სათბურის ემისიის შემცირებას და ქვეყნის ადაპტირებას კლიმატის ცვლილების საშიშ ეფექტებთან. სათბური გაზების შემცირების ერთ-ერთი გზაა ელექტროენერჯის წარმოება განახლებადი რესურსების მეშვეობით ორგანული სათბობის ნაცვლად, რომელთაც ემისიის ნულოვანი მაჩვენებელი აქვთ. მსოფლიო ბანკი აფინანსებს ერთეული ემისიის შემცირებას და იმ ქვეყანას, რომელიც ვერ ასრულებს ლიმიტს შეუძლია შეისყიდოს სხვა ქვეყნებიდან და რომელიმე განვითარებადმა ქვეყანამ შეიძლება გამოიმუშაოს თანხა იმის მიხედვით, თუ რა იქნება ერთეული ემისიის შემცირების საბაზრო ფასი. სერთიფიცირებული ემისიის შემცირება (Certified Emission Reduction, CER) არის სერთიფიკატი, რომლის გაყიდვაც შესაძლებელია და მას გასცემს სუფთა განვითარების მექანიზმის აღმასრულებელი საბჭო. ქსელის ემისიის კოეფიციენტს (ან CO₂ ემისიების ინტენსიურობას) წელიწადში ერთხელ ადგენს და აქვეყნებს კონკრეტული ქვეყნის უფლებამოსილი ნაციონალური ორგანო (DNA). საქართველოს უფლებამოსილი ნაციონალური ორგანო, რომელიც წარმართავს და ამტკიცებს ქვეყანაში სუფთა განვითარების მექანიზმის პროექტებს არის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ქსელის ემისიის კოეფიციენტი საანგარიშო სიდიდეა და დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: თბოელექტროსადგურის პროცენტული მაჩვენებელი კონკრეტული ქვეყნის ელექტროსისტემის მთლიან შემადგენლობაში, თბოელექტროსადგურში გამოყენებული სათბობის სახეობები და მათი თბოუნარიანობა, სათბობის ხვედრითი ხარჯი გამომუშავებული ელექტროენერჯის ერთეულზე, საანგარიშო პერიოდში გენერაციის ზრდა პროცენტულ მაჩვენებლებში და სხვა. ემისია მცირდება (ERY) ნულოვანი ემისიის მქონე განახლებადი რესურსების, როგორცაა ქარის, მზის, ჰიდრო ენერჯის გამოყენებით [2]. იგი გაიანგარიშება წლიურად გამომუშავებული ელექტროენერჯის (EGY) გადამრავლებით ქსელის ემისიის კოეფიციენტზე (EFY), შემდეგი გამოსახულებით:

$$ERY = EGY (\text{მგტსთ}) * EFY (\text{tCO}_2/\text{მგტსთ}),$$

სადაც EGY არის წლიურად გამომუშავებული ელექტროენერჯია (მგტსთ); EFY - ქსელის ემისიის კოეფიციენტი; Y - საანგარიშო წელი.

კვლევითი კომპონენტი

კლიმატის ცვლილებასა და გარემოსდაცვითი რეგულაციების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროკავშირს. ევროკავშირის ისტორიული ფესვები სათავეს იღებენ მეორე მსოფლიო ომიდან. გარდა ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი მიზნისა, ევროპული ინტეგრაცია ჩაფიქრებული იყო იმისთვის, რათა ამგვარი სისხლისღვრა და ქვეყნების განადგურება აღარასოდეს განმეორებულ

ლიყო. თავდაპირველად ევროკავშირი შედგებოდა მხოლოდ ექვსი ქვეყნისგან: ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები. დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი მას 1973 წელს შეუერთდნენ, საბერძნეთი — 1981 წელს, ესპანეთი და პორტუგალია - 1986 წელს, ხოლო ავსტრია, ფინეთი და შვედეთი — 1995 წელს. 2004 წელს ევროკავშირი ყველაზე მასშტაბურად გაფართოვდა, მას კიდევ ათი ახალი ქვეყანა შეუერთდა. 2007 წელს მისი წევრები გახდნენ ბულგარეთი და რუმინეთი, რის შედეგადაც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა რიცხვი ოცდაშვიდამდე გაიზარდა. 2012 წელს ხორვატიაც განწევრიანდა ევროკავშირში. ევროკავშირის დონეზე კანონშემოქმედება გულისხმობს სამი ინსტიტუტის ჩართულობას, ესენია: ევროპარლამენტი, რომელიც შედგება ევროკავშირის მოქალაქეებისგან და რომელიც მათ მიერ პირდაპირი გზით ირჩევა; ევროკავშირის საბჭო, რომელიც წარმოადგენს ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს; ევროკომისია, რომელიც ცდილობს დაიცვას ევროკავშირის ინტერესები მთლიანობაში. პრინციპში, სწორედ კომისიას შემოაქვს ევროკავშირის ახალი კანონმდებლობა, მაგრამ მისი მიღება უნდა განხორციელდეს პარლამენტის და საბჭოს მიერ. ევროკავშირის ინსტიტუტები ქმნიან პოლიტიკას და კანონებს (დირექტივებს, რეგულაციებს და გადაწყვეტილებებს), რომლებიც ვრცელდება ევროკავშირის მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ ევროკომისიას კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმა განერილი აქვს რამდენიმე ფაზად, ასევე აღსანიშნავია, რომ ემისიის შემცირების ფასები მერყეობს საკმაოდ დიდ დიაპაზონში:

I. ფაზა - მოიცავს 2008-2013 წლებს, ემისიის შემცირების საშუალო ფასი იყო 22 ევრო/tCO₂;

II. ფაზა - 2013-2020 წ. ევროკომისია აპირებს მთელი რიგი ცვლილებების გატარებას, აღსანიშნავია, რომ ამ ფაზის დასაწყისში ემისიის შემცირების საშუალო ფასი დაეცა 10 -12 ევრო/tCO₂-მდე;

III. ფაზა - 2021-2028 წ. ევროკომისიას განსაზღვრული აქვს 2003/87/EC დირექტივის ორი სტრუქტურული რეფორმა.

საქართველოსთვის ემისიის კოეფიციენტი დამოკიდებულია ქვეყნის თბო და ელექტროსადგურების თანაფარდობაზე და გამოთვლილია სუფთა განვითარების მექანიზმის მეთოდოლოგიების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ემისიის კოეფიციენტი ცნობილი არ არის, მაშინ რეკომენდებული მნიშვნელობა გამოყენებული უნდა იქნეს „კლიმატის ცვლილების ექსპერტთა სამთავრობოთაშორისო ჯგუფის“ (Intergovernmental Panel on Climate Change, IPCC) სახელმძღვანელო დოკუმენტიდან. დღეისათვის საქართველოს ელექტროქსელის ემისიის კოეფიციენტი არის 0,244tCO₂/მგტსთ [2], ხოლო ჰიდრო და თბოელექტროსადგურების თანაფარდობა საშუალოდ არის 80%/20%. ჰპირველ ცხრილში წარმოდგენილია 2010-2016 წლებში ელექტროენერჯის წარმოება და ჰიდრო და თბოელექტროსადგურების

#	წელი	წარმოება, მგტსთ			ჰესი %	თესი %	ემისიის ფაქტორი EF _y ტCO ₂ /მგტსთ	ემისიის შემცირება CER ტCO ₂ /მგტსთ
		გენერაცია სულ	ჰესებით	თესებით				
1	2010	10057700	9374900	682800	93	7	0,244	2287476
2	2011	10105000	7892400	2212000	78	22	0,244	1925746
3	2012	9697600	7220500	2477100	74	26	0,244	1761802
4	2013	10058700	8271000	1787700	82	18	0,244	2018124
5	2014	10369600	8333700	2035900	80	20	0,244	2033423
6	2015	10832600	8453800	2378700	78	22	0,244	2062727
7	2016	11573600	9329200	2235500	81	19	0,244	2276325

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
პერიოდი (x)	1	2	3	4	5	6	7	8
მოთხოვნა (y)	9374900	7892400	7892400	8271000	8333700	8453800	9329200	?


ფარდობითი მონაწილეობა საერთო გამომუშავებაში [3], ასევე ქვეყნის ემისიის ფაქტორი და ემისიის მოსალოდნელი შემცირება.

საქართველო შესაძლებელია ჩაერთოს ემისიების კვოტებით ვაჭრობაში და CER-ის გაყიდვით მიიღოს გარკვეული შემოსავალი ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობის შესაბამისად. ექსელის „პროგნოზირების“ ფუნქციის გამოყენებით მე-2 ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით ვივარაუდოთ, რომ 2017 წელს ელექტროენერჯის გენერაციის რაოდენობა ჰესებით იქნება 8710629 მგტსთ (იხ. ნახ 1).

თუ ვივარაუდებთ, რომ 2017 წელს ემისიის ფაქტორი უცვლელი დარჩება, ემისიის შემცირების რაოდენობა იქნება:

$$ER2017 = 8710629 \text{ მგტსთ} * 0.244 \text{ tCO}_2/\text{მგტსთ} = 2125393 \text{ tCO}_2/\text{მგტსთ}.$$

ხოლო თუ დავუშვებთ, რომ დაზოგილი ემისიის სერტიფიკატის მიხედვით ერთი ტონის საბაზრო ფასი იქნება 10 ევრო/tCO₂, მაშინ ქვეყანამ 2017 წელს შესაძლებელია მიიღოს შემოსავალი 21253935 ევროს რაოდენობით.



ნახ.1. ექსელის „პროგნოზირების“ ფუნქციის გამოყენებით სასურველი წლის შედეგის პროგნოზირება.

დასკვნა

ამრიგად, კლიმატის ცვლილებასა და ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული გლობალური ენერგო-მოხმარების შესახებ საზრუნავი სავარაუდოდ შემდგომშიც გაიზრდება. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (IEA) აღნიშნავს, რომ ყველა ქვეყნისათვის გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესუსტების გარეშე, უფრო საიმედო და ნახშირბადის დაბალი მოხმარების ენერჯიაზე გადასვლის პროცესის ამოქმედება. მდგრადი განვითარების კონცეფცია უფრო მეტ აზრს იძენს გარემოს დაცვის ისეთი პრობლემების კონტექსტში, როგორცაა კლიმატის ცვლილება. საჭიროა ახალი მეთოდების და ტექნოლოგიების განვითარების მეშვეობით ზომების მიღება დღეს, რათა გლობალური დათბობის მავნე ზემოქმედებისგან დავიცვათ ამაჟამინდელი და მომავალი თაობები. ტექნიკური წინსვლის მაგალითებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ატმოსფეროში CO₂-ის ემისიის შემცირებას მიეკუთვნება ჰიბრიდულ-სინერგიული, ოპტიმალური ტრანსმისიის მქონე ავტომობილის შექმნა, მაგ. ტოიოტა პრიუსი, წყალბადის სანავის ელემენტების შემუშავება, ნახშირბადის შეკავების და შენახვის ტექნოლოგიების პოტენციური გამოყენება და ფოტოელექტრობის განვითარება. ეკოლოგიური ნორმებით შესაძლებელია ტექნიკის სხვადასხვა დარგში მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხების მონესრიგებაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ.არაბიძე, მ.გუდიაშვილი, თ.ჯიშკარიანი. ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება. სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015. -185 გვ;
2. გ. არაბიძე, მ.არაბიძე, მ.გუდიაშვილი, თ.ჯიშკარიანი. სუფთა განვითარების მექანიზმის (სგმ) პროექტები. სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015წ. -113 გვ;
4. www.esco.ge/files/2016_energobalansi.pdf.

ჯანდაცვის ეკონომიკის თანამედროვე მოდელები

ელენე მენაბდე-ჯობაძე
ეკონომიკის დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი,
ქეთევან ლაფანაშვილი
სტუ-ს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

რეზიუმე

ელენე მენაბდე-ჯობაძის და ქეთევან ლაფანაშვილის სტატიაში: „ჯანდაცვის ეკონომიკის თანამედროვე მოდელები“ აღნიშნულია, რომ ჯანდაცვა არასანარმოო ეკონომიკურ სფეროდ ითვლებოდა, რომელიც პროდუქტს არ აწარმოებდა და სახელმწიფო დოტაციაზე იმყოფებოდა. დღეისათვის ეს სფერო განხილულია, როგორც ადამიანთა შრომის წარმოების ზრდის ინსტრუმენტი, რაც ჯანდაცვაზე დახარჯულ თანხებს ეკონომიკური თავსაზრისით ამართლებს. ჯანდაცვის ეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების განვითარებაში, სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული. ამას ხელს უწყობს საბაზრო ურთიერთობები, კომერციული დაწესებულებები და კერძო მომსახურებები. გამოსაკვლევი ობიექტია ეკონომიკური დამოკიდებულებები ჯანმრთელობის მომსახურების სფეროში.

სტატიაში განხილულია საერთაშორისო ჯანდაცვის ეკონომიკის უნივერსალური, კონტინენტალური, სამხრეთული, სკანდინავიური და იაპონური მოდელები.

ჯანდაცვის ორგანიზაციული სისტემის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან საქართველოსთან მიმართებაში საყურადღებოდ მიჩნეულია იაპონიაში არსებული ჯანდაცვის ორგანიზაციის სისტემა, ჯანდაცვის დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკის გადანაწილების ეფექტიანი მექანიზმით. საქართველოს ჯანდაცვა, ევროპის ქვეყნების მსგავსად, უნდა იყოს შერეული, მრავალკომპონენტიანი სისტემა.

საკვანძო სიტყვები: მაკროეკონომიკა, სახელმწიფო რეგულირება, სახელმწიფო ბიუჯეტი, ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა, მშპ, ჯანდაცვის ეკონომიკა, ეკონომიკური მოდელი, სახელმწიფო დაზღვევა.

SUMMARY

In the article of **Elene Menabde-Jobadze and Ketevan Lapanashvili** “Health Economics Modern Models “ is mentioned that healthcare was considered a non-production economic sphere. Which was not producing the product and was beyond the power of a state to subsidize a business. Nowadays this area is considered as an instrument for increasing human labor production, Which is justified by the economic stimulation of the amount spent on health care. In the development of healthcare as an independent science, serious steps have been taken. This promotes

market relations, commercial establishments and private services. The research object is economic dependence on health care.

The article discusses universal, continental, southern, scandinavian and Japanese models of the international healthcare economy.

From the experience of the healthcare system of foreign countries, the health care system system in Japan is considered to be sensitive to Georgia with an effective mechanism of risk-sharing. The Georgian healthcare, like European countries, should be mixed like a multi-component system.

* * * *

ჯანდაცვა არასანარმოო ეკონომიკურ სფეროდ ითვლებოდა, რომელიც პროდუქტს არ აწარმოებდა და სახელმწიფო დოტაციაზე იმყოფებოდა. დღეისათვის ეს სფერო განხილულია, როგორც ადამიანთა შრომის წარმოების ზრდის ინსტრუმენტი, რაც ჯანდაცვაზე დახარჯულ თანხებს ეკონომიკური თავსაზრისით ამართლებს. პირველადი ჯანდაცვის სფეროში განეული ხარჯების დროულად გამოვლენა და პაციენტების ეფექტური დახმარება, ავადმყოფობის გამო შრომის პროდუქტიული დროის დანახარჯს ამცირებს. პირველადი ჯანდაცვა ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის ზრუნვაზე და დაავადების პრევენციაზეა ორიენტირებული. მისი ეფექტურობა კონსტრუქციული მმართველობის ძალისხმევითა და სხვადასხვა სამთავრობო უწყების ერთიანი დახმარებით მიიღწევა. იგი მხოლოდ პაციენტის სამედიცინო მომსახურებით არ შემოიფარგლება, მინიმუმამდე დაყავს შრომისუუნარობის მაჩვენებელი და ზოგავს საავადმყოფო შვებულების თანხებს.

საქართველოში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება ძირითადად სახელმწიფო პროგრამებით, ასევე სადაზღვევო და შიდა სტანდარტით ხორციელდება. პაციენტთა სრულფასოვანი და ეფექტური მომსახურებისთვის აუცილებელია, მათ მომართვიანობაზე, საინფორმაციო ბაზა არსებობდეს. ამ პროცესებზე ზემოქმედებისათვის აუცილებელია შესაბამისობაში მოვიდეს მოსახლეობის მომსახურების მოთხოვნა და ქვეყნის ჯანდაცვის განსაზღვრული ეკონომიკური შესაძლებლობა. ეკონომიკური ანალიზი და დაგეგმვა მნიშვნელოვანი ფაქტორია ჯანდაცვის ეფექტური ეკონომიკური მართვისთვის.

მნიშვნელოვანია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მოთხოვნა, რომელიც განსაზღვრავს ჯანდაცვის მიზანს, მის დარგებს და სუბიექტებს. თა-

ვისთავად მართვა ხორციელდება სხვადასხვა სახით, მათ შორის დაგეგმვა და ანალიზი.

დაგეგმვა და ანალიზი ეს არის მართვის საშუალება რომელიც ორიენტირებულია პრობლემის ეფექტურად მოსაგვარებლად ეკონომიკური რესურსისა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მოთხოვნას შორის. რა თქმა უნდა ეკონომიკური ანალიზი და დაგეგმვა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ანალიზით ხდება რეალური მონაცემების შეგროვება და დაგეგმვით მათი უზრუნველყოფა და სადაც შესაძლებელია მათი პრევენცია.

ძირითადი მიზეზი გეგმიურ-ანალიტიკური საქმიანობისა ჯანდაცვაში მდგომარეობს შემდეგში:

1. გეგმიურ-ანალიტიკური საქმიანობის ცვალებადობა დამოკიდებულია სამედიცინო დანესებულებების მოცულობის ზრდა-კლებით და არა მარტო მათი სიმძლავრებით. 2. დამოუკიდებელი ერთეულების ზრდაზე დამოკიდებულება. 3. სამედიცინო დანესებულებების სტრუქტურული დაგეგმარება. 4. სამედიცინო ბაზის გაფართოება, ახალი ტექნოლოგიების შემუშავება.

საბოლოო შედეგი ამ გეგმიურ-ანალიტიკური საქმიანობისა კი არის ეკონომიკური ეფექტურობა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოების შრომითი რესურსების დაცვისთვის. სამედიცინო მომსახურების ხარჯის ეფექტურობა რიგ შემთხვევებში არ არის ეკონომიკური შეფასებისთვის ძირითადი. მაგ.: ტუბდისპანსერის, ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის ცენტრებისთვის და მრავალი სხვა, რომელთა დაფინანსება სახელმწიფო პროგრამებით არის განერილი, ძირითადი აქცენტი აღებულია მათ ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე და პრევენციაზე, რომელიც შემდგომში რა თქმა უნდა, დროულად არ ჩარევის შემთხვევაში, გამოიწვევს როგორც შრომითი რესურსის კლებას, ასევე ჰოსპიტალიზაციას, რაც გაცილებით დიდ ხარჯს მოითხოვს, გარდა მედიკამენტური და სამკურნალო სამედიცინო მომსახურების განვივისა, ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში ემატება კვებითი და ჰიგიენური მომსახურების ხარჯები.

თანამედროვე პირობებში ჯანმრთელობის დაცვა უნდა განხილვოდეს, როგორც სამედიცინო ნარმოების კომპლექსი ეკონომიკური რესურსის გამოყენებით. ჯანდაცვა აწარმოებს სამედიცინო მომსახურებას, რომელიც თავისთავად უზრუნველყოფს შრომითი რესურსების ნარმოებას. ხოლო თავის მხრივ, საზოგადოებრივი ნარმოება წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის წყაროს. სამედიცინო მომსახურების ბაზარზე კი პირველადი ჯანდაცვის ამბულატორიული მომსახურება არის ძირითადი მექანიზმი დარგის მართვაში. გეგმიურ-ანალიტიკური საქმიანობას ეფუძნება სამედიცინო-პროფილაქტიკური ცენტრების დაგეგმვა-გაფართოებას, რომელთა არსებობა უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების სფეროში მეორე და მესამე საფეხურის ანუ სტაციონირებისა და ოპერირების

ხარჯების გამოთავისუფლებას.

ჯანდაცვის ეკონომიკა, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი დარგი მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან იწყებს ხარჯთაღრიცხვას. გამოსაკვლევი ობიექტი არის ეკონომიკური დამოკიდებულებები ჯანმრთელობის მომსახურების სფეროში. სწორედ ამ დროიდან განიხილება ეკონომიკური ეფექტურობა და სხვადასხვა სფეროს საქმიანობა ჯანდაცვაში მინიმალური ფინანსური და შრომითი რესურსების დანახარჯებით.

ჯანდაცვის ეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების განვითარებაში, სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული. ამას ხელს უწყობს საბაზრო ურთიერთობები, კომერციული დანესებულებები და კერძო მომსახურებები.

ასევე საბაზრო ურთიერთობების და პირობები განსაღვრავს სხვადასხვა მიმართულებებს ჯანდაცვის სფეროში, როცა უკვე რეალური გახდა სხვადასხვა სახისა და პროფილის კერძო კლინიკების არსებობა, რომლებიც კომერციულ საქმიანობიდან გამომდინარე ორიენტირებულნი არიან კონკურენტუნარიანობაზე და მოგებაზე, რაც სამედიცინო აღჭურვილობა-მონყობილებებისა და კვალიფიციური შტატების არსებობის აუცილებლობის შედეგია.

რაში მდგომარეობს ჯანდაცვის ეკონომიკის შინაარსი? სამედიცინო მომსახურების მოთხოვნა, რომელთა მიღება შესაძლებელია განსაზღვრულად შესაბამისი ღირებულებით. საბაზრო ფასის შემცირებით პაციენტს ეძლევა საშუალება მიიღოს მეტი მომსახურება და გამოკვლევები, რაც შესაბამისად ზრდის საერთო მოგების წილს. ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი, გარდა უმთავრესისა, ჯანმრთელობის მდგომარეობა:

1. მოსახლეობის შემოსავლიანობის მაჩვენებელი (რაც მეტია შემოსავალი, მით მეტია მომსახურების რაოდენობა); 2. დემოგრაფიული მდგომარეობა (რაც მეტია მოსახლეობა, მით მეტია მოკითხვიანობა); 3. მოსახლეობის გერიატრიული მაჩვენებელი (რაც მეტია ასაკობრივი ზრდა, მით მეტია პოტენციური პაციენტების რიცხვი); 4. მოდაზე დამოკიდებულება (პლასტიკური მედიცინის სერვისების სიმრავლე).

სამედიცინო მომსახურებების შეთავაზებებზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. სამედიცინო აღჭურვილობისა და ტექნიკის განვითარება (ეს არის ის რაც იძლევა ზუსტი დიაგნოსტიკების საშუალებას და მოითხოვს დამატებით სერვისებს, რაც თავისთავად იძლევა მეტი ეკონომიკური სარგებლის მოტანის შესაძლებლობას); 2. ახალი სამედიცინო მომსახურებების გამოჩენა ბაზარზე; 3. სამედიცინო პერსონალის რაოდენობა (პერსონალის ზრდასთან ერთად მატულობს სერვისების რაოდენობაც); 4. საგადასახადო შეღავათები (იძლევა სფეროს განვითარების პერსპექტივას და საბაზრო ფასის მინიმუმდე შემცირების შესაძლებლობას, რაც თავისთავად სერვისების რაოდენობის ზრდის ალბათობის საფუძველია).

განვიხილოთ ჯანდაცვის ეკონომიკის მართვის სამი სისტემა:

1.სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2.სოციალური პროგრამები, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის სუფსიდიებით. 3.სადაზღვევო, რომელიც ფინანსდება სანარმოებისა და დასაქმებულების შემოსავლიდან. 4.საბაზრო ანუ კერძო.

ეკონომიკური თვალსაზრისით ჯანდაცვის ეკონომიკაში გამოიყოფა:

1.კერძო ჯანდაცვა, სამედიცინო მომსახურების პირდაპირი გადახდის მეთოდი, მომხმარებელი ანაზღაურებს ხარჯებს ან სადაზღვევო კომპანიების შუამდგომლობით.

2.საზოგადოებრივი ჯანდაცვა, პირდაპირი გადახდის მეთოდი, სამედიცინო მომსახურებას ანაზღაურებს სახელმწიფო.

მთლიანი სამედიცინო მომსახურების მოცულობაში პირველადი ჯანდაცვის წილი შეადგენს დაახლოებით 50% -ს.

საერთაშორისო ჯანდაცვის ეკონომიკაში განიხილავენ უნივერსალურ, კონტინენტალურ, სამხრეთულ, სკანდინავიურ, იაპონურ მოდელებს.

უნივერსალურ (მაგ. ინგლისი, ირლანდია) მოდელს, სადაც სახელმწიფო სუბსიდია 78%-ია,სანარმოების დაფინანსებით 10%, სადაზღვევო 3.8% და 8.2% მოსახლეობის პირდაპირი გადახდა.

კონტინენტალური (მაგ.გერმანია, ავსტრია, ლუქსემბურგი, ბელგია, ნიდერლანდები) მოდელის დროს სახელმწიფო დაფინანსების წილი 73%, 11% კერძო გადახდები მომხმარებლების მხრიდან, 16% კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან.

სამხრეთის მოდელი (ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია) რომელსაც ძირითადად სახელმწიფო აფინანსებს და მძიმე ტვირთად აწვევა მის ბიუჯეტს.

სკანდინავიური მოდელი (შვეცია, ფინეთი, დანია) ძირითადად ფინანსდება საშემოსავლო გადასახადიდან.

ამჟამად იაპონური მოდელი წარმოადგენს სოციალური დაზღვევის ზოგადეროვნულ სისტემას განვითარებული ინფრასტრუქტურით და დაზღვევის ყველა სუბიექტს შორის სამართლებრივი და ფინანსური ურთიერთობების გამართული მექანიზმით. სამედიცინო დაზღვევა მოიცავს იაპონიის მთელ მოსახლეობას. ფინანსური რესურსები კონცენტრირებულია იაპონიის მთავრობის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე – პროფილაქტიკურ ღონისძიებებსა და 44 მოსახლეობის სოციალურ

რად დაუცველი ფენების, პირველ რიგში, მოხუცთა სამედიცინო დახმარების დაფინანსებაზე.

ჯანდაცვის ორგანიზაციული სისტემის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან საქართველოსთან მიმართებაში საყურადღებოდ მიგვაჩნია იაპონიაში არსებული ჯანდაცვის ორგანიზაციის სისტემა, ჯანდაცვის დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკის გადანაწილების ეფექტიანი მექანიზმით.

მსოფლიოში არსად არ არსებობს მხოლოდ ბიუჯეტიდან დაფინანსების სისტემა, სადაზღვევო ან მხოლოდ კერძო. ყველაზე გავრცელებულია სხვადასხვა წყაროებიდან დაფინანსების შერეული სისტემა.

საქართველოს ჯანდაცვა, ევროპის ქვეყნების მსგავსად, უნდა იყოს შერეული, მრავალკომპონენტური სისტემა.

ეკონომიკურად განვითარებულ თითქმის ყველა ქვეყანაში ჯანდაცვის ხარჯები წინ უსწრებენ დანარჩენი სოციალური დარგის ხარჯებს, განათლებისა და კულტურის ჩათვლით, და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 7-14% შეადგენენ.

საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი მატების მიუხედავად, მისი წილი სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში საკმაოდ დაბალია და შეადგენს 6.9%-ს. აღნიშნული თითქმის ორჯერ მცირეა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ მაჩვენებელთან შედარებით.

საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები შეადგენს 29.8%-ს. საქართველოში ჯანდაცვის ხარჯების მნიშვნელოვან წილს, დაახლოებით 65-70%-ს, მოსახლეობის მიერ გაღებული კერძო დანახარჯები შეადგენს,

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვიციანიშვილი ირინა, საქართველოს ჯანდაცვის სახელმწიფო ფინანსების მართვის სრულყოფის გზები, დისერტაცია, თბ. 2008წ.
2. Герасименко Н.И., Реформа здравоохранения: некоторые итоги и перспективы//Экономика здравоохранения.-2007.-№1.с.250.
3. Гросман М., «Концептуальные основы капитала здоровья и спроса на здоровье», The journal of Political Economy No 2, pp 223-255.
4. Калашников К., Здравоохранение и экономика (проблемы развития территорий), Вып1(53), 2011.
5. www.geostat.ge

მედეა ჩიქავა
სტუ-ს პროფესორი,
თამარ ცინცაძე,
სტუ-ს პროფესორი,
ქეთევან ბაციკაძე,
სტუ-ს პროფესორი,
ილია გველესიანი,
სტუ-ს პროფესორი,
ხათუნა მიშელაშვილი,
სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი

**METHODOLOGY OF CHRONIC DISEASES
EPIDEMIOLOGICAL RESEARCH**

Medea Chikava, Professor at GTU
Tamar Tsintsadze, Professor at GTU
Qetevan Batsikadze, Professor at GTU
Iliia Gvelesiani, Professor at GTU
Khatuna Mishelashvili - Assistant Professor at GTU

The appropriate methodology is necessary to use for proper epidemiological research of chronic diseases. We had elaborated the two-stage model of epidemiological research, which was used for adolescents Digestive System Diseases (DSD) studying. The complex epidemiological research of DSD was carried out by us by active detection of morbidity among 14-21 years old adolescents population.

In this article we briefly presented the model of above mentioned epidemiological research. At the first stage the adolescents filled out the screening-questionnaires that included 70 questions. At the second stage they filled out the epidemiological research map-questionnaires with 43 questions. The “case-control” study method was used for research. The studied risk factors were ranked hierarchically by decreasing of Odds Ratio (OR) index. At the final stage the results of epidemiological research were summarized.

Based on them we had elaborated the practical recommendations for promoting DSD prevention and pharmacotherapy in adolescents.

Keywords: Disease, Epidemiology, Risk Factors, Odds Ratio.

საკვანძო სიტყვები: დაავადება,...ეპიდემიოლოგია, რისკის ფაქტორები, შანსების თანაფარდობა.

* * * *

ქრონიკულ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კვლევის სწორად ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენება. არაინ-

ფექციურ დაავადებათა სტატისტიკური შესწავლა ხორციელდება არა „გენერალური ერთობლიობის“ მთლიანი გამოკვლევით, არამედ – „ნაწილობრივი“ მეთოდებით. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გამოსაკვლევე ჯგუფის წარმომადგენლობითობა, ანუ რეპრეზენტატულობა და შემთხვევითობა, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის მეათე მოხსენებაზე მიღებული მეთოდის მიხედვით, თავდაპირველად უნდა განისაზღვროს „შერჩევის ერთობლიობის“ სიდიდე. ამისათვის იყენებენ „შერჩევის“ მარტივ, რანდომიზებულ ფორმას. სტატისტიკურად სარწმუნო მაჩვენებელთა მისაღებად გამოსაკვლევ პირთა საჭირო რაოდენობა განისაზღვრება ფორმულით: $n = t^2 * P * (100 - P) / \Delta^2$, სადაც n – დაკვირვებათა საჭირო რაოდენობა; P - დაავადების ეპიდემიოლოგიური გავრცელება, გამოსატული %-ში (ლიტერატურის მონაცემების მიხედვით, თუ ასეთი არსებობს); $t = 1,96$ — სანდოობის კოეფიციენტი (95%-იანი სიზუსტით); $\Delta = 3,25$ — მაჩვენებლის ზღვრული შეცდომა. გამოსაკვლევ პირები უნდა შეირჩეს „გენერალურ ერთობლიობაში“ სქესის მიხედვით არსებული განაწილების შესაბამისად.

ჩვენს მიერ მონოდებულია ეპიდემიოლოგიური კვლევის ორეტაპიანი მოდელი, რომელიც გამოვიყენეთ მოზარდებში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა (სმსლ) შესასწავლად. კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები დაწვრილებით წარმოდგენილია პროფ. მ. ჩიქავას მონოგრაფიაში (1).

ქრონიკულ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მათი აღმოცენების ხელშემწყობი რისკის ფაქტორების გამოვლენა და რაწიერება, ინტეგრირებული მედიცინის საშუალებებით მკურნალობა. ამიტომ მონოგრაფიაზე მუშაობის დროს მიზნად დავისახეთ: ბაზისური ინფორმაციის მოპოვება 14-21 წლის მოზარდებში სმსლ-თა პრევალენტობის შესახებ; სმსლ-თა კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური თავისებურებების შესწავლა; სმსლ-თა და დაავადებისწინა მდგომარეობათა რისკის ფაქტორების რაოდენობის

დენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი; სმსლ-თა პრევენციული ფარმაცოთერაპიის ჰომეოპათიური მეთოდით ჩატარების მიზანშეწონილობის შეფასება; სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ოპტიმიზაცია.

კვლევის მიზნის შესაბამისად, შედგა გეგმა:

სტატისტიკური მონაცემების კვლევა. საქართველოში სმსლ-თა პრევალენტობისა და ინციდენტობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში (NCDC), სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში.

ეპიდემიოლოგიური კვლევა. ეტაპი – ჩვენს მიერ სპეციალურად შემუშავებული სკრინინგ – ანკეტების საშუალებითა და ამბულატორიულ-სტაციონარული მომართვიანობის მონაცემების გათვალისწინებით, სმსლ-თა პრევალენტობისა და სტრუქტურის დადგენა, სმსლ-ის პრემორბიდული მდგომარეობის მქონე პირთა გამოვლენა, კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური თავისებურებების შესწავლა.

II ეტაპი – ჩვენს მიერ შემუშავებული ეპიდემიოლოგიური კვლევის სპეციალიზებული რუკა-კითხვარების საშუალებით სმსლ-თა ფორმირების ადრეული და გვიანი პრედიქტორების სინშირების შესწავლა და მათი კომბინაციების მათემატიკური შეფასება, ძირითად ფაქტორთა გამოყოფა და რისკების თანაფარდობის მაჩვენებლის (OR) სიდიდეების განსაზღვრა.

კლინიკური კვლევა. ჩვენს მიერ ჩატარებული ჰომეოპათიური პრევენციული მკურნალობის შედეგების შეფასება და შედარება ალოპათიური მკურნალობის შედეგებთან – სმსლ-თა სამკურნალო ჰომეოპათიური კომპლექსური და ინდივიდუალური კონსტიტუციური პრეპარატების გამოყენებით მოსალოდნელი ეფექტის შეფასება სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით.

გეგმის შესაბამისად, თავდაპირველად მოპოვებულ იქნა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. ვინაიდან მოზარდთა შესახებ ასეთი ინფორმაცია დაზუსტებული არ არის, ამიტომ რეტროსპექტიულად გაანალიზდა საქართველოში სმსლ-ით ავადობისა და დაავადებულობის დინამიკა მთელ მოსახლეობასა და ბავშვებში. შემდგომ ჩატარებულ იქნა სმსლ-თა კომპლექსური ეპიდემიოლოგიური კვლევა ავადობის აქტიური გამოვლენით 14-21 წლის მოზარდთა პოპულაციაში.

მოცემულ სტატიაში მოკლედ წარმოვადგენთ ეპიდემიოლოგიური კვლევის ორეტაპიან მოდელს, რომელიც ჩვენს მიერ იქნა გამოყენებული. ეპიდემიოლოგიური კვლევა ჩატარდა ქ. თბილისის ყველა რაიონის თითო სასწავლო დაწესებულებაში, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პოპულაციის ყველა ერთეულის შერჩევაში მოხვედრის დაახლოებით თა-

ნაბარი აღბათობა და შემთხვევითობა. საქართველოში მცხოვრებ მოზარდთა მაგალითად შეირჩა ქ. თბილისის რამდენიმე სკოლის, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლის როგორც თბილისელი, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუდენტები და მოსწავლეები. ზემოაღნიშნული ფორმულის გამოყენებით დადგინდა გამოსაკვლევ პირთა რაოდენობა. კერძოდ, $n = t^2 * P * (100 - P) / \Delta^2$ ფორმულაში ჩავსვით $P = 13,25\%$ (ლიტერატურის მონაცემის მიხედვით) (1). ამიტომ მივიღეთ: $n = 1,96^2 * 13,25 * 86,75 / 3,25^2 = 418$. ამდენად, შეირჩა 430 მოზარდი – 215 ვაჟი და 215 გოგონა. აქედან 52,4% იყო საჯარო სკოლის მოსწავლე, 21,9% — საშუალო სპეციალური, ხოლო 25,7% — უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი.

პირველ ეტაპზე მოზარდთა მიერ შევსებულ იქნა სკრინინგ-ანკეტები, რომლებიც მოიცავდა 70 კითხვას. მათ განემარტათ, თუ როგორ უნდა შეეცნოთ კითხვარები. მოზარდები გამოკითხვაში ნებაყოფლობით მონაწილეობდნენ. ისინი ხალხით ავსებდნენ კითხვარებს, რომლებიც თითქმის 100%-ით დაბრუნდა უკან. ანკეტა-კითხვარები შეიცავდა კითხვებს მოზარდთა სმსლ-ის დებიუტის, მუცლის ტკივილის ხასიათის, დროის, ლოკალიზაციის, ინტენსივობის, ხანგრძლივობის, სეზონთან კავშირის, შემსუბუქებისა და კუპირების, აგრეთვე – გაძლიერების ხელშემწყობი ფაქტორების, დისპეფსიური მოვლენების, ნაწლავთა მოქმედების დარღვევებისა და სხვათა შესახებ. კვლევის ამავე ეტაპზე შეგროვდა ინფორმაცია მემკვიდრეობითი, სამედიცინო-ბიოლოგიური რისკის ფაქტორების, მოზარდთა კვებითი ჩვევების, თანმხლები ქრონიკული დაავადებების შესახებ.

გარდა ამისა, ხდებოდა მოზარდთა ინტერვიუება, რომლის დროსაც ზუსტდებოდა პასუხები და დამატებით ივსებოდა ანკეტები. შერჩეულ კონტინგენტს ჩაუტარდა ღრმა სამედიცინო შემოწმება. კერძოდ, დადგინდა იქნა: სხეული მასა, სიმაღლე, მასის ინდექსი, კონსტიტუციის ტიპი, ჩატარდა ზედაპირული და ღრმა პალპაცია, აუსკულტაცია, პერკუსია და სხვა. ფუნქციურ დარღვევათა სადიაგნოსტიკოდ გამოყენებულ იქნა „რომის III კრიტერიუმები“ (2006).

გაანალიზებულ იქნა თითოეული მოზარდის ანამნეზი, სუბიექტური სიმტომათიკა და ობიექტური გასინჯვის, აგრეთვე – ამბულატორიულ-პოლიკლინიკური კვლევის მონაცემები. რიგ შემთხვევებში, დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, მოზარდებს დამატებით ჩაუტარდათ კლინიკურ-ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები: სისხლის საერთო, ბიოქიმიური, კოპროლოგიური, მუცლის ღრუს ექოსკოპიური, ენდოსკოპიური და სხვ.

შესწავლილი კონტინგენტიდან გამოყოფილ იქნა 84 სმსლ-ის მქონე და 346 პირობითად ჯანმრთელი მო-

ზარდი – შესაბამისად, I და II ჯგუფები. ამ უკანასკნელიდან გამოყოფილ იქნა III ჯგუფი – პრაქტიკულად ჯანმრთელი 96 მოზარდი და IV ჯგუფი...– 101 სმსლ-ის რისკის მქონე მოზარდი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ ისეთი ჩივილებით, რომელთა ხანგრძლივობაც (არა აუცილებლად თანმიმდევრულად) არ აღემატებოდა წელიწადში 3 თვეს.

მეორე ეტაპზე მოზარდთა მიერ შევსებულ იქნა ეპიდემიოლოგიური კვლევის რუკა-კითხვარები. თითოეული მათგანი მოიცავდა 43 კითხვას, რომელშიც შედიოდა ორი ცხრილი (კვებითი და სოციალური ფაქტორების გამოსავლენად, შესაბამისად, 15 და 11 კითხვით) და ფსიქოლოგიური (სპილბერგერ-ხანინის) ტესტი (20 კითხვით) შფოთვის დონის დასადგენად.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გაანალიზდა მოზარდთა კვების ხასიათის, მიკროსოციალური გარემოს, აგრეთვე ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორების კავშირი სმსლ-თა არსებობასთან. ენდოგენური ფაქტორებიდან შესწავლილ იქნა ჯანმრთელობის მდგომარეობის თვითშეფასება კითხვარის „თქვენი განწყობილების“ ერთ-ერთი ტესტის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია სუსლოვა, კოპინა, ზაიკინის მიერ ჯანმრ(თ)-ს ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით და შფოთვის დონე — სპილბერგერ-ხანინის პიროვნული შფოთვის თვითშეფასების სკალის გამოყენებით (2, 3).

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა „შემთხვევა-კონტროლის“ მეთოდი. თითოეული ჯგუფის მოზარდთა შორის არსებულ რისკის ფაქტორთა სიხშირეები შედარდა ერთმანეთს. მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS v.11.5, Access პროგრამული პაკეტების, Excell-ის მეშვეობით, თანამედროვე სოციომეტრული მეთოდების გამოყენებით.

I და II, აგრეთვე III და IV ჯგუფებში რისკის ფაქტორთა სიხშირეების გადანაწილებას შორის არსებულ განსხვავებათა შეფასების მიზნით, გამოთვლილ იქნა ორმხრივი Z კრიტერიუმი – $Z = (P_1 - P_2) / ((P * (1 - P) * (1/n_1 + 1/n_2))^{1/2})$ (4), სადაც n_1 და n_2 — I და II ჯგუფებში მოზარდთა რაოდენობებია; P_1, P_2 და P — I, II ჯგუფის მოზარდებსა და მთელ პოპულაციაში რისკის ფაქტორთა ფარდობითი სიხშირეები: $P_1 = m_1 / n_1, P_2 = m_2 / n_2$ და $P = m / n$; სადაც m_1, m_2 და m — I, II ჯგუფსა და მთელ პოპულაციაში ამ ფაქტორის მქონე მოზარდთა აბსოლუტური რაოდენობებია, ხოლო n_1, n_2 და n — I, II ჯგუფსა და მთელ პოპულაციაში მოზარდთა აბსოლუტური რაოდენობებია. მიღებული შედეგების დამაჯერებლობა (p) შემოწმდა ცხრილების მეშვეობით (5). გამოთვლილ იქნა ფარდობით სიხშირეთა საშუალო ცთომილება: $\alpha_1 = (P_1 * (1 - P_1) / (n_1 - 1))^{1/2}$ და $\alpha_2 = (P_2 * (1 - P_2) / (n_2 - 1))^{1/2}$.

თითოეული რისკის ფაქტორისთვის განსაზღვრულ იქნა შანსების თანაფარდობა – OR (Odds Ra-

tio). შანსების თანაფარდობა არის ეფექტის სიდიდის საზომი, რომელიც აღწერს ასოციაციის ძალას ორ სიდიდეს შორის (6). ის გამოიყენება დესკრიპტულ სტატისტიკაში, სადაც ეფექტის სიდიდე არის სტატისტიკური პოპულაციის ორ ცვლად სიდიდეს შორის არსებული ურთიერთკავშირის ძალის საზომი (7).

ცვლადი სიდიდე არის რაღაც მოვლენის – E (Event) არსებობა ან არარსებობა – N (Non-event). ჩვენს შემთხვევაში მოვლენა არის სმსლ-ის (I და II ჯგუფებში) ან მისი რისკის (III და IV ჯგუფებში) არსებობა (E) ან არარსებობა (N). ამ მოვლენის არსებობა საკვლევე (მოცემული რისკის ფაქტორის მქონეთა) ჯგუფში აღინიშნება, როგორც EE (Events in Experimental group), საკონტროლო (მოცემული რისკის ფაქტორის არა მქონეთა) ჯგუფში, როგორც CE (Events in Control group); ხოლო მოვლენის არარსებობა საკვლევე ჯგუფში არის EN (Non-events in Experimental group), საკონტროლო ჯგუფში – CN (Non-events in Control group) (ცხრილი 1) (6).

ჯგუფი / მოვლენა	მოვლენის არსებობა	მოვლენის არარსებობა
საკვლევი (მოცემული რისკის ფაქტორის მქონეთა) ჯგუფი	EE (Events in Experimental group)	EN (Non-events in Experimental group)
საკონტროლო (მოცემული რისკის ფაქტორის არა მქონეთა) ჯგუფი	CE (Events in Control group)	CN (Non-events in Control group)

სმსლ-ის ან მისი რისკის არსებობის შანსი საკვლევე ჯგუფში – OE (odds in Experimental group) გამოითვლება: $OE = EE / EN$. სმსლ-ის ან მისი რისკის არსებობის შანსი საკონტროლო ჯგუფში – OC (odds in control group) გამოითვლება: $OC = CE / CN$. შანსების თანაფარდობა – OR ნიშნავს საკვლევე ჯგუფში მოვლენის არსებობის შანსის (OE) შეფარდებას საკონტროლო ჯგუფში მოვლენის არსებობის შანსთან (OC): $OR = OE / OC = (EE / EN) / (CE / CN)$.

შესწავლილი რისკის ფაქტორები წარმოვადგინეთ იერარქიულად შანსების თანაფარდობის მაჩვენებლის სიდიდის კლების მიხედვით: I და II ჯგუფებში (OR); III და IV ჯგუფებში (OR*). დადგინდა აღნიშნულ მაჩვენებელთა სანდოობის ინტერვალები – CI (Confidence Interval). შესწავლილ რისკის ფაქტორთაგან გამოიყო მაღალი რანგის (OR) მქონე ათი ძირითადი ფაქტორი. სმსლ-თა განვითარებასა და კლინიკურ სიმპტომებს ან რისკის ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად განსაზღვრულ იქნა კორელაციური კავშირები პირსონის კორელაციის კოეფიციენტის მიხედვით: $r_{xy} = \sum (d_x * d_y) / (\sum d_x^2 * \sum d_y^2)^{1/2}$

, სადაც x და y შესადარებელ ვარიაციულ მწკრივთა ცვლადი ვარიანტებია, ხოლო d_x და d_y – თითოეული ცვლადი ვარიანტის გადახრა თავისი საშუალო არითმეტიკულიდან (M_x და M_y).

კორელაციის კოეფიციენტის დამაჯერებლობის დასაგენად განისაზღვრა: საშუალო შეცდომა – $m_r = ((1 - r_{xy}^2) / (N - 2))^{1/2}$ და სანდოობის კრიტერიუმი – $t = r_{xy} / m_r$ რომლის დამაჯერებლობაც მონმდებოდა ცხრილების მეშვეობით (5). ნაშრომში მოყვანილია მხოლოდ სარწმუნო ($p < 0,0001$) საშუალო და ძლიერი კავშირები ($r > 0,3$). სპილბერგერ-ხანიანის პიროვნული შფოთვის თვითშეფასების სკალით გამოთვლილ იქნა ჯგუფებში ქულათა საშუალო რაოდენობები.

ეპიდემიოლოგიური კვლევის შემდეგ ჩავატარეთ კლინიკური კვლევა. კერძოდ, ჩატარდა ჰომეოპათიური პრევენციული მკურნალობა, რომლის შედეგებიც შედარებულ იქნა ალოპათიური მკურნალობის შედეგებთან – შეფასდა სმსლ-თა სამკურნალო ჰომეოპათიური პრეპარატების გამოყენების ეფექტურობა.

საბოლოო ეტაპზე შეჯამდა ეპიდემიოლოგიური და კლინიკური კვლევების შედეგები. მათ საფუძველზე შემუშავებულ იქნა მოზარდებში სმსლ-თა პრევენციისა და ფარმაკოთერაპიის გასაუმჯობესებელი პრაქტიკული რეკომენდაციები.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქავა მ. // მოზარდის საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური თავისებურებები და პრევენციული ფარმაკოთერაპია”. თბილისი, 2013. მონოგრაფია, 416 გვ.
2. ШКАЛА РЕАКТИВНОЙ И ЛИЧНОСТНОЙ ТРЕВОЖНОСТИ СПИЛБЕРГЕРА-ХАНИНА . Психологические тесты для профессионалов/ авт. сост Н.Ф. Гребень. – Минск: Современ. шк., 2007. – 496с. http://www.miu.by/kaf_new/mpp/173.pdf
3. Шкала оценки уровня реактивной и личностной тревожности (Ч. Д. Спилберг, Ю. Л. Ханин). Шкала самооценки Спилбергера-Ханина. <http://testoteka.narod.ru/lichn/1/48.html>
4. Закс Л. // Статистическое оценивание. Москва, "Статистика," 1976.
5. ყვავილაშვილი ჯ. // მათემატიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, II, (გაზომვა და სტატისტიკა), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1990.
6. Odds ratio. From Wikipedia, the free encyclopedia. 29 March 2017. http://en.wikipedia.org/wiki/Odds_ratio
7. Effect size. From Wikipedia, the free encyclopedia. 1 October 2017. http://en.wikipedia.org/wiki/Effect_size
8. სხვიტარიძე ა. // მოზარდებში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა სიხშირე, ხელშემწყობი ფაქტორები, პროფილაქტიკის გზები და კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებანი. დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2004.

**ვიტამინი E-ს (ტოკოფეროლი) განსაზღვრა
ჩვეულებრივი კაკლის (JUGLANS REGIA) და თხილის (CORYLUS) ნაყოფაგვი,
პომპრის (CUCURBITA) და ნენკის (CUCUMIS MELO) ზეთგაყლილ თესლეგვი**

ნანა გელოვანი, გიგა პატარიძე

*ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის დეპარტამენტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**DETERMINATION OF VITAMIN E
(TOCOPHEROL) IN FRUITS OF WALNUT
(JUGLANS REGIA) AND HAZELNUT (CORYLUS)
AND IN PUMPKIN SEEDS (CUCURBITA) AND
MELON (CUCUMIS MELO), AFTER REMOVING
THE OIL**

N. Gelovani, G. Pataridze

Department of Pharmacy and Department of Chemical
and Biological Technology,
Georgian Technical University,

Summary: This is a list of languages where you can choose the language from which it can be read or copied to the following address: α -ტოკოფეროლ, β -ტოკოფეროლ, γ -ტოკოფეროლ δ -ტოკოფეროლ. (Corylus) and Cuisine (Cuculita) and Dyani (Cucumis melo). После удаления масла. Спиртовые вытяжки, полученные из выбранных образцов, с - конц. HNO₃ дают следующие окраски: 1 образец. This is the FeCl₃ - в красный. 2 образец. This feature is available in FeCl₃ - в красный. 3 образец. This is what FeCl₃ - в красный. This is a list of folders that can be used to create an external desktop environment. Это подтверждает присутствия в образцах α -токоферола. 4. 3 образец. Feel free to leave a comment. You are not satisfied with this.

We have checked samples for solubility and none of the samples are soluble in water.

**ОПРЕДЕЛЕНИЕ ВИТАМИНА E (ТОКОФЕРО-
ЛА) В ПЛОДАХ ГРЕЦКОГО ОРЕХА (JUGLANS
REGIA) И ЛЕСНОГО ОРЕХА (CORYLUS) И В
СЕМЕНАХ ТЫКВЫ (CUCURBITA) И ДЫНИ
(CUCUMIS MELO), ПОСЛЕ УДАЛЕНИЯ МАСЛА**

Геловани Н.Дж., Патариძე Г.Г.

Департамент фармации и Департамент химической и биологической технологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 69

Резюме: Под общим названием витамин E известен ряд соединений, обладающих E витаминными свойствами: α -токоферол, β -токоферол, γ -токоферол δ -токоферол. Мы провели исследование по 4 образцам и определяли токоферолы в плодах грецкого ореха (Juglans regia) и лесного ореха (Corylus) и в семенах тыквы (Cucurbita) и дыни (Cucumis melo). после удаления масла. Спиртовые вытяжки, полученные из выбранных

образцов, с – конц. HNO₃ дают следующие окраски: 1 образец. раствор окрашивается в, темно-красный цвет, а с FeCl₃ – в красный. 2 образец. раствор окрашивается в, коричневатокрасный цвет, а с FeCl₃ – в красный. 3 образец. раствор окрашивается в, красный цвет, а с FeCl₃ – в красный. Это подтверждает присутствия в образцах α -токоферола. 4. 3 образец. раствор не окрашивается, с FeCl₃ незначительно изменился цвет. Присутствие α -токоферола не подтверждается.

Образцы проверили на растворимость, они в воде не растворяются.

1. შესავალი

სამკურნალო ნივთიერების ზემოქმედება ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმზე განიხილება, როგორც რთული ბიოლოგიური პროცესი, რომლის ხასიათი განისაზღვრება ნივთიერების ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, ორგანიზმის მდგომარეობით და საარსებო გარემო პირობებით. ორგანიზმზე ყველაზე მარტივი ქიმიური ნაერთის მოქმედებაც კი მრავალმხრივ გავლენას ახდენს.

განვიხილოთ ვიტამინ E-ს გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. ვიტამინი E (ტოკოფეროლი α ბერძნ. τόκος – შთამომავლობა + φέρω – ტარება + ლათ. ოლეუმ – ზეთი). ვიტამინი E-ს ანტიცთერილობის, ანუ ნაყოფიერების ვიტამინსაც უწოდებენ. ვიტამინ E-ს ვიტამერებს წარმოადგენს α -, β -, γ - და δ -ტოკოფეროლი. ბიოლოგიურად ყველაზე უფრო აქტიურია α -ტოკოფეროლი. სინთეზური DL- α -ტოკოფეროლი ვიტამინური აქტივობით არ ხასიათდება.


ვიტამინი E აუცილებელია საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მიერ ცხიმების ნორმალური ათვისებისათვის. ის ხელს უშლის დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების, მათ შორის ქოლესტერინის დაგროვებას. E ვიტამინის ეს თვისება ძალიან მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. E ვიტამინი დაბლა სწევს ინსულინისა და ტრიგლიცერიდების დონეს, რითაც აფერხებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას. ის აგრეთვე ხელს უშლის სისხლში კოლტების წარმოქმნას და შლის უკვე არსებულ კოლტებს, ამით კი გულის შეტევებისა და ათეროსკლეროზის განვითარების თავიდან აცილება ხდება შესაძლებელი.

ვიტამინი E არეგულირებს რეპროდუქციულ ფუნქციებს და სექსუალურ პოტენციალს, ამსუბუ-

ქებს კლიმაქსური სიმპტომების სიმძიმეს. ამასთან ერთად E ვიტამინი ხელს უწყობს ორგანიზმში A ვიტამინისა და რკინის მარაგების შევსებას.

მეცნიერები თვლიან, რომ საკვებიდან შეუძლებელია E ვიტამინის საკმარისი რაოდენობით მიღება. ამიტომ აუცილებელია ორგანიზმში მისი შეყვანა ვიტამინების საშუალებით. სამეცნიერო გამოკვლევები ადასტურებს, რომ ნატურალური E ვიტამინი ორჯერ უფრო ეფექტურია სინთეზურზე.

ვიტამინი E-ს უკმარისობა ცხოველებში იწვევს არა მარტო უნაყოფობას, არამედ მიოკარდისა და სხვა კუნთოვანი ქსოვილების, აგრეთვე სისხლძარღვებისა და ნერვული სისტემის დაზიანებას. ვიტამინი E იცავს ცხიმებს და სხვა ადვილად დასაჟანგ ნაერთებს. ის ასკორბინის მჟავასა და გლუტათიონის მსგავსად, ერთ-ერთი ძლიერი, ბუნებრივი ანტიოქსიდანტია (ყველაზე ძლიერია γ-ტოკოფეროლი), განსაკუთრებით კი ლიპიდების. ვიტამინი E ძირითადად გვხვდება ხორბლისა და ბრინჯის მარცვლებში, მზესუმზირას, სიმინდის, კაკლის და თხილის ნაყოფებში, გოგრის და ნესვის თესლებში და სხვა მცენარეთა ზეთებში.



6-აცეტოქსი-2-მეთილ-2-(4,8,12-ტრიმეთილტრიდეცილ)-ქრომანი E ვიტამინი

α-ტოკოფეროლი: 5,7,8-ტრიმეთილტოკოლი. β-ტოკოფეროლი: 5,8-დიმეთილტოკოფეროლი. γ-ტოკოფეროლი: 7,8-დიმეთილტოკოლი. δ-ტოკოფეროლი: 8-მეთილტოკოფეროლი.

ჩვენ მიზნად დავისახეთ, ცხიმის მოცილების შემდეგ, ტოკოფეროლების განსაზღვრა შემდეგ მცენარეულ ნედლეულში:

1. ნიმუში. ჩვეულებრივი კაკლის ნაყოფი მდიდარია ისეთი ვიტამინებით და მინერალებით, როგორებიც არის: საკვები ბოჭკოები - 48,5 %, ვიტამინი B1 - 42,9 %, ვიტამინი B5 - 18,4 %, ვიტამინი B6 - 28,2 %, ვიტამინი B9 - 28,3 %, ვიტამინი E - 100,2 %, ვიტამინი K - 11,8 %, კალიუმი - 27,2 %, კალციუმი - 11,4 %, მაგნიუმი - 40,8 %, ფოსფორი - 36,3 %, რკინა - 26,1 %, მანგანუმი - 308,8 %, სპილენძი - 172,5 %, თუთია - 20,4 %.

2. ნიმუში.თხილი მდიდარია ისეთი ვიტამინებით და მინერალებით, როგორებიცაა: კვებითი ბოჭკოები - 30,5 %, ვიტამინი B1 - 26 %, ვიტამინი B5 - 16,4 %, ვიტამინი B6 - 40 %, ვიტამინი B9 - 19,3 %, ვიტამინი E - 17,3 %, ვიტამინი PP - 24 %, კალიუმი - 19 %, მაგნიუმი - 30 %, ფოსფორი - 41,5 %, რკინა - 11,1 %, კობალტი - 73 %, მანგანუმი - 95 %, სპილენძი - 53 %, ატორი - 17,1 %, თუთია - 21,4 %

3. ნიმუში. ჩვეულებრივი და მსხვილი გოგრის ჰაერმშრალი თესლები მდიდარია ისეთი ვიტამინებით და მინერალებით როგორებიც არის: საკვები ბოჭკოები - 30 %, ვიტამინი B1 - 18,2 %, ქილონი - 12,6 %, ვიტამინი B5 - 15 %, ვიტამინი B9 - 14,5 %, ვიტამინი E - 14,5 %, ვიტამინი PP - 24,9 %, კალიუმი - 32,4 %, მაგნიუმი - 148 %, ფოსფორი - 154,1 %, რკინა - 49 %, მანგანუმი - 227,2 %, სპილენძი - 134,3 %, სელენი - 17,1 %, თუთია - 65,1 %.

4. ნიმუში. ნესვის თესლები მდიდარია ცილოვანი ნივთიერებებით და ცხიმებით, მის შემადგენლობაშიც შედის: გალაქტანი, გლუკოზა, გუმილაქები (გუმი), ფისები. თესლებიდან ამოღებული ცილა შედგება გლუტინისა და გლობულინისაგან.


ნესვის თესლებში ცილოვანი აზოტის შემცველობა (ავტორების ფ.რუფესკის და რ.რახიმოვის ნაშრომების მიხედვით (1973)) შეადგენს 4,75-5,89%. ლიტერატურულ მონაცემებში ნესვის თესლებში ვიტამინების არსებობის შესახებ ინფორმაცია მწირია, მაგრამ მისი ზეთის სასარგებლო თვისებებზე დაწერილია მრავალი სტატია. ამიტომ ჩვენ ეს მცენარეუც ჩავრთეთ კვლევებში.

2. ძირითადი ნაწილი


ექსპერიმენტის მსვლელობა

ვიტამინ E-ს განსაზღვრის მეთოდები


ვიტამინ E-ზე საუბრისას იგულისხმება ვიტამინის თვისებების მატარებელი რიგი ნივთიერებები:




ალფა (α)-ტოკოფეროლი



გამა (γ)-ტოკოფეროლი



ბეტა (β)-ტოკოფეროლი



დელტა (δ)-ტოკოფეროლი

დაყალიბებულ მრუდს ვაგებდით სინთეზური α-ტოკოფეროლის სანიმუშო ხსნარების კოლორიმეტრიკის შედეგების მიხედვით.


ტოკოფეროლების განსაზღვრისას, როგორც ნედლ, ასევე 40°C-ზე გამშრალ მასალაში აღრიცხავენ „თავისუფალ ტოკოფეროლებს“.

ლიტერატურაში ტოკოფეროლების საერთო შემცველობის განსაზღვრავად რეკომენდირებულია 75-105°C ტემპერატურულ შუალედში გამომშრალი მასალა, რადგან მაღალ ტემპერატურაზე გამოშრობა ინვერს ცილებთან შეკავშირებული ტოკოფეროლების გამონთავისუფლებას. საერთო და თავისუფალ ვიტამინ E-ს შორის სხვაობის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მისი შეკავშირებული ფორმის რაოდენობაზე.


თვისებითი რეაქციები ვიტამინ E-ზე

ცდა 1. ვიტამინ E-ს ურთიერთქმედება აზოტმჟავასთან.

ვიტამინი E კონცენტრირებულ აზოტმჟავასთან ურთიერთქმედებისას იჟანგება, წარმოიქმნება ქინოიდური ნაერთი, რომელიც შეფერილია წითლად, ან მოყავისფერო-წითლად.




ექსპერიმენტის მსვლელობა. მშრალ სინჯარაში ვათავსებდით საკვლევი მცენარეული მასალიდან მიღებულ სპირტიან გამონაწვლილებს, თითოეული ნიმუშიდან 4-5 წვეთს, ძალიან ფრთხილად ვამატებდით კონც.აზოტმჟავას 10 წვეთს და ვაცხელებდით 15 წუთის მანძილზე წყლის აბაზანაზე (70-80°C) 15 წთ. რეაქციის დასაჩქარებლად, შეიძლება საქაროზის დამატებაც, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, ეს საჭირო არ გახდა, რადგან, რეაქცია სწრაფად წავიდა და მივიღეთ შემდეგი შეფერილობები (იხილეთ ცხრილიში)



ცდა 2. ვიტამინ E-ს ურთიერთქმედება რკინა (III) ქლორიდთან (FeCl₃)

ვიტამინი E იჟანგება რკინა (III) ქლორიდთან (FeCl₃) და იძლევა ქინოიდური ნაერთისათვის დამახასიათებელ წითელ ფერს.



ცდის მსვლელობა. ვათავსებდით საკვლევი მცენარეული მასალიდან მიღებულ სპირტიან გამონაწვლილებს თითოეული ნიმუშიდან 4-5 წვეთს, ვამატებდით რკინა (III) ქლორიდის (FeCl₃) ხსნარს 0,5 მლ და ინტენსიურად ვურევდით, ვაცხელებდით 70-80°C-მდე ვაცხელებულ წყლის აბაზანაზე. დაახლოებით 15-20 წუთში შეინიშნებოდა წითელი შეფერილობა, რაც გამოწვეულია ქინონის მიღებით.

ცხრილი №2. თვისებითი რეაქციების შედეგები ვიტამინ E-ზე

№	ნიმუშები	რეაქცია კონც. HNO ₃ -თან	რეაქცია FeCl ₃ -თან
1	ჩვეულებრივი კაკლის (<i>Juglans regia</i>) ნაყოფი	მუქი წითელი	წითელი
2	თხილის (<i>Corylus</i>) ნაყოფი	მოყავისფრო - წითელი	წითელი
3	გოგრის (<i>Cucurbita</i>) თესლი	წითელი	წითელი

4	ნესვის (<i>Cucumis melo</i>) თესლი	არ შეიმჩნევა	შეიმჩნევა ფერის უმნიშვნელო ცვლა
5	როგორც ნიმუშების ფერის ცვლიდან ჩანს, ალფა ტოკოფეროლის თანაპოვნეობა დასტურდება პირველ სამ ნიმუშში ხოლო მეოთხე ნიმუშში მხოლოდ FeCl ₃ - შემთხვევაში ქონდა ადგილი ფერის ცვლას უმნიშვნელოდ.		

ტოკოფეროლების იგივეობის დასადგენად რეკომენდირებულია მათი ხსნადობის განსაზღვრა. როგორც ცნობილია ტოკოფეროლები ზეთში ხსნადი ნივთიერებებია ამიტომ წყალში ისინი არ იხსნებიან. ჩვენს მიერ ნიმუშებიდან მიღებული გამონაწვლილები შევამოწმეთ ხსნადობაზე შედეგები მოცემულია ცხრილი №3

ცხრილი №3. ტოკოფეროლების ხსნადობის განსაზღვრა

№	ტოკოფეროლები	გამსხნელები			
		წყალი	ზეთი	ქლოროფორმი	ეთერი
1	ა-ტოკოფეროლი	არ იხსნება	იხსნება	იხსნება	იხსნება
2	ბ-ტოკოფეროლი	არ იხსნება	იხსნება	იხსნება	იხსნება
3	γ-ტოკოფეროლი	არ იხსნება	იხსნება	იხსნება	იხსნება
4	δ-ტოკოფეროლი	არ იხსნება	იხსნება	იხსნება	იხსნება

3. დასკვნა:

1) აღებული გვქონდა 4 ნიმუში. 1 ჩვეულებრივი კაკლის (*Juglans regia*) ნაყოფი. 2. თხილის (*Corylus*) ნაყოფი. 3. გოგრის (*Cucurbita*) თესლი. 4. ნესვის (*Cucumis melo*) თესლი. რომლებსაც წინასწარ მოვაცილეთ ცხიმი.

2) ჩავატარეთ თვისებითი რეაქციები ვიტამინ E-ზე. მივიღეთ ასეთი შედეგები:

1 ჩვეულებრივი კაკლის (*Juglans regia*) ნაყოფიდან მიღებული სპირტიანი გამონაწვლილები HNO₃-თან იძლევა მუქ - ნითელ შეფერილობას, ხოლო FeCl₃-თან ნითელს. რაც ადასტურებს ნიმუშში α-ტოკოფეროლის არსებობას.

2. თხილის (*Corylus*) ნაყოფიდან მიღებული სპირტიანი გამონაწვლილები HNO₃-თან იძლევა მოყვანისფრო-ნითელ შეფერილობას, ხოლო FeCl₃-თან ნითელს. რაც ადასტურებს ნიმუშში α-ტოკოფეროლის არსებობას.

3. გოგრის (*Cucurbita*) თესლიდან მიღებული სპირტიანი გამონაწვლილები HNO₃-თან იძლევა ნითელ შეფერილობას, ხოლო FeCl₃-თან ნითელს. რაც ადასტურებს ნიმუშში α-ტოკოფეროლის არსებობას.

4. ნესვის (*Cucumis melo*) თესლიდან მიღებული სპირტიანი გამონაწვლილები HNO₃-თან არ შეიმჩნევა შეფერილობა, ხოლო FeCl₃-თან შეიმჩნევა ფერის უმნიშვნელო ცვლა. რაც არ არის საკმარისი ნიმუშში α-ტოკოფეროლის არსებობის დასატყობობად.

3) მიღებული ნიმუშები შევამოწმეთ ხსნადობაზე, არცერთი ნიმუში წყალში არ იხსნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქიმიკოსის ცნობარი / რედკოლ.: ნიკოლსკი ბ.პ. და სხვები.. — მე-2., გასწ. — მ.-ლ.: ქიშია, 1966. — ტომი: 1.
2. გოგიჩაძე გიორგი, ლექსიკონი ბიოლოგიური და სამედიცინო ტერმინები და ცნებები / გ. გოგიჩაძე, გ. კანდელაკი, თ. გოგიჩაძე. - თბ.: [მერიდიანი],
3. ტექნიკური ტერმინოლოგია: ქართულ-რუსული ნაწილი/საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტი; რ. დვალისა და რ. ლამბაშიძის რედ.. - თბ.: მეცნიერება;
4. ნ. გელოვანი. თ. ცინცაძე. ხ. ნიქარიშვილი, დ. ლულუნიშვილი ლ. თარგამაძე, მ. ნიშნიანიძე, მ. ლომოური. მცენარეული წარმოშობის ქსოვილებში ასკორბინის მჟავას, დეჰიდროასკორბინმჟავას და კეტოგულონმჟავას რაოდენობითი განსაზღვრა. საქართველოს ქიმიური ჟურნალი. თბილისი. ტ.13 №2. გვ.52-56. 2013.
5. ნ. გელოვანი, თ. ცინცაძე, ხ. ნიქარიშვილი, ი. ცომიაი, ი. გველესიანი, მ. ბოქოლიშვილი. ჩანყობილა ბაიას (*Ficaria L.*) ფარმაკოგნოსტური დახასიათება. საქართველოს ქიმიური ჟურნალი. თბილისი. ტ.14 №1. გვ. 206-211. 2014.
6. Безчаснюк Е.М., Дяченко В.В., Кучер О.В., «Процесс экстрагирования из лекарственного растительного сырья» - Фармаком 1 – 2003
7. Егорова Е., Клунова С. Живухина У. Основы биотехнологии М. 2003
8. Крыжановский С. А. Фармакология М. 2007
9. Машковский М. Д. Лекарственные средства М. т. 1,2; 2005
10. Минина С. А., Каухова И. Е.. Химия и технология фитопрепаратов – М.: Геотар-Мед, 2004
11. Муравьева Д. А., Саминина И. А., Яковлев Г. П., Фармакогнозия Москва 2007

ბაყაყურას - (SILYBUM MARIANUM) მიწიწვან ნაწილაკიან ზეთოვანი ნივთიერებად და მხარული ექსტრაქტის მიღების რაციონალური ტექნოლოგიის შერჩევა

ნანა გელოვანი, ლიანა თარგამაძე, მათა ცინცაძე, ხათუნა ნიქარიშვილი, მარიამ ნიშნიანიძე
ფარმაცუის დეპარტამენტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

რეზიუმე

ბაყაყურა (Silybum) — ორნოლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა, რომელიც შეიცავს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მდიდარ კომპლექსს: 40 სამკურნალო და მკვებავ ნივთიერებას. მათ შორისაა ფლავონოიდების დიდი კომპლექსი (ფლავონოიდების სუბსტანცია, იგივე სილიმარინი, რომელიც შეიცავს სილიბინს, სილიდიანინს და სილიკრისტინს, ასევე კვერციტინს, ტაქსიფოლინს, ფილოქინონს), ბიოგენურ ამინებს (ჰისტამინი, თირამინი), ცხიმოვანს (32%-მდე მალა-ლი შემცველობით უჯერი ცხიმოვანი მჟავებით) და ეთეროვანი ზეთი (0,08%-მდე), ლორწოვანი ნივთიერებები [3]. ამის გარდა ბაყაყურას თესლები შეიცავს მაკროელემენტებს, მგ/გ K 9,2; Ca 16,6; Mg 4,2; Fe 0,085; მიკროელემენტები მგ/გ Mn 0,1; Cu 1,16; Zn 0,77; Cr 0,15; Al 0,02; V 0,91; Se 22,9; Ni 0,2; Sr 0,08; Pb 0,08, J 0,99; B 22,4; ახდენს Cu - ს კონცენტრირებას; განსაკუთრებ-ბით Se.

ნაშრომში განხილულია თბილისის ზღვის ჩრდი-ლოეთი მხრიდან (თემქის დასახლება, ზღვის გარშე-მონერილობის 26კმ-ზე შეგროვილი ნედლეულის და-მუშავებით მიღებული შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ბაყაყურა (Silybum marianum), ეთეროვანი ზეთი, ჰაერმშრალი ნედლეული, ფლავო-ნოიდების სუბსტანცია.

1. შესავალი

დღესდღეობით ბაყაყურას ნაყოფი ფართოდ გამოიყენება რუსეთში და საზღვარგარეთ. გამოი-ყენება ისეთი ძვირფასი ჰეპატოპროტექტორული პრეპარატების წარმოებისთვის, როგორცაა სილი-მარი, კარსილი, ლეგალენი. სილიბორი, ჰეპაბენე და ა.შ. ამ პრეპარატების უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ მათი ჰეპატოდამცველი თვისებები გან-პირობებულია ბიოლოგიურად აქტიური შენაერ-თების (ბაშ) ახალი ჯგუფით - ფლავოლიგნანები, კერძოდ, სილიბინით, სილიდიანინით და სილიკრის-ტინებით. მითითებული ბაშ-ის მოქმედების მექანიზმი შეიცავს ფოსფოლიპიდების ზეჟანგის ჟანგვის დაქვე-ითებას ლვიდლის ქსოვილში და ისეთი ანტიოქსიდური ფერმენტების აქტიურობის ამაღლებას, როგორცაა კატალაზა და სუპეროქსიდისმუტაზა, ასევე ლვიდლის უჯრედების რეგენერაციის სტიმულაციას.

ამასთანავე საჭიროა ავლნიშნოთ, რომ ბაყაყურას ნაყოფზე დამზადებული ჰეპატოპროტექტორები გამოიყენება არა მხოლოდ ლვიდლის პათოლოგიის სამკურნალოდ, არამედ მრავალი ინფექციური და-ზიანების თერაპიაში (ქრონიკული ბრონქიტი, ქლ-ამიდიოზი, ტოქსოპლაზმოზი და ა.შ.), ასევე სხვა დაა-ვადების პროფილაქტიკისას, რომლებიც წარმოიშ-ვება ორგანიზმზე გარემომცველი არასასურველი ფაქტორების ზემოქმედებით. ვინაიდან საქართვე-ლოში არ იწარმოება საკმარისი წამლების ასორტი-მენტი, ხოლო იმპორტული პრეპარატები ძვირია, მო-სახლეობა არ არის დაკმაყოფილებული ამ ჯგუფის წამლებით. თანამედროვე ჰეპატოპროტექტორების შესაქმნელად ბაყაყურას ფლავოლიგნების საფუძ-ველზე უზარმაზარი შესაძლებლობაა საქართველო-ში, სადაც არის ნედლეულის ბაზა. ასე რომ, სამამუ-ლო, ეფექტური, უსაფრთხო ჰეპატოპროტექტორუ-ლი ფიტოპრეპარატების დამუშავება, რომელიც გა-მოიყენება პედიატრიულ პრაქტიკაშიც, აქტუალურია როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ საქმიანობა-ში.

2. ძირითადი ნაწილი

თბილისის შემოგარენში მოპოვებული ბაყაყუ-რას ნაყოფის ქიმიური შემადგენლობის გამოკვლევა

ფარმაცევტულ ტექნოლოგიაში ცნობილია წამ-ლების მიღების ხერხები და სუბსტანციები ბაყაყურ-აში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერ-ებების ჯამის საფუძველზე (კარსილი, სილიბორი, სილიმარი, სილიმარინი და სხვა), ასევე ბაყაყურას ნაყოფის ინდივიდუალური ნივთიერებისა, მაგრამ ცნობილი მეთოდების ნაკლია ტექნოლოგიური



სურ. 1. ბაყაყურა (Silybum)

პროცესის სირთულე და პროდუქტი დაბალი გამო-სავლიანობა.

ამას გარდა, ყველა ლიტერატურაში ხაზი ესმება სამ ძირითად მოქმედ ნივთიერებებს ბაყაყურა ნაყოფისა - სილიბინი, სილიდიანიინი და სილიკრისტიანი, რომლებიც განსაზღვრავენ ჰეპატოპროტექტორულ, ანტიოქსიდატური, შემზრანომასტიმულირებელი პრეპარატების თვისებებს, მოცემული მცენარის ნედლეულის ბაზაზე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბაყაყურას ექსტრაქტი შეიცავს 2,3 დეჰიდროსილიბინს, ეს გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და გამოყენებული იქნა რუსეთის მე-12 ფარმაცოპეაში შეტანილი კერძო და ზოგადი სტატიები - მცირე მოდიფიცირებით.

ბაყაყურას თესლიდან ფლავოლიგნანების მისაღებად 200 გ დანაწევრებული ბაყაყურას ნაყოფს, ჰაერმშრალ თესლს ვასხამდით 80% ეთილის სპირტს შეფარდებით 1:10 და 24 საათის განმავლობაში ვაყენებდით, შემდეგ ნედლეულის ექსტრაქციას ვახდენდით 80%-იანი ეთილის სპირტით გაცხელებისას (30 წუთის განმავლობაში 2 ეტაპად ნედლეული სრულ გამოფიტვამდე). შემდეგ ამ ნაერთს ვაკუუმის ქვეშ ვაორთქლებდით წყლის ნარჩენის მიღებამდე, რომელსაც ვადებდით პოლიამიდის "Woe Im" (20,0 გ) ფენას, ვაშრობდით. მიღებულ მშრალ ფხვნილს ვათავსებდით პოლიამიდის ფენაზე, რომელიც ფორმირებულია წყალში და ელუირებულია წყლით, შემდეგ ნარევით რომელიც შედგება წყლისა და ეთილის სპირტისგან, რომლის კონცენტრაციაც თანდათან იზრდება. მიზნობრივი პროდუქტი ელუირებულ იქნა 80% ეთილის სპირტით. აორთქლებული ფრაქციები, რომლებიც შეიცავენ ფლავოლიგნანების ნარევს, გამოვაშრეთ სიკიკოგელზე L 40/100 (20,0გ). მშრალ ფხვნილს ვათავსებდით სილიკაგელის (40,0გ) ფენაზე, რომელიც ფორმირებულია ნარევის სახი.

მიზნობრივი ნივთიერების ქრომოტოგრაფიული დაყოფა ხორციელდებოდა სილიკოგელზე L 40/100 გრადიენტული ელიენტური ნარევის ქლოროფორმის გამოყენებით - ეთილის სპირტი სხვადასხვა თანაფარდობით (100:0, 98:2, 97:2, 97:3, 95:5, 93:7). ამან მიგვიყვანა სხვადასხვა ფრაქციების წარმოქმნამდე (15-18 ეთანოლი ქლოროფორმი), რომლებიც გადიდრებულია სილიბინით და 2,3 დეჰიდროსილიბინით, რომლებიდანაც მიღებული იყო მიზნობრივი ნივთიერებები რაოდენობით 1,0 და 0,5გ შესაბამისად. ამას გარდა, რექრომატოგრაფიის შედეგად "woelm" ფრაქციის პოლიამიდზე, რომელიც შეიცავს სხვა მიზნობრივ ნივთიერებებს და შემდგომი გადაკრისტალებით გამოყოფილია ფლავოლიგნანები სილიდიანიინი და სილიკრისტიანი. საბოლოო განმენდა 2,3-დეჰიდროსილიბინისა განვასორციელეთ წყლიანი სპირტიდან - დაკრისტალებით. მიზნობრივი პროდუქტის გამოსავალი - ინდივიდუალური სილიბინი (1) და 2,3 დეჰიდროსილიბინისა შეადგენს 0,6 და 0,2გ შესაბამისად. სვეტური ქრომოტოგრაფიის გამოყენებით გამოყოფილია ფლავონოიდების ბუნების


4 ნაერთი.

ბაყაყურას თესლიდან გამოყოფილი ფლავოლიგნანების ქიმიური პარამეტრების შესწავლა


გამოყოფილი ნაერთების სტრუქტურის დასადგენად გამოვიყენეს ქიმიური გარდაქმნების შედეგები და უშუალო შედარება ნივთიერებების ცნობილ ნიმუშებთან (სილიბინი, სილიდიანიინი, სილიკრისტიანი). სხვადასხვა დეტექციის საშუალებებით კონტროლდებოდა მიღებული ნაერთების შემადგენლობა.

თხელფენოვანი ქრომოტოგრაფია წყალ-სპირტოვანი გამოყოფისა ბაყაყურას ნედლეულისგან ფლავოლიგნანების 1-4 შემადგენლობით


- 1) წყალ-სპირტოვანი გამოყოფა ბაყაყურას ნაყოფიდან.
- 2) გამოყოფა ბაყაყურას ნაყოფის თესლებიდან.
- 3) გამოყოფა ნაყოფის შროტისგან.
- 4) სილიბინი ($R_{f0,8}$)



5) სილიდიანიინი ($R_{f0,7}$)



6) სილიკრისტინი ($R_{f0,6}$)



ნივთიერებებს ვაშრობდით 48-60° C /2მმ ფოსფორის ხუთჟანგზე და შემდეგ ვნსაზღვრავდით ლლობის ტემპერატურას კოფლერის ბლოკზე. უი სპექტრებს ვიღებდით ხელსაწყოებზე Specord M40 და Hitachi_

EPS- 3T მეთანოლში. ვიყენებდით რეაგენტის ძვრას 0,1 M ნატრიუმის მეთილატის ხსნარი, ახლადგამდნარი ნატრიუმის აცეტატი, უწყლო ბორის მუჟავა (ან მისი გაჯერებული ხსნარი მეთანოლში), უწყლო 5% ხსნარი ALCL₃ 10% HCl.

3. დასკვნა:

1. ბაყაყურა, როგორც სამკურნალო მცენარე, ცნობილი იყო უძველესი დროიდან. ის მოხსენიებულია როგორც სამკურნალო საშუალება ცნობილი ბერძენი ექიმის დიოსკორიდეს და ანტიკური მედიცინის კლასიკოსის, გალენის შრომებში, მას ფართოდ მოიხმარდნენ შუასაუკუნეებში, ევროპაში.

2. ბაყაყურა (*Silybum marianum*) გვარი ბაყაყურა საქართველოში მხოლოდ ამ სახეობითაა წარმოდგენილი. იზრდება მშრალ ადგილებზე, ნათესებში, როგორც სარეველა. გავრცელებულია აფხაზეთში, ქართლში, კახეთში. საქართველოს გარეთ ამიერ- და იმიერკავკასიაში, შემოტანილია კულტურაში.

3. მაყაშვილის ლექსიკონში მოცემულია ამ მცენარის სახელწოდებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში:

- ქიზიყური – ბუერა ნარი, კაკბელა ნარი;
- გარეკახური – ბაყაყის ნარი.

Synonym: ბაყაყის ნარი, ბუერა ნარი, კაკბელა ნარი, ნარი ბაყაყისა.

ნედლეული შეგროვილია 1. თბილისის ზღვის ჩრდილოეთი მხრიდან (თემქის დასახლება, ზღვის გარშემოწერილობის 26კმ.

ჩვენს მიერ შეგროვილი ბაყაყურას სამივე ნიმუში არის 2 წლიანი მცენარე.

სიმაღლე – მისი სიმაღლე აღწევს 60 – 150 სმ.

ღერო – მას აქვს დატოტვილი ღეროები.

ფოთლები – ფოთლები დაფარულია მოვერცხლისფრო ლაქებით. ასევე ფოთლის ბოლოებში განთავსებულია ყვითელი ფერის ეკლები.

ნაყოფი – ბაყაყურას აქვს ნაყოფი რომელიც წარმოადგენს სათესლე პარკს. მისი დიამეტრი აღწევს 5 – 6 სმ, მისი შეფერილობა შეიძლება იყოს ღია ყავისფერი ან შავი – მონაცრისფრო. თავად თესლებს არ აქვთ სუნი, მაგრამ აქვთ მწარე გემო.

4. ოფიცინალური ნედლეულია ბაყაყურას ნაყოფი - *Fluctur silybi*. იყენებენ მნივე ნაყოფებს. ნედლეულის დასამზადებლად ბალახს თიბავენ, აშრობენ, ცხხვენ და ნაყოფებს მინარევებისაგან ასუფთავებენ. ნაყოფებს გასუფთავების შემდეგ დამატებით აშრობენ.

5. კეთილხარისხოვან ნედლეულში ფლავოლიგნანების შემცველობა 2,7% -ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

6. ნივთიერებათა მონაცემთა ბაზაში ბაყაყურაზე განერილია შემდეგი ნივთიერებები და ნივთიერებათა ჯგუფები: ალკალოიდები, საპონინები, სილიდიანინი, სილიკრისტინი, ფისები, ფლავოლიგნანები, ფლავონოიდები, ცილები, ცხიმოვანი ზეთი.

ლიტერატურა:

1. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი: [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. - I-ლი გამოც. - [თბ.] : ფანტაზია, 2006. - 28სმ.[MFN: 136149].
2. მაყაშვილი, ა. ბოტანიკური ლექსიკონი: მცენარეთა სახელწოდებანი. - თბ.: საბჭოთა საქართველო, 1961 (საქმთავარპოლიგრაფგამომც. მე-2 სტ). - 260გვ.; 27სმ.. - ტექსტი პარალ. ქართ., რუს. და ლათ. ენ.. - ბიბლიოგრ: გვ. 8. - 82კ.
3. Государственная фармакопея РФ — XIII издание.
4. Куркин В.А. Расторопша пятнистая — источник лекарственных средств (обзор). Химико-фармацевтический журнал, т.37, № 4, 2003.
5. Чубарова А.С., Курченко В.П. Характеристика антиоксидантной активности субстанции силимарина в составе гепатопротекторных лекарственных препаратов. Журнал «Медицинские новости», №3, 2013
6. Расторопша пятнистая. Энциклопедия растений. <http://lektrava.ru/>
7. Расторопша - подарок Богоматери. АиФ. На даче, №22, 21/11/2008

SELECTION OF RATIONAL TECHNOLOGY FOR OILY SUBSTANCES AND DRY EXTRACT FROM MILK THISTLE (SÍLYBUM MARIÁNUM)

N. Gelovani, L. Targamadze, M. Tsintsadze, Kh. Tsikarishvili, M. Nishnianidze
 Department of Pharmacy.
 Georgian Technical University

SUMMARY

Milk thistle (*Silybum marianum*) - This species is an annual or biennial plant of the Asteraceae family. This fairly typical thistle has red to purple flowers and shiny pale green leaves with white veins.

Contains a rich complex of biologically active substances: 40 medicinal and nutrients. These include the large complex of flavonoids (the substance of flavonoids, the same silimaryin containing silibine, cylindiane and silicristin, as well as kwaveritin, taksifolin, philoxin), biogenic amines (histamine, tiramine), fats (up to 32% with unsaturated fatty acids) Oil (0,08%), mucous substances {3}. In addition, frogs seeds contain macro elements, mg / g K 9,2; Ca 16.6; Mg 4,2; Fe 0,085; Micro elements mg / g Mn 0,1; Cu 1,16; Zn 0,77; Cr 0,15; Al 0,02; V 0,91; Se 22.9; Ni 0,2; Sr 0,08; Pb 0,08, J 0,99; B 22,4; Concentrates on Cu; Especially Se.

The work is reviewed on the northern side of the Tbilisi Sea (Temka settlement, results obtained by processing raw materials collected at sea level 26 km.

მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ეკონომიკის განვითარებაში და მისი სრულყოფის გზები

გიორგი ავალიანი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქვეყნის განვითარებისათვის ერთერთი უმნიშვნელოვანესი თემა: მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ეკონომიკის განვითარებაში და მისი სრულყოფის გზები. სტატიაში მიმოხილულია ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ბიზნესის განვითარების კუთხით, შეფასებულია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და წარმოდგენილია ავტორისეული ხედვა მათი სრულყოფისათვის. გააჩვენებულია ისეთი მიმართულებები და რეფორმები, რომლებიც მკვეთრად შეცვლის და ხელს შეუწყობს სისტემის ნახტომისებურ განვითარებას.

ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შემდეგზე: მცირე და საშუალო ბიზნესის რაიმე სპეციფიკური და ექსკლუზიური შეღავათები ძირითადად უკუეფექტს იძლევა სისტემის ეფექტიანად განვითარების კუთხით, უმჯობესია შექმნას ეკონომიკის განვითარებისათვის მიმზიდველი/ეფექტური გარემო. (სტატიაში მითითებულია რეფორმების მიმართულებები აღნიშნული კუთხით) აღნიშნული გარემო თავის მხრივ ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

საკანდი სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, ეკონომიკური გარემო, ფინანსური გარემო, რეფორმები, ფინანსური რესურსები

THE ROLE OF SMES IN THE DEVELOPMENT OF ECONOMY AND ITS WAYS OF IMPROVEMENT

Giorgi Avaliani

RESUME

The article discusses one of the most important issues for the development of the country: the role of small and medium business in the development of economics and its ways of perfection. The article reviews the current situation in the country, the lowest and lowest in the development of the medium business, its advantages and disadvantages are estimated and the author's vision for their perfection is presented. The directions and reforms that have been significantly altered will contribute to a systematic development of the system.

The main focus is on the following: Some specific and exclusive benefits of small and medium business are mainly reverse in terms of efficient development of the system, it is best to create an attractive / efficient environment for the development of the economy. (The article refers to the directions of reforms in this respect). This environment will support development of SMEs.

ინსტიტუციური ბაზის სრულყოფა

საქართველოს, როგორც გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნის წინაშე დგას ამოცანა შექმნას მცირე საწარმოთა მხარდაჭერის ეფექტიანი ინსტიტუციური მექანიზმები. მოცემული სექტორის განვითარების პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაციაში ჩვენ ვგულისხმობთ:

- მთავრობის მიერ ბიზნესის განვითარებისადმი მხარდაჭერის კონკრეტული და თანამიმდევრული პოლიტიკის შემუშავება (რომელიც მოიცავს ასევე მცირე და საშუალო ბიზნესსაც), რომელიც, როგორც წესი უნდა წარმოადგენდეს მენარმეობის განვითარების საერთოეოვნული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს.

- მენარმეობის განვითარების ხელისშემშლელი მიზეზების დადგენისა და აღმოფხვრის კონკრეტული გეგმიური მიმართულების განსაზღვრა და კერძო მენარმეობის შექმნისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება. ისეთი პოლიტიკის ჩამოყალიბება რომელიც მიმართული იქნება ბიუროკრატიული წნეხის, მათ შორის საგადასახადო წნეხის შემსუბუქებასა და ბიუროკრატიული ბარიერების მაქსიმალურად შემცირებისაკენ.

- პასუხისმგებლობის და ფუნქციების გამიჯვნა სამთავრობო ორგანოებსა და რეგიონალურ სტრუქტურებს შორის ბიზნესის განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელების პროცესში.

ბიზნეს სექტორის აქტიური ჩართვა ბიზნესის განვითარების პოლიტიკის და ნორმატიული ბაზის შემუშავების პროცესში.

- მენარმეობის პირობების შეფასების მექანიზმების შექმნა და სამენარმეო პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიანობის მიმდინარე კონტროლის განხორციელება. საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა ეფექტიანობის შეფასების პროცესში.

მცირე მენარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის საკანონმდებლო რეგულირება

ამჟამად საქართველოში მცირე მენარმეობის განვითარების მარეგულირებელი სპეციალური ნორმატიული ბაზა არ არსებობს. „მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ კანონის გაუქმების (2006 წ) შემდეგ, აღნიშნული პროცესის სახელმწიფო რეგულირებამ შეიძინა უპირატესად ფორმალური, დეკლარირებული ხასიათი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, საკანონმდებლო დონეზე მცირე მენარმეობის იდენტიფიცირების სფეროში არსებული არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციისა და შეუსაბამობის შესახებ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია მიკრო და მცირე ბიზნესის ცნება. ამასთან, დაწესებულია შესაბამისი შეღავათები მათი განმარტორციელებელი ფიზიკური და მენარმე ფიზიკური პირების მიმართ. საყურადღებოა, რომ აღნიშნული შემოიფარგლება მხოლოდ ინდივიდუალური სამენარმეო საქმიანობით. მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭება მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს. ეს მაჩვენებელი მიკრო ბიზნესის მიმართ 30 000 ლარს შეადგენს.

სამენარმეო საკანონმდებლო სივრცეში მიკრო ბიზნესის ცნების შემოტანა, თავისთავად, უაღრესად სასარგებლო მოვლენას წარმოადგენს. რაც შეეხება მცირე ბიზნესის ცნებას, აქ საქმე გვაქვს სერიოზულ შეუსაბამობასთან.

საქართველოში 1999 წლიდან დღემდე შემოღებულია და სტატისტიკურ აღრიცხვას ექვემდებარება მცირე საწარმოთა კატეგორია (საშუალო საწარმოსთან ერთად). ამასთან ერთად, საქართველოს კანონით „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების მიხედვით განსაზღვრულია, რომ მცირე საწარმოს (და არა მცირე ბიზნესის) სტატუსი მიენიჭება „მენარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს (და არა მხოლოდ ინდივიდუალური მენარმე), რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 000 ლარს, ხოლო, დასაქმებულთა რაოდენობა - 20 კაცს. ამდენად, ეს შეუსაბამობა უნდა გასწორდეს.

მეორეს მხრივ, არსებითია საკითხი, თუ მოცემული სტატუსის ფარგლებში მცირე მენარმეობის სახელმწიფომხარდაჭერისა და სტიმულირებისთვის რა ტიპის სისტემა ხორციელდება. ამ მიმართულებით, გადასაწყვეტია რიგი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხები როგორც საერთოსახელმწიფოებრივ, ისე მიკრო დონეზე.

საქართველოში მცირე მენარმეობის განვითარების ინსტიტუციონალური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს შემდეგ პრინციპებსა და რეკომენდაციებს:

პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ზოგადად ეკონომიკის/ბიზნეს სექტორის განვითარებისაკენ. რაიმე ექსკლუზიური შეღავათების მინიჭება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ეს უკუეფექტს გამოიწვევს და უფრო დაასუსტებს ისედაც სუსტ სექტორს. მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ექსკლუზიური ხელშეწყობი რეჟიმები გამოიწვევს/გაზრდის რისკებს: გააჩნის ბიზნესის დანაწევრების სტიმულს (მაგ. თუ მაქვს საწარმო რომელსაც ბრუნვა 200 000 აქვს მიჩნდება სტიმული ეს ბრუნვა გადავანაწილო ორ კომპანიაზე, იმიტომ რომ 100 000-მდე ბრუნვა გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისგან და პირობითად აქვს ექსკლუზიური შეღავათები. ან თუ 5 ჰა-მდე მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისგან ჩნდება სტიმ-

ული სამ ნაწილად დავყო ჩემი 15 ჰექტარიანი მიწა რომელზეც ვენევი წარმოებას და ა.შ.). შეზღუდვას ჯანსაღ კონკურენციას და გაჩნდება უფრო ეფექტური/ყოჩაღი ბიზნესმენების დასჯის მექანიზმი (მე თუ ბევრი ვიპრობე და ჩემი დაუღალავი შრომით მივაღწიე იმას რომ მაქვს წარმატებული ბიზნესი, დიდი ბრუნვით უნდა ვიხადო გადასახადები მაშინ, როცა ჩემი კონკურენტები მათიწლიური ბრუნვის სიმცირის გამო არ იხდიან გადასახადებს) და ა.შ.. ქვეყანაში უნდა შექმნას ბიზნესის განვითარების მიმზიდველი, შეიძება ითქვას მსოფილოში საუკეთესო პირობები, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზეც. რაც გამოიხატება შემდეგში: ბიუროკრატიული ბარიერების (ადმინისტრირებისა და წარმოებისათვის საჭირო პროცედურების გამარტივება, რეგისტრაციის გამარტივება და ა.შ.), გადასახადების როგორც რაოდენობრივი ისე განკვეთების შემცირება (მათ შორის საბაჟო გადასახადების), სახელმწიფოს შენახვის ხარჯების შემცირება (სახელმწიფო შენახვის ხარჯი უკეთეს შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 7%-ს ხოლო უარეს შემთხვევაში 12-13%-ს), დეფიციტური ბიუჯეტის არ დაგეგმვა (ქვეყნის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 25%-ს წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის რომ ბიზნესს ყოველ გაკეთებული მე-4 ლარზე მეტს ვართმევთ რაც განვითარებადი ეკონომიკის ბიზნესისათვის დიდი წნეხია), ქვეყანაში, საკუთრების უფლების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სრულყოფა, სამენარმეო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა და დახვეწა და ა.შ.

- სამენარმეო საქმიანობის ხელშეწყობი პოლიტიკური გარემოს შექმნა, რაც მოითხოვს მაკროეკონომიკური პოლიტიკის, შესაბამისი მარეგულმენტირებელი კანონებისა და წესების სტაბილურობას, აგრეთვე, მემკვიდრეობითობასა და შეთანხმებულობას მოცემული სფეროს განვითარებაზე პასუხისმგებელ უწყებათა საქმიანობაში.

- უფლებამოსილების მინიჭება სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რათა თავიანთ მოთხოვნების შესაბამისად განახორციელონ წარმოების მხარდაჭერა.

- ეფექტიანი პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბება მცირე საწარმოებთან მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესწავლისა და დახმარების განწევის მიზნით.

ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტის შემდგომი გაძლიერება, მისი დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და მის საქმიანობაში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და დახმარების/დაცვის როლის ამაღლება. უნდა დარეგულირდეს და განისაზღვროს: **პირველ რიგში**, მოცემული სფეროს სუბიექტების სტატუსი (საქართველოს საგადასახადო კოდექსი სცნობს მიკრო და მცირე ბიზნესს, მაშინ, როდესაც საქართველოს კანონით ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ დადგენილია მცირე და საშუალო საწარმოს სტატუსი); **მეორე**, დაზუსტდეს

სანარმოთა კრიტერიუმები ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზირების კუთხით; **მესამე**, სახელმწიფო ხელშეწყობის მექანიზმები სანარმოთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების, ბიზნეს-ინკუბატორების, ტექნოპარკების, სალიზინგო კომპანიების და სხვ. მომსახურების ქსელის შექმნისა და ამ სფეროში კერძო სექტორის განვითარების უზრუნველსაყოფად.

მცირე ბიზნისის ფინანსური ხელშეწყობა

ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური რეფორმების პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ იმ ურთიერთობათა სისტემის, ინსტრუმენტებისა და ფინანსური მექანიზმების დამკვიდრება, რომლებიც უზრუნველყოფენ სანარმოების რეალურ ფინანსურ მომსახურებას. ამასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია საკრედიტო სისტემის და მენარმეთა ფინანსური მხარდაჭერის სისტემის ძირეული გარდაქმნა.

იმ მიზეზთა შორის, რომლებიც მცირე სანარმოებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდიან ფინანსურ რესურსებს, გამოიყოფა:

კრედიტის აუცილებელი უზრუნველყოფის უქონლობა; სასესხო პროცენტის მაღალი განაკვეთები; გრძელვადიანი კრედიტების დაბალი ხვედრითი წილი; გარანტიებისა და გირაოს უქონლობა; სპეციალისტების დეფიციტი როგორც სანარმოებში, ისე საფინანსო დაწესებულებებში; მცირე სანარმოების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის დაბალი დონე; ბიზნეს-გეგმების დაბალი ხარისხი; აუცილებელი საბაზრო პირობების არარსებობა; პროექტების დაბალი ეფექტიანობა.

შექმნილ სიტუაციაში ბანკები ცდილობენ შეამცირონ სარისკო კრედიტების მოცულობა და უზრუნველყონ საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობა. მათი ეს პოზიცია არ უნდა მივიჩნიოთ მცირე სანარმოებისათვის საკრედიტო რესურსების დეფიციტის ერთადერთ წყაროდ. აუცილებელია პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომა, რაც პირველ რიგში გულისხმობს დაფინანსება-დაკრედიტების ახალი პოლიტიკური პრინციპებისა და რეკომანდაციების შემუშავებას.

პირველ რიგში გასატარებელია პოლიტიკური ზომები ფინანსური მომსახურების სექტორის ჩამოყალიბებისა და საფინანსო წყაროების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. იგი გულისხმობს გრძელვადიანი ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის შექმნას, საბანკო სისტემის განმტკიცებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, კანონების აღსრულების ეფექტიან სისტემას, რათა გადაწყდეს გაკოტრების, რეგისტრაციის პროცედურის გამარტივების, სალიზინგო კანონმდებლობის შემოღების და სხვა პრობლემები. უნდა შეირჩეს სწორი პოლიტიკური მიდგომები ნორმატიულ-სამართლებრივი პირობების და დაკრედიტების მიზნობრივი პროგრამების ოპტიმალური შეხამების მიზნით.

აუცილებელია მოხდეს ფინანსური სფეროს შემდ-

გომი რეფორმა და სრულყოფა. სისტემა უნდა გახდეს ერთ ერთი ყველაზე უფრო მიმზიდველი, მასზე ოპერირება უნდა იყოს ძალიან მარტივი ზედმეტი პროცედურული ბარიერებისა და წნეხის გარეშე. უნდა მოხდეს რეფორმების გატარება რათა შემცირდეს რისკები საბანკო სფეროსთვის, ეს გამოიწვევს უფრო მეტი კაპიტალის მოზიდვის, მეტი ბანკის ბაზარზე შემოსვლის და შესაბამისად კონკურენციის გაზრდის სტიმულირებას, რაც შეამცირებს საპროცენტო განაკვეთს და უფრო მარტივს და იოლს გახდის ბიზნისის დაკრედიტებას. კერძოდ სახელმწიფოს რეფორმები უნდა იყოს მიმართული BBB-დან BB+B-მდე და შემდგომი რეიტინგის მოპოვებისაკენ (ეს კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის უცხოურ სავალუტო რესურსის ხელმისაწვდომობას). უნდა მოხდეს უცხო ქვეყნის ვალუტების (დოლარისა და ევროს) თავისუფლად დაშვება ქვეყანაში, ფულადი ოპერაციების განხორციელება თავისუფლად უნდა შეიძლებოდეს უცხოურ ვალუტაში (ეს მკვეთრად შეამცირებს ფინანსურ რისკებს და გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს), ეროვნულ ბანკს უნდა აეკრძალოს რეფინანსირების სესხების გაცემა (ბაზარზე უნდა დარჩეს მხოლოდ ის ბანკები რომელთაც თავისით შეუძლია დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიება. ასევე დარეფორმებული მიმზიდველი გარემოს რეკლამირება/პროპაგანდა და დამატებითი საერთაშორისო ბანკების შემოყვანაზე ზრუნვა ქვეყანაში და ა.შ. ეს რეფორმები კომპლექსურად ზემოთ ჩამოთვლილი რეფორმებთან ერთად გამოიწვევს ბიზნეს გარემოს მკვეთრ გაუმჯობესებას და ბიზნისის დაკრედიტების როგორც ხელმისაწვდომობას ასევე კრედიტის პროცენტის გაიფხვებას რაც შექმნის საჭირო სტიმულს ბიზნისის, მათ შორის მცირე და საშუალო მენარმოებისათვის ნახტომისებურად განვითარების სტიმულს.

მცირე ბიზნისის ფინანსური ხელშეწყობის სრულყოფის მნიშვნელოვანი პრობლემაა მისი ინფრასტრუქტურის ძირითადი კომპონენტების ჩამოყალიბება და განვითარება. ესენია: კრედიტუნარიანობა, სარისკო (ვენჩურული) კაპიტალი, ლიზინგი, ბანკის მუშაკთა მომზადება მცირე სანარმოებთან მუშაობის კუთხით, სანარმოთა მუშაკების სწავლება, კონსალტინგი და სხვა.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ბიზნისის დაკრედიტების დროს რისკის, და რაც დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია-საგარანტიო მოთხოვნის შემცირება შეუძლებელია საკრედიტო-საინფორმაციო მომსახურების დონის ამაღლების გარეშე. ამისათვის ყოველმხრივ უნდა ნაჯახალისოთ სანარმოთა კრედიტუნარიანობის შემსწავლელი და სხვა საკრედიტო ინფორმაციის მომწოდებელი სააგენტოების შექმნა და განვითარება.

სასარგებლო იქნება განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა ვენჩურული კაპიტალის ფონდების მუშაობის კუთხით და სასურველია, დავინყოთ მისი გამოყენება კორპორაციული აქციების მცირე მოცულობის ფონდების ჩამოყალიბებით.

ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი სალიზინგო ოპერაციების დანერგვას. აღსანიშნავია, რომ წარმოადგენს რა სასტარტო კაპიტალის, შეიძლება ითქვას, ერთადერთ წყაროს, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ბევრ ქვეყანაში ლიზინგმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მცირე ბიზნესის განვითარების საქმეში.

საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობა მოითხოვს მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა სათანადო სწავლებასა და კონსალტინგს შემდეგ ძირითად საკითხებზე: ბიზნეს-გეგმების მომზადება და მათი შეფასება; საწარმოთა ვალდებულებების შესრულება და სამართლებრივი რეგულირება (აუდიტის ჩატარების პრაქტიკა, კორპორაციული სამართალი და ა.შ); პროფესიული სწავლება კაპიტალის მოზიდვის რიგ პრაქტიკულ საკითხებზე.

უახლოეს მომავალში უნდა გადამწყვეტ მცირე საწარმოთა ფინანსური მხარდაჭერისათვის საგარანტიო ფონდის დაფუძნების საკითხი (მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის მონაწილეობით). იგი პასუხისმგებელი იქნება, ინდუსტრიულ ზონებში კრედიტებით ხელი შეუწყოს მცირე სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.

მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის საკრედიტო-ფინანსური მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, შეიქმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო. მცირე ბიზნესი უნდა მივიჩნიოთ ქვეყანაში საინვესტიციო აქტიურობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების მუდმივ ფაქტორად. სწორედ ბიზნესის საინვესტიციო მიმზიდველობის მეშვეობით უნდა შევძლოთ

მეურნეობის მოძველებული საწარმო-ტექნიკური ბაზის შეცვლა და ახლის ჩამოყალიბება, საინვესტიციო კვლავწარმოების ბაზაზე ეკონომიკის დაბალანსებული, დინამიური განვითარება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში სხვა ნეგატიურ ტენდენციებთან ერთად კვლავ გაგრძელდება შემოსავლების განაწილებაში დისპროპორციების გაღრმავების პროცესი, როდესაც დანაზოგები აკუმულირდება ბანკების, მონოპოლისტი საწარმოების, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ხელში. არახერსაყრელი საინვესტიციო გარემოს პირობებში ისინი სახსრებს აბანდებენ არა ეკონომიკის რეალურ სექტორში, არამედ ფასიან ქალაქებსა და უცხოურ აქტივებში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
2. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ
3. საქართველოს კანონი “ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“
4. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ
5. საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ
6. http://mof.ge/makroekonomikuri_machveneblebi
7. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>
8. <https://idfi.ge/ge/pagel/category/researches/economics-and-social-policy>
9. <https://rs.ge/>
10. <http://insurance.gov.ge/Useful-Information.aspx>
11. <https://matsne.gov.ge/>

IMPORTANCE OF PUBLIC EDUCATION IN ENERGY DEVELOPMENT

Davit Balavadze

SUMMARY

Energetics development is one of the key factors for Georgia's economic and social development. Currently Georgia's energetics sector is in development stage. In recent years there has happened a lot of important things in the energetics sector, a lot of hydroelectric station have been built, increased demand for electric power, improved and regulated relationship between consumers and energy companies and so on. Though, I think that Georgia's energetics needs state and public support. The article briefly discusses the importance of the public's energy education in energetics development.

საკვანძო სიტყვები: ენერგოეფექტურობა განათლების როლი ენერჯეტიკაში, ენერჯეტიკული უსაფრთხოება

keywords: Energy efficiency, The role of education in the energy sector, Energy security

ქირითადი ტექსტი

მნიშვნელოვანია ენერჯეტიკის განვითარებაში საზოგადოების შეგნებული მონაწილეობა და მათი ცნობიერების ამაღლება. ენერჯეტიკაზე და ენერჯეტიკულ პროდუქტზე სახელმწიფო მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. საქართველო ენერჯეტიკული რესურსით ღარიბი არ არის, ქვეყანას სჭირდება არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება. ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურ თუ ნებისმიერი განვითარებისთვის ან უსაფრთხოებისთვის, აუცილებელი პირობაა ენერგო დამოუკიდებლობა. მაგალითად ჩვენს შემთხვევაში ამდროისთვის შესაძლებელია გავხდეთ ელექტროენერჯით დამოუკიდებელი ქვეყანა, თუ შევეცდებით არსებული რესურსი ავითვისოთ მაქსიმალურად და გამოვიყენოთ ეფექტიანად, ამ ყველაფერს სჭირდება გათვითცნობიერება, გარკვევა, შესწავლა, სხვა განვითარებული ქვეყნებისგან მაგალითის აღება, ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება, ინვესტიციისთვის კარგი გარემოს შექმნა, საზოგადოების: მხარდაჭერა, მონაწილეობა, ჩართულობა დარგში მიმდინარე პროცესებში და სხვა.

ნეტო-აღრიცხვის სისტემა და მისი განვითარება ქვეყნისთვის დადებითად იმოქმედებს. ნებისმიერ მოქალაქეს ვინც დაინყებს მზის ან ქარის ენერჯით თავის ბინის მომარაგებს, ხოლო დარჩენილ ჭარბ ენ-

ერგიას ქსელში მიაწოდებს ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატს იქნება მოქალაქე, რომელსაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ენერგო განვითარებაში. მოქალაქისთვის სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული, ინდივიდუალურად გამოიმუშაოს ელექტრო ენერჯია მზის ენერჯით. რატომ უნდა ამას ყველა მოქალაქე ვერ შეძლებს, როგორც ფინანსური კუთხით ასევე მისი საცხოვრებელი სახლის გეოგრაფიული განლაგების გამო, თუმცა ხალხს რომლებსაც აქვს საშუალება ჩერთოს ამ პროგრამაში და თავიანთი საცხოვრებელისთვის ან სანარმოსთვის გამოიმუშაოს სუფთა ენერჯია და მის განვითარებას შეუწყოს ხელი, ქვეყნის განვითარებისათვის არის მნიშვნელოვანი.

ნეტო-აღრიცხვის და მზის ენერჯით ელექტრო ენერჯის გამოიმუშავების განვითარებისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, დარგის პოპულარიზაცია და საზოგადოების ენერჯეტიკული განათლების მნიშვნელობა.

როგორც ზემოთ ავლინებენ საქართველო ენერგო რესურსებით ღარიბი არ არის და საჭიროა არსებული რესურსების მაქსიმალურად ათვისება. მაგალითად, ხუდონჰესის აშენების იდეა 20-საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა, სამშენებლო სამუშაოებიც დაიწყო, თუმცა ეროვნული მოძრაობის, სტუდენტების პროტესტის და ადგილობრივ მცხოვრებთა ძალისხმევით პროექტი შეჩერდა. 2000-იან წლებში პროექტი ისევ აქტიუალური გახდა და გამოჩნდა ინვესტორი შპს „ტრანს-ელექტრიკა“ რომელთანაც საქართველოს მთავრობამ 2007 წელს გააფორმა სანყისი ურთიერთგაგების მემორანდუმი. 2011 წელს შპს „ტრანს-ელექტრიკმა“ მშენებლობის უფლება მოიპოვა, მაგრამ საზოგადოების აქტიურობის გამო მშენებლობა ჯერაც არ დაწყებულა. ენერჯეტიკოსებისა და ეკონომისტების უმრავლესობა ფიქრობს რომ „ხუდონჰესის“ აშენება აუცილებელია, ასევე ქვეყნის ყველა მთავრობა დადებითად ფიქრობდა ამ თემაზე. ძალიან მარტივად შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ საზოგადოებრივ აზრს დიდი ძალა აქვს.

აუცილებელია საზოგადოებამ გაათვითცნობიეროს ენერჯეტიკაში ენერგოეფექტურობის მნიშვნელობა. განმარტებისთვის ენერგოეფექტურობა ნიშნავს ნაკლები რაოდენობის ენერჯის გამოყენებას კონკრეტული სერვისისათვის. მაგალითად, ფლუროსცენტური ნათურა უფრო ენერგოეფექტურია ვიდრე ჩვეულებრივი ვარვარა ნათურა, რადგან იმავე რაოდენობის სინათლის მისაღებად ნაკლებ ელექტრო ენერჯიას მოიხმარს. მსგავსად ამისა, ენერგოეფექტური ლუმენი მოიხმარს ნაკლებ სანჯავს სახლის

გასათბობად, ვიდრე ჩვეულებრივი ღუმელი, გამოყოფილი სითბო კი ორივე შემთხვევაში ერთნაირია.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ენერჯიაზე მოთხოვნა ყოველწლიურად საშუალოდ 2%-ით იზრდება. ეს ზრდა ძირითადად ხდება განვითარებადი ქვეყნების, ჩინეთის და ინდოეთის ხარჯზე. თუმცა მომგებიან ინვერსტიციებს არსებულ ტექნოლოგიებში შეუძლია ამ ზრდის შემცირება 0.7 %-მდე რაც ნიშნავს 64 მლნ. ბარელი ნავთობის ეკვივალენტის დანაზოგს ყოველწლიურად. ენერგოდაზოგვის მიღწევა შესაძლებელია როგორც კომერციულ, ასევე საყოფაცხოვრებო და ტრანსპორტის სექტორში.

რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს ენერგოეფექტურობას? მაგალითად:

- ენერგოეფექტურობა გვეხმარება ფულის დაზოგვაში;
- შეაქვს წვლილი ეკონომიკის განვითარებაში;
- არის სასარგებლო გარემოსათვის;
- ხელს უწყობს ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას;
- აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს.

ამჟამად რას ფიქრობს საზოგადოება ენერგოეფექტურობაზე? ჩემს მიერ 2015 წელს სოციალური მედიით ჩატარებული გამოკითხვით, კითხვაზე არის თუ არა ენერჯიის დაზოგვა აუცილებელი, შემდეგია:

საჭიროა თუ არა ენერჯიის დაზოგვა?

ა) კი 153 (93.9%)

ბ) არა 10 (6.1%)

უმეტესობა ფიქრობს, რომ ენერჯიის დაზოგვა აუცილებელია, თუმცა პრაქტიკულად რამდენად ანხორციელებს სხვა საკითხია, ანუ ცდილობს თუ არა თითოეული მოქალაქე ვარვარა ნათურის ნაცვლად შეიძინოს, ფლუროსტენტური ნათურა, ან ჩვეულებრივი ღუმელის ნაცვლად, შეიძინოს ენერგოეფექტური ღუმელი. ენერჯიის დაზოგვისთვის თითოეული დეტალი მნიშვნელოვანია, მაგალითად: უმიზეზოდ დარჩენილი ოთახში ანთებული ნათურა, ჩართული მდგომარეობაში დატოვებული და უფუნქციოდ დარჩენილი კომპიუტერი, ტელევიზორი და სხვა. თითოეულმა ამ დეტალმა მოქალაქეების ფინანსებზე დიდი ზეგავლენა შესაძლოა არ მოახდინოს, მაგრამ თითოეულმა ჩვენთაგანმა რომ გავისაზროთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პატარა დეტალებსაც კი, არა მხოლოდ ჩვენს ფინანსებზე, არამედ ქვეყნის ენერგეტიკაზე, ეკონომიკაზე და გარემოს დაცვაზე მნიშვნელოვნად აისახება.

საზოგადოება ენერგეტიკული პოლიტიკის განხორციელების პროცესის პროფესიონალური ინ-

ფორმაციის აქტიურ „მომხმარებელს“ წარმოადგენს. საჭიროა თითოეული მოქალაქე ერკვეოდეს ენერგეტიკის განვითარების საკვანძო საკითხებში, ფლობდეს დარგის ეკონომიკას. მიზანშეწონილია საზოგადოება გათვითცნობიერებული იყოს ენერგეტიკის საფუძვლებში, მის ეკონომიკაში, იცოდეს რა რესურსებს ფლობს ენერგეტიკა, შეზღუდული რესურსების პირობებში როგორ მიიღწევა მათი რაციონალური გამოყენება, როგორ უნდა იმართებოდეს და რეგულირდებოდეს დარგი და დგინდებოდეს ტარიფი და ა.შ. მოქალაქეს უნდა შეეძლოს თავისუფლად ჩაერთოს ენერგეტიკის საკითხებზე გამართულ საუბრებში, თუნდაც საყოფაცხოვრებო კამათში და გამოთქვას თავისი აზრი.

ისეთი ადამიანი რომელმაც, არ იცის რომელი ორგანიზაცია ადგენს ტარიფს, რა მეთოდოლოგიით დგინდება ტარიფი, რომელზეა ტარიფი უფრო მეტი ჰქვამს თუ თესებზე, ყოფნის თუ არა საქართველოს საკუთარი წარმოების ელექტროენერჯია და ა.შ. ვერ ჩაერთვება თავისუფლად ენერგეტიკის საკითხებზე გამართულ საუბრებში და ვერც ობიექტური აზრის გამოხატვას შეძლებს.

საქართველო ენერგოდამოუკიდებელი ჯერ-ჯერობით არ არის, რადგან არ გააჩნია, სხვადასხვა სახის ენერჯიაშემცველები იმ რაოდენობით, რომ თავის-თავი დაიკმაყოფილოს მაგ: (გაზი და ნავთობი), თუმცა შესაძლებელია უახლოს მომავალში გახდეს ელექტროენერჯიით დამოუკიდებელი ქვეყანა, ამისათვის კი საჭიროა ათვისებული იქნეს ის ჰიდრორესურსები რომელიც ქვეყანას გააჩნია. დღევანდელი მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ხუდონჰესის (რომელიც საქართველოს ელ.ენერჯიით დამოუკიდებელს გახდის) აშენება გახდა პრობლემა. ერთ-ერთი ამის მიზეზი საზოგადოებრივი აზრია, რადგან ხალხი არ არის შესაბამისად ინფორმირებული და განათლებული, რომ შეძლონ აირჩიონ რომელი უფრო უკეთესია ქვეყნისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დემური ჩომახიძე “ენერგეტიკა და საზოგადოება” (ლექციების მოკლე კურსი) 2011წ.
2. “ენერგეტიკა და საზოგადოებრივი განათლება” — დავით ბალავაძე (სამაგისტრო ნაშრომი, ხელმძღვანელი დემური ჩომახიძე, 2015 წ.)
3. დემური ჩომახიძე “საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება” 2003წ.
4. <http://www.gnerc.org/>

ენერჯის ლაბორატორიის გამოყენების ანალიზი ქარის ელექტროსადგურებზე

დავით დათაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

АНАЛИЗ ИСПОЛЬЗОВАНИЯ НАКОПИТЕЛЕЙ ЭНЕРГИИ НА ВЕТРОВЫХ ЭЛЕКТРОСТАНЦИЯХ

დავით დათაშვილი
დოქტორანტი

РЕЗЮМЕ

Анализ использования накопителей энергии на ветровых электростанциях

В Грузии наченается освоение ветровой энергии, В Гори построена первая ветряная электростанция мощностью 20 мвт. Цель этого труда изучит как повлияет интеграция ветровой станции в Грузинскую электросеть на системные режимы. В конце статьи сделана соответствующая рекомендация.


ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში მოხდა ქარის ენერჯის გამოყენების სწრაფი ზრდა. 2015 წელს, მსოფლიოში ქარის სადგურების დადგმული სიმძლავრე შეადგენდა 432 000 მეგავატს. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა ნახშირორჟანგის გამოყოფა ატმოსფეროში. მეორე მხრივ ქარის სადგურების გაზრდილმა სიმძლავრემ შეუქმნა ელექტრულ სისტემებს საკმაოდ დიდი სირთულეები. ეს გამოწვეულია ორი ფაქტორით. [1]

1. ქარის გარკვეულ სიდიდეზე მეტად უეცარი გაძლიერების ან შესუსტების დროს ქარის სადგური ჩერდება. ეს ქმნის სისტემაში გარკვეულ დეფიციტს და კარნახობს სწრაფად მოქმედი სარეზერვო სიმძლავრეების აუცილებლობას.

2. როდესაც ქარის სიჩქარე სადგურისთვის მისაღებ ფარგლებშია, მაშინაც ეს სიჩქარე არ არის მუდმივი. მის ცვლილებასთან ერთად იცვლება სადგურის მიერ გენერირებული სიმძლავრე.

პროგრამა PSS/E-ს საშუალებით მოხდა ზამთრის მაქსიმალური და ზაფხულის მინიმალური რეჟიმების მოდელირება. მოდელირებულია გორში ქარის ელექტროსადგურის 20 მგვტ. სიმძლავრის დაკარგვაროგორც ნახ.1-ზე ვხედავთ 20 მეგავატი გენერაციის დაკარგვა არ იწვევს სიხშირის დიდ გადახრებს. მაგრამ ამ სადგურის სიმძლავრის გაზრდა 75-100 მეგავატამდე უკვე ქმნის პრობლემებს და იწვევს სიხშირის ავტომატური განმტვირთვების მოქმედებას.

განვიხილოთ ქარის სადგურის მეორე თავისებურება, ქარის სიჩქარის არასტაბილურობა. ქარის გენერატორის სიმძლავრის დამოკიდებულება ქარის სიჩქარეზე ნაჩვენებია ნახ.3-ზე. თუ ქარის სიჩქარე




ნახ.1


ქარე 14,5 მ/წმ-ზე მეტია, გენერატორის სიმძლავრე მუდმივია და ნომინალურის ტოლია. ქარის სიჩქარის 3მ/წმ - 14,5 მ/წმ ფარგლებში გენერატორის სიმძლავრე დამოკიდებულია ქარზე შემდეგნაირად

$$P = -0,001V^4 + 0,02798V^3 - 0,2469V^2 + 1,0776V - 1,62$$

სადაც სიმძლავრე მეგავატებშია, ქარის სიჩქარე კი მ/წმ.



ნახ.2



ნახ.3

2016 წლის 3 სექტემბერს ქარის სიჩქარე გორში, ნახ.3.


0 საათიდან 6 საათის ჩათვლით ქარის სიჩქარე მუდმივია, ის უდრის 5მ/წმ. ასევე 20 საათიდან ქარის

t	0	1.5	3	4.5	6	7.5	9	10.5	12	13.5	15	16.5	18	19.5	21	22.5	24
V	5	5	5	5	5	5.4	6	7	8	8.7	9	8.2	7	5.3	5	5	5

სიჩქარე მუდმივია და ისევე 5 მ/წმ უდრის. 6 დან 20 საათამდე ქარის სიჩქარე ცვლადია. ზემოთ მოყვანილ გრაფიკს შეესაბამება ზემოთმოყვანილი ცხრილი.


ამ ცხრილის საშუალებით ავაგეთ ქარის სიჩქარის გრაფიკის ცვლადი ნაწილი (მრუდი 1) და ვიპოვეთ მიღებული მრუდის ტრენდი, ნახ 4.

თუ ქარის სიჩქარე 14,5 მ/წმ ზე მეტია, გენერატორის სიმძლავრე მუდმივია და ნომინალურის ტოლია.



ნახ.4

ქარის სიჩქარის 3მ/წმ - 14,5 მ/წმ ფარგლებში გენერატორის სიმძლავრე დამოკიდებულია ქარის სიჩქარეზე. მიღებული გამოსახულების საფუძველზე შედგენილი იქნა პროგრამა, რომლის საშუალებით გავიანგარიშეთ ქარის გენერატორის სიმძლავრის ცვლილება დღე-ღამის განმავლობაში. ნახ.5. როგორც ვხედავთ ნახატიდან ქარის სადგურის გენერაცია 24 საათში განმავლობაში შეადგენს 115.2 მგვტ-სთ. ასეთი ცვლადი სიდიდის სიმძლავრის წყარო, დამოკიდებული ქარის სიჩქარეზე არ არის კარგი სისტემის რეჟიმების დისპეტჩერიზაციის თვალსაზრისით. უკეთესი ვარიანტი იქნება, თუ ქარის სადგური მიაწვდის სისტემას 24 საათის განმავლობაში მუდმივ სიმძლავრეს.



ნახ.5

ეს შესაძლებელია, თუ ქარის სადგურზე იქნება დადგმული ენერჯის დამაგროვებელი. დამაგროვებელი B არეებში გასცემს სიმძლავრეს სისტემაში, ხოლო A არეაში კი მოხდება ენერჯის დაგროვება მასში. ამ შემთხვევაში ქარის სადგურის დამაგროვებლის 4,8 მგვტ.სიმძლავრე მიენოდება სისტემას 24 საათის განმავლობაში. ბატარეის ტევადობა უნდა იყოს 28,8 მგვტ/სთ.

დასკვნა

ელექტრული სისტემის მდგრადი და საიმედო მუშაობისათვის მნიშვნელოვანია გამოიყენებული ენერჯის სტაბილურობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ პატარა ელ.სისტემებში როგორც საქართველოს ელ.სისტემა, რადგან ქარის ელექტროსადგურების გამოიყენებული ელექტრო ენერჯია დამოკიდებულია ქარის სიჩქარეზე, დღე-ღამის განმავლობაში გამოიყენებული ელ.ენერჯია იცვლება, ენერჯის დამაგროვებლის დაყენება ქარის ელექტროსადგურებზე ხსნის ამ პრობლემას და ასევე ელ.სისტემაში შედარებით მცირე სწრაფად მომქმედი სარეზერვო სიმძლავრეების არსებობას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. Gipe P. - Wind Energy for the Rest of Us, Wiley 2016
2. Musgrove P. – Wind power, Cambridge, 2010
3. Gasch R. – Wind power plants, Springer, 2008

საქართველოს ბიზნეს საქმორში არსებული ტენდენციები და უცხოური ინვესტიციების რეგულირების პრობლემები

დავით მახვილაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მესამე კურსის დოქტორანტი

რეზიუმე

საინვესტიციო საქმიანობას და ბიზნესს მჭიდრო ურთიერთკავშირი და საერთო დამახასიათებელი ბუნება აქვთ. უცხოური ინვესტიციების რეგულირება, ისევე როგორც ბიზნესის რეგულირება, ერთი მხრივ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურ და ზომიერ დანაწესებს იქ, სადაც აუციელებელია ეროვნული ეკონომიკის გონივრული ინტერესის დაცვა და მეორე მხრივ, - ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო გარე ფაქტორების გაუმჯობესებას.

საქართველოს ბიზნეს სექტორში არსებული ტენდენციებისა და უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ ყურადღება მეტად უნდა გამახვილდეს საინვესტიციო გარემოს განმაპირობებელი და წამყვანი, პოტენციური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი ფაქტორის - სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო პროცესების რეგულირების ეფექტური მოდელის შეთავაზებაზე.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს სექტორში არსებული ტენდენციები, ერთიანი სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა, ეროვნული ეკონომიკის გონივრული ინტერესი, ინვესტიციების მხარდაჭერი ფაქტორები.

TRENDS IN THE BUSINESS SECTOR OF GEORGIA AND THE PROBLEMS OF FOREIGN INVESTMENT REGULATION

Davit Makhviladze

RESUME

Investment activities and business have a close relationship and a common characteristic nature. Regulation of foreign investment, idem quod, business Regulation, requires minimal and moderate measures from the Government, where it is necessary to protect the sensitive interests of the national economy, also - to improve the external factors necessary for business development.

Trends in the business sector of Georgia and the results of analysis of statistical data in foreign investment show, that attention should be paid to the attractive environment of investment for investors - to create an effective model of regulation of investment process by the state.

Key words: Trends in Business Sector, United State Investment Policy, Reasonable Interest of National Economy, Investing Support Factors, An Effective Model of Investment Processes.

პირითადი ტექსტი

უცხოური ინვესტიცია ნებისმიერ შემთხვევაში განიხილება ბიზნეს აქტივობად, რა მიზანიც არ უნდა ამოძრავებდეს ინვესტორს. შესაბამისად, საინვესტიციო საქმიანობას და ბიზნესს მჭიდრო ურთიერთკავშირი და საერთო დამახასიათებელი ბუნება აქვთ. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბიზნესი გაცილებით პროდუქტიული და წარმატებულია იქ, სადაც თავისუფლების ხარისხი მაღალია, ხოლო რეგულაციები და შეზღუდვები ზომიერად ლიბერალური. ასევე, მნიშვნელოვანი ინდიკატორებია ის ფაქტორები, რომლის კვალობაზეც მიიჩნევა კონკრეტული გარემო ბიზნესისათვის ხელსაყრელად, ან პირიქით.

ბიზნესის რეგულირება, ცალკე აღებული, არ შეიძლება განიხილებოდეს პოზიტიურ ან ნეგატიურ ფაქტორად. ისევე, როგორც სიტყვა „რეგულირება“ დაუშვებელია გამოიხატებოდეს მხოლოდ მოქმედებაში და რაიმე ხელოვნურ ზეგავლენაში, ვისგანაც არ უნდა ხორციელდებოდეს და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს ის. პირიქით, სიტყვა „რეგულირებაში“, მოცემულ შემთხვევაში, თავისუფლად შეიძლება მოვიხაროთ თავისუფლების ხარისხის გაზრდა, შემზღუდავი ჩარჩოების გაუქმება იქ, სადაც ეროვნული ეკონომიკის გონივრული ინტერესი არ ზიანდება, ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო გარე ფაქტორების გაუმჯობესება, ამ პროცესში სახელმწიფო აპარატის ზომიერი როლის სწორი განსაზღვრა და ა.შ.. სწორედ ეს დამოკიდებულება განაპირობებს საბოლოო ჯამში პოზიტიურ ან ნეგატიურ შედეგს.

უცხოური ინვესტიციების რეგულირება, ისევე როგორც ბიზნესის რეგულირება, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ერთი მხრივ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურ და ზომიერ დანაწესებს იქ, სადაც აუციელებელია ეროვნული ეკონომიკის გონივრული ინტერესის დაცვა და მეორე მხრივ, - ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო გარე ფაქტორების გაუმჯობესებას.

მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების (Doing Business) 2016 წლის რეიტინგში საქართველომ 24-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე გადაინაცვლა, 190 ქვეყანას შორის. აღსანიშნავია, რომ ბიზნესის კეთების რეიტინგს 12 წელია აქვეყნებს მსოფლიო ბანკი და ამ ხნის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა.

მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების (Doing Business) 2016 წლის რეიტინგი							
	ქვეყნები	ბიზნესის კეთების სიმარტივე	ბიზნესის დაწყება	საკუთრების რეგისტრაცია	კრედიტის მიღება	სახელმწიფო გადასახადები	ვაჭრობის საზღვრები
1	ახალი ზელანდია	1	1	1	1	11	55
2	სინგაპური	2	6	19	20	8	41
3	დანია	3	24	12	32	7	1
4	ჰონგ-კონგი	4	3	61	20	3	42
5	კორეა	5	11	39	44	23	32
6	ნორვეგია	6	21	14	75	26	22
7	დიდი ბრიტანეთი	7	16	47	20	10	28
8	აშშ	8	51	36	2	36	35
9	შვეცია	9	15	10	75	28	18
10	მაკედონია	10	4	48	16	9	27
11	ტაივანი	11	19	17	62	30	68
12	ესტონეთი	12	14	6	32	21	17
13	ფინეთი	13	28	20	44	13	33
14	ლატვია	14	22	23	7	15	25
15	ავსტრალია	15	7	45	5	25	91
16	საქართველო	16	8	3	7	22	54



წყარო: <http://www.doingbusiness.org/rankings>

ხსენებული პროგრესი, რომელიც დაფიქსირებულია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგში, რა თქმა უნდა გამომდინარეობს კონკრეტული ინდიკატორებიდან. მოცემულ ცხრილში დაფიქსირებულია, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორები, რომლებიც ცხადყოფს საქართველოს ამ პოზიციაზე ყოფნის განმარტებულ ფაქტორს. აქვე, თვალსაჩინოა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს „სავაჭროს სივრცის“ გაფართოებასა და ახალი გასაღების ბაზრების ძიებას.

საინტერესოა, თუ როგორია ბიზნეს სექტორის განვითარების მაჩვენებლები საქართველოში, რადგან უდავოა, რომ „ბიზნესის კეთების რეიტინგის“ მონაცემები, საკმაოდ მიმზიდველს ხდის ქვეყანას.

ამ ყველაფერს ემატება ის ობიექტური ფაქტობრივი გარემოება, რომ საქართველოში პრაქტიკულად აუთვისებელია ბიზნესისათვის საინტერესო მრავალი მიმართულება და გაცილებით ადვილია კონკრეტულ სექტორში, შედარებით ნაკლები ფინანსური დანახარჯებით, ძირითადი ბიზნეს მოთამაშის სტატუსის მოპოვება, სუსტი კონკურენციის გამო. ამ მხრივ, ბოლო წლებში, საინტერესო ტენდენცია აღინიშნება საქართველოში მოქმედ ბიზნეს სექტორში.

წინამდებარე დიაგრამით, ნათლად ჩანს, რომ ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება. განსაკუთრებული პროგრესი 2009 წლიდან იწყება და მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში, მაჩვენებელმა განიცადა 280.8%-იანი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

ზრდა. ასევე პროგრესია ბიზნეს სექტორის მიერ პროდუქციის გამოშვების მონაცემებში.

ამ მხრივ, ვფიქრობთ, საინტერესოა სს „საპარტი-ნიორი ფონდისა“ და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მომზადებული „დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილებით დამტკიცდა. ეს პროგრამა მოიცავს „ტექნიკური დახმარების კომპონენტს“ და „დაფინანსების კომპონენტს“. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროგრამა უზიდავს პოტენციურ ბენეფიციარებს წამოიწყონ „მაღალტექნოლოგიური“ და/ან „ინოვაციური“ ბიზნესიდეების განხორციელება. ამ პროგრამის საერთო ბიუჯეტი არ არის დიდი მოცულობის და გამოყოფილი თანხის მაქსიმუმი შეადგენს 10 მლნ. ლარს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი პროექტების განხორციელება და საწყის ეტაპზე ბიზნესის მხარდაჭერა, ერთმნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს დადებით ტენდენციად.

ყველა ზემოთხსენებული სტატისტიკური მონაცემი ჯდება ლოგიკურ ჩარჩოში და ურთიერთდამოკიდებულების მაღალი ხარისხი აქვთ. თუმცა საინტერესოა, რამდენად თავსებადია ეს მონაცემები, საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლებთან მიმართებაში.

ბოლო ათწლეულის საქართველოში განხორციელდა არაერთი რეფორმა, რომელიც პირდაპირ და ირიბად უკავშირდება საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას და წესით, შედარებით მიმზიდველ ქვეყანას ხდის პოტენციური ინვესტორისთვის. რეფორმები გატარდა საკანონმდებლო, სამართალდამცავი სტრუქტურების, სასამართლო სამართალწარმოების, განათლების, ჯანდაცვის მიმართულებებით. განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, რადიკალურად შეიცვალა ზოგადად კრიმინალის და

მათ შორის კორუფციის მაჩვენებელი, გაუმჯობესდა შესაძლებლობები საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, 2007 წელში არსებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადების მაჩვენებლები, ჯერ კიდევ რჩება საუკეთესოდ. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებლები გაუარესდა და მათი ნიშნულები არ შეიძლება შეფასდეს სამიზნე შედეგის მიღწევად.


საინტერესოდ გამოიყურება ის მიმართულებები, რომლითაც დაინტერესებულნი არიან ინვესტორები საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებით. 2016 წლის მე-3 კვარტალში, საქართველოში განხორციელებულმა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 463.3 მილიონი აშშ დოლარი. აქედან, ინვესტორთა დაინტერესების კუთხით პირველ სამეულში ლიდერობს „ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის“, „მშენებლობისა“ და „დამამუშავებელი მრეწველობის“ სექტორები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge


აღნიშნული სტატისტიკური მონაცემი ნათლად მიუთითებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებული სუბიექტების ინტერესის სფეროებს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ კაპიტალდაბანდების მეტნაკლებად მცირე მოცულობას, უდავოა, რომ სხვა სექტორში ერთმა მასშტაბურმა კაპიტალდაბანდებამ შესაძლებელია რადიკალურად შეცვალოს არსებული სურათი, რაც დასტურდება უკვე მომდევნო წლის პირველი კვარტლის მონაცემით.

აქვე უნდა აღინიშნოს უცხოური პირდაპირი ინ-

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2016 წლის III კვარტალში (%)



უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2017 წლის I კვარტალში (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

ვესტიციების განმახორციელებელ სუბიექტთა დაინტერესება საქართველოს რეგიონების მიხედვით. ეს მონაცემი მნიშვნელოვანია, რადგან პირდაპირ იძლევა ინფორმაციას და ანალიზის საშუალებას, თუ რომელი რეგიონია მეტად მიმზიდველი ინვესტორისთვის და სახელმწიფოს მხრიდან, სად არის საჭირო მეტად გააქტიურება ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)

რეგიონი	2016*
სულ	1 645 368,6
თბილისი	1 275 857,0
აჭარა	160 976,9
კახეთი	962,2
სამცხე-ჯავახეთი	50 180,6
ქვემო ქართლი	77 478,5
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	52 614,5
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	26 584,1
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	714,7

აღნიშნული ინფორმაცია ნათლად გვიჩვენებს, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების აკუმულირების ძირითადი ადგილი არის თბილისი. დედაქალაქში განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა მთლიანად ქვეყანაში განხორციელებული უპი-ების 77.6%. სიდიდით შემდეგი რეგიონი, უცხოურ ინვესტიციათა მიღების თვალსაზრისით არის აჭარა 9.8 %-ით, ხოლო, 12.6 პროცენტი ნაწილდება დარჩენილ საქართველოს 6 რეგიონზე. ამასთან, თუ გავით-

ვალისწინებთ თბილისში არსებულ ვითარებას და იმ გარემოებას რომ უცხოურ ინვესტიციათა საერთო მოცულობის 69% მოდის „ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის“ და „მშენებლობა/უძრავი ქონების“ სექტორში, შეგვიძლია საფუძვლიანი ეჭვი შევიტანოთ განხორციელებულ ინვესტიციათა დიდი ნაწილის სარგებლიანობაში.

ზემოაღნიშნული მონაცემი არ შეიძლება შეფასდეს დადებითად, მითუფრო, როდესაც უცხოურ ინვესტიციათა ჯამური მოცულობა არ არის მასშტაბური. ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ უცხოური ინვესტიციების ეფექტურ რეგულირებაზე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ, მის ხელთ არსებული მექანიზმები გამოიყენოს იმ მიზნით, რომ დაიცვას ეროვნული ეკონომიკის ინტერესები და ამასთანავე, მისცეს უცხოელ ინვესტორს გამართლებული კაპიტალდაბანდების განხორციელების შესაძლებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლ. საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.
2. „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონი.
3. „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონი.
4. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილება.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი www.geostat.ge
6. <http://www.doingbusiness.org/rankings>

ჯანმრთელობის დაცვის სფერო, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა

ვერა ბარკალაია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემის კვლევა და პროექტირება (დამუშავება) ხორციელდება სხვადასხვა თეორიებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს სისტემათა თეორია და ლოჯისტიკა, როგორც მეცნიერება ეკონომიკური ნაკადების ოპტიმალური მართვის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: სისტემური მიდგომა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ჯანდაცვა, სადაზვევო, ლოჯისტიკა, სამედიცინო მიმსახურება.

HEALTH CARE AS A SOCIAL-ECONOMIC SYSTEM

Vera Barkalaia
PhD student of GTU

SUMMARY

Research and designing of health management systems is carried out on the basis of various theories and methodological approaches, one of which is a theory of systems and logistics, as the science of optimal management of economic flows.

Key words: system approach, social-economic system, healthcare, insurance, logistics, medical service

* * * *

სისტემური მიდგომა — ეს არის მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგიის და სოციალური პროექტის მიმართულება, რომლის საფუძველში დევს ობიექტების, როგორც სისტემების კვლევა.

დიდი სისტემების პროექტირებას ჩვეულებრივ ყოფენ ორ სტადიად: მაკროპროექტირება (გარე პროექტირება), რომლის პროცესის დროს წყდება სისტემის ფუნქციონალურ-სტრუქტურული საკითხები მთლიანობაში და მიკროპროექტირება (შიგა პროექტირება), რომელიც დაკავშირებულია სისტემის ელემენტების დამუშავებასთან. შიგა პროექტირება სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მიმართებაში ხორციელდება მხოლოდ ორგანიზაციების, როგორც მართვის ყველაზე დაბალი დონის მიმართ, რომელიც ფლობს განუყოფელ მთლიანობას.

ჯანდაცვის სფეროს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის უმარტივესი და განუყოფელი ელემენტების სახით, მოცემული კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, გამოდიან ჯანდაცვის სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებები, ასევე კერძო ორგანიზაციები, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვას უწევენ ფასიან მომსახურებას.


ამჟამად, დიდ ყურადღებას იძენს მართვის აგება ეკონომიკური სისტემებით ლოჯისტიკური მიდგომის საფუძველზე, რადგანაც როგორც ნებისმიერი სისტემებისათვის, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურისთვისაც, დამახასიათებელია გაურკვეველობა მენეჯმენტის სფეროში, რომელიც საგრძნობლად კლებულობს მართვის ინტეგრირებული სისტემის წარმოშობისას.

ჯანდაცვის სფერო, როგორც სოციალური, სამომხმარებო და ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურის სისტემა, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომლის სუბიექტებსაც აქვთ ეკონომიკური ნაკადების ოპტიმიზაციის საერთო მიზნები მინიმალური ხარჯვით და დანახარჯებით.

ლოჯისტიკისა და სისტემების თეორიაში განიხილება ისეთი ცნებები, როგორიცაა სისტემის ქვესისტემა და სტრუქტურა. ითვლება, რომ სისტემის ქვესისტემად დაყოფის შესაძლებლობა დაკავშირებულია ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობის გამოწვევებით, რომლებსაც უნარი აქვთ შეასრულონ შედარებით დამოუკიდებელი ფუნქციები, ქვემიზნები, რომლებიც მიმართულია სისტემის საერთო მიზნის მისაღწევად. სახელწოდებით „ქვესისტემა“. ხაზი ესმევა იმას, რომ ასეთ ნაწილს უნდა ჰქონდეს სისტემის თვისებები (სახელდობრ მთლიანობის თვისება). ამით ქვესისტემა განსხვავდება ელემენტების უბრალო ჯგუფისაგან, რომლისთვისაც არ არის ფორმულირებული ქვემიზანი და არ სრულდება მთლიანობის თვისებები (ასეთი ჯგუფებისათვის გამოიყენება სახელწოდება „კომპონენტები“).

სტრუქტურა ასახავს შედარებით მაღალ არსობრივ ურთიერთდამოკიდებულებას ელემენტებსა და მის ჯგუფებს შორის (კომპონენტებს შორის, ქვესისტემებს შორის). თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს, ჯანდაცვის მაკროლოგიური სისტემის ძირითადი ელემენტები (სუბიექტები), რომლებიც ფორმირებას უკეთებენ სასაქონლო-მატერიალურ და მომსახურების ნაკადებს, შეიძლება წარმოადგენილი იქნენ შემდეგ მოდულში (იხ. ნახ. 1).

ჯანდაცვის სფეროს მაკროლოგისტიკურ სისტემაში შეიძლება გამოვყოთ ქვესისტემები, თუ გამოვიყენებთ სხვადასხვა საკვალიფიკაციო ნიშნებს. ეს ქვესისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან



ნახ.1. 1, 2, 3, 4, 5 — მინიშნებულია სასაქონლო-მატერიალური ნაკადები; 6, 7 — სამომხმარებლო ნაკადები.

მთლიანობის თვისების გამოვლენის ხარისხით.

ჯანმრთელობის დაცვის მიკროლოგისტიკური სისტემის ძირითადი ქვესისტემები და მათი იდენტიფიკაციის ნიშნები:

1. საკუთრების ფორმის მიხედვით შეიძლება გამოვყოს ჯანდაცვის სახელმწიფოებრივი, მუნიციპალური, კერძო და კერძო-სახელმწიფოებრივი საკუთრების ქვესისტემები. საკუთრების უკანასკნელი ფორმა ძირითადად გამოიყენება საზღვარგარეთის ქვეყნების ჯანდაცვის სისტემაში. მაგალითად, კერძო-სახელმწიფოებრივი პარტნიორობა, შემოღებული კანადის პროვინცია კვებეკში, გულისხმობს, რომ თუ სახელმწიფო საავადმყოფოს შეუძლია მისცეს საჭირო მომსახურება მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ, მაშინ პაციენტი, რომელსაც უნდა მიიღოს დროული დახმარება, შეუძლია მიმართოს კერძო სამედიცინო დანესებულებას, რომლის მომსახურებაც გადაიხდის რეგიონალური მთავრობა.

2. ჯანდაცვის სფეროს მომსახურების კვლავწარმოების მეთოდით - საბაზრო და ბაზრისგარე ქვესისტემები. პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს სასაქონლო გაცვლას, მეორე შემთხვევაში - პირდაპირ გაცვლას. მთავრობის დადგენილებაში, რომელიც შეეხება საქართველოს მოქალაქეების უფასო მომსახურებას, პირდაპირ არის მითითებული, რომ მოცემული პროგრამის ჩარჩოებში უფასოდ მომსახურების უფლება ეძლევა;

- პირველად სამედიცინო-სანიტარულ დახმარებას;
- გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარებას.

3. ჯანდაცვის სისტემის მართვის დონის მიხედვით - რეგიონალური და ადგილობრივი ქვესისტემები. კანონმდებლობის საფუძვლებში დადგენილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია. სახელდობრ, სახელმ-

წიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებაში შედის:

- იმ კანონების მიღება და შეცვლა, რომლებიც შეეხება მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვას და მათ შესრულებაზე კონტროლს;

- ადამიანის უფლებების და თავისუფლების რეგულირება და დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში;

- სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლის დამყარება მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, სახელმწიფო პროგრამის დამუშავება და რეალიზაცია, რომელიც ეხება ჯანდაცვის განვითარებას, ავადმყოფობის პროფილაქტიკას, სამედიცინო დახმარების განვითარებას, მოსახლეობის სამედიცინო განათლებას და სხვა საკითხებს მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში;

- სახელმწიფო საკუთრების მართვა, რომელიც გამოყენებულია მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში;

- ბუნებით სარგებლობა, გარემოს დაცვა, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

- სახელმწიფოს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური იზიდამხედველობის ორგანიზება და უზრუნველყოფა, აღნიშნულ სფეროში ნორმატიული საკანონმდებლო აქტების დამუშავება და დამტკიცება;

- სამედიცინო დახმარების სტანდარტების დადგენა და კონტროლი მათ შესრულებაზე; დამუშავება და დამტკიცება პროგრამისა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო გარანტიებს საქართველოს მოქალაქეებისადმი სამედიცინო დახმარების განვითარების შესახებ. ის მოიცავს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის საბაზო პროგრამას; საქართველოს მოქალაქეების სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სადაზღვევო გადასახადების ტარიფის დადგენა;

- სახელმწიფო ხელისუფლების, მეურნეობის გაძლიერების სუბიექტების, სახელმწიფო სუბიექტების, მუნიციპალური და ჯანდაცვის კერძო სისტემის მოლ-

ვანეობის კოორდინაცია მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში; ოჯახის, დედათა, მამათა და ბავშვთა დაცვა;

საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებებს მიეკუთვნება:

- საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტების მიღება, კონტროლი მათ დაცვაზე და შესრულებაზე, საკანონმდებლო ინიციატივა მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში;

- დამუშავება და რეალიზაცია იმ პროგრამებისა, რომლებიც მოიცავენ ჯანდაცვის, ავადმყოფობების პროფილაქტიკის, სამედიცინო დახმარების განვების, მოსახლეობის სამედიცინო განათლების და მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა საკითხების განვითარებას;

- ჯანდაცვის სუბიექტების სახელმწიფო სისტემის მართვის ორგანოების სტრუქტურების დადგენა, მათი ორგანიზაციის და მოღვაწეობის წესები; საქართველოს სუბიექტების ჯანდაცვის დაწესებულებების განვითარება; მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

- საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სამედიცინოდახმარების განვების სახელმწიფო გარანტიების ტერიტორიალური პროგრამების დამუშავება და დამტკიცება, რომელიც მოიცავს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ტერიტორიულ პროგრამებს; მოსახლეობის ცალკეული ჯგუფებისათვის სამედიცინო-სოციალური დახმარებისა და წამლებით უზრუნველყოფის სოციალური მხარდაჭერის ზომების გატარების წესის და მოცულობის დადგენა;

4. ჯანდაცვის სისტემის ინფრასტრუქტურის სახეობით. ინფრასტრუქტურული სისტემების უმრავლესობის ფუნქციონირება წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკულად მოღვაწეობის ყველა ძირითადი ასპექტის განხორციელებას (სანარმოო, ფინანსური, შესყიდვითი, გამანაწილებელი, სატრანსპორტო, მომსახურების, საინფორმაციო და სხვა).

ინფრასტრუქტურული სისტემის იდენტიფიკაცია გულისხმობს ინფრასტრუქტურის საზღვრების განსაზღვრას, როგორც ობიექტს ანალიზისა მაკროსისტემის ადაპტური სახით, გარე და შიგა კავშირებით; გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ერთობლიობის ინფრასტრუქტურული სისტემის ფუნქციონირებაზე გავლენის ხარისხისა და ხასიათის დადგენა; მისი შემადგენელი ქვესისტემებისა და ინსტიტუტების ტიპოლოგიის და კლასიფიკაციის ჩატარება; ინფრასტრუქტურის ინსტიტუციონალური შემადგენლობის განსაზღვრა.

ინფრასტრუქტურულ სისტემებში შეიძლება გამოვყოთ წარმოებითი ინფრასტრუქტურის სისტემები (დამზადება, გასაღება, სატვირთო ტრანსპორტი, სანარმოო სფეროს კავშირი და ა.შ.), სოციალური ინფრასტრუქტურის სისტემები (ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება; საცხოვრებელ-კომუნალური მეურნეობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება,

ფიზკულტურა, ხელოვნება, სამოქალაქო ტრანსპორტი, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, კულტურა და ა.შ.), ინსტიტუციონალური და საქმიანი ინფრასტრუქტურის სისტემები (მართვა, საზოგადოებრივი და პარტიული ორგანოები, ბანკები და სადაზღვევო ორგანიზაციები, საინვესტიციო და საპაიე ფონდები, მეცნიერება და სამეცნიერო მომსახურება და ა.შ.).

ამრიგად, ჯანდაცვის სისტემა, რომელიც მთლიანობაში წარმოადგენს სოციალური ინფრასტრუქტურის ლოგისტიკურ სისტემას, შეიძლება წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ სოციალური, არამედ როგორც სანარმოო, ინსტიტუციონალური და საქმიანი ქვესისტემა.

5. ფინანსების წყაროების მიხედვით - საბიუჯეტო, სავალდებულო სადაზღვევო, ნებაყოფლობითი სადაზღვევო, ფასიანი ქვესისტემები. საქართველოს კანონმდებლობით, სამედიცინო დახმარება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხორციელდება აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის ხარჯზე და ყველა დონის ბიუჯეტის ხარჯზე.

აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის საშუალებების ხარჯზე, აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის საბაზო პროგრამის შესაბამისად, ეძლევა პირველადი მედიკო-სანიტარული, გადაუდებელი და სპეციალიზირებული სამედიცინო დახმარება.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ეძლევათ:

სოციალიზირებული სამედიცინო დახმარება, ეწევა სამედიცინოდაწესებულებებს, რომელთა ჩამონათვალი მტკიცდება ქვეყნის მთავრობით;

მაღალტექნოლოგიური სამეცნიერო დახმარება, ეწევა სპეციალურ სამედიცინო ორგანიზაციებს სახელმწიფო დავალებების შესაბამისად და წესით, რომელიც განსაზღვრულია ქვეყნის მთავრობით;

სამედიცინო დახმარება, რომელიც ეძლევა კანონით მოქალაქეთა სპეციალურ კატეგორიას, სახელმწიფო დავალებების შესაბამისად და წესით, რომელიც განსაზღვრულია ქვეყნის მთავრობით და ა.შ.

საქართველოს სუბიექტის საბიუჯეტო საშუალებების ხარჯზე ეძლევათ:

- სპეციალიზირებული (სანიტარულ-საავიაციო) სასწრაფო სამედიცინო დახმარება;

- სპეციალიზირებული სამედიცინო დახმარება;

ადგილობრივი საბიუჯეტო საშუალებების ხარჯზე (მუნიციპალური წარმონაქმნების გარდა) ეძლევათ:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარება (სპეციალიზირებული სანიტარულ-საავიაციო დახმარების გარდა);

- პირველადი სამედიცინო-სანიტარული დახმარება;

- გადაუდებელი სამედიცინო დახმარება;

- სამედიცინო დახმარება, რომელიც ეწევათ ქალებს ორსულობის პერიოდში, მშობიარობის დროს და შემდეგ, ასევე ბავშვებს ცალკეულ მდგომარეობებში, რომლებიც მათ წარმოექმნებათ პერინატალურ პერიოდში.

ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის ფონდები წარმოიშვენიან საწარმოებისა და ორგანიზაციების სადაზღვევო შენატანების ხარჯზე, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების და ცალკეული მოქალაქეების სადაზღვევო შენატანების ხარჯზე.

კოლექტიური დაზღვევის დროს დაზღვეველის სახით გამოდიან საწარმოები, ორგანიზაციები და დანესებულებები, რომლებიც დებენ ხელშეკრულებას სადაზღვევო ორგანიზაციებთან თავისი მუშაკების ან სხვა ფიზიკური პირების დაზღვევის მიზნით. ინდივიდუალური დაზღვევის დროს დაზღვეველის სახით გამოდიან მოქალაქეები, რომლებიც აფორმებენ ხელშეკრულებას სადაზღვევო ორგანიზაციასთან თავისი ან სხვა პირის დაზღვევის მიზნით საკუთარი საშუალებების ხარჯზე. სამედიცინო მომსახურების განევის პროგრამის მოცულობა, სამედიცინო დახმარების მიღების პირობების არჩევის შესაძლებლობა და ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის სხვა პირობები რეგლამენტირდება ხელშეკრულებაში (სადაზღვევო პოლისი).

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სადაზღვევო კომპანიებმა უნდა ახორციელონ შუამავლის ფუნქციები ერთის მხრივ და მოქალაქეებს შორის, რომელთაც ესაჭიროებად სადაზღვევო დახმარება და მეორეს მხრივ სამედიცინო დანესებულებებს შორის. ითვლება, რომ დამოკიდებულებათა სისტემას ავადმყოფი - სადაზღვევო ფირმა - სამედიცინო დანესებულება - ექიმი, უნარი აქვს უფრო მეტად საიმედოდ დაიცვას არა მარტო ავადმყოფების ინტერესები, არამედ სამედიცინო დანესებულების შემოსავლებიც. ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს სადაზღვევო რისკი, რომელიც დაკავშირებულია დანახარჯებთან სამედიცინო დახმარების განევისას სადაზღვევო შემთხვევის წარმოშობის დროს. სადაზღვევო თანხის ზომა განისაზღვრება საშუალო დღიური ღირებულებიდან და დაზღვეულის მკურნალობის ხანგრძლიობიდან გამომდინარე. ავადმყოფობასთან ან უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაკარგვის შემთხვევაში, სადაზღვევო ორგანიზაცია იხდის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანესებულებების ანგარიშებს, დაზღვეულის მკურნალობის ფაქტიური დღეების რაოდენობიდან გამომდინარე და განეული სამედიცინო მომსახურების დადგენილი კრებულით, რომელიც წარმოადგენილია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დანესებულებასთან დადებულ ხელშეკრულებაში.

სისტემათა თეორიაში და ლოგისტიკურ სისტემებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ თვისებებს, ან როგორც თვლიან სხვა მკვლევარები, სისტემების ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებებს. რთული სოციალურ-ეკონომიური სისტემების ძირითად თვისებებად მიიჩნევა მთლიანობა, ინტეგრაციულობა, კომუნიკატიურობა, იერარქი-

ულობა, ეკვიფინალურობა, ადაპტირება, აუცილებელი მრავალფეროვნების კანონი, მიზანწარმოშობის (ობიექტის, პროცესის შეცნობის სტადიის დამოკიდებულება მიზნის შესახებ წარმოდგენასა და მიზნის ფორმულირებას შორის; მიზნის დამოკიდებულება შიგა და გარე ფაქტორებისაგან; ძირითადი მიზნის ფორმირების ამოცანის მისი სტრუქტურულიზაციის ამოცანამდე დაყვანის შესაძლებლობა) კანონზომიერება. ასევე არსებობს რთული სისტემების სხვა თვისებებიც, რომლებიც წარმოადგენენ აღნიშნული თვისებების განვითარებას (გაგრძელებას).

დასკვნა

ამდენად, ჯანდაცვის მაკროლოჯისტიკური სისტემის მოდელში იმ სუბიექტების ჩართვა, რომლებიც ფორმირებას უკეთებენ ნაკადებს, საშუალებას იძლევა გავაფართოოთ მისი კონფიგურაცია სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდების ხარჯზე, სადაზღვევო სამედიცინო ორგანიზაციების ხარჯზე, ასევე ჯანდაცვის მართვის ორგანოების ხარჯზე.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ჯანდაცვის სისტემის იდენტიფიკაციის ნიშნების კლასიფიკაციის ჩამონათვალი არ წარმოადგენს ამომწურავს და შეიძლება იყოს შევსებული საერთო სისტემური ნიშნებით: სისტემის წარმოდგენის ფორმალიზებული აპარატის სახეობის მიხედვით (დეტერმინირებულნი და სტიქასტიურები), მიზანმიმართულების სახეობის მიხედვით (ღია და დახურული), სტრუქტურისა და ქცევის სირთულის მიხედვით (უბრალო და რთული), ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით (კარგად და ცუდად ორგანიზებულები, დიფუზიურები), მართვადი და მართული ქვესისტემებისადმი მიკუთვნების მიხედვით და ა.შ.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Абоймов В.В. Современное состояние и перспективы развития обязательного медицинского страхования // Актуальные вопросы обязательного медицинского страхования: сб. науч. тр., М.: 2000.
2. Бабиц А.М., Егоров Е.В., Жильцов Е.Н. Экономика социального страхования, 1998г.
3. Вялков А.И. О необходимости внедрения новых экономических моделей в здравоохранении // Экономика здравоохранения, 2001.
4. Азаров А.В. Некоторые аспекты экономической эффективности использования конечного фонда лечебно-профилактических учреждений // Экономика здравоохранения, 1999г.
5. Dooley D., Fielding J., Levi L., Health and unemployment // Annual Review of Public Health.

CURRENCY EXCHANGE, COMPETITIVENESS AND ECONOMIC GROWTH

Zviad Beshkenadze,

Doctor of Economics, Associated professor of ATSU

SUMMARY

The article discusses competitiveness of currency rate to the branch economics and general theoretical issues regarding economic growth.

In the respect of economic structure impact of currency exchange change is nonhomogeneous and it is differently displayed in the economic branches. In developing economics capital-intensive branches are inflicted much loss due to currency exchange decrease.

Along with impact on industrial factors, the depreciation of the national currency leads to the replacement of the domestic demand from the imported goods to the domestic non-market output and trade goods to some extent.

Due to impact of both factors the weak national currency leads to the fact that more often labour-consuming enterprises become profitable.

In the modern world, under the term of the global industrial chain, the currency exchange is no longer the basis of competitiveness for most goods. Competitiveness of goods is the quality, technology and image. The country's attempt to reach competitiveness only by price, may lead to the technological backwardness.

Currency depreciation may create some incentives for certain sectors of economics due to temporal raising of its competitiveness, but these incentives will be short-lived and its results will be negative in the longer term. Attitude between them is mostly opposite- currency stable nominal and real exchange rate indicates on competitiveness of the national products on domestic and foreign markets.

There may be some direct relation between the currency exchange rate and the economic growth, although it is not unambiguous and sustainable. The impact of economic growth rates on the national currency rate is more obvious - if in the short term, the growth of the country's national income provokes tendencies of depreciation of the national currency, in the medium and longer terms it contributes to its sustainability.

However, the theoretically stimulating impacts can be made by currency exchange stability as well as currency exchange depreciation – the question is that at which stage is the country and what are the export and import externals relation.

Keywords: Currency Exchange Rate, Laborious Sectors, Capitalized Sectors, Trading Goods Sector, Non-Commodity Sectors

საკვანძო სიტყვები: ვალუტის გაცვლითი კურსი, შრომატევადი დარგები, კაპიტალტევადი დარგები, სავაჭრო საქონლის სექტორი.

ძირითადი ტექსტი

ვალუტის (ნომინალური და რეალური) კურსის კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ზრდაზე (ასევე სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე) ზემოქმედების საკითხი საკმაოდ დისკუსიურია. მოცემულ საკითხს თეორიულთან ერთად აქვს მნიშვნელოვანი გამოყენებითი მნიშვნელობა ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირების შემუშავებისათვის.

რეალური კურსის შემცირებით უპირველესად დაინტერესებული არიან ექსპორტიორები - რომლებიც ეწევიან ნედლეულის ექსპორტს, და, პირიქით, ვალუტის რეალური კურსის ამადლებით დაინტერესებული არიან იმპორტიორები და მოსახლეობა, იზრდება რა ამით იაფ იმპორტულ პროდუქტზე მათი ხელმისაწვდომობა. თუმცა უნდა ავლნიოშნოთ ისიც, რომ მოსახლეობის ის ჯგუფი, რომლებიც დამოკიდებული არიან უცხოურ გზავნილებზე, უფრო სუსტი ეროვნული ვალუტით არიან დაინტერესებული, რამდენადაც ნაკლები უცხოური ვალუტით დებულ ბუნებრივ ეროვნულ ვალუტას. მართალია, გაუფასურებას თან ახლავს იმპორტირებულ პროდუქტზე ფასების გარკვეული მატება, თუმცა, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ის ჩამორჩება გაუფასურების მასშტაბებს. ამასთან, გაუფასურების კვალობაზე ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე ფასების რეაქცია უფრო „ტლანქია“.

ერთ-ერთი გავრცელებული შეხედულებაა, რომ ვალუტის კურსის გამყარებას რეალურ გამოხატულებაში მიყვავართ ეროვნული საქონლის ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის დაკარგვასთან, იმპორტის ზრდასთან, ეროვნული პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებასთან და, როგორც შედეგი, წარმოების დინამიკაში ნეგატიური ტენდენციების ზრდასთან. მეორეს მხრივ, ზოგიერთი დარგისთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული იმპორტულ მარკეტებზე დეტალებზე, რეალური გაცვლითი კურსის ზრდამ შეიძლება დადებითი ზემოქმედება მოახდინოს წარმოების დინამიკაზე. ეს მარტივი ლოგიკა არც თუ იშვიათად ჟღერდება.

ზოგადად, თუ ვალუტის კურსის რეალური გამყარების მოკლევადიანი ეფექტი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აისახება წარმოების დინამიკაზე, რამდენადაც ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ეცემა საშინაო და საგარეო ბაზრებზე. გრძელვადიან (და საშუალოვადიან) პერიოდში კი ამ გამყარების ეფექტი, დადებითია - ხელს უწყობს ექსპორტიორების მიერ წარმოების ზრდას და, შედეგად, ეკონომიკურ აღმავლობას. სხვა სიტყვებით, ფირმები, რომლებიც გადაურჩებიან მძაფრ კონკურენციას, გრძელვადიან პერსპექტივაში იმ-

ყარებენ თავიანთ პოზიციებს ბაზარზე და წარმატებულად კონკურირებენ იმპორტთან.

ეკონომიკური ზრდაზე ვალუტის რეალური კურსის ამალღების (გამყარების) ზემოქმედების მექანიზმი გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთია - ის ხელს უწყობს კაპიტალის ქვეყნის გარეთ გადადინების შემცირებას, უცხოური (და საშინაო) ინვესტიციების ზრდას, რამდენადაც მოგების რეპატრიაცია მტკიცე ვალუტის პირობებში მომგებიანია (პირიქითაა სუსტი ვალუტის პირობებში - ინვესტორებს არ უღირთ დივიდენდის ქვეყნის გარეთ გატანა). სტიმულირდება მანქანებისა და მონეობილობების იმპორტი, რაც წარმოადგენს წარმოების მოდერნიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორს. ამგვარად, შედეგად ხდება ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზაცია. სხვა თანაბარ პირობებში ძლიერი ეროვნული ვალუტა უზრუნველყოფს მოსახლეობის უფრო მაღალ რეალურ შემოსავლებს მის უფრო თანასწორ განაწილებას და იმ დარგების განვითარებას რომლებიც არ არიან კონცენტრირებული სანედლეულო სექტორზე.

თუმცა, ამასთან არის მოსაზრება, რომ ვალუტის კურსის გამყარების შედეგად ინვესტიციების შემოდინება უპირატესად სტიმულირდება არასავაჭრო საქონლის სექტორში, ძირითადად უძრავი ქონების სფეროში, და მთლიანობაში შიდა ფინანსურ აქტივებში. იმავდროულად, მომატებული კურსი ახშობს ინვესტიციებს სავაჭრო საქონლის სექტორში და ამიტომ განაპირობებს დაცემას ეკონომიკის რეალური სექტორში და განვითარებად ქვეყნებში თვით დენდუსტრიალიზაციას. ამგვარად, მოცემული შეხედულებიდან გამომდინარე, მეტისმეტი რეალური ვალუტის კურსი წინ ელოდება ეკონომიკურ ზრდას და განაპირობებს ეკონომიკის არსებული დარგობრივი სტრუქტურის დეგრადაციას.

სუსტი ეროვნული ვალუტის (შემცირებული კურსის) არგუმენტი უპირველესად გამომდინარეობს საექსპორტო და იმპორტმემცვლელი სექტორების მხარდაჭერიდან (აგრეთვე საგადასხდელო ბალანსის ბალანსურობისა და სხვა მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევიდან) გამომდინარე. ეროვნული ვალუტის კურსის დაბალ დონეზე შენარჩუნება ამალღებს ეროვნული პროდუქციის (და მთლიანად მეურნეობისა და მისი საერთაშორისო ლიკვიდურობის) კონკურენტუნარიანობას, როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო ბაზრებზე, უზრუნველყოფს რა ამით ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალ მოკლევადიან ტემპებს. თუმცა, შედარებით გრძელვადიან პერიოდში სავალუტო დემპინგის გამოყენება (შემცირებული კურსი): ახშობს ეკონომიკის მოდერნიზაციის სტიმულებს (უპირველესად კონკურენციის შემცირებიდან გამომდინარე), აკონსერვებს ეკონომიკის არსებულ არაეფექტურ (სანედლეულო) სტრუქტურას; ხელს არ უწყობს საბანკო დეპოზიტების ზრდას, რაც ზღუდავს ეკონომიკის დაკრედიტებასა და ეკონომიკურ ზრდას; აძლიერებს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის სტიმულებს და ფინანსური რესურსების ბიუჯეტის საშუალებით

გადანაწილებას; აძლიერებს კაპიტალის ქვეყნის გარეთ გადადინებას და სავალუტო ტვირთს.

აღსანიშნავია, რომ ექსპორტის სტიმულირება სავალუტო დემპინგის გამოყენებით მიღებული არა მხოლოდ წმინდა საგარეო-ეკონომიკური მოსაზრებებით, არამედ იმიტომაც, რომ სავაჭრო საქონლის სექტორი (ექსპორტ-იმპორტის სექტორი - შედგება დარგებისგან, რომლებიც ახდენენ თავისი პროდუქციის ექსპორტს ან კონკურირებენ იმპორტთან) უფრო დინამიურია არასავაჭრო საქონლის სექტორთან (ანარმოებს საქონელსა და მომსახურებას, რომელიც არ წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის საგანს და, აგვარად, არ კონკურირებს ანალოგიურ უცხოურ საქონელთან და მომსახურებასთან) შედარებით და რომ შემდეგ უფრო მაღალი ტექნიკური პროგრესის ტემპები ვრცელდება მთელს ეკონომიკაზე. იმ დარგების ექსპანსიას, რომლებიც აწარმოებენ სავაჭრო საქონელს, დიდი ალბათობით, თან ახლავს ზრდა, დარგებთან შედარებით, რომლებიც აწარმოებენ არასავაჭრო საქონელს (მაგალითად მშენებლობა).

როგორი შეიძლება იყოს ვალუტის კურსის ზემოქმედება დარგობრივი ჭრილიდან გამომდინარე? ეკონომიკის სტრუქტურის თვალსაზრისით ვალუტის კურსის ცვლილება ზემოქმედება არაერთგვაროვანია და ის სხვადასხვაგვარად ვლინდება ეკონომიკის დარგებში. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა (მათ შორის საქართველოსი) ძირითადად წარმოდგენილია შრომატევადი (შრომაინტენსიური - მაგალითად: სოფლის მეურნეობა, საფეიქრო მრეწველობა, მშენებლობა, მომსახურების გარკვეული სფეროები და სხვ.) და კაპიტალტევადი (კაპიტალინტენსიური - მაგალითად: ნედლეულის მოპოვება-გადამუშავება, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, საავტომობილო მრეწველობა, ტრანსპორტი, ელ. ენერჯის გამომუშავება, ლოჯისტიკა და სხვ.) დარგების სახით. ამ სახის საქმიანობების თანაფარდობები გვაძლევენ ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურას. დარგობრივი სტრუქტურა, როგორც ზემოთ ავლენიშნეთ, ასევე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს „სავაჭრო“ საქონლის სექტორისა (მაგალითად: სოფლის მეურნეობა, საფეიქრო მრეწველობა, ნედლეულის მოპოვება-გადამუშავება, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, საავტომობილო მრეწველობა და სხვ.) და „არასავაჭრო“ საქონლის სექტორის (მაგალითად: მშენებლობა, ტრანსპორტი, ელ. ენერჯის გამომუშავება, ლოჯისტიკა, ვაჭრობა და სხვ.) სტრუქტურის მიხედვით. ერთიდაიგივე დარგის ფარგლებში შეიძლება არსებობდეს როგორც შრომატევადი, აგრეთვე კაპიტალტევადი წარმოება (საბოლოო პროდუქციის წარმოება - უფრო შრომატევადი წარმოებაა, რთული დეტალების წარმოება - კაპიტალტევადი, დიზაინი - მეცნიერებატევადი).

კაპიტალტევადი დარგები, ვალუტის კურსის შემცირების კვალობაზე, იმპორტულ საინვესტიციო საქონლზე ორიენტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად ზარალდებიან იმპორტული საინვესტიციო საქონლის გაძვირების შემთხვევაში (რამდენად-

აც, როგორც ავღნიშნეთ, ვალუტის კურსის შემცირება ზრდის ფასებს და ამცირებს მოთხოვნას იმპორტულ საინვესტიციო სქონელსა და მაკომპლექტებელ ნაწილებზე. ამასთან საინვესტიციო იმპორტს შეუძლია ითამაშოს გადამწყვეტი როლი საშინაო ინვესტიციებზე ძირითად კაპიტალში და, პირიქით, ვიდრე შრომატევადი დარგები. იმის გათვალისწინებით, რომ უმეტესი რთული საქონელი ინარმოება მრავალი იმპორტული მაკომპლექტებელი ნაწილებით, ასეთი საქონლისთვის სუსტი კურსი ათანაბრებს სარგებელს შრომითი რესურსებისა და სხვა ფაქტორების გაიაფებისაგან. ამასთან კაპიტალტევადი დარგები უფრო აწარმოებენ დიფერენცირებულ (არაერთგვაროვან) პროდუქციას კაპიტალის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამიტომ ასეთ დარგებში საფასო კონკურენციას აქვს ნაკლები მნიშვნელობა შრომატევადთან შედარებით.

საწარმოო ფაქტორებზე ზემოქმედებასთან ერთად, ეროვნული ვალუტის გაუფასურებას მივყავართ საშინაო მოთხოვნის იმპორტული საქონლიდან სამამულო არასავაჭრო და სავაჭრო საქონელზე გადაადგილებასთან (იმპორტშენაცვლება) რამდენადაც ისინი ხდებიან უფრო იაფი. ამასთან იზრდება საგარეო მოთხოვნა სამამულო სავაჭრო საქონელზე, რომლებიც ხდებიან უფრო იაფი უცხოურთან შედარებით (რა თქმა უნდა თუ საფასო კონკურენცია ასეთი საქონლისთვის წარმოადგენს მთავარს).

ორივე ფაქტორის ზემოქმედების შედეგად იქმნება პირობები, როდესაც სუსტ ეროვნულ ვალუტას მივყავართ იქამდე, რომ უმეტესად მოგებული რჩებიან შრომატევადი სავაჭრო წარმოებები.

ისმება კითხვა თუ როგორია ემპირული გამოცდილება და მკვლევარების მიდგომები ამ მხრივ? მრავალი ქვეყანა, მაგალითად, ბრაზილია 1970-იან წლებში, ჩილე 1980-1990-იან წლებში, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებდნენ ეროვნული ვალუტის შემცირებულ კურსს, იცავდნენ რა ამით თავიანთ ეკონომიკას უცხოური კონკურენციისაგან; ანალოგიურ სავალუტო პოლიტიკას ატარებდა ჩინეთი, რომელიც ქმნიდა უზარმაზარ უცხოური ვალუტის რეზერვებს. მართალია ჩინეთში სუსტმა იუანმა ხელი შეუწყო შრომატევადი წარმოების ზრდას აქტიური ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პერიოდში. თუმცა ინდუსტრიალიზაციის გარკვეული დროის პირობებში იუანის შემცირებული კურსი იქცა ეკონომიკური ზრდისთვის ბარიერად; ექსპერტები ეყრდნობოდნენ მრავალი განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას (მაგალითად, იაპონია 1960-1980 წლებში, რომელიც იქცა მსოფლიო ეკონომიკის ლიდერად), როდესაც ისინი მიმართავდნენ თავიანთი ეროვნული ვალუტის მიზანმიმართულ შემცირებას; სხვადასხვა ექსპერტები რუსეთში მიმდინარე დევალვაციას აკეთებენ დასკვნას, რომ რუბლის კურსის შემცირებამ მართალია განაპირობა საშინაო ბაზარზე იმპორტული საქონლის ადგილობრივით ჩანაცვლება, მაგრამ 2005-2006 წლებში ეკონომიკური ზრდის შენელებას აკავშირებენ „რუბლის დევალვაციის ეფექტის ამონურვასთან“. მსგავსი დასკვნები კეთდე-

ბა რუბლის შემდგომ დევალვაციასთან დაკავშირებითაც.

მთლიანობაში, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, ვალუტის რეალური კურსის შემცირების მცდელობები სავალუტო ბაზარზე ოპერაციების გზით, მიკროეკონომიკური თვალსაზრისით, როგორც წესი, წარუმატებლად მთავრდება (მაშასადამე მაკროეკონომიკური კუთხითაც), რამდენადაც რეალური სავალუტო კურსი მაინც მყარდება, მაგრამ ინფლაციის უფრო მაღალი ტემპების ზემოქმედების შედეგად (ხელფასი - შრომაზე კონკურენციის გამო - არასავაჭრო სექტორის მხრიდან). აგრეთვე, როგორც გამოცდილება ადასტურებს, გრძელვადიან პერსპექტივაში ნომინალური კურსები მოძრავი არიან და ფასების ცვლილებაზე რეაგირებენ იმგვარად, რომ ვალუტის რეალური კურსი რჩება უცვლელი, უზრუნველყოფს რა მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შენარჩუნებას.

რაც შეეხება თეორიულ მიდგომებს - თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში არ არსებობს ერთიანი პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ნეოკლასიკური სახელმძღვანელოების ავტორები დორბუნში და ფიშერი ამტკიცებენ რომ ვალუტის გამყარება უარყოფითად აისახება ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე და პირიქით. ინსტიტუციონალური და ევოლუციური ეკონომიკური თეორიების მიმდევრები კი იცავენ მოსაზრებას მასზე, რომ ვალუტის კურსის გამყარება პოზიტიურად ზემოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე - სამომხმარებლო პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდასა და სოციალური უთანაბრობის დონის შემცირების სახით.

ცნობილი სპეციალისტები ეჭვქვეშ აყენებენ სუსტი ვალუტის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებით ზემოქმედების თეზისს. კალვომ და რეინჰარტმა (2000 წ.) გაანალიზეს დევალვაციის 96 შემთხვევა და გააკეთეს დასკვნა, რომ ის ეკონომიკურ ზრდაზე უფრო ხშირად ზემოქმედებს უარყოფითად, ვიდრე პოზიტიურად, განსაკუთრებით განვითარების დაბალი და საშუალო დონის ქვეყნებში. ფრანკელმა (2005 წელი) აღმოაჩინა, რომ განვითარებად ქვეყნებში ეროვნული ვალუტის დევალვაცია უმეტეს შემთხვევაში განაპირობებს წარმოების დაცემას. ბლანკი, ულოკაევი, გურვიჩი (2006 წელი) სპეციალურ გამოკვლევაში, რომელიც ეძღვნებოდა გაცვლითი კურსის რუსული ეკონომიკის დარგების კონკურენტუნარიანობაზე ზემოქმედებას, მივიდნენ დასკვნამდე, რომ, რუბლის გამყარებამ 2002-2006 წლებში პოზიტიური ზემოქმედება მოახდინა რუსულ ეკონომიკაზე.

ბოლო წლებში გამოჩნდნენ ნაშრომები (როდრიკი, 2008; პოლტეროვიჩი, პოპოვი, 2004), რომლებიც ამტკიცებენ, რომ ვალუტის კურსის რეგულირებით (არანონასწორული კურსი) განვითარების გარკვეულ სტადიებზე შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. თეორიულად მასტიმულირებელი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს როგორც ვალუტის კურსის გამყარებამ, აგრეთვე ვალუტის კურსის შემცირებამ - საქმე იმაშია, რომ განვითარების

რომელ ეტაპზე იმყოფება ქვეყანა და როგორია საექსპორტო და საიმპორტო ექსტერნალიების თანაფარდობა (პოლტეროვიჩი, პოპოვი 2004). ჩამორჩენილ ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის სანეის ეტაპზე, რომელსაც არ გააჩნია თავისი მანქანა-მონწყობილობები, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია მომატებული კურსი იმისათვის, რომ სტიმული მიეცეს მანქანა-დანადგარების შემოტანას, მათზე დაბალი ფასის შენარჩუნებით. თუმცა გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების კვალობაზე უნდა მოხდეს ვალუტის კურსის შემცირებაზე გადასვლა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ადგილობრივი მწარმოებლების დაცვა და საექსპორტო დარგების სტიმულირება, რომლებიც შეიქმნენ და განვითარდნენ იმპორტშემცველი განვითარების ეტაპზე თანამედროვე მონწყობილობებისა და ტექნოლოგიების იმპორტის ხარჯზე. შემთხვევითი არაა, რომ ყველა სწრაფადმზარდ ეკონომიკებს (იაპონია, ჩინეთი, კორეა, ჰონკონგი, სინგაპური და სხვ.) ექსპორტორიენტირებული ზრდის პერიოდში მნიშვნელოვნად ჰქონდათ შემცირებული თავიანთი ეროვნული ვალუტის კურსი. ისინი ამით ქმნიდნენ აგრეთვე სავალუტო რეზერვებს, რომლებიც ისევ მათი ეკონომიკების განვითარებას ხმარდებოდა.

მთლიანობაში, ამ პრობლემის თეორიული კვლევის ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია ეკონომიკურ განვითარებაზე მსჯელობა ეროვნული ვალუტის კურსის მდგომარეობის პოზიციიდან გამომდინარე. მოცემულ პოზიციას ამყარებს ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიოში გლობალურ სამეწარმეო ჯაჭვის პირობებში სავალუტო კურსი უმეტესი საქონლისთვის აღარ წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის საფუძველს. იშვიათობაა - თუ სამრეწველო საქონელი მთლიანად იწარმოება მხოლოდ ერთ ქვეყანაში. საქონლის კონკურენტუნარიანობის საფუძველია - ხარისხი, ტექნოლოგიურობა და იმიჯი. ქვეყნის მცდელობა კონკურენტუნარიანობას მიაღწიოს მხოლოდ ფასით, მიიყვანს მას ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობამდე.

ამდენად, ვალუტის კურსის შემცირების პირობებში წარმოების ზრდა არ იქნება მდგრადი და წარმოიქმნება ეკონომიკის არაეფექტური სტრუქტურის კონსერვაციის, ქვეყნის სანედლეულო ორიენტაციის, საბანკო დეპოზიტების ზრდის შემცირების, ეკონომიკის დაკრედიტების შეზღუდვის, ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის შემცირების რისკი. თანამედროვე მსოფლიოში - თავისუფალი ბაზრისა და გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის კეთილდღეობის მდგრადი ზრდა მოითხოვს ჩაშენებას გლობალურ სანარმოო ჯაჭვში, უფრო მაღალ დონეზე დამატებული ღირებულების შექმნას, სადაც ვალუტის კურსს აქვს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა.

ამგვარად, ჩვენი აზრით, ვალუტის კურსსა და ეკონომიკურ ზრდას შორის გარკვეული პირდაპირი დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს, თუმცა ის არაა ცალსახა და მდგრადი. ეკონომიკური ზრდის ტემპების ზემოქმედება ეროვნული ვალუტის კურსზე შედარებით უფრო მკაფიოა - თუ, მოკლევადიან პერი-

ოდში, ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდა ქმნის ეროვნული ვალუტის გაუფასურების ტენდენციებს, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში ის ხელს უწყობს მის მდგრადობას. თუმცა თეორიულად მასტიმულირებელი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს როგორც ვალუტის კურსის გამყარებამ, აგრეთვე ვალუტის კურსის შემცირებამ - საქმე იმაშია თუ განვითარების რომელ ეტაპზე იმყოფება ქვეყანა და როგორია საექსპორტო და საიმპორტო ექსტერნალიების თანაფარდობები.

რამდენადაც ეკონომიკური ზრდა და კონკურენტუნარიანობა უმეტესწილად იმყოფებიან მსგავსი ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში, ამდენად მსგავსი შეიძლება ითქვას ვალუტის კურსსა და კონკურენტუნარიანობას შორის ურთიერთდამოკიდებულებაზეც - ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება შექმნას გარკვეული სტიმულები ეკონომიკის გარკვეული სექტორებისთვის მისი კონკურენტუნარიანობის დროებით ამაღლებიდან გამომდინარე, თუმცა ეს სტიმულები იქნება ხანმოკლე და მისი შედეგები გრძელვადიან პერიოდში იქნება უარყოფითი ზემოთმოყვანილ გარემოებებიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაშიც, მიგვაჩნია, რომ მათ შორის დამოკიდებულება უმეტესწილად არის საპირისპირო - ვალუტის სტაბილური ნომინალური და რეალური კურსი თავისთავად მიგვანიშნებს ეროვნული პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე საშინაო და საგარეო ბაზრებზე.

ამგვარად, ეროვნული ვალუტის კურსი განსაზღვრავს არა იმდენად ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენტუნარიანობას, არამედ პირიქით - ეკონომიკური ზრდა და კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს ვალუტის კურსს. ეროვნული ვალუტის კურსის სიმტკიცე და სტაბილურობა შეიძლება გარკვეულწილად ეკონომიკის მდგომარეობისა და კონკურენტუნარიანობის (განსაკუთრებით რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი) გრძელვადიანი ტენდენციების ინდიკატორადაც კი გამოდგეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Аносова, Л. А. Либерализация потоков капитала и переход к режиму плавающего валютного курса: опыт Китая / Л. А. Аносова, Л. С. Кабир / Экономика и управление. № 5. 2015. С. 4-12.;
2. Б. Е. Бродский, О влиянии реального обменного курса рубля на российскую экономику, Прикладная эконометрика, №4, 2006;
3. Валютный и денежный рынок. Курс для начинающих. - М.: Альпина Паблишер, 2014. - 352 с.;
4. Колпакова, Г. М. Финансы. Денежное обращение. Кредит: учеб. пособие / Г. М. Колпакова. - М. : Финансы и статистика, 2005. - 496 с.

საქიპომ ზუსტობის პრაქტიკის ფორმები ქართულ სამედიცინო დაზღვევაში

ზვიად ვეკუა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

აქტუალურია იმ პირთა პასუხისმგებლობის დაზღვევა, რომელთა არასათანადო ქმედების შედეგად განსაკუთრებული ზიანი ადგება მესამე პირს ან პირთა ჯგუფს.

რთულია სტატისტიკურად ზუსტად იქნეს დადგენილი სამედიცინო შეცდომების რამოდენობა, იმიტომ რომ თვითონ იმის განსაზღვრა წარმოადგენს სირთულეს, თუ პრაქტიკული თვალსაზრისით რას შეიძლება ვუნოდოთ სამედიცინო შეცდომა.

მედიცინაში შეცდომებს განაპირობებს გამოცდილებისა და პრაქტიკის არარსებობა, გაიდლაინებისა და პროტოკოლების უგუვებელყოფა, სამედიცინო განათლების დაბალი დონე.

საქართველოში სადაზღვეო კომპანიები სთავაზობენ ექიმებს პასუხისმგებლობის დაზღვევას, მაგრამ მონაცემები ცხადყოფენ, რომ ძალიან მცირეა ამ ტიპის დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა.

ექიმის შეცდომის დაზღვევით სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას ფულად გამოხატულებაში კონპენსირდება ზარალი. თუმცა, სასურველია დაინერგოს შეცდომების შემცირების სტრატეგია, რაც დაკავშირებულია უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებასა და დახვეწასთან, ექიმთა კოლექტიურ, კომპლექსურ მოქმედებებთან, რისკის მენეჯმენტის სისტემის შემუშავებასთან და კომუნიკაციის გაღრმავებასთან.

საკვანძო სიტყვები: საქიპომ შეცდომა, დაზღვევა, პასუხისმგებლობა, მედიცინა.

PREVENTING MEDICAL ERROR IN GEORGIAN INSURANCE

Summary

medical errors causes and actuality of medical malpractice in Georgia.

It is actual to insure this persons professional liability ,whose improper action especially damages third person and groups of person. It is difficult accurately determined the number of medical errors, because it is a complex to determine itself. Or what can be called a practical error with practical approach. It is because there is no experience and practice in medicine, also refusing guidelines and protocols, low level

of medical education.

In Georgia insurance companies offer doctors the responsibility of liability. According to the data the number of beneficiaries of this type of insurance is very low.

To insure doctors' error In case of insurance accident In the monetary expense compensation is compensated. However, it should be implemented strategy for reducing mistakes which is related to the introduction and refinement of security culture, Collective, complex actions, Risk management system development And make better communication.

Keywords: Medical Error, Insurance, Liability, Medicine.

* * * *

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფერო დღეისათვის არ არის ისეთი უსაფრთხო, როგორც უნდა იყოს რეალურად.

ყველა საქმიანობას მეტნაკლებად გააჩნია პროფესიული რისკი. არსებობს პროფესიები, რომელთა რისკის დონე გაცილებით მაღალია, სხვა საქმიანობებთან შედარებით. დიდია პასუხისმგებლობა, რაც დაზღვევის საგანს წარმოადგენს.

ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა აუცილებელი შემადგენელი ნაწილია თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სადაზღვეო სისტემისათვის. დაზღვევის აუცილებლობა განპირობებულია საქიპომ შეცდომების სიჭარბით. "საქიპომ შეცდომად" მედიცინაში ითვლება ექიმის კეთილსინდისიერი ცდომილება მსჯელობებსა და მოქმედებებში, თუკი ეს გამოწვეული არაა გულგრილობით, ზერელობით, თვითდაიმიედებით ან პროფესიული უვიცობით.¹

სამწუხაროდ, მედიცინა არა არის ზუსტი მეცნიერება და ძნელია სამედიცინო შეცდომა სამედიცინო დანაშაულისგან ან დაუდევრობისგან გამიჯნო. საკითხის შესწავლისას თავს იჩენს ინფორმირებულობის ნაკლებობა. აშშ - ში საკითხი მორალურ ქრილში განიხილება. ექიმთა აბსოლიტური უმრავლესობა ცდილობს მიჩქმალოს საკუთარი შეცდომა თუ დანაშაული. მიზეზად კი, ხან პაციენტისგან ნაკლებ ინფორმირებულობას, ხან არასწორ ინფორმაციას ასახელებს. სამედიცინო შეცდომების დამ-

¹ ხატია გიორგობიანი, ნატა ყაზახაშვილი, ნატო ფიცხელაური, ლაშა ლორია, ნინო ჩიხლაძე — ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარება საქართველოში: ბარიერები და შესაძლებლობები (ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 2017)

დგენელი კვლევების მეთოდები განსხვავებულია. დავუშვათ, ერთერთი კვლევით 2008-2011 წლებში შეერთებულ შტატებში სამედიცინო შეცდომების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 98 000 — ია, სხვა კვლევების მიხედვით ეს რიცხვი 100 000 — 400 000 — მდე აღწევს.² საქართველოში საექიმო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭო, მედიცინის ექსპერტთა და იურისტთა შემადგენლობით. სამედიცინო მომსახურების მიწოდების ხარისხი და მიწოდების ტიპები ქვეყნის რეგიონებს შორის განსხვავებულია და შესაბამისად, ერთ რეგიონში გახშირებული შემთხვევების რიცხვი მნიშვნელოვნად ზრდის ზოგადად ქვეყნის სტატისტიკას ამ მიმართულებით. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მთლიანად ქვეყანაში არის სამედიცინო შეცდომების დიდი რაოდენობა. ამიტომაც, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჩგარკვეულ ექსპერტთა და მიმომხილველთა დასკვნებით აშშ-ში საექიმო შეცდომების შედეგად სიკვდილიანობა მესამე ადგილზეა გულის დაავადებების და კიბოს შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობის შემდეგ. ამ დებულებას არ ეთანხმებიან სხვები და ოფიციალურ სტატისტიკას უცხადებენ ნდობას, რომელის მიხედვით სიკვდილიანობის გამომწვევ პირველ ათ მიზეზს შორის საექიმო შეცდომა არ არის. ორივე მხარის არგუმენტები ვარაუდის ელემენტებს შეიცავს. აქედან გამომდინარე საექიმო შეცდომა შეიძლება იყოს აშკარა ან ლატენტური. აშკარა შეცდომები მყისიერი, ხშირად ფატალური შედეგებით ხასიათდება და პირდაპირ არის დაკავშირებული პაციენტის მოვლასთან. გლატენტურ შეცდომებს კი დროში განელილი შედეგები ახასიათებს. რაც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ ისაა რომ, შეცდომების მიზეზები კომპლექსურია და შესაძლოა მოიცავდეს ურთიერთკავშირის არმქონე ფაქტორებს.³

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ხშირია, როცა დამსაქმებელი, ამ შემთხვევაში კლინიკის დირექტორატი ექიმს სთხოვს, რომ მას ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა. ხშირად პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა გაერთიანებულია ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისთან.⁴

რატომ იზრდება სამედიცინო შეცდომების რაოდენობა მსოფლიოს ისეთ ქვეყნებში, სადაც მედიცინა როგორც დარგი ძალიან განვითარებულია?(იაპონია, აშშ.)

2 Michael bihari, MD. – Health Insurance: Medical Errors and Health Reform. (December 26, 2015)

3 ეკა კლდიაშვილი, სოფო ბოჯგუა — რისკების ანალიზი სამედიცინო გარემოში. თბილისი 2015

4 სოფიკო ბარბაქაძე - ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში - თბილისი 2014.

პირველად მიზეზთა შორის ალბათ ინფორმაციული ნაკადების მონესრიგება და ზრდა უნდა დავასახელოთ. უახლოეს წარსულში უმეტესი დაავადება მკურნალობას არ ექვემდებარებოდა. შესაბამისად, ექიმი თავისუფლდებოდა იმ პასუხისმგებლობისგან, რომელიც ამ დაავადების მკურნალობისას წარმოიშვა. ე.ი. ექიმს ჰქონდა ნაკლები პასუხისმგებლობა, რაც ავტომატურად ნიშნავს ნაკლებ შეცდომას. ასევე პაციენტის ინფორმირებულობის დონე ძალზედ დაბალი იყო. თანამედროვე სამყაროში პაციენტმა თუნდაც საძიებო სისტემების მეშვეობით შეიძლება მიიღოს კონკრეტული ინფორმაცია მისი დაავადების შესახებ და ყურადღებით აკონტროლოს ექიმთა ქცევა. თუკი წარუმატებელი მკურნალობის შედეგის კონტროლი თუნდაც 2000-იან წლებამდე საკმაოდ ძნელი და თითქმის შეუძლებელი იყო, თანამედროვე ეპოქაში განსხვავებულ სურათებს ვხვდავთ. ექიმი ვალდებულია დეტალურად აღწეროს ყველა ის ქმედება თუ არქმედება, რომელიც განახორციელა ამა თუ იმ პაციენტის მკურნალობისას.

ცხოვრების დაძაბული და მუდმივად ცვალებადი რიტმი მოქმედებს ზოგადად ადამიანთა და ამ შემთხვევაში ექიმთა კონცენტრაციის, მობილიზების უნარებზე. ტექნოლოგიური რევოლუციის ეპოქა განაპირობებს ექიმთა მიერ მედიცინაში დანერგილ ახალ პრეპარატებთან, მიდგომებთან თუ ხელსაწყოებთან ადაპტირებას. მუდმივად ცვალებადი გაიღლაინების და პროტოკოლებისადმი შეგუების პროცესს დრო სჭირდება და შესაბამისად, ახლის ათვისების პროცესში დიდია შეცდომის დაშვების რისკი.⁵

თანამედროვე სამყაროში ნახალისებულია საკუთარი უფლებებისთვის თავდუზოგავი ბრძოლა, როცა პაციენტი ან მისი ჭირისუფალს გააჩნია თუნდაც უმნიშვნელო ეჭვი იმისა, რომ მისი უფლებები უხეშად დაირღვა. ის იბრძვის მორალური კონპენსაციისთვის, რომელიც გამოხატულია ფულად ფორმაში. ღაც რათქმაუნდა სამკურნალო პროცედურების გადამონებებისას ზრდის შანსს ექიმის შეცდომისა.

საექიმო შეცდომისგან დაზღვევა საქართველოში განვითარებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვეო კომპანიები სთავაზობენ შესაბამის პაკეტს სამედიცინო მუშაკების უმეტესობა არ ინტერესდება შეთავაზებული სადაზღვეო პოლისით. სამედიცინო პერსონალის 90% არ არის და არც არასოდეს დაზღვეულა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით.

ექიმთა პასუხისმგებლობის დაზღვევის არაპოპულარულობა შეიძლება გამომწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით.

სადაზღვეო ბიზნესი საქართველოში განვითარების საწყის სტადიაზეა. არავისთვის არ არის ახალი ის

5 S. Mclennan, D. Sved, A. Leu, B.Elqer. - Professional liability insurance and medical error disclosure. (2015 Jul 7, Swiss Med Wkly, ecollection 2015.)

ბამოყენებული ლიტერატურა

ფაქტი, რომ სადაზღვეო სფერო ვერ განვითარდება ქვეყნის ზოგადი განვითარების გარეშე, ვინაიდან აზღვევს ის ვისაც გააჩნია მატერიალური შესაძლებლობა. სიღარიბის მაღალი დონე კი უკუპროპორციულად მოქმედებს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევაზე.

ექიმის პროფესია საბჭოთა საქართველოში აღიქმებოდა ყველაზე პრიორიტეტულ და პრივილეგიულ პროფესიად. ეს შეიძლება ერთერთი მიზეზია იმისა რომ, ძველი თაობის ექიმები შეცდომის დაზღვევას სერიოზულად არ უყურებენ.

საქსტატის 2015 წლის მონაცემების მიხედვით ექიმის საშუალო შემოსავალი წლის განმავლობაში დაახლოებით 11 000 ლარია,⁶ რაც არ არის ის თანხა, რომელიც ამ პროფესიის ადამიანს აძლევს საშუალებას დააზღვიოს საკუთარი შეცდომა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში ექიმის პროფესიული შემოსავალი დაახლოებით ათჯერ უფრო მეტია.

საკუთარი შეცდომის დაზღვევას უმეტესად საჭიროებენ ის ექიმები, რომლებსაც შეხება აქვთ სასიცოცხლო პროცესებთან. შეცდომა იმის მიხედვით შეიძლება შეფასდეს თუ რამდენად მძიმეა ის. შესაბამისად, უფრო მოტივირებული და მონადინებული იქნება სადაზღვეო პაკეტის შესყიდვაზე ის ექიმი, რომელსაც ყოველდღიური ჭიდილი უწევს სიკვდილთან (მაგ. გინეკოლოგი, კარდიოლოგი, ქირურგი) და არა ის რომელიც საკუთარ საექიმო საქმიანობას პროფილაქტიკის, რეაბილიტაციის ან სიცოცხლისათვის ნაკლებ-სიშიშ დაავადებებთან ბრძოლაში ახორციელებს.

ასევე უნდა დავაზუსტოთ რომ დაზღვევას არ ექვემდებარება საექიმო დანაშაული, დაუდევრობა და გულგრილობა, რისი გამიჯნვა შეცდომისგან ძნელია და ეს დამატებითი ფაქტორია ექიმისთვის პესიმისტურად განეწყოს სადაზღვეო პაკეტის ყიდვის მიმართ. მითუმეტეს, ჩვენს ქვეყანაში პოპულარულია კლიშე, რომ სადაზღვეო კომპანიები საეჭვო სიტუაციებში უზარმაზარი იურიდიული რესურსებით თუ გავლენის სფეროების გამოყენებით ცდილობენ ზარალის ანაზღაურება თავიდან აიცილონ. რაც თავისთავად წყაროა უნდობლობის.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველადი პრობლემა რაც საექიმო შეცდომის ეფექტურად მართვას ხელს უშლის არის ინფორმაციის სიმცირე, საკვლევი მასალების არარსებობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო მომსახურების მაღალი მეტნაკლებად გათანაბრებული დონის, უსაფრთხოების დაცვის და დაზღვევის კულტურის არარსებობა, უყურადღებობა და დაუდევრობა გაიდლაინებში და პროტოკოლებში განწერილი რეკომენდაციების მიმართ.

6 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გვერდი
http://www.geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo

1. Michael bihari, MD. – Health Insurance: Medical Errors and Health Reform. (December 26, 2015)

2. S. McLennan, D. Sved, A. Leu, B.Elqer. - Professional liability insurance and medical error disclosure (2015 Jul 7, Swiss Med Wkly, ecollection 2015.)

3. ეკა კლდიაშვილი, სოფო ბოჯგუა — რისკების ანალიზი სამედიცინო გარემოში. თბილისი 2015.

4. ხატია გიორგობიანი, ნატა ყაზახაშვილი, ნატო ფიცხელაური, ლაშა ლორია, ნინო ჩხილაძე — ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარება საქართველოში: ბარიერები და შესაძლებლობები (ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 2017)

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გვერდი http://www.geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo

6. სოფიკო ბარბაქაძე - ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოში - თბილისი 2014.

სოფრული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობა

თამაზ შამათავა

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

SUMMARY

Tamaz Shamatava

Economists throughout the world are modeling economical growth on behalf of financial capital, labor force and digital technologies. Nowadays, digital processes became not only integrated part of the economics but formed as digital economics. Actually, modern economics is standing on digital technologies, which are: commerce of digital products and services, e-commerce, internet, using of digital information and knowledge, block-chain systems and other digital economical activities. In modern political era, in Georgia, digital economics has to be considered as vital sector, which has the potential of the economical growth. It is obvious that, with the influence of digital processes, every aspect of life, quantities, variety of economical activities, business models and platform of the ecosystem has changed significantly. Abovementioned processes had direct or indirect influence on Georgian people, business organization or environment. It is a matter of fact that, power of the digital economics has an influence upon public and business sectors with its' digital innovation.

Keywords: Digital economics, digital technologies, e-commerce, digital processes.

რეზიუმე

მსოფლიოში ეკონომისტები ეკონომიკური ზრდის მოდელირებას კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ციფრული ტექნოლოგიების ხარჯზე ახდენენ. დღეს ციფრული პროცესები გახდა, არა მხოლოდ ეკონომიკის ინტეგრირებული ნაწილი, არამედ როგორც ციფრული ეკონომიკა. ფაქტობრივად, თანამედროვე ეკონომიკა ციფრულ ტექნოლოგიებს ეფუძნება: ციფრული პროდუქტებისა და მომსახურების ვაჭრობას, ელექტრონულ კომერციას, ციფრულ პროცესებს, ინტერნეტს საგნებს, ციფრული ინფორმაციისა და ცოდნის გამოყენებას, ბლოკჩეინის სისტემებს და, ასევე, სხვა ციფრულ ეკონომიკურ აქტივობას. თანამედროვე პოლიტიკურ ერაში, საქართველოსთვის ციფრული ეკონომიკა განხილული უნდა იქნას, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სექტორი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელი პოტენციალი გააჩნია. ყველასთვის ნათელია, რომ ციფრული პროცესების გავლენით მნიშვნელოვნად შეიცვალა ცხოვრების ყველა ასპექტი, სიდიდეები, ეკონომიკური აქტივობის სახეობები, ბიზნეს მოდელები და

ეკონომიკის პლატფორმა. აღნიშნულმა პროცესებმა პირდაპირი თუ ირიბი გავლენა იქონია თითოეულ ქართველზე, ბიზნეს ორგანიზაციასა თუ გარემოზე. ფაქტია, რომ ციფრული ეკონომიკის პოტენციური ძალა, საჯარო და ბიზნეს სექტორს ციფრული ინოვაციების გავლენის ქვეშ აქცევს.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ციფრული ტექნოლოგიები, ელექტრონული კომერცია, ციფრული პროცესები.

აღსანიშნავია, რომ რამდენადაც მაღალია ქვეყნის ციფრული მზადყოფნა, მით უფრო სწრაფად ხდება ციფრული ეკონომიკის ფორმირება. მაღალია სარგებელი და დაჩქარებულია ეკონომიკური აქტივობა ან პირიქით, დაბალი მზადყოფნის პირობებში ციფრული პროცესების გავლენა წარმოქმნის ახალ გამოწვევებს და ამცირებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. კვლევები ადასტურებს, რომ კომპანიების რაოდენობა, რომლებიც ციფრული ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენს, 5 წელიწადში 30%-ით გაიზარდა და, შესაბამისად, სამუშაო ადგილების რაოდენობა 5%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ საწარმოების 9%, რომლებიც ციფრულ სამუშაოს ეწევა, ნაციონალური წარმოების 7%-ს ქმნის¹. მსოფლიოში ციფრული ეკონომიკის „სასწაულების“ შესახებ წარმოდგენას ინტერნეტ-კომპანიების კაპიტალიზაცია ქმნის, რომელთაც (თითოეულს) იმაზე მეტი მოგება გააჩნია ვიდრე საქართველოს ეკონომიკაა. კერძოდ: Google/Alphabet (ბაზრის კაპიტალიზაცია 510 მლრდ დოლარი), Amazon (341 მლრდ დოლარი), facebook (340 მლრდ დოლარი), Tancent (206 მლრდ დოლარი), Alibaba (205 მლრდ დოლარი), Priceline (63 მლრდ დოლარი), Uber (63 მლრდ დოლარი), Baidu (62 მლრდ დოლარი), Ant Financial (60 მლრდ დოლარი), Salesforce (ბაზრის კაპიტალიზაცია 57 მლრდ დოლარი, 2016 წელს).

საქართველო ფლობს ციფრული ეკონომიკის რესურსსა და პოტენციალს, თუმცა მის სარგებელს და პოტენციალს ვერ ითვისებს. მიზეზი მდგომარეობს ციფრულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. კერძოდ: ქვეყანაში არ ხორციელდება ციფრულ პროცესებზე ზემოქმედების ღონისძიებები, ციფრული აქტივობის ფინანსური მხარდაჭერა მცირეა. ასეთი ძალისხმევის შედეგად უმნიშვნელოა, ფრაგმენტულია ციფრული

1 <http://economist.com>

ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებები, მცირე ინტერნეტ-ტექნოლოგიების შექმნის სტიმულირებისა და ციფრულ ბაზარზე დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა ხელს ვერ უწყობს ციფრული ბაზრისა და ინტერნეტ-ბიზნესის მდგრად განვითარებას, ელექტრონულ კომერციას ჩანასახშივე აფერხებს ინტერნეტ-ვაჭრობის დაბეგვრის სისტემა და დაბეგვრის ტარიფი. დღემდე, ინტერნეტის სამშობლოში, აშშ-ში, რამდენიმე შტატში ელექტრონული კომერციის გადასახადი არ მოქმედებს (ინტერნეტ-მომხმარებლებისათვის). სამწუხაროდ, საქართველოში, სამომხმარებლო ინტერნეტ-პროდუქტი, რომლის ღირებულება აღემატება 300 ლარს ექვემდებარება დაბეგვრას. ეკონომიკური დიპლომატია ვერ ქმნის ციფრული ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პირობებს.

2008 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოს მძლავრი ფინანსური კრიზისის ფონზე, სამუშაო ადგილების შექმნა, საწარმოო ხარჯების მინიმიზაცია, ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება — ყველაზე აქტუალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხებია ქვეყნებისათვის. რთული სათქმელია, რამდენად მიჰყვება საქართველო თანამედროვე ეკონომიკურ ტენდენციებს, თუმცა დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ეკონომიკა ქვეყნების ფინანსური კრიზისიდან გამოყვანის თანამედროვე, უძლიერესი ინსტრუმენტია. ეკონომიკა, დაფუძნებული ციფრულ ტექნოლოგიებზე, ციფრულ ეკონომიკას წარმოადგენს. ელექტრონული კომერციის, ორგანიზაციული პროცესების კომპიუტერიზებული მართვისა და ციფრული ინფრასტრუქტურის ზრდის ტემპი მსოფლიოში ძალიან სწრაფია, ის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი სტიმულატორია. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარება, ციფრული ეკონომიკის პრინციპზე დაყრდნობით, ზრდის ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობას. ამ სტიმულატორს ძალუძს ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლება და ახალი სამუშაო ადგილების უმოკლეს დროში შექმნა. სოციალური მედია, მობილური ვებსერვისები, კომპიუტერული ქლაუდ - სისტემები და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბიზნესის მართვის იმ ფორმებს, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში ინერგება. ერთეული ორგანიზაციების, ინდუსტრიებისა ან სულაც ქვეყნების წინაშე დგას არჩევანი — გაითავისონ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სიკეთე თუ ზრდის ტემპი შეანელონ და არაკონკურენტულ ერთეულებად იქცნენ. 2016 წლიდან მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარს ანუ 3 მილიარდ ადამიანს აქვს წვდომა ინტერნეტთან. ეს თავისთავად გულისხმობს ცოდნის გავრცელების გამარტივებულ პროცესებს,

საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სიმარტივეს და ა.შ. აშშ და შვედეთი ტრენდსეტერები არიან: ბოლო რამდენიმე წელიწადში 500,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შტატებში, მობილური აპლიკაციების ინდუსტრიაში შეიქმნა. ევროპის ქვეყნები ჯერ კიდევ მიმდევრის პოზიციაში არიან. ციფრული ეკონომიკის პრინციპები სრულფასოვნად, ევროპული ორგანიზაციების მხოლოდ 2%-ს აქვს დანერგული, 41% სრულიად არაციფრულია, არ გამოიყენება ორგანიზაციული მართვის კომპიუტერული სისტემები, საქმის ნარმოება არა ვირტუალურ, არამედ ძირითადად რეალურ დოკუმენტბრუნვაზეა დამყარებული.

ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი:

- ციფრულ ეკონომიკაში უკვე დასაქმებულია 200 მილიონი ადამიანი.²

- ევროპის მასშტაბით, 2020 წელს, ციფრულ ეკონომიკაში იმუშავებს დამატებით 5 მილიონი ადამიანი

- Intel-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიოში 19 მილიონი პროგრამისტია, მათი რიცხვი 2019 წელს 25 მილიონამდე გაიზრდება

- 2020 წელს 50 მილიარდი უკაბელო მონყობილება დაუკავშირდება ერთმანეთს, ეს კი 15-ჯერ გაზრდის გადაცემული ინფორმაციის მოცულობას

- 2020 წელს ახალი სამუშაოს დაწყების მსურველი კანდიდატების 90% დადგება სავალდებულო მოთხოვნის წინაშე, რომ მათ უნდა იცოდნენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება

- საერთაშორისო ორგანიზაციების 75% 2017 წლისთვის გეგმავს მასშტაბურ ინვესტირებას ციფრულ ტექნოლოგიებში.

მაღალტექნოლოგიური სფერო უზარმაზარ შესაძლებლობებს იძლევა ახალგაზრდებისთვის, ვისთვისაც კომპიუტერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, და ეს იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი საგანგაშო პარამეტრებს აღწევს: საბერძნეთი — 55%, ესპანეთი — 52%, ევროპის სხვა ქვეყნები — 20-22%, საქართველო — 31%. ასეთ პირობებში ციფრული ეკონომიკის განვითარება, ინოვაციების ხელშემწყობა, მაღალტექნოლოგიური სისტემების მცირე ორგანიზაციებში დანერგვა კი შესაძლოა, სინათლის ერთადერთი სხივი იყოს გვირაბის ბოლოს. ევროკომისიის გაანგარიშებით, ევროპული ქვეყნების მიერ შვედეთის ან აშშ-ის მაგალითის “ანარეკლის პრინციპით” დანერგვა დამატებით 1,500,000 სამუშაო ადგილს შექმნიდა. პრინციპი გულისხმობს საკანონმდებლო ბაზის მომზადებას, ცნობადობისა და სწავლების კომპონენტის გაძლიერებას, ციფრული მენარმეობის მხარდაჭერას ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად, მცირე ბიზნესის ზრდის ტემპი საშუალოდ 3-ჯერ მაღალია, თუ ორგანიზაცია ციფრული ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობს. მცირე

2 2020 წლამდე ეს რიცხვი 50%-ით გაიზრდება

ბიზნესერთეულების მხოლოდ 10% რჩება ბაზარზე, კომერციალიზაციიდან 3 წლის შემდეგ. მძლავრი კონკურენცია მარტივად განდევნის ბაზრიდან სუსტ ერთეულებს.

საჭიროა, სახელმწიფომ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ) პარტნიორ სახელმწიფოებთან, ორმხრივი ურთიერთობები გააღრმავოს ციფრული ეკონომიკის სფეროში, ეკონომიკური დიპლომატია აწარმოოს ციფრული ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მიმართულებით, საგარეო პოლიტიკის სტრატეგია მიმართოს ციფრული ბიზნესგარემოს წარმოქმნის, ციფრული პროდუქტების საექსპორტო პირობების შექმნისა და ციფრული ვაჭრობის სივრცის ფორმირებისაკენ. განახორციელოს ქვეყნის ციფრული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური აქტივობის ამაღლება, საზოგადოების გაძლიერება და კეთილდღეობის ზრდა მიიღწევა ციფრული გარემოს ათვისებით, ციფრული ბაზრების განვითარებით და სამეცნიერო რესურსის აქტიური გამოყენებით არის შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ციფრული საქართველო - ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014 - 2018
2. ც.ნოზაძე, ზ.თეთრუაშვილი, ნ.ნოზაძე - ინფორმატიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები - ბილისი 2007 წ.
3. ც. ნოზაძე, ზ.თეთრუაშვილი, ს. ნოზაძე - კომპიუტერული ქსელები, ინტერნეტი, კომპიუტერული უსაფრთხოება - თბილისი 2007წ.
4. В.Ю. Катасонов «цифровые финансы. Криптовалюты и электронная экономика - Год 2017 isbn: 978-5-9909785-4-6
5. Tapscott, Don (1997). The digital economy : promise and peril in the age of networked intelligence. New York: McGraw-Hill. ISBN 0-07-063342-8.
6. Mesenbourg, T.L. (2001). Measuring the Digital Economy. U.S. Bureau of the Census.
7. Nicholas Negroponte (1995-01-01). "Bits and Atoms". Wired magazine.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის კონკურენტუნარიანობის ანალიზი

თამარ ჩიკავა
სტუ-ს დოქტორანტი

COMPETITIVENESS ANALYSIS FOR THE GEORGIAN VITICULTURE-WINEMAKING INDUSTRY

Tamar Chikava

RESUME

In the article is made competitiveness analysis for the Georgian viticulture-winemaking industry. For the assessment is used Porter's "Diamond model" method. The current state of wine industry in Georgia is reviewed according to six broad factors incorporated into the Porter diamond, which has become a key tool for the analysis of competitiveness. These factors are: factor conditions, demand conditions, related and supporting industries, firm strategy, structure and rivalry, government and chance factors. In order to have better understanding how these factors impact the competitiveness of Georgian wine, the data were analyzed using the SWOT method. Therefore were determined which aspects represent strengths and weaknesses for the Georgian viticulture-winemaking industry, also, what are the future opportunities which can be utilized to increase the competitiveness of Georgian wine in the global markets and which aspects can be considered as threats.

Keywords: Competitiveness, Factor, Cluster, Determinants of Competitiveness, SWOT Analysis.

საკვანძო სიტყვები: კონკურენტუნარიანობა, ფაქტორი, კლასტერი, კონკურენტუნარიანობის დეტერმინანტები, SWOT-ანალიზი.

პირითადი ტექსტი

საქართველოს ღვინის დარგის კონკურენტუნარიანობის სრულყოფილი ანალიზისათვის საჭიროა იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც დადებით ან ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ ამ დარგის განვითარებაზე. ამისათვის გამოვიყენეთ პორტერის "ალმასის" მოდელი და შევაფასეთ თუ როგორი ეფექტი აქვს კონკურენტუნარიანობის დეტერმინანტებს ღვინის დარგის კონკურენტულ საქმიანობაზე. მ. პორტერის მიერ განსაზღვრულია შემდეგი დეტერმინანტები: ფაქტორის პირობები, მოთხოვნის პირობები, მონათესავე და მხარდაჭერი დარგები, ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია, სახელმწიფოს ფაქტორები და შანსის ფაქტორები.

ფაქტორის პირობები - ყველა ქვეყანა ფლობს გარკვეულ ფაქტორის პირობებს, რომლითაც ისინი მოიპოვებენ შედარებით უპირატესობას. ამ ფაქტორის პირობებს შორის ურთიერთკავშირი განსაზღვრავს დარგის კონკურენტუნარიანობას.

ღვრავს დარგის კონკურენტუნარიანობას.

ღვინის დარგის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ ფაქტორთა შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეულია ტერუარი. ქართული ტერუარის ფიზიკური მახასიათებლები - სიმაღლე, დაქანება, მზისკენ ექსპოზიცია, გეოლოგია, ნიადაგის ტიპი და სიღრმე ძალიან ხელსაყრელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ბევრი უნიკალური ჯიშის ვაზია. ქართული ღვინის მწარმოებლები დაკავებულნი არიან სპეციფიკური ტერუარის ღვინის დამზადებით, რომლებსაც აქვთ პოტენცია, რომ მსოფლიოში წარმატება მოიპოვოს განსაკუთრებული და უნიკალური გემოს დამსახურებით. თუმცა, საქართველოს ღვინის დარგის მიერ არ ხდება ამ მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობის წყაროს მთლიანად გამოყენება. ამის მიზეზი არის ის, რომ ადგილობრივი ღვინოები გამორჩეულია არამარტო ვაზის ადგილმდებარეობის მიხედვით, არამედ დამზადების პროცესითა და რესურსების გამოყენებითაც. არასაკმარისად გამოიყენება ღვინის წარმოებისა და ვაზის მოშენების მენეჯმენტის ისეთი პრაქტიკა, როგორცაა, მაგალითად, კლონების არჩევანი, მწკრივების განლაგება და მიმართულება, სასუქისა და პესტიციდების გამოყენება, ირიგაცია, გასხვლა, მოსავლის აღების ტექნოლოგიები და პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა დეტალები. ეს ნაკლოვანებები, მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი გარემოებებისა, ზღუდავს დარგის უნარს, რომ მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა გლობალურ ბაზარზე.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ დარგის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისას არის სამუშაო ძალა. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დაბალი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელი. საქართველოს აქვს უპირატესობა დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელში როგორც დანახარჯების, ისე ხელმისაწვდომობის მხრივ. თუმცა, სხვაგვარადაა საქმე მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელის შემთხვევაში და ერთ-ერთ ნაკლოვანებად სწორედ ასეთი სამუშაო ძალის დეფიციტი გვევლინება. საქართველოში ძალიან მცირეა ღვინის მაღალკვალიფიციური ტექნოლოგების, ვენახების მენეჯერების, მარკეტინგის სპეციალისტების რიცხვი. ბუნებრივია, ეს ფაქტორი დაკავშირებულია ვენახების სუსტ მენეჯმენტთან და, შესაბამისად, ქართული ტერუარის უპირატესობების გამოყენებლობასთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფაქტორები იყოფა საბაზო და განვითარებულ ფაქტორებად. ზემოთ მოყ-

ვანილიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს აქვს უპირატესობები საბაზო ფაქტორებში, თუმცა განვითარებული ფაქტორები, მაგალითად, ინფრასტრუქტურა, მაღალკვალიფიციური მუშახელი, ქვეყანას აკლია და საჭიროა მათ განვითარებაზე ზრუნვა.

მოთხოვნის პირობები - ღვინის დარგის კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე დიდი გავლენა არა აქვთ ადგილობრივი ბაზრის მომხმარებლებს. ისინი არ არიან ძალიან მომთხოვნი ინოვაციური პროდუქტების მიმართ. თუმცა, აღინიშნება ხარისხიან ღვინოზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია, რაც, ბუნებრივია, დადებითად იმოქმედებს ღვინის ხარისხზე, რადგან კომპანიები იძულებულნი იქნებიან დააკმაყოფილონ გარკვეული მოთხოვნები ღვინის გასაყიდად. მართალია, ღვინის დარგს აქვს მზარდი შიდა ბაზარი, მაგრამ ამ ბაზარს ახასიათებს დაბალი მსყიდველობითუნარიანობა.

ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია - საქართველოში მეღვინეობაში საკმაოდ ბევრი კომპანია ფუნქციონირებს. 2016 წლის მონაცემებით, რეგისტრირებულია 413 ღვინის კომპანია. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონკურენცია საკმაოდ მაღალია, რაც ფირმებს მოდუნების საშუალებას არ აძლევს და მათ მუდმივად განვითარებას აიძულებს. ყოველივე ეს კი დადებით გავლენას ახდენს დარგის კონკურენტუნარიანობაზე.

ქართული ღვინის კომპანიების უმეტესობის სტრატეგია არ ითვალისწინებს შრომით რესურსებსა და კვლევებზე დიდი დანახარჯების განევას, ასევე, მაღალი ხარისხის ტექნოლოგიების გამოყენებასა და გარემოსთან თავსებადი პროდუქტების წარმოებას. უმეტესად, კომპანიებში ნაკლები ყურადღება ექცევა სტრატეგიულ მიზნებს და ძირითადი აქცენტი მოკლევადიანი წარმატების მიღწევაზეა გაკეთებული. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ფირმების არახელსაყრელი სტრუქტურა და ზომა. მოქმედი საწარმოების მხოლოდ 18%-ია მსხვილი, უმეტესობა კი მცირე საწარმოა. რაც შეეხება ვენახის ფართობებს, დაახლოებით 10%-ის მესაკუთრე არის 15-20 მსხვილი ზომის საწარმო, ფართობების 90% კი საშუალო და მცირე ზომის საოჯახო მეურნეობებზე მოდის.

მონათესავე და მხარდამჭერი დარგები - კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი წყარო არის კლასტერი. კლასტერი ფირმას აძლევს საშუალებას, რომ გაზარდოს სპეციალიზაცია და ითანამშრომლოს მონათესავე დარგების ფირმებთან.

ღვინის კლასტერი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით: ყურძნის მომყვანები, ღვინის საწარმოები, სასუქების, პესტიციდებისა და პერბიციდების მწარმოებლები, ყურძნის მოსავლის ამღები და ღვინის წარმოების აღჭურვილობა, საირიგაციო სისტემების, ბოთლების, საცობების, ბოცებისა და ეტიკეტების მომწოდებლები, მეცნიერულ-კვლევითი

ინსტიტუტები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამთავრობო უწყებები და საკომუნიკაციო სერვისის მომწოდებლები.

საქართველოს ღვინის დარგი ძირითადად იყენებს უცხოელი მომწოდებლების მასალებს. ღვინის კლასტერის შემადგენელი ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების უმეტესობის წარმოება არ ხდება ქვეყანაში და ღვინის მწარმოებლებს უწევთ მათი იმპორტი სხვა ქვეყნებიდან. დაბრკოლებები არსებობს, ასევე, ღვინის წარმოებაში აუცილებელი მეცნიერული კვლევებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრივ. მართალია, საქართველოში არსებობს გარკვეული საგანმანათლებლო დაწესებულებები, მაგრამ დარგის ეფექტიანობაზე მათი გავლენა მცირეა. პროფესიული განათლება ყოველი დარგის გრძელვადიანი წარმატების საფუძველია. მუდმივი ცვლილებები საბაზისო ცოდნის გაფართოების საჭიროებას მოითხოვს. სხვა პროფესიების მსგავსად, ამ პროფესიაშიც სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზეა აუცილებელი. შესაბამისად, უნდა იყოს იმის შესაძლებლობა, რომ დაინტერესებულ პირებს აქვე შეეძლოთ ღრმა პროფესიული განათლების მიღება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით და კომპანიებს არ უწევდეთ თანამშრომლების გაგზავნა საზღვარგარეთ ცოდნის მისაღებად და ახალი ტექნოლოგიების ასათვისებლად.

არსებობს პრობლემები მევენახეობაშიც. საქართველოში ყურძნის მომწოდებლები მცირე ინდივიდუალური ფერმერები არიან, რომლებიც დაბალი ეფექტიანობით ხასიათდებიან და არ ფლობენ ვაზის მოშენების თანამედროვე ტექნოლოგიებს. დღეს ნაკვეთების უმრავლესობა დაბალხარისხიანი ყურძნის ჯიშებით არის გაშენებული. ასევე, ფერმერების მიერ სასუქებისა და სპეციალური აღჭურვილობის გამოყენება ძალზედ უმნიშვნელოა. ღვინის დარგის განვითარებისთვის აუცილებელია ვენახების გაშენება მაღალსტანდარტული ჯიშებითა და საქართველოს დამსახურებული გამოგონებლის თამაზ ქვლივიძის მიერ შემუშავებული უახლესი მეთოდების გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მაღალხარისხოვანი ყურძნის შედარებით დაბალი დანახარჯებით წარმოება.

სახელმწიფოს ფაქტორები - ზოგადად, ამა თუ იმ დარგის განვითარება დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მხარდაჭერაზე. მევენახეობა-მეღვინეობის დარგი ერთ-ერთი პრიორიტეტულია სახელმწიფოსთვის, ამიტომ სახელმწიფო ცდილობს წაახალისოს ყურძნის წარმოება და რეალიზაცია. მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს 2017 წლის ბიუჯეტში განსაზღვრულია სუბსიდირების განხორციელება. ეს, ბუნებრივია, წამახალისებელი ფაქტორია ფერმერებისთვის, რომ ყურძენი დიდი რაოდენობით აწარმოონ.

სახელმწიფოს ფაქტორებში აღსანიშნავია

საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ამჟამად არცთუ ისე დახვეწილია. საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“, ექსპერტების აზრით, არ არის სრულყოფილი და საჭიროა მისი ძირეული შეცვლა. დამაბრკოლებელი ფაქტორია, ასევე, რუსეთთან დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები. 2006 წელს რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის ემბარგომ სერიოზული დარტყმა მიაყენა ქვეყნის მეღვინეობის დარგს. მართალია, 2013 წლიდან კვლავ გაიხსნა ქართული ღვინისთვის რუსული ბაზარი, მაგრამ ის შეგვიძლია მაინც არასტაბილურად მივიჩნიოთ.

შანსის ფაქტორები - შანსის ფაქტორებში აღსანიშნავია ის, რომ საქართველო კონფლიქტურ ზონაში იმყოფება. რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის 20% (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი), რაც ქმნის დიდ დაძაბულობას, აპრობებს ლტოლვილთა და დევნილთა დიდძალი ნაკადების წარმოქმნას და, ეკონომიკის სხვა დარგებთან ერთად, სერიოზულად აფერხებს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას.

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ, თუ რა გავლენას ახდენს პორტერის „აღმასის“ მოდელში ჩამოყალიბებული ფაქტორები მეღვინეობის კონკურენტუნარიანობაზე და შევძლოთ ანალიზის გაკეთება, მიზანშეწონილია წარმოვადგინოთ ეს მონაცემები SWOT-ის სახით.

ძლიერი მხარეები

- ბუნებრივი პირობები - არაორდინარული ნიადაგები და კლიმატი, ვაზის უნიკალური ჯიშები;
- წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი;
- ყურძნის წარმოებაზე გამოყენებული შრომის დაბალი ღირებულება;
- გამოცდილი მუშახელი;
- უნიკალური ბრენდების წარმოების შესაძლებლობა;
- მაღალი ცნობადობა დსთ-ს ქვეყნებში;
- ხელსაყრელი ადგილმდებარეობა დსთ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში ტრანსპორტირების დაბალი დანახარჯებისათვის;
- სახელმწიფო ხელშემწყობი პოლიტიკა;
- მიმზიდველობა უცხოელი ინვესტორებისათვის.

სუსტი მხარეები

- მაღალკვალიფიციური მუშახელის დეფიციტი;
- თანამედროვე აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა;
- ვენახების სუსტი მენეჯმენტი;
- მაღალი დანახარჯები იმპორტირებულ მასალებსა და კომპონენტებზე;
- ყურძნის დაბალი მწარმოებლურობა და ეფექტიანობა;
- მომუშავეთა განათლების დაბალი ხარისხი;

- დაბალი ცნობადობა დსთ-ს ქვეყნების გარეთ;
- მცირე ინვესტიციები მეცნიერულ კვლევაში;
- ფირმების სუსტი სტრატეგიები;
- მარკეტინგული უნარების ნაკლებობა;
- მეღვინეთა შორის ერთიანობის არარსებობა;
- ქართული ღვინის შესახებ ობიექტური და დახვეწილი ინფორმაციის არარსებობა;
- არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა.

შესაძლებლობები

- ახალი გლობალური ბაზრების ათვისება;
- ძველ ბაზრებზე უფრო ღრმად დამკვიდრება;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
- მაღალხარისხიანი და ხელმისაწვდომი პროდუქტების წარმოება და ცნობადობის გაზრდა;

საფრთხეები

- არსებული ბრენდების ფალსიფიცირება;
- ვაზის დაავადებების გავრცელების რისკი;
- საომარი სიტუაციის დადგომა;
- პოლიტიკური დესტაბილიზაცია;
- საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციის გამძაფრების რისკი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს გააჩნია საკმარისი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს კონკურენტუნარიანი ღვინის ექსპორტიორ ქვეყნად, თუმცა აუცილებელია რიგი ღონისძიებების გატარება პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად და ღვინის წარმოებაზე განეული დანახარჯების შესამცირებლად.

ბაიოყენილი ლიტერატურა

1. გაეროს ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის რეგიონული ბიურო, „საქართველოში ვაჭრობის განვითარებისათვის საჭიროებების შეფასება“, თბილისი, 2011
2. საქართველოს ღვინის ასოციაცია, საქსპორტო ბაზრების განვითარების გეგმა, ღვინის სექტორი, თბილისი, საქართველო, 2011
3. ქართული ღვინის ასოციაცია, <http://www.gwa.ge>
4. ღვინის ეროვნული სააგენტო, <http://georgianwine.gov.ge/>
5. Berulava G., The Impacts of the Free Trade Agreement with the European Union on the Georgian Wine Industry: the Competitiveness Analysis, 2008
6. <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/50-295/1>
7. World Bank Group, “Georgia Sector Competitiveness Overview”, 2009, p.27.

სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონსეპტუალური მოდელი

სალომე ოდიშარია
სტუ-ს დოქტორანტი

RESUME

Salome Odisharia

Nowadays, the general view of the threats and security concepts of economic spheres are not formulated, established. This circumstance is quite a hindrance for the subjects of economic space to fit globalization effectively and the same time to be successful, primarily in the economic space. We will try to offer you an idea of the creation of an economic security system in any enterprise and the conceptual implementation of its realization, to analyze the main problems first of all in the economic security of the society, people, enterprises or governments. Ensuring of economic security of enterprises serve as a basis for sustainable development both businesses and the economy as a whole.

Keywords: Globalization, Economic Security, Economic Space Subjects, Economic Security System, Enterprise, State

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური სივრცის სუბიექტები, ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა, სანარმო, სახელმწიფო

* * * *

თანამედროვე სამყარო გადავიდა თავისი განვითარების ხარსხობრივად ახალ ეტაპზე, რაც გამოაშკარავებულია წარმოების რესურსული ბაზის განახლებაში ინფორმატიზაციის საფუძველზე, თვით სანარმოო პროცესის მოდერნიზაციაში ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის მეშვეობით. ესაა შედეგი თავბრუსხვევი განვითარებისა ინფორმატიზაციის, ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების, რომლებიც ვრცელდება ცხოვრების ყველა სფეროში, უზრუნველყოფენ რა სრულიად ახალ შესაძლებლობებს საზოგადოების პროგრესისათვის. ამასთან ერთად ფორმირდება საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ახალი ხერხი, რომლის დროსაც იზრდება სოციალური აქტორების მიერ საკუთარი ავტონომიურობის დაკარგვის შესაძლებლობა, ვინაიდან გლობალიზაციის პროცესში ისინი იძულებული არიან მოერგონ „მეტასამყაროს“, შლის რა მათი იდენტურობის საფუძველს, აქედან გამომდინარე, წამოიშობა იმის გამოკვლევის აუცილებლობა, რანაირად უნდა მოხდეს ასეთ პირობებში არა მარტო შენარჩუნებულ იქნას, არამედ გაზრდილ იქნას პოტენციალი არა მარტო თავის გადარჩენისა, არამედ პროგრესული განვითარებისათვის. უუნარობა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა მიზნების

განსაზღვრაში და გადაწყვეტილებების მიღებაში მათ მისაღწევად, ქმნის კონკურენტულ ბრძოლაში გადარჩენის შანსის დაკარგვის წინაპირობებს. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს მართვის ორგანოების, მეცნიერებისა და ბიზნესის წარმომადგენლების, პოლიტიკოსების და უბრალო მოქალაქეების მიერ დღეს ხდება ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობის დეკლარირება, როგორც სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და აყვავების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძვლის. მთელ რიგ ქვეყნებში ცალკეული სუბიექტების მხრიდან და ცალკეულ მსხვილ ქალაქებში არის ეკონომიკური უსაფრთხოების (ეკუ) სისტემების შექმნის მცდელობები. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი მიდგომა ამ პრობლემისადმი, მეცნიერულად დასაბუთებული პრაქტიკული რეკომენდაციები, ასეთ მოღვაწეობას არ მოაქვს სასურველი შედეგები. მთავარი მიზეზი, როგორც აჩვენებს ანალიზი, მდგომარეობს სამეცნიერო წრეებში მეთოდოლოგიურად სწორი წარმოდგენის არ არსებობაში განსახილველი ფენომენის არსის მარტივი და ლოგიკურად სწორი მეთოდების შესახებ. მის გამოსაკვლევად. ნებისმიერი სამეცნიერო თეორიისათვის ამ ბაზური ამოცანის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია დამუშავებულ იქნას ეკონომიკური სფეროს ელემენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ქმედითი მეთოდები და აუცილებელი საშუალებები.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ეკუ-ის თემა აქტიურად განიხილებოდა სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებში, მას ეძღვნებოდა სემინარები და კონფერენციები. 90-იანი წლების შუა პერიოდში გამოიცა მთელი რიგი ნაშრომებისა ეკონომიკურ უსაფრთხოებაში, გამოიცა ასევე მრავალრიცხოვანი სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები.

ახალ საუკუნეს არ მოუტანია ამ თემაზე ახალი მიდგომები და იდეები, მაგრამ გამოაშკარავა საფრთხეების ახალი ქვესახეობები და მოახდინა სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების კონცენტრირება ვინრო და კონკრეტული ამოცანების განწყვეტაზე.

ამჟამად საკმაოდ ვრცლად განიხილება პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული არის ეკუ-ის კრიტიკული შემთხვევით და შეფასებებთან, ეკუ-ის უზრუნველყოფის სტრატეგიასთან, ფაქტორებთან და მაჩვენებლებთან, რომლებიც ასახავენ სახელმწიფოს, რეგიონის, სანარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას. იყო და არის მცდელობა რაც შეიძლება ღრმად იქნას გამოკვლეული სახელმწიფოს როლი ეკონომიკის

მდგრადად და წარმატებულად ფუნქციონირების უზრუნველყოფაში.

ამ დროს სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი აჩვენებს, რომ არასაკმარისადაა შესწავლილი, პირველ რიგში, თვით უსაფრთხოების ფენომენი. სახეზეა ფრაგმენტალურობა, შერჩევითი მიდგომა ამ პრობლემის ცალკეული ასპექტებისადმი.

ყველაზე უფრო გავრცელებულ და არსებით შეცდომებს, რომლებსაც მკვლევარები უშვებენ ზოგადად უსაფრთხოებასთან და კერძოდ ეკუ-ის ფენომენტთან დაკავშირებით, მიეკუთვნებიან:

- დიალექტიკური კავშირის არ არსებობა ცნების „უსაფრთხოება“ ცნებასთან „საფრთხე“;
- უსაფრთხოების განსჯა როგორც „უსაფრთხოების მდგომარეობისა“;
- უსაფრთხოების გაიგივება მდგრადობასთან;
- ცნებების მკაფიო დიფერენციაციის არ არსებობა, როგორც არის „რისკი“, „მუქარა“, „საშიშროება“ და სხვა;
- უსაფრთხოების სახეობებისა და ქვესახეობების ერთიანი საფუძვლის არ არსებობა;
- უსაფრთხოების სუბიექტებისა და ობიექტების, მუქარების წყაროების არასწორი შერჩევა;
- ზედმეტად ფართე ან ზედმეტად ვიწრო განმარტება უსაფრთხოების ცნების საკვლევ დარგში;
- განმარტება „უსაფრთხოებისა საერთოდ“ დაუკავშირებლად უსაფრთხოების ობიექტთან და მის სტრუქტურულ დონესთან.

ამჟამად ეკუ-ის თეორიაში ყველაზე უფრო დამუშავებულ და პრეზენტირებადად ითვლება ეკუ-ის ანალიზისა და შეფასებების გამოყენებით ინდიკატორების მეთოდოლოგია, რომლებიც ასახავენ ეკონომიკის კრიტიკულ „მტიკინეულ წერტილებს“.

მიუხედავად იმისა, რომ მაჩვენებლები-ინდიკატორები საკმაოდ ობიექტურად ახასიათებენ საქმეების მდგომარეობას ეკონომიკაში, და, გამომდინარე მათი ანალიზიდან, შეიძლება განისაზღვროს ეკონომიკური პროცესების განვითარების ტენდენცია, ექსტრაპოლირებულ იქნას ზოგიერთი შედეგები, გაკეთდეს დასკვნები იმის შესახებ, იმყოფება სისტემა საფრთხეში ან უსაფრთხოადაა არ შეიძლება.

დიალექტიკური მიდგომის თანახმად ეკუ-ის ფენომენი არ შეიძლება განიხილებოდეს მონყვევით მისი საპირისპიროსაგან – ეკონომიკური საფრთხისაგან დიალექტიკურად ოპოზიცია „საფრთხე – უსაფრთხოება“ წარმოადგენს უწყვეტად დაკავშირებულს, ურთიერთგანპირობებულს და ურთიერთშემავსებლებს. ამაზე მიგვითითებს ეკონომიკური მიდგომა გამოკვლევებისადმი ცნებების „საფრთხე“ („საშიშროება“) და „უსაფრთხოება“ („უშიშროება“). „უსაფრთხოება“ არ შეიძლება განხილულ იქნას კვლევების საწყისად, რადგანაც თავისთავში შეიცავს უარყოფას (უსაფრთხოება – საფრთხის გარეშე) იმისა, რის გარეშეც არ შეუძლია არსებობა – „სა-

ფრთხის“ გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „უსაფრთხოება“ არის წარმოებული „საფრთხისაგან“ და მცდელობა გაანალიზდეს „უსაფრთხოება“ მკაფიო განსაზღვრის გარეშე მისი საფუძვლისა – „საფრთხე“ – ეს იგივეა, რომ მათემატიკაში აიგოს წარმოებული უცნობი ფუნქციისაგან. ჯამში შედეგი ცხადია: უსასრულო რაოდენობა ვარიანტებისა.

მაგალითად, თანამედროვე რუსულ მეცნიერებაში (რომ არაფერი ვთქვათ საქრთველოზე), ცნება „საფრთხე“, როგორც წესი, საერთოდ არაა ახსნილი, ან ხდება მისი განმარტება როგორც ერთ-ერთისა მუქარებიდან, ან როგორც „სრულიად შეცნობადი, მაგრამ არა ფატალური ალბათობა ზარალის მიყენებისა ვინმესათვის, რამისათვის“. ამ დროს „უსაფრთხოება“ განიმარტება როგორც:

- მდგომარეობა, როცესაც არაა საფრთხე, ანუ ფაქტორები და პირობები, რომლებიც ემუქრებიან რომელიმე ობიექტის არსებობას;
- ობიექტის დაცულობის მდგომარეობა;
- მდგომარეობა, ტენდენციები განვითარების და პირობები ცხოველმომქმედებებისა სოციუმის, მისი სტრუქტურების, ინსტიტუტების და დადგენილებების, რომელთა დროსაც უზრუნველყოფილია მათი ხარისხობრივი განსაზღვრულობა;
- ობიექტის თვისებების უცვლელობა.

უსაფრთხოების განხილვის ყველაზე უარეს ვარიანტს წარმოადგენს მისი განმარტება როგორც დაცულობის მოცემული მიდგომის ზარალიანობა (ნამგებინანობა) ცხადია: ანალიზიდან სრულად გამორიცხულია საფრთხეების წყარო და ობიექტი, რომლის უსაფრთხოებაც საჭიროა (აუცილებელია) უზრუნველყოფილ იქნას.

ეკუ-ის ობიექტების სახით, თუ გავითვალისწინებთ დღეს ეკონომიკურ თეორიაში ეკონომიკური სფეროს დაყოფის დამკვიდრებულ პრინციპს, სტრუქტურულ ასპექტში შესაბამისად, მომუშავე, სანარმო, სახელმწიფო სამ დონედ: მიკრო, მაკრო და მეგად, – უნდა განიხილებოდეს. ამ დროს ეკონომიკური სისტემები, რომელთა ელემენტებსაც ისინი წარმოადგენენ, სისტემური თეორიის თანახმად მათთვის იქნებიან როგორც გარე გარემო. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო წრეებში, საზოგადოებრივ ცნობიერებაში ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო მიიჩნევა, ვითარებიდან გამომდინარე, ეკონომიკური მოღვაწეობის (უსაფრთხოების) ან ობიექტად, ან სუბიექტად, მიკრო – და მაკრო – დონეებზე ასეთად არ ითვლება. ეკონომიკური მოღვაწეობის (უსაფრთხოების ობიექტის) სუბიექტის სახით „სახელმწიფო“ შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ საერთაშორისო არენაზე, ანუ მეგა დონეზე. ყველაფერი ეს წარმოადგენილია შემდეგი სახით (იხ. ცხრილი 1).

ამრიგად, სანარმო ესაა, პირველ რიგში, მაკრო დონის ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტი, ღია სისტემა. სანარმოსადმი სისტემური მიდგომა [1, 4] გვკარნახობს, რომ მას აუცილებლად უნდა ქონდეს

სტრუქტურული დონე	ეკონომიკური სისტემა	უსაფრთხოების ობიექტი
მიკრო	საწარმო (კორპორაცია)	მუშაკი/მომხმარებელი
მაკრო	სახელმწიფო / ეკონომიკური სფერო	საწარმო/დანესებულება
მეგა	მსოფლიო ეკონომიკური სისტემა	სახელმწიფო/სახელმწიფოთა-შორისი კავშირი

განსაზღვრული მთავარი მიზანი ქვემიზანთა სიმრავლით

$$Z = \{z_i\}, i = \overline{1, I} \quad (1)$$

რომლის რეალიზაციისათვის მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს რესურსების სიმრავლე: ინტელექტუალური, მატერიალური, საფინანსო და ა.შ.

$$R = \{r_j\}, j = \overline{1, J}. \quad (2)$$

საწარმომ უნდა განსაზღვროს ფუნქციათა ის სიმრავლე

$$\Phi = \{\Phi_n\}, n = \overline{1, N}, \quad (3)$$

რომელთა მეშვეობითაც ის შესძლებს მიზნის (ქვემიზნებით) რეალიზებას და ჩამოაყალიბებს საწარმოს ფუნქციურ სტრუქტურას, რომლის მეშვეობითაც მან უნდა წარმართოს საწარმოს მრავალდონიანი (აქ საუბარია ზოგადად რთულ დიდ მასშტაბიან საწარმოზე) პროცესები

$$\psi_1^{(k)}, \psi_2^{(k)} \dots \psi_m^{(k)}, m = \overline{1, M}, k = \overline{1, K} \quad (4)$$

სადაც M არის პროცესების რაოდენობა სხვადასვა K დონეებზე, ისეთნაირად, რომ მაქსიმალურად ეფექტურად შესრულდეს საწარმოს ფუნქციათა ნ სიმრავლე. საამისოდ კი აუცილებელია ყოველი პროცესისათვის შესაბამისი პარამეტრების სიმრავლის

$$Q_1^{(k)}, Q_2^{(k)}, \dots, Q_l^{(k)}, l = \overline{1, L}, k = \overline{1, K}, \quad (5)$$

უზრუნველყოფა.

საწარმო, როგორც ღია სისტემა, ვერ შეძლებს ეფექტურად ფუნქციონირებას და დასახული მიზნის მიღწევას თუ ის არ გაითვალისწინებს გარე გარემოს, მის მიერ არამართვად ფაქტორებს, ვუნდოთ მათ გარე გარემოს პარამეტრები, როგორებიცაა:

1) გარემოს აქტიურად უკუმოქმედი პარამეტრები: $b_1, b_2, \dots, b_p, p = \overline{1, P};$

2) გარემოს ნეიტრალური (შემთხვევითი) პარამეტრები: $c_1, c_2, \dots, c_w, w = \overline{1, W};$

3) გარემოს ხელშემწყობი პარამეტრები: $d_1, d_2, \dots, d_v, v = \overline{1, V}.$

ამრიგად, საწარმოს საკუთარი ფუნქციური Ω არე განისაზღვრება მისი ყველა მდგომარეობით ანუ პარამეტრებით მისი ყველა k დონის (იგულისხმება, რომ საწარმოს-სისტემის იერარქიული დაყოფა (მაგ-

ალითად: სამმართველოები, განყოფილებები, ქვეგანყოფილებები, მუშაკები და ა.შ.) მოიცავს k რაოდენობის დონეს ჩათვლით:

$$Q = \{Q^k, Q^k, \dots, Q^k\} \quad (5)$$

გარე გარემოს ფაქტორები-პარამეტრები b_p, c_w, d_v გავლენას ახდენენ საწარმოს პარამეტრებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესების წარმართვას, და შესაბამისი დონის ფუნქციის შესრულებას. გარემოს უშუალო კონტაქტი აქვს სისტემის-საწარმოს უმდაბლესი დონის ქვესისტემებთან, რომელთა მეშვეობითაც ის ზემოქმედებს საწარმოს ყველა ზედა დონის ქვესისტემებთან, ამიტომ ნაბისმიერი დონის პროცესისათვის გვექნება:

$$\psi_m^* = \psi_m^*(\{Q_l^*\}, \{b_p\}, \{c_w\}, \{d_v\})$$

$$m = \overline{1, M}, l = \overline{1, L}, p = \overline{1, P}, w = \overline{1, W}, v = \overline{1, V} \quad (6)$$

საწარმოს ნებისმიერი ზედა დონის პარამეტრების განსაზღვრა ხდება ქვედა დონის პროცესებზე დამოკიდებულებით, მაგალითად, პირველი დონის $Q_l^{(1)}$ პარამეტრებს განსაზღვრავს მეორე დონის $\psi_m^{(2)}$ პროცესები, ე.ი. გვაქვს

$$Q_l^{(1)} = Q_l^{(1)}(\{\psi_m^{(2)}\})$$

$$l = \overline{1, L}, m = \overline{1, M} \quad (7)$$

იმისათვის, რომ საწარმომ მიაღწიოს დასახულ მთავარ მიზანს (თავისი ქვემიზნებით) მან უნდა მართოს საწარმოო პროცესები ყველა დონეზე ისე, რომ მიზნის რეალიზაციისათვის საჭირო ფუნქციების ხარისხი იყოს საუკეთესო (მაქსიმალურად შესაძლო). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ფუნქციის ხარისხის გასაკონტროლებლად უნდა იყოს განსაზღვრული - შერჩეული შესაბამისი ეფექტურობის მაჩვენებელი

$$\exists_s = \exists_s(\Phi_s)$$

$$S = \overline{1, N} \quad (8)$$

იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ფუნქციის შესრულება საჭიროებს შესაბამის პროცესებს, რომლებიც, როგორც ვაჩვენეთ, დამოკიდებული არიან პარამეტრებზე და ასევე გარე გარემოს ფაქტორებზე (პარამეტრებზე). ამრიგად, ეფექტურობის შეფასებისას უნდა ვისარგებლოთ საკმაოდ რთული გამოსახულებით

$$\exists_s = (\{\psi_m^{(1)}(\{Q_l^{(1)}\}, \{b_p\}, \{c_w\}, \{d_v\})\})$$

$$S = \overline{1, N}, m = \overline{1, M}, p = \overline{1, P}, w = \overline{1, W}, v = \overline{1, V} \quad (9)$$

პროცესების წარმართვა გულისხმობს, რომ საწარმოს გააჩნია შესაბამისი რესურსები (ყველაფერი ის რაც საჭიროა ბიზნეს პროცესების ისეთ-ნაირად წარმართვისათვის, რომ მიღწეული იყოს საწარმოს ძირითადი მიზანი თავისი ქვემიზნებით). ამრიგად, თუ ამ რესურსებს გავაიგივებთ საწარმოს მიზნის რეალიზებისათვის საჭირო ინვესტიციებთან, მაშინ საწარმოს საქმიანობის საერთო ეფექტურობა როის კოეფიციენტის სახით უნდა აღემატებოდეს ერთს ან რაიმე წინასწარ გაანგარიშებულ სიდიდეს (რალაც ერთზე მეტ ზღურბლურ მნიშვნელობას Th):

$$\rho_{Th} = \frac{\text{შემოსავლები-ხარჯები}}{\text{ინვესტიცია}} = \frac{E_n - X_n}{I_n} \quad (10)$$

ამისი მიღწევა პირდაპირ კავშირშია საწარმოს უნართან და შესაძლებლობებთან, გაანალიზოს მისი მოღვაწეობის გარე გარემოს პარამეტრები და შეაფასოს მათი შესაძლო გავლენების მნიშვნელობა და მასშტაბები, გამოიმუშაოს ის ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც შეძლებს შესაბამის რეაგირებას.

მიგვაჩნია, რომ დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა გულისხმობს სისტემური ხედვის და სიტუაციური შეფასება-მართვის გამოყენებას, ესაა ურთულესი პრობლემა და მისი წარმატებით გადაწყვეტა შესაძლებლად მიგვაჩნია საწარმოში ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებით. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა ესაა: ექსპერტი ანალიტიკოსების ჯგუფი მინიჭებუ-

ლი საჭირო უფლებამოსილებით, აღჭურვილი თანამედროვე ინტელექტუალური საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემებით და კავშირებით საწარმოს ფუნქციონირება-საქმიანობასთან, საწარმოს უმაღლეს ხელმძღვანელობასთან, საწარმოს მოღვაწეობის გარე გარემოსთან (შესაბამის წყაროებთან, სახელმწიფო ორგანოებთან და ა.შ.).


სქემატურად საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის (სამსახურის) ჩართულობა წარმოგვიდგენია შემდეგნაირად (ნახ.1.).

საწარმოს ეკუ-ის სისტემის მთავარი დანიშნულებაა საწარმოში მიზნის შესრულების სიტუაციური შეფასება და საწარმოს ძალისა და სისუსტეების გამოვლენა, გარე გარემოს ფაქტორების ზეგავლენების შეფასება და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების პროცესის ზოგადი სქემა მოიცავს თანმიმდევრულად ან ერთდროულად განხორციელებულ შემდეგ ქმედებებს:

- აუცილებელი კორპორატიული რესურსების ჩამოყალიბება;
- ეკონომიური უსაფრთხოების ფუნქციური კომპონენტების პროგნოზირება და დაგეგმვა;
- საწარმოს ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა;
- ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციური კომპონენტების საერთო ტაქტიკური დაგეგმვა;
- საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ტაქტიკური დაგეგმვა;

ნახ.1. საწარმო და მისი ეკუ-ის სისტემა



- სანარმოს ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის საოპერაციო მართვა;
- ეკონომიკური უსაფრთხოების დონის ფუნქციური ანალიზის განხორციელება;
- ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწეული დონის ზოგადი შეფასება.

შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ კონკრეტული ქმედებების საჭირო მოცულობის განხორციელება იქნება სანარმოო ეკონომიკური უსაფრთხოების სათანადო დონის მიღწევა შესაძლებელი.

ამრიგად, სანარმოს სისტემური წარმოდგენა ნათლად გვიჩვენებს, რომ გლობალიზაციის პირობებში მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, გარე გარემოს ზემოქმედების ფაქტორების გათვალისწინებით, საჭიროებს სიტუაციური მართვის მკაფიოდ განსაზღვრა-დანერგვას, ვინაიდან, ჩვენი კონცეფციის თანახმად, ესაა მთავარი ინსტრუმენტი მისი ეკონომიკურად უსაფრთხოდ ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი კონცეფცია გვიჩვენებს, რომ სანარმოს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა შექმნას ეკუ-ის სისტემა, რაც თანამედროვე სოლიდური

ინტელექტუალური და საინფორმაციო-ანალიტიკური რესურსების გამოყენებასთანაა დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Мескон М. Х., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента: Пер. с англ. _ М.: Дело, 1999г.
2. Кочергина Т.Е. Экономическая безопасность _ Ростов Н/Д: Феникс, 2007.
3. Стрельцов А.А. Обеспечение информационной безопасности России. Теоретические и методологические основы _ М.: МЦНМО, 2007.
4. Прангишвили И. В. Системный подход и общесистемные закономерности. Серия «Системы и проблемы управления» - М.: СИНТЕГ, 2000.
5. https://booksforstudy.com/1612081553592/ekonomika/diagnostika_ekonomichnoyi_bezpeki_pidpriyemstva.htm
6. International Review of Management and Marketing, 2016, 6(S1) 172-178.

IMPORT SUBSTITUTION
LOCAL PROCESSING INDUSTRY

Tamta Utnelishvili

SUMMARY

Concrete industrial policy instruments, used by the Government of Georgia to develop manufacturing, are described in the article. It also reflect diagnostic Method of Inclusive economic growth. The article highlights the Competitive Performance Index, the main purpose of which is to benchmark and measure selection of strategies for industrial competitiveness. It has free main assessment dimensions. The first dimension reflects the capabilities of country to produce and export. The second dimension includes technological depth and progress of a country. The third dimension reflects the competitiveness of a country on a global level. Currently, with regards to the development of the manufacturing sector in Georgia three state agencies are working . The institutions are: „The Entrepreneurship Development Agency”, „Partnership Fund” and „Georgian Industrial Development Group”. One more state institution that is somehow related to industrial policy is Georgia’s Innovation and Technology Agency. All these institutions should be promoting the Industrial processing in Georgia.

Keywords: Import-Export Processing Industry, Inclusive Development of Eco-Project, Industry Competitiveness Indexes, State Projects Priorities in the Industry

საკვანძო სიტყვები: იმპორტზე დამყარებული გადამამუშავებელი ინდუსტრია, ეკონომიკის ინკლუზიური განვითარება, ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ინდექსები, სახელმწიფო პროექტების პრიორიტეტები ინდუსტრიაში.

ძირითადი ტექსტი

იმპორტზე დამყარებული გადამამუშავებელი ინდუსტრიის ხელშესაწყობად სასურველია ადგილობრივი წარმოების პროდუქტების კონკურენტუნარიანობის და საექსპორტო პოტენციალის ამაღლება, რადგან იმპორტირებული პროდუქტები გამოირჩევიან დაბალი ფასით. საქართველოში, ხომ სურსათზე დეფიციტის შევსება იმპორტული პროდუქტების ხარჯზე ხდება. ამასთან, უცხოური ინვესტიციების სტიმულირებაც ხელს უწყობს გადამამუშავებელ ინდუსტრიის სივრცეში ახალი ბაზრების დივერსიფიკაციის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ მ.

პორტერმა აჩვენა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კონკურენტუნარიან ინდუსტრიათა ისეთი ჯგუფების არსებობა, რომლებიც მცირე ტერიტორიული განვრცობის მიუხედავად მსოფლიო ბაზარზე ლიდერის პოზიციას ინარჩუნებენ. დღეს საშინაო ბაზარი იმპორტირებული პროდუქტით არის გაჯერებული, ამიტომ ქართული იმპორტზე დამყარებული გადამამუშავებელი ინდუსტრიის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მარალხარისხიანი პროდუქციის წარმოების გაზრდით. მიზანშეწონილია, რომ დარგის შესაბამისი ექსპერტების მიერ მოხდეს რეგიონების მიხედვით კონკურენტუნარიანი პროდუქტების გამოვლენა, შემდგომ კი მათი წარმოების უმაღლესი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. ასევე, წონასწორობის სტრუქტურები როგორცაა: სასაქონლო ბირჟები, სავაჭრო სახლები, კომერციული ცენტრების გარეშე შეუძლებელია გადამამუშავებელი მრეწველობის სრულყოფილად ფუნქციონირება და სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდების მაღალი კონცენტრაციის უზრუნველყოფა. იმპორტზე დამყარებული ინდუსტრიის ხელშეწყობა უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებული ფასის საშუალებით. თავის მხრივ გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება ხელს შეუწყობს რეგიონებში მცხოვრებთა დასაქმებას და მუდმივ შემოსავალს, აგრეთვე უზრუნველყოფს მონეული პროდუქციის რეალიზაციას. დღეისთვის რამდენიმე გადამამუშავებელ საწარმოში ახდენენ ნედლეულის იმპორტირებას, რადგან ქართველი გლეხებისაგან ჩაბარებული პროდუქტის მოცულობა ვერ უზრუნველყოფს წარმოებას. (FAO)-ს მონაცემებით საქართველოში ოჯახური ჰოლდინგების 82% აწარმოებს უმთავრესად იმას, რასაც თვითმოიხმარენ. მაგალითად, საქართველოში კახეთის და შიდა ქართლის რეგიონებზე მოდის ატმის წარმოების 90%. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ატამი საკმაოდ დიდი რაოდენობით ინარჩუნება, ქვეყანაში არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება მთელი წლის განმავლობაში ხორციელდება თურქეთიდან, სომხეთიდან, საბერძნეთიდან. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავების შედეგად 4,4 მილიარდი ლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია შეიქმნა. ჩაგადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტების ფარგლებში ფინანსდება სამეურნეო კულტურები, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (USAUD/REAP) მხარდაჭერით, ხორციელდება ბენე-

ფიცირებისთვის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა. საყურადღებოა, რომ აყველა საწარმო, რომელიც გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანდაფინანსების პროგრამით სარგებლობს, ვალდებულია, ISO-22000-ის ან HACCP-ის საერთაშორისო სტანდარტი დანერგოს. იმისათვის, რომ გადამამუშავებელი წარმოება რენტაბელური გახდეს, საჭიროა საფასო მხარდაჭერის სტრატეგიის განხორციელება და საბაზრო კოორდინაციის ხელშეწყობა. ასევე, უცხოელ ინვესტორებთან უნდა ჩამოყალიბდეს სასაქონლო ბირჟები, საკონსულტაციო და მარკეტინგული ორგანიზაციები, რომლებიც მოახდენენ ერთგვაროვანი და შემავსებელი პროდუქტების მწარმოებელთა სახელშეკრულებო გაერთიანებას. იმპორტმცველი ინდუსტრიის უზრუნველსაყოფად საქართველოში უაღრესად ხესაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების გამოცდილება არსებობს. იმპორტის ზრდა, ხომ პირდაპირ კავშირშია ნათესი ფართობების და წარმოების პროდუქციის შემცირებასთან. მსოფლიო გამოწვევების ფონზე, რაც გაეროს მონაცემებით გულისხმობს: იაფი საკვების წარმოების პერიოდის დამთავრებას და 2020-2050 წლებში სურსათზე მწვავე დეფიციტის წარმოქმნას, მსოფლიოს ქვეყნებში საკუთარი სურსათით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფას, მიგვანიშნებს იმაზე, რომ აუცილებელია გადამამუშავებელ ინდუსტრიაში დაინერგოს ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენების ტენდენციები, რათა ხელი შეეწყოს იმპორტმცველი პროდუქციის წარმოებას. უწინარეს ყოვლისა, მიზანშეწონილია შეიქმნას პროდუქციის უვნებლობაზე შემომნების თანამედროვე ლაბორატორია, დაინერგოს შესასყიდ პროდუქციაზე მინიმალური ფასების დანესების პრაქტიკა, ასევე უნდა განხორციელდეს ადგილობრივი მრეწველობის მიერ ნედლეულის შესყიდვა და გადამამუშავება. აყოველივე ეს კავშირშია სახელმწიფოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდაუვალ პროცესთან, ქვეყანაში ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარების აუცილებლობასთან გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების მიზნით, რამაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ინდუსტრიალიზაციის განვითარებაში. საყურადღებოა, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის, ისეთი როგორც საქართველოა, გადამამუშავებელი ინდუსტრიის სექტორი არის უმნიშვნელოვანესი სფერო, როგორც ეროვნული წარმოების, ასევე ქვეყნის მდგრადობასთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ გადამამუშავებელი ინდუსტრია დღესდღეისობით წამყვან პოზიციებს იკავებს ექსპორტის დამატებითი ღირებულების შექმნის, დასაქმების მხრივ, უცხოური ინვესტიციების როლი ქართულ ინდუსტრიულ სექტორში მაინც დაბალია. ეს თავის მხრივ დაკავშირებულია ადამიანური კაპიტალის სისუსტესთან, პოლიტიკურ სტაბილურობასთან. E ეკონომიკურ აღმავლობას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინდუსტრიული სექტორი, რომელიც მოიცავს მოდერულ მრეწველობას, მდგრად ინდუს-

ტრიის როლს. საყურადღებოა, რომ ინდუსტრიული სექტორი ავითარებს მეცნიერების, კვლევების და განვითარების სფეროებს. უმნიშვნელოვანია საქართველოს ინდუსტრიულ სექტორში დარგები, რომლებიც ქმნიან დამატებით ღირებულებას და ხელს უწყობენ ადამიანების დასაქმებას. ჩგარდა ამისა, საქართველოს ინდუსტრიული სექტორისათვის მნიშვნელოვანია ფინანსური სტიმულები (ფული), რეგულაციები (კანონი), საჯარო-კერძო დიალოგი, სახელმწიფო ინტერვენციის ინოვაციური ფორმები. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოსათვის გადამამუშავებელი მრეწველობა-ინდუსტრია არის ყველაზე უფრო პროდუქტიული სფერო დაბალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობასთან შედარებით. ადგილობრივ გადამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილ სამუშაო ადგილებს შეუძლიათ შექმნან სერვისებთან დაკავშირებული სამუშაო ადგილები. ჩგამოცდილების გაზიარება შეიძლება ისეთი განვითარებადი ქვეყნებიდან, როგორცაა: სამხრეთ კორეა, სინგაპური, ჩინეთი, მექსიკა, პოლონეთი. ისინი ინდუსტრიულად კონკურენტუნარიანი ქვეყნების ტოპ ხუთეულში არიან. საქართველომ გეზი უნდა აიღოს თანამედროვე გადამამუშავებელ ინდუსტრიის განვითარებაზე, რაც ნაკარნახევია იმ გარემოებითაც, რომ შეუძლებელია ცხოვრების საშუალო დონის ამაღლება ახალი სამუშაო ადგილების შექმნის გარეშე.

საქართველოს ინდუსტრიული სექტორისთვის საყურადღებოა, გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO)-ს მიერ აღიარებული მდგრადი და ინკლუზიური განვითარება. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი მოდელის დანერგვას, რომლის პირობებშიც ეკონომიკური ზრდის პარალელურად მცირდება სიღარიბე და უმუშევრობა მოსახლეობაში. საქართველოში ინდუსტრიულ სექტორში ინკლუზიური განვითარების მისაღწევად საჭიროა მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა, სადაც გამოიყენება ზრდის დიაგნოსტიკის მეთოდი (Growth Diagnostic Method). ეს პრობლემები და დაძლევის გზებია:

1. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა; (საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება) (ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა) (ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება)
2. ადამიანური კაპიტალის განვითარება; (შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება) (სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა) (ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა)
3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; (საინვესტიციო რესურსების მობილიზება) (ფინანსური შუამავლობის განვითარება)

აღსანიშნავია, საქართველოს ინდუსტრიულ სექტორში გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO)-ს მიერ შექმნილი ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Comparative Industrial Performance Index), რომელიც წარმოადგენს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის შერჩევითვის სწორი ორიენტირის და გაზომვის ინსტრუმენტს. მას აქვს შეფასების სამი განზომილება:

პირველი განზომილება ასახავს ქვეყნის შესაძლებლობებს პროდუქციის წარმოებისა (MVapc) და ექსპორტის კუთხით (MXpc). ამ განზომილებების ინდიკატორებია: ერთ სულ მოსახლეზე მწარმოებლურობის დამატებითი ღირებულება (MHVAsh) და წარმოები პროდუქციის ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე (MVAsh).

მეორე განზომილება მოიცავს ქვეყნის ტექნოლოგიურ სიღრმეს და პროგრესს, რომლის დროსაც გამოიყენება მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიური მწარმოებლების წილი მთლიანი წარმოების დამატებით ღირებულებაში (MHXsh), ასევე ასეთი პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში (MXsh).

მესამე განზომილება ასახავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას გლობალურ დონეზე და ქვეყნის მსოფლიო მწარმოებლურობაზე, რომლის დროსაც გამოიყენება როგორც ქვეყნის მწარმოებლურობის დამატებითი ღირებულების წილი მსოფლიო მასშტაბით სუბ-ინდიკატორში (ImWMT), ასევე მსოფლიო მასშტაბით წარმოები პროდუქციის ვაჭრობის საერთო მოცულობაში წილით (ImWMT).

ინდუსტრიული სექტორის წინაპირობა არის სოფლის მეურნეობა. ეროვნული მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ინდუსტრიული სექტორის და სოფლის მეურნეობის კავშირი, რაც გადამამუშავებელ ინდუსტრიაში აისახება. შესაბამისად საქართველოში ინდუსტრიული პოლიტიკური ინსტიტუტები როგორცაა „წარმოე საქართველოში“, „საპარტნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი“ მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებენ ინდუსტრიული სექტორის ხელშესაწყობად.

სახელმწიფო პროექტის „წარმოე საქართველოში“ პრიორიტეტია ინდუსტრიული წარმოების ხელშეწყობა საქართველოში. სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილია 16 მილიონი ლარი, პროგრამა მოიცავს სამი დონის ჩარევას. ესენია:

- ✓ ფინანსური ხელშეწყობა;
- ✓ ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა;
- ✓ საკონსულტაციო დახმარება;

ფინანსური დახმარება გულისხმობს კრედიტის თანადაფინანსებას და გირაოს კრედიტის მოცულობის არაუმეტეს 30%-ისა 2-4 წლის განმავლობაში. ინფრასტრუქტურულ დახმარებაში მოიაზრება სახელმწიფოს ხელში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემა, ხოლო საკონსულტაციო მომსახურება გულისხმობს ორგანიზაციულ და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერას. ჰპრო-

გრამის მოთხოვნას წარმოადგენს დაფინანსების შედეგად ახალი საწარმოების შექმნა.

პროგრამა „წარმოე საქართველოში“ ფარგლებში დაფინანსებულია 15 კომპანია და შექმნილია 470 სამუშაო ადგილი. ამასთან მისი მხარდაჭერით მაკდონალდსის ლოჯისტიკურ ცენტრში დაინერგა სალათის ხაზი, გაკეთდა სამი თანამედროვე ტიპის სამაცივრე მეურნეობა კახეთში. შპს „ჯი-არ-სი“ ქუთაისში არაძვირფასი ლითონების და მათი წარმოების მწარმოებელ საწარმოს გახსნის. ის „წარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი პირველი ბენეფიციარია. ეს კომპანია რუსთაველი სენდვიჩ-პანელების და დამატებულბელი პანელების წარმოებასაც ახორციელებს. ასევე „წარმოე საქართველოში“ ფარგლებში თბილისში 1-ლი ახალი საფეიქრო საწარმო აშენდება. სახელმწიფო პროგრამა „წარმოე საქართველოში“ 231 პროექტია მხარდაჭერილი და დასაქმებულია 10311 ადამიანი.

მესამე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი არის ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი, რომელიც შეიქმნა 2014 წელს ინდუსტრიული განვითარების პროექტების შესაქმნელად. ინდუსტრიული განვითარების ჯგუფის სამუშაო ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს: დივერსიფიცირებული ეკონომიკის შექმნას, პროდუქტების წარმოების და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას. ასევე მის მიზანს წარმოადგენს შეასრულოს მაკოორდინირებელი ორგანოს როლი ისეთ უწყებებს შორის, როგორცაა საპარტნიორო ფონდი, მწარმოების განვითარების სააგენტო და ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო.

ასევე აღსანიშნავია, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო. ის ორიენტირებულია ინოვაციური მწარმოების კომერციალიზაციაზე, ამასთან ეს სააგენტო მუშაობს ტექნოლოგიური პარკის პროექტზე, სადაც განთავსებული იქნება უახლესი ლაბორატორიები.

ინდუსტრიული განვითარების ჯგუფის წარმომადგენლები ასახელებენ რამდენიმე პრობლემას, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ინდუსტრიულ განვითარებას. მათ შორის საყურადღებოა ინდუსტრიულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელ უწყებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა, ბიუროკრატიული იზოლაციონიზმი და ოპორტუნიზმი, ხარისხის კონტროლის და ლიცენზირების მექანიზმების არაეფექტური მუშაობა. ინდუსტრიული პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან განათლების და კვლევის დაფინანსება. მეცნიერების და განათლების დაფინანსება მშპ-სა და ბიუჯეტში სულ მცირე უნდა გაუთანაბრდეს განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. ამასთან, აუცილებელია ინოვაციების გადადინების ხელშეწყობის სტრატეგიის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს დამატებით რესურსებზე წვდომას განვითარებისათვის. როგორც ცნობილია, 2014 წლიდან ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შექმნის შეს-

ახებ ხელშეკრულება (DCFTA), რომელიც საქართველოში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების სექტორისათვის ხსნის ევროკავშირის ბაზარს. თვით ეს ბაზარი, რომელიც აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს, გვევლინება როგორც სტაბილური ბაზარი დისტრიბუციის გამართული ქსელით, სურსათზე მზარდი ფასებით და ნატურალურ პროდუქტებზე მოთხოვნით. საქართველოს ამ მხრივ საკმაოდ კარგი პოტენციალი აქვს. დიდია გადამამუშავებელი ხილისა და ბოსტნეულის იმ სახეობების იპორტის მაჩვენებელი, რომელიც საქართველოში ინარმოება ევროკავშირის ისეთ ქვეყნებს შორის როგორცაა: ჰოლანდია, გერმანია, ბელგია. (DCFTA) ითვალისწინებს საბაჟო ტარიფებისა და კვოტების ეტაპობრივ გაუქმებას. უტარიფო და ტექნიკური შეზღუდვებისგან თავისუფალი ვაჭრობა ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას ევროკავშირის ქვეყნებში და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდას საქართველოში. კომპანიებს, რომლებსაც სურთ საქართველოდან ევროკავშირში სურსათის ექსპორტი, მოუწევთ უვნებლობის საკმაოდ მაღალი სტანდარტების გათვალისწინება. ამისთვის მათ კარგად უნდა შეისწავლონ კონკრეტული პროდუქტის მიმართ არსებული მოთხოვნები. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, რომ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, ნაკლები ქიმიური საშუალებების გამოყენებით მოყვანილი პროდუქტები აწარმოოს. საქართველომ და ევროკავშირმა თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში შეიტანეს დიაგონალური კუმულაციის პრინციპი, რომელიც მოიცავს საქართველოსა და თურქეთს, რომლის მიხედვითაც ქართული კომპანიები საქონლის წარმოებაში გამოიყენებენ თურქულ ნედლეულს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სტაბილური და მტკიცე ინდუსტრიული კონკურენცია ეყრდნობა მაღალ ტექნოლოგიებს, განათლების მაღალ დონეს, მონიწივე ინფრასტრუქტურას. ინდუსტრიის საფუძველს, ხომ ექსპორტისკენ მიმართული ვაჭრობა წარმოადგენს. როგორც ჰარვარდის პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი დანი როდრიკი აღნიშნავს: „ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი საჯარო და კერძო სექტორს შორის მუდმივად მიმდინარე დიალოგია (Public-Private Dialogue-PPD). ასეთი დიალოგი კი საბოლოოდ მიმართულია კონკრეტული დარგების კოორდინაციის პრობლემების გადასაწყვეტად.“ ამასთან საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ევროკავშირი საქართველოს ბუნებრივ სავაჭრო პარტნიორად ძალზე მომთხოვნი ბაზრით გვევლინება. კონკურენტუნარიანი სექტორის განვითარება იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკით უნდა განხორციელდეს. ხელშემწყობი მექანიზმებით ადგილობრივი მწარმოებლები წარმატებულად შეძლებენ იმპორტის ჩანაცვლებას. ამიტომ მიზანშეწონილია:

- ✓ ფერმერთა მეურნეობებში მარკეტინგული ჯგუფების შექმნა;
- ✓ სასოფლო სამეურნეო სექტორის მხარდამ-

ჭერი დარგების განვითარება;

- ✓ საერთაშორისო საცალო ვაჭრობის კომპანიების შექმნა და ადგილობრივი დაინტესებული მექანიზმების ფორმირება;
- ✓ სურსათის უვნებლობის ჰარმონიზაცია მსოფლიო მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ გადამამუშავების გაუმჯობესება ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნა;

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ინდუსტრიული სექტორის განვითარების მთავარ პირობას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან მაღალტექნოლოგიური და ცოდნატევადი დარგების ხელშეწყობა სახელმწიფო პროგრამებთან ერთად, რომელთა განხორციელებაც უნდა მოხდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით, სუბსიდირებული ფასის მეშვეობით. უაღრესად მნიშვნელოვანია ადგილობრივი სურსათით მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონის ამაღლება. ასევე, საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნეს ინკუბატორების ჩამოყალიბებას, სადაც მოხდება პოტენციური მენარმეების უნარების განვითარება. საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს ადგილობრივ გადამამუშავებელ ინდუსტრიაზე, რაც მეტ დამატებით ღირებულებას შექმნის ეკონომიკაში და ჩაანაცვლებს იმპორტირებულ პროდუქტებს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ინდუსტრიული პოლიტიკის გამოწვევები, CHALLENGES FOR INDUSTRIAL POLICY IN GEORGIA 2016.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020. <https://napr.gov.ge>
3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიში 2016.
4. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოში აგრო სასურსათო სექტორში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2011.
5. DCFTA-ის მოთხოვნები პირველადი წარმოებისათვის გზამკვლევი 2015.
6. EASTERN EUROPE AND CENTRAL ASIA AGRO-INDUSTRY DEVELOPMENT COUNTRY BRIEF 2014 GEORGIA. Agro-industry outlook and performance.
7. Industrial Development report 2016. The role of Technology and Innovations in Inclusive and Sustainable Industrial Development UNIDO. The industrial competitiveness of nations by industrial comparator. Page 202-208.
8. www.bfm.ge
9. www.Aagronews.ge

ASPECTS OF GEORGIAN NUTS
COMPETITIVENESS

Ketevan Tsomaia

SUMMARY

The article describes the competitiveness of Georgian nuts and its diverse aspects. It determines the place of Georgian nut in the world market; demonstrates the farmers' mistaken attitude of producing nuts and highlights those relevant fields that need to be developed in order to gain competitive advantage and increase the export of Georgian nuts. Furthermore, the statistical data about nuts export dynamics from 2009 till 2016 is analyzed on the basis of National Statistics Office of Georgia. Apart from this, according to the facts provided in the article, it revealed that the quality and quantity play very crucial role in determining the price of the nuts on the global market.

Thus, developing the scales economy turns to be one of the most important aspects in the nuts industry to obtain competitive export price. In addition, Georgian nuts should meet strict European market standards and the Government should pay attention to sustainable development of the sector.

Key words: Nuts Industry, Competitiveness of Georgian nuts, Scales Economy.

საკვანძო სიტყვები: თხილის მრეწელობა, ქართული თხილის კონკურენტუნარიანობა, მსხვილი წარმოება.

პირითადი ტექსტი

უკვე წლებია, რაც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქართული თხილი ათი უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფის ნაწილია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ქვეყანაში წარმოებული თხილის რაოდენობა 2014 წლისათვის თითქმის 40 ათას ტონას უტოლდებოდა, მაშინ როცა წინა წლებში თხილის წარმოება საშუალოდ 25 ათასი ტონა იყო. მსოფლიო კაკლოვანი კულტურებისა და მშრალი თხილის კონგრესის (World Nuts and Dried Fruit Congress) ანგარიშის თანახმად, 2012 წელს საქართველო თხილის მწარმოებელ ქვეყანათა რეიტინგში მეხუთე ადგილს იკავებდა თურქეთის, იტალიის, აშშ-სა და აზერბაიჯანის შემდეგ. 2013 წლისათვის დაწინაურდა და აზერბაიჯანს გაუსწრო, 2014-2015 წლებისთვის კი მოწინავე, მესამე ადგილზე გადმოინაცვლა, თურქეთისა და იტალიის შემდეგ. რაც შეეხება საქსპორტო მონაცემებს, საქართველო თურქეთის შემდეგ რეიტინგით მეორე ექსპორტიორი ქვეყანაა მსოფლიოში, რაც ნიშნავს, რომ თხილის წარმოებისა და

ექსპორტის კუთხით საქართველოს მსოფლიო ბაზარზე დიდი პერსპექტივები აქვს [4].

სიტუაციის უკეთ გასაანალიზებლად გადავხედოთ 2009-2014 წლების ქართული თხილის ექსპორტის დინამიკას.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [1]

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2009 წლიდან 2012-მდე თხილის ექსპორტის ღირებულება იზრდებოდა, 2012-ში კი შემცირდა, გამომდინარე იქიდან, რომ 2012 წელს თხილის წარმოებამ 21%-ით იკლო და შეადგინა 79 მილიონი დოლარი, შემდგომ კი 2013-2014 წლებში კვლავ გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს საქართველოდან ექსპორტირებული თხილის ღირებულება 99-ით გაიზარდა, რამაც ექსპორტის ღირებულების თითქმის გაორმაგება გამოიწვია და 161 მილიონ დოლარს მიაღწია. მსგავსი დინამიკა აღინიშნებოდა თხილის მოცულობის მხრივაც, თუმცა, საინტერესოა, რომ 2014 წელს ექსპორტირებული თხილის მოცულობა შემცირდა, მაგრამ ექსპორტის ღირებულებამ იმატა, რაც ნათლად მიუთითებს ექსპორტირებული თხილის ფასის ზრდაზე [1].

საქართველოდან ნაჭყუჭყაცილი თხილის ექსპორტი სუფთა ექსპორტის კატეგორიას მიეკუთვნება და მისი რეექსპორტის კომპონენტი უმნიშვნელოა. რეექსპორტის ყველაზე მაღალი დონე 2013 წელს 545 000 დოლარი დაფიქსირდა, მანამდე კი, 2012 წლისათვის 66 000 დოლარს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ საქართველო მსოფლიოში ნაჭყუჭყაცილი თხილის ექსპორტის მიხედვით, 2013 წლისათვის თურქეთის შემდეგ მეორე ადგილს იკავებდა, მან მსოფლიო ექსპორტის 10.8%-ს მიაღწია, რაც იმ დროისთვის ქართული თხილის ექსპორტის ისტორიულ მაქსიმუმს შეადგენდა.

2014 წელს თხილის მსოფლიო ფასი საგრძნობლად გაიზარდა. მართალია საქართველო თხილის ექსპორტიორ ქვეყანათა შორის მეორე ადგილზეა, მიუხედავად ამისა, მცირე საბაზრო წილის გამო ვერ ახდენს გავლენას თხილის საბაზრო ფასის ფორმირებაზე. თხილის ფასს თურქეთი განსაზღვრავს და ეს არც არის გასაკვირი, რადგან თურქეთზე თხილის მსოფლიო

ექსპორტის 66% მოდის. ლოგორც აღვნიშნეთ 2014 წელს თხილის ფასი გაიზარდა, რაც განპირობებული იყო თურქეთის კლიმატური პირობებით, კერძოდ, ძლიერი ყინვების გამო თურქეთში 2014 წელს თხილის წარმოება 25 %-ით შემცირდა (თუ კი 2013 წელს თურქეთში თხილის წარმოება 549 000 ტონას შეადგენდა, 2014 წელს მხოლოდ 412 000 ტონა გახლდათ), რამაც ფასის 85%-იანი ზრდა განაპირობა. თურქეთის სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, 2013 წელს თხილის საშუალო წლიური ფასი 5 ლარი, ხოლო 2014 წელს 9 ლარი იყო, შესაბამისად, თურქული თხილის გაძვირებამ გავლენა იქონია თხილის საბაზრო ფასზე, რის შედეგადაც გაიზარდა ქართული თხილის ფასი და ექსპორტის ღირებულებაც.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, 2016 წელს თხილის ექსპორტმა 179.5 მილიონი დოლარი შეადგინა.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიხედვით თხილის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები, თხილის ექსპორტის მოცულობა და თხილის ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 2013-დან 2016 წლამდე წარმოდგენილია ცხრილზე.

საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა გაგეობის თავმჯდომარე – ალექსანდრე მონერელიამ გააკეთა კომენტარი ქართული თხილის კონკურენტუნარიანობისა და მსოფლიო ბაზარზე მისი ფასის განმსაზღვრელი მიზეზების შესახებ. მისი თქმით, თხილის ფასს რაოდენობა და ხარისხი განსაზღვრავს. თურქეთი წელიწადში საშუალოდ 600 000 ტონა თხილს აწარმოებს, საქართველო კი – 60 000 ტონას. ლოგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქეთი მსოფლიო ბაზარისთვის თხილის ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია და ცხადია, რომ ფასს სწორედ ის განსაზღვრავს. მაშინ, როცა თხილის ბიზნესი საქართველოში განვითარების ეტაპზეა, თურქეთში ის უკვე მრავალი წელია არსებობს, განვითარებულია მსხვილი ფერმერული მეურნეობები. ფერმერებს აქვთ მეტი ცოდნა და გამოცდილება, იმის შესახებ, თუ როგორ მოუარონ თხილს უკეთ, რაც მოსავლის ხარისხს ზრდის და თურქეთის თხილის ბაზრის სტაბილურობას განაპირობებს. საქართველოში კი მსხვილი ფერმერული მეურნეობები ძალიან ცოტაა, გლეხებს არ აქვთ არც საკმარისი ფინანსური საშუალება და არც სათანადო ცოდნა, რომ თხილის წარგავებს კარგად მოუარონ. ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ უმ-

რავლესობა მათგანი თხილს კარგად არ ამრობს, რადგან ნედლი თხილი უფრო მძიმეა, გაშრობისას წონის დაახლოებით 7-8% აკლდება და ჰგონიათ, რომ ამ გზით მეტ მოგებას ნახავენ. თუმცა არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ გამოუმშრალ თხილს ხარისხი ეკარგება და შემდეგ კარგი პროდუქტის მიღება რთულია. ფერმერები ვიწრო ხედვით მოქმედებენ და არ ფიქრობენ გრძელვადიანი და სტაბილური ურთიერთობების დამყარებაზე მიმწოდებლებთან. მაშასადამე, აუცილებელია, ფერმერების ცოდნის ამაღლება ხარისხის გასაუმჯობესებლად და კონკურენტუნარიანობის მოსაპოვებლად.

აღსანიშნავია კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი და საინტერესო ასპექტი, თუ რა განაპირობებს ქართული და თურქული თხილის ფასებს შორის სხვაობას. ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ერთ-ერთმა მსხვილმა ფერმერმა – დავით ჯიქიამ გააკეთა (მას ზუგდიდის რაიონში დაახლოებით 100 ჰექტარზე მოჰყავს თხილი). მისი განმარტებით, ქართულ და თურქულ თხილს შორის ფასის სხვაობას მათი განსხვავებული გამოსავლიანობა განაპირობებს. ქართული თხილის გამოსავლიანობა საშუალოდ 38-39%-ია, თურქულისა კი – 50%, რაც ნიშნავს, რომ 1 კილო გაუტეხავი ქართული თხილიდან 390 გრამ გასაყიდად ვარგის პროდუქტს მივიღებთ, ხოლო თურქულის შემთხვევაში – 500 გრამს [5]. ეს ფაქტორი დიდ როლს თამაშობს ფასების ობიექტური შედარებისას. ერთიანი ფასის პირობებში თურქული ქარხანა 28%-ით მეტ პროდუქტს მიიღებს თხილისგან, ვიდრე ქართული. ამგვარად, სანამ გამოსავლიანობის ეს სხვაობა იარსებებს, 1 კილო გაუტეხავი თურქული თხილი ყოველთვის უფრო მეტი ეღირება, ვიდრე ქართული თხილი. ამასთანავე, უნდა მოხდეს თხილის გულის შიდა სიდამპლის მაჩვენებლის გათვალისწინება. ზეპროპელი საკონდიტრო და საცალო კლიენტებისთვის ეს მაჩვენებელი 2%-ზე ნაკლები უნდა იყოს. ქართული თხილის შემთხვევაში კი, სამწუხაროდ, ეს მაჩვენებელი საშუალოდ 3%-ია, რაც ნაწილობრივ კლიმატით, ნაწილობრივ კი არასწორი შრობის და შენახვის პირობებით არის განპირობებული. არსებობს მესამე ფაქტორიც: თურქული თხილი თითქმის იდეალურად მრგვალია, ქართული კი შედარებით მოგრძოა და ოდნავ შეჭმუნული ზედაპირი აქვს. მომხმარებელი ამ დეტალსაც აქცევს ყურადღებას და ამის გამო ქართულ თხილში შედარებით ნაკლებს იხდის. ჩარდა ამისა, ამ ფაქტორებს ემატება წარმოების, შეფუთვის, ტრანსპორტირების ხარჯები და აქედან გამომდინ-

ცხრილი

2013			2014			2015			2016		
თ	V	%	თ	V	%	თ	V	%	თ	V	%
166.7	30.2	5.7	183.4	19.9	6.4	176.6	19.4	8	179.5	27.1	8.5

თხილის ექსპორტის მოცულობა და მისი წილი მთლიან ექსპორტში [2]; T – თხილის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები (მლნ. აშშ. დოლარი); V – თხილის ექსპორტის მოცულობა (ათასი ტონა); % – თხილის ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში

არე მოგება ერთ კილოგრამ თხილზე გრანდიოზული ნამდვილად აღარ გამოდის.

ქართული თხილის ექსპორტიორებს წინ კიდევ ახალი გამოწვევა ელოდებათ. გასული სამი წლის განმავლობაში ევროკავშირში თხილის გულზე მოთხოვნა შემცირდა. ევროპული კომპანიები თხილის გულის ყიდვის და შემდეგ მისი გადამუშავების სანაცვლოდ პირდაპირ თხილის მზა პროდუქტებს – მოხალული, კანგაცლილი, დაქუცმაცებული თხილის, ნედლი და მოხალული თხილის ფქვილსა და თხილის პასტას ყიდულობენ. იმისათვის, რომ ევროპაში თხილის პროდუქტის გატანა მოხდეს, ქართველმა ექსპორტიორებმა ევროკავშირის ბაზრის შესაბამისი სტანდარტები უნდა დააკმაყოფილონ და ლაბორატორიული შემოწმების სისტემა უნდა გაიარონ. შამუნხაროდ, საქართველოში ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორია ჯერჯერობით არ არსებობს.

თუ როგორი იქნება ქართული თხილის მომავალი ამის პროგნოზირება რთულია, თუმცა აღსანიშნავია, რომ დარგს ნამდვილად აქვს პერსპექტივა. იმისათვის, რომ ქართულმა თხილმა მონინავე პოზიციები დაიკავოს მსოფლიო ბაზარზე აუცილებელია:

- გაიზარდოს ქართული თხილის წარმოება და ცნობადობა (მართალია. ქართული თხილის გასაღების ძირითადი ბაზარი ევროკავშირია, მაგრამ მისი ცნობადობა მსოფლიო ბაზარზე არც ისე მაღალია),
- ქართული თხილი უნდა აკმაყოფილებდეს ევროპის ბაზარზე მკაცრად განერილ სტანდარტებს,
- უნდა გაღრმავდეს ფერმერების ცოდნა,
- უნდა მოიძებნოს თხილის გასაღების სტაბილური არხები, რაც თავისთავად გაზრდის მის ცნობადობას,
- უნდა მოხდეს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია და გაიზარდოს ექსპორტი,

- მოხდეს კონკურენტუნარიანი საექსპორტო ფასის მოპოვება,
- მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს დარგის მდგრად განვითარებას,
- ქართულმა კომპანიებმა უნდა ჩაატარონ მიზანმიმართული და თანმიმდევრული მარკეტინგული კამპანია, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია
- საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა და საქმიანი ურთიერთობები გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივით.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2016, თბილისი 2017
2. <http://factcheck.ge/> ქართული თხილის ფასის მკვეთრი ვარდნის გამომწვევი მიზეზები, თბილისი 2017
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მენარმეობა საქართველოში 2015, თბილისი 2016
4. თათული დუშუაშვილი, ქართული თხილის ბაზრის ანალიზი, თბილისი 2015
5. გენადი სართანია, როგორ დგინდება თხილის ფასი და რა მოგებაზე მუშაობენ თხილის გადამამუშავებელი საწარმოები, თბილისი 2015
6. ნათია კეკენაძე, ქართული თხილი მსოფლიო ბაზარზე — 2015-2020 წლების პროგნოზები, თბილისი 2014
7. www.forbes.ge

**სოფლის მეურნეობის რესურსების უწყვეტად
გამოყენების ეკონომიკური მექანიზმები**

*თამარ ობლიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი*

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური მექანიზმები, საბაზრო ურთიერთობები, სახელმწიფო სუბსიდიები, სოციალური ეფექტები, საზოგადოებრივი პროდუქტი.

* * * *

სოფლის მეურნეობა მჭიდროდ ინტეგრირებულია სახელმწიფოსთან, რომელიც ბუნებრივი პირობების, საწარმოო ინფრასტრუქტურის, მოსახლეობის სიმჭიდროვის, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციების, ეკონომიკური და ეკოლოგიური პოტენციალის დიდ ზეგავლენას განიცდის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა მრავალფეროვანია, აქ ნედლეული არამარტო ინარმოება, არამედ გადამუშავდება კიდევ, ინახება, ხდება ტრანსპორტირება და სხვადასხვა პროდუქციის რეალიზაცია. ეს არის სფერო ბუნებრივი რესურსების კვლავნარმოების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, სამსენებლო მასალების წარმოების, ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი ობიექტების განლაგების, რომლებიც დადებითად მოქმედებს გარემოზე. სოფლის თავისებურება ისიც არის, რომ იგი დიდად არის დამოკიდებული ქალაქის მეურნეობაზე, საერთოდ საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურაზე. მენარმეობის კულტურის საქმიან აქტიურობაზე. ეკონომიკაში ამ სფეროს უპირატესობა ჩანს იმამიც, რომ აქ არის შედარებით იაფი მუშახელი, არის ხარისხიანი და შედარებით იაფი ნედლეული, შედარებით დაბალი საიჯარო გადასახადი სხვადასხვა ქონების გამოყენების დროს და საერთოდ დაბალი გადასახადები.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მექანიზმის კონცეფცია უნდა მოიცავდეს მცდელობას, რომ გათანაბრებული იქნას ცხოვრების პირობები სოფლის და ქალაქის მაცხოვრებლებს შორის, სხვები კი თვლიან რომ აქ ბაზრის ინტენსიური განვითარების პირობებში უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო. საბაზრო რეფორმის თანამედროვე პირობებში უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო. საბაზრო რეფორმის თანამედროვე პირობებში საქართველოში სოფლის მეურნეობა ხშირად წაგებულია სამუშაო ძალის კონკურენციაში, ინვესტიციებში, პროდუქციის შეკვეთებში, ბუნებრივ რესურსებში, რაც რეგიონთაშორისი და დარგთაშორისი ბრძოლის პროცესების შედეგია, აღნიშნული კი ინვესს მათი კუთვნილი, შესაძლებელი შემოსავლების დაკარგვას. ჩვენი

აზრით თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური მექანიზმის კონცეფცია უნდა გამომდინარეობდეს იმ აუცილებლობიდან, რომ აქ უნდა მოხდეს ეფექტურ სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირება, მისი პროდუქციის გადამუშავებაზე, სარწენის განვითარებაზე, კუსტარული წარმოების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის, აქტიური მარკეტინგის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ შემოსავლების მიღების შესაძლებლობები ბუნებრივი რესურსებიდან, სასარგებლო წიაღისეულიდან, მინის გაყიდვიდან და იჯაროდან, ვაჭრობიდან, ტურიზმიდან და ა.შ. დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად გაზიფიკაციას, ელექტროფიკაციას, უნდა დამუშავდეს პროექტები რეგიონალურ ტერიტორიაში სოფლის მეურნეობის ბუნებრივ ეკონომიკურ და სოციალური განვითარების, მისი პოტენციალის (საწარმოო რესურსები: მინა, კაპიტალი, შრომითი ორგანიზაციების უნარყ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მენარმის უნარი, ფულადი კაპიტალი ერთმანეთთან სინთეზურ კავშირში) სათანადო შეფასების საფუძველზე. საქმე ეხება იმას, რომ საჭიროა ნათლად გამოიკვეთოს, სოფლის მეურნეობაში რა უფრო ხელსაყრელია, მაგალითად სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება მისი დამუშავება, თუ რეკრეაციული ფუნქციების შესრულება.

ჭოპტიმალურ გადაწყვეტას მოითხოვს საკითხები მინის საკუთრების შესახებ. მინის კერძო საკუთრებასთან ერთად, რომლებიც თავისუფლად გაიყიდება ან იჯარით გაიცემა, უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრება (გზები, ბუნების დაცვის ზონები, წყალსაცევიები, ტყე, ძეგლთა დაცვა და სხვა) საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესები სახელმწიფოს გარეშე ათეულ წლებით გაინელებოდა და არ გადაწყდებოდა რაციონალურად. უუნდა დაჩქარდეს ადგილზე მენეჯმენტის განვითარება, გამოიყოს სახელმწიფო სუფსიდიები და ინვესტიციები. უუნდა შეიცვალოს ე.წ. ბიზნეს ელიტის დამოკიდებულება აგრობიზნესის მიმართ. სოფლის მეურნეობას ესაჭიროება როგორც სეზონური ასევე გრზელვადიანი კრედიტები, სახელმწიფომ უნდა მიმართოს თავისი ძალისხმევა, რათა სტიმული მისცეს ინტერგრაციას რესურსების მომწოდებლის, გადამამუშავებელი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის (საფინანსო კომპანიებთან, გაზის კორპორაციებთან, მინერალური სასუქების მწარმოებლებთან და სხვა.) ასეთ “ჰოლდინგი“-ს ტიპის გაერთიანებებს უნდა შეუმცირდეს მოგებიდან

გადასახადი იმ ოდენობით, რომელსაც წარმოება ხარჯავს თავისი ტექნოლოგიებისათვის. ეს თანხები უნდა გროვდებოდეს სპეციალურ ანგარიშზე და გამოყენებული უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო სანარმოების აქტივების შესაქმნელად (შესასყიდად), მიწის შესყიდვა, იჯარა, საერთოდ სანედლეულო ზონის, სასოფლო-სამეურნეო სანარმოების ტექნიკური მოდერნიზაციისათვის. მაღალია სოფლად უცხოური ინვესტიციების ჩადების რისკი, მათი პირდაპირი ინვესტიციების გრძელვადიანი დაბანდების გზაზე არის წინააღმდეგობები და თითქმის არ არსებობს ამ რისკის დამცველი ეკონომიკური მექანიზმი.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის დამახაიათებელ რისკთან ერთად, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივ პირობებთან, ფასების ცვლილებებთან, სავალუტო ინსტიტუციონალურ, პოლიტიკურ და აგრარული პოლიტიკის არასტაბილურობით აგრეთვე არასათანადოსაკანონმდებლო ბაზით. ჩვენის აზრით უნდა შეიქმნას ფონდი უცხოური ინვესტიციების დაზღვევის, აღნიშნული კაპიტალი უნდა შეადგინოს შენებით დაინტერესებულმა ქვეყნებმა, ხოლო მათი დანაწილება უნდა შეესაბამებოდეს მის სტრუქტურულ შემადგენლობას. საჭიროა მოვიზიდოთ ადგილობრივი ინვესტიციები გადამამუშავებელ და სხვა შესაბამის სანარმოებში, შევქმნათ ინტეგრირებული სტრუქტურა რეგიონათშორის დონეზე გადახდისუნარიანი და გადახდიუუნარო სასოფლო-სამეურნეო სანარმოებთან ერთად. მათი მოღვაწეობა მიმართული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო სანარმოების გამოცოცხლების, ძირითადი ფუნქციების აღდგენისათვის ახალი პროგრესული ტექნოლოგიების ათვისებით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური მექანიზმი, რომლის სტრუქტურა შესდგება ისეთი ელემენტებისაგან როგორცაა: ფასები, კრედიტები, ბიუჯეტი, გადასახადები. მათი ეფექტურობა უნდა განისაზღვროს აგრარულ სანარმოებში მათი მოქმედების ხარისხით, სინაგანი რეზერვების აქტივიზაციის ორიენტაციის მაქსიმალური ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის მისაღწევად.

საგადასახადო სისტემას არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრარული ეკონომიკის სანარმოო მოღვაწეობის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის. ჩადასახადები წარმოადგენს ძირითად წყაროს სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებისათვის და ძირითად ინსტრუმენტს სახელმწიფო პროგრამების შესრულებისათვის. ეფექტური საგადასახადო სისტემის შემუშავებისათვის რეგიონის დონეზე აუცილებელია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება: გადასახადების მაქსიმალური გამჭირვალობა, საინვესტიციო პოლიტიკის სტიმულირება, გადასახადებმა უნდა მისცეს სტიმული წარმოების გაზრდას და არა შემცირებას. ამ მიზნით მიგვაჩნია, რომ გარკვეული ნორმატი-

ული წარმოების ზღვარის გადამეტების შემთხვევაში გადასახადები უნდა მცირდებოდეს პროდუქციის ზრდის ტემპის შესაბამისად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო მექანიზმის სისტემური ფორმირება საშუელაბას იძლევა განვავითაროთ საქონელმწარმოებელთა უფრო ეფექტური მუშაობა, რაც პირდაპირ კავშირში აყენებს მათ მატერიალურ დამოკიდებულებას შრომის შედეგებთან.

აგრარული ბაზრის რესურსული ბაზრის სემცირებამ დღის წესრიგში დააყენა მისი საბაზრო მექანიზმის სრულყოფა, რომლის ძირითადი ელემენტებია ფასების დაბალანსების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს და დააჩქარებს სასურსათო ბაზრებზე ექვივალენტურ სასაქონლო ფულად გაცვლებს, საკრედიტო საფინანსო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კრედიტის საპროცენტო დონეს (ვადებს) სესხების დაბრუნებაზე და სოფლის საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერას. შაბაზრო ეკონომიკის ძირითადი მაკოორდინებელი მექანიზმი არის საბაზრო სისტემა ანუ ფასწარმოება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო სისტემას, როგორც საზოგადოებრივ პროდუქციის დანაწილების მექანიზმს, არ ახასიათებს ეთიკური პრინციპები. ვისაც ფული აქვს მემკვიდრეობით ან მძიმე შრომით მიღებული ან თაღლითობით მოპოვებული იღებენ მსხვილ შემოსავალს და ამით გაინაღდებენ საზოგადოებრივი პროდუქტის დიდ ნაწილს. აღსანიშნავია ისიც, რომ რესურსების ნაკლებობამ და მათმა არაეფექტურად გამოყენებამ მნიშვნელოვნად განაპირობა აგროსამრეწველო სფეროს დეზინტეგრაცია. დღეისათვის ფუნქციონირებს სამი სახის კაპიტალი სრულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მწარმოებლური, რომელიც თავმოყრილია სანარმოებში, სასაქონლო-მბრუნავ სტრუქტურებში, რომლებიც ახდენენ პროდუქციის რეალიზაციას და საფინანსო, რომელიც არის ბანკში. ამიტომ მეტად აქტუალურია მათი ინტეგრაცია რათა შევქმნათ აგროსამრეწველო ფორმირებები, სადაც შევლენ: სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, საფინანსო და სხვა სტრუქტურები. ბირთვი ამ გაერთიანებების უნდა იყოს საფინანსო სტრუქტურები, რადგანაც მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ კარგად აწყობილი საფინანსო საკრედიტო მექანიზმის გარეშე გაერთიანებაში შემავალი სუბიექტები ნორმალურად ვერ იფუნქციონირებენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის ნგრევის შეჩერება შეიძლება იმითაც, რომ მსხვილ არასასოფლო სამეურნეო ფორმირებებს გადაეცეთ სასოფლო-სამეურნეო სანარმოო რესურსები. იმ სანარმოების რომლებიც არ არიან სიცოცხლისუნარიანი, მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ფორმირებებში გადაცემულ სანარმოებს შენარჩუნებული ექნებათ დამოუკიდებლობის იურიდიული სტატუსი. ამრიგად ეკონომიკური მექანიზმის ქვეშ იგულისხმება ურთ-

იერთობების ნორმები, წესები, წარმოების გაცვლის, განაწილების და მოხმარების პროცესში, რომელიც განპირობებულია საბაზრო საწარმოო ურთიერთობებით და მათი კანონზომიერებებით. ე.ი იგი არის ორგანიზაციული, ეკონომიკური და სამართლებრივი ღონისძიებების მთელი კომპლექსი, რომელიც მიმართულია წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფილად განხორციელებისათვის მეცნიერულ საფუძვლებზე უნდა გადაწყდეს ისეთი ეკონომიკური კატეგორიები როგორცაა: საკუთრება და კრედიტები, მართვა, აღრიცხვა, კონტროლი და სხვა. ეს პროცესები დღეს მიმდინარეობს მეტად მტკივნეულად, მაგრამ იგი გარდაუვალია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, თბილისი 1997 წელი;
2. ადვიშვილი გ. ასათიანი რ. — ეკონომიკური თეორია. ჩამომცემლობა "სიახლე", თბ.1998;

3. ბურკაძე ვ. — საქართველოს აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ. შაქ. მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული 2. თბ. 2001;

4. ბურკაძე ვ. სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. თბ "აგროინფორმი" 1,1997;

5. ბახაია მ. ჩიბურდანიძე ლ. — სახელმწიფო რეგულირება, როგორც საწარმოო გამოყენების და წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთი მიმართულება "აგრარულ მეცნიერებათა პრობლემები". თბ. 2004;

6. ბერიძე ზ. მარკეტინგის როლი აგრარული წარმოების მართვის, რეგულირებისა და კომერციული წარმატების საქმეში. ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა" №12. თბ. 2010

7. პაპავა ვლ. „რეგიონალური ეკონომიკა“ თბ.2004;

8. Economic Analysis of Agricultural Projects. – Gittinger P. Second edition, Revised and expanded., 1997;

9. Agricultural Policy in the European Union and other Market Economies – Tracy M. Brussels: EU, 1996.

ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი ლინგვისტურ-ლექსიკოგრაფიული ხელვა

ბადრი ცხადაძე

სტუ-ს პროფესორი. ლინგვისტ-ლექსიკოგრაფი,

ჯუანშერ ტატიშვილი

სტუ-ს სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის

ასოცირებული პროფესორი, ჰიდროგეოლოგი,

ე. ცხადაძე

სტუ-ს კულტუროლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ИННОВАЦИОННЫЙ ПОДХОД К ИНЖЕНЕРНО-ЭКОНОМИЧЕСКОЙ ТЕРМИНОЛОГИИ

Цхададзе Б. А. проф. ГТУ, директор технико-тен-
минологического центра ГТУ

Татишвили Д. Г. Асоц. проф. ГТУ, замдиректор
технико-тенминологического центра ГТУ

Цхададзе Э. Г. Асоц. проф. ГТУ.

ТЕЗИСЫ ДОКЛОНОВ

Принимая во внимание огромный поток иностранных терминов связанных с современным развитием науки и техники группа учёных ГТУ основываясь на законы языкознания заработать инженерно-экономическую терминологию на грузинском языке и предоставить ее на рассмотрение и широкое обсуждение специалистами соответствующих отраслей науки и техники.

В 2004 г. был издан лексикографический труды Лопатникова Л.И. Экономико-математический словарь. Всего статей 1838. Словарь современной экономической науки. 5-е изд. Перераб. и Доп. Москва, «Дело». 2003 520 стр. которое был переиздан на китайском, германском и полском языках. Все термины даются как и русском языке, так и английском.

Целесообразно перевести этот труд на грузинский язык.

Ключевые слова: научно-технические термины, инновация, лексикография.

* * * * *

ქართულ სალიტერატურო ენაში სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა ახალი ტერმინების მოზღვავება და შემოჭრა გამოიწვია. ცხადია, ტექნიკის განვითარება ინვესტ ტერმინოლოგიური ფონდის შევსებას. ეს ხდება სიტყვანარმოების ხარჯზე, რაც ხშირად გაუგებრობას წარმოშობს. ტერმინოლოგიური გაუგებრობა მეცნიერებისათვის იგივეა, რაც ნისლი ზღვაოსნებისათვის (ჰ. შუხარდტი). ამიტომ ტერმინი უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად ზუსტი, მოკლე, სხარტი, მარტივი და ადვილად დასამახსოვრებელი.

ამა თუ იმ დარგის მეცნიერი ყოველთვის ახალ-ახალი გამონკვევების წინაშე დგას. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც. სტუ-ში დღის წესრიგში დადგა ონლაინლექსიკონების (ერთი, ორი და სამენოვანი – ქართულ-რუსულ-ინგლისური) სასტამბოდ გამოცემა.

ამ კუთხით გამოცემულია ორი მონოგრაფია 1. ბ. ცხადაძე, ი. კვესელავა, ე. ცხადაძე, ქ. კვესელავა, ზოგადტერმინოლოგიური ლექსიკონი, პირველი ნაწილი (ეკონომიკა, ბიზნესი, მარკეტინგი, პოლიტიკა, სამართალი, მასობრივი კომუნიკაციები), გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2013, გვ. 351 (A-4 ფორმატი); 2. ბ. ცხადაძე, ი. კვესელავა, ე. ცხადაძე, ქ. კვესელავა, ვ. პაპასკირი, ე. გვენეტაძე, ლ. თედემშვილი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2016, გვ. 714 (A-4 ფორმატი). გამოსაცემად მზად არის სხვა დარგობრივი ლექსიკონებიც (არქიტექტურის და სხვ.). სწორედ ამ მიზნით 2016 წლის შემოდგომაზე სტუ-ში შეიქმნა ტექნიკური ტერმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (დირექტორი პროფ. ბ. ცხადაძე, მოადგილე, პროფ. ჯ. ტატიშვილი), რომლის მიზანია დარგობრივი სამენოვანი ლექსიკონების სასტამბოდ მომზადება და მეცნიერულად გამოცემა. სტუ-ს თითქმის ყველა ფაკულტეტზე შექმნილია დარგობრივ ლექსიკონებზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფები ცაკეული დარგების მიხედვით.

2016 წელს ერთგვარ მოულოდნელობად მოგვევლინა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო ინჟინერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრის საზოგადოების (ხელმძღვანელი პროფ. თ. მარგალიტაძე) გამოცემული ახალი ლექსიკონი „ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური ონლაინლექსიკონი, რომელიც 2014-2016 წლებში შეიქმნა (<http://texdict.ge>). ამ ლექსიკონთან ერთად საზოგადოებას წარუდგინეს მრავალენოვანი ლექსიკონის მართვის სისტემა და ონლაინლექსიკონის ახალი პლატფორმა, რომლის შექმნა სწორედ მართვის სისტემის წყალობით გახდა შესაძლებელი. ტექნიკური ლექსიკონისა და პროგრამული პროდუქტების წარდგენამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, რის გამოც ონლაინლექსიკონის ავტორ-შემდგენლები ჩვენც (სტუ-ში) მოვიწვიეთ.

2015-2016 წლებში სტუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკამ (დირექტორი ვ. პაპასკირი) დარგობრივი ლექსიკონებზე სამუშაოდ მეცნიერთათვის შეიძინა 80-ზე მეტი ორ და მეტენოვანი ლექსიკონი.

რამდენიმე წლის (4) შემდეგ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თავისი საიუბილეო თარიღს აღნიშნავს. ჩვენც, დროა უკვე, ღირსეულად მოვემზადოთ ამ თარიღისათვის და სამენოვანი განმარტებითი ლექსიკონების სერიული მომზადება-გამოცემა შევძლოთ.

МАТЕМАТИЧЕСКОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ РЕАЛЬНЫХ ПРОЦЕССОВ МЕТОДОМ ДИФФЕРЕНЦИАЛЬНЫХ УРАВНЕНИЙ

ნელი მხითარია

დოქორანტი თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის

РЕЗЮМЕ

Программа курса вопросов высшей математики на тему «Дифференциальные уравнения» считается основной темой. Тема «Дифференциальные уравнения» углубляет материал курса начал анализа. Основная цель изучения – показать учащимся, что дифференциальные уравнения являются одним из основных орудий математического естествознания, т.е. познакомить их с математическим моделированием реальных процессов методом дифференциальных уравнений.

Важно разобраться в геометрической интерпретации уравнений первого порядка и показать, как составляются дифференциальные уравнения, отталкиваясь от естественнонаучных примеров.

Выбор задач для решения на занятиях предоставляется преподавателю, который знает уровень подготовки и интересы учеников.

Всегда можно описать процесс составления дифференциального уравнения более подробно. Прежде всего нужно установить, какому закону подчиняется процесс, описываемый в условии задачи, и определить, какую из величин, участвующих в процессе. Потом переходить на составление дифференциального уравнения этого процесса.

В этой статье показаны, на решенных задачах, реально протекающие процессы в окружающем мире. Непосредственное применение построенных математических моделей. Приведем две задачи.

Рассмотрим пример составления дифференциальных уравнений в задачах динамики.

MATHEMATICAL MODELING OF REAL PROCESSES BY DIFFERENTIAL EQUATIONS

Neli Mkhitariani

RESUME

The course of higher mathematics questions on “Differential Equations” is considered to be the main topic. Subject “Differential Equations” deepens the course material analysis began. The main purpose of the study - to show students that the differential equations is one of the basic tools of mathematical science to acquaint them with the mathematical modeling of real processes by differential equations.

It is important to understand the geometric interpretation of first-order equations and show how to write differential equations, starting from the natural science examples.

The choice of tasks for solving in the classroom is given to the teacher, who knows the level of preparation and interests of the students.

It is always possible to describe the process of drawing up a differential equation in more detail. First of all you need to determine which law is subject to the process described in the problem and determine which of the variables involved in the process. Then move on to the preparation of a differential equation of the process.

This article shows, on the solution of the problem, real processes occurring in the surrounding world. Direct application of the constructed mathematical models. Here are two tasks.

Let us consider an example of the formulation of differential equations in problems of dynamics.

დიფერენციალური განტოლებების რეალური პროცესების მათემატიკური მოდელირება

ნელი მხითარია

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის დოქორანტი

რა თქმა უნდა, უმაღლესი მათემატიკის კითხვები “დიფერენციალური განტოლებები” ითვლება მთავარ თემად. თემა “დიფერენციალური განტოლებები” აღრმავებს ანალიზის დასაწყისის კურსის მასალას. მთავარი სასწავლო მიზანი - ვაჩვენოთ მოსწავლეებს, რომ დიფერენციალური განტოლებები არის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი მათემატიკური მეცნიერების, ანუ, გავაცნოთ რეალური პროცესების მათემატიკური მოდელირება დიფერენციალური განტოლებების მეშვეობით.

მნიშვნელოვანია იმის გაგება თუ, როგორ უნდა შევადგინოთ პირველი რიგის განტოლებების გეომეტრიული ინტერპრეტაცია, და ვაჩვენოთ, როგორ ინერება დიფერენციალური განტოლებები, დაყრდნობილი საბუნებისმეტყველო მაგალითებზე.

გამორჩეული ამოცანების ამოსახსნელად გაკვეთილებზე მიეცემა მასწავლებელს, რომლებმაც იცის მოსწავლის მომზადების და ინტერესების დონე.

ყოველთვის შესაძლებელია დიფერენციალური განტოლებების პროცესების აღწერა უფრო დეტალურად. პირველ რიგში უნდა დადგინდეს, რომელ კანონს ექვემდებარება აღწერილი პროცესი ამოცანის პირობიდან და განისაზღვროს, რომელი ცვლადი ჩართულია ამ პროცესში. შემდგომ კი გადასვლა

დიფერენციალური განტოლებების შედგენაზე.

ამ სტატიის მიზანია, ამოხსნის ამოცანებში, რეალური პროცესების მიმდინარეობა მსოფლიოში. პირდაპირ გამოყენებულია მათემატიკური მოდელები. ამოვხსნად ორი ამოცანა.

განვიხილოთ მაგალითი დიფერენციალური განტოლების შედგენის დინამიკის ამოცანებში.

Задача 1.

Составим дифференциальное уравнение движения парашютиста, если сила сопротивления воздуха принимается пропорциональной скорости движения.

Решение.

Сила тяжести равна mg , а сила сопротивления среды пропорциональна направлению скорости, т.е. равна $-kv$. Поэтому общая сила F , действующая на парашютиста, равна $mg - kv$. По второму закону Ньютона имеем: $F = ma$. Таким образом, получаем: $ma = mg - kv$. Учитывая, что скорость есть первая, а ускорение – вторая производная искомой функции y , выражающей расстояние от положения парашютиста в начальный момент времени до его положения в момент времени t (мы считаем, что спуск парашютиста происходит по прямой), приходим к следующему дифференциальному уравнению движения:

$$my'' = mg - ky' \quad (1)$$

Решение.

Искомая функция y выражает расстояние от положения парашютиста в начальный момент времени до его положения в момент времени t . Положим $y' = v$, тогда $y'' = v'$ и уравнение можно преобразовать к виду

$$\frac{mv'}{mg - kv} = 1$$

и далее

$$-\frac{m}{k} \cdot \frac{v'}{v - \frac{mg}{k}} = 1,$$

т.е.

$$\left(-\frac{m}{k} \ln \left|v - \frac{mg}{k}\right|\right)' = 1,$$

откуда находим общее решение уравнения

$$-\frac{m}{k} \ln \left|v - \frac{mg}{k}\right| = t - \frac{m}{k} \ln |C|$$

(здесь произвольную постоянную удобно записать в виде $-\frac{m}{k} \ln |c|$).

$$v - \frac{mg}{k} = Ce^{-\frac{k}{m}t}. \quad (2)$$

По условию задачи начальная скорость движения равна нулю, т.е. при $t = 0$ имеем $v = 0$. Подставив

эти значения в равенство (2), находим, что $C = -\frac{mg}{k}$, и, следовательно, эту формулу можно переписать в виде

$$v = \frac{mg}{k} \left(1 - e^{-\frac{k}{m}t}\right). \quad (3)$$

Отсюда следует, что с течением времени скорость падения парашютиста стремится к значению

$$v_{\text{пред}} = \frac{mg}{k}.$$

Чтобы узнать закон движения парашютиста, надо по найденному значению скорости найти путь, пройденный к моменту времени t . Для этого перепишем равенство (3) в виде

$$y' = \frac{mg}{k} \left(1 - e^{-\frac{k}{m}t}\right)$$

и решим полученное дифференциальное уравнение. Нужно найти первообразную для функции

$$\frac{mg}{k} \left(1 - e^{-\frac{k}{m}t}\right).$$

Ею будет функция

$$\frac{mg}{k} \left(t + \frac{m}{k} e^{-\frac{k}{m}t}\right).$$

Значит, общее решение уравнения таково:

$$y = \frac{mg}{k} \left(t + \frac{m}{k} e^{-\frac{k}{m}t}\right) + C. \quad (4)$$

Для отыскания значения C заметим, что при $t = 0$ пройденный путь равен нулю, т.е. при $t = 0$ имеем $y = 0$. Подставив эти значения в равенство (4), получим:

$$0 = \frac{m^2 k}{k^2} + C,$$

$$C = -\frac{m^2 k}{k^2}.$$

Итак, закон движения парашютиста имеет вид:

$$y = \frac{mg}{k} \left(t - \frac{m}{k} \left(1 - e^{-\frac{k}{m}t}\right)\right).$$

Дифференциальные уравнения в химии.

Задача 2.

При некоторых химических реакциях возникающее в процессе реакции вещество действует как катализатор, ускоряющий течение реакции. В этом случае скорость реакции пропорциональна как концентрации исходного вещества, так и некоторой линейной функции от концентрации возникающего вещества (автокаталитическая реакция). Напишем дифференциальное уравнение для количества y вещества, возникшего в момент времени t , если начальная концентрация равна a .

Решение.

Опираясь на условия и рассуждая получаем диффе-

ренциальное уравнение

$$y' = (k + my)(a - y).$$

Здесь $a - y$ - концентрация исходного вещества, а $k + my$ - линейная функция от концентрации возникающего вещества (k и m - некоторые числовые коэффициенты).

Заметим, что если бы в роли катализатора выступало исходное вещество, то линейная функция, о которой идет речь в задаче, имела бы вид $k + m(a - y)$, а дифференциальное уравнение выглядело так:

$$y' = (k + m(a - y))(a - y).$$

Задача 3.

Сосуд объемом 40 л содержит 80% азота и 20% кислорода. В сосуд каждую секунду втекает 0,2 л азота и вытекает такое же количество смеси. Через сколько времени в сосуде будет 99% азота?

Решение.

Выберем в качестве независимой переменной время t и обозначим через $y(t)$ количество литров азота в сосуде через t секунд после начала опыта. Тогда азот будет составлять $\frac{y}{40}$ частей всей смеси. За промежуток времени Δt сосуд поступит $0,2\Delta t$ л азота, а вытечет $0,2\Delta t$ л смеси. Если считать, что за промежуток времени $[t, t + \Delta t]$ концентрация азота в сосуде оставалась неизменной, то в этом объеме смеси будет

$\frac{y}{40} * 0,2\Delta t$ (л) азота, а потому прирост количества литров азота выразится так:

$$\Delta y \approx 0,2\Delta t - \frac{0,2y}{40} \Delta t.$$

Мы написали приближенное равенство, потому что на самом деле за малый промежуток времени $[t, t + \Delta t]$ концентрация азота хоть немного, но изменяется. Если же разделить обе части этого равенства на Δt и перейти к пределу, когда $\Delta t \rightarrow 0$, то, учитывая, что $\lim_{\Delta t \rightarrow 0} \frac{\Delta y}{\Delta t} = y'$, получим точное равенство

$$y' = 0,2 \left(1 - \frac{y}{40}\right)$$

Оно является дифференциальным уравнением процесса.

Решим это уравнение. Для этого преобразуем его к виду

$$y' = -0,005(y - 40)$$

Это дифференциальное уравнение процесса выравнивания. Воспользуемся формулой, получим:

$$y = 40 + (y_0 - 40)e^{-0,005t}$$

Здесь y_0 - значение искомой величины y в момент времени $t = 0$. Но по условию в начальный момент времени в 40-литровом сосуде было 80% азота, т.е. 32 л азота, значит, $y_0 = 32$. Поэтому

$$y = 40 - 8e^{-0,005t}.$$

Теперь уже легко найти, когда концентрация азота в смеси будет 99%. В это время в сосуде окажется 39,6 л азота. Значит, надо решить показательное уравнение

$$39,6 = 40 - 8e^{-0,005t}.$$

Решая его, последовательно находим:

$$8e^{-0,005t} = 0,4$$

$$e^{-0,005t} = 0,05$$

$$-0,005t = \ln 0,05$$

$$t = 200 \ln 20 \approx 600 \text{ с.}$$

СПИСОК ИСПОЛЬЗОВАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ

1. А.Н.Колмогоров, «Алгебра и начало анализа, 10-11 кл.». - М.: просвещение 2012 г. - 384 с.

В этом учебнике приведены несколько задач на дифференциальные уравнения, которые помогают уже в школьной программе соприкоснуться с дифференциальными уравнениями.

2. Н.В.Богомолов. Практические занятия по математике. Москва «Высшая школа» 2003.

3. Составитель С.И.Шварцбурд. Избранные вопросы математики. Москва «Просвещение» 1990.

სექცია 5. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამართლებრივი, პოლიტიკური და ფილოსოფიური ასპექტები

საერთო ეკონომიკური ინტერესები კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში

ჯემალ გახოკიძე

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საერთო ეკონომიკური ინტერესების პოზიტიური როლი კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში. შესწავლილი და გაანალიზებულია ამ მიმართულებით რამდენიმე პრეცედენტი, კერძოდ: ჰონკონგი - ჩინეთის, იტალია - სამხრეთ ტიროლის და დიდი ბრიტანეთი - შოტლანდიის.

სტატიაში შევეცადეთ გვეჩვენებინა ეკონომიკური და ბიზნესინტერესების მნიშვნელობა და როლი ცენტრსა და რეგიონებს შორის პოლიტიკური უთანხმოებების მოსაწესრიგებლად.

სწორედ ამის გათვალისწინებით სტატიაში წარმოდგენილია წინადადებები საქართველოს განდგომილ რეგიონებთან სწორი ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ, თუნდაც ყოფით დონეზე უპირატესობის მინიჭების მიზნით.

RESUME

The article reviews the positive role of common economic interests in conflict resolution. We explored and analyzed several precedents in this direction, namely: Hong Kong - China, Italy - South Tyrol and Great Britain - Scotland.

In the article we tried to show the importance and role of economic and business interests between the center and the regions in order to regulate political disagreements.

In this regard, the article presents the proposals about correct economic relations with the breakaway regions of Georgia.

* * * *

საქართველოს სახელმწიფოს 90-იანი წლების კონფლიქტების შედეგად დაკარგული აქვს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახით, კერძოდ 12,5 კვ.მ., რაც მთელი ტერ-

იტორიის 17,9% შეადგენს. მწარე რეალობაა, მაგრამ ფაქტია, რომ უახლოეს წარსულსა და აწმყოში ჩვენ ასეთ პირობებში გვინევს ცხოვრება.

გავიდა 25 წელი, საუკუნის ერთი მეოთხედი, ამ ხნის განმავლობაში კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით, ობიექტურობა მოითხოვს და უნდა ითქვას, რომ გვექონდა რეალპოლიტიკაზე დაფუძნებული გარკვეული წინსვლა, წარმატებები. ამასთანავე, გვექონდა მარცხი, შეცდომები, ზოგჯერ გამოუცდელით გამოწვეული დინების საწინააღმდეგო პოლიტიკური გადაწყვეტილებები, საბედისწერო შეცდომები და დანაშაულებრივი წინდაუხედაობაც, რაც სამწუხაროდ, ჯერ რუსეთთან ომში გადაიზარდა და როგორც მოსალოდნელი იყო სამხედრო კრახით დამთავრდა. პრაქტიკულად, ტერიტორიული გამთლიანებისათვის წლების განმავლობაში შეკონსერვებული ჩვენი აქტივები წულს გაუტოლდა. საჭირო შეიქნა ყველაფრის თავიდან დაწყება, მაგრამ გაცილებით ნამგებიან სასტარტო პირობებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიმყოფებით იქ, სადაც ჩვენ თვითონ მივედით. მიუხედავად ამისა, ლოდინისა და სხვის იმედად ყოფნის უფლება არა გვაქვს.

მიზნის მიღწევისათვის, გამოსავალი მხოლოდ ერთია – მთავარი გასაკეთებელი ჩვენ თვითონ! დიდი შეცდომების გარეშე! დანარჩენი ჩვენს კეთილმოსურნეებთან ერთად.

კონფლიქტურ მხარეებს შორის ეკონომიკურ თუ ყოფით საკითხებზე ურთიერთობა, კომერცია, ბიზნესი, ერთი შეხედვით, შეუთავსებლად ასოცირდება, მაგრამ როგორც კონფლიქტური ქვეყნების ურთიერთობის ისტორია მოწმობს, მათ შორის, მართლაც არის ურთიერთგანმაპირობებელი ლოგიკური კავშირი. დასავლეთ ევროპაში, ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან იკვლევდნენ ხალხთა ურთიერთობაში, მათ შორის მტრულად განწყობილ მხარეებს შორის, კომერციის პოზიტიურ ფუნქციას. „კომერციის ბუნება“ და საქმიანი ვაჭრობის გონივრულობა მიიჩნეოდა დაპირისპირებულ ქვეყნებსა და ხალხთა შორის მშვიდობიან-

ნობის ფაქტორად. თვით საქონლის გაცვლის პრაქტიკა ხელს უწყობდა ცალკეული ინდივიდების, ერების, ქვეყნების შერიგებასა და კონფლიქტების მოგვარებას. ამის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს აშშ-სა და იაპონიის წარსული და აწმყო. ხიროსიმა და ნაგასაკის 1945 წლის ტრაგედიის შემდეგ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ფიქრიც კი იმის შესახებ, რომ აშშ და იაპონია ოდესმე გახდებოდნენ საიმედო და ერთგული პარტნიორები პოლიტიკურ, სავაჭრო და სამხედრო სფეროებში. თვით აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ვიზიტმა აღნიშნულ კუნძულებზე და იაპონიის პრემიერ-მინისტრის საპასუხო ვიზიტმა პერლ ჰარბორზე, ფაქტობრივად ბოდიშის მოსახდელად, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სწორედ ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა და დაწყებაა ის მთავარი მოტივატორი, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს უბიძგებს შერიგებისაკენ, რაც გამოიხატება ამა თუ იმ ფორმით ვაჭრობის, ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის და სხვა სფეროებში ჯერ ყოფით დონეზე ყოველდღიური ურთიერთობით, რაც შემდგომში თანამშრომლობაში გადაიზრდება და ერთად ცხოვრებისათვის აუცილებელ სხვა სფეროებსაც „გადაედება“. ომით გამოწვეულ აგრესიის მიმართ შეიცვლება დამოკიდებულება პოზიტივისაკენ. ერთ დროს მტრულად განწყობილი მხარეები იწყებენ ფიქრს, თუ როგორი იქნება თანაცხოვრების პირობებში მათი ეკონომიკური და პოლიტიკური მომავალი.

1997 წლის პირველ ივლისს ჩინეთმა იურისდიქცია აღადგინა ჰონკონგზე. სწორედ ჩინეთის, ჰონკონგისა და დიდი ბრიტანეთის ეკონომიკურ ინტერესთა თანხვედრამ, მათ მიერ ბიზნესის გაფართოებისა და განვითარების ხელსაყრელი პირობების წინასწარ განჭვრეტამ, ამასთანავე, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ საკითხებზე ურთიერთმისაღებმა, კომპრომისულმა გადაწყვეტილებებმა შესაძლებელი გახადა ორი ურთიერთდაპირისპირებული, ფაქტობრივად, მტრულად განწყობილი სისტემის ქვეყნების ჩინეთისა და ჰონკონგის არა მარტო შერიგება, არამედ ერთად თანაცხოვრება, ისე, რომ „თამაშიდან“ არ გასულა დიდი ბრიტანეთი (როგორ და რა ვითარებაში მოხერხდა ეს, ამაზე სრული წარმოდგენა შეექმნება მკითხველს ნაშრომის მესამე თავში). ამ კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მაინც ეკონომიკური ინტერესებია მთავარი, რომელიც არა მარტო მშვიდობიანობის, არამედ დაპირისპირებულთა შესარიგებლად, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს თამაშობს. ჟან ბოდენი მიიჩნევდა, რომ „გაცვლის თავისუფლება და ხალხთა მეგობრობა ურთიერთგანუყოფელი ფენომენია“. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე კი სავსებით შესაძლებელია განდგომილებთან ეკონომიკური ურთიერთობის დაწყება იყოს სწორედ ის გენერატორი, რომელიც შერიგებას შეუწყობს ხელს. უფრო მეტიც, წინამდებარე ნაშრომის ავტორები დარწმუნებულნი ვართ, რომ ასეთი ტიპის ურთიერთობა, მხოლოდ

საქონლის ყიდვა-გაყიდვით არ ამოიწურება. აღნიშნული ურთიერთობის პროცესი მოიცავს ფასეულობების, კულტურის, ყოფითი პრობლემებისა და სხვა მსგავსი ცივილური კომპონენტების გაცვლასაც. გაიგო, აითვისო და გაითავისო შენთან დაპირისპირებული მხარის მიზნები, ამოცანები, მისწრაფებები, წარსულის აწმყოსა და მომავლის პრობლემები სწორედ შენთვისაა აუცილებელი პირობა **სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.**

წინმსწრებად უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევებმა, მათ შორის მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კონფლიქტების დარეგულირების რამდენიმე შედეგიანი პრეცედენტის ანალიზზე, ერთმნიშვნელოვნად დაგვარწმუნა, რომ მათი გადაწყვეტა, მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით, მოლაპარაკებით, კომპრომისებით, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით არის შესაძლებელი **რაც შეეხება ჩვენს სინამდვილეს, განვლილი ოცწლიანი ისტორიის გაკვეთილები, მხოლოდ იმაზე მიგვითითებენ, რომ თუნდაც ყოფით დონეზე, ეპიზოდურად კომერციულ და ბიზნესურთიერთობის დაწყებას და მის შემდგომ ეტაპობრივ, სულ უფრო მზარდ განვითარებას რაც პოლიტიკურ ენაზე დიალოგის დაწყებასაც ნიშნავს ალტერნატივა არ აქვს.** ამასთან დაკავშირებით ავტორთა პოზიცია ერთმნიშვნელოვანია: **განდგომილ რეგიონებთან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული რბილად დაშვების ეკონომიკური პოლიტიკა, მისი ფართო გაგებით, ყველაზე სწორი და გამართლებული გზაა, რომელიც მყისიერად არა, მაგრამ სამომავლოდ აუცილებლად დადებით შედეგს მოიტანს.** უკეთესი ცხოვრებისაკენ სწრაფვა იყო, არის და იქნება მცირე და დიდი ერების, შესაბამისად, ქვეყნების მუდმივი საზრუნავი, აქედან გამომდინარე, ეროვნული ინტერესების მთავარი შემადგენელიც. იგი პირდაპირ დაკავშირებულია არა მარტო თვითგადარჩენასთან, არამედ მათი განვითარების მთავარი ფაქტორია. თუ არ არის ასეთი მუდმივი მისწრაფება, მაშინ მცირენიცი და დიდნიცი თვითლიკვიდაციას უცხადებენ საკუთარ თავს. ჩვენ მსგავსი ეტაპები წარსულში უკვე გავიარეთ, რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ სიტუაციაში და დროში. მათ შორის ერთ-ერთი ე.წ. ერგენტის ბაზრობის ფენომენი იყო მისი სრული ანატომიით. სწორედ ამით გვინდა დავიწყოთ.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ გაყინული კონფლიქტების დროს ერგენტის ბაზრობა, გარკვეულწილად, წარმოადგენდა მშვიდობიანობის ანკლავს. პრაგმატული, რეალპოლიტიკაც უთუოდ მოითხოვდა ამ ანკლავის გაფართოებისათვის ხელშეწყობას, ყოველ შემთხვევაში მისი თვითდინების შეუფერხებლობას. შესაძლოა, გადაჭარბებაში ჩაგვეთვალოს, მაგრამ გვგონია, რომ ცხინვალსა და საქართველოს შორის არსებული პრობლემის გადაჭრის სხვა მშვიდობიან საშუალებ

ბათაგან „ერგნეთი“ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ისე, როგორც გალსა და ზუგდიდს შორის შექმნილი უფრო მცირე მასშტაბებით, მაგრამ ანალოგიური კომერციული ურთიერთობა. რატომ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი „ერგნეთი“ და რატომ ვართ ასე თვითდაჯერებული?! ამის დასტურად ქართული და ოსური მხარის უმაღლესი დონის შეხვედრების ანალიზიც კმარა, რასაც ბიძგი მისცა და შესაძლებელი გახდა სწორედ ერგნეთის ბაზრობასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა.

მანამდე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ „ერგნეთი“ მრავალმხრივი პრობლემებით იყო დატვირთული და მოითხოვდა პოლიტიკურ ანალიზთან ერთად სერიოზულ, კომპლექსურ, ეკონომიკურ-სამართლებრივ ანალიზს. მათ შორის, კრიმინოლოგიური თვალსაზრისითაც. სანამ ამ მეთოდით პრობლემის ანალიზს შევუდგებოდეთ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ე.წ. ერგნეთის ბაზრობის პრესტორიასაც შევეხოთ. ერგნეთის ბაზრობის აღორძინება დაიწყო 1994-1995 წლებიდან, მასშტაბები და მოთამაშეთა წრე სულ უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა 1997-1998 წლებში. იგი უკვე სრულმასშტაბიან და მრავალპროფილიან, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე განლაგებულ ბაზრობად ჩამოყალიბდა.

ერგნეთის ბაზრობა, მისი ნეგატიური მხარეების მიუხედავად, ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის დათბობის ბუნებრივ ზონადაც ჩამოყალიბდა. ამკარად შეიმჩნეოდა, რომ არაფორმალურ სავაჭრო-ეკონომიკურ ზონას სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ფუნქციის დატვირთვაც ჰქონდა. ჩვენი შეხედულებით, ერგნეთის ბაზრობაზე არსებული ქაოსი საქართველოს ხელისუფლების ინტერესებს დაქვემდებარებულ მართვად პროცესად უნდა გადაქცეულიყო. სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი, არსებითად, ენინააღმდეგებოდა ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას. უფრო სწორად ამკარა იყო პოლიტიკისა და კანონის ურთიერთშეჯახება. **შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლებამ, მაშინ უპირატესობა მაინც მოქმედ კანონმდებლობას მიანიჭა.**

სწორედ ასეთ ფონზე, ამ ვითარებაში 1996-1998 წლებში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რამდენჯერმე შეხვდა სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტს ლუდვიგ ჩიბიროვს, მათ შორის ვლადიკავკაზში, ლიკანსა და ჯავაში. უდავოა, რომ იმ დროისათვის მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი, იმ სიტუაციისათვის რეალპოლიტიკაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, ამასთან, გამოიკვეთა რუსეთის მაშინდელ პოზიტიური როლიც. ვფიქრობთ, ყოველივე ამას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და, უდავოდ, დიდი ალბათობით გასათვალისწინებელი იქნება კონფლიქტების და რეგულირების ახალი ეტაპისათვის.

სამართლიანობა მოითხოვს და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის საქართველოს ხელი-

სუფლებას კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების არც სათანადო გამოცდილება ჰქონდა და არც შესათავაზებელი წინადადებების სრული პაკეტი. მათ შორის არც საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრის, ცენტრალურ ხელისუფლებასა და მათ შორის ხელისუფლების გადანაწილებისა და კომპეტენციათა გამოჯგნის, აფხაზეთისთვის და ე.წ. სამხრეთ ოსეთისათვის მმართველობაში დამოუკიდებლობის ხარისხის და სხვ., რომელიც მისაღები იქნებოდა კონფლიქტის მონაწილე მხარეებისათვის. **უნდა ვაღიაროთ, რომ დიდხანს მიგვაჩნდა ძალის გამოყენება მიზნის მისაღწევად, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან უტოპიაა და მეტი არაფერი.** არადა, რეალპოლიტიკა კონფლიქტების, მხოლოდ მშვიდობიანად გადაწყვეტის უალტერნატივო და ერთადერთი სწორი გზაა.

მაგალითად, ნაკლებად ან საერთოდ არ იყო ჩვენთვის ცნობილი ჰონკონგის ჩინეთის სახელმწიფოში მშვიდობიანად დაბრუნების პრეცედენტი, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, განხორციელდა 1997 წელს, ანდა როგორ შეძლო იტალიის ხელისუფლებამ გერმანელებით დასახლებული სამხრეთ ტიროლის პრობლემების გადაწყვეტა.

რეალობა ასეთია: პირველ ეტაპზე იტალიის სახელმწიფოს არაგონივრულმა, ემოციურმა, დაუფიქრებელმა გადაწყვეტილებებმა სამხრეთ ტიროლთან მიმართებით პრობლემის გადაწყვეტის მაგივრად კიდევ უფრო გაართულა სიტუაცია. შემდგომ ეტაპზე იტალიამ მისი ასეთი პოლიტიკა ჩაანაცვლა პრაგმატული გადაწყვეტილებებით, როგორც დამოუკიდებლად, ისე ავსტრიასთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად. მათ შორის აუცილებლად აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ტიროლს მიენიჭა ფართო ეკონომიკური თავისუფლება და ეს გახდა გადამწყვეტი. ასევე, იქ გერმანული გამოცხადდა სახელმწიფო ენად და საბოლოოდ, ერთი შეხედვით, სამხრეთ ტიროლის კონფლიქტამდე მისული პრობლემების მოგვარება შესაძლებელი გახდა. უფრო მეტიც, სამხრეთ ტიროლის მცხოვრებნი, მათ შორის გერმანულენოვანი მოსახლეობა, ცხოვრების მაღალი დონით გამოირჩევა. მთელს დანარჩენ იტალიის რეგიონებთან შედარებით.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა ჩვენთვის შოტლანდიაში ჩატარებული რეფერენდუმის პოლიტიკურ-სამართლებრივი ანატომიის შესწავლა. ფაქტობრივად დიდი ბრიტანეთი ტერიტორიული მთლიანობის რღვევის საკითხის წინაშე დადგა. ფაქტია, დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული ინგლისის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან თანხმობის გაცხადება რეფერენდუმზე და ასეთ რისკზე წასვლა, თუმცა დიდ ბრიტანეთს ტესტი ქვეყნის ერთიანობასთან ერთად, დემოკრატიულად უნდა ჩაებარებინა — ერთმნიშვნელოვნად

ყველაფერი უნდა დასრულებულიყო ცივილიზებულად, ყველანაირი ძალადობის გარეშე. თუ შოტლანდიელები დამოუკიდებლობას არჩევდნენ, მას დიდი ბრინანტი „გაუშვებდა“ კიდევ, ოლონდ, რა თქმა უნდა, მათ არაერთ საკითხზე უნდა ეკისრათ დიდი რისკებითა და რყევებით დატვირთული პასუხისმგებლობა. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებში შოტლანდიის მოსახლეობამ თვალნათლივ დაინახა, რომ მხოლოდ ემოციებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება არ იქნებოდა უკეთესი ცხოვრების გარანტია. ამასთან, ძალაში დარჩა შოტლანდიის თვითმმართველობის შემდგომი გაღრმავების პროექტი, შოტლანდიელები საკუთარი საქმეების გადაწყვეტისას მეტ დამოუკიდებლობას მიიღებენ. გარდა ამისა, ჩვენი კვლევები მიუთითებს იმაზე, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ შოტლანდიელებს რეფერენდუმის წინ მისცა გარანტიები მათი უფლებების გაფართოების შესახებ, რაც შოტლანდიელებმა აღიქვეს როგორც ცხოვრების დონის ამაღლების საფუძველი და გარანტია. ფაქტია, ბრიტანეთმა აიცილა კარს მომდგარი კონფლიქტი.

მიგვაჩნია, რომ გარკვეული მსგავსებები (რა თქმა უნდა, განსხვავებებთან ერთად) გამოიკვეთა ერთი მხრივ ზემოთ პოზიტიურ მაგალითად მოყვანილი ჩინეთის ხელისუფლების მიერ ჰონკონგის მიერთებასთან, ხოლო მეორე მხრივ შოტლანდიის ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენასთან დაკავშირებით.

დასკვნის სანაცვლოდ

უდავოა, რომ საჭიროა კონფლიქტების მონესრიგების ახალი გზების ძიება, რომლებიც მხოლოდ რეალპოლიტიკას დაემყარება. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების ჩიხიდან გამოსაყვანად განსხვავებული სტრატეგია საჭიროდება, როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე საერთაშორისო თანამეგობრობას. კვლევისას იმაშიც დავრწმუნდით, რომ გაყინული კონფლიქტების გაყინული გაურკვეველობა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კომერციული ურთიერთობა, ეკონომიკური ინტერესები თუნდაც ყოფით დონეზე, აუცილებლად ამოქმედდება. სწორედ ამ დროისათვის უნდა ვიყოთ მზად სამოქმედო პროგრამით, რომლის პოლიტიკა და სტრატეგია მეორე მხარესთან (მხარეებთან მიმართებით) არ უნდა იყოს არც შეტევითი და არც დაცვითი, არამედ კონსტრუქციული და კომპრომისული, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზანი უნდა იყოს ურთიერთშორისი ნდობის აღდგენა, შერიგება და თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ სიტუაციის ორივე მხარისათვის მისაღებად და სასარგებლოდ განვითარება, რამაც კონფლიქტის სრულმასშტაბიან მონ-

ესრიგებამდე უნდა მიგვიყვანოს.

უკვე დღეს უნდა ვიფიქროთ და შეთავაზებაც უნდა გავაკეთოთ ეკონომიკური და ბიზნესინტერესების მქონე, სახელმწიფოთაშორისი სტრატეგიული ინტერესების მქონე ისეთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, როგორცაა თბილისი-ზუგდიდი-ლესელიძის ავტობანის მშენებლობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა თავის საცხოვრისში დაბრუნების სანაცვლოდ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, ანაკლიის პორტის მშენებლობის განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა მათ შორის აფხაზეთისთვისაც, აფხაზეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება, ბიზნესისთვის მიმზიდველი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შექმნა, რომელიც ამ რეგიონის წინმსწრებად საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით განვითარებას შეუწყობს ხელს და კიდევ მრავალი სხვა.

რაც შეეხება ჩვენს სინამდვილეს, განვლილი ოცდახუთწლიანი ისტორიის გაკვეთილები, მხოლოდ იმაზე მიგვითითებენ, რომ თუნდაც ყოფით დონეზე, ეპიზოდურად კომერციულ და ბიზნესურთიერთობის ე.ი. ურთიერთეკონომიკური ინტერესების დაწყებას და მის შემდგომ ეტაპობრივ, სულ უფრო მზარდ განვითარებას რაც პოლიტიკურ ენაზე დიალოგის დაწყებასაც ნიშნავს ალტერნატივა არ აქვს. განდგომილ რეგიონებთან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული რბილად დაშვების ეკონომიკური პოლიტიკა, მისი ფართო გაგებით, ყველაზე სწორი და გამართლებული გზაა, რომელიც მყისიერად არა, მაგრამ სამომავლოდ აუცილებლად დადებით შედეგს მოიტანს. უკეთესი ცხოვრებისაკენ სწრაფვა იყო, არის და იქნება მცირე და დიდი ერების, შესაბამისად, ქვეყნების მუდმივი საზრუნავი, აქედან გამომდინარე, ეროვნული ინტერესების მთავარი შემადგენელიც. იგი პირდაპირ დაკავშირებულია არა მარტო თვითგადარჩენასთან, არამედ მათი განვითარების მთავარი ფაქტორია. თუ არ არის ასეთი მუდმივი მისწრაფება, მაშინ მცირენივ და დიდნივ თვითლიკვიდაციას უცხადებენ საკუთარ თავს. ჩვენს მიერ განხილული, გამოკვლეული და გაანალიზებული პრეცედენტებიც (ჰონკონგი, სამხრეთ ტიროლი და შოტლანდია) ხომ ამის დასტურია.

ლიტერატურა:

1. ჯ. გახოკიძე, ს. მიდელაშვილი. ჰონკონგი, ჩინეთი - 1997. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი.
2. ჯ. გახოკიძე, ა. დემეტრაშვილი, ქ. ჭინჭარაძე, ს. მიდელაშვილი, გ. გორაძე. ძიებანი საქართველოს განდგომი რეგიონების შემორიგებისათვის. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წელი.
3. ჟან ბოდენი -, „პასუხი დე მალტრუას“.

**შენიშვნები და მოსაზრებები გამოძიების სტადიაზე მხარეთა
თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრობლემატთან და მათი გადაჭრის
გზებთან დაკავშირებით**

გივი აბაშიძე

*სამართლის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი*

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია თანამედროვე მართლმსაჯულების ცივილიზებული ფორმა – მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, შეჯიბრებითობის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დემოკრატიული პრინციპის არსი და მნიშვნელობა.

გადმოცემულია საკითხი თუ როგორ და რამდენად სრულყოფილად ხორციელდება შეჯიბრებითობის პროცესი გამოძიების სტადიაზე და ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ამ ეტაპზე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრობლემებზე, გამოთქმულია შენიშვნები და მოსაზრებები ამ პრობლემებთან და მათი გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: სისხლის სამართლის პროცესი, გამოძიება, შეჯიბრებითობა და თანასწორობა

**ON THE STAGE OF INVESTIGATING THE
PROBLEMS OF BALANCE AND COMPETITION
OF PARTIES**

Givi Abashidze

SUMMARY

The present work deals with the problems of the civilized form of the modern justice – the balance and competition of the parties in the process of the criminal law as well as the essence and importance of the principle of the criminal law process.

We have described here how and how perfectly the competition process is carried out on the stage of investigation and we basically focus on the balance and competition problems of the parties.

Key words: Criminal law process, investigation, competition, equality

* * * *

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, რომელიც პირველად ქართულ სისხლის საპროცესო სამართლის ისტორიაში სამართალწარმოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად იქნა აღიარებული, წარმოადგენს სამართალწარმოების ცივილიზებული ფორმას და უზრუნველყოფს სისხლის სამართალწარმოების ყველა სტადიაზე მოქალაქის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვას. მხარეთა

თანასწორობა და შეჯიბრებითობა საპროცესო ლიტერატურაში, სამართლის თეორიაში და პრაქტიკაში გვევლინება ფუძემდებლურ ელემენტად დემოკრატიული სამართლებრივი მექანიზმის განვითარებისათვის

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვილოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ საქმის წარმოების პროცესში მხარეები და მათში მონაწილე პირები აღჭურვილნი არიან თანაბარი უფლებებით და თანაბარი შესაძლებლობა აქვთ თავიანთი ინტერესების დასაცავად გამოიყენონ კანონით რეგლამენტირებული საპროცესო საშუალებები. ამგვარი თანასწორუფლებიანობის გარეშე არც შეიძლება ვილაპარაკოთ მათ შეჯიბრებითობაზე¹.

მართლმსაჯულება შეჯიბრებითია მაშინ, როცა სასამართლო განხილვის მხარეებს შეუძლიათ აქტიურად და თანაბარ საწყისებზე ამტკიცონ თავიანთი პოზიციის უტყუარობა, მოიყვანონ ამისათვის არგუმენტები, განმარტონ ფაქტები და მოვლენები, წარადგინონ მტკიცებულებები. ამასთან სასამართლო მიზანმიმართულად კონტროლს უწევს მხარეთა მოქმედებას, უზრუნველყოფს კანონით დადგენილი სასამართლო განხილვის წესების განუხრელ დაცვას.²

შეჯიბრებითობის ძირითადი პრინციპია სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეთა თანაბარი უფლებები. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა კი შესაძლებელს ხდის ამ მიმართულებით ყველა სახის პრობლემის გადაწყვეტას.

საერთოდ, მეცნიერ-იურისტების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ შეჯიბრებითობა არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის პრინციპია, არამედ „შეჯიბრებითობა საშუალებაა გამოიკვილო მტკიცებულებები, ხერხია პროცესზე მონაწილეებმა დაიცვან თავიანთი პოზიციები საქმეზე მათი უფლებებისა და მოვალეობების შესრულების დროს, ჭეშმარიტების დადგენის

¹ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, თბ. 2015 წელი, გვ. 80

² სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი, თბ. 2008 წელი, გვ. 148

ნესია, მისი მოძებნის საშუალებაა.⁴³

მხარეთა პოზიციების შეჯერება მიმდინარეობს არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ შეჯიბრებითობას ადგილი აქვს სისხლის სამართალწარმოების მთელ პროცესში, კერძოდ გამოძიების წარმოებისას.

ზოგადად, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, როგორც წესი, გამოძიების სტადიაზე მხარეები უნდა იმყოფებოდნენ თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში და მათ შორის შეჯიბრებითობა, წმინდა საპროცესო თვალსაზრისით ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სრული ფორმით უნდა ხორციელდებოდეს. როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეს, გამოძიების სტადიაზე უნდა მიეცეს მტკიცებულებების შეგროვების და წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა.

სხვა საკითხია, ცალკეულ შემთხვევებში, გამოძიების მწარმოებელი ორგანოები, თავიანთ საქმიანობაში, პრაქტიკულად რამდენად რეალურად იცავენ ამ პრინციპს, როგორია ამ ორგანოების ნება, მხარეები ჩააყენონ კანონით დადგენილ თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში და შექმნან სათანადო პირობები მხარეთა შორის სრული შეჯიბრებითობის განსახორციელებლად.

მაგრამ, აქ მთავარია ის, თუ ამ სტადიაზე რამდენად არის რეალიზებული და დაცული მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა საკანონმდებლო თვალსაზრისით, რამდენად რეალურად იმყოფებიან მხარეები თანაბარ საპროცესო მდგომარეობაში მოქმედი სსს კოდექსის მიხედვით.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ საინტერესოა საკითხი თუ როგორ და რამდენად სრულყოფილად ხორციელდება მხარეთა შეჯიბრებითობის პროცესი გამოძიების სტადიაზე და რა პრობლემები გააჩნია მას ამ ეტაპზე.

ვეთანხმები იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გამოძიების სტადიაზე სამართალწარმოების მონაწილე მხარეებს შორის თანასწორობას არ ექნება ადგილი, თუ რომელიმე მხარეს გააჩნია გარკვეული უპირატესობა, ერთ მხარეს აკისრია ვალდებულება და მეორე თავისუფალია ამ ვალდებულებისაგან. ანუ, მხარეთა თანასწორობა გულისხმობს, როგორც თანაბარ უფლებებს, ისე თანაბარ მოვალეობებსაც.

გამოძიების სტადიაზე მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე მინდა მოკლედ წარმოგიდგინოთ სისხლის სამართალის ლიტერატურაში მეცნიერ-იურისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომელთა ერთი ნაწილს მიაჩნია, რომ გამოძიების პროცესი უფრო ინკვიზიციური პრინციპს ეფუძნება. ისინი თვლიან, რომ მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული მთლიანი სასამართლო პროცესი, ასევე წინასასამართლო პროცესის დიდი ნაწილი, ხოლო გამოძიების პრო-

ცესი, რომელიც ასევე შეიცავს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის ელემენტებს, კერძოდ ის, რომ დაცვას უფლება აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე ჩაერთოს საქმეში, ჩაატაროს დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებები, თავისი ბუნებით მაინც ინკვიზიციური ხასიათისაა, ის უფრო მეტად ინკვიზიციურ პრინციპს განეკუთვნება, ვიდრე შეჯიბრებითობის და თანასწორობის⁴⁴.

მეცნიერთა მეორე ნაწილის მტკიცებით, გამოძიების დროს ძნელია ისაუბრო სრულყოფილ შეჯიბრებითობის საწყისებზე.⁴⁵ მათ მიაჩნიათ, რომ გამოძიების სტადიაზე მხარეთა თანასწორუფლებიანობა არარეალურია, მხარეები იმყოფებიან მიახლოებით თანაბარ მდგომარეობაში. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პროცესში პროკურორის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტის საპროცესო სტატუსი არ ემთხვევა ბრალდებულისა და მისი დამცველის საპროცესო სტატუსს და ამის გამო, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა გამოძიების სტადიაზე, ერთგვარად შეზღუდული ფორმით ხორციელდება⁴⁶.

მათი აზრით, ეს შეზღუდვა გამოიხატება იმაში, რომ გამოძიების დროს პროკურორი თავად ახორციელებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას და საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ყველა საკითხზე თვითონვე ლებულობს გადაწყვეტილებას. ასევე, ბრალდებული და მისი დამცველი, დაცვის ფუნქციას ისეთ პირობებში ახორციელებენ, როცა მათ არ აქვთ მტკიცებულებების შეგროვების და წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა.

ამიტომ, თვლიან, რომ ასეთ პირობებში შეჯიბრებითობას ნაკლები ადგილი რჩება, ხოლო კანონის თანახმად, გამოძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებაზე დაწესებული სასამართლო კონტროლი, რაც დაკავშირებულია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვასთან, ვერ ავსებს ამ ნაკლს.

აღნიშნულ საკითხზე, უფრო კატეგორიულები არიან სხვა მეცნიერები, რომელთა აზრით, პროცესის აღნიშნული სტადია აგებულია ისე, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენება უბრალოდ შეუძლებელია,⁴⁷ ხოლო ზოგიერთს მიაჩნია, რომ შეჯიბრებითობის ადგილია სასამართლო განხილვა და არა გამოძიება.⁴⁸

4 თ. ლალიაშვილი. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი. თბ. 2015 წ. გვ. 119-121

5 Кобликов А.С. Принципы уголовного процесса/Под ред. А.С. Кобликова. М., 1995. С. 39.

6 სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი. თბ. 2008, გვ. 150

7 Якимович Ю.К., Семухина О.Б. О некоторых принципах уголовного процесса//Сибирские юридические записки: Ежегодник Ассоциации юридических вузов «Сибирь». Вып. 2, Красноярск. 2002. С. 162.

8 Чичканов А.Б. Принцип состязательности в российском уголовном судопроизводстве//Правоведение. 2001. № 5. С. 129.

3 Макаров Л.В. Участие обвиняемого и его защитника в уголовно-процессуальном доказывании: Автореф. дисс. ... канд. юрид. наук. Саратов, 2002.

რა თქმა უნდა, გამოძიების სტადიაზე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის განხორციელების პროცესში არსებულ ყველა პრობლემას ერთი სტადიის ფარგლებში ვერ განვიხილავთ, მაგრამ მინდა ყურადღება გავამახვილო ზოგიერთ პრობლემატურ საკითხზე.

გამოძიების სტადიაზე მხარეთა შეჯიბრებითობის ნეგატიურ მხარედ უნდა ჩაითვალოს დაზარალებულის ბრალდების მხარის შემადგენლობიდან ამორიცხვა. ამჟამად მოქმედი სსს კოდექსით შეიცვალა და მინიმუმამდე შეიზღუდა დაზარალებულის უფლებები. დღემდე ვერ გადაწყდა უნდა არსებობდეს თუ არა დღევანდელ სისხლის საპროცესო სამართალწარმოებაში დაზარალებულის ინსტიტუტი, უნდა ქონდეს თუ არა მას შესაძლებლობა ისარგებლოს დამცველის მომსახურებით და სხვა საპროცესო უფლებამოსილებით.

საკვირველია, დღეს ასეთი განვითარების, ასეთი ცივილიზაციის დროს, როცა პირველ რიგში დგება ზოგადად პიროვნების და მით უფრო კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების გამო დაზარალებული პირის უფლებების და ინტერესების დაცვა, დაზარალებული ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით სამართალწარმოებაში გვევლინება არა მხარედ, არამედ ის მხოლოდ პროცესის მონაწილეა და გათანაბრებულია მონმის სტატუსთან.

აღნიშნულის თაობაზე სწორად გამოთქვამენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას ამ საკითხით დაინტერესებული ცალკეული ავტორები. მათი აზრით ის, რომ დაზარალებული ბრალდების მხარე არ არის, ამჟამად მოქმედ სსს კოდექსის ღირსებაზე კი არ მეტყველებს, არამედ პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილის უფლებების ყოვლად გაუმართლებელ შეზღუდვებზე მიუთითებს. დაზარალებული პრაქტიკულად სრულიად უუფლებოა და გარდა ჩვენების მიცემისა, სხვა მხრივ არ მონაწილეობს სისხლის სამართალწარმოებაში. ანალოგიური ნორმა არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ მოქმედებს და გაუგებარია თუ რამ განაპირობება მისი მაინცდამაინც საქართველოში დანერგვა. ამით იგნორირებულია თანასწორობისა და შეჯიბრებითობის ფუძემდებლური პრინციპები.⁹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად დაცვის მხარეა ბრალდებული და მისი ადვოკატი. დაცვის მხარე გამოძიების სტადიაზე, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ეტაპიდან, ბრალდების მხარის პარალელურად იწყებს დამოუკიდებელ გამოძიებას, პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე პირს ენიჭება ბრალდებულის სტატუსი და მოქმედებს იწყებს დაცვის ის პრივილეგიები, რაც კანონით მინიჭებული აქვს ბრალდებულს და რომლებიც აუცილებელია მხარეთა თანასწორობისა და რეალური შეჯიბრებითობის

9 ბენიძე დ. შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. სამეცნიერო შრომების კრებული. 2014. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e>

მისაღწევად.

ასევე დაცვის მხარეს გააჩნია მთელი რიგი საპროცესო უფლებამოსილება, რაც გათვალისწინებულია სსს კოდექსით და გამოძიების სტადიაზე შეჯიბრებითობის არსიდან გამომდინარეობს.

მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ არის ბრალდების მხარის თანაბარი უფლებების მქონე, რადგან ბრალდების მხარეს წარმოადგენს პროკურორი და გამომძიებელი, რომლებსაც გააჩნიათ სახელმწიფოებრივი რესურსი დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ყველა სახის საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩასატარებლად, არა აქვს ბრალდებულის გამამართლებელი ან პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებების მოპოვების ან უკვე მოპოვებული მტკიცებულებების დაცვის მხარისთვის გადაცემის არანაირი ვალდებულება.

გამოძიების სტადიაზე ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შორის შეჯიბრებითობის ფინალია მხარეების მიერ შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცნობა.

საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.

ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარემ არ მოითხოვა ბრალდების მხარის ინფორმაციის გაცნობა და მტკიცებულებების გადაცემა, ბრალდების მხარეს არა აქვს ვალდებულება დაცვის მხარეს თავისი ინიციატივით გადასცეს ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები. ნორმის ამგვარი ფორმულირება არასწორია და ბრალდების და დაცვის მხარის თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკანონმდებლო ცვლილება იმგვარად განხორციელდეს, რომ გამოძიების დამთავრების შემდეგ, ბრალდების მხარეს ჰქონდეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებების დაცვის მხარისთვის თავისი ინიციატივით გადაცემის ვალდებულება.¹⁰

სამართალწარმოების მონაწილე მხარეები თავიანთი კანონიერი ინტერესების დაცვას ახდენენ საპროცესო უფლებებით და მოვალეობებით, რომელშიც იგულისხმება ის საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩატარების უფლებაც მხარეებს სსსკ-ის შესაბამისად გააჩნიათ.

საქართველოს სსს კოდექსში 2014 წლის 1-ლი სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ,

10 ინგლისში ბრალდების მხარეს აქვს მის ხელთ არსებული გამამართლებელი ინფორმაციის დაცვის მხარისთვის გადაცემის ვალდებულება.

დაცვის მხარეს ჩამოერთვა საგამონაკლისო უფლება, რომლის საკომპენსაციოდ და მხარეთა შორის არსებული უფლებრივი ბალანსის შესანარჩუნებლად მას მიეცა ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესაძლებლობა, როგორცაა ჩხრეკა და ამოღება.

ამ ცვლილებით დაცვის მხარეს ნაერთვა ერთი მნიშვნელოვანი უფლება, რაც შეიძლება ითქვას დაცვის სრულყოფილად განხორციელების უზრუნველსაყოფად ადვოკატის ბოლო კოზირი იყო და დაცვის საქმიანობის პრაქტიკიდან მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა ამგვარი მტკიცებულებით არა ერთი, თითქმის წასაგებად განწინრული საქმე მოუგიათ ადვოკატებს.

როგორც ზემოთ აღნიშნა, დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლების გაუქმების სანაცვლოდ კანონმდებელმა ერთგვარი კომპენსაცია მოახდინა ჩხრეკა-ამოღების უფლების დაკანონებით, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ამის მიუხედავად მაინც ირღვევა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რადგან სსს კოდექსის 120-ე მუხლის 10-ე ნაწილში შეტანილი ცვლილებით დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს, რამაც კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელია ბრალდებულის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს.

ფაქტიურად, აღნიშნულ უფლების რეალიზება და მისი პრაქტიკაში გამოყენება თითქმის არ ხდება, რადგან მას თან ახლავს გარკვეული თავისებურებები. კერძოდ, ამ ნორმაში ბევრი საკითხი ბუნდოვანია. ამასთან, ცხადია, რომ ყველა ადვოკატს არ შეუძლია კონკრეტულ საქმეზე საქმისათვის აუცილებელი გარემოებების ზედმიწევნით სიზუსტით გამოკვლევა, რაც აუცილებელია დაცვის სასარგებლოდ მტკიცებულებების მოსაპოვებლად ან ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გასაბათილებლად. ამას შესაბამისი ცოდნის გარდა შესაბამისი უნარ-ჩვევები სჭირდება, რაც ცხადია ყველა ადვოკატს არ აქვს.

პრობლემური საკითხია ასევე ბრალდებულის მხარის გამოძიებლის შერჩევის საკითხი. კანონში გარკვევით არ წერია ვინ უნდა იყოს დაცვის მხარის გამოძიებელი. ვფიქრობთ, დროა დღის წესრიგში კვლავ დადგეს კერძო დეტექტივის ჩამოყალიბების საკითხი, რაზედაც დიდი ხანია მიმდინარეობს საუბარი და რაც უთუოდ გააძლერებს დაცვის მხარეს.

განხილული გარემოებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ცვლილებით კიდევ ერთხელ დაირღვა ბალანსი ბრალდების სასარგე-

ბლოდ და გარკვეულად დასუსტდა დაცვის მხარის პოზიციები.

ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გამოძიების ეტაპზე საქმის წარმოების თავისებურებებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, შეჯიბრებითობის თვალსაზრისით დაცვის მხარე ბრალდების მხარესთან შედარებით გარკვეულად არათანაბარ, შეზღუდულ პირობებში იმყოფება. იმ პირობებში, როცა ბრალდების მხარე სარგებლობს მთელი რიგი საპროცესო და საგამოძიებო იძულებითი ღონისძიების ჩატარების უპირატესი უფლებით, თავისი ფუნქციის განხორციელების პროცესში დაცვის მხარე ვერ გაუთანაბრდება მას, რის გამოც ბრალდების და დაცვის მხარე არ შეიძლება მიჩნეულ იქნას იურდიულად და ფაქტობრივად თანაბარი შესაძლებლობების მქონე სუბიექტებად და შესაბამისად გამოძიების სტადია არ შეიძლება ემყარებოდეს მხარეთა სრულყოფილ თანასწორობასა და შეჯიბრებითობას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბილისი. 2009 წ
2. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, თბ. 2015 წელი
3. სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი, თბ. 2008 წელი
4. Макаров Л.В. Участие обвиняемого и его защитника в уголовно-процессуальном доказывании: Автореф. дисс. ... канд. юрид. наук. Саратов, 2002.
5. თ. ლალიაშვილი. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი. ზოგადი ნაწილი. თბ. 2015
6. Кобликов А.С. Принципы уголовного процесса/Под ред. А.С. Кобликова. М., 1995
7. Якимович Ю.К., Семухина О.Б. О некоторых принципах уголовного процесса//Сибирские юридические записки: Ежегодник Ассоциации юридических вузов «Сибирь». Вып. 2, Красноярск. 2002
8. Чичканов А.Б. Принцип состязательности в российском уголовном судопроизводстве//Правоведение. 2001. № 5
9. ბენიძე დ. შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. სამეცნიერო შრომების კრებული. 2014. <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e>

ეკონომიკურ-პოლიტიკური ვარიაციები (თეორია და პრაქტიკა)

იგორ კვესელავა

პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კაპიტალიზმისა და სოციალიზმის თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები. გაკრიტიკებულია ე.წ. „შოკური თერაპიის“ კურსი. ხაზი ესმება ინტეგრირებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საჭიროებას, რომელმაც კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ბალანსირება უნდა მოახდინოს, ანუ ერთმანეთს უნდა შეერწყას კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დადებითი ღირებულებები და ჩამოსცილდეს ამ სისტემების უარყოფითი მხარეები.

სტატიაში ასევე გაშუქებულია სოციალიზმის ბელარუსული მოდელის ცალკეული პოლიტიკური ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: კაპიტალისტური სისტემა; საბაზრო ეკონომიკა; სოციალიზმი; შოკური თერაპია; ინტეგრალური მოდელი; ბელარუსული სოციალიზმი; ზ. გამსახურდია: „არც სოციალიზმი, არც კაპიტალიზმი“; ეკონომიკის მოდერნიზაცია; ოლიგარქიული კაპიტალიზმი; კომუნისმის უტოპიური იდეა; კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შერწყმა.

ECONOMIC AND POLITICAL VARIATIONS (THEORY AND PRACTICE)

Igor Kveselava

Head of Policy and International
Relations Department, Professor

SUMMARY

The article discusses theoretical aspects of capitalism and socialism. It criticizes so-called shocking therapy course. The article underlines the need of an integrated socio-economic formulation, which should balance the capitalism and socialism, so positive values of capitalism and socialism must be combined and disadvantages of these systems must be separated from it.

The article also reviews separate political aspects of the Belarussian model of socialism.

Keywords: capitalist system; market economy; socialism; shocking therapy; Integral model; Belarussian Socialism; Z. Gamsakhurdia “Neither Socialism, nor Capitalism”; Modernization of the economy; Oligarchic capitalism; The utopian idea of communism, Capitalism and socialism Merging.

როდესაც სოკრატეს მონაფე პლატონი ამბობს, სხვის ბედნიერებაში ვპოულობ საკუთარ ბედნიერებასო, ჩვენს წინ მთელი სიგრძე-სიგანით წარმოტივტივდება ბედნიერების ფილოსოფიური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი განზომილებები, დაწყებული სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიური სისტემებით, დამთავრებული ადამ სმიტისა და კარლ მარქსის თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკური გათვლებით, „ბაზრის უხილავი ხელით“ და მოგებისაგან მიღებული ინტერესებითა და ბედნიერებით.

„გონივრული ეგოიზმის“ თეორიის საწყისები ადამ სმიტამდე აქვს გაცნობიერებული ინგლისელ მწერალს, ფილოსოფოსს და ეკონომისტს ბერნარდ მანდევილს, რომელიც ფიქრობდა, რომ ინდივიდუალიზმი, ანგარება და სხვა ადამიანური ნაკლოვანებანი ხელს უწყობენ საზოგადოებრივი კეთილდღეობის განვითარებას. თუმცა კერძო საკუთრება და საბაზრო თავისუფლება, თავის მხრივ ვერ უზრუნველყოფს ადამიანთა უდიდესი ნაწილის ბედნიერებას და ბიძგს აძლევს ხალხის გაღატაკებას. ყველაზე ღრმად და კარგად ეს მარქსმა წარმოაჩინა და საფუძველი ჩაუყარა კლასობრივი უთანასწორობის მარადიულ თეორიას, რომლის დაძლევა ვერ შეძლო კომუნისტების მიერ შექმნილმა სახელმწიფოებმა. მითუმეტეს ამ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა პარტიული და სახელმწიფო ნომენკლატურა – ახალი მმართველი კლასი, რომელიც ცდილობდა ექსპლუატაცია გაენია საზოგადოებისათვის, დაემკვიდრებინა მონოპოლიზმი და დაემუხრუჭებინა სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი.

უსამართლობა იქნებოდა სოციალისტური იდეის ზოგიერთი დადებითი ღირებულების იგნორირება, ამიტომ ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ კეინსმა წამოაყენა კაპიტალიზმის სისტემაში სახელმწიფო ჩარევის თეორია, რომელიც უფრო განავრცო ამერიკელმა ეკონომისტმა ჯონ ჰელბრეიტმა, საფუძველი ჩაუყარა კონვერგენციის თეორიას და გააბათილა მითი საბაზრო და საგეგმო მეურნეობას შორის უფსკრულის აუცილებლობის შესახებ, ანუ მან შესაძლებლად ჩათვალა კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების დაახლოება, მათი საუკეთესო ღირებულებების შერწყმა. ამ თეორიას მხარი დაუჭირა რუსული წარმომავლობის გამოჩენილმა სოციოლოგმა პიტირიმ სოროკინმა.

ჰარვარდელი მეცნიერების პროგნოზებით ქვეყნების წარმატებული გზა გადიოდა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის უპირატესობათა კომბინირებაზე. ამ მოდელის პრაქტიკული განხორციელება

ბა დაინყო იუგოსლავიამ, მაგრამ პრაქტიკულად ის განხორციელდა ჩინეთში, როდესაც 1978 წლიდან დენ სიაოპინის ხელმძღვანელობით თანდათანობით დაინყო გარდაქმნები, რომელმაც უზრუნველყო ჩამორჩენილი და უღარიბესი ქვეყნის გადაქცევა ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ასეთი ტიპის მოდელი აიღო ორიენტირად ნურსულთან ნაზარბაევმა ყაზახეთში და ნანილობრივ ალექსანდრე ლუკაშენკომ ბელარუსში.

სოციალისტური წარსულიდან მიღებული ეკონომიკური მემკვიდრეობის დიდი ნაწილის შენარჩუნებით ბელარუსმა შეძლო განეფართოებინა სანარმოების მუშაობა, თავიდან აერიდებინა მოსახლეობის სიღატაკე, დაეცვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და წესრიგი ქალაქებსა და სოფლებში, მიეღწია სიმშვიდისა და სანიმუშო სისუფთავისათვის.

ორი ათეული წელიწადი მსოფლიო პოლიტიკურ სივრცეში საუბრობენ, რომ ბელარუსის ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს ქვეყნის შინ და გარეთ. თუმცა ბევრი მონაცემებით ბელარუსი კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ სახელმწიფოდ არა მხოლოდ პოსტსაბჭოურ სივრცეში, არამედ ყოფილ სოციალისტურ ბანაკშიც.

ბელარუსმა შეძლო შეექმნა მძლავრი ეკონომიკური ბაზისი, არ გაუვლია „ველური პრივატიზაციის“ პერიოდი. სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩა სანარმოების 50 პროცენტი, მათ შორის ყველა ინდუსტრიული გიგანტიც, ხოლო კერძო სექტორი ექვემდებარება სახელმწიფოს კონტროლს, შესაბამისად, ქვეყნის მთელი ეკონომიკა რეგულირების პირობებში იმყოფება.

ბელარუსის წარმატებებში დიდი როლი ითამაშა რუსეთის ფაქტორმა, რომელიც წლების განმავლობაში იავ ენერგომატარებლებს აწვდიდა ბელარუსს. ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად იქცა ფსიქოლოგიური მიდგომა საბჭოეთში განვითარებული ნეგატიური პროცესების მიმართ, რომელთა გაცნობიერება ხალხს უბიძგებდა ყველაფერი ისე დაეტოვებინათ, როგორც ადრე იყო, ანუ საბჭოთა კავშირის აღდგენა უფრო პრიორიტეტულ ამოცანად მიაჩნდათ, ვიდრე ახალი სახელმწიფოს შექმნა. ამდენად ერთი მხრივ, არსებული დადებითი ეკონომიკური მხარეების შენარჩუნებამ და მეორე მხრივ, ფსიქოლოგიურმა პარამეტრებმა ყველა პირობა შექმნა „ბელარუსული სოციალიზმის“ მოდელის ასამუშავებლად და განსამტკიცებლად.

აღნიშნული მოდელის განხორციელებას გეგმავდა ზვიად გამსახურდია საქართველოშიც, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ნაჩქარევ ტოტალურ პრივატიზაციას და ოპონენტები ამის გამოც დაუპირისპირდნენ. „მაქსიმალურად ვეცდებით, თანაბარი სასტარტო პირობები შევუქმნათ ყველას, რათა პრივატიზაციის შედეგებით ისარგებლონ ნამდვილად სამეურნეო და მენარმეობის უნარის მქონე პირებმა. პრივატიზაცია ჩვენ გვესმის, როგორც საქონლისა და მომსახურების გადაცემის სტრატეგია, რომელიც ორგანიზებულია

სახელმწიფო სანარმოებში, კერძო კომპანიების ხელში მთავრობის ხარჯების შემცირებისა და იმ უპირატესობის გამოყენების მიზნით, რომელსაც იძლევა საბაზრო სისტემა“ – აცხადებდა ზ. გამსახურდია 1991 წლის 7 ივლისს უზენაეს საბჭოში.

ცხადია, ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგე შევარდნადის ძალისხმევით განხორციელებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ ეროვნულ ხელისუფლებას არ მისცა შესაძლებლობა გაძარცვისა და განადგურებისაგან დაეცვა მრენველობა და სოფლის მეურნეობა. ვერ იმუშავა ზ. გამსახურდიას თეზამ: „არც სოციალიზმი და არც კაპიტალიზმი“.

ბელარუსის სახელმწიფო მოდელი გამოკვეთილად პერსონალისტურ ხასიათს ატარებს. იქ არ არსებობს სახელისუფლებო პარტია ტრადიციული, პოსტსაბჭოური სქემებით. პარლამენტის 110 დეპუტატიდან 94 უპარტიოა. როგორც ქვეყნის ლიდერი ლუკაშენკო მიიჩნევს, პოსტსაბჭოური გამოცდილებიდან გამომდინარე, ავტორიტარულ და ჰიბრიდულ სისტემებში სახელისუფლებო პარტიებს სარგებელზე მეტი პრობლემები მოაქვთ.

ლუკაშენკო მუდმივად ახდენს პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის მუდმივ ფრაგმენტაციას, რის შედეგად სახელმწიფო მოხელეებს არ ეძლევათ შესაძლებლობა შექმნან კლანები ან უცხო ქვეყნებთან დაკავშირებული ჯგუფები და ამას სტრუქტურების საქმიანობაში ჩარევით აღწევს.

ბელარუსში თანამდებობრივ საფეხურებზე არ წინაურდებიან ქარიზმატული მიდრეკილებების მქონე ადამიანები. ამ თვალსაზრისით პარალელის გავლება შეიძლება ბიძინა ივანიშვილის საკადრო ტაქტიკასთან, როდესაც ის თანამდებობისაკენ გზას არ უხნის ქარიზმატულ ადამიანებს.

აღნიშნული პოლიტიკოლოგიური მეთოდი, ერთი მხრივ, აყალიბებს სტაბილურ სისტემას, ყველა მისი რგოლი ერთ პიროვნებას უკავშირდება და, შესაბამისად, ჰორიზონტალური კავშირები საკმაოდ სუსტია, ამიტომ სტრატეგიულ პერსპექტივაში, მან შეიძლება არასტაბილურ მდგომარეობამდე მიგვიყვანოს.

მხედველობაშია ის გარემოება, რომ დროთა ვითარება დღის წესრიგში დააყენებს ბელარუსის პრეზიდენტის შემცვლელის გარკვევის საკითხს და ბელარუსის საზოგადოებამ არჩევანი უნდა გააკეთოს. როგორც ვარაუდობენ, გამორიცხული არ არის 10-15 წლის შემდეგ, ისევ ერთ პიროვნებაზე გაკეთდეს აქცენტი და ეს შეიძლება იყოს ვიქტორ ლუკაშენკო – დღეს მოქმედი პრეზიდენტის შვილი, ბელარუსში საკმაო გავლენის და ავტორიტეტის მქონე პიროვნება.

ბელარუსის სახელმწიფოს მომავალი, ყველა გათვლით ახალ თაობაზე გადის, რომლებშიც შეიძლება გამოიკვეთოს საკუთრივ ბელარუსული, პრორუსული და პროდასავლური ორიენტაციები, მითუმეტეს ახალი თაობის ერთი ჯგუფი სახელმწიფოს მსხვილი სანარმოების პრივატიზირებას უჭერს მხარს და არ მოსწონს ხელისუფლების მიერ აღებული ჭარბი სო-

ციალური ვალდებულებების პოლიტიკა. ლუკაშენკოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კურსი მიუღებელია დასავლეთისათვის, თუმცა ქვეყნის ლიდერი არ აპირებს ბელარუსში დამკვიდროს ფინანსური ოლიგარქიის ბატონობა, როგორც ეს უკრაინაში და საქართველოში მოხდა. სწორედ ეს არის „ბელარუსული სოციალიზმის“ გადარჩენის გზა, მითუმეტეს ამისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის „ეკონომიკური სანქციების ომი“ რუსეთსა და დასავლეთს შორის, ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციით და გარკვეული დაახლოებით ევროკავშირთან.

ბელარუსის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ერთიანია ლუკაშენკოს სტრატეგიული და ტაქტიკური განზომილებების მიმართ, ფსიქოლოგიური შიში აქვს ქვეყნის უკონტროლობისა და ქაოსის მიმართ, არ გამოდის პროტესტით თავისუფლებისა და დემოკრატიის უკმარისობის გამო ქვეყანაში და არ აქვს სოციალურ-ეკონომიკური უსამართლობის განცდა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ბელარუსი საკუთარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ – თანამედროვე სოციალიზმის მოდელს აყალიბებს, ინარჩუნებს საბჭოურ ეკონომიკურ მემკვიდრეობას და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ამ თვალსაზრისით, ის ერთ-ერთი განსაკუთრებული ქვეყანაა პოსტსაბჭოურ სივრცეში, ყაზახეთთან ერთად, რომლის სუვერენიტეტის ხარისხი ყველაზე მაღალია პოსტსაბჭოურ სივრცეში.

რაც შეეხება რუსეთს, „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ არ გაიზიარეს დემოკრატიული და ეკონომიკური ცვლილებების შუალედური გზა, აირჩიეს ე.წ. „შოკური თერაპიის“ კურსი, რომელიც ძირითადად ხორციელდებოდა ვაშინგტონის კონსენსუსის რეცეპტებით. სოციალიზმის „საფუძვლიანად“ დანგრევის რუსული გზა ნიშნავდა ხეტიალს ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ, ანუ ყოფილი ზესახელმწიფოს რეფორმირებას მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის ნედლეულის პერიფერიადა.

როგორც ცნობილი ეკონომისტი, აკადემიკოსი გიორგი ცაგოლოვი, თავის გახმაურებულ ნიგნში „გზა ბედნიერი ცხოვრებისაკენ“ შენიშნავდა, მთელმა რიგმა ქვეყნებმა და მათ შორის ინდოეთმა და ბრაზილიამ პრაქტიკაში დანერგეს ინტეგრალური მოდელი, რომელმაც მათ დიდი ეკონომიკური წარმატებები მოუტანა. მაგალითად, ინდოეთი, ჩინეთის შემდეგ გახდა, მსოფლიოს მეორე, სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, სადაც ერთად ფუნქციონირებს ტრანსეროვნული კორპორაციები და ეროვნული კაპიტალიც. მოქმედებს გეგმიური რეგულატორიც, რომელიც განსაზღვრავს განვითარების სტრატეგიულ მიზნებს – მათ რეალიზებას ხუთწლიანი გეგმების საშუალებით, რაც აისახება ეკონომიკური პოლიტიკის შედეგში – ინდოეთის ეკონომიკის დინამიურ მძლავრ განვითარებაში.

ინდოეთი არ წავიდა ჩინური „ურჩხულისა და აზიური „ვეფხვების“ გზით, რომლებიც იწყებდნენ იმ დარგების ექსპორტის საქონლით, რომლებიც ემ-

ყარებოდნენ იაფ და შედარებით ნაკლებად კვალიფიცირებულ სამუშაო ძალას. ინდოეთმა გამოიხატა საკუთარი ნიშა საექსპორტო მომსახურებაში, ეს კი განხორციელდა განათლების მაღალი მომსახურებით. ქვეყანა გახდა დასავლეთის კორპორაციების ბეკ-ოფისი. მაღალ დონეზე ავიდა განათლებული კადრების მომზადება, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში არაფრით ჩამორჩებიან დასავლეთელ კონკურენტებს. ხელისუფლების მიერ მოფიქრებული პოლიტიკის შედეგად, ამჟამად სამეცნიერო-ტექნიკური კადრების რიცხვით ინდოეთი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ეკონომიკის მოდერნიზაცია განხორციელდა ბრაზილიაშიც, როგორც საბაზრო, ისე გეგმიური რეგულატორების გამოყენების გზით.

საინტერესოა ის გარემოება, რომ შერეული ეკონომიკის სახელმწიფოები სოციალიზმისა და კაპიტალიზმის უპირატესობათა არა მხოლოდ კომბინირებას ეწევიან, არამედ ცდილობენ მათი ნაკლოვანებების მოკვეთასაც. ძლიერია ინტეგრალური მოდელები სკანდინავიის ქვეყნებშიც, სადაც საგემო-საბაზრო ეკონომიკებმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

როგორც ეკონომისტები ირწმუნებიან, კაცობრიობა გადადის ახალ, მეშვიდე – ინტეგრირებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში. როგორც გ. ცაგოლოვი ამტკიცებს, პირველყოფილი სათემო, მონათმფლობელური, ფეოდალური და სოციალისტური წყობილებების გარდა, მარქსი და ენგელსი ახსენებდნენ აზიურ ფორმაციას, რომელიც წინ უსწრებდა მონობას ძველ აღმოსავლურ ხალხებში და ემყარებოდა ბიუროკრატიის ბატონობას, წარმოების საშუალებებზე, საზოგადოებრივი საკუთარების დომინირების პირობებში. როგორც ჩანს, საბჭოეთში მასზე არ საუბრობდნენ, თუმცა იგი რაღაცით თავად რეალურ ბიუროკრატიულ სოციალიზმს გვაგონებდა.

მკვლევარები ინტეგრალურ საზოგადოებას „წმინდა“ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შემცველად მოიაზრებდნენ და ფიქრობდნენ, რომ კაპიტალიზმის სანყისების მოხერხებულ კომბინაციას განვითარების ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანასთან მივყავართ:

1. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები;
2. სამართლიანობა;
3. პიროვნების განვითარება;
4. მოქალაქეთა სულიერი თავისუფლების ამაღლება.

ცხადია, ყველაფერი ეს უარყოფს თეზისს კაპიტალიზმის „მარადიულობის“ ან „ბუნებრიობის“ შესახებ. პარალელურად, გაუმართლებელი იქნებოდა მოსაზრება სოციალიზმის „ხელოვნურობის“ შესახებაც, მითუმეტეს, ორივე ფორმაციას აქვს მთელი რიგი უპირატესობები, იმკვიდრებენ თავის ადგილს კაცობრიობის ისტორიაში და თანაარსებობის შემთხვევაში ბევრმა ქვეყანამ დიდ ეკონომიკურ წინსვლებს მიაღწია.

რეფორმების ამ გზას რუსეთი აცდა და ის ბიურო-

კრავტიულ-ოლიგარქიული კაპიტალიზმის სისტემაში აღმოჩნდა. აქ ვერ ჩამოყალიბდა გამართული ინტეგრალური სისტემა ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლისთვის, ასეთ ვითარებაში კი ყოველთვის რჩება რევოლუციური გზა და შესაძლებელია რუსეთი დაუბრუნდეს სოციალიზმის იდეის პრაქტიკულად განხორციელებას, მაგრამ მას უნდა ჩამოცილდეს მარქსის მიერ სახელდებული კომუნიზმის უტოპიური იდეა, რომელიც მსოფლიო პრაქტიკამ ვერ დაადასტურა. ვერც „რუსული სოციალიზმი“ აღმოჩნდა მისაღები რუსული საზოგადოებისათვის.

მსოფლიოში დღეს ფიგურირებს კატეგორიები „კაპიტალიზმი“, „სოციალიზმი“ და „ინტეგრალური ნყობილება“, თუმცა ასევე საუბრობენ „პოსტინდუსტრიულ“ „ტექნოტრონულ“ ან „ინფორმაციულ საზოგადოებებზეც, ასე რომ ამის გამო კაპიტალიზმის, სოციალიზმის და პოსტინდუსტრიალიზმის ლოგიკური ხაზი ვერ ლაგდება.

ინტეგრალური ფორმაციის კონცეფციის მონინაალმდეგეები ფიქრობენ, რომ ან კაპიტალიზმი უნდა ავირჩიოთ ან სოციალიზმი. თავის დროზე ადამ სმიტი მიიჩნევდა, რომ ადამიანის ბუნებაში სოციალური სანყისი ეგოიზმთან იყო დაკავშირებული და მხოლოდ ამის საშუალებით მიდიოდა საზოგადოება იდეალური მდგომარეობისაკენ. მარქსი, ენგელსი და მათი მიმ-

დევრები აქცენტს აკეთებდნენ სამართლიანობისა და სოციალურ ასპექტებზე.

ამ კონტექსტში გ. ცაგოლოვი შენიშნავს, რომ „ადამიანის ბუნების ორ დაპირისპირებულ, მაგრამ რეალურ მხარეს შორის ბალანსის არსებობა უპასუხებს საერთო ცხოვრების ოპტიმალური მოდელის ძიების ამოცანებს“.

მსოფლიო ცხოვრება არ იძლევა ახალი ინტეგრალური იდეოლოგიის მყარად დამკვიდრების შესაძლებლობას. მითუმეტეს ის არ იძლევა საყოველთაო სამოთხის გარანტიას, რომელიც არ ყოფილა, არც არის და არც იქნება. ზოგადად კი, მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები მიგვანიშნებენ ახალი ეკონომიკური მოდელის პარადიგმის აუცილებლობის შესახებ, ანუ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შერწყმის აუცილებლობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Цаголов Г., «Путь к счастливой жизни», М., 2015.
2. გამსახურდია ზ., გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 8 ივლისი.
3. სმიტი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. 1, თბ., 1938.

УГОЛОВНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ ЮРИДИЧЕСКОГО ЛИЦА

Зураб Мелкадзе
Профессор ГГУ. Тбилиси, Грузия

АННОТАЦИЯ

В уголовном законодательстве некоторых стран, в том числе Грузии, в понятие субъекта уголовной ответственности включены также юридические лица. Преступление, то есть предусмотренное законом противоправное и виновное деяние, совершает только физическое лицо. Однако, нести уголовную ответственность за такие деяния могут не только физические, но и юридические лица при наличии определенных условий, так как анализ криминогенной ситуации во всем мире свидетельствует, что коррупционные преступления в ущерб экономических основ государства все чаще совершаются в интересах юридических лиц.

Ключевые слова: Конвенция; Юридическое лицо; Физическое лицо; Уголовная ответственность; Субъект преступления; Уголовный кодекс Грузии.

CRIMINAL LIABILITY OF THE LEGAL ENTITY

Zurab Melkadze

ANNOTATION

In the criminal legislation of some countries, including Georgia, the concept of the subject of criminal liability has included also legal entities. Crime, that is the illegal and guilty act provided by the law, makes only the natural person. However, can bear criminal liability for such acts not only physical, but also legal entities in the presence of certain conditions as the analysis of a criminogenic situation around the world demonstrates that corruption crimes in damage of economic bases of the state are even more often committed for the benefit of legal entities.

Keywords: Convention; Legal entity; Natural person; Criminal liability; Subject of crime; Criminal code of Georgia.

ВВЕДЕНИЕ

Традиционно субъектом преступления признаётся лишь физическое лицо. Однако, в уголовном законодательстве некоторых стран, в том числе Грузии, в понятие субъекта уголовной ответственности включены также юридические лица. Не вдаваясь в теоретические дискуссии, отметим, что различают субъект преступления и субъект уголовной ответственности. Преступление, то есть предусмотренное законом противоправ-

ное и виновное деяние, совершает только физическое лицо. При этом нести уголовную ответственность при наличии определенных условий за такие деяния могут не только физические, но и юридические лица, так как анализ криминогенной ситуации во всем мире свидетельствует, что коррупционные преступления, в ущерб экономических основ государства, все чаще совершаются в интересах юридических лиц.

Включение в УК Грузии уголовной ответственности юридических лиц была ускорена подписанием Грузией Европейской конвенции „Об уголовной ответственности за коррупцию”, ст. 18 которой устанавливает, что: „Каждая сторона принимает такие законодательные и иные меры, которые могут потребоваться для обеспечения того, чтобы юридические лица могли быть привлечены к ответственности в связи с совершением уголовных преступлений, заключающихся в активном подкупе, использовании служебного положения в корыстных целях и отмытии денег, квалифицированных в качестве таковых в соответствии с настоящей Конвенцией и совершенных в интересах любого физического лица, действующего в своём личном качестве или в составе органа юридического лица, которое занимает ведущую должность в юридическом лице, путём: выполнения представительских функций от имени юридического лица; или осуществления права на принятие решений от имени юридического лица; или осуществления контрольных функций в рамках юридического лица; а также за участие такого физического лица в вышеупомянутых преступлениях в качестве соучастника или подстрекателя”[3], а также ст. 26 Конвенции ООН „Против коррупции”: „Каждое государство – участник принимает такие меры, какие, с учетом его правовых принципов, могут потребоваться для установления ответственности юридических лиц за участие в преступлениях, признанных таковыми в соответствии с настоящей Конвенцией”[4].

При введении уголовной ответственности юридических лиц за преступления в сфере предпринимательской деятельности во внимание принимаются: возрастание числа преступлений в сфере предпринимательской деятельности; размеры ущерба, который наносится гражданам, обществу и государству в результате их совершения; извлечение юридическими лицами выгоды в ходе совершения нарушающих закон деяний; необходимость превентивного воздействия в данной сфере [5, 75].

Привлечение юридических лиц к ответственности

в) штраф - минимальный размер штрафа для юридического лица соответствует пятидесятикратному размеру штрафа предусмотренному для физического лица (ст.42 УК Грузии). Размер штрафа устанавливается судом в зависимости от тяжести совершенного преступления, выгоды, полученной в результате совершения преступления, и с учетом материального положения юридического лица, которое определяется его имуществом, доходами и иными обстоятельствами. Если взыскать штраф с юридического лица в качестве основного вида наказания не представляется возможным, этот вид наказания заменяется лишением права заниматься деятельностью или ликвидацией. Если в примечании к статье особенной части УК Грузии штраф указывается в качестве как основного, так и дополнительного наказания, при применении штрафа в качестве основного наказания штраф в качестве дополнительного наказания не применяется.

г) лишение имущества – это безвозмездное изъятие в пользу государства имущества, добытого преступным путем (всех вещей и нематериальных имущественных благ, а также юридических документов, дающих право на имущество), а также доходов от это-

го имущества в любой форме или эквивалентного их стоимости имущества. Изъятие имущества, добытого преступным путем, назначается судом только в качестве дополнительного наказания.

ЛИТЕРАТУРА:

1. **Уголовный кодекс Грузии**, №2287-ВС, 22.07.1999. <http://www.matsne.gov.ge>.
2. **Уголовно-процессуальный Кодекс Грузии**. Тбилиси. 09.10.2009. №1772-II с, <http://matsne.gov.ge>.
3. **Конвенция об уголовной ответственности за коррупцию** ETS N 173 (Страсбург, 27 января,1999. <https://www.google.ge>
4. **Конвенция ООН против коррупции** www.un.org/ru/documents/decl_conv/conv_shtm/ 2010.
5. Кравец Ю.П. **Об уголовной ответственности юридических лиц за преступления в сфере предпринимательской деятельности**//журнал российского права. 2001. №6. С.75.

ინტერაქტიული სწავლება და მისი ძირითადი ფსიქოლოგიური ასპექტები

ლია მეტრეველი,
სტუ ასოც. პროფესორი

რეზიუმე

მოსხენებაში განხილულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები ინტერაქტიური ნიშნავს ურთიერთმოქმედებას, ვინმესთან საუბარს, ანუ დიალოგის რეჟიმს. აქტიური მეთოდებისგან განსხვავებით, ინტერაქტიური მეთოდები ორიენტირებულია სტუდენტების და მოსწავლეების ფართო ურთიერთობებზე არა მხოლოდ პედაგოგებთან, არამედ ერთმანეთთან. ეს ის შემთხვევაა, როცა სტუდენტების აქტივობა სწავლების პროცესში დომინირებს. ინტერაქტიური მეთოდი შეიძლება განხილული იყოს, როგორც აქტიური მეთოდების ყველაზე თანამედროვე ფორმა.

საკვანძო სიტყვები: დისკუსიები, კვლევის მეთოდები, დისკუსიები, თამაშის მეთოდი, „გონებრივი იერიში“.

INTERACTIVE TEACHING AND ITS BASIC PSYCHOLOGICAL ASPECTS

Lia Metreveli,
Associated Professor of GTU

Resume

In the article is discussed methodology of interactive learning. Interactive means to interact with someone to talk, or dialogue regime. With contrast of active methods, interactive methods are focused on the wide range of students and pupils not only with teachers, but also with each other. This is the case when student activity dominates the teaching process. The interactive method can be considered as the most modern form of active methods.

Keywords: Discussions, Research Methods, Discourses, Game Method, “Mental Attack”.

* * * *

ინტერაქტიური (Inter – ორმხრივი, act – მოქმედება) ნიშნავს ურთიერთქმედებას, ვინმესთან საუბარს, დიალოგის რეჟიმში ყოფნას. ინტერაქტიური მეთოდები ორიენტირებულია სტუდენტების (მოსწავლეების) უფრო ფართო ურთიერთობაზე არა მხოლოდ მასწავლებელთან, არამედ ერთმანეთთან. ამასთან სტუდენტების (მოსწავლეების) აქტივობა სწავლების პროცესში დომინირებს.

სწორედ მიაჩნიათ, რომ სწავლება მხოლოდ ცოდნის გადაცემაა, მაგრამ ავინყდებათ, რომ იგი აუცილებლად გულისხმობს ცოდნის „აღებასაც“, ანუ რეალური სასწავლო პროცესი თავისთავად ინტერაქტიურია. ცოდნას კი არა, საგანს ვერ გადასცემ ადამიანს, თუ იმანაც არ იაქტიურა და არ გამოგართ-

ვა იგი (ხოლო, თუ ძალიან აქტიურია და უნდა შენი საგანი – შეიძლება წაგართვას კიდეც). ინტერაქტიური სწავლის მომხრეები საჭიროდ თვლიან ისეთი პირობები შექმნას, როცა მოსწავლეს სურს ცოდნის მიღება და აქვს შესაბამისი აქტივობის საშუალება. ტრადიციულ გაკვეთილზე მას აკისრია პასიური მსმენელის როლი. არ ჩანს, ამ პროცესში იგი რამეს ითვისებს თუ არა. სწავლის მთელი სიძიმე მოსწავლეს გადააქვს სახელმძღვანელოზე, როცა იგი ემზადება პასუხისთვის. ამ პირობებში გაკვეთილი უფუნქციო პროცედურაა. იგი ახსნა-განმარტების ფუნქციასაც კი არ ატარებს, რადგან ახსნა პრობლემას უნდა მოსდევდეს და არა უსწრებდეს წინ. ინტერაქტიური სწავლების მომხრეები მიზანშეწონილად მიიჩნევენ, რომ გაკვეთილი მასწავლებელმა იმ სიახლით უნდა დაიწყოს, რაც მოსწავლისთვის გაუგებარია. „მოსწავლის პირისპირ დაყენების გზით იმ ფაქტებთან, მონაცემებთან, მოსაზრებებთან, თეორიებთან და ა. შ., რომელიც არ შესაბამეა მის ცოდნას, მასწავლებელი ინვესტ კონფლიქტს მოსწავლის ცოდნაში. სწორედ ეს კონფლიქტია ახლის გაგების კარგი მოტივაცია და საუკეთესო საფუძველი. ასეთი გზით მიღებულ ცოდნას პიროვნული აღმოჩენის ან პიროვნული მიხვედრის მახასიათებლები გააჩნია და ამ გზით ზრდის შესწავლილი მასალის გაგებისა და სიმყარის დონეს. ამავე პროცესში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მოსწავლეთა ურთიერთაქტივობა – დაჰყოს კლასი ჯგუფებად და შეაჯიბროს ისინი სწორი გადამწყვეტილების აღმოჩენაში. ამ მეთოდით ბავშვებს დამატებით გაეზრდებათ მოტივაცია, გათანაბრდება მათი ცოდნის დონე, ისწავლიან სხვადასხვა მხრიდან საკითხის გააზრებას, ერთანეთთან თანამშრომლობას.

ინტერაქტიური სწავლების მეთოდი შეიძლება განვიხილოთ როგორც აქტიური მეთოდების ყველაზე თანამედროვე ფორმა.

ინტერაქტიურ მეთოდებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი: დისკუსია, ევრისტიკული საუბარი, „გონებრივი იერიში“, როლური, „საქმიანი“ თამაშები, ტრენინგები, კეის-მეთოდი, პროექტების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა საილუსტრაციო მასალასთან, ვიდეოფილმების განხილვა და ა. შ. განვიხილოთ, ზოგიერთი მათგანი.

თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიებს შორის მოსწავლეთა პროექტული საქმიანობა, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად შეესაბამება განათლების წინაშე დასმულ მიზნებს საკვანძო კომპეტენციების ჩამოყალიბებას. პროექტების მეთოდი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი პიროვნულად ორიენტირებული განმავითარებელი ტექნოლოგია, რომლის საფუძველში არის ჩადებული სტუდენტების (მოს-

ნავლებს) შემეცნებითი უნარების, შემოქმედებითი ინიციატივის, დამოუკიდებელი აზროვნების უნარის, პრობლემების პოვნის და გადაჭრის, საინფორმაციო სივრცეში ორიენტირების, საკუთარი საქმიანობის შედეგების პროგნოზირებისა და შეფასების განვითარების იდეა. პროექტების მეთოდი ყოველთვის არის ორიენტირებული სტუდენტების (მოსწავლეების) დამოუკიდებელ საქმიანობაზე (ინდივიდუალურ, დანყვილებულ თუ ჯგუფურ), რომელსაც ისინი დროის გარკვეულ მონაკვეთში ასრულებენ. ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ნამდვილად მნიშვნელოვანი პრობლემების (პრაქტიკული, სამეცნიერო, შემოქმედებითი, ცხოვრებისეული) არსებობის დროს, რომლის ამოსახსნელად საჭიროა კვლევითი ძიება. თანამედროვე პირობებში საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს ცხოვრების ცვალებადი პირობებისადმი, მათ შორის პროფესიულ საქმიანობაში, შეგუებისა და შეცვლილ რეალობაში სხვა ადგილის პოვნის უნარი. ამისათვის მას სჭირდება ფართო ცოდნა, ამ ცოდნის ინტეგრირებისა და გამოყენების უნარი გარემომცველი მოვლენების ასახსნელად. ყოველივე ეს ადასტურებს პრაქტიკული მიმართულების მქონე პროექტების გამოყენების აუცილებლობას. მოსწავლეების მიერ დაგროვილი პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას ყოფაცხოვრებაში ან საწარმოო საქმიანობაში გაჩენილი პრობლემების გადასაჭრელად. პრაქტიკულად ორიენტირებული დავალებები საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობას ზრდიან ცოდნის მოცემული დარგის ათვისებისადმი მოტივაციის გაზრდის ხარჯზე. ცხადია, რომ მოტივაციის ამაღლებას ხელს უწყობენ მხოლოდ ისეთი სახის დავალებები, რომლებიც მოსწავლეებში პიროვნულ ინტერესს იწვევენ.

სასწავლო-კვლევითი საქმიანობის მთავარ შედეგს შეშინების დადგენა წარმოადგენს. მისგან განსხვავებით პროექტზე მუშაობა გამიზნულია პრობლემის ყოველმხრივ და სისტემატურ კვლევაზე, რასაც მოსდევს პრაქტიკული შედეგის – საგანმანათლებლო პროდუქტის – მიღება. პროდუქტს შეიძლება წარმოადგენდეს ვიდეოფილმი, ალბომი, პლაკატი, სტატია გაზეთში, ინსტრუქცია, თეატრალური დადგმა, თამაში (სპორტული, საქმიანი), web-საიტი და სხვ. პროექტული საქმიანობა ითვალისწინებს მოხსენების, რეფერატის მომზადებას, კვლევის ჩატარებასთან შემოქმედებითი საქმიანობის სხვა სახეობებს. პროექტის შესრულების პროცესში მოსწავლეები იყენებენ არა მხოლოდ სასწავლო, არამედ სასწავლო-მეთოდურ სამეცნიერო, საცნობარო ლიტერატურას. მასწავლებელი აწარმოებს დაკვირვებას, უწევს კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში შედეგების ანალიზის პროცესს ანიჭებს მიმართულებას.

პროექტის შესრულების დროს მოსწავლეები ჩართული არიან აქტიურ შემეცნებითი შემოქმედებით პროცესში; ამასთან ხდება როგორც საგნის სწავლის დროს შეძენილი ცოდნის განმტკიცება, ასევე ახალი

ცოდნის მიღება. ამის გარდა, ხდება საგნობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბება, ისეთების, როგორცაა: კვლევითი (ძიებითი), კომუნიკაციური, საორგანიზაციო-მართვითი, რეფლექსური, გუნდში მუშაობის უნარ-ჩვევები და სხვ. დავალების სახით მოსწავლეს (ან მოსწავლეთა ჯგუფს) შეიძლება შევთავაზოთ მოხსენების, პროექტის ან კომპიუტერული პრეზენტაციის მომზადება. ამგვარად ქეისში ინტეგრირებულია ქვემოთ განხილული მეთოდები.

როგორც სწავლების ერთ-ერთი ინტერაქტიული მეთოდი, ქეის-მეთოდი უფრო და უფრო იპყრობს სტუდენტების (მოსწავლეების) პოზიტიურ დამოკიდებულებას, ისინი მასში ხედავენ თამაშს, რომელიც თეორიული საფუძვლების ათვისებას და მასალის პრაქტიკული გამოყენების დაუფლებას უზრუნველყოფს.

ქეისთან მუშაობის დროს სტუდენტებს უყალიბდებათ საკვანძო კომპეტენციების შემდეგი კომპონენტები: პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, პრაქტიკაში საგნობრივი ცოდნის გამოყენების უნარები მოლაპარაკების წარმოების, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარი, ტოლერანტობა, რელაქსიის უნარები.

თანამედროვე პირობები კრეატიულად მოაზროვნე, შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბება აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით უფრო ხშირად უპირატესობას ანიჭებენ ძიებით მეთოდებს: კვლევითსა და ევრისტულს (ნაწილობრივ - ძიებითს), რომელთა საფუძველში დევს პრობლემური სწავლება. ეს მეთოდები ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ კომპეტენციურ მიდგომას, რომელიც აქტივობის, პასუხისმგებლობის და დაანწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარის განვითარებაზე არიან მიმართული. ორივე ეს მეთოდი დაკავშირებულია ერთმანეთთან; განსხვავება მოსწავლეთა დამოუკიდებლობის ხარისხში მდგომარეობს. მეცადინეობების ჩატარების კვლევითი ფორმა ითვალისწინებს სტუდენტების (მოსწავლეების) შემდეგ საქმიანობას:

- საგნობრივი კვლევის დარგის და შინაარსის გაცნობა;
- კვლევის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება;
- შესასწავლი ობიექტის (მოვლენის, პროცესის) შესახებ მონაცემების შეგროვება;
- კვლევის (თეორიულისა და ექსპერიმენტალურის) ჩატარება – შესასწავლი ფაქტორების გამოყოფა, ჰიპოთეზის წამოწევა, ექსპერიმენტის მოდელირება და ჩატარება;
- მიღებული მონაცემების ახსნა;
- დასკვნების ჩამოყალიბება, მუშაობის შედეგების გაფორმება.

მოცემული მიდგომა სამეცნიერო კვლევის მსვლელობის გაგების, მიღებული მონაცემების სხვადასხვა განმარტებისა და ამით სწორი პასუხის პოვნის საშუალებას იძლევა.

კვლევითი მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეებს

მოეთხოვება მაქსიმალური დამოუკიდებლობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ცოდნის სხვადასხვა დონის ჯგუფებში განსაკუთრებით საგის სწავლის საწყის ეტაპზე, ევრისტიკული მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მასწავლებლის აქტიური მონაწილეობით. ევრისტიკული შიძლება იყოს საუბარები, ლაბორატორიული მუშაობები, ამოცანები, რომლებიც სტუდენტების (მოსწავლეების) მიერ ახალი ცოდნის დამოუკიდებელ ძიებას ითვალისწინებენ, მაგალითად, ტექნიკური სასწავლებლების საგანმანათლებლო პრაქტიკაში დაინერგა ევრისტიკული ხასიათის ლაბორატორიული პრაქტიკუმი ფიზიკაში. მოცემული პრაქტიკუმი ითვალისწინებს რიგი მცირე ექსპერიმენტული პრობლემის გადაჭრას, მათ თეორიულ დასაბუთებას ფიზიკური ცნებებისა და კანონზომიერებების სისტემის გამოყენებით. მუშაობის შესრულების გეგმაზე კოლექტიური მსჯელობის შემდეგ სტუდენტები (მოსწავლეები) დამოუკიდებლად ასრულებენ ექსპერიმენტულ დავალებებს მასწავლებლის მითითების გარეშე. „წყვილებში“ მუშაობის დროს ხდება ფუნქციების გადანაწილება მოსწავლეებს შორის: თითოეული სტუდენტი მუშაობს თავის მაგიდასთან, ინდივიდუალურად წყვეტს თავის პრობლემებს, უფიქრდება თავის მოქმედებებს ექსპერიმენტის მსვლელობისა და თეორიული დავალებების ამოხსნის პროცესში. ძირითად დასკვნებს სტუდენტები (მოსწავლეები) აგრეთვე დამოუკიდებლად აყალიბებენ მანამ, სანამ ჯგუფში დაიწყება ექსპერიმენტის შედეგების განხილვა, რომელიც მთელი სამუშაოს დასრულების შემდეგ ტარდება.

კვლევითი მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს ისეთი საკვანძო კომპეტენციების ჩამოყალიბებას, როგორიცაა შემოქმედებითი მუშაობის უნარი, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უნარი, ავითარებს დაკვირვების, წარმოსახვის, არასტანდარტული აზროვნების უნარს, გარემომცველი სამყაროს მოვლენების ან კანონზომიერებების დიალექტიკური აღქმის უნარს, საკუთარი ან ჯგუფური თვალსაზრისის დაცვის უნარს.

სასწავლო დისკუსიები კი სტუდენტების (მოსწავლეების) შემეცნებითი საქმიანობის ისეთ ფორმას წარმოადგენენ, რომელშიც საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტები მონესრიგებულად და მიზანმიმართულად უზიარებენ ერთმანეთს აზრებს, იდეებს, მოსაზრებებს სასწავლო პრობლემის ირგვლივ, ბოლო დროს დისკუსიები როგორც სწავლების სუბიექტების ურთიერთობის ფორმა უფრო მეტ გამოყენებას პოულობს მასწავლებლების პრაქტიკულ საქმიანობაში სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მათი გამოყენება მიზანშეწონილია პრობლემური სასწავლო კონფერენციების, სიმპოზიუმების ჩატარების დროს, კომპლექსური საგანთაშორის ხასიათის მქონე პრობლემების განხილვის დროს. მოხსენებების შინაარსი შეიძლება იყოს დაკავშირებული გავლილ მასალასთან ან ცდებოდეს პროგრამის ჩარჩოებს, ის შეიძლება იყოს პროფესიულად მიმართული.

დისკუსიის მეთოდი შესაძლებელს ხდის თანამშრომლობის პედაგოგიკის ელემენტების გამოყენებას მოდელით: „მასწავლებელი – მოსწავლე“ და „მოსწავლე – მოსწავლე“, რომელშიც ნაიშლება დაპირისპირება მოსწავლისა და მასწავლებლის პოზიციებს შორის, ხოლო საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა გონების არე საერთო საკუთრება ხდება.

დისკუსიების დროს ყალიბდება შემდეგი კომპეტენციები: საკომუნიკაციო უნარები, ანუ ურთიერთობა გარემომცველ სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან (ეს ნიშნავს სხვის მოსმენას, გარედან ინფორმაციის აღქმას და საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უნარს); სხვადასხვა სიტუაციებში და სხვადასხვა ადამიანებთან ადეკვატურად ქცევის ნარი, სინთეზისა და ანალიზის უნარი, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების, პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრის უნარები, საკუთარი თვალსაზრისის დაცვის უნარი, ე. ი. სოციალური ურთიერთობის უნარები.

განვიხილოთ თამაში მეთოდი. თამაში საქმიანობის ისეთი სახეობაა, რომელიც დამახასიათებელია როგორც ბავშვებისთვის, ასევე მოზრდილებისათვის, ამიტომ საგანმანათლებლო პროცესში მას უკვე დიდი ხნის წინ იყენებდნენ, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ გამოვიყენოთ ამ საქმიანობის ისეთი ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების შემეცნების მიმართ უნებლიე ინტერესის გაჩენას. ამასთან, უნდა ახდებოდეს შესასწავლი მასალის სერიოზული და სიღრმისეული აღქმა. თამაში უნდა გახდეს ამა თუ იმ პრობლემის მცდარი გაგების საფუძველი, მოსწავლეებმა უნდა შეიგრძნონ შესასწავლი მასალის სირთულე და გაითავისონ, რომ სწავლის პროცესი არ წარმოადგენს მხოლოდ საინტერესო თამაშს. სასწავლო პროცესში სხვადასხვა ტიპის – საქმიანი, საიმიტაციო, როლური – თამაშების გამოყენება მრავალფეროვნებას ანიჭებს საგნობრივ საგანმანათლებლო პროცესს, ინვესს დადებითი მოტივაციის ჩამოყალიბებას მოცემული საგნის შესწავლის დროს. თამაში ააქტიურებს მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და ყველაზე პასიურებსაც კი იზიდავს.

პრაქტიკამ დაადასტურა თამაშების მეთოდის გამოყენების ეფექტურობა სწავლების დასკვნით ეტაპზე (თემის, თავის, კურსის დასრულების შემდეგ). როლური თამაში, მაგალითად, შეიძლება ჩატარდეს კონფერენციის სახით „გარემოს რადიოაქტიური დაბინძურება და მისი აღმოფხვრის საშუალებები“. კონფერენციის ჩასატარებლად სტუდენტებს შორის ირჩევენ კონფერენციის თავმჯდომარეს – წამყვანს, ტექნოლოგს ატომური ელექტროსადგურიდან, და ექსპერტთა ჯგუფს, რომლებიც წარმოადგენენ ეკოლოგებს და საზოგადოებას. განხილვის შედეგების მიხედვით შემუშავდება კონფერენციის გადწყვეტილება.

თამაშის დროს მონაწილეები ითვისებენ ახალ გამოცდილებას, ახალ როლებს, ყალიბდება მათი საკომუნიკაციო უნარები, მიღებული ცოდნის გამოყ-

ენების უნარი, პრობლემების გადაჭრის, ტოლერანტობის, პასუხისმგებლობის უნარები.

საყურადღებოა გონებრივი იერიშის მეთოდი ეფუძნება ორგანიზებული დისკუსიის დროს დასმული პრობლემური ამოცანების ერთობლივი გადაჭრის პროცესს. დავალება შეიძლება შეიცავდეს პროფესიულად მნიშვნელოვან ან დისციპლინათშორის საკითხს. ამასთან, ჯგუფის მონაწილეების მიერ გამოთქმული ყველა იდეა და წინადადება უნდა დაფიქსირდეს დაფაზე (ან ქალაქის დიდ ფურცელზე), რომ შემდგომ მოხდეს მათი ანალიზი და განზოგადება, იდეების თანმიმდევრული ფიქსაცია საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ, ერთი იდეიდან, როგორ აღმოცენდება სხვა იდეები, შეჯიბრობითობის მომენტი ააქტიურებს სტუდენტების აზრობრივ მუშაობას.

„იერიშის“ დასრულების შემდეგ მიმდინარეობს ყველა შემოთავაზებული იდეის ანალიზი, რომელშიც მთელი ჯგუფი მონაწილეობს. მასწავლებელი ამბობს სწორ პასუხს: თხევადი კრისტალი არის მდგრადი აგრეგატული მდგომარეობა, რომლის დროს ნივთიერება ინარჩუნებს ფიზიკური თვისებების ანიზოტროპიას, რაც დამახასიათებელია მყარი კრისტალებისთვის, და დენადობას, რაც დამახასიათებელია სითხეებისათვის.

გონებრივი იერიშის მეთოდს შეუძლია ჩართოს აქტიურ მუშაობაში სტუდენტების (მოსწავლეების) მაქსიმალური რაოდენობა. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია მეცადინეობის სხვადასხვა ეტაპზე: ახალი მასალა ახსნის დროს, ცოდნის ათვისების ხარისხის შუალედური კონტროლის დროს, შექმნილი ცოდნის განმტკიცების დროს (კურსის კონკრეტული თემის მიხედვით შემაჯამებელ მეცადინეობაზე).

„გონებრივი იერიში“ წარმოადგენს შემეცნებითი აქტივობის სტიმულირების ეფექტურ მეთოდს, ის აყალიბებს სტუდენტთა შემოქმედებით უნარებს, როგორც მცირე, ასევე დიდ ჯგუფებში. ამას გარდა, სტუდენტებს (მოსწავლეებს) უყალიბდება საკუთარი აზრის გამოხატვის, ოპონენტების მოსმენის, რეფლექსიის უნარი.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ზემოთ განხილული ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების დროს ხელს უწყობს თანამედროვე განათლების შედეგების მიღწევას. მასწავლებლის ფუნქცია ინტერაქტიულ მეცადინეობებზე არის სტუდენტების (მოსწავლეების) მუშაობისთვის მიმართულების მიცემა მეცადინეობის მიზნის მისაღწევად. თუ პასიური მეთოდები გულისხმობენ ურთიერთობის ავტორიტარულ სტილს, აქტიური, და მათ შორის ინტერაქტიური, მეთოდები გულისხმობენ დემოკრატიულ სტილს, რომელიც ეფუძნება სუბიექტის-სუბიექტზე დამოკიდებულებას მონაწილეთა შორის (მასწავლებელს და მოსწავლეს შორის). ასეთი ურთიერთობის დროს მასწავლებელი აღიქმება არა როგორც მენტორი, არამედ ურთიერთობის თანასწორუფლებიანი წევრი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის აზრს და ინდივიდუალური განვითარების დონეს.

საგანმანათლებლო პროცესი ისეთნაირად წარმართება, რომ პრაქტიკულად ყველა სტუდენტი (მოსწავლე) არის ჩართული შემეცნებით პროცესში. მასწავლო მასალის ათვისების პროცესში სტუდენტების ერთობლივი მუშაობა ნიშნავს, რომ თითოეულს შემოაქვს თავისი ინდივიდუალური წვლილი, მიმდინარეობს ცოდნის, იდეების გაცვლა. ჭეშმარიტების კოლექტიური ძიება ასტიმულირებს სუბიექტების ინტელექტუალურ აქტივობას. ასეთი ურთიერთობა სტუდენტებს (მოსწავლეებს) არა მხოლოდ ახალი ცოდნის შექმნის საშუალებას აძლევს, არამედ განავითარონ თავიანთი საკომუნიკაციო უნარები: სხვისი აზრის მოსმენის უნარი, სხვადასხვა თვალსაზრისის შეფასების უნარი, დისკუსიაში მონაწილეობის უნარი, ერთობლივი გადაწყვეტილების გამომუშავების უნარი, ტოლერანტობა და სხვ.

უდიდესი ეფექტის მისაღწევად მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაციის სხვადასხვა მეთოდისა და ფორმის გამოყენება. განხილული ინტერაქტიული მეთოდები მოთხოვნიდა სხვადასხვა დისციპლინის სწავლების როგორც საშუალო, ასევე უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად. მათ კონცეპტუალურ საფუძველს ეყრდნობა ინოვაციური პედაგოგიური ტექნოლოგიების პროექტირება, რომელიც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენი არჩევანი – შენი წინსვლა [ცნობარი/პროექტ. ხელმძღვანელი ლ. კლოტცკი], თბ., შპს „საარი“, 2008 (ელექტრონული რესურსი: <http://www.hplg.gov.ge>)
2. საყვარელიძე რამაზ, ინტერაქტიური სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები/რამაზ საყვარელიძე; მხატვ.-დიზ. ბუბა ოჩიაური [ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, შვედეთის განვით. საერთაშორისო სააგენტო], თბ., სიესტა, 2004;
3. Иванов Д. А., На какие вызовы современного общества отвечает использование понятий ключевая компетенция и компетнтностный подход в образовании?/ Компетенции и компетнтностный подход в современном образовании//Серия «Оценка качества образования» / Отв. ред. Курнешова Л. Е. М.: Моск. центр качества образования, 2008, с. 3-56
4. Двумичанская Н. Н., Интерактивные методы обучения как средство формирования ключевых компетенций. Наука и образование. Электронное научно-техническое издание. Изд., ФГБОУ ВПО «МГУ им. Н. Э. Баумана», Эл. №ФС 77-48211 (Электронный ресурс) - <http://www.technomag.edu.ru/doc/172651.html>. ge
5. Настройка образовательных структур в Европе, Вклад университетов в Болонский процесс (Электронный ресурс) <http://www.iori.hse.ru/tuning/materials/introduction Tuning%20Educational%20Structuress.pdf>

**ფასიანი ქაღალდების ბაზარი – მისი განვითარების
საკანონმდებლო რეგულირების ზოგიერთი ასპექტი**

*თამარ გოდერძიშვილი
დოქტორანტი*

რეზიუმე

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის რესურსების მოძიების მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს. ინვესტორთა ნდობის მოპოვებისა და მათი ინტერესების დაცვის შემთხვევაში იზრდება როგორც ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება, ასევე ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისა და უსაფრთხოების მაჩვენებელი. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური აღმავლობისათვის ხორციელდება ხოლმე რეფორმები. საქართველოში ასეთი რეფორმები, მათ შორის კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით, გასული საუკუნის ბოლოს გატარდა, თუმცა შემდეგ, 2007 წელს საკანონმდებლო ცვლილებების ახალმა ტალღამ არსებითად შეცვალა მანამდე დამკვიდრებული მიდგომები.

ეკონომიკის განვითარება სამეწარმეო საქმიანობის განვითარების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ამიტომაც მოცემულ სტატიაში აქცენტი კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ნორმების ცვლილებებსა და მიღებულ შედეგებზე გვექნება, რაც მის განვითარებაზეც აისახება.

სტატიის მიზანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორების წარმოჩენა, რაც პირდაპირ კავშირშია მინორიტარ აქციონერთა, ასევე გაუთვითცნობიერებელ ინვესტორთა ინტერესებთან და შედეგად, მათი ფინანსური კეთილდღეობისათვის საფრთხის შექმნასთან.

საკვანძო სიტყვები:

ფასიანი ქაღალდების ბაზარი; ანგარიშვალდებულები სანარმო; საანგარიშგებო მოთხოვნები; ინფორმაციის ლიაობა; ინვესტორები; საბირჟო და ბირჟის გარეთ გარიგებები; ე.წ. “ფიქსინგი”.

**РЫНОК ЦЕННЫХ БУМАГ - НЕКОТОРЫЕ
АСПЕКТЫ ЗАКОНОДАТЕЛЬНОГО РЕГУЛИРОВАНИЯ ЕГО РАЗВИТИЯ**

*Tamar Goderdzishvili
Doctoral Student*

РЕЗЮМЕ

Рынок ценных бумаг является наиболее эффективным средством для привлечения инвестиции и развития экономики страны при рыночной экономике. Тема не теряет актуальность не смотря на то, что реформа рынка капитала в Грузии была проведена в конце XX

века. В 2007 году новая волна законодательных изменений представляла собой радикальные изменения не только по отношению совершения сделок на фондовой бирже при участии брокерных компании, но и по отношению защиты прав миноритарных акционеров и инвесторов, что привлекла за собой нежелательные результаты в плане развития институтов инфраструктуры и рынка, в целом. Целью данной статьи является в общих чертах рассмотреть, как повлияли некоторые изменения законодательных норм на развитие рынка ценных бумаг, какие риски они влечат за собой и каким образом можно их минимизировать.

Ключевые слова: Рынок ценных бумаг; Подотчетное предприятие; Требования к расчетам; Открытость информации; Инвесторы; Обмены вне биржи и бирж; Так называемый «Фиксация».

* * * * *

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება.

განვითარებადი ქვეყნები დაინტერესებულნი არიან საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვაში, რისთვისაც ერთ-ერთი საუკეთესო და პროგრესული საშუალებაა ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსებობა. ამისათვის კი აუცილებელია ამ ბაზრის განვითარებაზე ზრუნვა, სათანადო ხელშეწყობი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების განვითარება.

როგორც ცნობილია, ფასიანი ქაღალდები, როგორც ინსტრუმენტი, ასრულებს რიგ ფუნქციებს, რომელთაგან ამჯერად მხოლოდ ზოგიერთზე შევჩერებთ ყურადღებას. ესენია:

- მოსახლეობაში არსებული ფულადი დანაზოგების აკუმულირება, ასევე სანარმოების, ორგანიზაციების დროებით თავისუფალი სახსრების მოზიდვა ამა თუ იმ პროექტებისა და ხარჯების დასაფინანსებლად;

- სხვადასხვა ფასიან ქაღალდში ინვესტირებით შესაძლებელია ფინანსური რისკების გადანაწილება;

- არის ინვესტიციების წყარო როგორც ახალი სანარმოების შექმნის, ისე არსებულის განვითარება-გაფართოებისათვის.

რადგან თავისუფალი სახსრები ფიზიკური თუ იურიდიული პირების საკუთრებაა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მათი უსაფრთხოდ დაბანდების შესაძლებლობა, მათ შორის ფასიან ქაღალდებში.

